

ვუძღვნით

თბილისის 1500 წლისთავს.

ავტორები.

მ. ბ. სეაქაშვილი, ა. პ. ბელაშვილი

# საქართველოს მედიცინის ისტორია

ტომი III  
წიგნი მეორე

სახელმწიფო გამომცემლობა  
„საბჭოთა საქართველო“  
თბილისი  
1958

**მთავარი რედაქტორი — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. დ. გ. შამათავრიშვილი.**

**მთავარი რედაქტორის მოადგილეები: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. გ. ხ. ახვლედიანი და საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. კ. დ. ერისთავი.**

**სარედაქციო კოლეგიის წევრები: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. ა. პ. წულუკიძე; საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. ი. გ. ქუთათელაძე; საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. ვ. ყ. ულუნტი; სსრ კავშირის მედიც. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გ. შ. ნათაძე; ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გ. ა. მელიქიშვილი; მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. დ. გ. ჯავახიშვილი; მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. ი. ტ. მენტეშაშვილი; ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ნ. გაბაშვილი; პროფ. გ. ვ. კვიციანი.**

ქართული მედიცინა

V—XVIII

საუკუნეებში

წიგნი მეორე

### III ტომის მეორე წიგნის

#### შინაარსი

(V—XVIII ს ს.)

	გვ.
წინასიტყვაობა	15— 16
თავი I. მებნობა და გინეკოლოგიური დაავადებანი	17— 39
თავი II. ბავშვთა სნეულებანი	40— 53
თავი III. კანის დაავადებანი	54— 74
თავი IV. თვალის სნეულებანი	75— 91
თავი V. ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებანი	92—106
თავი VI. კბილისა და პირის ღრუს დაავადებანი	107—116
თავი VII. ჭანჭრთელობის დაცვის ზოგადი პრინციპები	117—122
თავი VIII. პირადი ჰიგიენა	123—138
თავი IX. კვების ჰიგიენა	139—164
თავი X. კომუნალური ჰიგიენა	165—187
თავი XI. ყვავილის საწინააღმდეგო აცრა	188—200
თავი XII. მკურნალობის ზოგადი პრინციპები	201—226
თავი XIII. მკურნალობა ბუნებრივი ძალებით	227—248
თავი XIV. სამკურნალო კვება	249—272
თავი XV. წამალი, წამალთა ტექნოლოგია და ზომა-წონა	273—307
თავი XVI. სამკურნალო მცენარეები	308—449
ზიზლიოგრაფიული საძიებელი	450—476
მესამე ტომის პირველი წიგნის შინაარსი ქართულად	477
მესამე ტომის პირველი წიგნის შინაარსი რუსულად	477
მესამე ტომის პირველი წიგნის შინაარსი ინგლისურად	478

## წინასიტყვაობა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენში მეცნიერების განვითარების არნახული პირობები შეიქმნა. კომუნისტური პარტიის მიერ გატარებული ღონისძიებები ყოველმხრივ ხელს უწყობს მეცნიერების ყველა დარგის უმაგალითო წინსვლას. სისტემატური მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე მედიცინის ისტორიაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის კულტურული მონაპოვრის შესასწავლად, თანამედროვე მედიცინის თეორიისა და პრაქტიკის შემდგომი აღმავლობისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯ ა ვ ა ს ი შ ვ ი ლ ი ს სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილება (არსებობდა 1950 წლამდე) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრა, ინსტიტუტის დირექციის დახმარებითა და ხელის შეწყობით წლების მანძილზე მუშაობდა და ამჟამადც განაგრძობს მუშაობას საქართველოს მედიცინის ისტორიის სხვადასხვა პერიოდების შესასწავლად. ამ მუშაობის შედეგად 1956 წელს გამოქვეყნებულ იქნა „საქართველოს მედიცინის ისტორიის“ მესამე ტომის პირველი წიგნი.

წინამდებარე ნაშრომი მესამე ტომის მეორე წიგნია. ეს ტომი მთლიანად შეეხება ქართული მედიცინის ისტორიის V-XVIII საუკუნეებს. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორი იყო სამედიცინო ცოდნის დონე საქართველოში აღნიშნულ პერიოდში. დამწერლობით წყაროებში აღწერილ დაავადებათა გარკვევა წარმოებდა იმის მიხედვით, თუ ისინი თავიანთი ნიშნებით რამდენად ემსგავსებოდნენ თანამედროვე მედიცინაში ცნობილ დაავადებებს. ასეთი მიდგომაში ამოცნობილი იქნა რიგი დაავადებებისა. რომელიც ძველმა ქართულმა მედიციმაც იცოდა. ცხადია, მსგავსების ჩვენება ყოველთვის არ მოხერხდა, რადგან ზოგიერთი დაავადების ძველი აღწერილობა ნაკლებად წააგავს თანამედროვე მედიცინაში ცნობილ დაავადებებს. ზოგჯერ აღწერილობა ორ ან მეტ ერთმანეთს მსგავს დაავადებას გვაგონებს. ასეთი შემთხვევები გვხვდება კბილის, ყელ-ყურ-ცხვირის კანის, თვალის და სხვა სნეულებათა აღწერილობებში. მაგალითად, XI საუკუნეში ცნობილი იყო თვალის დაავადება „ნახუნა“, რომელიც თავისი ნიშნებით როგორც პტერიჯიუმს, ისე კატარაქტას წააგავს. ჩვენ ის პტერიჯიუმად მივიჩნიეთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ კატარაქტა იყოს. ეს დაავადება ჩვენში ძველდაც იყო ცნობილი. იცოდნენ მისი ოპერაციული მკურნალობა, ამ საქმეში დახელოვნებული პირები საქართველოს გარეთაც იყვნენ განთქმული, რის შესახებაც სპეციალურად ცალკე გვექნელა ლაპარაკი.

როგორც ამ ტომის პირველი წიგნის წინასიტყვაობაში აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ განხილული ცალკეული საკითხების, მაგალითად, ნევროპათოლოგიის, ქირურგიის, ოფთალმოლოგიის, პედიატრიის, სანიტარია-ჰიგიენის, სტომატოლოგიის, შესახებ სხვადასხვა ავტორების მიერ შესრულებული ნაშრომები და ზოგი მათგანი გამოქვეყნებულიცაა, მაგრამ ქართული მედიცინის ისტორია იმდენად მდიდარია და მის შესახებ არსებული წყაროები ისე მრავალფეროვანია, რომ მის შესწავლას მომავალში კიდევ მკვლავი მკვლევრის მუშაობა დასჭირდება. ნათქვამი შეეხება წინამდებარე ნაშრომში განხილულ ყველა საკითხს. განსაკუთრებით ეს ითქმის სანიტარია-ჰიგიენის საკითხების შესახებ. ცნობილია, რომ საქართველოს ძველი ისტორიული ნაგებობანი სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, რასაც შეეძლო გამოერკვია როგორ იყო მოწყობილი ძველად შენობათა განათება, გათბობა, ჰერის ვენტოლაცია, წყალმომარაგება და სხვ. ეს საკითხები სასპეციალურ შესწავლას მოითხოვს და, ცხადია, ამ საქმეს მომავალში ხელს მოჰკიდებენ ჩვენი მკვლევრები.

წინამდებარე წიგნს ახლავს ბიბლიოგრაფიული საძიებელი — ხელნაწერების, გამოქვეყნებული პირველწყაროებისა და დამხმარე ლიტერატურის სია. აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობანი გამოქვეყნებულია, მაგრამ ლენინგრადში დაცული ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერები ჯერ არ არის აღწერილი და ამიტომ მათ მცირეოდენი აღწერითი სასაბუთის ცნობებიც დაურთეთ. ხელნაწერების სიაში დასახელებულია

აგრეთვე არქივში დაცული ძველი ისტორიული საბუთები. ხელნაწერებისა და საბუთების უმეტესობა XVIII საუკუნეს არ სცილდება. ნაწილი კი, განსაკუთრებით ლენინგრადში დაცული ქართული ხელნაწერები, XIX საუკუნეშიც გადმოდის, მაგრამ შინაარსობლივად ისინი ძველ პერიოდს მიეკუთვნება.

ამ წიგნში მოთავსებული ცალკეული თავები ხელნაწერში წაიკითხეს: მეანობა და გინეკოლოგიური დაავადებანი — მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა პ. შუშანიამ. ბავშვთა სნეულებანი — პროფესორმა ირ. რცხილაძემ და პროფესორმა ვ. ა. თოხაძემ, კანის დაავადებანი — დოცენტმა პ. მგალობლიშვილმა, თვალის სნეულებანი — მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ნ. ხრამელაშვილმა და დოცენტმა ნ. ბერაძემ. ყულ-ყურ-ცხვირის დაავადებანი — პროფესორმა ა. ჩარგეიშვილმა.

წიგნის უკანასკნელი თავი — „სამკურნალო მცენარეები“ — მთლიანად კუთვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ ასპირანტს ნ. ნ. წუწუნავას. მისი დაწერის დროს კონსულტაცია იკისრა და საბოლოო ტექსტი ხელნაწერში წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, პროფესორმა ნ. კეცხოველმა. „სამკურნალო მცენარეებს“ ხელნაწერში გაეცნო აგრეთვე ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. მშვიდლობაძე.

გაწეული შრომისა და სასარგებლო რჩევა-მითითებებისათვის მათ შადლობას მოვასწავებთ.

წიგნში დაბეჭდილი ტაბულების ნაწილი, მათ შორის IV, V გადმოღებულია ა. აფაქიძის, გ. გობეჯიშვილის, ა. კალანდაძის, გ. ლომთათიძის წიგნიდან „მცხეთა“; VI, VIII-1 — შ. ხიდაშელის ნაშრომიდან „სხალტა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი“; VII — ალ. ლოსაბერიძის ნაშრომიდან „ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები“; VIII-2, IX, X, XI — გ. მინდაძის ნაშრომიდან „მასალები ძველი თბილისის წყლით მომარაგების საკითხისათვის“; XII — ალ. მამულაშვილის ნაშრომიდან „კახეთის ძველი აბანოები“.

## მეანობა და გინეკოლოგიური დაავადებანი

შინაგან მედიცინასა და ქირურგიასთან ერთად ძველი ქართულ მედიცინის ერთ-ერთი განვითარებული დარგი იყო მეანობა და გინეკოლოგია. ძველთაგანვე ამ დარგში მომუშავე ექიმებიც ყოფილან საქართველოში.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სამეანო საქმეში გაწაფულ იყო მეანი, ყრმათა ამქმელი, ანუ დედათმორავე. მასვე უნდა აღმოეჩინა დახმარება ქალისათვის გინეკოლოგიურ დაავადებათა შემთხვევაში, რაც იმას არ ნიშნავს, რომ, თუ მდგომარეობა მოითხოვდა. სხვა დარგის სპეციალისტს. მაგალითად: მკურნალს, დატაქარს, არ გაეწია ქალისთვის სამედიცინო დახმარება.

როგორც შინაგან მედიცინასა და ქირურგიას, ასევე მეანობას და გინეკოლოგიას მედიცინის სხვა დარგებთან შედარებით მეტი ყურადღება ექცეოდა. ამას ადასტურებს ძველ ქართულ სამედიცინო და არასამედიცინო დამწერლობით წყაროებში არსებული ცნობები, რომლებიც შეეხება ქალის მენჯისა და სასქესო ორგანოების აგებულებას, თვიურის მიმდინარეობას, განაყოფიერების პროცესს, ნაყოფის განვითარებას, მის კვებას, ორსულობის გამოცნობას, მის ხანგრძლიობას, ორსულობის ნაადრევ შეწყვეტას, ორსულთა პიეინას, მშობიარობას, გაძნელებული მშობიარობის მიზეზებს, დახმარებას გუძნელებული მშობიარობის შემთხვევებში, ქალის სასქესო ორგანოების დაავადებებს და სხვ.

მენჯისა და სასქესო ორგანოების აგებულებისა და „თესლის“ გამომუშავების შესახებ არსებული შეხედულებანი უკვე განხილული იყო პირველი წიგნის მესამე თავში—„წარმოდგენები ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ“. აქ შევხებით მხოლოდ იმ თავისებურებებს, რომლებიც ქალის მენჯისა და სასქესო ორგანოებზე აგებულებისათვის არის დამახასიათებელი სამეანო თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ქალის მენჯის აგებულებაში ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ზომები. ზომები მენჯის ფიზიოლოგიური განვითარების მაჩვენებელია.

ძველ ქართულ მედიცინაში მენჯის ზომების რიცხობრივი მაჩვენებლები არ გვხვდება, მაგრამ საერთოდ მენჯის სიდიდეს უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მცირე მენჯი, სრულიად სამართლიანად, გართულებული მშობიარობის ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნდათ.<sup>1</sup>

ქალის მომწიფების სხვა მაჩვენებლებთან ერთად მნიშვნელობა ენიჭებოდა თვიურის მოსვლას. პირველი თვიურის მოსვლის ხანად 14—15 წელი ითვლებოდა. პირველი თვიურის შემდეგ შესაძლებლად მიაჩნდათ ორსულობა.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 152.



XI საუკუნის სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, რომ ნაყოფის ჩასახვა აღდგაყარსა და მამაკაცის „თესლის“ შეერთებას უკავშირებდნენ, მაგრამ თვით განაყოფიერების პროცესი სრულიად უცნობი იყო.

„რა ცოლქმარნი გაერთიანდებიან... და წავიდეს თესლი კაცისა და მერმე აღდგაყარსა და ერთმანერთსა გაერევის და მუცელშიგა სქელი სისხლი შეიქნების ღვიძლივითა. მერმე ამა სქელსა და ღვიძლსავითა სისხლშიგა მატლი დაიბადების... სისხლი და ჭვალი მისგან იქნების და სული და ხორცი დედისაგან“<sup>1</sup>.

მსგავსი ცნობები გვხვდება XIII საუკუნის წყაროებშიც.

„და ოდესცა მამაკაცი შეეყრების დედაყარსა, ზეჰდანი პირსა აალებს და მამაკაცისა წყალსა შთანთქავს, და პირსა ერთმანეთსა ზედა დასდებს, რომელ შიგან მილისა თავი ანუ მანთისა არ შევიდოდეს, და იგი ზურგისა წყალი ნეფტაი შიგან დარჩების, და დედაყარსა წყალი მას გაერევის და ორივე წყალი დედაყარსა ზეჰდანსა შიგა გაბრტყელდების.“<sup>2</sup>

ფიქრობდნენ, რომ ნაყოფი იკვებება მენტრუალური სისხლით, რომელიც ორსულობის დროს თვიურის სახით აღარ მოდის და კიპლარის გზით დედისაგან ნაყოფს გადაეცემა.

„...დედაყარსა თვესა და თვეშიგა სისხლი სდის საშოსა, ისი ღვიძლისაგან ჩამოსდის, და რა დედაყარი დაორსულდების, ისი სისხლი საზრდელად მიეცემის ღვითისაგან. ღვიძლით და გულით დაღმა ჩასდის და იქით გაწმდების. და მესამესა ეამსა ორს კერატსა ქამს და იმით იზრდების ყმაწვილი.“

...როგორცა ხილი ხისგან აიღებს საზრდელსა, აგრევე ყმაწვილი საზრდელს უბისაგან აიღებს.“<sup>3</sup>

ყურადღებას იქცევს აგრეთვე დედისა და ნაყოფის განვითარების დამოკიდებულების შესახებ არსებული შეხედულება: „რომელსაცა დედაყარსა სისხლი მართლად აქუს, მუცელსა შიგან ყმაწვილი უკეთა სკამს და მსუქანი და კარგი იქნების. და რომელსაცა დედაყარსა სისხლი აკლია ყმაწვილი ცოტასა სკამს...“<sup>4</sup>

გარკვეული შეხედულება იყო შემუშავებული ნაყოფის, მისი ორგანოებისა და ქსოვილების განვითარების პერიოდების შესახებ.

ფიქრობდნენ, რომ მამაკაცისა და დედაყარის სასქესო „წყლის“ შეერთების შემდეგ შეიქმნება შესქელებული სისხლი, საიდანაც განვითარდება ჩანასახი, რომელსაც აქვს გული, ტვინი და ღვიძლი. ეს პერიოდი ორმოცი დღე გრძელდება. ამის შემდეგ თანდათანობით ჩნდება ძვალი, ძარღვები და ნერვები, ბოლოს ისეთი ორგანოები და ნაწილები, როგორიცაა თვალი, პირი, ხელეები, ფეხები, კანი და სხვ.

„და პირველი რამე რომელ დაიბადების, კაცისა გული და თავის ტვინი, ღვიძლი იქნების და რაი ორმოც დღე გარდვიდეს, იგი ალაყაი მუცელად შეიქნების, ვირეცა პატარა ხორცი ლბილი; და რაი ხანი გარდვიდეს, ძუალი დაიბადების და ხორცი, და ძარღვი და ფაი, და ასონი გამოჩნდებიან, ვითა პირი

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 32.

2 „წივნი საჰიმოი“, გვ. 16.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 33.

4 იქვე.

და თულნი და ხელნი და ფერხნი და სხუანი ასონი, და ტყავი გამოჩნდების გარემო.“<sup>1</sup>

ფიქრობდნენ, რომ ოთხი თვისა და ათი დღის შემდეგ ნაყოფი დაბადებაჲ-დე დედის სისხლით საზრდოობს, რაც თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით გამართლებული არ არის.

ნაყოფის პირველი მოძრაობის, ანუ ქალის „მუცლის განძრევის“ ვადად მე-ტუთე თვე ითვლებოდა, რაც სინამდვილეში დაახლოებით ასეა—„რა ხუთის თვისა შეიქნას ქალსა მუცელი იძრასო.“<sup>2</sup>

XI საუკუნის წყაროებიდან ჩანს, რომ ორსულობის ხანგრძლიობას არა სამთვარიო, არამედ კალენდარული თვის მიხედვით ანგარიშობდნენ, იგი 7 ან 9 თვეს უდრიდა.

„...რა გათავდეს დღენი ორსულობისაგან დაიბადების მეშვიდესა თვესა ან მეცხრესა.“<sup>3</sup>

როგორც „წიგნი სააქიმოიდან“ ირკვევა, XIII საუკუნისათვის წარმოდგენა ორსულობის ხანგრძლიობის შესახებ შედარებით უფრო გაფართოებულა. იჩინდათ, რომ ორსულობის ხანგრძლიობა შეიძლება 210-დან 300 დღემდე მერყეობდეს<sup>4</sup>, რასაც სინამდვილეში მართლაც აქვს ხოლმე ადგილი.

თეიმურაზ მეორის პოემაში—„სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“—ორსული ქალის მუცლის ზრდა 9 თვით არის განსაზღვრული: „ქალის მუცელი გამოჩნდეს, ეზარდოს ცხრა თვეს სრულითა.“<sup>5</sup>

ნაადრევად შობილის გადაჩენა შეუძლებლად ითვლებოდა, განსაკუთრებით, თუ იგი რვათვიანი იყო.

„და თუ რვა თუედ იშვას, უკუნისამდე დარჩომიი მისი არ ეგების...“<sup>6</sup>

ყურადღებას იქცევს ცნობები ორსულობისათვის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ.

ორსულობის დასადგენად მრავალი სხვადასხვა ნიშანი იყო ცნობილი. მათ შორის: თვალის სკლერების გალურჯება ან გაყვითლება, პირისახის ფერის შეცვლა, კორფლის გაჩენა, ძუძუს კერტების გამუქება და გადიდება, გულისრევა, თავებრუხვევა და სხვ.

„ნიშანი ორსულობისა ის არის, რა დედაცაცა თვალის სითთრე გაულურჯდეს ან გაუყვითლდეს და პირის სახე ცოტად მოშაოდ სცემდეს და კორფლიცა კამოუჩნდეს პირზედა და ძუძუთა თავი გაულურჯდეს და ანუ გაუშავდეს და გაუდიდდეს თავისა ბრუ და გულისა შლა გამოუჩნდეს ეს ყუელა ორსულობისა ნიშანია“<sup>7</sup>. ან კიდევ: „...თუ პირსა სახე შეცვალებულ იყოს, ცკოდი ორსულია, თუ შუბლსა შიგან ნიშანი რამე გამოუჩნდეს, იცოდი რომე ორსულია.“<sup>8</sup>

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 16.

<sup>2</sup> თეიმურაზ მეორე, „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“, იხ. თხზულებათა სრული კრებული გ. ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და მენიშვნებით, თბილისი, 1939, გვ. 71.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 34.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 17.

<sup>5</sup> თეიმურაზ მეორე, დასახელებული პოემა, გვ. 71.

<sup>6</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 17.

<sup>7</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 150.

<sup>8</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 158.

ზოგიერთ ამ ნიშანს თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

აღნიშნულ ნიშნებს გარდა, ორსულობის გამოცნობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თვიურის არმოსვლას. თვიურის დროზე არმოსვლა ხომ ორსულობის დაწყების პირველი მანიშნებელი და ექვის დამბადებელია. მერე სხვა ნიშნებსაც დაკვირვებით მოექცევიან ხოლმე.

„როდისცა დედაკაცსა დროზედ დედათ წესი აღარ დაემართოს და გულმან რევა და ბნედა დაუწყოს, და გულმან და სტომამქმან ტკივილი დაუწყოს და საქმელი აღარა უნდოდეს რა, იცოდი დასტურათ ორსულად არის.“<sup>1</sup>

ცნობილია, რომ ორსულობის პერიოდში ქალის ორგანიზმში ადგილი აქვს ზოგიერთ ძირითად ენდოკრინული ჰორმონების, ვეგეტატიური ნერვული სისტემის, ნივთიერებათა ცვლის მხრივ და სხვ. ცხადია, ყოველივე ამის შესახებ წარსულში არაფერი იცოდნენ, მაგრამ ამ ძვლების გარეგანი გამოვლინებანი კი შეუნიშნავთ. მაგალითად, შემჩნეული ყოფილა, რომ არაიშვიათად ორსული ქალები კირს, მიწას, გაჯს და მლაშე ნივთიერებებს ჭამენ. როგორც ცნობილია, ამას იწვევს ხოლმე ორსული ქალის ორგანიზმში კალციუმის მარილებისადმი მოთხოვნილების გაზრდა.

„წიგნი სააქიმოში“ აღნიშნულია, რომ „მიწისა და გაჩისა და მლაშისა კედლისა ჭამი... ორსულთა დედათა წაეკიდების...“<sup>2</sup>

ისიც შეუმჩნევიათ, რომ ორსულობის მესამე თვეში ყოველივე ამას ქალი თავს აწვებს: „...ორსულთა ასევე იქნების, და მესამესა თვესა ესე მანკი დასწყნარდების...“<sup>3</sup>

ორსულობის პერიოდში ქალს გარკვეული წესები უნდა დაეცვა. ექიმი მას ურჩევდა მოსვენებით ყოფილიყო, არ აეწია მძიმე საგნები, არ მიეღო საფლართო და საღებინებელი საშუალებანი: „ამა ნიშნებისა უკანა (ლაპარაკია ორსულობის ნიშნებზე — ავტორები) ასრე უნდა; ეს დედაკაცი მოსვენებით იყოს. არა ასწიოს. არა ნიიჭირვოსრა და არც გასახსნელი და სარწყვეელი წამალი სუას...“<sup>4</sup>

მაგრამ მოსვენებით ყოფნა იმას არ ნიშნავდა, რომ ორსულ ქალს სრულიად არ ემოძრავა. პირიქით, სრული უმოძრაობა საზიანოდ იყო მიჩნეული: „...ხშირ ხშირად წაივლიდეს და წამოივლიდეს, რომე მუცელშიგა ყმაწვილი დაიძრას და გაიძრათოს.“<sup>5</sup>

ორსულ ქალს ეკრძალებოდა გაქცევა, გადახტომა, მაღალი ადგილიდან ჩახტომა და სხვა მკვეთრი მოძრაობების შესრულება: „...გაქცევისა, რუს გახტონასა, დიდს გაბიჯებასა და მაღლიდაღმან ჩამოვარდნასა ერიდონ.“

ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ხოლმე მუცლის მოწყვეტას.

შემჩნეული ყოფილა, რომ ორსულის ისეთ ფსიქიკურ გაღიზიანებას, როგორიც არის შემინება, შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყოლოდა: „და ამას უნდა ეცადნენ და უფრთხილდნენ, რომე ორსული დედაკაცი არ შეაშინონ.“

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 119.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოში“, გვ. 170.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 119.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 120.

დიდი ყურადღება ექცეოდა ორსული ქალის კვებას, მნიშვნელობას ანიჭებდნენ საკვების როგორც შემადგენლობას, ისე მის რაოდენობას. ორსულ ქალს ურჩევდნენ საკვები დიდი რაოდენობით არ მიეღო, მორიდებოდა ცხარეს, მწარესა და ისეთ საკვებს, რომელსაც შეეძლო გაზების დაგროვება და მუცლის შებერვა: „და ორსულმან დედაკაცმან ბევრი საკმელი არ უნდა ჰკამოს, და ცოტას საკმელსა უნდა სკამდეს. და დღივ საკმელი ორჯერ ან სამჯერ უნდა ჰკამოს და სამჯერვე ცოტა ცოტა ჰკამოს, რომე ორსულსა ადამიანსა გული და სტომაქი არ ასტკიედეს და ამა მიზეზითა შიგნით მარტივლს არ მისკირდეს. და ცხარსა, მწარესა და ქარიანსა სასმელსა და საკმელსა უნდა არიდონ.“<sup>1</sup>

ორსულ ქალს ურჩევდნენ დიდი რაოდენობით მიეღო ხილი და ბოსტნეული: „და ხილებისაგან: ვაშლსა, სხალსა, ბიასა, ბროწეულსა და მომეკეოს ხილსა, ყუელას აკმევდენ და მწუანლისაგან: პიტნასა, ტარხუნასა და ქინძსა აკმევდენ.“<sup>2</sup>

ყურადღება ექცეოდა ორსულის კუჭ-ნაწლავის მოქმედებას. ცნობილია, რომ ორსულობის პერიოდში ხშირად ვითარდება ყაბჯობა. ეს მოვლენა შენიშნული ყოფილა და ორსულს აფრთხილებდნენ შეკრულობის ხელშემწყობი საკვები არ მიეღო.<sup>3</sup>

ორსულ ქალს დიდი სისუფთავის დაცვა მოეთხოვებოდა. მას ხშირად უნდა ღაებანა ტანი. განსაკუთრებით, როცა მშობიარობის ვადა მოახლოვდებოდა. კარგი იყო, თუ ყოველდღე ივლიდა აბანოში: „რათ შობისა ჟამი მოეახლოს მიწყით აბანოს მივიდოდეს და ნელსა წყალსა ჩაჯდებოდეს, და დღივ მრავალჯერ შევიდოდეს და გამოვიდოდეს და ზურგსა და უბესა ქვეშესა იზელდეს ერბოთა...“<sup>4</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ შეიძლებოდა ორსულს საფადარათო და პირღებინების საშუალებები მისცემოდა. არ შეიძლებოდა აგრეთვე მისთვის სისხლი გამოეშვათ: „ორსულისაგან სისხლისა გამოლება არ ვარგა, მისთვის რომე ყმაწვილსა საკმელი დააკლდების და მოკლდების...“<sup>5</sup>

„და არასათვის ორსულსა დედაკაცსა არც სისხლი უნდა გამოუშვან და არც გასახსნელი წამალი ესმის, ამისთვის რომე ხელისა და სტომაქის გახსნა მარტივლს ორივე დაასუსტებს...“<sup>6</sup>

განვიხილოთ ახლა, თუ რა ნიშნებით სარგებლობდნენ მშობიარობის ვადის დასადგენად. ფიქრობდნენ, რომ, როცა ორსული გვერდისა და კიბისაკენ სიმძიმეს იგრძნობდა, როცა მან თქმონი დაუსუსტდებოდა და შეუხივდებოდა, მშობიარობის ვადა მოახლოებული იყო: „შობისანი შანი, რომე ახლოს მოწურვილ იყოს, ნიშანი ის არის რომე გუერდისაკე და კიბისაკენ იმძიმებოდეს ზედა საშო სამნაგივითა წვეთდეს, იცოდე შობისა ჟამი არის ახლოს. და რაჟამს თქმონი დაუსუსტდენ და ბარკლის გარშემო სიმხივნე და ქარი გამოუჩნდეს. შობის ჟამი არის.“<sup>7</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 120.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 119.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „წიგნი საქიშოი“, გვ. 243.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 33.

<sup>6</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 120.

<sup>7</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 156.

უნდა ითქვას, რომ ეს სიმპტომები დღესაც გარკვეულ ღირებულებას ინარჩუნებენ.

თუ როგორი მიმდინარეობა ექნებოდა მშობიარობას, ამის შესახებ ნაყოფის მდებარეობის მიხედვით მსჯელობდნენ. ნაყოფის მდებარეობის შესაძლებელ შემთხვევათა შორის არჩევდნენ ნაყოფის სიგრძით მდებარეობას, რომელიც დღეს ნორმალურ მდებარეობად ითვლება, და გარდიგარდმო მდებარეობას, რომელიც გათულებული მშობიარობის ერთ-ერთ მიზეზად ითვლებოდა.

„და ესეც უნდა იცოდეთ, თუ მარტილი ცალსა მხარსა წევს, ის მარტილი უსათუოდ აღრე და აღვილად დაიბადების, და თუ მართლად და გაწონიან უწევს და სწორად ბოქუენშიგა აკირებს, ის მარტილი მწოედ ძნელად და სარჯელით დაიბადების.“<sup>1</sup>

როგორც ჩანს, ნაყოფის მდებარეობის დასადგენად ორსული ქალის გავსინჯვას აწარმოებდნენ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბავშვის არასწორი მდებარეობის ისეთი სახეები, როგორცაა გვერდით წინ მდებარეობა და ფეხის გამოვარდნა, აგრეთვე საჯლოში ნაწილით წინამდებარეობა. ბავშვის მდებარეობის ყველა ეს სახე გასწავლებული მშობიარობის მიზეზად ითვლებოდა: „ძნელად შობისა მიზეზი... ერთი მისგან კიდე, რომე მისგან ყმაწვილი უკულმა მოვიდეს ფერდთაყე ანუ გვერდით ანუ მუხლთაყე.“<sup>2</sup>

მთელ რიგ სამედიცინო წყაროებში საინტერესო ცნობები გვხვდება მშობიარობის პროცესის მიმდინარეობისა და მეანის მხრივ დახმარების შესახებ.

„და მიცემის დროს ტატბერი უკანიდალმა მოუჯდეს და სადამდის თავისი წყალი არ დაღვაროს და მტეხიარეს ხმა არ ეცვალოს, მუხლზედა არ უნდა დასვან და ამთუნი აცალონ, რომე თავის წყალი დაღვაროს. და მას უკან ერთი ტეხა კიდეე მოუვიდეს და მერმე მუხლზედ უნდა დასვან და ორკვიცი ნაბადი მუხლბეჭქევა დაუფინონ, დროსა ფიცხლა არ უნდა ისუნთქოს ტატბერი უკანიდალმა მოუჯდეს მუცელი და ფერდები კარგად და ძალიანად ამოუზილონ და, თუ არც ამით იქნას და კიდეე ტეხა დაუწყოს და გაუძნელდეს, მოიტანე ტუხტი და ან მალოქი, და ან თეთრი გვირილა, და თუ სამივ ერთად არის ისი სჯობს, და წყლითა კარგად მოხარშონ, და მტეხიარე ადამიანი წელთამდისი შიგ ჩასვან და მუცელი და ფერდები კარგად და ძალიანად ამოუზილონ, და ღვთისა შეწევნითა აღრე და უზიანოდ დაეხსნების და მორჩების.“<sup>3</sup>

აღნიშნულს გარდა მშობიარობის გაადვილების მიზნით სხვა საშუალებებზეცაა მიმართავდნენ: „...როდესაც დედაკაცსა ტეხა დაუწყოს, ხშირ ხშირად წისძიან-წამოსძიან და როდესაც დაჯდომა უნდოდეს, სკამზედა დასვან...“<sup>4</sup>

„და ასრე უნდა როდესაც დედაკაცსა ტეხა დაუწყოს და ტეხა გაუძნელდეს აბანოშიგა აბანონ და ტანზედა და წელზედა ბევრი თბილ-თბილი წყალი დაასხან და თუ წელთამდისინ თბილს წყალში ჩასმენ და ბოქუენსა, მუცელსა და ზურგის მძივებსა კარგა დაუზელენ, ისი სჯობს.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 120.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 152.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 121.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

აღსანიშნავია, რომ მშობიარობის პროცესში გარკვეული ყურადღება ექცეოდა მშობიარე ქალის საერთო მდგომარეობას, მაგალითად, გულის მუშაობას, და საჭიროების შემთხვევაში მას დახმარებას უწევდნენ: „თუ მშობიარესა შიგ გულის ძგერა დაემართოს, წამალი მისი ეს არის, რომე ცერეცოსა ნაღულარსა შიგა კარგი თაფლი გაურივე და აგრე არწყვიენე, რომე ავი სენი სტომაქილამ გამოწმინდოს.“<sup>1</sup>

ცნობილია, რომ ქალი მშობიარობის დროს დიდ ენერგიას ხარჯავს, ამიტომ მას ნოციერ საკვებს აძლევენ. საინტერესოა, რომ ასევე იქცეოდნენ ჭერ კიდეე XI საუკუნეში. „უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „და ყველას უკეთესი წამალი ეს არის, რომე დედასა ძალი მისცეს, კარგის შარბათებითა და ხორცის წვენითა და თოხლოს კვერცხის გულითა და მსუქნის ქათმის წვენითა დედაკაცსა ძალი მისცეს.“<sup>2</sup>

თუ მშობიარობა ოთხ დღეს არ დამთავრდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ნაყოფი მკვდარი იყო.

„მუცელსა შიგან რომე ყმაწვილი მოკუდეს, მისი ნიშანი ეს არის, რომე თუ ოთხ დღემდე არ გაეყაროს დედასა და სტეხდეს...“<sup>3</sup>

ნაყოფის დაღუპვის ერთ-ერთ მიზეზად მენჯის განუვითარებლობა ითვლებოდა: „...შვილი რომელ მუცელსა შიგან მოკვდეს... საზარდულისა სიმცროისგან...“<sup>4</sup>

ასეთ შემთხვევაში ნაყოფის დანაწევრებას ანუ, როგორც ახლა უწოდებენ, ემბრიოტომიას მიმართავდნენ: „...და თუ არ გამოვიდეს დანითა დაქრასა და გამოიღოს“<sup>5</sup>.

მშობიარობის გაძნელების მიზეზებად ითვლებოდა რომელიმე მძიმე დაავადების ვალდებულების შედეგად განვითარებული სისუსტე, ზედმეტი სიმსუქნე. ნაყოფის ან მისი თავის არანორმალური სიდიდე, მისი მუცლად სიკვდილი. აგრეთვე ცნობილი იყო, რომ პირველი მშობიარობა შედარებით უფრო ძნელად მიმდინარეობს: „ძნელად შობისა მიზეზი ერთი მისგან იქნების რომე დიდი ავადმყოფობა გარდახდეს და სუსტად იყოს და ერთი მისგან სხვა რომე არა ეშობოს და დედაკაცი ცოტა იყოს, მისგან საშიშარი იყოს. ერთი მისგან იქნების რომე მწოვედ მსუქანი იყოს. ერთი მისი რომე ქალი იყოს და ქალი დედასა ერთობ გარჯის შობაშია. ერთი მისგან რომე ყმაწვილი უძლურად იყოს და ან მკვდარი მისისა გამოსულისა ღონე არ იყოს...“<sup>6</sup>

ცალკე უნდა აღინიშნოს მშობიარობის გაძნელების ისეთი მიზეზის შესახებ, როგორიც არის ბავშვის თავის არანორმალური სიდიდე: „ძნელად შობისა მიზეზი ერთი მისგან იქნების რომე... თავი გასდიდებოდეს.“<sup>7</sup> შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ტვინის წყალმანკის შედეგად განვითარებულ მაკროცეფალიას, რაც მართლაც იწვევს მშობიარობის მთელ რიგ მძიმე გართულებებს.

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 155.

2 იქვე, გვ. 153.

3 იქვე, გვ. 154.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 243.

5 იქვე, გვ. 244.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 152.

7 იქვე.

მსგავსი შეხედულებები შემდეგი საუკუნის წყაროებშიც გვხვდება.<sup>1</sup>

გარკულებული მშობიარობის ერთ-ერთ მიზეზად, როგორც „წიგნი სააქიმოიდან“ ირკვევა, სანაყოფო ბუშტის არანორმალური სისქეც ითვლებოდა: „ესე მანკი (ლაპარაკია მშობიარობის გაძნელებაზე—ავტორები) მაშიმანისა სისქისაგან იქნების...“<sup>2</sup>

ასეთ შემთხვევაში მეანს დანის წვერით ხელოვნურად უნდა გაეხსნა სანაყოფო ბუშტი, რასაც სათანადო იარაღით ან თითოთ ახლაც მიმართავენ ხოლნე. ამას გარდა, მას წესის მიხედვით ხელისგულები უნდა წაესვა მუცელზე, რასაც შეეძლო გამოეწვია საშვილოსნოს შეკუმშვის გაძლიერება: „და რა შობისა ტკივილი გამოჩნდეს სული მაგრად დაიგუბოს და წინა მდგომი ამქმელი დიაცი ხელსა მუცელსა ზედა მოუსმიდეს ვითა წესი არს, და თუ ძნელად შობაი მაშანისა სისქისაგან იყოს მოიჭირვოს, რომელ ფრეხილითა ანუ დანის წვერითა გაალოს.“<sup>3</sup>

მშობიარობის დაწყების წინ მიმართავდნენ საშვილოსნოს ყელის დაზღვლას: „ყერთითა ზეპდანის თავი კარგად იზელოს...“<sup>4</sup>

ცნობილია, რომ მშობიარობის დროს, არაიშვიათად, ადგილი აქვს შინს, განსაკუთრებით პირველმშობიარეთა ნორის, რომლებსაც ამ მხრივ გამოცდილება არა აქვთ და გაგონილის შედეგად აუტანელი ტკივილის მოლოდინში შინით არიან შეპყრობილი. ეს გარემოება გარკვეულად ხელს უშლის მშობიარობის ნორმალურ მიმდინარეობას. აღსანიშნავია, რომ ამისთვის ყურადღება ძველთაგანვე მიუქცევიათ და შესაბამისი ღონისძიებაც დაუწყებიათ. „წიგნი სააქიმოიში“ ვკითხულობთ, რომ გაძნელებული მშობიარობა „... თუ შინისაგან იყოს ჰამოთა სიტყვითა შეაქცევდნენ.“<sup>5</sup>

ეს ღონისძიება გვაგონებს მშობიარობის გაუტკივარების ფსიქოპროფილაქტიკურ წესს, რომელსაც თანამედროვე მედიცინაში მიმართავენ.

გარდა აღნიშნულისა, გაძნელებული მშობიარობის დროს სამკურნალო საშუალებებსაც იყენებდნენ. საჭიროების შემთხვევაში კი კეთდებოდა ოპერაცია: „ოსტატმან დედაკაცმან ხერხით გამოსჭრას სამართებლითა.“<sup>6</sup>

ოპერაციის შემდეგ საჭირო იყო ისეთი დიეტის დაცვა, რომლიდანაც გამორიცხული იქნებოდა ყაზობის გამოწვევი საკვები: „საკმელი ყუელა მსუქანი და რბილი ქამოს და ყოვლის შემკვრელი წამლისაგან იფარეზოს.“<sup>7</sup>

მშობიარობის შემდეგ მომყოლის გამოძევება ჩვეულებრივ 2 საათს არსცილდება, მაგრამ თუ 2 საათს გადასცილდა, უკვე საჭიროა აქტიური ჩარევა. ვადების ასეთი განსაზღვრის მაგალითი წყაროებში არ გვხვდება, მაგრამ მოწყობის გამოძევების დაგვიანების დროს სხვადასხვა საშუალებების გამოყენება კი ცნობილი ყოფილა. ჩარევა ასეთ შემთხვევაში უმთავრესად მდგომარეობდა ისეთი ზომების მიღებაში, რომლებიც მუცლის ღრუში წნევის მომატებას გამოი-

<sup>1</sup> „კარაბადინი“ (XVII ს.), ინახება აკად. ს. ჩანაშის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი Q, № 916, გვ. 406, 407.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 243.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 153.

<sup>7</sup> იქვე.

წვედნენ. მაგალითად, ცხვირის დაცემინება, როგორც ცნობილია, იწვევს მუცლის წინა კედლის შეკუმშვას, მუცლის ღრუში წნევა მატულობს და იგი სისხილოსნოსაც გადაეცემა.

იმ შემთხვევაში, როცა გარეგანი წესით მომყოლის გამოძევებას ვერ აღწევდნენ, მომყოლი ხელით გამოქონდათ. აღსანიშნავია, რომ ეს მანობულაცია მეტად ფრთხილად უნდა ჩატარებულიყო, რომ საშვილოსნო არ დაზიანებულიყო, მომყოლი მთლიანად გამოეღოთ და ანა ნაგლეჯებად.

„შობისა უკანით რომე საშოსა შიგა ბუდე დარჩების. თუ შობასა უკანით ბუდე ყმარწვილისა შიგა დარჩეს, ცხვირსა დააცემინეთ ამა წამლითა და თუ არ გამოვიდეს ქვიანმა დედაკაცმა თითითა მოეკიდოს და წყნარად დაძრას რომე ეცადოს მყდარი გამოვიდეს და ძალად გამოზიდვა არ ვარგა ამაღ, რომე საშო დაშავდების...“<sup>1</sup>

მშობიარობის შემდეგ საშვილოსნოში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით საშვილოსნოდან სისხლიანი ხასიათის ჩამონაშალი— „ლოხიები“ გამოდის. ცნობილი ყოფილა, რომ, თუ ეს ჩამონაშალი „წესიერად“, ანუ ჩვეულებრივად მოდის, მაშინ არავითარი მკურნალობა არ არის საჭირო, ხოლო თუ დიდი რაოდენობით გამოდის, მაშინ აუცილებელია სამკურნალო ჩარევა: „იცოდით რომე შობას უკანით სისხლი სდის დიდხანს თუ წესიერად სდიოდეს არა წამალა უნდა, გამოწმდების. და თუ ერთობ ბევრი ედინოს დასუსტდეს, და რაცა დედათა წესისა უკუყენებისა წამალი არის ის უყავით.“<sup>2</sup>

მსგავსი შეხედულებები შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც გვხვდება.<sup>3</sup>

XVIII საუკუნის სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, რომ მშობიარობის შემდეგ გამოდენილი სისხლის რაოდენობას სრულიად სამართლიანად საშვილოსნოს შეკუმშვის ხარისხს უკავშირებდნენ: „შობის უკან სისხლი ოდესმე ან გამოვა დია ცოტა და ან ბევრი. ცოტას ჩამოსვლა უფრო ხშირად შეხუდება ბუდის შეკუმშვის მიზეზით.“<sup>4</sup>

როგორც ორსულობის და მშობიარობის დროს, ისე ლოგინობის ხანაში ქალს ზოგჯერ ეკლამფსიური კრუნჩხვები მოსდის, რაც ძალზე წააგავს ეპილეფსიის სურათს. ვფიქრობთ, ამის შესახებ უნდა იყოს ლაპარაკი „წიგნი სააქიმოცს“ ერთ-ერთ თავში, რომელსაც „მტერთა დაცემა“ ეწოდება, იქ ნათქვამია: „იქნების რომელ ორსულსა დიაცსა ესე ჭირი გამოაჩნდეს საშობელისა გზითა, და რაი შობს აღარ სჭირდეს...“<sup>5</sup>

„მტერთა დაცემა“, როგორც ნერვული სისტემის დაავადებათა განხილვის დროს აღვნიშნეთ, ეპილეფსიას ეწოდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში კრუნჩხვების მნიშვნელობით არის ნახმარი, რაც ეკლამფსიას მართლაც ახასიათებს. საყურადღებოა, რომ ასეთი კრუნჩხვების განვითარებას ორსულობას უკავშირებ-

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 154.

2 იქვე, გვ. 155.

3 „კარაბადინი“ (XVII ს.), ინახება აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მეტეუემის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 304, ფ. 53 რ.

4 „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 13<sup>6</sup>, ფ. 95 რ.

5 „წიგნი სააქიმო“, გვ. 87.



დნენ, ხლო მათ გაქრობას ნაყოფისაგან განთავისუფლებით ხსნიდნენ, რაც თანაჴედროვე თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია.

XVIII საუკუნის წყაროებში საყურადღებო ცნობები გვხვდება მელოგი-  
ნის ნოვლისა და მკურნალობის შესახებ.

„ეხლა ვიტყვი თუ შობას უკან როგორც უნდა მოველოს მშობიარეთა. თუ შობა ბუნებითია და მსუბუქია მაშინ აგებულება რიგიანად მოაქცევს ყველას.. ასე რომ თითქმის შეწყენა არ უნდა და თითონ ყველას განმართავს. მაგრამ გა-  
ქირებულ შობას უკან რომლისაგანაც მშობიარე მოაკლდება ბევრს ღონეს შე-  
ხუდება ოდესმე ასეთი სნეულება ამისი არის დასივება ბუდისა რომლისა ნიშ-  
ნები არის სიცხე და დიდი და მოუთმენელი ტკივილი საშოში.“<sup>1</sup>

ამ შემთხვევაში საქმე უნდა ეხებოდეს მშობიარობის პროცესში ინფექ-  
ციის შექრის შედეგად განვითარებულ საშვილოსნოს დაავადებას, რომელსაც  
ისევე მკურნალობდნენ, როგორც ინფექციურ დაავადებას.

„ამაში ყველა ისე უნდა ჰქნას რაც საოფლისათვის ითქვა, ესე იგი არს  
თუ ძარღვი უცემს ჩქარა და ძალიან და სიცხე დიდია უნდა მაშინვე გამოუშვას  
სისხლი, მისცეს ოყნა ქერის შორვისა თაფლით დამტკბარი, საქმელად მსუბუქი  
და სასმელად ცოტა მომეაო კონახურით, მყუღით და სხვებით. ესე არა ავ-  
ნებს მშობიარეს, როგორც დია თბილი სახლი და ამასთან არაფერი სამთურა-  
ლო არა დააღვეინორა. დია სასარგებლოა კიდევ რომ მშობიარეს უორთქლონი  
რძე საშოში.“<sup>2</sup>

გარდა აღნიშნულისა, მელოგინეს ენიშნებოდა ოყნა, საშოს და მის ირგე-  
ლივ მიდამოს მობანა თბილი რძითა და საპნით: „ღია სარგებელია ოყნის მი-  
ცემა შვრივის შორვისა ცოტას მარილით და ან უორთქლე და მოჰბანე საშო  
და იმის გარშემო მუცელი თბილის რძით ცოტას გარეულის საპნით.“<sup>3</sup>

არსებობდა სწორი შეხედულება, რომ „...შესაყარი სნეულება ისე ჩქარა-  
ზრავის შეეყრება, როგორც მშობიარეს და ისე საშიში არავისათვის არის, რო-  
გორც იმათათვის.“<sup>4</sup>

ლოგინობის ხანის დაავადებებს შორის საყურადღებოა ცნობები სარბევე  
ჭირკვლების ანთების შესახებ, რომელსაც „ხსენისას“ უწოდებდნენ.

„მესამეს ან მეოთხეს დღეს შობას უკან მშობიარეს შეხვდება მსუბუ-  
ქი ცივება, რომელსაც ხსენისას ეძახიან. ეს არაფერი საშიში არა არისრა-  
ოლონდ რიგიანად უფლიდნენ მშობიარეს, ისე როგორც ზემოთ ვსთქვით და  
სხვა არა უნდარა. იმ ცივებას შეუდგება ძუძუების ამობერვა და გამაგრება  
და ოდესმე ტკივილიც რომელიც მალე გაქრება ცივებასთან, როდესაც რძე გა-  
მოვა ძუძუებიდამ. თუ რძე ძუძუებიდამ არ გამოვა და იმათში დადგება, მაშინ  
მშობიარესათვის ავი არის. ამისათვის საშიშია რომ ძუძუები არ დასივდეს და  
მოუთმენელი ტკივილი და ტეხა არ დაუწყოს, რომელიც მას უკან მივა ბეჭე-  
ბამდის და მკლავეებს დახუთავს, ამისათვის, როდესაც ამის ნიშნები გამოჩნდეს.  
მაშინ უნდა მალე ეცადოს რომ სიმსივნე და სიმაგრე ძუძუებისა გააქროს და და-  
ალობს შემდგომის წამლებით: პირველი თუ ჯერ ძუძუები არ გახურებია და არ  
გასწითლებია მაშინ უნდა სამჯერ ან ოთხჯერ კარგად უორთქლოს თბილი ძმა-

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ფ. 94 r—94 v.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 95 r.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 96 r.

რი. ასე გახურებულს ავურზე დაასხას ძმარი და ძუძუები იმაზედ დაიჭიროს. და ეს იმათ უნდა ქნან რომელნიც ყმაწვილს თითონ არ აწოებენ. ამიაათვის: რო ხშირის ამ ორთქლისაგან რძე გამრება ძუძუებში.

ისინი რომელნიც თითონ აწოებენ ყმაწვილს ამ გუარადევე რძე იორთქლოს ან თბილს რძეში დაასველოს რბილი შალი და ან მალე და ის იღუას ძუძუებზედ, კარიელის რძისაგან უფრო არგებს თუ იმაში მოხარშავ გვირილის და კალინის ყვავილს და იმ რძეს ჩაასხამს ძროხის ბუმტში და დაადებ ძუძუებზედ ან მომუშულს ქატოს და ან მარილს დაადებ. და ან გვირილის ყვავილს შშრალს და ცოტას ქაფურსაც აურევ... თუ ძალიან გაიბეროს ძუძუ და რძე არ გამოდიოდეს მააწოოს ან ყმაწვილი და კატის კნუტი.“<sup>1</sup>

დღეს ცნობილია, რომ სარძევე ჭირკვლის ანთების (Mastitis) განვითარებას დიდად უწყობს ხელს მასში რძის დარჩენა. ამიტომ მელოგინეს ურჩევენ ხოლმე რძე გამოიწველოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მასტიტის განვითარება. აღნიშნული ღონისძიებანი სრულიად გამართლებულად უნდა ჩათვალოს.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ცნობები ორსულობის ხანგრძლიობის შესახებ და აღვნიშნეთ, რომ ჩვენამდე მოღწეულ სამედიცინო წყაროებში საკმაოდ ზუსტად არის განსაზღვრული ორსულობის ხანგრძლიობა და მისი მერყეობის ფარგლები. იცოდნენ რა ნორმალური ორსულობის მიმდინარეობის ხასიათი, საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ ორსულობის ნაადრევად შეწყვეტის სურათში. იცოდნენ მისი გამომწვევი ზოგიერთი მიზეზი და დამახასიათებელი ნიშანი.

მუცლის მოწყვეტის ერთ-ერთ მიზეზად ითვლებოდა ფიზიკური ტრავმა: „შვილის მოგდება... ვითა ნაკრავისაგან იქნების რომელ მუცელსა ეცეს რაიმე. ანუ მალისა ადგილისაგან ჩამოხტეს...“<sup>2</sup>

გარდა აღნიშნულისა, მუცლის მოწყვეტის განვითარებას სრულიად სამართლიანად უკავშირებდნენ შიმშილს, მძიმე ფიზიკურ დატვირთვას, საშვილოსნოს სისუსტეს—განუვითარებლობას და სხვ.

„...ზედგომისაგან, ანუ აღმართისა ავლისაგან, ანუ დიდისა შიმშილისაგან, ანუ დიდისა ჭამისაგან, ანუ საშოს უსუსურობისაგან...“<sup>3</sup>

ყველაზე უფრო საშიშ პერიოდად მუცლის მოწყვეტის მხრივ ითვლებოდა ორსულობის პირველი 4 თვე და უკანასკნელი 2 თვე.

„იცოდი მოწყუედის მიზეზი ოთხისა თვესა წინათ და შვილისა უკანით არის. ამასა შიგა უნდა გაუფრთხილდეს. ამ დროს არცა ხელის გახსნა კარგა და არც წამლის აღება.“<sup>4</sup>

მუცლად ნაყოფის სიკვდილის ნიშნებად ითვლებოდა: მუცელში ზედმეტ სიმძიმის შეგრძნება, სარძევე ჭირკვლების დაქნობა, მყარალი ყვითელი სითხის დენა საშოდან, სკლერების გაშავება, ცხვირის წვერისა და ტუჩების გაფერხვრება, ძლიერი ტკივილი.

„ყ მ ა წ ვ ი ლ ი რომე მუცელშიგან მომკუდარიყოს მისი ნიშანი ეს არის. რომე ყმაწვილი მუცელსაშიგან ემძიმებოდეს, და რა ქარი ეცეს გვერდისა, ამას გვანდეს, ამ გვერდით იმ გვერდსაო ქვა მიგორდაო. სხვა ნიშანი, კიპი გაუცივდეს

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდი, ფ. 96 V—97 r.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 240.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 366.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 156.

და ძუძუნი დაუტარიელდეს და სავოსაგან ყვითელი მყრალი წყალი სდიოდეს და თვალთა სითეთრე გაუშვადეს, ცხვირის თავი და ბაგეი გაუთეთრდეს, და რა ეს ნიშანი ნახო. იცოდე მოწყვედისა ნიშანი არის. და ესეცა იცოდი, მშობიარობისაგან მოწყვედისა ტყვილი უფროს იქნების. ამისთვის რომე უჟამოდ დაემართების.<sup>1</sup>

ზემოაღნიშნული შეხედულებანი, მეანობაში გამოყენებული საღიაგნოზო ხერხები და სამკურნალო საშუალებანი გვარწმუნებენ, რომ მეანობა ძველ ქართულ მედიცინაში ერთ-ერთი კარგად განვითარებული დარგი იყო. ჭველად გამოყენებული ზოგიერთი საღიაგნოზო წესი, სამკურნალო საშუალება. მიუხედავად მეცნიერების სწრაფი ზრდისა, დღესაც არ არის ინტერეს-მოკლებული.

ახლა განვიხილოთ, თუ რა და რა გინეკოლოგიურ დაავადებებს იცნობდნენ და როგორი იყო მათი მკურნალობის წესი.

უპირველესად შევჩერდეთ მენსტრუაციის დარღვევის სხვადასხვა სახეებზე.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი თვიურის მოსვლის ხანად 14—15 წელი ითვლებოდა. წერილობითი ცნობები თვიური სისხლის დენის დარღვევის შესახებ VI საუკუნიდან მომდინარეობს. იმ ხანად თვიური სისხლის დენას „წიღოვნება“ ეწოდებოდა. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით შემდეგ საუკუნეებშიც იხმარებოდა „დედათა წესისა“, „თვიურის“ და „სამთვარიოს“ გვერდით.

ნორმალურ თვიურად ითვლებოდა სისხლის დენა სამი დღის განმავლობაში ყოველთვიურად. თვეში ერთხელ წვეთ-წვეთად. თვეზე უფრო ადრე ან უფრო გვიან დაწყებული თვიური სისხლის დენა „სნეულებად“ მიაჩნდათ.

„კარი დედათა წესისა. მათი ამბავი, დედაკაცისა მართალი და პირის წყლიანი ის არის რომე, თვეშიგა ერთხელ დაემართოს და წვეთ წვეთად სდიოდეს, და სამსა დღესა უკანის აღარ სდიოდეს, ესე სიმართელისა ნიშანი არის. თუ მისგან უფრო ადრე მოუვიდეს და ან უფრო გვიან სნეულებისა ნიშანია.“<sup>2</sup>

უნდა ითქვას, რომ ეს არის მენსტრუალური ციკლის ბრწყინვალედ ჩამოყალიბებული განმარტება. ფიზიოლოგიურ მენსტრუაციად სწორედ ისეთი თვიური ითვლება, რომელიც 3—4 დღე გრძელდება და თვეში ერთხელ მოდის. დაგვიანებული და ადრე მოსული თვიური, რაზეც ძველ სამედიცინო ლიტერატურაშია ლაპარაკი, ნიშნავს გაგრძელებულ და შემოკლებულ მენსტრუალურ ციკლებს და ისინი, მართლაც, მენსტრუალური ციკლის მოშლილობებს ეკუთვნიან.

უზრადლებას იქცევს თვიურის სახელი—„დედათა წესი“. იგი გვიჩვენებს, რომ ქალისათვის თვიური სისხლის დენა, წესად, ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა.

ასევე ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა თვიურის არმოსვლა მოუძმწიფელობის. ორსულობის, ძუძუს წოვებისა და მენოპაუზის დროს. ყველა ამ შემთხვევაში თვიურის არმოსვლას „დედათა ბუნებას“ მიაწერდნენ. სხვა შემთხვევებში თვიურის შეწყვეტა დაავადებად მიაჩნდათ.

„...თუ რისგან იქნების უკუდგომა წესისა... მრავლისა მიზეზისაგან იქნე-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 155, 156.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 96 რ.

ბის. ზოგი იქნების დედათა ბუნებისაგან და ზოგი იქნების სენისაგან. და რო-  
მელი დიაცისა ბუნებისაგან იქნების, სამი ფერი არის. და ერთი—რომე დიაცსა  
არ დაემართოს თხუთმეტ წელიწადამდის, და მეორე—არ წავიკიდების ორსულო-  
ბასა შიგა, და მესამე—რომე დიაცი ორმოცდაათისა წლისა შეიქნების მას უკა-  
ნით აღარ დაემართების. და იქნების, რომე ორმოცისა წლისასა დიაცსა აუკ-  
რეფს წესი.<sup>1</sup>

საინტერესოა, რომ ეს დებულებები თანამედროვე მეცნიერულ მონაცემებს-  
ემთხვევა.

მოყვანილი ამონაწერი სხვა მხრივაც არის საყურადღებო.

ირკვევა, რომ აღნიშნულ ხანაში გარკვეული წარმოდგენები ეოფილა შე-  
შუშავებული ქალის ცხოვრების პერიოდების შესახებ. არჩევდნენ სამ პერი-  
ოდს: პირველი. ბავშვობის ხანა. ანუ პერიოდი სქესობრივ მომწიფებამდე  
(პირველი 15 წელი), შემდეგ, მეორე, სქესობრივი მომწიფების ხანა (40  
წლამდე) და მესამე პერიოდი, რომელიც 40—50 წლის შემდეგ იწყება.

15 წლამდე თვიური სისხლის დენის არარსებობას ქალის მოუმწიფებლო-  
ბით ხსნიდნენ „... დიაცისა წესისა უკუდგომასა მიზეზი უწინა, ვირე შეიქნას  
თხუთმეტისა წლისა, — ამაღ არ დაემართების, რომე ჯერე არ მოსულა ასაკსა-  
და არ დაშწიფებულა...“<sup>2</sup>

აღნიშნული ცნობების მიხედვით, 15 წელი ითვლებოდა ქალის მომწიფების  
ასაკად და პირველი თვიურის დაწყებას სქესობრივი მომწიფების ერთ-ერთ  
მთავარ მაჩვენებლად თვლიდნენ.

მცდარი შეხედულება არსებობდა ორსულობისა და ძუძუსწოვების პერი-  
ოდში თვიურის არმოსვლის შესახებ. ფიქრობდნენ, თითქოს სისხლი, რო-  
მელიც თვიურის დროს იღვრებოდა, ორსულობის ხანაში ნაცოფის კვებას ხმა-  
რდება, ხოლო ძუძუს წოვებისას—რძის წარმოქმნას.

„...ორსულობასა შიგა, ამაღ, რომე სისხლი წესისა მისდის საზრდელად  
ყმასა წურისა, და მესამედ,—რომე სადაჲდის აწოებს ყრმასა, ამისათვის რო-  
მე ისი სისხლი რძედ იქნების საზრდელად ყმისათვის.“<sup>3</sup>

რაც შეეხება კლიმაქტერულ პერიოდში თვიური სისხლის დენის შეწყვე-  
ტას, ამას სისხლის გაგრილებითა და მისი „წახდენით“ ხსნიდნენ.

„და უკუდგომა დიაცისა წესისა ორმოცდაათსა წელიწადსა უკანით ამაღ  
იქნების, რომე გაგრილდების და წახდების სისხლი.“<sup>4</sup>

ქალის მომწიფება და პირველი თვიურის მოსვლა XVIII საუკუნის წყარო-  
ების მიხედვით თოთხმეტი წლით განისაზღვრებოდა: „დედაკაცებს სამთვარიო  
სისხლი გამოაჩნდებათ ნიადაგ თოთხმეტის წლისას და ან ნაკლებისას.“<sup>5</sup>

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნორმალურ თვიურად ითვლებოდა ყოველ-  
თვიურად განსაზღვრულ ვადებში გარკვეული რაოდენობით და ხანგრძლიო-  
ბით არსებული სისხლის დენა. ნორმალურად მიჩნდებოდა აგრეთვე თვიურის  
არარსებობა მომწიფებამდე, შეწყვეტა ორსულობის. ძუძუს წოვებისა და მო-  
ხუცებულობის პერიოდებში.

<sup>1</sup> „სამყურნალო წიგნი“, გვ. 368, 369.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ფ. 91 v.

თუ თვიური სისხლის დენა აღნიშნულ ჩარჩოებში არ ეტეოდა, ის უკვე სნეულებად ითვლებოდა.

ვენახოთ, თვიურის მოშლის როგორ სახეებს არჩევდნენ.

წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ თვიურის მოშლის ზოგიერთ ნიშანს უკვე VI საუკუნეში იცნობდნენ<sup>1</sup>. ცნობები მათ შესახებ შემდეგი საუკუნის არასამედიცინო ძეგლებშიც გვხვდება. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „და კუალად სხუაი ვინმე იყო დედაკაცი სისხლის-დინებითა გუემული მრავალთა ქამთა... ვერ შემძლებელ იყო თუისსა მას სენსა საანჯმნო ყოფად...“<sup>2</sup>

XI და შემდეგ საუკუნეებში ცნობილი ყოფილა თვიური სისხლის დენის ზოგიერთი ანომალია და მენსტრუალური ციკლის მოშლის ისეთი სახეები, როგორც არის ხშირი თვიური (თვიურსა და თვიურს შორის დღეების რიცხვი სამთვარიო თვეზე ბევრად ნაკლებია), გაიშვიათებული თვიური (თვიურსა და თვიურს შორის დღეების რიცხვი 35—40-ს უდრის). არჩევდნენ აგრეთვე თვიური სისხლის დენის რაოდენობით მოშლილობებს, როგორც არის მცირე თვიური (თვიური სისხლის დენა ჩვეულებრივზე ნაკლებია) და ჭარბი თვიური (თვიური სისხლის დენა ჩვეულებრივზე მეტია), აგრეთვე თვიური სისხლის დენის არარსებობა და მტკივნეული თვიური (დღევანდელი დისმენორეა).

თვიური სისხლის დენის ანომალიებს შორის ცნობილი ყოფილა თვიურის მოსვლა ორსულობის დროს. საყურადღებოა, რომ ორსულობის პერიოდში თვიურის მოსვლის მიზეზად ნაყოფის დაზიანება მიაჩნდათ: „წიღოვნებისა სისხლისა დენაი ორსულსა დიაციისაგან, ნიშანი არს რომელ შვილი წახდომილიყოს ზეჰდანსა შიგან.“<sup>3</sup>

ხშირი და გაიშვიათებული თვიურის შესახებ ვკითხულობთ, რომ „თუ მისგან (ლაპარაკია ერთ თვეზე—აეტორები) უფრო ადრე მოუვიდეს და ან უფრო გვიან სნეულებისა ნიშანია.“<sup>4</sup>

მაშასადამე, როგორც ხშირი, ისე გაიშვიათებული თვიური დაავადებად მიაჩნდათ. სნეულებად ითვლებოდა მცირე, ჭარბი, მტკივნეული თვიური და თვიური სისხლის დენის არარსებობა: „დედაკაცსა თუ მეტი დაემართოს, თუ იართალსა ბორჯალსა წესი ყოლე დამეტდეს და ანუ უფრო ადრე დაემართოს და საშომანცა ტკივილი დაუწყოს, სნეულობისა ნიშანი არის.“<sup>5</sup>

ბორჯალი ნიშნავს ვადას, დროს, ე. ი. „მართალსა ბორჯალსა წესი ყოლე დამეტდეს“, ნიშნავს დროზე ადრე, ჭარბი რაოდენობითა და ტკივილით თვიურის მოსვლას.

ჭარბი თვიურის შესახებ ცნობები შემდეგი საუკუნის წყაროებშიც გვხვდება. „იადიგარ დაუდში“ აღნიშნულია, რომ „...თუ დედაკაცსა დედათა წესი ბევრი დაემართოს, და მწოვედ ბევრისა სისხლი ედინოს, და მწოვედ შიანუხოს...“<sup>6</sup>

<sup>1</sup> ანონიმი, „მარტილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“, დასახელებული გამოცემა, გვ. 51.

<sup>2</sup> გ ი ო რ გ ი მ ე რ ა ზ უ ლ ე. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბილისი, 1946, გვ. 136.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 47.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 159.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 467.

თვიური სისხლის დენის დარღვევის, სახელდობრ, გაიშვიათებული თვიურის ერთ-ერთ მიზეზად ქალის სიმსუქნე მიაჩნდათ.

„და დედაკაცა რომ წესი გვიანად მოუვიდეს, ეს ნიშანი მსუქნის დედაკაცისა არის.“<sup>1</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეხედულება, თანამედროვე ენდოკრინოლოგიური მონაცემების მიხედვით, საფუძველს მოკლებული არ არის.

ამჟამად ცნობილია, რომ სასქესო ჭირკვლების შინაგანსეკრციული ფუნქციის დაქვეითებასთან დაკავშირებით აღგილი აქვს ნივთიერებათა ცვლის მოშლას და ვითარდება სიმსუქნე. რასაკვირველია, ეს მექანიზმი არ შეიძლება და ცნობილი ყოფილიყო იმ დროისათვის და არც იკოდნენ. მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ გასუქებასა და გაიშვიათებულ თვიურს შორის ურთიერთკავშირი სწორად ყოფილა შენიშნული.

მენტრუაციის ისეთი მოშლა, როგორც არის მისი სრული შეწყვეტა, ანუ როგორც ახლა უწოდებენ, ამენორეა, ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი. თვიურის არმოსვლას „დედაკაცისა წესისა უკუდგომა“,<sup>2</sup> „წილოვნობის შეკრულობა“<sup>3</sup> უწოდებოდა.

თვიურის შეწყვეტის მრავალ მიზეზს შორის ცნობილი ყოფილა გასუქება, სისხლნაკლებობა, ქრონიკული დაავადებანი, შიმშილობა, მძიმე ფსიქიკური განცდები. აუტანელი ფიზიკური შრომა, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები და სხვ.

„უსწორო კარაბადინი“ ვკითხულობთ, რომ „რა ეამს დედაკაცა წესი უკუდგეს და აღარ მოუვიდეს, მისი წამალი თუ მსუქანი იყოს...“<sup>4</sup>

XIII საუკუნის წყაროებში გვხვდება ცნობები, რომელთა მიხედვით თვიურის შეწყვეტის მიზეზად მიჩნეულია სისხლნაკლებობა („სისხლისა სიმცროი“), ქრონიკული დაავადებანი („გრძელი სნება“), შიმშილი, საერთო სისუსტე („ულონობა“), ხანგრძლივი მძიმე ფსიქიკური განცდები („შეკირვებაი ხანთა გრძელთა“).

„წილოვნობისა შეკრულობაი... სისხლისა სიმცროისაგან, ანუ სისქითა და გაყინულობითა მისითა იქნების ანუ გრძელთა სნებათაგან და სიმშვილისა და ულონობისაგან, და ჭირი და შეკირვებაი ხანთა გრძელთა.

ნიშანი მისი რომელ სისხლისა სიმცროითა ქნილ იყოს, იგი არს, რომელ მკლე იყოს და ყვითელი. და ნიშანი მისი რაიცა სისქისაგან იყოს იგი არს, რომელ დიაცი სუსთად იყოს და მსუქანი და ხორციანი.“<sup>5</sup>

განსაკუთრებით საყურადღებოა თვიურის შეწყვეტის მიზეზად მძიმე ფიზიკური შრომის დასახელება XV საუკუნის წყაროებში. „სამკურნალო წიგნი“ ვკითხულობთ: „როდეს ნამეტნავად იკიროდეს და საქმობდეს, მაშინცა მოაკლდეს წესი დიაცისა.“<sup>6</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 148.

2 იქვე, გვ. 160.

3 „წიგნი სააქიმო“, გვ. 236.

4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 162.

5 „წიგნი სააქიმო“, გვ. 236.

6 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 369.

ჩოგორც ცნობილია, მძიმე ფიზიკური შრომის შედეგად მართლაც შეიძლება ქალს თვიური სისხლის დენა შეუწყდეს.

აღნიშნულ წიგნში გვხვდება ცნობა, რომელიც ქრონიკული სისხლის დაკარგვის შედეგად განვითარებული სისხლნაკლებობის დროს არსებულ ამენორეაზე უნდა მიუთითებდეს.

„თუ სდიოდეს დიაცსა ცხუირთა სისხლი, ანუ ბავასირი სჭირდეს, და მისდიოდეს სისხლი. მაშინ არ საკვირველია...“<sup>1</sup>

მიაჩნდათ, რომ თვიურის შეწყვეტასთან დაკავშირებით ავადმყოფს უვითარდება გულისცემის აჩქარება, ტანის დამძიმება, წელისა და თავის ტკივილი და სხვ.

„წესის უკუდგომით გამოჩნდების სენი... ფეთქა გულისა და სიმძიმე ტანისა... ტკივილი ზურგისა და თავისა.“<sup>2</sup>

XVIII საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ, გარდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა, თვიურის შეწყვეტას უკავშირებდნენ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების ზეგავლენასაც.

„რადგან სიმრთელე დედაკაცებისა რიგიანი სამთვარიო არის, ამისათვის რომელთაც არ გამოაჩნდებით, რომელსაც დროს უნდა იყოს თოთხმეტ წელიწადს უკან ორსულობის დროს გარდა, ამისთვის უნდა იზრუნოს იმის გახსნისათვის ღონე და ეს არ იქნება, თუ სწორედ არ შეიტყობა იმის გამოუჩენლობის მიზეზი: ოდესმე ამის მიზეზი არის უზომო მოსვენება და უქმობა, და თუ ამასთან შეერთებულად არის კარგი ზოლობაც; მაგრამ ესეც მართალია, რომ ეს დემართებათ ღარიბ დედაკაცებსაც, რომელნიც ცხოვრობენ დამპალსა და აეს ადგილში. დამპალსა, ნოტიოსა და ცარიელსა სახლში. საცა ჰავა დამპალი იქნების და კედლები დაობებული არის, ან ტენიანი. კარგად იციან დედაკაცებმა, რომ ეს სნეულება დემართებათ ზშირად მაშინაც როდესაც ძალიან სულთ აოშოოდებიან და დიდიხანი შეწუხებით, დამწუხრებით, დაფიქრებულის შემინებით თვით სამთვარიოს დროს.“<sup>3</sup>

თვიურის შეწყვეტის მკურნალობის მიზნით მიმართავდნენ სხვადასხვა საშუალებებს. მკურნალობის აღწერა გვიჩვენებს, რომ ეს საშუალებები მიმართული იყო თვიურის შეწყვეტის გამომწვევი მიზეზის წინააღმდეგ, მაგალითად, სისხლნაკლებობის, დაძაბუნების შედეგად განვითარებული თვიურის შეწყვეტის სამკურნალოდ ავადმყოფს უნიშნავდნენ გაძლიერებულ კვებას. მოსვენებით რეჟიმს, ხელს უწყობდნენ ძილის მოწესრიგებას და გახანგრძლივებას, ურჩევდნენ მორიდებოდა მძიმე ფსიქიკურ განცდებს და სხვ.

„კურნებაი მისი რაიცა სისხლისა სიმცროსიან იყოს. იგი არს, რომელ საჰავალსა მოემატოს და გამოსვენებით დაიჭიროს თავი, და სურნელთა უსუნებდეს და იბანოს, და ძილსა მოიმატოს და ჰიირი არაი ნახოს.“<sup>4</sup>

გარდა ამისა, ავადმყოფს ურჩევდნენ სათბურის დადებას ჭიპისა და ბოქვენის მიდამოზე.

თუ თვიურის შეწყვეტა გამოწვეული იყო საშვილოსნოს რაიმე დაზიანებით, მაშინ სამკურნალო მიზნით ავადმყოფს ენიშნებოდა ოყნის გაკეთება და

1 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 369.

2 იქვე, გვ. 362.

3 „კარაბადინი“, ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ფ. 92 რ.

4 „წიგნი საჰიომი“, გვ. 236.

წამლის შეორთქლება საშვილოსნოში. აგრეთვე მიმართავდნენ ბოქვენის მიდამოს თბილი ერბოთი დაზეღას.

„ღედაკაცსა რომე ღედათა წესი დახუთვილი ჰქონდეს და ამავე რიგად თბილთბილი მუცელზედა შესივას, ღედათ წესს მაშინვე ჩამოუშლის.“<sup>1</sup>

მძიმე ფსიქიკური განცდებისა და ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების ზეგავლენით გამოწვეული თვიურის შეწყვეტის დროს ავადმყოფს ურჩევდნენ მზიარულად ყოფნას, შრომაში ჩაბმას და სხვ.

„ღედაკაცი რომელთაც დასდგომიათ სამთვარიო დიდხნის მწუხარებისაგან ანუ ნოტიისა და დამპლის ჰავისაგან და ამასთან თუ სუსტი კუჭიკა აქვსთ და საქმელს ვერ ინელებენ, ისინი სისხლის გამოშვებით სარგებელს ვერ მიიღებენ. ამისთვის სარგებელი არის სისხლის გამოუშვებლად მიიღებდეს გასახსნელს აბებს. და ამასთან რომ ირჯებოდეს და მზიარულად იყოს. რომელიც უფრო პირველი წამლები არიან ამ სნეულებისა.“<sup>2</sup>

თვიურის რაოდენობრივი და თვისობრივი დარღვევების გარდა ცნობილი ყოფილა აგრეთვე მტკივნეული თვიური. ტკივილის განვითარებას უკავშირებდნენ თვიურის შეწყვეტას, გახშირებული და ჭარბი სისხლის დენას.

„...ღედათა ტკივილი... მისგან დაემართების, რომე წესი უკუდგეს და აღარ ჩამოვიდეს, და აგრევე მისგან, რომე წესი დამეტდეს და დასჭარბდეს.“<sup>3</sup>

XIII საუკუნის წყაროებში მეტად საინტერესო ცნობები გვხვდება საშვილოსნოს მღებარეობის შეცვლის შესახებ. ცნობილია, რომ საშვილოსნოს მღებარეობის შეცვლის გამოწვევებში ზეზებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკირავს თვით საშვილოსნოს ან მის ირგვლივ არსებული ორგანოებისა და ქსოვილების ანთებას თავისი შედეგებით. დაახლოებით ასეთივე შეხედულება გვხვდება „წიგნი სააქიმოი“<sup>4</sup>, სადაც ვკითხულობთ: „გამრუდებანი ზეჰდანისა... გლუსუნისა სქელისა გასარევლისაგან იქნების რაი ცალსა კერძსა ზეჰდანისასა მიტენილ იყოს, და იგი კერძი სხვაი მისისა სიმძიმისაგან გამრუდების მით რომელ სძლევეს.“<sup>4</sup>

საშვილოსნოს გამრუდების ნიშნებად ითვლებოდა უშვილობა, სიმძიმის შეგრძნება საშვილოსნოს ერთ-ერთ მხარეზე და სხვ.

„ნიშანი ზეჰდანისა გამრუდებისაი იგი არ, რომელ დიაცი არ დაორსულდეს და ზეჰდანისა იგი კერძი რომელ ხილტი შიგან იყოს ემძიმებოდეს, და ესე მანკი შობასა უკანით გამოაჩნდების ღედათა“.<sup>5</sup>

მკურნალობის მიზნით სხვა საშუალებებთან ერთად მიმართავდნენ მასაჟს: „და მას კერძსა რომელ ემძიმებოდეს ხელითა იხელდეს, რომელ ზეჰდანი გამრთელდეს.“<sup>6</sup>

XVI საუკუნეში, როგორც „იადიგარ დაუდიდან“ ირკვევა, არჩევდნენ საშვილოსნოს მარჯვნივ და მარცხნივ გადაწევას (Dextroversio et sinistroversio uteri).

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 181.

<sup>2</sup> „პარაბადინი“, ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ფ. 92 v—93 r.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 362.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 240.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.



აღნიშნული წიგნის 459-ე გვერდზე შემდეგს ვკითხულობთ:

„თუ საყმაწვილოს თავი მარჯვნივ აქვს მრუდი, კიდევ წამალი ექნების, დაროსულდების და იმედიცა ქონდეს კაცსა, და თუ მარცხენით აქვს მრუდი, იმას წამალი აღარ ექნების და აღარცა დაროსულდების...“

XIII საუკუნეში საშვილოსნოს მდებარეობის ისეთ შეცვლასაც არჩევდნენ, როგორცაა საშვილოსნოს გამოვარდნა (Prolapsus uteri).

საშვილოსნოს გამოვარდნის მიზეზად მიაჩნდათ ფიზიკური ტრავმა, სიმალლიდან ჩამოვარდნა, სიმძიმის აწევა და სხვა მსგავსი ფაქტორები.

„წიგნი სააქიმოში“ ვკითხულობთ: „ესე მანკი ბალღამურისა სინედლისაგან იქნების ანუ მაგარისა ნაკრავისაგან რომელ სცემოდეს ანუ მალლისა ადგილისაგან დაცემულ იყოს ანუ მძიმე აედოს ესე გამოჩნდეს.“<sup>1</sup>

ცნობები საშვილოსნოს გამოვარდნის შესახებ შემდგომი საუკუნის წყაროებშიც გვხვდება.<sup>2</sup>

საშვილოსნოს ტრავმულ დაზიანებათა ერთ-ერთ მთავარ ნიშნად თვლიდნენ სისხლის დენას საშვილოსნოდან.

„...რამი დია სისხლი მოვიდოდეს და ვერ დაიჭირვიდეს ანუ ზეჰდანისა სიწყულლისაგან იქნების, ანუ სისხლისა სითხისა და სიმრავლისაგან იქნების, ანუ ნაკრავისაგან იქნების რომელ ზეჰდანისა სცემოდეს.“<sup>3</sup>

მის დაძახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა: ტკივილი, სუსტი ავსების მაჯა და სხვ.

ნიშანი „იგი არს, რომელ ძარღვნი რამი უსუსურად იყვნენ სტკიოდენ, და მაჯასი უსუსურად იყოს. და სიწყულლისა მისისა ნიშანი იგი არს, რომელ რამიცა ჩამოვიდეს თხამლივითა თხელი იყოს და არ მოვიდეს.“<sup>4</sup>

XIII საუკუნის წყაროებში აღწერილია აგრეთვე „საშობელის სიწყულულე“—საშვილოსნოს საშოს ნაწილის ეროზია, რომელიც შეიძლება განვითარებულიყო ტრავმის შედეგად, გაძნელებულ მშობიარობასთან დაკავშირებით და სხვა მიზეზების შედეგად.

„ეს მანკი ნაკრავისაგან იქნების ანუ დაცემისაგან მალლისა ადგილისაგან, ანუ სიმსივნისაგან იქნების რომელ გასქელებულ იყოს, ანუ ძნელად შობისაგან იქნების ანუ მაშინამისა გამოსელისაგან.“<sup>5</sup>

ამ დაავადებისათვის დაძახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა ჩირქიანი გამონადენი საშვილოსნოდან, აღნიშნული ორგანოს ტკივილი და წვა. დათვალვიერებით ნახულობდნენ წყულულს.

„ნიშანი მისი რამი სიწყულლისაგან იყოს საშობელისაი: იგი არს, რომელ მისგნით თხამლი და სინედლე გამოვიდეს და დია ეწვოდეს და რამი ზეჰდანისა კარი გააღონ და დედათა შიგან შეხედნენ სიწყულულე კიდე ჩნდეს თვალითა ნახოს.“<sup>6</sup>

აღნიშნული დაავადების დროს ავადმყოფს მკურნალობდნენ სხვადასხვა

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოში“, გვ. 239.

<sup>2</sup> „ადიგარ დუდი“, გვ. 466.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოში“, გვ. 235.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 238.

<sup>6</sup> იქვე.

საშუალებებით. აწარმოებდნენ საშვილოსნოს გამორეცხვას თათლწყლით, ქრთილის წყლით და სხვ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „საშობელის სიწყულელის“ დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამონადენ ჩირქს ცუდი სუნი ჰქონდა, ისეთივე სამკურნალო საშუალებებს ხმარობდნენ, როგორც სიმსივნის დროს: „და თუ თხამლი მყრალი გამოვიდოდეს, ჰკურნოს ეგეთითა წამლითა რომელ კირჩხიბისათვის გვითქვამს.“<sup>1</sup>

საშვილოსნოს სიმსივნური დაავადების შესახებ სამედიცინო ცნობები XI საუკუნიდან გვხვდება.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „დღდაკაცსა რომე საშვილესა შიგან სიმსივნე სჭირდეს მისი ნიშანი მუდმისად უახლებდეს წესსა და უნდომად იყოს და ამა ბოროტისაგან ერთობ ტკივილი მოვიდოდეს, ასრე რომე ტკივილსაგან ოფლი ზედა გარდაესხას.“<sup>2</sup>

მაშასადამე, საშვილოსნოს სიმსივნის დროს ავადმყოფს აქვს სისხლის დენა საშვილოსნოდან, აწუხებს ძლიერი ტკივილი და უჩივის უმადობას. საყურადღებოა, რომ აღნიშნული დაავადების მიმდინარეობაში შენიშნული ყოფილა წონაში დაკლება და კანის ფერის შეცვლა.

„...ზორცი დაგდებულყოს დედათა წესი ნახეთ და რა ნახოთ ფერზედა ხან ყუითელი იყოს და ხან წითელი. და რა წესი წავიდოდეს კიბამან დაუწყოს ტკივილი იცოდი რომე საშვილესა მეტი ზორცია.“<sup>3</sup>

დაახლოებით ასეთივე ცნობები გვხვდება XIII საუკუნის წყაროებში.

„წიგნი სააქიმოში“ ნათქვამია: „ნიშანი კირჩხიბისია რაი შიგან იყოს. იჯა არს, რომელ დია სტივოდეს და ემძიმებოდეს და ფერად შავი იყოს ანუ მწვანე ფერი იყოს; და თუ დამაწყულლებელი კირჩხიბი იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ დია მყრალი თხამლი გამოვიდოდეს მისგან.“<sup>4</sup>

საშვილოსნოს კირჩხიბი მძიმე დაავადებად ითვლებოდა. მკურნალობის მხრივ უპირველეს საზრუნავს შეადგენდა კირჩხიბის ზრდის შეჩერება და ტკივილის მოსპობა: „ესე მანკი ძნელად იკურნების, მაგრა ჰკურნონ რომელ არ მოიმატოს.“ „...ჯობინსა ნუ ეძებ ამას დაჰჯერდი რომელ არ იმატოს.“<sup>5</sup>

კირჩხიბის დაწყულლებისა და დაშლის დროს ავადმყოფს ენიშნებოდა თბილი აბაზანის მიღება: „და რაი დაწყულდეს კურნებაი მისი იგი არს, რომელ აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა ჩაჭდეს.“<sup>6</sup>

ცნობები საშვილოსნოს სიმსივნური დაავადების შესახებ შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც გვხვდება, მაგრამ ისინი ძირითადად არ განსხვავდებიან ზემოთ განხილულისაგან და ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

XI—XIII საუკუნის სამედიცინო ძეგლებში აღწერილია ზოგიერთი ისეთი სნეულება, რომელიც თავისი ნიშნებით საშვილოსნოს სექტიკურ დაავადებას მოგვაგონებს.

მაგალითად, „წიგნი სააქიმოში“ აღწერილია დაავადება „გასივებაი საშო-

1 „წიგნი სააქიმო“, გვ. 238.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 151.

3 იქვე, გვ. 147, 148.

4 „წიგნი სააქიმო“, გვ. 238, 239.

5 იქვე.

6 იქვე.

ბელისა<sup>1</sup>, რომლის განვითარებას უკავშირებდნენ გაძნელებულ მშობიარობას, ტრავმას და სხვ.

„ვითარებაი მისი წიღოვანისა სისხლისა შეკრულობისაგან იქნების ანუ ძნელად შობისაგან ანუ ნაკრავი რაიმე ეცეს მას ადგილსა. და იქნების რომელ თვით ანათგან კიდე სიმსიენე იყოს შიგან, ბუნებისა სიმხურვალისაგან რომელ მანდა ჩაადღოს ბუნებისა ძალმან.“<sup>1</sup>

ამ დაავადებისათვის დამახასიათებლად ითვლებოდა მაღალი ტემპერატურა, ენის გაშვება, თავის, ყელის და წელის ტკივილი, შეკრულობა, შარდვის გაძნელება. სუსტი მაჭა და სხვ.

„ნიშანი მისი რაი სიმხურვალისაგან იყოს, იგი არს, რომელ ცხროი მხურვალი იყოს და ენაი გაშვდეს და თავი და ყელი და ზურგი სტკიოდეს, და მუცელი შეიკრას და ფსელი ძნელად გამოვიდოდეს, და მაჭასი ერცახე და წილობილ იყოს.“<sup>2</sup>

აღწერილი დაავადება თავისი ნიშნებით ყველაზე უფრო მეტად საშვილოსნოს ყელის სეპტიკურ დაავადებას გვაგონებს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაბარაკობს აღნიშნული დაავადების მიმდინარეობა და გამოსავალიც: „მერაჟე ამა მანკისა სამანი სამფერად გამორჩნდების: ანუ გაიხსნების და ილხენს, ანუ გაშაგრდების, ეგრევე დაღვების და თხამლად შეიქნების. და თხამლისა ნიშანი იგი არს რომელ სიმსიენე ესრე ფიცხლად ფეთქდეს რომელ მისისა სიძნელისაგან გააცხროს და ზოგჯერ ათროთლებდეს.“<sup>3</sup>

როგორც ცნობილია, ასეთი მიმდინარეობა და გამოსავალი მართლაც ახასიათებს საშვილოსნოს ყელის სეპტიკურ დაავადებას.

მკურნალობა მიმართული იყო ჩირქგროვის გასახსნელად, რისთვისაც იყენებდნენ სხვადასხვა მაღამოებს, ცხელ აბაზანას და სხვ.

„კურნება მისი იგი არს, რომელ მეშვიდესა დღესა მას ადგილსა ლბილი მაღპამაი შემოსდეს და ვითა ბაბუნაი და ბაღბაი და სელი ულბოი, რომელ მათი წყალი ზეპდანსა შიგან შეიყაროს. და მიწყით თბილსა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს, და მანკისა ადგილსა ნელითა ერბოითა იზელდეს, რომელ თხამლსა შეყრის ნიშანი სიმსიენესა შიგან გამორჩნდეს მაშინ ნებასა იარებოდეს, რომელ გასქდეს და გაიხეთქოს. და გახეთქისა ნიშანი იგი არს, რომელ სიმძიმელი მისგნით წავიდეს, და თხამლი ფსელსა თანა გამოჰყვეს.“<sup>4</sup>

ცნობილია, რომ ქალის სასქესო ორგანოებიდან შეიძლება თეთრი გამონადენი მოდიოდეს, რომელსაც „თეთრად შლას“ (Flux albi) უწოდებენ. XVIII საუკუნის წყაროებში იგი „სითეთრის“ სახელით იხსენიება.

„ახლა უნდა ვსთქვათ იმ სნეულებისათვის რომელიც დაემართებთ მრავლით ქალთაც და დედაკაცთაც. ამ სნეულებას ეძახიან სითეთრეს, რომელიც თუ ახალია მალე მორჩება და ჩქარა წამლით. მაგრამ ძველისა კი ძნელია ამოსთვის რომე აგებულება შეჩვეული მეტის ნოტიისა გამოსულს იმ ადგილიდამ ბოლოს. სულ მიიზიდავს საშვილოში და საშვილო დასუსტებული როგორც ღრუბელი სულ შეისუამს.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> „წიგნი სააქიბოი“, გვ. 237.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ფ. 97 რ.

აღწერილი დაავადებისაგან უწყლოდ განკურნება მართლაც შეიძლება, მაგრამ ცხადია, რომ მკურნალობით უფრო სწრაფად მიიღება შედეგი. ისიც სწორად შეუნიშნავთ, რომ აღნიშნული დაავადების დროს პათოლოგიურ პრაცესს აღმავალი ხასიათი აქვს და შეიძლება იგი საშვილოსნოზე გავრცელდეს.

XVIII საუკუნის სამედიცინო ხელნაწერებში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი საშვილოსნოს „კვერცხების ბუდის წყალმანკი“. უნდა ვიფიქროთ, რომ ლაპარაკია საკვერცხეების კისტებსა და კისტადენომების შესახებ.

„კვერცხების ბუდის წყალმანკის“ ნიშნებად ითვლებოდა: საკვერცხის და შემდეგ მუცლის გადიდება, ტკივილი. მიაჩნდათ, რომ ეს დაავადება უფრო ხშირად 40—50 წლამდე ვითარდება.

„შეხედების ხშირად ამისი ცნობა ძნელია ვიდრე საშვილოს წყალმანკისა ესე იცნობა გასივდება, გამოიბერება და ტკივილი ექმნება ტეხა ჩაჩრუტვილებში ლელვა ესეთივე ექმნება რაგვარადაც ასციტში, კვერცხის ბუდეში ექნება ძრავალი ნივთი... წებოიანი და სქელი ნივთი, რომელიც შეიცვის სხვა და სხვა ბურთებში და არა აქვს მოძრაობა, და გამოცდილი ექიმი ჰსცნობენ ორმოცის და ორმოცდა ათის წლის დედაკაცს ექნება, ქალებს არ ექნება, ქვრივებს უმეტესად ექნება და ბერწნი, რომელთაც არ მოდის დედათა წესი და დაუდგებათ, ნათ ექმნებათ ტკივილი საშვილოს და კვერცხების ბუდისა“<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ კისტადენომის დროს შიგთავსი შეიძლება მოსქო, წებოვანი სახისა იყოს, როგორც ეს მოყვანილ აღწერილობაშია აღნიშნული.

შიგთავსის სწორი დახასიათება იმის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ კისტადენომებს ნახულობდნენ ქირურგიული მკურნალობის ან გაკვეთის დროს. ეს არც გასაკვირია, ქირურგიული დაავადებების განხილვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ოპერაციები მუცლის ღრუს ორგანოებზეც კეთდებოდა. გარდა ამისა, სიკვდილის შემდეგ გაკვეთასაც აწარმოებდნენ.

რაც შეეხება ცნობას იმის შესახებ, რომ კისტადენომა უნაყოფო ქალებშია გავრცელებული, ეს არის მიზეზისა და შედეგის არასწორი გაგება, რადგან უნაყოფობა კისტადენომას ახლავს ხოლმე და არა პირიქით.

ამ დაავადების დროს დიფერენციულ დიაგნოზს ატარებდნენ ზოგიერთ ისეთ დაავადებასთან, რომელსაც შეეძლო გამოეწვია სითხის დაგროვება მუცლის ღრუში. ასეთ დაავადებად მიაჩნდათ „წყალმანკი წელებისა და გარსისა“, რომლის ქვეშ მუცლის ღრუს სეროზული გარსის და ნაწლავთა სპეციფიკური ხასიათის ანთება უნდა ვივულისხმოთ.

„ხოლო წყალმანკი წელებისა და გარსისა გვიან გამოჩნდების და გვიან მოკლამს. ავადმყოფი გასუქებულია, პირის ფერი აქვს მრთლათ, იშვიათად შეიცვლება, ცოტა განსხვავება ექმნება, აქვს მაღა, ჰსძინავს კარგად, შარდი აქვს რივიანი, არის თითქმის მრთლად, ოლონდ ის აწუხებს რომ აქვს სიმსივნე დამატება, შეატყობენ რომ წყალმანკში მუცლის გარსში ჰიპი იწვევს შიგნით, და ოდესმე შეხედება რომელ მიზეზისა ძალით, შეერთებისა გარსთანა გამოვჰიპიილამ რომელიცა გახეთქს და გაღოა წყალი, მაშინ ეცვლება მდგომარეობა

<sup>1</sup> „წყალმანკის უწყებულობა და მისი მორჩენა ვითარითა სახითა ჯერ არს“. ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შხედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 134, ფ. 9 რ.

სხეულისა მაშინ ცოტა ამოიბერება ქვემო მუცელთან და როდესაც ოპერაციას უზმენ ცოტა გამოვა წყალი.“<sup>1</sup>

ავადმყოფს მკურნალობდნენ კონსერვატული და ოპერაციული წესით: „წყალმანი კვერცხების ბუღისა და იმ ადგილებისა ამას ასციტის წამლობა ცოტათ უშველის, მაგრამ სჯობს რომე იმავე წამლები უწყამლოს ამისი საუკეთესო წამლობა არის გვერდის გაჭრა და იქიდან წყლის გამოშვება.“<sup>2</sup>

თუ პროცესში ბადექონიკ იქნებოდა ჩათრეული, მაშინ ავადმყოფის განკურნება სათუოდ ითვლებოდა, მაგრამ მის მკურნალობას მაინც მიმართავდნენ.

„თუ სნეულება ესე არს ჩობილისა და ჩობილის ფარდისა ამაში თუ ახალგაზრდა არ არის, იშვიათად მორჩების. ამაში უნდა ინმარო ასციტის წამლები და ოპერაცია.“<sup>3</sup>

განვიხილოთ როგორი შეხედულებები არსებობდა უნაყოფობის შესახებ.

თანამედროვე გამოკვლევების თანახმად უნაყოფობის, ანუ უშვილობის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ქალი, ისე მამაკაცი. ასე მიაჩნდათ ძველადაც. ამიტომ, მკურნალობის დაწყებამდე, ირკვევდნენ, თუ ვინ იყო უშვილო—მამაკაცი, თუ ქალი.

ქალის უნაყოფობის მრავალ მიზეზს იცნობდნენ.

XI საუკუნის წყაროებში უშვილობის მიზეზად დასახელებულია საშვილოსნოს სიმსივნური დაავადება: „ერთი ესე არის, რომე საშვილესა შიგა მეტი ხორცი დაიგდების სიმსუქნითა და იმისთვის არ დაორსულდების.“<sup>4</sup>

აგრეთვე თვითურის აშლა: „ნამეტნავად დედათა წესი არ სჭირდეს და შეჰკვროდეს.“<sup>5</sup>

საშვილოსნოს მდებარეობის შეცვლა: „... საშვილე მობრუნებული იყოს.“<sup>6</sup>

XIII საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ იმ ხანად, გარდა აღნიშნული მიზეზებისა, უნაყოფობას უკავშირებდნენ ქალის სქესობრივ განუვითარებლობას: „...თუ საშობელი გრილად იყოს წილოვანობისა ისხლი თხელი იქნებიან და საზარალსა ზედა თმაი ცოტაი იქნების...“<sup>7</sup>

XV—XVI საუკუნეებში უშვილობას მიაწერდნენ საშვილოსნოს შიგნითა გარსის ანთების შედეგად განვითარებულ ცელილებებსაც.

„აწუ დედაკაცისა არ დაორსულებისა მიზეზი ეს არის, რომე დედაკაცი მწოვედ გრილად და ბალღმინად იქნების და ისი საშვილე, და ფაშუსავით, დახეთქილი და ეკლიანი საშვილე ბალღმითა ამოივსების; და ამა მიზეზითა კაცისა თესლსა დედაკაცის საშვილე აღარ მოიკიდებს, აიძვლინებს და ისევე ჩამოედინების, და დედაკაცი მისთვის არ დაორსულდების.“<sup>8</sup>

<sup>1</sup> „წყალმანკის უწყებულება და მისი მორჩენა ვითარითა სახითა ჯერ არს“, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 134, ფ. 1—9 v.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 10 r.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 149.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 242.

<sup>8</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 460.

ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს ენიშნებოდა საშვილოსნოს გამორეცხვა: „...საშობადო კარგი და ძალიანი ოყნა უყონ, რომე რაცა შიგნით მუცელსა და ან საშვილეშიგა ბილწი ბაყლი და ხილთი იდგეს, ყუელა უჭირველად დაადვრგვინოს და ყუელასაგან გაწმინდოს, და საშვილე ასრე გამოურეცხოს, რომე დედაკაცის საშვილემან კაცის თესლი აღარ მოისხლიტოს, და მართლად მიიკრას“.<sup>1</sup>

საერთოდ საშვილოსნოს დაავადებათა მკურნალობა საქნელოდ ითვლებოდა, მაგრამ ავადმყოფისათვის მდგომარეობის შემსუბუქება მაინც შესაძლებლად მიაჩნდათ.

„საშვილოსნოს სნეულებით სნეულებენ ისინი, რომელნიც აგებულებით სუსტნი არიან და იმათი მორჩობა არა თუ ძნელია, არც შეიძლება, მაგრამ ამაში უიმედო არ უნდა შეიქმნას თუმცა რომ არ შეიძლებოდეს ამისი სრულიად აღმოფხვრა, შემსუბუქება კი შეიძლება.“<sup>2</sup>

გარდა განხილული დაავადებებისა, ძველ ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში და არასამედიცინო დამწერლობით წყაროებში დასახელებულია აგრეთვე ცალკეული ნიშნები, რომლებიც შეიძლება ამა თუ იმ გინეკოლოგიურ დაავადებას ახასიათებს, მაგრამ მართო მათ მიხედვით ძნელია მსჯელობა, საჩუღლობა, რომელი დაავადება უნდა იგულისხმებოდეს, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით და გადავალთ ბავშვთა დაავადებების განხილვაზე.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 460.

<sup>2</sup> „ქარაბაღინი“, ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ფ. 98 რ.

## ბავშვთა სწავლება

ძველ ქართულ მედიცინაში დაავადებანი განიხილებოდნენ არა მარტო სახეების მიხედვით, არამედ ასაკობრივი გავრცელების მხრივაც. შინაგან სწავლებებს თუ თერაპევტი მკურნალობდა, ქირურგიულ დაავადებებს—დასტაქარი, ხოლო მენ-გინეკოლოგია შედიოდა მეანის, ანუ დედათმორავეის ფუნქციებში — ცნობილი იყო კიდევ რიგი დაავადებებისა, რომლებიც მხოლოდ ან უპირატესად ბავშვობის ასაკში არიან გავრცელებული და მათი მკურნალობა, ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული დარგების სპეციალისტებს უნდა ეწარმოებინათ. ექიმის შერჩევა მოხდებოდა, ალბათ, იმის მიხედვით, თუ დაავადება თავისი ხასიათით რამდენად ახლოს იქნებოდა ამა თუ იმ სპეციალისტის საქმიანობასთან. სავარაუდოა, რომ დაავადებულ ახალშობილებს დედათმორავეი აღმოუჩენდა დახმარებას.

ბავშვთა სწავლებებიდან ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა: კუჭ-ნაწლავის სხვადასხვაგვარი აშლილობა, სწორი ნაწლავის გამოვარდნა, ნაწლავთა პარაზიტებით გამოწვეული დაავადება, პლევრეტი, ზედა სასუნთქი გზების ანთება, შარდის ბუშტის კენჭები, ტვინის წყალმანკი, კუნთების ატროფიები. წითელა, ხუნავი, ყვავილი, ქუნთრუშა და სხვ. ცნობებს მათ შესახებ ძველ ქართულ სამედიცინო დამწერლობით წყაროებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ვიდრე მათ გარჩევაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ჭერ ბავშვის ორგანიზმის შესახებ არსებული შეხედულებები განვიხილოთ. ვნახოთ, როგორ უყურებდნენ ბავშვის ორგანიზმს ძველი ქართველი ექიმები, როგორ დამოკიდებულებას იჩენდნენ მისდამი და სხვ.

ბავშვის ორგანიზმი, მისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა გამო, ძველთაგანვე დიდ ინტერესს იწვევდა. ჩასახვა, მუცლად ყოფნა, დაბადება და ზრდა, ყველაფერი ეს მრავალ კითხვას ბადებდა და ახსნას მოითხოვდა. სწორი პასუხის გაცემა მეცნიერების განვითარების გარკვეულ დრომდე შეუძლებელი იყო და ამიტომ იქმნებოდა სინამდვილის მეტ-ნაკლებად ამსახველი შეხედულებანი. ასეთი შეხედულებანი, როგორც ამას ძველი ქართული სამედიცინო და არასამედიცინო დამწერლობითი წყაროები მოწმობს, საქართველოშიც ყოფილა შემუშავებული და გავრცელებული.

ძველი ქართული მედიცინის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მისთვის ცნობილი იყო ბავშვისა და ზრდადამთავრებულ ორგანიზმს შორის არსებული განსხვავება, ბავშვის ორგანიზმის ორგანოებისა და სისტემების ფუნქციის მთელი რიგი ფიზიოლოგიური თავისებურებანი. მათ გათვალისწინებას პრინციპულ ნიშნელობას ანიჭებდნენ როგორც ჭანმრთელობის, ისე დაავადების შემთხვევაში. ბავშვის ორგანიზმის გარკვეულ გაგებას ემყარებოდა კვების, აღზრდის, სხეულის მოვლის წესები, აგრეთვე დიაგნოსტიკა, მკურნალობა, წამლების შერჩევა, დოზირება და სხვ.

მაგრამ, უპირველესად, საჭიროა გაირკვეს რა ხნის ადამიანი ითვლებოდა ბავშვად? ამისთვის ადამიანის სიცოცხლის პერიოდებად დაყოფის შესახებ არსებული ცნობების მიმოხილვაც დაგვირდება.<sup>1</sup>

კაცის ეპოთა საზომს საბა ასაკს უწოდებს, ე. ი. ასაკი ადამიანის ხნოვანობას ეწოდებოდა.

„და იქმნა ჰასაკითა ათისა წლისა“<sup>2</sup>, ე. ი. ხნოვანობა მისი ათ წელს უდრიდა. „უმრწმესი იყო ჰასაკითა“<sup>3</sup>, რაც ნიშნავს: უმცროსი იყო ხნითა. მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ამაყარა, რომ ასაკი ამ შემთხვევაში ხნოვანობის მნიშვნელობით არის ნახმარი. ასეთი იყო და არის ასაკის ერთი ნიშნელობა. მაგრამ ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. ასაკი ადამიანის სქესობრივი მოწიფების შემდგომ ხანასაც ნიშნავდა. როცა იტყოდნენ: ასაკში შევიდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ სქესობრივად მომწიფდა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერაში პირდაპირ არის განსაზღვრული: „ამიერიდგან არღარა ეკურთხეოდინ გიურგუნი ჩაჟილთა ქალ ყმათა: არამედ უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს შობებელთა მათ დიად დაუწინდნენ იგი ურთიერთას. და რაჟამს ჰასაკად მოვიდნენ ორნივე მაშინ იქორწინენ: და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროსი, ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლასადა.“<sup>4</sup>

ასაკში შესვლა თუ სქესობრივად მომწიფებას გულისხმობდა, უსააკობა სქესობრივად მოუწიფებლობას ნიშნავდა. ეფთუივე მთაწმინდელს იოანე მმარხველის თარგმანში ნათქვამი აქვს: „უჰასაკო... იგი არს ქალი, ქალწული... უწინარეს ჰასაკად მოსღვისა... პირველ ათერთმეტისა წლისა.“<sup>5</sup>

ორივე ცნობის მიხედვით გამოდის, რომ ქალის სქესობრივად მომწიფება მე-11 წელს მთავრდებოდა. თერთმეტი წლის ქალი სქესობრივად მომწიფებულად ითვლებოდა. წინა თავში კი, ძველი ქართული სამედიცინო ლიტერატურაში არსებული ცნობების საფუძველზე, დადგენილი იყო, რომ 15 წლის ქალი უკვე მომწიფებულად მიაჩნდათ. გამოდის, რომ ეს ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ასაკის დაყოფის შესახებ არსებული ცნობები, საერთოდ, შეიძლება ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მივიჩნიოთ, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული ის გარემოება, რომ ადამიანის მომწიფების შეფასება სამოქალაქო, სამხედრო, პოლიტიკური და სამედიცინო თვალსაზრისით სხვადასხვაგვარად ხდებოდა.

<sup>1</sup> ამ საკითხის შესახებ 1956 წელს გამოქვეყნდა აკად. ი. ვ. ჭავჭავაძის ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“, იხ. მისი წიგნი „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“, ი. ლ. აბუღაძისა და ა. ლ. ბარამიძის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი. 1956, გვ. 130—132.

<sup>2</sup> გიორგი ხუცესმოწონი, გიორგი ათონელის ცხოვრება, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1940, გვ. 191.

<sup>3</sup> იგივე თხზულება, მ. საბინინის გამოცემა, იხ. „საქართველოს სამოთხე“, სპბ., 1882, გვ. 464.

<sup>4</sup> რუის-ურბნისის 1103 წლის ძეგლის წერა, იხ. ქრონიკები, წიგნი მეორე, შეკრებილი, ჭრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ეორდანიას მიერ, ტფილისი, 1897, გვ. 61.

<sup>5</sup> ი. ვ. ჭავჭავაძის, დასახელებული ნაშრომი, გვ. 131.



სამხედრო დანიშნულებისათვის მომწიფებული, ე. ი. ასაკოვანი, შეიძლება სწავლა მიზნით განსაზღვრისას სრულწლოვანად არ ჩათვალილიყო და პირიქით.

„ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ, როცა ვახტანგი 15 წლისა გახდა („მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა“), მას ქართლის წარჩინებულნი მოუწვევია და თავისი განზრახვა გაუხდვია. მეფეს ჟუანშერ სპასპეტი შეეხიტიყვა და მოახსენა:

„...ყრმა იყავ, და არა ძალ-გედვა მხედრობა და წყობათა წინამძღურობა, და არცა შინა მეფობისა განგება. აწ, მეფეო, დალაცათუ სრულ ხარ სიბრძნითა და ძალითა, სიმხნითა და ასაკითა, არამედ გაკლს სისრულე დღეთა მხედრობისათვის. ხოლო ვხედავ სიბრძნესა შენსა: დალაცათუ ყრმა ხარ, არამედ ძალ-გიკ განგება მეფობისა, ხოლო მხედრობისა და წყობათა წინაგანწყობისა შენისა არა არს ჟამი.“<sup>1</sup>

მაშასადამე, 15 წლის ვახტანგი სრული იყო ასაკითა, მაგრამ აკლდა „სისრულე დღეთა მხედრობისათვის“, ე. ი. უსაკო იყო სამხედრო დანიშნულებისათვის.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ რუის-ურბნისის ძეგლის წერისა და სამედიცინო წყაროების ცნობებს სქესობრივი მომწიფების შესახებ, მაშინ მათ შორის წინააღმდეგობა მოხსნება. სამედიცინო თვალსაზრისით ქალი სქესობრივად მომწიფებულად ითვლებოდა, როცა მას პირველი თვიური მოუვიდოდა. ეს დაახლოებით 15 წლის ასაკით განისაზღვრებოდა.

ცნობილი იყო, რომ ქალთან შედარებით ვაჟის სქესობრივი მომწიფება უფრო გვიან ხდება, დაახლოებით—15 წლის შემდეგ. ვაჟი სქესობრივად მომწიფებულად ითვლებოდა, როცა მას წვერი და სხვა ადგილებში—ბოქვენზე, ილიის ფოსოებში თმა ამოუვიდოდა.

„...წერი თხუთმეტსა წელიწადსა ჟუანის გამოვა, და აკრეთვე უბეთა. რომელ არს საპარსავი... მისსა ჟამსა გამოვალს, ოდეს დადგეს კაცი მამაკობასა...“<sup>2</sup>

ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნობები ასაკის შესახებ, რომლებიც სამედიცინო და სამართლის წყაროებში გვხვდება, უფრო ზუსტი და სარწმუნოა, ვიდრე სხვა წყაროებში, მაგალითად, მხატვრულ, საისტორიო და სხვა ნაწერებში. ეს არ არის დამოკიდებული ავტორის ცოდნასა და ერუდიციანზე, არამედ თვით წყაროთა ხასიათით არის განსაზღვრული. იურისპრუდენციასა და ნედიცინაში ასაკობრივი მაჩვენებლების სიზუსტეს დიდი ყურადღება ექცეოდა. აი, რას ვკითხულობთ „სამკურნალო წიგნი“: „ცხრა ნიშანი უნდა იცოდეს მკურნალმან და მით ცნას სნება და სენი“. ერთ-ერთი მათგანი იყო ასაკის დადგენა—„რათა დღეთა იყოს კაცი იგი, ყრმა იყოს თუ მოწიფული, ანუ შუაკაცი, ანუ ბერი.“<sup>3</sup>

მხატვრულ ლიტერატურასა და საისტორიო დოკუმენტებში ან ფილოსოფიურ ტრაქტატებში 6 წლის ბავშვზე იტყვის ავტორი ყრმა ს, თუ 7 ან 8 წლისაზე, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს და დაშვებული შეცდომით

<sup>1</sup> ჟუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, „ქართლის ცხოვრება“, I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელგამო, თბ-ლისი, 1955, გვ. 149.

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 31.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 4.

არაფერი დაშავდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნულ წყაროებს სხვა შემთხვევაში ანგარიში არ გაეწიოს.

როგორც გამოირკვა, ასაკში შესვლა მომწიფებას ნიშნავდა. პერიოდს დაბადებიდან ასაკში შესვლამდე ეწოდებოდა ყრმობის ხანა. ამ შემთხვევაში ყრმობა ყმაწვილობის მნიშვნელობით იხმარებოდა და ამიტომ ყრმა შეიძლება ასაკში შესული ახალგაზრდისთვისაც დაეძახათ. ამისი მაგალითი წყაროებში მრავალი გვხვდება.

„ვესტათი მცხეთელის წამებაში“ ვკითხულობთ: „ღლითა ყრმა იყო იგი, ვითარ ოცდაათი წლის.“<sup>1</sup>

ცხადია, ოცდაათი წლის კაცი ყრმა არ იყო, მაგრამ 30 წელი ახალგაზრდული ასაკია და ყრმა ამ მნიშვნელობით არის ნახმარი.

ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. ყრმა ეწოდებოდა 16—17 წლამდე ასაკის ადამიანს. შემდეგ იწყებოდა სიჭაბუკე.

„შემდგომად მისსა მეფე იქმნა ძე მისი გიორგი. და იყო იგიცა ყოვლითა სიყვითთა სავსე. ესე ეუფლა ყოველსა სამეფოსა და მამულსა თუისსა ჟამსა ოდენ სიყრმისა სიჭაბუკისა მისისასა, რამეთუ იყო რაჟამს მეფე იქმნა წლისა ათექუსმეტისა.“<sup>2</sup>

„და ესე იყო ყრმა, კაბუკ, ვითარ ათვრამეტის წლის, გინა უკნინეს — აჩუიღმეტის წლის.“<sup>3</sup>

გიორგი ხუცესმონაზონი თხზულებაში—„გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ ადამიანის სიცოცხლის ოთხ ასაკს არჩევს. პირველ ასაკს ძუძუს წოვების პერიოდს უწოდებს, მეორე ასაკს ყრმობის ხანას, მესამეს სიჭაბუკეს და მეოთხე ასაკში შუაქაცებსა და ხანშიშესულებს აერთიანებს.

„მოქნე იყოვნეს სძესა დედისასა საზრდელად მათდა პირუელსა მას ასაკსა კტეცისა შინა; ხოლო სხუანი მეორესა მას ასაკსა შინა შესრულნი, სიჩჩოებისაგან მცირედ ოდენ დაკლებულნი და ყრმად სახელდებულნი, კულად მწყობრნა მესამენი მესამისა მის ასაკსა შინა სიჭაბუკისათა მომლოდენი, ხოლო მეოთხენი განწყობილნი ხუცესთა, და მოხუცებულთა და ბერთანი...“<sup>4</sup>

ასაკის შედარებით უფრო ზუსტ დაყოფას იძლევა საბა თავის ლექსიკონში. იგი წერს: „ვიდრე ხუთ წლამდე ვაჟსა ჩ ჩ ვ ი ლ ი და ქალსა ჩ ჩ ვ ი ლ ა ეწოდების. ხუთის წლით ვიდრე ათ წლამდე ვაჟსა უ ს უ ა რ ი და ქალსა უ ს უ ა რ ა. ათის წლით ათხუთმეტამდე ვაჟსა ნ ი ნ ვ ე ლ ი და ქალსა ნ ი ნ ვ ე ლ ა. ათხუთმეტის წლითგან ვიდრე ოცამდე ვაჟსა ყ რ მ ა და ქალსა ყ რ მ ა ი. ოცი წლითგან ვიდრე ოცდა ათამდე ვაჟსა კ ა ბ უ კ ი და ქალსა კ ა ბ უ კ ა, და შემდგომად სრული კაცი ვიდრე ორმეოცდა ათამდე და შემდგომად ეწოდების ვაჟსა მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი და ქალსა მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ა. და შემდგომად ვაჟსა ბ ე რ ი და ქალსა ბ ე ჯ ე რ ი, რომელ არს მ ა მ ა ბ ე რ ი და დ ე დ ა ბ ე რ ი.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> ანონიმი, „მარტილობაი და მოთმინებაი წმიდისა ვესტათი მცხეთელისაი“, დასახელებული გამოცემა, გვ. 44.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ ა ქ ც ი თ, ტფილისი, 1906, გვ. 246, 247.

<sup>3</sup> ო ს ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე, „აბოს წამება“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, შედგენილი ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბილისი, 1946, გვ. 60.

<sup>4</sup> გ ი ო რ გ ი ხ უ ც ე ს მ ო ნ ა ხ ო ნ ი, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, მ. ს ა ბ ო ნ ი ნ ო ს გამოცემა, გვ. 469.

<sup>5</sup> ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, იხ. სიტყვა კ ა ც ი.

ადამიანის ორგანიზმის შესახებ არსებულ წარმოდგენებს ემყარებოდა ასაკის დაყოფა სამედიცინო თვალსაზრისით. დაბადებიდან ჩვიდმეტ წლამდე „სისხლის ბუნებად“ ითვლებოდა. ჩვიდმეტიდან ოცდათხუთმეტ წლამდე „ნალღის გუნებად“. ოცდათხუთმეტიდან ორმოცდათორმეტ წლამდე „შავი ნალღის გუნებად“ და ორმოცდათორმეტიდან ზევით „ბალღის გუნებად“.

„ვილასოფოსთა და ბრძენთა აქიმათა ასრე თქვეს: შობითგან ჩვიდმეტს წლამდე ყმაწურილი და სისხლის ბუნება არის, და სისხლის მეტობა არის იმის ტანშეგან. და არას სიჩქარესა და დაწყნარებულობასა შიგან, საკვამდთა არა დია კამა მოსწავლებია. რასა ასწავლიდე, დაისწავლიდე ყოფა ქცევა. თუ რაგინდა რა ხელი იყოს. ყუელას ისწავლიდე, ამაღ რომე ყმაწურილი და მხურვალი და ნელლი გუნება იქნების. და სისხლისა აქუს მთავრობა და სისხლი მხურვალი და ნელლი არის.“

მეორე რიგი ჩვიდმეტსა წელიწადსა უკანის ვიდრე ოცდათხუთმეტსა წლამდე კუერცხის გულისა ნალღისა გუნებაზედა შედგების, რომელ არს ზაფრა და არს ახალ მოწიფული და სიმხურვალისა და სიყმისა გუნებაზედ არის და იქნების აპპარტავნობაშიგან, გაუგონლობაშიგან, უკერობაშიგან და სიძვის მოყურბობაშიგან და მიჯნურობაშიგან, საკმლის მონდომებაშიგან, შემპირეობაშიგან ესე კუერცხის გულისა ნალღელი მხურვალი და ხმელი არის.

მერვე. მესამესა რიგი ოცდა თხუთმეტსა წელიწადსა უკან შავის ნალღისა გუნებასა შევარდების ვიერ ორიოცდა თორმეტს წლამდისინ შავის ნალღის გუნებასა ზედა იქნების სისამესა და სიგრილესა შიგან. და არის კაცი, შუა კაცობაზედა იქნების მშვიდობისა მოყუარე და სიწყნარეშიგან და კკუაშიგან სობრძნესა და შეცნიერობაშიგან და თეთრისა გარევაშიგან, ესე შავისა ნალღისა გუნება არის, ყუელა გრილი და ხმელი არის.

მეოთხე რიგი ორმოცდა თორმეტი წელიწადსა უკანის ვიერმდეს სიკუდრლამდის ბალღამისა გუნებაზედა იქნების ქკუის კლებაშიგან და საკვამდისა კლებაშიგან და უსუსურებაშიგან და შევიღიერობისა კლებაშიგან და ყურთა ნიბიდე სმენაშიგან, და თვალთა ბეუტად ხედვაშიგან. ესე ყველა ბალღისა ბუნებისა ნიშანი არის და ბალღამი გრილი და ნელლი არის. ამისთანას კაცსა ბალღისა გამოღება კარგად ერგების.“<sup>1</sup>

ასეთია ცნობები ადამიანის სიცოცხლის პერიოდებად დაყოფის შესახებ. რაც შეეხება ნაყოფის მუცლად განვითარების პერიოდებს, ამაზე წინა თავში გვქონდა ლაბარაკი და აქ ზედმეტად მიგვაჩინა გამეორება.

როგორც ცნობილია, ბავშვის განვითარების შეფასების დროს მთავარი ყურადღება მის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას ექცევა. თუ ბავშვი ფიზიკურად და ფსიქიკურად ასაკის შესაფერისად არის განვითარებული, ასეთი ბავშვი ნორმალური განვითარების ბავშვად ითვლება.

საინტერესოა, რომ აღნიშნული მაჩვენებლებისათვის ყურადღება ძველთაგანვე მიუქცევიათ. გიორგი მერჩულეს თხზულებაში—„ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ ვკითხულობთ: „და კულად სხუათა ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა ესუა შვილი, ყრმაი წული. მტერისაგან ენებული შობითგანევე, რამეთუ იყო იგი ყრუი და უტყუი და გონება-ნაკალული. ხოლო ჰასაკისა ხილვითა ჩნდა მრთელად და იზრდებოდა ვითარცა სხუთა ყრმაი.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბაღნი“, გვ. 39, 40.

<sup>2</sup> გ ი რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, დასახელებული გამოცემა,

ამ შემთხვევაში ჩვენ იმის გამოკვევა არ გვინტერესებს. თუ რით იყო ბავშვი დაავადებული. აღსანიშნავი ის არის, რომ ავტორი ამ თხზულებისა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერასთან ერთად მისი ფსიქიკური და ფიზიკური განვითარების შეფასებასაც იძლევა.

იგი ხაზს უსვამს შეუსაბამობას, რომელსაც ადგილი ჰქონია ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ განვითარებას შორის. ბავშვი გონებანაკლები ყოფილა, მაგრამ, თუ ამას მხედველობაში არ მივიღებთ, იგი „ჰასაკისა ხილვით ჩნდა მრთელად“, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიზიკური ზრდის მიხედვით მას ავადმყოფი არ ეთქმოდნენ.

აი კიდევ ერთი მაგალითი იმავე თხზულებიდან: „და მასვე გზასა დედაკაცი ერთი ვინმე მოვიდოდა და თანა ჰყვანდა ძეი შუიღისა წლისაი. და იყო ღრმაი იგი ხილვითა კეთილ და გონებითა ფრთხილ.“

მსგავსი მაგალითები კიდევ შეიძლება მოგვეყვანა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთით დავკმაყოფილდებით. გიორგი ხუცესმონაზონი თავის ცნობილ თხზულებაში—„ცხოვრება გიორგი ათონელისა“ წერს, რომ ათი წლის გიორგი გონებრივი განვითარებით მსცოვან კაცს ჰგავდა.

„...და იქმნა ჰასაკითა ათისა წლისა, ხოლო გონებითა ვითარცა მსცოვანი და მოხუცებული იხილვებოდა საკუირველად მხილველთა და მსმენელთაგან...“<sup>1</sup>

XIII საუკუნის სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, რომ ძველ ქართულ მედიცინაში ყურადღება მიუქცევიათ ბავშვის ორგანიზმის ზოგიერთი ფიზიოლოგიური თავისებურებისათვის. მათ შორის გულის მუშაობის და მისი გამოვლინების—მაჯისცემის, შარდის თავისებურებისათვის და სხვ.

ცნობილი ყოფილა, რომ ბავშვის მაჯისცემა უფრო ჩქარია და სუსტი ავსების, ვიდრე ხანში შესულისა: „ყმაწურილი მაჯასაი ფიცხელი და წურილი იქნების, და მიწყით ფეთქს... ბერთა კაცთა მაჯასი გვიანად ფეთქს და იქცევის.“<sup>2</sup>

XVIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ, რომ ბავშვის მაჯისცემა 3—4 წლამდე ჩქარია, ხოლო შემდეგ თანდათან ნელდება და 12 წლამდე 70 წლამდე 60—70 უღრის ერთ წუთში.

„ყრმათა შორის ჰსცემს ჩქარა სამის წლითგან ვიდრე ოთხს წლამდე. და შემდეგ მცირედ დამყუდროვდების.“

„მაჯის ცემა თორმეტისა ანუ ოცის წლისა მრთელისა კაცისა, ვიდრე სიმოცდა ათისა წლამდე, იქმნებისა სამოცითგან ვიდრე სამოცდაათამდე...“<sup>3</sup>

ფიქრობდნენ, რომ ბავშვის შარდი სქელია და რძის მაგვარი.

„გამოცნობაი პატარასა ყრმისა წყლისა, ღიდისა მამაცისა, ბერისა იგი არს, რომელ ყმაწურილისა უსქესი იქნების. და ცოტად სძესა ჰგავსა და ბერისა უცისა წყალი თხელი და თეთრი იქნების.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> გიორგი ხუცესმონაზონი, „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“, ძველ ქართულ ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 191.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 38.

<sup>3</sup> „სწავლა ერისა სიმრთელისათვის, მისისა“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმი ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, ან 216 i.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 42.

შემჩნეული იყო, რომ ბავშვი დაბადების შემდეგ გარეთ გასვლის დროს შავი ფერის მასას გამოჰყოფს: „რა დაიბადების შავსა სისხლსა მოიარს.“ მაგრამ არ იცოდნენ, თუ რით იყო ეს გამოწვეული. ფიქრობდნენ, რომ მუცლად ყოფნის დროს ბავშვს დედის სისხლი უქამია, რომლის სიმხურვალეს დაუწვავს და გაშვებულა.

„როგორც ყმაწვილი დაიბადების ძუძუს სწოვს წინათ მოივლის და ნავალი შავი იქნება. ამისთვის რომე მუცელშიგან სისხლი უქამია და დედის სიმხურვალესა დაუწვავს და გაუშვებია.“<sup>1</sup>

გარკვეული ყურადღება ექცეოდა ბავშვის კვებას, ძიძის შერჩევას, ძუძუსაგან მოშორებას და სხვ.

„უსწორო კარაბადინში“ აღნიშნული საკითხებისადმი სპეციალური თავია მიძღვნილი, რომელსაც „კარი ყმაწვილის გაზღისა“ ეწოდება. საინტერესო ცნობები გვხვდება აგრეთვე XIII და შემდეგი საუკუნეების სამედიცინო დამწერლობით წყაროებში.

ცნობილი იყო, რომ ბავშვის კვება დედის ძუძუთი უნდა ხდებოდეს. დედის რძე ბავშვისათვის ყველაზე უკეთეს საკვებად ითვლებოდა.

„ყოვლისა კაცისაგან მისისა დედისა სძე უკეთ შვირგების ყრმასა.“<sup>2</sup>

საინტერესოა, რომ ბავშვისათვის ღამით ძუძუს მოწოვება დაუშვებლად მიიჩნდათ, რაც სავსებით გამართლებულია.

„და ეგრე ხამს, რომელ ღამით სძესა არ აწოებდეს.“<sup>3</sup>

„და ვითარცა ყრმაი იზრდებოდეს სძესა დაუკლებდეს. და რაი კბილი ამოსრული იყოს ცოცოტასა ლბილსა პურსა ხელთა მისცემდეს, და დაჩვიონ საქამადისა კამასა და მას უკანით ნეტულსა დამბალსა, შიგან ხარშოსა მისცემდეს, და სძესა დაუკლებდეს.“<sup>4</sup>

ძუძუს წოვების მინიმალური ვადა წელიწადნახევრით განისაზღვრებოდა, მაქსიმალური ორი წლით: „და უმცროსი ხანი წოვნებისაი წელიწადი და ნახევარი იქნების, და უფროსი ხანი ორი წელიწადი.“<sup>5</sup>

უფრო ადრე ან უფრო გვიან ძუძუსაგან მოშორება დაუშვებლად მიიჩნდათ, განსაკუთრებით, თუ ბავშვი სუსტი განვითარებისა იყო. „და თუ ადრე მოსწყვიტონ ძუძუსაგან, მკლედ და უსუსურად იქნების და თუ გვიანად მოსწყვიტონ ჰავცნობაი შეიქმნების... და რაი ყრმაი უსუსური იყოს ადრე ნუ მოსწყუენდენ ძუძუსაგან, მაგრა თუ მსუქანი და ძლიერი იყოს არა ჰგავა.“<sup>6</sup>

ძუძუსაგან მოშორების საუკეთესო დროდ ითვლებოდა შემოდგომა და გაზაფხული: „ზამთარსა და ზაფხულსა შუა ნუ მოსწყუეტენ ყრმასა, რომელ ს-

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 34.

2 „წიგნი სააქიმი“, გვ. 37.

3 იქვე, გვ. 36.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 37.

6 იქვე.

შიშოი იქნების. და უკეთესი ჟამი ყრმისა მოწყვეტისაი გაზაფხულ და შემოდგომისა ჟამია.“<sup>1</sup>

ძუძუსწოვების პერიოდში ქალი თუ დაორსულდებოდა, აღარ შეიძლებოდა მას ბავშვისათვის ძუძუ მიეცა: „ორსულისა დიაცისა სძე ზაპრი არს პატარასა ყმისათვის, მაშა ხამს რომელ მისგნით არა ოდეს აწოონ.“<sup>2</sup>

ცნობილია, რომ ორსული ქალის რძე, როცა მასში ხსენის სხეულაგებობა, არაიშვიათად იწვევს ბავშვის კუჭ-ნაწლავის მოქმედების აშლას. ამიტომ ორსულობის პირველი ნახევრის ბოლოს ან მეორე ნახევრის დასაწყისში ორსულ დედებს ურჩევენ ბავშვს ძუძუ აღარ აწოონ. როგორც ჩანს, ძველად შეუძმნევიათ ორსული ქალის რძის მავნე გავლენა ბავშვის ორგანიზმზე და შეაფერისი დასკვნაც გაუკეთებიათ.

განსაკუთრებით გულმოდგინებით წარმოებდა ძიძის შერჩევა. ძიძას ძალიან მაღალი მოთხოვნები წაეყენებოდა. იგი უნდა ყოფილიყო კარგი ზნისა, ახალგაზრდა, ჯანმრთელი, კკვიანი, სწრაფი, არც მსუქანი და არც გამხდარი.

„ყმაწვილისა გამზრდელი დედაკაცი გამოარჩიონ. გამზრდელი ასეთი უნდა რომე კარგისა ზნისა იყოს. ბერი არ იყოს, ტანშიგა მიზეზი არ იყოს, ანუ ბარასი ან. ქაშვეთისა, კკვიანი იყოს, სიარულზედა მძიმე არ იყოს, ყოვლის ტკივილისაგან უმიზეზო იყოს, რომე არას ასოსა შიგან მიზეზი არ იყოს, არც მსუქანი იყოს და არც მკლე, სწორი იყოს.“<sup>3</sup>

„წიგნი სააქიმოში“ აღნიშნულია, რომ ძიძის რძე უნდა ყოფილიყო: ტკბილი, კარგი გემოსი, თეთრი ფერისა და სხე.

„და ეგრე ხამს რომელ ძიძისა სძე ტკბილი და გემოდ კარგი იყოს, და თეთრი და წმინდაი, და სწორი იყოს, რომელ არცა ხურვალი იყოს არცა გრილი, არცა სქელი და არც თხელი...“<sup>4</sup>

რძის ნაკლებობის შემთხვევაში იხმარებოდა ისეთი საშუალებანი, რომლებიც ლაქტაციის გამძლიერებლად ითვლებოდნენ.

„და თუ სძე ცოტაი ვდგას ცერეციისა თესლი და ნესვისა თესლისა წყალი ჯულაბსა გარიონ და იხმარებოდეს, და მიწყით თხისა და ფურისა სძესა თეთრითა შაქრითა ჭამდეს, და შორაბასა მუხუდითა და ხახვითა და ცერეციისა თესლითა და ბადიანითა შექმნილსა ჭამდეს...“

„და ძიძაი ზოგჯერ გულბა შაქარსა და ტარეფილსა, და ალვისა გუარიშნსა და ძირაისა გუარიშნსა ჭამდეს, რომელ მისი სძე შემრგედ წმიდაი იყოს.“<sup>5</sup>

სავსებით სწორი იყო შეხედულება იმის შესახებ, რომ დამატებითი საკვები ბავშვს კბილების ამოსვლის დაწყებიდან უნდა მისცემოდა.<sup>6</sup>

საერთოდ, კბილების ამოსვლის დაწყების პერიოდში ბავშვს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. შენიშნული ყოფილა, რომ კბილების ამოსვლის დროს ბავშვს გაძლიერებული აქვს ნერწყვის დენა და არაიშვიათად უკითარ-

1 „წიგნი სააქიმო“, გვ. 36.

2 იქვე, გვ. 37.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 158, 159.

4 „წიგნი სააქიმო“, გვ. 36.

5 იქვე.

6 ბ. ფ. ა. ჯ. ა., პედიატრიის ისტორიის საკითხისათვის საქართველოში (XI—XVII საუკუნე), თურ. „საბჟოთა მედიცინა“, № 3, 1957, გვ. 39.

დება კუქ-ნაწლავის მოქმედების აშლა. ამიტომ გარკვეულ ზომებს ღებულობ-  
დნენ: „და რაი კბილისა ამოსულისა ყამი იყოს, მისთა ღრძილთაგან მლანე  
წყალი გამოვთა და მუცელსა ჩაუყვა, მაშინ მუცელი დაუღებების, მაშინ ბეჟე, შარაი  
და ტაბაშირი გაგლილი აკამონ.“<sup>1</sup>

XVIII საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ხელნაწერში ვკითხულობთ, რომ  
კბილების ამოსულის პერიოდში, გარდა კუქ-ნაწლავის აშლისა, შეიძლება ადგი-  
ლი ჰქონდეს ტემპერატურის მომატებას, კრუნჩხვებს, რასაც ზოგჯერ სიკვდი-  
ლიც მოსდევს.

„ცოტა სწავლება არის ყმაწვილისათვის კბილის ამოსვლა და ტკივილი  
ღრძილების გაპობისა კბილებისაგან და ამას თუ დაერთვის ცივება და ყუანა  
ოღესმე თრთოლა და ბნედა და არ იშვიათ სიკუდილიც. წამალი ამაში დია ცო-  
ტა შეეწენას მისცემს და არც შეიძლება, რადგან ტკივილი ვერაფრით ვერ დაღ-  
გება მანანდე კბილი არ ამოვა და მაშ ამას უნდა ეცადნენ, რომ კბილმა მალე  
თავი ამოყოს, რომელსაც დიდად შეეწევა, რომ ყმაწვილს ხელში მისცეს კარ-  
გად წმინდად გათლილი თავი. რომ მოგრძელოდ ჰქონდეს სპილოს ძეხალი და  
უბრალო ძროხის ძეხალი და პირში ისე ათამაშებდეს... და იქნება რომ თითონ  
ნელად წაუსვებდენ იმ ძეხალს ღრძილზედ ზეიდამ და ესრეთ როდესაც ღრძი-  
ლებს ღრძილებზედ დააკირებს და დაწეება ზეიდამ ეს ძეხალი კბილიც აპოს-  
კრის ძირიდამ და თავს ამოჰყოფს. ამ ძეხალის მაგიერად, არც ვერცხლი არც  
სპილენძი იხმარება ამისთვის, რომ იმათი ჟანგი დიდად ავნებს ყმაწვილს და  
თუ ამ ღონით ჩქარა არ ამოვა კბილი და ყმაწვილი წუხს ტკივილისაგან და სი-  
კუდილის შიშიც არის, მაშინ ამ იკვსათუის შეუწევნელად არ უნდა გაუშვა  
ყმაწვილი... ღრძილები ზევიდამ შაშარით აუტრას ყმაწვილს, კბილებს გზა მიე-  
ცეს ამოსულისა.“<sup>2</sup>

როგორც წყაროებიდან ირკვევა, გარკვეული ყურადღება ექცეოდა ბავშვის  
მოვლასაც.

ცნობილია, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ძუძუმწოვარი ბავშვები ხშირად  
ტირიან. ტირილის მიზეზი შეიძლება იყოს შიმშილი, მუცლის, ყურის ტკივილი,  
საზარდულის გამოყვლა; შეიძლება ბავშვი დაჩვეული იყოს ხელში აყვანას და  
ამიტომ ტიროდეს ან კიდევ რაიმეს ეკბინოს და სხვ. ზოგი დედა ამ მიზეზებს  
ვერ ამჩნევს ხოლმე ან ყურადღებას არ აქცევს, ჰგონია ტირილი მუდამ  
შიმშილით არის გამოწვეული და ბავშვს ძუძუს ან 'საჭმელს აძლევს. ზედმეტი  
საკვების მიცემით არაიშვითად კუქ-ნაწლავის აშლილობა ვითარდება და ტი-  
რილის ნამდვილი მიზეზი გამოუცნობი რჩება. ეს გარემოება კარგად ყოფილა  
ცნობილი ძველ ქართულ მედიცინაში. დედას აფრთხილებდნენ, რომ ყურადღე-  
ბით ყოფილიყო და გამოერკვია ტირილის მიზეზი.

„თუ ყრმაი დია ტიროდეს ჰნახოს, არ ყოველივე შიმშილისაგან ატირდე-  
ბის, ნუ თუ მუცელი სტიკიოდეს... და ეგების რომელ ყურთა სტიკოდეს, მაშინ  
ცოტაი სძე იისა ზეთსა გაურთოს და ყურსა ჩაუწუთნონ. და თუ საზარდული  
სტიკიოდეს, ცოტა იასამინის ზეთი ანუ ხირის ზეთი საზარდულსა ზედა სცხოს.

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 36.

2 „კარაბადინი“, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიო-  
თეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. ითანე ბატონიშვილის ფონდი, № 136, ფ. I.

3 ხირის ზეთი — Ol. Crotonis.

და ეგების რომელ აყვანაი მოუნდეს, ანუ მაგრად შეკრული იყოს, ანუ ეკბინოს რასმე, ამას ყველასა გაუფრთხილდეს.<sup>1</sup>

ცნობილი იყო, რომ მცირე ასაკის ბავშვები ცუდად იტანენ ხანგრძლივად მზებზე ყოფნას და ამიტომ მშობლებს ურჩევდნენ ბავშვი მზის ქვეშ არ დაეწვიანათ: „თუ ოდესმე აბანოს მივიდეს ყრმასა დიდხან ნუ დაიჭირავს აბანოს, ღამზესა ნუ დააწვენს.“<sup>2</sup>

დაუშვებლად ითვლებოდა აგრეთვე ბავშვის ცივ წყალში ბანაობა.

„...უასაკომან მარტილმან კაცმან ცივსა წყალსაშიგან არ უნდა იბანოს, თვარა და უსათუოდ აწყენს.“<sup>3</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ბავშვთა სწავლებებიდან ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი იყო კუჭ-ნაწლავის სხვადასხვაგვარი აშლილობა, სწორი ნაწლავის გამოვარდნა, ნაწლავთა პარაზიტებით გამოწვეული დაავადებანი, პლევრიტი, ზედა სასუნთქი გზების ანთება, შარდის ბუშტის კენჭები, ტვინის წყალმანკი, კუნთების ატროფიები, წითელა, ხუნაგი, ყვავილი, ქუნთრუშა და სხვ.

ბავშვის დაავადებათა განვითარების, კერძოდ კუჭ-ნაწლავის აშლის, ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად ითვლებოდა ზაფხულის სეზონი. ამით უნდა აიხსნას, რომ ძუძუსთან მოწყვეტა ზაფხულის თვეებში დაუშვებლად მიაჩნდათ.

ცნობილი იყო კუჭ-ნაწლავის აშლის ისეთი ფორმა, რომელსაც ახასიათებს სისხლიანი და ლორწოიანი განავალი.

„...შექმნა გუარინისა, სარგო ყრმათა, რომელსა სისხლსა გაიყვანებდეს და შალარსა.“<sup>4</sup>

ამჟამად, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დიზენტერიის ალწერილობასთან.

კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს ავადმყოფს ენიშნებოდა ვაშლისა და კომშის წვენი, არაბეთის გუმფისი, სელის ნახარში და სხვ.

„და თუ ღია გაიყვანდეს, ვაშლისა და ბექესა შარაბი სუას და არაბული გომიზი და ასფიოში შემგბარი იხმაროს.“<sup>5</sup>

ავადმყოფს ეძლეოდა აგრეთვე ბრინჯის ნახარში. „კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს და წელთა ნახვეწი სციოდეს, საპჯი იმას ჰქვიან, და ისე ბრინჯი ყოვლის საკმლისაგან უკეთესი და უფრო სარგებლიანი არის.“<sup>6</sup>

სწორად შეუმჩნევიათ, რომ კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს არაიშვიათად ბავშვებს სწორი ნაწლავის სრული ან ნაწილობრივი გამოვარდნა („გუამისა პირი გამოვიდოდეს“) უვითარდებათ.

ასეთ შემთხვევაში ბავშვს უკეთდებოდა აბაზანა, რაც მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს. „წიგნი სააქიმოსი“ 36-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„თუ გუამისა პირი გამოვიდოდეს ასფარამის წყალი ესარე, მოილოს ბროწეულისა ყუავილი და ვარდის ფურცელი, და სისანბარისა ფურცელი და

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 36.

2 იქვე.

3 „იადიგარ დაუდი“, გვ. 110.

4 „სამეურნალო წიგნი“, გვ. 153.

5 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 32.

6 „იადიგარ დაუდი“, გვ. 164.



ტირიფისა ფურცელი ყველაი წყლითა შეავბოლოს და თალარასა შიგან ჩაასხას, და ყრმაი შიგან ჩასვას, ერგების.“

„წიგნი სააქიმოში“ აღწერილია დაავადება, რომელიც თავისი ნიშნებით პლევრიტს გვაგონებს. მის დამახასიათებლად ითვლებოდა: სახის აწითლება, მანის აჩქარება, ტემპერატურის მომატება, ჩხვლეტითი ტკივილი გვერდში, მშრალი ხველა, სუნთქვის გაძნელება და სხვ.

„...პირი წითლად ედგას და მარჯასი ადგომილი იყოს, და სული დამოკიდებული იყოს... ტკივილი გვერდსა შიგან ვითა ისარი სცემდეს და ცხროი ფიცხელი იყოს ...ხველაი ხმელი იყოს და სულსა ძლივ იკვეთდეს.“<sup>1</sup>

ამ დაავადების მკურნალობა მეტად მრავალფეროვანი იყო. ავადმყოფს ენიშნებოდა დასალევი და ადგილობრივ სახმარი წამლები, ურჩევდნენ ნოყიერი საკვები მიღებას და სხვ.

„...ქრთილისა წყალი და სიქანჯუბინი შესვას, და მუხუდისა ურწყოსა ჰამდეს. ნუშისა ზეთითა, და მიწყით მკერდსა მომროლანითა იხვლდეს კარგი არს.“<sup>2</sup>

„ცვილი ხირისა ზეთსა შიგან გააღნოს და მკერდსა შესცხოს კარგი არს.“<sup>3</sup>  
 „სელი წყლითა და შეახბოს და მიწყით მანკისა ადგილსა შემოსდებდის კარგი არს. და შაქარსა და კარაქსა გაპრევდეს და ჰამდეს ერგების.“<sup>4</sup>

ნერვული სისტემის დაავადებათა განხილვის დროს აღნიშნული იყო, რომ ძველ ქართულ მედიცინაში ეპილეფსიას „მტერთა დაცემა“ ეწოდებოდა. ეს დაავადება მრავალ სამედიცინო და არასამედიცინო წყაროშია აღწერილი. საკმაოდ კარგად იყო ცნობილი მისი დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით ბავშვთა შორის, შეიძლება ვერ გაერჩიათ ისეთი დაავადებებისაგან, რომლებიც კრუნჩხვითი მოვლენებით მიმდინარეობს.

„წიგნი სააქიმოში“ აღნიშნულია, რომ „მტერთა დაცემა“, ე. ი. გულყრა შეიძლება ძუძუმწოვარსაც მოუვიდეს, მაგრამ მას მკურნალობა არ უნდა, რადგან, როგორც კი მოიზრდება, თავისით გაუვლის: „რამ ესე მანკი ყმაწურითა გამოაჩნდეს... ძუძუის მწოარისა კურნებაი არა ხამს, რომელ რამი გადიდდეს და ასონი გაუხურდენ და განძლიერდეს სინედლე მისგნით კიდე წავალს და განრთელდების.“<sup>5</sup>

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში სპაზმოფილური კრუნჩხვები იგულისხმება, რაც მართლაც შეიძლება გაქრეს ბავშვის ზრდასთან ერთად.

ეს დაავადება აღწერილია აგრეთვე XVI და შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც.

მის დამახასიათებელ ნიშნებად, გარდა კრუნჩხვებისა, ითვლებოდა ცნობიერების დაკარგვა, სახის სიფერმკრთალე, უძილობა, პირღებინება და სხვ.

„კიდევ ერთი მარტვილის ავად ყოფა არის, რომე სახელად უმისიბან ჰქუიან და ესე სენი და ავად ყოფა უსათიოდ საფრისაგან იქნების და ამისი ნიშანი და

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 162.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 163.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 86, 87.

ალამათი ეს არის, რომე ღამით, ძილშიგა ხშირად შეხლტების და წამოვარდების და მწოველ შეწუხდების და ჰკუაყა შეეშლების ვითმე და ხორცზედა მწოველ ცხლად იქნების, ელფერი ყუითელი ექნების, წყალი მოსწყურდების, ძილი არ მოუვა, გული რევას დაუწყებს, და რასაცა არწყევს საფრასა არწყევს.“<sup>1</sup>

სამკურნალო მიზნით მიმართავენ კუჭ-ნაწლავის გაწმენდას, ასმევენენ ძირტებლას ძირის ნახარშს, გულისა და კუჭის მიდამოზე ადებდნენ გრილ საფენებს და სხვ.<sup>2</sup>

XVI საუკუნეში ცნობილი იყო ჭგუფი გადამდები დაავადებებისა, რომელიც უმთავრესად ბავშვებს ემართებათ.

აი, რას წერს ამის შესახებ „იალიგარ დაუდის“ ავტორი:

„ესე ასპა და პარტახტი მარტილებსა და ვაქსა კაცსა უფრო ემტერების... და ბერსა და მიდღევენბულსა კაცსა უფრო არ გამოეხსმის.“<sup>3</sup>

ასეთ დაავადებად ითვლებოდა ყვავილი, ქუნთრუშა, ხუნაგი, წითელა და სხვ.

ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ გადამდები დაავადებანი ექვს თვეზე ნაკლები ასაკის ბავშვებს ძალზე იშვიათად გამოაჩნდებათ. ამას უნდა გულისხმობდეს ცნობა: „თუ მარტივილი ან ექუსის თვისა იყოს, ან ექუსის თვისაგან უფრო იყოს...“<sup>4</sup>

მასასაღამე, ბავშვი ექვსი თვის უნდა იყოს ან უფრო მეტის, რომ გადამდები სნეულებით დაავადდეს. გამოდის, რომ უფრო ნაკლები ხნის ბავშვი აღნიშნული დაავადებებით ავად არ ხდება.

ცნობილია, რომ ბავშვი დედისგან ღებულობს იმუნიტეტს, რომელსაც იგი თითქმის ექვს თვემდე ინარჩუნებს და ამიტომ ამ ასაკში გადამდები სნეულებით იშვიათად ხდება ავად. ასე რომ, აღნიშნული შეხედულება, რომელიც ხანგრძლივ დაკვირვებას ემყარება, სრულიად მართებულად უნდა ჩაითვალოს.

ძველთაგანვე კარგად ყოფილა ცნობილი ყვავილის დამახასიათებელი ნიშნები, მისი მიმდინარეობა, მაგრამ ამ დაავადების შესახებ არსებულ ცნობებს ჩვენ აქ აღარ განვიხილავთ, რადგან ისინი უკვე გარჩეული იყო პირველ წიგნში.<sup>5</sup>

რაც შეეხება ყვავილის წინააღმდეგ ბრძოლას, იგი ისევე როგორც მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, აკრამი მდგომარეობდა, რაზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ყვავილთან შედარებით მსუბუქ დაავადებად ითვლებოდა ქუნთრუშა: „ქუნთრუშა ყუავილისაგან უადვილესი არის.“<sup>7</sup>

დაავადება წითელა ამავე სახელწოდებით იყო ცნობილი ძველ ქართულ მედიცინაში. იგი XI საუკუნიდან დაწყებული თითქმის ყველა სამედიცინო წყაროში არის აღწერილი. წითელას დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა: პირის სიმშრალე, ტემპერატურის პომატება, კონიუნქტივობი, წითელი ფერის გამოწყარო, რომელიც შემდეგ აქერცვლას განიცდის.

<sup>1</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 556.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 556, 557.

<sup>3</sup> ამ შემთხვევაში ახალგაზრდა, ყმაწვილი იგულისხმება და არა სქესი.

<sup>4</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 504.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 505.

<sup>6</sup> იხ. პირველი წიგნის IX თავი, რომელიც ბ. რ ა კ ვ ე ლ ი ს შ ი ე რ ა რ ის დაწერა.

<sup>7</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 504.

„ნიშანი წითლისა მანკისა: იგი არს, რომელ პირი მშრალად ედგას და შფოთად ჩქარად იყოს, და თვალნი წითლად ედგნენ და ბუნებაი ეშლებოდეს, და მაშინ წითელი გაბერილი გამოჩნდეს... გაბერილობაი გახმეს.“<sup>1</sup>

მკურნალობის მიზნით მიმართავდნენ სისხლის გამოშვებას კოტოშის საშუალებით: „თუ სნეული ემაწერილი იყოს კიქაი მოკიდონ და სისხლი ღია გამოიღონ, რომელ ესე მანკი ღია სისხლისა გამოღებითა დასწყენადების“.<sup>2</sup>

ავადმყოფს ენიშნებოდა გასაგრილებელი სასმელები, ეკრძალებოდა ისეთი საკვების მიცემა, რომელიც კუჭ-ნაწლავის მოქმედების აშლას გამოიწვევდა, და სხვ.

„კურნებაი მისი იგი არს, რომელ ეგეთთა საქამადთა კამდეს რომელ სინედლესა მოუმატებდეს ვითა ქრთილისა წყალი და ახლისა აყიროისა წყალი. და ეგეთსა ნურას კამს რომელ მუცელი დააღბოს, ვითა ბეკესა რუბი, და ტაბაშირი, დაბეკდილი მიწაი და არაბული გომიზი, და კოწახურისა წყალსა სმიდეს. და რაი მანკი გარდვიდეს თუთუბისა ურწყუი კამოს ცოტათა ნუშისა ზეთითა. და რაი გაბერილობაი გახმეს ვარია კამოს თუთუბითა შექმილი.“<sup>3</sup>

შედარებით უფრო მძიმე გადაადებ დაავადებად ითვლებოდა ხუნაგი. უკვე XI საუკუნეში არჩევდნენ ხორხისა და ცხვირის ხუნაგს: „თუ ცხვირშიგა ჩაუვიდეს და ცხვირი გაუსივდეს.“<sup>4</sup>

იმ დროისათვის ცნობილი იყო ამ დაავადების ისეთი ნიშნები, როგორიც არის ხახის ტკივილი, გასივება, ყლაპვის გაძნელება და სხვ.

„ხუნაყი ამას ქუიან რომე ხახა სტკიოდეს და საკმელსა ვერა ჩანთქმიდეს და ყელიცა გაუსივდეს, ესე ავი სენი არის.“<sup>5</sup>

ავადმყოფი შეიძლება „ნამეტნავად ცხელი იყოს, და მაჯა წურილად და ჩქარად სცემდეს“<sup>6</sup>, ე. ი. მომატებული ჰქონდეს ტემპერატურა.

მსგავსი ნიშნებით არის აღწერილი ეს დაავადება XIII და შემდეგი საუკუნეების სამედიცინო წყაროებში.

„წიგნი სააქიმოი“ ვკითხულობთ: „სისხლისა სიმბურვალითა და მორევნისაგან იქნების, ანუ ზაფრისა სიმეტითა რომელ ხორხთა ხორცთა შიგან შეყრილიყუნენ და მოერივნენ, და სიმსივნედ შექნილ იყოს.“

რაი სისხლისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერი და პირი წითლად იყვნენ მისი, და ნერწყუვათა ძლიეს ნთქმიდეს. და ნიშანი მისი რაიცა ზაფრისაგან იყო იგი არს, რომელ ფერად ყვითლად იყოს და აცხრობდეს.“<sup>7</sup>

„რაიცა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერად თეთრი იყოს და სინედლე პირისაგან ღია სდიოდეს, და ტკივილი ლბილად იყოს, და ძარღვი ადგომილ იყვნენ. და ნიშანი მისი რაიცა სევდისაგან იყოს იგი არს, რომელ ფერი შავგუარი იყოს მისი.“<sup>8</sup>

მართალია, ამ აღწერილობაში ხუნაგის ნიშნები ორგანიზმის ოთხი სითხის

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 266, 267.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 247.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 246.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 247.

<sup>7</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 150.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 151.

(სისხლის, შავი, ყვითელი ნალექისა და ლორწოს) მდგომარეობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ისინი ამ დაავადების სხვადასხვა ფორმისთვის არიან დამახასიათებელი.

XVIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ ხუნაგის დროს „კაცი იგრძნობს ტკივილს ყელში და კისერში. დიდის გაკირვებით დაიწყებს სუნთქვას და ყლაპვას დაუშლის. ამასთან ნაზლა დაუწყებს პირიდან ღენას, თვლები გაუწითლდება და თუ მალე არ უშველეს იქნება კიდევ დაარჩოს“<sup>1</sup>.

ხუნაგის სამკურნალოდ ავადმყოფს ენიშნებოდა ყელში გამოსავლები სხვადასხვაგვარი წამლები, რომელთა ხმარებას, ცხადია, კარგი შედეგის მოცემა არ შეეძლო. ამიტომ უკიდურეს შემთხვევაში, როცა ასფიქსიის ნიშნებს („თუ ხუნაგისა უფალსა ფერი გაუმწვანდეს და თვალისა გარშემო გაუშავდეს, მასვე წამსა მოკვდეს“<sup>2</sup>) შეამჩნევდნენ, მიმართავდნენ ტრაქეოტომიას: „და თუ ამით წამლითა არ იჯობინოს და სიკუდილისაგან საშიშოი იყოს, უმჯობესი იგი არს, რომელ ხორხისა ყერყექსა ქვეშ გახვრიტოს ორთავე მრგვალთა“<sup>3</sup>.

როცა დაავადება ჩამთავრდებოდა, ხერულს გაკვრავდნენ: „და რაი სიმსიენისაგან მოკპით იყოს ხურელი შეკეროს...“<sup>4</sup>

ასეთი იყო ბავშვის ორგანიზმისა და ბავშვთა ასაკის დაავადებათა გაგება ძველ ქართულ მედიცინაში. რაც შეეხება ბავშვთა დაავადებათა მკურნალობას და წამალთა დოზირების თავისებურებებს, ამაზე დაწვრილებით ლაპარაკი გვექნება, როდესაც მკურნალობის ზოგად პრინციპებსა და სამკურნალო საშუალებებს განვიხილავთ.

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 136, ფ. 33 რ.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 247.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 151.

<sup>4</sup> იქვე.

## კანის დაავადებანი

წერილობითი ცნობები კანის დაავადებათა შესახებ უკვე V საუკუნის ქართულ წყაროებში გვხვდება.

ძველად საქართველოში კანის დაავადებათა განვითარებას უმთავრესად ორგანიზმის ოთხ სითხეს—სისხლსა, ლორწოსა, ყვითელ და შავ ნალველს—შორის წონასწორობის დარღვევით ხსნიდნენ. შემჩნეული ჰქონდათ, რომ კანის დაავადებათა გამოწვევას არაიშვიათად ხელს უწყობს ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები. ძველ ქართულ სამედიცინო და არასამედიცინო დამწერლობით ძეგლებში აღწერილია სინესტის, შიმშილობის, უსუფთაობის და სხვა მსგავსი მიზეზების შედეგად განვითარებული კანის დაავადებანი.

აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ იაკობ ცურტაველის თხზულებაში — „შუშანიკის წამება“: „... ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაშურომითა, ფსალმუნებითა და გალობითა. ღ: არცა—ლა მცირედ საღა სცა ხორცთა მისთა განსუენებთი, და შეიქმნა და დაღნა ვითარცა ავლი.

ხოლო დიდთა მათ მარხვათა აღვსებისათა ერგასისთა მათ ღღეთა, ექუსთა წელთა შინა არცა, ღღისი, არცა ღამე არა დაჯღის ქუე, არცა დაიძინის, არცა საქმელი რაი მიიღის... და ვითარცა მეშუიდე წელი დადგებოდა, მოიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებათა ხორცთა მისთა და დაუტხრომელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერხნი მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილდ—ადგილდ და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს...“<sup>1</sup>

ვიდრე დაავადებებს განვიხილავდეთ, საჭიროა გავეცნოთ, თუ რა ეწოდებოდა გამონაყარს, რა და რა გამონაყარ მორფოლოგიურ ელემენტებს არჩევდნენ, როგორ ხდებოდა მათი შეფასება და სხვ.

ძველ ქართულ მედიცინაში გამონაყარს სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ. ყველაზე უფრო ხშირად იხმარებოდა მსხმო, მუწუკი და მღერი. ეს ტერმინები გვხვდება მრავალ უძველეს ქართულ როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო დამწერლობით წყაროში.

მსხმო ეწოდებოდა ყოველგვარ გამონაყარს, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი—კანზე, თუ შინაგანი ორგანოების ზედაპირზე: „კაცსა რომე მუწუკმან და ან სხვამან მსხმომან დაჰყაროს, და ან შიგნით გვამშიგა გამოეხსას.“<sup>2</sup>

მსხმოს საბა ასე განმარტავს: „მსხმო მუწუკი, თუ ხორა რაიცა დაჰყაროს.“

<sup>1</sup> იაკობ ცურტაველი, „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 41, 42.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 508.

თვითონ სიტყვა გვიჩვენებს, რომ მსხმო არის ის, რაც გამოესხმის.

მუწუკი საკუთრად ფურუნკულსაც ეწოდებოდა და გამონაყარსაც. არსებობდა შეხედულება, რომ მუწუკი, რომელიც ოცდაათი-ორმოცი დღის განმავლობაში არ განიკურნებოდა, სენი იყო, ე. ი. დაავადება და არა მუწუკი.

„... კაცსა რომე მუწუკმან და ან სხვამან მსხმომან დაჰყაროს, და ან შიგნით გვამშიგა გამოესხას, თუ ესე მუწუკი ან ოცსა, ან ოცდაათსა დღესა გამოერწყო და გაუმრთელდეს, იმას მუწუკი ჰქვიან. და თუ ოცდაათსა და ან ორმოცსა დღემდისინ არ გაუმრთელდა, და ორმოცსა დღესა გადასჰარბდა, ის მუწუკი კი აღარ იქნების და ორმოცსა დღესა უკან სენი დაერქმის...“<sup>1</sup> ეს აზრი ასე უნდა გავიგოთ: მუწუკი და მსხმო, რომელიც მხოლოდ მუწუკია, მსხმოა და სხვა რომელიმე დაავადებას არ ახლავს, ოცი-ოცდაათი დღის განმავლობაში უნდა განიკურნოს. მაგრამ თუ მუწუკი, მსხმო ამ ხნის განმავლობაში არ განიკურნა, ეს ნიშნავს, რომ იგი სხვა რომელიმე ზოგადი დაავადების გამოხატულებაა და არა ადგილობრივი მოვლენა.

რაც შეეხება მღერს, მისი გაგების შესახებ დაავადება მღერის განხილვის დროს გვექნება ლაპარაკი.

როგორც ირკვევა, პირველადი მორფოლოგიური ელემენტებიდან ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა ლაქა, კვანძი, ხორკლი, ბუშტუკი, ხოლო მეორადი მორფოლოგიური ელემენტებიდან ეროზიო, წყლული, ქერცლი, ქერქი, ნაწიბური და სხვ.

შეუმჩნევიათ, რომ ტანზე ლაქების გაჩენა „ფიცხელთა სნებათაგან გამოჩნდების.“<sup>2</sup> მათ ქვეშ ის ინფექციური დაავადებანი იგულისხმებოდა, რომლებსაც მართლაც ახასიათებს ტანზე ლაქების გაჩენა.

ბუშტუკებს იგივე სახელი ერქვა, რასაც ახლაც ეუწოდებთ. „უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „ბუშტ-ბუშტივითა და შიგ საესე იქნება.“<sup>3</sup>

შეიძლება ბუშტუკში ჩირქიც ყოფილიყო: „მისგნით თხამლი სდიოდეს.“<sup>4</sup>

საინტერესოა, რომ ბუშტუკებს ყვავილიც ეწოდებოდა, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ამ დაავადებას ბუშტუკების გაჩენა ახასიათებს: „ყვავილივითა გაბერილობაი გამოჩნდეს, და ეგრე გახდეს რომელ ცეცხლითა დამწუარასა ჰგვანდეს იგი.“<sup>5</sup>

რაც შეეხება წყლულს, მისი გაგების შესახებ დაწვრილებით გვექონდა ლაპარაკი ამ ტომის პირველ წიგნში (იხ. IV თავი — „ჯანმრთელობა და დაავადება“) და აქ აღარ გავიმეორებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ წყლულის სამედიცინო გაგება სხეულის ყოველგვარ მორფოლოგიურ დარღვევას გულისხმობდა.

საყურადღებოა აგრეთვე ცნობები ისეთი მეორადი მორფოლოგიური ელემენტების შესახებ, როგორიც არის ქერცლი, ნაწიბური და სხვ.

მოგვყავს ზოგიერთი მაგალითი: „თავზედა ქატოვითა მოეკიდების“<sup>6</sup>, „ცო-

1 „ილიგარ დაუდი“, გვ. 508.

2 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 256.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 379.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 276.

5 იქვე, გვ. 265.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 370.

ტა ცოტა ქერკი უხმებოდეს.“<sup>1</sup> „კაცმან რომე მოიფხანოს ანაკვეთისავით ქერც-ლი ასცვიოდეს...“<sup>2</sup> „ვისცა ნამუწუჯარი, ან ნაყვავილები აჩნდეს,“<sup>3</sup> ე. ი. ნაწი-ბური ჰქონდეს.

მორფოლოგიური ელემენტების შეფასების დროს ძველი ქართველი ექი-მები გარკვეულ ყურადღებას აქცევდნენ მათ ფერს, ზომას, ფორმას, კონსის-ტენციას და სხვ. როგორც ცნობილია, ასეთი მაჩვენებლების დადგენას უაღ-რესად დიდი მნიშვნელობა აქვს კანის დაავადებათა დიაგნოსტიკაში.

ლაქებს ფერების მიხედვით ასხვავებდნენ. არჩევდნენ შავს, წითელს, თეთრს, ყვითელს და სხვა ფერის ლაქებს.

მაგალითად. „იადიგარ დაუღში“ ვკითხულობთ: „კაცი აქრელდების და ფოთოლ-ფოთოლი თეთრი ლაქები დააჩნდების.“<sup>4</sup>

ცნობები გამონაყარის ზომისა და კონსისტენციის შესახებ: „ისი იყოს წურილი მარცხალივითა.“<sup>5</sup> „წურილი და მაგარი იყოს.“<sup>6</sup> „მუხუდოს ოდენი იყოს. ანუ უფროსი.“<sup>7</sup> „ვეტუივითა წურილ-წურილად გამოეხმის.“<sup>8</sup> „მწვედ წურილი იყოს...“<sup>9</sup> და სხვ.

საინტერესოა, რომ ძველი ქართველი ექიმები კანის დაავადებათა დიაგ-ნოსტიკაში გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თანამედროვე მედიცინაში წნევის ფენომენის სახელით ცნობილ ნიშანს. აი, რას ვკითხულობთ ამის შე-სახებ XVI საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო წერილობით ძეგლში: „რა თითა დააქირო, სიყირშიზე კი წაყიდეს და ყუითელი კი დარჩეს.“<sup>10</sup>

პირველი წერილობითი ცნობა კანის დაავადების შესახებ იაკობ ტურტა-ველის თხზულებაში — „შუშანიკის წამება“ გვხვდება. ამ თხზულებაში ვკით-ხულობთ: „...სრსვილმან საძოვარი პოოს შენ თანა.“<sup>11</sup>

რას უნდა ნიშნავდეს ეს? რა არის სრსვილი, რომ მას მოძოვა, რისიმე მოკმა ახასიათებდეს?

„უსწორო კარაბადინზე“ დართულ ლექსიკონში ასეთი განმარტებაა მო-ცემული: „სრსვილი, წვრილი მსხმო, მღერი იგივე სირსვილა, ან სირსვილი, კანის დაავადება, კანის დასივება.“<sup>12</sup>

საბას ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ სრსვილი არის „ხორცთ მძოარი.“ ხოლო მძოარი — „მუწუკი თმათ მაცვიფებელი“.

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 258.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 526.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 508.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 525.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 380.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 379.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 505.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 506.

<sup>11</sup> ი ა კ ი ბ ტ უ რ ტ ა ვ ე ლ ი, „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბი-ლისი, 1946, გვ. 35.

<sup>12</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 512.

მაშასადამე. სირსვილი ისეთი ავადმყოფობაა, რომლის დროს ჩნდება მუწუ-  
კები და ადგილი აქვს თმის დაცვენას. იგი გვაგონებს თმის ტრიქოფიტიას.

მართლაც, თმა კარგავს მოქნილობას და ადვილად ტყდება თმის ტრიქოფი-  
ტიის დროს. თმის გადატენა სხვადასხვა სიმალლეზე ხდება და ეს ისეთ სუ-  
რათს ქმნის, თითქოს თავზე თმა ბლავი მკერატლით იყოს გაკრეპილი, გადა-  
ხოტრილი უსწორმასწოროდ. ალბათ, აქედან წარმოდგა მისი მეორე სახელწო-  
დებაც — მხოტრაგი. თუ დავაკვირდებით „შუშანიკის წამებიდან“ მოყვანილ  
ტექსტს „სრსვილმან სამოვარი პოსს“, ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ  
ამ შემთხვევაში საქმე ეხება დაავადებას, რომელიც იწვევს თმის ადგილ-ადგილ  
პოქენას. „მომოვას“.

თანამედროვე მედიცინაში ცნობილი გახდა, რომ სირსვილს, ანუ ტრიქო-  
ფიტიის, დროს ავადდება არა მარტო თმა, არამედ კანი, ფრჩხილები, შინაგანი  
ორგანოები, ძვლოვანი სისტემა და სხვ.

ლოკალიზაციის მიხედვით, ამჟამად არჩევენ თავის თმიანი ნაწილის, უთმო  
კანისა და ფრჩხილების ტრიქოფიტიას. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობები  
გვხვდება XI საუკუნის წყაროებში.

იმ ხანად გამოყოფდნენ თავისა და ტანის სხვა მიდამოების სირსვილს. ისიც  
ცოდნიათ, რომ ეს დაავადება შეიძლება იყოს ორი სახის: ზერელე და ღრმა.

ზერელეს ბარნაი ეწოდებოდა. იგი „ხორცშიგა არ ჩაჭდების“, ვრცელ-  
დება, გადადის სხეულის სხვადასხვა მიდამოზე.

ღრმა სახის სირსვილს საფა ერქვა. იგი უმთავრესად თავის თმიან ნაწილ-  
ზე ვრცელდება, შეიძლება გამოიწვიოს კანში ცვლილებები, რასაც გამონადე-  
ნი მოჰყვება.

„ნიშანი საფასი და ბარნაი რომ არს სურსაილი. საფა თავზედა გამოვა  
და ბარანა პირისა სახესა და ტანზედა მღერივითა იქნების, მაგრა ხორცშიგა  
არ ჩაჭდების, არც მოსკამს, გარეთ ტყავზედ იქნების, გაფარდეს და გაპრტყელ-  
დეს და გამრავლდეს ტანზედა, არც სტკიოდეს და არც ქაოდეს და არც ეწო-  
დეს, თუცა ქაოდეს ცოტად.

საფასა ნიშანი ეს იყოს, რომე თავის ტყავზედა გამოვა რაგვარადაც წურო-  
ლი მღერი და ორი რიგი იქნების ერთი ნიშანი იქნების რომე მისგან ნამი ამო-  
ვიდეს თხელი ანუ სქელი, როგორაც თაფლი.“<sup>1</sup>

XV საუკუნისათვის აღნიშნულთან ერთად ფრჩხილების სირსვილსაც არ-  
ჩევენ. „სამკურნალო წიგნში“ კვითხულობთ, რომ სირსვილი „შეიქნების  
თავსა და ტანსა... და არს ესე ერთი ფერი სურსელი და კურტი—დაპება  
ფრჩხილისა...“<sup>2</sup>

იქვე, ქვემოთ, უფრო მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ სირსვილი „ორისა  
ფერისაგან იქნების: ერთი საფაშირინა ქუიან, და ერთსა გარისაფაშირინა, პირ-  
ზედ გამოესხმას და მერმე ტანშიგან მივა, და საფა თავზედა გამოესხმის.“<sup>3</sup>

მაშასადამე, შეუძნევიათ, რომ სირსვილი შეიძლება იყოს თავის მიდამო-  
სი, ტანისა და ფრჩხილებისა. ამასვე მოწმობს აღნიშნული ძეგლის შემდეგი აღ-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, ვვ. 375, 376.

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი“, ვვ. 308.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 313.



გილი: „სხუა წამალი—ს ა დ ა ც ა ს უ რ ს ი ლ ი ი ყ ო ს, ყ უ ე ლ ა ს ა უ შ უ ე-  
ლი ს.“<sup>1</sup>

სირსვილის გამომწვევი მიზეზი—სოკო ტრიქოფიტონი—მხოლოდ XIX საუკუნეში იყო აღმოჩენილი მიკროსკოპის გამოყენებით. ამიტომ ამ დრომდე სხვადასხვა მცდარი წარმოდგენები არსებობდა ამ დაავადების ეტიო-პათოგენეზის შესახებ. მაგალითად, ფიქრობდნენ, რომ სირსვილი ვითარდება სისხლის დაქარბების გამო,<sup>2</sup> საყვების არასათანადოდ მონელებისა და ცუდად ათვისების შედეგად და სხვ.<sup>3</sup>

სირსვილის მკურნალობაც არ იყო შესაფერისი და მიზანშეწონილი.

XI საუკუნეში მიმართავდნენ სისხლის გამოშვებას ან კოტოშის მოკიდებას. ავადმყოფს ენიშნებოდა სხვადასხვა ზეთების შეზღა; ურჩევდნენ თმა დაეებანა მძარწყალში მოხარშული ხორბლის და ჭარხლის წვენით და სხვ.

„საფასა წამალი, თუ სისხლი მეტი იყოს უწინ ყიფალი გაუხსენ, მერმე კისერზედ ორგნით კოტოში მოჰკიდე, თუ არ ეშველოს შუბლის ძარღვი გაუხსენ. და თუ საფა ხმელი იყოს ყურის უკან ძარღვი არის ის გაუხსენ და მისი სისხლი თავზედ შესცხვე. მერმე წითელი მალამა, რომე ზეთის ხილისაგან ზეთისა და ზარდანჩონისაგან და ძრმისაგან შექმნილი იყოს, იმას დასცხვბდი მარგე არის. აიღე: ხვარბლის ქატო და ჭაკუნტლის ფურცელი, ეს ძრმითა და წყლით მოადღდე და თავი იმით დაბანე.“<sup>4</sup>

ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა დაავადება ქაჩალი (ფავუსი—Favus), რომელიც XI—XIII საუკუნეების სამედაცინო დამწერლობით ძეგლებში თავის წყლულისა, ქაბრის და საფას სახელით იხსენიება.

„უსწორო კარაბადინში“ ეს დაავადება აღწერილია შემდეგნაირად: „ნიშანი ქაბრისა, რომელ ქატოსა ჰქვიან, რომე თავზედა ქატოვითა მოეკიდება. ისი ორისაგან არის: ერთი აყაფა ჰქვიან და მისი ნიშანი ეს არის, რომე თავისა ტყავზედა იქნების თმისა ძირსა, და თავი შიგნითა მართლად იქნების. მეორე თავისა ამხანავობითა იყოს და ქატო ბევრი იყოს. ესეც იქნების, რომე თავი დაწყულულო, და თმისა ძირი გასივდეს.“<sup>5</sup>

მაშასადამე, თმას აქვს ისეთი შესახედაობა, თითქოს ზედ ფქვილი ან ქატო ჰქონდეს გადაყრილი. ზიანდება თმის ძირები, შეიძლება იგი გასივდეს და დაწყულდეს. რასაც არაიშვიათად აქვს ხოლმე ადგილი ფავუსის დროს.

XI საუკუნეში არჩევდნენ ამ დაავადების ორ ფორმას: მსუბუქსა და მძიმეს: „თუ სუბუქი ქერტლი იყოს თმისა ძირსა... თუ უფრო ავი იყოს მღიერი და წყლული.“<sup>6</sup>

XIII საუკუნეშიც ორ ფორმას არჩევდნენ, მაგრამ არა დაავადების სიმძიმის. არამედ ხასიათის მიხედვით. გამოყოფდნენ ხმელსა და ნედლ სახეებს. „თუ გწადდეს შეტყობაი, ესე მანკი ორფერად იქნების ხმელი და ნედლი.“<sup>7</sup>

1 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 313.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 376.

3 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 308.

4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 376.

5 იქვე, გვ. 370.

6 იქვე, გვ. 371.

7 „წიგნი სააქიში“, გვ. 54.

თუ ქერქის აძრობის შემდეგ მშრალი და მოყვითალო ფერის კანის ზედაპირი გამოჩნდებოდა, ეს დაავადების ხმელი ფორმა იყო, ხოლო თუ სველი გამონადენი იქნებოდა, ეს უკვე ნედლი ფორმა იყო.

„რომელ წყლული თავსა შეყრილ იყოს, რაიცა ხმელი იყოს და მოფხანონ მქისე ტყავი ეხდებოდეს და მერმე ყვითლად მოაჩვენებდეს, და რაიცა ნედლი იყოს ნიშანი იგი არს რომელ თხმალი ყვითელი იყოს.“<sup>1</sup>

ავადმყოფს ურჩევდნენ გაწმინდა კუქ-ნაწლავი, ხშირად დაებანა თავი მუხუდოსა და კარხლის ფოთლის ნახარშით. დაბანის შემდეგ თმის ძირებში სხვადასხვა სახის მალამო უნდა შეეზილა.<sup>2</sup>

როგორც „წიგნი სააქიმოიდან“ ირკვევა, XIII საუკუნისათვის აღნიშნული დაავადების მკურნალობა რამდენადმე განსხვავებული იყო. დაავადებულ ადგილს უხეში ტილოთი გაწმენდნენ, ვიდრე კანიდან სისხლი არ გამოედინებოდა. შემდეგ ბროწეულის ქერქს, ტყვიის ეანგს, ძმარს, ვარდის ზეთს ერთად აურევდნენ და დაავადებულ მიდამოზე დაადებდნენ.

„მქისთა მჩუართა გაწმინდოს და მოსმითა გაასისხლიანოს. რომელ სისხლი ადინოს, მერმე ზარდაჩობაი<sup>3</sup> და ინაი და მურდასანგი და ძმარი და ბროწეულისა ქერქი და ვარდის ზეთი ავანსა შიგან ერთგან გაგალოს და მას დასდებდეს.“<sup>4</sup>

ამას გარდა, მიმართავდნენ დაავადებული ადგილის დასეგრვას და გამონადენი სისხლის შეზღლას: „დაწოლისა ეამსა მანკისა ადგილი გაშაშრონ და იგი სისხლი თავსა შესცხონ.“<sup>5</sup>

ავადმყოფს ურჩევდნენ დაეცვა დიეტა: ტკბილსა, მლაშესა და მწვევე საკმელებს მორიდებოდა. მიედო ადვილად მოსანელებელი საკვები.

„ტკბილსა და მლაშისა და ფიცხელისა საკამანდისაგან ფაჰრესა იქმოდეს, და ლბილსა საკამადსა კამდეს.“<sup>6</sup>

არანაკლებ საყურადღებო ცნობები გვხვდება V საუკუნისა და შემდეგ ბანის წყაროებში მუნის, ანუ მღერის (Scabies) შესახებ.

„შუშანიყის წამებაში“ ვკითხულობთ „... მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა... დამდიერებულნი...“<sup>7</sup> ე. ი. იმ ადგილის მცხოვრებნი დაავადებული იყვნენ; ზოგ მათგანს მღერი ჰქონია, რასაც ახლა მუნსაც უწოდებენ.

სამედიცინო წყაროებში მოცემულია ამ დაავადების ნიშნების აღწერილობა, გარჩეულია მისი ცალკეული სახეები. მაგრამ, ვიდრე მას განვიხილავდეთ. საჭიროა განიმარტოს, თუ რას ეწოდებოდა მღერი, რა იგულისხმებოდა ამ ტერმინის ქვეშ. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ძველ ქართულ მედიცინაში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მღერი მხოლოდ მუნს არ ნიშნავდა.

ჯერ გავეცნოთ, როგორი განმარტებები არსებობს და შემდეგ გავარჩიოთ

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 54.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 371.

3 ზარდანობა მცენარეა, Curcuma Longa L. იხ. „წიგნი სააქიმოი“, გვ. 309.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 54.

5 იქვე, გვ. 55.

6 იქვე, გვ. 54.

7 ი ა კ ბ ტ უ რ ტ ა ე ე ლ ი, „წამებაი წმიდისა შუშანიყის დედოფლისაი“, დასახელებული გამოცემა, გვ. 41.

საბუთები. რომლებიც მოგვეპოვება იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ მღერი მხოლოდ მუნს არ ეწოდებოდა.

საბა განმარტავს, რომ მღერი ძნელი მუნია,<sup>1</sup> ხოლო მუნი, მღერი და ხორა სამივე მღერია. უადვილეს უძნელესი.<sup>2</sup>

„უსწორო კარაბადინზე“ დართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „მღერი, იგვე მღერი. ქეცი. ან მუნი წვრილმუწუკებიანი. მწვავე ფხანა ქავილს იწვევს Eczema.“<sup>3</sup> იქვე აღნიშნულია: „მუნი, ქეცი წვრილმუწუკებიანი მსხილი. მასვე უწოდებენ თავის ყვავილს.“<sup>4</sup>

თავის ყვავილს განმარტებაში კი ნათქვამია: „თავის ყვავილი მუნი ანუ ქეცი, წვრილმუწუკებიანი მსხილი, რომელიც მწვავე ფხანაქავილს იწვევს.“<sup>5</sup>

„წიგნი სააქიმოსა“ და „იადიგარ დაუდის“ ლექსიკონში მღერი გაგებულა როგორც ეგზემა.<sup>6</sup>

მართალია მღეროს, ანუ მღერს მუნისა და ეგზემისათვის დამახასიათებელი ნიშნების მქონე დაავადებებს უწოდებდნენ, მაგრამ სამედიცინო წყაროებში არსებული ცნობების შესწავლით ირკვევა, რომ მღერის ზემოაღნიშნული განმარტებები არასრულია; ამ განმარტებების მიხედვით ბოლომდე არ არის გარკვეული, რა არის მღერი.

მღერი რომ მხოლოდ მუნს ან ეგზემას რქმეოდა, მაშინ რატომ იტყოდნენ „უქსა, შარდის ბუშტა და სხვა ორგანოებში მღერის გაჩენის შესახებ.

„უსწორო კარაბადინში“ კი მრავალჯერ არის აღწერილი დაავადებანი, რომლებსაც ახასიათებს შინაგან ორგანოებში მღერის გაჩენა. მაგალითად, წამალი. თუ სტომაქსშივა მჯდომი იყოს ან მღიერი გამოჩნდეს...“<sup>7</sup> ან კიდევ: „ნიშანი ფსლის შეკურისა, მისი მიზეზი სიმსივნე არის ბუშტის თავისა, და მღიერი არის რომე ბუშტის თავსა გამოვ...“<sup>8</sup> შემდეგ რქვე: „თუ ბუშტშივა მღიერი იყოს, მისი ნიშანი ის არის...“<sup>9</sup>

„... ამბარა მღერი არის, ერთობ მხურვალი და წვითა ამოვა, ერთობ ქაოდეს და ტყავიცა მოსქამოს და ბაყლიცა სდიოდეს, და მღერი ხმელი და შავი გამოესხას და კიდევ ყარდეს. და მღერი მუხულოს ოდენი იყოს, ანუ უფროსი. და ესეცა იქნების რომე მღერი არ გამოუჩნდეს მაგრა ის ადგილი ქაოდეს. ეწუოდეს.“<sup>10</sup>

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის სათქმელად, რომ მღერი, რომელიც ახლა კანის დაავა-

<sup>1</sup> ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ ა ქ-ოთა და წინასიტყვაობით, სახელგამი, თბილისი, 1949, სიტყვა მუნი.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 504.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 400.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 490.

<sup>6</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 319. „იადიგარ დაუდი“, გვ. 715.

<sup>7</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 273.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 354. ხაზი ჩვენია.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 379.

დებას — მუნს ეწოდება, თავდაპირველად არ ნიშნავდა არც მარტო მუნსა და ეგზემას და არც მარტო ცალკე დაავადებას.

არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მღერი ძველ ქართულ მედიცინაში ყოველგვარ (პოლიმორფულ) მორფოლოგიურ ელემენტს ეწოდებოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, კანზე თუ ლორწოვან ზედაპირზე. შეიძლება მას თანხლებოდა ანთება, შეიძლება იგი დაშლილიყო — დაწყულულებულიყო და სხვ. ამავე დროს იგი აერთიანებდა კანის დაავადებათა მთელ ჯგუფს. სადაც წედოდა მუნი, ეგზემა, წითელი ქარი და სხვა მსგავსი სნეულებანი, ხოლო შემდეგ ეს სახელი — მღერი—კანის დაავადებათა ამ ჯგუფიდან მხოლოდ მუნის სინონიმი გახდა.

XI—XIII საუკუნეებში არჩევდნენ ორი სახის მუნს: ნელსა და ხმელს: „იციოდით მუნი ორფერი არის, ერთი ნელლი და ერთი ხმელი.“<sup>1</sup>

ხმელი მუნის, ანუ მღერის დამახასიათებლად ითვლებოდა თითთა შუა ქავილი, გამონაყარი, გამონაყარიდან ზოგჯერ სითხის გამოსვლა.

„ნიშანი ხმელისა მღიერისა იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა თითთა შუა ქავოდეს და რაი მოერიოს თავი ამოყოს და სინედლე მისგნით სდიოდეს.“<sup>2</sup>

ნელლი მღერი კი, როგორც ეს აღწერილობის მიხედვით ირკვევა, პიოდერმიტით გართულებულ მუნს გულისხმობდა.

„ნიშანი ნელისა მღიერისა იგი არს, რომელ პირველ გაბერილობათა თითთა შუა გამოჩნდეს და ქავოდეს ფერად წითელი იყოს, და რაი განძლიერდეს ყოველგან დაიპანტოს, და რაი მოიფხანდეს მაშინ მისგნით ნელლი თხამლი სდიოდეს.“<sup>3</sup> ე. ი. მოფხანის დროს ჩირქი გამოვიდეს, რასაც მართლაც აქვს ადგილი, როცა მუნის დროს კანში ჩირქმბადი მიკრობები შეიქრება და პიოდერმიტი განვითარდება.

მღერის სამკურნალოდ იხმარებოდა რთული წამლები. რომლის შემადგენლობაში შედიოდა ყვითელი გოგირდი, ვერცხლისწყალი, „კალის ქვა“<sup>4</sup>. დარიშხანი, მცენარეული ნაცარი და სხვ. ყველა ამას დანაყავდნენ, გაცრიდნენ. ზეთისხილის, ვარდის ან რომელიმე სხვა ზეთით შეამზადებდნენ და ავადმყოფს სათანადო ადგილებში შეუზღებდნენ. ამის შემდეგ ავადმყოფი მზეზე უნდა დამჯდარიყო, სანამ წამალი არ გახმებოდა. ბოლოს ტანი აბანოში თბილი წყლით უნდა დაებანა.

„წამალი ხმელისა მუნისა, აიღე ვერცხლის წიდა ანუ მურღასანგი, აბუტარატი და ხმელი სოსანი და გრძელი ზარევიანი მღებართა კალისა ქვა და ვერცხლისა წყალი მოკლული, ოშნანი... გოგირდი ყუითელი და წითელი ზირინიხი. გუნდა, ყანგარა, უმარილო ამთგან სწორ სწორი, დანაყე. გაცარ და ზეთის ხილის ზეთითა ანუ ნიჯუზის ზეთითა შესცხე აბანოშიჯა, ან მზის პირსა და დაესხენ სადამდი გახმებოდეს, მერმე დაიბანოს.“<sup>5</sup>

ამისგან მცირედ განსხვავდებოდა ნელლი მღერის მკურნალობა.

„კირი და ვარდისა ზეთი ერთგან გაპრიოს და შესცხოს, და თუ გოგირღა

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 381.

2 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 259.

3 იქვე.

4 კალის ქვა, იგივე ოშნანი — Kalium carbonicum. იხ. „უსწორო კარაბადინი“, გვ. 507.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 381.

სელისა ზეთსა გაპროოს და შესცხოს და მზესა დაჯდეს ერგების და თუ გოგირდი თეთრი და ქერუშტი და წითელი ზარნინი თვითო: აგან ნაწილი ერთი, ვაზისა რქისა ნაცარი ყოველთა წამალთა ოდენი, ზეთითა შეზილოს და რაი აბანოთ გამოსრულ იყოს შესცხოს, ერგების.“<sup>1</sup>

ასეთივე საშუალებებითა და წესით მკურნალობდნენ მუნს შემდეგ საუკუნეებშიც.

XVIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: „მუნის წამალი შაბიაჰანი, გოგირდი, დამწვარი შაბი, ერთათ დანაყე კვერცხში ჩაყარე, ცოტა ფქვილი უყავ, რომ მოიზილოს კვერცხათ, თორნეში შეაგდე, გამოცხვეს ის დანაყე წმიდათ, ერბოში აურიე კარგათ, იმითი აბანოში შეუსვი, სანამდინაც უნლოდეს იყოს, მერმე იქვე აბანოში გაბანე და მორჩება, თუ გაძნელებული იყოს მეორეთაც უყავ გასცივია.“<sup>2</sup>

განსაკუთრებით საინტერესოა ცნობები დაავადება „სპარსული ცეცხლის“ შესახებ.

XI საუკუნის წყაროებში აღწერილია, რომ ამ დაავადებას ახასიათებს ქავილი, ძლიერი წვა, ტემპერატურის მომატება, შეიძლება გაჩნდეს ბუშტუკები, რომლებიც სითხეს შეიცავენ. მიმდინარეობს მძიმედ და ზოგჯერ სიკვდილით მთავრდება.

„თუ ათამფარასი იყო, ისი სენი ცეცხლსა ქუიან, მისი ნიშანი ის არის რომე მღერივით გამოვა თხელი, მოთეთრო, ბუშტ-ბუშტივითა და შიგ წყლით სახვე იქნების. ქაოდეს და ერთობ ნამეტნავად ეწოდეს“.

„...ტყავიცა მოსქამოს და ბაყლიც სდიოდეს და მღერი ხმელი და შავი გამოეხსას და კიდევ ყარდეს. და მღერი მუხუდოს ოდენი იყოს, ანუ უფროსი. და ესეცა იქნების რომე მღერი არ გამოჩნდეს მაგრა ის ადგილი ქაოდეს, ეწუოდეს. ესეც იქნების, რომე მწოვეთ ცხელება გამოუჩნდეს და კიდევ მოკუდეს.“<sup>3</sup>

XIII საუკუნის წყაროებში აღნიშნულ ნიშნებთან ერთად დასახელებულია დაავადებული ადგილის შესივება.

„ნიშანი ათაში ფარსისა: იგი არს, რომელ მანკისა ადგილი გასივდეს და ქავოდეს და ეწუოდეს, და ყვაილივითა გაბერილობაი გამოჩნდეს, და ეგრე გახდეს რომელ ცეცხლითა დამწუარსა ჰგვანდეს იგი.“<sup>4</sup>

შეიძლება ითქვას, რომ დაავადება „სპარსული ცეცხლი“, ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით, ყველაზე მეტად წითელ ქარს წააგავს, თუმცა ამ დაავადების ცალკეული სახეები (ბულლოზური, პუსტულოზური და სხვ.) წარსულში სათანადოდ არ იყო დიფერენცირებული.

ეს დაავადება ასეთივე ნიშნებით არის აღწერილი შემდეგი საუკუნეების ქართულ სამედიცინო დამწერლობით ძეგლებშიც.

სამკურნალოდ მოწოდებული იყო მალამო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: ტყვიის ქანგი, ქაფური და სხვა ნივთიერებანი.

„ესე წამალი შესცხოს ერგების, ვითარებაი მისი: სპეტი და მურდანანგი,

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 259.

2 „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 17, ფ. 10 რ.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 379.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 265.

და თეთრი სანდალი და ცოტაი ქაფური ყოველი დანაყილი ნებასა ზელითა შე-  
ზილოს ტკბილითა, და შესცხოს.“<sup>1</sup>

„სპეტისა მალჰამი და ქაფური შემოსდვას.“<sup>2</sup>

წითელი ქარის დროს ქაფურის ხმარება არც შემდეგ საუკუნეებში იყო და-  
ვიწყებული. XVIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: „წითელი  
ქარის წამალი. ქატოში ქაფური აურიევ, წითელ რაშიმე დაჰყარე, შეზღვე, გა-  
ქრება.“<sup>3</sup>

საყურადღებოა, რომ წითელი ქარის სამკურნალოდ ქაფურის 10—20% მა-  
ლაშო თანამედროვე მედიცინაშიც იხმარება.

წითელი ქარის დროს საჭიროდ ითვლებოდა ბუშტუკების ხელოვნური მო-  
ცილება „ამისთვის რომე წყალი აღარ დადგების შიგა.“<sup>4</sup>

ბუშტუკების შიგთავსი თუ დაჩირქდებოდა, მაშინ ბუშტუკებს გამოირწყამ-  
დნენ და მალამოთი მკურნალობდნენ: „და თუ ზოგთა მათ ყუთავილთაგან თხაჰ-  
ლი სდიოდეს, ყოველი ხელითა გამოწყოს, და მაშინ თეთრითა მალაჰამითა  
ჰკურნოს.“<sup>5</sup>

თუ წითელი ქარი ქვემო კიდურებზე გაჩნდებოდა, ასეთ შემთხვევაში ავად-  
მყოფს ნაკლები უნდა ევლო და ფეხჩამოკიდებული არ უნდა დამჯდარიყო.  
„ღია ნუ იარების და ფეხჩამოკიდებით ნუ დაქდების.“<sup>6</sup>

ავადმყოფს ეძლეოდა მითითება — სხეული სუფთად შეენახა, ხშირად ევლო  
ბანოში. სამკურნალო საშუალებებთან ერთად სასურველად მიიჩნდათ დიეტის  
დაცვა. „მხურვალთა და თავლიანთა ერიდებოდეს და გრილთა მიელტეოდეს.“<sup>7</sup>

წითელი ქარი, როგორც აღვნიშნეთ, მძიმე დაავადებად ითვლებოდა.  
კიდევ უფრო მძიმე დაავადებად ითვლებოდა კეთრი. კეთრი უძველესი დროიდან  
არის ცნობილი. იგი ძველ და საშუალო საუკუნეებში ძალზე გავრცელებული  
დაავადება იყო ცხელი სარტყლისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

პირველი ქართული წერილობითი ცნობა კეთრის შესახებ V საუკუნის წყა-  
როებში გვხვდება. მას რამდენიმე სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ. „შუშანიკის  
წამებაში“ მოიხსენიება. როგორც განბორების სალმობაი,<sup>8</sup> „ევსტათი  
წცხეთელის ცხოვრებაში“ და შემდეგი დროის სხვა არასამედიცინო და სამედი-  
ცინო წყაროებში იწოდება როგორც კეთრი. ქაშვეთელა: ხან ქაშოე-  
თელა: ჯუზამი. ბაყი, ბარასი და სე.

კეთრი და განბორების სალმობაი საბას ლექსიკონშიც გვხვდება. საბა გან-  
მარტავს, რომ: „განბორების სალმობაი კეთრის სნეულებაა.“ „კეთრი არის  
ხორცთა გათეთრება და ქერცლი.“

1 „წიგნი საჰიმოი“, გვ. 265.

2 იქვე.

3 „კარაბადინი“. ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შიგდრინის სახელობის სა-  
ქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. იოანე ბატონიშვილის ფოხლი, № 17,  
ჟ. 23 რ.

4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 380.

5 „წიგნი საჰიმოი“, გვ. 265.

6 იქვე.

7 იქვე.

8 იაკობცუტაველი, „წამებანი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, დასახელებულ  
გამოცემა, გვ. 40.

კეთრის განვითარების ნამდვილი მიზეზი არ იცოდნენ, მაგრამ კარგად იყო შესწავლილი მისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნები.

ცნობილი ყოფილა, რომ კეთრის დროს ადგილი აქვს კანზე ლაქების გაჩენას. ლაქები შეიძლება იყოს წითელი. შავი და თეთრი ფერისა. კანი გასქელებას განიცდის. უსწორმასწორო ხორკლიანი ხდება. ავადმყოფს გასცივვა წამწამები, წარბები, იგი კარგავს შეგრძნების უნარს და სხვ. ისიც შეუმჩნევიათ, რომ კეთრის დროს პათოლოგიური პროცესი შეიძლება ცხვირის ლორწოვან გარსზეც გავრცელდეს.

„ნიშანი ჭუზამისა, რომე ქაშოეთელისა ქვიან, მისი ნიშანი ეს იყოს. რაჟანს ფერი პირისა გაუწითლდეს და მერმე გაუშავდეს და გაუმსხვილდეს ხან ჩავარდეს და წამწამი და წარბი გასცივდეს და ცხუირისა არაფერი სული არ ეცემაოდეს და მუდამ ცხვირსა სცემდეს, და თავსა და პირს ნიადაგ ოფლი სდიოდეს და პირი უმწარდებოდეს და უყარდეს.“<sup>1</sup>

ცნობილი ყოფილა, რომ კეთრის დროს შეიძლება კანზე ბუშტუკები გაჩნდეს: „იმა ბაყზედა ყვაელივითა ამოვიდეს.“<sup>2</sup>

კეთრი XIII და შემდეგი საუკუნეების სამედიცინო წყაროებშიც არის აღწერილი, მაგრამ ნიშნების მხრივ არსებითი დამატებები არ გვხვდება და ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

კეთრის სამკურნალოდ მრავალგვარი წაშალი იხმარებოდა, უმთავრესად ტლევების სახით.

„ენდრო და შატრაჯი დანაყე სწორ და ძრმითა ტლედ შემოსდებლი. სხვა-ცა ტლე აილე, აბუტარატი და ზირნიხი ხუთხუთი დრამი, ბოლოკის თესლი ათი დრამი დანაყე და ზედ ძმარი დაასხი და ცას ქვეშ დადგი ერთსა დღესა, მერმე ტანი კარგად დაიბანე და მზესა ქვეშ შესცხე და ერთსა ჟამსა მზის ქვეშ იჯდეს, მერმე დაიბანოს.“

სხვა, უფრო ძალიანისა ტლისა, აილე: ბოლოკისა თესლი, პრასის თესლი, ფუა, აბუტარატი, შეთრაჯი, შამანდალი, მაზარონი, მდოგი, საყმუნია ეს წამლები სწორ სწორი ქენ, დანაყე და ძრმით შეზილე და ტლედ შემოსდევე ეს ტლე ერთობ ძალიანი არის. თუ ერთობ არ დაგეჰიროს, ნუ აჩჰარებ და როგორაცა იმა ბაყზედა ყვაელივითა ამოვიდეს მანამდე წამალს ნუ უზან, სადამდის არ დასწყინარდეს, მერმე კიდეე უწამლე.“<sup>3</sup>

როგორც „წიგნი სააქიმოიდან“ ირკვევა, კეთრის დროს, ხორკლოვანი მიდამო თუ მცირე ზომისა იყო, მიმართავდნენ მის დადაღვას: „და თუ არ დიდი იყოს ადგილი იგი დასდალოს და მაშინ ჰკურნოს, რომელ გამრთელდეს.“<sup>4</sup>

საინტერესოა იმავე ძეგლში მოცემული ცნობა: „და რაიცა მალიხულიასათვის გეითქვამს იხმაროს.“

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში, კეთრის დროს განვითარებული ნერვული მოვლენები იგულისხმება. ალბათ, ამიტომ ურჩევდნენ გამოეყენებინათ ისეთი სამკურნალო საშუალებანი, რომლებიც „მალიხულიას“ დროს იხმარებოდა.

<sup>1</sup> „უსწორო კარბადინი“, გვ. 376.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 375.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 263.

საინტერესოა. რომ XV საუკუნის ქართულ სამედიცინო წყაროებში კეთრს „სნება ლომისა“ ეწოდება. შემჩნეული ყოფილა, რომ ამ დაავადების დროს ავადმყოფის პირისახე (ხატი) ლომის სახეს წააგავს: „...ხატსა დაღუბჭირებს და შეასაქლებს, და გარყუნის ფერსა, და გაჰყინავს სისხლსა ადვილთა შინა ტანისათა, და სახელს-სდებენ—სნება ლომისა, რაოდენ აქცევს და შეშლის ხატსა და გარყუნის ფერსა და ამსგავსებს ლომის პირსა.“<sup>1</sup>

გარდა მედიკამენტური მკურნალობისა, ავადმყოფს უნდა დაეცვა გარკვეული დიეტა: „საჰმელი ასრე შეუწყეთ, რომე პურსა დანაყილსა ქერისაგან გამოაცხობდით, და ანუ ნახევარი ქერის და ნახევარი ხვარბლისა წმინდისა აჰამეთ თაფლითა რძითა ხორცსა მსუქანსა ქაჭრტელითა და პრასითა შექმნილსა აჰმევედით კაპრისა ძირისა და კამისა თესლისა ურევედით; და ბოლოცა აჰმევედით, და ქალმისა ჰამაც კარგი არის, და ახალი ლეღვიც კარგია და თეთრი ყურძენი საჰმელად, ნუშის გულიც კარგია და მოასაფარისა თესლიცა კარგია, რომე აღისარჩულისა საღებავსა ქვიან, ჯალოზაც კარგია.“<sup>2</sup>

კეთრი კანის გადამდებ დაავადებად ითვლებოდა, ამიტომ საჭიროდ მიიჩნდათ გარკვეული სიფრთხილის დაცვა.

„ესე სენი ძნელი არის და ძნელად გამოვა ამისგან კაცი, ესე ფსელსა გარყუნის კაცისასა და შვილსა გაუაუვებს და არც იგი გამრთელდება. და ვინცა ჰაშვეთელსა თანა იქნების, ანუ მისსა ჯამშიგა სჰამს და სუამს მასაც გაყუების, და ერთობ რიდება უნდა იცოდით ბრძანებითა ღთისათა.“<sup>3</sup>

კეთრის პროგნოზს განსაზღვრავდნენ კანზე ნეშის ჩხელეტის საშუალებით. თუ ჩხელეტის შემდეგ სისხლი გამოვიდოდა, ეს კარგი პროგნოზის მაჩვენებლად ითვლებოდა და პირიქით.

„ნემსითა დაჩხულეტა უნდა, თუ სისხლი ამოვა გამრთელდება, და თუ სისხლი არ ამოვა ავი არის.“<sup>4</sup>

არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი უნდა ყოფილიყო კანის მილიარული, ანუ ფეტვისებური ტუბერკულოზი (*Tuberculosis cutis miliaris*) და თეადორა (*Scrophuloderma*).

თეადორა უნდა იგულისხმებოდეს დაავადება დუღბულის ქვეშ, რომელიც „უსწორო კარაბადინში“ არის აღწერილი. დუღბული ხომ იგივე დურბელია, რომელსაც ხალხი ახლაც უწოდებს ამ დაავადებას.

„სხუა გამომავალი, რომე დუღბული ქუიან, ან ტანზედა გამოვა და ან ღლიასა, პირველად ნიგუზის ოდენი გამოვა, მერმე დღივ და დღივ იმატებს. როგორაცა გამოჩნდეს ბასალაკი გაუხსენ, თუ ცხელი იყოს და წითელი ის ალაგი, ვარდის ზეთით დაუზილე წყნარად.“<sup>5</sup>

მაშასადამე, დუღბულის დროს სხეულზე ან ილიის მიდამოში გამოვა კაკლის ოდენა სიმსივნე, რომელიც თანდათან გადიდდება. გადიდებული მიდამო

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 39.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 377.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 338.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 379.



გაწითლებულია. შეიძლება შესიებული ადგილი დაწყულულდეს: „დაწყულულდების და ყოველთა დღეთა იმატებს.“<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, ყველა ეს ნიშანი მართლაც ახასიათებს თეადორას. ეს დაავადება ასეთივე ნიშნებით აღწერილია XIII და შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც.

„ნიშანი დუნბალისა მჭდომისა იგი არს, რომელ ასო-სა ზედა სიმსივნე გამოჩნდეს და გადიდდეს, და ფერად წითელი იყოს; და სტკივლიდეს, და რაი ხელი მანკისა ადგილსა შემოსდესა ხურვიდეს.“<sup>2</sup>

თეადორას მკურნალობა გამოიხატებოდა იმაში, რომ შესიებულ მიდამოზე გამოსარწყავ წამლებს ადებდნენ, შემდეგ: როცა გამორწყვა დაიწყებოდა, მალამოს უსვამდნენ: „დაამწითოს და როგორაცა დამწიფდეს გაუხსენ, და თერი ნალამა შეუწყვე, რომე გამრთელდეს.“<sup>3</sup>

„... ნედლია და გრილთა შემოსადებელთა შემოსდებდეს, ვითა ბაზრაცხუნისა ლუბი და ქერისა ფქვილი და ძაღლის ყურძნისა წყალი და კვერცხისა თეთრი და მსგავსი მისი და თუ არ იჭობინოს ეგე გუარი რაიმე რომელ მჯდომთა ამწიფებდეს შემოსდვას, ვითა უგულო ჩამიჩი მარილთა დანაყოს და შემოსდვას. და თუ სწადდეს რომელ გაიბოს კირი რომელ წყალი არ მომხვდარ იყოს მისლა. ცმელითა დანაყოს და შემოსდვას მასვე წამსა გაიბობის და ელხინების.“<sup>4</sup>

ცნობილი ყოფილა, რომ ამ დაავადებას დროული მკურნალობა სჭირდება, თორემ შეიძლება იგი სიკვდილით დამთავრდეს.

„ამისსა კურნებასა ნუ მოღაფლდების, რომელ თუ ესე მანკი გაძლიერდების მკვლელი და საშიშოი იქნების.“<sup>5</sup>

კანის მილიარულ ტუბერკულოზს ძველ ქართულ მედიცინაში ფეტუა იწოდებოდა. მის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა კანზე ფეტვისებური გამონაყარი, რომელიც გამოყრის შემდეგ დაწყულულებას განიცდის. აღნიშნავდნენ, რომ წყლულის ფსკერზე წითელი ხორციე შეიძლება გამოჩნდეს.

„სხუა რომე ფეტუვითა წურილ წურილად გამოესხმის, და სადაცა გამოესხმის კიდეცა აუსიფდების და წყალიცა დასლიოდეს ყუითელი, მერმე რომე ხანი გამოვიდეს სული აედინოს.“<sup>6</sup>

„ღია სტკიოდეს და სიმსივნისა ძირსა წითელი ხორცი გამოჩნდეს.“<sup>7</sup>

სამკურნალოდ იხმარებოდა გრილი ტლევები: „აიღე სანდალი, ქაფური, ქანისი წუენი, ძაღლის ყურძენას წუენი, ქინძის წუენი, სანდალი და ქაფური შიგ გალესე და ცოტაი ქერის ფქვილი გაურივე და ზედ შემოსდევ.“<sup>8</sup>

ავადმყოფს ურჩევდნენ „ნატიფი საქამადი“ მიელო და ხშირად ებანა ტანი.

კანის დაავადებათა განხილვის დროს არ შეიძლება არ შევჩერდეთ მეჭეჭის

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 276.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 378.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 276.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 379.

<sup>6</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 276.

<sup>7</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 379.

<sup>8</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 277.

(Verruca) შესახებ არსებულ ცნობებზე. ეს დაავადება ამ სახელწოდებით ძველ-თაგანვე ყოფილა ცნობილი.<sup>1</sup>

XIII საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ მექეპის დამახასიათებლად ითვლებოდა: სიმქისე, მუქი ფერი, სიმკვრივე. შეიძლება ავადმყოფს ქავილიც აწუხებდეს: „...ნიშანი იგი არს რომელ მქისედ იყოს და ბნელ ფერი იყოს და ჭავოლეს ცა, და იქნების რომელ ცოტად ქერქი უხმებოდეს. და... სიმსივნე რა გამოჩნდეს მაშინ გამაგრდეს.“<sup>2</sup>

ალსანიშნავია, რომ უკვე XVI საუკუნისათვის ფორმის მიხედვით რამდენიმე სახის მექეპს არჩევდნენ.

„...მექეპი ბევრი ფერი არის, ერთი რიგი ეს არის, რომე თავი გაპობილსა-ცითა და დახეთქილსავეითა აქუს, და ერთი რიგი ის არის, რომე თავი გახეთქილსავეითა არა აქუს, და თავი მთელ აქუს, და ერთ რიგი მექეპი კიდევე არის, რომე იმას სახელად მისმარია ჰქუიან და ლუსმანსა გავს, და ამა მექეპსა ლუსმანსავეითა თავი დიდი ექნების და ძირი წურილი, და კაცსა ასოზედა როგორაცა ლუსმარი ისრე გამოვბმის, და ერთი რიგი კიდევე არის რომე, გრძელი ვრძელი იქნების...“<sup>3</sup>

არჩევდნენ ისეთი სახის მექეპსაც, რომელიც უმთავრესად სახისა და თავის შიდაშოში ჩნდება: „და ასეცა იქნების, რომე ამა მექეპისაგან ბევრსა კაცსა შუბლზედა გამოუვა, და ბევრსა კაცსა პირზედა გამოუვა...“<sup>4</sup>

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია კანის რქის (cornu cutaneum) შესახებ, რომელიც, მართლაც, უპირატესად სახისა და თავის შიდაშოში ჩნდება.

XIII საუკუნეში მექეპს მკურნალობდნენ კონსერვატული და ქირურგიული წესით.

კონსერვატული მკურნალობა მდგომარეობდა სხვადასხვა წასაცხები ან შესაზელი წამლების ხმარებაში, რომლებსაც მექეპის გაჭრობის თვისებებს მიაწერდნენ.

ქირურგიული მკურნალობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ მექეპს მოკვეთავდნენ: „...მაკრატლითა მოჰკვეთოს და გაუწუას...“<sup>5</sup>

XVI საუკუნეში, აღნიშნულს გარდა, მიმართავდნენ მექეპის გადაკვანძვას აბრეშუმის ძაფით: „ძველის ყირმიზის აბრეშუმითა შეუტვიროს და გაუშვას, მექეპი გახმეს და ჩამოვარდეს.“<sup>6</sup>

საინტერესოა, რომ XVIII საუკუნეში ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა ლაპისის ჩხირით მექეპის მკურნალობის წესი: „მექეპის წამა-

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 257.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 258.

<sup>3</sup> „იაღაგარ დაუდი“, გვ. 511.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 258.

<sup>6</sup> „იაღაგარ დაუდი“, გვ. 512.

ლი. ერთი რიგი შავი ქვეა თეზაბისაგან გააკეთებენ, ფრანგენი ლაპისინერნალის ეძახიან ის რომ წაუსვა ძირიან ამოქამს.“<sup>1</sup>

„წიგნი სააქიმოში“ აღწერილია დაავადება „გაპობაი ხელისა და ფერხისაი“, რომელიც თავისი ნიშნებით გვაგონებს ფეხისა და ხელისგულების თანდაყოლილი კერატომის (Hyperkeratosis palmarum et plantarum hereditaria) დროს განვითარებულ პათოლოგიურ სურათს. ფიქრობდნენ, რომ „გაპობაი ხელისა და ფერხისაი“ „მეტისა სისხმელისაგან იქნების რომელ ბუნებაი მეტითა სისხმელითა სისწორისაგან შეიცვალოს.“<sup>2</sup>

მის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა ხელისა და ფეხისგულებას კანის დასკდომა, გაშავება და ქაილი.

„ნიშანი ხელისა და ფერხისა გაპობილობისაი იგი არს რაიცა სასევდოისა გასარეველისაგან იყოს, რომელ გაპობილობაი ხელთა და ფერხთა ფერად შავი იყოს, და რაიცა სისხმელისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ძნელად ქავოდეს.“<sup>3</sup>

თუ სისხმელის მომატების ქვეშ ხელისა და ფეხისგულის კანის გარქოვანებას ეიგულისხმებთ, დანარჩენი ნიშნებიც: კანის დასკდომა და შავი ფერი ამ დაავადების ჰიპერკერატოზად გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

სამეურნალოდ ავადმყოფს ენიშნებოდა მარილწყლის ან ქარხლის ფოთლის ნახარშის აბაზანა: „მარილწყალი ასხას ზედა ანუ ქაქუნტლისა ფურცელი წყლითა შეაბგოს და ხელი და ფეხი მისსა წყალსა შიგან ჩადვან.“<sup>4</sup>

ავადმყოფს ურჩევდნენ დაავადებულ მიდამოზე წაესვა ბატის ან ქათმის ქონი და მალამო. ხელ-ფეხი სუფთად უნდა შეენახა: „მტვერსა და მიწისა ერიდოს, და მიწით ჰბანდეს.“<sup>5</sup>

როგორც ჩანს, ფრთხილობდნენ დამსკდარ კანში მტვერი არ ჩასულიყო და არ დაჩირქებულიყო.

ამავე თავში უნდა იქნას განხილული კანის ჭირკვალთა, კერძოდ, ოფლის და ცხიმის ჭირკვალთა დაავადება, რაც უმთავრესად ოფლის ან ცხიმის გამოყოფის დარღვევით ხასიათდება.

ოფლის ნორმალურ გამოყოფას ძველ ქართულ მედიცინაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ცნობილი იყო, რომ ოფლთან, ისევე როგორც შარდთან ერთად, გამოყოფა ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებანი, თუმცა არ იცოდნენ რომელი იყო ეს მავნე ნივთიერებანი და რას წარმოადგენენ ისინი.

ოფლის გამოყოფის დარღვევის მხრივ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ოფლის დენის გაძლიერებას (ჰიპერჰიდროზი), შემცირებას და შეწყვეტას (ანჰიდროზი). ოფლის გამოყოფის ჭირკვლების დაავადების აღნიშნული სამივე გამოვლინება ძველ ქართულ მედიცინაში საკმაოდ ცნობილი იყო.

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 17, ფ. 9 v.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოში“, გვ. 255.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

„წიგნი სააქიმოში“ ვკითხულობთ: „იციოდე რომელ ნიშანი ოფლის გამოცემისა მრავალ ფერი არს, პირველი იგი რომელ გამოსულა ოფლისა რომლისა ასოსაგან იქნების, მეორე გამოსულაი მისი, მესამე სიმცროი და სიდიდეი მისი. ნაგრა ნიშანი მის ასოსა რომელ ოფლი მისგანარს, ეგრე არს რომელ ნახოს თუ პირველისა ასოსაგან გამოვა ოფლი, რომელიცა ასოი რომელი მისგან გამოვიდეს, მანკი მას ასოსა შიგან არს. და გამოსულა მისი ასოითგან არს სწორად იყოს ეგრე, რომელ ზოგისა ასოსაგან გამოსცემს და ზოგისგან არა, ანუ ერთისგან დია გამოვიდოდეს და მეორესაგან უმცროი, და რომელ ზოგჯერ გამოვიდეს და ზოგჯერ არა. ესე ყოველი პაეი ნიშანი არის, ბუნებისა უსუსურობისაგან არს, ნით რომელ მანკისა გამოძიებისაგან შეწუხებულ იყოს. და ნიშანი სიმცროისა და სიმრავლისა მისასა იგი არს რომელ, თუ დიდა გამოვიდეს საზომისაგან უკარბე პაეი არს მით რომელ ძალსა დააკლებს, და მანკისა სათაენოი გაძლიერდების ნუ თუ ბუნებაი ძლიერად იყოს, რომელ ტანისაგან ერთობით მანკი გააუენოს, დია ცოტაი გამოვიდეს ბუნებისა უსუსურობისა ნიშანი არს, და თუ სწორად გამოვიდეს ეგრე რომელ არცა დიადი იყოს არცა ცოტაი, სიმრთელისა და მოლხინებისა ნიშანი არს.“<sup>1</sup>

მაშასადამე, ნორმალურ პირობებში გამოყოფილი ოფლის რაოდენობა არც მეტი უნდა იყოს და არც ნაკლები. მაგრამ შეიძლება ოფლის გამოყოფა დაირღვეს—შეიცვალოს „სიმცროი და სიდიდეი მისი“.

საინტერესოა, რომ ოფლის გამოყოფის რაოდენობრივი დარღვევის გარდა, ოფლის დენის ისეთი მოშლაც შეუძინევიათ, რომელიც სხეულის ამა თუ იმ მიდამოშია გამოხატული.

როგორც „უსწორო კარაბადინიდან“ ირკვევა. სცოდნიათ, რომ ოფლის დენის პარციალური მოშლა უფრო ხშირად გამოხატულია ხოლმე ხელისა და ფეხისგულზე, ილღის მიდამოში და სხვ.

ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს ვარდის წყალში უნდა გაერია ტყვიის ქანგი და, სადაც საჭირო იყო, წაესვა. მხოლოდ, წასმამდე, წინასწარ აუცილებელი იყოს ტანის დაბანა.

„წაპალი მისი ღლია რომ უყარდეს; აიღე: მურდასანგი, ვარდის წყალშია გაუბრე და შესცხე ღლიაშიგა, უწინ ებანოს და მერმე შესცხე.“<sup>2</sup>

ასეთი წესით მკურნალობას მართლაც შეეძლო გარკვეული სამკურნალო ეფექტი მოეცა.

ოფლის ჰარბად გამოყოფას უკავშირებდნენ სხვადასხვა მიზეზებს. მათ შორის მაღალ ტემპერატურას: „ნიშანი ოფლისა დია დენისა... იგი არს. რომელ სიცხისა ქამსა უფროი სდიოდეს.“<sup>3</sup>

შეუძინევიათ, რომ ჰარბი ოფლიანობა ახასიათებს მსუქან პირებს: „რონელ მსუქნად იყოს.“<sup>4</sup>

ჰარბი ოფლიანობის ისეთ სახესაც გამოყოფდნენ. რომელიც ზეპოლნიშნუ-

1 „წიგნი სააქიმოში“, გვ. 45.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 403.

3 „წიგნი სააქიმოში“, გვ. 260.

4 იქვე.

ლისაგან განსხვავებით მუდმივი ხასიათისაა: „მიწყით ჟამსა და უეამოსა ოფლი სდიოდეს.“<sup>1</sup>

ასეთ პირებს ურჩევდნენ ცივი წყლით დაბანას („კურნებაი იგი არს, რომელ ცივითა წყლითა იბანებდეს“), სხეულის დაზედას, სი გრილუში ყოფნას, მარილიანი საკვების მიღებას და სხვ.<sup>2</sup>

ოფლის გამოყოფის შემცირებას და სრულ შეწყვეტას უკავშირებდნენ სიგამხდრეს („რომელ ტანი მკლედ იყოს“) და სხვა მიზეზებს.

ოფლის გამოყოფის შეწყვეტა ჭანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მეტად საშიშ მოვლენად ითვლებოდა: „ძირითად მოიხსენების ამის წიგნსა შინა დაყენება ტენისა. ტენად იწოდების ნოტია დაზურეტილთა (თორთა) შორის ტყავისთა დაუცხრომლად გამოძავალი. რომელიცა თუმცა მცირედ ჰსჩანს, გარნა დიად არს, ამისთვის ვითარმედ მრთელი კაცი შესჰჰამს ანუ შესჰჰამს ერთსა ლიტრსა დღესა შინა, მაშინ ნახევარი ლიტრა არა განვაღს ქვევით და შარდით, რომელისაცა დანარჩომნი გამოვლენენ ტენად. ადვილ შესაძლებელ არს ცნობად, ვითარმედ უკეთუ ესრეთ გასულა დადგების, უკეთუ ნოტია, რომელიც უნდა გამოვიდეს ტყავით, შებრუნდების შინაგანსა რომელსამე ნაწილსა შუა, მაშინ მის მიერ იწარმოებენ აენი სნეულებანი.“<sup>3</sup>

ასეთ შემთხვევაში სამკურნალო მიზნით ავადმყოფს ენიშნებოდა ცხელი აბაზანა. თხიერი საკვები და ისეთი საშუალებანი, რომლებიც ოფლმდენად ითვლებოდნენ.

საყურადღებოა აგრეთვე ძველ ქართულ მედიცინაში არსებული შეხედულებანი ცხიმის ჭირკვლების ფუნქციის დარღვევის გამოვლინებათა შესახებ.

კანის ცხიმი, ანუ სებუმი, რომელიც ხალხში თე ბო ს სახელით არის ცნობილი, ძველად საბოიდ იწოდებოდა.

„წიგნი სააქიმოში“ ვკითხულობთ: „საბოსაი თავისაი რომელსა ჰქვიან ქერტლი.“<sup>4</sup>

XIII საუკუნეში არჩევდნენ ორგვარ სებორეას: „სიმხურვალითა“ და „სიგრილით“ გამოწვეულს. პირველის დამახასიათებლად ითვლებოდა თავის კანის სიწითლე და ქერტლი, ხოლო მეორესი კი, თავის კანის სითეთრე და ქერტლი.

„ნიშანი რაი სიმხურვალისაგან იყოს იგი არს: თუ სისხლისა მორევისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ქარტლი და თავის ტყავი მოწითალო გუარად იყვენ...“<sup>5</sup>

„ნიშანი რაიცა ბალღმისა სიმრავლისაგან იყოს იგი არს რომელ ქარტლი და თავისა ტყავი თეთრად მოაჩვენებდეს.“<sup>6</sup>

1 „წიგნი სააქიმო“, გვ. 260.

2 იქვე.

3 „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისნსა“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჭანაშვიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 2164, ფ. 3 რ.

4 „წიგნი სააქიმო“, გვ. 53.

5 იქვე.

6 იქვე.

„სიმხურვალით გამოწვეული“ სებორეის დროს (რაც ოლეოზურ სებორეას გვაგონებს), მკურნალობის მიზნით ავადმყოფს თავზე ანა უნდა მოეპაროს, ღამ-ღამობით ცხიმი წაესვა და დღისით დაებანა.

„... თავი მოიპაროს, და ღამით თავსა ნელი ერბო იცხოს და დღისითა ნელითა წყლითა დაიბანოს...“<sup>1</sup>

როგორც XVII—XVIII საუკუნეების ხელნაწერებიდან ირკვევა, მსგავს სამკურნალო საშუალებებს შემდეგაც იყენებდნენ. მაგალითად, ზახვის წვენში ურევდნენ თაფლს, ან კიდევ, ზეთუნის ზეთში ნიორის ფოთოლს აურევდნენ და თავზე უწავამდნენ.<sup>2</sup>

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით „სიგრით გამოწვეული“ სებორეის დროს სამკურნალოდ უფრო მეტად იყენებდნენ ცხიმეულს კანში შესაზღაოდ და ავადმყოფს ურჩევდნენ სელის ან გარეული ქინძის ნახარშით დაებანა თავი.<sup>3</sup>

ორივე შემთხვევაში ყურადღება ექცეოდა კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოწესრიგებას, გარკვეული დიეტის დაცვას და სხვ.<sup>4</sup>

ცნობილია, რომ როგორც ოლეოზურ, ისე მშრალ სებორეას თმის დაცვენა მოსდევს. ასეთი დაკავშირება ძველ ქართულ მედიცინაში არ გვხვდება, მაგრამ თმის დაცვენა, როგორც გარკვეული დაავადება, მისი გამომწვევი მიზეზები, ნიშნები და მკურნალობის თავისებური საშუალებანი საკმაოდ კარგად სცოდნიათ.

ვიდრე თმის დაცვენის შესახებ არსებულ შეხედულებებს განვიხილავდეთ, საჭიროა მოკლედ აღვნიშნოთ რა ფუნქცია მიეწერებოდა თმას.

თმის დანიშნულება, ძირითადად, სწორად ესმოდათ. ფიქრობდნენ, რომ თმას უნდა მოეტანა ორგანიზმისათვის გარკვეული „სარგებელი“, ე. ი. უნდა შეესრულებინა გარკვეული ფუნქცია; გარდა ამისა, იგი ითვლებოდა ერთგვარ სამკაულად ადამიანისათვის.

„... რომელთამე ადგილთა ტანისათა ამოსულა თმისა სარგებლისათუის. და რომელთამე ადგილთა სიმშუენვარისათუის...“<sup>5</sup>

„სარგებლის“ მომტანად მიჩნეული იყო წარბი და წამწამი, ხოლო „სიმშუენვარისათვის“ კი, თმა, წვერი და ულვაში.

„და რომელი სარგებლისათვის არს, — წარბი და წამწამი არის, და რომელი სიმშუენვარისათვის დაჰბადა, — თავისა თმა, წუერი და ულვაში არის.“<sup>6</sup>

წარბებისა და წამწამების დანიშნულებას იმაში ხედავდნენ, რომ ადამიანს „...თუ წარბი არ ასხია, ვერ შეხედავს მზისთულასა, და ვერცა კარგად შორს

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 53.

<sup>2</sup> „ქარაბადინი“, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 17, ფ. 8 რ.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 53.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 31.

<sup>6</sup> იქვე.

დანიანხავს. და წამწამი ამისთვის არის დაბადებული, რომე თუალსა ინახავს და მიწასა, მტუერსა და ბაყლსა არა ჩაუშვებს.“<sup>1</sup>

თმის დაავადებათა შორის კარგად ყოფილა ცნობილი თმის ისეთი დაცვენა, რომელსაც ახლა ბუღობრივი თმის დაცვენა (Alopetia areata) ეწოდება. აველად მას „სნება მელისა და გველისა“ ერქვა.

ამ დაავადების დამახასიათებლად ითვლებოდა ბუღობრივად თმის დაცვენა: „მისი ნიშანი, რომე თმა თანგ თანგივითა მრგვალი მრგვალი სცვივის.“<sup>2</sup>

ისიც სცოდნიათ, რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ავადმყოფს წვერი და წარბებიც გაცვივდეს: „... თმისა, წვერისა და წარბის ცვინვასა ჰქვიან.“<sup>3</sup>

პროგნოზის განსაზღვრისათვის არსებობდა ასეთი წესი: თმაგაცვენით აღგილს თითით დახელავდნენ. თუ ის გაწითლდებოდა, ეს კარგი პროგნოზის მაჩვენებელი იყო და პირიქით.

„... თითი შეუსვი იმ ადგილსა ძალიანადა და თუ გაწითლდეს, იცოდი რომე გამთელდების, და თუ არ გაწითლდეს არ გამთელდების.“<sup>4</sup>

სამკურნალოდ იზარებოდა მთელი რიგი ზოგადმოქმედი და ადგილობრივი-სახმარი საშუალებანი. „მწარე ნუში დანაყუ და შემოსდებდი. და თუ დაეჭიროს და გასახსნელი წამალი მისცენ, არა გავარა, გზასა უკეთუ მისცემს და გახსნის. იარაჯფეყრა საყმუნიათა გარეული მარგე არის, რომე ორი მიტყალი იარაჯფეყრა ერთი დანგი საყმუნია გაუროს, და შესევას, მარგე არის. და ტლედ ფარუიონი თავსა და მავიზაჯი მარგე არის.“<sup>5</sup>

თმაგაცვენით აღგილებს წამლის წაცხებამდე ჩვილი ზელდნენ, ვიდრე არ გაწითლდებოდა, გაწითლების შემდეგ წამალს უსვამდნენ: „პირველად ისი ადგილი ხამითა მჩურითა შეუსვი, რომე გაწითლდეს.“<sup>6</sup>

წამლების მიღებასთან ერთად ავადმყოფს უნდა დაეცვა გარკვეული დიეტა და რეჟიმი. ენიშნებოდა ცხიმოვანი საკვები. არ უნდა მიეღო ხორცი და ღვინო, ყოველ მესამე დღეს უნდა მოეპარსა თავი და სხვ.

„საკმელი მსუქანი შეუწყვიეთ. ხორცისა და ღვინისაგან იფარეზოს და ყოველთა მესამეთა დღეთა თავი მოიპარსოს, და პირს ასრე იბანდეს რომე თავსა წყალი არ დაისხას, თვარა ზიანი არის.“<sup>7</sup>

ეს დაავადება შემდეგ საუკუნეებშიც კარგად იყო ცნობილი. წყაროებში აღწერილია მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ძირითადად არ განსხვავდება ზემოთ განხილულისაგან.

ვარდა აღნიშნულისა, ცნობილი ყოფილა აგრეთვე თმის მთლიანი ან ნაწილობრივი გაცვენა, რასაც „თმის დახდა—ბელატობა“ ეწოდებოდა.<sup>8</sup>

1 „საკურნალო წიგნი“, გვ. 31.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 368.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 369.

6 იქვე, გვ. 370.

7 იქვე.

8 „წიგნი სააქრონი“, გვ. 55.

ფიქრობდნენ, რომ „... ესე მანვი ოთხისაგან იქნების, ერთი ჰავად ქცევისაგან რომელ არა ყოფაი ჰქონდეს, მეორე ჰავთა საჰამადთაგან რომელ მისგან კარგი სისხლი არ იქნებოდეს, და ჰავადყოფობისაგანცა... მესამე თავისა ტყავისა სისუსტისაგან იქნების, მეოთხე თავისა და ტანისა ტყავისა სისუსტისაგან იქნების, ანუ მათ სამთა თავისა და ტანისა სიფართისა, და სამი მათ ზერელთა ჰქვიან რომელ თმა მუნით გამოსრული არს, სუსტი და ფართოი იყოს.“<sup>1</sup>

„თუ სნებისაგან ქნილ იყოს: ნიშანი იგი არს რაიცა არა ყოფაი და ქცევაი ჰქონებოდეს რომელ კაცი მჴლე იყოს, და ჟამ ჟამ ცოცოტაი თმა ზდებოდეს. და ნიშანი მისი რომელ ფიცხელისა სნებისაგან ქნილ იყოს იგი არს, რომელ თმაი ერთობით დახდეს თავისაგან.“<sup>2</sup>

„რაიცა ტყავისა სიმჴისისაგან იყოს ნიშანი იგი არს, რომელ თმაი დია შავი იყოს და თმისა ძირი სქლად იყოს, ჯა რაი ზიღვიდეს ადრე არა ჰზდებოდეს. და ნიშანი მისი რომელ ტყავისა სისუსტისაგან იყოს ეგრე არს რომელ თმაი დია წვრილი იყოს და წმიდაი.“<sup>3</sup>

ავადყოფს სამჴურნალოდ ენიშნებოდა მთელი რიგი ზოგადმოჴმედი და ადვილობრივი საშუალებანი, გარკვეული დიეტა, რასაც უჰნიშვნელო დადებითი შედეგის მოცემა შეეძლო.

აღსანიშნავია, რომ XV საუკუნისათვის თმის დაცვენას მისი კვების დარღვევას უკავშირებდნენ. მაგრამ, ცხადია, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ემპირიული ხასიათის შეხედულება.

„... რაგუარაცა უწყლობა გაანზობს ქუეყანასა ზედა ყანასა და თივასა, აგრეთვე მეტი წყალი აწყენს. ამჴაგესს და თჴუეს, ვითა თმა გაირყუნების და იკლებს ზრდისაგან. როდესცა დააკლდეს ნოტიოსა ღარიზისასა, რომელ დაჰბადა ღმერთმან საზრდოდ თმისათვის და იზრდების ამითა.“<sup>4</sup>

არის შემთხვევები, როცა თმა მისთვის დამახასიათებელ მოქნილობას კარგავს და ადვილად ტყდება, იხლიჩება და სხე. როგორც ირკვევა, ეს ვაგისი ავადმჯობური მოვლენები ძველთაგანვე ყოფილა შენიშნული.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „თუ თმისა თავი ორად გაიხის ის სინისისაგან იქნების.“<sup>5</sup>

მსგავსი ცნობები გვხვდება XIII და შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც. ასეთ შემთხვევაში ავადყოფს ურჩევდნენ კუჴ-ნაწლავის გაწმენდას, თმის ღებანას ნელთბილი წყლით, თმის ძირებში სხვადასხვა ცხიმებისა და ზეთების შეწელებას.

თმის დაკადებად ითვლებოდა აგრეთვე გაჴალარაგება. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ თმის დროულ და ნაადრევ გათეთრებას. თუმცა არ შემონახულა ცნობები, თუ სახელდობრ რომელი წლები მიაჩნდათ მათ შორის ზღვრად.

ნაადრევი გაჴალარაგების საწინააღმდეგოდ მოწოდებული იყო კვების რეჟიმის დაცვა, ალკოჴოლური სასმელების მიღებისაგან თავის შეკავება და სხე.

1 „წიგნი საჴქრონი“. გვ. 55.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 56.

4 „სამჴურნალო წიგნი“. გვ. 31.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 371.



„თუ გინდოდეს რომე კაცი გვიან გათეთრდეს... საქმელსა ასრე სკამდეს, რომ კარგად იღნობდეს და მოღნობის ძალი მეტი იყოს...“<sup>1</sup>

„...ლენოსა ნუ სუამს რომელ სიმთვრალე თმასა ადრე გაათეთრებს.“<sup>2</sup>

როგორც ვნახეთ, ძველ ქართულ მედიცინაში მთელი რიგი კანის დაავადებებისა სემიოლოგიის მხრივ საკმაოდ კარგად იყო ცნობილი. სარგებლობდნენ ზოგიერთი ისეთი სადიაგნოსტიკო მეთოდით, რომელიც სპეციალურად კანის დაავადებათა დასადგენად გამოიყენება. კანის დაავადებათა სამკურნალოდ გამოყენებული საშუალებანი ხშირ შემთხვევაში ეფექტური იყო.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 372.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 57.

## თვალის სნეულებანი

ძველ ქართულ მედიცინაში მხედველობის ორგანო—თვალი ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფაქიზ ორგანოდ ითვლებოდა. შეგრძნების სხვა ორგანოებთან შედარებით თვალს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამყაროს შემეცნების პროცესში. თვალის მნიშვნელობის ასეთი გაგება მშვენივრად არის ასახული თუნდაც ქართულ ლექსიკურ მასალაში, რაზეც ცალკე გვექნება ლაპარაკი.

აღსანიშნავია, რომ შეხედულებანი თვალის აგებულების, მოქმედებისა და დანიშნულების შესახებ საქართველოში ძველთაგანვე იყო შემუშავებული და გავრცელებული. ეს შეხედულებანი უკვე პირველ წიგნში იყო განხილული და ამიტომ მათ აღარ გავიმეორებთ. გადავალთ თვალის სნეულებების განხილვაზე.

თვალის სნეულებანი შეიძლება განვიხილოთ ასეთი თანმიმდევრობით:

1. მხედველობის ფუნქციის დარღვევა, 2. თვალის დამცველი აპარატის, 3. თვალის დანამატების და 4. თვით თვალის კაკლის დაავადებანი.

მხედველობის ფუნქციის დარღვევის, ანუ მხედველობის შეცვლის შესახებ წერილობითი ცნობები V საუკუნიდან მომდინარეობს.<sup>1</sup> მხედველობის დაკარგვას სიბრძავეს უწოდებდნენ. არჩევდნენ თანდაყოლილ (შობითიან ბრძაი) და შეძენილ სიბრძავეს.<sup>2</sup>

ცნობილი ყოფილა, რომ ადამიანი შეიძლება იყოს აბლომხედველი და შორსმხედველი: „სხუთა თვალის წამალი, რომე შორს ხედიდეს და აბლოს ვერა.“<sup>3</sup>

აბლო მხედველს ბეცს, ბრუტიანს უწოდებდნენ: „ბრუტიანი, თვალით აბლოს მხედველი.“<sup>4</sup>

მიაჩნდათ, რომ „...ვერ შორს მხედველობისა მიზეზ არს ესე ოდეს ექმნების თვალი ფრიად დიდი და ძარღვნი თვალისანი სუსტი...“<sup>5</sup>

<sup>1</sup> ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, „წამებაი წმიდისა შუშანიისი დედოფლისაი“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილ ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს შ ი ე რ, თბილისი, 1946, გვ. 40.

<sup>2</sup> ანონიმი, „მარტილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“, იხ. დასახ. წიგნი, გვ. 50.

„ნინოს ცხოვრება“, იხ. „საქართველოს სამოთხე“, მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს გამოცემა, სპბ. 1882, გვ. 143.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 210.

<sup>4</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციითა და წინასიტყვაობით, სახელგამი, თბილისი, 1949.

<sup>5</sup> ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, „კალმასობა“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 2170.

ამ შემთხვევაში ლაპარაკი უნდა იყოს არა თვალის სიდიდებზე, არამედ თვალის გუგის სიფართოვეზე (miidriasis), რაც დამახასიათებელია ახლომხედველი თვალისათვის. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ახლომხედველობის ნამდვილი მიზეზი არასწორად ჰქონდათ გაგებული.

მხედველობის სიმახვილის ხარისხის შესახებ საინტერესო ცნობები ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში.

საბა თვალის ფუნქციას მზერას უწოდებს. იგი მზერას ყოფს სხვადასხვა ხარისხად. მისი განმარტებით „ხედვა არს რა თვალით კეთილად ხედვიდეს.“ ე. ი. თუ ადამიანი კარგად ხედავს, ეს არის ნამდვილი ხედვა, მხედველობა. მისგან განსხვავებულია დაქვეითებული მხედველობა და ასეთ მდგომარეობას ს.ბა ცალკე ტერმინს—ჩ ე ნ ა უწოდებს: „ჩენა არს რა აკლდეს და მცირედ ხედვიდეს.“

საინტერესოა, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში გაიცნობიან გამადიდებელ მინებს და მათი გამოყენებითი მნიშვნელობაც სცოდნიათ. საბა თავის ლექსიკონში ასახელებს ბროლს და განმარტავს, რომ „ბროლი არს თვალთა საფარი წიგნთა კეთილად წასაკითხავად.“

აღსანიშნავია, რომ საბა იმავე წიგნში სათვალესაც ასახელებს. როგორც ჩანს სათვალე ხმარებაში იყო.

მხედველობის ფუნქციის დარღვევა, თვალის დაავადება, ერთი მხრივ, ჩიაჩნდათ, რომ შეიძლება ორგანიზმის ოთხ სითხეს შორის წონასწორობის დარღვევამ გამოიწვიოს, მეორე მხრივ, ცოდნიათ, რომ მის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირადი ჰიგიენის წესების დარღვევა, ცუდი საკვები, საყოფაცხოვრებო პირობები, გარემო ფაქტორები და სხვ.<sup>1</sup>

„კიდევ ერთი თვალის ტკივილი არის რომე მტვერისა და ავის საკმლისაგანცა დაემართების, რომე ავის საკმლის ბუხარმან კაცსა ჰკრას და მისგან ასტკივდეს ან ქარისა და სიცივისაგან ასტკივდეს და ან თბილის სახლიდალმან. და ან თბილის აბანოდალმან გამოსულა და ნათბილარს ეარი და სიცივე სცემია და მისგან სტკივის და ამ რიგსა თვალის ტკივილსა თვალთა ქავალიცა სდევს და ან მწოდ სინათლეში ჭდომილა და თეთრის რისათვისმე ბევრი უყურებია, და მწოდ დასტკერია და დაჰხეხებია, ან მალედ უვლია და ბევრი უქმენია, ან უდროოდ ბევრი და ავი საკმელი უქამია და ადრე დაუძინია და ესე სენი მლაშისა, ხმელისა, მწარესა და მწოესა საკმელებისაგან წაჰკიდებია და მისგან ექჷნია. და ამრიგი თვალის ტკივილი ბევრის ტირილისაგან, ბევრის დედაკაცთან მისკლისაგან, ბევრის ძილისაგან, ბევრის უძილობისაგანცა დაემართების.“<sup>2</sup>

აღნიშნული ფაქტორები, ზოგ შემთხვევაში, მართლაც იწვევს ან ხელს უწყობს თვალის ცალკეულ დაავადებათა განვითარებას.

განვიხილოთ ქუთუთოების დაავადებანი.

წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა ქუთუთოების ისეთი დაავადება, როგორიცაა ეგზემა. ამ დაავადებას უნდა გულისხმობდეს „უსწორო კარაბადინში“ არსებული ცნობა: „თვალსნიცა თუ მუნი შეექნას.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 198.

<sup>2</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 284, 285.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 212.

XIII საუკუნის წყაროებში იგი „მქავანისა“ და „მღერის“ სახელით იხსენიება.<sup>1</sup> არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იმ დროისათვის იცნობდნენ ამ დაავადების ორ ფორმას: მშრალსა და სველს. „რომელ სიმქისე თვალისა ზურგსა შიგან გამოჩნდების ტკივილსა თვალისასა უკანით, ვითარებაი მისი სინედლისა და სიმლაშისაგან იქნების, რომელ მანდა შეყრილ იყოს და მოერიენეს მისდა.

ნიშანი რაი ქუთუთოსიგან იყოს. რაი მღერი თხლად იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ თვალისა ფურცელი შიგნითვე წითელი იქნების და სიმქისე ცოტაი იქნების, და რაი მანკი დაძველებული იყოს სიმქისე დია იქნების და დანაყილსა ემგვანების.“<sup>2</sup>

ირკვევა, რომ XI—XIII საუკუნეებში ცნობილი ყოფილა ქუთუთოს დაავადება—ღარბა, რომლის აღწერილობა ძალზე გვაგონებს ქუთუთოს ფლეგმონას, გართულებულს ფისტულის გაჩენით.

აღნიშნულია, რომ ღარბას დროს ქუთუთო შესივებულია, ცხელია, შეიძლება შესივებული ადგილი გაიხსნას და ჩირქი გამოვიდეს. გაჩნდეს ფისტულა, რომელიც ახლომდებარე ძელებზე პროცესის გავრცელების შემთხვევაში ძველად იხურება.

„სხუაი თვალის ტკივილი, ღარბა ჰქვიან. მისი ნიშანი ისი არის ცოტა ჭიჭლიბოსაგან უფროსი გამოვა ქუთუთოზედა... და რაი ისი სენი დამწიფდეს და თავი გაუთეთრდეს, გამორწყონ...“<sup>3</sup>

„...ნიშანი ღარბისა იგი არს, რომელ კილო გასივებულიყოს ანუ გახურებული, და მკრალი თხამლი გამოვიდოდეს მისგან.“<sup>4</sup>

„და რაი ნასორი<sup>5</sup> მაგარი არ იყოს რომელ ძუალი დააშაოს არაი ჰგავაი. და რაი<sup>6</sup> ძუალი დაეშაოს უკუნისამდე არ გამრთელდების.“<sup>6</sup>

ეს დაავადება შემდეგ საუკუნეებშიაც კარგად ყოფილა ცნობილი.<sup>7</sup>

მისი მკურნალობა მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩირქგროვა გახსნილიყო: „გამორწყონ და გამოწმინდონ ბალღამი.“<sup>8</sup>

თუ გაჩნდებოდა ფისტულა და ჩირქდენა გაგრძელებოდა, მაშინ იხმარებოდა თაფლზე მომზადებული სხვადასხვა შემადგენლობის მალამო.<sup>9</sup>

თვალის ქუთუთოს თავისუფალი კიდის ანთების—ბლეფარიტის მიმდინარეობას ძალზე გვაგონებს დაავადება „სულყის“, იგივე „სულაყის“ ნიშნები. ამ დაავადების დამახასიათებლად ითვლებოდა: ტკივილი, თვალის კილოს შესივება, სიწითლე, წამწამთა გაცვენა, ქავილი და სხვ.

1 „წიგნი საქიმოი“, გვ. 96.

2 იქვე.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 205.

4 „წიგნი საქიმოი“, გვ. 103.

5 ნასორი — ფისტულა.

6 „წიგნი საქიმოი“, გვ. 103.

7 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 66, 67.

8 „უსწორო კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი S, № 4005, ფ. 19 v.

9 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 205.

10 „წიგნი საქიმოი“, გვ. 103.

„სხუთი თვალისა ტყვიელი რომე სულეი ქუიან. მისი ნიშანი: თვალი სტეი-  
ოდეს. გასივდეს თვალისა კილოები და ქაეილი დაეწყოს.“<sup>1</sup>

„...წამწამნი გახსხარ იყოს და გაწითლებული და ზოგი მის გზით დახლი-  
ლი იყოს, და თვალთა ტყავი გასივებულ იყოს და ქაეოდეს.“<sup>2</sup>

ასეთი მოვლენები მართლაც ახსიათებს ბლევარიტს, კერძოდ, მარტივ  
ბლევარიტს (bipharitis simplex).

ასეუბობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მიმდინარეობის მიხედვით არჩევ-  
დნენ მწვავე და ქრონიკულ ბლევარიტს. მათი მკურნალობა განსხვავებული  
იყო.

მწვავე ბლევარიტს შემდეგნაირად მკურნალობდნენ: ერბოში გაუტრევდ-  
ნენ კვერცხის ცილას ან რძეში დანაყილ ნუშს, შიგ ბამბას დაასველებდნენ და  
დაძინების წინ თვალზე დაადებდნენ. ავადმყოფი დილით აბანოში უნდა წასუ-  
ლიყო და სახე ორთქლისათვის მიეპყრო: „რაცა სუბუქი და ახალი იყოს იგა  
აბს, რომელ კვერცხისა თეთრი ერბოთა გაადგინოს ანუ დანაყილი ნუში სძე-  
სა გაპრიოს და ძუელი მამბაი მაგით შეზილოს და დაძინებისა ეამსა თვალთა  
შემოსდვას და დილასა აბანოს წავიდეს და პირი ტვილისა წყლისა ორთქლ-  
სა ნიუპყრას. და ნუშისა ზეთი ცხვირთა უწითოს. და ვარდი დანაყოს და ვარდისა  
ზეთთა გააცხიბიანოს და თვალთა შემოსდვას.“<sup>3</sup>

ქრონიკული ბლევარიტის დროს ავადმყოფს ურჩევდნენ კუქ-ნაწლავის  
გაწმენდას, კვების რეჟიმის დაცვას, სამკურნალოდ იხმარებოდა თუთიის მა-  
ლამო და სხვა საშუალებანი.

„და ესე მანკი რაი ძუელი იყოს ყიფალი გაიხსნას და წვივთა ჭიქაი მოიკი-  
დოს. და ჰალილასა მარტუხითა მუცელი დაილბოს, და ნარსაქი ქერქ შეხდილი  
ბროწეულისა ცმელსა თანა დანაყოს და შემგბარსა ღვინოსა შიგან კარგად გავა-  
ლოს ერთობით, და ვარდისა ზეთითა დააცხიბიანოს და თვალთა შემოსდვას. და  
აბანოს წავიდეს და ადრე გამოვიდეს.“<sup>4</sup>

არსებობდა ამ დაავადების მკურნალობის მეორე წესიც, რომელიც შემ-  
დეგში მდგომარეობდა: „ყიფალი გაიხსნას ანუ შუბლისა ძარღვი და იარაისა  
ჰაბითა ანუ ღარიყონისა ჰაბითა მუცელი დაილბოს. და თუთუბობისა წყალი ვარ-  
დისა წყალსა გაპრიოს და თვალსა შესცხოს. და ნარსაქი წმიდად დანაყოს და  
კრტაი იისა ზეთი გაუტრიოს და თვალთა შემოსდვას კარგი არს. და მაშინ წითელი  
შაფი ანუ გაზრდილი ისრიმი და თუთიაი თვალთა შემავლოს. და თუ მანკი არ  
გამრთელდეს ესე წამალი იხმაროს ჩუენ გამოვცილდა: თუთიაი და ზარდაჩობაი  
თვითოსაგან დრამისა წონი, ჰალილაი ყვითელი და ზანჯაბილი თვითოსაგან ნა-  
ღევარ დრამისა წონი, დარაფილფილი და მამირანი თვითოსაგან ჯანგი და ნახევა-  
რი, ჰინდურჩი მარილი ყერატი, ყველაი დანაყოს ისრიმისა წყალსა გაზრდილსა  
თანა გაპრიოს და მაშინ წმიდად გაგალოს და მუნით მრავალჯერ თვალთა შემოვ-  
ლოს ერგების. და ღამით ნურასა ჰამს და დიაცსა ერიდოს ეგნების უცილოდ.“<sup>5</sup>

XI—XIII საუკუნეებში ცნობილი ყოფილა ქუთუთოს კილოს ანთების მე-  
ორე ფორმაც, რომელიც თავისი ნიშნებით წყლულოვან ბლევარიტს (blepha-

1 „უსწორო კარბადინი“, გვ. 206.

2 „წიფნი საჭიში“, გვ. 102.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

rilis ulcerosa) გვაგონებს. მას ქუთუთოების ერთმანეთზე დაკვრას უწოდებდნენ. ჩანს, ამ დაავადების ნიშნებს შორის ქუთუთოებისა და წამწამების დაწებებას ყველაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

„ვითარებაი თულათა გარდაკვრისა ერთმანეთსა ზედა... თვალთა სიწყულისაგან იქნების რომელ ქუთუთონი ერთმანერთსა ზედა დაიკრნენ.“

„ნიშანი ქუთუთოთა დაკვრისაი იგი არს, რომელ ქუთუთონი სიშავესა ანუ სითეთრესა თვალისასა ზედა მაგრად დაწებულევითა იყოს, რომელ გახსნაი არ ცგებოდეს, ანუ ორნივე წამწამნი მაგრად აკრულნი ყყენენ.“<sup>1</sup>

შემჩნეული ყოფილა, რომ ეს დაავადება არაიშვიათად ბავშვებს ემართებათ.<sup>2</sup> ახლა კარგად ცნობილია, რომ ბლეთარიტები უმეტესად სკროფულოზიას ბავშვებში გვხვდება.

აღნიშნული დაავადების ნიშნები XV საუკუნისა და შემდეგი ხანის წყაროებშიც არის აღწერილი. კერძოდ, XVIII საუკუნის ხელნაწერებში მის შესახებ ზოგი ახალი ნიშნებიც არის დასახელებული: ქუთუთოების ტკივილის გამო მათი მოძრაობის შეზღუდვა, წირბლიანობა, საფეთქლების ტკივილი და სხვ.

„ამა სენისა ნიშანი არის. თული გაუსივდეს, თულთ წუწა მოუვიდეს. ქუთუთო ერთმანეთზე დაეწებების, ორივე საფეთქელი ტკივილს დაუწყებს, ეკალსავით სობას დაუწყებს და თულნი მწუფდ ეტკინების, მძიმედ ექნების და ცნელად ახელდეს.“<sup>3</sup>

მკურნალობა მდგომარეობდა შემდეგში: „...ქუთუთო მილისა თავითა ახსნან და ყმა დანით ტყავნი ერთმანერთისაგან გახსნან, და მას ფარდაგსა რომელ უარნი ჰქვიან ერიდოს. და მაშინ ძირაისა წყალსა ჩაუწობდეს. და ცოტაი ბანბაი ვარდისა ზეთითა და კვერცხის ყვითლითა დაასოვლოს და ქუთუთოსა ზედა ექმოსდვას. და სამღელმდის ამასვე ჰკურნებდეს და მას შაფსა იხმარებდეს რომელ თვალისა სიწითლესა ერგების. ვითა თეთრი შაფი და აბარისა შაფი და მსგზავსი ამათი.“<sup>4</sup>

ხოლო მაშინ, „...რაიცა წამწამთა დაკვრისაგან იქნების ერთმანერთზედა კურნებაი იგი არს. რომელ მილისა თავი შუა ჩაყოს და დახსნას ერთმანერთისაგან, მაგრა თუ ვერა ქნას მილის წუერითა ზედათი ქუქუთოი გახსნას და ყმა დანითა გააბოს ერთმანერთისაგან და მაშინ გაკვეთილსა ადგილი ძირაისა წყლითა დაბანოს და ცოტაი ბანბაი მალჰამოთა თეთრითა და ვარდის ზეთითა დაასოვლოს და შუა შემოსდვას...“<sup>5</sup>

თუ ძუძუმწოვარი ბავშვი იყო დაავადებული, მაშინ ღედას ეკრძალებოდა ღვინის სმა, ძნელად მოსანელებელი საკვების მიღება: „რა ჟამს ყმაწურითა დაემართოს, ღედა ფარეზათ შეინახე, ღვინისაგან და ყოვლისა მძიმისა საჭმლისაგან.“<sup>6</sup>

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 99.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 209.

<sup>3</sup> „კარაბადინი“ (XVIII ს.). ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფ. H, № 1318, გვ. 12.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 99.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 209.

როგორც „სამკურნალო წიგნიდან“ ირკვევა, XV საუკუნეში აღნიშნული დაავადებების სამკურნალოდ იხმარებოდა თვალში გამოსავლები წამალი, რომელშიც შედიოდა თუთია. საბრი, ოპიუმი და სხვ.

„ესე წამალი თულაშიგა გამოავლე ჩხირითა დილეულად და სადამოდ: აილე თუთია ქირმანული ნახევარ ღრამი და ავანშიგა დანაყე. ჩაყარე საბრი ერთი დანგი და ორისა ქერისა წონა, აფიონი—ნახევარ დანგი, შაფი მამითა—ერთი ღრამი. ზაფრანი—დანგი და ორისა ქერისა წონა, ყულა დანაყე და გაცარ წურილად, კურკელშიგა შეინახე და რა მოგინდეს, თულაშიგა გამოავლებდი.“<sup>1</sup>

ქუთუთოს დაავადებებს შორის ცნობილი ყოფილა აგრეავე ჯიბლიბო. სკოდნაათ. რომ იგი „თმისა ძირსა ქუთუთოზედა გამოვა“ ანდა თვით ქუთუთოს კიდზე. ფორმით მოგრძო და ფერად წითელი.<sup>2</sup>

მკურნალობის მიზნით მიმართავდნენ ჯიბლიბოს გამორწყვას. ამას გარდა უზრადლება ექცეოდა კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოწესრიგებას. ავადმყოფს ურჩევდნენ ხილის კამას და სხვ.

„წიგნი სააქიმოში“ აღწერილია დაავადება, რომელიც თავისი ნიშნებით კურდღლის თვალს — ლოგოფთალმუსს ჰგავს: „წამწამნი ერთმანეთსა ზედა არ მიახლებოდეს, და თვალი ნახევარ აღრენილ დარჩეს, ეგრე რომელ სწადდეს რომელ თვალნი დაიჭუნხეს თეთრი კიდე უჩნდეს...“<sup>3</sup>

ცნობილი ყოფილა, რომ აღნიშნული დაავადება შეიძლება გამოწვეული იყოს ქუთუთოების ტრავმული დაზიანების არასათანადო მკურნალობით, ან ქუთუთოების სიმსივნით. გარდა ამისა, არჩევდნენ თანდაყოლილ ლოგოფთალმიასაც.

„ერთი ნიშანი იგი არს, რომელ თვალისა ბურგთა ანუ ქუეშესა ანუ ზემოსისა ეცეს რაიმე ნაკრავი და გაიხიოს და მაშინ შეკერონ არ კარგად, და დამოკლდეს. მეორე რომელ თვით დაბადებით მოკლე იყოს, მესამე ქუქუთოი გარდაქვეული იყოს ანუ ხორცი მეტი რაიმე გამოვიდეს.“<sup>4</sup>

თუ ლოგოფთალმია გამოწვეული იყო არასწორი მკურნალობით, მაშინ ნაკერს ხსნიდნენ და ახლად მკურნალობდნენ. მკურნალობა მდგომარეობდა შემდეგში: „თუ ესე მანკი შეკერვისაგან ყოფილიყოს კურნებაი იგი არს, რომელ შეკრული გააპონ და ცოტისა ბანბისა ძუელსა ზედა სპეტისა მალამაი მომროდანსა თანა გაპირის და გაპობილსა შუა დასდვას...“<sup>5</sup> შემდეგ იხმარებოდა სველი საფენები.

სიმსივნით გამოწვეულ ლოგოფთალმიას მკურნალობდნენ ქირურგიული წესით: „...თუ ხორცმეტისაგან იყოს, რომელ ქუქუთოთა ზედა მოზრდილ იყოს, ფიცხელი წამალი შემოსდვან ვითა უანგარასა მალამაი და მსგზავსი მისი რომელ ხორცმეტი გაუქარგოს. და თუ ამან წამალმან არ არგოს უმჯობესი იგი არს, რომელ ხორცმეტი ზე აუღონ და ფრჩხილითა მოსწყვიტონ და არა დაავადონ... კურნებისაგან ნუ მოლაფლდების, რომელ კულა ხორცი არ მოიზარდოს და უღნობთა საკამადთა ერიდებოდეს.“<sup>6</sup>

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 63, 64.

<sup>2</sup> „უსწორ კარაბადინი“, გვ. 205.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 98.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

უკურნებელ სენად ითვლებოდა თანდაყოლილი ლოგოფთალმია: „და თუ თვით დაბადებით მოკლე იყოს არ იკურნების.“<sup>1</sup>

არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აღნიშნული მიზეზებით გამოწვეული ლოგოფთალმიის გარდა, ცნობილი უნდა ყოფილიყო ქუთუთოების ირგვლივი კუნთის დამბლის შედეგად განვითარებული კურდღლის თვალი.

„ვითარებაი წყლის დენისა თვალთავან... ხორცთა სისუსტისაგან, რომელ თვალთა მიდამოთა არიან.“<sup>2</sup>

„ნიშანი წყლისა დენისაი იგი არს, რომელ მიწყით თვალი სველი იყოს და ცრემლი ღია სდიოდეს. და ნიშანი მისი რაიცა ხორცთა სისუსტისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით წყალი სდიოდეს და თვალი ღია დარჩეს.“<sup>3</sup>

აწლა ცნობილია, რომ სახის ნერვის დაზიანების შედეგად ვითარდება ქუთუთოების ირგვლივი კუნთის დამბლა, თვალი არ იხურება, ავადმყოფს აწუხებს ძლიერი ცრემლდენა. ძნელი არ არის იმის დაშვება, რომ „სისუსტის“ ქვეშ სწორედ აღნიშნული კუნთის დამბლა იგულისხმება.

აქვე უნდა განვიხილოთ დაავადება ტრიქიაზი (trichiasis), რომელსაც ძველ ქართულ მედიცინაში „წამწამთა სიმეტე“ ეწოდებოდა.

ცნობილი ყოფილა. რომ ამ დაავადების დროს წამწამები თვალის კაკლია საკენ არიან მიმართული, ადგილი აქვს ცრემლდენას და სხვ.

„ნიშანი წამწამთა მომატებისაი იგი არს, რომელ ცრემლი ღია სდიოდეს და იგი თმაი არ სხვისა თმისაებრ იქნების, მით რომელ იგი თვალთა შიგნით დაღმა გაზრდილი იქნების და ასე ყველათა იციან.“<sup>4</sup>

სამკურნალო მიზნით, უპირველესად, წამწამების ამოგლეჯას აწარმოებდნენ. მაგრამ თუ ისინი კვლავ ამოვიდოდნენ, რაც არაიშვიათია, მაშინ მიმართავდნენ წამწამის ძირების დადაღვას: „თვალშიგან იუ თმა გამოუვიდეს... ისი თმა ჩქიფითა გამოსწუადონ... თუ მან არა უშუელოს და კიდევ გამოუვიდეს ნერმე ასრე დადაღონ რომე ისი თმა ჩქიფითა გამოგლიჯონ. მერმე ნემსი გაახურგონ და ყანისა კუნწისა მილი შექნან და იმა მოგლეჯილზედა დასდვან და მერმე გახურებული ნემსი შიგა ჩაუყონ ასრე რომე სხუასა ადგილსა არ მიხუდეს. ისი თმისა ნაბამი დადაღონ, და რაი დადაღონ მერმე მასტაქი დაცოხნე და ზედა დასდევ. თუ არცა ამან უშუელოს ესე შაფი შექენ და თუალშიგა ამოავლე იდღე: დამწუარი სადაფი, აყიყი იამანური, აზუზმაქი, თუითოსაგან ნახევარი დრამი, ნიშადური ნახევარი დანგი, ქაფური ორი ქერისა წონა, ქაფური დაადნევ ქარნაბისა წყლითა და ესე წამლები შიგა გაურვივე დაზილე და შაფები შექენ და ჩრდილსა გაახხმე და რა მოვიდნეს თვალშიგა გამოავლებდი.“<sup>5</sup>

ასეთი წესით მკურნალობდნენ წამწამთა სიმეტეს შემდეგ საუკუნეებშიც. ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა აგრეთვე ქუთუთოს გარეთ გადმობრუნება—„ქუთუთო რომე გამოექცეს.“<sup>6</sup>

1 „წიგნი სპაქიშოი“, გვ. 98.

2 იქვე, გვ. 109.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 100.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 208.

6 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 66.



ნიშნების აღწერილობა, განსაკუთრებით მკურნალობის წესი გვაფაქრებინებს, რომ ქუთუთოების სიმსივნური დაავადება უნდა იგულისხმებოდეს „სალი“ და „შურნაყი“-ს ქვეშ.

„წიგნი სააქიმოში“ ვკითხულობთ: „სალისა გამოჩენაი სქელისა ბალღმისაგან იქნების რომელ მოერიოს ქუთუთოსა, და შურნაყი სინდლისაგან იქნების რომელ ცმელი ვითა შექნილ იყოს, და თვალისა ტყავისა ფაითა შიგან შექსოვილი იყოს.

ნიშანი სალისა და შურნაყისაი. სალისა ნიშანი იგი არს, რომელ ქუქუთოი მაგარი იყოს და არა სტკიოდეს, და შურნაყისა ნიშანი სისუსთე და სიმძიმე არს ქუქუთოისი. და ცრემლიცა დია ედინების, და სიბნელეცა რთავს.“<sup>1</sup>

ამ დაავადებებს მკურნალობდნენ ორი წესით: კონსერვატული და ქირურგიული წესით. კონსერვატული მკურნალობა „სალისა და შურნაყისა“: „კურნებაი იგი არს, რომელ აფთიმონისა მათუხითა მუცელი დაიღობოს და მანკისა ადგილსა დახილიონისა მალაჰამი შემოსდვას.“ ან კიდევ, „ყიფალი გაიხსნას და ანუ ჭიჭი მოიკიდოს და ესე ტლე შემოსდვას. ვითარებაი მისი: აყიყაი და მაქური ჰუტუტი, და სიქი და შაფი მამითა, და საბრი და ნიშასტაგი, და ალვაი და ზაფრანაი ყველაი დანაყოს და მორდისა წყლითა შეზილოს და იხმარებდეს ერგების. და თუ საბრი მორდისა წყლითა გაგალოს და თვალთა შესცხოს კარგი არს. და თუთია და შაქარი ზედა მოაყაროს, და თუ დარური ყვითელი მოაყაროს კარგი არს.“<sup>2</sup>

მკურნალობა ძირითადად ქირურგიული იყო. ქუთუთოს გაკვეთავდნენ, სიმსივნეს განათავისუფლებდნენ ირგვლივყოფი ქსოვილისაგან და ამოკვეთავდნენ: „...კურნებაი მისი იგი არს, რომელ სიბრტყევე ქუქუთოი გააპოს და შურნაყი შაშრისა პირითა აიღოს, და მაგრად მოეკიდოს რომელ ხელთაგან არ დასხლტეს, და ყოველგნით დაიძრას რომელ ქუქუთოსაგან გააკიდებდნოს და მისგნით ნურას გააკიდებდნებს, და მერმე მჩუარი ძმრითა დაასოვლოს და ქუქუთოსა შემოსდვას და მაგრად შეკრას.“<sup>3</sup>

ბევლ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა აგრეთვე თვალის ლორწოვანი გარის დაავადება, რომელიც მის ანთებას (Conjunctivitis) ჰგავს. უნდა ითქვას, რომ კონიუნქტივიტისათვის დამახასიათებელი ნიშნები ერთად კი არ არის აღწერილი, არამედ ცალკეული მისი ნიშნები გამოყოფილია და წარმოდგენილია, როგორც დაავადება. მაგალითად, „სხუა თვალის ტკივილი რომე რაშა ქუიან. მისი ნიშანი ისი არის რომე თვალი სისხლითა ავსოდეს, და ასრე ეგონოს თვალსა ვერა ავადებო, ასრე ეგონოს თუალი მიწითა სავსე მადიაო.“<sup>4</sup>

ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია სიწითლეზე და ავადყოფის სუბიექტურ შეგრძნებებზე, რომლებიც მართლაც ახასიათებს კონიუნქტივიტს. მაგრამ ცნობილი ყოფილა ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი სხვა გამოვლინებანიც, კერძოდ, ანთებითი გამონადენი, ქუთუთოების ერთმანეთთან მიწებება: „სხუა თვალის ტკივილი რომელსა ჯასულაზფოლ ჰქუიან. მისი ნიშანი ესე არის, რა ძილისაგან გაელუიძოს თვალი ერთმანერთსა მოეკიდებოდეს, რომე სადამდი ხელითა არა გაალოს ვერა ახილოს.“<sup>5</sup>

1 „წიგნი სააქიმო“, გვ. 101.

2 იქვე, გვ. 102.

3 იქვე.

4 „უსწორო კარაბდინი“, გვ. 207.

5 იქვე, გვ. 204.

მკურნალობის მიზნით, ავადმყოფს თბილი წყლით უნდა მოეხანა სახე და გაეკეთებინა შორთქლება: „მისი წამალი ეს არის, რომე თავსა ცხელი წყალითა იორთქლებდეს და თბილითა წყლითა იბანდეს და წითელსა შაფსა ამოივლენდეს, იისა და ხატმისა ტლესა თავზედა შემოიდებდეს.“<sup>1</sup>

ავადმყოფს უნდა დაეცვა გარკვეული დიეტა: „ოსპისაგან, დოსაგან და ნუელისაგან და ზროხის ხორცისაგან ფარეზი ქნას.“<sup>2</sup>

თვალის. ლორწოვანი გარსის მწვევე ანთების გარდა არჩევდნენ მის ქრონიკულ ფორმას—ტრაქომას, რომელიც ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ჯარბად იწოდება. ჯარბა რომ ნამდვილად ტრაქომაა, ამის სასარგებლოდ ლაბორატორიულ შემდეგი ნიშნები: ქუთუთოს შიგნიდან სიწითლე, გასქელება, ხანდაზმულობა; ქუთუთოს გადმობრუნებით მარცვლოვანობა, რაც ლედვის გულთან არის შედარებული: „სხვა თვალის ტკივილი არის, ჯარბა ჰქვიან. მისი ნიშანი ეს არის რომე ქუთუთო დაწითლებულიყოს დიდი ხანი გამოსულიყოს და ერთობ სტკიოდეს. გამოუქცივე ქუთუთო და ნახე თუ ლელუსა გულსა გუანდეს შიგნი...“<sup>3</sup>

„ჯარბსა ნიშანი ესე არის, რომე ქუთუთო შიგნით გაუწითლდეს, გაუსქელდეს, ქაოდეს.“<sup>4</sup>

მსგავსი ცნობები გვხვდება XV და შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც.

ჯარბას სამკურნალოდ იხმარებოდა რთული შემადგენლობის გამოსაღებები ხსნარები. მათ შემადგენლობაში მთავარი ადგილი ეჭირა შაბიამანს („აილე დამწვარი არჯასპი სამი დრამი“), რომელიც დღესაც საუკეთესო საშუალებად ითვლება ტრაქომული პროცესის სამკურნალოდ.

მიმართავდნენ მექანიკურ მკურნალობასაც: „პირველად ქუქუთო გამოუქცივე და ხმელითა შაქრითა დაფხიკე კარგად, რომე სისხლი რაცა იყოს გამოწმდეს...“<sup>5</sup>

ჯარბას მკურნალობის ეს წესი, როგორც წყაროებიდან ირკვევა, ფართოდ ყოფილა გავრცელებული ძველ ქართულ მედიცინაში.

ამჟამად ცნობილია, რომ ტრაქომის დროს არაიშვიათად რქოვანას ზერელე ლიფუზური ანთება—პანუსი (Pannus trachomatosis) ვითარდება. ასეთი ურთიერთობა ტრაქომასა და პანუს შორის ძველად შემჩნეული არ ყოფილა, მაგრამ თეთი პანუსის მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი ნიშნები კარგად სცოდნიათ.

„სხვა თვალის ტკივილი არის, საბულა ჰქვიან. მისი ნიშანი ეს არის რომე წითელი ძარღვები გამოჩნდეს თვალშიგა დედაქუას ბუღდესავითა, პირველად თვალის სიშავესა ზედა გამოჩნდეს და მერმე სითეთრეზედა გამოჩნდეს.“<sup>6</sup>

ამ ნიშნების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში აღწერილია პანუსის ერთ-ერთი სახე—სისხლძარღვოვანი პანუსი.

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 204.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 205.

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 203.

სისხლძარღვოვანი პანუსი აღწერილია XIII საუკუნის წყაროებშიც. „წიგნი სააქიმოში“ ვკითხულობთ: „ვითარებაი საბალისაი... სქელისა სისხლისაგან იქნების, რომელ თვალისა ძარღუთა შიგან შეიყაროს და თვალი მისგან გასივდეს და გაწითლდეს, და გასქელდეს.“

„ნიშანი საბალისი იგი არს, რომელ რაი თვალი იხილოს კაცმან გუგასა ზე და რაივე ნახონ, ვითა აბლაბუდისა ძაბი წმინდაი ეკიდოს ეგეთი, წითლისა წმიდისა ძარღვსა თანა და არ დია აკლებდეს ხილვასა.“<sup>1</sup>

ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს მითითება მხედველობის ხარისხისა და თვალის სისხლის ძარღვების მდგომარეობის შესახებ. ცნობილია, რომ პანუსის დროს მხედველობა სხვადასხვა ხარისხით იცვლება. ეს დამოკიდებულია პანუსის სისქეზე. შეუძმნევიათ, რომ თუ „აბლაბუდისა ძაბი წმიდაი ეკიდოს“, ანუ როგორც ახლა ვიტყვით, თუ პანუსი თხელია, მაშინ „არ დია აკლებდეს ხილვასა“, რაც სავსებით სწორეა. ისიც შეუძმნევიათ, რომ „იგი ძარღუნი, რომელ დედაზარდლისა<sup>2</sup> ბეწვსაებრ არს დიდად იყვენენ, ხილვასა ეცილებოდენ“<sup>3</sup>, ე. ი. პანუსი თუ სქელია, მაშინ მხედველობა დარღვეულია.

მსგავსი ცნობები გვხვდება ამ დაავადების შესახებ XV, XVI და შემდეგი საუკუნეების სამედიცინო ხელნაწერებშიც. მას მკურნალობდნენ კონსერვატული და ქირურგიული წესით. კონსერვატული მკურნალობა მდგომარეობდა შემდეგში: „...ფიცხლავ კოტოში მოჰკიდე უკანი ეგვასა ზედა და ყიფალიცა გაუხსენ... ყმაწვილის თვალის ტკივილისათვის რომე წაშალი გვიწერაა ის ჟუავით, და იარაჟ ფეყრა მისცეს რომე თავი გამოსწმინდოს და აბი ყუყუა მისცენ, და ნიადაგ ღარღარა ქნას, და ცხვირს ნიადაგ დასცემდეს ისეთი წაშალი ბისცენ.“<sup>4</sup>

„და თუ ძველი იყოს ბასალიყონისა შაფი უშველის. ბასალიყონისა შაფი. აიღოს: ბასალიყონი, ზაფრანა, ლახოსტაკი, წითელი ზარნიხი, თეთრი ვაშაყი, ნანქრაფი, ალაქირუმი, ზარდანიჩობი, ტაბარზადი შაქარი თვითო დრამი, ყუელა მტვერივით დანაყე ხრის წვენით გაურთივე და შაფები შექენ და ჩრდილში გაახმე, მერმე როდეს მოგინდეს ახლისა ისრიმის წვენითა მაჭურსა ზედა გალესე და თვალშია ამოაუღე.“<sup>5</sup>

როგორც აღვნიშნეთ, პანუსს ქირურგიული წესითაც მკურნალობდნენ: „კურნებაი მისი იგი არს, რომელ სანარაითა<sup>6</sup> აიღონ მაკარატელითა მოჰკუე-თონ.“<sup>7</sup>

ამავე დროს ავადმყოფს უნდა დაეცვა დიეტა: „მძიმე საკმელი იფარგზის ბუხარისაგან წაეციდების ხახვისა, ნიორისა, პრასისაგან, ბაკლისა და ოსპისაგან, დიდის თევზისა და ძროხის ხორცისაგან და ამათის მგზავისაგან ყუელასაგან იფარგზოს, ღვინო და მწვანელიცა და დოცა.“<sup>8</sup>

1 „წიგნი სააქიმო“, გვ. 109.

2 დედაზარდილი—ბაბუკუა.

3 „წიგნი სააქიმო“, გვ. 109.

4 „უსწორი-კარაბადინი“, გვ. 203.

5 იქვე.

6 სანარი—ჩქიფი—პინცეტი.

7 „წიგნი სააქიმო“, გვ. 109.

8 „უსწორი კარაბადინი“, გვ. 203.

ავადმყოფს ურჩევდნენ დაეცვა თვალი გაღიზიანებისაგან: „მტვერსა და კვანლსა ერიდოს ძილშიგან თავი მაღლა დადევს და ბევრსა ნუ იმეტყველებს და თვალსა აიხვევდეს და სინათლის კვრეტა იფარეზოს.“<sup>1</sup>

აქვე უნდა განვიხილოთ დაავადება ქათმის სიბრმავე, რომელსაც როგორც ახლა კარგად არის ცნობილი, A ვიტამინის ნაკლებობა იწვევს და ზერელე ქსეროზის ხშირი თანამგზავრია.

ქათმის სიბრმავეს ძველად „ღამის სიბრმეს“ უწოდებდნენ, რადგან ამ დაავადებას სწორედ იმაში ხედავდნენ, რომ ამ დროს ავადმყოფი სიბნელეში ვერ ხედავს, ხოლო დღისით მხედველობა არ არის შეცვლილი.

„უსწორო კარაბადინში“ კვითხულობთ: „თვალისა ტყვიელი რომე შეეჭურ ქუიან ისი არის რომე, ღამით კაცი ვერას ხედვიდეს.“<sup>2</sup>

ასეთივე აზრი გამოთქმულია „წიგნი სააქიმოში“: „ნიშანი ღამით სიბრმისა ხედავდეს ეგრე რომელ დღისით არა აკლდეს სინათლე.“<sup>3</sup>

საყურადღებოა, რომ სამკურნალო მიზნით ავადმყოფს ურჩევდნენ მიეღო შემწვარი ღვიძლი და მისი წვენი თვალში გამოეველო.

„კურნებაი მისი იგი არს, რომელ თხისა ღვიძლი ცეცხლსა ზედა დასდევს რომელ წყალი გამოვიდეს, მერმე იგი წყალი მისი თეთრსა შიშაგსა შიგან ჩაასხას და მიწყით თვალსა შემოივლებდეს, და ამის შემწვარისა ღვიძლისა წყალიცა ქამოს, და თუ ღვიძლისა წყლისა ორთქლისა ზედა პირი მიუპყრას, რონელ ორთქლი თვალსა შეუხდეს კარგი არის.“<sup>4</sup>

ამავე დროს ავადმყოფს უნდა დაეცვა გარკვეული დიეტა: არ უნდა მიეღო რძე, მაწონი, კვერცხი, ახალი ხილი.

„ნურას ჭამს ვითა მაწონი და სძე, და კვერცხი და ახალი ხილი“.

ასეთი დიეტის დაცვა აღნიშნული დაავადების დროს თანამედროვე მონაცემების მიხედვით გამართლებული არ არის.

არსებობს გარკვეული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი უნდა ყოფილიყო კონიუნქტივის სიმსივნური დაავადებანი. კერძოდ, დაავადება „თუთაის“ ქვეშ, რომელიც „წიგნი სააქიმოში“ არის აღწერილი, უნდა იგულისხმებოდეს კონიუნქტივის მელანოსარკომა.

„ნიშანი თუთაისი იგი არს, რომელ ხორცი მოზრდილ იყოს ქუთუთოსა ქვეშეთ და შავი ფერი იყოს.“<sup>5</sup>

ამ დაავადების უკეთეს მკურნალობად ითვლებოდა სიმსივნის ამოკვეთა: „...უმჯობესი იგი არს, რომელ სანართთა ამოზიდოს და ყმა დანითა ხორცი მოკვეთოს. ანუ მახვილითა მაკრატლითა, და მაშინ ძირისა წყალსა ჩაუწობდეს მას ადგილსა რომელ ხორცი ამოკუთვითილი იყოს, და კუერცხისა ყვითელი და ვარდის ზეთი ერთგან გაპრიოს და ზედა შემოსდებდეს, მრავალჯერ ესრე ქნას.“<sup>6</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 203.

2 იქვე, გვ. 209.

3 „წიგნი სააქიმოში“, გვ. 118.

4 იქვე, გვ. 119.

5 იქვე, გვ. 100.

6 იქვე, გვ. 101.

თვალის სიმსივნური დაავადებებიდან ცნობილი ყოფილა აგრეთვე თვალის კირჩხიბი, რომელიც მძიმე დაავადებად ითვლებოდა.<sup>1</sup>

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში აღწერილია დაავადებების ჭკუფი, რომელიც ნახუნას სახელს ატარებს. მათი ძირითადი საერთო ნიშანი კონიუსტივის დეგენერაციული ცვლილებაა. ამ დაავადებებს შორის შეიძლება გავარჩიოთ ცხიმულა (pinguecula), ფრთისებრი აპკი (pterygium), ეს უკანასკნელი ძველად „ფრჩხილის“ და „დანდალუკის“ სახელითაც უნდა ყოფილიყო ცნობილი.

საბა ასე აღნიშნავს: „ფრჩხილი თვალში რამ მცირე თეთრი შვეა ტყვილთა“.

„დანდალუკი თვალის მავნე ბინდი, გინა ფრჩხილი“.

პტერიგიუმს ფრჩხილს, ალბათ, იმიტომ უწოდებდნენ, რომ ფრთისებრი აპკი თვალის ნაპრალის საზღვრებში ფრჩხილის ბალიშის მაგვარ სურათს ქმნის, ფრჩხილს წააგავს.

„უსწორო კარაბადინში“ აღნიშნულია, რომ ნახუნას დროს ავადმყოფს თვალზე წვრილი და თეთრი რამ გამოუვა, რომელიც ტყვილს ნაკლებად იწვევს. თუ იგი ფერად გარსზე იქნებოდა, წითელი ფერისა უნდა ყოფილიყო, ხოლო სკლერაზე მოშაო: „სხუა თვალის ტყვილი რომე ნახუა ჰქვიან. მისი ნიშანი თუალშიგან წურილი და თეთრი რამე გამოესხას, ამისი ტყვილი უფრო ცოტა იყოს.“<sup>2</sup>

„სხუაი ნიშანი ნახუნასი ესე იყოს: თვალსა შიგა შავშიგან დაიბადოს წითელი იყოს, თუ სითეთრე შიგან იყოს და შავად სვემდეს, მეტი ხორცი იქნების თვალისა...“<sup>3</sup>

ავადმყოფს უტარდებოდა კონსერვატული მკურნალობა, მაგრამ თუ შედეგს ვერ მიიღებდნენ, მაშინ ქირურგიული წესით მკურნალობდნენ: „საკეღელ დაზილონ და თბილს წყალშიგან ჩაყარონ და მერმე გაწურონ და მისი წყალი თვალშიგა ამოივლის და რა გინდა ნადველი იყოს თაფლითა ისიცა ამოივლის და წამალი თუთია რომე ისრითა გაზრდილი იყოს, ისიცა კარგი არის.

თუ ისი სენი ძველი იყოს და სხვილი მისი აქიმი დასტაქარი იყოს.“<sup>4</sup>

არ არის გამორიცხული, რომ ამ უკანასკნელ წინადადებაში „სხვილი იყოს“ პტერიგიუმის სისქეს გულისხმობდეს. უფრო ხშირად სწორედ სქელი პტერიგიუმი მოითხოვს ოპერაციულ მკურნალობას, რადგან იგი სწრაფად იზრდება და დაგვიანება ცუდ გავლენას ახდენს ოპერაციის შედეგზე.

ამის შესახებ უფრო მკაფიოდ არის ნათქვამი XIII საუკუნის წყაროებში, სადაც გარჩეულია სქელი და თხელი პტერიგიუმი: „ნიშანი ნახუნასისა იგი: არს, რომელ თაფლსა მსგზავსი რამე თვალისა სიშავესა ანუ სითეთრესა ზედა მოზრდილ იყოს, და უარესი იგი არს მათგან, რომელ თვალისა გუგასა მიახლებულ და გასქელებულ იყოს.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> „წიგნი საქიმიო“, გვ. 111.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 204.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „წიგნი საქიმიო“, გვ. 107.

„ნახუნაისი კურნებები რაი თეთრი და თხელი იყოს...“<sup>1</sup>

ამ პერიოდში ისევე როგორც წინა საუკუნეებში, თუ პტერიგიუმი თხელი იყო, აწარმოებდნენ კონსერვატულ მკურნალობას: „თუ თხელი იყოს ესე შაფი შემოვლოს, ვითარებაი მისი: როსოხთავი ხუთისა დრამისა წონი ვითამცა დამწუარი სპილენძი, ჟანგარაი ორისა დრამისა წონი ყველაი წმიდად გაგალოს, ნიშადური და ბავრუკი და ყვითელი ამარტი და არჩასპი, მწვანე უმწუარი თვითოსაგან დრამისა წონი, ვაში ორისა დრამისა წონი ყველაი წმიდად გაგალოს და მაშინ აბანოს მივიდეს და პირი ტფილისა წყლისა ორთქლსა მოუპყრას, და რაი გამოვიდეს ესე წამალი თვალთა ჩაიყაროს მეტად მანკსა ზედა ერგების, და შაფი მწვანის არჩასპისაი რომელ ყაყნიდი ჰქვიან, ამას ქირსა დია ერგების.“<sup>2</sup>

ამ პერიოდში, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, თუ პტერიგიუმი სქელი იყო და მხედველობას ხელს უშლიდა, მიმართავდნენ ოპერაციულ მკურნალობას.

„...რაიცა სქელი იყოს და ნახვასა აცილობდეს კურნებები მისი იგი არს, რომელ სანარაითა აიღოს და მაკრატლითა მოჰკვეთოს.“<sup>3</sup>

„უსწორო კარაბადინში“ აღწერილია თვალის ტრავმული დაზიანების სურათი, რომელიც სკლერის კონიუნქტივის ქვეშ სისხლჩაქცევას წააგავს: „თვალსა რომე გარეთ ქუა ან სხუა რამე ეცეს და თვალშიგან სისხლი იყოს, და სისხლი შიგა დამკუდარიყოს და დამკარებულიყოს.“<sup>4</sup>

ასეთივე ცნობები გვხვდება „წიგნი სააქიმოი“ და სხვა ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში:

„...ესე მანკი მით იქნების, რომელ თვალთა რაი ეცეს ანუ სხვაიებრ ეფათერაკოს რაიმე, და მას უჯანის სისხლი პირველთა ფარდაგთა შიგნით შეიყაროს.“

„...წითელი წინტელი თვალთა შიგნით ჩნდეს, და იქნების რომელ სითეთრესა ზედა წითელი ნიშანი გამოჩნდეს და მას სპარსულად ზუნდარ მორდაი ჰქვიან და ქართულად სისხლშემკუდარი.“<sup>5</sup>

ავადმყოფს თვალში უნდა ჩაეწვეთებინა ქინძის წყალი, ქალის რძე და სხვ.

„კურნებები მისი იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაიღობოს. და მიწყით სძესა და ტრედისა სისხლსა თვალთა ჩაიწოთოდეს. და თუ არა ეყოს ყვითელი ამარტიჲ ქინძისა წყლითა გაგალოს და თვალთა ჩაიწოთოს, და მიწყით ქალის სძესა ჩაიწუელდეს და თუ ამით არ გაქარდეს, ესე წამალი იხმაროს ჩვენ გამოგვიცდია: მური და ზაფრანაი და თეთრი საკმელი თვითოსაგან დრამისა წონი, ყველაი დანაყილი და გაცრილი შაფად ქნას და ნედლსა ქინძისა წყლითა გაგალოს და თვალთა შემოაელოს.“<sup>6</sup>

საერთოდ თვალის ტრავმული დაზიანება პროგნოზის მხრივ საშიშად ითვლებოდა: „თვალში მოხვედრებისათვის ქვისა, ანუ ჯოხისა და სხვისა რისანე. უკეთუ კაცსა თვალში მოხვდეს რამე ანუ გაუთეთრდეს, ანუ გაულურჯდეს, იმას ფაფა-ფუფა არაფერი არ უნდაჩა დაადვან. პირველად ფილტი უნდა დაა-

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 107.

2 იქვე.

3 იქვე.

4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 212.

5 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 106.

6 იქვე.

დენა თხისა, რომ დაავადებს და დაქვეილობასაც გამოიტანს, და უკეთუ დაუწყულდეს თეთრის მალამონი მსახურონ... დიდი სიფრთხილით უნდა წამლობა რომ არ გამოეშრიტოს თორემ თუ გამოეშრიტა შეუძლებელია იქნება მორჩენა თვინიერ გამრთელებისა.“<sup>1</sup>

ძველ ქართულ მედიცინაში საცრემლე ორგანოების დაავადებანი ცრემლის დენის ან „წყლისა დენის“ სახელით იხსენებიან. ზოგიერთ შემთხვევაში კი ცრემლის დენა განხილულია როგორც თვალის რომელიმე დაავადების ნიშანი.

„უსწორო კარაბადინში“ აღწერილია ნიშნები, რომლებიც ცრემლის გამტარი ვზების დაავადებას გვაგონებენ.

„სხუაი თვალის ტკივილი რომე დამა ქუიან. მისი ნიშანი ისი არის რომე თვალი მუდმად სავე იყოს ცრემლითა. ესე ორისაგან არის, ერთი ბალღმისაგან. ერთი სისხლისაგან. თუ ბალღმისაგან იყოს მისი ნიშანი ეს არის, რაზომცა უქმელად იყოს. უკეთ იყოს, თბილისა დროშივა უკეთ იყოს. და რა ცივა ნიავი ეცეს უარე შეიქნას. და თუ ზამთარი იყოს, თოვლსა და სიცივესა ნახვედეს. უვარ იყოს.

თუ სისხლისაგან იყოს, მისი ნიშანი, როგორცა დასცხეს უვარ იყოს. თუ აბანოშივა ებანოს მაშინაც უვარ იყოს.“<sup>2</sup>

ამას გარდა ცნობილი ყოფილა, რომ ცრემლის დენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს თვალის ირგვლივი კუნთის დამბლის დროს („ხორცთა სისუსტისაგან, რომელ თვალთა მიდამოთა არიან“), პტერიგიუმის ოპერაციის შემდეგ („ნახუნაისა ამოუუეთასა უკანით“) და სხვ.

ნიშანი წყლისა დენისაი: იგი არს, რომელ მიწყით თვალი სველი იყოს და ცრემლი ღია სდიოდეს; და ნიშანი მისი რაიცა ხორცთა სისუსტისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით წყალი სდიოდეს და თვალი ღია დარჩეს.“<sup>3</sup>

მკურნალობა მდგომარეობდა შემდეგში: „კურნებაი იგი არს, რომელ მიწყით აბანოს მივიდოდეს და ყვითელი ჰალილაი ნარსაქისა წყლითა გაგალოს და თვალსა შემოვლოს. და ესე თვალთა საოლაგი თვალისა სიმრთელისათვის კარგი არს და წყლისა დენასა მოსწყუედს. ვითარეზაი მისი? ჰინდური თუთიაი და ჰალილაი თვითისა ოდენი, ისარიმისა ანუ თუთუბისა წყლითა გაგალონ და გაახმონ, და ცოტაი ქაფური მოაყარონ და თვალთა ჩააყარონ.“<sup>4</sup>

არსებობს ცნობები, რომ ძველად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ გუგის სიდიდის შეცვლას. არჩევდნენ გუგის შევიწროებას (miosis) და გაფართოებას (midriasis). გუგის სიდიდის ცვლილება ცალკე დაავადებად განიხილებოდა („სიფართე და სივიწრე თვალისა ხურელისა“), ხოლო დაავადებანი, რომლებსაც გუგის სიდიდის შეცვლა ახასიათებს, გამოიწვევებ მიზეზად იყო მიჩნეული.

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი S, № 4005, ფ. 12 რ.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 206.

<sup>3</sup> „წიგნი საქიშოში“, გვ. 109.

<sup>4</sup> იქვე.

გუგის გაფართოებას უკავშირებდნენ ტეინის სიმსივნეს („სიმსივნისაგან რომელ ტეინისა ფარდაგსა შიგან გამოჩნდეს“), ტრავმას („ესე მანკი ნაკრავისგან იქნების რომელ თვალთა რაი ეცეს, და მაშინ გუგაი გაფართოდეს ეგრე რომელი ვერას ხედვიდეს“)<sup>1</sup> და სხვ.

ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა დაავადება „შავი წყლის ჩამოსვლა“, რომელიც აღწერილი ნიშნების მიხედვით გლაუკომას გვაგონებს.

წარსულში ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი პათოლოგიური მოვლენებიდან ცნობილი იყო უმთავრესად სუბიექტური ხასიათის ნიშნები. XI საუკუნის წყაროებში აღწერილია, რომ „თვალშიგა რომე წყალი ჩამოვიდეს, მისი ნიშანი ესე არის, რომე თვალთა წინა ფერად ფერადსა რასმე ნახვიდეს ნიშანსა წინწყალსავითა, ანუ შავისა ბეწუისა მავკარსა, თვალთა წინა რომე უვლიდეს, ანუ აბლაბუღევითა, ანუ შავი საცერითა თვალშიგა რომე ეჩუენებოდეს.“<sup>2</sup>

გლაუკომით დაავადებულს ადრეულ სტადიაში მართლაც აქვს გამოხატული მსგავსი ნიშნები.

აღნიშნულ მონაცემებთან ერთად XIII საუკუნისათვის ცნობილი ყოფილა გლაუკომის ზოგიერთი სხვა არსებითი ნიშანიც. მაგალითად, თავის ერთი ნახევრის ტკივილი, რომელსაც შაკიკისათვის დამახასიათებელ ტკივილს ადარებდნენ: გუგის მკვეთრი გაფართოება; რქოვანას დანისლვა და სხვ.

„თავისა დია ტკივილი და შაკიყაისა ტკივილი რომელ ძნელად იყოს, ნიშანი არს შავისა წყლისა ჩამოსვლისა თვალთა.“<sup>3</sup>

„...გუგაი გაფართოდეს ეგრე რომელ ვერას ხედვიდეს, და ანუ დია თავის ტკივილისა უკანით შეიქნების.“<sup>4</sup>

„ნიშანი მისი რაი თავის ტკივილისაგან ქნილ იყოს. იგი არს, რომელ თვალთა არა უჩნდეს, ერკაიხე ცოტაი უჩნდეს, და თვალის გუგაი ერკაიხე ფართო იყოს ეგრე რომელ საზომისაგან გადასრულ იყოს.“<sup>5</sup>

XV საუკუნის წყაროებში მოხსენებულა ამ დაავადების ისეთი მნიშვნელოვანი ნიშანი, როგორცაა მხედველობის დაქვეითება, დაბურვა: „ნიშანი საოლავისა, რომელი ერგების მიბურვილობასა თუ ალთასა და ეისი სინათლე მოუსუსურებელი იყოს, და ვის აუჩნდებოდეს თუალთა წინა მსგავსი თმისა და მუჰლისა, და ვის ეშინოდის წყლისა ჩამოსვლისა თუალთა.“<sup>6</sup>

შავი წყლის ჩამოსვლის მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მკურნალობის დროულ დაწყებას, ამიტომ, როგორც კი შეამჩნევდნენ შავი წყლისთვის დამახასიათებელ რაიმე ნიშანს, მაშინვე მიმართავდნენ საფეთქლის არტერიის დადალვას ან გადაკვეთას.

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 114.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 213.

3 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 48.

4 იქვე, გვ. 116.

5 იქვე.

6 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 75. ხაზი ჩვენია.



„წყლისა ჩამოსულაისა უწინაით თუ იგრძნოს საფეთქელთა ძარღვნი ყუ-რიმალის ძირსა რომელ არიან, დასდალოს, რომელ წყალსა გზაი შეუყრან და წყალი ტვინისგან ქუე თვალთა არ ჩამოვიდეს.“<sup>1</sup>

„მურნებაი მისი შარიანი ძარღვი გაჰკვეთოს რომელ მანკი არ გამაგრდეს და თუ გამაგრდების აღარ იქურნების.“<sup>2</sup>

ავადმყოფს უნდა დაეცვა გარკვეული დიეტა. ეკრძალებოდა ღვინის სმა, ძნელად მოსანელელებელი საკვების მიღება და სხვა, რასაც დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება გლახუკომის მკურნალობაში.

„ღვინოსა ნუ სუამს, დიაცსა ნუ დაეკარების და უღნობსა საკამადსა ნუ ჯამს.“<sup>3</sup>

„მძიმეთა და უღნობთა საკამადთა ერიდებოდეს.“<sup>4</sup>

ჯერ კიდევ XI საუკუნეში ძველი ქართული მედიცინისათვის ცნობილი ყოფილა გლახუკომის მკურნალობის ქირურგიული წესი.

„იციოდით რომე ესე შავი წყალი შუიდ ფერი იქნების, ამისგან ერთის მეტსა არა ეშველებს. თუ ოსტატი დასტაქარი იყოს შემიღე გაცუნსნას თუ არა ხელსა ნუ მიყოფს და წამლებითა ეცადოს.“<sup>5</sup>

ოპერაციის დროს ავადმყოფი მაძლარი არ უნდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა განძრევა და, საერთოდ, მკვეთრი მოძრაობა. ოპერაციის შემდეგ ზურგზე უნდა დაწოლილიყო, სამ დღეს არ შეიძლებოდა სიარული, თვალეზი დახუჭული უნდა ჰქონოდა და ყოფილიყო ბნელ ოთახში: „და თუ წყალი შემოსრულ იყოს ყადაპისგან კიდე არა იქნების; და ყადაპი წყლისა გახსნასა ჰქვია მილისა წვერითა. და ეგრე ხამს რომელ მას ეამსა მაძლარი არ იყოს; და არც შეიძრას, და ცხვირთა ნუ დასცემს, და რაი შეიგნეს რომელ წყალი სრულად გამოვიდა პირალმა დაწუეს, და კურეცხისა ყვითელი ვარდისა ზეთითა გაადგინოს და თვალთა შემოსდვას და მალფაკაი შემოსდვას და შეკრას და ყველაი ნუ იარების და სამსა დღესა ესრე ქნას და ორივე თვალი დააჭუხვიოს და ბნელსა სახლსა იყოს და მესამესა დღესა ნელითა წყლითა დიბანოს თვალი და შავი მჩუარი ჩამოიხუროს ერგების.“<sup>6</sup>

საინტერესოა ცნობები, რომლებიც XVIII საუკუნის ქართულ სამედიცინო წყაროებში გვხვდება გლახუკომის ოპერაციის შესახებ.

ოპერაცია წარმოებდა შემდეგნაირად: „თვალში მილის ხმარებისათვის, თუ როგორ იხმარებენ. თუ ვისმე თვალში მილის მიცემა ეჭირვებოდეს პირველად ერთი იარალი არის რომ ქუთუთოებში უნდა ჩაიდვას და თვალს უძრავად დააყენებს, რომ ამ იარალს საფრანგეთში აკეთებენ, და თუ ეს იარალი არ იშოვებოდეს თითონ უძრავად უნდა დააყენოს თვალი და გააშტეროს და შემდგომად მილს მოიღო ნეშტარი და ზედ ძაფი ანუ მჩვარი უნდა დაახვიო რომ მცირედლა ჩნდეს ნეშტარის წვერი და უნდა თვალის უკანა კილოს იქიდან მიიტანო ვითა

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 117, 118.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 116.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 118.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 213.

<sup>6</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 118.

მილი ნიკაპის კვრით უნდა გასჭრა იმ ზომით ვითა მილი არს დახატული და მილი შევიდეს რომ ხელის კვრით ნეშტარი ღრმად არ მოგივიდეს, და თუ ღრმაჲ მოგივიდა ნეშტარი წყალი გამოედინება და თვალი გამოეშრიტება, და ოდეს ზოილო მილი ნელა და სიფრთხილითა უნდა შეუყო და თვალ მოუშორებლად უნდა უყურებდეს და აბრუნებდეს ნელა მილსა და ასრე გასწმინდო შინაგანი თვალის სიბინდეს რომ თვალს არა ავნოსრა, ოდეს გასწმინდო ბინდი შეგინდამ და შეატყო რომ განიწმინდა, მაშინ კიდევ სიფრთხილით უნდა გამოიღო მილი.“<sup>1</sup>

თვალის დაავადებათა მკურნალობაში მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მარტო წამლეულობას, არამედ ავადმყოფის მოვლას, საცეცხის ხასიათს და სხვ.

ჯანურჩველად იმისა, თუ თვალის რა დაავადება იქნებოდა, ავადმყოფს ურჩევდნენ წოლის დროს თავი მაღლა ჰქონოდა, ზურგზე წოლილიყო: „...თვალმტკივანსა კაცსა მუდამ სასთაული მაღლა უნდა დაუდვან და ეძინოს. თუ იწვეს მუდამ გულადმა და ამართვით უნდა იწვეს და ამავე რიგად ეძინოს...“<sup>2</sup>

ამას გარდა, უნდა მორიდებოდა მკვეთრ სინათლეს, რასაც შეეძლო გამოეწვია თვალის არასასურველი გაღიზიანება.

„...თვალმტკივანი კაცი უფრო მოზნელოს სახლში უნდა იჯდეს და იყოს, და სინათლესა და მზეში სიარულსა უნდა ერიდოს.“<sup>3</sup>

ავადმყოფს უნდა დაეცვა გარკვეული დიეტა: „ხახვი, ნიორი, წიწმატი, პრასა და ყოველი მწარე საშემელი თვალმტკივანმან კაცმან არ უნდა ჰკამოს, თვარემ აწყენს და თვალის ტკივილს მოუმატებს. და თუ არ დაიშალონ და ჰკამონ, ცოტა უნდა ჰკამონ რომე არ აწყინოს.“<sup>4</sup>

როგორც განხილული მასალის მიხედვით ირკვევა, ძველ ქართულ მედიცინაში კარგად ყოფილა ცნობილი თვალის მთელი რიგი დაავადებები, მათი დამახასიათებელი ნიშნები, მკურნალობის წესები და ზოგიერთი პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი S, № 4005, 15 რ.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 285.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

## ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებანი

აღამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ არსებული წარმოდგენების განხილვის დროს უკვე აღნიშნული იყო, რომ V—VI საუკუნიდან მოყოლებული ძველ ქართულ დამწერლობით წყაროებში გვხვდება ცნობები ყელის, ყურის და ცხვირის აგებულებისა და ფუნქციის შესახებ.

წერილობითი წყაროების შესწავლით ირკვევა აგრეთვე, რომ საკმარის ცნობილი იყო ყელ-ყურ-ცხვირის ზოგიერთი დაავადებაც. მათ შორის აღსანიშნავია ყელის დაავადებანი: „კვიკვერთა ჩამოსვლაი“, „სასაისა ჩამოსვლა“, რომლებიც, როგორც მათი აღწერილობიდან ჩანს, ხახის ნუშისებრი ჭირკვლების ანთებისა და ანგინისათვის დამახასიათებელი ნიშნებით მიმდინარეობენ. არჩევანზე აგრეთვე სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ ხმის დაკარგვას და სხვ.

ყურის დაავადებებიდან არჩევდნენ: გარეთა სასმენი მილის უცხო სხეულებს, გარეთა სასმენი მილის ფურუნკულს, შუა ყურის ანთებას, სხვადასხვა წარმოშობის სმენის მოშლას და სხვ.

ცხვირის დაავადებებიდან ცნობილი ყოფილა სხვადასხვა ხასიათის სურდო, მათ შორის ისეთიც, რომელიც თავისი ნიშნებით მყარალ სურდოს, ანუ ოზენას წააგავს; ცხვირის ღრუს ხორცმეტი, სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული სისხლის დენა ცხვირიდან, ყნოსვის მოშლა და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა შესახებ ცალკეული ცნობები V საუკუნიდან გვხვდება, ხოლო მათი, როგორც გარკვეული დაავადებების აღწერა უკვე XI საუკუნიდან მომდინარეობს. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ იმ აღწერილობებს შევხვებით, რომლებშიაც დაავადების ცალკე სახეებია ასახული.

განვიხილოთ თითოეული დაავადება ცალ-ცალკე ორგანოების მიხედვით.

### ყელის დაავადებანი

XI საუკუნეში ცნობილი ყოფილა ყელის დაავადება, რომელსაც „მალაზას“ უწოდებდნენ. მის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა რბილი სასის ჩამოსივება, სუნთქვისა და ყლაპვის გაძნელება: „...სასა გაუსივდების და მეორე იმავე სასადაღმა ხორცი ჩამოეკიდების შიგნით ყელისა თავსა და იქი დაჭდების... სულისა ამოღებასა და საქმელისა ჩანთქმასა გააძნელებს.“

გარდა ამისა, „მალაზას“ დროს შეიძლება ავადმყოფს სახე ჰქონდეს წამოწითლებული, აუწიოს სიცხემ და სხვ.

წარმოდგენილი ნიშნების მიხედვით, აღწერილი დაავადება ყველაზე მეტად კატარულ ანგინას გვაგონებს.

საინტერესოა, რომ ერთგვარ დიფერენციაციას ატარებდნენ „მალაზასა“ და ხახის სიმსივნურ დაავადებებს შორის და ყოველი შემთხვევისათვის ავადმყოფს იმ სამკურნალო საშუალებებსაც აძლევდნენ, რომლებსაც იმ დროისათვის სიმსივნეების სამკურნალოდ იყენებდნენ: „...ნიშანი ესე იყოს, რომე სიმალინე მაგარი იყოს და პირი და ენა მოშაო იყოს, იქნები რომე პირისა გემო მომყოდ იყოს, და ესეცა იყოს, რომე ენისა სიმსივნესა გვანდეს, მისი წამალიცა რაცა ენისა სიმსივნისათვის სწერია, ისი უყავით და ზედაზედა ისი გასახსნელი წამალი უყავით, რომე სევდისათვის წერია გასახსნელი, მერე ესე გრილი წამალი უყავ, რომე პირშიგა იმდგომოს, და კიდეცა ილარაროს... რომე სიმსივნემან არა იმატოს და სარატანად არ გარდაექცეს.“<sup>1</sup>

„მალაზას“ სამკურნალოდ მრავალი სხვადასხვა საშუალება იხმარებოდა. მაგალითად:

„აიღე: თეთრი შაბი ოთხი დრამი, გულნარი რვა, და ქაფური და ნიშადური თუითო დრამი ყუელა დანაყე გაცარ და რკინის კოვზი დაასოვლე და ესე წანალი ზედა დააყარე და შეუყავ პირშიგა და აზიდენ მითა.“<sup>2</sup>

გარდა ამისა, ავადმყოფს ენიშნებოდა ძალსუფრძენას, მრავალძარღვას, ქერის წვენის, ქინძის წყლის ან სხვა სამკურნალწამლო საშუალებათა გამოვლება ყელში („ლარლარა აქნევიე“).

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ დაავადების დროს აწარმოებდნენ ყელში წამლის ჩაბერვას შპარის საშუალებით.

„...დანაცრებული, ესე ყუელა სწორი დანაყე და გაცარ და შეუბერე მასრითა.“<sup>3</sup>

განხილული დაავადება XIII საუკუნის წყაროებში „სასისა ჩანოსვლათ“ იწოდება. მისი დამახასიათებელი ნიშნები უფრო მკაფიოდ და კონცენტრირებულად არის წარმოდგენილი.

„ქამისა ჩამოსულაა რომელსა ჰქვიან სასაი თუ სიმხურვალისაგან იყოს.“ ნიშანი „იგი არს რომელ რაი პირი აღრინოს და ენაი გამოყოს სასაი ნახოს ჩამოსული, და დია წითელი იყოს, და ჭურვიდესცა და სტკივოღეს.“<sup>4</sup>

სამკურნალოდ სხვა საშუალებებთან ერთად ავადმყოფს ენიშნებოდა მარილწყლის, ძმრის, ან მეავე ბოროქელის წვენის გამოვლება ყელში.<sup>5</sup>

მკურნალობასთან ერთად ავადმყოფს უნდა დაეცვა გარკვეული კვებითი რეჟიმი: „...მხურვალთა საქამაღთა და სიტკბოთა და თათლიანთა ერიღოს.“<sup>6</sup>

აღნიშნული დაავადება შემდეგი საუკუნეების წყაროებში ამავე ნიშნებით არის წარმოდგენილი და არც მისი მკურნალობა შეცვლილა.

„წიგნი სააქიმოში“ აღწერილია დაავადება, რომელსაც „კვიკვირთა ჩამოსვლას“ უწოდებდნენ.

„კვიკვირს“ ხახის ნუშისებრ ჭირკვლებს ეძახდნენ და „კვიკვირთა ჩამოსვლის“ გვეშ აღნიშნული ჭირკვლების ანთება (Tonsillitis) უნდა ვიგულისხმობთ.

1 უსწორო კარაბადინი“, გვ. 245.

2 -უსწორო კარაბადინი“, გვ. 216.

3 იქვე.

4 იქვე.

5 „წიგნი სააქიმო“, გვ. 276.

6 იქვე.

7 იქვე.

„კვიკვირთა ჩამოსვლას“ ჰუმორალურ კომპონენტთა მდგომარეობას უკავშირებდნენ, რაც, ცხადია, სწორი არ იყო, მაგრამ ის კი მართებულად იცოდნენ, რომ ამ დაავადების დროს ადგილი აქვს აღნიშნული ჭირკვლების შესივებას: „ვითარებთა კვიკვირთა ჩამოსვლისაი... სმსიენე არს სასასა უკანით...“<sup>1</sup>

დაავადების დამახასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა: „კვიკვირთა“ ჩამოსივება, ზოგჯერ დაჩირქება, ყლაპვისა და სუნთქვის გაძნელება, სიცხის მომატება. ტკივილი და სხვ.: „...სასა უკანით რა პნახოს რომელ კვიკვირი ჩამოსულა და ჰკიდავს და ნიშანი მისი იგი არს, რომელ ნერწყუსა ძლივ ჩანთქმიდეს და სული ძლივით ამოვიდოდეს... გასივებულსა შიგან თხამლი იყოს... ცხროი გამოჩნდეს...“<sup>2</sup>

„კვიკვირთა ჩამოსვლას“ მკურნალობდნენ კონსერვატიული და ოპერაციული წესით.

კონსერვატიული მკურნალობა მდგომარეობდა ყელში. გამოსავლები სხვადასხვა საშუალებების დანიშვნაში: „კურნებაი კვიკვირთა ჩამოსვლისა... იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაილბოს ხილთა წყლითა და ყვითლითა ჰალილაითა, და ცოტაითა საყამონიაითა, რაი შეიგნოს რომელ სიმზურვლიდგან არს ილარღაროს ტუტისა წყლითა და ხავარტისა წყლითა, დაიკიროს და შეაგბოს რომელ ნახევრად მოვიდეს და მით ილარღაროს, და ყელსა ჰიქაი მოჰკიდოს, რომელ იგი სისხლი გამოიღოს და მამინ თუთუბისა წყლითა და ქინძითა და ვარდის წყლითა ილარღაროს, და რაი მანკი სიგრილისაგან იყოს ნახევარ უკიაი სპანძელი დანაყილი, ნახევარსა ლიტრაისა შეგბობილსა ლედესა თანა გაპრიოს და ილარღაროს, და პიტნისა შემგბრითა პირსა დაქირვითა იხარკოს...“<sup>3</sup>

როგორც აღვნიშნეთ, „კვიკვირთა ჩამოსვლას“ ოპერაციულადაც მკურნალობდნენ, რაც გადიდებული ნუშისებრი ჭირკვლების ამოკვეთაში მდგომარეობდა: „და თუ სულსა ძლივ იკვეთდეს და სიმსიენე გათეთრებული იყოს, მანკი დაძველებული იქნების. კურნებაი იგი არს, რომელი მოჰკვეთოს.“<sup>4</sup>

აქვე უნდა განვიხილოთ დაავადება, რომელსაც „ხმის ჩავარდნას“ უწოდებდნენ.

„ხმის ჩავარდნის“ ორ მიზეზს იცნობდნენ: სინედლეგსა და სიხმეს. „ნიშანი ხმისა ჩავარდნისა ორისა ფერისაგან იქნების, ერთი სინედლისაგან და ერთი სიხმისაგან.“<sup>5</sup>

თითოეულ მათგანს გარკვეული ნიშნები ახასიათებდა და ამ ნიშნების მიხედვით ხდებოდა მათი განსხვავება ერთმანეთისაგან.

„თუ სინედლისაგან იყოს მისი ნიშანი ესე იყოს რომე, რა ხმის ამოღება უნდოდეს. წურღილად ამოიღოს, ასრე რომე როგორაცა ბატარასა ლეკუისა...“<sup>6</sup>

„თუ სიხმისაგან იყოს, ხმა წეროსა ხმასა უგვიანდეს.“<sup>7</sup>

1: „წიგნი საჰიმოი“, გვ. 150.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

5 „უსწორო კარაბაღნი“, გვ. 250.

6 იქვე.

7 იქვე.

ხმის ჩაყარდნა ისეთ დაავადებად ითვლებოდა, რომლის მკურნალობის გადადება არასასურველი იყო, რადგან რაც უფრო მეტი დრო გავიდოდა, მით უფრო ძნელად იკურნებოდა. „უ ს წ ო რ ო კ ა რ ა ბ ა დ ი ნ შ ი“ ვკითხულობთ: „წამალი ხმისა ჩასუღლისა ის არის, რომე ფიცხლად უწამლო, თუ ხანი გამოვადნელად ეწამლებს.“

ყელის სიმშრალით გამოწვეული ხმის ჩაყარდნის მკურნალობის მიზნით, ავადმყოფს უნდა მიეღო გოგლიმოგლი, ცხელი რძე, კარაქი და სხვ.

ამავე დროს ასეთ ავადმყოფს უნდა ესვა ნელთბილი წყალი და მშვიდად უნდა ყოფილიყო.

„თუ სენი სიხმისა იყოს, მისი წამალი ბაზრაყატუნისა ლაბა შექენით, აქმევდით, ნელთბილი ქათმის ხარშოი მსუქანი და კუერცხისა გული შაქრითა შარგე არის. კიტრისა და ასპანახისა ხარშო, ცხელი რძე შაქრითა, კარაქი შაქრითა, ნიშანტაგი შაქრითა. აბანოს ბანა, ხშირად ნელთბილსა წყლისა სმა მარგე არის.“<sup>1</sup>

მბგერავი იოგების გადაღლის შედეგად ხმის დაკარგვის სამკურნალოდ ავადმყოფს ენიშნებოდა ცხელი რძე, თოხლო კვერცხის გული. ეკრძალებოდა ალკოჰოლური სასმელების მიღება: „...და მოკირავებისაგან იყოს, მისი წამალი, მას ქუიან ქათმისა ხარშო, ცხელი რძე თორხლო კუერცხის გული, სხუილი ცერცუის ფქუილისა სახურეტელი, ყუელა შაქრითა. ლუინო იფარეზოს და ჭულაბსა სმიდეს.“<sup>2</sup>

ხმის თრთოლვის ერთ-ერთ მიზეზად ფილტვის დაავადება ითვლებოდა, მაგრამ დასაზღვრებული არ არის სახელდობრ რომელი დაავადება:

„თუ ხმა უთრთოდეს, მისი მიზეზი ფირტუისაგან არის, მან რაცა ღონე იყოს ზახილისაგან, მალღისა ხმისაგან, საუბრისაგან და სიციღისა მწოვისა და გაგულისებისაგან და სარჯლისაგან ფარეზი ქნას და პირ აღმა ნუ დაწუების—პირ დაღმა დაწუეს და მისსა მკერდზედა ტყუივისა ფიცარი დააკრან, ასეთი რომე აღება ემძიმებოდეს, და წყნარად და ტკბილად უბნობდეს...“<sup>3</sup>

როგორც „წიგნი სააქიმოიდან“ ჩანს, ცნობილი ყოფილა, რომ „ხმის ჩაყარდნის“ დროს ადვილი აქვს ხორხისა და ყიას მიდამოს სიმშრალეს: „ზახილისაგან რაი ხმაი დახდილი იყოს ანუ მისგან იქნების ანუ ხორხისა სიხმელისაგან ვირტვისა ყიაი რომელ ხმელად ედგას.“<sup>4</sup>

სამკურნალოდ ავადმყოფს ეძლეოდა ნუშის გულის ზეთში დამბალი თეთრი ჩამიჩი და სხვა საშუალებები, რომლებსაც ფიქრობდნენ, რომ შეეძლო ხორხის სიმშრალის მოსპობა. „კურნებაი მისი იგი არს, რომელ თეთრი ჩამიჩი უგულოი ნუშის გულისა ზეთსა შიგან დააღბონ და დილა საღამოთა ოცოცთა მარცვალთა კამდეს. ანუ დანგი ერთი საბრი ამოზავებულსა კუერცხსა გაურთოს და ხვრიტოს.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 250.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 251.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 154.

<sup>5</sup> იქვე.

XV საუკუნეში, როგორც ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნიდან“ ირკვევა, შეხედულებები ხმის ჩავარდნის მიზეზებისა და მკურნალობის შესახებ არ შეცვლილა. აღნიშნულ ძეგლში ვკითხულობთ: „თ უ ზ ა ხ ი ლ ი ს ა-გ ა ნ ა ნ უ ს ი მ დ ე რ ი ს ა გ ა ნ ჩ ა ვ ა რ დ ნ ი ლ ი ყ ო ს,—აიღე ტკბილისა ბროწეულისა ქერქი, ყუთიელი ალილა, ორივე დანაყე, და ფუშრუჟი შექენ, და შიგან გაუტრე. და ქასინისა წყლითა ღარღარა აქნევირე.“

ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში საინტერესო ცნობები გვხვდება წურბლის და უცხო სხეულების ხორხში მოხვედრის დროს განვითარებული პოვლენებისა და იმ სამკურნალო მეთოდების შესახებ, რომლებსაც ასეთ შემთხვევებში შიპართადენენ.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ, რომ ყელიდან წურბლის ამოსაყვანად ავადმყოფი „...პირიდადმა დააწვინონ და პირი დაუღრინონ და ოქრომკედლისა წურილი და გრძელი მარწუხი რომე არის ისი ჩაუყავით და მოკიდეთ იმა წურბელასა...“<sup>1</sup>

ხორხში წურბელის მოხვედრის ამოსაცნობ ნიშნებად ითვლებოდა ტკივილი, წვა და ყელიდან სისხლის დენა: „ნიშანი წურბელისაი იგი არს, რომელ ხორხსა შიგნით ეგრე ეგონოს რომელ მას მოსწოვს რაიმე, და ტკივილი და კირი ძნელი იყოს და მიწყით ხორხისაგან თხელი სისხლი ამოდიოდეს და ეწვოდეს ძნელად“<sup>2</sup>.

წურბელი თუ ჩანდა, იგი ხორხიდან სპეციალური იარაღით („ჩქიფით“) ამოიყავდათ. ხოლო, თუ არ ჩანდა, სხვა საშუალებებს იყენებდნენ: „რამ წურბელი ხორხსა ჩამოეკიდოს პიტნის წყლითა იღარღაროს, ანუ მის ხისა ფურცელითა რომელ მუმილი ეხვეოდნენ, მისითა წყლითა, ძმრითა და უპანითა იღარღაროს, და თუ ძუელი ცხარი ძმარი და ნიორი და ნიშადური და გაგლილი არჯასპი ხორხთა ჩაჰბეროს წურბელი ზე გამოვა. ანუ ცხელსა აბანოისა მივიდეს და დიდხანს დაყოს და იჯდომოს, მაშინ ანუ მყინვარი ანუ ცივი წყალი პირსა შიგან დაიჭიროს, კიდევ გამოვა, სიგრილესა მოჰმართებს. და თუ წურბელი კიდევ ჩნდეს გულანგუბინითა მოეკიდოს და ამოზიდოს. და თუ გამოვიდეს და სისხლი არ უგუდგეს ბროწეულისა ყუთიელი და თეთრი საკმელი და ხონისიაოშანი და გუნდაი და გაგლილი ნიშასთავი ხორხთა ჩაჰბეროს.“<sup>3</sup>

ხორხში გაჩხირული ძელის ამოსადებად შენდებნაირად იქცეოდნენ: „კურნებთი ტყალისა რამ ხორხსა დაეჩაროს. თუ ჩნდეს მარწუხითა ანუ მშვილიძა საბლითა ამოიღოს, და თუ არა, არწყაოს რომელ გამოვიდეს და ცოტაცოტაისა წყალსა სმიდეს. ანუ ღიდრვანთა ლუკმათა ჩანთქმიდეს რომელ ქვე ჩაყვეს...“<sup>4</sup>

ცნობები ყელის დაავადებათა შესახებ შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც გვხვდება.

XVIII საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ხელნაწერში აღწერილია დაავადება, რომელიც თავისი ნიშნებით ეკვს არ იწვევს, რომ იგი ყელის დაავადებაა, მაგრამ ძნელია ითქვას სახელდობრ ყელის რომელ დაავადებაზეა ლაპარაკი.

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 253.

2 „წიგნი საქიშოი“, გვ. 153.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 154.

„... ხშირი გუარი სნეულებისა ამის არს იგი, რაიცა იქნების ოდენ საკლიტისა და სასის ჩამოსაფარებელსა დაუწყებს ტკივილსა, საკლიტე გასქელდება, გაწითლდება და არ მისცემს ნებას ყლაპვად, თვინიერ დიდის გაჭირვებისა. ოდესმე სნეულება დადგების ერთსა კერძოსა ზედა, გარნა ხშირად გარდავლის სასის ჩამოსაფარებელს ზედა. და მუნით არამძიმე არს, მაშინ საკლიტე ნიადაგ იქნების მსუბუქ. ოდესცა მეორე დაუწყებს ტკივილსა სიმძიმეცა ფრიად... სნეულსა დიდის გაჭირვებით ძალუქს ჩაყლაპვა და ტკივილი ესოდენ დიდი არს, რომელ ვნახე მე დედაკაცი, რომელ დაიკლაკნებოდნენ ყოველთვის ოდესცა იძულებულ იყუნენ ჩაყლაპვად ნერწყვისა... მრავალი სნეულნი უფრო ძნელად ჩაყლაპავენ ნერწყვისა... ნერწყვი უფრორე ძნელ ჩასაყლაპევი არს...“:

ცნობები ყელის დაავადებათა შესახებ XVII—XVIII საუკუნეების სხვა სამედიცინო წყაროებშიც გვხვდება, მაგრამ ისინი ძირითადად არ განსხვავდებიან ზემოთ განხილულისაგან და ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

### ყურის დაავადებანი

როგორც აღვნიშნეთ. ცნობები ყურის დაავადებათა შესახებ ჭარ კიდევ V—VI საუკუნეების წერილობით წყაროებში გვხვდება, მაგრამ ყურის ცალკეული დაავადებები განსაკუთრებით სამედიცინო ძეგლებში არის აღწერილი.

თუ ყურის ტკივილის გარდა, ავადმყოფს სხვა მოვლენები აქ ექნებოდა გამოხატული, ამას „ყურის ხმელად ტკივილს“ უწოდებდნენ. ასეთ შემთხვევაში ტკივილის დასაყუჩებლად ქაფურში შერეულ სხვადასხვა სამკურნალწამლო ნივთიერებებს აწვეთებდნენ ყურში: „ყურისა ტკივილი რომე ხმელად სტკიოდეს და სხუა ნიშანი არ იყოს, აიღე: საბრი და ზაფრანა თუითოსაგან თუითო დანგი, მყინვარი ნახევარი, ოთხი მარცუალი მუხუდო, ტყავ გამძურალი, ესე სამივე დანაყე, მერმე გაღესილი ქაფური. სამისა მარცულისა ქერისა წონა. ამა წამლებშიგა გაურივე ორი ღრამი იისა ამის წონა ქალისა რძე შიგა გაურივე დი ჳერმე წუეთ წუეთი ყურშიგა ჩაუშუი.“<sup>2</sup>

„უსწორო კარაბადინში“ გვხვდება აღწერალობა, რომელიც ყურის ნიჟარისა და გარეთა სასმენი მილის ფურუნკულს უნდა შეეხებოდეს.

• „ნიშანი რომე ყურშიგა რაჳე გამოუვიდეს. მჯდომი შიგნით არის თუ გარეთ ამა ნიშნითა შეიტყობის, თუ გარეთ გამოუვიდოეს, მისი ნიშანი ესე არის, ტკივილსა დაუწყებს და ცხელად იქნების, კაცი მძიმედ გაიგონებს და ერთობ წვასა დაუწყებს...“<sup>3</sup>

ეს ნიშნები შეეხება ყურის ნიჟარაზე „მჯდომის“ გამოსვლას. ვნახოთ. რას უწოდებოდა „მჯდომი“ და შეესაბამება თუ არა მის განმარტებას მოყვანილი ნიშნები.

„მჯდომი“,—საბას განმარტებით,—შიგანში დიდი მუწუკია.

<sup>1</sup> „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა“, ინახება აკად. ს. ჭანაშვილს სახ. საქართველოს ლნრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 2161. ფ. 37 v.—38 r.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 223.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 221.



„უსწორო კარაბადინს“ დართულ ლექსიკონში „მჯღომი“ განმარტებულია როგორც „...სისიენე, მუწყუცი,— მეტწილად ავთვისებანი“.<sup>1</sup>

განმარტებათა ურთიერთ შედარების, დაზუსტებისა და წარმოდგენილი ნიშნების შეფასების მიხედვით კიდევ უფრო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ შემთხვევაში აღწერილია ყურის ნიჟარის ფურუნკული. მას ახასიათებს ტკივილი. შეიძლება ტემპერატურამ მოიმატოს, სმენაც დაქვეითდეს.

მკურნალობის მიზნით იხმარებოდა ისეთი საშუალებანი, რომლებიც ფურუნკულის ჩირქოვანი შიგთავსის გამორწყვას გამოიწვევდა.

როგორც აღვნიშნეთ. არჩევდნენ გარეთა სასმენი მილის ფურუნკულს, ანუ „შიგნითა მჯღომს“.

„თუ გამოშავალი შიგნით იყოს, მისი ნიშანი ესე არის, რომე ნაშეტნავად სტკიოდეს და რეგუნად უზნობდეს თავქედინივიითა. ესე სენი საშიშარი არის.“<sup>2</sup>

ამ ნიშნების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ აღწერილ შემთხვევაში საქმე ეხება გარეთა სასმენი მილის ფურუნკულის შედეგად განვითარებულ ისეთ სურათს, სადაც მთავარ ყურადღებას მალალი ტემპერატურა და მის მიერ გამოწვეული ზოგადი მოვლენები (ბოდვა და სხვ.) იქცევენ. ცნობილია, რომ გარეთა სასმენი მილის ფურუნკულს შეიძლება მოყვეს მძიმე გართულებები და იგი სამართლიანად მიუჩნევიათ „საშიშ სენად“.

„უსწორო კარაბადინში“ აღწერილია დაავადება „ყურის წყლული და ანუ მღიერი.“

„მღიერი“ ძველ ქართულ მედიცინაში ქაველით მიმდინარე სხვადასხვა სახის გამონაყარს ეწოდებოდა, მათ შორის ეგზემურ მოვლენებსაც.

„წყლული“ კი კანის მორფოლოგიური მთლიანობის დარღვევას ხიშნავდა. უნდა ვიფიქროთ, რომ „ყურის წყლული ანუ მღიერი“ ყურის ეგზემურ დაავადებას გულისხმობს. ყურის ეგზემის დროს მართლაც აქვს ადგილი ბუშტუკების გამოყრას, მათ დასკდომას და ნაპრალენის გაჩენას, ანუ დაწყლულებას.

არჩევდნენ ამ დაავადების ორ სახეს: ახალს და ძველს: „ყურშიგან რომე წყლული და ანუ მღიერი იყოს, იცოდით რომე ორისაგან იქნების ერთი ახალი, ერთი ძველი...“<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მედიცინაშიც ყურის ეგზემის ორი სახეა ცნობილი — მწვავე და ქრონიკული, რაც ისევ ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

მწვავე ფორმისათვის დამახასიათებლად ითვლებოდა დაავადებული ადგილიდან ჩირქისა და სისხლის გამოსვლა: „...რომელ ახალი იყოს მისი ნიშანი ეს არის ბალღამი და სისხლი სდიოდეს...“<sup>4</sup>

სამკურნალოდ იხმარებოდა ძმარში გალესილი მურდასანგი (Plumbum Oxidatum): „მისი წამალი: ცოტა მურდასანგი ძმრით გალესე და მატყლისა პატრუქი შექენ და ამაშივა გაურივე და ყურშივა შეუდე.“<sup>5</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 504. .

2 იქვე, გვ. 221.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 222.

5 იქვე.

ძველი, ანუ ქრონიკული ფორმის დამახასიათებელ ნიშნად ითვლებოდა მყარალი ჩირქის დენა: „და რომელ ძველია მისი ნიშანი ეს არის, ბაყლი გამოუვიდეს მყარალი ყურისაგან.“<sup>1</sup>

ქრონიკული ფორმის მკურნალობა მწვავეს მკურნალობისაგან არ განსხვავდებოდა.

ალსანიშნავია, რომ, მკურნალობის გარდა, ავადმყოფს ურჩევდნენ არ მიეღო ძნელად მოსანელებელი საკვები: „საქმელი რაცა მძიმე იყოს იფარე ზოს.“<sup>2</sup>

ალნიშნულ ძეგლში აღწერილია აგრეთვე ყურის ღვაწადება, რომელსაც „ყურის ნასორს“ უწოდებდნენ.

„ნასორი“ ქართულად ნახვრეტს ნიშნავს. აღწერილია, რომ „ნიშანი ნასორისა ძველსა ყურისა ტკივილსა ჰქვიან, როდესაც წყალი გამოვიდეს ყურისაგან თეთრი იყოს და მყარალი.“<sup>3</sup>

უნდა ვიფიქროთ, რომ აქ საქმე ეხება შუა ყურის ქრონიკულ ჩირქოვან ანთებას, რომლის დროს მართლაც ადგილი აქვს ხოლმე დაფის აპკის გახვრეტას (პერფორაცია) და იქედან ჩირქის დენას. ასეთ შემთხვევაში გამონადენს ცუდი სუნნი აქვს, ანუ, როგორც წყაროშია ნათქვამი — „მყარალია“.

XIII საუკუნეში აღნიშნული დაავადების განვითარებას უკავშირებდნენ სიმსივნის გასკდომას და დაფის აპკის მექანიკურ დაზიანებას: „...იქნების სიმსივნისაგან რომელ გასქდეს და სიწყულულე დარჩეს, და ანუ ფაცხელისა რაისმე, რომელ ყურსა შეუყონ და არყიონ მისგნით გაწყულულდეს.“<sup>4</sup>

„მისი ნიშანი რომელ ფიცხელისა გასარეველისაგან იყოს იგი არს, რომელ ტკივილი ისარივითა ფეთქდეს, და რაი სიმსივნისაგან იყოს ნიშანი იგი არს რომელ თხამლი სდიოდეს და რაიცა თვით გაეწყულლოს სისხლი გამოვიდოდეს.“<sup>5</sup>

მკურნალობა მდგომარეობდა იმაში, რომ თავლში შეზღუდნენ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს. შემდეგ ამ ნარევეში ამოაველებდნენ ფილთას, ანუ პატრუქს და შეჰქონდათ ყურში.

„აიღე ჟანგარი ერთი დრამი და ბზისა ხე, ოლღუნია დანაყილი და გამხმარი ორი დრამი, თავლშიგან გაურივე და პატრუქითა მიეც.“<sup>6</sup>

„რაი წყულული ძელი იყოს კურნებაი იგი არს, რომელ სპეტისა მალჰამაი ვარდისა ზეთითა გაადგინონ და შიგან შემოსდენ და რაიცა ადრითგან დაწყულულებულ იყოს საბრი და ანზარუთი, და თეთრი საკმელი და ხონისიაოშანი და მური თვითოსაგან ორისა დრამისა წონი, ყველი წმიდად გაგალოს და მაშინ პატრუქი თავლითა დასვარონ და ამათ წამალთაგან ზედა მოაყარონ და ყურსა შემოსდენ.“<sup>7</sup>

ან კიდევ: „თუ სიწყულელისაგან სისხლი და თხამლი გამოვიდოდეს, თავლისა წყალი ნელტვილი ყურსა ჩაიწთოს და მაშინ ანზარუთი და ხონისიაოშანი, და თეთრი საკმელი, და საბრი ყველი წმიდად გაგალოს და პატრუქსა შესცხოს,

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 222.

2 იქვე.

3 იქვე.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 123.

5 იქვე.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 222.

7 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 123.

და თაფლითა დასვაროს და ამათ წამალთაგან ზედა მიაყაროს და ყურსა ჩა-  
რღვას“.

შუა ყურის მწვავე კატარს უნდა შეეხებოდეს აღწერა, სადაც სუბიექტურ  
ნიშნებად დასახელებულია ყურებში ხმაური და სითხის მოძრაობის შეგრძნება.  
„მისი ნიშანი სითხის მოძრაობის ესე არის რომე კაცი თავისა ფერზედა იყოს,  
მუდმად ყურშიგა ხმა იყოს, ქარი რომე ბუბუნებდეს ანუ წყლისა ხმავეითა.“<sup>1</sup>

მკურნალობა მეტად თავისებურ ხასიათს ატარებდა, მისი ეფექტიანობის  
შესახებ ახლა მსჯელობა, ცხადია, ძალზე ძნელია.

„მისი წამალი: მარზანგუშისა წყალი ბამბითა შიგა ჩააწუთეთ. ამის ხე ხვე-  
ლი და სხეილი გამოარჩივე და ცოტა ბამბა დაახუივე წვერზედა და ზეთშიგა  
დაასოვლე აანთე სანთელივითა და ერთი წვერი ყურშიგა ჩაუღევე, სანთელივითა  
ღაიწყებს წვასა და ქარსა გამოიღებს. რა ისე ხე დაიწვას, ნახე თუ გამოსული  
იყოს კარგია, თუ არა მეორედ კიდევ უყავ.“<sup>2</sup>

ყურიდან ჩირქის ღენის ღროს ავადმყოფს გამთბარ ნუშის ზეთს აწვეთებ-  
დნენ ყურში, შემდეგ ყურს თბილ წყალში ჩააყოფინებდნენ, ვიღრე ჩირქი არ  
დაიწირებოდა. ბოლოს წამალწასმულ ფილთას ანუ პატრუქს ყურში ჩაუღებ-  
დნენ. „ნიშანი რომე ყურსა ბაყლი სდიოდეს. მისი წამალი. აიღე: მწარისა ნუ-  
შისა ზეთი, ცოტად გაათბე და შიგა ჩაუშუი, მერმე აბანე, ბანა ასრე უნდა, რო-  
მე ყური აბანოსა თბილზედა დაიჭიროს, მანამდი ვირემ დაალობს შიგა რაცა  
მანკი იყოს ერთ პირად გამოვა და გამოწმდების. მერე პატრუკი შექნას და ყურ-  
შიგა წყულულისათუის რომე სწერია, იმითა ყურშიგა ჩაუღვას.“<sup>3</sup>

აღნიშნული დაავადების შემთხვევაში მკურნალობას ასეთივე წესით ატა-  
რებდნენ შემდეგ საუკუნეებშიც: „ნიშანი დამწიფებისა მანკისა იგი არს, რომელ  
თხამლი ყურისგან ჩამოვიდეს. კურნებაი მისი იგი არს, რომელ პატრუკი თაფ-  
ლითა დასვაროს და ცოტაი ანზაროთი მოაყარონ და ყურსა ჩასღვან... და თუ  
თაფლი ზროხისა ნავღელსა და ძმარსა თანა გაადგინოს და ყურსა ჩაიწოთს  
კარგი არს.“<sup>4</sup>

ან კიდევ „...ერთი ბამბის ფილთა დაგრიხეთ და ეს ფილთა თაფლშიგა ამო-  
ავლეთ, და მერმე ამ წამლებშიგა გააგორვეთ, და ამ რიგად ესე ფილთა ყურ  
ჩტიკიანსა კაცსა ყურშიგა შეუღევით, და გათენებამდისი შიგ უნდა ეღვას...“<sup>5</sup>

ყურიდან მცირე სისხლის ღენის ღროს მის შეჩერებას კი არ ცდილობდნენ,  
პირიქით, ერთ კვირას აცდიდნენ ედინა და გამოწმენდილიყო..

„თუ ყური-დაღმა სისხლმა დაუწყოს დენა, ნუ შეკრავს ერთსა კვირასა  
დაესხენ, რომე სდიოდეს, ამისთუის რომე უკეთ გამოწმდების და თუ ერთობ  
სდიოდეს, მაშინ დაყენებისა წამალი უყავ.“<sup>6</sup>

„უსწორო კარაბადინში“ აღწერილია ყურის დაავადება, რომელიც თავისი  
ნიშნებით დვრილისებრი მორჩის მწვავე ანთებას (Mastoiditis acuta) გვაგო-  
ნებს.

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 220.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 223.

4 „წიგნი სააქიშოი“, გვ. 122.

5 „იადიგარ დაუდი“, გვ. 296.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 223.

„ყურისა ძირსა თუ სიმსივნე გამოჩნდეს, ესე ავისა ქამისა კორძსა მიემგზავნების, ესე სიმსივნე ტკივილითა იქნების, თუ ყურსა შიგნით ხურელშიგა იყოს უფრო საშიშარი არის. . .“<sup>1</sup>

მაშასადამე, ავადმყოფს შესიებული აქვს ყურის ძირი, სიმსივნე წააგავს ავი ქამის (შავი ქირი) ღროს შესიებულ კისრის ლიმფურ ჯირკვალს, მტკივნეულია და სხვ.

ყურადღებას იქცევს ცნობა იმის შესახებ, რომ „თუ ყურს შიგნით ხურელშიგა იყოს უფრო საშიშარი არის.“ შეიძლება, ამ შემთხვევაში იგულისხმებოდეს შუა ყურის ანთება, რასაც არაიშვიათად, მწვავე ნასტოიდიტი მოსდევს.

აღწერილი დაავადების მკურნალობის ღროს ცდილობდნენ სიმსივნე არ გავრცელებულიყო და გამქრალიყო. ამ მიზნით ადებდნენ საფენებს, მიმართავდნენ თბილ პროცედურებს და სხვ. „მისი წამალი ეს არის რომე, ნურათურსა წამალსა ასეთსა ნურას შემოსდებ, რომე ის სიმსივნე დასძრას და დაიფანტოს. თუ სიმსივნე ბურანშიგა გამოჩნდეს, ძნელი არის, მაგრა ასე უწამლონ რომე არ დაიფანტოს, რაცა ღონე იყოს ისეთი ტლეები შემოსდგან, რომე სენი ყობარშოს და გააქარგოს სიმსივნე, და თუ ბურანშიგა არ იყოს და გაუგრეულდეს, მაშინ ხელი გაუხსნან რომე ტკივილი აუმსუბუქდეს. და თუ ტკივილი წყნარი იყოს, წყნარად უწამლებდე, გამორჩეულითა წამლითა, მისთვის რომე, სატკივარისა სიმწვავისაგან ცხროდ არ გარდაექცეს. პირველად რომე სიმსივნე გამოჩნდეს და შწოვდ სტკიოდეს მჩვარი თბილითა წყლითა დაასოვლე და შემოხდე, და თუ ერთობ სტკიოდეს მარილი გააცხელოს ტაფაშიგა და შემოსდვას, თუ ტკივილი საშუალო იყოს, იცოდი რომე თავსა გამოიღებს.“<sup>2</sup>

შესიებული მიდამოს დაჩირქების ღროს მიმართავდნენ მის გაკვეთას, ჩირქის გამოშვებას და წამლების დადებას: „თუ შეატყო რომე დაბაყლებული იყოს ზას დასალობელი წამლები შემოსდევ რომე ქაშხედა დაალობს. აილე ფქვილი, ქალმისა წვენითა, იისა ძირისა წვენითა ყუელა ერთად ააღლე, მანამდე რომე გასქელდეს, ცოტა ვარდისა ზეთი გაურივე და ძუელითა ბამბითა ზედა დასდევ და რა დაქამდეს ნუ გააგრძელებ ფიცხლს შაშრითა გახსენ ფართოდ; და მერე წამლები შემოსდევ...“<sup>3</sup>

აღნიშნული სნეულება მძიმე დაავადებად ითვლებოდა, განსაკუთრებით ბავშვებისათვის: „ღიდი კაცი უკეთ გასძლებს, ყმაწურილი უფრო ვერ გასძლებს. . .“<sup>4</sup>

XI საუკუნის წყაროებში საყურადღებო ცნობები გვხვდება ყურში მოხვედრილი უცხო სხეულების მკურნალობის შესახებ.

„უსწორო კარაბადინში“ აღნიშნულია: „თუ ყურშიგა კენკი, ან მძივი, ანუ უცხო სხეუა რამე ჩავარდნოდეს და ყური სტკიოდეს...“<sup>5</sup>

უცხო სხეულის ამოღების რამდენიმე ხერხი არსებობდა: ავადმყოფს დააწვენდნენ იმ მხარეს, საითაც სხეული იყო ჩავარდნილი და ცდილობდნენ, რომ იგი გამოვარდნილიყო, ამ წესით თუ მიზანს ვერ მიაღწევდნენ, მაშინ „ჩქიფით“ (პინცეტით) გამოჰქონდათ, მიმართავდნენ სხვა საშუალებებს: „...სა-

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 224.

2 იქვე, გვ. 225.

3 იქვე, გვ. 225, 226.

4 იქვე, გვ. 226.

5 იქვე.

ითვენცა ისი ყური სტკიოდეს, იმა მხარესა დააწვინე და თავი კარგად ურწივე, ეცადე რომ გამოვიდეს (და თუ არ გამოვიდეს) ჩქიფითა ეცადე რომე ამოილო, წურილი ჩქიფი უნდა და მით ეკალსაც ამოიღებვი თუ ვეოა ამოილო იაიორს თავსა გომიზი დასცხე და იმითა ზედა დააპირე რომე დაეკრას და აგრე ეცადე რომე ამოილო. თუ არცა ამითა იქნას აბუტრტი დანაყე და ცხურითა შეუბერე, წერმე ცხურისა და პირსა კარგად მოუპირე და იმა ყურზედა დააწვინე და დასცემს ცხურისა და გამოვარდების.“<sup>1</sup>

ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა სმენის დაკარგვის და დაქვე-  
რთების რამდენიმე სახე.

არჩევდნენ ორგვარ სიყრუეს: თანდაყოლილსა და შეძენილს. თანდაყოლილი ყრუობა უყურნებლად იყო მიჩნეული.

დაბადების შემდეგ განვითარებულ სიყრუეს უკავშირებდნენ „თავქედს“, ანუ მენინგიტს, ყურის სხვადასხვა დაავადებას და სხვ.

„თუ დაბადებითგან კაცსა ყური ყრუ გამოჰყუეს აღარ ეშველების და უღდალ კაცსა ნურცა რჩით და ნურც ირჯებით. და თუ დაბადებითგან ყრუ არ იყოს, და ან თავ ქედობით დამართებია, ან ოფლი გასციეებია და მისგან დამართებია, და ან ყურის ტკივილი დასძველებია. . .“<sup>2</sup>

### ცხვირის დაავადებანი

ცხვირის დაავადებებიდან უპირველესად სურდოზე უნდა შეეჩერდეთ.

XI საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ იმ ხანად სურდოს განვითარების ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეული იყო გაციეება. „...რომე საირანობასა და აბანო-შიგა საქმე რამე ექნას და გამბურვალებულიყოს, ანუ აბანოსაგან თოვლ სიცივე-ში გამოვიდეს. . .“<sup>3</sup>

საინტერესოა, რომ სურდოს განვითარებას რომელიმე ნივთიერების ან მცენარის სუნით გაღიზიანებასაც უკავშირებდნენ, რასაც მართლაც აქვს ხოლმე ადგილი ნევროზულ-ვაზომოტორული ხასიათის სურდოს შემთხვევებში.

„იცოდით რომე ერთი სურდოსა დაბადება ამით იქნების, ...რომე მხურვალი რამე სულა ესუნთქოს როგორცა მუშკი და თახისა ყუერი ამისთა სუნებითა სენისა გუარი დაიძრას და ცხურისა და ყელშიგა ჩამოვიდეს...“<sup>4</sup>

სწორედ ჰქონდათ შენიშნული, რომ სურდო უფრო მეტად ზამთარში გავრცელებული.<sup>5</sup>

სურდოს დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეული იყო სახისა და თვალების წამოწითლება, ყვითელი ფერის თხელი გამონადენი ცხვირიდან. ცხვირის წვა, თავის ტკივილი, ზოგჯერ ტემპერატურის აწევა და სხვ.

„ნიშანი სურდოსა: თვალი და პირი გაუწითლდეს და ცხურითა წამოსდიოდეს ცხელი, მწუავე და თხელი და ყუითელი იყოს, და ცხურისა სწუევედეს.“

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 226, 227.

<sup>2</sup> „იად-გარ დაული“, გვ. 296.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 232.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

და შეწყენით ამყოფოს, და თუ ამა საქმესა შინა ცხელება მოუვიდეს, სურდო და თავისა ტკივილი მოემატოს...“<sup>1</sup>

ავადმყოფს, რომელსაც სურდო პქონდა, ურჩევდნენ პირაღმა არ დაწოლილიყო, რომ სენი ქვემოთ არ გავრცელებულიყო. „...სურდოშიგა პირაღმაწოლა არ ვარგა ამისათვის, რომე სენისა გუჟარი მკერდშიგა არა ჩავიდეს. პირაღმა უნდა დაწოლა, რომე სენი ცხუირთა წამოედინოს.“<sup>2</sup>

მოყვანილი ამონაწერიდან ირკვევა, რომ ცხვირიდან ანთებითი პროცესის ქვემოთ სასუნთქ გზებზე გავრცელებაში მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლორწოვანი გარსის ანთებით გამონაყოფს, რომელიც პირაღმა წოლის შემთხვევაში შეიძლება წასულიყო ქვემოთ.

სურდოს სამკურნალოდ ავადმყოფს აძლევდნენ ოფლის მომგვრელ წამლებს: უნიშნავდნენ მოხარულ სამკურნალო მცენარეებს, ორთქლის ინჰალაციას. ავადმყოფს ენიშნებოდა გარკვეული რეჟიმი: თავი თბილად უნდა შეეხვია, თავს უნდა გაფრთხილებოდა, რომ არ გაცივებულიყო, არ მიეღო ცივი წყალი და სხე. „და რაგინდრა სურდო მხურვალი იყოს, თავსა თბილად უნდა დახურვა. გრილისა აერისაგან და ზენაქარისაგან თავი თბილად უნდა შეინახოს. ასრე რომე ოფლი სდიოდეს. და რაგინდარა მოწყურდეს ცივსა და ყინულიანსა წყალსა ნუ სუამს და ნურასათვის დღისით ნუ დაიძინებს, უფრო ბანასა და კამასა უკანით. თუ სენისა გუჟარი თხელი და ცოტა იყოს, არგებს, იმისთვის რომე ოფლა დაადნობს და გამოიყვანს.“<sup>3</sup>

როგორც აღვნიშნეთ, მიმართავდნენ ინჰალაციასაც.

„წისქუილისა ქუა გაახურვე და ლუინოშიგა ჩააგდე და თავი ზედა წაიშვირე და დაიბურე რომე ბუხარი ცხუირშიგა შევიდეს და ბაბუნაჯი აქლილმალისი და მარზანგუში წყლითა მოადუღონ და თავი ზედა წაიშვიროს რომე ბუხარი ცხუირშიგა შევიდეს.“<sup>4</sup>

ცნობილი ყოფილა, რომ სურდოს დროს შეიძლება დაავადებაში ჩათრეულ იქნას ყური, ანუ, როგორც ახლა ვიტყვით, განვითარდეს შუა ყურის ანთება. ამის თავიდან ასაცილებლად გარკვეულ ზომებს მიმართავდნენ.

„თუ სენისა სურდოსა გუჟარი ყურშიგა არა გინდოდეს რომე გამოვიდეს, უკუყენებიაა წამალი ქენ...“<sup>5</sup>

საყურადღებოა, რომ სურდოს თავიდან აცილების მიზნით გარკვეული შემადგენლობის აბი იყო შემოღებული ზმარებაში.

„სხუა აბი სურდოსა, მარგე, რომე სიმრთელეშიგან აიღოს...“<sup>6</sup>

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღწერილი ნიშნებით მიმდინარე სურდოს გარდა, განარჩევდნენ სხვა სახის სურდოსაც, რომელიც ცუდსუნიან სურდოს, ანუ ოზენას გვაგონებს. მის დამახასიათებელ ნიშნად დასახელებულია მყარალი სუნის ამოსვლა ცხვირიდან: „კაცსა რომე ცხვირიდაღმა მყარალი სუნი ამოსდიოდეს...“<sup>7</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 232, 233.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 235.

5 იქვე, გვ. 234.

6 იქვე, გვ. 234, 235.

7 იქვე.

სამკურნალოდ მიმართავენ ცხვირის გამორეცხვას ღვინით. გამორეცხვის შემდეგ ახლენდენ სხვადასხვა შემადგენლობის წამლების შეფრქვევას: „...ღვინითა ცხვირსა გამოირეცხდეს და მერმე ცხვირსა შესაბერავი წამალი ქნას...“<sup>1</sup>

უნდა ითქვას, რომ ცუდსუნიანი სურდოს—ოზენას—მკურნალობის მიზნით დღეს სადღეინფექციო საშუალებებით ცხვირის გამორეცხვას აწარმოებენ. დასაშვებია, რომ ცხვირის გამორეცხვას ღვინით (როგორც სპირტის შემცველი ნივთიერებით) შეეწლო გარკვეული სამკურნალო ეფექტი მოეცა.

ცნობილია, რომ ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის ქრონიკული დაავადების დროს ცხვირში არაიშვიათად პოლიპები ჩნდება. ამის შესახებ ცნობები ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება.

„უსწორო კარაბადინი“ ვკითხულობთ: „მისი ნიშანი ესე არის რომე, ცხვირისა ნახევარი შეკრას და ცხვირისა სტუირშიგა ხორცივითა გამოჟუვა, ხან გამოვა და ხან წავა...“<sup>2</sup>

აღნიშნული ნიშნების მახდვით აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია ცხვირის ღრუს ხორცმეტზე. ხორცმეტი მოძრავია: „ხან გამოვა და ხან წავა“. ეს ნიშანი დამახასიათებელია ცხვირის პოლიპისათვის, რითაც იგი განსხვავდება ცხვირის ღრუს ისეთი ხორცმეტებისაგან, როგორც არის კიბო და სარკომა.

ცხვირის ღრუს ხორცმეტს ოპერაციული გზით მკურნალობდნენ, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ პინცეტის საშუალებით მოგლეჯდნენ პოლიპს და შემდეგ ჭრილობას მალამოს საშუალებით მკურნალობდნენ.

„...სათ ისი (ხორცივით) იყოს მერმე ჩქიფითა გამოგლიჯე მერმე ესე წაზალი უყავ. აილე ეანგარა ორი დრამი, ფიჭუისა გომიზი ხუთი დრამი დანაყე და გაცერ, მერმე აილე ბერძნული ზეთი და ცვილი თორმეტ თორმეტი დრამი ერთად ააღუდე რომ ცოტად გამოვიდეს ესე დანაყილი წამლები შიგა გაურივე და დაზილე მალამოსა წესითა, რა მოგინდეს, ბაშბის პატრუკი შექენ და შესცხვ და ყოველთა დამეთა შეუდეე სადამდი გამრთელდებოდეს.“<sup>3</sup>

ცხვირიდან სისხლის დენა მრავალ სხვადასხვა მიზეზს შეუძლია გამოიწვიოს. ან შეიძლება სისხლი ცხვირიდან გამოდიოდეს, მაგრამ დაზიანებული იყოს არა ცხვირი, არამედ რომელიმე სხვა ორგანო. ამიტომ ცხვირიდან სისხლის დენის შემთხვევაში ექიმს უნდა დაედგინა საიდან მოდიოდა სისხლი.

„თუ კაცისა ცხვირსა სისხლმან დაუწყოს დენა ესე უნდა შეიტყოს აქიმმან. რომლთა გზით მოდის სისხლი, ანუ რასთენ ფერი არის.“<sup>4</sup>

ცხვირიდან სისხლის დენას გაარჩევდნენ სისხლის დენის ხანგრძლიობის, სისხლის ფერის. ტემპერატურისა და იმის მიხედვით თხელი იყო იგი, თუ სქელი. თუ ცხვირიდან სისხლი წვეთ-წვეთად მოდიოდა და სწრაფად შეჩერდებოდა, ამას ცხელებას ან სასის დაავადებას უკავშირებდნენ: „...ერთი ესე რომე სისხლმა წვეთა დაიწყოს და ფიცხლა დადგეს, ისი ცხროსა და სასისა ბუხრისგან არის, იქნების რომე წყნარა სდიოდეს და მერმე გახშირდეს და გაუნიადადგეს, ესეცა სასისა და ცხროს ბუხრისაგან არის...“<sup>5</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 235.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 229.

4 იქვე.

5 იქვე.

სისხლი, თუ თავის, ცხვირისა და სასის სისხლის ძარღვებიდან შოდოდა. შაშინ იგი უნდა ყოფილიყო თხელი, წითელი და ცხელი: „...რომე სისხლი თავისა, ცხვირისა და სასისა ძარღვებისაგან ედინოს, მისი ნიშანი ესე არის რომე სისხლი თხელი, წითელი და ცხელი იყოს.“<sup>1</sup>

ცხვირიდან სისხლის დენის შესაჩერებლად, იხმარებოდა სხვადასხვა სამკურნალო საშუალებები, მიმართავდნენ ტამპონადას და სხვ.

„...დაიკირე გუნდა და არჯასპი დანაყე და ძმრითა შევზილოთ და პატრუქსა შევეცხხოთ და ცხვირშივა შეუდვათ...“<sup>2</sup>

ან კიდევ: „თუ სისხლის დაწყუტებამან დაიგვიანოს, ცხვირი ცხარის ძმართ გამობანოს, და მერმე მოიტანე თრიაქი და ზაფრანა, ოროვე თვითო დორჰამი და ორივე წმინდად დანაყონ და გაცრან, და ორი ქათნის ფილთა მოჰკაზმონ, და ესე ფილთა პირველ ძმარშივა ამოავლონ, და მერმე ესე დანაყილი თრიაქი და ზაფრანა სქლად ზედ შეაყარონ, და ორივე ცხვირი ამა ფილთებითა გამოუტენონ და მაშინვე სისხლს დასწყვეტს.“<sup>3</sup>

საყურადღებო ცნობები გვხვდება ყნოსვის დაქვეითების ან სრული დაკარგვის შესახებ. არჩევდნენ ყნოსვის შექნილ და თანდაყოლილ დაკარგვას. თუ ყნოსვის შეგრძნება დაბადებიდანვე არ ჰქონდა ადამიანს, მისი გამოსწორება შეუძლებლად იყო მიჩნეული: „ნიშანი მისი რომე ცხვირშივა არაფერი სული არ ეცემოდეს. თუ დედის მუცლით გამოჰყოლოდეს არაფერთა წამლითა არ ეშუელების.“<sup>4</sup>

XIII საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ ყნოსვის დაკარგვის მიზეზად მიჩნეული იყო ცხავის ძვლის „შეკრულობა“ და ხორცმეტის გაჩენა ცხვირის ღრუში.

„...ესე მანკი მაშაშისა ბუალსა შეკრულობისაგან იქნების... ანუ ხორცისაგან რომელ ცხვირსა შიგან გაზრდილ იყოს.“<sup>5</sup>

ასეთ შემთხვევაში მკურნალობა იყო ორგვარი: მედიკამენტური და ოპერაციული. ცხავის ძვლის „შეკრულობას“ მედიკამენტებით მკურნალობდნენ: „კურნებაი... იგი არს, რომელ ყიფალი გაიხსნას და მუცელი დაიღბოს პიტნაისა და იისა შარაბითა, და ხავარტისა თესლი და ხაშხაშისა ქერქი ყველია წყლითა შეაგბოლოს და თავსა შემოჰკრას. და თუ ქვაი ცეცხლითა ახურავოს და ძმარსა შიგან ჩააგდოს და პირი მისსა ორთქლსა მიუჰკრას შეკრულობასა გახსნის და მხურვალთა ერიდოს და გრილთა და ნელთა მიელტვოდეს. და აყიროისა წყალი ცხვირთა ჩაიწოს და ძმრითა ღარღარაი ქნას. და ქერუშტითა და ხაზდის გულითა ცხვირთა დააცემოს, და ძმარი აღუღოს და შუშუტი ძმარსა შიგან ერთი პირი ჩაყოს და მეორე თავი შეუხდეს და შეკრულობაი ჯახსნას.“<sup>7</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 229.

2 იქვე, გვ. 231.

3 „იადიგარ დაუდი“, გვ. 259.

4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 227.

5 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 128.

6 შუშუტი მილს ეწოდებოდა, რომლის საშუალებით ხდებოდა აღუღებულ ძმრის შეორთვლება ცხვირის ღრუში.

7 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 128.



თუ ყნოსვის დაკარგვის მიზეზი ცხვირის ღრუს ხორცმეტი იყო, ასეთ შემთხვევაში მკურნალობა იყო ოპერაციული. „თუ ხორცმეტისაგან იყოს რომელ ცხვირთა შიგან გაზრდილ იყოს თუ მაგარი იყოს, კურნებაი მისი ვითა კირჩხიზისა კურნება არს, მით რომელ ესეცა კირჩხიზთაგან არს ერთი ფერი.“<sup>1</sup> კირჩხიზს კი ოპერაციულად მკურნალობდნენ. მოყვანილი ამონაწერი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ხორცმეტს კონსისტენციის მიხედვით არჩევდნენ. მკვრივი კონსისტენციისას კირჩხიზს აღარებდნენ და ქირურგიული წესით მკურნალობდნენ.

ცნობები ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა შესახებ შემდეგი ხანის—XVII—XVIII საუკუნეების წყაროებშიც<sup>2</sup> მრავლად გვხვდება, მაგრამ ისინა მკირედ განსხვავდებიან ზემოგანხილული ცნობებისაგან და ამიტომ მათზე ალარ შევიჩერდებით.

— — — — —

<sup>1</sup> „წიგნი სააკიმოი“, გვ. 128.

<sup>2</sup> „კარაბადინი“ (1799 წ.), ინახება აკად. ს. ჭანაშის სახელობის საქართველოს სპარსულ-წილო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 304;

„კარაბადინი“ (1788 წ.), იქვე ინახება, ფონდი A, № 760;

„კარაბადინი“ (XVIII-ს.); იქვე ინახება, ფონდი H, № 1381.

## კბილის და პირის ღრუს დაავადებანი

ამ თავში გაერთიანებულია დაავადებანი, რომლებიც თანამედროვე სტომატოლოგიაში განიხილება. ტერმინი „სტომატოლოგია“, როგორც მედიცინის გარკვეული დარგის აღმნიშვნელი, ხმარებაში შემოვიდა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც მოხდა კბილების. პირის ღრუს დაავადებების მკურნალობისა და ყბა-სახის ქირურგიის ერთ მეცნიერულ დისციპლინად გაერთიანება.

ფეოდალური ხანის ქართულ მედიცინაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების იმავე ეპოქის მედიცინაში, კბილისა და პირის ღრუს დაავადებანი და მათი მკურნალობა, ცხადია, გამოყოფილი დარგის სახით არ იყო. მაგრამ აღსანიშნავი ის არის, რომ უკვე მე-11 საუკუნის ქართულ სამედიცინო ძეგლებში ცალკე თავად არის წარმოდგენილი „ქარი—პირისა, ბაგისა, კბილთა და ენისა.“

XI საუკუნის სამედიცინო ხასიათის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ კბილის დაავადებათა დასადგენად არა ერთი ნიშანი ყოფილა ცნობილი. ძირითადი მათ შორის იყო ტკივილი. ყურადღებას აქცევდნენ ტკივილის ხასიათს. ავადმყოფის გამოკითხვით ადგენდნენ, თუ როგორი გამლიზიანებული იწვევდა ტკივილს და სხვ.

„...თუ კბილი სიგრილისაგან სტკიოდეს ცივი წყალი და ცივი ქარი ეწყინებოდეს, თბილი წყალი იაძებოდეს.“<sup>1</sup>

„...თუ სიმხურვალისაგან იყოს, ცივი წყალი, ცივი ქარი იაძებოდეს, თბილი წყალი ეწყინებოდეს.“<sup>2</sup>

საინტერესოა, რომ თანამედროვე სტომატოლოგიაში დიაგნოსტიკის მიზნით მიმართავენ გამოკვლევას—კბილის ტკივილის განვითარება რა ხასიათის გამლიზიანებელთან არის დაკავშირებული. მაგალითად: ამჟამად ცნობილია, რომ ცხელი საკვების მიღებასთან დაკავშირებით კბილის ტკივილის ვანვითარება პულპის განგრენის მაჩვენებელია, ხოლო თუ ცივმა საკვებმა გამოიწვია ტკივილი, იგი პულპის ანთებისა და კბილში ღრუს არსებობის ნიშანია.

ზემოაღნიშნული წარმოდგენა კბილის ტკივილზე სითბო-სიცივის გავლენის შესახებ, რომელიც XI საუკუნეს მიეკუთვნება, ცხადია, შორს არის კბილის ტკივილსა და კბილში მომხდარ პათოლოგიურ პროცესებს შორის არსებული კავშირის ახლანდელი გაგებისაგან, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის. რომ ტკივილის ხასიათს ძველდაც ყურადღება ექცეოდა და ამას სამკურნალო მიდგომისათვის გარკვეულ მნიშვნელობას აძლევდნენ.

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 241.

2 იქვე.

როგორც XVI საუკუნის სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, იმ დროისათვის უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ ავადმყოფის ჩივილების მოყოლით და უშუალოდ გასინჯვის მომენტში აქტიური გამოკვლევით ადგენდნენ ტკივილის ხასიათს, რისთვისაც მიმართავდნენ კბილების თერმულ გაღიზიანებას.

„აწე თუ კაცსა კბილები სტკიოდეს და ეს არ იცოდეთ სიგრილითა სტკივის თუ სიმხურვალითა, მოიტანე ცივი წყალი და კბილ მტკივანსა პირშიგა უმგვიბეთ, თუ ესე ცივი წყალი კბილებსა იამოს და ტკივილი დაუამოს, იცოდი, კბილები დასტურად სიმხურვალითა სტკივის, და თუ კბილები უფრო ასტკივდეს და ელვაცა დაუწყოს სიგრილითა სტკივის.“<sup>1</sup>

...და თუ კბილები სიციხისა და სიმხურვალისაგან სტკივის და საფრისაგან. ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე ცივი წყალი, რომე პირშიგა უმგვიბო, იამების და ტკივილსა დაუშვებს...“<sup>1</sup>

XVIII საუკუნის წყაროებში აღნიშნულია, რომ კბილის ტკივილის ხასიათის გასარკვევად არა მარტო ცივი, არამედ თბილი წყალიც იხმარებოდა: „თუ გენებოს რომე შეიტყო კაცს კბილი სიგრილისაგან სტკივა, მოიტანე ცივი წყალი და პირში დაუგუბე, თუ კბილი უფრო ასტკივდეს და ელუა დაუწყოს, იცოდე საგრილისაგან სტკივა. მოიტანე თბილი წყალი და პირში დაუგუბე თუ იამოს იცოდე სიგრილისაგან არის და ბალდმისაგან, და თუ ტკივილი დაუწყოს სიმხურვალის ნიშანია.“<sup>2</sup>

საინტერესოა, რომ კბილის ტკივილის შეგრძნებას ნერვულ წარმონაქმნების გაღიზიანებას ეკავშირებდნენ: „კბილის ტკივილი სიმხურვალისაგან თუ იყოს... სიმსივნისაგან იქნების, მხურვალისა გასარეველისაგან ქმნილ იყოს და აგი ღრძილთა შიგან გამოჩნდების. ანუ მხურვალისა და ფიცხელისა ხილტვისაგან იქნების, რომელ ღრძილისა თეთრი ძარღვი რომელსა ჰქვიან ფაი მუნ შეიყარნენ.“<sup>3</sup>

გარდა აღნიშნულისა, ყურადღება ექცეოდა ტკივილის ლოკალიზაციას, ხანგრძლიობას და ირადიაციას.

„...რომე კბილები ყუელა სწორად სტკიოდეს.“<sup>4</sup>

„სხუა წამალი კბილისა, ზოგჯერ სტკიოდეს და ზოგჯერ არა.“<sup>5</sup>

„...ნიშანი იგი არს, რომელ ტკივილი ერთსა ადგილსა არ დაზმიდეს, იარეზოდეს.“<sup>5</sup>

ცნობილია, რომ ტკივილის ლოკალიზაციის, ხანგრძლიობის და ირადიაციის ხასიათის დადგენას თანამედროვე სტომატოლოგიურ პრაქტიკაშიც მიმართავენ და მას გარკვეულ დიაგნოსტიკურ ღირებულებას ანიჭებენ.

<sup>1</sup> „იადივარ დაუდი“, გვ. 303.

<sup>2</sup> „კარაბადინი“ (XVIII ს.); ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 131მ, ფ. 15 რ.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 134.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 91.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 92.

<sup>6</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 135.

ტკივილის ხასიათის, ლოკალიზაციისა და ხანგრძლიობის გამოკვლევასთან ერთად, ათვლიერებდნენ კბილებსა და ღრძილებს. ყურადღებას აქცევდნენ ღრძილებისა და კბილების ფერს, ღრძილების კონფიგურაციას და სხვ.

„კბილებსა გასინჯვა უნდა, თუ კბილისა ძირისა სიმსივნე იყოს, იცოდო რომე სენი კბილებშიგან არის...“<sup>1</sup>

„რავამ კაცსა კბილისა ტკივილი დაემართოს, ხახე ღრძილები თუ წითლად იყოს და უსივდეს...“<sup>2</sup>

კბილების დაავადების მაჩვენებლად ითვლებოდა მათი ფერის შეცვლა: „...თუ კბილსა ფერი ქცეოდეს და გაშავებულყოს, მაშინ იცოდი რომე სენი კბილის ჭავარისაგან არის.“<sup>3</sup>

როგორც ჩანს, შემჩნეული ჰქონდათ, რომ ზოგჯერ კბილის სიშავე ეგზოგენური ხასიათისაა და უფრო ხშირად მოხუცებს შორის არის გავრცელებული: „უფროისა ბერთა წაეკიდების.“<sup>4</sup>

ამვე დროს ცნობილი ყოფილა, რომ სიშავე ახასიათებს კარიესულ კბილს: „კბილთა სიშავე... რომელ კბილსა მოსკამს.“<sup>5</sup>

აღსანიშნავია, რომ კბილის ფერის შეცვლის მიხედვით მსჯელობდნენ კბილის დაავადების სიმძიმის შესახებ: „ნიშანი კბილისა სიშავისაი: ნიშანი იგი არს, რომელ ერთობით კბილნი შავად იყვნენ ანუ მისგნით, და რაიზომცა უშავე იყოს მანკისა დედაი უძლიერესი და უფრო მორევნილი იქნების...“<sup>6</sup>

კბილების ფერის შეცვლა, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, რომ კბილზე ნალექის დადებასთან იყო დაკავშირებული, „უანგის მოკიდებად“ იწოდებოდა. მისი მკურნალობის შესახებ ვკითხულობთ, რომ „...იმას დილას და საღამოს, რბილითა შეშითა აფხეკა უნდა. თუ კბილზედა გავრთიანებულყოს, მაშინ ათლა უნდა მუ ს ა გ ი თ ა გამოკმაზვიდეს და შეიცხებდეს...“<sup>7</sup>

„წიგნი სააქიმოი“<sup>8</sup> კი ნათქვამია: „კურნებაი კბილთა სიშავისაი... თუ ლემისა თესლი რომელსა ჰქვიან ბანგი თაფლითა შეზილოს და მსხვილსა ლერწმის გულსა ჩაყაროს და დაწვას და მაშინ კბილთა შესცხოს სიშავესა წაუღებს. და ესე სანონი კბილთა გასწმენდს ვითარებაი მისი: ზღვისა პერული და გაზმაზვი თვითთასაგან ხუთისა დრამისა წონი, და ლერწმისა ნაცარი ორისა დრამისა წონი, მარილი ოთხი უკიანი, ანისონი ხუთისა დრამისა წონი, ყველაი დანაყილი და გაცრილი თაფლითა შეზილოს და კბილთა შესცხოს ერგების. და თუ ორა ნაწილი მარილი ერთსა ნაწილსა ბავრუქსა თანა გაპრიოს, დანაყოს და გაცრას, და თაფლითა შეზილოს და ქალღლდსა შიგან წაახვიოს და დასწვას, და შესცხოს, კარგი არს.“<sup>8</sup>

კბილების დაავადებათა შორის, როგორც ჩანს, იცნობდნენ თანამედროვე ნომენკლატურით ცნობილ ალვეოლურ პიორეას, ანუ ანფოდონტოზს, მის

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 241.

2 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 90.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 241.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 137.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 138.

7 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 243.

8 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 138.

კალკეულ ფორმებს, ღრძილის ანთებას (გინგივიტს), კბილში ღრუს გაჩენას (კარიესს) და სხვ.

„უსწორო კარაბადინში“ აღწერილია „კბილის დაძვრის“ ნიშნები, რომლებიც თუ დავაკვირდებით, მოგვაგონებს კბილების სრულიად გარკვეულ დაავადებას. რომლის დროს კბილების მორყევა მხოლოდ ერთ-ერთ პათოლოგიურ ჩიშანს წარმოადგენს.

„ნიშანი კბილისა დაძვრისა... ერთი რომე, კბილის ძირშიგა და ძარღვებშიგან ბალღაჲი გამაგრებულ იყოს, მეორე ისი რომე, კბილის ძირსა ხორცი ანუ ძვალი რომე კბილზედა ასვია; ისი მოკმული იყოს, მესამე რომე კბილსა სიხმე მომატებოდეს და დაწურილებულიყოს...“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, სახეზეა ამფოდონტოზის მთელი რიგი ნიშნები: კბილის ძირში ბალღამის გამაგრება, ანუ, როგორც ახლა ვიტყვოდით, ალვეოლების დაჩირქება. კბილის ყელის გაშიშვლება („კბილის ძირისა ხორცი ანუ ძვალი რომე კბილზედა ასვია ისი მოკმული იყოს“), კბილის განღვევა და კბილების მორყევა—კბილის დაძვრა, რაც ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული დაავადების შედეგია.

XIII საუკუნის წყაროებში იმავე სახელწოდებით—„კბილისა ძვრად და ვარდნად“ აღწერილია იგივე დაავადება, სადაც წარმოდგენილია ზოგიერთი ღანატივითი ნიშანი. მათი გაცნობა კიდევ უფრო მეტ საბუთს იძლევა იმისათვის, რომ „კბილისა ძვრად და ვარდნად“ ამფოდონტოზად მივიჩნიოთ. ასეთი ნიშნებია: პირიდან ცუდი სუნი, სისხლის დენა ღრძილებიდან, კბილის ფერის შეცვლა და სხვ.

„კბილისა ძვრისა და და ვარდნისა ვითარება ი... კბილისა ძვრად უმიზეზოდ მისგან იქნების რომელ ღრძილთა სინედლე აყროლდეს, ანუ იგი თეთრი ძარღვი რომელსა სპარსულად ფაი ჰქვიან, და კბილისა ძირსა მოკიდებული არს, იგი ფაი გასუსთდეს.

ნიშანი ძვრისა და და ვარდნისა ი. რაიცა სინედლისაგან აყროლებულ იყოს ნიშანი მისი იგი არს, რომელ ადვილად ჩამოიჭრეს.“<sup>2</sup>

აგრეთვე: „...მიწყით ღია კბილი მყარლად და ქანგიანად იყოს, და სისხლისა ნიშანი ცხადი არს.“<sup>3</sup>

მსგავსი ცნობები გვხვდება შემდეგი საუკუნის წყაროებშიც.

„სამკურნალო წიგნი“ განსაკუთრებით ხაზგასმულია ღრძილების მოკმის, განღვევის და სისხლის დენის ნიშნები. „თუ ღრძილი უკუთხუეწენ კბილინი სტკიოდენ და სისხლი სდიოდეს ნიდაგ.“<sup>4</sup> ხოლო „იადიგარ დაუღმი“ ვკითხულობთ: „თუ კაცსა კბილიდაღმან და ღრძილიდაღმან ავი სუნი ამოსდიოდეს, ეს იცოდით კბილის დაძვრისა და ჩავარდნისა, პირველი თავის აღებისა ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე კაცსა კბილები დაუყვითლდების და ღრძილებიდაღმან ავი სული დაუწყებეს ამოდენას, და ცოტა ძალი რომე დაემართოს და ან მისკირდეს, მაშინევე კბილი ჩავარდეს, და აღარასათვის აღარ დაადგეს და ამოსუძრეს.“<sup>5</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 242.

2 „წიგნი საკიმოი“, გვ. 136.

3 იქვე, გვ. 137.

4 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 93.

5 „იადიგარ დაუღმი“, გვ. 312.

XI საუკუნეში აღნიშნული დაავადების სამკურნალოდ სხედასხვა საშუალებას მიმართავდნენ. მაგალითად, აილებდნენ ერთ ღრამ მარილს, ბანის, ანუ ზეთუნის ზეთს ან მასტაქის ზეთს შეზღვდნენ და შემოსდებდნენ კბილებზე.

„აილე: შაბი ერთი ღრამი, მარილი ერთი ღრამი, ბანისა ზეთათა ანუ მასტაქისა ზეთითა შეზილოს, შემოდვას მარგე არის.“<sup>1</sup>

ან კიდე: „...აილე: გულნაბი მკაეის ბროწეულის ქერქი, ექუს-ექუსი ღრამი, წითელი ზარნიხი, შაბი, სამსამი ღრამი ვარდი და თუთობო რვარვა ღრამი, ზუმბული და უსხური თვითო ღრამი ესე ყუელა დანაყე, გაცერ და კბილისა ძირსა დააყარე... სხუა: აილე ნიშადური, ნიშასტაგი, შაბი, სწორი დანაყე და კბილებსა შუა და კბილებსა ძირსა დააყაროს, მრგე არის.“<sup>2</sup>

გარდა აღნიშნულისა, ასეთ შემთხვევაში სამკურნალო მიზნით ღრძილების ჰოწვასაც მიმართავდნენ: „თუ ამან არ უშველოს მოსწვადონ ისრე, რომე მრთელისა კბილსა არა მიხუდეს რა.“<sup>3</sup>

როგორც „წიგნი სააქიმოდან“ ირკვევა, XIII საუკუნეში აღნიშნული დაავადების სამკურნალოდ ავადმყოფს უნიშნავდნენ ისეთ საშუალებებს, რომლებსაც „ღრძილების გამაგრების“ თვისებებს ანიჭებდნენ.

„კურნებაი კბილისა ძერისა და დავარდისაი. დძრულსა კბილსა ესე წაწალი დაამაგრებს და ღრძილთა გაუმაგრებს. ვითარებაი მისი: ბროწეულისა ყვავილი და სიქი<sup>4</sup> და სუდი<sup>5</sup> ერთმანეთისა ოდენი, თეთრი არჯასპი<sup>6</sup> თუთოსა ნახევარსა ოდენი, ყველა დანაყოს და ღრძილთა შესცხოს, და ესე მისგან უმჯობესია და ჩვენ გამოგვიცდია ღრძილსა გაამაგრებს, ვითარებაი მისი: ვარდი და თეთრი არჯასპი და გაზმაზვი<sup>7</sup> და თუთუბაი<sup>8</sup> და ტაბაშირი თვითოსა ოდენი, ყველაი წმიდად გაგალოს და ღრძილთა შესცხოს. და ყოველთა დღეთა კბილთა თაფლთა ზელდეს რომელ ძირი გაუმაგრდეს და განძლიერდეს.“<sup>9</sup>

აღნიშნული დაავადების მკურნალობა ძირითადად ასეთივე იყო შემდეგ საუკუნეებშიც.

„კიდეც სხვა მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცილი წამალი რომე კბილსა დაამაგრებს და გაათეთრებს და ღრძილსა ამოიყვანს: მოიტანე თეთრი შაბი, სახამებელი და ნიშადური და სამივე სწორ სწორი ქენ წმიდად დანაყე და გაცერ, და კბილის ძირშივა წაისვი, და დაწოლის დროს კბილზედა დაიყარე, და დძრულსა კბილსა უსათუოდ დაამაგრებს და დაათეთრებს.“<sup>10</sup>

კიდეც სხვა: „კაცსა რომე კბილები ენძეროდეს და ან ღრძილები მოშლოდეს, ეს წამალი მისთვის მწოედ კარგი და ჩემგან დაცილი არისო: მოიტანე ბროწეულის ყუავილი, თოფალახი და ლუსმარა ეკალიო თვითო თვითო ღირჰანიო, და თეთრი შაბი ნახევარი ღირჰამი, და მარილის თვალი ერთი დანგი. ეს

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 242.

2 იქვე.

3 იქვე.

4 სიქი—ძმარი.

5 სუდი—შვრია.

6 თეთრი არჯასპი—Ferrum sulfuricum.

7 გაზმაზვი—გუნდის ხის ნაყოფის გული—Gallae Eurcicae.

8 თუთუბო—მცენარე.

9 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 136.

10 „იალიგარ დაუდი“, გვ. 309.

წაშლები დანაყე, და გაცერ და კბილის ძირშიგა დააყარე, და კბილები გამოირეცხონ. და კბილსა მწოედ დაამავარებს.

და თუ ღრძილები მოშლოდეს, მოიტანე ჩინურის ნატეხი და ქიქის ნატეხი, წარილის თვალი და აყაყი, ოთხივ სწორი ქენ, დანაყე და მწოედ წმიდად გაცერ და კბილის ძირშიგა წაისვან.<sup>1</sup>

გარდა აღნიშნულისა, კბილის სხვა დაავადებებიც ყოფილა ცნობილი, მათ შორის კბილში ღრუს გაჩენა, რასაც XI—XIII საუკუნის წყაროებში „პიის მოჰწულს“<sup>1</sup>, „კბილის შეკმულობას“<sup>2</sup> უწოდებდნენ.

მის დამასასიათებელ ნიშნებად ითვლებოდა კბილში ღრუს გაჩენა, გაშავება და ცუდი სუნის: „ნიშანი კბილისა შეკმულობისაი იგი არს, რომელ ზოგი კბილისაგან შეკმული იყოს და შიგან ღრუცა იყოს, და ფერად შავი იყოს, და სიშავის კერძადაც იყოს და იქნების რომელ ჰყროდესცა.“<sup>3</sup>

XVI საუკუნეში ცნობილი ყოფილა, რომ კარიესის დროს შეიძლება კბილი სრულიად გაფუჭდეს ან ნაწილობრივ დაზიანდეს, რომ ღრუ შეიძლება ზერეულ იყოს ან ღრმა და სხვ.

„... თუ კაცსა ჭიამან კბილი ან წაუხდინოს და ან დაუზიანოს და კბილი მისთვის სტკიოდეს, იმისი ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე ან კაცსა კბილები დაუშავდეს და ან ავი სული ამოსდიოდეს. აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, რცოდით უსათიოდ ეს კბილი ჭიას ან ნახევარზე შეუჭამიან და ან გაუხურეტიო და დასტურად კბილი მისთვის სტკივის და მისთვის გაშავებია.“<sup>4</sup>

კბილის კარიესის დროს მკურნალობა უმთავრესად ტკივილის დასაყუჩებლად იყო მიმართული. ამისათვის მტკივან კბილზე და ღრძილზე აყრიდნენ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს, აწარმოებდნენ მათ შეზელას ან უშუალოდ ღრუში შეჰქონდათ: „თუ კბილი მოეჭამოს ჭიას და მხურველი იყოს, მისი წამალი ისი არის რომე დიდი თორიაყი არაბი იხმარონ. შიგან შედვას...“<sup>5</sup>

კბილის ღრუს სამკურნალო მეთოდები უცნობი იყო და ამიტომ უკეთეს: „კურნებად“ კბილის ამოძრობა მიაჩნდათ. „უკეთესი კურნებაი შეკმულისა კბილისა იგი არს, რომელ დადაღონ ანუ ამოიღონ“.<sup>6</sup>

ცხადია, ეს იყო უკიდურესი ღონისძიება, შეიძლება იმ მოსაზრებითაც გამართლებული და ნაკარანახევი, რომ კარიესულ კბილს გავლენა არ მოეხდინა. ნეზობელ საღ კბილებზე: „ოდესცა კბილი ფრიად წამხდარი არს, მაშინ არლარა არს სხუა ღონე, გარდა მოგლეჯისა, სხუებრ ტკივილი ყოველთვის ექნების. სიმყარაღე პირის გამრავლდების, ღრძილი დაღპების და სხუანიცა კბილინი ემისა ბაყლითა მისითა შეიგესლებიან.“<sup>7</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 243.

2 „წიგნი სააქიმო“, გვ. 136.

3 იქვე.

4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 310, 311.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 243.

6 „წიგნი სააქიმო“, გვ. 136.

7 „სწავლა ერისა სიმართლისათვის მისისა“ (XVIII ს.), ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდუ H, № 2164, ფ. 50 რ—50 v.

კბილის ამოღებას აწარმოებდნენ გაზის საშუალებით ან უგაზოდ: „აწ თუ ამა წამლებითა ან არ დამაგრდეს, და ან ტკივილმან არ გაუშვას, ამა წამლებითა უგაზოთ კბილი მოაძრონ, რომე ტკივილი ეერ შეიტყოს.“<sup>1</sup>

ან კიდევ: „კიდევ ყოვლის წამლისაგან უეტესი წამალი, რომე უგაზოდ კბილი ამოიღოს.“<sup>2</sup>

კბილის ამოღების შემდეგ კბილის ბუდეში მარილწყლით გაქვნილი ბამბის ტამპონს ათავსებდნენ „...რა კბილი ამოაძრონ: მოიტანე მაროდ წყალი შიგა ძველი ბამბა დააღებთ და ამოძრობილის კბილის ალაგი ამა მარილწყლიანსა ბამბითა გამოუტენონ. და ისრე დაიძინოს და გათენებამდღა შიგ უნდა ეღვას, სვასა კბილებსა დაამაგრებს და ადგალდამან აღარ დაძრავს. ღრძილებსა შემოპყრის და ჩიხობასა გაუგდებს და ენასა კბილების რჯილდამან დააწყნარებს.“<sup>3</sup>

გარდა აღნიშნულისა, XVI საუკუნეში კბილის კარიესის სამკურნალოდ მიმართავდნენ დაზიანებული კბილს ღრძილს დადაღვას განუტრებული წინდის საქსოვი რკინის ჩხირით, ანდა ღრუს ამოფხეკას დანის საშუალებით: „...კბიის ნაჭანის კბილსათვის უეტესი წამალი ეს არის. მოიტანე ერთი რკინის წინდის ჩხირი და გაახურე და რომელიც კბილი სტკიოდეს ღრძილთანა ორი კბილი დადაღონ და თუ არცა ამით ეშველოს, რომელიცა კბილი სტკიოდეს იმა კბილისა პილწი და ავი ხორცი ამოსჭრან და ამოფხიკონ, რომე ახალი ხორცი ამოუვიდეს და კბილი დამაგრდეს.“<sup>4</sup>

შემჩნეული ჰქონდათ, რომ ადამიანს შეიძლება „კბილის ტკივილისაგან პირი გაუსივდეს.“<sup>5</sup> ამას XIII საუკუნეში „ღრძილის სიმსივნეს“ უწოდებდნენ.<sup>6</sup> მის განვითარებას ღრძილში ჩირქის დაგროვებას უკავშირებდნენ.

ცნობილი იყო, რომ „ღრძილის სიმსივნის“ დროს ღრძილი შესივებულაა, სიმსივნე რბილია, წითელი, ტკივილი ავადმყოფს ნაკლებად აწუხებს.<sup>7</sup>

სამკურნალოდ მიმართავდნენ სათბურების დაღებას და სხვადასხვა სამკურნალო მცენარეების ნახარშის გამოვლებას პირში.<sup>8</sup>

„კბილის ძირის ხორცის მოშლის“ დროს, რაც ღრძილის დაავადებას უნდა ნიშნავდეს, სამკურნალოდ იხმარებოდა შეპღეგი შემადგენლობის წამალი: დამწვარ შაბს, რძიან ბალახის (მაწარიონის ძირკვი) ძირებს და მცირე რაოდენობით მარილს ღვინოში მოადულებდნენ. გაწურავდნენ და პირში იგუბებდნენ თვეში ორჯერ: „კბილისა ძირისა ხორცი მოშლალიყოს აიღე დამწვარი შაბი და ცოტა მარილი გაურივე და ძმრითა მოხალული მაწარიონისა ძირკვი გაურივე ესე ყუელა ღვინითა მოადუდე და გამოწურე და პირშიგა იგუბებდეს ზედაზედ თვეშიგა ორჯერ, კბილის ძირისა ხორცსა დაამაგრებს, და სენსა გამოწმენდს და სიმრთელეზედა მიაგდებს.“<sup>9</sup>

1 „იალიგარ დაუდი“, გვ. 312.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 243.

6 „წიგნი სააქიპოი“, გვ. 138.

7 იქვე.

8 იქვე.

9 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 242.



როგორც ცნობილია, კბილების დაავადების დროს და სხვა შემთხვევებშიც (საკმლის მომწიფებელი სისტემის დაავადებისას) არაიშვიათად აღამიანს პირიდან ცუდი სუნი ამოსდის.

ამას ძველად „პირის სიმყარაღეს“ უწოდებდნენ.<sup>1</sup> არჩევდნენ კარიესული კბილისა და ღრძილის დაავადებით და კუჭის ფუნქციის დარღვევის შედეგად გამოწვეულ სიმყარაღეს: „რამ დაშლისა სინეფლისაგან იყოს რომელ სტომაქსა შეყროს იყოს ანუ გასარევისა დაშლისაგან იქნების რომელ ხორცსა ჩასულ იყოს. ანუ მისგნით იქნების რომელ ღრძილი დამპალიყოს.“

ნიშანი ...რაიცა დაშლისა ბალღმისაგან იყოს იგი არს, რომელ მიწყით ჰყოდეს და რამ გრილი საქამადი ჰამოს უვარე იყოს. და ნიშანი მისი რაიცა ღრძილთაგან იყოს იგი არს, რომელ კბილი შევშული იყოს.“<sup>2</sup>

ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს ურჩევდნენ ნიახურისა და დანდურის ფოთლები ან ამ მცენარეების ნახევრად დანაყილი თესლი დაეღება ან კბილზე დაეღო.<sup>3</sup>

პირის სიმყარაღეს მსგავსი საშუალებებით მკურნალობდნენ შემდეგ საუკუნეებშიც.

„წიგნი სააქიმოში“ ვკითხულობთ: „ესე გუარიშნი პირისა სიმყარაღესა, რამ დაშლისა ბალღმისაგან იყოს ერგების, ვითარებაი მისი: ახლისა მორდისა ფურცელი ექვსი დრამისა წონი, ამოლაი და სული და ფაჩარი, და თრუნჯისა ქერქი და აღხარი, და მასთაქე და სიქი, და მუშკი და ყარამფილი თვითოისგან ორისა დრამისა წონი, ყველაი უგულოსა ჩამიჩსა თანა დანაყოს და ნიგეზისა რდენი პირსა შიგა დაიჭირვიდეს.“<sup>4</sup>

გარდა ამისა, პირის სიმყარაღის სამკურნალოდ იხმარებოდა მასტაქი<sup>5</sup> (Resina Mastix L.) და ყვითელი ცვილი საღებად.

არსებობს ცნობები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირის სიმყარაღის ერთ-ერთ მიზეზად პირის ღრუს და უპირველესად კბილების მოუვლელობა მიაჩნდათ. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს ურჩევდნენ ვარდის წყლითა და ძმრით პირი გამოებანა, კბილები გაეწმინდა და სხვ.

„...რომე პირი უყოდეს მისი წამალი ისი არის, რომე ტკბილისა საკმლისაგან და ნიორისაგან ფარეზი ქნას, და თუ ტკბილი რამე ჰამოს, ჯულაბითა პირი გამოიბანოს. თუ ნიორი ჰამოს კბილის ძიოი ან თაფლითა ან შაქრითა დაიბანოს; და პირსა მუდამ ვარდისა წყლითა და ძმრითა გამოიბანდეს. კბილებსა მუსაგითა გამოიკაზმიდეს და ასეთი წამალი ქენით რომე კბილები გათეთროს და სული გამოიღოს.“<sup>6</sup>

კბილის და ღრძილების დაავადებათა მკურნალობა მრავალფეროვანი იყო. იხმარებოდა დარიშხანი, სახამებელი, თაბიშირის ფხვნილი ღრძილებზე მოსაყრელად. ოშნა, პიტნის ნაყენი, საბრი, ხაშხაში ღრძილებში შესაზელად, სელის

1 „წიგნი სააქიმოში“, გვ. 141.

2 იქვე.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 243.

4 „წიგნი სააქიმოში“, გვ. 141.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 500.

6 იქვე, გვ. 238.

წახარში, შაბწყალი, ბორა, ბროწეულის ქერქის ფხენილი, ნიორი. თითქმის ყველა შემთხვევაში თერმო- და ჰიდროთერაპიას მიმართავენ.

ბროწეულის ქერქს, როგორც შემეკრელ საშუალებას, მართლაც შეეძლო გარკვეული სამკურნალო ეფექტის მოცემა ღრძილების დასკდომისა და სიხხლის დენის დროს.

XI საუკუნის წყაროებში აღნიშნულია, რომ „ყარანჯული და აყირყარა და გუნდა მწუნანე, ბასბასა და ქაბაბა ბროწეულის ქერქი ყუითელი, ესე ყუელა ჭუმლად დანაყე, დატრენ და ყურძნისა წუნენითა, ან წყლითა შეზილუ და აბები შეექვენ თხილის გულის ოდენი და თუითოსა პირშიგა ჩაიდებდი და რა დადნეს სხუასა ჩაიდებდი. თუ ნერწყუი მოგადგეს წანერწყუე...“<sup>1</sup>

ბროწეულის ქერქი კბილის მკურნალობის პრაქტიკაში შემდეგ საუკუნეებშიც ყოფილა გამოყენებული: „სხუა კბილისა ტკივილსათუის.—ბროწეულისა ქერქი და ვაშლის ქერქი ვარდის წყლითა მზადდლოს და კბილთა იცხებდეს.“<sup>2</sup>

საინტერესოა, რომ კბილების სამკურნალოდ, როგორც XI საუკუნისა და შემდეგი ხანის წყაროებშია აღნიშნული, ფართოდ იყენებდნენ ნიორს. მას დანაყავდნენ და კბილს შემოახვევდნენ: „...და თუ ნიორი დანაყოს და შეკმულსა შემოსდვას კარგი არს.“<sup>3</sup>

„ვიცა ერთი კბილი ნიორი შუა გააპოს და მტკიენსა კბილზედა დაიდვას, მაშინვე კბილის ტკივილი დაუაზოს. და ვიცა ესე ნიორი დანაყოს და კბილზედა დაიდვას კბილს ტკივილი დაუამოს, და თუ კია ესხას, დახოცოს.“<sup>4</sup>

ახლა ცნობილი გახდა, რომ ნიორი და ხახვი ფიტონციდებს შეიცავენ და მათ შეუძლიათ სამკურნალო ეფექტის მოცემა კბილისა და ღრძილების დაავადებათა მკურნალობის დროს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მიმართავენ ღრძილების დასერვას: „მაშა თუ არ ელხინოს უმჯობესი იგი არს, რომელ ღრძილი დაშაშროს...“<sup>5</sup>

კბილებისა და ღრძილების დაავადების თითქმის ყველა შემთხვევაში ფართოდ გამოიყენებოდა ჩასაყი და ჰიდროთერაპია.

„...ქაფური, ძმარი, და ვარდის წყალი და სამივე ერთგან აურიონ და ხშირად ამითა პირი გამოირეცხონ, და დიდსა ხანსა პირშიგა დაიჭირონ. და თუ ესე წამლები არ იყოს, ან გრილი წამლები და ან ცივი წყალი ხშირად პირშიგა იმგვიბონ და ტკივილსა ორივე უშველის.“<sup>6</sup>

კბილების მკურნალობის პერიოდში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა დიეტის დაცვას. მაგალითად, ღრძილის ვახეთქის დროს ავადმყოფს ურჩევდნენ არ მიეღო რძის ნაწარმი და ტკბილეული: „და რაცა ტკბილი საკმელი იყოს, და ან რძიანი ყუელა იფარეზოს.“<sup>7</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 236, 237.

2 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 193.

3 „წიგნი სააქიმო“, გვ. 136.

4 „იადიგარ დაული“, გვ. 314.

5 „წიგნი სააქიმო“, გვ. 135.

6 „იადიგარ დაული“, გვ. 304.

7 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 236.

კბილის ტკივილის დროს „საქამადთა გრილთა და მჟავეთა ერიდებოდეს და ტკბილთა და თაფლიანთა მიელტვოდეს.“<sup>1</sup>

ღრძილის სიმსივნის დროს „თაფლიანთა ნუ ქაშა, და გრილთა საქამადთა ქამდეს ვითა ისრიმი და ბროწეულისა მჟავე.“<sup>2</sup>

ჩვენ განვიხილეთ თითქმის ყველა დაავადება, რომელიც კი ძველ ქართულ რედიკინაში იყო ცნობილი. ვნახეთ დაავადებათა რა და რა ნიშნებს იცნობდნენ, როგორ ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან მსგავს დაავადებებს, გარდა საერთო სადაგნოზო ხერხებისა, გამოკვლევის როგორ სპეციფიკურ მეთოდებს იყენებდნენ. მაგალითად, კანის, პირის ღრუს და გინეკოლოგიურ დაავადებათა დროს. და სხვ.

განხილული ცნობები ერთხელ კიდევ გვარწმუნებენ, თუ როგორ ფართო და მრავალმხრივი იყო ძველ საქართველოში სამედიცინო ცოდნა, პრაქტიკულა სამკურნალო დახმარების საშუალებანი. მაგრამ არსებული სამედიცინო წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ არანაკლები ყურადღება ექცეოდა ჯანმრთელობის დამცველ ღონისძიებათა შესრულებას, რაზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

<sup>1</sup> „წიგნი სააქიშოი“, გვ. 135.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 136.

## ჯანმრთელობის დაცვის ზოგადი პრინციპები

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების ცოდნას და ცხოვრებაში მათ გატარებას ძველ ქართულ მედიცინაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა.

არსებობს წერილობითი ცნობები იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პირობები საკმაოდ ცნობილი ყოფილა უკვე V საუკუნეში. უფრო ჰეტიც შეიძლება ითქვას: მედიცინის უპირველეს დანიშნულებას სწორედ იმაში ხედავდნენ. რომ მთა ადამიანის ჯანმრთელობა უნდა დაეცვა: „აქიშობაი მეცნიერებაი არს. სიმრთელისა ეამსა კაცისა მრთლად შენახვაი.“<sup>1</sup> „პიიველ ბუნებისა შეტყუებაი და თადბირთა შენახვაი სიმრთელისა“<sup>2</sup>.

სრული საფუძველი არსებობს ითქვას, რომ მედიცინის ეს მხარე თავისი განვითარებით ისევე მალა დონეზე იდგა, როგორც ქირურგია, თერაპია, მეანობა. ვინეკოლოგია და სხვა დარგები. მართალია, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გასატარებლად სპეციალურად მომუშავე პირები საქართველოში XIX საუკუნემდე არ გვხვდებიან, მაგრამ ამ საქმეს მკურნალი ექიმები ემსახურებოდნენ.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ძველი ქართული მედიცინის უმთავრესი და მწერლობითი ძეგლები სპეციალურ თავებს შეიცავენ, სადაც განხილულია „სიმრთელისა თადბირი და შენახვაი“. ამავე დროს, აღნიშნულ ძეგლებში დაავადებათა განხილვას თითქმის ყველა შემთხვევაში თან ახლავს ვრცელი დარიგება მათი თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების შესახებ. ეს უკანასკნელი კონკრეტული ხასიათისაა, ხოლო თავი—„სიმრთელისა თადბირი და შენახვაი“ — ზოგადპროფილაქტიკურ პრინციპებს მოიცავს.

ზოგადი პროფილაქტიკური პრინციპები, უმთავრესად, ჯანმრთელობისა და დაავადების შესახებ არსებული შეხედულებებიდან, კერძოდ, ორგანიზმის ოთხი სითხის—სისხლის. ლორწოს, ყვითელი და შავი ნალველის მნიშვნელობის გაგებიდან გამომდინარეობდა. მაგრამ, როგორც ჯანმრთელობისა და დაავადების გაგება არ ამოიწურებოდა აღნიშნული ოთხი სითხისთვის მინიჭებული მნიშვნელობის ცოდნით, ასევე ზოგადი პროფილაქტიკური პრინციპებიც მხოლოდ მასზე არ იყო დამყარებული. ჯანმრთელობას შენარჩუნებისათვის საჭირო ფაქტორები. რომლებიც თავს იჩენდნენ ყოველდღიურ პრაქტიკაში, ყურადღებას იქცევდნენ და ძველ ექიმებს აიძულებდნენ მათთვისაც გაეჩინათ ანგარიში.

V საუკუნიდან მოყოლებული ასეთი მნიშვნელობის მქონე ფაქტორებად ითვლებოდა ჭანსალი პაერი, ორგანიზმისთვის სასარგებლო წყალი და საკვებო. შესაფერისი ძილი და დასვენება, სხეულისა და ბინის სისუფთავე, შრომის ხასიათი, სქესობრივი ცხოვრების ზომიერება და სხვ.

<sup>1</sup> „წიგნი საქიშობი“, გვ. 10.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 11.

„...თადღირისა შენახვაი უნდა სიმრთელისა ეამსა მრავად ფერად-პირველ უნდა რომელ საკამად სასუამადი ზომიერად ჰქაოს და სვას და მამუნი იყოს, და ჰეორედ რაიცა მანკი და ფტლაი ტანსა შეიგან შეყრილ იყოს, ყველი წამ-ლოთა გამოზიდოს ტანისაგან ვიდრე ჰიარისა სათავნოდ გახდებოდეს და ტანსა დასცემდეს.“<sup>1</sup>

„...სიმრთელისა შენახვაი მით იქნების, რომელ სიარული და გამოსვენებაი მისი ზომიერად იყოს, და საკამად სასუამდი მამუნესა მოიხმარებდეს, და თავი შეინახოს სიცხისა და სიგრილისაგან, და განწყრომისა და შიშისაგან, და შექრევებისა და უძილობისაგან, და მოშურნეობისა და მტრობისაგან და რაიცა ამას ჰვეანდეს ერიდებოდეს, რომელ ეს ყოველ ბუნებასა აქცევს და სისწორისაგან შეშლის, და მხურვალ ბუნებითა, მხურვალთა ცხროითა, და გრძელითა სნებითა ჰავად გახდის.“<sup>2</sup>

აღნიშნული ფაქტორების გავლენა ისე ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ თითქოს ისინი ჯანმრთელობის შენარჩუნებას ხელს უწყობენ იმდენად, რამდენადაც განაპირობებენ ორგანიზმის ოთხი სითხის თანაბარ შეზავებას. სხვა შემთხვევაში კი, თუ რომელიმე ამ ფაქტორთაგანი გამოიწვევდა სითხეთა წონასწორობის დარღვევას, შეიძლება განვითარებულიყო დაავადება. ეს არ იყო სწორი ახსნა, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა იყო არსებითი. არსებითი კი ის იყო, რომ იცოდნენ მრავალი ისეთი ფაქტორის მნიშვნელობა, რომელთა დაცვასთანამედროვე თვალსაზრისითაც კი რომ შეეფასათ, მართლაც შეეძლო ჯანმრთელობისთვის ხელის შეწყობა, ხოლო დაუცველობას—დაავადების გამოწვევა.

შემჩნეული ყოფილა, რომ აღნიშნული ფაქტორები, საერთოდ, გავლენას ახდენენ ჯანმრთელობაზე. ამავე დროს, იცოდნენ, თუ კონკრეტულად რომელი ფაქტორი რა დაავადების განვითარებას უწყობს ხელს. მათზე აქ არ შევჩერდებით. აღნიშნული ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ არსებული წარმოდგენები განხილული იქნება პირადი, კვებისა და კომუნალური ჰიგიენის საკითხებისადმი მიძღვნილ თავებში. აქ შევჩერდებით სხვა, ზოგადპროფილაქტიკურ პრინციპებზე, რომელთა დაცვა ისევე საჭიროდ ითვლებოდა, როგორც კანონისა.

ჯანმრთელობის შენარჩუნების მთავარ პრინციპად აღიარებული იყო ზომიერების დაცვა. რადგან ფიქრობდნენ, რომ ყოველგვარი ცოცხალი, მცენარეულ ცხოველი, მხოლოდ თანაზომიერების პირობებში შეიძლება არსებობდეს. ბრძოლა ზომიერებასა და საპირისპირო მდგომარეობას შორის განუწყვეტელია და მათ შორის დამყარებული ურთიერთობით განისაზღვრება სულიერის მდგომარეობა: „დავით გარესაჭელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ „ყოველი დაწეტება ვითარ მბრძოლი რაიმე განმხლწნელ თავისა თუისისა იქმნების...“<sup>3</sup>

გამოდინდნენ რა ამ ზოგადი შეხედულებიდან, ძველი ექიმები ურჩევდნენ, რომ აღამიანმა „ყოველი საქმე წესით ქნას, არცა დაამეტოს და არცა დააკლოს. და რომელიცა კაცი ამას იქს, მერმე იმა კაცსა არაფერი სენი აღარ მოუვიდეს და ვერცა მოერიოს, ტანშიგან მართლად იყოს და პირწითლად და მისმან ტანნის ყოველით ფერითა მოისვენოს.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> „წიგნი საქიოი“, გვ. 28.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ანონიმი. „დავით გარესაჭელის ცხოვრება“, მ. საბინინის გამოცემა, გვ. 271.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 46.

ქანმრთელობის დაცვას საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აგრეთვე ორგანიზმის ოთხ სითხეს შორის წონასწორობის შენარჩუნებას: „სიმრთელისა შენახვისა სათაენო იგი არს, რომელ ოთხ ბუნებაი სწორად შეინახოს, ვითარმცა სისხლი და ზაფრადი, ბალღამი და სეველი ვითა ერთმანერთსა არ მოერიონ და ერთმან მეორე არ დაიზაბუნოს...“<sup>1</sup>

მიაჩნდათ, რომ სითხეებს შორის წონასწორობის დარღვევას უმეტეს შემთხვევაში ერთ-ერთი სითხეთაგანის მომატება იწვევს, ვიდრე დაკლება. ამიტომ პროფილაქტიკაც აქეთვე იყო მიმართული.

სისხლი რომ არ დაკარბებულყო, საჭიროდ მიაჩნდათ წელიწადში ორჯერ მისი გამოშვება, რასაც „ხელის გახსნას“ უწოდებდნენ.

„ხელის გახსნა ჭამიერად და წყაიერად, სიმრთელისა შენახვისა უკეთესი კურნებაი და თათბირი არს...“<sup>2</sup>

საყურადღებოა, რომ მსგავსი ცნობები ძველ ქართულ არასამედიცინო წყაროებშიც გვხვდება, კერძოდ, მეტად საინტერესოა „ვეფხისტყაოსანი“ შემდეგი ადგილი:

„სისხლი დამწამეს; მეფემან ბრძანა გახსნევა ხელისა...“<sup>3</sup>

მეფეს უბრძანებია სისხლია დამეტებული და გამოუღეთ, ანუ ხელი გაუხსენითო.

სისხლის გამოშვება უმთავრესად ზედა კიდურების ვენებიდან ხდებოდა და, როგორც ჩანს, ამ მანიპულაციისათვის აღნიშნული სახელიც ამიტომ უნდა შეერქმიათ.

სისხლის გამოშვება ცხელსა და ცივ ამინდში არ შეიძლებოდა. აკრძალული იყო სისხლის გამოშვების შემდეგ ბევრი სიარული, წამლის მიღება, სქესობრივი ცხოვრება, საკვების დიდი რაოდენობით ჭამა, ანდა სრული უქმელობა: „და ცხელსა ჟამსა და ცივსა ჟამსა ხელის გახსნა არა ხამს, ნუ თუ ღონე არ იყოს. და მას ღღესა რომელ ხელი გახსნას, დედაკაცსა ნუ დაეკარების; და დია ნუ იარების, და წამალსა და საკამადსა ნუ ჭამს, და ნუცა იმარხვის, და ტანსა ნურას იწყენს.“<sup>4</sup>

საინტერესოა, რომ ხელის გახსნის შემდეგ აღნიშნული რეჟიმის დაცვის აუცილებლობა არასამედიცინო წყაროების ცნობებითაც დასტურდება. ეს საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული შეხედულებანი მხოლოდ სამედიცინო პერსონალის კუთვნილებას კი არ შეადგენდნენ, არამედ საყოველთაოდ გავრცელებული ეპოქალური პრინციპები იყო, რომლებიც შორეული წარსულიდან მომდინარეობდნენ და ღრმად ჰქონდათ ფესვი გადგმული.

„ღღესა ერთსა ამირან ხელი გაიხსნა. არცა ნადირობასა გავიდა, არცა სერისა ნადიმი გარდაიხადა. დიდებულნი იხმნა და ნადიმი საწოლს გარდაიხადა...“<sup>5</sup>

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 28.

2 იქვე, გვ. 33.

3 შ ო თ ა რ უ ს თ ა ე ე ლ ი, „ვეფხისტყაოსანი“, დასახელებული გამოცემა, სტროფი 362.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 33.

5 მ ო ს ე ბ ო ნ ე ლ ი, „ამირანდარეჯანიანი“, დასახელებული გამოცემა, გვ. 60.

სისპლის გამოშვება კოტოშისა და წურბლების მოკიდებითაც სდებოდა. უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებდნენ, ვიდრე „ხელის გახსნას“.

არაბელები ყურადღება ექცეოდა დაწარჩენი სითხეების—ლორწოს და ნაღლის ზონიერ წებავებას. ფიქრობდნენ, რომ ლორწოს გამოდენა შეიძლება სელოვნიური პირღებინების გზით, ამიტომ ლორწო, ანუ ბალღამი რომ არ დაქარბებულყო. საკაროდ მიაჩნდათ პირღებინების გამოწვევა თვეში ორჯერ.

„ეგრე ხაშა რომელ თუესა შიგან ორჯელ არწყევდეს, რომელ სტომაქი გაწდეს, და საჭამადი შეერგებოდეს, და ტანსა ამსუქნებდეს.“<sup>1</sup>

ორგანიზმისათვის საზიანოდ ითვლებოდა თვეში ორჯერ მეტად პირღებინების გამოწვევა. განსაკუთრებით ასთენიური ტიპის პირეში:

„და რაი თუესა შიგან ორსა ჯერსა გარდაროს, ანუ რწყევისა ჟამსა დიაღაბტიკოს. ტანსა დაამკობს, და ასოთა გაახშობს და გაასუთუებს, და თავსა და თულთა და მკერდსა ავნებს. და ყელგარძელა და მკერდგამოჯდომილსა, და საფარკაბებულსა და მკლესა და უსუსურსა ავნებს. და ვინცა ესეთი არ იყოს მას ერგების...“<sup>2</sup>

ორგანიზმში რომ ზაფრა არ დაქარბებულყო, ურჩევდნენ წელიწადში ორჯერ კუჭ-ნაწლავის გაწმენდას: „ეგრე ხაშს, რომელ წელიწადსა შიგან ორჯელ ხაშს. რომელ ნატიფი წამალი სუბუქი, გასახსნელი მოსპილი აილოს, ვითამცა ადვილი გასახსნელი. რომელ წესიერად შეკაზმულ იყოს, დია შემრგე იქნების სიმრთელისა შენახვისათვის.“<sup>3</sup>

გასახსნელი წამალი კარგად უნდა ყოფილიყო მომზადებული, რომ სასურველი წესები გამოეღო.

„...წესიერად შეკაზმულ იყოს, დია შემრგე იქნების სიმრთელისა შენახვისათვის. მაგრამ ეგრე ხაშს, რომელ მეცნიერულად აილოს წამალი, რომელ თუ ზაფრისა განოღებაი ხმდეს და მან ბალღამი გამოიღოს, სავენებელი უფრო იქნების სარგებელისა. მაშა საზომისაებრ ხაშს, და რომელსა გამოღებაი ხმდეს თუ რგი გამოიღონ, ერცახე სარგებლიანი იქნების, მით რომელ ესრე მეცნიერულად წამლის აღებაი სიმრთელისა საძირკველი იქნების...“<sup>4</sup>

გამხდარსა და დასუსტებულ ადამიანს გასახსნელი წამლის მიღება ეკრძალებოდა: „წამლისა აღებაი სხვილთა და სხვილ ასოთა კაცთა უფრო უნდა. მეტად ეგეთთა რომელ ხორცსა და ღვინოსა და თაფლიანთა და ხილითა და ფერად ფერადთა საჭამადთა სჭამდეს, და მკლესა და უსუსურსა და მმარხავსა და ცოტას მჭანელსა, წამლის აღებაი არა დია უნდა.“<sup>5</sup>

წესად ითვლებოდა წამლის დაღვევამდე სამი დღის განმავლობაში ცხიმინი საკვებით კვება. წამლის მიღების შემდეგ არ შეიძლებოდა მლაშე, მყავე საჭმლის. ან-ლი ხილის. ღვინის და ძნელად მოსანელებელი საკვების მიღება. ამას გარდა, აუცილებელი იყო გარკვეული რეჟიმის დაცვა: სამ დღეში ერთხელ აბანონი წასვლა, ღვინისგან თავშეკავება და სხვ.: „და წამლისა აღებისა უწინათ

1 „წიგნი საჯიშო“, გვ. 32.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

სანსა დღესა შორაბასა ცხებინსა ჴამდეს... წამალსა უკანითაც ფარეზი და კრძალევი უკეთ უნდა სამსა დღესა აბანოს მივიდეს. და მევე და ნლაშე და ნეღლი ახალი ხალი, და უღნობი რაიცა იყოს და სტომაქსა აეხებდეს, ერთიცა არ ეწმების, ესე გეარსა ვერიდებოდეს, და რაი წამლისაგან გამოვიდეს დიდი-ნოს და განოსუენოს. და ვიდრე წამლისაგან არ გამოვიდეს ყველაი ნუ დიდი-ნებს. აბანოს მივიდეს და წვივთა იხელაებდეს, და ნელი წყალი სუას, და თუ წამალი ცოტას გაიყვანდეს ცხებინა შარაბი ხერცოს, და მას დღესა დია სა-ქამადსა ნუ სქანს, და ლეინოსა ნუ სუამს...“<sup>1</sup>

ცხელ ზაფხულსა და ცივ ზამთარში კუჭ-ნაწლავის გაწმენდა წინააღმდეგ-ნ.ჩვენების იყო.<sup>2</sup>

ამავე დროს. დიდი ყურადღება ექცეოდა კუჭ-ნაწლავის მოქმედებას. მიღე-ბული წყლისა და გამოყოფილი შარდის ურთიერთ რაოდენობრივ შეფარდე-ბას:

„...სიმრთელისა შენახევი უკეთესი თაღბირი არს და ეგრე სჯობს რომელ მუცელსა საქანაღითა დააღობდნენ, არა წამლითა. რომელ წყასა ზედა დიდ-გენა. და ფსელაა ზედა გაუფრთხილდეს. რომელ წყლიაა სუენისა საზონასა დოაღეს.“<sup>3</sup>

ეს ამონაწერი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ ამ შემთხვევაში ლაპარა-კია არა რომელიმე გამხსნელით კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გაწმენდაზე, არამედ ისეთი საკვების შერჩევაზე. რომელიც ხელს შეუწყობდა აღნიშნული ტრაქტის ნორმალურ მოქმედებას.

ამას გარდა, ჩვენს ყურადღებას იქცევს მითითება მიღებული წყლისა და გამოყოფილი შარდის რაოდენობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ჩანს. მნიშვნელობას ანიჭებდნენ — ხომ არ ხდებოდა ორგანიზმში სითხის შეკავება ან ქარბად გამოყოფა, ე. ი. როგორი იყო წყლის ცვლა.

შემჩნეული ჰქონათ. რომ შარდის და განავლის ნებისმიერი შეკავება ხელს უწყობს ზოგიერთი დაავადების განვითარებას. ამიტომ არჩევდნენ ამ მხრივაც სიფრთხილე გამოეჩინათ.

თუ გასახსნელი წამალი ზომავზე პეტად იმოქმედებდა. ასეთ შემთხვევაში სასარგებლოდ ითვლებოდა ვაშლის ქერქის, გახეხილი ვაშლის და ფშატის, ბროწეულის ქერქის ფხენილის მიღება:

„და ვისთვისაცა წამალი აღებულ საზომისაგან გარდვიდეს, ვაშლის ქერქი ვაშლისა ხალი და ფშატისა ხალი უნდა, რომელ აკამონ, და აღარდენისა სუ-ფუფი და რაიცა ამას ჰკვანდეს.“<sup>4</sup>

ჩანს. ცნობილი ყოფილა დასახელებულ საშუალებათა შემკვრელი-მოქმე-დება. თუმცა არც მოქმედი საწყისი და არც მექანიზმი არ შეიძლებოდა იმ დროს ცოდნოდათ.

1 „წიგნი საკიბოი“, გვ. 32.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 30.

4 იქვე, გვ. 33.



აღნიშნულ საშუალებათა მიღება თუ შედეგს არ გამოიღებდა, მაშინ დასა-  
ლევად ეძლეოდა ბროწეულის ქერქის ფხენილთან ერთად შერეული ლენცოფა  
ან ოპიუმი: „და თუ ესე რომელ გვითქვამს არა არგოს, ცოტა ბანგი ანუ აფიონი  
ალარდენისა სუფუფსა გაურიონ და აჰამონ.“<sup>1</sup>

ახლა ცნობილია, რომ ბროწეულის ქერქი ტანინის შემცველია და იგი შე-  
მკვრელად მოქმედებს, ხოლო ოპიუმი კი ნაწლავთა პერისტალტიკას ანელებს  
და ხელს უწყობს შეკრულობას.

ასეთი იყო ძველ ქართულ მედიცინაში არსებული ზოგადპროფილაქტი-  
კური პრინციპები. როგორც აღვნიშნეთ, ჯანმრთელობის დაცვა მხოლოდ ამ  
პრინციპების შესრულებით არ ამოიწურებოდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ  
პიოად ჰიგიენას, საცეების ხარისხსა და შემადგენლობას, საყოფაცხოვრებო პი-  
რობებს და სხვ., რაზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

<sup>1</sup> „წიგნი საქიმიო“, გვ. 33.

პირადი ჰიბიენა

ძველ ქართულ მედიცინაში ჯანმრთელობის შენარჩუნების თვალსაზრი-  
სით დიდი ყურადღება ექცეოდა სხეულის სისუფთავეს, ტანსაცმელს, ძილს და  
საერთოდ ისეთი წესებისა და პირობების დაცვას, რომლებიც ახლა პირად ჰი-  
გიენაში განიხილება.

ჯერ კიდევ V—VI საუკუნეების არასამედიცინო წერილობით წყაროებში  
გვხვდება ცნობები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ვიმსჯელოთ, თუ როგო-  
რი შეხედულებები არსებობდა იმ დროისათვის ჰიგიენური პირობების დაცვის  
მნიშვნელობის შესახებ.

ცნობილი ყოფილა, რომ სხეულის მოუვლელობა, ბინის უსუფთაობა, დახ-  
შული ჰაერი, ხანგრძლივი უძილობა, შეუსვენებელი შრომა და ცუდი კვება  
სხვა მსგავს ფაქტორებთან ერთად იწვევს ორგანიზმის დასუსტებას, დაძაბუ-  
ნებას, მოქანცვას, მძიმე დისტროფიულ ცვლილებებს და ხელს უწყობს მთელი  
რიგი დაავადებების განვითარებას:

„და ვითარცა აღივსებოდა მეექვსე იგი წელი საპყრობილესა მას შინა, ჯე-  
ცმა დამაშურალობითა შრომათა მათ შინა სიმზნისა მისისაითა სენი სნეულები-  
საი ნოიწია მის ზედა, რომელსა-იგი წინაისწარ უღალადებდი და ვეტყოდე-  
ვითარმელ „ნუ ჯეცმა, რამეთუ დაუმძიმებ ხორცთა მაგათ ზედა, რამეთუ ვერ-  
დაგითმონ და მერმე ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რაისმე საქმედ კეთილ-  
სა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყო-  
ველ დაშურაობითა, ფსალმუნებითა და გალობითა“. და არცა-ღა მცირედ სადა-  
სცა ხორცთა მისთა განსუენებაი, და შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი.

ხოლო დიდთა მათ მარხვათა აღვსებისათა ერგასისთა მათ დღითა, ექუსთ-  
წელთა შინა არცა დღისი, არცა ღამე არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის, არცა საქ-  
მელი რაი მიიღის, გარნა დღესა ხოლო კუთრიაყესა ეზიარის ხორცსა და სისხლ-  
სა ქრიტე ღმრთისა ჩუენისაჲ; და მცირედ ოდენ წუენი მხალისა შექმნუ-  
ლი — იგიცა მცირედ — მიიღის, ხოლო პურისა გემოი არა იხილის; ვიდრე აღ-  
ვსებადმდე.

და მიერ დღითგან, ვინაითგან პყრობილ ყვეს იგი ციხესა მას შინა, სას-  
თაულსა ზედა თავი არ მიდვის, გარნა აღიზი ერთი დაიდვის სასთუნალ. და  
ბუენსაგებელად იყო გირჩაკი ერთი ბუელი და კაცთა თუალსა—სასთაული ერთო-  
ხალენისა უცნ სასთუნლით კერპო. და თაყუანის-საცემელად კილაკი ერთი მცი-  
რე ქუე წარუვდებიედ, და გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას და-  
სხმულ იყო. ეამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მხურვალეობა მზი-  
საი, ქარნი ხორშაენი და წყალნი მანებელნი, რომლია მკუთიდრნიცა მის ად-  
გილისანი სავენეი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, და-  
წერტილნი და დამკნარნი და დამღირებულნი, ჩარადოვანნი. პირ-მსივანნი და.  
დღემოკლედ ცხორებულნი და მოხუცებული არა ვინ არს მათ ქუეყანათა...

და ვითარცა მეშვიდე წელი დადგებოდა, მოიწია წმიდისა და სამგზის სა-  
ნატრელისა შუშანიის ზედა წყლულებათა ხორცთა მისთაი და დაუცხრომე-  
ლად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერხნი მისნი და თხრამლი აღმოსდიო-  
და ადგილ-ადგილად.<sup>1</sup>

ნართალია, ამ შემთხვევაში პირდაპირ არ არის მითითებული ჰიგიენური  
პირობების დაცვაზე. მაგრამ აშკარად ჩანს, თუ როგორი შეხედულებისაა ავ-  
ტორი სხეულისა და ბინის უსუფთაობის, უძილობის, შეუსვენებელი შრომის  
და სხვა პირობების მნიშვნელობის შესახებ. მან იცის, რომ აღნიშნული  
პირობების უგულვებლყოფას მძიმე შედეგი მოჰყვება, ორგანიზმი და-  
უძლურდება და „ვერღარას შემძლებელ“ გახდება. მაშასადამე, აქედან გა-  
სომდინარეობს, რომ ის, ვისაც სურს შეინარჩუნოს ჯანმრთელობა, საჭიროა  
პირიქით მოიქცეს. ნუ იჩნება უსუფთაოდ, გარკვეული დრო დაუთმოს ძილს,  
შრომას. მოსვენებას და საერთოდ ყურადღებით მოეციდოს ნორმალური საყო-  
ცაცხოვრებო პირობების შექმნას.

ეს შეხედულება ეკუთვნის V საუკუნის ცნობილ მწერალს იაკობ ცურტა-  
ველს. რომელიც იმავე დროს კარის ხუცესი იყო. სწორედ ის იწვევს გაოცებას,  
რომ სასულიერო პირი, იმ დროს, როცა გამეფებული იყო თვითდათარგუნის  
იდეა, ასეთ მართებულ რჩევას აძლევს ადამიანს, რომელსაც გადაუწყვეტია  
სარწმუნოების სამსახურს შესწიროს თავისი სიცოცხლე. ეს ფაქტი ერთხელ  
კიდევ მოწმობს, თუ რამდენად მაღალ დონეზე იდგა საქართველოში ჰიგიენუ-  
რი შეხედულებანი და საერთო კულტურა, რამდენად მძლავრი იყო სამოქალაქო  
ცხოვრების გავლენა და ცხოველყოფელობა. იაკობ ცურტაველის მიერ გამო-  
თქმული აზრი მიჩნეულ უნდა იქნეს ჯანმრთელობის ხელშემწყობი პირობების  
მნიშვნელობის შესახებ იმ დროისათვის საყოველთაოდ აღიარებულ შეხედუ-  
ლებათა გამომხატველად.

აქვე მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ ცნობაზე, რომელიც  
გვხვდება თხზულებაში „მარტილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხე-  
თელისაი“.

ამ თხზულებაში ვკითხულობთ: „... ევსტათისი და სხუათა მოყუასთა მის-  
თაი ბრძანა თავისა და წუერისა და ყუენაი და ჯაჰუისა  
ქედსა დადებაი და ბორკილითა საპყრობილესა შესხმაი მათი. ხოლო მსახურთა  
მათ აღსარულეს ბრძანებაი მარზაპნისაი ზისა და დაყუინნეს იგინი თმითა და  
წუერითა. და ჯაჰუითა და ბორკილითა საპყრობილედ შეყარნეს.“<sup>2</sup>

მაშასადამე, მარზაპნმა ბრძანა ევსტათის და მისი მოძმეებისათვის თმა და  
წვერი გაეპარათ და საპყრობილესი ჩაესვათ.

ამ ცნობას პირველად ყურადღება აქად. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია. წიგნ-  
ში „ქართული სამართლის ისტორია“ იგი აღნიშნავდა: „გამოსარკვევია, თა-  
ვისა და წუერის გაპარსვა წინასწარი ჰიგიენური საშუალება იყო სისუფთავის  
დასაცავად, თუ სასჯელი?“<sup>3</sup>

<sup>1</sup> იაკობ ცურტაველი, „წამებაი წმიდისა შუშანიისი დედოფლისაი“, დასახელებუ-  
ლი გაყოცემა, გვ. 41.

<sup>2</sup> ანოზოი, „მარტილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“, იხ. ძველი ქარ-  
თული ლიტერატურის ქრესტომათია. I, შედგენილი ს. ვუბანეიშვილის მიერ, თბილისი,  
1946, გვ. 46.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წ. II, ნაკვ. 2.

იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იყო სასჯელი, მაშინ პატიმრისათვის თავისა და წვერის გაპარსვა მნიშვნელოვან პოეზიურ, ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს.

საერთოდ, თმის სისუფთავეს, მის ჰოვლას საქართველოში ძველთაგანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. როგორც ამ ტომის პირველ წიგნშიც აღვნიშნეთ, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი იყო ჭერ კიდევ მეორე ათასწლეულის დროინდელი ბრინჯაოსა და შემდეგ ძვლის სავარცხლები, რომლებიც აუცილებელი საგნებია თმის მოსაღვლეად.

თმის მოვლა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო უმჯობესდებოდა.

XVII საუკუნის ცნობილი იტალიელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავდა, რომ ქართველები „თმას სხვადასხვანაირად იწნავენ“.<sup>1</sup>

ქალები თუ ნაწნავენს იკეთებდნენ, კაცები, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, თმებს შეკვეცილს ატარებდნენ. „ქალთა თმა გარდაშვებული და დაწული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილი.“<sup>2</sup>

ცხადია, თმის მოვლა მხოლოდ დაეარცხნაში არ გამოიხატებოდა. როგორც ქვემოთ დავიხაზავთ, წესად იყო მიღებული საპნით ან რომელიმე მცენარის ნახარშით თავის დაბანა სახლში ან აბანოში.

როგორც აღვნიშნეთ, ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სხეულის სისუფთავეს დაცვას, რასაც უდავოდ ხელს უწყობდა საქართველოში ძველთაგანვე არსებული აბანოები.

„წიგნი სააქიმოში“ ვკითხულობთ: „ტფილითა წყლითა ბანაი ტანსა გაახურებებს, და სინედლესა მოუმატებს და ბუნებისათვის კარგი იქნების...“<sup>3</sup>

არსებობს ცნობები, რომელთა საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძველად წესად იყო მიღებული მგზავრობის შემდეგ ტანის დაბანა და ტანსაცმლის გამოცვლა. აი, რას ვკითხულობთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ფრიდონთან სტუმრად მისული ტარიელისა და ავთანდილის შესახებ:

„გამოისვენეს მას ღამით ფრიდონის მასპინძლობითა;

აბანოს ბანა, აავსნა შესამოსლისა ძღვნობითა.“<sup>4</sup>

აღნიშნული წესის ერთგვარი ანარეკლი მოცემულია სულხან-საბა ორბელიანის ერთ-ერთ იგავ-არაკში, რომელსაც „ხორასანელი მეფე“ ეწოდება. ამ იგავ-არაკში ნათქვამია: „თურე წესი იყო კაცისა, მის საცა ვის უცხოს ნახადის, თავისას მიიყვანის, აბანის, შეპოსის, განუსვენის, საბოძვარი მისცის და განუტევის.“<sup>5</sup>

„ვეფხისტყაოსნიდან“ ისიც ირკვევა, რომ აბაზანა შინაც ჰქონიათ მოწყობილი.

1 არქანჯელო ლამბერტი, „სამოგზაოს აღწერა“, მეორე გამოცემა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე პუონიასი, ლევენ ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1938, გვ. 41.

2 ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 31.

3 „წიგნი სააქიმო“, გვ. 31.

4 შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, პავლე ინგოროვიჩის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, გამომც. „საბჭოთა მწერალი“, 1953, სტროფი 1385.

5 სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიერების“, გ. ლეონიძის რედაქციით, თბილისი, 1928, გვ. 3.

„მეფემან კოში ააგო, შიგან სამყოფი ქალისა;  
ქედ ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა ლალისა;  
კარზედა ბაღია, საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა.“<sup>1</sup>  
„ბაღია ვნახე უტურფესი ყოვლისავე სალხინოსა;  
ფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა;  
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა.“<sup>2</sup>

როგორც ძველი ქართული სამედიცინო წყაროებიდან ჩანს, ვარდის წყლით დაბანა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ ითვლებოდა და იგი ფართოდ იყო გავრცელებული.

ტანსა და თავს იბანდნენ საპნით, ან ხატმის (ტუხტი), სელის და სხვა მცენარეების წვენით.<sup>3</sup>

აბანოში გარკვეული წესების დაცვა იყო საჭირო. მსუქან ადამიანს ურჩევდნენ თანდათან შეჩვეოდა აბანოს: ჯერ ტანზე დაესხა წყალი და შემდეგ თავზე.

„თუ ერთობ მსუქანი იყოს და ხორციანი პირველ ან თასითა და ან ჯამითა დაისხას გულზედა, მერმე ბეკთა შუა და მერმე თავზედა და ბერმე მაშინლა ებანოს.“<sup>4</sup>

სუსტსა და გამხდარ ადამიანს კი ზომიერად თბილ წყალში უნდა ებანავა: „თუ სუსტად იყოს და მხურვალედ ამან ლარლარა ქნას, მერმე სწორსა წყალშიგან ებანოს...“<sup>5</sup>

დიღხანს ბანაობა მისთვის მავნელ ითვლებოდა: „მსუქანს ხანგრძლად უჯობს ბანა და მკლესა აწყენს.“<sup>6</sup>

„...მსუქანი კაცი ასრე უნდა სანამდისინ ოფლი კარგად არ აღინოს, მანამდისი აბანოშიგან იჯდეს და არ გამოვიდეს და მკლე კაცმან ასრე უნდა აბანოშიგან ცოტას ხანს იბანოს...“<sup>7</sup>

სრულიად სამართლიანად დაუშვებლად ითვლებოდა როგორც მაძღარის, ისე უქმელის ბანაობა: „მაძღარი ნუ ებანების და ნურცა უქმელი.“<sup>8</sup>

არ შეიძლებოდა ცივი წყლის დალევა არც აბანოში ყოფნის დროს და არც გამოსვლის შემდეგ, ვიდრე ერთი საათი არ გავიდოდა: „ან აბანოშიგან რომე იყოს, ან ახლად აბანოდალმან გამოსულიყოს, სადამდი ერთი ეამი არ გამოვიდეს, წყალი არ უნდა სუას, თვარემ აწყენს...“<sup>9</sup>

აბანოდან გამოსული თავს უნდა გაფრთხილებოდა, რომ არ გაცივებულიყო: „სიცვიეშიგან გარეთ გამოსულას სიფრთხილე უნდა და კარგად თბილად ტანსა ჩაცმა უნდა, რომე არ გაცივდეს.“<sup>10</sup>

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსანი“, დასახელებული გამოცემა, სტროფი 329.

<sup>2</sup> იქვე, სტროფი 341. ხაზი ჩენია.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 416.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 110.

<sup>8</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 416.

<sup>9</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 109.

<sup>10</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 417.

„...კაცი რომე აბანოშიგა შევიდეს მანამდისინ შიგ აბანოშიგა იყოს რომე, ამა კაცისა ტანისა ტყავი სავსე სავსედ მოვიდეს, და რომე კარგად ოფლმან ლაასხას. და ოფლი გაუთავდეს და შესკვრდეს და ხორცსა აღარ უნდოდეს, ასრე უნდა ფიცხლავ გამოვიდეს და კარგად სქელი კაბა ჩაიცვას და ამას უფთხოლდენ, რომე არ შეიცოონ მეტადრე მაშინ, რომე ზამთარი და სიცივე იყოს.“<sup>1</sup>

თავისებური ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი ჰქონდათ შემუშავებული ცივ წყალში ბანაობის შესახებ. ცივ წყალში ბანაობა ეკრძალებოდა მოხუცს, ჩვილს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც ჰქონდათ სურავანდი, გულის ან კუჭის რაიმე დაავადება, კუჭის აშლილობა და სხვ.

„ცივსა წყალშიგან ასეთმან კაცმან უნდა ტანი იბანოს, რომე გულსა და სტონაქზედა არა ემიზეზებოდეს რა და ან ვაეკაცად იყოს, და ბერმან კაცმან და უსაკომან მარტილმან კაცმან ცივსა წყალშიგან არ უნდა იბანოს, თვარა და უსათუოდ აწყენს. და ვაჟმა კაცმანცა ასეთმან კაცმან უნდა იბანოს, რომე სურავანდი არა სკირდეს, ან ემთოლა არ შექნილიყოს, ვითამცა საკმელი არ გამოჰყოლოდეს. ან ხარბუხა არ სკირდეს, ან გული და სტონაქი სუსტად არ ჰქონდეს ან ახლად დედაკაცთან არ მისულოყოს, ან მწოდ ნარბენი და დაღალული არ იყოს. აწე ეს მიზეზები რომე არცერთი არ ემიზეზებოდეს, მაშინცა ასრე უნდა ზამთარი დღე არ იყოს, ან დილა არ იყოს, ან ზაღამო არ იყოს. ასრე უნდა ზაფხულია შეუადლისას იბანოს და მაშინაც ცოტა იბანოს.“<sup>2</sup>

სწორად ჰქონდათ შემჩნეული, რომ თბილი წყალი კარგად მოქმედებს ადაქინზე: კანი „სავსე“ გახდება, დაღლილობის გრძნობა გაუვლის, ძილს მოგვრია და სხვ.

„და კაცსა რომე არ ეთინებოდეს, კაცს მაშინვე ძილს მოგუერის და დაღალვასა და დაღეწილობასა ტანიდაღმან გაუგდებს... ამა კაცისა ტანისა ტყავი სავსე სავსედ მოვიდეს...“<sup>3</sup>

განვიხილოთ როგორი შეხედულებები არსებობდა ტანსაცმლის შესახებ. XI საუკუნიდან მოყოლებული, ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ტანსაცმლის დახასიათებას სპეციალური თავი აქვს დათმობილი—„კარი ტანისამოსთა.“<sup>4</sup> ეს ფაქტი თავისთავად ბევრის მოქმელია. ჩანს, ტანისამოსს სამედიცინო თვალსაზრისით იმდენად ღიდ მნიშვნელობას არიკებდნენ, რომ მისთვის კარაბადინებში ცალკე თავიც კი დაუთმიათ. მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა ტანსაცმლის დახასიათება, რომელიც აღნიშნულ თავშია მოცემული. აღნიშნული მასალის გაეცნობით ირკვევა, რომ ტანსაცმლის შეფასების დროს სწორედ იმ ნიშნებისათვის მიუქცევიათ ყურადღება, რომლებიც დღეს ჰიგენურ მაჩვენებლებად ითვლება. ტანსაცმლის შესახებ მსჯელობდნენ სითბოს გატარების, ჰაერის განვლადობის, ანუ ვენტილაციის უნარის მიხედვით და სხვ.

იხმარებოდა სელის, ბამბის, ტილოს, მატყლის და აბრეშუმის ტანსაცმელი. სელისაგან დამზადებული ტანსაცმელი სითბოსა და ჰაერის კარგ გამტარად ითვლებოდა: „სამოსელი, სელისაგან რომელი იქნების სწორი არის სიგრილთა

<sup>1</sup> „ილიგარ დაული“, გვ. 110.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 110, 111.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 422.

და ნოტიოთა და სიხმელითა... არგებს და ამოაშრობს ნოტიოსა და ოფლსა ტანისაგან...<sup>1</sup>

ასეთივე თვისებების მატარებლად ითვლებოდა ტილოსაგან დამზადებული ტანსაცმელი.

აღნიშნული შიგნებლების მხრივ საშუალოდ მიაჩნდათ აქლემის ბეწვისაგან დამზადებული ტანსაცმელი: „ტანისამოსი რომელი იქნების აქლემისა თმისაგან შუა არის.“<sup>2</sup>

შეუბნევიათ, რომ საერთოდ ზველი უხვში ქსოვილის ტანსაცმელი „სინამი-საე იზიდავს“.<sup>3</sup> ანუ, როგორც ახლა ცნობილია, იგი პაერის კარგი გამტარია, ხოლო —რაცა სამოსელი რბილი არის სინედლისაყენ იზიდავს.“<sup>4</sup>

საქართველოში ხმარებული ტანსაცმლის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა არქანჯელო ლამბერტი. იგი აღნიშნავს, რომ ქართველები იცვამდნენ შალოს. აბრეშუმისა და ტილოს ტანსაცმელს. აბრეშუმისაგან იკერავდნენ პერანგს და ახალუხს. ეს უკანასკნელი შეიძლება შალისაგანაც ყოფილიყო დამზადებული. მას პერანგის გარეთ იცვამდნენ. სიცივეში ჩასაცმელი ტანისამოსი კიდევ სხვა ჰქონიათ. მას წმინდა შალისაგან ან ხავერდისაგან ამზადებდნენ, სარჩულად სიასამურის ტყავს უდებდნენ. გარედან წამოსასხმელად ნაბადსაც ხმარობდნენ.

განსხვავებული ყოფილა წვეულებასა და დღესასწაულზე ჩასაცმელი ტანისამოსი, რომელიც ფარჩისაგან ან ხავერდისაგან იკერებოდა.

ფეხზე იცვამდნენ აბრეშუმის ან მატყლის წინდებს, ალბათ, წელიწადის ღროისა და ამინდის მიხედვით.<sup>5</sup>

ფეხსაცმლად იხმარებოდა მაშია, წულა, ჩუსტი, ქალამანი, სანდალი, მოჯი და სხვ.<sup>6</sup>

თავზე იხურავდნენ ნაბდის, ტყავის, აბრეშუმის, ტილოს ქუდს. ზოგი ჩაბაღას ხმარობდა.<sup>7</sup>

ჩაბაღასი მზადდებოდა აბრეშუმის, ტილოს და შალისა.

ოსათა ბარბარო აღნიშნავდა, რომ ქართველებს „თავზე სურავთ მოკლე ფოჩიანი პატარა ქუდიო“.<sup>8</sup>

ქართული ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და თავსაბურავის შესახებ განსაკუთრებით საყურადღებოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები. თავის ცნობილ წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ იგი წერს: „ხოლო შემოსილი-

1 „უსწორო კარაბაღინი“, გვ. 422.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე.

5 არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, მეორე გამოცემა, თარგმანი იტალიურიდან აღექსანდრე კყონიასი, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1938, გვ. 36—38.

6 სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, დასაბულებული გამოცემა.

7 ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელი, იხ. ქრონიკები, 11, თ. ყორღანისა გამოცემა, თბილისი, 1977, გვ. 45.

8 Di messer Josafa Barbaro, genti'l huomo venetiano, il viaggio della Tana, იხ. „მოაზრება“, 1874, № 11, გვ. 47.

არიან ქართველნი და კახნი ერთრიგად: თავს სკლატისაგან<sup>1</sup> ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვებული, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა.<sup>2</sup> სკლატისა ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემოძღუ, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბანბიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბანბისა ანუ ტილოსაგან, უგოდე კაბისა; და კისერი სრულად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბანბისაგან. ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული<sup>3</sup> და მოგვი,<sup>4</sup> თუნიერ მისსა—არა; ფერხთა პაიკი და წულა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული; უმციოესთან ჩუსტი და ქალამანი. კვალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი არამედ პირველ ერთმეფობასა შინა სცვიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა. კუნძული ბექსა ზედა მცემელი და გრძელბეწ-სანი, პერანგი ბერული ტილოსი, საგულე და კაბა გრძელ-კოჭანდე უდილოდ, მას ზედა სარტყელი ფოჩხაშვებული, ტყავი დიდი სახელეწირო და ფერხთა ზედა მოგვი, ვითარცა იცნობიან ნახატებითა ზედა. ქალთაცა მგზავნათ; გარნა სარტყელთა წვერნი ჩაშვებულნი და მას ზეით კაბა-ახალუხი ამოჭრილი, და თუნიერ პერანგისაგან კიდე არარაი პფარავს. და პერანგი მჭვირვალი, ხორცის მჩენელი, უბაიკოთ ნიფხავი და ფერხზედ წულა-მაშია; ხოლო თავი ქალწულთა: კავხი თუ-სისივე თმისა ლაწეთა ზედა და ქუდი ანუ ლეჩაქი, არამედ ქრმოსანთა კავსა ზედა ლაწეს აძესთ თმა შეწნული, მსხვილი. იპიერ და აპიერ, ჯა ყბას ქვეშ მარგალიტი: შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკურენ, და პბურავთ მასზედ ლეჩაქი. კვალად სანჯალნი იციან მრავალგვარნი. ზოგნი თერსნი და ზოგნი სპარსთანი: ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი,<sup>5</sup> ტყავი და ტოლომა<sup>6</sup> ბეწვლნი; განა ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწამდე. ხოლო იმერთა ციოეთ რა-ცა განიკურებოს. არამედ ქუდი მცირე ნაჭრისაგან, რომელი არა ბურვით. განა მღებზედ არს თხემსა ზედა. და ზამთარს მოსიათ ტოლომა ოსმალური. ხოლო მესხთა: დიდებულთა—ვითარცა ოსმალთა. და გლეხთა, რომელთამე ვითარცა ბერძენთა, და რომელთამე ვითარცა ქართველთა გლეხთა.<sup>7</sup>

როგორც ვნახეთ, ძველ ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში ჩამოთვლილი ნოთხოვნილებანი, რომელთა მიხედვით ხდებოდა ტანსაცმლის პიგიენური შედასება, მეტად მაღალი და საფუტეღიანი იყო. მაგრამ ამავე დროს, არ შეიძლება საზგასმით არ აღინიშნოს ისიც, რომ მათი შესრულება უმთავრესად ხალხის მატერიალურ მდგომარეობაზე იქნებოდა დამოკიდებული და, ცხადია, ყოველთვის არ იქნებოდა დაცული.

დიდი ყურადღება ექცეოდა კბილების, ყურისა და თვალის დაცვას. შეშუშავებული იყო მათი მოვლის წესები, დაზიანების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებანი.

1 სკლატი — მალაქი.

2 ლარი — ძვირფასი ქსოვილი.

3 საწარმართული—სამგზავრო სამოსი.

4 მოგვი — ჩექმა.

5 ქათიბი — კაბაზე ჩასაძვლი ბეწვეული.

6 ტოლომა — ქურჭი.

7 ვ ა ხ უ შ ტ ი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლომოუჩისა და ნ. ბერძენის შვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 32.



ქერ კიდევ XI საუკუნის წყაროებში მითითებულია, რომ კბილების მოვლა, „გამოკაზმვა“. „გამათეთრებელი“ საშუალებების ხმარება იცავს მათ დაზიანებისაგან. კბილების გასაწმენდად იხმარებოდა სხვადასხვა შემადგენლობის „სუნუნა“:

„ნიშანი სუნუნისა რომე კბილი გამოწმინდოს და გაათეთროს. აილე ზღვისა ქაფი, მარილი და თაფლითა დაწვი, როგორაცა წესი არის და ამა წიგნშიგა სწვრია, ადრანული მარილი და დამწვარის მარგალიტის სადაფი, მრგვალი ზარევიანი, ლერწმის ძირისა, ნაცარი დამწვარი ქერის, ჯამის ნატეხი, ყუელა სწორ სწორად დანაყე, გაცერ და კბილებზედა წაუსვი, კბილისა სიმრთელესა ძალა მისცეს.“<sup>1</sup>

კბილების გასაწმენდად იხმარებოდა აგრეთვე „...ტბაშირი და ზღვისა პერული და მარმარილოს ქვაი...“ დანაყილი.<sup>2</sup>

ცნობილი ყოფილა, რომ კაკლის, თხილის, ნუშის და სხვა მაგარი საგნების კბილით გატეხვა, აგრეთვე კბილების ხშირი ჩხრეკვა მათ დაზიანებას იწვევს და საჭიროა გაფრთხილება.

„კბილსა რწყევა ერთობ დაზიანებს და მაგარისა რასამე გატეხაცა დააზიანებს.“<sup>3</sup>

„და კბილსა და ღრძილსა ესეცა აწყენს, რომე კბილსა და კბილებსა შუა მაგარი რამე დაიმწყუდიოს და ძალიანად კბილი მოუქიროს და გატეხოს ან კაკალი. ან ნუში, ან თხილი, და ან ამავე რიგი რაგინდარა გასატეხი იყოს. და ან კაკი რომე მუდმად კბილებსა იკრკინიდეს, კბილებს ესე ყუელა აწყენს.“<sup>4</sup>

იმავე XVI საუკუნის წყაროებში აღნიშნულია, რომ კბილებს აზიანებს ტკბილი და მყავე საკვები და სასმელი, აგრეთვე ცივი და ცხელი საკვების სწრაფი მონაცვლეობით მიღება.

„...ასეთი ტკბილი და მყავე საკმელი არ უნდა კაცმან ჰკამოს, რომე ან კბილს მიეკრას და ან ღრძილი დასწვას და დაამალალოს, და ან კბილი მოჰკეთოს. ხურმა, ლღვი, მაწონი, თევზი, ხორცი, ღვინო და ძმარი და ყოველი მყავე კბილს მწოდვ აწყენს, კბილსა და ღრძილსა დაამალალებს. და კბილსა და ღრძილსა ესეცა აწყენს, რომე კაცმან პირველად მწოდვ ცხელი და ან თბილი რამე სვას და ჰკამოს და მერმე ცივი წყალი დალიოს.“<sup>5</sup>

როგორც აღვნიშნეთ, პიგიენური თვალსაზრისით მეტად გასაფრთხილებელ ღრგანოებად ითვლებოდა თვალი და ყური.

ცნობილი ყოფილა, რომ ყური შეიძლება დააზიანოს მასში მოხვედრილმა უცხო სხეულმა, მაღალმა ხმამ, შეიძლება გამოსუფთავების დროს დაზიანდეს. ამიტომ ურჩევდნენ დაეცვათ ყური აღნიშნული ფაქტორების გავლენისაგან: „აქიმთა თქუეს ვითა ყურსა დიდი შენახუა უნდაო, მრავლისა ფერისაგან რომე ყურშიგა არა ჩაუვარდეს რა, ან არა შეუვიდეს რა, შენახვა უნდა დიდისა ხმისა“

<sup>1</sup> „უსწორი კარაბადინი“, გვ. 243.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმი“, გვ. 138.

<sup>3</sup> „უსწორი კარაბადინი“, გვ. 241.

<sup>4</sup> „იადღარ დაუდი“, გვ. 306.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 305, 306.

გან, ქუხილისაგან, ან ცივი ქარი ჩაუვიდეს, ან ყურისა გამოკაზმაშიგა, ან ცივისა წყლისაგან, ანუ კენჭი არ ჩაუვარდეს, ეს ყუელა აწყენს.“<sup>1</sup>

პროფილაქტიკური მიზნით საჭიროდ ითვლებოდა კვირაში ერთხელ ყურების გამოწმენდა, ყურში მწარე ნუშის ზეთის ჩაწვეთება, კოტონის მოკიდება, სისხლის გამოშვება და საჭიროების შემთხვევაში ქუქნაწლავის გაწმენდა: „კუთარაშიგან ერთხელ წმინდითა ჩხირითა გამოკაზმა უნდა მუდმად მოლურჯოთა მატყლითა. მწარისა ნუშისა ზეთსა ყურშიგა ჩაუშვებდეს და კოტონსა მოკიდებდეს ბექთა ზედა, და ყიფალსა გაიხსნიდეს, თუ გასახსნელი მოუნდეს აბი ზაბიერი აალებინეთ.“<sup>2</sup>

მხედველობა რომ არ დაქვეითებულიყო და თვალი დაავადებისაგან დაეცვათ, ურჩევდნენ თავი შეეკავებინათ ზედმეტი ჭამისა და გადაკარბებული სქესობრივი ცხოვრებისაგან. როგორც ერთი, ისე მეორე მხედველობის დამაზიანებლად ითვლებოდა. ამავე დროს აღსანიშნავია მითითება, რომელიც „უსწორო კარაბადინში“ გვხვდება თოვლის, მტერისა და კვამლის მავნე გავლენისაგან ოვალის დაცვის შესახებ.

„იკოდით პირველად სიფრთხილე უნდა და დიდი ფარეზი, ყოვლისა საქმიანაგან, დიდისა ჭამისაგან და დედაკაცთან წოლისაგან და ურიგოთ ჭამისაგან და ვუიან ჭამისაგან, თოვლშიგა სიარულისაგან და ბევრისა სითეთრის მზერისაგან, წიორისა, ხახვისა და წიწმანისა და ყოვლისა მწუავისაგან და ბევრისა მარილისაგან და დიდისა ღუნისაგან და სარწყველისა და ბანისაგან და აბანოსა შიგა... მტუერისა და კუამლისაგან, რომე არ ჩაუვარდეს თუალშიგან.“<sup>3</sup>

მართლაც ცნობილია, რომ საქმლის მომწელებელი ორგანოების არანორმალური მოქმედება ხელს უწყობს თვალის ზოგიერთ დაავადებათა განვითარებას და ამ მხრივ ჰიგინური წესების დაცვა საკვებით მიზანშეწონილია. ასევე სწორად შეუთმენევიათ კაშკაშა თეთრი ფერის მავნე გავლენა თვალზე, რასაც ზოგჯერ მხედველობის დროებითი დაკარგვაც კი მოსდევს ხოლმე.

მხედველობის ფუნქციის დასაცავად გარკვეულ პროფილაქტიკურ ზომებსაც ღებულობდნენ. თვალის კაკალს ცივი წყლით იბანდნენ, შემდეგ კამის წყალს იწვეთებდნენ თვალში, კილოებზე თუთიის მალამოს იცხებდნენ და სხვ.

„თუ გინდოდეს, რომე თუალი ნიადგა მრთლად იყოს... ცოტა ხანსა ცივისა წყალსა შიგა იბანოს და თავი ჩაყოს თუალი გაალოს რომე წყალი შეუვიდეს თუალშიგან, კარგი არის, და მუდამად კამის წუენსა თუალშიგა ჩაიშვებდეს კარგი არის, დაუნაყელსა კამსა თუალშიგა ამოივლებდეს... თუთიაცა კარგი არის და ნუშისა გული გაფურცქნილი, ამლაჯისა ზეთშიგა გალესოს და თუალისა ქუთუთოსა და კილოსა ზედა შესცხონ კარგია.“<sup>4</sup>

XI საუკუნის წყაროებში ყურადღებას იმაყრობს მსჯელობა თვალზე დერების გავლენის შესახებ. ფერთა გამაღიზიანებელ მოქმედებას ჰიგინური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ფერთა გავლენას თვალზე აფასებდნენ იმის მიხედ-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 219.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 198.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 198, 199.

ვით. თუ როგორ მოქმედებდა ფერი თვალის გუგაზე, მის გაფართოებას იწვევდა, თუ შევიწროებდას. როგორც ჩანს, ფერთა მოქმედების განსაზღვრის დროს ანგარიშს უწევდნენ სუბიექტურ მონაცემებსაც: სასიამოვნო დამამშვიდებელი იყო, უსიამოვნო კი გამაღიზიანებელი:

„უკეთესი თვალის შესახედავად არის ლურჯი, მწვანე და შავი. ამათი ხასიათი ეს არის, რომე თვალის გვამსა გაუძლიერებს და თვალსა არას ატკივნებს. სინათლესა მოუმატებს და ხედვასა გაუმატებს და თვალის გუგასა შემოკლებითა ამკოფებს, და რაგვარაცა ღამე თვალისა სინათლესა შეჰკრებს და დღისით დაიფანჩეის სინათლე თვალისა, აგრევე ყოველი ფერი რომელი სიშავით კერო სცემს, თვალსა კარგად შეინახავს და რომელი თეთრი არის შესახედავად თვალსა აწყენს და გუგასა დაჰფანჩავს. და ყოელის ფერის მხერა თვალისათვის. ავია და ყვითელიცა ავია მაგრა თეთრსა სჯობს შესახედავით, და ყვითელსა წითელი სჯობს შესახედავად და ზიანი უფრო ცოტა აქუს და სწორი არის. ამა ყოველთა (ფერთაგან) სნეულთათვის ლურჯი, მწვანე და შავი სჯობს შესახედავით...“<sup>1</sup>

თვალზე ფერების გავლენის შესახებ მსგავსი შეხედულებები გავრცელებული იყო შემდეგ საუკუნეებშიც.

XV საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო წყაროში ვკითხულობთ: „სიარული მწუანესა ადგილსა კარგია.“<sup>2</sup>

საერთოდ სეირნობას ჯანმრთელობისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ცნობილი ყოფილა, რომ იგი მრავალმხრივ სასარგებლოა: სხეულს აძლიერებს. ნერვებს ანუ „ფაითა“ ამაგრებს, სახსრებს ავარჯიშებს, სხეულს ტონუსს მატებს, მოღუწებას სპობს და სხვ.

„...რიატათი. ვითამცა სიარული ასოთა დააჩენს, ფერფერი სარგებელი იქნების, პირველ შეკრულობასა გაუხსნიას ასოთაგან, და მერმე ტანსა გააძლიერებს და გაამაგრებს. და რაი საქამადასა წინაით იყოს რიატათი. სტომაქსა გააძლიერებს და საქამადასა მოადნობს, და ბუნებასა გაუმშურვალებს. და ფაითა გაამაგრებს, და ირყანისასა და საქაეულთა ტკივილთა დააწყენარებს, და ზურგისა და წელთა ტკივილსა და ელენთისა და თირკმელთა ტკივილსა ერგების, და ტანთა გაასუბუქებს.“<sup>3</sup>

ამ შემთხვევაში არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ გავიხსენოთ გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ის ადგილი. სადაც მოთხრობილია ავთანდილისაგან დაზნედილი ტარიელის პოვნის ამბავი.

რუსთაველი გადმოგვცემს, რომ ვეფხისა და ლომის მოკვლის შემდეგ დაზნედილი ტარიელი ავთანდილმა შაბნარში იპოვა. მან ტარიელი ცნობაზე მოიხუჯანა, მაგრამ იგი მეტისმეტად მწუხარე იყო, ტირიდა და არ უნდოდა ავთანდილს გაჰყოლოდა. არავითარმა მუდარამ არ გასკრა. მაშინ ავთანდილი უკანასკნელ ღონეს მიმართავს. იგი ეხვეწება ტარიელს, რომ ცხენზე შეჯდეს და გაისეზონოს.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 422, 423.

<sup>2</sup> „სამეურნალო წიგნი“, გვ. 60.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 31.

„ეხვეწებოდა : „შეყო“, აჯას ხვეწნითა არეებდა, იცოდა, რომე შეჯდომა კეშანს მოაქარებდა, ლერწმისა სარსა დასდრედა, გიშერსა დააკარებდა; დაიმორჩილა, ეამა, არ ივაგლახა არ ვებდა. ცხადად უთხრა: „შევედებო, მომიყვანე ცხენი წინა“. მან მოჰკვარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა, მინდორთაჲე წაიყვანა, ტანი მქვერი აძვრევიხა, ხანი წარვლეს, ს ი ა რ უ ლ მ ა ნ ე ო ჯ ო ბ ე ბ ა და ა ჩ ი ნ ა.“<sup>1</sup>

ეს არის კიდევ ერთი ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ როგორ ღრმად იცნობდა რუსთაველი ადამიანის ბუნებას, მის ფსიქოლოგიას და თავისი ეპოქის სამედიცინო შეხედულებებს.

სეირნობას რომ ასეთ სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამას ისიც მშვენივრად ადასტურებს, რომ ქართულ ენაში არსებობდა „კმუნეთა განმქარგებლად წალკოტთა. ანუ მინდორთა მიმოვლის“ აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი „მ ო თ ხ ე ა“. რომელსაც, როგორც საბა იტყვის, „მსოფლიონი სე ი რ ნ ო ბ ა ს ა უ ხ მ ო ბ ე ნ.“<sup>2</sup>

როგორც XVI საუკუნის წყაროებიდან ირკვევა. ისიც კარგად ყოფილა ცნობილი, რომ სარგებლობის ნაცვლად ზიანს მოიტანს, თუ ადამიანი ბევრს ისეირნებს და გაოფლიანდება: „და რიგიანი სიარული ეს არის, რომე კაცმა აძდენი იაროს რომ ტანშიგა სითბო შემოვიდეს და კაცის ტყაეი სავსე სავსეუჯ ლოვადეს, და ოფლმან ვითმე დააახას. და თუ კაცი აძდენს ვითმე იარების და ან ირკენას, რომე ბევრი ოფლი იღინოს, კაცს აწყუენს და ძალს მოაკლებს და სახსრებს და ასოებს დაუსუსტებს.“<sup>3</sup>

ასევე მავნედ ითვლებოდა არასაკმარისი მოძრაობა. შეუმჩნევიათ, რომ უმოძრაობა ხელს უწყობს უმადობას, იწვევს ზოგიერთი შინაგანი ორგანოს მოკმედეების დარღვევას, გასუქებას და სხვ. ამიტომ ურჩევდნენ, რომ ასე არ მოსცეულოყენენ: „...კაცი რომე მუდამ იჯდეს და არ იძროდეს, ისიცა ავი არის. კაცსა აწყუენს. ბალღამს მოუმატებს, გულსა და სტომაქსა ასე შეუქრავს, რომე საკმელი აღარ მოუნდეს. მართ საკმლის კამას სრულად აუქრებს, გუამსა და სტომაქსა შეურყუნის და ხილთებს გამპრავლებს და დააძალიანებს, კაცს გაასუქებს.“<sup>4</sup>

ყურადღება ექცეოდა აგრეთვე შრომისა და დასვენების მოწესრიგებას. XVII საუკუნის სამედიცინო ხელნაწერებში სპეციალური თავებია გამოყოფილი, სადაც მოცემულია რჩევა-დარიგება შრომისა და დასვენების შესახებ. ერთ-ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: „მოსვენება და მუშაობა: ვკგონებ კაცი დაბადებულს არის შრომისათვის; ესეც ცხადი არის რომ, რომელნიცა დილადამ ღალამომდინ მუშაკობენ მაგარნი და მრთელნი არიან, იმათგან უფრო, რომელნიც დღეებს გაატარებენ მოსვენებით. და ამასთან ესეც ვიცით რომ უზომოდ უქმად

<sup>1</sup> შ ო თ ა რ უ ს თ ა ე ე ლ ი, „ვეფხისტყაისანი“, დასახელებული გამოცემა, სტროფები 891, 892.

<sup>2</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, იხ. სიტყვა ს ლ ე ა.

<sup>3</sup> „ილიგარ დული“, გვ. 111.

<sup>4</sup> იქვე.

ჯდომა და წოლა სისხლს გაასქელებს; და ბალღმიანათ გახდის კაცსა რომლითაც ზორცი დასუსტდება, გაიბერება, და მერმე მოეშვება და ჩამოლბება. მაგრამ მუშაობაც არ უნდა იყოს დაუსვენებლად, უნდა იყოს შეერთებული ზომიერის დასვენებით როგორც ვისაც შეეფერება და ან სიყრმითგან, რაც ჩვეულება აქვს. ამიტომ რომ ზორციანი და ძულიანი მაგარი კაცი ჩქარად მიიღებს სნებას. თუ დაასუსტების თავის თავს მუშაკობით, და რომელსაც აქვს სუსტი და ბალღმიანი სხეული, უზომოს უქმობისაგან შეიქნება მძიმე და მუშაობაში გამოუდეგი, წაიხდენს კუქსა, ქშენას დააწყებინებს და უკანასკნელ შეიყრის წყალმანკსა.<sup>1</sup>

განსაკუთრებით იმ პირებს, რომლებსაც შრომა უხდებოდათ მჯდომარე მდგომარეობაში და მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ნაკლებად მოძრაობდნენ, ურჩევდნენ უქმე დღეს ეთამაშათ ბურთი, ერბინათ და სხვ.

„ხელოსანთ ხელოსნებისამებრ თვისისა ვალი აქვსთ რომ ერთის ადგილას იხსდეთ. ესე იგი არის მწერალნი, მკერვალნი და სხუანნი ხელოსანნი, ურჩევ რომ უქმეს დღეს გაატარებდეთ მოძრაობით და ითამაშებდნენ ბურთით, სირბილით და სხვებით ამ გუარის შესაფერის თამაშობით.“<sup>2</sup>

საუკეთესო დასვენებად ითვლებოდა ძილი. როგორც აღვნიშნეთ, ძილის მნიშვნელობა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში კარგად იყო ცნობილი ჯერ კიდევ V—VI საუკუნეებში.

XI საუკუნის წყაროებში ვკითხულობთ, რომ „ძილი სიმრთელისა ძალისა მამცემი არის.“<sup>3</sup>

„უსწორო კარაბადინში“ სპეციალური თავია გამოყოფილი სათაურით: „კარი ძილისა და ხასიათი მისი“, სადაც გადმოცემულია ძველ ქართულ მედიცინაში იმ დროისათვის არსებული შეხედულებები ძილის ჰიგიენური მნიშვნელობის შესახებ.

ჯანმრთელობისათვის საზიანოდ ითვლებოდა როგორც ზედმეტი ძილი, ისე უძილობა: „კაცმან რომე ბევრი დაიძინოს და ნიადაგ იწყეს დიდსა ფათერაკსა უზამს და ზიანსა, ასრე რომე ტანსა და ზორცსა დაალობს და დააჩოლოფოტებს და დასენაანდების და ფერსა წაუღებს. თუ კაცსა ნიადაგ ლეიძავს ისიცა ავი არის, ამად რომე კაცსა დაასუსტებს და თვალთა ველარა ააღებს და საკმელსა არ მოანდომებს.“<sup>4</sup>

ასეთი შეხედულება ძილის მნიშვნელობის შესახებ გავრცელებული იყო შემდეგ საუკუნეებშიც.

XIII საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ძეგლში ვკითხულობთ: „...დაძინება იეგდენი ხამს, რომელ ასოთა გამოუსუენონ და სიმამურალე წავიდეს, და საკამალი მოიდნოს, და ძილი რაი ესეთი იყოს ტანსა გაამრთელებს, ძალსა მოუმა-

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, № 136, ფ. 11 რ.—11 v.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 11 რ.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 418.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 45.

ტებს, სტომაქსა დააწყნარებს, და ტანსა გაასუქებს. რაი საზომისაგან მეტი იყოს ტანსა გაასუსთებს და გააზანტებს, და ბალღამსა მოუმატებს და სტომაქს გააგრილებს, მეტად მსუქანთა და სხვილ ასოთა დია ევენების და უძილობაიცა რომელ საზომისაგან გარდვიდეს, გაახურვებს და ბუნებასა შეშლის, და ტანსა გაახმობს და დაამკლობს.“<sup>1</sup>

XVI საუკუნეში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ უძილობის უარყოფით გავლენას ნერვულ სისტემაზე.

„ერთი კაცი რომე კაცმან ასრე შეინახოს, რომ ორსა სამსა დღესა არ დაიძინოს, ტვინის მეტი სიხშითა ჰქუა შეეშლებს და ძალსავეით ყეფას დაიწყებს.“<sup>2</sup>

როგორც „უსწორო კარაბადინში“ არსებული მასალიდან ირკვევა, XI საუკუნისათვის გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ძილის ხანგრძლიობა ფხიზლად ყოფნის ტოლი უნდა ყოფილიყო.

„და თუ კაცსა სიძრთელე უნდა, ასრე უნდა, რომე როგორაცა მართალა სასწორი აგრე ძილი და ღვიძილი გაასწოროს და რასთონიერთსა ეამსა იძინოს, იმთენი ერთი იღვიძოს.“<sup>3</sup>

ძილის ხანგრძლიობის ასეთი განსაზღვრა, ცხადია, არ არის ზუსტი. ეს შეხედულება დროთა განმავლობაში იცვლებოდა. უკვე XVI საუკუნის წყაროებში ზუსტად არის განსაზღვრული, რომ ადამიანს დღე-ღამეში 8 საათზე მეტი არ უნდა ეძინოს: „და ერთსა დღესა და ღამესა რვის ეამის მეტი არ დაიძინოს...“<sup>4</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ზედმეტი ძილი ჯანმრთელობისთვის საზიანოდ ითვლებოდა, განსაკუთრებით მსუქანი პირებისთვის: „დიდი ძილი მსუქანსა და გრილგუნება კაცსა აზიანებს და ძალსა დაასუსტებს და თავსა დაუმძიმებს და სენსა მოუმატებს.“<sup>5</sup> ამიტომ, ურჩევდნენ ბევრი არ დაეძინათ.

ასევე საზიანოდ მიაჩნდათ დღისით ძილი. „უსწორო კარაბადინში“ ნათქვამია: „დღისით ძილი ბალღამსა და ნაზლას მოუმატებს და კაცსა გააუფერულებს და გაადიდებს და დააჩოლოფოტებს...“<sup>6</sup>

როგორც ჩანს, დღისით ძილის გავლენა არასათანადოდ ჰქონდათ გაგებული, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ დღისით დაძინებას უარყოფილად აფასებდნენ, იმის მაჩვენებელია, თუ ძველი ქართველი ექიმები რამდენად ღიდ დაკვირვებას იჩენდნენ ასეთი ჰიგენური მნიშვნელობის წესების შეზღუდვებისა და შეფასების დროს. თითქმის ყველა ძველ სამედიცინო წყაროშია ნათქვამი დღისით ძილის მავნე გავლენის შესახებ.

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 37.

2 „იადიგარ დაუდი“, გვ. 112.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 45.

4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 112.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 41B.

6 იქვე.

XVI. საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამედიცინო წყაროში—„იადიგარ დაუდი“—გვითხულობთ: „და თუ დღისით არ დაიძინებენ, მწოედ სჯობს.“<sup>1</sup>

განსაკუთრებით საზიანოდ ითვლებოდა ძილი სადილობის შემდეგ: „სადალს უკან იქნება რომ დაიძინონ იმათა, რომელთაც ღამე კმად არა სძინებიათ და ღლე დალაღულან და რათგან ესრეთნი იშვიათნი არიან ამისთვის ვიტყვი რომ სადილს უკან ძილი ღია მავნებელი არის.“<sup>2</sup>

მას, ვინც დღისით ძილს იყო დაჩვეული, ურჩევდნენ გადაჩვეულიყო. მაგრამ არა ერთბაშად. არამედ თანდათანობით: „თუ კაცი დღისით ძილს დაჩვეულ იყოს დღისით ძილი ერთხელობით არ უნდა მოიკუთვოს, თუ არამ ღია წყევს. ასრე უნდა ცოტ-ცოტა მოიკუთვოს და მერმე კაცმან დღისით აღარ დაიძინოს.“<sup>3</sup>

ინტერესს იწვევს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი მდებარეობა უნდა ჰქონოდა სხეულს ძილის დროს. ირკვევა, რომ ადამიანი პირველად მარჯვენა გვერდზე უნდა დაწოლილიყო, შემდეგ მარცხენა გვერდზე გადაბრუნებულიყო. ფერკობდნენ. რომ პირდაღმა წოლა ხელს უწყობს საკვების მონელებას, ხოლო პირაღმა წოლა, პირიქით.

„და როდისაც კაცი საძილოდ დაწვეს, პირველ ცოტასა ხანა მარჯვენასა მხარზედა უნდა დაწვეს და მერმე მარცხენასა მხარზედა გადმობრუნდეს. და თუ კაცი პირდაღმა მუტელზედა დაწვების, საკმელსა მწოედ მოიძნობს და მწოედ კარგადაცა შეერგების და საკმელ ნაქამი კაცი თუ გულაღმა დაწვების, მწოედ ავი არის და კაცსა ბევრსა სენსაცა აუძრავს. თუ ეს ნასვამ ნაქამი კაცი პირველად მარჯვენასა მხარზედა დაწვების და მერმე მარცხენასა მხარზედა გადმობრუნდების და მას უკან გულაღმა დაიძინებს, მწოედ კარგად მოისვენებს. და კაცსა ძალი მოემატების, კაცსა დაღალვასა დაღეწილობასა ტანიდაღმა გაუგდებს და საკმელს აღრე მოაქარვებს და ტანსა ნელლად შეუხანავს, და ტვინსა და დამალსა ძალსა მისცემს.“<sup>4</sup>

სასარგებლოდ ის ძილი ითვლებოდა, როცა ადამიანი უღაჟ ერთსა და იმავე დროს დაიძინებდა და გაიღვიძებდა. ამას უნდა გულისხმობდეს მითითება: „აწუ ასე იცოდი, კარგი ძილი ის არის, რომე მუღმად კაცსა ერთსა რიგზედა ეძინებოდეს.“<sup>5</sup>

არანაკლები ყურადღება ექცეოდა სქესობრივი ცხოვრების წესების დაცვას. არ შეიძლებოდა სქესობრივი ცხოვრება, თუ ადამიანი უქმელი იყო ან მეტად ნაძლარი. უზმო და მწყურვალი, შარღზე ან გარეთ გასვლის სურვილი თუ ჰქონდა. საზიანოდ მიაჩნდათ აგრეთვე გადაჭარბებული სქესობრივი ცხოვრება და სხე.<sup>6</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 112.

<sup>2</sup> „კარაბად-ნი“, ხელნაწერი № 136, ფ. 12 r.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 112.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 113, 115.

როგორც „იადიგარ დაუდიდან“ ირკვევა, სწორად ყოფილა შენიშნული, თუ რა მავნე გავლენას ახდენს ონანიზმი ადამიანის ჯანმრთელობაზე. აღნიშნულ რეგლში ნათქვამია: „და კაცმან რომე ხელით ქალდი ქნა ისიც ავი არის, კაცს ნადევლს მოუმატებს.“<sup>1</sup>

მამასადამე, ონანიზმის შედეგად ადამიანის გუნებგანწყობა იცვლება, იგი ჩაფიქრებული, ნადვლიანი ხდება, რასაც მართლაც აქვს ხოლმე ადგილი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობები, რომლებიც ქალის ჰიგიენას შეეხება.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ, რომ სქესობრივი ცხოვრებისა და ავიური სისხლის ღენის დამთავრების შემდეგ საჭიროა დაბანა. ასეთ შემთხვევაში დაუბანლობა ილღიის ოფლის სიმყარალის მიზეზად შიაჩნდათ. ცხადია, ეს სწორი არ არის. მაგრამ ის კი სწორია, რომ თვიურის შემდეგ დაბანა ჰიგიენური თვალსაზრისით აუცილებელია.

„ღლიისა ოფლისა მყარლობისა და ტანისა მიზეზი ის იყოს, რომე ცოლკმარნი ერთად შეიყარნენ და არ იბანოს. და დედაკაცისა მით იქნების რომე წესი მოხუდომოდეს და არ ბანებულყოს.“<sup>2</sup>

მამასადამე. თვიურის დამთავრების შემდეგ დაბანა ჩვეულებრივი წესი იყო და მას უმეტეს შემთხვევაში ასრულებდნენ.

სხვა სამედიცინო წყაროებში პირდაპირ არის აღნიშნული. რომ თვიური სისხლის ღენის. ანუ „დედათა წესის“ დამთავრების შემდეგ საჭირო იყო ტანის დაბანა.

„რომე დედაკაცა დედათ წესი დაემართოს და ტანი ღაიბანოს.“<sup>3</sup>

„ყოველი ფერა წამლები და ოყნაები მაშინ უნდა ქნან, რომე დედაკაცა დედათ წესი გაუთავდეს და ტანი დაიბანოს.“<sup>4</sup>

საყურადღებოა აგრეთვე ცნობები ქალის სქესობრივი ცხოვრების ჰიგიენის შესახებ.

ცნობილია. რომ პირველი სქესობრივი კავშირის დროს ქალის სასქესო აპარატი მექანიკურ დაზიანებას განიცდის. პირველი სქესობრივი კავშირის შემდეგ საჭიროა რამდენიმე დღის განმავლობაში თავის შეკავება, რომ დაზიანებული ქსოვილი მოშუშდეს. ასეთი შეხედულება ძველდაც ყოფილა გავრცელებული საქართველოში. თეიმურაზ მეორის თხზულება „სარკე თქმულთა ანუ ღღისა და ღამის გაბაასება“, რომელიც მრავალ ცნობას შეიცავს ძველი ქართული მედიცინის შესახებ. მოწმობს, რომ ძველთაგანვე წესი ყოფილა. რომლის მიხედვით, პირველი ღამის შემდეგ სამი დღის განმავლობაში სქესობრივი კავშირი არ შეიძლებოდა.

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 115.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 402, 403.

3 „იადიგარ დაუდი“, გვ. 463.

4 იქვე, გვ. 462.



„აწე დრო არის ვსთქვა მათი შეყრა და შეერთებანი.“

ყმასა რაც სწადდეს, ინებოს, არ არს ქალისა შეებანი.“<sup>1</sup>

ამის შემდეგ: „სამს დღეს იწვება თვით ქალი მღურავი თვისის ქმრისაგან.“<sup>2</sup>

ასეთი წესი თანამედროვე ჰიგიენური თვალსაზრისით სრულიად გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს.



<sup>1</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“, იხ. თხზულებათა სრული კრებულო, გ ი ო რ გ ი ჭ ა კ ო ბ ე ა ს წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბილისი, 1939, გვ. 70.

<sup>2</sup> იქვე, სტროფი 563.

კვების ჰიგიენა

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ ძველ ქართულ მედიცინაში არსებული შეხედულებანი პირადი ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობის შესახებ. როგორც ვნახეთ, ეს შეხედულებანი მრავალი წლის მანძილზე შექმნილი გამოცდილების საფუძველზე იყო შემუშავებული და თავისი დროისათვის საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. არა ნაკლებ საინტერესოა ძველ ქართულ სამედიცინო და აოსამედიცინო წყაროებში არსებული ცნობები, რომლებიც კვების ჰიგიენის საკითხებს შეეხება.

ძველად, ცხადია, საკვების არც ქიმიური და არც სხვა სახის ანალიზი და გამოკვლევა არ წარმოებდა, მაგრამ, როგორც აკად. ივ. ჭავჭავაძის აღნიშნა, ხანგრძლივმა გამოცდილებამ ადამიანს დაანახა, თუ რაოდენი ნოყიერება ჰქონდა ამა თუ იმ საკვებს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ადამიანის ჯანმრთელობისათვის. „ამ მხრივ შესაძლებელია ითქვას, რომ ადამიანის საღი მოქნელებელი ორგანოები საკუთარი ქიმიკოსის მოვალეობას წინათაც პირნათლად ასრულებდნენ და მათ პატრონს მიღებული საქმლის შედარებითს ღირსებას საუცხოვოდ აგრძნობინებდნენ ხოლმე.“<sup>1</sup> ანავე დროს, გამოცდილებამ დაარწმუნა ადამიანი, თუ რა სახით შეიძლება საკვების მომზადება, წელიწადის რომელ დროს რა საკვების მიღება სჯობს, რა რაოდენობით, რასთან ერთად და სხვ. რაკი საკვების შერჩევა გამოცდილებასა და პირად ალლოზე იყო დამყარებული. ცხადია, ყველა საკვების სწორი და ზუსტი შეფასება საკმაოდ ძნელი იქნებოდა და შეცდომებსაც ექნებოდა ადგილი.

საკვების შერჩევის დროს მთავარი მნიშვნელობა მაინც ზალხის ეკონომიურ მდგომარეობას ჰქონდა. რასაკვირველია, მრავალფეროვანი ქართული სამზარეულოს შექმნაში გარკვეული როლი საქართველოს ბუნებრივმა პირობებმაც შეასრულეს.

ამან გამოიწვია ის მდგომარეობა, რომ ზოგიერთი სასუნელ-საკმელი საერთო ზოგადქართული იყო და ყველა კუთხეში იხმარებოდა, ზოგიერთი კი—კუთხური და უმთავრესად ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობა ხმარობდა საკვებად.<sup>2</sup> ჩვენ მათ დახასიათებას ვერ შევუძლებთ. ეს შორს წაგვიყვანდა და არსებითად ან წიგნის დანიშნულებას ვასცილებდობდა, რადგან ჩვენ მიზანს კერძების შესახებ არსებული შეხედულებების განხილვა კი არ შეადგენს, არამედ კერძების დამზადებლად გამოყენებული საკვები პროდუქტებისა.

<sup>1</sup> ივ. ჭავჭავაძის აღნიშვნა, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი 11, მეორე ახლადაწერილი გამოცემა, თბილისი, 1934, გვ. 3.

<sup>2</sup> მისივე, „ქართველი მშრომელი ზალხის კვება და მისი მიზანშეწონილი რაციონალიზაციის ამოცანა“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჭანაშვიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი ე, № 5. ხელნაწერზე მოკლევითა ნათელა ჭავჭავაძის მიერ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

გარდა ამისა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და არ გავარჩიოთ საკვების მიღების ჰიგიენური წესების, შრომისა და კვების ურთიერთდამოკიდებულების და კვების ჰიგიენასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ ძველ ქართულ წყაროებში არსებული შეხედულებანი.

სათანადო კვებას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო შეხედულებებს შეიცავს V საუკუნის ცნობილი მოღვაწის იაკობ ცურტაველის თხზულება „წამება წმიდისა შუშანიკისა“. ავტორი ამ თხზულებიან აღნიშნავს, რომ შუშანიკი ექვსი წლის განმავლობაში სხეულის თვითდათრგუნვას მიზნით მკაცრად იცავდა ნარჩევს და მხალის წვენიცა და მცირეოდენი პურის გარდა არავითარ საკვებას არ ღებულობდა. იაკობი გასაოცრად სწორ შეხედულებას გამოთქვამს ამ საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ იგი ღვთისმსახურია, მას არ მოსწონს შუშანიკის ასეთი საქციელი. იაკობი ურჩევს შუშანიკს თავი ანებოს დაუსრულებელ მარხვას. თორემ ჯანმრთელობა შეერყევა და შემდეგ გვიანლა იქნება: „...წინაისწარ უღალადებდი და ვერყოფე, ვითარჲმდ „ნუ ქექმა, რაჲეთუ დაუძინებე ხორცთა მაგათ ზედა. რამეთუ ვერ დაგიტომონ და მერმე ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რაისმე საქმედ კეთილსა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა... არცა საქმელი რაი მიიღის... და მცირედ ოდენ წუენი მხალისა შექმნული—იგიცა მცირედ—მიიღის, ხოლო პურისა გემოი არა იხილის, ვიდრე აღესებადმდე.“<sup>1</sup>

ასეთივე ჯრია გატარებული V საუკუნის დიდი ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერიელის ცხოვრების აღწერილობაშიც. ავტორი აღნიშნავს, რომ მარხვისაჲან პეტრეს კუჭი დაუთავადდა: „და იმარხვიდა წმიდაი პეტრე ფრიად და იმღვინად. ამისთვისცა ფრიადისა მარხვისაგან განირყუნა სტომაჲი მისი.“<sup>2</sup>

მარხვის შენახვის დროს, როგორც ცნობილია, ადამიანი იძულებულია ერთ-ერთი საკვებით იკვებოს. ეს გარემოება, ცხადია, დაღს ასეამდა ჯანმრთელობას, განსაკუთრებით, როცა მისი მკაცრი და ხანგრძლივი დაცვა ხდებოდა. ჩანს, ძველ სასულიერო მოღვაწეებსაც შეუძინევიათ, თუ როგორ ზიანს აყენებს ჯანმრთელობას მარხვა შენახვა და, მიუხედავად თავიანთი ოფიციალური მდგომარეობისა, მას სწორი შეფასება მისცეს: ხანგრძლივი მარხულობა ორგანიზმის დაჰუძღურებელ და ავადმყოფობის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად აღიარეს.

ნაგავი ცნობების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა სხვა წყაროებიდან, მაგრამ უფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის გასარკვევად. თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ საკვებს, მის შემადგენლობას ჯანმრთელობის შენარჩუნების, ანუ „სიმრთელის დაცვის“ საქმეში.

ძველ ქართულ მედიცინაში ყურადღება ექცეოდა აგრეთვე საკვების რაოდენობას და საქმლის მიღების გარკვეული წესების დაცვას.

იაკობ ცურტაველი, „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისის ს.ხ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1946, გვ. 41.

2 მაკარიძესი, „სცხვრება პეტრე იბერიელისა“, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისის ს.ხ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1946, გვ. 256.

ჯერ კიდევ V.—VI საუკუნის წყაროებში აღნიშნულია, რომ ერთგვარადად საკვების დიდი რაოდენობით მიღება ხელს უშლის მის „მოდნობას“. ეს აზრი კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული „უსწორო კარაბადინში“, სადაც ვკითხულობთ, რომ ადამიანმა იმდენი უნდა სვას და ჭამოს, რამდენის მონელება შეუძლია.

„აგრევე სჰა და ჭამაცა სწორად უნდა შეიწყოს რომე მოჭარკება შეიძლოს და მუდამ ძლომასა წესიერი შიმშილი სჯობს. და ყოვლი ფერი საქმე წესითა ქნას არცა დაამეტოს და არცა დააკლოს.“<sup>1</sup>

ან კიდევ: „კარგი ეს არის, რომ როგორაცა საქმელი მოუნდეს ფიცხლავ ჭამოს და ასე აიღოს, რომე კიდევ უნდოდეს. რა პატარა ხანი გამოვა ასრე იქნების რომე ვითამცა გამაძლარა ადრე მიიღნობის რომე მართლად და მსუბუქად იქნების.“<sup>2</sup>

საკვების მიღება არ შეიძლებოდა მანამდე. ვიდრე ადრე მიღებული კუჭიდან არ გავიდოდა: „უარესი სიმართელისა შენახვისაი იგი არს, რომელ საქამალსა ზედა ჭამოს, მით რომელ პირველი გაუღწობელი იყოს და ზედა სხვაი მოინატოს, ორივე სტომაქსა შიგან შეიყარნენ და სტომაქი გააუაუსურონ, და ესრე ჭამისაჲ რადებთი ხანა, რომელ ტანი მანუათ გამოსვენებით იყოს. რომელ სტომაქისა საქმე ვითა ქოთანი არს, რომელ შიგან ხორც: და ჰავეჯი ჩადვან და წყალი ასხან, და ადუღონ და ადუღებულსა ზედა სხვა ხორცი და ჰავეჯი და წყალი ჩაუტონ. და ადუღონ, და კულა ხორცი და წყალი და ჰავეჯი ჩაუტონ და ადუღო, მაშინ ცივე წყალი ზედა ჩაასხა და ცეცხლა უგზნებდე, რაი ჰნახო ზოგი შემგბარი, ზოგი ღამწუარი, ზოგი უმგბარი იქნების, და ერთიცა გემრიელი არ იქნების...“<sup>3</sup>

ურჩევდნენ, რომ დიდი ხნის უქმელ ადამიანს საკვები ერთბაშად დიდი რაოდენობით არ მიეღო. როგორც ჩანს. შემჩნეული ჰქონდათ, რომ ასეთ დროს. არაიშვიათად, ადგილი აქვს ხოლმე კუჭ-ნაწლავის მოქმედების აშლას.

„და რაი მარხული იყოს და შიოდეს და ჭამად დაჯდეს, ცოტასა ჭამდეს რომელ სტომაქი შეიწირვიდეს. და რაი დასწყნარდეს ეგების რომელ სრულად ჭამოს.“<sup>4</sup>

აღნიშნული მოსაზრებანი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ამ შემთხვევაში ჰიგიენურ დარღვევას, გარკვეულ ფარგლებში. საკვლის მონელების პროცესის შესახებ იმ დროისათვის არსებული ფიზიოლოგიური წარმოდგენება უღუქვს საფუძვლად.

საკვლის მომწელებელი ორგანოების მოქმედების ფიზიოლოგიის თვალსაზრისით სწორი ჰიგიენური შეხედულება იყო. რომ ადამიანს სურვილის გარეშე, ე. ი. უმადოდ, ძალდატანებით საკვები არ უნდა მიეღო: „ასრე უნდა. თუ კაცსა საქმელი არ უნდოდეს არა ჭამოს, და როდისა კარგად მოშივდეს და გულს მოუნდეს, მაშინ ჭამოს, და საქმელის ჭამა ასეთს დროს გაუშვან, რომე საქმელი

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 46.

2 იქვე, გვ. 421.

3 „წიგნი საქიმი“, გვ. 35

4 იქვე.

კიდევ უნდოდეს. და სადამღი ის ნაკვამი საკმელი არ მოიქარვოს სხვასა საკმელს ნუ სკამთ.“<sup>1</sup>

ცნობილი ყოფილა, რომ საკვები, რომელიც ადამიანს სიამოვნებს და უნდა, უკეთესად მოინელება: „...რაც უწინ მოიღონობის ეს არის, რომე რაცა კაცსა გუნებით უნდეს. ისი კამოს, მას უწინ მოიღონობს...“<sup>2</sup>

დადასტურებულია და არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ როცა ადამიანს საკვები არ სიამოვნებს და არ უნდა, ასეთ შემთხვევაში საკმლის მონელებელი წველების გამოყოფა ნაკლებია და საკმელი ცუდად მოინელება. როგორც ჩანს, დაკვირვების საფუძველზე აღნიშნული ფაქტი ძველადაც ყოფილა შემჩნეული.

ცნობილია, რომ საკმლის შეთვისება სხვა ფაქტორებთან ერთად იმაზეც არის დამოკიდებული, თუ რამდენად სუფთად და ლაზათიანად არის იგი მიტანილი სუფრასზე, როგორ არის სუფრა გაწყობილი და სხვ. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ XI საუკუნიდან ქართველი ხალხის ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრებულა სუფრის მოწყობილობა. საკმარისია ითქვას, რომ ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში წესად იყო დანა-ჩანგლის ხმარება.<sup>3</sup>

უძველად კულტურის მაჩვენებელია ის ფაქტიც. რომ საკმლის კამის წინ ზეღებს იბანდნენ. ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ მ ბ ე რ ტ ი ამას განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს: „პურის საკმელად როცა დასხდებიან, ხელს იბანენ. ამისათვის მოსამსახურე ტაშტით და ხელადით ცქვიტად ჩამოუვლის ყველას (უფროსიდან დაიწყებს, რასაკვირველია) და მიართმევს ხელის დასაბან წყალს.“<sup>4</sup>

არსებობდა სრულიად სწორი შეხედულება, რომ ადამიანმა „რამ საკამადი ანებოს არ გარდადოს.“<sup>5</sup>

საკვების შერჩევის დროს ანგარიშს უწევდნენ სეზონსაც: „...და იცოდით ჭეხი საკმლისა თვეთა და ეამთა თუ რომელი საკმელი სჯობს, ამა თვესა და ეამსა ამაზედა საკამადი შეიწყოს და შეირგოს.“<sup>6</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ყურადღება ექცეოდა საკვების კარგად დაღეპვას, რადგან მიაჩნდათ, რომ „რაცა ადვილად დაიცონენბის, ის უწინ მოიღონობის.“<sup>7</sup>

ამიტომ რჩევას იძლეოდნენ: „როდესაც კაცმან ლუქმა პირშიგა ჩაიდვას. კარგად დაღეპოს და მერმე ჩაყლაპოს.“<sup>8</sup>

გარკვეული შეხედულება ყოფილა შემუშავებული მისაღები საკმლის ტემპერატურის შესახებ. ფიქრობდნენ, რომ უკეთესია, თუ ზაფხულში საკვები იქნება გრილი, გაცივებული, ხოლო ზამთარში კი, პირიქით, ცხელი.

1 „იადიგარ დაული“, გვ. 106.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 419.

3 „XI—XIII საუკუნეების საქართველოს მატერიალური კულტურა“ (გამოფენის გაზამკვეთი), აკად. აღ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ის რედაქტორობით, თბილისი, 1935, გვ. 27.

4 ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ მ ბ ე რ ტ ი, „სამეგრელოს აღწერა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 9.

5 „წიგნი სააქიმთა“, გვ. 28.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 45.

7 იქვე, გვ. 419.

8 „იადიგარ დაული“, გვ. 106.

„და ზაფხულის და სიცხეშიგან საქმელი და შექამადი, ასრე უნდა, გააცი-  
რახ და ისრე ჭამონ. და ზამთრის ცივსა ღლეშეგან საქმელი და შექამადი თბილ  
თბილ უნდა ჭამონ.“<sup>1</sup>

ცნობილია, რომ საკვების ტემპერატურას მონელების პროცესში გარკვეუ-  
ლი მნიშვნელობა აქვს.

საქმლის მიღების დროს წყლის დიდი რაოდენობით სმა საზიანოდ ითვლე-  
ბოდა. ფიქრობდნენ, რომ იგი ხელს უშლიდა საქმლის მონელებას: „...საქამადსა  
ზედა წყლისა სმაი ეგდენი ხამს, რომელ წყურვილი დააწყნაროს ანუ საქამადი  
ჩაიყვანოს, რომელ სტომაქი სუბუქად იყოს, და მერმე თუ მაძლრად სუას  
ჰკავა.“<sup>2</sup>

ადამიანს ჭამის ზომიერებასთან ერთად სმის ზომიერებაც მოეთხოვებოდა.  
მავნედ მიაჩნდათ ღვინის ჭარბი რაოდენობით მიღება და ამიტომ ურჩევდნენ  
მისგან თავის შეკავებას: „რასაცა კაცსა ანდაზითა ღვინო ესვას და თავი შეენა-  
ხოს, მისგან სიმრთელე ჰქონდეს, თუ მერმე დაიწყოს ჭარბობა ღვინისა იმა  
ანდაზაზედა რაცა წინათ სიმრთელე ყოფილიყოს ისი ყველა სენად შეექნების.“<sup>3</sup>

ასეთივე აზრი იყო გავრცელებული მეცამეტე საუკუნეში. „წიგნი სააქი-  
ძიოში“ გვითხულობთ: „რომელ თუესა შიგან ერთხელ ანუ ორჯელ სვას ღვინო,  
და ძნელთა მლაშეთა და ფიცხელთა საქამადთა ზედა სვას, და დიანუ სუამს და  
რაი საზონისაებრ სუას მისი ხასიათი იგი არს, რომელ პირველ ტანსა გაახუ-  
რებს და საქამადსა მოადნობს, და სიმზურვალესა ბუნებაურსა გააძლიერებს,  
და საქამადისა ძალასა ყოველგან მიახვედრებს, და სისხლსა გაწმენდს, და სი-  
ჯვითლესა პირისაგან წაუღებს. და რაი მაშუნეთა საქამადთა ზედა სუას ტანსა  
ჩრდის და გაახუქებს, და რაი წყალრეული შესვან წყლისა სინედლესა ყოველ-  
გან მიახვედრებს, და ჰამოდ დააძინებს კაცსა და სიხარულსა და ნიშატსა მოუ-  
მატებს. და ესე ყოველი მაშინდა არს რაი საზომსა ზედა სუას, და არა მოიჭარ-  
ბოს, და თუ ესე არა იყოს სიმთვრალისა ეამსა სხვაებრ არს, და სარგებელი მი-  
სი სავენებელი იქნების მით, რომელ ასოთა გაასუსტებს, და ცნობასა შემშლის  
და სნებათა ჰავთა მოიყვანს რომელ არა ერგებოდის.“<sup>4</sup>

XVIII საუკუნის წყაროებში უფრო მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ გამუ-  
დმებული ღვინის სმის შედეგად მრავალი სნეულება შეიძლება განვითარდეს,  
მაგრამ ადამიანი გვიან, რამდენიმე წლის შემდეგ ხელავს შედეგს და ამიტომ  
პგონია, რომ ღვინო ზიანს არ აყენებს. ავტორი ჰგომობს ასეთ არასწორ შეხედუ-  
ლებას და რჩევას იძლევა ღვინის ზომიერად სმის შესახებ.

„...ხმარება სასმელისა ნიადაგ, ბევრის სნეულების მიზეზი არის, თუმცა  
ჩვეულების გამო რამდენსამე ხანს არ გამოჩნდებიან. ზორცი მოუძლურდება  
ქასმელისაგან და უღონო შეიქნება. გარჯასა და სიცოცხლეს დაამოკლებს მრავ-  
ლის სნეულებით და სნებით, ცხელებით. თუმცა მსმელთ რომელთამე შეხედუ-  
ება რომ დიდხანს სიცოცხლე, რომ სიბერემდე გააწიონ, მაგრამ სიჭაბუკეში ური-  
გო ცხოვრების გესლი მოასწორებს მათ სიბერეში, თუმცა ვარჩევ მე რომ ვრი-

<sup>1</sup> „იდიგარ დაული“, გვ. 106.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიძიო“, გვ. 29.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 457.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიძიო“, გვ. 29.

დებოდეს უზომოსა სასმელის სმას, რომელიცა მსგავსებს არა ჩქარად ძალის გამოძჩენელს სამსალას.“<sup>1</sup>

იმისათვის, რომ საქმელი კარგად მოსწვებულყო და ადამიანისათვის სარგებლობა მოეტანა, საჭიროდ მიაჩნდათ დროული დასვენება. სიარული; ყურადღებდა აქცევდნენ სიარულის ხასიათს, სეირნობისათვის განკუთვნილ დროს დასხვ.

ჰამის წინ მეტიმეტო დალა, ხილო ჰამის შემდეგ სიარული დაუშვებლად ითვლებოდა: „...საქამად სასუამადთა რომელ სწორსა სქამდეს, და რასაცა ზედა დაჩუეული იყო მას საზომსა ზედა დაიდგენს და მეტი არ წიროს, ნუთუ ჰავსა რასნე წესსა დაჩუეული იყოს რომელ გვანად დაეგანდებოდეს და სიარული ეგრე ხამს რომელ ჰამსა წინაით იყოს და თვით ძალისა მისაფერად იქცეოდეს საჰამსა ქნითა სიარულითა და ყოელითა ფერითა, და ეგრე ხამს რომელ არ დაშურებოდეს, და სიარული ჰამსა წინაით... საქამადთა მოადნობს და ასოთა გააძლიერებს, და სიარული ჰამსა უკანით კაცსა დაამქლობს და დააუსუსურებს და ძნელთა სნებათა გამოაჩენს, თმცა აგრე არ იყოს და ჰამისა უკანით არ იაროს საქამადი დააშვენდების.“<sup>2</sup>

ასეთი შეხედულება გავრცელებული იყო XV—XVI და შემდეგ საუკუნეებშიც. კერძოდ, „იალიგარ დაუდი“ აღნიშნულია, რომ „კაცმან ასეთსა დროსა უნდა იაროს, რომე კაცსა საქმელი მოჰქარებოდეს და მართ საქმელი კიდევ ნონდომებოდეს. ამ რიგად რომე კაცმან იაროს, საქმელსა მწოედ მოადნობენეს, ტანსა და სტომაქსა აუსუბუქებს, და კაცისა ტანსა ზომიერად სითბობისცემს, ელფერსა გაუყირმიზებს. და ადამის ტომისა სახსრებს ამ რიგი სიარული სალიანად და რბილად შეიქმს.“<sup>3</sup>

ამჟამად უკვე კარგად არის შესწავლილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კვების რაციონების შედგენის დროს ენერგიის ყოველდღიური ხარჯვის გათვალისწინებას. რადგან ის პირი, რომელიც მეტ ენერგიას ხარჯავს, მეტ საკვებს მიჰპირებებს და, პირიქით.

საინტერესოა, რომ საკვებს და დახარჯულ ენერგიას შორის ურთიერთდაზოკიდებულების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ XIII საუკუნის წყაროებში გვხვდება. კერძოდ, „წიგნი სააქიმოში“ ეკითხულობთ: „და ვინცა მისი საქმარი სინიე და ძალიანი იყოს, მას საქამადი უფროისი უნდა, და ვინცა გამოსვენებელი და უსაქმო იყოს, საქამადი უმცროსი უნდა, რომელი მიწყით მართლად იყოს ტანისა ბუნებაი სისწორისაგან არ შეეცეალოს...“<sup>4</sup>

ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ადამიანი, რომელიც ცოტას მუშაობს და ბევრს ჰამს, შესაძლებელია დაავადყოფდეს. ეს მითითება იმის მაჩვენებელია, თუ როგორ დამოკიდებულებას ხედავდნენ შრომასა და კვებას შორის და რამდენად სერიოზულად განიხილავდნენ ამ საკითხს. ეს არ არის ზერელე დასკვნა, თორემ არ იტყოდნენ.

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ბელანჯერთა განყოფილებაში, იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 136, ფ. 10 რ.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 28.

<sup>3</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 111.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 28.

„უსაქმო იყოს, მისი საკამადი უმცროსი უნდა.“ მაშასადამე, სცოდნიათ, რომ ზევრი საკვები ისევე მანება, როგორც ცოტა, რომ საკვების რაოდენობა გაწეულ შრომას, ანუ, როგორც ახლა იტყვიან, დახარჯულ ენერჯიას უნდა შეეფერებოდეს. ამისი ზუსტი განსაზღვრისათვის ძველად სათანადო გამოკვლევები არ წარმოებდა, მაგრამ, ისტორიული თვალსაზრისით, საინტერესოა თვით პრინციპი. გარდა ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ რადღაც ასეთი პრინციპი არსებობდა, შეეცდებოდნენ იგი განეხორციელებინათ, რამდენადაც არსებული პირობები ამის საშუალებას მისცემდა.

არანაკლები ყურადღება ექცეოდა საკვების მიღების დროსა და ჭერთა რაოდენობას. განსაზღვრული იყო დღის განმავლობაში რა დროს რომელი ჭერი უნდა მიეღოთ. იაკობ ცურტაველი ამბობს: „მოიწია ეამი პურისაი“<sup>1</sup>, ე. ი. ჭამის დრო მოვიდაო. ამას საბა სამხარს უწოდებს. იგი იმოწმებს „დაბადებას“ და განმარტავს, რომ „სამხარი ჭამადთა ეამთა სახელი არს“.

სამხარს კონკრეტული მნიშვნელობაც ჰქონდა, რაზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ძველად ცნობილი იყო დღე-ღამის ულუფის ერი, ორ, სამ, ოთხ და ხუთ ჭერად განაწილება.

XIII საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ იმხანად, ჯანმრთელობის შენარჩუნების თვალსაზრისით, უკეთეს წესად ითვლებოდა ერთ-ორჭერადად კვება: „და უკეთესი ზნე და წესი იგი არს მთელისა კაცისა, რომელ ერთსა დღესა და ერთსა ღამესა შიგან ერთხელ ჭამოს საკამადი ანუ ორჭერ, და თუ ორსა დღე ღამესა სამჭერ ჭამოს უძკობესი არს, და მიწყით მრთელი იქნების...“<sup>2</sup>

მართალია, დღე-ღამის ულუფის ჭერებად განაწილების დროს გარკვეული მნიშვნელობა ჰქვევასაც აქვს, მაგრამ ერთ-ან ორჭერადი კვება თანამედროვე მეხედულებით სრულიად გაუმართლებელია. ეს შეუსაბამობა, როგორც ჩანს, შეამჩნიეს, რადგან აღნიშნული მოსაზრება დღე-ღამის ულუფის განაწილების შესახებ შემდეგ საუკუნეებში შეიცვალა.

საბა თავის ლექსიკონში გარდა ორჭერადად კვებისა, ასახელებს სამ-, ოთხ- და ხუთჭერადად კვებას: „ვინათგან ორთა ჭერთა ჭამენ, შუა-დღე ჭამადი არს სამხარი, ხოლო მიმწუხრი ჭამადი სერობა“.

უკეთეს სამხარი არა შუაღამე მიიღო და უადრესად ჭამა, მესამე ანუ მეორე ღამესა უწოდენ სადილსა და არა სამხარსა.

დილაზე მცირესა საკმელსა ეწოდების საუზმე და სამხარსა შემდგომად ჭამდესა ზარმელი და უკეთეს სერობისა შემდგომად ჭამადი მიიღოს, სერიის კუდი ეწოდება“.

საღამოს ჭერს ვახშამსაც უწოდებდნენ. საბა იტყვის: „ვახშამი მწუხრის საკმელი (გლახური)“, ე. ი. მდაბიურად სერობას ვახშამი ერქვა.

ეს ცნებები მეტ-ნაკლებად იხსენიება უძველეს ქართულ დამწერლობით ძეგლებში, რაც იმას მოწმობს, რომ საკვების მიღების ჭერებად დანაწილება ძველთაგანვე იყო წესად მიღებული. მაგალითად, „პეტრე იბერიელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ პეტრე და მისი თანმხლები პირნი ქალაქის მთავარს

<sup>1</sup> იაკობ ცურტაველი, „წამებაი წმიდისა შუშანიკისა დედოფლისაი“, დასახელებული გამოცემა, გვ. 37.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 29.



სამხრობად მიუწევია: „მთავარი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა და ხადა წმიდა-სა პეტრეს და მისთანათა სამხრობად.“<sup>1</sup>

კვების პიგიენის თვალსაზრისით საინტერესოა განვიხილოთ რას ეწოდებოდა და რა შეიძლებოდა ყოფილიყო საგზალი.

საგზალი ძველად იმასვე ნიშნავდა, რასაც ახლა ვუწოდებთ. საგზალი ერქვა გზაში საქმელად წაღებულ საკვებს. საბას მოყვანილი აქვს ეს სიტყვა თავის ლექსიკონში და განმარტავს, რომ საგზალი არის გზათ მავალთა საზრდო.

იზალება კითხვა: თუ საგზალი გზად მავალთა საზრდოა, შეიძლებოდა თუ არა ყოველგვარი საკვების წაღება საგზლად?

ცხადია, ისეთი საკვები, რომელიც ადვილად ფუქდება, საგზლად არ გამოდგებოდა. საგზალი საგანგებოდ უნდა ყოფილიყო შერჩეული და მომზადებული, რომ რამდენიმე დღე არ გაფუჭებულიყო, ვიდრე მგზავრები დანიშნულ ადგილამდე არ მივიდოდნენ. სადაც გზის განგრძობის შემთხვევაში ახალ საგზალს მიიღებდნენ ან, თუ იქ დარჩებოდნენ, საგზალი აღარ იქნებოდა საჭირო.

ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსლვაში“ აღნიშნავს: „გვიბოძეს საგზალნი და ცხენი გზისათვის. და წარმოვედით მიერთგან სავალნი ოთხ დღე...“<sup>2</sup>

ნამსაღამე, ბოძებული საგზალით ოთხი დღე უნდა ესაზრდოვით და, თუ რგი ოთხ დღეს ვერ გაძლებდა, მაშინ მწივრები დარჩებოდნენ.

ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ცნობები, რომ განვსაზღვროთ რა და რა საკვები პროდუქტები გამოიყენებოდა საგზლად. მაგრამ, ერთი კი ცხადია, რომ საგზალი ძნელად გასაფუჭებელი საკვები უნდა ყოფილიყო.

ქართულ ენაში ამ ტერმინის არსებობა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

წინანდელ სამიმოსვლო საშუალებათა პირობებში საგზალი აუცილებელი იყო.

ისიც ცნობილია, რომ გარკვეულ დრომდე საქართველოს რეგულარული ჯარი არ ჰყავდა და არც ერთიანი სამხედრო მომარაგება არ ყოფილა. სამშობლოს დასაცავად ამხედრებულ ყოველ ქართველ კაცს თავისი საკუთარი ცხენი მიჰყავდა. საკუთარი სახმარი იარაღი ჰქონდა ასხმული და საკვებიც თვითონვე წიჰქონდა. ეს საკვები საგზალი იყო. ლაშქრად წასულს არ შეეძლო საგზალი დიდი რაოდენობით წაეღო. არც ადვილად გასაფუჭებელი გამოდგებოდა. ამიტომ საგზალი ნოყიერი და გამძლე უნდა ყოფილიყო.

არა მარტო საკვებს, არამედ სასმელ წყალსაც იმარაგებდნენ მოლაშქრეები. გზაში წასაღები წყლისთვის საგანგებოდ დამზადებული მათარები ჰქონდათ.

შემთხვევითი არ არის, რომ მგზავრობისა და ლაშქრობის პიგიენის საკითხებს „წიგნი სააქიმოში“ ცალკე თავი აქვს დათმობილი,<sup>3</sup> საიდანაც ირკვევა, რომ ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი იყო მგზავრობის და ლაშქრობის სრულიად გარკვეული წესები, რომელთა დაცვა აუცილებელი იყო, რომ მგზავრსა და მოლაშქრეთ ჯანმრთელობა შეენარჩუნებინათ. ეს წესები შემდეგში მდგომარეობდა: ზაფხულის პერიოდი თუ იყო, არ შეიძლებოდა მგზავრს საკვიზი დიდი რაოდენობით მიეღო. განსაკუთრებით საჭირო იყო თავის შეკავება:

<sup>1</sup> მ ა კ ა რ ი მ ე ს ხ ი, „პეტრე იბერიელის ცხოვრება“, დასახელებული გამოცემა, გვ. 265.

<sup>2</sup> ტ ი მ ო თ ე გა ბ ა შ ვ ი ლ ი, „მიმოსლვა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ მ ა, თბილისი, 1958, გვ. 8.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 35.

ცხიმინისა და ტკბილისაგან, წყურვილის გამამდიერებელი საკვებისაგან. სამაგიეროდ, უნდა მიეღო გრილი და მყავე საკვები. შესვენების დროს ცივი წყლით პირი უნდა დაებანა, დაესვენა და საკმელი ძილის შემდეგ ექამა.

„და რა მგზავრობაი ზაფხულის იყოს საქამადასა დია ნუ ქამს, და ცხიმინისაგან და ტკბილსა ერიდებოდეს, და გრილსა და მყავეს ქამდეს... ეგეთსა ნურას ქამს რომელ აწყურებდეს, და რაი გარდახდეს პირი ცივითა წყლითა დაიბანოს. და ვიდრე არ გამოისვენოს ნურას ქამს, და მაშინ ეგეთი რაი მყავე ქამოს, რომელ ზაფხრაი გარდაუღოს, და ცოტას ხანსა გრილსა ადგილსა დაიძინოს, მაშინ გაიღვიძოს და საქამადი ქამოს, და ხილთაგან ვაშლი და კიტრი ბროწეული და ტყეშალი, და სხალი ქამოს, რომელ წყურვილსა ერგების...“<sup>1</sup>

ზამთრის პერიოდში მგზავრობის დროს საჭირო იყო მხურვალე საკვების უერჩევა, მასში ნიორის, ხახვის და სხვა მხურვალე სანელებლის შერევა: „და თუ ზამთარი დაემართოს მგზავრობაი ეგრე ხამს, რომელ მხურვალსა და ლბილსა საქამადასა იფარებდეს, უხდურსა შიგან ნიორიანთა, ხახუსა და მხურვალთა სასელებელთა ჩაურთვიდეს, რომელ მიწყით მხურვალე იყოს.“<sup>2</sup>

ყურადღებას იქცევს წყლით სარგებლობის წესი, რომელიც მგზავრობის დროს უნდა დაეკვათ. ეს წესი იმაში მდგომარეობდა, რომ მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან გზაში თან მიჰქონდათ წყალი და, სადაც გაჩერდებოდნენ, თან წალბებულ წყალს, რომელსაც შეჩვეულნი იყვნენ, ურევდნენ უცხო ადგილის წყალს და შემდეგ სვამდნენ: „ამის საღვომისა წყალსა, მეორისა საღვომისა წყალსა გაპრევდეს, რომელ სტომაქი დაეჩვიოს უცხოთა წყლითა...“<sup>3</sup>

კვების ჰიგიენის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი აუღიაროთ ძველ ქართულ მედიცინაში არსებულ შეხედულებებს ზოგიერთი საკვების ერთად ან ერთდროულად, ან ერთმანეთის შემდეგ მიღების დაუშვებლობის შესახებ.

როგორც ახლა ცნობილია, გარკვეული თვისებების გამო ზოგიერთ სამკურნალწამლო ნივთიერებებს შორის არსებობს შეუთავსებლობა და მათი ერთად მიღება არ შეიძლება. ეს ძველდაც იყო შემჩნეული, რაზეც სათანადო ადგილს გვექნება საუბარი. საინტერესოა, რომ, გარდა წამლებს შორის არსებული შეუთავსებლობისა, ძველ ქართულ მედიცინაში გავრცელებული იყო შეხედულება ზოგიერთი საკვების შეუთავსებლობის შესახებ.

XI საუკუნის ცნობილ დამწერლობით სამედიცინო ძეგლში „უსწორო კარაბადინში“ განიყოფილია ცალკე თავი „კარი საკმლისა რომელსა ერთად არ უნდა ქამა, და რომელსა უნდა ქამა.“<sup>4</sup> ამ თავში ჩამოთვლილია ის საკვები პროდუქტები, რომელთა ერთად მიღება, იმ დროისათვის არსებული შეხედულების მიხედვით, დაუშვებლად ითვლებოდა, რადგან შეიძლებოდა ამას ადამიანის ორგანიზმში არასასურველი მოვლენები გამოეწვია.

დაუშვებლად ითვლებოდა ნედლი თევზისა და კვერცხის, ღვინისა და რძის, რძის ნაწარმისა და თევზის, პურისა და ლიმონის ერთად მიღება.<sup>5</sup>

1 „წიგნი სააქიმი“, გვ. 35.  
 2 იქვე.  
 3 იქვე.  
 4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 27.  
 5 იქვე. გვ. 27, 28, 454.

არ შეიძლება, რომ იმ დღეს, როცა ადამიანი მაწონს, რძეს ან ახალ თევზს ჰამდა, ლელვი ექამა: „რომელსა დღესა მაწონი და რძე ახალი თევზი ექამოს, ლელუს ნულარ ჰამს.“<sup>1</sup>

ასეთივე შეხედულებები გვხვდება შემდეგი საუკუნის წყაროებშიც.

„წიგნი საქიმოში“ ვითხულობთ: „ისრიში და აღარდენი, ბრინჯი და თევზი ერთგან არ ექმების.“<sup>2</sup>

განვიხილოთ როგორი შეხედულებანი არსებობდა საკვები პროდუქტების, კერძოდ, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შესახებ.

ანტიკური ხანის უცხოელ ავტორთა ნაწერებიდან ირკვევა, რომ ქართველი ხალხი ცხოველურ პროდუქტებს ძველთაგანვე იყენებდა საკვებად. V საუკუნე:—დან დაწყებული ქართულ დამწერლობით ძეგლებშიც გვხვდება ცნობები ი? ცხოველების შესახებ, რომელთა ხორცი და სხვა ნაწარმი შეიძლება საკვებად ყოფილიყო გამოყენებული. ამ მხრივ საყურადღებოა ცნობები ძროხის, ცხვრის, თხის და სხვა შინაური ცხოველების შესახებ.

XI საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ ხორცი ორ სახეს არჩევენ: ერთი მათგანი საქმელ ხორცად ითვლებოდა, ხოლო მეორე სასიკვდილოდ მიაჩნდათ: „ხორცი ორი გვარია, ერთი საქმელი და ერთი კაცს მოჰკლავს.“<sup>3</sup>

სამწუხაროდ, წყაროებიდან არ ჩანს, როგორი ხორცი ითვლებოდა სასიკვდილოდ, ამიტომ შეუძლებელია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორ ამოწმებდნენ ხორცის ვარგისიანობას, მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს „უსწორო კარაბადინი“ არსებულ ცნობას, რომ საკვები ცხოველი „მთელი უნდა იყოს“<sup>4</sup>, ე. ი. სალი, არაავადმოფი უნდა იყოს. შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხოველი რითაც არ უნდა ყოფილიყო ავად, მისი ხორცის ჰამა არ შეიძლება.

ცნობილია და არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ძველად საქართველოში კარგად უნდა სცოდნოდათ ცხოველებისა და ფრინველების დაავადებანი, მათი ამოცნობა, მკურნალობა. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული ცხოველთა და ფრინველთა ძველი კარაბადინები, სადაც აღწერილია ისეთი დაავადებანი, რომელთა შემთხვევაში ცხოველისა და ფრინველის ხორცი არ იქმნება. ცხადია, ეს ცოდნა გამოყენებული იქნებოდა იმის დასადგენად, თუ რომელი ხორცი იყო საკვებად ვარგისი და რომელი იყო უვარგისი.

საკვებად დაშვებული იყო ძროხის, ღორის, თხის, ცხვრის, კამეჩის, ცხენის, აქლემის, აგრეთვე, ნანადირევის—კურდლის, ჭიარანის, ირმის, შვლის, გარეული თხის, შინაური და გარეული ფრინველის: ქათმის, იხვის, ბატის, ინდაურის, მტრედის, ხოხბის, კაკბის, მწყერის, შურთხის, როკოს, ვნოლის, ქედანის და სხვათა ხორცი.

ვახუშტი თავის „გეოგრაფიაში“ აღნიშნავს, რომ საქართველოში ჰყავდათ ირავალი პირუტყვი: ძროხა, კამეჩი, ღორი, თხა, ცხვარი, ცხენი, აქლემი; ბევრი იყო საკვებად გამოსადეგი ტყის ნადირი, აგრეთვე „ფრინველნი: ქათამი, იხვი, ინდოური, ტრედი: ამათ შინ იპყრობენ. ხოლო ველთა და ტყეთა: წერო, ყარაბაღი, ბატი, შავი ბატი, იხვი, აკაური, ვარხვი, დალლა, ლაინა. ესენი ზამ-

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 454.

2 „წიგნი საქიმოში“, გვ. 55.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 427.

4 იქვე, გვ. 428.

თარ არიან, ზოგნი გაზაფხულ-შემოდგომას თუინერ არა; ხოხობი კაკაბი, ღურე-ჯი, გნოლი, როკო, შურთხი, მწყერი, ასკატა, ჩახრუხი, კიოტი, ტყის ქათამი<sup>1</sup> და სხვ.

XV და შემდეგი საუკუნეების უცხოელი ავტორებიც აღნიშნავენ, რომ საქართველოში „ბევრია საკლავი.“<sup>2</sup>

XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაური ეან შარდენი თავის წიგნში „მოგზაურობა საქართველოში“ წერს: „როგორც მსხვილი, ისე წვრილფეხა საქონელი მრავალია და ძალიან კარგი ჯიშისაა... ქართველი ხალხი თითქმის სულ ღორის ხორცსა სჭამს. ყველა სოფელში კლავენ ღორებს, მშვენიერი საქმელია ღორის ხორცი, იქაურები გვარწმუნებდნენ ღორის ხორცი თავის დღეში არ აწყენს კაცს, რამდენიც უნდა ჭამოსო. მგონია ეს მართალი უნდა იყოს, რადგან თითქმის ყოველდღე იმას ვჭამდი, მაგრამ არ მაწყენია.“<sup>3</sup>

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ხორციდან საუკეთესოდ ითვლებოდა დეკელისა, აგრეთვე ხბოს ხორცი. ეს უკანასკნელი ადვილად მოსანელებელ საკვებად მიაჩნდათ: „დეკელისა სჭობს... ახლისა ხბოსა ხორცი კარგია და მარგებელი და ადვილად შოიდნობს სტომაქშიგან.“<sup>4</sup>

სწორად ფიქრობდნენ, რომ „პირუტყვი რომელოც ახალი არის, ის უწინ შოიდნობის დიდ-საგან.“<sup>5</sup>

აღსანიშნავია, რომ ხარის ხორცს ძროხისას ამჯობინებდნენ, რადგან ხარისა ძროხის ხორცთან შედარებით ძნელად მოსანელებელ საკვებად მიაჩნდათ: „ხორცი ხარისა გრილია და ხმელი და მიმე არის... ფურისა ხორცი მხურვალია და ნეღლი და კარგსა ძალასა მისცემს და მამაცობასა.“<sup>6</sup>

ასევე ადვილად მოსანელებლად და ორგანიზმისათვის სასარგებლოდ ითვლებოდა ცხვრის (განსაკუთრებით ერთი წლისა) და ღორის ხორცი. ყველაზე უფრო ძნელად მოსანელებელ ხორცად ითვლებოდა ცხენის ხორცი: „ცხენის ხორცი ხმელი და სისხლსა გაახურებს, სევდას მოუმატებს. ყმაწვილსა არ ეკმებინ და სხვას ყოველსა ხორცსა უმძიმე არს.“<sup>7</sup>

მიაჩნდათ, რომ თხის ხორცი ორგანიზმისათვის არასასარგებლოა: „მართალი ესე მოგახსენოთ თხის ხორცი კარგი არ არის, მისი ხორცი აქიმთა არას ხორცში არ უხსენებია, ერთობ ავია.“<sup>8</sup>

<sup>1</sup> ვ ა ბ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლომოური და ნ. ბერძენი შვილის რედაქციით, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1941, გვ. 30.

<sup>2</sup> „Di messer Josafa Barbaro, gent'l huomo venetiano, il viaggio della Tana“, (ამ ნაშრომიდან აღეჭსანდრეკუონიას მიერ თარგმნილია ის ნაწილები, რომლებიც შეიკავენ ცნობებს საქართველოს შესახებ, იხ. „იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში იოსაფა ბარბარო და ამბროჯიო კონტარინი“, „მოამბე“, 1894. № 11, გვ. 46.

<sup>3</sup> ე ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, „მოგზაურობა საქართველოში“, თარგმნილი ფრანგულიდან ე. ბარდუვის მიერ, სახელგამი, 1935, გვ. 82, 83.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 428.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 419.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 428.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე.

ისევე როგორც „უსწორო კარაბადინში“, XVI საუკუნის სამედიცინო წერილობით ძეგლშიც „იადიგარ დაუდში“, გამოყოფილია სპეციალური თავი, რომელიც „ხორცებისა სიკეთესა გამცნებს და ვიამბობს, თუ კაი და ავი ხორცი რომელი არის.“<sup>1</sup>

მიაჩნდათ, რომ „ხორცისა სიკეთე ის არის, რომე ეს ხორცი არც მწოედ მსუქანი იყოს და არც მწოედ მკლე.“<sup>2</sup>

აღნიშნული წყაროს შესწავლით ირკვევა, რომ იმ დროისათვის, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, ხორცის შეფასება იმის მიხედვით ხდებოდა, თუ რამდენად ადვილი იყო მისი მონელება.

ფიქრობდნენ, რომ მსუქანი ხორცი უფრო სწრაფად მონელება, ვიდრე მკლე:

„და მწოედ მსუქანი ხორცი გულსა და სტომაქსა დაალობს და კაცი!ა სტომაქშიდა ფიცხლადცა დადნების...“<sup>3</sup>

ენახოთ, როგორი შეხედულება არსებობდა აღნიშნულ ხანაში ძროხის, ცხვრის, ბატენის, თიენის, თხის ხორცის შესახებ.

XVI საუკუნეში, წინა ხანაში არსებული შეხედულებისაგან განსხვავებით. ძროხის ხორცი ძნელად მოსანელებელ საკვებად ითვლებოდა: „ძროხის ხორცი ვრილი, ხმელი და მძიმე ხორცი არის გუამსა და სტომაქშიგა პილწად გასქედების და გვიან დადნების და აესა სევდასა და ბალაშის სენებსა აუძრავს, უველასა სიგრილესა, სენსა აუშლის და დაბადებს...“<sup>4</sup>

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს შეხედულება ძროხის ხორცის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა. „იადიგარ დაუდის“ ავტორი, გამოდიოდა რა ასეთი შეხედულებიდან ძროხის ხორცის შესახებ, ცხვრის, ბატენისა და თიენის ხორცს უპირატესობას ანიჭებდა, რაც აგრეთვე მართებულად ვერ ჩაითვლება.

„ცხურის ხორცი და ადამის ტომისა სტომაქი ერთმანერთზედა შეზავებული არის, კაცსა კარგად მოუხდების და სტომაქს ლამაზად დაშუნდების.“<sup>5</sup>

„ბატენის და თიენის ხორცი რაც ხორცები არის სრულიად ყუელასა სჯობს და სხვის ხორცებისაგან უფრო ნაზუქი და უფრო შემრგო არის. და კაცის სტომაქშიგა ფიცხლად დადნების და მხურვალი და ნედლი არის, და კარგ რიგად მოჰთადილი და შეზავებული არის. კაცსა გაასუქებს და კაცისა ტანსა, ძარღუსა და ხორცსა წყალსა ასმევს და კარგ რიგად სითბოსა მისცემს.“<sup>6</sup>

შინაური პირუტყვის ხორცთან შედარებით გარეული ცხოველების ხორცი ძნელად მოსანელებლად ითვლებოდა: „შინაური ხორცი სჯობს გარეულსა.“<sup>7</sup>

ნანადირევიდან საუკეთესოდ მიაჩნდათ ჭეირანის ხორცი: „ჭეირანისა რაც ნადირია ყველას სჯობს, უფრო მაშუნე და მსუბუქი არის.“<sup>8</sup>

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 150.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 151.

5 იქვე.

6 იქვე.

7 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 30.

8 იქვე, გვ. 428.

ცხოველის შიგნეულობიდან საუკეთესოდ ითვლებოდა ღვიძლი.

შინაური ფრინველის ხორციდან ადვილად მოსანელებლად და სასარგებლოდ ქათმის ხორცი მიაჩნდათ, განსაკუთრებით ვარიისა.

არსებობდა შეხედულება, რომ თითქოს წყლის ფრინველი, შინაური თუ გარეული. ყველა ძნელად მოსანელებელია: „წყლის ფრინველთა ყველა მაზიანებელი არის. და მინდორისა ფრინველი ყუელა კარგი არის.“<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, ხორცის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და ხანგრძლივად შენახვის მიზნით დღევანდელ პირობებში მიმართავენ მის დამუშავებას სხვადასხვა წესით: აკონსერვებენ, აციეებენ, ყინავენ, აშრობენ, ბოლავენ, ამუშავებენ ქიმიური ნივთიერებებით და სხვ.

ძველად უმთავრესად ხორცის გაშრობას, გაბოლვას და დამარილებას აწარმოებდნენ (ეს უკანასკნელი ახლა ხორცის ქიმიური დამუშავების წესების აგრეთვე შედის).

VI საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი მოღვაწე პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ როცა რომაელებმა ქართველთა ქალაქი პეტრა აიღეს, „უამრავი აღმოჩნდა იქ პური, დამარილებული ხორცი და სხვა სურათით: ალკაშემორტყმულთ ის ხუთი წლის განმავლობაში ეყოფოდათ.“<sup>2</sup>

ყოველგვარ გამხმარ ხორცს ერთი ზოგადი სახელი—აპობტი—ეწოდებოდა. საბა განმარტავს, რომ „აპობტი ყოელთა ხმელთა ხორცთა სახელია.“<sup>3</sup>

ოთხფეხა საქონლისა და ფრინველის გამხმარ ხორცს შ ა შ ნ ი ეწოდებოდა. ნეტად მსუქანი ხორცისა და თევზის აპობტს ლორი ერქვა, ხოლო ღორის ხორცის გამხმარ ნაჭერს ო ფ ი ტ ო ნ ი.

ქართულ ლექსიკაში ამ ტერმინებს არსებობა უეჭველად იმის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. რომ ხორცის დამუშავებას აღნიშნული წესით აწარმოებდნენ. მზადდებოდა რქოსანი მსხვილფეხა საქონლის, აგრეთვე ღორის, ფრინველისა და თევზის აპობტი.

გამშრალი, გაბოლილი და დამარილებული ხორცი ძნელად მოსანელებელ საკვებად ითვლებოდა და ამიტომ მას სამზარეულოში განსაკუთრებული წესით ამუშავებდნენ: ერთი დღე-ღამის განმავლობაში ჩასდებდნენ წყალში და შემდეგ მოხარშავდნენ ერბოთი ან მცენარეულთან ერთად: „ხორცი რაგინდრა იყოს ბალიწი და გამხმარი, ის მხურვალი და ხმელი არის. მისთვის როზე ბალიწი და ხმელია. გვიან შეერგოს. თუ გაათბონ მხურვალი იყოს და რაგინდრა ხორცი დააბალიწო და ძმარშიგა ჩადვან და მერმე გაახმონ ის უკეთ მოიღონოს მარილითა გამხმარი იყოს თუ უმარილოთ... ხმელი ხორცი წყალშიგან ჩადვას დღელამესა და მერმე მოხარშე ან ერბოთა ან ნუშის გულითა, ან ახლითა ქონითა ან აპანახითა, ან ქაყუნტლისა ფურცლითა შექნან ის წყალშიგა და აგრე ჰამოს კარგია.“<sup>4</sup>

თანამედროვე კვების ჰიგიენა გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს დასაკლავი:

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 431.

<sup>2</sup> პროკოპი კესარიელი, „De bello Gothico“, იხ. „გეორგია“, ტომი მეორე, პერსნული ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1934, გვ. 147.

<sup>3</sup> სულხანსაბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, იხ. სიტყვა აპობტი.

<sup>4</sup> ბალიწი—შაში, აპობტი, დამარილებული და გამხმარი ხორცი.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 428.

პირუტყვის წინასწარ მომზადებას. იგი უნდა იყოს ვეტერინარულად შემოწმებული, საჭიროა მისი დასვენება 2 დღე-ღამის განმავლობაში, დაკვლამდე ერთი დღით ადრე ცხოველს არ უნდა მიეცეს საკვები და წყალი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხოველის ჯანმრთელობის შემოწმებას ძველადაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ყურადღება ექცეოდა აგრეთვე დასავლავი პირუტყვის წინასწარ მომზადებას, მაგრამ ძველი წესი სრულიად განსხვავდება ახლანდელი წესისაგან. დასვენების ნაცვლად დაკვლის წინ ცხოველს არბენინებდნენ და შემდეგ დაკლავდნენ. თუ დაკვლა იმავე დღეს არ მოხერხდებოდა, მაშინ მეორე დღეს ბევრი წყალი უნდა მიეცათ ცხოველისთვის და შემდეგ დაკვლათ: „მაშინ უფრო მარგე იქნების რომე არბენინონ და აგრე დაკლან, თუ რასვე დღესა არ დაკლან მეორესა დღესა ბევრი წყალი ასეან და აგრე დაკლან.“<sup>1</sup>

თანაჰედროვე შეხედულებით, ასეთი წესი გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

სამაგიეროდ სრულიად სწორ გაგებას იჩენდნენ დაკვლული ცხოველის ნაწილების შეფასებაში. საკვებად საუკეთესოდ მიაჩნდათ მისი წინა ნაწილი: „მისი ნახევრის წინათი სჯობს“ — ეკითხულობთ „უსწორო კარაბადინში“.

საქართველოში საქონლისა და ფრინველის ხორციდან ერთად ძველთაგანვე იჭირფას საკვებად ითვლებოდა თევზეული. ცნობები ქართველი ტომების მიერ თევზეულისა და მისი ნაწარმის საკვებად გამოყენების შესახებ, როგორც ამ ტომის პირველი წიგნის შესავალშიც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის უცხოელი ავტორების ნაწერებში გვხვდება. თევზეულის საკვებად გამოყენებას, ცხადია, ხელს უწყობდა საქართველოს გეოგრაფიული პირობებიც: მდინარეების და ტბების სიუხვე, შავი და კასპიის ზღვების სიახლოვე და სხვ.

ფრანგი მოგზაური შარდენი გაოცებული წერდა: „კასპიის ზღვაში, რომელიც ახლოა საქართველოზე, აგრეთვე მტკვარში, ნრავალ თევზს იჭერენ...“ და იქვე დააწინა: „დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ იმისთანა ქვეყანა არსად არის, სადაც შეიძლებოდეს იმისთანა კარგი სანოვაგის შოვნა, როგორც საქართველოში.“<sup>2</sup>

ცნობილა ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი თავის განთქმულ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ არაერთხელ აღნიშნავს საქართველოს წყლების თევზით სიმდიდრეს და აღწერის დროს იგი თევზის ჯიშებსაც ახსენებს: „ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ქანარი, ლოჭო, კაპოტი, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილი თევზნი მრავალნი და სხვანიცა.“<sup>3</sup>

საკვებად გამოყენებული თევზის შეფასების შესახებ მეტად საინტერესო ცნობები გვხვდება XI საუკუნის წყაროებში. როგორც ირკვევა, საკვებად უკეთესი იყო მდინარის თევზი, ვიდრე ზღვისა და ტბისა. ზღვის თევზი ძნელად მოსაწვლად საკვებად ითვლებოდა: „ზღვის თევზი უფრო მძიმეა მდინარისა: წყლისაგან...“<sup>4</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 428.

<sup>2</sup> ე ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, „მოგზაურობა საქართველოში“, დასახელებული გამოცემა, გვ. 83.

<sup>3</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლ. მ. ო. უ. რ. ი. ს. ა და ნ. ბ. ე. რ. ძ. ე. ნ. ო. შ. ვ. ი. ლ. ის რედაქციით, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1941, გვ. 31.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 433.

„აუზი რომე ლამშიგა, ლერწამსა და შამბშიგა და აესა წყალშიგა ტბაშიგა იყოს არ ვარგა.“<sup>1</sup>

საკვებად იხმარებოდა როგორც ნედლი, ისე დამარილებული თევზი. ეს უკანასკნელი მოწამვლის მხრივ ნაკლებ საშიშად ითვლებოდა: „მლაშე და მარილიანი თევზი რაგინდრა ძველი იყოს სჯობს.“<sup>2</sup>

მაგრამ დაძველებული თევზის აპოქტიის ქვაბი დაუშვებლად მიაჩნდათ: „თევზი ძველი აპუხტი არ მაშუნი იქნების.“<sup>3</sup>

ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს შორის ერთ-ერთ საუკეთესო საკვებად ითვლებოდა რძე. „უსწორო კარაბადინი“, „იალიგარ დაუღში“ და სხვა სამედიცინო წყაროებში რძის დახასიათებას ცალკე თავი აქვს დათმობილი.

რძის ვარგისიანობის შესახებ ორგანოლექტიკური ნიშნების მიხედვით მსჯელობდნენ.

საკვებად ვარგისი რძე თეთრი უნდა ყოფილიყო, ზომიერი სისქისა და კარგი გემოსი: „რძე თეთრი სჯობს. არცა ერთობ სქელი იყოს არცა თხელი და გემო წმინდა იყოს.“<sup>4</sup>

როგორც ირკვევა, რძის შეფასების დროს ყურადღება ექცეოდა ცხიმის შემცველობასაც: „აქლეშის რძე მზურვალი და ნედლი არის და ერბო მწორედ ცოტა და თხელი აქუს, და ამის ერბო ცოტა იქნების.“<sup>5</sup>

საკვებად მისაღებად მიაჩნდათ ძროხის, კამეჩის, თხის, ვირის და აქლემის რძე. ყველას ადამიანისას ამჯობინებდნენ: „რძეშიგან ადამის ტომისა სჯობს.“<sup>6</sup>

ხბოს შობის შემდეგ, ვიდრე ორმოცი დღე არ გავიდოდა, რძისა და მისგან დამზადებული მაწვნის გამოყენება ადამიანის საკვებად არ შეიძლებოდა: „და რა ზროხამან ხბო შობოს, ორმოცამდის არ მართებს არცა რძისა, არცა მაწონის ქვაბა.“<sup>7</sup>

საკვებად ფართოდ გამოიყენებოდა რძის ნაწარმი: მაწონი, დო, ხაჭო, კარაქი, ყველი და სხვ.

რძეს მაწონს ამჯობინებდნენ, მაწონს კი დოს: „მაწონი რძეს და დო სჯობს მაწონს.“<sup>8</sup>

ძნელი სათქმელია რძეს რატომ ამჯობინებდნენ მაწონს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მაწონი უფრო ადვილი მოსანელებელია, ვიდრე რძე.

ცნობილი ყოფილა, რომ ხსენი რძესთან შედარებით მეტ ცხიმს შეიცავს. მაგრამ შეიძლება მან ადამიანს აწყინოს: „ხსენიცა რძესავითა არის, მაგრამ რძისაგან ცოტად უფრო მსუყე არის და კაცი უფრო გვიანცა მოიდნობს, და თუ ამან კაცს აწყინოს...“<sup>9</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 432.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 35.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 433.

<sup>5</sup> „იალიგარ დაუღი“, გვ. 161.

<sup>6</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 433.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> „იალიგარ დაუღი“, გვ. 162.



რაც შეეხება ცხიმს. ყოველგვარ ცხიმეულს ძველადაც ერთი ზოგადი სახელი—ცხიმი—ეწოდებოდა. ეს სიტყვა საბას შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში და განმარტავს, რომ „ცხიმი ზოგადი სახელი არს ყოველთა ცხიმიანთა.“<sup>1</sup>

იცნობდნენ ცხრა სახის ცხიმს: კარაქს, ერბოს, ჩუმას, ქონს, ცმელს, ღუმას, კუნქს, ზიბს და ზეთს.

მაწვნის შედღეების შედეგად დამზადებულ ახალ ცხიმს კარაქი, ხოლო გადამდნარ დამარილებულ კარაქს ერბო ეწოდებოდა: „კარაქი არს ცხიმი ახალი. ერბო დაუმარილებელი და. ოდეს კარაქი დაიმარილოს, უწოდენ ერბოსა.“<sup>2</sup>

უშუალოდ რძისაგან დამზადებულ კარაქს ჩუმა ერქვა: „ჩუმა არს ერბო არა მაწონთაგან, არამედ რძისაგან გამოღებული ერბო.“<sup>3</sup>

„ქონი არს ცხოველთა გუამთანი სიმსუქნე გარდადნობილი;

ხოლო ცმელი იგივე ქონი გარდუმდნარი;

ღუმაი არს ცხოვართა, თახუთა და ეგე ვითართა კუდთა განისა ცხიმი. გინ აწუმთა ზურგის ქონი;

კუნქი არს ცხიმი მწუადთა მწუეთარობისაგან და მისთანი,

ზიპა არს ცხიმი თევზთა, რამეთუ ქონსა თევზთასა არა ეწოდების ქონი. არა იცხიპი.

იცნობდნენ ზეთსაც. ზეთი არს ცხიმი ზეთის ხილთა, ნუშთა, ნიგოზთა და მისთანათა, გინა ბალახთა თესლებისაგან გამოიწურვიან.“<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური გათხრების დროს XIII საუკუნის ცნობილ ქალაქში—დმანისში ნახულ იქნა ზეთსახდელი ქეები.<sup>5</sup>

ვახუშტიც აღნიშნავს თავის „გეოგრაფიაში“, რომ ზეთს სელისაგანაც ამზადებდნენ და ხმარობდნენ.<sup>6</sup>

ხმარებოდა ნიგოზის, ზეთისხილის, ნუშის, სელის და სხვა მცენარეებისაგან გამოხდილი ზეთი. მაგალითად, „იადიგარ დაუღში“ ვკითხულობთ: „ზეთის ხილთა ზეთი ფერად ფერადი იქნების. ზოგსა შემოსულისა ზეთის ხილისაგან გამოჰხდიან, ზოგსა შემოსულებისა ზეთის ხილისაგან გამოჰხდიან, და ამა შემოსულელის ზეთის ხილის ზეთი პირველს წილშიგა გრილი და ნედლი არის, და შემოსულის ზეთის ხილის ზეთი მხურვალად და ცოტად ნედლ არის და ძუელის ზეთის ხილის სიმხურვალე კაცსაცა გაახურებს.“<sup>7</sup>

სრულად სამართლიანად, „მუცლის ქონის“ საკვებად გამოყენება არასასურველად ითვლებოდა: „მუცლის ქონი მწოდენ უშრო და მაწყინარი არის და კაცმან არცკი უნდა ჰკამოს.“<sup>8</sup>

<sup>1</sup> ს. ლ. ხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, დასახელებული გამოცემა, იხ. სიტყვა ცხიმი.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ლ. მ. ხ. ხელიშვილი, „დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა)“, იხ. წიგნი-შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, პროფ. ივ. ჭავჭავაძის შვილის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 407.

<sup>6</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 42.

<sup>7</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 158.

<sup>8</sup> იქვე.

ცხიმებს შორის საუკეთესოდ ითვლებოდა კარაქი და ერბო<sup>1</sup>. ჯერჯერობით არ ჩანს ცნობები იმის შესახებ, თუ რა ნიშნებით აფასებდნენ ცხიმის ვარგისიანობას, მაგრამ დაძველებული ცხიმის საკვებად გამოყენება დაუშვებლად მიიჩნდათ: „...რაიცა ერბოი ანუ ტვინი ანუ ქონი დაძველდეს მას ნუ ჰკამენ, რომელ ერთობით ზაპრი იქნების.“<sup>2</sup>

რძის ნაწარმიდან, რომელიც საკვებად გამოიყენებოდა, აღსანიშნავია აგრეთვე ყველი.

ცნობილია, რომ საქართველოში რამდენიმე სახის ყველს ამზადებენ: თუ-შურს, იმერულს, სულგუნს, გულის ყველს და სხვ.

ვახუშტი თავის „გეოგრაფიაში“ მიუთითებს, რომ აქარაში. სახელდობრ ქედაში, აკეთებენ ყველს, რომელიც, მისი თქმით, „არაოდესვე წახდებრს, არცა დაობდებრს, რაჟამს გნებავს შემგბარი კეთილსახმარ, არს,“<sup>3</sup> ე. ი. მოხარშული იხმარებოდა. შეიძლება ამ შემთხვევაში სულგუნი იგულისხმებოდეს, რომელიც, როგორც პროფ. ვ. კაციტაძისა და ექიმ ბ. მიქელაძის გამოკვლევით გახდა ნათელი, სანიტარულ-ქიმიურ-ბაქტერიული მაჩვენებლებით ჩვენებური ყველის სხვა სახეთა შორის ყველაზე უკეთესია.<sup>4</sup>

ძველი ყველის ჰამა დაუშვებლად ითვლებოდა. ცნობილი იყო, რომ დაძველებულმა ყველმა შეიძლება აწყინოს ადამიანს და მძიმე შედეგები გამოიწვიოს.

„ძუელისა ყველისა ჰამაი ავენებს კაცსა და საფათურაკო არს.“<sup>5</sup>

ყველის ვარგისიანობას ორგანოლექტიური ნიშნებით განსაზღვრავდნენ. „რაიცა გემოდ ჰავი იყოს და ბუნებაი მას არ ითხოვდეს მაგისი ჰამა არა ხამს, რომელ ავენებს კაცსა.“<sup>6</sup>

კარგად ცნობილია, თუ როგორ მაღალხარისხოვან საკვებს წარმოადგენს კვერცხი. მას ძველადაც იყენებდნენ საკვებად. ქათმის კვერცხს სხვა ფრინველის კვერცხს ამჯობინებდნენ.

„კვერცხი ქათმისა ყოვლის ფერ ფრინველისას სჯობს... აღრე მოქარვება და სისხლსა ჩაუყენებს ტანშიგა. ცილი გრილი და სქელი, ხველას უშველის და ხმას გაუკეთებს.“<sup>7</sup>

კვერცხი საკვებად იხმარებოდა სხვადასხვა სახით. ამჯობინებდნენ შემწვარს, მაგრამ მრგვალად შემწვარი არ უნდა ყოფილიყო: „შემწვარი სჯობს მოხარშულსა და მრგვალად შემწვარი მძიმეა.“<sup>8</sup>

ძველად საქართველოში ფართოდ ყოფილა გამოყენებული აგრეთვე მცენარეული პროდუქტები: მარცვლეული, ბოსტნეული, სილი და სხვ.

ვიდრე მცენარეული საკვების შესახებ არსებულ შეხედულებებს განვიხილავდეთ, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება. თუ მოკლედ გავარჩევთ მცენარეების გვარეობათა აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 106.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 35.

<sup>3</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამედიცინო საქართველისა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 134.

<sup>4</sup> პროფ. ვ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, „ჰიგიენა“, სახელმძღვანელო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის, მესამე გადაიუშავებული გამოცემა, საქმედგამი, ცბილისი, 1956, გვ. 241.

<sup>5</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 35.

<sup>6</sup> ლქვე.

<sup>7</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 431.

<sup>8</sup> ლქვე.

აკად. ივ. ჭავჭავიძე იღმა გამოარკვია, რომ ყველაფერს, რასაც დედამიწა თავისი წიაღიდან გამოიღებდა, მცენარე ეწოდებოდა.<sup>1</sup> შემდეგ ამ ტერმინის ქვეშ მხოლოდ მცენარეები იგულისხმებოდა.

საინტერესოა აგრეთვე ტერმინის—მწუხანილი—ისტორიულად არსებული გაგება. ახლა მწვანის ქვეშ მხოლოდ ადამიანის საკვები ბალახეული იგულისხმება, ძველად კი ყოველგვარ ბალახს მწუხანილი ერქვა. საბა განმარტავს: „მწუხანილი ყოველივე ბალახი.“ ამასვე ადასტურებს უფრო ძველი წყაროები. პეტრე იბერიელის „ცხოვრებაში“ ნათქვამია: „მწუხანეთაგან და მცენარეთა... იყო საზრდელი ჩემი.“<sup>2</sup>

მაშასადამე, არა მწვანელიუელი, არამედ მწუხანეთაგანი იყო მისი საზრდელი.

ადამიანის საკვებად გამოყენებულ ბალახეულს ძველად ერთი საზოგადო სახელი—მხალი—ეწოდებოდა. ვახუშტის ნათქვამი აქვს: „ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელნი, საზამთროდ სახმარნი ბალახნი, მხალად წოდებულნი.“<sup>3</sup>

ამ ცნობის საფუძველზე აკად. ივ. ჭავჭავიძე იღს გაკეთებული აქვს დასკვნა, რომ „მხალისაგან დამზადებული საკმელი გამხმარი მცენარეულთბსაგან უკეთებიათ. საკმლის გასაკეთებლად მხალი, რა თქმა უნდა, ხშირად ზამთრისთვისაც განმობილი და დაუნჯებული ჰქონდათ.“<sup>4</sup>

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვახუშტი საკმლის შესაკაზმავად საკირო სურნელოვანი მცენარეების ზამთრისათვის შენახვაზე ლაპარაკობს და არა საერთოდ მხალის განმობაზე. არა გვეგონა, რომ ზამთრისთვის მხალი გაეხმოთ და შეენახათ. საკაზმავი ბალახეულის განმობა და შენახვა კი ახლაც იციან. ამას ხმელ სუნიელს უწოდებენ.

მწვანელიუელი უმად იხმარებოდა, ხოლო მხალი მოხარშული უნდა ყოფილიყო. საკვებად მხალის წვენიც იხმარებოდა. როგორც იაკობ ცურტაველი აღნიშნავს, „შუშანიკი საპყრობილეში ყოფნისას მხალის წვენით იკვებებოდა.“<sup>5</sup>

საკვებად გამოსაყენებელი მარცვლეული კულტურებიდან იცნობდნენ: ზორბალს, ქერს, სიმინდს, შერისას, ფეტვს, ლომს, ბრინჯს და სხვ.

„ღაბადების“ ქართულ თარგმანში გვხვდება: იფქლი, დიკა, ქერი, ბრინჯი, ქრთილი, ასლი, ფეტვი, ცურტვი, ოსპი, სონიჯი, ხონდური ძარაკი და სხვ.

მრავალი უცხოელი ავტორი აღნიშნავდა, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით მოჰყავდათ პური.

ცნობილი ფრანგი მოგზაური ჯან შარდენი წერდა: „საქართველო მეტად ნაყოფიერი ქვეყანაა. იქ კარგად ცხოვრობენ. ისეთი მშვენიერი პური მოდის, სხვაგან არსად იცის ასეთი პური.“<sup>6</sup>

ჩვენი სახელოვანი გეოგრაფი ვახუშტაც აღნიშნავდა, რომ საქართველოში „...ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი კაცთა საზრდელნი: ბრინჯა,

<sup>1</sup> ი. ჭავჭავიძე იღი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი I, დასახელებული გამოცემა, გვ. 278.

<sup>2</sup> მ. აკარი მეხხი, „პეტრე იბერიელის ცხოვრება“, დასახელებული გამოცემა, გვ. 270.

<sup>3</sup> ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 30.

<sup>4</sup> ივ. ჭავჭავიძე იღი, დასახელებული წიგნი, გვ. 273.

<sup>5</sup> იაკობ ცურტაველი, „წამბაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, დასახელებული გამოცემა, გვ. 41.

<sup>6</sup> ჯან შარდენი, „მოგზაურობა საქართველოში“, დასახელებული გამოცემა, გვ. 83.

ხორბალი, ქრთილი, შვრივა, სიმინდი, ლომი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისა, ძაძა, მაშა, უგრეხელი, კანაფი, სელი და სხვანიცა.“<sup>1</sup>

ხორბლის პური საუკეთესოდ იყო მიჩნეული: „...ხვარბალი...უმადლე არის და მეფეა ყოელისა თესლისაი.“ „თუ მუდამ ხვარბალსა სჭამს ჭამოს, უკეთესი ის არის.“<sup>2</sup>

მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმასაც, თუ როგორ იყო მომზადებული ფქვილი გამოსაცხობად: „და თუ პური გამოაცხო მხურვალთა და ფიცხლავ გაიარს. სტომაქით და გუნებას რბილად შეინახავს და მტკიცისა საცრისა პური უფრო მსუბუქი არის და კაცის ტანს კარგსა ძალას მისცემს.“<sup>3</sup>

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ცომის მომზადებას. იგი უნდა ყოფილიყო საფუარით გაფუებული და მარილით შეზღუდილი: „თუ პური გამოაცხონ ხვარბლისა, უნდა რომე საფუერითა იყოს კარგა გაფუებული და მარილთა შეზღუდილი.“<sup>4</sup>

ასეთი შეხედულება გავრცელებული იყო შემდეგ საუკუნეებშიც.

„იადიგარ დაუდში“ ვკითხულობთ: „ყოელისა პურებისა უკეთესი წმინდა და გაცილი და კარგად გამტკიცული ხვარბლისა პური არის, რომე მარილი და საფუარი კარგად, და მართლად რიგზედა ჰქონდეს და ესე პური არცა მწოედ სქელი იყოს და არცა მწოედ თხელი...“<sup>5</sup>

ცნობილია, რომ ცომის სათანადოდ გაფუებაზე ბევრად არის დამოკიდებული პურის ხარისხი. გაუფუებული პური ძნელად მოსანელებელია: „უსაფუეროსა პურსა ნუ სჭამენ, მწოედ მძიმე პური არის, კაცსა გულზედა დაადგების, გვიან დადნების, გულისა და სტომაქის ტკივილსა აუგდებს...“<sup>6</sup>

გაუფუებელ პურს ხშიადი ეწოდებოდა. ხშიადს მაშინ აცხობდნენ, როცა გაფუებისათვის დრო არ იყო.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს ის გარემოება. რომ ძველად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, თუ სად იყო პური გამომცხვარი—თონეში თუ კეცში. კეცში გამომცხვართან შედარებით უკეთესად ითვლებოდა თონეში გამომცხვარი პური: „თონესა და საფუერისა სჯობს ხშიადსა.“<sup>7</sup>

კეცში გამომცხვარი პური ძნელად მოსანელებლად მიაჩნდათ და მას მეტეორიზმის გამოწვევასაც მიაწერდნენ: „კეცსა შიგან გამომცხვარი სტომაქიდან გვიან გავა და ტანზედ ძალი არ მიეცემის, ქარი აქუს.“<sup>8</sup>

საქმე იმაშია, რომ თონეში ტემპერატურა უფრო მაღალია და დაცომებას ნაკლებად აქვს ადგილი, ვიდრე კეცში ცხობის დროს.

ცნობილი იყო, რომ გამოცხობის შემდეგ პურის დაცომების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო მისი სათანადო გაცივება. ცხელი პურები შორი-შორს

1 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 29.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 431.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 435.

5 „იადიგარ დაუდი“, გვ. 149.

6 იქვე.

7 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 435.

8 იქვე.

უნდა დაეწყოს, ვიდრე არ გაცივდებოდა. „სანამდისინ ეს პური გაცივდებოდეს შორი შორ უნდა დადვან.“<sup>1</sup>

XII საუკუნის ერთ-ერთი ისტორიული საბუთიდან ირკვევა, რომ იმხანად პურს ფურნეშიც აცხობდნენ: „პური ცნობილი ფურნისაი ხუთასისა დრამისა წონა ნუშცა ოდეს მოაკლდების.“<sup>2</sup>

ცნობილი იყო, რომ ქერისაგან გამომცხვარი პური ხორბლის პურთან შედარებით ნაკლებად საყუათოა: „მისი პური უფრო სუსტია იფქილისაგან და ხორცთა არას მატებს.“

„ქერის პური ვერც ძალას მისცემს, ვერცა გაასუქებს კაცსა...“<sup>3</sup>

გაუფტქენელი ქერი გრილ საკვებად ითვლებოდა. ქერქგამძერალი, დანაყილი და მოხარშული ქერი სნეულთათვის სასარგებლოდ მიაჩნდათ: „თუ დანაყო ქერქი შეჰხადო და მოხარშო წყლითა, შეიქნების გრილი და ნედლი და ნაშუენ სნეულთათვის.“<sup>4</sup>

ადვილად მოსანელებელ საკვებად ითვლებოდა რძეში მოხარშული ქერი: „ხალი ქერისა გრილი და ხმელია, და მსუქნითა უნდა კამოს, რითა შექნილი სჯობს, მსუბუქია და ადრე მოიდნობს.“<sup>5</sup>

როგორც XIII და შემდეგი საუკუნეების ჭართული და უცხოური დამწერლობითი საბუთებიდან ირკვევა, საკვებად ღომიც ყოფილა გამოყენებული.

ღომი იხსენიება მეფე დავით ნარინის დროინდელ სიგელში.<sup>6</sup>

დასავლეთ საქართველოში ღომის გავრცელების და საკვებად მისი გამოყენების შესახებ წერდნენ XV საუკუნის იტალიელი მოგზაური იოსაფა ბარბარო<sup>7</sup> და XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი.

ლამბერტი აღნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველოში პურსა და სხვა მარცვლეულსაც თესენ, მაგრამ „მეგრელები, ჩვეულებრივ, პურით კი არა, ღომით იკვებებიან.“<sup>8</sup>

აღმოსავლეთ საქართველოში კი „ღომი არც ითესებოდა და საკვებადაც თითქმის არ იხმარებოდა.“<sup>9</sup>

XVII საუკუნიდან საქართველოში სიმინდის კულტურაც გავრცელებულა (თავდაპირველად დასავლეთ, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში).

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 149.

2 და ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი, „ანდრძი, შიომღვიმისათვის ბოძებული“, იხ. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს გამოცემა, თბილისი, 1896, გვ. 16,17.

3 „უსწორო კარაბაღინი“, გვ. 435.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 436.

6 „სიგელი მეფე დავით ნარინის დროისა“, იხ. ქრონიკები, წიგნი მეორე, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ, თბილისი, 1897, გვ. 129.

7 „Di misser J o s a f a B a r b a r o, gent'l huomo venetiano, il viaggio della Tana“, -ხ. „შობაბე“, 1894, № 11, გვ. 46.

8 ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, „სამეგრელოს აღწერა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 51.

9 ი ვ. ჯ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი პირველი, მეორე ხელადაწერილი გამოცემა, თბილისი, 1930, გვ. 169.

უკვე XVIII საუკუნისათვის, როგორც ვახუშტი აღნიშნავს, ზოგიერთ რაიონში სიმინდი უხვად მოყავდათ: „სთესენ სიმინდსა მრავალსაო“, აშობის იგი ზეფინის ხეობის შესახებ.<sup>1</sup>

საკვებად იხმარებოდა აგრეთვე ფეტვის, ასლის, ოსპის და სხვა მარცვლეულისაგან დამზადებული პური, მაგრამ, როგორც აღნიშნეთ, საუკეთესო პურად ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარი ითვლებოდა.

პარკოსანი მცენარეებიდან ძველად საქართველოში საკვებად გამოიყენებოდა: ბაქლა, ერეინდი, ანუ მუხუდო, ლობიო, ოსპი, საკადრისა. ძაძა, ცერცვი. ცერცველა, ტულისპირა და სხვ.

გარდა აღნიშნულისა, იხმარებოდა სხვა მცენარეული საკვები: ბადრიჯანი, კარხალი, კომბოსტო, სტაფილო, ხახვი, ნიორი, ნიახური, ქინძი, ბოლოკი, კამა, პიტნა, მდოგვი, წიწმატი, ქონდარი, მკაუნა, პრასა, ოხრახუში და სხვ.

პარკოსნებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობები ლობიოს შესახებ. პირველი ცნობები საქართველოში ლობიოს საკვებად მოყვანების შესახებ გვხვდება „უსწორო კარაბადინში“. მისი მეორე სახელი აცანცეა ყოფილა.<sup>2</sup>

ლობიო კარგ საკვებად ითვლებოდა. დასახელებულ სამედიცინო წყაროში აღნიშნულია, რომ ლობიო „საკმელად ტანსა კარგად არგებს.“<sup>3</sup>

ლობიოს დადებითი საკვები თვისებების სწორი შეფასებით უნდა აიხანასის გარემოება, რომ საქართველოში ლობიოს მოყვანას მისდევდნენ და იგი ძალზე გავრცელებული მცენარე იყო. საკვებად ლობიო ნედლი და გამხმარი სახითაც გამოიყენებოდა.

არქანჯელო ლამბერტი წერდა: „ლობიო აქ იძლევა ნაყოფს უხვად და დიდი ხნის განმავლობაში, ისე რომ იელისიდან დაწყებული სექტემბრამდის ახალ ლობიოს სჭამენ, შემდეგ გაახშობენ და საზამთროდ შეინახავენ.“<sup>4</sup>

პროფ. ლ. დეკაპრელევიჩის ლობიოს 79 სახეობა აქვს საქართველოში აღწესხული. მათ რიცხვში 10—15 სახეობა მას ადგილობრივ ჯიშად აქვს მიჩნეული.<sup>5</sup>

ასევე გავრცელებული ყოფილა საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, ბრინჯი, რომელიც, როგორც ვახუშტი აღნიშნავს, ოდიშში „ნაყოფიერებს ურწყავად.“<sup>6</sup>

საქართველოში ბრინჯის კულტურა, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, IX—X საუკუნიდან უნდა იყოს გავრცელებული.<sup>7</sup>

<sup>1</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 83.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 437.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 55.

<sup>5</sup> Л. Декапрелевич, «Сорта фасоли (Phaseolus vulgaris), возделываемые в Грузии», ис. თბილისის ბოტანიკური ბაღის მეცნ.-გამოყვანებითი განყოფილების ნაწერები, ნაწილი IV, თბილისი, 1925, გვ. 211, 212.

<sup>6</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 171.

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი პირველი, დასახელებული გამოცემა, გვ. 361

ბრინჯი იხმარებოდა მოხარშული სახით და კარგ საკვებად ითვლებოდა.

მრავალი ქართული და უცხოური წერილობითი წყარო მოწმობს, რომ სა-ქართველოში ბოსტნეული დიდი რაოდენობით მოყავდათ და ფართოდ იყენებ-დნენ.

„დაბადების“ ქართულ თარგმანში დასახელებულია ჰაყუნტელი, ანუ ჭარხალი, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დასახელებულია კალნაბი, ანუ ყვავილოვანი კომბოსტო (*Brassica oleracea Borgyilis v. Pompejana L. Cauli-lolia*).

აღნიშნულ თხზულებაში ვკითხულობთ: „ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმბგვრითა.“<sup>1</sup>

ძველთაგანვე გავრცელებული იყო აგრეთვე ნიორი, ხახვი და საქმლისა-თვის გვეპოს მისაცემი მწვანელი, რომელსაც სანელებელი ეწოდებოდა. საბა-ჯანმარტავს: „სანელებელი ესე არს, რაიცა სუნნელი საქმელს შეანელებს.“

ხახვი და ნიორი საქმელთან ერთად და უმადაც იხმარებოდა.

XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაური ტ ა ე ე რ ნ ი ე წერდა: „ქართ-ველები ბევრსა სჭამენ ხახვსა და მწვანელიულობას სრულიად უმსა.“<sup>2</sup>

სანელებელი და საქმელი მწვანელიულობიდან ძველთაგანვე იხმარებოდა კამა. ქინძი, ნიახური, პიტნა, ტარხუნა, წიწმბატი, ოხრახუმი, პრასა, ქონდარი და სხვ.

აკად. ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მწვანელი. ქართული სუფრის აუცილებელ კუთვნილებასა და მშვენებას შეადგენდა.<sup>3</sup>

ცალკე უნდა აღინიშნოს ნესვის, საზამთროს, მელსაპეპონის, მარწყვის, კი-ტრის და სხვა „ბალახთა ზედა მობმულთა“ შესახებ, რომლებიც ხილის ჭგუფ-ში შედიოდნენ და ხშილად იწოდებოდნენ.<sup>4</sup>

ჩამოთვლილი ხილის დამახასიათებელი თვისებები თითქმის ყველა ძველ-ქართულ სამედიცინო წიგნშია აღწერილი. ზოგი ცნობა არასამედიცინო წყა-როებშიც გვხვდება.

მიაჩნდათ, რომ კიტრი გამაგრილებლად შოქმედებს და დიდი რაოდენობით მიღების შემთხვევაში ციებ-ცხელებას იწვევს: „კიტრი ორფერი არის, ერთსა შანგიერი ჰქვიან, გრძელი არის და მოღრეკილი და ორივე გრილი და ნედლი... მართებს, რომე კაცი ფრთხილად იყოს და არა ჰამოს, თუ ჰამოს წურბილი კიტ-რი ჰამოს... თუ ბევრი ჰამოს ცხელებას შეიქს...“<sup>5</sup>

ეს არასწორი შეხედულება კიტრის შესახებ საკმაოდ გავრცელებული იყო ხალხში, რაც მრავალ არასამედიცინო წყაროში, მათ შორის თეიმურაზ მეორის პოემაშიც „ხილთა ბაასი“ არის არეკლილი.

<sup>1</sup> გ ი ო რ გ ი მ ე რ ჯ ლ ე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 113.

<sup>2</sup> „Les six voyages de I. B. Tavernier, Baron d' Aubonne, en Turquie en Perse et aux Indes“ (მოგზაურობის აღწერილობის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს შეეხება, ალ-ქ ყ ნ ი ა მ თარგმნა და გამოაქვეყნა), იხ. „ტავერნიეს მოგზაურობიდან XVII საუკუნეში“-ურნალი „მოამბე“, 1898, № 6, გვ. 4.

<sup>3</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი მეორე, დასახელებული გამოცემა, გვ. 140.

<sup>4</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, იხ. სიტყვა ხ ი ჩ ა ტ ე ლ ი.

<sup>5</sup> „უსწორი კარაბადინი“, გვ. 455.

„კიტრმან თქვა: „რალა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა: ტუბილი და მუევე არა ვარ, კაცი რალ მემოყვრებისა? გრილი ვარ, კაცსა ვავებრავ, მერმე თავი ვარ სნენისა, და ვინც რომ ჩემითა გაძლებს, ციებაც შეექნებისა.“<sup>1</sup>

ასეთივე არასწორი შეხედულება არსებობდა ნესვის შესახებ. ფიქრობდნენ, რომ თითქოს იგი ციებ-ცხელებისა და მრავალი სენის გამომწვევი იყოს.<sup>2</sup>

„ნესვმან თქვა:... ციებას მერმე ცხელებას, კირს ჩემვან შეიყრიანო.“<sup>3</sup>

სამაგიეროდ, სრულიად სამართლიანად, სასარგებლოდ ითვლებოდა საზამთრო:

„საზამთრო იტყვის... მე ჯანაოზ ვარ ექიმი. სნეულთა მოვალხინებო.“<sup>4</sup>

როგორც აღენიშნეთ, „ბალახთა ზედა მობმულთა“ ხილთა ხ მ ი ლ ი ერქვა. გარდა ამისა, ხილის ჯგუფში შედიოდა საკუთრივ ხ ი ლ ი, აგრეთვე, ხ უ ლ ი და ხ ი ჩ ა ტ ე ლ ი.

ხ ი ლ ი ბალის ხეხილის ნაყოფს ეწოდებოდა, ხ უ ლ ი „ქერქ მაგართა, ვითა: ნუშთა, ნიგოზთა, წაბლთა, ნაყვთა და მისთანათა, ხოლო ხ ი ჩ ა ტ ე ლ ი ველურთა ტყეთა შიგან უმუშაყოდ მოსულ ხის ნაყოფთა.“<sup>5</sup>

ადამიანისათვის სხვა საკვების შერჩევასთან ერთად ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხილეულობის სათანადო რაოდენობითა და შესაფერი-სად მიღებას. ფიქრობდნენ, რომ ხილის დროულ მიღებას შეუძლია მადის გაღვიძება, საკმლის მონელების გაუმჯობესება და სხვ.

„ნიადაგ ხამს, რომელ საქამადსა წინათ კამდეს ხილსა ახალსა და ნედლსა ნუ თუ მუევე და მკრველი იყოს ვითა ბეჟე რომელსა ჰქვიან ბია, და ვაშლი და ბროწეული და რაცა ამათ ჰგვანდეს. და დია ნუ სკამს, და თუ წამლად კამდეს ეგების, თუ საქამადსა წინათ კამოს, და სიპართლისა შენახვისათვის სკამოს, რომელ ნედლი ხილი დია არა კამოს, ნუ თუ მაშინ რომელ სტომაქი გაგრილებულ იყოს არა, და დია მხურვალი იყოს კაცი კირისაგან ანუ სიარულისაგან, ნაშინ ლღვი ანუ ყურძენი ანუ გაცივებული ტყეშალი ეგების, რომელ კამონ, და მაშინ რაი ხანი გარღვიდეს საქამადი კამოს კარგად ერგების, და თუ ოდესმე ხილი საქამადსა თანა დია კამოს, და ელდაი სცემოდეს თადბირი იგი არს, რომელ მეორესა დღესა ცოტა კამოს, რომელ სტომაქი გასუბუქდეს.“<sup>6</sup>

ასეთივე შეხედულება იყო გავრცელებული შემდეგ საუკუნეებშიც. XVI საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ძეგლში ვკითხულობთ: „და ესე ხილებია, რომე საქმელსა დაადნობს და დააღობს და გულსა და სტომაქსა საქმლის კამასა უკან მოაგრილებს და კარგად მოუხდების: — ყურძენი, ლღვი, ქლიაევი, საზამთრო, კიტრი...“<sup>7</sup>

<sup>1</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, „ხილთა ბაასი“, თხზულებათა სრული კრებული გ. ჯ ა კ ო ბ ი ო ს წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბილისი, 1939, გვ. 109.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 454.

<sup>3</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, „ხილთა ბაასი“. დასახელებული გამოცემა, გვ. 109.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>5</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, თხ. სიტყვა ხ ი ჩ ა ტ ე ლ ი.

<sup>6</sup> „წიგნი სააქიმიო“, გვ. 29.

<sup>7</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 106.



XI და ნეპდევი საუკუნეების სამედიცინო წყაროებში სპეციალური თავი განიყოფილი—„კარი ყოვლისა აწლისა და ხმელისა ხილისა,“<sup>1</sup> სადაც მოცემულია სხვადასხვა ხილეულობის დახასიათება, მათი მიღების ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი და სხვ.

„უსწორო კარაბადინში“ დასახელებულია ხურმა, ლეღვი, ყურძენი, კერამი, ატამი, ტყემალი, მსხალი, ვაშლი, ბალი, ქლიავი, ბია, ბროწეული, თუთა, უნაბი, ნესვი, კიტრი<sup>2</sup>, თურინჯი, ნუში, საზამთრო, თხილი, ზეთისხილი, ნიგოზი, ფშატი, წაბლი.<sup>3</sup>

გარდა აღნიშნული ხილისა, „იადიგარ დაუღში“ დასახელებულია ალუჩა, ალიბუხარი, ზღმარტლი, ლონაშო და სხვ.<sup>4</sup>

ხილეულის ფართოდ გამოყენებას, ცხადია, ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საქართველოში მეხილეობა ძველთაგანვე გავრცელებული იყო და მრავალგვარი ხილი მოჰყავდათ.

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი წერდა: „ხილიც ძალიან კარგი იცის, ყოველგვარი ხილეულობა მოდის, ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი და მსხალი, აზიაშიც არსად არ მოდის უკეთესი ბროწეული.“<sup>5</sup>

საქართველოში გავრცელებული და ხმარებული ხილის უფრო სრულ სიას იძლევა ვახუშტი თავის ცნობილ „გეოგრაფიაში“. იგი ასახელებს სამი სახის ხილს: ბალის, ტყისა და მთისას.

„ხოლო ხილი წალკოტა მრავალნი: ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლ-ატამი, ყაისი, კერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ბუსტული, ქლიავი. მრავალგვარი, ლეღვი, მბალი, ალუბალი, სხალი და ვაშლი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი. ფშატი, ნესვი, მელსაპკონი, პუშპულა, კიტრი. ხოლო ტყისანი არიან: თხილი, ტყემალი, ზღმარტლი; ფშატი, ხურმა, წაბლი, კრიკინა, ალუბალი, ბალამწარა, ზალოჯი, მყაველი, პანტა, კუნელი, ჯახველი, მქინავი, მწიფელი, დათვის-ბამ-ზა, დათვის-თხილა, კოწახური, მაცვალი მრავალგვარი, ნიგოზი და სხვანიცა. ხოლო მთისანი არიან: მოცხარი, კლდის—მერსენი, ქოლო, უელი, მოცივი და სხვანიცა მრავალნი.“<sup>6</sup>

ვნახოთ, როგორი შეხედულება არსებობდა ხილის შესახებ.

„უსწორო კარაბადინიდან“ ირკვევა, რომ ხილეულს შორის საუკეთესოდ ითვლებოდა ყურძენი და ლეღვი.

„ყურძენი ყოვლისა ხილისაგან უკეთ ერგება რომე მწიფე იყოს.“<sup>7</sup>

ლეღვი „ყოველსა ხილსა სჯობს, კაცისა გუნება რბილად შეინახოს.“<sup>8</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 448.

<sup>2</sup> კიტრი როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო წყაროებში ხილთან ერთად არის დასახელებული, რადგან იგი ხშირი იყო და ხილის ჩგუფში შედიოდა.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 448—456.

<sup>4</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 182—198.

<sup>5</sup> ჟან შარდენი, „მოგზაურობა საქართველოში“, დასახელებული გამოცემა, გვ. 82.

<sup>6</sup> ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 29.

<sup>7</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 449.

<sup>8</sup> იქვე.

ყურძნის ყურკა და ქერქი ძნელად მოსანელებლად ითვლებოდა და ამიტომ ურჩევდნენ ყურძნის ჭამის დროს ყურკა და ქერქი არ შეეყოლებინათ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს რჩევა უმთავრესად ავადმყოფებს შეეხება.

„გურკასა ქერქით გამოვღება უნდა, ამისთვის რომე მძიმეა და გვიან მოიღნობს.“<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ საკმელად ყველა ჯიშის ყურძენი არ იხმარებოდა. საკმელი ყურძნის სპეციალური ჯიშები იყო გამოყვანილი.

სხვადასხვა დანიშნულებისათვის განკუთვნილი ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა რაოდენობის ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ საკმელი ყურძნის ჯიშების გაშენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოში.

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, საქართველოში გავრცელებული იყო საკმელი ყურძნის 45 ჯიშ-სახესხვაობა; საჩამიჩე—4, სამურაბე—1, სამწინლე—6, სამპურე—5, საღვინე—76, სატკბილე—5, საქაქე—1.<sup>2</sup>

როგორც ჩანს, საკმელი ჯიშების რაოდენობას მხოლოდ და მხოლოდ დასაწურავად განკუთვნილი ყურძნის ჯიშების რიცხვი აღემატებოდა.

საქართველოში გავრცელებული იყო საკმელი ყურძნის ჯიშები: ადრეული, ათინური თეთრი, ახალაქი შავი, ბუღეშური, ბურე-ვაზი, განახარული, განჯის, გორულა, დევის-თვალაი, დონდლაბი, თავკერი, თითა თეთრი და შავი, დედოფლის კითი, თეთრი ყურძენი, წმინდა-თეთრა, თხლაფაი, კლარჯული თეთრი, კრახუნა თეთრი, მელაკული ყვითელი, მერანდოი მოშავო, მხარგრძელი შავი, თეთრ-ყვითელი, მწვანურა, ორჯოხულა თეთრი და შავი, პანეში, სააბი შავი, საკმელი მოყვითალო, სამარხი შავი, სორეჯი შავი და თეთრი, ქეჩი-ემჯაჯი, ქველები შავი, კომში თეთრი, შავი-თითა, განჯური თეთრი, შიშველი, ცხენის-ძუძუ შავი და თეთრი, წიაღომინა თეთრი, წობანური, წყალთეთლი, ხარისთვალა შავი და თეთრი, ხევარდული თეთრი, ხეივანის ყურძენი, ხოფათური თეთრი, ჯანი შავი, ჯინეში წითელი, ჯუმუტა შავი.<sup>3</sup>

საკმელი ყურძენი მსხვილმარცვალა უნდა ყოფილიყო და კარგად დამწიფებული. იცოდნენ, რომ ყურძენს შეუძლია გაზების („ქარის“) დაგროვება ნაწლავებში. ამიტომ მოწოდებული იყო ყურძენი ერთი კვირის განმავლობაში ჩამოეკიდათ და შემდეგ თუ სკამდნენ, თითქოს მეტეორიზმს აღარ გამოიწვევდა.

„ქარგი ყურძენი ის არის. რომე მარცვალა დიდრუანი იყოს და მწიფე, დიდისა ხანსა შენახული. გუნება გრილი კაცისათვის და ბალღმისათვის შავი ყურძენი სჯობს და მხურვალისა კაცისათვის შავსა თეთრი სჯობს. და ყოველი მწიფე ყურძენი მხურვალისა რბილი და ხმელი და სტომაქით ადრე წავა.“

კარგისა და მწიფისა ყურძნისაგან ქარგი სისხლი მოემატების, კაცსა გაასუქებს და სტომაქსა დააღებობს; მაგრამ ქარი აქუს და ერთსა კვირასა ნაკიდებსა ქარი აღარ აქუს და ქარგი იქნების.“<sup>4</sup>

არსებობს ცნობები, რომელთა საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მართო ყურძნის საკმელი ჯიშების შერჩევა კი არ ხდებოდა, არამედ სხვა ხილისა, მავალითად, ვაშლის, მსხლის და სხვ.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“. გვ. 449.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წიგნი მეორე, დასახელებული გამოცემა, გვ. 592.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 586, 587.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 450.

ვაშლის შერჩევა სიტკბოს, ანუ, როგორც ახლა იტყვიან, შაქრიანობის მიხედვით ხდებოდა. შერჩევას აწარმოებდნენ იმ მოსაზრების გამო, რომ თითქოს ორგანიზმზე სხვადასხვა ჯიშის ვაშლი სხვადასხვაგვარად მოქმედებს.

„ვაშლი მრავალფერია, ტკბილი, არის მჟავე. ესეცა იქნების არცა ტკბილი იყოს და არცა მჟავე. ესეთიცა იქნების რომე არაფერი გემო არა ჰქონდეს, რა-ბელიცა მჟავე არის გრილი სენი შეექნას და ის რომე არცა ტკბილია და არცა მჟავე ისი სჯობს. ტკბილი ვაშლი მხურვალი არის, და ის რომე არაფერი გემო არა აქუს, იმას წესიერი გემო აქუს და სინედლე. კაცისა გუნება რომ გრილი იყოს მას ტკბილი უნდა. გუნება მხურვალსა, ზაფრიანსა, მჟავე ვაშლი უჯობს. ტკბილი ვაშლი გულის ძგერას არგებს და რაზომცა გვიან გავიდეს სტომაქიდან სჯობს. გულსა კარგად მოუხდების და მუცელსა შეჰკრავს და ქარიცა აქუს.“<sup>1</sup>

მსხლის ჯიშებს შორის სასარგებლოდ ითვლებოდა ჩინური ჯიშის მსხალი: „ჩინური მსხალი ერთობ კაცსა არგებს,“<sup>2</sup> ვკითხულობთ „უსწორო კარაბადინში“.

ხილი გამხმარი, ჩირის სახითაც ინმარებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხილის ზამთრისათვის შენახვას. შემუშავებული იყო ხილის შენახვის სპეციალური წესები, რომლებიც სხვადასხვა ხილისათვის სხვადასხვა იყო.

ხილისაგან მურაბებს, ხილის წვევნებსა და შარბათებსაც ამზადებდნენ. ხილს ხარშავდნენ თაფლში ან შაქარში. შაქარსა და თაფლს დიდი კვებითი ღირებულება ენიჭებოდა. ცნობილია, რომ მეფუტკრეობას საქართველოში ჯერ კიდევ უძველეს ხანაში მისდევდნენ. ამას ანტიკური ხანის არა ერთი უცხოელა მწერალი აღნიშნავდა. შემდეგ საუკუნეებში მეფუტკრეობა კიდევ უფრო გავრცელებულა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეფუტკრეობით საქართველოს ზოგიერთი რაიონი.

როგორც „უსწორო კარაბადინიდან“ ირკვევა, საჭმელი თაფლი ფიჭისაგან იწმინდებოდა. რადგან ფიჭობდნენ, რომ ფიჭას შეუძლია ნაწლავებში გაზების დაგროვება გამოიწვიოს: „გაუწმენდელი თაფლი ქარიანი არის.“<sup>3</sup>

იცოდნენ, რომ შეიძლება თაფლი იელიანი იყოს და მან ადამიანს აწყინოს. ამიტომ ასეთი თაფლის ქამა დაუშვებლად ითვლებოდა.

ძველად საქართველოში ცნობილი ყოფილა ორი სახის შაქარი: წითელი და ყვითელი. წითელი შაქარი შაქრის ლერწმისაგან დამზადებულ შაქარს ეწოდებოდა, რგი მეტეორიზმის გამომწვევად ითვლებოდა. საუკეთესოდ მიაჩნდათ თეთრი შაქარი: „თეთრი შაქარი ყოვლს შაქარსა სჯობს.“<sup>4</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე სხვა ფაქტორებს, რაზეც ქვემოთ გვიქვინება ლაპარაკი.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 452.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 451.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 421.

<sup>4</sup> „იადიგარ დაულო“, გვ. 182.

## ქომახნალური ჰიზიენა

ძველ ქართულ სამედიცინო და ჩასამედიცინო წყაროებში გვხვდება მრავალი საყურადღებო შეხედულება, რომლებიც კომუნალური ჰიგიენის საკითხებს შეეხება. ასეთია შეხედულებანი ჰაერის, ჰაერის, ამინდის, წყლის, ნიადაგის, დასახლებული ადგილების, ბინის, გათბობის, განათების, წყალმომარაგების, აბანოების და სხვათა შესახებ. ეს შეხედულებანი, როგორც არაერთხელ აღნიშნეთ, ხანგრძლივ დაკვირვებას და გამოცდილებას ემყარებოდა და მათ გარკვეული პრაქტიკული ღირებულება ჰქონდათ.

ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჰაერის მაჩვენებლებს. ყურადღება ექცეოდა როგორი იყო ჰაერის ტემპერატურა, მოძრაობა, სინოტივე, მტვრის შემცველობა და სხვ. ამ ფიზიკური მაჩვენებლების ინსტრუმენტებით გაზომვა ძველად XIX საუკუნემდე არ წარმოებდა, მაგრამ ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ მოვლენებზე ხანგრძლივი დაკვირვების დროს აღნიშნულ მაჩვენებლებს სწავლობდნენ და შეეძლოთ მის საფუძველზე ადგილმდებარეობის გარკვეული შეფასება მოეცათ. ამით აიხსნება, რომ ჰაერსა და ჰაერს შორის მკვეთრ საზღვარს არ ატარებდნენ და ისინი უმეტესად ერთი და იგივედ მიაჩნდათ.

როგორც აღნიშნეთ, ჰაერის შეფასება ხდებოდა ზოგიერთი ფიზიკური მაჩვენებლის მიხედვით. ამ მხრივ საინტერესოა იაკობ ტურტაველის მიერ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის დახასიათება, რომელიც მის თხზულებაში არის წარმოდგენილი. იაკობ ტურტაველს ჯანმრთელობისათვის მავნედ მიაჩნდა „ცეცხლებერ შემწული მსურვალეა მზისა და ქარნი ხორშაქნი“<sup>1</sup> ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ—ჰაერის მაღალი ტემპერატურა და ცხელი ქარი. იგი სრულიად სამართლიანად უკავშირებს აღნიშნულ ფაქტორებს დაავადებათა გავრცელებას ამ ადგილის მკვიდრთა შორის.

ჯანმრთელობისათვის მავნედ ითვლებოდა, აგრეთვე, ტენიანი ჰაერი: „წყლიანისა ჰაერი ავი და საზიანო იყოს.“<sup>2</sup>

ჯანსაღად ითვლებოდა ისეთი ჰაერი, რომელიც ზომიერად, „კეთილად შეზავებული“ იქნებოდა ყველა აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით. სითბოს მხრივ „არც მწოედ ცხელი იყოს და არც მწოედ ცივი“<sup>3</sup>—გვითხულობთ „იადიგარ დაუდში“. ჰაერი არ უნდა ყოფილიყო მტვრის დიდი რაოდენობით შემცველი.

XVIII საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ხელნაწერში ამ საკითხისადმი სპე-

<sup>1</sup> ი ა კ ბ ტ უ რ ტ ა ვ ე ლ ი, „წამებაი წმიდისა შემანიისი დედოფლისაი“, დასახელებული გამოცემა, გვ. 41.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 423.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 105.

ციალური თავია მიძღვნილი, რომელსაც ეწოდება „ჰავა, ანუ ჰაერი“. მასში ნათქვამია, რომ „ჩვენი სიცოცხლე ჰავაზედ ჰკიდია, ამას ბევრი სიტყვა არ უნდა. ვინც ნოტიანსა და გრილსა ჰავაში ცხოვრობენ, ნიადაგ ავად არიან ცივებითა; სურავანდითა, ყვანითა, მუწუყის გამოყრითა და სხუებითა. და რომელნიც რომ ამისთანა ჰავაში არ არიან, სრულობით არ იციან და დია ცოტა თუა ეს სნეულებები.“<sup>1</sup>

ძველად საქართველოში არჩევდნენ ჰაის შემდეგ სახეებს: მშრალს, რომელიც ქვიშნარნიდაგიანი ზონისთვის არის დამახასიათებელი; ზომიერს, რომელიც ზღვისა და მდინარეების პირისთვის არის დამახასიათებელი და მთის ჰავას. ამ უკანასკნელის შესახებ „უსწორო კარაბადინში“ ნათქვამია: „მთისა უფრო მრთელნი იყუნეს და ტყიანის ალაგისა.“<sup>2</sup>

ასეთი იყო კლიმატური ზონების ზოგადი დაყოფა. ამას გარდა ცნობილი იყო საქართველოს ცალკეული დასახლებული ადგილების და უფრო ვრცელი ტერიტორიებისათვის დამახასიათებელი კლიმატური მაჩვენებლები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ვახუშტის ცნობილი წიგნში—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წარმოდგენილი აღწერილობანი.<sup>3</sup>

ვახუშტი საქართველოს თითქმის ყველა კუთხის კლიმატურ დახასიათებას იძლევა, ხოლო ზოგჯერ მაინც აღნიშნავს მის ცალკეულ ელემენტებს.

მაგალითად, მდ. ბერდუჯის ხეობა „ჰავით არს ზაფხულ ცხელი, გაუძლისი, ზამთარ კეთილმშვენიერი, რამე თუ არ დაადგრების თოვლი დღე ორ“,<sup>4</sup> დაბანის ხევი „ჰავით არს მშვენი, არამედ ზამთარს ცივი, ზაფხულს ცხელი...“<sup>5</sup> „თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად მშვენიერი, ბალანოვანი, ყვავილოვანი...“<sup>6</sup> თბილისი—„ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი. გაზაფხულ-შემოდგომამშვენი და სატრფო“<sup>7</sup>, კავთის ხევი—„ზაფხულს გრილი, წყაროიანი; ზამთარ თბილი“<sup>8</sup>, მცხეთა „არს ზამთარს ცივი, ქარიანი, ზაფხულ ცხელი, არამედ ჰავით მშვენი...“<sup>9</sup> გორი—„ზაფხულ კეთილი ზამთარს ცივი, ქარიანი.“<sup>10</sup> ქვიშხეთი—„ზაფხულს ჰავითა ამო, მშვენიერი, ზამთარ ცივი, ქარიანი, საჭირო.“<sup>11</sup> კახეთი „ჰავითა არიან მშვენი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, იცორე—თოვლიანი, უყინულო, უყინვო, ვინათგან ვეროდეს განჰყინავს მდინა-

1 „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საელმწიფო საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. იოანე ბატონიშვილის ფონდო, № 136, ფ. 14r.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 423.

3 საქართველოს კლიმატი ვახუშტის შრომის მიხედვით დაწერილებითაა შესწავლილი ნ. კოჩიაშვილის და გ. კირაქაძის მიერ. იხ. „ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. I, 1947.

4 ვახუშტი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. დასახლებული გამოცემა, გვ. 34.

5 იქვე, გვ. 39.

6 იქვე, გვ. 42.

7 იქვე, გვ. 54.

8 იქვე, გვ. 55.

9 იქვე, გვ. 61.

10 იქვე, გვ. 74.

11 იქვე, გვ. 81.

რეთა, და არცა დაადგარების თოვლი დღე სამ, და უქარო. არამედ აღაზნისა და იორის კიდენი და მისი ქვემოთნი ფრიად შხამიანი, ცხელნი და გაუძლისნი.“<sup>1</sup> ელისენის მიდამოები—„ჰავითა ცხელი, ხაშშიანი ზაფხულს არამედ მთის კერძნი კეთილ აგარაკოვანნი და მშვენი-ხოლო ზამთარს კეთილჰაოვანი, თბილი. უთოვლო, უყინულო.“<sup>2</sup> სამცხე—„ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შგზავებული, რამეთუ აქუს მთიანი და აგარაკიანი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თვინიერ აგარაკთა. ჰავით მშვენი და კეთილი, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგრეთი.“<sup>3</sup> იმერეთი „ჰავითა კეთილ-მშვენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინადგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამე. ზამთარ თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინანეს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყვი, ანუ მეტყველი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე როდესმე მხარი და უმეტესიცა.“<sup>4</sup> „და არ ჰავითა ესე ოდინი მშვენი. ზაფხულს ზღვის პირნი დ ვაკენი ცხელი და არა გაუძლისი, მთის კერძონი გრილნი, აგარაკოვანნი, კეთილნი. ზამთარ თბილი, არამედ ზაფხულიცა სველი, და ნამიანი, და ნოტიო, გარნა უწყინარ-უვნო, უქარო და უყინვო, დიდთოვლიანი.“<sup>5</sup> გურია—„ჰავითა არს კეთილი და მშვენი, ზაფხულს ცხელი, წვიმიანი, სოელი, ნოტიო. ზამთარ თბილი, დიდ-თოვლიანი, ვითარცა იმერეთი, და უყინვო.“<sup>6</sup>

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ვახუშტი კლიმატის დახასიათების დროს უმთავრესად ყურადღებას აქცევდა ჰაერის ტემპერატურას, ქარების მოძრაობას, ნალექებს და სხვ. ამ მაჩვენებლებს იგი აფასებს იმის მიხედვით. თუ რა გავლენას ახდენენ ისინი ადამიანის ორგანიზმზე და სოფლის მეურნეობაზე. ორმოცზე მეტი ტერმინი აქვს მას გამოყენებული საქართველოს კლიმატური მაჩვენებლების აღსანიშნავად.

სრულყოფილ სამართლიანად მიაჩნდათ, რომ არამართო კლიმატური მაჩვენებლები, არამედ ამა თუ იმ პერიოდის ამინდისათვის დამახასიათებელი მეტეოროლოგიური ფაქტორები გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე და შეუძლიათ გარკვეული როლი ითამაშონ, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნების, ისე დაავადების განვითარების საქმეში.

წელიწადის ცხელი პერიოდი ცხელებით მიმდინარე დაავადებების, ხოლო ცივი თვეები ზველის, სახსრების. ყელის ტკივილის და სხვა მსგავსი სნეულეზების გავრცელების ხელის შემწყობად ითვლებოდა.<sup>7</sup>

ცნობილი იყო, რომ „ყოველი დრო წელიწადისა შემოიტანს სხუასა და სხუასა სნეულეზასა.“<sup>8</sup>

1 ვახუშტი, „იღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 87, 88.

2 იქვე, გვ. 96.

3 იქვე, გვ. 12.

4 იქვე, გვ. 145.

5 იქვე, გვ. 169, 170.

6 იქვე, გვ. 176.

7 „ილიგარ დაუდი“, გვ. 100, 101.

8 „კარაბადინი“. ხელნაწერი ინახება სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 136, გვ. 14 v.

როგორც ვნახეთ, ჰავას, ჰაერის მაჩვენებლებს ძველად საქართველოში სამედიცინო თვალსაზრისით გარკვეული ყურადღება ექცეოდა. მნიშვნელობას ანიჭებდნენ აგრეთვე ნიადაგის და წყლის შემადგენლობას, მათ თვისებებს.

არჩევდნენ ადამიანის სასმელად ვარგისს და უვარგისს წყალს, ანუ, როგორც იაკობ ცურტაველი იტყვის, „მავნე წყალს.“<sup>1</sup>

წყლის ვარგისიანობის შესახებ მსჯელობდნენ მისი ფერის, გამკვირვალბის, სისქის, გემოს, სუნის, წონის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

ცნობილი ყოფილა, რომ სასმელად ვარგისი წყალი უნდა ყოფილიყო გამკვირვალე, წმინდა, აუმღვრეველი, მსუბუქი, არ უნდა ჰქონოდა მლაშე გემო, რაიმე ნივთიერების სუნი, მაგალითად, რკინის აჯასპის ან რომელიმე სხვა ნივთიერებისა: „ნიშანი ყოელისა ფერისა წყალისა: თეთრი და წმინდა წყალი სჯობს და ტკბილი, ასრე რომე ჰია არ ისხდეს და სასწორშიგა სუბუქი იყოს და სტომაქით აღრე გავიდოდეს...“<sup>2</sup>

„მართებს, კაცი რომე მღურრივესა და მლაშისა წყლისაგან ფრთხილად იყოს.“<sup>3</sup>

„მწარე წყალი ნიადაგ მუცელსა გახსნის.“<sup>4</sup>

„წყლისა სიკეთე ის არის, რომე ეს წყალი იყოს წმინდა, გემო კარგი.“<sup>5</sup>

სასმელად უვარგისად ითვლებოდა გაჩერებული, დაგუბებული წყალი: „წყალი გუბისა რომე გზა არსითა ჰქონდეს, შიგა ლერწამი და ჰაობი იყოს ავია, რაცა კაცსა ზიანს უზამს...“<sup>6</sup>

„ერთსა ალაგსა რომე წყალი იღგეს და არ გასდიოდეს, ის წყალი კაცმან არ უნდა სუას, თვარადა უსათუოდ კაცსა აწყენს და ავსა სენებსა შიჯს... აგრეთვე თოვლიანი და ყინულიანი წყალი კაცსა აწყენს და, თუ კაცსა მწოდ არ ექირების და ან შიგნით მწოდ სიცხე და სიმზურვალე არა აქვს, არც კი უნდა სუას, თვარემდა აწყენს და სტომაქსა წაუხდენს.“<sup>7</sup>

ცნობილი ყოფილა, რომ ჩამდინარე წყლები გავლენას ახდენენ და გემოს უცვლიან წყალს, აგრეთვე შიგ მყოფ თევზეულსაც. ვახუშტის აღწერილი აქვს, რომ ფარავნის ტბა, რომლის წყალი სასმელად ვარგისად ითვლება, ძველად ჩამდინარე წყლებით უგემურდებოდა და სხვ.

„ხოლო ტბა ფანავრისა არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რომეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ზვასტანენი ქართლისა და კახეთისანი, და ნეხვი მისი გამდნარისაგან თოვლისა შესდის ტბას მას, და იტყვიან მის გამო უგემურობასა.“<sup>8</sup>

სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წყალს დადგამდნენ დასალექავად, ანდა აღულებდნენ, ძმარს გაურევდნენ და სხვ.

<sup>1</sup> იაკობ ცურტაველი, „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, დასახელებული გამოცემა, გვ. 41.

<sup>2</sup> „სამეურნალო წიგნი“, გვ. 441.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 109.

<sup>6</sup> „უწარო კარაბადინი“, გვ. 459.

<sup>7</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 109.

<sup>8</sup> ვახუშტი, „ადღორა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 43.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „ეს ავი წყალი... მოადუღონ და დაწმინდონ რაცა ავის წყლის სუნი იყოს ყველა გაწმინდოს.“<sup>1</sup>

ასეთივე ცნობები გვხვდება XV—XVI და შემდეგი საუკუნეების წყაროებში: „წყალი რომე სქელი იყოს, ძირათი შესუას. წყალი მწოედ მლაშე ძმრითა და სიქანგუბინითა სუას... წყალი რომე არჯასპისა სული უდიოდეს, თუ ისი სუას, იმას ლუინო გასტეხს, და მერმე ესეთი საკმელი ჭამოს, მუცელი დაუღბოს.“<sup>2</sup>

აღნიშნულ ზომებს მიმართავდნენ, ცხადია, მაშინ, როცა სხვა გამოსავალი არ იყო.

„თუ უღონობა იყოს, აღუღოს, ასრე რომე ნახევარი დარჩეს, და მერმე სუას.“<sup>3</sup>

„და თუ უღონოდ გახდეს და ამა ალაგსა სხვა წყალი არ იყოს, ასრე უნდა მოადუღონ, თუ მოუყიდეს ჭაფი მოჰხადონ, გააციონ და ისრე სუან.“<sup>4</sup>

„სადაც წმინდა წყალი არ იშობება ან მოადუღონ და ან ცოტა ძმარი გაუ-რიონ და ან ღვინო.“<sup>5</sup>

ძველად საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ადგილობრივ თავისებურებათა და ბუნებრივი პირობების შესაბამისად სასამელად იხმარებოდა: წყაროს, ტბის, მდინარის, ტბის, წვიმის წყალი. უმთავრესად იხმარებოდა წყაროს წყალი, რადგან საქართველოში წყაროები მრავალი იყო. მარტო ვახუშტის თავის „გეოგრაფიაში“ მრავალი წყარო აქვს დასახელებული, რომელთა უმეტესობა სასწრაფო წყლის მომცემი იყო. ამავე აღნიშნავენ უცხოელი ავტორებიც.<sup>6</sup>

გუბისწყლის რაიონში უფრო ქის წყლით სარგებლობდნენ: „იზრდებიან ქით...“<sup>7</sup>

როგორც აღვნიშნეთ, სასამელად ტბისა და წვიმის წყალიც იხმარებოდა. ტბის წყალს ხმარობდნენ, თუ ის სასამელად ვარგისი იყო, ხოლო წვიმის წყალი უდაბნოს მცხოვრებლების იძულებითი სასამელი იყო. წვიმის წყლის სასამელად გამოყენება საქართველოში მეტად იშვიათად ხდებოდა.

სასამელად ტბის წყლის გამოყენების შესახებ საყურადღებოა ვახუშტის ცნობა: „ტბის-ყურისა არს წყალი ანგარა. სასამელად ტბილი და შემრგო.“<sup>8</sup>

როგორც ჩვენს დროში ჩატარებული გამოკვლევებით ცხადი გახდა, ტბა-წყურის წყალი სასამელად ვარგისია.<sup>9</sup>

გარეჯის უდაბნოში წყლის ნაკლებობის გამო კლდეში ამოკვეთილ ქეიზის დაგროვილი წვიმის წყლით სარგებლობდნენ: „არა არს აქა წყალი, არამედ იპრობენ წვიმისაგან კლდის ქათა შინა და სმენ მას.“<sup>10</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 459.

2 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 442.

3 იქვე, გვ. 441.

4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 109.

5 „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება სალტიკოვ-შჩედრანის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 136 გვ. 10 v, 11 r.

6 არქანჯელო ლამბერტი. „სამეგრელოს აღწერა“, თარგმანი იტალიურიდან აღქესანდრე ქვონიკაი. ლენინგრადის სასამელის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი 1938. გვ. 6.

7 ვახუშტი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. დასახელებული გამოცემა, გვ. 164. ბ. იქვე, გვ. 45.

8 ქრონ. ვ. თ. კაციტაძე. ჰიგიენა, დასახელებული გამოცემა, გვ. 67.

9 ვახუშტი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 51.



განსაკუთრებით საინტერესოა, რა მდგომარეობა იყო ძველად საქართველოში წყალმომარაგების მხრივ, როგორ ხორციელდებოდა ქალაქებისა, ციხესიმაგრეების, დაბების სასმელი წყლით მომარაგება.

უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით საქართველოს ძველი ქალაქები კომუნალური ჰიგიენის თვალსაზრისით ნაკლებად, ან თითქმის სრულიად არაა შესწავლილი. მაგრამ ის, რაც ამჟამად არის ცნობილი, საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საქალაქო ცხოვრება, როგორ იყო მოწყობილი ქალაქები, ციხე-ქალაქები და სხვ.

ჩვენ, ცხადია, არ შევხვებით ქალაქის თავდაცვით ნაგებობებს, ციხეებს, გალავნებისა და თხრილების დახასიათებას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა როგორი იყო ქალაქის საერთო სახე, ადგილმდებარეობა, განლაგება შენობებისა, გზებისა და ქუჩების მდგომარეობა; იყო თუ არა საზოგადოებრივი სარგებლობის შენობები (აბანოები, ბაზრები, სავაჭროები და სხვ.), წყალსადენი, კანალიზაცია, სასაფლაოები და სხვ.

როგორც ცნობილია, საქართველოში გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პირობების შედეგად ფეოდალურ ხანაში საქალაქო ცხოვრებამ განსაკუთრებულ დონეს მიაღწია. აშენდა რამდენიმე ახალი ქალაქი, სახე და მნიშვნელობა შეიცვალა ძველმა ქალაქებმა. ახლა ქალაქები ქვეყნის ცხოვრებაში სულ სხვა როლს ასრულებდნენ, ვიდრე წინა საზოგადოებრივი ურთიერთობის დროს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ, კომუნალური ჰიგიენის თვალსაზრისით, ქალაქების განაშენიანების კულტურა საქართველოში მაღალ დონეზე იდგა უკვე ანტიკურ ხანაში და ამას უეჭველად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ქალაქების მოწყობის, ფეოდალური ხანის საქალაქო ცხოვრების განვითარების პროცესში.

ყოველგვარი დასახლებული პუნქტის და, ცხადია, განსაკუთრებით ქალაქის განვითარების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილის შერჩევას. ადგილის შეფასების დროს ანგარიშს უწყევდნენ არა მარტო იმას, რომ ადგილი უნდა ყოფილიყო სამხედრო თვალსაზრისით შესაფერისი, მოხერხებული თავდაცვისათვის და ახლოს სამიმოსვლო გზებთან, არამედ არანაკლებ ყურადღება ექცეოდა იმასაც, თუ როგორი იყო იმ რაიონში ჰავა, ნიადაგი, შეიძლებოდა თუ არა წყალმომარაგების მოწყობა, მცენარეების გაშენება და სხვ.

ადგილმდებარეობის შეფასების საუკეთესო მაგალითია მოცემული იაკობ ტურტაველის თხზულებაში „შუშანიკის წამება“.<sup>1</sup>

არა ნაკლებ საინტერესოა იოანე ზედაძნელის „ცხოვრების“ ის ადგილიც, სადაც ნათქვამია: „ჰაერისათვის კეთილისა და წყალთა ტკბილთა კეთილად და მდიდრად მცენარეთა აღმოდენისათვის...“ საქებია ეს მხარეო.<sup>2</sup>

სრულიად საწინააღმდეგო სურათია აღწერილი დავით გარესჯელის „ცხოვრებაში“. ავტორი ამ თხზულებისა იძლევა გარესჯის უდაბნოს დახასიათებას და დასკვნის, რომ იგი საცხოვრებლად შეუფერებელია.

„ხოლო ვითარცა მიიწვიენს პირველ თქმულსა მას უდაბნოსა შეიშთობოდეს წყურვილითა და თანად სიციხითა შეიწვებოდენ, რამეთუ ეს ადგილი მძაჟ-

<sup>1</sup> იაკობ ტურტაველი, „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, დასახლებული გამოცემა, გვ. 41.

<sup>2</sup> იოსებ II კათალიკოსი, იოანე ზედაძნელის ცხოვრება, „საქართველოს სამოთხე“. მ. საბინინის გამოცემა, სპბ., 1882, გვ. 195.

რად შემწველი არს მზისა მცხინვარებითა მიერ ზედ მოფენილთა; ვინაითგან ვორიოსა კერძოდ მყოფი და ყოვლითურთ განმარტებით მდებარე უმეტეს ყოველთა აღმოსავლეთისა სანახებთა სიცხისა მიერ შეკავენის, რომლისა ძლით და წყლისაგან ნაკულუევან არს და სხვათა ყოველთავე სხეულსა ნუეეშინის-წყემელთა სახმარათაგან.<sup>1</sup>

როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ირკვევა: განსაკუთრებით ხდებოდა სამონასტრო ადგილების შერჩევა, რადგან ცხოვრების მკაცრი წესების დაცვა კარგს არათერს უქადადა მონაზონის ჯანმრთელობას, თუ ბუნებრივი პირობები მანძე სასარგებლო არ იყო.

„არა არს მიწაი, არცა წყალი ქვეყანასა ამას. სადამცა მონასტერი აღეშენა, რამეთუ ტალანტი მონაზონისაი მარხეაი არს. და ამას მიწაი ზედა ვერ ეგების სარხეაი სულისაგან ხორშაკისა მკუდინებელისა.“<sup>2</sup>

ამავე თხზულებაში შესანიშნავად არის დახასიათებული კლარჯეთის მიდამოები, სადაც მონასტრების აშენებას აპირებდა გრიგოლი.

როცა გრიგოლმა კლარჯეთი დაათვალიერა, მეფე დიმიტრის განაოუკითხავს როგორი იყო მისი შეხედულება კლარჯეთის ბუნებრივი პირობების შესახებ: „გამოჰკითხა მეფემან დიმიტრი მამასა გრიგოლს გულსმოდგინეთ სახე კლარჯეთისა...“<sup>3</sup>

და აი, იგი იძლევა მის დახასიათებას: „ბუნებით ერთგულამ არს ქვეყანაი უდაბნოთაი მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რანეთუ არცა ღრიალი სიცხეი შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივეი შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნოტიოი, უხორშაკოი, უმიწოი, ნზუარეი, რამეთუ კაცთა ნახუნი ფერხთანი არა ოდეს თიხიან ეწმენებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშაი ნებისაებრ უნაკულოდ აქუს აღმოცენებული ქუიშათა მათ შინა, ურიცხვი მალნარი და სიმრავლეი წყალთა ჰამოთაი.“<sup>4</sup>

საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება დასახლების ადგილის შერჩევისა და შეფასების შესახებ შემთხვევითი როლია. ამ საკითხებს ძველ ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია.

მეთერთმეტე და შემდეგი საუკუნეების სამედიცინო დამწერლობით პეკულებში სპეციალური თავია გამოყოფილი—„ნიშანი ახლად დასახლებულისა.“<sup>5</sup> სადაც აღნიშნული საკითხებია განხილული.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „რა კაცი ახლა დასახლდებოდეს. ასრე უნდა, რომე სასახლე ასეთს ადგილს გამოარჩიოს რომე, თუ იგი ადგილისა აერი ავი იყოს, ასრე უნდა რომე სასახლე კარგსა ადგილსა მოაწყოს, მისი საზიანო უმტრო იყოს.“<sup>6</sup>

ასეთივე შეხედულებები გვხვდება XV, XVI და შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც.

<sup>1</sup> ანონიმი, დავით გარეჯელის ცხოვრება „საქართველოს სამოთხე“, გვ. 270.

<sup>2</sup> გიორგი მერჩული, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. დასახლებული გამოცემა, გვ. 114, 115.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 423.

<sup>6</sup> იქვე.

„იადიგარ დაუდში“ ნათქვამია: „...ალაგისა კარგი და ავი ჰავეა შეიტყოთ. აწე ესე უნდა იცოდეთ კაი ჰავეა და კაი ალაგი ის არის რომე მოჰთადილი და ზეზავებული იყოს, და არც მწოედ ცხელი იყოს და არც მწოედ ცივი, და იმათ ალაგსა კუამლი და ლული არ იყოს. აესულიანი ბალახი და ხეები არ იყოს რომე ავი აული უდიდეს.“<sup>1</sup>

ადგილის შერჩევის შემდეგ მთავარი იყო ქალაქის მოწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ ძველად ქალაქები მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არ იყო დიდი, მაინც ქალაქის გაშენების დროს გარკვეულ გეგმას იცავდნენ. ქალაქი ქალაქის რიგზე, წესზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი. ამის გაოქმე იგი ქალაქად ვერ ჩაითვლებოდა.

საუყრადღებოა ამ მხრივ ერთი ცნობა, რომელიც ეახუშტის „გეოგრაფიაში“ გვხვდება. ეახუშტის ქალაქად არ მიაჩნია ისეთი დასახლებული პუნქტი, რომელსაც ქალაქის შესაფერისი მმართველობა და „განწყობილება“, ანუ განლაგება არა აქვს: „ცვალად რაოდენნი დაბანი ციხოვან-კოშკოვანი დავსწერეთ, იგინი მათ უწოდებენ ქალაქად. არამედ ვინადგან არა აქუსთ მართველობა და განწყობილობა ქალაქთა, აქა დაბად ესთქეთ.“<sup>2</sup>

საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში არა ერთი ქალაქი იყო გაშენებული. ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან საქალაქო ცხოვრება უფრო წინ წასულა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღნიშნული პერიოდის მნიშვნელოვანი მონუმენტური ნაგებობანი იყო გამოვლენილი, მათ შორის, როგორც საკულტო, ისე საცხოვრებელი ხასიათისა და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები.

საუყრადღებოა, რომ ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი, რომელსაც ალბათ მანახი ექნებოდა საბერძნეთის ცნობილი დიდი ქალაქები, მაინც ერთგვარი ალტაცებით აღნიშნავდა, რომ იბერია მშვენივრად არის დასახლებული უქეტესწილად ქალაქებად და დაბებად. სასახლეები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები ხუროთმოძღვრების წესის თანახმად არის აგებული.<sup>3</sup>

ასეთნაირადვე ახასიათებდა დასავლეთ საქართველოს სამეფოს—კოლხეთის ქალაქებს აპოლონიოს როდოსელი.<sup>4</sup>

საქართველოს ქალაქებში საქალაქო ცხოვრება კიდევ უფრო მაღალ დონეზე მდგარა ფეოდალურ ხანაში. იმდროინდელ ქალაქებში გაკეთებული იყო ქვაფენილიანი ქუჩები (თბილისი, ქუთაისი, სამშვილდე, დმანისი და სხვ.), აშენებული იყო სავაჭრო-სახელოსნო შენობები, რომლებსაც ჯერ „საფარდულე“, შემდეგ (X—XI საუკუნეებიდან)—„ქულბაქი“ და XVIII საუკუნიდან „დუქანი“ ეწოდებოდა.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 105.

<sup>2</sup> „არაბადინი“, ინახება აქად. ს. ჭანაშაის სახელობის სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. უონდი H, № 304, ფ, 6 რ.

<sup>3</sup> ეახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა, დასახლებული გამოცემა, გვ. 117.

<sup>4</sup> თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, თბილისი, 1957, გვ. 127.

<sup>5</sup> აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვიანი და გამმარტება დ-ურთო აკაკი ურუშაძემ. სახელგამო, თბილისი, 1948.

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო-სახელოსნო და საზოგადოებრივი დანიშნულე-ბის ნაგებობათა არსებობა აუცილებელი იყო ქალაქებისათვის მიუხედავად მათი სიდიდისა.

ისევე პატარა ქალაქში, როგორც იყო ატენი, დარბაზები, ქულბაქები და სხვა ნაგებობანი იყო აშენებული.

„...ვითა სწაღდა მეფობასა მათსა, ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვიწყალნა მეფობამან მათმან: სასახლენი ადგილნი და საქოლბაგენი მკვიდრად ნებიერობით გვიბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენებაი შეეცლო.“<sup>1</sup>

ქალაქებში გამოყოფილი იყო ცალკე ადგილები ვაჭრობისათვის. ასეთ ადგილებს VIII—IX საუკუნეებში „მოედნები“ ერქვა, შემდეგ, XII საუკუნიდან ბაზარი ეწოდებოდა.

შარდენი წერდა: „ტფილისში რამდენიმე კარგი საჯარო შენობაა, აქ არის ქვით ნაშენი და კარგად შენახული დიდი საბაზრო შენობები. ასეთივეა ქარვასლებიც.“<sup>2</sup>

„გამართულია მოედანი, რომელსაც უჭირავს სიგრძით 250 ნაბიჯი და სიგანით 50 ნაბიჯი. ეს არის სამეგრელოს დიდი ბაზარი.“<sup>3</sup>

ასევე ახასიათებს იგი ქუთაისს.

სავაჭრო, სახელოსნო და საზოგადოებრივი დანიშნულების ორ-სამსართულიანი ნაგებობანი სხვა ქალაქებშიც ბევრი იყო. მაგრამ ჩვენთვის, ჰიგიენური თვალსაზრისით, საინტერესო ის არის, რომ ასეთ პირობებში სიბინძურე ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე აღნიშნულ ნაგებობათა და ვაჭრობისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარეშე იქნებოდა. სად ის, როცა ყოველ ვაჭარს შეეძლებოდა სადაც უნდოდა—ქუჩაში თუ სხვა ადგილას გაეშალა სავაჭრო და დენაგვიანებინა ქალაქი და სად ის, როცა ამის უფლება არ ექნებოდა.

ისიც საყურადღებოა, რომ თბილისის სავაჭრო ადგილები, როგორც შარდენი აღნიშნავს, სუფთად ყოფილა შენახული: „დუქნები კარგად არის მოწყობილი, სუფთად შენახული და მალლობზე დგას, დიდი მოედნის პირას.“<sup>4</sup>

როგორც ჩანს. ქალაქში სისუფთავის დაცვას გარკვეული ყურადღება ექცეოდა. ეს საქმე XVI საუკუნიდან სპეციალურ პირს ევალებოდა, რომელსაც მელიქ-მამასახლისს უწოდებდნენ. „მელიქ-მამასახლისს ევალებოდა ქალაქში წესიერების შეთვალყურება. მას ასევე უნდა ეზრუნა ქალაქის სისუფთავეზე და სათანადო ზომები მიეღო ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> ატენის სიონის 1060—68 წ. წარწერა, მოგვეყვას პროფ. ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1946, გვ. 35.

<sup>2</sup> შარდენი, „მოგზაურობა საქართველოში“, დასახელებული გამოცემა, გვ. 94.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>5</sup> დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, „თბილისის ისტორია“, საბლიტგამი, თბილისი, 1952, გვ. 258.

ამიტომ უნდა გაჰყვირებოდა ვახუშტის, რომ მის დროს უკვე თბილისის ქუჩები უსუფთაოდ გამოიყურებოდნენ.<sup>1</sup>

შემთხვევათი არ არის ისიც, რომ XI საუკუნის დამწერლობით ძეგლებში გვხვდება ტერმინი ს ა ს დ უ ნ ი, რაც, საბას განმარტებით, მწერის გასადინარ ხერხს ეწოდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტერმინი აღმნიშვნელია კანალიზაციის ერთ-ერთი ნაწილის თუ ადგილისა.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ნაგვის დასაყრელი ადგილის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი ს ა ნ ა გ ე ე. რომელიც საბას თავის ლექსიკონში შეუტანია. ალბათ დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით ქალაქებში, გამოყოფილი იქნებოდა სპეციალური ადგილები ნაგვის გადასაყრელად და ეს ტერმინიც აქედან შემოვიდოდა ხმარებაში.

XVIII საუკუნის სამედიცინო ხელნაწერებში პირდაპირ მოთხოვნასავით არის წამოყენებული, რომ ქალაქებში, „სადაც თოვლისა და წვიმის წყალი დგება, მიწით აავსონ ან რუთ გაიტანონ. ქუჩები იყოს წმინდა, ნაგავი გაიტანონ შორად და უსიტყვოდ. ლეში დამარხონ შორს ქალაქისაგან, რომელთაც ხელოვნობისაგან სიმყრალე გამოდის და აგრეთვე საყასბო, არა თუ ქალაქისაგან უნდა იყოს შორს, დიდი გზისაგანაც.“<sup>2</sup>

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქალაქებში და სხვა დასახლებულ პუნქტებში აგებული იყო წყალსადენები, აბანოები, გამოყოფილი იყო ცალკე ადგილები ნივთიერებულთა დასაქრძალავად. აღსანიშნავია, რომ საქართველოში. არამარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც სასაფლაოსათვის ტერიტორია უმეტეს შემთხვევაში ნოსახლეობისაგან მოშორებითა და შემალღებულ ადგილას იყო გამოყოფილი. რასაც, ჰიგიენური თვალსაზრისით, გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა გვამების ლაობის დროს გამოყოფილი მავნე პაროდუქტებისაგან დასახლებული ადგილების ნიადაგისა და ჰაერის გაბინძურების თავიდან აცილების საქმეში.

გვეცნოთ როგორ იყო მოწყობილი საცხოვრებელი ნაგებობა და რა ჰიგიენური მოთხოვნებიანი წაეყენებოდა მას.

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე გამოარკვია, ძველად საქართველოში საცხოვრებელი ადგილისა და ნაგებობის აღმნიშვნელად იხმარებოდა ზოგადი სახელი: ს ა მ ყ ო ფ ი, ს ა დ გ ო მ ი, ვ ა ნ ი, ს ა ხ ლ ი და სხვ. პატარა სახლს ს ა ხ ლ ა კ ი რქმევია.

ჩვენთვის ამჟამად უფრო საყურადღებოა ის, რომ დიდ საცხოვრებელ წინობათა კომპლექსში შედიოდა სპეციალური დანიშნულების ოთახები და სახლები, რომლებსაც გარკვეული ჰიგიენური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ. მათ შორის აღსანიშნავია ს ა წ ო ლ ი, ს ა ს ტ უ მ რ ო, ს ა კ უ ჭ ნ ა ო, ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო ს ა ხ ლ ი და მ ა რ ა ნ ი.

ცნობილია, თუ როგორი ანტისანიტარული მდგომარეობა იქმნება, როცა ბინას სამზარეულო არ გააჩნია. არაფერს ვამბობთ საკუჭნაოსა, მარანისა და სხვათა შესახებ.

1 ვ ა ხ უ შ ტ ი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახლებული გამოცემა, გვ. 54.

2 „კარაბადინი“. ხელნაწერი ინახება სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საქარა ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 136, ფ. 14 v.

ამიტომ საცხოვრებელ შენობათა კომპლექსში ასეთი დანიშნულების ნაწილების გათვალისწინება უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ძველად საქართველოში შეძლებისდაგვარად ყურადღება ექცეოდა ისეთი წესების დაცვას, რომლებიც კომუნალური ჰიგიენის თვალსაზრისით სრულიად გამართლებულია.

ცნება „სამზარეულო“ გვხვდება დამწერლობით წყაროებში უკვე V საუკუნიდან. იგი დასახელებულია „დაბადებამი“, ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელში და შემდეგი ხანის წყაროებში.

არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ სამეგრელოში, ვისაც კი შეეძლო, ცალ-ცალკე ჰქონდა სასტუმრო, საწოლი, ტანისამოსის შესანახი, სურსათის საწყობი და სხვ.

„ალაყაფის კარებში რომ შეხვალთ, პირველად წარმოგიდგებათ ყველაზე უფრო დიდი შენობა, რომელსაც მეგრულად ოხროო ჰქვიან და რომელიც სტუმრების მისაღებად არის დანიშნული.

...ოხროოს იქით სხვა შენობები დგას: ერთ სახლში ცხოვრობენ და იძინებენ. ეს სახლი, როგორც ნათქვამია ზემოთ, ერთის ოთახისაგან შესდგება და ცალ-ცალკე განყოფილება მას არა აქვს. მეორე შენობა მარანია, მესამე ტანისამოსის შესანახი შენობაა და მეოთხე სურსათის საწყობი.“<sup>1</sup>

ტანისამოსის შესანახი შენობა მაღალ კოშკს წარმოადგენდა, რომ ტანისამოსი არ დანოტივებულიყო.

ეს ისე არ უნდა გაეიგოთ, რომ სამეგრელოში ან საქართველოს სხვა კუთხეებში მთელი პოსახლეობა ამგვარად იყო მოწყობილი. ცხადია, რომ ღარიბი მოსახლეობა უსახსრობის გამო ამას ვერ შეძლებდა.

საცხოვრებელ სახლს მნიშვნელოვანი ჰიგიენური მოთხოვნილებანი უნდა დაეკმაყოფილებინა. ჭერი უნდა ყოფილიყო მაღალი, ფანჯრები აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით უნდა ჰქონოდა, რომ სნივები მზის ამოსვლისთანავე შესულიყო და სხვ. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ XI საუკუნის სამედიცინო წყაროებში.

„სასახლე ასეთს ალაგსა ქნას, რომე რაგვარაცა მზე ამოვიდეს მოადგეს და კედელნი უყუენეს და ჭერნი მაღლით იყენენ, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, სარკმელნი დიდროანი იყოს, რომე რაგვარაცა მზე მოვიდეს სახლს შეადგენ და აერი გაამშვენიეროს. დიდსა მთისა ძირსა თუ სახლი ჰქნა, რომე მთა აღმოსავლეთით იყოს, სხვისა ალაგისაგან სნეულობა იქი უწინ იქნება. და თუ მთა დასავლეთით იყოს არა გავარა.“<sup>2</sup>

ასეთი შეხედულება გავრცელებული იყო XV, XVI და შემდეგ საუკუნეებშიც. იმ ხანის ერთ-ერთ დამწერლობით სამედიცინო ძეგლში ნათქვამია: „და ესრე უნდა რომე თვითონ ეს სახლიცა მაღალი და დიდი იყოს და ერთი კარი აღმოსავლეთისაკენ ჰქონდის და ერთი კარი ჩრდილოეთისაკენ, და ჩრდილოეთის კარი მუდმად მოსდიოდეს, და ესე კარი სახლშიგან შემოდიოდეს, და მზეცა მუდმად შემოადგებოდეს.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“. დასახელებული გამოცემა გვ. 35, 36.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 423.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 105.

იქვე ნათქვამია: "... სახლი კედელსა და კედელს შუა დამწყურდებული არ იყოს. გაშლილსა, მალასა და შანდაკს ალაგსა იყოს და ღრმასა ალაგებშიცა არ იდგეს. სახლებისა და კედლების მოფარებით არ იყოს."<sup>1</sup>

ყურადღება ექცეოდა ოთახის ჰაერის გამოცვლას. კარ-ფანჯრებს ალებდნენ და ჰაერს ანიავედნენ. „დღეში ორჯერ ფანჯრები და კარები გააღონ ჰაერის გამოსატოვლად. და უწმინდურად არ შეინახონ სახლი.“<sup>2</sup>

მნიშვნელობას ანიჭებდნენ აგრეთვე „ზომიერ სითბოს სახლში“, რადგან მას გარკვეულ როლს მიაწერდნენ ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში.<sup>3</sup>

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ძველთაგანვე განსაკუთრებულად ყურადღება ექცეოდა ქალაქების, ციხე-ქალაქების, დაბების და სოფლების, მონასტრებისა და სხვა დასახლებული ადგილების წყლით მომარაგებას. თუ აღნიშნულ დასახლებულ ადგილებში ახლო-მასლო წყაროები არ იყო, მაშინ სპეციალურად მოწყობილი წყალსადენით მოყავდათ წყალი. ზოგ შემთხვევაში, თუ წყალსადენის მოწყობა არ მოხერხდებოდა, კეთდებოდა გვირაბი წყლის წყაროსა და ციხე-ქალაქებს შორის, რომ ომიანობის დროს ალყაშემორტყმული ჯარი და მოსახლეობა უწყლოდ არ დარჩენილიყო. გარდა ამისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ციხე-ქალაქებში გაკეთებული იყო წყლის სამარაგო აუზები, რომლითაც სარგებლობდნენ წყლის საჭიროების შემთხვევაში.

არამზის, ანუ შიდა-ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინებული იქნა თიხის მილებისაგან გაკეთებული ორი წყალსადენი.<sup>4</sup>

წყალსადენის ნაშთები ნახულ იქნა ვაშნარში (მახარაძის რაიონი), რომელიც ლაზიკის ძველი ქალაქების: ნოქალაქევის, ვარდციხისა და ჯერ უცნობი ციხე-ქალაქის წყლით მომარაგების მიზნით უნდა იყოს გაკეთებული.<sup>5</sup>

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი წერს, რომ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქის—პეტრას მოსახლეობა წყალსადენით ლეზულობდა წყალს.

„როდესაც რომაელებმა აქ წყალსადენიდან გამომდინარე წყალიც იპოვეს, დიდ გაკვირვებას მიუცნენ და ვერ გარკვეულიყვნენ, სანამ არ შეიტყუეს საიდუმლო არხების ამბავი. თუ რაში მდგომარეობს ეს ამბავი, ახლავე განვმარტავ.“

როდესაც ზოსრომ პეტრა აიღო და აქ მცველი რაზმი ჩააყენა, მან კარგად იცოდა, რომ რომაელები ყოველი ღონით ეცდებოდნენ მის გარემოცვას და მაშინვე დაუყოვნებლივ შეეცდებოდნენ წყალსადენის გადაჭრას, და ამიტომ მისი აზრად შემდეგი. ის წყალი, რომელიც ქალაქში შემოდის, სამ ნაწილად

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 105.

<sup>2</sup> „კარაბადინი“. ხელნაწერი ინახება სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. იხ. იოანე ბატონიშვილის ფონდი, № 136, ფ. 15r.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ს. ჯანაშია, „საქართველოს ძველი დედაქალაქი“, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 19, 1945.

<sup>5</sup> გ. გობეჯიშვილი, „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1952, გვ. 155.

ეპყო, საკმარად ღრმა თხრილი ამოიღო და ჩააშენა სამი მილი: ერთი ქვემოთ თხრილის ძირში, რომელიც მან ნახვითა და ქვებით დაფარა შუა თხრილამდე: აქვე მეორე მილი ჩადვა და დამალა, ხოლო ზედ მესამე დააშენა, მიწის ზემოთ და ყველასათვის დასანახავად, ამრიგად, არხი, ფარულად, სამსართულიანი გამოვიდა. თავდაპირველად ალყა რომ შემოარტყეს, რომაელებმა ეს არ იცოდნენ და ის მილი რომ გადაჭრეს, რომელიც ჩანდა, მეტი კი აღარ გაუგრძელებიათ მუშაობა თხრილში, არამედ შეწყვიტეს მუშაობა, სანამ შემდეგ მილს მიაღწევდნენ, და ფიქრობდნენ, რომ ალყაშემორტყმულნი უწყლოდ დარჩენ: შეცდომაში ჩავარდნენ იმის წყალობით, რომ მუშაობა უთავბოლოდ ჩაატარეს. გარემოცვა რომ გაგრძელდა, რომელებმა ტყვედ ჩავარდნილი სპარსელებისაგან შეიტყეს, რომ ალყაშემორტყმულები წყალსადენიდან ლებულობდნენ წყალს. და, აი, მათ გათხარეს მიწა და აღმოაჩინეს ის მეორე მილი, მაშინვე გადაჭრეს ის და ფიქრობდნენ, რომ ამით მათ საბოლოოდ გასტეხეს მტრის ძალა, ისე რომ მეორე-ჯერაც წარსულის გაკეთილმა მათ ვერაფერი ასწავლა. ხოლო როდესაც ქალაქი აიღეს და დაინახეს, როგორც ვთქვამ, წყალსადენიდან მომდინარე წყალი, გაუკვირდათ და დიდ საგონებელში ჩავარდნენ. ტყვეებისაგან რომ საქმის ვითარება მოისმინეს, მიხვდნენ ნაგვიანებად, თუ რაოდენი სიბეჭითე გამოუჩენია მტერს საქმეში და როგორი დაუდევრობით მოჰქილებიან თვითონ მუშაობას.<sup>1</sup>

ექვს კილომეტრამდე სიგრძის წყალსადენის ნაშთები არის დარჩენილი ნადარბაზვეში. იგი გამოყვანილი უნდა იყოს XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე.

ნადარბაზვეის წყალსადენი მთაზე იწყება, ჩამოდის ტყით დაფარულ ფერდობზე, გაივლის დაბლობს და აღის ბორცვზე, რომელზეც სასახლე მდებარეობს. წყალს რომ ასეთი გზა შეუფერხებლად გაეცლო და ადგილამდე მისულიყო, ამისათვის წყალსადენი ჰავლის პრინციპზე აუგიათ.

წყალსადენი გაკეთებულია წითელი თიხის გამოშვარა მილებსაგან. ისინი ჩაწყობილია 50—90 სმ სიღრმეზე. ქვების ფილებით სპეციალურად შემოღობილ 18 სმ სიგანის არხში, რომელშიც წინასწარ დულაბის ფენაა დაფენილი. მილები შეერთებულია ერთმანეთთან ძაბრისებურად და გადაბმის ადგილებში დადულაბებულია. მილების ზემოთ 8 სმ სისქის ქვიშის ფენაა დაყრილი და შემდეგ გადახურულია ფილაქანით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქვიშის ფენა დაყრილია იმ მიზნით, რომ წყალი ცივად ყოფილიყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ მილების ჩაწყობის დროს ყურადღება მიუქცევიათ ნიადაგის ფენების ხასიათისათვის. სასახლის ტერიტორიის გარეთ, სადაც ნიადაგი რბილია, მილები სხვაგვარად არის ჩაწყობილი. სახელდობრ: არხში ჩასხმულია დულაბის სქელი ფენა, შემდეგ ზედ დაწყობილია მილები და გადაბმის შემდეგ კვლავ გადალეხილია მთლიანად დულაბით ისე, რომ მილების ირგვლივ შექმნილია დულაბის მუფთა. გარდა ამისა, ზევიდან დაფარებული აქვს ნახევარწრიული, კრამიტის მსგავსი საფარი და ბოლოს მასზე გაკეთებულია ბრტყელი ფილაქანი. ამრიგად, შექმნილია კამარა, რომელსაც შეეძლო დაეცვა მილები დარტყმისა და დაწნევისაგან.<sup>1</sup>

<sup>1</sup> პ რ ო კ ო პ ი ე ს ა რ ი ე ლ ი. De bello gothico. „გეორგია“, ტომი მეორე, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, ტფილისი, 1934, გვ. 147—149.

<sup>2</sup> ი რ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნადარბაზვეის წყალსადენი, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XI, № 8, 1950, გვ. 528—534.



ჩვენს აზრით, ეს ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო იმითაც, რომ სასახლის ტერიტორიის გარეთ წყალსადენს მეტი გაფრთხილება და ყურადღება სჭირდებოდა, რომ არავის დაეზიანებინა და წყალი არ გაბინძურებულიყო.

საქართველოს დედაქალაქ თბილისში, მთაწმინდასთან, ფუნიკულორის ტრასის მარცხნივ, 500 მეტრის დაშორებით, გამოვლინებულია ნაშთი XI—XII საუკუნეების წყალსადენისა, რომლის საშუალებით წყალი ოქროყანიდან მოდიოდა თბილისში და შიდაციხეს ამარაგებდა წყლით.<sup>1</sup>

წყალსადენის მილები საკმაოდ ღრმად (1,5—1,8 მეტრის სიღრმეზე) არის ჩაწყობილი.

1948 წელს დ. მშენიერაძის მიერ თბილისში, ლურჯ მონასტერთან ნანახი და შესწავლილ იქნა სამი სხვადასხვა წყალსადენი.<sup>2</sup>

მილებში დარჩენილი ნალექის ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ წყალი, რომელიც შივ გადიოდა, მეტისმეტი მარილიანობის გამო არ იხმარებოდა არც სასმელად, არც მოსარწყავად.

აღსანიშნავია, რომ ლურჯი მონასტრიდან 200 მეტრის დაშორებით ახლაც გამოდის თიხის მილებიდან მიწისქვეშა წყალი (1—1,5 ლიტრი წამში), მაგრამ მცხოვრებლები მას არ ხმარობენ არც სასმელად, არც სარეცხისათვის და არც მოსარწყავად, ამბობენ მცენარეს ახმობსო.

მიჩნეულია, რომ ლურჯ მონასტერთან ნანახი წყალსადენები წარმოადგენდა მიწისქვეშა სადრენაჟო ნაგებობათა კომპლექსს, რომელიც სასმელ წყალს იცავდა.

კიდევ უფრო მეტად საინტერესო და რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს წარმოადგენს ვარძიისა და სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენები, რომლებიც XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე იყო აგებული.

ვარძიის წყალსადენი კლდეში გაჭრილ გვირაბშია გაყვანილი. მისი სიგრძე 5 კმ აღწევს.

მილები ჩაწყობილია გვირაბის იატაკში ამოკვეთილ თხრილში ორ რიგად და მთლიანად დაღუღაბებულია.

გვირაბის სიმაღლე (1,8 მეტრი) და სიგანე (0,6—0,7 მეტრი) ისეა გათვალისწინებული, რომ მასში ადამიანს შეუძლია თავისუფლად გაიაროს და საჭიროების მიხედვით შეამოწმოს და შეაკეთოს წყალსადენი.

წყალსადენის გამტარუნარიანობა დღე-ღამეში 207360 ლიტრს შეადგენს.

ვარძიის წყალსადენი ზედა ვარძიის წყაროებიდან იწყება, გამოქვამულთა კომპლექსში მონასტრის დასავლეთიდან შემოდის და სამრეკლომდე აღწევს.

აღსანიშნავია, რომ წყალსადენი თავის გზაზე ხეცს ხედება. დაბრკოლების გადალახვის მიზნით ზიარი ქურჭლის პრინციპით უსარგებლიათ: წყალსადენის ტრასა ჭერ დაბლდებოდა, შემდეგ ისევ ადიოდა მაღლა და კვლავ დაქანებით მიდიოდა ვარძიისაკენ.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გ. შინდაძე, „მასალები ძველი თბილისის წყლით მომარაგების საკითხისათვის“, თბილისი, 1958, გვ. 10.

<sup>2</sup> Д. Мшвениерадзе, „Строительное дело в древней Грузии“, დასახელებული გამოცემა, გვ. 122—125; მისივე, „უძველესი წყალსადენი თბილისში“, ეურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1951, № 10, გვ. 35.

<sup>3</sup> ე. შელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამოცემლობა, თბილისი, 1955, გვ. 74, 75.

1937 წელს ჩატარებულ იქნა მუშაობა შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის შესწავლის მიზნით. მუშაობამ ფრიად საყურადღებო შედეგები გამოიღო. გამოვლინებული და შესწავლილი იყო სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი, ქალაქ დმანისის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაგებობანი.

სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი 1202 წელს ყოფილა გაყვანილი. როგორც აღნიშნული ხანის ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, წყალსადენის გამოყვანამდე დიდი მოსამზადებელი მუშაობა ყოფილა წარმოებულ. წყარო უპოვიათ და შემდეგ წყალსადენი სამი წლის განმავლობაში უშენებიათ.

„ესძებნე და ვპოვე წყალი ადგილსა, სხალტბისასა და ხელეყავ მოქმედებად და შეწვენითა მისითა მოვიყვანე წყარო კარსა წმიდისა ეკლესიისასა ეამთა წელწადისა სამისათა დიდითა შრომითა და გულისმოდგინებითა...“<sup>1</sup>

წყალსადენის სიგრძე ორ კილომეტრს უდრის. წყალსადენის გაყვანის მიზნით მთის მასივში გაკრილია გვირაბი და მასში ჩაწყობილია მილები. ისინი დამზადებულია წითელი, გამომწვარი თიხისაგან. მილები ჩაწყობილია უდულაბოდ; ზოგიერთ შემთხვევაში მილების წვრილი და მსხვილი ბოლოების შეერთების ადგილი გადალესილია თიხით. მილების დიამეტრი 11—12 სმ უდრის.

მინარათულების მკვეთრად შეცვლის შემთხვევაში გამოყენებულია მკლავი.

სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის გამტარუნარიანობა, დოც. ალ. ლოსაბერიძის გაანგარიშებით, წაშში 2,82 ლიტრს უდრიდა, რაც დღე-ღამეში 243000 ლიტრს შეადგენს.<sup>2</sup>

გარდა აღნიშნული წყალსადენისა, იყო კიდევ მეორე ტრასა, რომელიც სოფელ სხალტბას ამარაგებდა წყლით. მისი სიგრძე დაახლოებით 1200 მეტრს უდრის. წყალსადენის ნახევარზე მილები შეერთების ადგილას დადუღაბებულია. მილების დიამეტრი შედარებით მცირეა და 7 სმ უდრის. ისინი ჩაწყობილია სხვადასხვა სიღრმეზე, საშუალოდ 0,30—0,60 მ-მდე.

სოფლის წყალსადენის გამტარუნარიანობა წაშში 1 ლიტრს უდრიდა, რაც დღე-ღამეში 854000 ლიტრს შეადგენს.<sup>3</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ადგილ-ადგილ მონასტრისა და სოფლის წყალსადენის მთელ მანძილზე მილებს შორის ჩადგმულია თანგირა. ეს არის ორმკლავიანი თიხის კურჭელი, რომელსაც ორივე მკლავი მილებთან აქვს შეერთებული. თანგირას აქვს საჩქველი, მისი დანიშნულება ის არის, რომ საჭიროების შემთხვევაში ადვილად შეიძლება აახადოს საჩქველი და გაისინჯოს წყალსადენის ტრასაზე რომელ ადგილას არის დაბრკოლება წყლის მოძრაობისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანგირა თავისებურ საკონტროლო ჰას წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ აღნიშნულ წყალსადენს სპეციალური მომვლელები „მკაზბაეები“ ემსახურებოდნენ, რომლებსაც ქუქანაყი ეწოდებოდა.<sup>4</sup>

1 „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა“, თ. ქორდანიას გამოცემა, თბილისი, 1896, გვ. 27.

2 დოც. ალ. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, თბილისი, „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, პროფ. ივ. ჭავჭავაძის ინიციატივით, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბილისი, 1938, გვ. 224, 225.

3 იქვე, გვ. 225.

4 შ. ხიდაშელი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, თბილისი, „რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, დასახელებული გამოცემა გვ. 252—254.

როგორც ფარსადან გორგიჯანიძე აღწერს, ატენის ციხეს წყალსაცავი აუზები და ქებიც ჰქონია და წყაროს წყლითაც იკვებებოდა.

როცა ციხეს მტერი მოსდგომია და ბრძოლით ვერა დაუტკლია რა, ერთი განცემი შეუპყრიათ, რომელსაც უთქვამს: მეციხოვნეებს სამარაგო წყალი შემოვლიათ და წყაროდან მომდინარე წყლით სარგებლობენ. ამასაც თუ მოუსპობთ დაგნებდებიანო:

„აყენის მოსვლა ატენის ციხეზედა. ლაშქარნი დაბალს დადგა და ციხე მაღალს კლდეს ზედა ნაგები იყო ვასაკვირვებელი სიმაგრე ჰქონდა და ქვითკირით ნაშენები იყო და მეფის ლუარსაბის დედა მრავლის თავადებისა და აზნაურიშვილების ჯალაბნი მასთან იყვნენ და გარედამ ლაშქარი შემოეხვივა და შიგნიდან ქართველნი. შეიქმნა შუღლი და ცემა და მრავალი ყიზილბაშნი ამოსწყვიტეს. ციხის აღება გაძნელდა. ამისთვის რომ არც სიბა მიიტანებოდა, არც შეითხრებოდა და არც სითმე ზარბაზანი მიუდგებოდა. თათართ ერთი ატენელი კაცი დარქირეს, სიკვდილის შიშით იმან უთხრა: თუ არ მამკლავთო, ციხეს აგაღებინებო. ამათაც ფიცი მისცეს უვნებლობისა. იმან ეს ამბავი მოახსენა, ჰისა და აბაბრების წყალი დაელიაო და ჩრდილოეთისაკენო მომცრო წყარო გამოსდისო და იმის წყლით რჩებიანო და იმას მისაპარავეი გზა აქვსო, იმას გასწავლიო და ის უკუქირეთო და ღონე გაუწყდების, ციხეს მოგეცემნო. წინ წაუძღვა და იმ წყლის გზა ასწავლა და ყიზილბაშთ ის წყალიც უკუქირეს და ციხოვანთ მშვეელი აღარ გაუჩნდა, უწყლობამაც ძალი უყო და მრავალი ყიზილბაშნი და ქართველნი იმ ციხის აღებაში დაიხოცნენ და ციხე აიღეს.“<sup>1</sup>

ვახუშტის თავის „გეოგრაფიაში“ მრავალი წყარო აქვს აღწერილი, რომლებიც ციხეებში იყო მოწყობილი. აი, ზოგიერთი მათგანი: „ბობნევეს ზეით, ჩრდილოთ კერძ, არს ციხე კიკანათ ბერი, კლდით მოზღუდვილი, და წყარო შიგ გამომდინარე.“<sup>2</sup>

ქვეშის ციხესთან „წყარო კეთილი.“<sup>3</sup> „ნოდას ზეით არს ვარციხე. ეს ყოფილ არს ციხე დიდი და დიდ შენობა, და გამომდინარეობს წყარო შიგ კეთილი.“<sup>4</sup>

„რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე.“<sup>5</sup>

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ციხეებს წყლის ამოსაზიდი გვირაბებიც ჰქონდათ.

ასეთი გვირაბი იყო მოწყობილი გორის ციხეში, რომლის შესახებ ვახუშტი წერს: „არს გორასა ზედა ციხე დიდი. დასავლით არს გვირაბი, ჩატანილი ლიახვამდე, ქვითკირისა.“<sup>6</sup>

გორის ციხის საერთო აღწერილობასთან ერთად წყლითა და სურსათით მომარაგების შესახებ დაწერილებით ცნობებს იძლევა თუმანიშვილი. იგი წერს: „ამ ველს შუა, მაღალ ბორცვზე, აშენებულა ციხე უშველებელი ლო-

1 ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფილისი, 1926, გვ. 7, 8.

2 ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 57.

3 იქვე, გვ. 39.

4 იქვე, გვ. 150.

5 იქვე, გვ. 167.

6 იქვე, გვ. 74.

დებისაგან, იგი განფენილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ციხის კედლები სქელი და მაღალია, გამაგრებულია მრავალრიცხოვან კოშკებ-ბურჯებით, რომელსაც 50 ფუტი სიმაღლე და 8 ფუტი სიგანე აქვს; შიგ შესვლა სხვანაირად არ შეიძლება, თუ არა ერთი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული კიბით. კიბე იწყება კედლის გარეთ, მიემართება მაღლა და თავდება ციხის შესავალთან, სადაც კიბისა და შესავლის დასაცავად აშენებულია ქვიჩკირის წმინდა გიორგის საყდარი და სანოვაცისა და სამხედრო საჭურველის შესანახი საწყობები. მათ ირგვლივაც აშენებულია კოშკები, ხოლო დანარჩენი ადგილი უკავია მცხოვრებთა სახლებს. საჭირო შემთხვევაში ამ კოშკებში გადაჰქონდათ სახლის ავეჯი და სხვა ქონება.

ციხის დასავლეთ ნაწილში მოთავსებულია თოთხმეტი დიდი, კვადრატული ფორმის პატენჯი. თითოეულ მათგანში შეიძლება მოთავსდეს 100 კაცი თავისი საომარი მოწყობილობით ისე, რომ მათ საშუალება ექნებათ დაუბრკოლებლივ იმოქმედონ. უკანასკნელი პატენჯი გამოყენებულია წყლის შესანახად. ამ ციხეში ითვლება 35 მთავარი კოშკი და მცხოვრებთა 410 სახლი. ციხეში თანამად შეიძლება 50 000 მეომრის მოთავსება.<sup>1</sup>

გორის ციხის შესახებ საერთოდ და მის წყალმომარაგებაზე მსგავს ცნობებს იძლევა კლპროტი. იგი წერს: „ქალაქის ჩრდილო დასავლეთით, ლიახვის დონიდან 16 ფუტის სიმაღლეზე. კლდოვანი მთის წვერზე მდებარეობს ციხე. ის წარმოადგენს გრძელ ოთხკუთხედს, რომელსაც 200 ნაბიჯი სიგრძე და 60 ნაბიჯი სიგანე აქვს. კედლები ერთი ფუტის სისქისა და საბო ფუტი სიმაღლისაა. ამათ პარალელურად მიემართება უფრო დაბალი კედლები—20 ნაბიჯის დაშორებით.

სამხრეთით კედლის შუაში არის ჰიშკარი. დასავლეთის კედლებს შუა ჩასასვლელია და ლიახვისაკენ მიდის. ამ ჩასასვლელით ციხეში წყალი ამოაქვთ. ეს ჩასასვლელი გზა რომ დაცული იყოს და ციხეს წყალი არ მოაკლდეს, შემდეგნაირად მოუწყვიათ: დასახლებული კედლების გასწვრივ აშენებულია შედარებით უფრო დაბალი კედელი. ისინი ერთმანეთისაგან 20 ნაბიჯით არიან დაშორებულნი. მათზე გაყვანილია ხუთი გადამღობი კედელი, თითოეული მათგანი სამი საყენის სიმაღლისაა. ამის საშუალებით უვნებლად მიმოდინა როგორც ქვემოთ ჩამსვლელნი, ისე ზემოთ ამსვლელნი.

პარალელური კედლების ბოლოები მდინარე ლიახვთან ერთმანეთს უკავშირდება ოთხსაყენიანი სიმაღლის კედლით, რომელსაც ნახევარკალის ფორმა აქვს. ამ კედლის ძირში მიედინება ლიახვი, აქედან იღებენ წყალს და ასხამენ აგურისაგან გაკეთებულ წყალშესანახ აუზში. აუზს 12 საყენი სიმაღლე აქვს. ის გაშენებულია ზედაგადამღობ კედელსა და დასავლეთის მოკლე კედელს შორის. რათა მტერი ახლო არ მიუშვან მოწყობილია კოშკები, რომელზეც მეომრები დგებოდნენ და კედელში ამოკვეთილ სათოფურებიდან (თითოეულ სათოფურზე 30 სათოფურია დატანებული) მტერს ტყვიას უშენდნენ.

ყოველ გადამღობ კედელში დატანებულია ორ-ორი დიდი ნახვრეტი, საიდანაც მტერს ზარბაზნებს უშენდნენ იმ შემთხვევაში, თუ კი მტერი წყლის პირას გამოჩნდებოდა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> თუ მან იშვილი, „Описание груз. города Гори“, გვ. 17—20. მოგვეყვას დ. გ. რ. ი. შვილის წიგნიდან „გორის ისტორია“, სახელგამი, თბილისი, 1954, გვ. 19, 20

<sup>2</sup> კლპროტი, Reise, III, გვ. 325—327. მოგვეყვას დ. გ. რ. ი. შვილის დასახელებული წიგნიდან, გვ. 20, 21.

წყალი ყოფილა გამოყვანილი ათონის ქართველთა მონასტრებშიც XI საუკუნეში.

„ალაბი არს იონანე ფოფხაძისაი, რამეთუ მისცა ეკლესიასა წყლისა მოსაყვანებლად ღრაჰკანი პერპერატი რკ.“<sup>1</sup>

მამასაღამე, ვინმე ფოფხაძეს ფული შეუწირავს წყალსადენის გამოსაყვანად.

XVII საუკუნეში აღნიშნულ მონასტრებში ზოგი ძველი წყალსადენი შეუკეთებიათ, ზოგი ახლად გაუკეთებიათ.

„იწყეს წყალი ორმეოცთა მოწამეთაგან, რათა მოიყვანონ მონასტერსა შინა, წელსა შვიდათას ას და ოცდახუთსა, ქრისტესით ჩქიზ, და აღაშენეს სიმელსა ზედა სათავე წყლისაი, და მივიდნენ ვიდრე ნაპარალამდე სამსა თუესა და შემდგომად დაუტევეს ზამთრისა გამო. და კუალად იწყეს ზაფხულ თომას კვირიაკითგან, ესე იგი არს აპრილის იგ, და მოიყვანეს ვიდრე კამარებადმდე ძუელისა წყლისა კეთროვანთაისა ოთხსა ოკდომბერსა. მუნითგან მოიყვანეს როფებითა, რამე თუ მოაკლდათ კირი და დაუტევეს.“<sup>2</sup>

„პართენიოს ხუცესი იყო მესამედ წინამძღურობასა შინა თვისსა და შვიდათას ას და ოცდა შვიდსა, ქრისტესით ჩქიც და ჩქით მოვეყვანეთ წყალი ათათასითა მილითა.“<sup>3</sup>

„შვიდსა ასსამეოცდა შვიდსა, ქრისტესით ჩქნთ წელსა, გავაკეთეთ კამარები წყლისა კეთროვანთაისაი, და თეთრი მისცა ხარჯი გიორგი ფოკამ მარჩილი ოთხი ათასი...“<sup>4</sup>

სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგებას საქართველოში XVI—XVII—XVIII საუკუნეებში, როგორც იმდროინდელ სამედიცინო დამწერლობითი წყაროებიდან ირკვევა, არანაკლები ყურადღება ექცეოდა, მაგრამ განუწყვეტელი შემოსევების შედეგად ეკონომიურად დასუსტებულ ქვეყანას მნიშვნელოვან ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა შესასრულებლად ძალები აღარ ჰყოფნიდა. მიუხედავად ამისა, სრულიადაც არ შეუცვლიათ ის მაღალი მოთხოვნილებანი, რომლებიც უნდა დაექმყოფილებინა სასმელად გამოსაყვანებელ წყალს.

საქართველოს ძველი ისტორიული ქალაქების შესწავლით გამოირკვა, რომ ქალაქის ნაგებობათა შორის თითქმის ყოველთვის აბანოების ნაშთებიც არის დარჩენილი. ეს იმის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რომ აბანო საქალაქო ცხოვრების ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი იყო. ქალაქი, თუ კარგად იყო გაშენებული და მოწყობილი, მას აბანოც უნდა ჰქონოდა. ამის მაგალითები მრავალია მეტიც შეიძლება ითქვას: აბანოები მარტო ქალაქებში კი არა, დაბებსა და სოფლებშიც კი იყო. აბანოები იყო არმაზსა და ზაგინეთში, ბიჭვინთაში, თბილისში, ქუთაისში, დმანისში, გეგუთში, თელავში, გრემში, ალავერდში. სამშვილდეში, ხერთვისში, ქვემო ქალაში, მძორეთში და სხვ.

<sup>1</sup> „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით“, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, 1901, აღაპი 128.

<sup>2</sup> „მოთხრობა უმშენიერესი მონასტრისათვის ივერთაისა, რომლისა თანამდებ არიან ცნობად ყოველი მონაზონნი“, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, III, თბილისი, 1955, გვ. 84.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 85.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 86.

არმაზის ციხის აბანო, მართალია, ძლიერ არის დაზიანებული, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი სადგომთა კომპლექსისაგან შედგებოდა, ისე როგორც სხვა აბანოები.

გარდა დამხმარე სათავსოებისა კომპლექსში: უნდა შესულიყო მოსაცდელი. გასახდელი და სააბაზანო.

ასეთ განყოფილებებს შეიცავდა თითქმის ყველა აბანო. როგორც ძველი ქართული სამედიცინო წყაროებიდანაც ირკვევა, აღნიშნული განყოფილებების არსებობა ჰიგიენურ მოთხოვნილებათა მიხედვით აუცილებელი იყო.<sup>1</sup>

აბანოს სხვა მოთხოვნილებებიც წაეყენებოდა. „იადიგარ დაუღში“ ვკითხულობთ: „უკეთესი აბანო ის არის, რომე ძველი დიდი აბანო იყოს და ამა აბანოს წყალი ტკბილი და ნელთბილი იყოს, ვითამცა არც მწოედ ცხელ იყოს და არც ცივი.“<sup>2</sup>

ასეთ მაღალ მოთხოვნილებას საესებით აკმაყოფილებს არმაზისხევის აბანო, რომელიც ახ. წ. პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება. იგი საკმაოდ მოზრდილი შენობა ყოფილა (სიგრძე 27 მ და სიგანე 9 მ). ამჟამად არსებული ნაშთების მიხედვით შეიძლება გავარჩიოთ მოსაცდელი, გასახდელი, სააბაზანო, სადაც აბაზანები ყოფილა მოწყობილი.

გათბობისათვის გამოყენებულია თერმებისათვის დამახასიათებელი გათბობის სისტემა. სადგომთა კედლებში გაყვანილია არხები, რომლებშიც ტარდებოდა ცხელი ჰაერი და ათბობდა აბანოს.<sup>3</sup>

როგორც გამოირკვეა, ეს აბანო წყალგამძლე ნაგებობას წარმოადგენს. მშენებლობის დროს გამოყენებული ყოფილა ცეცხლგამძლე და წყალგამძლე ჰიდრაულური ბსნარები.

აბანო ყოფილა ბიკვინთაშიც (VI ს.). ახლა მხოლოდ მისი ნაშთია დარჩენილი. იგი სადგომთა კომპლექსის მიხედვით რამდენადმე უახლოვდება ზემოაღნიშნულ არმაზისხევის აბანოს. შენობა დიდია (სიგრძე 26 მეტრი და სიგანე 13 მეტრი), მის მარჯვენა ნაწილში მოთავსებულია დიდი მოსაცდელი. შენობის შუა ორი ოთახი კალორიფერებისათვის ყოფილა განკუთვნილი. აბაზანები ნახევარწრიული ფორმისაა. ოთახების იატაკი კვადრატული ფორმის კერამიკული ფილებით არის დაფარული. აბანოს ჰქონია საკანალიზაციო გაყვანილობა.<sup>4</sup>

ძველთაგანვე იყო განთქმული თბილისის აბანოები. თბილისის აბანოებს მოიხსენიებს X საუკუნის არაბი მოგზაური იბნ ჰაუკალი, XII საუკუნის არაბი ისტორიკოსი ფარიკი, რომელიც 1153 წელს საქართველოში იმყოფებოდა.<sup>5</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 415, 416.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 110.

<sup>3</sup> ა. ა. ფაქიძე, გ. გ. ბეჭთაძე, ა. კალანდარიძე, გ. ლომთათიძე, „მცხეთა“, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 147—160.

ი. რ. ციციშვილი, „ქართული არქიტექტურის ისტორია“, დასახელებული გამოცემა, გვ. 29.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>5</sup> ე. ფუთურაძე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, „ენიშის მოამბე“, XIII თბილისი, 1942, გვ. 141.

თბილისის აბანოებს ქებით მოიხსენიებენ XVII—XVIII საუკუნის ევროპელი მოგზაურებიც: შარდენი, ტურნეფორი და სხვ.

ისინი ყურადღების გარეშე არ დარჩენია არც რუს ვაჭარ ვასილ გაგარას, რომელმაც XVII საუკუნის 40-იან წლებში თბილისში გზად გაიარა.

ჩვენი სახელოვანი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ თბილისში ექვსი დიდი აბანო არის, სადაც ბუნებრივ თბილ წყალს იყენებენო.

„ტფილისის დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი და დიდ შენნი ავაზიანნი. მარადის მომდინარე ცხელი წყალი.“<sup>1</sup>

დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი აღტაცებული წერდა: „დაბადებიდან არ შევხედრივარ არც რუსეთში, არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო დიდებულ რამეს.“<sup>2</sup>

ჩვენამდე მოღწეულ თბილისის აბანოებს შორის უძველესად „ირაკლის ქვემო-აბანო ექვსი ოთახისაგან შედგებოდა. ერთი მათგანი გასახდელად, ერთ-ერთ სიგელში არის დასახელებული.

1936—1937 წლებში შ. რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით დმანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოიკვია,<sup>3</sup> რომ აღნიშნულ ქალაქში მდინარე ფინეზაურის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ XII საუკუნისათვის გაშენებული ყოფილა ქალაქის სამი აბანო: ზემო, ქვემო და ციხის აბანო. მათ შორის ყველაზე დიდი ზემო-აბანოა. მისგან 150 მეტრის დაცილებით მდებარეობს შუა-აბანო, რომლის დიდი ნაწილი წყალს წაუღია. ზემო და შუა აბანოებზე უკეთ არის შენახული ქვემო-აბანო, რომელიც შუა-აბანოსაგან 130 მეტრით არის დაშორებული.

ქვემო-აბანო ექვსი ოთახისაგან შედგებოდა. ერთი მათგანი გასახდელად, ოთხი საბანაოდ და ერთიც ღუმელისათვის ყოფილა განკუთვნილი. მთლიანად ეს შენობა ქვისაგან არის აგებული. იატაკი ქვიტიკრისაა. იატაკის ქვეშ მოყრილია ლამი, რომელიც სითბოს დიდხანს ინახავს. კედლები ვალესილია ბათქაშით. დახურულია კრამიტით. განათება გუმბათებში დატოვებული სარკმლებიდან ხდება.

საბანაო ოთახებში მოწყობილი ყოფილა დაბალი (0,25 მ) და ვიწრო (0,35 მ) ტახტი, აუზი, ფეხების დასაბანი ქვევრის ძირი. ოთახების კედლებში ნახულია მიწები, რომელთა საშუალებით აუზებში ჩადიოდა წყალი. ქვემო-აბანოს წყალსადენი წამოყვანილი ყოფილა შუა-აბანოსთან ახლოს მდებარე წყაროდან, რომელიც ახლა დაშრეტილია.

შიდაციხის აბანო სამი ოთახისაგან შედგებოდა. მათ შორის ერთი გასახდელი და მოსაცდელი იყო, ერთი სააბაზანოს წარმოადგენდა და ერთიც საღუმელე იყო.

აბანო იყო აშენებული ქვიტიკრით. კედლები შელესილი ყოფილა ბათქაშით. გუმბათებში დატოვებულია მრგვალი სარკმლები სინათლისათვის. იატაკი ქვიტიკრისა ყოფილა, ამჟამად მიწურია.

1 ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. დასახელებული გამოცემა, გვ. 52.

2 ა. პუშკინი, „არზრუშში გამგზავრება 1829 წლის ლაშქრობის დროს“.

3 შედეგები მოგვყავს ლ. მუსხელიშვილის ნაშრომის მიხედვით—„დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა)“, იხ. წიგნი „შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, პროფ. ივ. ჭავჭავაძის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 317—448.

მოსადგელ და გასახდელ ოთახში დარჩენილია ქვიტყირის გრძელი „სკამ-ლოჯინა“ და კედელში ჩაშენებული ბუნჩის ნაშთი.

ვერ მოხერხდა დადგენა იმისა, თუ წყალს საიდან ღებულობდა აბანო. ლ. მუსხელიშვილი ფიქრობდა, რომ აბანო წყალსადენით კი არ ღებულობდა წყალს, არამედ წყალი ტრანსპორტით მოჰქონდათ და მას ცისტერნებში ასხამდნენ, საიდანაც შემდეგ დანიშნულებისამებრ ხმარობდნენ.

აბანოს ჰქონდა ნახშიარი წყლის გამტანი გაყვანილობა. იატაკის ქვეშ დატანებული იყო არხი, რომლის საშუალებით ნახშიარი წყალი იქვე მახლობლად, მაშავერის ხევეში ჩადიოდა.

გათბობის სისტემა იატაკქვეშ იყო მოწყობილი. ლემელს, რომელიც საქვების ქვეშ იყო მოთავსებული, გასავალი ჰქონდა შიგნითა ოთახებისაკენ—იატაკის ქვეშ. იატაკის ქვეშ მთელი ოთახის ფართობზე სიცარიელე იყო დატოვებული და აქ გროვდებოდა თბილი ჰაერი, რომელიც ოთახს ათბობდა. კვამლისათვის კი კედელში ჩაშენებული იყო კვამლის ამწოვი მილი.<sup>1</sup>

როგორც ირკვევა, აბანოები ქუთაისშიც ყოფილა.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ დავით ნარინს, რომელიც მონღოლთა ურდოების შემოსევის დროს ქუთაისში იყო გადასული, მოულოდნელად თავს დაესხნენ მონღოლები, როცა ის აბანოში იმყოფებოდა და ცოცხალი ძლივს გადაარჩენილა.

„უბრძანა ყანმან აშალა სირმონონის და ალიყას და თაიხს და აზიხს, რათა ილაშქრონ მეფესა დავითს ზედა. და შეკრბეს სიმრაგლე ლაშქრისა სამი ბევრი და გამოვლეს თრიალეთი და გარდავლეს მთა ლიხისა და ზედა დაესხნეს ქუთათის აბანოსა შინა მყოფსა მეფესა და ძლით შეესწრა ცხენსა ერთითა კაბითა.“<sup>2</sup>

აბანო გეგუთშიც ყოფილა. სადაც ახლა მხოლოდ ნაშთია დარჩენილი.

წინამდებარე ტომის I წიგნში ძველი ქართული მედიცინის განვითარების ძირითადი საფეხურების განხილვის დროს აღნიშნული იყო, რომ გვიან ფეოდალურ ხანაში მთელ რიგ ისტორიულ გარემოებათა გამო საქართველო ეკონომიურ დაქვეითებას განიცდიდა, მაგრამ როგორც კი მშვიდობა ჩამოვარდებოდა, ცხოვრება კვლავ გამოცოცხლებას იწყებდა. გიორგი V, როსტომ მეფის, განსაკუთრებით ვახტანგ VI და ერეკლე II მეფობის წლებში გაცხოველდა საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა, ხელისნობა და სხვ. ამ პერიოდს მიეკუთვნება გრემის, თელავის, ალავერდის, სამშვილდის, ხერთვისის, ქვემო ქალის, მძორეთისა და სხვა აბანოები.

XV საუკუნისათვის ქალაქ გრემში დიდი აბანო ყოფილა აგებული, რომლის განყოფილებებში ერთდროულად 20—30 კაცს შეეძლო ებანავა.

აბანო ქართული ბრტყელი აგურით არის აშენებული, გალესილია. მისი საერთო ფართობი 152,76 კვადრატულ მეტრს უდრია.

აბანოს ჰქონია ორი ქვაბი: ერთი ცხელი და მეორე ცივი წყლისათვის. ცხელი წყლის ქვაბში ერთდროულად 8 კუბური მეტრი წყლის გათბობა შეიძლებოდა.

<sup>1</sup> ლ. მუსხელიშვილი. „დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა)“, დასახელებული გამოცემა, გვ. 347—363.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემულია ე. თ. ა. ყ. შ. ვ. ლ. ს. რედაქტორობით, თბილისი, 1906, გვ. 713.



აბანოში მოწყობილია აბაზანები. აბაზანები იმდენად ფართოა, რომ შეიძლება შიგ ორი ადამიანი დაეტიოს. ყოველ აბაზანას სამი მილი აქვს გაკეთებული. თითოეული ცხელი და ცივი წყლის მისაღებად და ერთი ცხელი წყლის გასაშვებად.

საინტერესოა, რომ გრემის აბანოში ფეხზე მდგომარის გასაბანებელი განყოფილებებიც ყოფილა. ასეთი განყოფილება შევიდა თითოეული მათგანი სანი მხრიდან კედლით არის შემოზღუდული. ზოგ კედელში აუზია მოწყობილი, რომელშიც ცხელი და ცივი წყალი სადინარით შემოდის, აუზში შეზავდებოდა და შემდეგ შეიძლებოდა კასრით ამოღება და ხმარება.

საბანო განყოფილების იატაკი ფილაქნით არის მოფენილი. იატაკი დაქანებულია აბანოს ცენტრისაკენ, საიდანაც ღარის საშუალებით ნახშირი წყალი გარეთ გადიოდა.

აბანო წყალს ღებულობდა მდინარე ლოპოტიდან, რისთვისაც წყალსადენი ყოფილა გაყვანილი. გრემის აბანოს გათბობა ჰიპოსკაუსტური წესით ხდებოდა.<sup>1</sup>

XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ყოფილა აგებული ქვემო-ჭალის აბანო. იგი მდებარეობს ახლანდელ კასპის რაიონში და შედგება ექვსი სადგომისაგან. ერთი მათგანი კარბუქს წარმოადგენს. იგი უკავშირდება საბანო ნაწილს, რომლის ორივე მხარეზე მოთავსებულია ორი ოთახი: ერთი გასახდელი, ერთი დასასვენებელი. საბანო ნაწილში მოწყობილია მდიდრულად პროფილირებული აბაზანები. აბანო წყალს ღებულობდა წყალსადენის საშუალებით.

ექვსი სადგომიდან შედგებოდა აგრეთვე ალავერდის აბანო, რომელიც იმავე პერიოდს მიეკუთვნება.

როგორც აღვნიშნეთ, აბანო იყო სამშვილდშიც. იგი XVII საუკუნის მეორე ნახევარში ან XVIII საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს აგებული.

ზემოაღნიშნული აბანოებისაგან განსხვავებით სამშვილდეს აბანო ოთხი სადგომისაგან შედგება. სამი მათგანი ერთ ხაზზე იყო განლაგებული, მეოთხე შუა სადგომზე არის მიდგმული. ეს უკანასკნელი განმანაწილებელი უნდა გოფილიყო.

თელავში ორი აბანოს ნაშთია დარჩენილი. ორივე XVII—XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება. ერთი მათგანი თელავში ერეკლე II სასახლის ეზოში დგას. პატარაა, თაღიანი. ერთი საჩქმელი თაღშია დაყოლებული, მეორე ჩრდილოეთის კედელში.

აბანოს ერთი წყლის გასაცხლებელი ქვაბი აქვს. ცივი წყალი პირდაპირ წყალსადენით შედიოდა აბანოში. ნახშირი წყლის გასაშვებად საბანო აუზს იატაკში დატანებული აქვს 3—4 სმ დიამეტრის თიხის მილი.

თელავის მეორე აბანო ბევრად უფრო დიდია. შეიძლებოდა მასში ერთდროულად ოც კაცს ებანავა. იგი 7 განყოფილებისაგან შედგება. მათ შორის ორი ოთახი გასახდელია, დანარჩენი საბანოდ არის მოწყობილი აბაზანებით.

აბანოს გათბობა ხდებოდა იატაკქვეშედან.

<sup>1</sup> ა. ლ. მამულაშვილი, „კახეთის ძველი აბანოები“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV—B, თბილისი, 1947, გვ. 175—184.

<sup>2</sup> ი. რ. ციციშვილი, „ქართული არქიტექტორის ისტორია“, დასახლებული გამოცემა, გვ. 85.

საინტერესოა წყლის გათბობის სისტემა: საბანაო ოთახებს მიდგმული აქვს ქვიტიკირის ქვაბი  $3 \times 2$  მ. მისი იატაკი აგურისაა, მოსხმული აქვს კირხსნარი, შუაში ამოჭრილია და ამ ალაგას ამობურთულია კონუსისებურად, რაც ადიდება წყლის სათბობ ზედაპირს. ამ მოწყობილობით შეიძლება და დიდა რაოდენობის წყლის სწრაფად გაცხელება!

როგორც დამწერლობითი წყაროებიდან და განსაკუთრებით ძველი ქართული ქალაქების მატერიალური კულტურის შესწავლის შედეგად გამოირკვა, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური აღმავლობის პერიოდში საქალაქო ცხოვრება მაღალ დონეზე მდგარა. ქალაქების, ციხე-ქალაქებისა და სხვა სახის დასახლებული პუნქტების მშენებლობა სწარმოებდა გარკვეული გეგმით, სადაც გათვალისწინებული იყო ადგილმდებარეობის თავისებურებანი, საყოფაცხოვრებო ინტერესები და ზოგიერთი ჰიგიენური მაჩვენებლებიც.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მომავალი კვლევითი მუშაობის შედეგად (პირველ რიგში ეს ითქმის არქეოლოგიური კვლევის შესახებ) შესაძლებელი გახდება კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრითა და სიცხადით იქნეს აღდგენილი ძველი ქართული ქალაქების სახე და საქალაქო ცხოვრების სურათი. მაშინ მათი ჰიგიენური დახასიათებისათვის და დასკვნების გასაკეთებლად უფრო მეტი საფუძველიც გვექნება.



**ყვავილის საწინააღმდეგო აცრა**

შორეულ წარსულში, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც საკმაოდ კარგად ყოფილა ცნობილი ყვავილის დამახასიათებელი ნიშნები, მისი სემიოლოგია. ეს გარემოება არც არის გასაკვირი, რადგან იგი ერთ-ერთ უველაზე გავრცელებულ დაავადებას წარმოადგენდა და მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ძველ დროში მოღებულ იყო თითქმის ყველა ქვეყანაში.

ვ. ო. გუბერტიის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში „ყვავილი და ყვავილის აცრა“<sup>1</sup> არის ისტორიული ნარკვევი იმის შესახებ, თუ სად და რა დროიდან მეტ-ნაკლებად უნდა ყოფილიყო გავრცელებული დაავადება, რომელიც ასლა ყვავილის სახელწოდებით არის ცნობილი.

აღნიშნული ავტორის და მთელ რიგ სხვა მკვლევართა აზრით, ყვავილს უძველესი ხანიდან იცნობდნენ ძველ აღმოსავლეთში.

ე. შ. ებერსის პაპირუსში, რომელსაც ძვ. წ. მეორე ათასეულს მიაკუთვნებენ, მაგრამ რომლის ორიგინალი, მკვლევარების აზრით, გაცილებით უფრო ძველი უნდა იყოს, აღწერილია ნიშნები, რომლებიც თითქოს ყვავილს უნდა შეეხებოდეს.

შოვლო თავის ნაშრომში: „ედუარდ ჯენერი და ყვავილი“<sup>2</sup> წერს, რომ მეტნიერების მიერ დამტკიცებულია ყვავილის კვალის არსებობა XX დინასტიის, ე. ი. ძვ. წ. აღ. XII საუკუნის ხანის ეგვიპტურ მუმებში.

ექიმი ვ. ი. ზოლოტნიკიცი ნაშრომში, რომელშიც სპეციალურად ეხებოდა ყვავილის გავრცელების და მის საწინააღმდეგო აცრების ისტორიას, აღნიშნავდა, რომ ეს დაავადება გავრცელებული უნდა ყოფილიყო მთელ რიგ ქვეყნებში უკვე ორი ათასი წლის წინათ ჩვენ წელთაღრიცხვამდე.<sup>3</sup>

მ. ა. მოროზოვი და ვ. ს. სოლოვიოვი<sup>4</sup> იმავე აზრს იზიარებენ, რომ ყვავილი შორეულ წარსულში უნდა არსებულებოდა. მიუთითებენ რა რუფერზე, ისინი წერენ, რომ აღნიშნულმა მკვლევარმა ყვავილის ნარჩენ ნიშნებს ნიაკვლია ერთ ეგვიპტურ მუმიაზე და ამაზე დაყრდნობით, როგორც რუფერი, ისე ზოგიერთი სხვა ავტორები თვლიან, რომ ეს დაავადება ჩვენ წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლის წინათ უკვე უნდა არსებულებოდა.

<sup>1</sup> В. О. Губерт, Оспа и оспопрививание, т. I, СПб, 1896.

<sup>2</sup> Chauvelot „Edward Jenner (1749—1837) et la variole“, Presse Medicula, 1949, 8 Octobre, № 63, p. 893.

<sup>3</sup> В. И. Золотницкий, Оспа быч народный, оспорирование вернейшее средство от нее.

<sup>4</sup> М. А. Морозов, В. С. Соловьев, Оспа, „Медгиз“, М, 1948.

ავტორების ერთი წყება მიუთითებს ინდოეთსა, ჩინეთსა და რიგ სხვა ქვეყნებზე, სადაც ასევე ძალიან შორეული წარსულიდან ცნობილი უნდა ყოფილიყო ყვავილი.

ფართოდ არის ცნობილი ის ფაქტი, რომ ძვ. წ. მეოთხე საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელის ჯარში ერთ-ერთი ლაშქრობიდან უკან დაბრუნების დროს იფეთქა რაღაც საშინელმა, დიდად გადამდებმა სენმა, რომელმაც მუსრია გაავლო ლაშქრის შემადგენლობას. ამ თავზარდამცემა დაავადების ნიშნების აღწერის მიხედვით მკვლევრები ფიქრობენ, რომ იგი ყვავილი იყო.

Moore-ს მიხედვით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეცამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩინეთში უნდა იყოს დაწერილი სპეციალური ნაწარმოები ყვავილის შესახებ. ასე რომ, ეს ნაწარმოები უნდა იყოს ყველაზე უძველესი ნაშრომი ყვავილის საკითხზე. მაგრამ მთელი რიგი მკვლევრები არ იზიარებენ ამ აზრს და თვლიან, რომ ჩინეთში ყვავილი უფრო მოგვიანებით უნდა გაჩენილიყო. მათი აზრით, ზემოაღნიშნული ნაშრომი ყვავილს არ უნდა შეეხებოდეს.

კ. ს. ვონ გი თვლის, რომ ყვავილი პირველად აღწერა კოხანგმა, რომელიც ცხოვრობდა 281—361 წწ. ახალი წელთაღრიცხვით. კ. ს. ვონ გის გადმოცემით, მის სახელმძღვანელოში, რომელსაც ეწოდება „მითითებანი საწმინდოების შემთხვევაში“, ყვავილი შემდეგნაირად არის აღწერილი: ზოგიერთები ავადდებიან გადამდებ სნეულებით. ეს სნეულება აზიანებს თავს, სახეს და ტანს. მოკლე ხანში იგი ეღება მთელ სხეულს. გამოწყარს აქვს დამწერობით გამოწვეული ბუშტუკების შესახედაობა, რომლებშიც მოთავსებულია თეთრი ნივთიერება. იმ დროს, როდესაც პუსტულების ნაწილი ხმება, ახალი გამოწყარი იჩენს თავს. ავადყოფები, რომლებიც განიკურნებიან, დასახიჩრებული არიან ნაწიბურებით.

არის ბუნდოვანი მითითებანი იმის შესახებ, რომ საბერძნეთში და მეორე აზიაში ყვავილი უნდა გავრცელებულიყო არგონავტების ლაშქრობის ხანაში. ვ. ო. გუბერტს მიაჩნია, რომ პეროდოტეს ცნობა იმის შესახებ, რომ საბერძნეთში ერთ-ერთი რელიგიური ხასიათის მგზავრობის დროს მრავალი ახალგაზრდა დაავადდა და დაიღუპა (მათ შორის მხოლოდ ორი გადარჩა) — ყვავილის ეპიდემიას უნდა ეხებოდეს. ვ. გ. გუბერტი თვლის, რომ ამ დაავადების თავიდან ასაცილებლად წირავდნენ იმ მსხვერპლს (მაღალი წარმომობის ქალიშვილის სახით), რომლის შესახებაც ლაპარაკობს პლუტარქე. პიპოკრატეს, პლუტარქეს და რიგ სხვა ძველ ავტორებს აქვთ ცნობები გადამდები და გამანადგურებელი დაავადებების შესახებ, მაგრამ ძნელია იმის დარწმუნებით თქმა, რომ ეს ცნობები ყვავილსაც უნდა შეეხებოდეს. თუმცა ეს მთელ რიგ მკვლევრებს დასაშვებად მიაჩნიათ.

რომის მედიცინის უდიდეს წარმომადგენელს გალენსაც აქვს ცნობები გადამდებ სნეულებათა მძვინვარების შესახებ. მაგალითად, ის წერს დიდი ეპიდემიის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეორე საუკუნის მეორე ნახევარში. ზოგიერთების აზრით, ეს ეპიდემია ყვავილის ეპიდემია იყო. ზოგს კი ასეთი დასკვნა სარწმუნოდ არ მიაჩნია.

დასაუღეთ ევროპაშიც იჩინა თავი ყვავილმა და, როგორც ჩანს, საშუალო საუკუნეების დამდეგს ამ დაავადებას უკვე ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა.

მეექვსე საუკუნეში (ახალი წელთაღრიცხვით) რიგი ავტორების ნაწარმოებებში გვხვდება ცნობები ყვავილის ეპიდემიების შესახებ დასავლეთ ევროპაში. კერძოდ საფრანგეთსა და იტალიაში.

ზოგიერთი ისტორიკოსი მოგვითხრობს ყვავილის დიდი ეპიდემიის შესახებ ე. წ. სპილოვანი ომის დროს (569—71 წწ.).

არა-რა-ზი-მ, რომელიც შემდეგში (ევროპაში) ცნობილი იყო რა-ზ-ე-ს-ი-ს სახელით და რომელიც ცხოვრობდა მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში და მეათე საუკუნის პირველ მეოთხედში, დადი ღვაწლი დასდო ყვავილის შესწავლის საქმეს.

ამ მხრივ დამსახურება მიუძღვის აგრეთვე საშუალო საუკუნეების სახელწოდებელი ექიანს და ბუნებისმეტყველს აბუ-ალი იბნ სინას, რომლის სამედიცინო შეხედულებებმა და სამედიცინო ხასიათის შრომებმა ძალიან დიდი როლი შეასრულა როგორც მისი სამშობლოს, ისე სხვა ქვეყნების მედიცინის გაწვითარებაში.<sup>1</sup>

ლიტერატურაში არის გამოთქმული მოსაზრება, რომ ყვავილის საწინააღმდეგო აცრის—ვარიოლაციის—შემოღება-გავრცელების საქმეში თავიანთი წვლილი იბნ-სინას შეეტანოს.

ყვავილის, ისე როგორც მთელი რიგი სხვა უღარესად საშიში დაავადებების ეპიდემიების გავრცელებისათვის საშუალო საუკუნეებში, მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად დიდად უნდა შეეწყოს ხელი ჭვაროსნების ცნობილ ლაშქრობებს.

ყვავილის ეპიდემიები, სხვა დაავადებების საშინელ ეპიდემიებთან ერთად საშუალო საუკუნეებში სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. თუ ძველი და საშუალო საუკუნეებიდან მხოლოდ ცალკეული, მეტ-ნაკლებად ზუსტი და არასრული ცნობებია შემონახული ყვავილის ეპიდემიების შესახებ, ახალი საუკუნეებიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო სრულ ცნობებს ვხვდებით.

როდესაც ამერიკა იქნა აღმოჩენილი და ევროპელი კოლონიზატორები შესიენ ამ ახლად აღმოჩენილ ქვეყანას, მაშინ იქაც იფეთქა ყვავილის ეპიდემიებმა. კოლონიზატორების მიერ შეტანილი ეს საშინელი სენი მუსსრს ავლებდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომელმაც ევროპელების მოსვლამდე არ იცოდა, თუ რა იყო ყვავილით დაავადება.

XVI, XVII, XVIII საუკუნეებში მთელი რიგი ეპიდემიები, განსაკუთრებით ყვავილის ეპიდემიები, მოედო დასავლეთ ევროპასა და ამერიკას.

რუსეთშიც, ჩერ კიდეც ძველი დროიდან მოყოლებული, ყვავილის დაავადება თავს იჩენდა ხან ერთ და ხან მეორე ადგილას. შემდგომი საუკუნეების უფრო ზუსტი ცნობების მიხედვით, ყვავილის ეპიდემიებმა გადაიარა XVII და XVIII საუკუნეებში. სხვათა შორის ამ დაავადებით გარდაიცვალა პეტრე II.

ყვავილი ერთი უსაშინლესი გადამდები სენთავანია და სადაც კი იგი იჩენდა თავს, დიდ უბედურებად ევლინებოდა მოსახლეობას. აი, რას წერდა წარსულ საუკუნეებში ყვავილით გამოწვეული უბედურების შესახებ საქართველოს მედიცინის ერთ-ერთი თავდადებული და მრავალმხრივ შესანიშნავი მო-

<sup>1</sup> История медицины, под редакцией Б. Д. Петрова, „Медгиз“, М—Л, 1954, 83. 94—97.

ღვაწე ივანე თიკანაძე 1896 წელს, ყვავილის აცრის—ვაქცინაციის—შემოღებიდან ასი წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით: „მისი სახელი თავზარდამცემა იყო ყოველ ადამიანისათვის, გაჩნდებოდა თუ არა ყვავილი რომელიმე ოჯახში, მაშინვე საღმე მთაში იხიზნებოდნენ, მისი წრაფოდნენ უფრო მინალულ და უშიშარ ადგილებსაკენ“.

„ყველა თრთოდა ყვავილის სახელის გაგონებაზეო“—წერდა ექიმი თებეზიუსი 1651 წელს.

ცნობილი სტატისტიკოსის ოსტერლენის გამოკვლევით, ევროპაში, აცრის შემოღებამდე, ყვავილის მსხვერპლად ხდებოდა ორთაშუა რიცხვით  $1/10—1/12$  ნაწილი ყველა მცხოვრებლისა“.

ამრიგად, წარსულში ყვავილი წარმოადგენდა უღარესად საშიშ დაავადებას, რომლის ეპიდემიები ხან ერთ და ხან მეორე ქვეყანაში მივანერებდა. წუსრს ავლებდა მოსახლეობას და ნაოხრად აქცევდა ქალაქებსა და სოფლებს. ზიკვდილობის მიზეზთა შორის ყვავილს მთავარი ადგილთაგანი ეკავა; ამ სენით შეპყრობილი ყოველი თორმეტი ავადმყოფიდან იღუპებოდა სამი, ოთხი ანდა ზუთი ავადმყოფი. განკურნებულთა შორისაც ყვავილი ხშირად ტოვებდა მკვეთრად გამოხატულ უარყოფით შედეგებს: სიბრძავეს, სიყრუვეს, ნაწიბურებს და სხვ. ამიტომ არის, რომ ამ სენით დაავადების თავიდან ასაცილებელ საშუალებას ყვავილის აცრა — ვაქცინაციას — სამართლიანად აქვს მიუთუნებული უმთავრესი ადგილთაგანი მედიცინის ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვართა შორის.

ყვავილის აცრა არის ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური საშუალება, რაც თავისთავად უღარესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ ყვავილის აცრის როლი მართო ყვავილის წინააღმდეგ ბრძოლით არ შემოიფარგლება, მისი მნიშვნელობა გაცილებით მეტია. ყვავილის აცრის შემოღებამ გზა გააჯაფა მთელ რიგ, წარსულში მეტად გავრცელებულ დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველი ისეთი უმნიშვნელოვანესი საშუალების გამოსანახავად. როგორსაც დაავადებათა წინააღმდეგ აცრა წარმოადგენს. აცრის შემოღებით ახალი ერა დაიწყო მედიცინის ისტორიაში.

მოწინავე საბჭოთა მედიცინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას დაავადებათა პროფილაქტიკა წარმოადგენს და ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი დაავადებათა საწინააღმდეგო აცრებს მიეუთვნება. აცრის საშუალებით ავადმყოფობათა პროფილაქტიკის ისტორია ყვავილის აცრის შემოღებით იწყება, თუმცა, როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე არც აცრა და არც საერთოდ პროფილაქტიკის საყოველთაო სახელმწიფოებრივი ღონისძიების სახე არ მისცემია.

დაავადებათა საწინააღმდეგო აცრებმა, ისე როგორც მთლიანად მედიცინამ მისთვის დამახასიათებელი და მისგან განუყოფელი პროფილაქტიკური მიმდინარეობით ხალხის, მშრომელი მასების საკეთილდღეოდ გამოყენება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პოვა. საბჭოთა კავშირის გამოცდილების მაგალითზე ამავე მიმართულებით გრანდიოზული მუშაობა მიმდინარეობს სოციალიზმის ბანაკის სხვა ქვეყნებშიც.

ღღეს, როდესაც მთელი რიგი დაავადებების აცრა შესულია მოწინავე მედიცინის ოქროს ფონდში, ინტერესმოკლებული არ არის დაავადებათა საწი-

ნაღმდეგო აცრების ისტორიის საწყისების გამოკვლევა და უძველეს წარსულში არსებული ვითარების სურათის აღდგენა.

როგორც ცნობილია, ყვავილის აცრა—ვაქცინაცია—ევროპაში შემოდებულ იქნა მე-18 საუკუნეში. 1796 წლის 14 მაისს ინგლისში ედუარდ ჯენერმა ძროხის ყვავილი აუტარა რვა წლის ბავშვს ჯემს ფიქსს და იმავე წლის პირველ ივნისს სცადა ამავე ბავშვისათვის ადამიანის ყვავილის აცრა, მაგრამ ძროხის ყვავილით აცრილი ბავშვი ადამიანის ყვავილით აღარ დაავადდა.

აქედან ჩაეყარა საფუძველი და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა ვაქცინაცია—ძროხის ყვავილით დაავადებული ცხოველიდან აღებული მასალით ადამიანებში ყვავილის საწინააღმდეგო აცრა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ედუარდ ჯენერის ამ უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენას საფუძვლად დაედო ყვავილის აცრის გარკვეული წესი, რომელიც ვარიოლაციის სახელწოდებით არის ცნობილი. ამ უკანასკნელთან შედარებით ვაქცინაცია, რასაკვირველია, უაღრესად გაუმჯობესებულ საშუალებას წარმოადგენს და თავისუფალია იმ მთელი რიგი მეტად უზარყოფითი მხარეებისაგან, რომლებიც თან ახლავს ვარიოლაციას. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ უზარყოფითი მხარეების მიუხედავად, ვაქცინაციის შემოღებამდე ვარიოლაცია წარმოადგენდა იმ საშუალებას, რომელსაც მიმართავდნენ ყვავილის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ევროპელებმა იცოდნენ, რომ ზოგიერთ ხალხში მიმართავდნენ ყვავილის წინააღმდეგ ბრძოლას ვარიოლაციის საშუალებით, მაგრამ ამ გარემოებისათვის ნათ, როგორც ჩანს, გარკვეულ დრომდე სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ. შემდეგ კი ყვავილის გამანადგურებელი ეპიდემიების დროს ამ საშინელი სენისაგან თავის დასაღწევ საშუალებათა ძიების პროცესში ვარიოლაციას მიმართეს.

თუ რაიმე მძიმე ხასიათი ჰქონდა ეპიდემიებს ევროპაში XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ამას გარკვეულ შუქს ფენს ის მონაცემები, რომლებიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში ჩვენ მიერ უკვე ხსენებულ წიგნში გამოქვეყნებული იყო ვ. ო. გუბერტიის მიერ. მაგალითად, ლონდონში გარდაცვლილ ყოველ ათას ადამიანზე ყვავილისაგან დაღუპული მოდიოდა 1668 წელს—115 ადამიანი; 1674 წელს—118; 1681 წელს—125; 1710 წელს—127; 1714—106; 1719—114 და ა. შ. აღნიშნული წლების შუალედებში ყვავილით გამოწვეული სიკვდილობა მოტანილ ციფრებზე ნაკლები იყო, მაგრამ მაინც ძალიან მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. დაახლოებით ამგვარივე სურათი იყო მთლიანად ინგლისში. დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, საბერძნეთში, თურქეთში, ამერიკაში და სხვ.

ყვავილის ეპიდემიების ასეთ საშინელ მძვინვარებას ადასტურებს მრავალი ავტორი და მათ შორის ნ. ფ. გამალეა, ყვავილისა და მისი აცრის შესახებ დაწერილ ფართოდ ცნობილ წიგნში.

უკანასკნელ წლებში გამოცემული ლიტერატურიდან, რომელიც ამ საკითხს შეეხება, მ. ა. მოროზოვი და ვ. ს. სოლოვიოვი ს ნაშრომში მოტანილია ცნობა, რომ ლონდონში ოცი წლის მანძილზე (1667 წლიდან 1686 წლამდე) ყვავილისაგან გარდაიცვალა 28459 ადამიანი. ეს—რაც იყო აღრიცხული. აქ,

რასაკვირველია, არაფერია ნათქვამი იმათ შესახებ, ვინც გადატანილი ყვავილის შედეგად დასახიჩრდა. იგივე ავტორების მიხედვით, მეთვრამეტე საუკუნეში ყვავილის ეპიდემიებმა კიდევ უფრო ფართო და მწვავე ხასიათი მიიღო დასავლეთ ევროპაში და ამ სენისაგან ყოველწლურად იღუპებოდა მთელი მოსახლეობის 1/20-დან 1/10-მდე ნაწილი—ყოველ შვიდ-რვა დაავადებული ადამიანიდან ერთი ავადმყოფი იღუპებოდა.

აი, ასეთ ვითარებაში გაიკაფა გზა დასავლეთ ევროპაში და შემდეგ ამერიკაში ვარიოლაციამ. ყვავილის აცრის ეს მეთოდი გაბატონებული იყო მანამ, სანამ ე. ჯენერის მიერ მიკვლეული არ იქნა ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული ყვავილის აცრის მეცნიერულად დასაბუთებული წესი.

სწორედ იმ წელიწადს, სახელდობრ 1796 წელს, როდესაც ედუარდ ჯენერმა რვა წლის ბავშვს აუტრა ძროხის ყვავილი, ლონდონში გამოქვეყნებულ იქნა ვრცელი, ორტომიანი გამოკვლევა ყვავილის აცრის ისტორია შეახებ. ფაქტებზე დაყრდნობით შრომის ავტორი წერდა, რომ „აცრა ლონდონში შემოტანილი იყო, როგორც უცხოური აღმოჩენა.“

მოკლედ განვიხილოთ ის გზა, რომლითაც ინგლისში გავრცელდა ვარიოლაცია. მიკვლევარების მიერ აღიარებულია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში შორეულ წარსულში მიკვლეული ყოფილა ყვავილის წინააღმდეგ ბრძოლის პეტ-ნაკლებად ეფექტური საშუალება—ვარიოლაცია.

ჩინეთში, რუსეთის მთელ რიგ ადგილებში, შუა აზიაში, ეგვიპტეში, ინდოეთში, კავკასიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ვარიოლაცია შორეულ წარსულშივე ყოფილა დანერგილი.

მართალია, ავტორთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხზე, თუ სახელდობრ, რა დროიდან უნდა იყოს მიკვლეული და შემოღებული ვარიოლაცია სხენებული ქვეყნების ხალხებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვარიოლაცია მეტად შორეულ წარსულში უნდა იყოს შემოღებული. დღესდღეობით გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება, თუ რომელ ქვეყანაში აღმოცენდა პირველად ვარიოლაცია. საფიქრებელია, რომ ყვავილის წინააღმდეგ ბრძოლია ეს წესი ეპიდემიების მძიმე ვარების პირობებში სხვადასხვა გზით იყო მიკვლეული და გამოქვეყნებული სხენებული ხალხების მიერ. შემდეგ კი სხვადასხვა ქვეყნების ხალხები მათ მიერ შემუშავებულ წესებს და მიღებულ გამოცდილებას ერთმანეთს აცნობდნენ, უზიარებდნენ.

ერთ-ერთი ქვეყანა, საიდანაც დასავლეთ ევროპაში ცნობილი გახდა ვარიოლაცია, უდავოდ ჩინეთი იყო.

1954 წელს სამედიცინო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ „მედიცინის ისტორიაში“ მართებულად აიხსნა აღნიშნული, რომ ევროპაში ჩინეთიდან ინგლისელი მეზღვაურების მიერ შემოტანილი იყო ყვავილის საწინააღმდეგო აცრის მეთოდი, რომელსაც ვარიოლაცია ეწოდება, და რომელიც მდგომარეობს ჯანმრთელი ადამიანის აცრაში ავადმყოფის პუსტულების შიგთავსით.

ამ საქმეში მთელ რიგ სხვა ქვეყნებსაც მიუძღვით ღვაწლი. მაგრამ ჩვენ აქ, რამდენადაც საქმე ეხება საქართველოს მედიცინის ისტორიას. მკითხველია უფრადლებას საქართველოზე შევაჩერებთ.

XVIII საუკუნეში შეიქმნა ისეთი კონკრეტული ისტორიული ვითარება, რომ დასავლეთ ევროპაში ყვავილის საწინააღმდეგო მეთოდის—ვარიოლაციის



შეტანის და დანერგვის კეთილშობილურ საქმეში,—საიდანაც ერთგვარი სათავე დაედო აკრის თანამედროვე მეცნიერულ მეთოდს,—მეტად მნიშვნელოვანი როლი საქართველომაც შეასრულა.

მეიერ-მტიენეგისა და ზულძოფის „მედიცინის ისტორიის“ რუსულ გამოცემაში აღნიშნულია, რომ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულთან ერთად ყვავილის აკრის ვარიოლაციის მეთოდის ევროპაში გავრცელებაში „დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1713 წელს ბერძენი ექიმის ე მ ა ნ უ ი ლ თ ი მ ო ნ ი ს მიერ მოწოდებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ქართველები იფხაჭნიან კანს ყვავილით დაავადებული ავადყოფის ჩირქში დასველებული ნემსებით და ამით იწვევენ ყვავილის სუსტ ფორმას, რომელიც იცავს ნამდვილი ინფექციისაგან. ეს მეთოდი მაშინვე ცნობილი გახდა ევროპაში კონსტანტინეპოლში ინგლისის ელჩის მონტეგეიუს მეუღლის მეშვეობით. მაგრამ თვით ინგლისში აღნიშნული მეთოდი ერთგვარ წინააღმდეგობას შეხვდა.“

„Acta erudictorum“ X ტომში 1714 წლის აგვისტოში მოთავსებული იყო წერილი ე. თ ი მ ო ნ ი ს ნაშრომის: „აკრით გამოწვეული ყვავილის ისტორიის“ შესახებ. ნაშში აღნიშნულია, რომ ეს ნაშრომი გამოქვეყნდა კონსტანტინეპოლში 1713 წ. დეკემბრის თვეში. შემდეგ მოტანილია მისი მოკლე შინაარსი. ე. თ ი მ ო ნ ი ს ეძალის მიხედვით ირკვევა, რომ იმ ხანებში კონსტანტინეპოლში გავრცელებულა ხმა, რომ სხვა ხალხებთან ერთად ქართველები იწვევენ ყვავილს აკრის საშუალებით. ეს მეთოდი კონსტანტინეპოლში გადმოუწერავთ საქართველოში ნამყოფ ბერძნებს და ეს მეთოდი სხვებთან ერთად საკმაოდ ფართოდ გამოუყენებია ე. თ ი მ ო ნ ს.

ე მ ა ნ უ ი ლ თ ი მ ო ნ ი პირდაპირ მიუთითებდა ყვავილის აკრის მეთოდის ამ წყაროზე და აცხადებდა, რომ მანაც სწორედ ამ წესით ჩაატარა ყვავილის აკრა მრავალ ადამიანზე და კარგი შედეგი მიიღო. ამავე ავტორის გადმოცემით, ყვავილის აკრა შემდეგი წესით წარმოებდა: ასაცრელი მასალის მისაღებად გაფხუხულს ან ზამთრის პირზე არჩევდნენ ყვავილის მსუბუქი ფორმით დაავადებულ ჭანსად ბავშვს, კანზე გამონაყარიდან გამონაყონი სუფთა მინის პატარა კურკელში გადაჰქონდათ, კურკელს ხურავდნენ და სითბოში შენახვის მიზნით მას უბეში ინახავდნენ. მასალა ასე მიჰქონდათ ასაცრელ პირებთან. რომელთაც ბასრი იარაღით მხარზე, მკლავზე ან სხვა ადგილზე კანს უფხაჭნიდნენ და გაფხაჭნილ ადგილზე ასაცრელ მასალას ადებდნენ. ჩირქის შეყვანის ადგილს შუაზე გაკობილი კაკლის ნაჭუჭით ხურავდნენ და მას ნახვევის საშუალებით ამაგრებდნენ. რამდენიმე ხნის გავლის შემდეგ კი ჩირქს ნახვევს აშორებდნენ. ასაცრელ პირს მტკიცედ უნდა დაეცვა კვების გარკვეული დიეტა, განსაკუთრებით უნდა მორიდებოდა ხორცს 25 დღის განმავლობაში.

აკრიდან 7 დღის შემდეგ თავს იჩენდა მცირე გამონაყარი და შემდეგ ყვავილით დაავადების სურათი ვითარდებოდა, მხოლოდ გაცილებით უფრო მსუბუქი სახით, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ყვავილით დაავადების შემთხვევაში.

ექიმ ემანუილ თიმონთან თითქმის ერთდროულად ანალოგიური ცნობები ყვავილის აკრის შესახებ და საქართველოზე, როგორც ამ მეთოდის წყაროზე მითითებით გამოაქვეყნა ექიმმა პ ი ლ ა რ ი ნ ი მ.

აღნიშნული ექიმების მიერ გამოქვეყნებული მასალა მალე ინგლისურადაც დაიბეჭდა. აღსანიშნავია, რომ ეს შრომები პირველი ბეჭდური ნაწარმოებები იყო ინგლისურ ენაზე ყვავილის აკრის საკითხზე.

ექიმი თიზონი სამედიცინო ასპარეზზე ერთხანს მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში, შემდეგ მან იმოგზაურა ევროპაში და როგორც არსებული მასალიდან ჩანს, ინგლისში ყოფნის დროს ინგლისის სამეფო საზოგადოების სხდომაზე გააკეთა მოხსენება ყვავილის აცრის შესახებ.

თ ი მ ო ნ ო ს ა და პ ი ლ ა რ ი ნ ი ს ნაწარმოებებს გარდა, ინგლისში ზემოაღწერილი წესით ყვავილის აცრის შემოღების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა კონსტანტინეპოლში მყოფი ინგლისის ელჩის მეუღლემ მ ა რ ი ა მ მ ო ნ ტ ე გ ი უ მ, რომელიც ყვავილის აცრის მეთოდს გაეცნო იმავე წყაროდან, საიდანაც ის გადმოიღეს თიზონმა და პილარინმა. მარიამ მონტეგიუ 1717 წლის 1 აპრილს ინგლისში სწერს წერილს თავის მეგობარ ქალს სარა ჩიზველს. ამ წერილის ტექსტი დატულია და იგი თითქმის მთლიანად გამოქვეყნებული აქვს ჯერ ვ. ო. გუბერტს და შემდეგ 1913 წელს ნ. ფ. გამალეას. წერილში ვკითხულობთ: „ყვავილი, რომელიც ასე გავრცელებული და დამლუპველი არიან ჩვენთან (შეეხება ინგლისს), აქ სრულებით საშიში არ არის მისი აცრის (ინოკულაციის) წყალობით“. მარიამ მონტეგიუ წერილში დაწვრილებით აღწერს აცრის წესს და აცრის შემდეგ აცრილი პირის მდგომარეობას. ამასთან დასძენს, რომ მან არ იცის აცრის არც ერთი შემთხვევა, რომელსაც სიკვდილი მოჰყოლოდეს. „მე იმდენად დარწმუნებული ვარ მის უვნებლობაში,—წერს იგი,—რომ გადავწყვიტე ყვავილი ავუცრა ჩემს საყვარელ ვაჟიშვილს“. საყურადღებოა წერილის შემდეგი ადგილი, რომელიც კიდევ ერთხელ მკაფიოდ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყვავილის აცრა ინგლისში ცნობილი არ იყო. მარიამ მონტეგიუ წერს: „შევეცდები ეს სასარგებლო აღმოჩენა შევიტანო ინგლისში“. მაგრამ აქვე ევეს გამოთქვამს თავისი განზრახვის წარმატებით განხორციელებაში, იმის გამო, რომ ყვავილის აცრის წინააღმდეგ გაილაშქრებენ ინგლისელი ექიმები, რადგან ამ ავადმყოფობის გავრცელების გამო ისინი დიდ შემოსავალს ღებულობენ. მარიამ მონტეგიუ წერს: „ისინი თავს დაესხმიან იმ მამაც ადამიანს, რომელიც გაბედავს ყვავილის აღმოსაფხვრელად ღონისძიებების გატარებას. მაგრამ ინგლისში დაბრუნებისას მე შეიძლება აღვიჭურვო იმდენი მამაცობით, რომ მათ ომი გამოუეცხადო. განციფრდით თქვენი მეგობრის გმირობით“.

მარიამ მონტეგიუმ აიცრა ყვავილი და 1718 წელს ააცრევინა თავის ხუთ ვაჟიშვილს, ხოლო ინგლისში დაბრუნების შემდეგ კი 1721 წლის აპრილში ყვავილი ააცრევინა თავის ოთხი წლის ქალიშვილსაც. მონტეგიუს ქალიშვილს აუცრა ექიმმა მეტლენდმა, რომელიც მონტეგიუსთან ერთად კონსტანტინოპოლში იყო ნამყოფი და შეთვისებული ჰქონდა ყვავილის აცრის ჩვენ მიერ აღნიშნული წესი.

მარიამ მონტეგიუს შიში გამართლდა—ინგლისში ყვავილის აცრის შემოღების წინააღმდეგ ბევრმა ექიმმა გაილაშქრა, მაგრამ ყვავილის ეპიდემიების მძვინვარების გამო აცრამ თანდათან მაინც გაიკაფა გზა და თუმცა ადამიანისაგან მიღებული მასალით აცრა მთელ რიგ უარყოფით მომენტებსაც შეიცავდა, მაგრამ მაინც იგი ყვავილის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად კარგა ხნის მანძილზე ერთადერთ და მასთან მაინც ეფექტიან საშუალებას წარმოადგენდა.

ზემოთ აღწერილი გზით შემოტანილია ყვავილის აცრის მეთოდი ინგლისში იმდენად მოიკიდა ფეხი, რომ ინგლისის მთელ რიგ პუნქტებში ამ მეთოდით იწყეს მოსახლეობის მასობრივი აცრა. ერთ-ერთ ასეთ პუნქტში აღნიშნული წე-

სით აკრას აწარმოებდა ექიმი ელუარდ ჭენერი, რომელიც ამავე ხერხით თვით იყო აკრილი 8 წლის ასაკში.

ყვავილის აკრის საკმაოდ ფართო პრაქტიკული გამოყენების პროცესში ექიმმა ელუარდ ჭენერმა შენიშნა, რომ ყვავილით დაავადებული ადამიანისაგან აღებული მასალით აკრა შედგეს არ იძლეოდა იმ პირებში, რომელთაც გადატანილი ჰქონდათ ძროხის ყვავილი. დადგენილ იქნა, რომ ამ პირებს არ ემართებათ ადამიანის ყვავილი და რადგან ძროხის ყვავილით აკრა თავისუფალი არის მთელი რიგი უარყოფითი მომენტებისაგან, რომლებიც თან ახლდა ადამიანის ყვავილით აკრას, ყვავილის აკრის არსებული მეთოდი გაუმჯობესებულ იქნა და ყვავილის თავიდან ასაცილებლად გამოყენებული იქნა ძროხის ყვავილით აკრა.

ნ. ფ. გამალეა სამართლიანად აღნიშნავს: „ინოვაციის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან გამოიწვია ყვავილის აკრის თანამედროვე მეთოდის შემოღება.“

ექიმი ა. ნიკიტინი 1855 წელს გამოქვეყნებულ თავის შრომაში „სხვადასხვა ყვავილის აკრის შემოღების, გავრცელების და განვითარების ისტორიის ნარკვევი“ პირველწყაროების ფართოდ გამოყენების საფუძველზე ასკვნის: „ევეროპაში იგი (ყვავილის აკრა) ცნობილი გახდა მხოლოდ 1717 წლიდან...“ იგივე ავტორის მონაცემებიდან ჩანს, რომ ყვავილის აკრის ეს წესი, ინგლისის შემდეგ ამერიკაშიც იქნა გადატანილი. ეს მოხდა 1721 წელს, როდესაც ყვავილის ეპიდემიის მძვინვარების პერიოდში ერთმა ამერიკელმა ექიმმა ამ წესით ყვავილი აუტრა თავის ორ ბავშვს და შემდეგ იგი ჩაატარა 244 ადამიანზე. ეს იყო ყვავილის აკრის პირველი შემთხვევები ამერიკაში.

ჩვენ მიერ ზემოთ უკვე მოხსენებულ ორტომიან ნაშრომში „ყვავილის აკრის ისტორია დიდ ბრიტანეთში“, რომელიც გამოცემულია ლონდონში 1796 წელს, გარკვევით არის აღნიშნული, რომ ზემოაღნიშნული გზით ყვავილის აკრის შესახებ ცნობის გავრცელებამდე თურქებისათვის სრულებით უცნობია იყო ყვავილის აკრა. ყვავილის აკრას არ იცნობდნენ არც სხვა ქვეყნებში და არის ცნობები, რომ, როდესაც ისინი ამ მეთოდს გაეცნენ, ყვავილის ასაყრელად ამ საქმეში დახელოვნებულ პირებს სხვა ქვეყნებიდან იწვევდნენ.

თავისთავად ცხადია, რომ ქართველ ხალხს ასეთ დიდ საქმეში თავისი წვლილის შეტანა შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ყვავილის აკრის საქმე თვით საქართველოში ფართოდ იქნებოდა დანერგილი და განვითარებული.

ვნახოთ ამ მხრივ როგორ სურათს ჰქონდა ადგილი.

ექიმ როსელს, რომელმაც ინგლისის სამეფო საზოგადოებაში გააკეთა მოხსენება ყვავილის აკრის საკითხზე, აღნიშნული აქვს, რომ ქართველებს შორის ყვავილით ავადობის მდგომარეობის შესწავლისას მას დაუდასტურებია, რომ ქართველებში ეს მეთოდი ფართოდ გავრცელებული ყოფილა. მის მიერ ნახულ ქართველებს ყვავილი აკრილი ჰქონიათ, ნაწილს ცერსა და საჩვენებელი თითის შორის, უმეტესობას კი წინამხრის სხვადასხვა ადგილზე. ამასთან ექიმი როსელი დასძენს, რომ ქართველებში გავრცელებული ყოფილა აკრილი ადგილის წითელი ფერის ქსოვილით შეხვევის წესი.

ფრეგანგი თავის წერილებში კავკასიისა და საქართველოს შესახებ (1812 წელი) წერს: „ყველაზე ძველი ავტორების აზრი ერთმანეთს ემთხვევა იმ სა-

კითხვი, რომ საქართველოში ვერავის შეეხედებით გადატანილი ყვავილის ნიშნებით:“. ავტორის თქმით, სილამაზის გაფრთხილების სურვილმა აღმოაჩინა ყვავილის აცრა, რის შედეგად თავიდან იყო აცილებული ამ სენით გამოწვეული დასახიჩრებანი. თუ თავს დაეანებებთ ავტორის მიერ მოყვანილ მოსაზრებას ყვავილის აცრის აღმოჩენის მიზეზის შესახებ, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ქართველებს შორის კარგა ხნის წინათ უკვე გავრცელებული ყოფილა ყვავილის აცრა. იგივე ავტორი წერს, რომ დელია მოტრეის უნახავს თუ როგორ აწარმოებდნენ ყვავილის აცრას მეტად მარტივი წესით. გერმანულ ენაზე 1799 წელს ბერლინში გამოცემულ ნაშრომში საქართველო და სხვა ქვეყნები ისტორიულ, გეოგრაფიულ და სხვა თვალსაზრისით, ხანგასმით არის აღნიშნული. რომ „იბერიაში ბევრთა ყვავილი არ მტყინვარებს.“

კურტ შპრინგელი თავის მედიცინის ისტორიაში (1815—1832) პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ყვავილის აცრის ჩვეულება საქართველოში უსსოვარი დროიდან იყო გავრცელებული. მისივე თქმით: „დე მოტრეის 1712 წელს თვითონ უნახავს ეს ოპერაცია“.

ყვავილის აცრის პროცედურა ჩვენში 1772 წელს უნახავს აგრეთვე იოჰან ანტონ გიულდენშტედტს, რომელიც ამის შესახებ წერს: 15 მაისს ყვავილი აუტრეს ასზე მეტ ბავშვს... რვა დღით ადრე და აცრილი ყვავილის ჩათავე-ნამდე ყველა აცრილ ბავშვებს აკრძალული ჰქონდათ ხორცი, თევზი და ბრინჯი, მათ ასლევდნენ მხოლოდ ზურს და რძეს. ავტორის გადმოცემით. ბავშვებისათვის ყვავილი აუტრიათ ცურსა და საჩვენებელ თითს შუა, ამ მიზნისათვის დაუჭანკილ ადგილზე ყვავილის ჩირქის დადებით. ეს ადგილი შემდეგ შეუხვე-ვიათ. ამის შემდეგ ბავშვები. როგორც ჩვეულებრივ. სუფთა ჰაერზე იმყოფებოდნენ და თავს ჭანმრთელად გრძნობდნენ 19 მაისამდე, როდესაც აცრის ადგილას მათ გამოაყარა ყვავილის სამ-საძი პაპულა. 22 მაისს მათ მიადწიეს განვითარების უმაღლეს საფეხურს და მოთეთრო ფერი მიიღეს. 13-ში ისინი ერთმანეთს შეუერთდა, მაგრამ ბავშვები თავს ავად არ გრძნობდნენ. ბიჭუნა კი, რომელსაც ავტორი განსაკუთრებით აქცევდა ყურადღებას, ვანუწყვეტილად დარბოდა ფეხშიშველა.

23 მაისს გიულდენშტედი გამგზავრებულა და როდესაც 2 ივლისს უკან დაბრუნებულა, მისი გადმოცემით, აცრილი ბიჭუნა საესეებით ჭანმრთელი დახვედრია.

იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ „მან ინახულა მეფის წული იულონი, რომელსაც ამ დღეებში აუტრეს ყვავილი“.

როგორც მოტანილი ცნობიდან ჩანს, საქართველოში ყვავილის აცრას ატარებდნენ როგორც მასობრივ ღონისძიებას.

მეტად საინტერესოა გორის ციხის აღდგენის და მის მოვლის საკითხებთან დაკავშირებული საბუთები, რომლებიც 1945 წელს იქნა გამოქვეყნებული „სახისტორიო მონაბეში“. აღნიშნული საბუთები უმათერესად ერეკლეს ეკუთვნის.

ამ საბუთებში ერეკლე მეორე მიმართავს ამილახორს და გორელებს, აძლევს მათ სხვადასხვა მითითებას და ბრძანებას ციხის აღდგენის სამუშაოების შესახებ და ამასთან 1774 წლის 25 ივნისს ატყობინებს „აღმასხანს ყვავილი სჭირს“—ო. ხოლო 1774 წლის 29 ივნისს კი წერს: „მერმე, ვიცი აღმასხანის ამბავს იკითხავ; ღვთის მადლით, ყვავილი მშვიდობიანათ იხადა და მორჩა, რომ ამასთან ამ ყვავილის გამოიხათ საფიქრებელი არა არის რა... ასევე ვინც ამასთან ყვავილი აიჭრეს, ისინიც მშვიდობით მორჩნენ.“

მოტანილი ადგილებიდან ნათლად ჩანს, რომ ყვავილის გაჩენის შემთხვევაში ყვავილს „იჭრიდნენ“ ამ დაავადების თავიდან ასაცილებლად. ცხადია ისიც, რომ ამ ღონისძიების გატარების საქმის კურსში ყოფილა სახელმწიფოს მეთაური—ქართველი მეფე, რაც თავის მხრივ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ყვავილის პროფილაქტიკურ აცრას საკმაოდ ფართო ხასიათი ჰქონია ძველ საქართველოში.

კარგად ცნობილია ციციშვილის მიერ 1805 წელს ოქტომბერში კოჩუბეისათვის გაგზავნილი მიმართვა ძროხის ყვავილის აცრის საკითხზე ამ უკანასკნელისაგან მიღებული ბრძანების საპასუხოდ. ციციშვილი წერდა: „რამდენიმე საუკუნის მანძილზე საქართველოს სოფლებში... უცრიან ყვავილს, ოღონდ არა ძროხისას, არამედ ჩვეულებრივს და ამასთან ამ დაავადებას აქ არავითარი უარყოფითი შედეგები არ მოსდევს“.

თბილისიდან კონსტანტინოპოლამდე მოგზაურობის დღიურში, რომელიც 1829 წელს გამოქვეყნდა, როტიე წერდა, რომ ქართველები უპირატესობას აძლევენ ყვავილის აცრის თავიანთ ძველ წესს.

გამოჩენილი ქართველი კლინიციისტი ივანე თიკანაძე, მის მიერ 1896 წელს გამოქვეყნებულ წერილში წერდა, რომ ჩვენში ძველთაგანვე ეძიებდნენ ყვავილისაგან განმკურნებელ საშუალებას. ხალხი ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ როდესაც გარკვეული წესით განგებ შეახვედრებდნენ ყვავილს. ადამიანი უფრო ადვილად იხდიდა ამ სენს.

ჩვენ მიერ უკვე რამდენჯერმე მოხსენებულ ორტომიან ნაშრომში—„დიდ ბრიტანეთში ყვავილის აცრის ისტორია“ (ლონდონი, 1796 წელი) ვკითხულობთ: „ერთი გულახდილი ავტორის—შატის თქმით, ფქრობენ, რომ კასპიისა და შავ ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნები უნდა წარმოადგენდნენ ერთ-ერთ ცენტრს, საიდანაც შემდეგში აცრები სხვა ადგილებში გავრცელდა“.

მითითებას იმის შესახებ, რომ საქართველოში მრავალი საუკუნის მანძილზე მისდევდნენ ყვავილის აცრას, ვხვდებით აგრეთვე ტისეტის სამედიცინო ნაშრომში, რომელიც პირველად გამოცემულია 1761 წელს, მეორედ 1762 წელს, ხოლო ჩვენ ხელთ გვაქვს ამ წიგნის მესამე გამოცემიდან ნათარგმნი და რუსულ ენაზე 1781 წელს გამოქვეყნებული ტექსტი.

როგორც უკვე დავინახეთ, ერეკლე მეორე ყვავილის აცრას აღნიშნავს ყვავილის „აქრა“—თი. ეს ტერმინი დღესაც საკმაოდ გავრცელებულია სვანეთ-

ში. ხალხი ლაპარაკში ხმარობს სიტყვას „ქლევა“-ს ან სამეგრელოში. ხალხი ხმარობს სიტყვას „ექვირუა“-ს, რაც იგივე აქრას ნიშნავს. საფიქრებელია, რომ ცნება „ყვავილის აცრა“ უფრო ძველი ცნება უნდა იყოს და მხოლოდ შემდეგში შემოდის ქართულ ენაში სიტყვა „აცრა“. მით უმეტეს, რომ არსებობს მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ, როდესაც უცხოეთში საქართველოდან გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის წინათ უკვე ცნობილი და გავრცელებული ყვავილთან ბრძოლის აღნიშნული საშუალება, ამ იდეის და პრაქტიკის გამავრცელებელი ავტორები სიტყვა აცრასთან ერთად „აქრას“-აც ხმარობდნენ, შემდგომში კი ეს სიტყვა სავსებით მიიჩქმალა.

ქართველ ხალხში ჯერ კიდევ ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ შემონახული იყო ძველი ქართული წესით ყვავილის აცრაში დახელოვნებულ და ამ მხრივ საყოველთაოდ ცნობილ პირთა გვარები. მაგალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტში დაცულია საინტერესო საბუთი, რომელშიაც გადმოცემულია ზუგდიდში მცხოვრები მოხუცებული გლეხის უტუღია თოლარაიას (რომელიც ამ ამბის ჩამწერი პირის გადმოცემით დაბადებული უნდა ყოფილიყო დაახლოებით 1785 წელს) მიერ მოთხრობილი ამბავი იმის შესახებ, რომ საქართველოში ყვავილის აცრა ძველთაგან სკოდნით. ძველ ამცრელთაგან მოხუც თოლარაიას დაუსახელებია ამ საქმეში განთქმული ივანე ძიძიგური, რომელიც ასაკით მასზე უფროსი ყოფილა და ამ ამბის ჩაწერის პერიოდში უკვე ცოცხალი აღარ იყო. საბურზაყანოში ცნობილი ყოფილა ყვავილის აცრის ჯენაგონიას წესი და სხვ.

ახლა იბადება მეტად საინტერესო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი განვითარება ჰპოვა თვით საქართველოში ყვავილის აცრის საუქუნეების მანძილზე არსებულმა წესმა. არის მასალები, საიდანაც ცხადად ჩანს, რომ ჩვენში ყვავილის აცრის ვარიოლიზაცია მეთოდი განვითარებულა და ამის საფუძველზე შემდგომში ძროხის ან ცხვრის ყვავილის აცრა დაუწერავთ.

გ უ მ ბ ო ლ დ ტ ი წერს, რომ ჯენერის აღმოჩენა არ წარმოშობილა უეცრად და მოულოდნელად. ამ ავტორის თქმით. ძროხის ყვავილის აცრა დიდი ხნის წინათ ცნობილი იყო ამიერკავკასიის მთიანი ადგილების მოსახლეობისათვის. როგორც ჩანს, ეს წესი ქართველმა ხალხმა მთიან ადგილებში თითქმის ჩვენს ჯრომდე შემოინახა.

დაცულია მეტად საინტერესო ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში მოვიდა ერთი ხევსური ბარისახოდან, რომელმაც ითხოვა მისთვის ბავშვების ძროხის ყვავილით აცრის ნება მიეცათ. დეტალური გამოკითხვის შედეგად გამოჩვენდა, რომ ეს ხევსური ძროხის ყვავილით აცრას მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდა და ეს პროფესია მას შესწავლილი ჰქონდა თავისი მამისა და პაპისაგან, რომლებიც ასევე სპეციალურად აწარმოებდნენ ბავშვების აცრას ძროხის ყვავილით. იმავე ხევსურის გად-

პოცემით. ხევსურეთში წარსულში, არაიშვიათი ყოფილა ძროხის და ცხვრის ყვავილით დაავადება და დაავადებული ძროხებიდან მიღებული ჩირქი გარკვეული წესის დაცვით გამოყენებული ყოფილა ასაცრელ მასალად. ანალოგიური ცნობა ჩვენ მივიღეთ ცნობილ ქართველ სკულპტორ იაკობ ნიკოლაძისაგან, რომლის თქმით, მას კარგად ახსოვს ბავშვობაში ნახული და გაგონილი ამბავი, რომ ადამიანის ყვავილით დაავადების თავიდან ასაცილებლად გორის მაზრაში და საქართველოს სხვა კუთხეებში ხალხი ფართოდ მიმართავდა ცხვრის ყვავილის აცრას.

მოყვანილი მასალა ნათელს ხდის, რომ ქართველ ხალხს დიდი ხნის წინ მიკვლეული და გამოყენებული ჰქონდა ყვავილის გავრცელებასთან ბრძოლის ნეთოდი—ყვავილის აცრა; ნათელია ისიც, რომ მთელ მსოფლიოში ყვავილის აცრის იდეის და პრაქტიკის გავრცელებას ერთ-ერთი კერა საქართველო იყო.

— — —

**მკურნალობის ზოგადი პრინციპები**

წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ ძველ ქართულ მედიცინაში არსებული შეხედულებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „სიმრთელის შენახვის“, ანუ ჭანმრთელობის დაცვის საქმეში. მაგრამ, როგორც ამ ტომის პირველ წიგნში აღვნიშნეთ, მედიცინის დანიშნულება მხოლოდ იმით არ განისაზღვრებოდა, რომ ჭანმრთელი ორგანიზმი დაეცვა დააკადებისაგან. მას ევალებოდა აგრეთვე „სნეულსა გამთელებაი და მისაა ტანსა შიგან შეყენებაი სიმრთელისა და გაყენებაი მანკაი“. ამის მიღწევა მკურნალობის შედეგად შეიძლებოდა. სხეულის გამთელებისათვის საჭირო ღონისძიებებია გატარებას მკურნალობა, წამლობა, ანუ ხელისდადება ეწოდებოდა. როგორც სულსანსაბა ორბელიანი თავის ლექსიკონში აღნიშნავს, როცა ექიმი ავადმყოფს მკურნალობას დაუწყებდა, ამას ხელისდადებას ეძახდნენ.<sup>1</sup> „ხელისდადება ესე არს მკურნალმან რა სნეულს წამლობა დაუწყოს.“<sup>2</sup>

ყოველი დაავადებისთვის. რომელიც კი ცნობილი იყო ძველ ქართულ მედიცინაში. შემუშავებული იყო გარკვეული სახის მკურნალობა. მკურნალობა კომპლექსური ხასიათისა იყო, რასაც ხელს უწყობდა მრავალფეროვან სამკურნალო საშუალებათა არსენალი. სამკურნალოდ იხმარებოდა მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის წამლები. ვარდა ამისა, სამკურნალო მიზნით გამოიყენებოდა ბუნებრივი ძალები: წყალი, ტალახი, მზის სხივები და სხვა. იმ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც თავისი ხასიათის მიხედვით ამჟამად ფსიქოთერაპიულ ღონისძიებათა ჯგუფს მიეკუთვნება. არანაკლები მნიშვნელობა ეძლეოდა დიეტის დაცვას, ავადმყოფის წესიერ მოვლას და სხვ.

ექიმს უნდა შეერჩია ავადმყოფისათვის წამალი, მიეცა დარიგება რა საკვები მიეღო. როგორი რეჟიმი დაეცვა და სხვ.

<sup>1</sup> რაჟან ხელისდადება მკურნალობას ნიშნავდა, ამიტომ სასულიერო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერილობებში ის ადგილები, სადაც ნათქვამია, რომ ამა და ამ პირმა ავადმყოფს ხელი დასდო და განკურნაო. შეიძლება აგრეთვე გავიგოთ როგორც ჩატარებული მკურნალობის შედეგად განკურნება და არა მხოლოდ როგორც „სასაწაულებრივი მოქმედების“ ნაყოფი. რაც შეეხება განკურნების სხვა შემთხვევებს. აღწერის ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში. ისინი ეპოქისათვის დამახასიათებელი სასწაულებრივი ფორმით არიან წარმოდგენილი და უმეტესად კამწელებულია რეალური სურათის დანახვა.

<sup>2</sup> სულსანსაბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, დასახელებული გამოცემა, იბ. სიტყვა ხელისდადება.



„აწე ერთი აქიომობისა ოსტატობა ეს არის, რომე ამ ზენსა რომელი წამალი უკეთ მოუხდების და კარგად და ან რომელი მართებს რომე უყოს, და კარგად ეუნება გაავლოს რომე საფათერაკოდ არ მოხდეს.“<sup>1</sup>

„რა უნდა და რა არ უნდა საკმელი, სასმელი, ყუელა კარგად გასინჯე.“<sup>2</sup>

„აქიმი ეგეთი ხამს რომელ ჰირსა და დასაწყისსა სნებათასა კარგად შეატ-  
უუბდის. რომელ რაი ნიშანი რაიმე გამოაჩნდეს სნეულსა ფაპრეზსა აქნევედეს  
და ფაპრეზი კრძალვასა ჰქვიან. და ეგეთთა საკამადთგან რომელ არ მაშუნი-  
იყოს შეინახვიდეს, და ეგეთთა წამალთა მისცემდეს რომელ მანკსა მისსა ერგე-  
ბოდეს ვიღრე მანკისა დედა გაძლიერდებოდეს ტანსა შიგან...“<sup>3</sup>

საყურადღებოა, რომ მკურნალობის შესახებ ასეთივე შეხედულება გვხვდებ-  
და შემდეგი საუკუნეების არასამედიცინო წყაროებშიც. კერძოდ, იოანე ბატონიშვილის ცნობილ თხზულებაში „კალმასობა“ შემდეგს ვკითხუ-  
ლობთ: „პირველად მიზეზი იცნოს თუ რით არის ავად, და მით შეურჩიოს აქი-  
მმან რიგან წამლებნი და შესაფერნი. მერეთ რიგაანი ფარეზი და მსუბუქთა-  
საკმელებთა შემზადება და კარგთა სასმელებითა ხელის მწეყობა. ამასთან გამ-  
ხიარულება სნეულსა, განფრთხილება არავინ განარისხოს იგი, კვალად სიფრ-  
თხილე უწყესო საქმისაგან, და არცა აღრევა მდედრთათანა, ეგრეთვე რიგაანი  
ჰოდრაობა, და ცხენზედ ჯდომით წყნარწყნარე ტარება. უკეთუ ოფლით მოსარ-  
ჩენი სნეულება არს, განფრთხილება დროსა ოფლის დენისასა რათა არ გაციონ-  
და ოფლი უკან არ შეუბრუნონ. უკეთუ ეს გვარ ექმნების სიფრთხილე სნეულსა.  
მაშინ თითქმის ბევრი წამლობაც არაა ეკირება, და ადვილად განთავისუფლ-  
დება სნეულებისაგან.“<sup>4</sup>

გავრცელებული იყო სრულიად სწორი შეხედულება, რომ ყველა დაავადე-  
ბას ერთნაირი წამალი ვერ განკურნავს. სამკურნალო საშუალება და მიდგომა-  
დაავადების ხასიათით იყო განსაზღვრული. ერთი ავადმყოფის სასარგებლო წა-  
მალი შეიძლება მეორისთვის საზიანო ყოფილიყო. ამიტომ მისთვის სხვა წამალი  
უნდა შეერჩიათ. ეს აზრი კარგად არის გამოთქმული არა მარტო ძველ ქართულ  
სამედიცინო წყაროებში, არამედ არასამედიცინო ლიტერატურაშიც. არჩი-  
ლის ერთ-ერთ ცნობილ ნაწარმოებში—„გუამისა რვათა ასოთა“ ვკითხულობთ.  
„ყოველს სენს ერთი წამალი ვერ ჰკურნებს ვერ უშველისა,  
ამას შაქარი ულხენს და, ჰე, იმას შხამი გველისა.“

სხვასა ჰაერის სიხმელე და სხვასა მწვე სისველისა...“<sup>5</sup>

ვიღრე მკურნალობის აღნიშნულ მეთოდებსა და საშუალებებს განვიხილავ-  
დეთ, საჭიროა გავეცნოთ ძველ ქართულ მედიცინაში გავრცელებულ ზოგად

1 „უსწორა კარაბდინი“, გვ. 30.

2 იქვე, გვ. 5.

3 „ვიგნი საქიმიო“, გვ. 47.

4 იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჭანაშვიას სახე-  
ლობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. ფონდი S,  
16 5374, ფ. 239v—240r.

5 არჩილი, „გუამისა რვათა ასოთა“, იხ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, აღ. ბა-  
კამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 15, სტროფი 9.

სამკურნალო პრინციპებს, რომელთა შესრულება და დაცვა აუცილებლად ითვლებოდა თითქმის ყოველგვარი დაავადების მკურნალობის პროცესში.

თუ ავადმყოფის მდგომარეობა საშუალებას იძლეოდა, მას წამალი არ უნდა მისცემოდა მანამ, ვიდრე დიაგნოზი არ იქნებოდა დადგენილი. სწორედ მიაჩნდათ, რომ მკურნალობის დაწყების შემდეგ დაავადების ანოკნოზა კიდევ უფრო ძნელია და დიაგნოზის გარეშე მკურნალობა არა მარტო ნაკლებ შედეგობრივია, არამედ სახიფათოც არის.

„...სადა მანამდის მართალი არა შეიტყოს, მანამდი წამალს ნუ მისცემს, თვარა საფათერაყო არის, რა ეამს მართალზედა დასდგეს, მაშინ უყოს წამალი რა ეამს მაჯასა და კარურასა შეატყობს და სენსა იცნობს მაშინ გაადვილდების, დარაცა გირჩევენია იმას იქ.“<sup>1</sup>

იქვე: „...რომელსაც ცხელება არა სჭირდეს, მას სამ დღემდი ნურას მისცენ: წამალსა ამისთვის, რომე აქიმი უკეთ შეიტყობს თუ რისგან არის სენი მისი.“<sup>2</sup>

ასეთივე შეხედულება გვხვდება XV—XVI და შემდეგი საუკუნეების წყაროებშიც.

„პირველად მიზეზი იცნოს თუ რით არის ავთ, და მით შეურჩიოს აქიმმანოიგან წამლები და შესაფერნი.“<sup>3</sup>

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ დიაგნოზის დადგენისათვის ხანგრძლივად ეცადათ და არავითარი სამკურნალო ზომები არ მიეღოთ, მით უმეტეს, რომ ავადმყოფის განკურნების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მკურნალობის დროულად დაწყებას. ფიქრობდნენ, რომ სასურველი შედეგის მიღება მითაუფრო ადვილი იქნებოდა, რამდენადაც მკურნალობა დროულად ჩატარდებოდა.

„და ესეც იცოდი სენსა გაშვება არ უნდა, ამად რომე გაგრძელდება და თუ სენი გაგრძელდების შეხორცდების და ძნელად ეშველების და ყოველი ასა დაზიანდების.“<sup>4</sup>

მკურნალობის დროული დაწყების შესახებ ასეთივე შეხედულებები იყო გავრცელებული XIII და შემდეგ საუკუნეებში.

„აქიმისა არაჟი და საქმე ესრე არს: რომელი, თუ ფრთხილი და მეცნიერი იყოს, წამალსა ეამიერად მისცემს... რაისაცა სნეული ითხოვდეს, ეამიერად მისცემდეს და მისისა ძალისა მისაფერსა.“<sup>5</sup>

„რაი ადვილი წამალი უნდეს, ძნელი არა მისცეს და რაი რწყევისა წამალ უნდეს, გასახსნელი არამისცეს და რაი შარაბისა მიცემა ხმდეს ქაშქაბი არ მისცეს; და რაი ქაშქაბისა მიცემაი ხმდეს, ურწყუი არ მისცეს.“<sup>6</sup>

„...არ მოსცეთეს კურნებასა, თუ არა მაშინ საშიში იქნების...“<sup>7</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 9.

2 იქვე, გვ. 323.

3 იოანე ბატონიშვილი, „კალასობა“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჭანაშვიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. იხ. ფონდ: 5, № 5374, ფ. 239v.

4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 31.

5 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 9.

6 იქვე, გვ. 9, 10.

7 იქვე, გვ. 275.

„და ღია უძნელესი კურნებაი ესე არს ყოველთა კურნებათაგან, ეგრე ხამს რომელ ადრე ეწიოს და არ მოლაფლდეს და მოიჭირვოს სიფრთხილესა და კურნებასა მისსა კრძალვითა.“<sup>1</sup>

XVIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში მშვენივრად არის ნათქვამი:

„კურნებაი სენისა არი დამოკიდებული დაწყებასვე მისსა.“<sup>2</sup>

უნდა ითქვას, რომ მკურნალობის დროულად დაწყებას კვებუ მკურნალობის მხოლოდ თავდაპირველად დროულად დაწყება კი არ იგულანსებოდა. არამედ მკურნალობის მთელ მანძილზე ავადმყოფის მდგომარეობის მიხედვით სამკურნალო საშუალებათა დროული მიცემა, საჭიროების შემთხვევაში ერთი წამლის მოხსნა და მეორის დანიშვნა, ან დამატებითი საშუალებების მიცემა და სხვ.

გამოდიოდნენ რა იმ შეხედულებებიდან, რომ ყოველი ორგანიზმი ამა თუ იმ თავისებურებით ხასიათდება და გარკვეულად განსხვავდება სხვა ორგანიზმებისაგან. სრულიად სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ ესა თუ ის დაავადება სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს და მასასადამე განსხვავებული სამკურნალო მიდგომა საჭირო. ეს აზრი მკაფიოდ არის გამოთქმული „წიგნი სააქიმოში“, სადაც ვკითხულობთ: „...თუშეცა კაცთა ბუნებაი მრავალჲერი არ იყოს ყოველი კაცი ერთითა სნებათა გახდებოდეს ჰავად და სიმრთელე, მათი და სნებაი ერთფერად იქნებოდა.“<sup>3</sup>

მკურნალობის დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წამლეულობის სწორად გამოყენებას. წამლების მიცემის დროს საჭიროდ ღიახლათ ავადმყოფის ასაკის, სქესის, ფიზიკური განვითარების, საერთო მდგომარეობის, წამლის მოკმედების სიმძლიერის, წელიწადის დროისა და სხვა პირობების გათვალისწინება. აღნიშნულ პირობათა გათვალისწინებით ხდებოდა წამლის დოზის განსაზღვრა, წამლის შერჩევა. ავადმყოფს წამალი „საზომიერად და ჟამისა და კაცი-სა მისაფერად“ უნდა მისცემოდა.<sup>4</sup>

თუ ავადმყოფი მცირე ასაკისა იყო, მას წამალი ნაკლები დოზით ეძლეოდა, ვიდრე სრულწაკოვანს.

„უსწორო კარაბდინში“ ვკითხულობთ: „თუ ესე ნიშანი ვაქსა სჭირდეს მისითა წესითა წაეცილოს; „უფროსსა კაცსა უფროსი წამალი მიეცი...“<sup>5</sup>

„დიდმან კაცმან ერთი მუტყალი და ცოტამან ნახევარი მუტყალი და მისგან უმცროსმან ერთი დანგი და მარტივლმან ნახევარ დანგი“<sup>6</sup>

როგორც აღვნიშნეთ, წამლის დოზის განსაზღვრის დროს, გარდა ასაკისა, ავადმყოფის ფიზიკურ განვითარებას და გარემო პირობებსაც ექცეოდა ყურადღება. ავადმყოფი რაც უფრო სუსტად იყო ფიზიკურად განვითარებული, მით უფრო ნაკლები დოზით ეძლეოდა წამალი.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 166.

<sup>2</sup> „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჭანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. ფონდი H, № 2164, ფ. 35.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 50.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 77.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბდინი“, გვ. 43.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 79.

„თუ პაერი გრილი და მრთელი იყოს და კაცი ძალიანი იყოს ოროლი დანგი მიეც. თუ ქვეყანა ცხელი იყოს და კაცი ძალნაკლული იყოს მაშინ დანგნახევა-რი მიეცი. თუ ცოტა კაცი იყოს ერთი დანგი, და თუ უფრო ცოტა კაცი იყოს ნახევა-რი დანგი, უზიანო არის იცოდით...“<sup>1</sup>

„დიდსა კაცსა ზუთი დრამი და ცოტასა კაცსა სამი დრამი.“<sup>2</sup>

ამავე დროს, თუ ავადმყოფი სუსტად იყო, მას ძლიერ მოქმედი სამკურ-ნალწამლო საშუალება არ ეძლეოდა და პირიქით.

„და სნეულს დახედნე და კარგად შეიტყე თუ სუსტად იყოს ნურას ფერსა მძიმესა წამალსა ნუ ანდობთ... თუ ძალიანად იყოს მას უფრო ძალიანად მიეცი. მაგრამ ერთ პირად ნუ მიხეცემთ.“<sup>3</sup>

„ასრე უნდა აქიმმა სნეულს ძალი შეუტყოს რომე, როცა არა შეეძლოს მე-ტი წამალი არ მისცეს.“<sup>4</sup>

საყურადღებოა ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგ შემთხვევაში წაჰლას ღო-ზას დღითი დღე თანდათანობით უმატებდნენ: „ერთსა დღესა მიეციოთ მაგრა ათი დრამი, და თუ არა უსაქმოს, მეორესა დღესა ოცი დრამი მიეციოთ, და თუ არა უსაქმოს მესამესა დღესა ოცდაათი დრამი მიეციოთ სუბუქ სუბუქისა წამ-ლისაგან...“<sup>5</sup>

მკურნალობის დროს ყურადღება ექცეოდა ავადმყოფის საერთო მდგომარეობას. სცოდნიათ, რომ ამა თუ იმ ორგანოს დაავადების მკურნალობაზე დიდ გავლენას ახდენს ორგანიზმის საერთო მდგომარეობა. შეიძლება მკურნალობა უშედეგოდ დამთავრდეს ან სასურველი შედეგი ვერ გამოიღოს. თუ უშუალოდ დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებებთან ერთად ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ზომები არ იქნა მიღებული. შეიძლება ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის დროს ავადმყოფი დაიღუპოს, თუ მის საერთო მდგომარეობას არ მიექცია ყურადღება.

მაგალითად. XI საუკუნის ჰამედისენი შეხედულებებს შორის გვხვდება ისეთი აზრი, რომ თუ ავადმყოფი სუსტად არის, საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები, რომ იგი მოღონიერდეს და სძლიოს სნეულებას.

„თუ სნეულისა ძალი სუსტად იყოს, მართებს აქიმსა, რომე ასეთი წანალა და შარბათები შეუწყოს და საქმელი რომე ძალზედა მოიყუანოს, იმა ძალსა ესე შეუძლია, რომე სნეულობა გაათაოს.“<sup>6</sup>

ასეთივე აზრები გვხვდება XIII და შემდეგი საუკუნეების დამწერლობით წყაროებშიც.

„და ამისთვის მოიჭირვოს რომელ გული გაუგრილოს და გააძლიეროს გრილთა წამლითა, და წყლულისა კურნებაი ადვილად ეგების მას უკანით რომელ გულისა ფეთქაი დაწყნარებული იყო, რაი სნეული შეძლებულად იყოს.“<sup>7</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“ გვ. 31.

2 იქვე, გვ. 181.

3 იქვე, გვ. 6.

4 იქვე, გვ. 313.

5 იქვე, გვ. 6.

6 იქვე, გვ. 144.

7 „წიგნი სააქიმოი“ გვ. 275.

„მაშინ ჰკურნე ქორფლი დედათა, თუ სჭირდეს უკეთუ უძლებობა არ გაბრკოლებდეს და ძნელი უსუსურობა.“<sup>1</sup>

მაშასადამე, წყლულის ან სხვა რაიმე მსგავსი დაავადების განკურნება ადვილად შეიძლება, თუ ავადმყოფის გულის მოქმედება არ არის დარღვეულია და მისი საერთო მდგომარეობა კარგია. მთავარია ჯერ გულის მუშაობის მოწესრიგება. თორემ, თუ წყლულს უმკურნალე და ავადმყოფის საერთო მდგომარეობას, მის გულის მოქმედებას არ მიაქციე ყურადღება, შეიძლება არასასურველი შედეგი მიიღო.

იმ შემთხვევაში, როცა ავადმყოფის განკურნება შედარებით სუსტად მოქმედი სამკურნალწამლო საშუალებების მიცემითა და სხვა მსუბუქი ზომების მიღებით შეიძლებოდა, მაშინ, როგორც წესი, არამიზანშეწონილად ითვლებოდა ძლიერად მოქმედი წამლების მიცემა.

„თუ კაცსა და ამ რიგსა ავად მყოფსა, ან საკმელებითა და ან შარბათებითა. ან ტლევებითა და ან ლოაბებითა, და ან სხვისა წვრილითა წამლებითა ეწამლების და ან ელხინების, იმას საძნელო წამლები და აქიმობა არ უნდა უყონ, არცა ძნელი და ძალიანი მუსილები და გასახსნელი წამლები ასუან არცა მწოედ ძნელი და ძალიან ოყნავები უყონ, არცა ძალზედა სისხლი აღინონ.“<sup>2</sup>

განსაკუთრებით სიფრთხილეს მოითხოვდნენ შხამიანი წამლების ხმარების დროს. შხამიანი წამლების ხმარების წესების შესახებ „უსწორო კარაბადინში“ სპეციალური ქვეთავია გამოყოფილი—„აწ შხამიანი წამლები დაესწეროთ რომე რიდება უნდა და მიცემა არ უნდა.“<sup>3</sup>

ცდილობდნენ შხამიანი წამალი იწვიათად გამოეყენებინათ. ავადმყოფისათვის შხამიანი წამლის მიცემისაგან, თუ მაინცდამაინც აუცილებელი არ იყო, ამჯობინებდნენ თავის შეკავებას, მაგრამ, თუ აუცილებელი იყო, მაშინ ზუსტად უნდა ყოფილიყო დაცული დოზა. ამავე დროს, როგორც წესი, ასეთი წამალი სხვა ნივთიერებასთან უნდა ყოფილიყო შერეული, მისი ცალკე მიცემა არ შეიძლებოდა.

შხამიან წამლად ითვლებოდა, მაგალითად: აფიონი (ხაშხაში, ოპიუმი), მაზარიონი (რძიანა, *Euphorbia L.*), ანჭურა (კინჭარი, *Urtica L.*), სინამაქი (ალექსანდრიული ფოთოლი, ანუ ე. წ. ფუთფუთას ხის ფოთოლი *Eolia Sennae* ხისგან — *Cassia Lenitiva Bischoff*), მურდასანგი ტყეის ქანგი — *Plumbum Oxydatum*) და სხვ.

„ესე არის რომე აქა სწერია, თუ ამ წამლებისაგან დაამეტებ და ან მარტოსა მისცემდე შხამად შეერგების. თუ ღონე არ ჰქონდეს და მისცემდე სიფრთხილითა მიეც: მაზარიონი, შიბრაპი, სინამაქი, აფიონი, ფარეიონი, ზაჯი, ჯაბალანგი, ჯავზი, მათილ, ჯავზულუცი, დაფლი, ხარბაყი, ქუნდუსა, ხაზამონი, როხამი, ანჭურა, ანასალი, ბარზეული, მურდასანგი, სიაეტაბ, არტყნისა, დაამია, რამანა, საპონი, საყმუნია, ფნდანა სატკივარზედ შეიტყევე და აგრე მიე, თუ დააქარბებ და ან მარტოს მისცემ შხამად შეერგების.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 38.

<sup>2</sup> „იდიგარ დაული“, გვ. 137.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 32.

<sup>4</sup> იქვე.

ძველად საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, იმის გამო, რომ ჭირ კიდევ კვლევის სათანადო მეთოდები და საშუალებები არ გააჩნდათ, ცხადია, არ იცოდნენ, რომ ზოგიერთ წამალს ორგანიზმში დაგროვება—კუმულაცია ახასიათებს. არ იცოდნენ, რომ ზოგიერთი წამლისათვის ეს იყო დამახასიათებელი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძველ ქართველ ექიმებს კარგად სცოდნიათ, რომ ზოგიერთი წამლის ხანგრძლივად მიცემა არ შეიძლება, რადგან ორგანიზმში არასასურველ მოვლენებს გამოიწვევს.

„ესე წამლები რომე სხვა წამლები დაგვიწერია უზიანო არის ამათგან საშიში არა არის რა, ზენაარ ესე წამლები რომე სახელებით გვითქუამს უკანის რაიმე სწერია ამისგან თუ იხმარებდე ხანყამისად, ს ა მ უ ლ ა მ ო დ ნ უ მ ი ს ც ე მ თ ე მ ა დ რ ო მ ე თ უ ს ა მ უ ლ ა მ ო დ მ ი ს ც ე მ თ ს ხ ვ ა ს ა ს ე ნ ს ა გ ა მ ო ა ჩ ე ნ ს...“<sup>1</sup>

მკურნალობის ცალკეული ზოგადი პრინციპები დაავადების შესახებ არსებული შეხედულებებიდან გამომდინარეობდა.

როგორც ამ ტომის პირველ წიგნში აღვნიშნეთ, ძველ ქართულ მედიცინაში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ აღამიანის ავად განდომა ბევრად არის დამოკიდებული საყოფაცხოვრებო და შრომის პირობებისაგან, გარემო ფაქტორებისა და მთელი რიგი სხვა მიზეზებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ორგანიზმის ოთხი ძირითადი სითხის—სისხლის, ლორწოს, ლიმფის და შავი ნალექის სწორი შეზავების დარღვევა. ფიქრობდნენ, რომ რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული აღნიშნული ოთხი სითხის ურთიერთშეზავების შეცვლა და რომელი მათგანის ხარჯზეც არ უნდა მომხდარიყო დარღვევა, ე. ი. ერთ-ერთი მათგანის მომატება ან დაკლება, აღამიანი ავად განდებოდა. ემყარებოდა რა დაავადების ასეთ გაგებას, ექიმი ცდილობდა გამოერკვია ამ ოთხ სითხეთაგან რომლის ხარჯზე იყო შეცვლილი სწორი შეზავება და რა მიზეზით იყო იგი გამოწვეული.

მართალია, დაავადების ზემოაღნიშნული გაგება მცდარი იყო და მიახლოებითაც კი ვერ გამოხატავდა დაავადების არსს, მაგრამ დასახელებული ოთხი სითხის სწორი შეზავების შეცვლის გამომწვევი ფაქტორების ძიების დროს ექიმი არაიშვიათად დაავადების ნამდვილ მიზეზებს პოულობდა და მის საწინააღმდეგო მკურნალობას ატარებდა. ამ გარემოებას უარესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მკურნალობის შედეგისათვის. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამისი მაგალითები ძველ ქართულ სამედიცინო დამწერლობით წყაროებში მრავლად მოიპოვება.

თუ დარწმუნდებოდნენ, რომ ორგანიზმის ოთხ სითხეს შორის სწორი შეზავება დარღვეული იყო სისხლის მომატების შედეგად, მაშინ მის გამოღებას მიმართავდნენ. სისხლის გამოღება სხვადასხვა საშუალებითა და გზით წარმოებულა. სისხლის გამოშვებას აწარმოებდნენ ვენებიდან, სპეციალური იარაღის — შაშარის საშუალებით. აგრეთვე, მიმართავდნენ კოტონისა და წურბელის მოკიდებას.

<sup>1</sup> „უსწორო კარბადინი“, გვ. 32.

<sup>2</sup> „საქართველოს მედიცინის ისტორია“, ტ. III, წიგნი, I, თავი IV, „ჯანმრთელობა და დაავადება“, გვ. 145—170.

ანის შესახებ მრავალი ცნობის მოყვანა შეიძლება თითქმის ყველა ძველი ქართული სამედიცინო და არასამედიცინო წყაროებიდან.

„უწარო კარაბადინში“ ვკითხულობთ:

„გასინჯე თუ სისხლისა დამეტების ნიშანი ნახო უწინ ხელი გაუხსენ...“<sup>1</sup>

„საფასა წამალი, თუ სისხლი მეტი იყოს უწინ ყიფალი გაუხსენ, მერმე კი სერზედ ორგნით კოტოში მოჰკიდე, თუ არ ემველოს შუბლის ძარღვი გაუხსენ.“<sup>2</sup>

ნაკრისი: „თუ სისხლისაგან იყოს, ფერხის სიმსიენე წითელი იყოს და ძარღვები საესედ და ძალიანად სცემდეს, მას გაუხსენ ფერხისა ნეკსა და თითს შუა, კოტა ზემორე რომე ძარღვი არის.“<sup>3</sup>

ეპოქისათვის დამახასიათებელი აღნიშნული სამედიცინო შეხედულება დაავადების განვითარებაში სისხლის მომატებისა და განკურნების მიზნით მისი გამოღების მნიშვნელობის შესახებ მშვენიერად არის ასახული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ და სხვა არასამედიცინო დამწერლობით ძეგლებში.

შოთა რუსთაველი წერს, რომ ნესტან-დარეჯანის სიყვარულით გულშედონებულ ტარიელს სისხლის მომატება დასწამეს და მეფეს უბრძანებია სისხლის გამოღება ზედა კიდურის ვენიდან, ანუ „ხელის გახსნა“, როგორც უწოდებდნენ აღნიშნულ სამკურნალო მანიპულაციას ძველად საქართველოში.

ამ ამბავს ტარიელი ასე უყვება ავთანდილს:

„დღენი გამოხდეს და გული უფრორე დამწვეს კვლავ ალთა;

ველარ ვუქვერტდი ლაშქართა, მინდორს თამაშად მავალთა;

დარბაზს ვერ მიველ; მკურნალთა დამიწყეს მოსლვა მრავალთა, —

ნაშინ დავიწყე გარდახდა სოფლისა ლხინთა და ვალთა.

„მათ ვერა მარგეს, მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა,

სხვამან ვერაეინ შემატყო დება ცეცხლისა ცხელისა;

სისხლი დამწამეს; მეფემან ბრძანა გახსნევა ხელისა.

გავიხსენ ფარვად პატრიქთა, არვისგან საექვევლისა.“<sup>4</sup>

იმავე ეპოქის ცნობილ სამედიცინო დამწერლობით ძეგლში „წიგნი სააქიმოი“ ვკითხულობთ: მანკნი რომელ სისხლისა მორევენისაგან და მისსა შეშლილისაგან იყოს. ოდესცა სისხლი მოერიოს ტანსა შიგან და ბუნებრა თავისასა შეიშალოს, და გზაი ვერ პოოს ტანისაგან გამოსავალი, და უღონოდ დაშავდების, და მანკნი გამოჩნდებიან ვითა ხორხისა დაჭირვაი და სურდოი და ღრძილთა სიმსიენე, და მჯღომები, და დუბალაი და წითელი და ღვიძლისა ტკივილი, და ნიკრისი მხურვალი, და მუტბაყი ცხროი, და საქციელია ტკივილი და ცხვირთაგან სისხლისა დენაი, და მუტლისაგან სისხლი სადენა.“<sup>5</sup>

1 „უწარო კარაბადინი“, გვ. 375.

2 იქვე, გვ. 376.

3 იქვე, გვ. 363.

4 შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1953, სტროფი 361,362. ხაზი ჩვენია—ავტორები.

5 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 50, 51.

„ესე მანკი თუ სისხლისა მორევენისა, და სიფიცხისაგან იყოს.“<sup>1</sup>

„თავის ტკივილი რომელ სისხლისაგან იყოს.“<sup>2</sup>

„მტერთა დაცემა“, ანუ ებილეფსია „რაიცა სისხლისაგან იყოს.“<sup>3</sup>

„ასოთა თრთოლაი, რომელსა ჰქვიან არაბულად რაშე. ვითარებაი მისი მრავალფერად არს, რაიცა სიმხურვალით იყოს სისხლისა, მორევენისაგან იქნების.“<sup>4</sup>

„თვალის ტკივილი რომელ სისხლისაგან იყოს.“<sup>5</sup>

„ყურთა ტკივილი სხვათა ასოთა ტკივილთაგან არს, მით რომელ გრძნობაი მისი უფრო არს და ვითარებაი მისი რაი სიმხურვალისაგან იყოს სისხლისა სიფიცხისა და მორევენისაგან არს რომელ ყურიმალსა და ყურისა ძარღვთა შიგან შეიყარნენ.“<sup>6</sup>

„ბუშტისა სიმსივნე სიმხურვალისაგან რაი იყოს. ვითარებაი მისი სისხლისა სიმრავლისაგან იქნების...“<sup>7</sup>

„სინედლისა მოსვლაი ზეჰდანთა რომელსა ჰქვიან სალანალ რაჰიმ. იგი სინედლე რომელ გამოვიდეს ჰნახონ, თუ წითელი იყოს სისხლისა სიმეტისაგან არს, ბასალიყი გაიხსნას.“<sup>8</sup>

სახსრების ანუ „საქციელთა ტკივილი... სისხლისა სიმრავლისაგან იქნების.“<sup>9</sup>

უნდა ითქვას, რომ ასეთი შეხედულებები იყო გავრცელებული საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისამდე.

XV საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო წიგნში ვკითხულობთ: „თუ თავის ტკივილი სისხლისაგან იყოს“<sup>10</sup> ან კიდევ:

„მისი ნიშანი ესე არის, რომე, რა აღგეს თავისა ბრუ ესმოდეს და ასრე ეგონოს, ვითამ მთა და ბარი ყუელა ბრუნავსო, წაქცევისაგან ეშინოდეს და თუალნი უბნელდებოდენ, და ხანდახან კიდეცა შეზნდებოდეს და ჰკუადა შეეცულებოდეს, და ბუზივითა თუალთა წინა რამე აუჩნდებოდეს და, თუ იჯდეს და თუ იდგეს, ასრე ეგონოს, ყოველი მთა და ბარი ბრუნავსო. ესე სამისა ფერისაგან იქნების: ერთი სისხლისაგან...“

მისი ნიშანი დავწეროთ.—თუ თუალნი და ფერი წითელი იყოს და ყურსწინათ რომე ძარღუი არის, ისი ხავსე იყოს და ძალიანად ფეტქდეს, იცოდო რომე სისხლისაგან არის. იმას თავზე და კოტოში უნდა მოჰკიდოს და მერმე ყიფალი გაუხსნას, ანუ ისი, რო-

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 53.

2 იქვე, გვ. 61.

3 იქვე, გვ. 85.

4 იქვე, გვ. 94.

5 იქვე, გვ. 104.

6 იქვე, გვ. 120. ხაზი ჩვენია

7 იქვე, გვ. 222.

8 იქვე, გვ. 240.

9 იქვე, გვ. 250.

10 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 11.



ნე ყურს წინათ ძარღუი არის, ისი გაუხსენ, და ფერ-  
ხისა სათაგუეთა ძარღუებიცა გაუხსენ, თავზედა კო-  
ტოშიცა მოჰკიდე. და თუ ისი ყურისა ძარღუი არ ფეთქდეს და სავსე  
არ იყოს, ნუ გაუხსნი. და მკლავისა ყიფალი გაუხსენ და ზე-  
და ჰიქისა კოტოში მოჰკიდოს; და ასეთი შარბათები  
შეუწყევით, რომე სისხლი დააწყენაროს; უნაბისა შარბათი  
და ისეთი უნაბიცა კარგი არის.“<sup>1</sup>

ასეთივე შეხედულება გვხვდება „იადიგარ დაუღში“.

„კაცსა თუ სისხლი სჰარბობს და ან ეს კაცი სისხლ-  
ისაგან არის ავად. ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცს პი-  
რისა ელფერი და ენა ყირმიზი ექნება და პირის წყალთა ტუბილი ექნება.  
მწოდ ძილი მოუვა, მწოდ მთქარებასა და წოდინს დაიწყებს. კაცსა გულის  
ნდომა უქუვარდების და სისხლის გამოსაშვები ალაგები ყუელა ქავილს დაუ-  
წყებს, და ტანი მძიმედ ექნება, ტყავი ვაკიმიოთ ექნება და ტანზედა მუწუკები  
და სხუა სამსხმო ყრასა დაუწყებს, და ხშირად ცხვირის სისხლი წავარდების.  
და სიზმარმივა ყირმიზსა წითელსა რასმე ბევრჯელ ნახავს. აწე რა ესე ნიშნები  
და აღმათები კაცზედა ნახოთ, იყოლით ამა სნეულსა სისხლი  
სჰარბობს და დასტურად სისხლისაგან არის ავად.  
და დიდი ხანი არის თურმე სისხლი არ გამოუშვია  
და ამისაგან არის ავად. ასრე უნდა მკლავი გაუხსნან და  
ან კოტოში მოჰკიდონ და სისხლისა და მწმენდელი და  
გამჰარვებელი წამალი ასონ და აჰამონ და ტლევები უყონ.“<sup>2</sup>

სისხლს უშვებდნენ უმთავრესად ზედა კიდურების ვენებიდან, მაგრამ არა-  
იშვიათად სხვა ვენებიდანაც. სისხლის გამოსაშვებად ვენების შერჩევა ხდებო-  
და იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოს იყვნენ ისინი დაავადების კერასთან.  
ცილობდნენ, თუ შესაძლებელი იყო, სისხლი გამოეშვათ იმ ვენიდან, რომე-  
ლიც ყველაზე უფრო ახლოს იქნებოდა დაავადებულ ორგანოსთან. გარდა ამი-  
სა, თავისი დროის შესაფერისი ანატომიური წარმოდგენებისა და პრაქტიკული  
სამედიცინო გამოცდილების საფუძველზე შერჩეული იყო ვენები, რომლებთან-  
აც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მიმაგრებული“ იყო ჭგუფი დაავადებებისა.  
ე. ი. ყოველ ამორჩეულ ვენას დაავადებების თავის ჭგუფი გააჩნდა. ამ ჭგუფი-  
დან რომელიმე დაავადების განვითარების შემთხვევაში მიმართავდნენ შესაბა-  
მისი ვენიდან სისხლის გამოშვებას. მაგალითად, თავის, თვალის, ყურის, კბილი-  
სა და სასის ტკივილის დროს მიმართავდნენ ყიფალის გახსნას და სხვ.

„თუ ყიფალი გაუხსნა, ყელისა და ზემოთსა სატკივარსა უშველოს, თავისა.  
თვალსა. ყურისა და კბილისა, და სასისა ტკივილისა ყველას უშველის. და თუ  
ენა უსიოდეს, ამისი გახსნა არ უშველის, ენას ქვეშე ძარღვი რომე არი ის გაუ-  
ხსენ.“

თუ პირი სტკიოდეს და ენაზედ ოსპივით ეხსას, რომე ოთხი ძარღვი არის  
ორი ზედასა ბაგეშიგა და ორი ქვეშეთა ბაგეშიგა ისი გაუხსენ.

1 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 19. ხაზი ჩვენია.

2 „იადიგარ დაუღი“, გვ. 101. ხაზი ჩვენია.

თუ სიმბურვალისაგან სტკიოდეს პირი და შიგნით წითელი რამე ესხას, მასაც ესევე ძარღვი გაუხსენ.

და თუ ყიფალი არა ჩნდეს, კოტოში მოჰკიდე კეფაზედა და მისსა სანაცლონა სისხლსა ის გამოიღებს, და ყიფალის სანაცლოთ ჭალინოზსა, ორთავე ბეჭთა შუა უთქვამს კოტოშის მოკიდება.

თუ ყელი სტკიოდეს ორთავე მხართა შუა კისრის ბოლოს მოჰკიდოს კოტოში. ხანიათი და გახსნა აქალისა, რომე არის კათოლიკე, მისი გახსნა ყელისა ქვემოთ და წელთა ზემოთ, სრულად ტანისა სისხლსა ის გამოსწმენდს.

თუ არა ჩნდეს ბეჭთა შუა კოტოში მოკიდოს, და მას სანაცლონს სისხლსა ის გამოსწმენდს და გამოიღებს.

მას ქვეითა ძარღვსა აბრუზირა ჰქვიან, მისი გახსნა ღვიძლისაგანაცა გამოიღებს სისხლსა და წელთ ქვემოთა ყველას გამოიღებს სისხლსა. თუ ისი არა ჩნდეს კოკი გაუხსენ იქით აქათ, ანუ ცერას ძარღვი გაუხსენ ანუ ორთავე მენჯთა შუა კოტოში მოიკიდოს, მისისა სანაცლოთ, სისხლსა იგი გამოიღებს. და ხელისა ძარღვსა, რომე სელიმ ჰქვიან ნეკნსა და თითთა შუა რომე ძარღვი არის შემართებთ, თუ მარჯვენის ხელისა ისი გაუხსნა, ღვიძლის სისხლსა ის გამოიღებს, თუ ისი არა ჩნდეს ძარღვი მარჯვენისა გვერდზე და ნეკნზედ, კოტოში მოიკიდოს მისსა სანაცლონს სისხლსა ის გამოიღებს.

თუ მარცხენისა ხელისა სელიმი გაუხსნა ტყვირბის სისხლს ის გამოიღებს. თუ ისი არა ჩნდეს მარცხენასა ხელსა იმავე ალაგსა კოტოში მოიკიდოს, მას სანაცლონს სისხლსა გამოიღებს.<sup>1</sup>

„რაი ამისთანა სენი კაცსა მართებს რომე ბასალიკი გაიხსნას, და რაცა შეედლოს სისხლი გამოუშვას, იმა მხარისაკენ საიცა სენი იყოს.“<sup>2</sup>

„...ტიქისა მოკიდება ხელის გახსნისაგან უმჯობესი არს ვისაცა კბილი ანუ თავი სტკიოდეს, თავისა და თულთა სიმძიმესა გარდაიღებს. რაი ორგანითვე მოიკიდოს ტიქაი და ორთავე მხარეთა შუა მოიკიდოს, გულისა ფეთქასა და ყელის ტყვიელსა ერგების. და თუ წვიესა ზედა მოიკიდოს წიდოვნობაი რაი შეიკრას გაიხსნების, და მუცლისა ტყვიელსა რომელ სიმბურვალისაგან იყოს ერგების, და თუ ყელსა მოჰკიდოს ერგების... თუ ნიყაფსა ქუეშეთ მოჰკიდოს პირისა ტყვიელსა და ღრძილთა დაშვებასა ერგების.“<sup>3</sup>

„თუ ღვიძლისა სიმსივნე სისხლისაგან იყოს კურნებაი მისი იგი არს, რომელ მარჯვენითვე ბასილიკი გაიხსნას.“<sup>4</sup>

მსგავსი შეხედულებები იყო გავრცელებული XV, XVI და შემდეგ საუკუნეებშიც. „ილიდგარ დაუდში“ ვკითხულობთ: „და კაცსა მკლავებშიგა წურვილს ძარღვებსა გარეთად მთავარი, და ტანისა და სისხლის ხელმწიფე საში ღიდი ძარღვი აქუს. და სრულად ზემოსა ძარღვსა ყიფალი ჰქუიან, ვითამცა და ესე ძარღვი თავზედა აბიო. თუ კაცსა ან სისხლისა და ან სიმბურვალისაგან სენი სტირდეს, და ამა მიზეზითა კაცი ცხლად იყოს, და ან თავი სტკიოდეს, და სისხლის გამოშვება უნდოდეს, ესრე უნ-

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 414, 415.

2 იქვე, გვ. 264.

3 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 34.

4 იქვე, გვ. 190.

და, სისხლი ამა ყიფალის ძარღვიდაღმან გამოუშვან. და საშუალსა ძარღვსა აქალი ჰქუიან, ვითამცა და გულზედა აბიაო, და თუ კაცი ტანშიგა მხურვალედ იყოს, და ან სისხლი სკარბობდეს და მით ავად იყოს, ასრე უნდა, ესე საშუალო ძარღვი გაუხსნან.

და მესამესა ქუემოსა ძარღვსა ბასალიყი ჰქუიან, ვითამცა და ტანის ბოძიო, და თუ წელს ქვემოთ სისხლისა და სიმხურვალის სენი კაცსა სკირდეს, და ან სისხლის გამოშვება უნდოდეს, ასრე უნდა, სისხლი ქვემოს ძარღვიდაღმან გამოუშვან.<sup>1</sup>

„და აქიმთა და მეცნიერთა კაცთა ასრე დაუდებია, თუ ზემოსა ყიფალსა ძარღუსა გაუხსნიო, თავის სისხლსა და მანკს ჩამოიღებსო, და თუ საშუალსა ძარღუსა გაუხსნიო თავისა და ტანისა სენსა, სისხლსა და მანკსა, ყუელას ჩამოიღებსო.“<sup>2</sup>

სისხლის გამოღების დროს განურჩევლად იმისა, თუ რა საშუალებით ხდებოდა სისხლის გამოღება, დაკული უნდა ყოფილიყო გარკვეული წესები და მოთხოვნილებანი, მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ არ შეიძლებოდა სისხლის გამოღება, თუ ავადმყოფი უზმო იყო.

„თუ სისხლის გამოღება ან ხელის გახსნა, ან კოტოშის მოკიდება ან წურბლისა გინდოდეს, უზმა სისხლს ნუ გამოიღებს ზენაარ, თვარამ დიდი ზიანი არის და კაცი შესუსტდების და საფათერაკო არის.“<sup>3</sup>

წურბლის მოკიდების დროს გარკვეული ყურადღება ექცეოდა ექვანწლავის ტრაქტის მდგომარეობას და შესაფერისი დიეტის დაცვას. იმავე დღეს ავადმყოფს კუვი უნდა გაეწმინდა და მკავე და მლაშე ან უნდა ექამა: „რა წურბელსა მოიკიდებდეს, მუცელი გახსნით უნდა იყოს, და მკავეიანისაგან და მლაშისაგან ფარეზი უნდა, მაშინ არგებს, თვარა უმისოდ არ არგებს.“<sup>4</sup>

თუ წურბელი არ მოეკიდებოდა, იმ ადგილს, სადაც წურბლის მოკიდება უნდოდათ, სისხლს უსვამდნენ:

„თუ ავი ალაგი იყოს და წურბელი არ მოეკიდოს, სისხლი დასცხე იმ ალაგსა მოეკიდების...“<sup>5</sup>

მოკიდებული წურბლის ნაადრევად მოხსნის მიზნით მიმართავდნენ მარილწყლის წაცხებას: „...მარილწყალი დასცხევ და ფიცხლავ დავარდების.“<sup>6</sup>

წურბლის მოხსნის შემდეგ ნაკბენი ალაგი წყლითა და ძმრით უნდა მოებანათ: „რა წურბელი დავარდეს, ის ალაგი წყლითა და ძმრით მოიბანოს.“<sup>7</sup>

1 „იალიგარ დაუდი“, გვ. 227. ხაზი ჩვენია.

2 იქვე.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 415.

4 იქვე.

5 იქვე.

6 იქვე.

7 იქვე.

განსაკუთრებით სასარგებლოდ ითვლებოდა წურბლის მოკიდების შემდეგ. რონაკიდებ ადგილზე კოტონის მოკიდება: „წურბლის მონაკიდარზედა რომე კოტონში მოიკიდოს ერთობ მარგე არის.“<sup>1</sup>

სისხლის გამოშვების შემდეგ საჭირო იყო წოლა. არ შეიძლებოდა მოძრაობა, საქმის გაკეთება და სხვ.

„დღესა ერთსა ამირან ზელი გაიხსნა, არცა ნადირობასა გავიდა. არცა სერი-სა ნადიმი გადაიხადა. დიდებულნი იხმნა და ნადიმი საწოლს გარდაიხადა.“<sup>2</sup>

იმ შემთხვევაში, როცა სისხლი გამოშვების შემდეგ სისხლის დინა არ შეჩერდებოდა, აიღებდნენ ელატინას (ანზარუთი), საყუნისას (Convolvulus Scammonia L.), ეგირს (Aconus calamus) და ქვამარილს, თითო ღირჰამს და ნაყავდნენ, გაკრიდნენ, ძმარში მოზელავდნენ და დაადებდნენ იმ ადგილს, საიდანაც სისხლი გამოუშვეს:

„აწე თუ კაცსა მკლავი გაუხსნან და სისხლმან შეაწუხოს და ან სისხლი ვერ დასწყუიტონ, მოიტანე მაკმუდა რომე სპარსნი საყუნისას ეძახიან და ანზარუთი, ეგირი და მარილის თვალი თვითო ღირჰამი, და ეს წამლები ოთხივე კარგად დანაყონ და გაკრან და ცხარის ძრმით მოზილონ და შაშრის ალაგს დაადვან, და შაგრად შეუხვიონ, და ესე წამალი ფიცხლავ მაშინვე სისხლსა დასწყუეტს, მაგრა ასრე უნდა ეს შეხვეული წამალი ხუთსა დღემდისი აღარ გაუხსნან.“<sup>3</sup>

თუ ავადმყოფი სუსტად იყო, სისხლის გამოშვება არ შეიძლებოდა, ასეთ შემთხვევაში მას „გრილი“ წამლები ეძლეოდა.

„მაგრამ თუ ავადმყოფი ამდენად ძალიანად და კარგად იყოს, რომე მკლავის გაუხსნელობა გაძძლოს და ან მკლავის გაუხსნელად იქნებოდეს, კოტონში მოკიდონ და ხელს ნუ გაუხსნიან და თუ ავადმყოფი მწოდელ სუსტად და უსუსურად იყოს, ნურც მკლავს გაუხსნიან და ნურც კოტონს მოკიდებენ და გრილი და ნელი წამლები და შარბათები ასუან და გრილი ტლებები შემოსდვან, გრილის სასუნებლებისათვის ასუნებინონ, რომე ამ წამლებითა და ამ შარბათებითა ელხინოს, და სხვა ძნელი წამლები აღარ მოუნდეს. და ამ რიგი შარბათები უნდა ასვათ, რომე ავადმყოფი გახსნათ და სიცხე სიმბურვალე გაუგლოთ: ახლის ვარდის შარბათი, იის შარბათი, ლულუფრის შარბათი, შაპთარას შარბათი, ჰუმუზის შარბათი, ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა, უშხუნისა, თამრი ჰინდისა, მკაუნას შარბათი, ბროწეულისა, ხართუთისა, უნაბისა, ვენახის ღიქისა შარბათი, ვაშლისა, ქლიავისა, ბიისა, მყუელისა შარბათი და სიქანჭუბინის შარბათი ასვი. ესე შარბათები ყუელა კაი და ყოვლის მხურვალის სენის წამალი და მარგე არის და ყუელა ერთმანეთის მკობი არის. რომელიც იყოს ამ შარბათებისაგან ასუით და ნუ დაუწყალობებთ, ყუელა კარგად მოუხდების. სიცხესა და სიმხურვალესა ყუელა არგებს და ძალსა და წყალსა ყუელა მისცემს.“<sup>4</sup>

როგორც აღვნიშნეთ, დაავადების განვითარებაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე სხვა სითხეებს—ლორწოს, ყვითელ და შავ ნალველს.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 415.

<sup>2</sup> მ ო ს ე ხ ო ნ ე ლ ი, „ამირანდარჯანიანი“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედევნილი ს ო ლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ის მიერ, თბილისი, 1949, გვ. 60.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 135, 136.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 123.

ვიტრობდნენ, რომ თუ ლორწოს მომატების გამო სითხეთა შორის სწორი შეზავება დაირღვა, შეიძლება განვითარდეს ტენიში სისხლის ჩაქცევა, დამბლა, კუჭ-ნაწლავის დაავადებანი, ფილტვების დაავადებანი და სხვ.

„მანკი რომელ ბალდმისა მორევენისა და შეშლისაგან შექნილი იყოს. რაი ბალდმან მოპრიოს, კაცისა ტანსა შიგან დიდი სნებაი გამოჩნდების მისგან ვითა ფელინჯი, და ჭარბი და საქთაი, და ქაბუსი რომელ ქართულად, მგონია, დედაჯუავი ჰქვიან, ღამით მძინარესა ზედა დააწვების და მოარჩობს, გუარად ხიბლაიკიცა ჰქვიან, ქაბუსი, იგი არს დამოვიწყებაი და ასოთაი სისუსთე, და თმათა დახდაი და მუცლისა ყურყური და ნდლი ხუელი. და თავისა სიბრუე და საქამადისა არ მოდნობაი, და დია ბოყინობაი რომელსა ჰქვიან არაბი, და თირკმელისა ტკივილი და თეთრი ბაჰაყა, და ბუშტის ტკივილი და სტომაქისა სისუსთე, და თვალთა სიბნელე და კბილთა ტკივილი, და ცივი ცხროი.“<sup>1</sup>

ყვითელი ნაღველის მომატებას მიაწერდნენ თავის ტკივილს, შაკიცს, მქავანას, სახსრების ტკივილს, ღვიძლისა და კუჭის დაავადებებს, ორდლიან ცხელებას და სხვ.

„მანკნი რომელ ზაფრისა მორევენისაგან და შეშლილისაგან იყოს. რაი ზაფრამან მოპრიოს, კაცსა ტანსა შიგან და დაშავდეს და სნებაი გამოჩნდეს ვითა თავისა ტკივილი, და შაყაყისა ტკივილი, და თავისა სიწყულლე, და ტანისა მღიერი, და მქავანი, და სარსამი, და ბარსამი, და დათლჯანბი რომელსა ჰქვიან საქციელთა ტკივილი, და რაიცა ამათ ჰგვანდეს, და ღვიძლისა სიწყულლე და თვალთა ტკივილი და იარაყანი, და საბოისა თავისა ვითამცა ქართლი და ბაგისა და პირისა დაპობილობაი, და სტომაქისა ტკივილი, და წყურვილი და კბილისა ტკივილი, და პირისა და ხორხისა სიბნელე, და ცხროი რომელ მეორესა დღესა მოვიდოდეს.“<sup>2</sup>

დაახლოებით ასეთივე შეხედულება არის გამოთქმული XV საუკუნის ერთერთ სამედიცინო დამწერლობით ძეგლში—ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“.

„და თუ დამეტდეს, რომე სიმხურვალისაგან, და აშფოთდეს წითელი ნაველი და შეიცვალოს მისისა ბუნებისაგან, და შეექნების მისგან მრავალი სენი. თუ დამეტდეს და დალპეს, შეექნების მისგან ცხროი მხურვალი და ძნელი, რომელ იქნების შუა ერთი დღე გამოშუებით. და თუ შეიყაროს სტომაქისა პირშიგან, მისგან იქნების მხურვალისა სტომაქისა ტკივილი. და თუ მივიდეს რომელსაჲ ასოსა შიგან, შეიქნას შიგან მქამელი, და სიძსივნე მხურვალი და ძნელი. და თუ მივიდეს ნაწლევთა, შეიქნების მისგან წყულული ძნელი და ტკივილი ძნელი... აშფოთდების ნაწლევთა შიგან კოლინჯი ძნელსა ტკივილსა თანა. დაესე იგი არს, რომე დაემართოს ძარლუთა ზედათა და ნაწლევთა კრულობა, და მან მიიწიოს ნამეტნავმან ნაწლევთა კერძო და აშფოთდეს კოლინჯი მრავალსა ტკივილსა თანა.“<sup>3</sup>

შავი ნაღველის, ანუ სევდის მომატებას მიეწერებოდა უძილობა, ფსიქიკური დაავადებანი, ელენთის სნეულებანი და სხვ.

<sup>1</sup> „წიგნი საქიმო“, გვ. 52.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 51.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 232.

„მანკნი რომელ სევდისა შეშლისა და მორევნისა-  
ჯან იყვენენ. რაი სევდაი მოერიოს, და სნებაი გამოჩნდნენ ვითა უძილობაი  
და ვასვასაი დიადი, და ცნობისა შეშლი და ელენთისა ტყვიელა, და მიწისა კა-  
მაი, და კროფლი და შავი ბაჰაყი, და არ გაძლომაი საქამადითა დ ძნელნი წყლუ-  
ლნი და სიბნელე ფერისაი, და ტყავისა გახეთქილობაი და სიმმაგე და სიგონჯე,  
და მეოთხე ცხროი და მსგავსენი ამათი.“<sup>1</sup>

გამოდიოდნენ რა ასეთი შეხედულებიდან, აღნაშნულ დაავადებათა დროს,  
როგორც წესი, უპირველესად ლებულობდნენ ზოგებს იმისათვის, რომ ავად-  
მყოფის ორგანიზმში დასახელებული სითხეები კვლავ წონასწორობაში მო-  
ეყვანათ და აღედგინათ მათი სწორი შეზავება. თუ სისხლის დამეტების დროს  
მის გამოშვებას აწარმოებდნენ, ლორწოს, ყვითელი ან შავი ნალექის მომა-  
ტების შემთხვევაში ავადმყოფს ეძლეოდა საღებინებელი ან გამხსნელი სამკურ-  
ნალწამლო საშუალებანი და სხვ. ფიქრობდნენ, რომ ლებინებითა და გამხსნელა  
საშუალებებით შეიძლებოდა დამეტებული ლორწოს, ყვითელი და შავი ნალექ-  
ლის შეშვარება და სწორი შეზავების აღდგენა.

თუ დაავადების კერა „გულის პირს ზემოთ იყო“, ანუ დაახლოებით კუჭის  
ზემოთ იყო, მაშინ პირლბინებელს გამოწვევას აძობინებდნენ, ხოლო თუ კუჭს  
ქვემოთ იყო, მაშინ ავადმყოფს გასახსნელი წამალი ეძლეოდა.

„თუ წამალს მისცემდე ასრე იცოდი ვისაცა ტყველი გულისა და ანუ გუ-  
ლის პირისა სჭირდეს მას რწყევა უჯობს წამლისა აღებასა.“

ვისაც გულს ქვემოთ იყოს კიპამდეს სატკივარი, მას გასახსნელი წამალი  
უნდა დაეისაც კიპს ქვემოთ იყოს სატკივარი, მასაც გასახსნელი წამალი უნდა  
მისცე.“<sup>2</sup>

როგორც XIII საუკუნის სამედიცინო დამწერლობითი ძეგლიდან—„წიგნი  
სააქიმოი“, ირკვევა იმ დროისათვის ლორწოს დამეტების შემთხვევაში ავად-  
მყოფს პირლბინების გამოწვევი საშუალებების გარდა, უნდა გამოეყენებია  
მთელი რიგი სურნელოვანი და სამკურნალო მცენარეები.

„კურნებაი ბალღმისა მორევნისა და შეშლისათ. ეგრე ხამს რომელ ფე-  
ყირაისა იარასა და როფისის იარასა კამდეს, და მუშკსა და ანბარასა უსუნებდეს.  
და უშმაი აბანოისა მივიდოდეს და ხირისა და სოსანისა ზეთსა იხმარებდეს, და  
საქამადსა თავისასა ზანჯაბილსა და კარანათულსა გაურიდეს და ჰონდარსა  
და დაჩუპილიპილსა, და ხუსრაჯა და რუი გარეული იყოს, და მწვანოლთა თანა  
ტეჯანი და პიტნაი და ბადარანბოი აშუნია ამას კამდეს. და ურწყოსა ნიჯვზისა  
ზეთითა აქნედეს და ყალიასა და შორაბასა იხმარებდეს. და თუ მანკი ზაფხულს  
იყოს ცერაციოსისა წყლითა და თაფლითა არწყიოს, და დიდი ტარეფულა და ძი-  
რისა გუარიშინი და აშუნია, და გულანგუბინსა და მასათქესა კამდეს.“<sup>3</sup>

„კურნებაი ზაფრისა მორევნისა და შეშლისათ. ეგრე ხამს რომელ მხურვალ-  
თა საქამადთა ერიდებოდეს, და ზორცსა და ღვინოისა და ტბილსა ნუ კამს.  
და ტყემლისა წყალსა და თაჰრისა წყალსა სიქანგუბინითა. იისა შარაბასა და  
უნაბასა შარაბასა და ტბილისა და მყავისა ბროწყელისა წყალსა სუმიდეს, და

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 52.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 49.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“. გვ. 52.

კატკატონისა თესლისა წყალსა კოწახურისა შარაბითა სუმიდეს. და თუ ძალი ჰქონდეს და შეეძლოს ყვითელი პალილა შეაბგოლოს და მისი წყალი ჯულაბსა გაუროს, და ნახევარ დანგი საყმუნია გაუროს და შეაბგოლოს და მისი წყალი ჯულაბსა გაუროს, და ნახევარ დანგი საყმუნია გაუროს და იხმარის. და იისა ზეთი ცხვირთა ჩაუშუას. და ქრთილისა წყალი ბროწეულის მკავისა და ტკბილისა წუენსა თანა სუმიდეს. და რევასისა შარაბსა და ისრიმისა წყალსა სმიდეს. და ურწყოისა კამდეს ქინძითა და კატკატოთა შექნილსა და ცივსა წყალსა სუმიდეს, და სიმბურვალესა და ტკბილსა ერიდებოდეს.<sup>1</sup>

– კურნებაი სევდისაი მორევნის და შეშლისაი. ეგრე ხამს რომელ სნეული ამით საქამადთა ერიდებოდეს; და მარტოისა ნუ დააგდებენ, და მხურვალსა და ლბილსა საქამადსა აჰმევენენ, და ღვინოისა წყალ რეულსა მაზუჯსა ასმიდნენ, და აბანოს მიიყვანდნენ, და ხარშოსა შორაბასა ბატკნისა ზორკითა შექნილსა. და კარგი ნატეი სანელებელი გაურონ მისსა უხდურსა, და ვაშლი ტკბილი და ბროწეული ტკბილი და აფთიმონისა ფუხთაი აჰამონ, და ღარიყონი ლოლადისაი ირიაი და მოფარახსა მაჯუნი და დაზებანგავისა წყალი, ზროხისა ენაი ჰქვიან არსად ჰგავს. მისი წყალი ბადარანბოისა შარაბსა თანა და ჰურმისისა იარაი, ესე ყოველი ამას ერგების.<sup>2</sup>

ამავე წიგნში აღნიშნულია, რომ პირლებინება სასარგებლო იყო, თუ ავადმყოფს ლორწოს, ანუ ბალღამის დამეტების გამო ნიკრისი, ზურგის ტკივილი ან ტვინის რაიმე დაავადება ჰქონდა.

„რწყევა... ბალღმიანთა დია ერგების მეტად ნიკრისსა და საქათათა, და ზურგის ტკივილსა დია ერგების. და თავსა და ტვინსა მანკიანისა სინედლოსაგან გასწენდს და თუალთა გაანათლებს.“<sup>3</sup>

– სევდისა სენისა უფალსა კაცსა გული და სტომაქი მუდამ მაძლარი უნდა ჰქონდეს და თუ კაცი ან ყოლ კიდეე ხაზმუზიანად იყოს და გულზედა ეხვეოდეს, და გულზედა მიძიდდ იყოს, ან გულზედა და სტომაქზედა კარგად არ გაწმენდილყო, მოიტანე ძირტკბილას ძირი და ტყავი გააძრევე და ხე კი დაჰქექე და წყლით კარგად მოხარშე და კაის თაფლზედა დააწურე და თბილ თბილი ასვით, ფიცხლავ არწყვიენებს. და ვინიცის და რწყევა დაუგვიანოს კიდევე ამავე რიგად ქენით, და აწყვა ცოტა მარლი გაურიევთ და კიდეე ასვით და უსათუოდ არწყვიენებს, და ეს რწყევა გულსა და სტომაქსა მწოედ კარგად უზამს. და თაფლითა ნაქმარი სიქანჯუბინი იმავე ძირტკბილას წვევითა შარაბათად გალუსონ და ასუან, მაშინვე არწყვიენებს და მწოედ კარგად უზამს, და რაც გულსა და სტომაქშიგან ან საფრთა, ან სევდა და ან ბალღამი არის, ან რაცა პილწი ავი ხილთები არის. ყუელასა მოსწმენდს და ყუელასა ამოალებინებს.<sup>4</sup>

გასასხნელი წამლის მიცემის დროს ექიმს დიდი სიფრთხილის დაცვა მოეთხოვებოდა. რომ წამალს დიდად არ ემოქმედა და ნაწლავები არ დაეზიანებინა.

– მერძე ეთეცა იცოდეთ რომე, ნამეტნავად მუცლის გახსნა ფათერაკი არის წელწულსა დახვეწს და გაათხელებს და დაადნობს, თუ გაიხვრიტების

1 „წიგნი საჰიმოი“, გვ. 51.

2 იქვე. ვვ. 52.

3 იქვე.

4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 128, 129.

წელი კაცი აღარ დარჩების და თუ არ გაიხურტების ძალი დააქლდებ-ს და თვალსა დააბნელებს.“<sup>1</sup>

ერთ-ერთი ზოგადი სამკურნალო პრინციპი, რომელიც გავრცელებული იყო ძველ ქართულ მედიცინაში, მდგომარეობდა იმაში, რომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო დაავადების დროს არსებული ჰუმორალური მდგომარეობის საპირისპირო საშუალებანი. ეს პრინციპი ემყარებოდა შემდეგ შეხედულებას: ფიქრობდნენ, რომ ორგანიზმში არსებული სითხეები — სისხლი, ლორწო, ყვითელი და შავი ნადველი სამყაროს სითხეების სტიქიის — ცეცხლის, ჰაერის, წყლისა და მიწის თვისებების მატარებელი არიან. მიაჩნდათ, რომ ცეცხლი მხურვალაა, ჰაერი გრილი, წყალი — ნეღლი და მიწა — ხმელი.

სისხლი ცეცხლისა და წყლის თვისებების მატარებლად ითვლებოდა, ე. ი. სიმხურვალთა და სინეღლით ხასიათდებოდა.

ლორწოს წყლისა და ჰაერის თვისებები მიეწერებოდა, ამიტომ ორგანიზმის სიგრილეს და სინეღლეს მას უკავშირებდნენ.

ყვითელი ნადველი ცეცხლისა და მიწის თვისებების მატარებლად მიაჩნდათ და ორგანიზმში სიმხურვალე და სიხმელე მასზე იყო დამოკიდებული.

შავ ნადველს ჰაერისა და მიწის თვისებებს მიაწერდნენ, ე. ი. სიგრილთა და სიხმელით ხასიათდებოდა.

ემყარებოდნენ რა ასეთ შეხედულებას, ფიქრობდნენ, რომ თუ სისხლი მოიშატებდა, მაშინ ორგანიზმში სიმხურვალე და სინეღლე გაძეფდებოდა და საჭირო იყო ავადმყოფს შესაბამისი საპირისპირო საშუალებები მისცემოდა და ა. შ.

„ვისაც ნამეტნავად სიმხურვალე და სიცხე მოერიოს მას მისთან მეპირისპირემან სიგრილემან უშველოს. და ვისცა ნამეტნავად სიგრილე სჭირდეს და ჰოერიოს მას მისგან მეპირისპირემან სიმხურვალემან უშველოს.“<sup>2</sup>

ან კიდევ, „კურნებდე მას რომელს შერევნა და სენი გამოსჩენია მხურვალსა გრილთა წამლთა და გრილსა მხურვალთა, და რომელი იყოს სიხმისაგან ჰკურნო ნეღლითა და ნეღლსა ხმელითა ჰკურნე. მას რომელსა წყლულებისაგან. ანუ გაპოზა ძარღვისა წამლებითა შემკურელითა რომელ დააყენოს სისხლი და გაახმოს წყურვილი და რომელი იყოს სენი და სატყეავრი და ან სიმსივნე სიგრილისა გზითა, ზელითა, ზეთისა ცხებითა ჰკურნე. ზეთი ამისთვის ესე არის: ზეთი არტიკისა და ზეთი გუნდრუკისა და ზეთი ქუმტისა და ზეთი ცერეცოსა და ზეთი ნარდნისა. და აქამე საკმელთაგან მხურვალთა რომელ არს მართვი ტრედისა, წითლისა თხისა ხორცი შემწვარი. და წამალთაგან გუარჩინა ამბრისა. გუარჩინი მუშკისა და ლეინო ასეი კარგი. შეწყობით სეინტრი და ჰტაფილო ზანჯაფილითა გაზრდილი თაფლითა.

და კურნე სენსა მხურვალსა წამლებითა გრილთა იის ზეთითა და ვარდის ზეთითა გარეგარე შეცხებდით და შეასვი ტაბაშირი და მრავალ ძარღვა და ბაზრაცატუნი წყლითა გრილთა ყოველთა დღეთა და აქამე ბუ გამოზრდილი და

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 58.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 43.



და აპლაჯი და შეასვი ლორფარ შაჯი და ბროწეულისა ავშარი და ყოველსა მკავესა ასმევდით.<sup>1</sup>

ასეთივე შეხედულება არის გამოთქმული „იადიგარ დაუდში: „ბოლომ ყოვლსა ფერსა სენსა და ჭირსა თავთავისი შესაფერი წაპლები უნდა უყონ. ასე რომ თუ კაცი სისხლისა სიმხურვალისა და საფრისაგან იყოს ავად ამრიგსა სენისა უფალსა კაცსა გრილი და მხე საკმელი უნდა აკამოთ, და ამავ რიგი საკმელი შარბათები ასუთ და გრილი წაპლები უყავით, გრილი ტლეები შემოსდევით, გრილის სასუნებლისათუის ასუნებინეთ, და ასეთი წაპლები და შარბათები უყონ, რომე გულსა და ღვიძლსა და სტომაჟსა მოუგრილონ, და ძალი და წყალი მისცენ, და სისხლი დაწმინდოს და გააქარვოს.

თუ კაცი სიგრილისა და ბალღმისაგან იყოს ავად ასეთი მხურვალე საკმელები და ასეთი მხურვალე წაპლები და შარბათები ასუნ რომე, და ასეთი მხურვალე ტლეები შემოსდვან, და მხურვალის სასუნებლებისათუის ასუნებინონ. რომე ყოვლის სიგრილისა სენი და ქარი გულისა, ფირტუისა და სტომაჟიდაღმან, გაუგდოს.<sup>2</sup>

როგორც ამ ტომის პირველ წიგნში ჯანმრთელობისა და დაავადების შესახებ არსებული შეხედულებების განხილვის დროს აღვნიშნეთ, ზემოთ დასახელებულ თვისებებს მარტო სისხლს, ლორწოს, შავსა და ყვითელ ნალექსა როდი მიაწერდნენ. ასეთივე თვისებები ახასიათებდა ორგანოებსაც.

„აწ ასე იცოდეთ რომე ტვინი რბილი და გრილი არის. სტომაჟი მხურვალე და ხმელი არის. გული მხურვალე და ფილტუი გრილი და ღვიძლი მხურვალე და ღვიძლი გრილი, თირკმელი მხურვალე არის, ბუშტი გრილი არის...“<sup>3</sup>

ასეთივე შეხედულებები იყო გავრცელებული შემდეგ საუკუნეებშიც, კერძოდ XIII საუკუნის ძეგლში—„წიგნი სააქიმოი“, ვკითხულობთ:

„და იცოდე რომელ ტვინი ბუნებაი გრილი და ნედლი არის.“<sup>4</sup>

„იცოდე რომელ გულისა ვითარებაი მხურვალე და ხმელი არს.“<sup>5</sup>

„იცოდე რომელ ღვიძლი ბუნებად მხურვალე და ნედლი არს.“<sup>6</sup>

„იცოდე რომელ ელენთისა ვითარებაი გრილი და ხმელი არს.“<sup>7</sup>

„იცოდეთ რომელ ფირტვისა ბუნებაი გრილი და ნედლი არს.“<sup>8</sup>

„იცოდე რომელ თირკმელი მხურვალე და ნედლი არს.“<sup>9</sup>

„აწ ესე ასოვები თუ მართლად ერთმანერთზედა შეზავებით იყოს, კაციცა მისსა სიცოცხლეშიგა მთლად უსენოდ და ემინად და უჭირველად იყოს. და თუ ესე ასოები ერთმანერთზედა აშლით და ურიგოდ იყოს. კაციცა მუღმად სენიანად და ხაზმუზიანად და სარჯელშიგა იქნების. და რა კაცსა გული, ღვიძლი და

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 46, 47.

2 „იადიგარ დაუდი“, გვ. 123.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 47.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 19.

5 იქვე, გვ. 20.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 21.

8 იქვე, გვ. 22.

9 იქვე.

შიგნით ასოები ასრე აეშალოს, რომე ერთმანერთზედა ურიგოდ და უმსგავსოდ იყოს, და ერთი ასო მეორესა ასოსა აღარ ემოწმებოდეს, მისი წამალი და ხელის შეწყობა ძნელი და არის.<sup>1</sup>

ამ შეხედულებათა გამო აღნიშნული ორგანოების დაავადებათა მკურნალობის დროს ყურადღება ექცეოდა თვით ორგანოს თვისებებს და წამლების შერჩევისას ძალაში რჩებოდა პრინციპი—საპირისპირო თვისების მქონე საშუალებები ყოფილიყო გამოყენებული.

ასეთი პრინციპის გატარება არაიშვიათად დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა. მკურნალ ექიმს, ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ შემთხვევაზე, როცა ორი საპირისპირო თვისების მქონე ორგანოს ერთდროულ დაავადებას ჰქონდა ადგილი. დაბრკოლება გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთი ორგანოს დაავადების სამკურნალო წამალი მეორე ორგანოს დაავადებაზე უარყოფითად იმოქმედებდა. რადგან მისთვის ის წამალი თანამოსახელე თვისებებისა იქნებოდა და არა საპირისპირო. ეს დაბრკოლება წამლის დანიშვნისა და მკურნალობის ჩატარების დროს კარგად შეუმჩნევიათ ძველ ექიმებს, მაგრამ გამოსავალი ვერ უპოვიათ და ეს არც შესაძლებელი იყო.

„აწუ თუ ესე ასოები ერთმანეთსა არ ემოწმებიან, უსათუოდ კაცსა სილი. და დიყის სენი აუვარდების და თუ მხურვალსა და ხმელსა წამალსა უზამ, გულს ღვიძლსა, ფირტუსა, თარკმელთა და ტყირჰსა აწყენს. და თუ გრილსა სედლსა წამლებსა უზამ, ტვინსა და ფირტუსა აწყენს, და ამისთვის აქიმი სნეულსა ხელსა ვედარ შეუწყობს და ქირი ტანსა და სტომაქსა მოერევის და დასძალიანდების.“<sup>2</sup>

მართალია, ძველი ქართველი ექიმები, ისევე როგორც მთელი რიგი სხვა ევკეყნების ექიმები იცავდნენ აღნიშნულ შეხედულებებს და ამით ხარკს უხდოდნენ ეპოქის გაბატონებულ სამედიცინო იდეებს, მაგრამ სინამდვილე მათ აიძულებდა ანგარიში გაეწიათ იმ ფაქტორებისთვისაც, რომლებიც მთავარ მნიშვნელობას ასრულებენ დაავადებათა წანვითარებაში და ამ პირობების გათვალისწინებით საფუძველზე დაემყარებინათ მკურნალობა; თუ უნდოდათ სამკურნალო შედეგს მიღება.

ამით აიხსნება, რომ მკურნალობის დროს ყურადღება ექცეოდა ავადმყოფის ძილის მოწესრიგებას, კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, სქესობრივი ცხოვრების სფეროს, შესაფერისი რეჟიმის დაცვას და სხვ.

მაგალითად, თავქედის, ანუ თავის ტვინის გარსების ანთების დროს ზონებს ლებულობდნენ, რომ ავადმყოფს დაეძინა. ამ მიზნით მას ეძლეოდა საძილი საშუალებანი.

„თუ მით ძილი არ ეკარებოდეს ან თარას ღეროს და ან თუხმაქანისა ფუცელისა საქამალი აქამე.“<sup>3</sup>

საინტერესოა, რომ ძილს ტკივილის დამაყუჩებელ მნიშვნელობასაც კი ანიჭებდნენ „და მით შევასუამთ ფალონიასა და მსგავსსა მისსა, რომე დაიძინოს. სინეულმან და ულზინოს ტკივილსა მისსა.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 228, 229.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 184.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 280.

ტკივილი აქ შეიძლება დაავადების მნიშვნელობით იყოს ნახშიარი და მაშინ ეს აზრი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ეპილეფსიის დროს ავადმყოფს ენიშნებოდა კუქ-ნაწლავის მოქმედების მოწვესრიგებელი სამკურნალწამლო საშუალებანი, რასაც უეჭველად გარკვეული მნიშვნელობა აქვს აღნიშნული დაავადების მკურნალობის პროცესში.<sup>1</sup>

ქვემო კიდურების ვენების გაგანიერების შემთხვევაში ავადმყოფს ურჩევდნენ „სიარულითა და საქმითა კმნითა თავსა ნუ აწყენს.“<sup>2</sup>

თუ ავადმყოფს თიაქარი ჰქონდა, მას თავი უნდა შეეკავებინა ყველა ისეთი მოქმედებისაგან, რომელსაც, როგორც ახლა ცნობილია, შეუძლია წნევის მომატება მუცლის ღრუში.

„დედაკაცთან წოლისაგანაც იფარეზოს, მალალთა საუბრისგანაცა და მოკირვებისგანაცა იფარეზოს.“<sup>3</sup>

სრულიად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს რჩევა იმის შესახებ, რომ ფილენჯის ანუ დამბლის შემთხვევაში ავადმყოფს თავი შეეკავებინა სქესობრივი ცხოვრებისაგან.

„ამა რიგი აღამიანი დედაკაცთან მისვლას უნდა ერიდებოდეს, რომე მწოედ აწყენს.“<sup>4</sup>

ავადმყოფს სქესობრივი კავშირი და მძიმე სამუშაოს შესრულება ეკრძალებოდა აგრეთვე ურეთრიტის დროს.

„ღიატსა ნუ მოხნავს, და ძნელთა საქმეთა და საქიროთა ერიდოს.“<sup>5</sup>

მეტად საინტერესოა, რომ მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის დროს მკურნალობის მიზნით ავადმყოფს უნდა შეესრულებინა გარკვეული მოძრაობა და ჩაბმულიყო შესაფერის მუშაობაში.

„სნეული შესაბამის მოძრაობასა და გარჯაში იყოს.“<sup>6</sup> ვკითხულობთ XVIII საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ხელნაწერში.

მკურნალობის დროს დიდ სიფაქიზეს იჩენდნენ ავადმყოფის ფსიქიკის მიმართ. ცდილობდნენ ავადმყოფისათვის კარგი გუნებგანწყობა შეექმნათ, რადგან ცნობილი იყო, რომ სიტყვას, გარკვეულ ემოციურ განიზიანებას (შიშს, სისაჩრულს, სამწუხარო ამბავს და სხვ.) შეუძლია როგორც დადებითად, ისე უარყოფითად იმოქმედოს ავადმყოფზე.

ერთ-ერთ ძველ ქართულ სამედიცინო წიგნში, რომელიც XI საუკუნეს მიეკუთვნება, ვკითხულობთ: „თუ სნეულსა ასეთი რამე უთხრან რომე ეწყინოს და ჟულზედა შეანაწყენოს ანუ შეაშინოს, ანუ ასეთი კაცი შეიყუახოს, ან შევიდეს სნეულსა ზედა, რომე სნეულსა ეწყინოს 'და სძულდეს, იმისთანა მიზეზიც, სენსა ახლად დააბრუნვებს და გარევე შეაქცევს. და ამა მიზეზითა მრავალი კაცი მოკვდება.“

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 87.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 253.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 349.

<sup>4</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 273.

<sup>5</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 229.

<sup>6</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩერდინის სახელობის საჭარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. ი. ბატონიშვილის ფონდი, № 139, ფ. 83r.

სნეულსა ასეთსა ნურას უამბობ რომე აწყინოს და ნუცა ასეთსა კაცს უჩვენებ, რომე სძულდეს. და რაცა იამებოდეს მას უჩვენებდით.<sup>1</sup>

შემდეგი საუკუნეების წყაროებიდან ირკვევა, რომ საერთოდ ავადმყოფის გართობას, გამხიარულებას როგორც საუბრით, ისე მუსიკითა და სხვა საშუალებებით დადებით მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

„წიგნი სააქიმოში“ ნათქვამია, რომ ავადმყოფი „...ეგეთთა რასიმე შეექცეოდეს რომელ გულსა გაამხიარულებდეს ვითა ჰამოთა მუტრიბთა ხმაი, და ჰამოთა ბოამბვეთგან ჰამბავისა მოსმენაი, და კარგთა მეზღაპრეთგან ზღაპრისა მოსმენაი...“<sup>2</sup>

ანალოგიური ღონისძიებების შესახებ არის ნათქვამი XVI საუკუნის სამედიცინო ლიტერატურაში, სადაც ასეთი საყურადღებო აზრია გამოთქმული:

„ამა წამლებსა გარეთად კაცი მუდამ გული მხიარულად უნდა იყოს და ასეთსა მაჭუნებსა და მუფარაებს სკამდეს, რომე კაცი გაამხიარულოს და გულს უკუჰყაროს. და ასეთი არა უნაზო რა და არც უყონ, რომე გულშიგა ეწყინოს. და კაცი მუდამ გულმხიარულად უნდა იყოს. და რაცა გულშიგა იამებოდეს იმას იქმოდეს, და რაც უყუარდეს იმას ნახევდეს, რომე ამა სენსა გულმხიარულობა ნწოვედ კარგად უზამს, და ნაღველი და გულს შემოყრა ყოვლს ავადმყოფსა, და ავად ყოფასა მწოვედ აწყენს. და კაის საკრავისა და კაის ხმის გაგონებასა და ლამაზის ადამის ტომის, და ლამაზის პირუტყვისა და ლამაზის ალაგის ნახვა, და ყოვლის წამლისაგან მეტადრე თავისა საყუარლის ნახვა და კურეტი, ყოვლის სენისა და ჰირისა წამალი და აქიმი არის. და არა წამალი ამისთანა არცკი არის. რომე სნეულმან და შეკირვებულმან კაცნან თავისი საყუარელი ნახოს, და ან მისი ხმა ესმოდეს.“<sup>3</sup>

ან კიდევ „...რაცა ამა ავადმყოფსა იამებოდეს იმას უნდა ეუბნონ, და თავისა საყუარლისა ნახვა ყოველსა წამალსა სჯობს.

და ასეთი სენი და ჰირი კაცსა არც კი ეკირების, რომე კაცმან თავისი საყუარელი ნახოს და არ ელზინოს. ბოლოს ლამაზის ადამის ტომის ნახვა, ლამაზის პირუტყვის ნახვა, ლამაზის ალაგის ნახვა, ლამაზის ხმისა და საკრავის გაგონება, ესე ყუელა კაი არის.“<sup>4</sup>

„თავისი საყუარლის ნახვა და ამისის ხმის და საუბრის გაგონება, ყოვლის წამლისაგან უკეთესა მოუხდების... მეტადრე მაშინ რომე, ეს სენი ან სევდისაგან და ან ნაღვლისაგან წაჰკიდებოდეს მერმე სევდად შექმნილიყოს.“<sup>5</sup>

როგორც მოტანილი ადგილებიდან მკაფიოდ ჩანს, ხოლო ანალოგიური ადგილების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, ქართველი ექიმები სასურველად თვლიდნენ ავადმყოფის კარგი სულიერი განწყობის შექმნას. ამ მიზნით ექიმები მიმართავდნენ სასარგებლო საუბარს, ავადმყოფზე სიტყვიერ ზემოქმედებას და სხვ. რასაკვირველია, ზედმეტია იმის შესახებ ლაპარაკი, რომ სიტყვის სამკურნალო მნიშვნელობის, უფრო ფართოდ—სამკურნალო შთაგონების არსის მეცნიერული გაგება მხოლოდ ჩვენს დროში გახდა შესაძლებელი, მაგრამ დიდად და-

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 145.

2 „წიგნი სააქიმოში“, გვ. 278.

3 „იადიგარ დაული“, გვ. 273.

4 იქვე, გვ. 118, 119.

5 იქვე, გვ. 122.

კვირებულ და გამოცდილ ექიმებს მკურნალობის ზემოაღნიშნული მეთოდი კველთაგანვე გამოუყენებიათ.

შოთას „ვეფხისტყაოსანში“ მშვენიერად არის ნათქვამი:  
 „რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,  
 მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყვევებარი.  
 მან უამბოს. რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი  
 სხვისი სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.“<sup>1</sup>

მოტანილ ადგილებში, გარდა იმისა, რომ სრულიად გარკვეულად არის აღიარებული, როგორც ეხლა ვიტყვით, დაავადების სუბიექტური სურათის ანალიზის, ანამნეზისის საკიროება, პირდაპირ არის ლაპარაკი სასარგებლო საუბარის, ე. ი. ჩვენი გაგებით რომ ვთქვათ, ფსიქოთერაპიის შესახებ.

როგორც ჩანმრთელ, ისე ავადმყოფს ადამიანზე სიტყვის მავნე და სასარგებლო გავლენის შესახებ მეტად მკაფიო და საინტერესო აზრია გამოთქმული თეიმურაზ პირველის ლექსში „ენა“. თეიმურაზი წერს:

„ენა მწარე, ენა ტკბილი, ენა მოკლე, ენა გრძელი.  
 ენა სევდის უკუწყელი, ენა ქვეყნის შეცამძვრელი,  
 ენა მკურნალს ნეულთათვის, ენა გულთა ლახვრით მკვრელი.  
 ენა სული სულთ მობრძავთა, ენა ზოგჯერ სისხლის მღვრელი.“<sup>2</sup>

მკურნალობის ერთ-ერთი პრინციპი იმაში მდგომარეობდა, რომ სამკურნალო ღონისძიებანი ყოველთვის ყოფილიყო ჩატარებული განურჩევლად იმისა, შეიძლებოდა თუ არა ავადმყოფის სრული განკურნება. ეს პრინციპი ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ დაავადების გარკვეულ შემთხვევაში, როცა ავადმყოფის სრული განკურნება შეუძლებელი იყო, მდგომარეობა ნაწილობრივ მინც შეემსუბუქებინათ ან არ დაეშვათ დაავადების გაუარესება. მაგალითად, დაავადება ფილინჯის, ანუ დამბლის შესახებ „იადიგარ დაუღში“ ნათქვამია: „...რიგი ფილინჯი არასათვის კაცს არ ეშველებს. მაგრამ აქიმა და მეცნიერთა კაცთა კიდევ ყუელასათვის წამალი დაუღებია, ამისათვის რომე, ესე სენი ცოტა იყო დასუსტდეს და ან სენი აღარ გაძლიანდეს...“<sup>3</sup>

„მაგრა წამალი იმისთვის უნდა იყოს, რომე კაცსა სენი დაუსუსტდეს და აღარ გაუძნელდეს და კაცმან ცოტაცა იყოს, მოიგზობინოს; თვარამდა ამა სენისა სრულიად მორჩენა და შველა არვისთვის არ იქნების.“<sup>4</sup>

XI საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო წყაროში—„უსწორო კარაბადანში“ მკურნალობის სხვა ზოგადი პრინციპების გვერდით გვხვდება ერთი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მითითება, რომელიც ცხროს ანუ სიცხით მიმდინარე დაავადებათა მკურნალობას შეეხება.

1 შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, დასახელებული გამოცემა, სტროფი № 662.

2 თეიმურაზ I, ლექსი „ენა“.

3 „იადიგარ დაუღი“, გვ. 273.

4 იქვე.

.ეს მითითება ლაპარაკობს, რომ ადამიანს ცხრო შეიძლება დემართოს არა მარტო გაცივების, შიშის, სხეულის გადახურების, კრილობისა და შიმშილობის შედეგად, ანდა ციებ-ცხელებისა და ყვავილის დროს, არამედ სიცხის მომატება შეიძლება ახლდეს ტვინის, ღვიძლის, ფილტვის, თირკმლის, ელენთის, კანის, თვალის, ყურის, კბილისა და სხვა ორგანოების დაავადებას. ამიტომ მკურნალობა მიმართული უნდა იყოს არა სიცხის დასაწვეად, არამედ თვით დაავადების წინააღმდეგ.

„აწუ ეს მოგახსენოთ ამა ცხროთა გარეთისა სხვისა ტკივილისაგანაც შეექნებიან ცხრონი. რომელიცა ასო სტკიოდეს მისგანაც დაემართების ჰქვიან მას სახელი ცხრო ასოთა რომელიცა ასო სტკიოდეს მისი სახელ ჰქვიან მას ცხროსა. ღვიძლის ტკივილისაგანაც იქნების, თირკმელთა ტკივილისაგანაც დაემართების, ამისი კურნება ერთობ მარცხე არის. ტუირპის ტკივილისაგანაც დაემართების, მჭდომისაგანაც დაემართების და სიმსივნისაგანაც დაემართების. ჰღერისაგანაც დაემართების. თვალის ტკივილისაგანაც დაემართების. თავის ტკივილისაგანაც დაემართების. კბილის ტკივილისაგანაც დაემართების. ღვიძლის ტკივილისაგანაც დაემართების. და არს რომე ადვილად იწამლებოდეს; და არს ძნელად იწამლებოდეს. და მცხროსა წაშლები ეს არის: რომელსაცა ასოსა ტკივილი იყოს მისი უწამლოდ, რომელიცა ასო სტკიოდეს და ასო უწინა გავამთელოთ, და როგორც ასო გამრთელდეს, ცხროს გაუშვას. და თუ არ გაამრთელებ, და ცხროსა სწამლობ, არ ეშველებს.“<sup>1</sup>

უნდა ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი მეტად საინტერესო აზრი, რომელიც მკაფიოდ გვიჩვენებს ძველ ექიმთა დაკვირვებისა და პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების შესანიშნავ უნარს.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ძველი ქართველი ექიმები არაიშვიათად მიმართავდნენ ავადმყოფთა მკურნალობას ქირურგიული მეთოდებით.

ცნობილი იყო სწორი ნაწლავის ფისტულის, ბუასილის, შარდის ბუშტის კენკოვანი დაავადების, ქვედა კიდურების გაგანიერების, ტუჩისა და სხვა ორგანოების სიმსივნურ დაავადებათა ოპერაციული წესით მკურნალობა. ოპერაცია კეთდებოდა აგრეთვე თვალის, მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებების დროს და სხვ.

ქირურგიული დახმარება მხოლოდ ოპერაციის გაკეთებით არ განისაზღვრებოდა: ქირურგები აწარმოებდნენ კრილობების, მოტეხილი ძვლების, ამოვარდნილი კიდურების მკურნალობას და მთელ რიგ სხვა ქირურგიულ მანიპულაციებს.

ძველი ქართველი ექიმებისათვის ცნობილი ყოფილა სისხლის დენის შეჩერების წესები და სამკურნალწამლო საშუალებანი, არტაშანი და ლახტი, დამწოლი ნახვევის და შეხვევის სპეციალური წესები, იმობილიზაციის მეთოდი და ამოვარდნილი კიდურის ჩაყენების ხერხი. ცნობილი იყო კრილობათა გაფართოების პრინციპი და სხვ.

სისხლის დენის შესაჩერებლად იხმარებოდა შაბი, ეელატინა, გამშრალი სისხლი, არაბეთის გუმფისი და სხვ.

მოტეხილობის დროს მიმართავდნენ დაზიანებული კიდურის იმობილიზაციას, რისთვისაც არტაშანს იყენებდნენ.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 116.

ამოვარდნილი კიდურის ჩაყენების ხერხი აღწერილობის მიხედვით ძალზე წააგავს თანამედროვე მედიცინაში ცნობილ როტაციულ წესს.

მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქირურგიული მკურნალობის დროს ისევე, როგორც კონსერვატიული მკურნალობისას არანაკლები ყურადღება ექცეოდა ავადმყოფის საერთო მდგომარეობას, მის კვებას, მოვლას და სხვა.

ავადმყოფს ოპერაცია არ გაუკეთდებოდა, თუ მისი საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ იყო.

გვინდა აქვე მკითხველს გავაცნოთ ძველ ქართულ მედიცინაში გამოყენებული ქირურგიული იარაღები, რომლებსაც უძველესად გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მკურნალობის წარმატებით ჩასატარებლად.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი იყო და ქირურგიული მკურნალობის დროს გამოიყენებოდა ზოგიერთი თავის დროის შესაფერისი იარაღი და ხელსაწყო. მათ შორის აღსანიშნავია სხვადასხვა სახის ლანცეტები, ანუ შ ა შ ა რ ი და მ ა ხ ვ ი ლ ი, ს ა ნ ა რ ი და ჩ ქ ი ფ ი ანუ პინცეტები, „ყმა დანა“, ანუ პატარა დანა, მ ა კ რ ა ტ ე ლ ი, მ ა რ წ უ ხ ი, მ ი ლ ი, ნ ე მ ს ე ბ ი, კ ო ბ ო ს ა ნ ი, შტერირი, ყათატირი, ანუ კათეტერი, ძაბრი, საყერავი მასალა და სხვ.

მახვილი და შაშარი იხმარებოდა გაკვეთის მიზნით ყოველგვარი ოპერაციების დროს.

მაგალითად, „ფრჩხილის მკამელას“, „ღუღკოს“, ანუ პანარიციუმის დროს თუ ჩირქი არ გამოვიდოდა, მიმართავდნენ შაშარით გაკვეთას და ჩირქის გამოშვებას. „და თუ თხამლი იყოს შიგნით და თვით არ გაიხსნას, მაშინ შაშრითა გახსნას, რომელ თხამლისაგან დაიცალოს.“<sup>1</sup>

ჯიბლიბოს მკურნალობის დროს „...შაშრითა ადგილი მისი გააპოს და მანკისა დედაი გამოიღოს.“<sup>2</sup>

როგორც საბა თავის ლექსიკონში აღნიშნავს, შაშარი სისხლის გამოსაშვებადაც იხმარებოდა.<sup>3</sup>

სანარი და ჩქიფი გამოიყენებოდა როგორც პინცეტი. ყმა დანა, ანუ პატარა დანა თვალის დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის დროს იხმარებოდა.

„სანარითა ამოზიდოს და ყმა დანითა ხორცი მოჰკვეთოს, ანუ მახვილითა მაკრატლით.“<sup>4</sup>

„...მილის წუერიითა ზედათი ქუქუთოი გახსნას და ყმა დანითა გააპოს ერთმანეთისაგან...“<sup>5</sup>

მილი უმთავრესად თვალის დაავადებათა მკურნალობაში იხმარებოდა. იგი წარმოადგენდა ზონდის მგვარ იარაღს აუცილებლად ოქროს, ვერცხლის ან ტყვიისაგან უნდა ყოფილიყო დამზადებული.

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 508.

2 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 97.

3 ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, დასახელებული გამოცემა, იხ. სიტყვა შ ა შ ა რ ი.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 101.

5 იქვე, გვ. 99.

„მილი ან ოქროსა, ან ვერცხლისა, ან ტყვიისა უნდა.“<sup>1</sup>

როგორც საბა თავის ლექსიკონში განმარტავს, ძვლის საფხეკად იხმარებოდა ქლიბისმაგვარი იარაღი, რომელსაც კიბოსანი ეწოდებოდა.<sup>2</sup>

ყურის დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის დროს, უცხო სხეულების ამოღებზე მიზნით და სხვა საჭიროებათა შემთხვევაში იხმარებოდა მარწუხი.

„წმიდითა მარწუხითა მოეკიდოს და გამოიღოს.“<sup>3</sup>

„კურნებაი ბუალისა რაი ხორხსა დაეჩაროს. თუ ჩნდეს მარწუხთა ანუ მშვილდის საბლითა ამოიღოს.“<sup>4</sup>

ქრილობის გასაყვრად იხმარებოდა ნემსი, აბრეშუმისა და სელის ძაფი.

„თუ დაკოდილი დიდი იყოს, შეკერე ნემსითა და აბრეშუმითა...“<sup>5</sup>

შარდის შეკავების დროს შარდის გამოღების მიზნით გამოიყენებოდა კალამი შტვირი, ანუ კათეტერი. „წიგნი სააქიმოში“ ვკითხულობთ „...ყათატირი ჭურჭელი არს კალამი უგულოი ვითა რომელ დასტაქარნი ამა საქმისათვის ექმნან, და დახმარებისა ეამსა ვითა ღარსა დაუძებენ.“<sup>6</sup>

აჭვე უნდა აღინიშნოს იმ პირობების შესახებ, რომელთა დაცვა აუცილებლად ითვლებოდა ავადმყოფის განკურნების შემდეგ.

ნაავადმყოფარი პირველ დღეებში მოსვენებით უნდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა მისი ფიზიკური შრომა, ბევრი საუბარი, საკვებზე ზედმეტი ან მცირე რაოდენობით მიღება. უნდა მორიდებოდა უძილობას, ოფლის დენას, სასარგებლოდ მიაჩნდათ მისი სასიამოვნო ადგილს ყოფნა და საუბრით გართობა.

„და ასრე უნდა ამრიგი ნაავადმყოფები კაცი მოსვენებით იჯდეს და არ ირჯებოდეს. და ამ რიგმან კაცმან არც მოიშიოს და არც მოიწყუროს, და ასეთი საკმელი არ უნდა ქამოს, რომე კაცსა გულზედა დაადგეს და ან გამოჰყუეს და კაცი ემთილა შეიქნას და კიდევ მიაქცროს და ან წამოაცხელოს. და თუ გულმან და ან ხორცმან აბანო მოითხოოს, ასეთსა აბანოშიგან იბანოს, რომე მოქთადილი იყოს, და ამა აბანოს ტკბილი წყალი იყოს. ვითამცა და აბანოს წყალი მლაშე არ უნდა იყოს.“

და ამა აბანოშიგა დიდსა ხანსა არ უნდა იყოს. და ამ რიგი ნაავადმყოფები კაცი ბევრს უძილობასა, ბევრს ოფლის დენსა, და მწოედ შეყვის საკმლის ქამასა, ამებეს ყუელას უფთხილდენ.“<sup>7</sup>

„და ახლად ადგომილი ავადმყოფი ასრე უნდა შეინახოს. რომე არ შიამინონ და ასეთი ხმა არ გაავგონონ რა, რომე ავადმყოფი შეშინდეს და არცრა ასეთი უჩვენონ რამე, რომ გულშიგ შეშინდნენ, თუ არამდა ეს იცოდით, უსათუოდ კიდევ შიაქცევს. და რასაც რომე კარგი სული უდიოდეს, იმავებს უნდა უსუნებდენ... და ასრე უნდა რარიგადაცა გულში იამებოდეს, ისრე უნდა ქნას და რარიგ-

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 216.

2 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, დასახელებული გამოცემა, იხ. სიტყვა ჯ ო ბ ო ს ა ნ ი.

3 „წიგნი სააქიმო“, გვ. 122.

4 იქვე, გვ. 154.

5 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 33.

6 „წიგნი სააქიმო“, გვ. 221.

7 „იადიგარ დაუდი“, გვ. 118.



საცა ალაგსა იამებოდეს, იქ იჯდეს. ბევრი არ უნდა ისაჯოს, ბევრი არ უნდა იუბნოს, და არც სხუა კაცი ბევრს ეუბნოს, და თუ ეუბნონ, რაც ამა ავადმყოფსა იამებოდეს იმას უნდა ეუბნონ...“<sup>1</sup>

ასეთი იყო ძველ ქართულ მედიცინაში გავრცელებული ზოგადი სამკურნალო პრინციპები. ახლა განვიხილოთ მკურნალობის ცალკეული სახეები: მკურნალობა ბუნებრივი ძალებით და სამკურნალო კვება.

---

---

<sup>1</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 118.

## მკურნალობა ბუნებრივი ძალებით

სამკურნალო მიზნით ბუნებრივი ძალების გამოყენება საქართველოში, ისევე როგორც ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში ძველთაგანვე იყო ცნობილი. სამკურნალოდ იყენებდნენ წყალს, მზის სხივებს, აერს, ტალახს და სხვ.

სამკურნალოდ წყლის გამოყენებას მოწმობს ბორჯომის მიდამოებში 1912—1913 წლებში ჩატარებული საკაპტაყო მუშაობის დროს აღმოჩენილ უხეშად თლილი ქვებისაგან დამზადებული აბაზანები, რომლებსაც მკვლევარები ჩვენი ერის დასაწყისის მიაკუთვნებენ.<sup>1</sup>

აღსანიშნავია აგრეთვე 1937—1938 წლებში მცხეთაში ჩატარებული გათხრების დროს გამოვლინებული ახალი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეების აბანო, რომელიც, როგორც წყალგაყვანილობის სისტემის მიხედვით ირკვევა, მკურნალობის საქმესაც ემსახურებოდა.<sup>2</sup>

V საუკუნის დიდი ქართველი ფილოსოფოსისა და მოღვაწის პეტრე იბერიელის ცხოვრების აღწერილობაში ვკითხულობთ, რომ ზოგიერთი სახის კუქის დაავადების დროს სამკურნალოდ მინერალური წყალი ყოფილა გამოყენებული.

„და იმარხვიდა წმიდაი პეტრე ფრიად და მიმღეჲმად, ამისთუისცა ფრიადისა მარხვისაგან განირყუნა სტომაჲი მისი მაშინ ჰრქუეს ვიეთმე, რათა წარვიდეს ცხელთა წყალთა და განიკურონის.“<sup>3</sup>

საერთოდ, ყოველგვარი სახის წყლით მკურნალობას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ერთ-ერთ სამედიცინო წყაროში, რომელიც XI საუკუნეს მიეკუთვნება, აღნიშნულია, რომ წყალს შეუძლია როგორც შინაგანი, ისე გარეგანი დაავადებებისაგან განკურნება.

<sup>1</sup> კ ა პ ა ნ ა ძ ე, „რა დროიდან არის ცნობილი ბორჯომის მინერალური წყლები“. ჟურ. მეცნიერება და ტექნიკა, № 6, 1954, გვ. 29.

<sup>2</sup> ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1938 წ., „ენიმიკის მოამბე“, 4—5, 1939.

<sup>3</sup> მ ა კ ა რ ი მ ე ს ხ ი, „პეტრე იბერიელის ცხოვრება“. იხ. „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, I შედგენილი ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბილისი, 1946, გვ. 266. ზაზი ჩვენია.

„ხასიათი აბანოსა, რომე ტანი გამოიწმინდოს ყოვლის სატკივრისაგან შიგნით და გარეთ რაცა ავი სატკივარი იყოს...“<sup>2</sup>

ასეთივე შეხედულება გვხვდება შემდეგი საუკუნეების სამედიცინო წყაროებშიც. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ ნათქვამია: „წყალი რომე ერთბა თბილი იყოს, ყოველსა ქარსა გასტეხს, ყოლინჯსა არგებს, წყურვასა მოუმატებს, ნაზლსა, მალახურსა და თუალსა სიბნელესა არგებს, შარდსა გახსნის, დედაკაცთა წესსა წაჰკიდებს.“<sup>3</sup>

წყლით მკურნალობას აწარმოებდნენ როგორც ადგილობრივ—ბინაზე, ისე აბანოში.

შემჩნეული იყო, რომ აბანო იწვევს „ტანის გახურებას“, ანუ როგორც ჩვენ ვიტყვით—ჰიპერემიას, შარდის დენის გაძლიერებას, ტკივილის დაწყნარებას და სხვ.

„...აბანოსა ჯდომა წყლითა ბანაი ტანსა გაახურებს, და სინედლესა. მოუმატებს და ბუნებისათვის კარგი იქნების, და ფსელსა ადენს, და ჰამოდ დააბინებს აცსა, და სიმამურალესა წაუღებს, და ტკივილითა დაუწყნარებს...“<sup>4</sup>

სამკურნალოდ იხმარებოდა როგორც მინერალური, ისე არამინერალური, ანუ მტკნარი წყალი, ზღვის წყალი და სხვ.

ცნობილი იყო წყლის სხვადასხვა სახით გამოყენება. როგორც საჭიროდ ჩასთვლიდნენ, ავადმყოფს უკეთებოდა წყლის აბაზანა, წყლის გადასხმა. წყლით დაზელა ან ერთდროულად კომბინური წესით—აბაზანა და დაზელა, წყლისა და მზის აბაზანა და სხვ.

ამვე დროს აღსანიშნავია, რომ სამკურნალო მიზნით წყალი. თითქმის ყოველთვის სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად იხმარებოდა.

როგორც ძველი ქართული სამედიცინო წერილობითი წყაროებიდან ირკვევა. არსებობდა სრულიად გარკვეული შეხედულება, რომელი დაავადების დროს შეიძლებოდა და რა შემთხვევაში არ შეიძლებოდა წყლის სამკურნალოდ გამოყენება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, შემუშავებული იყო წყლის სამკურნალოდ გამოყენების თავისებური ჩვენებანი და უკუჩვენებანი, დამყარებული განსაზღვრული პერიოდისათვის დამახასიათებელ სამედიცინო შეხედულებებზე.

წყლით მკურნალობას მიმართავდნენ: სხვადასხვა სახის თავის ტკივილის, წელის ტკივილის, ანუ რადიკულიტის, ქარების, ანუ რევმატიზმის, შარდის შეკავების, თირკმლის კენჭოვანი დაავადების, თრომბოფლებიტიის, ყვანის, ანუ დიზენტერიის დროს, აგრეთვე კანის, გინეკოლოგიურ და სხვა დაავადებათა შემთხვევაში.

1 უნდა შევნიშნოთ, რომ აბანო ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში ყოველთვის საბანაო სახლის მნიშვნელობით როდია ნახმარი. აბანო ზოგჯერ აბაზანის, ზოგჯერ სამკურნალო წყლის მნიშვნელობით არის დასახელებული, რაშიც ადვილად შეიძლება გარკვევა ტექსტის შინაარსის მიხედვით. მაგალითად, „იადიგარ დაუდში“ ეკითხულობთ: „მიწადამა რომ თბილი აბანო გამოდიოდეს“. აქარაა, რომ ამ შემთხვევაში აბანო სამკურნალო წყლის მნიშვნელობით არის ნახმარი.

2 „უსწორო კარაბდინი“, გვ. 416.

3 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 441, 442.

არ შეიძლებოდა წყლის სამკურნალოდ გამოყენება დამბლის, ზოგიერთი სახის თავის ტკივილის, კრილობის, მოტეხილობის, შეშუპების დროს. წყლის ხშირად ხმარებას უნდა მორიდებოდა ეპილეფსიით დაავადებული და სხვ.

თავის ტკივილის დროს, იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისა იყო იგი, იხმარებოდა როგორც თბილი, ისე ცივი წყალი.

აი, რას ვკითხულობთ „უსწორო კარაბადინში“:

„და ზედაზედა აბანოს შევიდოდეს ერთობ ცხელი არ იყოს აბანო. და ფიცხლა გამოვიდეს აბანოთა და თავზედა თბილ-თბილსა წყალსა ისხემდეს...“<sup>1</sup>

„ცივსა წყალშიგანაც ჩადგეს და თავზედაცა დაისხას.“<sup>2</sup>

ასეთივე შეხედულებები გვხვდება წყლის სამკურნალოდ გამოყენების შესახებ XIII და შემდეგი საუკუნეების სამედიცინო წყაროებში.

„ფერხთა და ხელთა აზელიებდეს, და აბანოს მივიდოდეს და თფილსა წყალსა იბანებდეს“— ვკითხულობთ „წიგნი სააქიმოში“.

ამავე ძეგლში მითითებულია: „აბანოს მივიდეს და თავი მრავალჯერ ნელითა წყლითა დაიბანოს.“<sup>4</sup>

„თავმტკივანი კაცი... მესამესა და მესამესა დღესა აბანოშიგან შევიდოდეს. რომე აბანოშიგან ერთი და ორი ჟამი დაყონ...“<sup>5</sup>

ძველად საქართველოში აბაზანა განსაკუთრებით ფართოდ იხმარებოდა ცხროს, ანუ მაღალი ტემპერატურით მიმდინარე დაავადებათა მკურნალობის პროცესში.

აი, რას ვკითხულობთ XI საუკუნის სამედიცინო წიგნში—„უსწორო კარაბადინში“:

„ცხრო რომე შეშინებისა და ნალულისაგან დაემართების. წამალი მისი... აბანოს ბანება...“<sup>6</sup>

„ცხრო რომელ საგონებელისაგან შეიქნას. წამალი მისი... მესამესა დღესა, აბანოი და უშუელოს.“<sup>7</sup>

„ცხრო რომელ სიცხისაგან წაეკიდოს წამალი მისი, ესე არის... აბანოს ებანოს და რაი აბანოთ გაძოვიდეს ცრტა იისა ზეთი გააცხელოს და მით ტანი დაიზილოს...“<sup>8</sup>

„ცხრო სარჯლისაგან იყოს... წამალი მისი: აბანოს ბანა ასრე რომე ცივი და თბილი წყალი ერთად იყოს გარეული ტანზედა დაისხას...“<sup>9</sup>

„თუ იმით არ ეშველოს კიდევ ებანოს და ისრევ ქნას და ოფლი იდინოს კარგად და ეშველოს.“<sup>10</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 172, 173.

2 იქვე, გვ. 174.

3 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 69.

4 იქვე, გვ. 71.

5 „იადიგარ დაუდი“, გვ. 240.

6 იქვე.

7 იქვე.

8 იქვე, გვ. 278.

9 იქვე.

10 იქვე.

„თუ ცხრო უძილობისაგან, იყოს... წამალი ეს არის: აბანოში იბანოს კარგად და რა აბანოთ გამოვიდეს ერთწამს დაიძინოს, და რა ძილისაგან ადგეს თავი და ტანი ცივითა წყლითა დაიბანოს.“<sup>1</sup>

„ვისაცა სინაშვრალისა და მიჰვიგრებისაგან ცხრო დაემართოს... მისი წამალი ეს არის რომე, ნელთბილსა აბანოსა შიგა ჩაჭდეს და ნელთბილი წყალი ზედა დაისხას...“<sup>2</sup>

ასეთივე ცნობები გვხვდება XIII და შემდეგი საუკუნეების ქართულ სამედიცინო დამწერლობით წყაროებში „ცხროს“ მკურნალობის დროს აბაზანის გამოყენების შესახებ

„ცხრო განწყრომისაგან... კურნებაი მისი იგი არს, რომელ რაი წყრომისაგან დაწყნარდეს აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჭდეს და თუ ზამთარი იყოს და ჰაერი გრილი იყოს. და თუ ზაფხული იყოს და ჰაერის მხურვალად იყოს ცივსა წყალსა შიგან ჩაჭდეს და ტანი კარგად იბანოს ცივთა წყლითა.“<sup>3</sup>

„რაი ცხროი მოუსუბუქდეს აბანოს მივიდეს და ღია ნუ დაჭდების, და ნელითა წყლითა ტანსა იბანდეს, და ანაკუეთითა ტანსა იზელდეს.“<sup>4</sup>

„უსწორო კარაბადინში“ რადიკულიტისათვის დამახასიათებელი ნიშნებით აღწერილია დაავადება წელის ტკივილი, რომელსაც სხვა საშუალებებთან ერთად ცხელი აბაზანებით მკურნალობდნენ.

„თუ წელნი სტკიოდეს ანუ ქარიანი იყოს, ამთონი ერთი ებანოს რომე ოფლად გამოვიდეს ტკივილი.“<sup>5</sup>

ყურადღებას იქცევს არაპირდაპირი მითითება აბაზანის მიღების ხანგრძლიობის შესახებ—„ამთონი ერთი ებანოს რომე ოფლად გამოვიდეს ტკივილი“. მაშასადამე, ავადმყოფს მანამდე უნდა ებანავა, ვიდრე ოფლი არ გამოუვიდოდა. სანიტერესოა, რომ აღნიშნული დაავადების დროს აბაზანის მიღების შემდეგ ოფლის დენას ახლაც ურჩევენ ხოლმე ექიმები ავადმყოფს.

ნერვული სისტემის სნეულებათა განხილვის დროს აღნიშნული იყო, რომ ძველ ქართულ სამედიცინო დამწერლობით წყაროებში აღწერილია დაავადება „ასოთა თრთოლა და ასოთა მღერა“, რაც კანკალსა და საერთოდ სხვადასხვაგვარ უნებლიე მოძრაობებს ეწოდებოდა. თუ მათ შორის პარკინსონის დაავადებისა და ქორეის დროს განვითარებული უნებლიე მოძრაობებიც იგულისხმებოდა, მაშინ შეიძლება სრულიად მართებულად მივიჩნიოთ „უსწორო კარაბადინის“ ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ „ასოთა მღერის“ შემთხვევაში ავადმყოფისათვის თბილი აბაზანა გაეკეთებინათ. ზოგჯერ სხვადასხვა სამკურნალო მცენარეებს მოხარშავდნენ და მისი წვენი თუ კეთებდნენ აბაზანას, რის შემდეგ მიმართავდნენ დაზედას, ანუ მასაეს.

„თუ ასომან მღერა დაუწყოს, ნიშანი არის, რომე ის სენი გამოჩნდების, მისი წამალი, აბანოს ებანოს, რომე ეს წამლები შიგ მოღულებულიყოს. აიღე-

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 119.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 277.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 117.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 416.

ჟანსუმი, პიტნა, ბაბუნაჯი არის, ეს წამლები შიგ მოდუღებული იყოს, ამაში გაეხანოს, რა აბანოთ გამოვიდეს, ეს წამალი ქუნჯითის ზეთშია მოადღეთ და დააზილონ.<sup>1</sup>

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ, რომ „მალხულისა“, ანუ მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის დროს ავადმყოფს ხშირად უნდა მიეღო აბაზანა.<sup>2</sup>

თბილი წყლის აბაზანები სხვა საშუალებებთან ერთად ხშირად იყო გამოყენებული გინეკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ.

„წიგნი სააქიმოში“ აღწერილია დაავადება „სამობელის გასივება“, რომელიც თავისი ნიშნებით საშვილოსნოს ჩირქოვან ანთებას გავს. ამ დაავადების სამკურნალოდ ავადმყოფს ენიშნებოდა თბილი წყლის აბაზანები: „მიწყით თბილსა წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს.“<sup>3</sup>

ასეთივე პროცედურები ენიშნებოდა ავადმყოფს საშვილოსნოს გამოვარდნის, უშვილობის და სხვა დაავადებათა დროს.<sup>4</sup>

თაქრის ჩაქედვის შემთხვევაში თაქრის პარკის შიგთავის მუცლის ღრუში თავისუფლად შებრუნების მიზნით ავადმყოფს ცხელი აბაზანა უკეთდებოდა, რაც სრულიად მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს.

„რომე წლები ყვერშია ჩამოვიდეს ისი ვახსნების მტკლათაღმა, ყვერშია იმა გზითა ჩამოვა წლები. მისი წამალი ის არს, რომე კაცსა რა ჟამს ის დაემართოს პირაღმა დაწვეს ზურგზედა, და ორივე ფერხნი მალად დაიჭიროს და ხელითა მიიჭიროს და შეკრიფოს შიგნით.“

თუ გამაგრებულობის აბანოშია ჩასვით და მერმე ცერცო მოხარშეთ და შემოსდევით რომე დალბეს და მისი სიმაგრე გამოვიდეს, ბარკალი დაუზილეთ და ხელითა მიაჭირეთ, რომე მისსავე ალაგს მივიდეს.<sup>5</sup>

როგორც „წიგნი სააქიმოიდან“ ირკვევა, XIII საუკუნეში და უნდა ვიფიქროთ, რომ მანამდეც წყლით მკურნალობას მიმართავდნენ თრომბოფლებიტის დროს. აღნიშნულ წიგნში ვკითხულობთ: „რომელ ძარღვი ადგომილნი. მსხვილნი, მოგრებილნი, წვივთა ზედა გამოჩნდეს და ფერად იგი ძარღვი შავფერნი იყვენ... მიწყით აბანოს მივიდოდეს და ნელსა წყალსა ზედა ისხმიდეს.“<sup>6</sup>

აღსანიშნავია, რომ შემდეგ საუკუნეებში თრომბოფლებიტის დროს იყენებდნენ მარილიანი წყლის აბაზანებს, მაგრამ ვენები არ უნდა ყოფილიყო დაწყლულებული.

„და თუ ამა სიმსივნეზედა მუწუკები არ ესხას, ყოველთა ღღეთა ფეხები ბიბილის მარილის წყლითა დაიბანოს...“<sup>7</sup>

ცხელი წყლის აბაზანები ენიშნებოდა ავადმყოფს შარდის ბუშტის, აგრეთვე თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს.

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 404.

2 იქვე, გვ. 191.

3 „წიგნი სააქიმოში“, გვ. 237.

4 იქვე, გვ. 239, 243.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 352.

6 „წიგნი სააქიმოში“, გვ. 253.

7 „ილიგარ დაული“, გვ. 454.

„ბუეტუქშიგან. რომე ბოქვენსა თუ შირიმი იყოს... ყოველთა დღეთა აბანოშიგან ჩასვემდი.“<sup>1</sup>

„ქვაი ანუ ქვიში რომელ თირკმელსა შიგან იყოს... აბანოს მივიდეს და სულსა წყალსა შიგან ჩაჯდეს კარგი არს.“<sup>2</sup>

„რაი ესე მანვი (ლაპარაკია თირკმლის კენკოვანი დაავადების შესახებ. ავტორები), სანიშნავად იყოს, სნეულს მრავალჯერ აბანოს გაჰგზავნიდეს...“<sup>3</sup>  
წარმატებით იყენებდნენ წყლის აბაზანებს შარდის შეკაეების შემთხვევაში.<sup>4</sup>

ცხელი წყლის აბაზანა უკეთდებოდა ავადმყოფს დიზენტერიის, სწორი ნაწლავის გამოვარდნის დროს და სხვ.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ, რომ ყვანის, ანუ დიზენტერიის დროს საჭიროა ავადმყოფი „მოდულეზულსა წყალშიგან ჩაჯდეს ბევრჯელ.“<sup>5</sup>

მართალია, უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფს მთლიანი აბაზანა ენიშნებოდა, მაგრამ ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა აკრეტვე ნაწილობრივი აბაზანა. მაგალითად, საჯდომი აბაზანა, ფეხების აბაზანა და სხვ.

ნაწილობრივი აბაზანა იხმარებოდა: თრომბოფლებიტის, სწორი ნაწლავის გამოვარდნის, თირკმლების, გინეკოლოგიურ დაავადებათა დროს და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი დაავადების დროს წყლის გამოყენება დაუშვებლად ითვლებოდა. მაგალითად, „უსწორო კარაბადინში“ მითითებულია, რომ „მტერთა დაცემის“, ანუ ეპილეფსიის დროს ავადმყოფი უნდა მორიდებოდეს ხშირად აბანოში შესვლას, განსაკუთრებით საზიანოდ მიაჩნდათ ცხელი წყლის თავზე დასხმა.

„ბევრჯელ აბანოში ნუ შევა... ცხელსა აბანოში თავს ნუ მიუშვერს, ზიანი არის...“<sup>6</sup>

„წიგნი სააქიმოი“ აღნიშნულია, რომ „წამწამთა სიმეტის“, ანუ ტრაქომის დროს ავადმყოფი „აბანოს დია ნუ მივალს.“<sup>7</sup>

ამავე წყაროში ერთ-ერთი სახის თავის ტყვილის შესახებ აღნიშნულია, რომ „აბანოსა და ჰირსა და სიციხესა ერიდებოდეს.“<sup>8</sup>

საზიანოდ მიაჩნდათ წყლის გამოყენება ჰრილობის, მოტეხილის და სხეულის ამა თუ იმ ნაწილის შესივების დროს.

აბანო „...დაკოდისა მოტეხილსა და ყოველსა სიმსივნესა ასოებსა სამსავე ნწოდ აწყენს.“<sup>9</sup>

უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე ეხება აღნიშნულ ტრავმულ დაზიანებათა ახალ შემთხვევებს. როდესაც წყლის სამკურნალოდ გამოყენება მართლაც არამიზან-პეწონილად ითვლება.

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 341.

2 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 218.

3 იქვე.

4 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 345. „წიგნი სააქიმოი“, გვ. 219.

5 იქვე, გვ. 325.

6 იქვე, გვ. 192.

7 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 99.

8 იქვე, გვ. 65.

9 „იადიგარ დუღი“, გვ. 110.

არ შეიძლებოდა ცივი წყლის სამკურნალოდ ხმარება ფელინჯის, ანუ დამბლის დროს: „წყაროს წყალი ფილენჯის ქარსა და თრთოლას მწოვედ აწყენს, და რომე შევლებოდეს კიდევ აუძრავს.“

საინტერესოა, რომ ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა ცხელი. თბილი და ცივი სველი საფენების გამოყენება ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. საფენებს უმეტესად ჩვეულებრივ წყალში ან რომელიმე სამკურნალო ნივთიერებისაგან დამზადებულ ხსნარში ასველებდნენ. ამის შესახებ ცნობები ლითქმის ყველა ძველ ქართულ სამედიცინო წიგნშია წარმოდგენილი. მოვიტანთ ზოგიერთ მაგალითს:

„ხელისა მანდილი დაასოვლე თაფლწყლითა და თავზედა შემოსდევ...“<sup>1</sup>

„ცოტა მჩუარი წყალითა დაასოვლოს და იმა მტკივანსა ადგილას დაიდვას“<sup>2</sup>.

„აბანოს ებანოს, სამოსელი დაასოვლოს და ცხელ ცხელი გულის პირსა შემოიდებდეს, რომე ბალღამი ამოიღოს.“

თუ აბანოს ვერა წავიდეს, თბილსა სახლშიგა დაწვეს და კიდევ ისი სამოსელი გულზე შემოიხეიოს.“<sup>3</sup>

„თუ ერთობ ცხლად იყოს ქათნის ნაკვეთი სანდლისა და ვარდის წყალშიგან დაასოვლე და ქაფურშიგა შემოსდევ.“<sup>4</sup>

„გამთბართა მჩვართა მუცელსა ზედა შემოსდებდეს...“<sup>5</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ქართველი ექიმებისათვის ცნობილი იყო წყლის სამკურნალოდ გამოყენება არა მარტო აბანოს, არამედ ორთქლის სახითაც. ზოგჯერ თბილი წყალი და ორთქლი ერთდროულად იხმარებოდა. შეორთქლებას უმთავრესად ზედა სასუნთქი გზების, თვალისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა დროს მიმართავდნენ.

აი, რას ვკითხულობთ XI საუკუნის სამედიცინო დამწერლობით წყაროში—„უსწორო კარაბადინში“:

„მისი წამალი ეს არის, რომე თავსა ცხელი წყლითა იორთქლებდეს და თბილითა წყლითა იბანდეს...“<sup>6</sup>

წყლის ორთქლისა და თბილი წყლის ერთდროული გამოყენების შესახებ ცნობები გვხვდება XIII და შემდეგი საუკუნის სამედიცინო დამწერლობით წყაროებშიც.

„პირი თბილისა წყლისა ორთქლსა მიუპყრას. და ტფილი წყალი თავსა ისხას დილ დილითა...“<sup>7</sup>

„დილასა აბანოს წავიდეს და პირი ტფილისა წყლისა ორთქლსა მოუპყრას.“<sup>8</sup>

„აბანოს მივიდეს და პირი ტფილისა წყლისა ორთქლსა მიუპყრას.“<sup>9</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 180.

2 იქვე, გვ. 297.

3 იქვე, გვ. 287.

4 იქვე, გვ. 365.

5 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 183.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 204.

7 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 99.

8 იქვე, გვ. 102.

9 იქვე, გვ. 107.



„თვალეები თბილის წყლის ორთქლზედა დაიკიროს, და თვალშიგა კარგად იორთქლონ.“<sup>1</sup>

თერმოდერატიულ საშუალებათა ჯგუფს მიეკუთვნება, აგრეთვე, ქვიშის აბაზანები. მეტად საინტერესოა, რომ ქვიშის აბაზანების სამკურნალოდ გამოყენება საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი. სამკურნალოდ გამოიყენებოდა ცხელი ქვიშა.

XIII საუკუნის ერთ-ერთ წერილობით წყაროში აღნიშნულია, რომ „ასოთა დაბუყების“ დროს ავადმყოფი „ცხელსა ქვიშასა ზედა დაწვებოდეს.“<sup>2</sup>

ცხელი ქვიშის აბაზანებს უნიშნავდნენ ავადმყოფს რვიძლის დაავადების ვაჰო მუტლის ღრუში დაგროვილი სითხის შესამციკებლად.

„ქუიშაზედა და მზის პირსა ჯდომა მარგე არის.“<sup>3</sup>

„და თუ ზაფხულ იყოს ცხელსა ქვიშასა შიგან ჩაწვებოდეს, და მუცელსა ცხელსა ქვიშასა ზედა დასდებდეს.“<sup>4</sup>

ამ ცნობის მიხედვით ისიც ირკვევა, რომ იმ ხანად იხმარებოდა მხოლოდ მზით გამთბარი, ბუნებრივად ცხელი ქვიშის აბაზანები.

აღნიშნული დაავადების დროს ავადმყოფს მზის აბაზანებსაც უნიშნავდნენ. მზის აბაზანის მიღების დროს ავადმყოფს თავი უნდა დაეფარა მზის სხივების ვავლენისაგან.

„ან მზეშიგა მწოვედ ცხელსა ალაგსა უნდა დაჯდეს რომე, ამა კაცსა თავი ზრდილშიგა უნდა ჰქონდეს და სრულიად ტანი მზეშიგა ჰქონდეს.“<sup>5</sup>

მზის სხივების გამოყენება სხვა შემთხვევაშიც ხდებოდა. მაგალითად, თმის ცვენის შეჩერების და თმის ამოყვანის მიზნით წარმოებულ მკურნალობის დროს ავადმყოფს, როცა თავზე წამალს წაუსვამდნენ, რამდენიმე ხანს მზის ქვეშ აჩერებდნენ. ალბათ დაკვირვებით შემჩნეული ჰქონდათ, რომ მზის სხივები დადებით გავლენას ახდენს თმის ზრდაზე.

ცალკე უნდა შევჩერდეთ მასაჟის სამკურნალოდ გამოყენების შესახებ. მასაჟის ძველი ქართველი ექიმები დაზელას უწოდებენ. არსებობდა სრულიად გაჯვეჯული შეხედულება ორგანიზმზე მასაჟის გავლენის შესახებ. როგორც სამედიცინო დამწერლობითი წყაროებიდან ჩანს, ფიქრობდნენ, რომ მასაჟის შედეგად სხეულს ტონუსი ძლიერდება.

„...ყოველი ასო და ტანი დაიზილოს დაამაგრებს.“ ვკითხულობთ „უსწორო კარაბადინში.“<sup>6</sup>

მასაჟის „ანუ დაზელის შესახებ ასეთივე აზრი გვხვდება XII და შემდეგი საუკუნეების სამედიცინო შეხედულებებს შორის.

„წიგნი სააქიმოში“ აღნიშნულია, რომ „...ზელისაგან ტანი გაძლიერდების და ასონი გამაგრდებიან.“<sup>7</sup>

1 „იადიგარ დაული“, გვ. 286.

2 „წიგნი სააქიმო“, გვ. 91.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 308.

4 „წიგნი სააქიმო“, გვ. 392.

5 „იადიგარ დაული“, გვ. 328.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 45.

7 „წიგნი სააქიმო“, გვ. 31.

საინტერესოა, რომ მნიშვნელობა ენიჭებოდა მასაჟის ხასიათს. მასაჟი არ უხდა ყოფილიყო არც მეტისმეტად ზერელე და არც მეტისმეტად ღრმა. ამავე დროს ყურადღება ექცეოდა მასაჟის გაკეთების ხანგრძლიობას.

„მიჩნეული იყო, რომ ღრმა და ხანგრძლივი მასაჟი იწვევს სხეულის დასუსტებას, მაგრამ „საზომისაებრ და ჟამისაებრ ზელა“ პირიქით მოქმედებს.

„მეტი შეზელა დაასუსტებს ასობესა და ტანსა წესიერად უნდა შეზელა.“<sup>1</sup>

„ლბილად ზელისაგან ასონი გაიხსნებთან, მაგრად ზელისაგან გაუსუსტრდებიან და საზომისაებრ და ჟამისაებრ ზელისაგან ხორცინი გაიზრდებიან, და ფერად დამშვენდების კაცი... ძარლუთა და ფაითა გააძლიერებს და ერგების...“<sup>2</sup>

საყურადღებოა, რომ ავტორი განსაკუთრებით მიუთითებს თუ როგორ გავლენას ახდენს „საზომისაებრ და ჟამისაებრ“ დაზღვევა „ხორცზე“, ანუ კუნთებზე, სისხლის ძარღვებზე და ნერვებზე (ფაი).

მართლაც, როგორც ცნობილია, მასაჟის შედეგად კუნთოვან ქსოვილში უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და კვება, ძლიერდება ნერვული სისტემის ფუნქცია და საერთოდ უმჯობესდება ორგანიზმის მდგომარეობა.

მასაჟს მიმართავდნენ ნერვული სისტემის, ძვლების, სახსრების, კუნთების, აგრეთვე სხვა ორგანოებისა და სისტემების დაავადებათა დროს.

როგორც „უსწორო კარაბადინიდან“ ირკვევა, XI საუკუნეში „ასოთა მღერის“, ანუ უნებლიე მოძრაობათა სამკურნალოდ სხვა საშუალებებთან ერთად იყენებდნენ მასაჟს: ჯერ სხეულზე უხეში ნაჭრის წასმით გამოიწვევდნენ „გაწითილებას“, ანუ როგორც ახლა ვიტყვით—ჰიპერემიას. შემდეგ კი იწყებდნენ დაზღვევას ცხიმოვანი ნივთიერებებით. ზოგიერთი მათგანი წამალი იყო და შეზღვევით შეყავდათ ორგანიზმში, ზოგიერთი კი იხპარებოდა იმ მიზნით, რომ მასაჟი უფრო კარგად, ადვილად ეწარმოებინათ და ავადმყოფს უსიამოვნო შეგრძნება არ ჰქონოდა.

ამ უკანასკნელი მოსაზრების სასაზღვბლოდ ისიც ლაპარაკობს, რომ როგორც ქვევით დავინახავთ, ცხიმოვანი ნივთიერებებს მასაჟის დროს თითქმის ყოველთვის იყენებდნენ, მის გარეშე მასაჟი თითქმის არ კეთდებოდა.

„რაც ასო მღერდეს, ხამისა მჩუირითა შეისვას რომე ის ალაგი გაწითლდეს და ყუსტის ზეთითა და ფარფიონის ზეთითა დაიზილოს.“<sup>3</sup>

მასაჟს აკეთებდნენ აგრეთვე ხერხემლის ტრავმული დაზიანების შემთხვევაში, რაც სავსებით გამართლებულია და მიზანშეწონილი წელის კუნთების ატროფიის თავიდან ასაცილებლად.

აი, რას ვკითხულობთ „უსწორო კარაბადინში“: „თუ მიზეზი გარეთ იყოს ზურგის მოღრეკისა, ცემისაგან ან ჩამოვარდნისაგან აიღე: ცვილი და შირბახტის ზეთი ერთმანერთშიგა გაურკვე და ზურგსა მით უზღელი ყოველთა დღეთა და ფართოთა სამოსლითა უხვევდი...“<sup>4</sup>

მასაჟს მიმართავდნენ დაუევილობის დროს და სხვა მსგავს შემთხვევებში-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 45.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიშოი“, გვ. 31.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 198.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 386.

„თუ ესე ტკივილი ანუ ნაცემობისაგან, ანუ მძიმისა აღებისაგან იყოს ისა ეტკივანი ვარდის ზეთითა დაუზილონ.“<sup>1</sup>

განსაყუთრებით საყურადღებოა, რომ აბაზანებთან ერთად მასაჟს იყენებდნენ მძიმე დაზიანებათა შემდეგ ხანგრძლივი უმოქმედობის შედეგად განვითარებული კუნთოვანი ქსოვილის ატროფიის შემთხვევაში, ანუ როგორც ძველად იტყოდნენ—„რომელ ასონი გაჩხმარივითა იყვნენ.“

„ძარღვნი და ფაი გასხირპით იყვნენ სიბრტყივ და სივრძით ტანისა. და თუ მანკისა სათავნო ხელსა იყოს თითთა ვერ შეეკრიდეს და ვერ გახსნიდეს, და ეგებოა რომელ შეეკრა შეეძლოს და გახსნა არა, და ეგების რომელ შეხსნა შეეძლოს და შეეკრა არა... რაიცა სიხმელისაგან იყოს კურნებაი უძნელესი არს მისი. მაგრამ წყალსა შიგან ჩაჯდებოდეს და ასოთა ჯაქციელთა ნელითა ზეთითა იზელდეს, და თუ შეეძლოს ნელსა ზეთსა შიგან ჩაჯდეს...აბანოსა ოფლი ვამოსცეს უზმაივე და ასოთა იასამანისა ზეთითა და ხირისა ზეთითა იზელდეს...“<sup>2</sup>

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გულის დაავადებათა დროს მიმართავდნენ გულის საპროექციო არეს მასაჟს: „გულისა რომე ტკივილი დაეწყოს...გული და გულის პირი დაიზილოს.“<sup>3</sup>

მასაჟს აკეთებდნენ სახსრების დაავადების, ანუ „საქციელთა ტკივილის“ დროს „ნიწყით მანკისა ადგილისა ქათმისა ცმელითა და ბატისა ცმელითა, და უღბობისა ლუაბისა და სელისა ლუაბითა, და ქუჭიდის ზეთითა იზელდეს.“<sup>4</sup>

მასაჟსა იყენებდნენ ნიკრისის დროს, აგრეთვე თვალის, ღრძილებისა და სხვა ორგანოების დაავადებათა შემთხვევაშიც.

„კბილის ძირსა დაიზელდეს.“<sup>5</sup>

„ცივთა წყლითა და შაქრითა, რომე კბილისა ძირსა და პირსა იმითი იზელდეს, მარგე არის.“<sup>6</sup>

გარდა მშრალი მასაჟისა, ცნობილი იყო სველი, ანუ წყლით მასაჟი.

„ტანი წყალშიგა დააზელინოს.“<sup>7</sup> ან კიდევ „ტანი თბილითა წყლითა დააზელინოს“<sup>8</sup> და სხვა.

ძველი ქართული ექიმები სამოძრაო აპარატის—კუნთების, ძვლებისა და სახსრების სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში მიმართავდნენ წყლისა და მასაჟის კომბინურად გამოყენებას სამკურნალო მიზნით.

კისრის ტკივილი, რომელიც „სასათულისა მადლობისაგან იყოს, ანუ სასათულისაგან იყოს, მას პირველად აბანოშიგან უნდა ჯდომა, მერმე თბილითა

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 386.

2 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 92, 93.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 287.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 251.

5 იქვე. გვ. 238.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 365, 366.

7 იქვე.

8 იქვე.

წყლითა და ძმრითა უნდა დაზელა და რა აბანოთა გამოვიდეს, ქალისა ჩძითა და იის ზეთით უნდა დაზელა.“<sup>1</sup>

„ბაბუნაჯი, აქლიმალიქი, ყაისუმი და ფუდნა წყლით ადულე კარგად რომე ძალი გამოვიდეს და კაცი შიჯ ჩასუი და ერთობილ ტანი იმით დაიზილოს...“<sup>2</sup>

„მუდამ ცივითა წყლითა დაიბანდეს და როგორაცა წყლისაგან მოვიდეს ნელოფრისა ანუ იისა და აყიროსა ზეთითა დაიზელდეს...“<sup>3</sup>

როგორც „იადიგარ დაუდიდან“ ირკვევა, სახსრების ტკივილის დროს მარილიანი წყლის ცხელ აბაზანებთან ერთად ავადმყოფს უკეთდებოდა მასაჯი.

„ცივი წყალი და ცივი აბანო ორივე აწყენს. და თუ აბანოს წყალი თბილი წყალი არის, ისიც აწყენს. ასრე უნდა ამა აბანოს წყალი მლაშე წყალი იყოს და თვითონ აბანო თბილი იყოს, ასრე უნდა, კაცი აბანოშიგან თბილსა ალაგსა დაჭდეს და წყალი ბევრი არ უნდა დაისხას, და მტკივანი ალაგები მხურვალის ერბოებითა და მარილითა ასეთსა დროსა დაიზილონ, რომე კიდევ აბანოშიგვე იყვნენ და წყალი არ უნდა დაისხან, დაიზილონ და გამოვიდნენ.“<sup>4</sup>

როგორც აღენიშნეთ, სამკურნალო მიზნით ჩვეულებრივი, ანუ მტკნარი წყლის გარდა გამოიყენებოდა მინერალური წყალი, რომელსაც ძველად ეწოდებოდა ვეძა. ლითონის წყალი, ქანის წყალი და სხვ.

XV საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო წიგნში ნათქვამია: „ვის მლიერი და მქავენი სკირდეს, გაიბანოს ლუისა წყლითა ან ვეძითა.“<sup>5</sup>

მაშასადამე, კანის აღნიშნულ დაავადებათა დროს ავადმყოფს ტანი ვეძით, ანუ მინერალური წყლით უნდა გაეებანა-

ვეძა რომ მინერალურ წყალს გულისხმობს. ამას მთელი რიგი ცნობები მოწმობს.

ვახუშტი ბატონიშვილი წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „ამა მთის ადგილებთა შინა რომელნი აღესწერენით, დიან წყარონი ფრიად ანკარანი. მომლაშონი, არამედ საქმელის მომდნობნი, და მომნელებელნი, და სმენ მუნებურნი. უწოდებენ ვეძას.“<sup>6</sup>

გამოდის, რომ ვეძა ეწოდებოდა ანკარა წყაროს წყალს, რომელიც გემოთი იყო მომლაშო, თვისებებით საქმლის მონელების ხელშემწყობი.

იმავე წიგნის სხვა ადგილას ნათქვამია: „არიან ვეძანი, რომელ არს წყარო ანკარა მლაშე... ამას სმენ კაცნი და პირუტყენი, და ფრიად ერგებისთ.“<sup>7</sup>

სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვას ასე განმარტავს: „ვეძა მომქაო წყარო ბუნებით.“<sup>8</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 385.

2 იქვე, გვ. 119.

3 იქვე, გვ. 364.

4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 484.

5 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 312.

6 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 71.

7 იქვე, გვ. 108.

8 ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, დასახელებული გამოცემა. იხ. სიტყვა

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მინერალურ წყალს გასული საუკუნის 70-იან წლებშიც კი ვეძას უწოდებდნენ. 1873 წლის № 38 „დროებაში“ დაბეჭდილია წერილი „მადნის წყლები“, სადაც ნათქვამია: „ყველა მადნის წყალს რაქაში ვეძას უძახიან.“

როგორც აკად. ივ. ჭავჭავაძემ გამოარკვია, „ნაწილაკი ძა ზოგადად სითხის აღმნიშვნელი ძირია.“<sup>1</sup>

არსებობს მოსაზრება, რომ ნაწილაკი ვე წყლის ღმერთის სახელს ვეძას უნდა უკავშირდებოდეს.<sup>2</sup>

ამ მოსაზრებებს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველმა ხალხმა შორეულ წარსულში მინერალური წყლების სამკურნალო თვისება მიაწერა რა ღვთიური ძალის მოქმედებას, წყლის ღმერთის ვეძას და სითხის (ძა) აღმნიშვნელი სიტყვების ძირები ერთმანეთს დაუკავშირა, რის შედეგად შეიქმნა მინერალურ წყლის სახელი ვეძა.

როგორც აღვნიშნეთ, მინერალურ წყალს ლითონის წყალსაც უწოდებდნენ.

ლითონის წყალი მინერალურ წყალს იმიტომ ერქვა, რომ მადნეულობას, მინერალებს და თვით მინერალების შემცველ მიწის შრეებს სიტყვა ლითონის ეძახდნენ ძველად.

სიტყვა ლითონს საბა ასე განმარტავს: „ლითონი მას ადგილს ეწოდების, სადა ილეკროს სთხრიან, ანუ მარგალიტი და სხვალი გამოდის, რომელსა სპარსნი მადანსა და ქანს უხმობენ.“<sup>3</sup>

რაც შეეხება სახელწოდება ქანის წყალს, იგი გულისხმობს დედამიწის ქანებიდან გამოსულ წყალს, რომელიც შეიძლება სამკურნალოდ იქნეს გამოყენებული.

საინტერესოა ცნობები სამკურნალო წყლების ტემპერატურის წარმოშობის შესახებ. ფიქრობდნენ, რომ თავიდან სამკურნალო წყალს ჩვეულებრივი, მტკნარი წყლის ტემპერატურა აქვს, მაგრამ მიწის გარკვეული ქანების, კერძოდ გოგირდისა და ნავთობის ფენების გავლისას იძენს ტემპერატურას და თბილი სახით გამოდის მიწის ზედაპირზე.

„მიწიდან რომ თბილი აბანო გამოდიოდეს, იმის ხასიათებს გიამბობს. ეს უნდა იცოდეთ, რომ ეს თბილი აბანოცა კიდევ ცივი წყარო არის, და ეს ცივი წყარო ან გოგირდის ქანსა გამოივლის, ან სხუას მხურვალსა რასმე ქანსა გამოივლის და მაშინლა გათბების.“<sup>4</sup>

„ილიჯას წყალი თაობითგან ცივი წყარო არის, და ესე ცივი წყარო ზოგი გოგირდისა მადანს გამოივლის, და ზოგი ნავთის მადანს გამოივლის და მაშინლა გათბების, და თუ მწოვედ ცხელი არ არის, ესე ილიჯაცა გამთბარსა წყალსა დაეგვანების...“<sup>5</sup>

1 ივ. ჭავჭავაძე ილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950.

2 დე მ ნ ა შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, წერილები, თბილისი, 1956.

3 ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, დასახელებული გამოცემა, იბ. სიტყვა ლითონი.

4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 111.

5 იქვე, გვ. 569.

ასეთივე შეხედულება იყო გავრცელებული XVII—XVIII საუკუნეებშიც: „უკეთეს გოგირდისა ლითონთა განელო ტფილნი იქნებიან წყარონი, ვითა მღუღარე.“<sup>1</sup>

საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი იყო და სამკურნალო მიზნით იყენებდნენ წყალტუბოს, თბილისის, ოცხეს, ძაუს, დმანისის, ბორჯომის და მის ხეობაში არსებულ მინერალურ წყლებს.

სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს ბორჯომის მინერალური წყალი მხოლოდ XIX საუკუნეში იქნა აღმოჩენილი. მაგრამ ეს შეხედულება არასწორად უნდა ჩაითვალოს. არსებობს საბუთები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ბორჯომის მინერალური წყალი სამკურნალოდ გამოყენებული ყოფილა ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში. ამას მოწმობს კერძოდ 1912—1913 წლებში ყოფილ ეკატერინეს (ახლანდელ № 1) წყაროს ირგვლივ საკაპტაეო მუშაობის ჩატარების დროს აღმოჩენილი ქვისაგან დამზადებული აბაზანების ნაშთი (რიცხვით შვიდი, ზომა 3×1,5 და 3×2 არშინზე).<sup>2</sup>

ძველი ისტორიული დამწერლობითი წყაროები მოწმობს, რომ ბორჯომის ხეობაში გაშენებული იყო ქალაქები, დაბები, სოფლები, მაგრამ ჯერ მონღოლების, ხოლო შემდეგში ოსმალების და სპარსელების შემოსევების შედეგად ბორჯომის ხეობამ სახე იცვალა და იგი მუდმივ ბრძოლის ასპარეზად იქცა. 1630 წელს, როგორც მეფე თეიმურაზ პირველი წერს, ბორჯომის ხეობაში აოხრებული იყო „მამულნი, სოფელნი, დაბანი და აგარაკნი.“

მძიმე დღეები გადაიტანა ბორჯომის ხეობამ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარშიც. 1735 წელს შაჰ-თამაზმა გადასწვა ეს ხეობა, 600 კომლი აპყარა და სპარსეთში გადაასახლა. ყოველივე ამას ემატებოდა ლეკების მიერ ქართველების ტყვეებად გატაცება და მათი ისმალეთში გაყიდვა.

განუწყვეტელმა დარბევამ შესცვალა ბორჯომის მიდამოების სახე. აი, როგორ ახასიათებს ევროპელი მოგზაური შარდენი (1672) მაშინდელ ბორჯომის ხეობას: „უესერიდა (აწყურადან) ამ ორ ვერსზე გადასასვლელია მთა, რომელიც ჰყოფს აქ სპარსეთს ოსმალეთისაგან. გადავიარეთ ეს მთა და შერე სიგრძეზედ ჩავეყვით. მთაზედ ბევრი სოფლებია გაშენებული. ძირს მიმდინარეობს წიკვარი.“

რამდენსამე ადგილს მოსჩანს კოშკებისა, ციხეებისა და ეკლესიების ნანგრევები. ეს არის ნაშთები საქართველოს დიდებისა და ოსმალ-სპარსელების მძევნარებისა.“<sup>3</sup>

1770 წელს მეორე მოგზაურ გუილდენშტედს ბორჯომის ხეობაში 15 დღე-ღეული სოფელი უნახავს.

ამრიგად, დაბებით, სოფლებითა და აგარაკებით მოფენილი ბორჯომის ხეობა დაინგრა და თანდათან გაუქვალნი ტყეებით დაიფარა. დაეიწყებას მიეცა ამ მიდამოებში არსებული მინერალური წყლებიც, რომელნიც, ექვს გარეშეა, სამკურნალოდ დიდი ხნიდან გამოიყენებოდა.

<sup>1</sup> ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, იხ. სიტყვა წყარო.

<sup>2</sup> კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი.

<sup>3</sup> ე ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი ფრანგულიდან ვ. ბარნოვისა, სახელგამი, თბილისი, 1935.

ბორჯომის მინერალური წყლების „მეორედ აღმოჩენა“ 1825 წელს მოხდა. ამის შემდეგ დაიწყო მისი როგორც ქიმიური შემადგენლობის, ისე სამკურნალო თვისებების შესწავლა.

ბუნებრივად იყო ცნობილი აგრეთვე ამჟამად მთელს ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც სახელგანთქმული წყალტუბოს სამკურნალო წყალი.

თვით სახელწოდება წყალტუბო, რაც თბილ წყალს, ანუ წყალ-თბილას ნიშნავს, გვიჩვენებს, რომ ეს სახელი შერქმეულია იმ ყველასათვის აღვილად შესაგრძნობი თვისების—მაღალი ტემპერატურის გამო, რომელიც წყალტუბოს მინერალურ წყალს ახასიათებს.

როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, სახელწოდება „წყალტუბო“ IX—VIII საუკუნეებზე უფრო ადრე წარმოშობისა უნდა იყოს, როცა ამ ადგილებში მებრული ენის გავლენა ჯერ კიდევ საგრძნობი იყო.<sup>1</sup>

ხალხური გადმოცემის მიხედვით, წყალტუბოს სამკურნალო წყალი მწყემსს აღმოუჩენია: ერთხელ იგი თავისი სოფლიდან სხვა სოფელში წასულა. მას ფეხი ტკიოდა, გზაში დაღლილა და დასასვენებლად წყაროსთან ჩამოძვარა წაქცეულ ზეზე. ფეხები წყალში ჩაუყვია... წყლის სითბო ესაიშოვნა და ფეხები დიდხანს ჰქონია წყალში. როცა ფეხები ამოიღო, იგრძნო ტკივილის გაქრობა. ეს ამბავი სოფლისათვის უმცენია და გავარდნილა სახელი საოცარი წყაროს არსებობის შესახებ. იმ დროს სამეგრელოში ერთი დაკრძომილი დედოფალი ცხოვრობდა, რომლის ტანჯვას არაფერი არ შეელოდა. როგორც კი ამ საოცარი წყლის ამბავი შეიტყო, წავიდა, შიგ იბანა და განიკურნა. ამის შემდეგ მეფეს უბრძანებია გაეჩეხათ წყაროს ირგვლივ ტყე, აეგოთ სახლები, აბანოები... შეიქმნა სოფელი, რომელსაც ეწოდა წყალტუბო.<sup>2</sup>

ჯერჯერობით არ არის დადგენილი პირველად როდის აშენდა წყალტუბოში აბანოები, მაგრამ არსებობს წერილობითი ცნობა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ წყალტუბოში უკვე XII საუკუნეში აბანოსათვის განკუთვნილი შენობა. თუ შენობები ყოფილა. აღნიშნული ნაგებობანი იმ ხანად სამეფო ქონებას წარმოადგენდნენ, ხოლო შემდეგ, სახელდობრ XIII საუკუნის დასაწყისში აბანოს ერთ-ერთი ნაგებობა კერძო პირისათვის უწყალობებიათ.

„მაჟული ჩემი მკუილრი პატრონთაგან ბოძებული მალდაკს აბანოსისასახლი პირველცა სადეკანოზოდ შემქნა...“<sup>3</sup>

XIII—XVI საუკუნეებში არახელშემწყობი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო, წყალტუბოს სამკურნალო წყლით სარგებლობა თანდათან შეწყვეტილი და მას უმთავრესად ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი იყე-

1 ნ. ბერძენიშვილი, წყალტუბოს ისტორიისათვის, „საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ნომენი“, ტ. IV, № 7, 1943, გვ. 720.

2 ეს ხალხური გადმოცემა მოგვყავს პროფესორ დ. ქავთაძის წიგნიდან „კურორტოლოგია“, სახელმძღვანელო ექიმთა და სტუდენტთათვის, საქმედგამი, თბილისი, 1945, გვ. 163.

3 „1246—1250 წ. სიგელი მეფე დავით-ნარინის დროისა“, იხ. ქრონიკები, წიგნი II, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორღანის მიერ, თბილისი, 1897, გვ. 128. ამ ცნობის გაგების შესახებ დაწერილებით იხილეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის დასახელებული ნაშრომი.

ნებდნენ. XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან წყალტუბოს სამკურნალო წყლის სახალხო მნიშვნელობა კვლავ იზრდებოდა. იმ ხანის ერთ-ერთი ცნობით დასტურდება, რომ წყალტუბოში აბანო ყოფილა და იქ მოსახლეობა სამკურნალოდ დაიარებოდა.<sup>1</sup>

წყალტუბოს წყალს იხსენიებს ი. გუილდენშტედტი თავის წიგნში—„საქართველოს და კავკასიის გეოგრაფიულ-სტატისტიკური აღწერილობა“, თუმცა იგი არაფერს ამბობს მისი სამკურნალო თვისებების შესახებ.<sup>2</sup>

ცნობილი იყო და სამკურნალოდ იხმარებოდა ისეთი მნიშვნელოვანი მინერალური წყალი, როგორც არის აბასთუმნის მინერალური წყალი.

ვახუშტი საქართველოს გეოგრაფიაში სამცხის აღწერის დროს აღნიშნავს, რომ ახალციხის ზეგით, ოძრახესთან, ანუ ახლანდელ აბასთუმანთან, არის ბუნებრივი ცხელი წყლის წყარო, რომელიც დადებით სამკურნალო გავლენას ახდენს კანის ზოგიერთ დაავადებასა და სახსრების ანთებაზე. საყურადღებოა, რომ იქ აბანოც ყოფილა აგებული.

ვახუშტი წერს: ოძრახესთან „მთის კალთას წყაროდ გამომდინარე ფრიად დიდი და ცხელი, მდუღარის მგზავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს მას ზედა არს შენი აბანო, და ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთილსა ძლიერსა, მუწუქსა და ზუგრსა, ძნიად საკურნებელსა მკურნალთაგან.“<sup>3</sup>

ქარით დახუთვას, ანუ უბრალოდ ქარებს, ხალხურად სახსრების რევმატულ დაავადებას უწოდებდნენ. აღსანიშნავია, რომ აბასთუმნის მინერალური წყალი თანამედროვე მეცნიერულ გამოკვლევათა მიხედვით, წარმატებით გამოიყენება ქრონიკული რევმატიზმის, პოდაგრის, გინეკოლოგიურ და სხვა სახის დაავადებათა სამკურნალოდ.

ამავე მიზნით წარმატებით იყენებდნენ თბილისის გოგირდიან წყალს.

შეიძლება ითქვას, რომ თბილისის გოგირდიანი წყლების ისტორია თვით ქალაქის დაარსებიდან იწყება. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული წყლების სამკურნალო თვისება თავიდანვე იქნებოდა შემჩნეული და გამოყენებულა, მაგრამ ამის შესახებ წერილობითი ცნობები უფრო მოგვიანო ხანიდან არის დარჩენილი. მას ასახელებს X საუკუნის არაბი გეოგრაფი ალ-ისტახრი.

XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი თავის წიგნში—„მოგზაურობა საქართველოში“ აღნიშნავს, რომ თბილისის გოგირდიან წყალს მოსახლეობა იყენებდა არა მარტო ჰიგიენური მიზნით. არამედ სამკურნალოდაც.

„ამ აბანოების წყალი გოგირდიანი და ძლიერ ცხელია. კარგად მყოფებს გარდა, აქ ბანობენ აგრეთვე, სნეულებიც სამკურნალოდ...“<sup>4</sup>

გოგირდიან წყალს თბილისის აღწერისას ვახუშტიც იხსენიებს და მიუთითებს მათი ბუნებრივი მაღალი ტემპერატურის შესახებ.

არც შარდენი და არც ვახუშტი არაფერს ამბობენ რომელ დაავადებათა დროს იყენებდნენ თბილისის გოგირდიან წყალს, მაგრამ როგორც ახლა ცნო-

1 ნ. ბ ე რ დ ე ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 722.

2 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 125.

3 ჟ ა ნ-შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, დასახელებული გამოცემა, გვ. 95.

4 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 52.



ბილია იგი კარგ სამკურნალო ეფექტს იძლევა არატუბერკულოზური ქრონიკული პოლიართრიტების, რადიკულიტის, პლექსიტის, ნევრალგიის, ქრონიკული ეგზემის. ფსორიაზის, იხტიოზის, აგრეთვე მთელ რიგ გინეკოლოგიურ დაავადებათა დროს.

გოგირდიანი წყლის სამკურნალოდ გამოყენების შესახებ ზოგიერთი აქ ჩამოთვლილი ჩვენება ემთხვევა ძველად ქართულ მედიცინაში გავრცელებულ შეხედულებებს, რაც საყუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ თბილისის გოგირდიან წყალს ძველთაგანვე იყენებდნენ ნერვული სისტემის, სახსრების, კანის დაავადებათა დროს და სხვ.

„აწე ამ რიგსა თბილსა ილიჯაშვიგა ბანება ტანისა სენსა, სევდის სენსა, სიხვესა და ბალღაშა საშსავ გააქარვებს. მუნსა, ქეცსა, ცივებასა, სიმსივნესა და დაუტებასა ყუელას უშველის.“<sup>1</sup>

„და თუ ესე აბანო მიწისაგან თბილი გამოდის, მუნსა და ქეცისათვის განორჩეული წამალი არის.“<sup>2</sup>

„ილიჯას წყალი... კაცის ტანსა და გეამსა მწოვედ არგებს. მუნსა, ქეცსა და მუწუქსა და ქუნთრუმას ამასა ოთხსავე უშველის, და მწოვედ არგებს.“<sup>3</sup>

„ვინცა თბილსა გოგირდის წყალიშვა იბანოს ფილენჯსა, ფილენჯის ქარსა და თართოლასა საშსავ კარგად უზამს, მეტადრე მაშინ, რომე ამა ფილენჯს ძარღვებშიცა შეეტაცოს.“<sup>4</sup>

როგორც ვახუშტი აღნიშნავს, დმანისში ორი სახის მინერალური წყალი ყოფილა. ერთი მათგანი მუწუქებს კურნავდა, ხოლო მეორე დასალევად იხმარებოდა და, არსებული ცნობების მიხედვით, შირმის ქვას, ანუ თირკმლისა და შარდის ბუშტის კენკებს შლიდა.

„ხოლო დმანისს უდის ჩრდილოთ მაშავერი, სამხრით ფინეზაური, და ეწოდა სახელი ესე დაბნებთ გამო „დაბანი ისი“... ჰავით არს მშვენი, არამედ ზამთარს ცივი, ზაფხულს ცხელი, უვენახო, უხილო, შენობა მრავალი, არამედ შემუშავრილი. არს აქა წყარო, რომელ ჰკურნებს მუწუქთა აქავ არს წყარო, რომელი დამსხვრევს ქეცასა შირმილისასა და დააყრევირებს სმითა.“<sup>5</sup>

1940 წელს ყვარლის რაიონში, ყოფილ შაქრიანის მახლობლად, იქ, სადაც „მუნის წყაროს“ მიდამოებია, აღმოჩენილ იქნა აბანოს ნაშთი, რომელიც XV-XVI საუკუნეში უნდა ყოფილიყო აგებული. ეს აბანო მხოლოდ სამკურნალო დანიშნულებისაა. აღსანიშნავია, რომ მუნის წყაროს წყალს ახლაც ხმარობენ მცხოვრებლები განსაკუთრებით კანის დაავადებათა დროს. როგორც ჩანს, მას სახელი „მუნის წყარო“ იმის გამო უნდა შერქმეოდა, რომ კანის დაავადებებს, მათ შორის მუნს, კურნავს.

1 „ილიჯარ დაუდი“, გვ. 111.

2 იქვე, გვ. 515.

3 იქვე, გვ. 509.

4 იქვე, გვ. 538.

5 ე. ხ. უ. შ. ტ. ი., „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 39. ხზო

წყალი ოდნავ თბილია, მას გოგირდწყალბადის სუნი აქვს.<sup>1</sup>

ქართლში ბუნებრივად თბილი მინერალური წყალი ყოფილა ატენის მახლობლად, აგრეთვე სოფელ აბანოში, როგორც ერთი, ისე მეორე წყალი კანის დაავადებას კურნავდა, ხოლო აბანოს წყალი სახსრების დაავადების დროსაც იმპარებოდა.

„ამას ზეით ატენი, მცირე ქალაქია... ჩრდილოეთ კერძ სდის თბილი წყალი. მკურნალო ბუგრისა...“<sup>2</sup>

„აბანოსა დის თბილი წყალი; კურნებს ქარით დახუთვილსა და ბუგრსა — მეწუქსა.“<sup>3</sup>

უნდა ვფიქროთ, რომ სახელი აბანო ამ სოფელმა იქ არსებული სამკურნალო წყაროების გამო მიიღო. ამიტომ იგი ბევრად უფრო ადრე იქნებოდა ცნობილი. ყოველ შემთხვევაში ეს სოფელი XVII საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ-სპარსული ისტორიულ საბუთებში უკვე არის დასახელებული და, ცხადია, იგი მანამდე გაშენდებოდა.

1636 წლით დათარიღებულ სითარხნის წიგნში, რომელიც როსტომ მეფეს როინ ჭავჭავაძისათვის მიუცია, ნათქვამია: „ხოვლე და აბანო თქუენი ნასყიდი იყო...“<sup>4</sup>

რომ ეს სწორედ ის სოფელი აბანოა, რომელსაც ვახუშტი ასახელებს. ამას მოწმობს მისი ხოვლესთან ტერიტორიული სიახლოვე.

ვახუშტი ასახელებს აგრეთვე ფარავნის ტბის მიდამოებში მდებარე მინერალურ წყაროს, რომელიც ხელს უწყობდა საქმლის მონელებას. იგი იხმარებოდა დასალევად.

„აქა არს წყარო. რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მძლარ ფრიად ანუ დაცონვილ, მოადგნობს სმითა ვითარცა ქონსა ცეცხლი.“<sup>5</sup>

ასეთივე თვისებებისა ყოფილა მინერალური წყალი, რომელიც კლდეკარის დასავლეთით, ერჭვენის მთის თხემზე, ამოდიოდა.

„კლდე-კარის დასავლით არს მთა ერჭვენისა, მაღალი და თხემთა უტყეო, კვარების კერძოსავენ ტყიანი არს დიდნი და მცირენი ნადირნი მრავალნი. აქ, მთის თხემსა ზედა, არს წყარო-თუცა სვას დაცონილმან, ჰგონებს სამდღე უქმელობასა.“<sup>6</sup>

ერთი მინერალური წყარო დიდგორის მთაზეც ყოფილა, რომელიც როგორც დაღეული, ისე გარედან ნახმარი, თითქოს, ცილებით დაავადებულს კურნავდა.

1 ა ლ. მ ა მ ე ლ ა შ ე ი ლ ი, კახეთის ძველი აბანოები. დასახელებული გამოცემა, გვ. 184, 185.

2 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დასახელებული გამოცემა, გვ. 57.

3 იქვე, გვ. 79, 80.

4 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, თბილისი, 1955, გვ. 126.

5 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახელებული წიგნი, გვ. 43.

6 იქვე, გვ. 59.

„ხოლო მთა დიდგორისა არს მაღალი და თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი, ბალახ-ყვავილითა და წყაროებითა შემკული, ნადირნი მრავალნი. აქა არს წყარო ცივებით გაყვითლებულმან უკეთუ სვას და დაიბანოს პირი, წაძს განჰკურნებს.“<sup>1</sup>

სამკურნალო თვისებების მქონე წყაროებს ასახელებს ვახუშტი ზედაზნისა და ჯვრის მონასტრის მიდამოების აღწერისას, მაგრამ იგი არ მიუთითებს, თუ სახელდობრ რომელ დაავადებათა დროს შეიძლებოდა მათი გამოყენება.

„ამ ეკლესიის კამარிடამ სწვეთს წყალი, და უდგას ქვემოთ ავაზანი ქვისა, და შეიკრების მას შინა, არა გარდმოედინების და არცა აღმოვსებით მოაკლდების, უკეთუ აღმოიღო რითმე, და კურნებს სენთაცა.“<sup>2</sup>

„მუნვე კლდესა შინა, დის წყარო წმიდის ნინოსაგან, სასმისად კეთილი და ჰკურნებს სენთა.“<sup>3</sup>

ირკვევა, რომ სამკურნალოდ ტალახიც გამოიყენებოდა. ძველთაგანვე ყოფილა ცხოვრილი ახტალის სამკურნალო ტალახი, რომელსაც თავის „გეოგრაფიანი“ ვახუშტიც იხსენიებს.

„კვალად ქერემს—ვეჯინს შუა და ვეჯინის ჩრდილოთ, მთის კალთას, არს ახტალა, რომელსა იტყვიან ნაყოფლარსა და რისხვით დანთქმულსა, აღმოდის კუპრი, ვითარცა მდულარე...“<sup>4</sup>

ვახუშტი ლიახვის ხეობის აღწერისას ასახელებს სამკურნალო თვისების მქონე მიწას, რომელსაც ინპალაციური წესით იყენებდნენ.

„ჯავის ზეით ერთვის ლიახვა დასავლეთიდამ ხწვიც—ხევი, სდის დვალთ-გორასა. ხწვის პირისპირ, ლიახვს გაღმა კიდურს არს მიწა სასუნებელი, და უდის სუნი ფრიად ძნელი, არანედ ჰკურნებს ქარსა, სევდასა და ინთილას სუნებითა, გარნა მსუნებელი შებნდების სუნითა.“<sup>5</sup>

მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელიც ადასტურებს, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძველ ქართულ მედიცინაში ბალნეოლოგიურ მკურნალობას და როგორი დიდი გამოცდილება ჰქონდათ დაგროვილი ძველ ქართველ ექიმებს ბალნეოლოგიური საშუალებების გამოყენების დარგში.<sup>6</sup>

საქმე იმაშია, რომ ძველი ქართველი ექიმები, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მრავალი მინერალური წყაროა, კარგად იცნობდნენ ხელოვნური მინერალური წყლების დამზადებისა და გამოყენების წესებს.

„უსწორო კარაბდინიდან“ ირკვევა, რომ XI საუკუნეში საქართველოში ცნობილი ყოფილა ხელოვნური მინერალური წყლის აბაზანების მომზადება; მათ შორის აღსანიშნავია სუფრის მარილიანი და გოგირდიანი წყლის აბაზანები.

იმ შემთხვევაში, როცა არ იყო საშუალება ავადმყოფს ზღვის წყლის აბაზანა მიეღო, ჩვეულებრივ წყალში სუფრის მარილს ჩაყრიდნენ, მზეზე გაათბობ-

1 ვახუშტი დასახელებული წიგნი, გვ. 49.

2 იქვე, გვ. 94.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 99.

5 იქვე, გვ. 77.

6 ამ საკითხისადმი მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის შესანიშნავი ნაშრომი „ბალნეოლოგიური და ინპალაციური მკურნალობა საქართველოში“, რომელიც 1935 წელს გამოქვეყნდა.

დნენ ან გააცხელებდნენ და შემდეგ ასეთნაირად მომზადებული წყლის აბაზანას იყენებდნენ.

აღნიშნულ კარაბადინში ნათქვამია: „თუ ზღვის წყალი მლაშე არ იყოს, წმინდის წყალშიგა მარილი ჩაყაროს და მზეს გაუდგან და ან მოაღუღონ, მისივე ხასიათი აქუს. ამა სატკივარსა ისიც არგებს.“<sup>1</sup>

„თუ ზღვისა წყალი იყოს და შიგა იბანებოდეს, თუ ზღუისა წყალი არ იყოს. შაბითა და მარილითა გამლამდების და განელთბილეთ და აბანებდით.“<sup>2</sup>

ასეთივე ცნობები გვხვდება XV—XVI და შემდეგი საუკუნეების წყაროებში:

„წყალი თუ ან ზღუისა და ან მლაშე არ იყოს წმინდასა წყალშიგა მარილა ჩაყარონ, ანუ მზესა დაუდგან, ანუ მოაღუღონ, მისივე ხასიათი არის.“<sup>3</sup>

„ან ზღუის წყალშიგა, ან შაბის წყალშიგა, ან გოგორდის, ან ქანის წყალშიგა ყელამდისა ჩასვან. და თუ ესეები არც ერთი იყოს ამავე რიგად ყელამდისი წაროდ წყალშიგა ჩაზეან და ან ორი და ან ერთი ქამი შიგ უნდა იქდეს.“<sup>4</sup>

მიაჩნდათ, რომ მარილიანი წყალი. ისევე როგორც ზღუის წყალი დადები-თად მოქმედებს ნიკრისის, ანუ პოდაგრის, მუნის, ეკზემის, წითელი ქარის, რაქიტის და სხვა დაავადებათა დროს.

„წყალი ზღუისა და წყალი რომე მლაშე იყოს კაცს დაამქლობს. თუ კაცსა სხება მლიერისა და სიგრილისა სქირდეს და ნიკრისისა და კაცი რომე თრთოდეს და ზელი და ფეხი დაუმრუდდეს და სისხხა სქირდეს და რაც ფერი მღერი სქირდეს ამა ისი ყოველსა სატკივარსა ისი ზღუის წყალი ანუ მლაშე წყალი რაცა იყოს ჩაჯდებოდეს და იბანდეს ისი კაცი. ვისაც ყველა ესე სენი და სატკივარი სქირდეს მას არგებს.“<sup>5</sup>

ასეთივე შეხედულებები გვხვდება ზღუისა და მარილიანი წყლის სამკურნალო გავლენის შესახებ შექმდომი საუკუნეების სამედიცინო წერილობით წყაროებში, კერძოდ, ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ კვითხულობთ: „თუ კაცსა სნება მლიერისა სიგრილისაგან იყოს და ნიკრისი სქირდეს და კაცი, რომე თრთოდეს და ზელი და ფერხი დაუმრუდდეს. და სლიახაყა სქირდეს და რაცა ფერი მღერი სქირდეს. ამა ყოველსა სატკივარსა ისი ზღუისა წყალი ანუ მლაშე წყალი. რაცა იყოს ჩაჯდებოდეს და იბანდეს ისი კაცი, ვისცა ესე ყველა სატკივარი სქირდეს, მას არგებს.“<sup>6</sup>

დამბლის. ანუ ფილენჯის შემდეგ განვითარებული მოვლენების (კონტრაქტურა, ატროფია, კუნთების ატონია და სხვ.) სამკურნალოდ გამოიყენებოდა ზღუის ან სუფრის მარილიანი წყლის აბაზანა, ავრეთვე გოგირდიანი და შაბის წყლის აბაზანა.

„სშირად თავსა და პირსა მლაშის წყლით დაიბანდნენ, და რაც ალაგი ფილენჯის ქარისაგან შეტაცებული ჰქონდეს, ეს მარილ წყალი იყოს და თუ მლაშე წყალი იქ შეისვან. ან თავსა და ტანსა და დაქირულსა ასოსა და ძარღვება გოგირდის წყლითა, და ან შაბის წყლითა დაიბანდნენ.“<sup>7</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 459.

2 იქვე, გვ. 308.

3 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 441.

4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 389.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 459.

6 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 441.

7 „იადიგარ დაუდი“, გვ. 275.

ან კიდევ: „მლსე წყალი და გერჩინოს მარლ წყალი რომე გაათბო და ესე კაცი უელამდისი შიგ ჩასეა ფილენჯსა, მუფალაჯსა და თრთოლასა სამსაჲ კარგად უზამს, გოგირდის წყალი ანუ შაბის წყალი რომე ამაჲ რიგად გაათბოთ და უელამდისი შიგ ჩასეან ფილენჯსა, მუფალიჯსა და თრთოლასა სამსაჲ კარგად უზამს.“<sup>1</sup>

გოგირდიანი წყლის აბაზანა იხმარებოდა რადიკულიტიისა და იშიაზის დროს, აგრეთვე შარდის შეუკავებლობის მკურნალობის მიზნით. „გოგირდის წყალი მოადუღონ და წელთამდისი იმის წყალშიგა ჩაჯდეს, ან ამაჲ რიგად ზღვის წყალი გაათბონ და წელთამდისი შიგა ჩაჯდეს, და ან ამაჲ რიგად მართალ წყალშიგა ჩაჯდეს და უშველის.“<sup>2</sup>

ან კიდევ, „ამისი წამალი... გოგირდის წყალში ჩაჯდომა არის და გოგირდის წყალი ამას ქუიან: მოიტანე გოგირდი და წყალშიგა ჩაყარე და მოადუღე, და თბილსა ამა გოგირდისა წყალშიგა წელთამდისი ჩაჯდენ...“<sup>3</sup>

გარდა აღნიშნული სახის აბაზანებისა სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ ძველი ქართველი ექიმები იყენებდნენ მდოგვისა და ქატოს აბაზანებს.

„...ხეარბლის ქატო მოადუღე, შიგ ჩაჯდეს ეს მარგე არის...“ ვკითხულობთ „უსწორო კარაბადინში“.<sup>4</sup>

ცნობილი იყო მდოგვის, ქატოს და სხვა სახის კომპრესების გამოყენება მკურნალობის მიზნით. ამის შესახებ საყურადღებო ცნობები გვხვდება XI და შემდგომი საუკუნეების ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში. მაგალითად, „უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „მდოგვი დანაყო და დასდვა...“<sup>5</sup>

„თუ ძარღვები გასივდეს და სტიკიოდეს, აიღე ქერის ფქვილი ორი ბლუჯი და ერთი ბლუჯი წმინდა ფქვილი და თბილითა წყლითა გაურივე და თხელითა სამოსლითა ზედა შემოსდევ.“<sup>6</sup>

როდესაც ბუნებრივი ძალების სამკურნალოდ გამოყენებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შევჩერდეთ კლიმატური ფაქტორების გამოყენებაზე.

ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებზე ჰავის გავლენის მეცნიერული შესწავლა. საერთოდ, მე-18 საუკუნიდან დაიწყო, რის შედეგად ჩამოყალიბებული იქნა კლიმატოთერაპიის მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპები, მაგრამ სამკურნალო მიზნით კლიმატურ ფაქტორებს საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ძველთაგანვე იყენებდნენ. ამ შემთხვევაში მოსახლეობა და ექიმები ემყარებოდნენ იმ ცოდნას, რომელიც ემპირიულ დაკვირვებათა განზოგადების შედეგად იყო მოპოვებული.

კომუნალურა ჰიგიენის საკითხების განხილვის დროს უკვე აღნიშნულა იყო, რომ ძველად საქართველოში ცნობილი იყო: ბარის, ანუ დაბლობის, მთის, ზღვისა და უდაბნოს ჰავა.

ჰავას ანასიათებდნენ ტემპერატურის, სინესტის, ჰაერის მოძრაობის, სისუფთავისა და ნალექების მიხედვით.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 538.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 476.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 450.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 385.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 442.

<sup>6</sup> იქვე.

ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ადგილის რელიეფს, სიმაღლეს, მცენარეულობის სიუხვეს, ნიადაგის თვისებებს და სხვ.

მეტ-ნაკლები სისრულით ასეთი აღწერილობები გვხვდება მრავალ ძველ ქართულ სამედიცინო და არასამედიცინო წყაროში დაწყებული V საუკუნიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე. მათ შორის. ასეთ ცნობებს შეიცავს იაკობ ცურტაველის „შუშანიის წმება“, გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, გიორგი ხუცესმოწაზონის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, ეახნელის „უხსწორო კარაბადინი“, ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოი“, ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“, დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდი“. ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და სხვა მრავალი.

ისეთ ადგილს. რომელიც თავისი ჰავით სასარგებლოდ ითვლებოდა როგორც ჩანმრთელის დასასვენებლად, ისე ავადმყოფისათვის, ძველად აგარა, ანუ აგარაკი ეწოდებოდა<sup>1</sup>.

საბას განსაზღვრით, აგარა საზაფხულო სადგურს, ანუ სამყოფს ერქვა, რადგან აგარას უმთავრესად ზაფხულის პერიოდში მიაშურებდნენ ხოლმე დასასვენებლად, მაგრამ როგორც ქვემოთ ვნახავთ, თუ საქირო იყო, იქ ავადმყოფებიც მიჰყავდათ, რადგან იცოდნენ, რომ „ავადმყოფსა თემისა და ალაგის გამოცულა მწოყად კარგად მოუხდების.“<sup>2</sup>

სიტყვა აგარაკი, რომელიც ახლა საკურორტო ადგილის მნიშვნელობით იხმარება, სავენახე ან საყანე ადგილსა და დაბას ეწოდებოდა. მაგრამ ირკვევა. რომ უკვე ვახუშტის გეოგრაფიაში სიტყვა აგარაკი ისეთი მნიშვნელობით არის გამოყენებული, როგორც მას დღეს აქვს.

აი, მაგალითად, რას წერს ვახუშტი ზემო ქართლის, ანუ სამცხე-საათაბაგოს შესახებ:

„ხოლო არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, ხევიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბ-შროშნიანი, მდინარეანი-წყაროანი ტბიანი და მცირედ ველოვანი, ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქუს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თუნიერ აგარაკთა, ჰავით მშვენი და კეთილი, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგრეთი.“<sup>3</sup>

მაშასადამე, სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. საერთოდ, ზაფხული ტემპერატურის მხრივ შეზავებული, ანუ ზომიერი ყოფილა მთებისა და აგარაკების სიახლოვის გამო, მაგრამ არასააგარაკო ადგილებში აუტანელი სიცხე სცოდნია.

სიტყვა აგარაკს ვახუშტი რომ იმ მნიშვნელობით არ ხმარობდა. რომლითაც იგი ახლა იხმარება, მაშინ არ იტყოდა მთებისა და აგარაკების სიახლოვეზე დამოკიდებული ჰავის შეზავებულობაო, ანდა არასააგარაკო ადგილებში სიცხე იცისო.

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა. დასახელებული გამოცემა, იხ. სიტყვა აგარა.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 123.

<sup>3</sup> ვახუშტი, დასახელებული წიგნი, გვ. 122. ხაზი ჩენია.

აგარაკის ქვეშ რომ ვახუშტი სახნავ-სათეს მიწას გულისხმობდეს, განა ასეთ ადგილებში ზაფხულში არ ცხელა? ანდა მის სიახლოვეს შეუძლია გავლენა იქონოს პაერის ტემპერატურაზე? რასაკვირველია, არა!

ვახუშტია „გეოგრაფიიდან“ ჩანს, რომ სიტყვა აგარას მნიშვნელობა აგარაკმა მიიღო. მისი ძველი გაგება შეიცვალა.

სააგარაკო ადგილებად ითვლებოდა კოჯორი, ტაბახმელა, წაყვისი, ნაქარმაგევი. ქვიშხეთი, სურამი, ბორჯომის ხეობის დაბა-სოფლები და სხვ.

როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა გამოარკვია, XII—XIII საუკუნეებში თბილისის გარშემო მრავალი აგარა. ანუ სააგარაკო ადგილი იყო, სადაც ქალაქის მაღალი საზოგადოება ატარებდა ზაფხულს.<sup>1</sup>

საინტერესოა, რომ როცა თამარ მეფე ავად გამხდარა, სასწრაფოდ კოჯორსა და მის მახლობლად მდებარე ტყე-მალნარს წაუყვანიათ:

„ნაქარმაგევს გარდმოდგა მეფე თამარ, და მის წინაშე იყუნეს ყოველნი დიებულნი და წარჩინებულნი, და იურენა და განაგნა საქმენი სამეფოსა თუისისანი. და უფროსადა ეკლესიათა და მონასტერთანი, და მუნ დგომასა შინა განოჩნდა აენი. გაპოხრებელი ჩვენი, რომელი დღითი-დღე დამძიმდებოდა მისზედა. და დ-დ-ხანს ფარვიდა, რათა არა-ვინ შეაწუხოს. გარნა ურგებელ იქმნა-რა ჳირი. არა მიმოვალველი კურნებისა, მაშინლა განაცხადა, რამეთუ დედობივ-მან უაღურება-მან განგრძობილთა შინა მხედრობათა არა თავს იღვა შეუძთხვევლად მიშვება აგებულებისა. და აქა საბარალობელ მიჩნს დიდად ერთ-გულწი-იგი კაცნი. თუ ვითარ უგულვებელს-ყვეს ეგ-ოდენი ტკივნეულობა. რამე თუ წარმოიკეანება კუბოთა ტვილისს, და შენდგომად მცირეთა დღეთა ენებათ და ისწრაფდეს, ჩვეულებისა-ებრ, რათა დასოს განვიდენ და მუნ წარიყვანეს კუბოთავე და დიდთა გაძნელდა სენი-იგა უწყალო. და კვალად წარმოიყვანეს აგარათა ციხესა.“<sup>2</sup>

ვახუშტიც აღნიშნავს, რომ კოჯრის ციხის სამხრეთით მეფის საზაფხულო სასასლე ყოფილა.

„ამ ციხის სამხრით არს სასახლე მეფისა კოჯორი, აღაშენა პო მეფე-მან როსტომ, უმეტეს, ეს მეფემან გიორგიმ და ეს მეფემან ვახტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი.“<sup>3</sup>

ამასვე ადასტურებს იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი.

„ზაფხულობით აქ ძალიან ცხელა. ამიტომაც, რომ თბილისი ამით ენახე ცხელ ქალაქს“ ნიშნავს. სიციხის გამო მეფე, ეპისკოპოსების და სხვ. წარჩინებული ბატონების ამალით, ქალაქს სტოვებს და გრილი წყაროებით უხვ მთაში ადის. ეს ადგილი ქალაქიდან დაახლოებით ოთხი მილითაა დაშორებული. მას კოჯორი ეწოდება.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმებიდან (აგარანი). „მიმოხილველი“, 11. თბილისი, 1951, გვ. 55, 56.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“. ტ. I, ზ. კვიციანიძის გამოცემა, ტფილისი, 1897, გვ. 486.

<sup>3</sup> ვახუშტი, დასახელებული წიგნი, გვ. 47, 48.

<sup>4</sup> იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი, 29, თბილისი, 1951, გვ. 158.

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო კ ვ ე ბ ა

კვების ჰიგიენის საკითხების შესახებ ძველ ქართულ მედიცინაში არსებული შეხედულებების განხილვის დროს აღვნიშნეთ, რომ ალაჰიანის კვების წესების ლაცვას უპარესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში. უფრო მეტად, ერთფეროვანი საკვების მიღება ზოგიერთი დაავადების გამომწვევად მიზეზად ითვლებოდა ამავე დროს ძველი ქართველი ექიმები არანაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ავადმყოფის კვებას. სამკურნალო საშუალებების გამოყენებასთან ერთად საჭიროდ მაიჩნდათ ავადმყოფის კვების რეჟიმის მოწესრიგება, საკვების შემაღენლობის შერჩევა. ანუ დიეტის დაცვა.

XI საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო წყაროში პირდაპირ არის მითითებული:

„ბევრი ავად გასულან მსუბუქად და თავი არ შეუნახავთ საქმელისაგან, დიდი სენი დამართებია მით, რომე არა რის უფარეზებია. და ბევრსა კაცსა ცოტა სენი სჭირვებია და დიდს ჭამისაგან დიდი სენი დამართებია.“<sup>1</sup>

ექიმის მიერ დანიშნული კვების რეჟიმი მკაცრად უნდა ყოფილიყო დაუღლი. იცოდნენ, რომ მარტო წამალი შედეგს ვერ გამოიღებდა, თუ ავადმყოფის განკურნებას სხვა პირობებიც არ შეუწყობდა ხელს. სრულიად სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ დიეტის დარღვევა შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო ავადმყოფისათვის.

„უკეთეს ვინც ფარეზში ასე მოქცევა რომ იქილამ ვნება გამოეა უნდა გაფრთხილდეს რომ კიდევ აღარა ქნას ახლად. ძვირად არის ის კაცი რომ სწორესა მიზეზით ჰსჩიოდეს თავის აგებულებაზედ, რომ არაფრის შერგება არ შეუძლია. საქმე ამაში არის, რომ კაცი ეცადოს თავისის ხორცის აგებულების შეტყობას ზემო თქმულის კანონთამებრ და მერმე ისე შეუდგეს იმ კანონებს. თვით სუსტნი კაცნი, რომელთაც გაზაფხულსა და შემოდგომაზედ სიკუდილის შიში აქვსთ. უფრო იცოცხლებენ ზოლმე თავისის ზომიეროს და ფრთხილის ცხოვრებით. ვინემ ისინი, რომელნიც გონებდენ ღრმის სიბერემდინ მიწვევას. დია მრავალს ითხოვენ იგინი შეწვენას მკურნალისაგან (ექიმსაგან) რომელნიც არ იქცევიან ფარეზში თავის აგებულების შესაფერად. ფარეზში დანაშაული არ გაიმართება წამლებით. ამიტომ რომ პირველი წამალი ფარეზი არის და პირველი ვნება იმისი არევა. ვინც გუშინ კუჭი გაიტენა საჭმლით, დღეს ნუ ითხოვს წამალს, თუ აქვს რომ სადილზედაც იმდონსავე ჩაიყაროს. ვინც ნიადაგ მდიდარის სუფრაზედა ზის და სძინავს ნუ ითხოვს შეწვენას თავისის ურიგო სხეულის როგინად მოყვანისათვის, თუ არ უნდა რომ თვით უმჯობესი წამალი მოიხმარონ სამკურნალოდ: ზომიერება სუფრაზედ და ძალისამებრ შესაფერი გარჯა. სნეული უფ-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 41.



რო თანანდები არის, და ფრთხილის ზომიერებით მოიქცეს საკმელსა და სასამელში. ხშირად უიშვოდ შეიქმნებიან ხოლმე მკურნალნი მორჩენისათვის სნეულითა როდესაც უდროდ მისცემენ ხოლმე სნეულს ერთ ლუკანს ხორცს პურსა ანუ სულით შეაწუხებენ. იქნება კაცის მორჩენა თუ თიონაც არ ცდილობს? ამისთვის ექიმი ნიადაგ არ შეიწყალებს სათხოვარს.“<sup>1</sup>

იბადება კითხვა: ძველად, როცა სასულიერო წოდება და მასთან მოსახლეობის დიდი ნაწილი ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად წელიწადის ამასიუ იმ პერიოდში კვების გარკვეულ წესებსა და კანონებს იცავდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ავადმყოფი? თავისუფალი იყო თუ არა იგი ამ წესების დაცვისაგან?

არსებობს წერილობითი ცნობები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ არც სასულიერო პირსა და მით უფრო საერო პირს ავადმყოფობის შემთხვევაში აღვალბოდა დაეცვა მარხვა და სხვა წესები. მაშასადამე, ავადმყოფს უფლება ჰქონდა არ გაეწია ანგარიში აღნიშნული წესებისათვის და მოქცეულიყო ისე, როგორც უმჯობესი იქნებოდა მისი ჯანმრთელობისათვის.<sup>2</sup>

ეს ფაქტი კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ მაღალი იყო სამედიცინო კულტურა, როგორ ფესვგადგმული და გავრცელებული იყო სამედიცინო შეხედულებანი, როგორ დიდ ანგარიშს უწევდნენ მათ კანონების შემუშავების დროს და როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დიეტას ავადმყოფის მკურნალობის პროცესში.

დიეტის დაცვას ძველად საკმლის ფარეზი ეწოდებოდა, რაც საკმლის გადაკარბებით მიღებისაგან თავშეკავებას, შეზღუდვას ნიშნავს.

საკვები, რომელიც ავადმყოფს არ მიეცემოდა, საფარეზო საკვებად ითვლებოდა.

ექიმს დიეტა ისევე უნდა დაენიშნა როგორც წამალი. ეს მის მოვალეობაში უდრიდა. ავადმყოფის მომვლელისათვის მას უნდა მიეცა რჩევა-დარიგება, რომელი საკვები შეიძლებოდა მიეღო ავადმყოფს და რომელი არა.

„უსწორო კარაბადინში“ მითითებულია, რომ ექიმი როცა ავადმყოფს გასინჯავს და ამოიცნობს დაავადებას, მან ავადმყოფს წამალთან ერთად საკვებიც უნდა შეურჩიოს.

„რომე მისისა სნეულისა აშბავი შეიტყო თუ წამალი მიეცემის, თუ არა, რა უნდა და რა არ უნდა საკმელი, სასმელი, ყუელა კარგად გასინჯე.“<sup>3</sup>

დიაგნოზი თუ არ იქნებოდა დადგენილი, ასეთ შემთხვევაში არჩევდნენ ავადმყოფისათვის ადვილად მოსანელებელი საკვები, მსუბუქი დიეტა დაენიშნათ, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული რაიმე მოულოდნელი გართულება.

სნეულისა უკეთესობა, ისი არის რომე საკმელი კარგა შეაწყო და რაცა აუბუქი და კარგი იყო ისი გამოარჩიონ, ისი აქამონ.“

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩერდინის სახელობის სასელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იონანე ბატონიშვილის ფონდი. № 136, ფ. 13v—14r.

<sup>2</sup> „აღანი ჭვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა“. ქართული დედანი 16 პალეოგრაფიული სურათით გამოსცა ნ. მარშა, 1914, გვ. XI. იხ. აგრეთვე კ. კ. ე. ლ. ძ. ის გამოცემა: „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение“, Тб. 1918, გვ. 309.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 6.

„სნეული თუ სკაჰამდსა სქელსა და მძიმესა ჰკამდეს ვერა მოიქარევეს და სნეულობა გრძელი იქნების, სუბუქი საკმელი უნდა ჰკამოს.“<sup>1</sup>

„ასე მართებს ვინც სნეულათ იყოს ასრე შეუწყოთ რომე საკმელსა დიდს ნუ აკმევთ თუ არა დამძიმდების ავად, მოკუდების. და დაამშევთ თვარა დასუსტდების. და ასე შეინახეთ სნეულს შეჰკამადსა მონდომება შეეძლოს ანდაზით ჰკამეთ და ასვით და დახედენით კაცისა ძალსა და სენსა და თუესა და ჟამსა, ცასა და ეტლსა, წელიწადსა სიბრძნითა და ჰკუითა შეიტყვე და გამინჯე თუ იმა თვისა რომელი გუნება სჯობს...“<sup>2</sup>

ასეთ საკვებს, როგორც საბა განმარტავს, საღებობელი ეწოდებოდა: „საღებობელი ესე არს სნეულთათვის შემრგე და უწყინარი საკმელი.“<sup>3</sup>

მაგრამ დაავადებას თუ ამოიცნობდნენ და უცილოდ მიიჩნევდნენ, მაშინ ავადმყოფს ენიშნებოდა სრულიად განსაზღვრული კვებითი რეჟიმი, რომელიც იმ დროისათვის ამოცნობილი დაავადების შესაფერისად ითვლებოდა.

ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი იყო სამკურნალო კვება-ს ისეთი რეჟიმები, რომლებსაც თანამედროვე დაყოფის მიხედვით ეწოდება სრული შიმშილი, ნაწილობრივი შიმშილი, დაზოგვითი და გაძლიერებული კვება.

საერთოდ ავადმყოფის ზომიერ კვებას დიდი ყურადღება ექცეოდა. „უსწორო კარაბადინში“ ავადმყოფის კვების ერთ-ერთ ზოგად პრინციპად საკვების რაოდენობის განსაზღვრა არის აღიარებული.

„ზომით უნდა მიცემა საკმელსა სნეულსა.“<sup>4</sup>

მაგრამ თუ ავადმყოფის მდგომარეობა მოითხოვდა, მას სრულიად ან ნაწილობრივ აშიმშილებდნენ.

სრული შიმშილობის პირობებში აყენებდნენ ავადმყოფს კუკ-ნაწლავის ტრაქტიდან სისხლის დენის დროს. მას ეძლეოდა მხოლოდ ქერის წყალი და მასში შეოეული სისხლის დენის შემაჩერებელი ნივთიერებანი.

„თუ მანკი დიადი იყოს საკამადასა ნუ ჰკამს, ნუ თუ ქრთილისა წყალი რომელ ალარდნითა შემგბარ იყოს ერგებს, მეტად რომელ შოგან სომხუჩი მიწაი და არაბული გომიზი რთულ იყოს.“<sup>5</sup>

ცნობილია, რომ ავადმყოფურად გასუქება-ს წმთხვევაში არა იშვიათად სამკურნალო მიზნით მიმართავენ მწერ დიეტას, რომლის დროს ზოგი საკვების ნაცემა დასაშვებია. ასეთი ტიპის თავისებური რეჟიმი აველადაც უკლილა ცნობილი. „უსწორო კარაბადინში ვკითხულობთ: „მისი წამალი, რომე მსუქანი კაცი დამკლდეს, ესე არის რომე ძრმიან საკმელს ჰკამდეს და მლაშესა. მწარესა, ესე ლაანკლოებს, და ნიადაგ ქერის პურსა სკამდეს, იწყუროს და იმშოოს.“<sup>6</sup>

„ნურას ჰკამს. იფარეზოს.“ „თუ შიმშილსა გასძლებს უჯობს.“<sup>7</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 146.

2 იქვე, გვ. 41.

3 იქვე, გვ. 145.

4 „წიგნი საქიმიო“. გვ. 202.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 409.

6 იქვე, გვ. 276.

7 იქვე, გვ. 292.

ზოგ შემთხვევაში ექიმი ავადმყოფს ურჩევდა ნაკლები საკვები მიეღო, ანუ. როგორც ახლა ვიტყვით, დაეცვა არასრული შიმშილის რეჟიმი, ამის მაგალითები მრავალია ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში, სადაც ვკითხულობთ: „საკმელი ცოტა ჭამოს“,<sup>1</sup> „საკამაღსა დია ნუ ჭამს.“<sup>2</sup> „საკამაღსა ცოტასა ჭამდეს.“<sup>3</sup>

გაძლიერებული კვების რეჟიმი ავადმყოფს ენიშნებოდა მძიმე დაავადების ვადატანის შემდეგ, რომ ძალ-ღონე მოეკრიფა.

„თუ სნეულისა ძალი სუსტად იყოს, მართებს აქიმს, რომე ასეთი წამალი და შარბათები შეუწყოს და საკმელი, რომე ძალზედა მოიყუანოს...“<sup>4</sup>

„თუ სნეულისა ძალი სუსტად იყოს, ასეთი საკმელი შეუწყევით და წამალი რომე ძალი მისცეს.“<sup>5</sup>

გაძლიერებული კვების რეჟიმი ენიშნებოდა ჯანმრთელსაც, თუ იგი მეტის-მეტად გამხდარი იყოს.

„თუ მკლე იყოს და გასაჰუქებლად გინდოდეს, ... საკმელი გიმრავეთით.. იყოს და ბრინჯი რძითა შექნილი. და შემწვარი ბატკანი და მსუქანი ქათამი, შე-მწვარი ბატი, მსუქანი კაკაბი, ნუშის გული, წიფლის გული და თხილი და ინდოური ნიგოზი შაქრითა და პური ჩაიყაროს. და რაც ხმელი ხორცი არის ყველა იფარეზოს.“<sup>6</sup>

ან კიდევ: „საკმელი მომსუქნო შეუწყეთ.“<sup>7</sup>

ცნობილი იყო აგრეთვე დიეტის ისეთი სახეები, როგორც არის მაგალითად, უწყლო, უმარილო, უხორციო დიეტა და სხვ.

„თუ წყალი სწყუროდეს, მოიკირვოს ნუ სუამს, თუ სუას ცოტა სუას...“<sup>8</sup>

„მარილის საკმლისაგან ერიდებოდეს.“<sup>9</sup> „მლაშეთა ერიდოს.“<sup>10</sup>

ვიდრე განვიხილავდეთ ამა თუ იმ დაავადების დროს რა სახის დიეტა იყო მიღებული, გვეცნოთ ავადმყოფის კვების ზოგად პრინციპებს, რომლებიც უმთავრესად დაავადების შესახებ არსებულ შეხედულებებს ემყარებოდნენ. ზოგჯერ ეს პრინციპები მხოლოდ წმინდა თეორიული მნიშვნელობისა იყო, ზოგჯერ კი პრაქტიკულ გამოცდილებას ემყარებოდა და მათ დაცვას შეეძლო ავადმყოფის მკურნალობის პროცესში გარკვეული დადებითი როლი შეესრულებინა.

იმ შემთხვევებში, როდესაც გამოდიოდნენ შეხედულებიდან, რომ დაავადების არსს ორგანიზმის ოთხ სითხეს (სისხლი, ლორწო, ყვითელი და შავი ნალექი) შორის წონასწორობის დარღვევა წარმოადგენს, თითოეული მათგანის მომატების ან დაკლებისას ავადმყოფს ენიშნებოდა დიეტა, რომელსაც თითქოს ტელი უნდა შეეწყო წონასწორობის აღდგენისათვის.

1 -უსწორო კარაბადინი“, გვ. 297.

2 „წიგნი საქიმიო“, გვ. 179.

3 იქვე, გვ. 207.

4 -უსწორო კარაბადინი“, გვ. 144.

5 იქვე, გვ. 145.

6 იქვე, გვ. 408.

7 იქვე, გვ. 116.

8 იქვე, გვ. 275.

9 იქვე, გვ. 151.

10 იქვე.

სისხლის მომატებისა და მისი თვისებების შეცვლას შემთხვევაში ავად-  
ნყოფს ეკრძალებოდა ალკოჰოლური სასმელი, ხორცეული და ტკბილი საკვები.  
„კურნებაი სისხლის მორევისა და დამაუბისაი ეგრე ხამს რომელ სნეულმან-  
ღვინისა და ხორცისა და ტკბილსაგან ფაპრეზა იქმოდეს.“<sup>1</sup>

იქვე ნათქვამია, რომ ასეთი ავადმყოფი „საქამადსა ურწყოსა კამდეს.“<sup>2</sup>

საბას განმარტებით, ურწყო უწყლოს ნიშნავს. მაშასადამე, სისხლმეტობის  
დროს ავადმყოფს ურჩევდნენ სითხის ნაკლებად შემცველი საკვები მიეღო.

სისხლის მომატების შემთხვევაში დიეტის დაცვას XVI საუკუნეშიც მიმარ-  
თავდნენ. ავადმყოფს უმთავრესად ენიშნებოდა მცენარეული საკვები, ღირ-  
ლოცვით ხილი და სხვ.

„აწე თუ კაცსა სისხლი სკარბობდეს, და ესე კაცი სისხლს ფრთე კაცი  
იყოს, ასრე უნდა ამრიგსა კაცსა გრილი, ცივი და მკავე სასმელი და საკმელი  
ასოთა და აკამოთ, და მუდმათ სისხლის დამწმენდელი და სისხლის გამქარვე-  
ბელი სასმელ საკმელები ასვათ და აკამოთ, ლიმო. ისრიმი, თუთუბო კოწახური.  
მოცხარი, უშხუნი, მკაუნა, ხართუთა, მკაყალი, ნარდანგი და ან ძმარა აკამონ.  
ოსპი, მაში და ან ბოგრუჯა ამავე მკავეებშიგან მოხარშონ და ისრე კამონ. ან  
ქინძი, ან სალათა და ან ისპანახი გამოუხარშონ და კამონ. და თუ ასე მკავეები არ  
იყოს, თავად ხველი და თვარემ ახალი ღო ამავე რიგად შექნან და აკამონ და ამავე  
რიგი მხე შარბათები უნდა სვან.“

და ხოლმისაგან: ვაშლი, ხალი, ბია, ქლიავი, კერემი, კიტრი, შუმხიარი  
საზამთრო, ხართუთა და მკაყალი კამონ.

ასრე უნდა სისხლის ფთემ კაცმან. ამ რიგის გრილთა და მკავეს სასმელ  
საკმელებითა ხელი შეუწყონ და ამავე რიგი გრილი და მკავე შარბათები სვან.  
რომე კაცსა სისხლი მოაკლდეს და ესე სისხლის სისქისაგან დაწმინდოს და გა-  
აყეთოს.“<sup>3</sup>

თუ მიიჩნევდნენ, რომ ყვითელი ნალველი, ანუ ზაფრა იყო მომატებული,  
ავადმყოფს ეკრძალებოდა ხორცეული და ტკბილი საკვები, ალკოჰოლური სას-  
მელები. ურჩევდნენ მიეღო ხილი და ხილის წვენი.

„კურნებაი ზაფრისა მორევისა და შეშლისაი. ეგრე ხამს რომელ მხე-  
რვალთა საქამადთა ერიდებოდეს, და ხორცსა და ღვინოსა და ტბილსა ნუ  
კამს, და ტყემლისა წყალსა და ტბილსა სიქანგუბინითა. იისა შარაბსა და  
უნაბისა შარაბსა თამრისა წყალსა და ტბილსა და მკავისა ბროწეულისა წყალ-  
სა სუმიდეს და კატკატის თესლისა წყალსა კოწახურითა შარაბითა სუმი-  
დეს...“<sup>4</sup>

XVI საუკუნეში ზაფრის მომატების დროს ხორცეულის სრული აკრძალვა  
არ ხდებოდა. ავადმყოფს შეიძლებოდა მიეღო ფრინველის, ანდა თიქნის ხორ-  
ცი. ამ პერიოდში ისევე, როგორც მანამდე, ურჩევდნენ ხილისა და მისი  
წვენის კარბად მიღებას.

1 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 51.

2 იქვე.

3 „იადიგარ დაუდი“, გვ. 107.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 51.

„თუ კაცსა საფრა სკარობდეს და ან საფრის სტომაქისა იყოს ამ რიგის საკმელებითა ხელი უნდა შეუწყონ. ბატენისა, შავი თიჯნის ხორცი, ხოხობი, კაკაბი, ვარია. ღურაჯი და ამათივ ლაპები ტყემლის მჟავითა შეკამადად შექნან, კინძი და ან ისპანახი გამოუხარშონ და ისრე აკამონ.“

კაცი რომე საფრის სტომაქისა იყოს, ასრე უნდა, გრილის და ნედლის სასმელ საკმელებითა ხელი შეუწყონ. ისპანახით შექნილი შილაფლავი; აყიროს ჯალია, ბოპრანი იმავე მჟავებით შექნან, რომე აქვე სისხლხედა დამიწერია და ისრე კამონ. და ხილებისაგან კიტრი, მჟავე ბროწეული და გრილი და მჟავე ხილები კამონ. ამავრიგი გრილი და მჟავე შარაბათები, ჯულაბები სევან და ისეთ წამლები უყონ, რომე საფრა დააღბოს, გახსნას და დაალურვეინოს.“<sup>1</sup>

როგორც „წიგნი სააქიმოიდან“ ირკვევა, შავი ნალველი, ანუ სევდა თუ მოიმატებდა, ავადმყოფს ეკრძალებოდა შაშხი, ნადირის ხორცი და ოსპის შეკამანდი. სასურველად ითვლებოდა ხორცეულიდან ბატენის ხორცი, ხილეულიდან ვაშლი და ბროწეული.

XVI საუკუნის სამედიცინო დამწერლობით წყაროებში მითითებულია, რომ სევდის მომატების შემთხვევაში ავადმყოფს გარდა ზემოაღნიშნულისა არ უნდა მიეღო რძის ნაწარმი, თევზეული, ბრინჯი და სხვ.

„თუ კაცს სევდა სკარობდეს და ან სევდის სტომაქისა იყოს ასეთი საკმელები და ჰაბები უნდა აკამოთ რომე ტენი, დამალი დაულბოს და გაუნედლოს. მსუქნის შაშხის შიშაქის ხორცი და მსუქნის ქათმის ხარშო, ხოხობი, კაკაბი. ღურაჯი და ერიშთასა და ცომის შეკამადები აკამონ და ზენაარ და ესე სევდიანი კაცი მაწონსა, თევზსა, ხმელსა ხორცს და კურდღელის და შულის ხორცს ნუ სკამენ. თუ არა და მაშინვე ავად გახდების. და ზენაარ მაწონი რძე და მჟავე საკმელი ერთად არა კამონ, თვარამდა შამხალა შეექნების და აკრელდების. და სევდის უფალმან კაცმან საკმლის კამაზედა ყურბენსა, ბროწეულს და პრასა ნუ შესკამენ, თუარადა მწოედ აწყენს.“

ბოლომ ამ რიგსა სევდიანსა სენსა და კაცსა გრილი და ხმელი სასმელი და საკმელი ყუელა აწყენს და მხურვალი ნედლი და მოპრადილი ყუელა არგებს და ამ სტომაქისა კაცსა და ამა სენისა უფალსა ბრინჯი, ხმელი ყუელი, ხმელი ხორცი, ყოვლი თევზი, მაწონი, რძე, ძროხის და თხის ხორცი, ოსპი და ყოვლი გრილი და ხმელი სასმელი და საკმელი ყუელა აწყენს და სევდას მოუმატებს და დააძლიანებს.“<sup>2</sup>

XIII საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ თუ ლორწო, ანუ ბალდამი მოიმატებდა, ავადმყოფს თავი უნდა შეეკავებინა რძის ნაწარმის, ნედლი თევზის, სითხის დიდ რაოდენობით მიღებისაგან.<sup>3</sup>

XVI საუკუნის მონაცემებით, დიეტა რომელსაც უნიშნავენ ავადმყოფს ანალოგიურ შემთხვევაში, უფრო ფართო ხასიათისა იყო და კონკრეტული. ასე მაგალითად, ავადმყოფს შეიძლებოდა მიეღო სანელებლით შემზადებული მუხუდოს, ბრინჯის შეკამანი, ბროწეულის და სხვა ხილეულის შარბათი. ხორცეულის მიღება არ შეიძლებოდა, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში ფრინველისა და მამალი ცხვრის ხორცს აძლევდნენ. ავადმყოფს ეკრძალებოდა აგრეთვე ცივი წყლის დალევა.

<sup>1</sup> „იდიგარ დაული“, გვ. 107, 108.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 109.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 52.

„თუ კაცი ბალღმის სტომაქისა იყოს და ან ბალღამი სკარობდეს. ამრიგა საქმელები უნდა სკამოს და სვას, რომე ბალღამი მოკუეთოს და გააქარვოს. და მხურვალისა და ხმელის სასმელ საქმელებითა უნდა ხელი შეიწყოს. მუხუდოს შექამადი ჭამონ რომე მისაყთა, პილპილითა, სანელებლითა, და დარიჩინითა და მხურვალს ბალღახებითა შექმნილი იყოს. და სტაფილოსა, თაღმისა და ბრინჯის შექამადები ჭამონ, რომე ეს შექამადებიცა კიდევ ამავე მხურვალის იარაღებითა იყოს შექნილი. და მხურვალი მწვანელი, მხურვალი ხილები ყუელა ექმევის. და შარბათებისაგან უღის შარბათი, ბროწყელის შარბათი, აბზინდის შარბათი, სამივე ესმის და არგებს. და მხურვალსა მაჯუნებსა მხურვალსა საქმელებს ყუელას სკამდენ და სვამდენ, რომე ყუელა არგებს და კარგად მოუხდების და გრილი და ცივი ყუელა აწყენს და ბალღამს დააძლიანებს. და თუ უხორცობა ვერ გასძლონ, მამლის შიშაქის ცხურის ხორცი, შაუქანი ქათამი კაკაბი, ხოხობი, ღურაჯი, ტრედის ხუნდი და ქავკავი ამავე სანელებელითა მიზაყითა, პილპილითა გატეხონ. ან შეწონ და ან ხარშოდ ქნან დაჰამონ და, თუ ყაურმად იქმონენ, ისი სჯობს. ესე საქმელები ყუელა არგებს და კარგად მოუხდების.“<sup>1</sup>

თუ განხილულ ცნობებს შევაჯამებთ, ყველაზე მეტად თვალში საცემია ის გარემოება, რომ უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფს ხორცეულის მიღება ეკრძალებოდა. ავადმყოფისათვის ხორცეული საკვების მიცემის შესახებ ასეთი შეხედულება, როგორც სამკურნალო კვების ერთ-ერთი ზოგადი პრინციპი, უფრო ნაკადიოდ არის გამოთქმული XI საუკუნის სამედიცინო წიგნში — „უსწორო კარაბადინში“:

„და კაცი რომე სიმრთელეზედა არ იდგეს და არცა საქმესა იქმოდეს, და არცა იარებოდეს, მას ნიადაგ ხორცი ავად მოუხდების. თუ სკამდეს ასრე უნდა წოხარშვა რომე დადნეს.“<sup>2</sup>

წინა თავებში და კერძოდ კვების ჰიგიენის შესახებ ძველ ქართულ მედიცინაში გავრცელებული შეხედულებების განხილვის დროს აღვნიშნეთ, რომ ის თვისებები, რომელთა მატარებლად ორგანიზმში სისხლი, ლორწო, ყვითელი და შავი ნალექი ითვლებოდა, საკვებ პროდუქტებსაც მიეწერებოდა. ზოგი მხურვალე იყო, ზოგი გრილი და სვე. ამიტომ ამ ოთხ სითხეთაგან რომლის მომატებასაც დაადგენდნენ, მისი შესაბამისი თვისებების მატარებელი საკვები დიეტიდან გამორიცხული უნდა ყოფილიყო, რომ თითქოს ამით ორგანიზმის მდგომარეობა უფრო არ გაუარესებულიყო.

აი რას ვკითხულობთ „უსწორო კარაბადინში“: „ყოველი ტკბილი მხურვალე არის და სწორი, და რაცა ფერი საქმელი მწოვე არის და მწარე ყოველი მხურვალე და ხმელი არის.“

„რაცა მყავე არის ყოველი გრილი არის და ხმელი და სუბეი. ხოლო რაცა მყავე არის ცოტათ სინედლე აქუს.“

გამოდიოდნენ რა ასეთი შეხედულებებიდან, დიეტის დანიშვნის დროს იცავდნენ პრინციპს—*Contrario contrariis*.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 108.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 47.

„ბოლომ ყოვლსა ფერსა სენსა და ქირსა თავთავისი შესაფერი წამლები უნდა უყონ. ასრე რომე თუ კაცი სისხლისა სიმხურვალისა და საფრისაგან იყოს ავად. ამროგსა სენისა უფალსა კაცსა გრილი და მზე საქმელი უნდა აქა-მოთ, და ამავე რიგი საქმელი შარბათები ასუთ და გრილი წამლები უყავით, გრილი ტლევები შემოსდევით, გრილის სასუნებლისათუის ასუნებინეთ და ასეთი წამლები და შარბათები უყონ, რომე გულსა და ღვიძლსა და სტომაქსა მოუ-გრილონ, და ძალი და წყალი მისცეს, და სისხლი დაწმინდოს და გააქაროს.

თუ კაცი სიგრილისა და ბალღმისაგან იყოს ავად, ასეთი მხურვალი საქმე-ლები და ასეთი მხურვალი წამლები და შარბათები ასუან, რომე და ასეთი მხურ-ვალი ტლევები შემოსდვან, და მხურვალის სასუნებლებისათუის ასუნებინონ. რომე ყოვლის სიგრილისა სენი და ქარი გულისა, ფირტუისა და სტომაქიდალ-მან გაუგდოს.“<sup>1</sup>

მართალია, საკვები პროდუქტებისათვის ასეთი თვისებების მიწერა ეპოქი-სათვის დამახასიათებელი თეორიული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი და მათ ანგარიშს უწევდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გა-მოცდილების საფუძველზე არაიშვიათად ავადმყოფს შესაფერის დიეტას უნი-შნავდნენ.

განეხილეთ რომელი დაავადების დროს როგორი დიეტა ენიშნებოდა ავად-მყოფს. დავიწყეთ ქირურგიული დაავადებებიდან.

ქრილობის მკურნალობის პერიოდში ავადმყოფს სასტიკად ეკრძალებოდა ალკოჰოლური სასმელის მიღება: „და ნურასათვის დაკოდის კაცსა ღვინოსა წუ ასვამთ.“<sup>2</sup>

მუცლისა და გულმკერდის არეში დაჭრილს ურჩევდნენ არ მიელო ძნელად ნოსანელბელი საკვები: „თუ ნაკრავი გვერდსა ანუ მუცელს ეცეს... ნატიფთა ჰამდეს.“<sup>3</sup>

ღიღი რაოდენობით სისხლის დაკარგვის შემთხვევაში ავადმყოფს ენიშნებო-და ხორცის ნახარში, კვერცხი, სურნელოვანი ღვინო და სხვ.

„და თუ ოდესმე ძარღვისა თავი გახსნილი იყოს შინარეხა, ანუ მღვიძარეხა და სისხლი დია დაწრედელი იყოს, კურნებაი იგი არს რომელ ხორცისა წვენსა ხვრეტდეს და სურნელსა ღვინოსა ჰუმიდეს, და ამოზავებულსა კვერცხსა ჰამ-დეს...“<sup>4</sup>

როგორც XI საუკუნის სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, ავადმყოფს, რომელსაც ნაწლავის შიგთავსის გახშობის შედეგად განუვითარდებოდა გაუვა-ლობა, უკეთდებოდა ოყნა, მაგრამ ამავე დროს ენიშნებოდა ცხიმით, შაქრით და მცენარეულით მდიდარი საკვები.

„თუ ყოლინჯი ხმელისა ნავალისაგან იყოს რომე გახშების ქვემოსა ნაწლევ-შიგა... აიღე წითელი შაქარი ათი სტილი ანუ უფროსი, ანუ უმცროსი და ერ-ბოშიგა გაურივე და მიეც რაც უნდოდეს, და რაც შეეძლოს ერბოსა ჰამდეს და შარბათი უწყისაცა ერთობ მარგე არის, და ღვინოცა კარგი არის.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 123.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 533.

<sup>3</sup> „წიგნი საკიმოი“, გვ. 293.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 34.

სხვა, დაიჭირე: სელი, ულბო, აბუშატი წიწმატის თესლი არის, ეს ყველა მოადულე და ამათი ლაბა დაიჭირე და ორი უკია ქუჭითისა ზეთი გაურივე დი აქამე მარგე არის, და ყოლინჯსა დასვამს, და ისი რაც წელთა შიგან ნავალი დარჩების: ყუელას გამოიღებს.

მისი საკმელი ყუელა მსუქანი შაქრითა და ნუშის ზეთითა შეუწყევით და სარშო, რომე მამალისა იყოს ასპანახისა და მუხუდლოთა, ერთობ ერბოთანნი მარგე არის. ძროხისა ხორცი და ნახარშიცა მარგე არის. და მოხალულისა ფქვილისაგან პური გამოუცხოს და ლეინოშიგა ჩაუყაროს და ქუნჯითისა ზეთშიგა ამოაწოს და ჭამოს მარგე არის.

და ყოველთა დილითა მოდულდებულსა ჭაკუნტალია წვენსა ორსა უკიასა ნახევარ მუტყლითა ბორთა ჩამდნარითა ლედვითა და შაქრითა შესვას ჭამას წინათ მარგე არის.<sup>1</sup>

უნდა ითქვას, რომ ასეთ საკვებს შეეძლო ნაწლავთა პერისტალტიკის გაძლიერება და გამხმარი შიგთავის გატარების გაადვილება.

თიპრის შემთხვევაში ავადმყოფს ურჩევდნენ არ მიეღო ისეთი საკვები, რომელიც „ქარიანი“ საკვებად, ანუ მეტეორიზმის გამომწვევად ითვლებოდა.

„რაც ქარიანი საკმელი იყოს ყოველისაგან იფარეზოს.“<sup>2</sup>

მეტეორიზმის გამომწვევე, ანუ „ქარიანი“ საკვებად ითვლებოდა: მუხუდლო, ოსპი, რძე, ფიქიანი თაფლი, ყურძენი, ვაშლი, მსხალი და სხვა.

„აწუ ქარიანისა საკმელსა მოგახსენოთ: მუხუდლო, მრგვალი ბაკლა, ოსპი, ნაშა ქერქითურთ ქარიანი არის. თუ ამათ ტყავი შეაძრო და მოხალონ ქარი აღარ იქნების და ფუქმან და ანაქიდონმან და ჯარაოტმან ქარი დაბადოს რძე და მისი საჭამადი და გაუწმენდელი თაფლი ქარიანი არის, მაგრამ მისი ქარი ფირცხლავ წავა. ყურძენი, ვაშლი, და მსხალი და ტყემალი ყველა ქარიანი არის, და მაწონი და მყავე ისრიმი ერთგან ჭამოს ქარი დაბადოს. მყავე და ტყბილი ბროწეული ერთად ჭამოს ისიც ქარიანია.“<sup>3</sup>

„ქარიანი“ საკვების მიღება არ შეიძლებოდა აგრეთვე საშვილოსნოს სიმსივნის დროს.

„უსწორო კარაბადინში“ ნათქვამია: „რომე საშვილესა მეტი ხორცია... ქარიანსა საკმელისაგან იფარეზოს და რაც ჭამოს მხურვალე და რბილი ჭამოს.“<sup>4</sup>

ვისაც ბუასილი ჰქონდა, მას ეკრძალებოდა ნიორის, ხახვის, პრასის, პილპილის და სხვა მათი მსგავსი ცხარე საკვების მიღება.<sup>5</sup>

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბუასილის ოპერაციის შემდეგ ავადმყოფს კვების რეჟიმი უნდა დაეცვა. საკვები არ უნდა მიეღო დიდი რაოდენობით:

„სამსა დღესა სასვამად საჭამადსა უმცროი ჭამდეს რომელ ფსელი და განავლაი, არას აწყენდეს და სიმსიენე დაჭდეს.“<sup>6</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 333, 334.

2 იქვე, გვ. 349.

3 იქვე, გვ. 421.

4 იქვე, გვ. 148.

5 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 209.

6 იქვე.



ვენების გაგანიერების დროს ავადმყოფს ეკრძალებოდა ძნელად მოსანელებელი საკვების მიღება.<sup>1</sup>

ავადმყოფს, რომელსაც შარდის ბუშტისა და შარდსადინარის ანთება ჰქონდა, არ შეიძლებოდა მყავე და ცხარე საკმელი მიეღო.

„ნურას ღონისთვის მყავეს ნუ აკმევთ და საკმელიცა, ასრე რომე თირკნელთათვის გვიოქვამს იგი შეუწყევით.“<sup>2</sup>

„თუ ფსმაშიგან სარცხვენელი ეწოდეს რაც მყავე არის, ყველასაგან ფარეზი უნდა ქნას, მწვავის საკმელისაგანაც...“<sup>3</sup>

ამ სახის დიეტა აღნიშნულ დაავადებათა დროს ძალაში რჩებოდა XIII დ შემდეგ საუკუნეებშიც.

„წიგნი სააქიმოში“ გვითხულობთ: „მხურვალთა და ფიცხელთა საქამადსა ერიდოს ვითა ნიორსა და ხახვსა, პრასასა და პილპილსა, და მლაშეთა ერიდოს.“<sup>4</sup>

XVI საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ძეგლში მითითებულია, რომ შარდის ბუშტის ანთების დროს ავადმყოფმა არა მარტო მყავე, მლაშე და ცხარე, არანედ შეტისმეტად ტკბილი საკვებიც არ უნდა მიიღოს.

„ამ რიგმან მწოედ მყავე, ტკბილი, მწოედ მლაშე, მწოედ ცხარე საკმელები არ უნდა ჰამონ.“<sup>5</sup>

ავადმყოფს ურჩევდნენ მიეღო მცენარეული საკვები, ცხიმებიდან კარაქი, ხილი, საზამთრო, ნესვი და სხვ.

„...საზამთროს ნესვსა ჰამდეს რომელსა ჰქვიან ხარბუზაი პინდოი, და კარაქი და თეთრი შაქარი. და მამისა და ასფანახისა და აყიროისა ურწყოსა ჰამდეს.“<sup>6</sup>

როგორც ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნიდან“ ირკვევა, კუჭის წყლულის დროს, აგრეთვე ამ ორგანოდან სისხლის დენის შემთხვევაში ავადმყოფს ეკრძალებოდა ყოველგვარი ძნელად მოსანელებელი საკვები, საქონლის ხორცი, მაგრად მოხარშული კვერცხი, ყველი და სხვ.

„და თუ იყოს სტომაქშიგან ძარღუი გაწყუედილი, ანუ წყლული... აკრძალე ამა სენისა უფალი საკმელსა მას, რომელი გუიან მოიდნობდეს, ხორცსა მაგარსა და მაგრად მოხარშულსა კუერცხსა, და ყველასა დიდსა.“<sup>7</sup>

ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს ეძლეოდა თოხლოდ მოხარშული კვერცხის გული, ფრინველს ხორცი, ოსპის წვენი.

„და საკმელად აჰამე, მას კუერცხის გული თორხულო და ხორცი მფრინველთა და სახურეტელი ოსპისა...“<sup>8</sup>

სწორი ნაწლავის ნაწილობრივი გამოვარდნისა და ყითას იგვლე ნაპრალუზის გაჩენის დროს ავადმყოფს ურჩევდნენ მორიდებოდა „ხმელსა საკმელებს“, მყავესა და ცხარეს.

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 253.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 349.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 346.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 229.

<sup>5</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 448.

<sup>6</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 229.

<sup>7</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 128.

<sup>8</sup> იქვე.

„...ხმელსა საკმელებსა ერიდონ, ვითამცა ხმელსა ხორცსა, ხმელსა თევზსა, ხმელსა ყველსა, ჭვირნისა და ირმის ხორცსა, შულისა და კურდღლის ხორცსა და ყოველსა მლაშესა და ცხარესა საკმელსა, ამას ყუელას ერიდონ, რომე ყუელა აწყენს.“<sup>1</sup>

ასეთი დიეტის სარგებლობა ის იქნებოდა, რომ იგი ავადმყოფს ააცილებდა ყაბზობას, რაც ხშირად არის მიზეზი სწორი ნაწლავის ნაწილობრივი თუ სრული გამოვარდნისა.

დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის დროს ავადმყოფს ენიშნებოდა ზორცის ნახარში, კვერცხი, ღვინო და სხვ.

„და თუ ოდესმე ძარღვისა თავი გახსნილი იყოს მძინარესა, ანუ მღვიძარესა და სისხლი დია დაწერდელი იყოს, კურნებაი იგი არს რომელ ხორცისა წვეენსა ზვრეტდეს, და სურნელსა ღვინოსა სუმიდეს, და ამოზავებულსა კვერცხსა კამდეს...“<sup>2</sup>

ყვანის, ანუ დიზენტერიის დროს ავადმყოფს ურჩევდნენ წყალი ცოტა დაეღლია, განსაკუთრებით ცივი თუ იქნებოდა.

„ბევრსა და ცივსა წყალსა ნუ სვამს, მეტადრე ყინულიანსა...“<sup>3</sup>

არ შეიძლებოდა აგრეთვე რძისა და რძის ნაწარმის მიღება,<sup>4</sup> ზორცის კვამა, ღვინის სმა.

„ხორცსა ნუ აკმევთ ნუცა ღვინოსა ასუამ.“<sup>5</sup>

ყვანის დროს, საერთოდ, „საკმელი ცოტა აჰამეთ“, ნათქვამია „უსწორო კარაბადინში.“

ცნობილია, რომ მცენარეული საკვები აძლიერებს ნაწლავთა პერისტალტიკას და ამიტომ ასეთი საკვები ავადმყოფს დიზენტერიის დროს არ ეძლევა. როგორც ჩანს, ასეთი საკვების უარყოფითი გავლენა ძველად შემჩნეული ყოფილა: „რაც მწვანე საკმელი იყოს ყოვლისაგან აფარეზებინეთ.“<sup>6</sup>

სამაგიეროდ ავადმყოფს ენიშნებოდა: ბრინჯის ნახარში, შემწვარი ან უმი ვაშლი, კომში, მსხალი, მათი დამტკბარი წვენი.

„ბრინჯის წვენი და ხაშხაში მიგ გაურიონ და აჰამონ.“<sup>7</sup> „საკვამალი ბრინჯისა შეუწყე...“<sup>8</sup>

„ახალი ბია აჰამეთ შემწვარი და უმწვარიცა უზმოსა...“<sup>9</sup>

„ხილისაგან ეს აჰამეთ: ბროწეული, სხალი და ბია, ბალი, სხვა ხილი ყუელა ზიანია.“<sup>10</sup>

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 444.

2 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 34.

3 „უსწორო კარაბადინი“ გვ. 319.

4 იქვე, გვ. 323, 326.

5 იქვე, გვ. 326.

6 იქვე, გვ. 320.

7 იქვე, გვ. 327.

8 იქვე.

9 იქვე, გვ. 328.

10 იქვე, გვ. 329.

ასეთივე შეხედულება გვხვდება XIII და შემდეგი საუკუნეების სამედიცინო წყაროებში—„წიგნი სააქიმოსისა“ და „იალიგარ დაუდი“.

„თუ ღია გაიყვანდეს ვაშლისა შარაბი და ბეჰესა შარაბი სუას...“<sup>1</sup>

„თუ ავადმყოფი მუცელშიგა გახსნით იყოს... ბიისა, ბროწეულისა, ვაშლისა ღიმოსა, კოწახურისა, ისრიმისა და უშხუნის შარაბათისა ასუით, ეს შარაბათები ცოტა ცოტა ასუით, რომე სიმხურვალეც გაუგდოს და კიდეც შეკრას.“

„ვითამცა და კაცი მუცელშიგა გახსნით იყოს და წელთა ნახვეწი სცივოდეს...ესე ბრინჯი ყოვლის საქმლისაგან უკეთესი და უფრო სარგებლიანა არის.“<sup>2</sup>

საერთოდ კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებათა დროს ავადმყოფს ენიშნებოდა ადვილად მოსანელებელი საკვები. ამავე დროს ურჩევდნენ საქმელი დიდი რაოდენობით არ მიეღო.

„კაცი რომე სტომაქზედა სატიკვიარიანი იყოს, მან საქმელი ცოტა და სუბუქი ჰკამოს. რომე ადრე მოიდნობის.“<sup>3</sup>

„ემთილას“, ანუ გასტროენტეროკოლიტის ისეთი ფორმის დროს, როცა კუჭ-ნაწლავის მონელებითი ფუნქცია მკვეთრად იყო დარღვეული, ავადმყოფს უმთავრესად ენიშნებოდა ფრინველის ხორცი, ბრინჯი, ოსპი ისპანახი. საერთოდ ასეთი ავადმყოფის საკვები კარგად უნდა ყოფილიყო მოხარშული.

„და ამრიგი გრილი საქმელები აჰკამონ: ვარია, ხოხობი, დურაჯი და ამათივ ლაპები და ან შავი მაწოვარი თიკანი ზირაბაჯად ჰნან, და ისრე აჰკამონ, ზირაბიჯი ყიმა შორვასა ჰქუინ, და ზირაბაჯი ამას ჰქუინ, რომე ამა ხორციებისაგან რომელიცა იყოს წვირლად დასკრა და დაკემსო და წყლით მოხარშო, და ცოტა ან ბრინჯი, ან ოსპი, ან მაში და ან ბოგრუჯა, ვითამცა წურილი და თეთრი ლობიო, რომელიცა იყოს ურიოთ, და ქინძი და ან ისპანახი გამოუხარშონ და ცოტა მჟავე რამე ურიონ და ისრე ჰკამონ, ამა საქმელსა ზირაბაჯი ჰქუინ, და ყოვლის ფერის ავად ყოფისათვის მწოვედ კარგი არის და კარგადცა მოუხდების. და ერთი კაცი რომე, ან სიმხურვალისაგან და ან ემთილისაგან ავად იყოს, მისთვის გამოორჩეული საქმელი არის, და მწოვედ კარგადცა დააშუნდების.“<sup>4</sup>

აღნიშნული დაავადების დროს სასარგებლოდ ითვლებოდა მწვანელიულობის მიღება.

ხილეულობიდან შეიძლებოდა მიეღო ვაშლი, მსხალი, კომში, ქლიავი.

„და ხილებისაგან ვაშლი, სხალი, ბია და ქლიავი ჰკამონ, საზამთრო, კიტრი და შუმხიარი ჰკამონ, კაპრის მწნილი, ხახვი, ბოლოკი, წიწმბატი, და ყოვლი ფერი მლაშე და ყოვლი ფერი მწარე და ცხარი რაგინდარა იყოს ან სასმელი და ან საქმელი ყუელა კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხსნის, და საქმელსა ყუელა მოაქარვებს, გულს უკუჰყარის და კიდეც ადრე მოანდომებს.“<sup>5</sup>

1 „წიგნი სააქიმო“, გვ. 32.

2 „იალიგარ დაუდი“, გვ. 164.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 276.

4 „იალიგარ დაუდი“, გვ. 364.

5 იქვე.

„აიაზას“, ანუ მწვავე გასტროენტეროკოლიტის დროს ავადმყოფს ეკრძა-  
ლებოდა ხორციელი საკვები და ალკოჰოლიანი სასმელები. მაგრამ ავადმყოფი  
თუ მეტისმეტად დასუსტდებოდა, მაშინ შეიძლებოდა უცილოდ მოხარშული  
კვერცხის გულის, შინაური ან გარეული ფრინველის, აგრეთვე კურდღლის,  
ჭიჭიანის, ანდა ხბოს ნორცის მიცემა. ავადმყოფს ეძლეოდა მცენარეული საკვებ-  
ბიცი.

„და ახალი ყუელი და ან დო რომე ჭამოს, თრივე მწოვედ შემკრავი არის  
და კარგადცა მოუხდების, მაგრა ასრე უნდა, აღარცა სეას ღვინო, და აღარცა  
ჭამოს ხორცი, ამისთვის რომე, ეზაძალი კაცსა სწოვედ წელსა და ფაშვებსა და-  
უშალალებს და ხორცი და ღვინო დამალალებულსა წელსა ორივე აწყენს, და  
წაუხდენს.

და თუ ან კაცსა მისჭირდეს, და ან კაცი დასუსტდეს და ან უკეთ იყოს,  
ძმარშიგა უცილო კვერცხის გული მოხარშონ და აჭამონ. და ახალი სამამლე  
ვარი და ხოხობი, ან კაკაბი, ან ღურაჯი და ან შავის მაწოვრის თიჯნის ხორცი,  
რომელიცა იყოს, ყიმა შორვად ქნან და ან ისირიშითა, ან კოწახურიტა, ან მო-  
ცხარითა და ან სხვის ამვე რიგის მყავეებითა მოხარშონ და აჭამონ, და თუ იშო-  
ვებოდეს ან ჭერნის ხორცი, ან კურდღლის ხორცი, ან ახლის ძროხის ხორცი,  
ამვე რიგად ყიმა შორვად ქნან, ამვე მყავეებითა მოხარშონ და ჭამონ.

აგრეთვე ოსპი, მაში, ბოგრუჯა, ვითამცა და წვრილი და თეთრი ლობიო, ან  
ბრინჯი რომელიც იყოს, კიდევე ამა რიგათ, ამვე მყავეებითა და ან ხმელის დოს  
წვენიტა გამოხარშონ შეჭამადლ ქნან და ჭამონ. ესე საკმელები ამ რიგსა  
ავადმყოფსა ყუელა ეკმების და ყუელა არგებს.“<sup>1</sup>

აღნიშნული დაავადება თუ ქრონიკულ სახეს მიიღებდა, მაშინ ავადმყოფს  
კიდევე უფრო მეტი სიფრთხილე მოეთხოვებოდა საკვების შერჩევის მხრივ.

ეკრძალებოდა ცივი წყლის სმა, „ქარიანი“, ანუ მეტეორიზმის გამომწვევი  
საკვების, აგრეთვე ხმელი საკმელების მიღება.

შეიძლებოდა ფრინველისა და ციჯნის ხორცის „აგრეთვე მცენარეული სა-  
კვების მიცემა.

„ამ რიგი საკმელები აჭამეთ: კვერცხს დაუღებელი ვარია, ხოხობი, შავი  
თიჯანი და ესე ხორცები ან შეწვან და ან ყაურმად ქნან, და თუ ამ რიგად ვერ  
მოისწრათ, ყიმა შორვათ ქნან და სანანებლიტა, პილილიტა, მიხაკთა, დანამს-  
ტაქითა, ზაფრანითა და ან დარიჩინითა, რომელიცა იყოს ამა მხურვალ ისა ია-  
რალეებითა გატენონ, და მხურვალი ბალახები გამოუხარშონ და ისრე აჭამონ.  
და როდისცა საკმელი ჭამონ, საკმელსზედა ზენაარ ციგსა წყალს ნუ სვამს;  
თვარემ აწყენს და ყოველს გრილსა და ქარიანსა სასმელსა და საკმელსა ერი-  
დოს, და მხურვალი ყუელა ჭამონ, და კაი მხურვალი და შემრგო საკმელები  
აჭამონ, და ავსა ხმელსა და ასეთსა საკმელსა ყუელასა ერიდონ, რომე გვიან  
მოიღნოს ამისთვის რომე, არამც გვიან მოიღნოს და კიდევე გამოპყუეს და კიდევე  
გეორედ ემთილა და აიზა შეიქნას.

და ბოსტნეულისაგან: შინაური პიტნა, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ცერე-  
ცო, კამა და ბოლოკი, ყუელა ეკმების.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 367, 368.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 370, 371.

საინტერესო ცნობები გვხვდება XVIII საუკუნის სამედიცინო ხელნაწერებში კუჭის დაავადებათა დროს საჭირო დიეტის დაცვის შესახებ.

„ამისათვის ვისაც აქვს კუჭი ჭუსტი ჰმარტებს რომ გაუფრთხილდეს რომ არ დაამძიმოს ეგრეთის საკმლით, რომელსაც ჩქარა ვერ მოხარშევდეს კუჭი. ესე იგი არს, ლორით, ჩაჩხით, მსუქნით, კუპატით, ქადით და სხვებით ამისთანეებით. ვითარცა უფრო იგი რომელმაც იცის, რომ კუჭის ჭისუსტეს გარდა სხუა სნეულების ნიშნებიც აქვს ესე იგი არს უმადობა, დამძიმება და სახსრების როგორმე უძრაობა, ყაბზობა ან ყვანა.“<sup>1</sup>

მეტად საყურადღებოა დიეტა, რომელიც ღვიძლის დაავადების შედეგად განვითარებული სიყვითლის დროს უნდა დაეცვა ავადმყოფს.

ირკვევა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ავადმყოფს მიეღო ღვინო, ენიშნებოდა ძირითადად მცენარეული საკვები, დიდი რაოდენობით ხილი და ტკბილეული. განსაკუთრებით საყურადღებოა ასეთი ავადმყოფებისათვის ყურძნისა და ბროწეულის წვენი დანიშნა.

„ღვინოს ნუ ასვამ.“<sup>2</sup>

„მჟავისა და ტკბილისა ბროწეულისა წყალსა სმიდეს და ბროწეულისა და ტუტისა შარაბი სუას და ტყემლისა შარაბი მისთვის კარგი არს და გარეცხილსა ქრთილისა ხალი შაქრითა ჰამოს... მწვანილთა თანა ხავარტი და არდი და სატაცური ჰამოს. და ხილთაგან კიტრი და ატამი და მჟავე ვაშლი ერგების... ძუელის ყურძნისა წყალი და ჰიქანგუბინი და ქრთილისა წყალი სუას და საჰამადსა კოწახურისა ურწყუისა ჰამდეს, რომელ აყიროთა და ასფანახითა შექნილ იყოს.“<sup>3</sup>

როგორც XVI საუკუნის სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, აღნიშნული დაავადების დროს ავადმყოფს ასე მკაცრად შეზღუდულ დიეტას არ უნიშნავდნენ. მცენარეულ საკვებთან ერთად შეიძლებოდა ფრინველის ხორცის, ნელლი თევზის მიცემა. ხილს კვლავ დიდი რაოდენობით უნიშნავდნენ.

„და საკმელებისაგან ამრიგი საკმელები აჰამონ: კაკაბი, კაკაბი ღურაჭი და ამათივ ლაპები .ან შავი მწოვარი თიკანი. და ესე ხორცები ასრე ყიმა შორვად ქნან, ან ქინძი და ან ისპანახი გამოხარშონ და ამა მჟავებისაგან ერთ ერთი გაურონ და ისრე აჰამონ. ლიმო, ისრიმი, კოწახური, თუთუბო, მოცხარი, თემრი ჰინდი, ქლიავი, ნარდანგი, მჟაუნა, მაყუალი, ხართუთა და ან ძმარი გაურონ და ისრე აჰამონ.“

გრილი საკმელი და გრილა ხილი ყუელა ეკმების. წურილი ახლი თევზა რომე ამა მჟავებშიგა გამოეხარშოს, ყუელა ეკმების.“<sup>4</sup>

„აწე რაცა ღვიძლსა ან აწყენს და ან არგებს იმას ვიამბობს: სალათა, ქალნი და თოხმაქანი ღვიძლს სამივე მწოვედ არგებს დ აჰაბუეებს, და ძალსა და წყალსა მისცემს მეტადრე მაშინ, რომე ღვიძლი სიმხურვალისაგან სტკიოდეს.“

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. იოანე ბატონიშვილის ფონდი, №, 136, ფ. 9v.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 311.

<sup>3</sup> „წიგნი საქიმოი“, გვ. 195.

<sup>4</sup> „იალიგარ დაული“, გვ. 354.

უმზუნნი, მკაუნა და გავზაბანი, ღვიძლს სამივე მწოვედ არგებს და აჭაბუკებს და დააძალიანებს. კოწახური, თუთუბო და მოცხარი მხურვალსა ღვიძლსა მწოვედ არგებს. თაბლი ჰინდი, ხართუთა და მაცუალი მხურვალსა ღვიძლსა მწოვედ არგებს და დააძალიანებს, მკავე და ტკბილი ბროწეული, ვაშლი და ბია მხურვალსა ღვიძლსა, სამივე მწოვედ არგებს და დააძალიანებს. ქერის წყალი და ქერის ჯავ ავი მხურვალსა ღვიძლსა მწოვედ არგებს და სიმხურვალესა გაუგლებს. ნედლის აყროს წყალი, დაძაბუნებულს ღვიძლს მწოვედ არგებს და აჭაბუკებს და გულსა, ღვიძლს გაამთელებს და ძალს მისცემს.“<sup>1</sup>

საერთოდ ღვიძლის დაავადების დროს ავადმყოფს ურჩევდნენ მორიდებოდა უსაფუარო პურისა და მარალიანი საკვების ჭამას.<sup>2</sup>

ღვიძლის ციროზისა და მის შედეგად განვითარებული ასციტის შემთხვევაში ავადმყოფს ენიშნებოდა ნახევრად მშვიერი დიეტა.

„უზმაი იარებოდეს კარგი არს. და ცოტასა ჭამდეს.“<sup>3</sup>

არ შეიძლებოდა მეტეოროიზმის გამომწვევი და გვიან მოსანელებელი საკვების მიცემა.

„ქარიანსა და უდნობსა საჭამადსა ერიდოს...“<sup>4</sup>

თირკმლის ზოგიერთი დაავადების დროს (სახელჯობრ, რომელ დაავადებაზეა ლაპარაკი, აღწერილობის მიხედვით ვერ დავდგანდა) ავადმყოფს ეკრძალებოდა სორცეული საკვების მიღება, ვიდრე იგი არ განიკურნებოდა.

„მერმე ხორცისა საჭამანდიცა აჭამეთ მას უქანით.“<sup>5</sup>

მანამდე კი ავადმყოფს ეძლეოდა ტკბილი და ცხიმით მდიდარი საკვები პროდუქტები.<sup>6</sup>

როგორც XVI საუკუნის სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, იმ ხანად გავრცელებული იყო აზრი, რომ თირკმლის დაავადებულს შემთხვევაში ავადმყოფმა შეიძლება ჭამოს ფრინველის (ქათამი, ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი) ხორცი შემწვარი ან მოხარშული სახით. ცხიმეულიდან დასაშვებად ითვლებოდა ფრინველის ცხიმის ხმარება, შეიძლებოდა გამხმარი ცხიმის მიღება.

„თუ კაცსა თირკმლის თავი მძიმედ ჰქონდეს... ამრიგსა კაცსა კაცმან საჭმელებითა კარგად ხელი შეუწყონ, და გრილი და შემრგო საჭმელები აჭამონ: შემწვარი ქათამი, ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი და ამათივე ლაბები შემწვარ, და ან მკავეითა მოხარშონ და ისრე აჭამონ.“<sup>7</sup>

„და კაცსა რომე სიგრილითა თირკმელნი სტკიოდეს... ამ რიგი საჭმელები აჭამეთ რომე თირკმელნი გაუსუქოს და ძალი მისცეს, ვარიისა, ხოხობისა, კაკაბისა, ღურაჯისა და ამათისავ ლაბებისა, და ტრედის ხუნდის ხარშო შიაქნევიონონ, ქინძი და ისპანახი ურიონ, სანანებელი, დაჩიჩინი და მხურვალ ბალახები გამოხარშონ და ისრე აჭამონ. და ამა ხარშობშიგა ერბოსა ალავსა ან ქათ-

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 355, 356.

2 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 191.

3 იქვე, გვ. 193.

4 იქვე.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 338.

6 იქვე.

7 „იადიგარ დაუდი“, გვ. 357, 358.

მისა. ან ბატისა და ან იხვისა ქონი გაურონ, და ასრე აჰამონ. და მუდამ ამრი-  
ვი ხილი ჰკამონ: ხმელი ნუში, ხმელი ყურძენი, ინლოურის ნიგვზის გული, ნაყვის  
გული, ფილფილი და ახლობაში დამდღღერელი თხილი, ესე ხილები თირკმელს  
ჟველა გაახურებებს, და დააძალიანებს.“<sup>1</sup>

თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს ავადმყოფს ეკრძალებოდა უსა-  
ფუარო პურის, ძროხისა და აქლემის ხორცის, რძისა და მაწონის ჰკამა.

„ხშიადი პური და ზროხისა ხორცი და აქლემის ხორცი. და სძე და მაწონი  
არ აშენია, ერიდოს.“<sup>2</sup>

ფილტვების სხვადასხვა დაავადების და განსაკუთრებით ტუბერკულოზის  
დროს ავადმყოფს ენიშნებოდა ვიროს რძე.

„ვინცა ესე ვირის რძე სუას, ან პირშია იმგვებოს ხუელასა, ფირტვის  
ტკივილსა, ფირტვის სენსა, რომე სილი ჰქუიან, და ან კაცი რომე ხუელასა  
სისხლსა ატანდეს, ყუელასთუის მწოედ კარგი არის. ასრე უნდა მოწველონ და  
თბილი თბილი სუან.“<sup>3</sup>

ხველის დაწყნარების მიზნით ავადმყოფს ურჩევდნენ არ მიელო მეტისმე-  
ტად მჟავე, ტკბილი<sup>4</sup> და მარილიანი საკვები.

„ათსა დღესა მარილიანსა და მჟავისა საკმელისაგან ფრთხილად შეინახე.“<sup>1</sup>  
როგორც „იადიგარ დაუდიან“ ირკვევა, ტუბერკულოზის დროს ავად-  
მყოფს ენიშნებოდა გაძლიერებული კვებითი რეჟიმი, მას უნდა მიელო მეტად  
ცხიმინი საკვები, თაფლი, კვერცხი და სხვ.

„და ამ რიგი საკმელები აჰამონ: კარაქითა შექნილი მუხუდოს შეჰკამადი,  
კარაქითა შექნილი ქათმის ხარშო, რომე ამაშია ან ისპანახი და ან ქინძი გამოყ-  
ნარშოს. და თუ ხახუსა, თალგამსა დ სტაფილოსა გამოუხარშავთ, ის მწოვედ  
სჯობს და ხველას კარგად მოუხდების. და უცილო თოხლო კვერცხი ჰკამონ. თაყ  
ლი და კვერცხი და ლეღვი აჰამონ. ხმელი ყურძენი აჰამონ ბოლო რაცა ჰკამოს  
და ან სვას ყუელა ან შაქრითა და ან თაფლითა უნდა ჰკამონ, და მხურვალი ხი-  
ლი და საკმელები ჰკამონ.“<sup>6</sup>

თუ დაადგენდნენ, რომ ავადმყოფს ჰყავდა ქიები, მას ურჩევდნენ რძე, მა-  
წონი და ნედლი თევზი არ ეჰკამა.

„სძე და მაწონი და ახალი თევზი და რაიცა ამას ჰგვანდეს არ მაშუენია,  
ერიდებოდეს.“<sup>7</sup>

„წყლითმაკობის“, ანუ გულის ფუნქციის უკმარისობის შედეგად განვითარ-  
ებულ ასციტის დროს ავადმყოფს ეკრძალებოდა მეტეორიზმის გამოწვევი  
საკვები, სითხის მიღება დიდი რაოდენობით. შეიძლებოდა ფრინველის ხორ-  
ცის მიცემა როგორც შემწვარი, ისე მოხარშული სახით, უფრო კი მცენარეულ  
საკვებს ამჯობინებდნენ. წყურვილის დასაკმაყოფილებლად ავადმყოფს ურჩევ-

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 359.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 218.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 161.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 259 და შემდეგი.

<sup>5</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 186.

<sup>6</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 339.

<sup>7</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 208.

დნენ ეკამა ხილი, ხილის წვენი დაელია და ისეთი ბოსტნეული მიეღო, რომელიც შარდის გამოყოფას გააძლიერებდა.

„რაც ქარიანი საკმელი იყოს ყუელასაგან იფარებოს... სატაკური, კიტრსა და ნესუსა ჰამდეს ფსელსა მოუმატებს და კარგად მოუხდების. სიქანგუბინისა ბევრსა ნუ აკმევთ, ზიანი არის, და მკავითა შექნილი ყველა კარგი არის. ამა სენშიგა საკმელი კაკაბი, ხობობი, გნოლი ღურაჯი ხან შემწვარი და ხან მოხარშული და ოსპისა საქამადი ნუშის ზეთითა მარგე არის, კოწახურიითა და ძმრითა და ბროწეულისა ტკბილისათა, და ჩინური სხალიცა აქამე, ყუელა წყურვილსა დაუწყნარებს. და ხმელი ხილი, წიფლის გული, ნუშის გული, ხმელი ლელვი, ჰამოს და ზედა სიქანგუბინი შესუსა და წყურვილსა მოკლავს.“<sup>1</sup>

ღიეცა, რომელიც აღნიშნული დაავადების დროს ინიშნებოდა, XVI საუკუნის წყაროებში უფრო ფართოდ და დაწვრილებით არის წარმოდგენილი. კერძოდ, „იადიგარ დაუდში“ ნათქვამია, რომ ავადმყოფს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს წყალი, მაშინაც კი, როცა ავადმყოფი უწყლობას ველარ შესძლებს, ცალკე წყლის მიღება დაუშვებელია. წყალს უნდა შეერიოს რბილად შეხარისხებული ნივთები და ის მიეცეს ავადმყოფს. თუ ავადმყოფი არ არის დასუსტებული, მაშინ უმჯობესია საქონლის ხორცი სრულიად არ მიეცეს, მაგრამ თუ იგი სუსტად შეიქნა, შეიძლება ფრინველის ხორცი მცირე რაოდენობით. ავადმყოფს ეკრძალებოდა პური, მაგრამ თუ აუცილებელი იქნებოდა პურის მიღება, მაშინ რვა კარგად გაშრობებული უნდა ყოფილიყო. ღიეტის დანიშვნის დროს ექიმი აფრთხილებდა ავადმყოფის მომვლელს, რომ მისთვის ისეთი საკვები არ მიეცათ. რომელსაც შეეიღო კუჭ-ნაწლავის აშლა გამოეწვია. ეს რეტად სახიფათოდ მიაჩნდათ.

„კაცსა წყალი ასრე უნდა შეხუთონ რომე, თუ ითქმის არც კი უჩვენონ, არა ოუარემდა ასეან. ამისთვის რომე, ესე ზიყისა სენი უსათუოდ სიგრილისა და ბაღმისაგან შეექნების და წყალი მისთვის აწყენს. და არც პური უნდა აქამონ და ხორცი სრულობით არ უნდა აქამონ. და თუ მწოვედ მისქირდეს და უწყლობა ვერ გასძლოს, რამთენჯერცა წყალი მოსწყურდეს, წყლის მაგიერად ვარდის კაქაჰის ყუაილის არაყი გამოჰხადონ და ასეან. და თუ ეს ყუაილი არ იშოვებოდეს, ამავე ვარდის კაქაჰის ძირის წყალი გამოჰხადონ და ასეან. ან კოწახური წყალშიგა დააღბონ და ამა კოწახურისა წყალშიგა მოღუღებული და ქაფმობილი შაქარი გაურიონ და ასეან.

და თუ არცა ამით იქნას, და ან უწყლობა ვერ გასძლოს, და მწოვედ მოსწყურდეს ზენარ არამცა ცარიელი წყალი გისმევიათ, ან ცოტა წყალ ნარევი ბროწეულის წვენი, ან წყალნარევი ბიის წვენი, რომე ამ წყლებშიგა ქაფმობილი შაქარიცა ერიოს, და ისრე ასეან, ან ნიახურის ძირი და ან ფოჩი დანაყონ და წყალი გამოჰხადონ და ეს ნიახურის წვენი იმა წყლებშიგა გაურიონ და ისრე ასეან.

და თუ ესევე წყლები არ დაგესწრას, ესევე ნიახურის წვენი მართალს წყალშიგა გაურიონ და ისრე ასეან. რომე თავად ნიახურისა წვენი და მერმე ამა ხილებისა წვენი ღვიძლსა ყუელა მწოვედ არგებს და ძალსა მისცემს. მაგრამ ასრე უნდა. ამა წამლებშიგა ქაფმობილი შაქარი გაურიონ და ისრე ასეან, ამისთვის რომე. ესე შაქარი ამა წამლებისა ხასიათსა ყოველსა ასოსა გაუყოფს და მია-



ხვედრებს და ამ რიგისა სენისათვის მწოვედ მარგე წამალი არის. და თუ წყალსა არ იწყურებდეს და არ ინდომოდეს იცოდი კიდევ სიგრილისაგან არის ავად, და ასრე უნდა ამასა კიდევ ასლი ჰინდუბას შარბათი ასეათ, ვითამცა და ვინახის ლიკის შარბათიო, და არცა პური უნდა აჭამონ, არცა ხორცი უნდა აჭამონ. და თუ მწოვედ მისქირდეს და დასუსტდეს, და პურის უჭმელობა ვერ გასძლოს, ან ბაქსიმათისა, ან მქადის პური და ან ბაზირგან ჩორაქი აჭამონ. და თუ ამა ბაქსიმათსა და მქადსა აღარ ინდომებდეს და კაცი მწოვედ დასუსტდეს, მუღამ ამა რიგი პური აჭამონ მწოვედ კარგად გამომცხვარი და გამოსუხვილი აჭამონ რომე, ამა პურისა ცომი დიდსა ხანსა ყოფილიყო და ამა ცომშიგან ან ნიახურისა, ან ბადიანისა და ან პიტნის თესლი ცოტად დაჭეკონ და გაურიონ, და მერმე კარგად გამოაცხონ და ყოველთა დღეთა ესე პური აჭამონ, და სხვა პურსა ნუ აჭმევენ. და თუ ამა პურსა მუხუდოს შეკამადშიგა გაურევენ და ჩაუყრიან და ისრე აჭმევენ მწოვედ უჯობს, რომე ესე მუხუდოს შეკამადი ან კარაქითა, და ან ნუშის ზეთითა, და ან ნიგუზის ზეთითა შექნან. ესე მუხუდოს შეკამადი საჩანებლითა, პილბილითა და მხურვალის ბალახებითა შექნან და ისრე აჭამონ. და რასაცა უმსა და მოხარშულსა ბოლოკსა ბევრსა სჭამენ, სისხისა სენისა აქიმი და მწოვედ დაცდილი არის, და თუ არ კაცი მწოვედ დასუსტდეს ამ რიგსა კაცსა ხორცსა ნუ აჭმევენ. და თუ კაცი მწოვედ დასუსტდეს და უხორცობა ველარ გასძლოს: კაკაბი, ხოხობი, ღურაჯი, ტრედის ხუნდი და ქავქავი ან შეწონ და ან ყაურმად ქნან სანანებლითა, პილბილითა, მხურვალის ბალახებითა გატენონ და შიამკონ და თაფლიცა ურიონ და კურკათავ წითელი ხმელი ყურძენი ურიონ და აჭამონ. და თუ ეს მფრინველები არ იშოვებოდეს ამათივ ლაპები, კარგი ვარია, და ან შავი მაწოვარი თიკანი, ამავე რიგად მხურვალის იარალითა შიამკონ და ჰამონ. მაგრა ამას უნდა უფრთხილდეთ რომ ქონი არ ჩაატანო და ზენაარ თუ კაცსა ამ რიგი სისხისა სენი სჭირდეს ასეთსა ნურას ასმევთ და ნურცარას აჭმევთ, რომე მუცელშიგა გახსნას, თვარემდა ამ რიგსა სისხისანსა კაცსა გახსნა მწოვედ აწყენს, და ამრიგსა კაცსა გახსნასა შეკერა მწოვედ უჯობს.<sup>1</sup>

ცნობილია, თუ როგორ რთულია შაქრიანი დიაბეტის დროს კვების რეჟიმის დადგენა. უფრო მეტად ძნელი იყო იგი ძველად, როცა არ არსებობდა ასეთი ავადმყოფობისათვის საჭირო დიეტის განსაზღვრის მეთოდები. მიუხედავად ამისა დაკვირვების საფუძველზე ჩამოყალიბებული იყო გარკვეული დიეტა, რომელიც ძირითადი შემადგენლობის მიხედვით რამდენადმე წააგავს თანამედროვე დიეტეტიკაში ცნობილ № 9 მაგიდას.

„უსწორო კარაბადინიდან“ ირკვევა, რომ XI საუკუნეში „ძლომილისა სიმ-ვილის“. ანუ შაქრიანი დიაბეტის დროს ავადმყოფს ენიშნებოდა მკავე სანელე-ბლით შემზადებული ხორციეული საკვები, თოხლო კვერცხი. შეიძლებოდა პურისა და ტბილეულის მიცემაც. არ იყო სასურველი მლაშე საკვების ჰამა.

„საკმელი მისი ხბოსა ხორცი და ზროხისა შიგანი ისრიმითა და კოწახური-თა და რაცა ამათ გვანდეს იმითა შექნილი არგებს, და გიშრაფეთი და რაისა გინდა თავფეხი შემწვარი იყოს ისიცა არგებს და ხარშო ისრიმითა და ძმრითა რომე იყოს იმისი მგზავსი რაცა შეკამადი იყოს, ისიცა არგებს და მლაშე საკამადი იფარეზოს, ესე სენი დიდისა სევდისაგან იქნების, რომე ტყირბისაგან სტომაქშიგან მისულიყო ისი უზმა თბილსა წყალსა სუემდეს და რბილსა და მსუ-

<sup>1</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 396—397.

ქანსა საკმელსა ჰამდეს და კუერცის გული თოლხოლო და ბატისა და ქათმისა, ლომე იწვოდეს და მას ჰონი ჩასდიოდეს იმითა პურსა ჰამდეს, ესე ყუელა არგებს, და რაცა ამას გავს ისიცა, და ალვა შაქრისა და ზეთი ნიგუზისა და ამათი მსგავსი ყუელა არგებს. აიღე: ხორცი ბატენისა, თიქნისა მსუქანი, ცერეცოთა მუხუდოთა შექენ და ცოტა ზირა გაურთვეთ და ასრე აღუღონ რომე დაღნეს. და რა მოიხარშოს ამავე წუენითა ხუნდი ტრედისა და ქათმისა ისრევე მოხარშონ და იმას ცოტა დარიჩინი და ხულისჩანი გაურიონ და უდი დანაყილი და იმა წუენსა ხურეტდეს და მთის ადგილსა ცოტა ძუელი ლუინო შივა გაურიონ რომე სტომაქი გააცხელოს, და რაგინდარა მჟავე ჰამონ სევდისა ხილთა სტომაქი დაღმა გამოიღებს.<sup>1</sup>

როგორც შემდეგი საუკუნეების სამედიცინო წყაროებიდან ჩანს, აღნიშნულთან ერთად ავადმყოფს ეკრძალებოდა ალკოჰოლიანი სასმელი.<sup>2</sup>

კვების რეჟიმი ნერვული სისტემისა და ფსიქიკის დაავადებათა დროს შემდეგი სახისა იყო.

როგორც „უსწორო კარაბადინიდან“ ირკვევა, XI საუკუნეში არსებობდა: „შეხედულება, რომ ავადმყოფს თუ შაკიკი ჰქონდა, მას თავი უნდა შეეკავებინა ღვინისა და ხორკის მიღებისაგან: „ღვინისა და ხორკისაგან იფარეზოს.“<sup>3</sup>

ძირითადად ასეთი რეჟიმის დაცვას ურჩევდნენ ავადმყოფს სხვა სახის თავის ტკივილის შემთხვევებშიც როგორც XI, ისე შემდგომ საუკუნეებში.

XV საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო წიგნში ნათქვამია: „ვისცა თავის ტკივილი სჭირდეს, ზენაარ, ფრთხილად იყოს... ნურას ფერსა ტებილსა საკმელსა ნუ ჰამს, ნუცა მრღუეისა და ძნელსა ლუინოსა სუამს, თუარა დიდი ზიანი დაემართების. რაცა საკმელი ჰამოს, ყუელა სუბუქი ჰამოს. შაქრითა მოატკბოს და აგრე ჰამოს პურიითა. და ლუინოსა ნუ სუამს, და თუ მოუნდეს, საღაპოყამს შესუას თეთრი და წმინდა, წყალგარეული ლუინო... და თუ თავის ტკივილი ერთობ მორეოდეს, მაშინ ნუცა ხორცსა აკმევთ და ნუცა ლუინოსა ასუამთ.“<sup>4</sup>

ეპილეფსიის დროს ავადმყოფს ეკრძალებოდა ტკბილი საკვების, რძისა და მისი პროდუქტების, ხორცეულის, ზოგიერთი მცენარეული საკვებისა და ალკოჰოლური სასმელების მიღება. ყურადღება ექცეოდა საკვების რაოდენობასაც. არასასურველად ითვლებოდა საკვების დიდი რაოდენობით მიღება.

„ვისაც ესე სენი დაემართოს, ყოველსა ტკბილის საკმელისაგან იფარეზოს, რძისა და მაწუნისაგანაც რაც საკმელი შეიქმნების ყუელასაგან იფარეზოს და ბევრის ჰამისაგან იფარეზოს... ღვინის სმა ძველი და ახლისა ზიანი არის. მისთვის საკმელი ზროხის ხორცი, თხის ხორცი, ქალამი, ოსპი და თელგამი, ბოლოკი, ხახვი, ნიორი, ბაკლა და რაც მწვანელი იყოს და უფრო ნიახური, ეს დაგვიწერია ვისაც სარა სჭირდეს მისთვის ყუელა მაზიანებელი არის, რაც სველი და ნედლი ხილი იყოს ყუელასაგან იფარეზოს...“<sup>5</sup>

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეპილეფსიით დაავადებულს დღესაც ურჩევენ მოერიდოს ხორცეული პროდუქტებისა და ალკოჰოლიანი სასმელების მი-

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 278.

2 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 169.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 187.

4 „სამეურნალო წიგნი“, გვ. 9.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 192—193.

ღებას, ხოლო ხილ-ბოსტნეულისა და რძის ნაწარმის აკრძალვა, რის შესახებ „უსწორო კარაბადინში“ მითითებული, თანამედროვე გაგებით არამიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

მსგავსი ცნობები გვხვდება შემდგომი საუკუნეების სამედიცინო დამწერლობით წყაროებში. კერძოდ, „წიგნი სააქიმოში“ მითითებულია, რომ „მტერთა და ცუდის“, ანუ ეპილეფსიის დროს „ეგრე ხამს რომელ საქამადას ცოტასა ჰამდეს.“<sup>1</sup>

როგორც ზაზა თანასკერტელის „სამკურნალო წიგნიდან“ ირკვევა, XV საუკუნეში ეპილეფსიით დაავადებულთა სამკურნალო კვების შესახებ შეხედულება რამდენადმე შეცვლილა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ზემოაღნიშნული რეჟიმის დაცვასთან ერთად ავადმყოფს ეკრძალებოდა მეტად მსუქანი საკვების მიღება.

-საჰმელი რომე მეტად მსუქანი და მსუყე იყოს, ისიცა აწყენს.“<sup>2</sup>

თავქედის, ანუ მენინგიტის დროს ცდილობდნენ ავადმყოფისათვის არ მიეცათ ძნელად მოსანელებელი საკვები. უმთავრესად აკმევედნენ ნელ თევზს, ჭათმის. ხოხბის ხორცსა და ხილის წვეს, განსაკუთრებით ციტრუსებისას.

„თუ საჰმელი მოინდომოს ანუ სუმაყისა, ანუ კოწახურისა წვენისა საქამადი აჰამონ და ლიმონისა. წყალიცა კარგია და მჟავე თურინჯისაცა კარგია და ინდური ხურმა ნუშისა გულისა წუენითა აჰამონ ახლითა ერბოთა და შირბახტისა ზეთითა.

რასაცა კაცისა თაჟის ტკივილი სიმზურვალისაგან იყოს, რაიცა ამას ზემოთ დაგუწირა, ესე საჰმელი და წამალი შეღწყევით. თუ უკეთ იყოს და საჰმელი მოინდომოს, წურილსა თევზსა ძრმითა აკმევედენ და მასუქანიოთ ან ღურაჯისა და ან ჭათმისა და ან ხოხბისა ხორცსა ჰამდეს.

თუ შეკვრით იყოს მჟავისა ტყემლისა საქამადი აჰამონ, მერმე ძირანი და ალბონ და მისი წუენი ასუას და ოსპისა წყალიცა კარგად მოუხდების და ისრისისა წყალიცა ასუას, და ინდოურისა ხურმისა საქამადი აჰამონ და ნუშისა გული წმიდათ დანაყონ და მერმე ისრიმისა წუენითა გაურიონ კარგად, რომე გაიქნას, მერმე შეასუან და ერგოს და თუხმაქანისა ფურცელი დანაყონ და ან მჟავისა ბროწეულისა წუენშიგა გაურიონ და ზედა პური მოიფშუნას და ჰამოს.“<sup>3</sup>

არსებობს მთელი რიგი ცნობები იმის შესახებ, რომ თავქედის დროს ასეთივე დიეტის დაცვა მიზანშეწონილად მიაჩნდათ შემდგომ საუკუნეებშიც. კერძოდ, „სამკურნალო წიგნი“ ნათქვამია: „მას ესე უნდა, რომე უწინა ხილთა წყალი ასუას, რომე მუცელი დაუღბოს,... რბილი საჰმელი ჰამოს, რომე მუცელი კიდევ დაუღბოს. მერმე ისრიმისა და ლიმოსა შარბათსა სუმიდეს. და ამისი საჰმელი ისრიმითა შექნისა ჰათამსა ჰამდეს და თიენის ხორცსა და კაკბსა და ღურაჯსა ჰამდეს.“<sup>4</sup>

ფსიქიკურ დაავადებათა დროს ძველი ქართველი ექიმები ცდილობდნენ ავადმყოფისათვის დაენიშნათ ისეთი დიეტა, რომლიდანაც გამორიცხული იქნებოდა ხორცეული და ალკოჰოლიანი სასმელები. საერთოდ საკვები ადვილად

1 „წიგნი სააქიმო“, გვ. 88.

2 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 46.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 184.

4 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 19.

მოსანელებელი და მსუყე უნდა ყოფილიყო. არასასურველად ითვლებოდა საკვების დიდი რაოდენობით მიღება.

„თევზისაგან, ყველისაგან და ზროხის ხორცისაგან იფარვოს...“<sup>1</sup>

„საკმელი მომსუქნო და მოტკბო, ნუშისა ზეთითა შეურევით.“<sup>2</sup>

„მკვავესა საკვამადასა ნურასა მისცემთ. საკმელი მისი, შექნილი ჯულაბი იყოს და თორხოლო კუერცხი ხურიტოს და მსუქანი ხარშოსა ხურეტდეს.“<sup>3</sup>

ხილულობიდან ასეთ ავადმყოფს ვაშლი, მხალი და ბროწეული ენიშნებოდა: „ხილთაგან ვაშლსა და სხალსა და ბროწეულსა მკვავესა და ტკბილსა ჰამდეს...“<sup>4</sup>

როგორც „იადიგარ დაუდიდან“ ირკვევა, ფსიქიკურ დაავადებათა დროს სამკურნალო კვება XVI საუკუნეში თითქმის წინა საუკუნეების მსგავსი იყო, მაგრამ აღნიშნულ წიგნში იგი უფრო დაწვრილებით არის აღწერილი და კონკრეტულ ხასიათს ატარებს.

„და საკმელებიცა, ამ რიგი საკმელები აჰამონ, ვარია და მსუქანი ქათამი ან სამამლის მსუქნის მიშაკისა და ან შავის თიკნის ხორცი. ან ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი და ამათივ ლაშები კარგად მოხარშონ, და ან იეხინად და ან მოთხო შილაფლავი, და ან ყმა შორვად შექნან და ამამიგა ისპანახი, მოცხარი, ნარდანგი, კოწახური, ისარიმი და ან სხუა მკვავე ურიონ და ისრე ჰამონ.“

და მწვანლისაგან ქინძი და სალათა ჰამონ, და ხილებსაგან საზამთრო კიტრი, ბროწეული, ვაშლი, სხალი, ბია, ატამი, ქლიავი, ყაისი, კერემი გავალო და ნუში. და ყოველი გრილი ხილი ჰამონ და ყუელა კარგად მოუხდების.“<sup>5</sup>

XVIII საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ხელნაწერში მითითებულია, რომ აღნიშნულ დაავადებათა დროს მთავარია საკვები ადვილად მოსანელებელი იყოს: „კუქმა მოიღნოს მალე და ჩქარა...“<sup>6</sup>

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში აღწერილია დაავადება „თავის ტკივილი რომე სისხლისაგან იყოს.“ იგი თავისი ნიშნებით ძალზე გვაგონებს პიპერტონიულ დაავადებას. საინტერესოა, რომ ამ დაავადების დროს ავადმყოფს სამკურნალწამლო საშუალებებთან ერთად დიეტასაც უნიშნავდნენ. ავადმყოფს ეკრძალებოდა ტკბილი და მკვავე საკვები. აგრეთვე ალკოჰოლიანი სასმელი. მას უნდა მიეღო ადვილად მოსანელებელი საკვები, ხორცი მხოლოდ ქათმისა ან თიკნისა.

„ვისაცა ესე სენი სჭირდეს მართებს რომე ფრთხილად იყოს ტკბილისა საკმლისაგან და მკვავისა, ძრიელისა ღუინისაგან, და საკმელი სუბუქი ჰამონ მარხვასა შიგა ჰამონს აყიროს და ჰაკუნტალი და შალგი. და ხსნილსა შიგა ქათმისა ხორცი ჰამოსა და კარგისა თიკნისა ხორცი.“<sup>7</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 190.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 174.

<sup>4</sup> „წიგნი საჰიმოი“, გვ. 79.

<sup>5</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 272.

<sup>6</sup> „კარაბადინი“. ხელნაწერი ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იონანე ბატონიშვილის ფონდი, № 136, ფ. 83r.

<sup>7</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 172.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ღიეტის დაცვას მაღალი ტემპერატურით მიმდინარე დაავადებათა დროს.

„ცხელებისაგან რომელ კაცი დასნეულდეს მართებს რომე ფრთხილად იყოს საკმლისაგან. სიცხე დააკლდეს და სნეულება ამსუმბუქდეს.“<sup>1</sup>

ექიმს უნდა შეერჩია ავადმყოფისათვის ისეთი საკვები, რომელიც ხელს შეუწყობდა ტემპერატურის დაწვევას.

„...აქნიმან სნეულსა საჭამადი შეუწყოს, რომე აღრე გაეყაროს ცხრო.“<sup>2</sup>

მაღალი ტემპერატურით მიმდინარე დაავადების დროს ავადმყოფს ძირითადად ეკრძალებოდა ხორცეული საკვები. სასარგებლოდ მიაჩნდათ ფქვილის ფაფისა და ხილის წვენების მიცემა.

„ხორცსა და თაფლიანთა ერიდოს, და საჭამადად მაშისა ურწყოსა ჰამდეს და ასფანასა და ქრთილსა წყალსა ნუშის გულითა, და ხაშხაშისა შარაბსა და გაცივებულსა ჯულაბსა სმიდეს, და ბაკილასა წყალსა ნუშის ზეთითა იხმარებდეს, და ჰასოი თხელი ფუშრუკი, რომელ ანაკვეთსა და შაქრისაგან შექნილო იყოს და ნუშისა ზეთითა იხმარებდეს.“<sup>3</sup>

სიცხიანი ავადმყოფის ღიეტა თითქმის ასეთივე იყო შემდგომ საუკუნეებშიც.

როგორც „იადიგარ დაუდიდან“ ირკვევა, კვლავ ძალაში რჩებოდა ის აზრი, რომ სიცხიანი ავადმყოფს ხორცეული საკვები არ უნდა მისცემოდა. უმჯობესი იყო, თუ ხილსა და ხილის დამტკბარ წვენს მისცემდნენ.

„რა საკმელი ჰამოს გრილი მჟავე და სისხლის გამჭარებელი საკმელები: უნდა ჰამონ: ძმრით შოხარშული ოსპი, მაში, ბოგრუჯა, ნარდაგი, თუთუბო, მოცხარი, კოწახური, ლიმო, ისრიმი, თაბლი ჰინდი, ხართუთა, მაყუალი, უშხუნი; მჟაუნა და ხმელი ღოს შეკამადები ჰამონ, ერითას შეკამადი, ამავე მჟავეებითა ჰამონ, ისპანახი და ჰინძი და ისრე ჰამონ, და სალათა ძმრითა ჰამონ.“

და ამ რიგის ცხელების უფალნ კაცმან ხორცი არ უნდა ჰამოს, და შარბათებისაგან: ლიმოსა, ისრიმისა, მჟავის ბროწეულისა, კოწახურის შარბათები სვან. უშხუნისა, ჰერმისა, ქლიავისა და უნაბის შარბათები სვან. ჰერამისა, ქლიავისა და უნაბის შარბათები სვან, იისა ლულუფურისა შარბათი სვან.“<sup>4</sup>

ცხადია, სიცხიანი ავადმყოფის კვება ამით არ განისაზღვრებოდა. ავადმყოფი რომ არ დასუსტებულყო, მას „ზომით“ უნდა მისცემოდა „გრილი“ და მსუბუქი, ანუ „ნატიფი საკვები. „ბურანის“, ანუ კრიზისის დროს კი ავადმყოფს მხოლოდ „ძალის მიმცემი შარბათი“ ეძლეოდა.

„რა შეატყო ბუჰრანი ეცაო ფიცხლად ხელი გაუხსენ და ძალის მიმცემი შარბათი შეუწყვეთ რომე ძალისაგან არ დავარდეს.“<sup>5</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 41.

2 იქვე, გვ. 145.

3 „წიგნი სააქიმო“, გვ. 282.

4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 290.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 21.

არანაკლები ყურადღება ექცეოდა ღიეტის დაცვას თვალის დაავადებათა მკურნალობაში.

პანუსის დროს ავადმყოფს ეკრძალებოდა ძნელად მოსაწვებელი საკვები. ხორციეული, ალკოჰოლური სასმელი, ნიორი, ხახვი, პრასი და სხვ.

„მძიმე საკმელი იფარეზოს... ხახვისა, ნიორისა, პრასისაგან, ბაქლისა და ოს-პისაგან ღიდის თევზისა და ძროხის ხორცისაგან და ამათის მგზავისაგან იფარეზოს, ღვინო და მწვანელიცა და დოცა.“<sup>1</sup>

საერთო გზების ანთების მკურნალობის პროცესში სასურველად მიაჩნდათ თავის შეკავება ცხარე და მლაშე საკვების მიღებისაგან: „რაცა საკმელი მხურვალი და მლაშე იყოს, მისგან ფარეზი ქნას.“<sup>2</sup>

ღამის სიბრძავის შემთხვევაში ავადმყოფს არ უნდა მიეღო არავითარი ცხარე საკვები: „რომე ღამით კაცი ვერას ხედვიდეს... ყოვლისა მწუჟეისა საკმელისაგან იფარეზოს...“<sup>3</sup>

თუ აღამიანი შორსმხედველი იყო, მას ურჩევდნენ არ ეკამა შაშხი, საერთოდ საქონლის ხორცი, თევზი და რძის ნაწარმი.

„რომე შორს ხედვიდეს და ახლოს ვერა, ამა სენისა უფალი ფარეზად შეინახე ყოვლისა ფერისა მძიმისა საკმელისაგან, აპოხისა და ზროხისა ხორცისაგან და წუელისაგან და ღიდისა თევზისაგან.“<sup>4</sup>

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ღიეტა, რომელიც ავადმყოფს ჰქონდა ღანიშნული, სამი-ხუთი დღის განმავლობაში კიდევ უნდა ყოფილიყო დაცული ზას შემდეგ, რაც მას განკურნებულად მიიჩნევდნენ. ამავე დროს, ახლად განკურნებულს კატეგორიულად ეკრძალებოდა ხორციეული, სამაგიეროდ ეძლეოდა მისი ნახარში, როგორც ძალ-ღონის მიმცემი საკვები.

„ახლად რომე კაცი ავად ყოფიდაღმან ადგომილ იყოს, მისი ასოები და სახარები სუსტად იქნების, სული შევიწროებით ექნების, სისხლი ცოტა ექნების, კაცსა მოსვენება მოუნდების, სიარული და წავლა წამოვლაც მოუნდების, მაგრა ძალი არ ექნების, ასრე უნდა ადგომას უკან თავად ხუთსა დღემდი, თუარემ სამ დღემდისინ ამრიგმან ავად მყოფმან კაცმან ხორცი არა ჰვამოს, და უხორციოდ აჰ ხორცებისა შექამადები ჰვამონ, ამისთვის რომე შორჩომილი კაცი კიდევ ახლად არ შეაქციოს.. და ამა სამსა ოთხსა დღესა რარიგადცა ავადმყოფაშიგა ეფარეზოს, ისევე კიდევ, სავსა ოთხსა დღესა ადგომას უკან უნდა იფარეზოს...“<sup>5</sup>

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული მედიცინა იცნობდა ზოგიერთი დაავადების დროს ავადმყოფისათვის მისაცემი პურის მომზადების საგანგებო წესებს. მაგალითად, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის და სხვა ორგანოების დაავადებათა შემთხვევაში ექიმი ავადმყოფის მომვლელს ასწავლიდა, თუ როგორი წესით უნდა გამოეცხოთ და მიეცათ პური ავადმყოფისათვის.

აი, მაგალითად, ზოგიერთი წესი:

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 203.

2 იქვე, გვ. 207.

3 იქვე, გვ. 209.

4 იქვე, გვ. 210.

5 „იადიგარ დაუდი“, გვ. 117.

„პური გამოაცხონ კარგად ამა წესითა, რომე კამისა და ნიახურისა და ანისონისა თესლი და ზირა ქირმანი შიგა ერიოს. ყოველთა დღეთა ამა პურისა ორმოცდაათი ღრამი შეუწყონ საქმელად.“<sup>1</sup>

„და საქმელად საერო პური, ასრე რომე კამისა და ნიახურისა თესლი, ნანხუა რომე სონიჯი არის, ზირა ქარმანი, ანისონი, ყუელა დანაყილი ცომშიგა გაურიოს და გამოაცხოს და აჭამოს.“<sup>2</sup>

„პური ამისთანა ჭამოს: დაიჭირე ფქვილი ლიტრა ნახევარი და სფანიდისა თესლი, მეექვსედი ერთი ჩარექისა იქნების თესლი, კარგად დანაყე და ფქულშიგა გაურივე, მოზილე და გამოაცხევე რომე გახმეს დილის ჟამსა ამას სჭამდეს...“<sup>3</sup>

„მისი საქმელი პური ერთობ მაგრად გამომცხვარი იყოს.“<sup>4</sup>

როგორც კვების ჰიგიენის შესახებ არსებული შეხედულებების განხილვის დროს აღვნიშნეთ, უსაფუარო, გაულუარი, ანუ ხმიადი პურის ჭამასასარგებლოდ არ ითვლებოდა, მით უფრო დაუშვებლად მიაჩნდათ ავადმყოფისათვის მისი მიცემა: „მძიმეთა და ჰავთა საქამაღთა ერიდებოდეს ვითა ხმიადი პური...“<sup>5</sup>

ზემოთ მოყვანილი ცნობები თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რამდენად მრავალფეროვანი და განვითარებული იყო სამკურნალო კვების წესები, რამდენად ყურადღებას აქცევდნენ საკვების შემადგენლობას, მის რაოდენობას და ავადმყოფის კვების წესების დაცვას.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 306.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 309.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 315.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 255.

<sup>5</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 247.

## წამალი, წამალთა ტექნოლოგია და ზოგა-ჯონა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკურნალობას წამლობაც ეწოდებოდა, რადგანაც მკურნალობა უმთავრესად წამლების მიცემით წარმოებდა. სიტყვა წ ა მ ლ ი სამკურნალო საშუალების მნიშვნელობით არის ნახშიარი იაკობ ტურტაველის თხზულებაში „შუშანიის წამება“<sup>1</sup> და სხვა წყაროებშიც.

წამალი ეწოდებოდა ყოველგვარ საშუალებას, რასაც კი შეეძლო ავადმყოფის განკურნება, მისი მდგომარეობის შემსუბუქება ან დაავადების თავიდან აცილება.

მაგრამ ამავე დროს საქართველოში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, არსებობდა შეხედულება, რომ წამალს განკურნების ნაცვლად ორგანიზმის მოშანაძვე და სიკვდილის გამოწვევაც შეეძლო. ეს შეხედულება წამლის შესახებ ძალზე დიდი ხნისა უნდა იყოს. იგი უნდა შემუშავებულიყო მაშინ, როცა ადამიანი ჰერ კიდევ კარგად არ იცნობდა წამლების დასაშვადებლად საჭირო ნედლეულის თვისებებს, დოზებს და მის მიერ დამზადებული წამალი ხან ჰკურნავდა, ხან კი შხამავდა, ანუ სწამლავდა ადამიანს.

შემდეგ, როცა შედარებით უკეთ გაეცნა წამლის თვისებებს, ეს შეხედულება არ შეცვლილა, რადგან დოზირებიდან გამომდინარე მისი ეს ორგვარი—გამკურნავი და მომშხამავი მოქმედება დადასტურდა.

სიტყვები: მ ო წ ა მ ვ ლ ა, ს ა წ ა მ ლ ა ვ ი და სხვ., რომლებიც სიტყვა წ ა მ ლ ი დ ა ნ ა ა ნაწარმოები, სწორედ იმას ადასტურებს, რომ წამალს ორგანიზმის მომშხამველი თვისებაც მიეწერებოდა.

საყურადღებოა, რომ ცნობები წამლის ასეთი გაგების შესახებ ძველ ქართულ დამწერლობით არასამედიცინო წყაროებშიც გვხვდება.

XII საუკუნის ცნობილ თხზულებაში—„ამირანდარეჯანიანი“—ვკითხულობთ: „მაშინ დედოფალსა ეგრე აცნობეს, ვითა: ..მავას ყმასა შვილსა შენსა უმზირან ანუ მუხთლად მოგიკვლენ ომითა და ანუ წამლითა.“<sup>2</sup>

ცხადია, ამ შემთხვევაში წამალი შხამის მნიშვნელობით არის ნახშიარი.<sup>3</sup>

ამავე მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა „ქართლის ცხოვრებაში“:

„თქმულ არს ესეცა. ვითარმედ წამლისა მიერ აღსრულდა და ცოლისა მისისა მიერ მიცემითა წამლისათა.“<sup>4</sup>

1 იაკობ ტურტაველი, „შუშანიის წამება“, დასახელებული გამოცემა, გვ. 38.  
 2 მ ო ს ე ხ ო ნ ე ლ ი, „ამირანდარეჯანიანი“, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის კრეტიკომთია, II, შედგენილი ს. ყუ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ის მიერ, თბილისი, 1949, გვ. 66.  
 3 წამალი საძებრო და სამხატვრო საქმეში, აგრეთვე სხვადასხვა მიზნით გამოყენებულ ფერად ნივთიერებებსაც ეწოდებოდა.  
 4 „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ის რედაქტორობით, თბილისი, 1906, გვ. 711.  
 18. მ. გ. სააკაშვილი, ა. პ. გელაშვილი



„მომკვლელთა წამალთაგან იქნების, რომე ეკამოს...“<sup>1</sup> ვკითხულობთ „წიგნი სააქიმოში“.

წამლის შხამად გაგება მოჩანს საბას განმარტებაში: „სამსალა წამალი მაკვდინებელი.“<sup>2</sup>

ვახტანგ VI „სამართლის წიგნი“ ვკითხულობთ: „იუ ცოლმან ქმარი მოკლას ანუ წამლით ანუ სხვა რითმე...“<sup>3</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ამავე დროს წამალი სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა: „სახმარ იყო წამალი საღმობათათვის უბოროტესთა.“<sup>4</sup>

ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა, რომ წამლით შეიძლება ვიძოქმედოთ როგორც სხეულის ამა თუ იმ ნაწილზე, ისე მთელ ორგანიზმზე, ე. ი. ცნობილი იყო წამლების ზოგადი და ადგილობრივი მოქმედება.

ამით უნდა აიხსნას, რომ, მაგალითად, კანის დაავადებათა დროს არა მარტო გარედან ადგილობრივ სახმარ საშუალებებს იყენებდნენ, არამედ ავადმყოფს შიგნით მისაღები წამლებიც ეძლეოდა. შემჩნეული იყო, რომ შიგნით მიღებული წამალი ასეთ შემთხვევაში არანაკლებ დადებითად მოქმედებს, ვიდრე ადგილობრივად გამოყენებული წამალი: „მათბუხი ალილაჯან არგებს მღიერს და მკავანს.“<sup>5</sup>

ცნობილი იყო, რომ ორგანიზმში წამალი შეიძლება შეყვანილ იქნეს სხვადასხვა გზით, მათ შორის პირის ღრუდან (Per os), სწორი ნაწლავიდან (Per rectum), საშვილოსნოდან, კანიდან, ცხვირიდან და სხვ.

ყველაზე უფრო გავრცელებული იყო წამლის შეყვანა პირის ღრუდან დაღვევის საშუალებით. ამის შესახებ უამრავი ცნობების მოყვანა შეიძლებოდა ძველი ქართული დამწერლობითი სამედიცინო ძეგლებიდან, მაგრამ დავეკმაყოფილოდებით რამდენიმე მაგალითის დასახელებით.

„სამსა დღესა შე ა ს უ ი იმავე წესითა მერმე სამსა დღესა უკანით კიდევ შეასუი.“<sup>6</sup>

„...შეასუი, ბევრსა დღესა შე ა ს უ ი და უ შ უ ე ლ ი ს.“<sup>7</sup>

„რწყევისა წამალი ა ს უ ი თ და არწყევინეთ.“<sup>8</sup>

„აიღე კიტრის თესლი, და კატკატოს თესლი და სატკბურის ძირი, თუითორვის დრამის წონა, და ქათირა—ოთხი დრამი, დანაყენ და დაგალენ კარგა და შეზილენ კუერცხის თეთრითა თხელითა და კუერსა შიგან იყოს თუითორ დრამი. და შეასუი მისგან, ვის თანა იყოს ცხრო ბოროტი ერთი კუერი ქაშქის წყლითა.“<sup>9</sup>

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 206.

<sup>2</sup> ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, დასახელებული გამოცემა, იხ. სიტყვა სამსალა.

<sup>3</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „სამართლის წიგნი“, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთოთ თ ი ნ ა ე ნ უ ქ ი ძ ე მ, თბილისი, 1955, გვ. 69.

<sup>4</sup> „1103 წ. ქეკლის-წერა რუსი-ურბნისის კრებისა“, იხ. ქრონიკები, წიგნი II, შეკრებილი, კრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ, თბილისი, 1897, გვ. 57.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 59.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 187.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 275.

<sup>9</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 139.

„შეასუი ძნელისა სნებისა უფალსა კუერი ერთი ქაშქის წყლითა და ცხროსა უფალსა სიქანგუბინითა.“<sup>1</sup>

„დანაყე და შეასუი კოვზი ერთი გრილითა წყლითა.“<sup>2</sup>

„შერიოს ერთად და შეასუას თაფლ-წყლითა.“<sup>3</sup>

„ისეთი წამლები ასე ან და აქამონ, რომე ესე ბალღამი დააღბოს და ჯამწიფთოს და ნერმე ასეთი წამლები და შარბათები ასვით და ასეთი ჰაბები აქამეთ, რომე ესე ბალღამი მოხეთქოს და მუცელშიგა გახსნას.“<sup>4</sup>

დასაღევ. ანუ შიგნით მისაღებ წამლებად ითვლებოდა: ნახარში, ნაყენი, ეფუსია, ანუ ლობი. ფბენილი, აბი, ანუ მარცვალი, კვერი, ანუ ყურსი და სხვ.

ცნობილია, რომ წამლის მიცემა დასაღევად (Per os) ყოველთვის არ შეიძლება, ზოგჯერ ავადმყოფის ასაკის გამო. ზოგჯერ სხვა მიზეზით. მაგალითად, წცირე ასაკის ბავშვები ძნელად სვამენ წამალს. ან კიდევ, როცა ავადმყოფი უგარძნობ მდგომარეობაშია, ცხადია, მას არ შეუძლია წამლის დაღვევა. არის აგრეთვე შემთხვევები, როცა ავადმყოფი წამალს ვერ სვამს იმის გამო, რომ მის სუნს, გემოს ვერ იტანს და სხვ. ეს მიზეზები ძველადაც კარგად ყოფილა ცნობილი და ასეთ შემთხვევებში წამალი ან სხვა წესით ეძლეოდა ავადმყოფს ან სხვა გზით ნეყაუდათ იგი ორგანიზმში.

თუ ავადმყოფი წამალს ვერ იტანდა, მას თვალებს აუხვევდნენ, ნესტოებში ბამბას უკეთებდნენ და შემდეგ წამალს ასმევდნენ.

„და ბევრი კაცი არის რომე წამლის აღებაშიგა რა შარბათისა სულსა იცემს იზიზღებს და გული აერევის და ამა მიზეზით წამალს ველარ სუამს. ამ რიგსა კაცსა ასრე უნდა, ორივე თვალეები აუკრან და ორივე ცხვირისა ნესტეები ბანბითა ჯამოუტენონ, რომე ველარც თვალითა დაინახონ, და ველარც სული იცეს და ასრე ასუან. და თუ წამლისა სმასა უკანა კიდევ გულმან ან რევა და ან ზიდებდა დაუწყოს, ან უნაბისა, ან ტარხუნისა, ან ბიისა, და ან ვაშლისა ფოთოლი კეცსავითა აღეკონ და ამით წვენი კი ჩაყლაპონ, და გულის რევასა და გულის ზიდებბასა ორსავე უქუაღლებს.“<sup>5</sup>

როგორც აღვნიშნეთ, როცა ავადმყოფს წამლის დაღვევა არ შეეძლო, მაშინ წამალი სხვა გზით ეძლეოდა. ასეთი იყო კერძოდ წამლის შეყვანა სწორი ნაწლავიდან (Per rectum).

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „თუ წამლის შესმა შეეძლოს, ოყნა აღარ უნდა.“<sup>6</sup>

მაშასადამე, თუ ავადმყოფს შეეძლო, წამალს დაღვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში სწორი ნაწლავიდან შეუყვანდნენ.

აღნიშნულ კარაბადინში სწორი ნაწლავიდან შესაყვანი წამლების შესახებ სპეციალური თავია გამოყოფილი: „სნებიანთათვის და ყმაწვილთათვის, რომელთა წამლისა სმა არ შეეძლოს.“<sup>7</sup>

1 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 140.

2 იქვე, გვ. 269

3 იქვე, გვ. 357.

4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 531.

5 იქვე, გვ. 132.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 195.

7 იქვე, გვ. 24.

წამალი სწორი ნაწლავიდან შეყავდათ ორი ფორმით: თხევადი (წყალში, ზეთში ან სხვა რაიმე ხსნარში გახსნილი) და მკერივი (სანთლები—Suppositoria) სახით.

წამალი თხევადი სახით სწორ ნაწლავში შეყავდათ ოყნის საშუალებით: „ჰუყნაი უყოს დია ერგების და გამრთელდების.“<sup>1</sup>

XI საუკუნის დამწერლობით წყაროებში ვკითხულობთ: „ამავე სენისათვის ოყნა კარგი და გამოცდილი, ნავალი რომე ნაწლევთა შიგან გამხმარიყოს, გამოცდოს, აიღე: ლეღვი ზეთი მარცვალი, ზვარბლისა ქატო ერთი ცალი პევშვი, ჭმელი ხატმისა ფურცელი ცალი პევშვი, ქაყუნტლის ფურცელი ათი მარცვალი. სოსნის ძირი ნახეყარზედა დანაყლი ათი ღრამი სეფისტონი ოცდაათი მარცვალი, ქერის კორკოტი ერთი ცალი პევშვი. ბაბუნაყი ერთი ცალი პევშვი, ლელუფარი და თურინჯის ფურცელი თვითო ცალი პევშვი, ეჭუსითა ლიტრითა ბაღდადურითა წყლით მოადღულე ასთომესათა რომე ორი წილი წავიდეს და მესაშედ დარჩეს, მერმე დაწურე, და ათი სტილი ამა წყლისაგან და უკია ნახეყარი ამას ბაზრაყატუნისა ლაბა გაურივე და ერთი უკია იისა ზეთი ანუ შირბახტი. ათი ღრამი ავქამა. ორი ღრამი ბორა და ნახეყარ ღრამი მარილი ამა წამლებშიგან გაურივე და ნელთბილი ოყნა ჩაასხი.“<sup>2</sup>

წამლის შეყვნას სწორი ნაწლავიდან საერთოდ საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ სხვადასხვა დაავადებათა დროს. ამას მოწმობს XV, XVI და შემდეგი საუკუნეების მთელი რიგი სამედიცინო დამწერლობითი ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. საკმარისია აღინიშნოს ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნსა“ და დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუღში“ აღწერილი ზოგიერთი წამალი, რომელიც სწორი ნაწლავიდან შეყავდათ ოყნის საშუალებით.

„ოყნა, სარგო წყლულებისათვის, რომელი იყოს მუცელსა შიგან და სისხლად იყვანდეს... აიღე ცმელი ნეზუისა ოხისა და თირკმელთა ახალი და შეგბოლუე ქაშქა თანა. მერმე აიღე მისგან ქაშქის წყალი და მას თირკმელთა ცმელსა ორი სიქორგი, და აიღე ბრინჯისა შემგზრისა წყალი და ვარდის ზეთი, ამათგანი—თუითო სიქორგი და კაკია დაგლილი,—ნახეყარი ღრამის წონა, და გომიზი არაბი, დაგლილი, და დედათა სპეტი დაგლილი, ამათგანი თუითო—ღრამის წონა, და მერე ერთგან დაურიე, ვირე შეიქნას ვითა მარამა, და ოყნა უყავ მით.“<sup>3</sup>

„ის წამლები კარგად მოადღულთ, გამოქყლიტით, გაწურთ და ერთსა მონკროს ტიკქორაშიგა ჩაასხათ და იმა ტიკქორასა ერთი ლულა გამოაწყოთ, რომე ეს ლულა ნეკის სისხო იყოს და ზეთის თითის დადება სიგრძე ჰქონდეს, და მერმე პირდაღმა სასთაულზედა ეს კაცი გარდააწვირონ და ეს ლულა უკანის კარიდაღმან შეუყონ, და ეს წამლები უკანის კარიდაღმან წყნარად ჩაასხან. და რა ეს წამლები სრულად ჩაასხან, ეს ლულა კი გამოიღონ და უკანა კარი მაგრად დაუჭირონ, და ეს წამლები ან ორს ეამსა და ან ერთს ეამსა მუცელშიგა აძყოფონ.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 201.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 334.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 265.

<sup>4</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 136.

„თუ ამით არ ეშველოს, ასრე უნდა, ან დიდი ოყნა ააღებინონ თუ არა და საწულო ოყნა ააღებინონ.“<sup>1</sup>

როგორც აღვნიშნეთ, წამლები სწორი ნაწლავიდან სანთლების, პატრუქის, ანუ შაფის სახითაც შეყავდათ: „მოიღე თაფლი და მოადღე და შიგან მარილი ჩაყარე და მანამდი აღღლე ვირემდის გამაგრდეს და იგი პატრუქად შექეპნ და უკანას კარშიგან ააღებინე.“<sup>2</sup>

„...ესე წამლები შიგა გაურივეთ და პატრუქად შექენ იმავე ზემო წესითა, ნიციით დაწოლის უამსა, უკანასა კარსა შეიღვას და გათენებამდისინ ჰქონდეს და გახსნის.“<sup>3</sup>

„კარი და ნიშანი პატრუქისა, რომე შეკურით იყოს, სნეულს გახსნის. დიდი იყოს თუ ყმაწვილი, ზეთი წამლის სმა არ შეეძლოს ამით უნდა გახსნას, რომე სიმხურვალითა და სნებითა იყოს. აიღე წმინდა თაფლი შვიდი ღრამი და დადევ თბილად ცეცხლზედა, წყნარა დადევ, სანამდი გაწითლდებოდეს რომე კარგად. არ დაიწვას, მერმე აიღე მარილი და ბორა თვითო ღრამი დანაყილი და გაცრილი. შიგ აურივე და ზეთითა დაასოვლე, პატრუქები შექენ თითვითა, ოთხისა თითისა სიგრძე და მჩეარშიგა წახვიე რა მოგინდეს ერბოთი და ზეთითა შეწვენ და შეუღვე უკანს კარსა; რა ერთი წამოვიდეს სხვა შეუღვე.“<sup>4</sup>

„კიდევ ერთი კაი შაფი და წამალი ეს არის, მოიტანე თრიპი, მური და წმიდა და თეთრი საკმელი, აყაყია და ზაფრანა. ეს წამლები ყუელა სწორ-სწორი ჭენით და კარგად დანაყუთ, და ვაცერით და კუერცხის ცილითა კარგად მოზილონ. და ხეკის სისხო შაფები შექენან და ამა შაფებშიგა ერთი მომსხო მკელი დაატანონ, და უკანას კარიდალმან ააღებინონ. და როდისცა გამოღება უნდოდეს მკელს გამოსწიონ და გამოილონ, და მწოვედ კარგად უზამს, და ესე შაფი ამა სენისათვის აჭიმთავან მრავალჯერ დაცლილი არის.“<sup>5</sup>

„ანე ამისი წამალი ეს არის, მოიტანე საბრი და ძროხის ნაველი და პიტნა და სანვივე წონითა სწორ-სწორი ქენ. და პირველ საბრი და პიტნა ხოლმე დანაყონ და მერმე ძროხის ნაღველითა გააყენონ, და ხეკის სისხო ბამბის პატრუქი დაგრძინონ და ამა წამლებშიგა ამოსვარონ და უკანას კარიდალმან ააღებინონ, მწოვედ კარგად უზამს, და რაცა უია უკანას კართან ასხია, მეორეს დღესა ამა კი-ის უუელასა დააყრევირებს და კაცსა გასწმენდს.“<sup>6</sup>

„და ესე წამალი და ესე შაფი კაცსა რომე უკანა კარი გამოექცეს და სისხლიცა სდიოდეს, მისთვის მწოვედ კაი შაფი არის: მოიტანე მური და აყაყია და ბაზულ ბანჯი, ვითამცა ლენცოფაო, სამყი არაბი და თეთრი ბრინჯი, ესეები ყუელა თვითო თვითო ღირპამი ქენ. დანაყე და ვაცერ და ან მარსინისა, ან გაფ-ზაბანის წყლითა მაგრად მოზილე. და ამისგან ხეკის სისხო შაფები ქენ და უკანას კარიდალმან ააღებინონ, სისხლსა დასწყუეტს და უკანის კარის გატეხასა და ღიდვებასა უშველის.“<sup>7</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 268.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 24, 25.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 397.

<sup>5</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 440.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 443.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 444.

„ჰოყნა, რომე კაცი მუცელშიგა გახსნით იყოს და სისხლზედაცა იყვანდეს, იმას ორსავე უშველის, მოიტანე ბროწეულის ყუავილი, ბროწეულის ქერქი და კრკოს გული ხუთ-ხუთი ღირჰამი და გუნდა სამი ღირჰამი და პირველ კრკო და გუნდა დანაყონ და ეს სხეები წამლები ორის რათლისა წყლით მოადუღონ, რომე ორას სამოცი ღირჰამი წყალი იყოს და მანამდის ადუღონ, რომე ნახევარი ჩაიშროს და ნახევარი დარჩეს, და მერმე მოიტანე აყაყია და ვაცის წვერას ძირი თვითო ღირჰამი, გილი არმანი და მოხალული სამყი არაბი ოროლი ღირჰამი, დანაყეთ და ესე წამლები სრულად იმა მოდუღებულსა წყალსა და წამლებშიგა ჩაურვიეთ და თბილ-თბილის ამა წამლებითა რარიგადაც ზემო ოყნის წესი და რიგი დაგვეწეროს, ორსა დღესა ამ რიგად ზედი ზედ ოყნა უყავით, და მაშინვე ეცესა შეჰკრავს და სისხლსაცა დასწყევტს...“<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, ზოგჯერ გარკვეული მიზეზების გამო ავადმყოფს არ ეუფძლია საკვების შიღება ჩვეულებრივი გზით და ასეთ შემთხვევაში მას ოყნის საშუალებით კვებავენ ხოლმე. ასეთი მიზნით გაკეთებულ ოყნას თანამედროვე მედიცინაში საკვებ ოყნას უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ მედიცინაში, გარდა სამკურნალო ოყნებისა, ცნობილი ყოფილა საკვები ოყნაც, რასაც მოწმობს „უსწორო კარაბადინსა“ და „იადიგარ დაუღში“<sup>2</sup> აღწერილი ოყნის შემადგენლობა: „თუ ამას არა არგოს რა, ეს ოყნა უყავ, აიღე ბრინჯი, მოადუღე წყლითა, გამოსწურე, კვერცხის გული და ვარდის ზეთი, გაცრილი ფქვილი, მისგან ცოტა აიღე და ბრინჯისა წვეწშიგა გაურიე, ორი ღრამი გიღერმანი, ორი ღრამი აყაყია, ორი აზუზი. დანაყე და ოყნა უყავ...“<sup>2</sup>

„ეიღეც სხვა უფრო ცოტა და ადვილი ჰოყნა: მოიტანე მსუქანი ქათამი და წყლით მოხარშე და კარგად დაადნე და მერმე გარდმოიღე და ერთი ჯამი წვენიც ამ ქათმის წვენისაგან და მერმე მოიტანე ოცი ღირჰამი იის შარბათი, ან ოცი ღირჰამი წითელი შაქარი და ათი ღირჰამი ხიარ შამბარის გული, და ათი ღირჰამის თაბალი ჰინდი, და ერთი ღირჰამი ოქრომკედლის ბორა, დანაყე და ყუელა ერთმანერთშიგა აურიე, და ყუელა ამა ქათმის წვენითა გააყენეთ და კარგად გაათბეთ და რარიგადაც აქვე ზემო პირველსა ოყნის კარშიგა ოყნის წესი და რიგი დაგვეწეროს, იმავე რიგად ესე წამლები ჩაასხით...“<sup>3</sup>

უნდა ითქვას, რომ საერთოდ მოქმედების სიძლიერის მიხედვით ცნობილი იყო რამდენიმე სახის ოყნა: მძლავრი, საშუალო და მსუბუქი. თითოეულ მათგანს იყენებდნენ საჭიროების მიხედვით.

„აწე ჰოყნა ხუთი, ექუსი რიგი არის, და ამა ოყნასა ჰოყნაი ლეინა ჰქუიან ვითამცა და ცოტა და ლბილი ჰოყნაო.“<sup>4</sup>

„ჰოყნაი მეყვასითა რომე კაცი გახსნას, ვითამცა საშუალო ოყნაო.“<sup>5</sup>

„ჰოყნაი ჰადა, ვითამცა და კაცი გახსნას, ვითამცა დიდი, ძალიანი და ფირცხელი ოყნაო...“<sup>6</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუღში“, გვ. 564, 565.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 321.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუღში“, გვ. 462.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 561.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 562.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 564.

„კიდევ სხვა კარგი ოყნა, თუ დედაკაცი ძნელად დაორსულდებოდეს და ეს ორსულობა სიგრილისაგან იყოს, ეს ოყნა ქნან: მოიტანე საკმელი ოცდაათი ღირჰამი მომსხოთ დანაყილი, თოფალახი ოცდაათი ღირჰამი და მური ათი ღირჰამი და სამის რათალი წყლითა ეს წამლები მოადღუნონ, რათალი ასოცდაათსა ღირჰამსა ჰქუიან, და მანამდისი ადღუნონ, რომე სამის წილის წყლისაგან ერთი წილი ჩაიშროს და ორი წილი დარჩეს, მერმე ეს წამლები გაწურონ, და სამსა დღესა ზედა ზედ ამა წყლისაგან ორმოცდა რვა ღირჰამი სიყმაწვილეშიგა ჩაასხან და ოყნა უყონ, და უსათუოდ დაორსულდებიან.“<sup>1</sup>

გარედან იხმარებოდა სა ლ ბ უ ნ ი, იგივე მ ა ლ ა მ ა, ანუ მ ა ლ ა მ ო, ტ ლ ე და სხვ.

სამკურნალო მიზნით მალამოების (Unguentum) გამოყენების შესახებ წერილობითი ცნობები გვხვდება უკვე V საუკუნიდან.

იაკობ ცურტაველის თხზულებაში „შუშანიკის წამება“ აღნიშნულია, რომ დაწყულულებულ შუშანიკს იაკობმა სთხოვა ნება მიეცა წამლითა და სალბუნით, ანუ მალამოთი ემკურნალა.

„მიბრძანე და მოგზანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თვალთა შენთა შთაცეულ არს, და სა ლ ბ უ ნ ი და წამალი დაგდვა...“<sup>2</sup>

როგორც „უსწორო კარაბადინიდან“ ირკვევა, მალამოს დასადებად საუკეთესოდ ითვლებოდა სელის ნაჭერი.

„სელისაგან რომელი იქნების...იხმარების წამალთა შიგა და ერგების ტანზედა რომე წყლული იყოს, და ამოაშრობს მასა წყლულსა და გამოზრდის მისსა ზორცსა.“<sup>3</sup>

აღნიშნულ წიგნში აღწერილია სხვადასხვა სახის მალამო და მათი ხმარების წესი.

მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

„სხვა თეთრი მალამა, მლიერის, დამწვრისა, დამღუღრილისა, დაკოდისის ყუელას, ყუელას უშველის. მალედ ზორცს ამოზრდის, აიღე: უმარილი ათი დრამი, ანძარუთი სამი დრამი, მურდსანაგი ერთი დრამი, დანაყე, გაცერ. მიოდე თეთრი ცვილი და ქათმის ქონი შვიდ-შვიდი დრამი, ბერძნული და ანუ შირბახტის ზეთი. ეს ყველა ერთპირად დაადნე, ავანშიგა ჩაასხი და წამლები ზედ დაუყარე. ეაქენ, კარგად, სანაყელითა. შეინახე, და რა მოგინდეს ზედ დასდევ, მარგე არის.“<sup>4</sup>

„თუ სხვა შავი მალამა გამმთელებელი, რომე ჩაუქად გაამთელებს. აიღე: გლიქირუმი, ანძარუთი, ჟანგარა, მური და შავი კევი და შავი ფისი თვითოსაგან სამ-სამი დრამი, ზარაუანდი მგურგვალი და ზარაუანდი გრძელი და სურინჯანი თვითოსაგან ნახევარ მიტყალი, რაც დასანაყელი იყოს დანაყე, და რაც დასადნობელი იყოს დაადნე, ძროხის ქონითა მოადღუნე, რა მოგინდეს იხმარე, მარგე არის. ეს მალამა გაამრთელებს ყოვლისა ფერისა წყლულსა და ნაკბენსაცა.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 464.

<sup>2</sup> იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება“, დასახელებული გამოცემა, გვ. 38 (ნახი ჩვენია).

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 422.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 391.

<sup>5</sup> იქვე.

„შაფი რომე კაცი სისხლზედა იარებოდეს ან უკანასა კარსა აზიდებდეს და გასტეხდეს. ესე შაფი იმას საშსავე უშველის, მოიტანე მუყული აჩრავი, თრიაქი, საკმელი, აყაყია, ზაფრანა ჯავშერი, რომე ოღლან აშსა უძახიან, ესე წამლები ყუელა სწორ-სწორი ქენ, დანაყეთ და გაცერით და კუერცხის ცილითა სქლად მოზილონ და ამისგან ნეკის სისხო შაფები შექნან, და ამა შაფებსა შუაზედა პატრუქი დაუმწყუდიონ და უკანას კარიდალმან აალებინონ და როდისცა გამოლება უნდოდეს, ამა პატრუქსა გამოსწიონ და გამოილონ.“<sup>1</sup>

ხმარების წინ სანთელს რომელიმე ცხიმოვან ნივთიერებას უსვამდნენ: „დასცხო ზეთი ან კარაქი და უკანისა კარსა შეუღვა დაწოლისა ქამსა ესე გამოცდილია.“<sup>2</sup>

ალსანიშნავია, რომ ორგანიზმში წამალი ოყნისა და სანთლების სახით საშვილოსნოს გზითაც შეყავდათ.

„დედაკაცსა რომე საშვილესა შიგან სრსვილივით რამე გამოსდიოდეს მღიერი... წამალი მისი ეს არის: ახლის თევზის ქონი და კურდღლის ქონი, მგლის ქონი, აფთრის ქონი ოთხივე ერთად დაადნევით და დანაყეთ შავის ქათმის ნალვლითა. ეს ყუელა ერთად გაქენ რომე მალამასავით შეიქნას, მერმე მოლურჯო ნატყლი დაამრგვალე და შიგან დაასველე და მიეც რომე აილოს.“<sup>3</sup>

„წამალი მისი: ბამანი, ანძარუთი; ორივე დანაყე და თაფლითა პატრუქი შექენ და აალებინე, პატრუქის წამალი: ანდუზი ხმელი და დანაყილი ხუთი დრამი და ხუთი დრამი მუშკი და ერთი დანგი შაქარი ყუელა დანაყე რკინის კოვზსა ზედა დადე და ცეცხლსა ზედა დადვას და რა გაცხელდეს გაურიოს და მერმე პატრუქები შექნას თაფლითა, რომე აილოს.“<sup>4</sup>

სხვადასხვა გინეკოლოგიურ დაავადებათა დროს არაიშვიათად მიმართავდნენ საშვილოსნოში წამლის შეყვანას ოყნის საშუალებით.

„კიდევ, თუ დედაკაცი ამა წამლებითა არ დაორსულდეს, იცოდით დასტურად შიგნით ბაყლი და ქარი აქუს, და ამისთვის არ დაორსულდების. ასრე უნდა ეს ოყნა უყონ, და თბილ-თბილი ეს წამლები საშოდალმან ჩაასხან და საყმარწვილო გამოურეცხონ: მოიტანე გვირილას ყუავილი ან ბალახი და კამა, და ცერეცო, ამზინდის ბალახი, მირზანგვიში, ნიახურის თესლი, ხმელი სუზაბი, ნანსაჰ, ზირა, უზანლულის თესლი და ვარსამა, ასრე უნდა ეს წამლები ყუელა სწორ სწორი ჰქნათ, და კარგად მოხარშოთ, და ამოსკყელით და გასწუროთ, და ამა წამლებისა წყლისაგან წონითა ოცდაცამეტი ღირჰამი აილონ და ამა წამლებისა გარეთ კიდევ მოიტანე სამი ღირჰამი იასამნის ერბო, და სამი ღირჰამი ყუსტის ერბო, და სამი ღირჰამი ბროწეულის ძირი, ერბო, სრულიად ეს წამლები და ეს ერბოები ერთგან გაურიონ. და თბილ-თბილი საშოდალმან საშვილემში ჩაასხან, საყმარწვილე გამოურეცხონ და ეს წამლები ორსულობისათვის მწოედ კარგი არის, საყმარწვილოს თავს გაუმართავს და ამას უკან უსათუოდ დაორსულდებნის.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 566.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 240.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 150.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>5</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 463, 464.

„თეთრი მალამა: რომე უშველის ყოველსა ფერსა ახალსა წყლულსა და მღიერსა, აიღე: უმარილო ანძრუთი, შაბი, ცვილი, თვითოსაგან სამ-სამი დრამი რაც ზეთი მოუნდეს ბეძძული და ძროხის კლიკის ტვინი ყველა ერთმანეთშიგა შეაღულე და მალამად იხმარე...“<sup>1</sup>

„ქაფურის მალამისა ხასიათი ბაგე რომ გაუსქდეს, უკან კარი ეწოდეს მასაც არაგებს, მლოიერი და მჭდომი გამოვიდეს მასაც არაგებს, თუ ხლმითა ანუ ისრითა დაკოდლი იყოს მას დასდვას, ან პატრუქითა შეღვას მას არაგებს. აიღე: მურდასანგი ერთი მიტყალი, უმარილო ერთი მიტყალი, სპეტა ორი მიტყალი, ესენი დანაყე, გაცერ და თეთრი ცვილი და ზეთი ერთად გააღნევე, უკომოდე, რაჟამს გაცივდეს ეს დანაყილი და გაცილი წამლები შიგ გაურივე, მერმე ერთისა ავერცხის ცილა გაურივე: ასრე რომე არ შეიწვას, მერე ცოტა ქაფური გაურივეთ, კარგად დაზილეთ რომე გასწორდეს, შეინახე და რა მოგინდეს იხმარე...“<sup>2</sup>

„მალამა ჟანგარის რომე ძველსა წყლულისა რომე არის, ნასორი რომე დართულსა ჰქეიან, მას ცეცელითა დაწვა უნდა, მას გაამთელებს და მოსკამს, ავსა, დამპალსა წყლულსა მოსკამს და მატლსა მოკლეს და ყურსა რომე ბაყლი სდიოდეს, პატრუქითა შეუღვათ მასაც გაამთელებს და უშველის. აიღე: ჟანგარა, გომიზი ფიქვის, ვაშაყი, ანზრუთი და ცელი, ამათგან სწორ-სწორი, ჟანგარა ძრმით დააღბე. დანაყე, სხენი წამლები ცალკე დანაყე და ცვილი ბერძნულითა ზეთითა გააღნე რაზომიცა ეყოფოდეს, იგი და ესე ყველა ავანშიგა ერთად შერივე და ურივე კარგად რომ გასწორდეს და ჰურქელსა შიგა ჩაახსი და რა მოგინდეს იხმარე...“<sup>3</sup>

მალამოს გარდა, წამლის გარეგან სახმარ ფორმას წარმოადგენდა ტლე.

საბა თავის ლექსიკონში განმარტავს, რომ „ტლე სიცხიანის სადები წამალიაო“, მაგრამ როგორც საქედიცნო წყაროებიდან ირკვევა, ტლე მარტო სიცხით მიმდინარე დაავადებათა სამკურნალოდ არ იხმარებოდა. ტლე იყო წამლის გარკვეული ფორმა, რომელიც მზადდებოდა ფაფისებრი კონსისტენციისა. და იხმარებოდა გარედან ყოველგვარი დაავადების დროს, როცა კი ამას საჭიროდ მიიჩნეოდა მკურნალი ექიმი.

როგორც ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნიდან“ ირკვევა, წამალი ტლეს სახით ზოგჯერ მაშინ იხმარებოდა, როცა ავადმყოფს ასაკის ან თავისი მდგომარეობის გამო არ შეეძლო წამლის სხვა გზით მიღება.

„თუ ამ სენის პატრონი ყმაწვილი იყოს და ესე წამალი არ მიეცემოდეს. ან ორსული დედაკაცი იყოს, და ან ასეთისა გუნებისა იყოს, რომე წამალი არ შეკამოს, ესე ტლე შეუწყევით და ტყირაზედან დასდევით. ხმელი პიტნა და ბორა, თვითოსაგან სწორ-სწორი უწყი ექუსი დრამი. უწყი ძმარშიგან დააღბე და გალესე. და ესე წამლები შიგან გაურიეთ და ტლედ შექენით და ტყირაზედან შეწოსდევით.“<sup>4</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ტლე გარეგანი სახმარი საშუალება იყო, იგი იხმარებოდა არა მარტო კანის, არანედ შინაგანი ორგანოების დაავადების, აგრეთვე ე. წ. ცხროების, ანუ სიცხით მიმდინარე სნეულებათა სამკურნალოდაც.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 302.

<sup>2</sup> იქვე,

<sup>3</sup> იქვე, გვ. 391, 392.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 243.



მაგალითად. ტლე იხმარებოდა წითელი ქარის დროს, გულის, ღვიძლის, ელენთის, ფილტვების დაავადებათა შემთხვევაში, აგრეთვე თავის ტკივილის, ნელანჭლიის დროს და სხვ.

„ტლე მასვე არვებს რომე სიმსიენე სიმხურვალისაგან იყოს და წითელი ქარი რომე სკირდეს და კაცი რომე ერთობ სიმხურვალეზედ იდგეს.“<sup>1</sup>

„ტლე მისი, რომე კაცისა ხორცი რბილად სივდეს და ან სისხა სკირდეს. დაიჭირე საბრი, მორისყუდ, აყაყია და შაფი მამისა ესე ჭუმლად დანაყე და კუ-ჯრცხისა ცილაშიგან დაზილეთ და ვარდის ზეთითა და ვარდის წყლით და ჩმრით, ნაცრით ყუელა ერთად აურჩიეთ და ტლედ ქენით და სადაც სტკიოდეს იქ დაადევით.“<sup>2</sup>

„რაიცა ტყავთა სიმქისით იყოს ნიშანი იგი არს, რომელ ნიადაგ თავსა ბა-ბუნაისა ზეთსა იცხებდეს, და აბანოს მივიდოდეს და წამლითა და ალთალბისასა თავსა და თმათა იცხებდეს, და ესე შემოსადებელი ტლე ქნას ვითარებთა მისი: ახად დრანთისა ფურცელი ერთი კერძი, საკმელი თეთრი ერთი კერძი, ორივე ერთგან ვარდისა ზეთითა კარგად ავენასა სანაყელსა შიგან დაგალოს და აბანოს თავსა იცხებდეს, დია კარგი არს.“<sup>3</sup>

ტლე თავის ტკივილის დროსაც იხმარებოდა: „და თუ თავისა ტკივილი ძუე-ლი იყოს, ხაზდისა გული და ფარფიონი და პილპილი და სპანძელი თვითთო ერთ-ბანეთისა ოდენი და ცოტაი აფიონი თანა გაურიოს და ძუელთა ღვინითა შეზი-ლოს და თავსა შემოსდვას. და ესე ტლე ერგების...“<sup>4</sup>

„ტლე ხატმისა. სიციხე რომე იყოს გულსა და ღვიძლსა ზედა კარგად არ-ჯებს, და გული რომე სტკიოდეს, და სიმხურვალისაგან მას უშველის წამლები მი-სი: ხატმი ერთი პევშვი, ია ერთი პევშვი, ქერის ფქვილი ერთი პევშვი, სამივე ერთმანეთშიგან გაურიეთ და ტირიფის ფურცელი დანაყეთ და ცოტა წყალი გა-ურიეთ და კაკბის საყუნეტელი და ძაღლის ყურძენა დანაყე და გაურიეთ, სამო-სელზედ შესცხე და გულზედ გარდააკარ.“<sup>5</sup>

„თუ ტკივილიცა დაუწყოს მაშინ გრილი ტლევები დასდევით გულზედა. წა-მლები ტლისა, აიღე: თეთრი სანდალი, ქაქუნაჯი თვითთო მუტყალი, აფიონი ერ-თი დანგი, ტაბაშირი მუტყალ ნახევარი, ვარდი დანაყილი და გაცრილი ორი მუ-ტყალი ესე ყუელაი ათსა მუტყალსა ვარდის წყალშიგა შეზილე და გულზედა შემოსდევ ტლევითა. ესე ტკივილსაცა დააწყნარებს და სიმხურვალესაცა გამო-სლვებს.“

თუ ამა ტლემან არ უშუელოს, აიღე: უფული ხუთი მუტყალი, ხმელი კოწა-ბური ხუთი მუტყალი. ვარდი ხმელი ხუთი მუტყალი, ქაქუნაჯი ხუთი მუტყალი, სინამაქი, წითელი სანდალი დაქლიბული თუთოსაგან ხუთი მუტყალი, ხუთი მუტყალი ხმელი ია ფარფარას წუენითა შემოსავლონ და ტლედ გულზედა შე-ბოსდვან.“<sup>6</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 74.

2 იქვე.

3 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 56.

4 იქვე, გვ. 60.

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 75.

6 იქვე, გვ. 289.

ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა ორგანიზმში წამლის შეყვანის სხვა გზებიც. არაიშვიათად მიმართავდნენ წამლის ჩაბერვას ხორხში ამ ორგანოს დაავადების დროს: „თუ საქმე გაძნელდეს და ხორხი შევიწროვდეს ესე წამალი ხორხსა ჩაჰბეროს, ვითარებაი მისი: საბნაისა და ბოლოვისა თესლი. და ნარვი და უპანი, და სომხური ბავრუკი და ნეშადღური თვითონისა ოდენი დანაყილი და გაცრილი ხორხსა ჩაბერონ.“<sup>1</sup>

შარდსადინარისა და შარდის ბუშტის სხვადასხვა დაავადების დროს აღნიშნულ ორგანოებში წამალი შეყავდათ კათეტერის ან ძაბრის საშუალებით.

XI საუკუნის ქართულ სამედიცინო ძეგლში „უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „თავი და კარი სარცხვენელისა. თუ წყლული დაემართოს მისი ნიშანი ესე იყოს, რომე სარცხვენელისა თავმან ტკივილი დაუწყოს და წვა უფრო მაშინ რომე მოფსმიდეს, ფსმაშიგა სისბლიცა და თხრამლიცა გამოვიდოდეს, ესე სიმხურვალისაგან არის, მის წამალი ესე იყოს, ბაზარყატუნი ჟულაბითა შესვან დილეულად ყოველთა დღეთა ნელთბილი. და იისა ფურცელი დანაყე და იისა ზეთითა სარცხვენელზედა შესცხე და კიდეც შეასვით, ან სარცხვენელშიგან ოყნად ჩაასხით, და ნურას ღონისთვის მკეავეს ნუ აქმევთ და საკმელიცა, ასრე რომე თირკმელთათვის გვითქვამს იგი შეუწყვიეთ. და სოსნის ფურცელიცა დანაყონ და ისი ერბოშიგან გაურიონ და სარცხვენელზედა ტლედ შემოსდვან და ამა წამლისა თხელი წვენი გამოარჩიონ და სარცხვენელშიგა ოყნად ჩაასხან.“

თუ ამან არ უშველოს, თეთრი შაფი შეუწყონ და ისი ქალისა დედისა რძითა გალესონ და ისიცა ოყნად ჩაასხან და ანუ ვაშლისა წვენიცა, და თუ ერთობ ნამეტნავად სტკიოდეს და სუსტად იყოს, თხის რძე ქერის კორკოტისა წვენიცა, ბრინჯისა წვენი და ბროწეულისა წვენშიგა გაურივეთ და ისიცა ჩაასხან.“<sup>2</sup>

„თუ ესე სენი სიგრილისაგან იყოს, მისი ნიშანი როგორაცა თირკმლისა სიგრილის ნიშანი არის, ესეცა იმისთანა არის და ნავალი და ფსელი ძნელად გამოვიდეს და ბუშტშიგან სიმძიმე გამოუჩნდეს. წამალი მისი თირკმელია: სიმაგრისა და სიმსივნისა და ამისა ერთი არის და შემოსადებები რაც ამას ზემოთსა სენისაგან სწერია, ისი უყავით, აგრეთვე შიგ ჩასამეცებელი რომე სწერია, რბილი ძაბრითა სასირცხოშიგა ჩაუშვით მარგე არცხ.“<sup>3</sup>

„თუ ამა სენშიგა სარცხვენელისა სიმსივნე დაემართოს ასრე რომე ძნელად მოფსმიდეს და კიდეც სტკიოდეს ასრე სტკიოდეს რომე აკივლებდეს, მერმე ზემო რომე საზელი დავსწერეთ ისი შტვირითა ამოდ-ამოდ სარცხვენელშიგან ჩაასხით. რომე დაალბოს.“<sup>4</sup>

„ბაზარყატუნისა ლაბი დედათა რძითა ანუ ცოტად ქაშქაბითა სარცხვენელშიგან ჩაუწყეთთ ამოთ.“<sup>5</sup>

„ფსლისა კარშიგა ჩაწყეთება უნდა წამლებს.“<sup>6</sup>

„თუ ამა შემკრავსა შარბათებისაგან ცოტა გალესო, თუხმაქანისა წვენიცა, სასირცხოსა შიგა ძაბრით ჩაუშვა, მარგე არის...“<sup>7</sup>

1 „წიგნი სააქიშოი“, გვ. 152.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 343, 344.

3 იქვე, გვ. 345.

4 იქვე, გვ. 342.

5 იქვე, გვ. 345.

6 იქვე, გვ. 346.

7 იქვე, გვ. 348.

საკვიროების შემთხვევაში შარდის ბუშტსა და შარდსადინარში წამლის შე-  
კვანას შეზღვევ საუკუნეებშიც მიმართავდნენ.<sup>1</sup>

როგორც სამედიცინო დამწერლობითი წყაროებიდან ირკვევა, ძველ ქარ-  
თველ ექიმებს შეუშინევიათ, რომ წამალი შეიძლება დედამ მიიღოს და ძუძუს-  
წოვის დროს რძესთან ერთად გადავიდეს ბავშვის ორგანიზმში. ამით ახსნება,  
რომ, როცა უნდოდათ ძუძუმწოვარ ბავშვს წამალი მიეღო, მას დედას ასმევდნენ.

„თუ პატარა ყრმასა სჭირდეს, წამალი მისი დედამ ჰკამოს.“

ცნობილი უოფილა წამლის ჩაწვეთება ცხვირში და თვალში ამ ორგანოების  
დაავადებათა მკურნალობის მიზნით.

„...ნუშისა ზეთსა ცხვირთა ჩაუწვეთებდეს.“<sup>2</sup> „მარზანგუშისა წყალი ბამბი-  
თა შიგა ჩააწუთეთ.“<sup>3</sup>

ზოგიერთი დაავადების დროს მიმართავდნენ წამლის შეფრქვევას ცხვირში.  
„აიღე: იარაჯი ფეყრა ერთი დრამი, მარზანგუში ერთი დრამი შამინდალი, მუშ-  
კი სონიჯი და წეროს ნალველი და ქაფური თვითოსაგან ერთი დანგი დანაყე და  
ჯაცერ ფქვილივითა. მერმე აიღე მაგისგან ერთი დანგი ცხვირშიგან ჩაუბერე.“<sup>4</sup>

„გუნდაი და მტვერი წისქვილისაი, და თეთრი საკმეველი და საბრი, და ხო-  
ნისიოზანნი და თეთრი არჯასპი, ამათ ყოველთაგან რაიცა იყოს გაგალოს და  
ცხვირთა შეჰბეროს.“<sup>5</sup>

ორგანიზმში წამალი შეყავდათ შვორთქლებით. შვორთქლების მიზნით სა-  
მკურნალო მცენარეებს ან სხვა საშუალებებს მოხარშავდნენ. ვიდრე ნახარშს  
ორთქლი ასდიოდა ავადმყოფს წინ დაუდგამდნენ ჰურთქლით. თავზე რაიმეს გა-  
დაახურავდნენ, დაბურავდნენ, რომ ორთქლი უქმად არ დაკარგულიყო და რაც  
შეიძლება მეტი შვორთქლებინა ავადმყოფს.

„აიღე ბაბუნაჯი და ქატო წყალშიგა მოადუღე, რომე ორთქლი გამოვიდეს  
და ზედა თავი დაიჭიროს და ზედა დაიბუროს, რომე ო რ თ ქ ლ ი შ ი გ ა შე ვ ი-  
დ ე ს.“<sup>6</sup>

„მარზანგუში, ბაბუნაჯი და ყაისუმი, სამივე წყლითა მოადუღე და თავი მი-  
სა ორთქლსა ზედა დაიჭიროს, რომე ორთქლი თავსშიგა შევიდეს.“<sup>7</sup>

„აიღე ბაბუნაჯი და შეითურქი წყლით მოადუღე და ისი წყალი უკანა ტაშ-  
ტსა შიგა ჩაასხი და ერთი წინა დაუდგი სნეულსა და ერთი უკანა და დაბურე  
სნეულიცა და ტაშტიცა რომე მისი სითბო შიგან აორთქლდეს და გათბეს და  
ოფლი გამოუყა...“<sup>8</sup>

„აიღე: ცერეცო ბაბუნაჯი, მარზანგუში, აქლილმელიქი, ქოლმი. პრასა, სა-  
დაფი, პიტნა, სონიჯი, ნიახურის თესლი, აშაყი, ყუელა ერთობრად ან თვითო-  
ცივითო წყლით მოადუღე. და სენისა უფალი სკამსა ზედა დასვი და ქვეშე შე-  
უდგი და მობურე კარგად რომე ორთქლი შეუვიდეს.“<sup>9</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 448.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 61.

„უსწორო კარაბადინი“, გვ. 220.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 198.

<sup>5</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 131.

<sup>6</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 213 (ხაზი ჩვენია).

<sup>7</sup> იქვე, გვ. 176.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 143.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 161 (ხაზი ჩვენია).

სხვადასხვა მცენარეულობა „...წყლითა მოადღე და სენისა უფალი სკამ-  
ზედა დასვი და ქვეშე შეუდგი და კარგად მობურე, რომე ორთქლი შევი-  
დეს და თუ თავი სტკიოდეს, ნურცა ამას უზამთ და ამა ნადულარსა შიგა ჩა-  
სვით.“<sup>1</sup>

„ერთი მსუქანი ყურული ქათამი იზოვე და ესე წამლები მუცელშიგა ჩა-  
სყარე და შეუყარე და შეწუი... და რაი შეიწუას მუცელი მასთან გაუპე რომე  
ნისი ბუზბარი მისსა ცხუირშიგა შეუვიდეს და სრულად სასამიგა.“<sup>2</sup>

ყურის მკურნალობა ორთქლით შემდეგნაირად ხდებოდა.

ქურქველი, რომელშიც წამალი იყო დაყენებული, ცხელდებოდა. ქურ-  
ქელს უკავშირებდნენ კალმის ერთ წვერს, მეორეს კი ყურს და ამ გზით წამლის  
ორთქლი შედიოდა ყურში.

„ვეელაი (ლაპარაკია წამლებზე—ავტორები) შეაბგოლოს, და აბრეგსა შეყა-  
როს და თავი გაამაგროს, და კალმისა ერთი თავი აბრეგსა შიგან ჩაყოს და მეორე  
თავი ყურსა შიგან დ ცოტასა ხანსა დათმოს რომელ წამალთა ორთქლი ყურსა  
წებვდეს, რომელ სიმსიენე დაამწიფოს და ტკივილი დააწყნაროს“<sup>3</sup>.

„ბაბუნაი და აქლილამალიქი და ცერეცოი და მარზანგოში წყლითა შეაბ-  
გოს და პირი მისსა ორთქლსა მიუპყრას.“<sup>4</sup>

„და თუ ცოტაი წისქვილის ქვაი ცეცხლითა გაახურვოს და ზედა ძმარი და-  
ასხას და პირი მისსა ორთქლსა მიუპყრას კარგი არს.“<sup>5</sup>

„და თუ ქვაი ცეცხლითა ახურვოს და ძმარსა შიგან ჩაავდოს და პირი მისსა  
ორთქლსა მიუპყრას შეკრულობასა გახსნის...“<sup>6</sup>

„თუ კაცსა მუღმად ცხუირს ცინგლი და წყალი სდიოდეს, მოიტანე ერთი  
აგური და კარგად გაახურე, მერმე გამოილე და ზედ ცხარი ძმარი დაასხი, და ამა  
ცხვირცინგლიანმან კაცმან, ასრე უნდა თავი და ცხური ამა ძმრის ორთქლზედა  
დაიპიროს და თავზედა რამე წაიხუროს რომე ორთქლი არ გაუცივდეს. და კარ-  
გად იორთქლოს...“<sup>7</sup>

მოქმედების მიხედვით ცნობილი იყო ძილმომგვრელი, ტკივილდამაყუჩებე-  
ლი, ხველის დამაწყნარებელი, პირსალებინებელი და მისი დამაწყნარებელი,  
სათფლარათო, აირთა გამომდენი, მადის მომგვრელი, შემკვრელი, შარდის დამდე-  
ნი, რძის გამომუშაების გამაძლიერებელი, სიცხის დამწვევი, ჭიების საწინააღმ-  
დეგო, გულზე, სისხლძარღვებზე. საშვილოსნოზე მოქმედი საშუალებანი. ცნო-  
ბილი იყო აგრეთვე მოწამელის დროს საჭირო ნივთიერებანი და ღონისძიებანი.

ს ა ძ ი ლ ე ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი. „უძილობისათვის წამალი: ხაშხაშისა შარბა-  
თი ასუით. და თუ უფრო ძილი უნდოდეს, ნახევარ დანგი აფიონი გაურივეთ და  
შეასუით. თუ საძილოსა წამალსა შეიქმოდეს, დაიპირე: ნიახურისა თესლი,

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 164 (ხაზი ჩვენია).

2 იქვე, გვ. 286, 287.

3 „წიგნი სააქიში“, გვ. 122.

4 იქვე, გვ. 133.

5 იქვე, გვ. 131.

6 იქვე, გვ. 128.

7 „იადიგარ დაული“, გვ. 258.

ორისა ღრამისა წონა და ხაშხაშისა რომელ არს ყაყაჩოსა, ერთისა ღრამისა წონა, ლემისა თესლი ხუთის ღრამისა წონა ესე დანაყენ და თაფლითა შეზილენ და ოდეს ვინდეს ერთისა ღრამისა წონა შეასვი წყლითა.“<sup>1</sup>

ტკივილ დამაყუჩებელი. „ერგების ტკივილსა ყრმათასა ჩვილთა რომელნი ტიროდეს ნიადაგ და საჩინო მიზეზი არა იყოს და ერგების... აიღე: ხაფრანი წონი ხუთის ღრამისა, და აფიონი და თივა ვაცისა ამათვანი წონი ათისა ღრამის და სუმბული ტიბი და აყარყარა წონა თითო ღრამისა შეკრიბენ ესე წამალნი დანაყენ და გაცერ შაქრითა და თაფლითა შეზილენ და ქურქელსა ჩაღვე და როდეს ვინდეს იხმარე ვითა ნიშანი მოგუცემია ცალკე-ცალკე შეასუთ ამისაგან ყრმასა მცირესა, რომე დღე და ღამე ტიროდეს სამის მარცულის წონა თავის ღედის რძითა ასე და ასე დაუყუდე ბს ტკივილსა და დაუღუპებს მტირალსა მარტვილსა.“<sup>2</sup>

„სტაფილოსა მაჯუნისა ხასიათი არგებს სტომაქისა ტკივილსა.“<sup>3</sup>

ხველის დამაწყენარებელი. „ნიშანი ლოყისა რომელი არს სელის თესლისა რომელი ხუელდენ და არას ამოყრიდენ, ხულასა ხმელსა უშველის... აიღე: სელის თესლი მოხალული და ქათირა და გომიზი არაბი ძირთაფლის რუბი. ამათვან სწორი წონა დანაყეთ, გაცერ და ძირთაფლითა შეზილენ და დილა საღამოს ახმარეთ...“<sup>4</sup>

„აბი ხუელისა. არგებს ხველასა და კაცსა რომე გვერდებშიგან სენი სკირდეს და კაცსა რომელსა ხმა წასლოდეს დაიჭირე: ქასირა თეთრი და სამყი არაბი და კიტრის თესლისა გული და ნესვის თესლის გული და აყიროს თესლის გული და ხაშხაშის თესლი, რომისუს დაფქვილი დაწურვილი ზაფრანა ძეთოსაგან სამ-სამი ღრამი და ნუშის გული ხუთი ღრამი და შაქარი და ყანდი ნაბათი თეიოსაგან სამ-სამი ღრამი. ესე ყუელა დანაყე და გაცერ და ლისონლამალისა წყლით თხილის ოდენი დააგორგალე და ეს თვითო თვითო პირშიგან ჩაიდვას.“<sup>5</sup>

„კიდევ კაი ჰაბი რომე ხუელას უშველის: მოიტანე შაქრის მყინვარი და გევანის ქათირა, და სამყი არაბი, და სამიე დანაყე და გაცერ და ბიის გულის ლობითა მოზილეთ და ნუშის ზეთითა ამისგან ჰაბები შექნან, და მუდამ ესე ჰაბი პირშიგა დაიჭიროს და ხველასა უშველის და ქარსა ამოაღებინებს და გულსა და სტომაქსა მწოედ მოუსვენებს.“<sup>6</sup>

განსხვავებული იყო ბავშვებისათვის მისაცემი ხველის დამაწყენარებელი წამალი.

„ნიშანი ლოყისა არგებს ჩვილთა რომელი იხველდეს ღამით... აიღე: გომიზი არაბი და ძირთაფლის რუბი, ნაყუი გაქუცული მისისა ქერქისაგან, დანაყე და ფანინითა შეასქელეთ... შესმა ამისგან ყრმასა თავის ღედის რძით.“<sup>7</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 189, 190.

2 იქვე, გვ. 91, 92 (ხაზი ჩვენია).

3 იქვე, გვ. 92 (ხაზი ჩვენია).

4 იქვე, გვ. 64 (ხაზი ჩვენია).

5 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 68.

6 „იადიგარ დაუდი“, გვ. 339.

7 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 64.

„კიდევ სხვა, კაი და მრავალჯერ დაცდილი თესლეების ლუყი, რომე ზიყ ნა-  
დასსა და ხველას უსათიოდ უშველის, და უცნოფერს ბველისა და ზიყ ნათასისა-  
თვის დაცდილი და კაი არის.“<sup>1</sup>

ამო სა ხ ვ ე ლ ე ბ ე ლ ი. „და თუ ახუელებდეს ღუფი ყელთან მოადგებო-  
დეს. და ღუქსა და ბალღამსა ყელიდაღმა ვერ ამოსტევედეს, თავად ბარძაყათუნას  
ლოაბი, თუარადა ბიის გულის ლოაბი გამოჰხადე და რომელიც იყოს შაქრითა  
ასვით. და თუ ესე არც ერთი იყოს, ამავე რიგად ტუხტის თესლი დაჯეკონ, დაალ-  
ბონ და ამისი ლოაბი შაქრითა ასეან რომე ესე ლოაბები გულსა და მკერდსა  
უსათიოდ დაუღბობს, ბაყლსა და ბალღამსა მოხნეთქს, და ყუელასა უჭირველად  
ამოაღებინებს.“<sup>2</sup>

მ ა დ ი ს მ ო მ გ ე რ ე ლ ი. „რა ეამს ამა წამლებისაგან მომივდეს. აიღე:  
ზირა ქარმანი, ზანჯაფილი, სულინჯანი, სადაფი ხმელი, ბორა არამანი, ყურფა,  
თვითოსაგან ათი ღრამი, ყარამფული და ფილფილი, დარუფილფილი თვითოსა-  
გან ათი ღრამი. მამულა ექუსი ღრამი, ესე ყუელა ჭუმლად დანაყე და მერმე წმი-  
დათ თაფლით მაჭუნი შექენ და თვითო მუტყალი შარბათი და თუ შეძლოს ორი  
მუტყალი.“<sup>3</sup>

ან კიდევ, „მაჭუნი მუფარაი... სტომაქსა ძალსა მისცემს და სტომაქსა საჭ-  
ნელს მონადრომებს.“<sup>4</sup>

„კაცსა რომე არ ემშეოდეს, საკმელსა მონადრომებს. აიღე: ორი ლიტრა  
წყალი და ერთი ლიტრა კარგი ძმარი, თაფლი ერთი ლიტრა მოადღუღე და პერუ-  
ლი მოხადე სადამღის შესქელდეს. მისგან შესმა უზმოსა ცივითა წყლითა ექუსი  
მუტყალი გააყენოს კაპრისა წვენი დაასხას იგი ეკობინების.“<sup>5</sup>

„და თუ უნდომოდ იყოს იმასაც უშველის და საკმელსა მონადრომებს.“<sup>6</sup>

გ ა ს ა ხ ს ნ ე ლ ი. გასახსნელ წამალს ძველად გასათხეველი ეწოდებოდა.

„და თუ არა გახსნას მერმე კოლინჯისათვის გასახსნელი შაფები რომ სწერია  
ის ააღებინე.“<sup>7</sup>

„იაღიგარ დაუღში“ გასახსნელ წამლებს ცალკე თავი აქვს დათმობილი:  
„ამა წამლებითა მუცელში შეკრულსა კაცსა წამალი ექნების და მუცელშიგა  
გახსნის.“<sup>8</sup>

„და თუ ამა ჰაბის ჭამა მარტო ტანის გაწმენდისათვის გინდოდეს, თვითო  
ჰაბი უნდა ჭამონ, და თუ ამა ჰაბის ჭამა დაშლისა, გვამისა და სტომაქის გაწმენ-  
დისათვის გინდოდეს და მისთვის სკამო, სამი ჰაბი უნდა შესკამო. ასრე უნდა  
ერთის ღამის მესამე წილი რომე გამოვიდეს, ეს სამი ჰაბი ამავე ჭულაბის წყლით  
უნდა ჩაყლაპოს და დილეულ გარიყრაუზედა ესე წამლები სვან, რომე კაცი გა-  
ხსნას და ყოვლის ბალღმისა და საფრისაგან, სევდისა და ავის ხილთებისაგან  
გაწმინდოს და დააღურევინოს.“<sup>9</sup>

<sup>1</sup> „იაღიგარ დაუღში“, გვ. 341.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 350.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 82, 83.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 54.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 57.

<sup>8</sup> „იაღიგარ დაუღში“, გვ. 419.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 582.

შე მკვრე ლი. „და თუ მით არა შეკრას კუერცხის ყუითელი ძმრით მოადულე რომე კარგად მოიხარშოს პურითა და ის აქამე ძალსაც მისცემს და კიდევ შეკრავს. და თუ არ შეკრას შესაკრავი ყურსი მიეც.“<sup>1</sup>

„სტომაქის სისუსტესა არგებს.“<sup>2</sup>

„ჰკიდევ ჰაბი რომე კაცსა მუცელშიგა შეკრავს, და მუცლისა და სტომაქის ტკივილსა მოუსვენებს. და კაცსა რომე სტომაქიდაღმან და წელეზიდაღმან წელთ ნახვეწი სცვიოდეს, იმას მაშინვე მოჰკუეთს და უშველის.“<sup>3</sup>

ს ა შ ე ი ლ ო ს ნ ო ზ ე მ ო მ ქ მ ე დ ი. „ერგების დედათა და რომელთა განოუვეილოდეს სისხლი წიღონებისა დიადი, გარდამეტებულნი.“<sup>4</sup>

ს ა ე ხ ი ს დ ა მ წ ე ვ ე ი. „ცხელებასა უშველის.“<sup>5</sup> „არგებს ცხელებასა.“<sup>6</sup>

„არგებს ფერად ფერადსა ცხროსა.“<sup>7</sup> „ცხროსათვის მარცვალი ქინძისა წვენითა. ან თარაგუბინითა, ან ძირას წყლის ხურეტითა ერთითა.“<sup>8</sup> კურნებაი ცხროსისა რაი დია სიცხისგან იყოს.“<sup>9</sup> „ესე არს ამის ცხროსა წამალი.“<sup>10</sup>

ს ა ს ა ქ მ ე ბ ე ლ ი. „ნიშანი სარწყევლისა წამლისაი, რა ეს მოუნდეს კაცსა, რომელ რწყევა უნდოდეს ბალმისა და ზაფრას გამოწმენდა უნდოდეს, აიღე: ტენცო წყლითა მოადულე კარგად და მერმე გამოწურე და თაფლი გაურივე. მარილიცა გაურივე და შეასვი ლუითითა, არწყევიენებს.“<sup>11</sup>

პ ი რ ღ ე ბ ი ნ ე ბ ი ს დ ა მ ა მ წ ყ ნ ა რ ე ბ ე ლ ი. „გულის რევასა დააწყნარებს და რწყევას დააწყნარებს... აიღე: ბროწეული ტყბილი და მყავე დამარცხელე და დანაყე შეშისა ავანშიგა და გამოწურე, დადგი ერთსა ღამესა რომე დაწინდეს და მერმე პიტნა მოადულე ბროწეულისა წვენისა ნახევარი ქენ და შიგაურივე, მოადულე დადგი და მერმე პიტნისა წვენისა ოდენი შაქარი გაურივე და აადულე ნელად სადამდის შესქელდებოდეს, პერული მოხადე, უკმოდგი და აურივე რომე გასწორდეს. მისგან შესმა უზმომან ცივის წყალითა შვიდი მუტყალი დიდსა კაცსა, პატარასა ხუთი მუტყალი, ყმაწვილსა სამი.“<sup>12</sup>

ქ ი ი ს ს ა წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ო. „მუცელშიგა რომე ჰია ესხას იმა ჰიასა მოჰკლავს.“<sup>13</sup>

ს ა გ ე ლ ე ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი. „უშველის ვულის ტკივილსა და ხაფაყანსა უშველის.“<sup>14</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 50.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 54.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 585.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 70.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 108.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 79.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 78.

<sup>9</sup> „წოგნი სააქიმოი“, გვ. 280.

<sup>10</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 381.

<sup>11</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 396.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 113.

XVI საუკუნის სამედიცინო წიგნში „იადიგარ დაუდი“ საგულე საშუალებებს დათმობილი აქვს სპეციალური თავი: „გულის ტკივილისა, გულის ძგერისა და გულის ფეთქისა, წურილსა და დატდელსა წამლებსა გიაშობს.“<sup>1</sup>

„...გულის ტკივილსა, გულის ფეთქასა და გულის თრთოლას სამსავე უშველის...“<sup>2</sup>

„თუ ამა წამლებმან და ტლევებმან არ უშველოს, და ან გულს არ უკუპყაროს. მოიტანე ქერის ხალი დანაყუ და წმიდად გაცერ და ან ვარდისა და ან ვარდის კაკაჟის წყლითა ტლედ ქნან და გულსა და სტომაქზედა გარდაკრან და მაშინვე გულის თრთოლასა და გულის ფეთქასა ორსავე უშველის.“<sup>3</sup>

შ ა რ დ ი ს დ ა მ დ ე ნ ი. „ესეთი წამალი მიეც, რომე აფსმევიწებდეს.“<sup>4</sup>

„კურნებთა მისი იგი არს, რომელ... ეგეთითა რაისმე რომე ფსელსა აღენდეს საქამადაცა და წამალადაც იხმარებოდეს.“<sup>5</sup>

„ხშირად საზამთროს წვენი შექრითა ასეან ამისთვის რომე შარღზედა გახსნის...“<sup>6</sup>

გავეცნოთ ძველ ქართულ მედიცინაში წონის რა და რა ერთეულები იყო ცნობილი და როგორ იყენებდნენ მათ.

ძველად ყოველგვარ ერთეულს, რომელიც სივრცისა და სიმძიმის გამოსარკვევად იხმარებოდა, „საზომი“ ეწოდებოდა. იგი იყოფოდა დანიშნულების მიხედვით: სითხის საზომს „საწყაული“, ან „საწყეო“ ერქვა, სივრცის საზომს „გაააზომი“, ნივთიერების სიმძიმის გასაგებად იხმარებოდა „ს ა ს წ ო რ ი.“<sup>7</sup>

არსებობდა უღლიანი სასწორი, ორთეფშიანი და ერთეფშიანი, ანუ „ცალ-სასწორი“.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა საწყეო და წონის ერთეულების გარკვევა, რადგან ექიმს წამლის დანაზადებისა და სამკურნალოდ გამოყენების დროს ამ ორი საზომის დაცვა მოეთხოვებოდა.

სამედიცინო წყაროებიდან ირკვევა, რომ ძველ ქართულ მედიცინაში გავრცელებული იყო შემდეგი საზომი ერთეულები: კერატი, ანუ ყერატი, დანგი, დრამი, ანუ დირჰამი, ლიტრა, მიტყალი. ანუ მისხალი, სტილი, თუნგი და სხვ.

წონის ყველაზე გავრცელებულ უმცირეს ოდენობას ქერის, ანუ ქრთილის მარცვალი წარმოადგენდა.

ქერის ოთხი მარცვალი შეადგენდა წონის ერთეულს, რომელსაც „ყ ე რ ა ტ ი“, ანუ „კ ე რ ა ტ ი“ ეწოდებოდა.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 281.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 378.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 379.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 293, 294.

<sup>5</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 220.

<sup>6</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 497.

<sup>7</sup> ქართული ნუმისმატიკა-მეტროლოგიის საკითხები შესანიშნავად აქვს გამოკვლეული აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის ცნობილ წიგნში „ისტორიის მიზანა, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, წიგნი III, ნაკვეთი მესამე, თბილისი, 1952. მაგრამ ძველი ქართული სამედიცინო წყაროები გამოყენებული არ ყოფილა, ამიტომ გამოსარკვევია ხომ არ შეაქვთ მათ რაიმე შესწორება სხვა წყაროების ცნობებში და იხმარებოდა თუ არა მედიცინაში ის ერთეულები, რომლებიც სხვა შემთხვევებში გამოიყენებოდა.



„მუკლი კერატის წონა“<sup>1</sup> „ყერატი ერთი საყმუნია.“<sup>2</sup>

საბას განმარტებით „ოთხი ქრთილის მარცვალი ერთი კერატია.“<sup>3</sup>

ამასვე ადასტურებს საბასდროინდელი სხვა წყაროები, კერძოდ, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“, სადაც ვკითხულობთ:

„ოთხი ზანზანის მარცვალი ერთი ფეტვის მარცვლის წონა არის, ოთხი ფეტვის მარცვალი ერთი ქერის მარცვლის წონა არის, ოთხი ქერის მარცვალი ერთის ცერცვის მარცვლის წონა არის, ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დანგი არის. ერთს ცერცვის მარცვალს ყირათიცა ქვიან.“<sup>4</sup>

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, ქართული კერატი, ბერძნული კერატიონი და რომაული სილიკვა თანაბარი ოდენობის ერთეული ყოფილა და იგი მეტრული სისტემით 0,189 გრამს უდრის.<sup>5</sup>

ზოგი ცნობის მიხედვით, კერატის წონითი მსიშვნელობა მეტია, ზოგის მიხედვით ნაკლებია, მაგრამ სხვაობა მეთასვლედებში მერყეობს და მას არ სცილდება. ეს განსხვავება გაპოწყვეული უნდა იყოს იმით, რომ ქერის, ანუ ქრთილის მარცვალი ყველა თანაბარი სიდიდისა არ არის. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ მას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა წამლის მოქმედების სიძლიერეზე.

კერატზე უფრო დიდი წონითი ერთეული იყო და ა ნ გ ი. ეს წონითი ერთეული ხშირად არის დასახელებული ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში. მაგალითად, „დაიჭირე: ორი დანგი საბრი, ორი დანგი შამიანდალი, ორი დანგი მაჰმუდა, ორი დანგი აფსინდის თესლი, ორი დანგი მასტაქი დანაყე გაკერ და ნიახურის წყლით აბათ შექენ...“<sup>6</sup>

„საბრი თვითონსაგან დრამისა წონი, თურბილი ნახევარისა დრამისა წონი, შაჰმი ჰანტალი დანგი და ნახევარი, საყმონიაი ყერატი, ყველაი ლიტრასა წყალსა შიგან შეავბოლოს რომელ ნახევრად მოვიდეს.“<sup>7</sup>

„მერმე აილე ღარიკონი და ლაყუარდისა ქეა, დანაყილი და გაცრილი, თუთოსაგან თუითო დრამი, და ინდოური მარილი—ორი დანგი, მიაყარე იმა მათბუხშიგა დანაყილი და გაცრილი და ზედან თხუთმეტი დრამი ჟულაბი ღაასხი.“<sup>8</sup>

ზოგი ცნობის მიხედვით, დანგი ოთხი კერატის ტოლია, ხოლო ზოგის მიხედვით—სამი კერატისა.

მაგალითად, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“ ვკითხულობთ: „ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დანგი არის. ერთს ცერცვის მარცვალს ყირათიცა ქვიან.“<sup>9</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 66.

2 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 63.

3 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, დასახელებული გამოცემა, იბ. წიგნი ლ ი ტ რ ა.

4 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „სამართლის წიგნი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ ი ნ ა ე ნ უ ქ ი ძ ე მ, თბილისი, 1955, გვ. 54.

5 ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული წიგნი, გვ. 98.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 65.

7 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 71.

8 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 8.

9 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასახელებული წიგნი, გვ. 54.

საბას განმარტებით „დანგი სამი კერატის წონა“ არის.<sup>1</sup> ამასვე ადასტურებს ჭამედიცინო წყაროებში არსებული ცნობები.

XVIII საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ხელნაწერში დანგი განსაზღვრულია როგორც სამი კერატი.<sup>2</sup>

ყურადღებას იკვეცვს ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“ არსებული ცნობა: „დანგისა მესამედსა პაშტა ჰრქუიან.“<sup>3</sup>

დანგის მესამედს თუ პაშტა ერქვა, დანგი სამი კერატის წონა იყო, მისი მესამედი ერთი კერატია, გამოდის რომ პაშტა კერატის წონა ყოფილა. კერატი და პაშტა სინონიმებად გვევლინებიან.

წონითი სისტემის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, დანგი იქნება 1 კერატის წონა (0.189) გამრავლებული სამზე, ანუ 0,567 გრამი.

დანგზე მეტი იყო დ რ ა მ ა, ანუ დ რ ა ჰ მ ა, დ ი რ ჰ ე მ ი.

საბა თავის ლექსიკონში დრამის წონითი რაოდენობის შესახებ ორ ცნობას იძლევა. ერთის მიხედვით, ოთხი დანგი ერთი დრამაა, ხოლო მეორის მიხედვით, ერთი დრამა ექვსი დანგია. ეს უკანასკნელი აკად. ივ. ჯავახიშვილს სწორად მიაჩნია, რადგან დრამა იგივე რომაული დრაქმაა და მათი წონითი მნიშვნელობა თანაბარია: დრამა ექვსი დანგია. დანგი სამი კერატია, ე. ი. დრამა 18 კერატია. ამასვე უდრიდა რომაული დრაქმა.

მაგრამ ირკვევა, რომ საბას ორივე განმარტება სწორია. დრამა ოთხი დრანიც იყო და ექვსიც, მხოლოდ სხვადასხვა დროს. უფრო აღრინდელი წონითი მნიშვნელობა დრამისა ყოფილა ოთხი დრამა, შემდეგ შეცვლილა და გამხდარა ექვსი.

საბა თავის ლექსიკონში ლიტრის განმარტების დროს აღნიშნავს, რომ თავდაპირველად ლიტრა ნაქლები იყო, შემდეგ მისი ოდენობითი მნიშვნელობა გაზარდა და ახალი ლიტრა ეწოდა.

„პირველ ეამთა ლიტრა უმცირეს იყუნეს, ვიდრე აწინდელი“, ე. ი. ვიდრე ახალი ლიტრა.<sup>4</sup>

ცელო ლიტრის შესაბამისად დრამა ოთხი დანგი იყო, ახალი ლიტრის მიხედვით—ექვსი.

ამას მშვენივრად ადასტურებს ქართული სამედიცინო წყაროები, სადაც დრამის ასეთი ორგვარი მნიშვნელობა არის მოცემული. უძველეს სამედიცინო წიგნებში დრამი ოთხი დანგის, ხოლო უფრო გვიანდელ, მაგალითად, საბას დროინდელში კი, ექვსი დანგის ტოლად არის მიჩნეული.

XI საუკუნის სამედიცინო წიგნში „უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „დრამი ოთხი დანგი არის, ნახევარი დრამი ორი დანგი არის.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, დასახელებული გამოცემა, იხ. დანგი.

<sup>2</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 1318, გვ. 4.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 420.

<sup>4</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, დასახელებული გამოცემა, იხ. ლ ი ტ რ ა.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 31.

მაგრამ XVIII საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო ხელნაწერში კი დრამი ექვს დანგად იანგარიშება: „ექუსი დანგი ერთი დრამია.“<sup>1</sup>

წონითი სისტემით ოთხი დანგის ტოლი დრამი იქნება  $4 \times 0,567$ , ე. ი. 2,268 გრამი, ხოლო ექვის დანგის ტოლი კი  $6 \times 0,567$ , ე. ი. 3,402 გრამი.

დრამის მომდევნო წონითი ერთეული იყო მისხალი, ანუ მიტყალი.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში აღნიშნულია, რომ თითქოს მისხალი ექვის დანგის ტოლი იყოს. ეს არ არის სწორი, რადგან იმ დროისათვის ექვის დანგი ერთ დრამას შეადგენდა და დრამა და მისხალი სხვადასხვა წონის ერთეულებია.

საბას განმარტებით მისხალი დრამანხევარს უდრის, ანუ ცხრა დანგია. ამასვე ადასტურებს სამედიცინო წყაროები.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ მისხალის საბასეული განმარტება უფრო სწორია. თუ ეს ასეა, მაშინ მეტრული სისტემით მისხალი 5,103 გრამი უოფილა.

საკმაოდ გავრცელებულ წონით ერთეულს წარმოადგენდა ლიტრა, ანუ რიტლი.

როგორც წყაროების შესწავლით ირკვევა, ლიტრა რამდენიმე სახისა იყო. ამას გარდა, მისი წონითი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ჯერ იყო „პირველ ლიტრათა წონანი“, შემდეგ ახალი ლიტრა შემოვიდა ხმარებაში.

საბა ამბობს, რომ ლიტრის სიდიდე ადგილის მიხედვით სხვადასხვა იყო: „ქალაქითი ქალაქად ლიტრისა წონა სადმე ოცი თუხტია, სადმე მეტი და სხვაგან ნაკლები.“<sup>2</sup>

ცნობილი იყო ლიტრა ქალაქური, გორული, ბაღდადური, თავრეზული და სხვ.

გორული ლიტრა უდრიდა ოთხას მისხალს, ანუ 2041,2 გრამს. იგი სამედიცინო წყაროებში დასახელებული არ არის.

ქალაქური ლიტრა, საბას თქმით, დაახლოებით 20 თუხტი ყოფილა. თუხტი, ანუ სტილი  $33\frac{1}{2}$  მიტყალს უდრიდა. მაშასადამე, ქალაქური ლიტრა 670 მიტყალი გამოდის.

სამედიცინო წყაროებში, კერძოდ „იადიგარ დაუღში“, დასახელებულია ქალაქური ლიტრა, რომელიც 800 ღირჰამის წონა ყოფილა: „მოიტანე ერთი ლიტრა ქალაქური კაი და ძველი ლეინო, რომე რევაასი ღირჰამი იყოს.“<sup>3</sup>

ასეთივე წონისა იყო თავრეზული ლიტრა: „მოიტანე სამი თავრეზული ლიტრა წყალი და ქუაბშიგა ჩაასხით, რომე ესე წყალი ორიათას ოთხასი ღირჰამი იყოს.“<sup>4</sup>

სამი თავრეზული ლიტრა თუ ორიათას ოთხასი ღირჰამი, ანუ დრამი იყო, ერთი თავრეზული ლიტრა რვა ათასი ღირჰამი ყოფილა.

<sup>1</sup> „კარაბადინი“, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მეზუუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი H, № 1318, გვ. 4.

<sup>2</sup> ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“, დასახელებული გამოცემა, იხ. ლ ი ტ რ ა.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 503.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 221.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის ცნობილ გამოკვლევაში ქართულ საფას-სა-ზომთა შესახებ აღნიშნავს, რომ საქართველოში თავდაპირველად მიღებული ლიტრა 64 მისხალს, ე. ი. 327,45 გრამს უდრიდა. XIII საუკუნიდან უნდა მომხდარიყო ლიტრის გადიდება. მაგრამ ირკვევა, რომ მანამდეც იხმარებოდა უფრო დიდი ზომისა და სხვადასხვა სახის ლიტრა.

მაგალითად, XI საუკუნის წიგნში „უსწორო კარაბადინში“ გვხვდება ერთი ასეთი ცნობა: „ნახევარ ლიტრა შაქარი ას ოცი მიტყალია.“<sup>1</sup>

მაშასადამე, სრული ლიტრა 240 მიტყალი, ანუ მისხალი ყოფილა, ე. ი. 1224, 720 გრამი.

იმავე წყაროში დასახელებულია აგრეთვე „ბლდადური ლიტრა“, მაგრამ არ არის განსაზღვრული რა წონითი ერთეულია ის.

„აიღებდე მისგან ყოველთა დილათა ბლდადურისა ლიტრისა ნახევარსა.“<sup>2</sup>

„დაასხით ბლდადურითა რვა ლიტრა წყალი.“<sup>3</sup>

შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგან ბლდადი ერაყის დედაქალაქია, ამიტომ იქნებ ერაყულ ლიტრას ძველად ჩვენში ბლდადურ ლიტრას ეძახდნენ. თუ ეს ასეა, მაშინ იგი 96 მისხალის ტოლი ყოფილა.

ლიტრის მეოთხედს ჩარქვი, ქართულად გვერდი ეწოდებოდა. ორი ლიტრა ერთი პინას ტოლი იყო, 10 ლიტრა კოკას უდრიდა.

გუილდენშტედტის ცნობით, ერთი ლიტრა ერთი თუნგას ტოლად ითვლებოდა.<sup>4</sup>

გარდა დასახელებულისა, ძველ ქართულ მედიცინაში გამოყენებული იყო აგრეთვე სხვა ერთეულებიც. მათ შორის ზოგის საზომი მნიშვნელობა გამორკვეულია, მცირე ნაწილისა კი ჯერჯერობით არ არის ცნობილი.

ოცა უდრიდა ოთხ დრამს, ასთირი ექვს დრამს, უჟია—თორნეტს, რათალი ასოცდაათს, კოკი დაახლოებით ათს, ჩანახი უდრიდა რვა კილოგრამს, მანი დაახლოებით სამას გრამს, სტილი ოცდათექვსმეტ მისხალს, დორა ხუთ ლიტრას, ჩაგირდაგი, ანუ ვილი დანგის მეოთხედს.

ფიალა უდრიდა დაახლოებით ნახევარ ჰიქას. ჰიქაზე უფრო ნაკლები იყო ფინჯანი, თანაბარი ზომისა იყო თასი და ერთი ჩაის ჰიქა.<sup>5</sup>

იხმარებოდა აგრეთვე საზომი ერთეულები მინდორა და კუსტი.

„აიღე წყალი ბროწეულისა ტუბილისა ერთი მინდორა და შეაგბოლე.“<sup>6</sup>

„აიღე წყალი წყაროთა თორმეტი მი ინ დ ო რ ა“. „აიღე გამოწურვილი ბენსა კარგისა ოცი მინდორა.“<sup>7</sup>

„აიღე წყალი ბროწეულისა ტუბილისა და მკავისა, თითო-სამი კუსტი, და წყალი პიტნისა ბოსტნეულისა — ორი კუსტი და ნახევარი.“<sup>8</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 105.

2 იქვე, გვ. 61.

3 იქვე.

4 И. А. Гильденштедт, „Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа“, СПб., 1809, გვ. 260.

5 ლ. კოტეტიშვილი, „მედიცინა ძველ საქართველოში XIII საუკუნე“, იხ. „წიგნი ჭააქიში“, გვ. XV.

6 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 138.

7 იქვე, გვ. 143.

8 იქვე.

მათი ოდენობითი მნიშვნელობა გაურკვეველია.

ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი იყო შიგნით მისაღები და გარედან სახმარი წამლის მრავალი ფორმა: აბი, ანუ „მარცვალი“, „ნაყი“, ანუ ფხვნილი, „ყურსი“, ანუ კვერი, „მათუხი“, ანუ ნახარში, წვეთები, „შარბათი, „ლუბაბი“, ანუ ემულსია, ნაყენი, მალამო, ტლე, სანთელი, ბურთულა და სხვ.

თითოეული მათგანის დამზადების გარკვეული წესი არსებობდა, რის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ჯერ კი გავეცნოთ ზოგადად ძველად წამლების დასამზადებლად რა ფარმაცევტულ ოპერაციებს აწარმოებდნენ.

ირკვევა, რომ წამლის დამზადების ფარმაცევტული ოპერაციები მეტად მრავალფეროვანი იყო. აწარმოებდნენ ნედლეულის გარჩევას, გაფხეკას, გასუფთავებას, დაღობას, მოხარშვას, გაწურვას, ნაყენის დამზადებას, მოხალვას, დაზელას, დანაყვას, გაცრას, გახმობას, დასორსოლავენას და სხვ.

„აიღე: ორი დანგი შამიანდალი დანაყე გაცერ და აიღე ერთი მარცვალი აბისალტან გარეთ ქერქი შემოაძვრე და გააპე და შიგნით ქერქი რომე აკრავს იგიცა შემოაძვრევით, თვარა კაცსა მოჰკლავს და ოცდა ათი მარცვალი აბალმალუქი ამასაცა ქერქი შემოაძვრე და ორივე დანაყე ამა შამიანდალშიგან გაურვიე და თუ მათუხნით გინდოდეს თბილისა წყლითა გამოწურეთ და შეასვით. და თუ ლოყიად გინდოდეს თაფლითა შეზილეთ და შეასვით...“<sup>1</sup>

„აიღე: მწვანე თუთია წმინდად დანაყე და გარეცხე და გაახმე, აიღე მისგან რაც მოგინდეს და ისრიმისა წვენი დაასხი და მზეს გაუდგი, რომე გახმეს, მერმე კიდევ დაასხი და კიდევ გაახმე, ესე სამჯერ უყავ და მერმე დანაყე, გაცერ, გალესე და გაწურე მტკიცითა სამოსლითა...“<sup>2</sup>

„აიღე: სუნბული და ყარამფული და კილამონი და ზაფრანი და კაკულა დიდროვანი და ბასბასა ამათგანი წონი დრამისა ოროლისა და პილაილა შავი და დარიფილფილი წონი დრამისა ოროლისა და ნახევრისა და ზანჯაბილი წონი დრამისა ოთხისა და სუქი მუშკისა წონი ნახევარ დრამისა ესე წამალნი დანაყე გაცერნ და შაქარი თეთრი ხმელი, ბალდაღურითა ლიტრა ორი, თანგირათა ჩასდვა და ვარდისა წყალი ასხა ზედა და გაადნო ცეცხლითა და ეზომად ადღლე, რომე შესქელდეს და მერმე უქმოიღე ცეცხლთაგან...“<sup>3</sup>

„აიღე საყმუნია ხუთი დრამი და წყლის ჰაკუნტლისა თესლი და კამის თესლი ოთხთხი დრამი კულიავი ნახევარ დრამი ყუეღა დანაყე გაცერ და მერმე აიღე: სიმინდის ფქვილი ორი დრამი შეზილე წყლითა, დახურე დადევ, მერმე მოვიდეს, და აიღე მაგა ცომისაგან და დააგე დანაყილი წამლები, ზედა დაყარე და შეზილე კარგათ და ერთსა დღესა გაუშვი რომე წამლები გაერთდეს და მერმე ფიცარზედა გააპრტყელე და ოცად გაყავ და პურსავით თორნზე მიაყარ და როდესაც გამოცხვეს მოხალე და შეინახე, და როდის გინდოდეს მიეც...“<sup>4</sup>

„დაიჭირე: ია, ხმელი სიფისტონი თვითოსაგან თვითო დრამი და ხვარასანი ჩამიჩი თხუთმეტი დრამი, ასლისუსი ხუთი დრამი ქუნჯითისა თესლი ოცდაათი დრამი მარცვალი, ანისუნი, ზულფა თვითოსაგან ხუთი დრამი ეს წამლები ორსა ლიტრა წყალშიგან ჩაყარე და ერთს ღამესა დააღბე და მერმე ადღლე ვირემ სამოცს დრამზედა მოიყაროს და თხუთმეტი დრამი თაფლი და თხუთმე-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 53, 54.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 201.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 90.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 53.

ტი ღრამი ხიარ შამბარი. ამა ნაღლეგსა წამლებშიგან გაურჩევე, დაწმინდონ და გაწურონ და ერთი მუტყალი იარაჯფეყრა, დანგანახევიარი საყმუნია დაზელილი შიგ გაურჩევე და შეასვი.“<sup>1</sup>

„დაიჭირე: გუნდა და შავი ალილა და ბალილა,ამულა თვითოსაგან ნახევიარ ღრამი დანაყე და მისი წონა მუტყალი წყალშიგან ჩადევით და მერმე ისი ზემო წამლები ჩიგან ჩაყარეთ და სამის ღრამითა თაფლითა ის დაგორგალე და მერმე დილეულად შეასვით...“<sup>2</sup>

სამეურნაღწამლო ნედლეულის მოსახარშად იხმარებოდა ქვის, თიხის და სპილენძის ქურქველი.

„შეჭკრიბენ ეს წამლები და ქვის ქოთანსა შიგან ჩაასხი და ან თანგირათ ზედ ათი ლიტრა წყალი დასხი, დაგბოთ ვირემ დარჩეს მისგან სამი ლიტრა და დასწურო...“<sup>3</sup>

ზოგ შემთხვევაში, როცა მოხარშვა სპილენძის ქვაბში არ შეიძლებოდა, იყენებდნენ თიხისა და ქვის ქურქველს.

„თიხისა ქვაბსა შიგან უნდა შექნა, სპილენძი გაამწარებს.“<sup>4</sup>

„...შეკრიბენ ეს წამლები და ქვისა ქოთანში ჩაასხენ ან თანგირითა წმინდათა და ზედან დაასხით ბაღდადურითა რვა ლიტრა წყალი დაგბოთ ვირემ ორი ნაწილი წავიდეს და მესამედი დარჩეს, მერმე გაწურეთ და ქურქველსა. შიგან ჩაასხით...“<sup>5</sup>

დანაყვას აწარმოებდნენ ხის, ქვის, სპილენძის როდინში, ანუ ავანში.

„დანაყე შეშისა ავანშიგა.“<sup>6</sup>

„კარგად ავანსა სანაყელსა შიგან დაგალოს.“<sup>7</sup>

„აილე ამისგან ათი ღრამი, ავანშიგა დანაყე.“<sup>8</sup>

„ყუელა დანაყე, სპილენძის ავანშიგან ნუ დანაყევ. ქვისა ავანშიგან დანაყე. მისი ჭანგი ავია.“<sup>9</sup>

„ერთსა ხისა ავანშიგა დანაყონ.“<sup>10</sup>

გაცრას აწარმოებდნენ საცრის ან მქიდროდ ნაქსოვი ქსოვილის საშუალებით.

„აბრეშუმის საცრითა გაცერ.“<sup>11</sup>

„დანაყე წამალნი ამათნი ყუელანი ცალკე გაცერ ანუ მჩურითა მტყიციითა.“<sup>12</sup>

ასეთი იყო ზოგადად წამლის დამზადების ფარმაცევტული ოპერაციები. ახლა გავვეცნოთ, სახელდობრ, როგორ კეთდებოდა წამლის ესა თუ ის ფორმა.

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 59, 60.

2 იქვე, გვ. 55.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 103.

5 იქვე, გვ. 61.

6 იქვე, გვ. 104.

7 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 56.

8 „სამეურნალო წიგნი“, გვ. 71.

9 იქვე, გვ. 340.

10 „იადიგარ დაუდი“, გვ. 418.

11 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 215.

12 იქვე, გვ. 56.

ბევლ ქართულ მედიცინაში წამალთა ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იყო აბი (Pilulae).

„აბი“, ანუ ჰაბ არაბული სიტყვაა და თესლს, ანუ მარცვალს ნიშნავს.

ქართული წამლის ამ ფორმას „მარცვალს“ უწოდებდნენ, რადგან მას მრგვალი მარცვლის ფორმა აქვს.<sup>1</sup>

აბის დამზადებისა და ხმარების წესებს XI საუკუნის სამედიცინო წიგნში „უსწორო კარაბადინი“ ცალკე თავი აქვს დათმობილი: „კარი აბისა რომელ არს მარცულები.“<sup>2</sup>

წამლის ამ ფორმის დადებით მხარედ ის ითვლებოდა, რომ შეიძლებოდა იგი ასაკოვანსა და უასაკოსაც, „გრილი ბუნებისა და მხურვალე ბუნების“ კაცსაც წელიწადის ყოველ დროს მისცემოდა:

„...ერგების კაბუკთა და ბერთა, დაშვენდების ყოველსა გუნებასა მხურვალსა და გრილსა; და იმისი აღება სარგებლიანია და კარგი ყოველთა ეამთა.“<sup>3</sup>

ზომის მიხედვით მზადდებოდა ორი სახის აბი: შედარებით დიდი — „თხილის გულისოდენი“ და პატარა — „მარცულები.“

აბის დამზადების ტექნოლოგიური პროცესები ასეთი იყო: აიღებდნენ აბის ძირითად შემადგენელ მასას (მოქმედი ნაწილი), დაამუშავებდნენ, შემდეგ რომელიმე შემკვრელ ნივთიერებას მიუმატებდნენ, შეზელდნენ, დაამზადებდნენ მარცვლებს და ჩრდილში ახმობდნენ.

მოქმედი ნაწილის დამუშავება მდგომარეობდა იმაში, რომ თუ საჭირო იყო, მას დანაყავდნენ, გაკრიდნენ და სხვ.

„აიღე: საარის კუტრი მუტყალი და ნახევარი, ანისონი და ნიახურის თესლი და ნანხუა და ხალილაგი შავი და მარილი ჰინდი და კარამფული და სუმბუელი ამათგანი წონა თითოს დრამისა და მუკლი კერატის წონა, შეკრიბენ ესე წამლები დანაყე გაცერ...“<sup>4</sup>

აბისათვის საჭირო კონსისტენციის მიცემის მიზნით იხმარებოდა ძალე-ყურძენას, ნიახურის, კამის, რაზიანას, პრასის, პიტნის, თურინჯის ქერქის, სადაფის, შაქრის წყალი და სხვ.<sup>5</sup>

როგორც აღვნიშნეთ, შეზელის შემდეგ მარცვლებს აგროვებდნენ და ჩრდილში ახმობდნენ.

მოგვეყავს ამ პროცესის აღწერილობის ერთი მაგალითი:

„აიღე: რევანდი და მური და მუყლი და ვაშაკი და საქფინაჯი და მასტაქი და გუნდრუკი და საბრის კუტრი და თახუის ყუერი ამათგანი წონა სამ საბი დრამისა და ჭანტიანე პერმწული და ენდრო მღებართა და ლაქი და ქუშტი მწარე ამათგანი წონა ოთხოთხისა დრამისა და კილამონი და სუმბული და შაფრანა და პილპილა და ზირა ქირამანი და ნიახურის თესლი და ანისონი ამათგანი წონა თვითო დრამისა თურბუთი თეთრი და ღარიყონი; შამიანდალი და აფსინდისა გამოწურვილი შროშანის ძირი მთისა, ამათგანი წონა ხუთხუთისა დრამისა და-

<sup>1</sup> ლათინური Pilulae იგივე ფორმას—სიმრგვალეს გამოხატავს (Pila-ბურთი).

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 65.

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 65, 70.

ნაცუთ ესე წამლები გაცერ და კამისა წყლითა შეზილე და მარცულად დაქენ, გაახმე და შესმა მისი ძალსა ზედა.“<sup>1</sup>

ცნობილი იყო სხვადასხვა დანიშნულების აბი: „აბი თვალთა და თავისა“. „ნიშანი მარცვლისა ერგების სიმყარალესა პირისა“, „ნიშანი მარცვლისა ჩადე-ბითა პირსა შიგან ერგების მოფოლხვებულეებასა ღრძილთასა რომლისაგან გამო-ვიდოდეს სისხლი“, „აბი ათმანიყონ არგებს ზაფრასა და სევდასა, ბალამსა და რომელი მალვით სატკივარი იყოს და სატკივარი დაძველებოდეს ტანშიგა მის არგებს“, „აბი ყუყია არგებს თავის ტკივილსა, ყურის ტკივილსა და თავის ნახევრისა ტკივილსა და თვალის სინათლესა მოუმატებს და ცხვირსა რომე აღიდოდეს გამოსწმენდს“. „აბი სერინჯან არგებს ფერხისა ტკივილსა და ტანის: ვონჯსა ქარსა და რაცა სენი ბალდმისაგან სკირდეს მას არგებს“, „აბი ბარმაქი არგებს რომე ავი მლიერი ესხას“, „აბი ამაღლჩ არგებს რაცა ტყირპისა სატკი-ვარი არის“, „აბი საბრი არგებს ტანის მქავანასა“, „აბი ზუელისა არგებს ხე-ლდასა“, „აბი უღმათი არგებს რომე პირის სახე გაუმრუდდეს ლოყა, ფერხი და სელი რომე მოღებთ იყოს და ანუ თრთოდეს და ანუ ენა დაებას და მხარშიგან იეკურით იყოს და საქმელს ვერ ინდომებდეს.“

წამალი მზადდებოდა აგრეთვე დაახლოებით ტაბლეტის მაგვარი ფორმით, რომელსაც კვერი, ანუ ყურსი ეწოდებოდა.

კვერებს ამზადებდნენ შემდეგნაირად: ჭერ წამლის მოქმედი, ძირითადი ნა-წილი უნდა დაემუშაებინათ, შემდეგ მისთვის ელასტიკურობის მიმნიჭებელი რაიმე შემკვერელი, წებოვანი ნივთიერება უნდა მიემატებინათ, შეეზილათ, გაე-კეთებინათ კვერებად და ჩრდილში გაეხმით. თითოეული კვერის წონა ნახევარი ან ერთი მიტყალი. ანუ მისხალი უნდა ყოფილიყო. უფრო მეტი ან ნაკლები წონის კვერს სამკურნალოდ არ იყენებდნენ.

„აილე: მური და ნთახუის ყვერი და სუმბული ტიბი და თიხა ბერძნული. უაბეკდული. და სალიხა და თივა ვაციისა ძირი, ამათგანი წონა ოთხოთხისა ღრამისა და ზაფრანა და ქუშტა და აფიონი ამათგანი წონა ხუთხუთისა ღრამისა, ხაშხაშის თესლი წონა ექუს ექუსის ღრამისა, დოკო და ანისონი და ზოფა და ლემის თესლი და კუქუმბრა და ნიახურის თესლი ამათგანი წონა ღრამი რვა რვისა. შეკრიბენ ესე წამლები ხმელნი დანაყენ და გაცერ და წამალი რბილი ღვინითა განადგინე და მერმე შერივენ ყოვლი და კვერად დაქენ, და წონა ყო-ვლისა კვერისა ნახევარ მიტყალისა იყოს და ჩრდილში გაახმე.“<sup>2</sup>

კვერის დამზადების დროს შესაზღელად იხმარებოდა სხვადასხვა ნივთიერე-ბანი და მათ შორის არაბეთის გუმფისი.

„თარგმანი ყურსებისა. ასრე უნდა შექნა ვითაც მოგიტხრობ ჭერარს რა დაალობო წამალი კარგად და შემდგომად შეზილისა და დესხენ ერთსა ქამსა და ორსა, რა გაფუვდეს და გაადნეე გომიზი წონა და იყენე მათ შინა გომიზი ვითა უაშაყი და გომიზი არაბი, რომელი მსგავსი მათი და დაალებთ უწინ ქამითა ერთითა და იცხოს ხელთა ვინ შეუურიოს და იქმოდეს ზეთთგან რომელსა შეე-ტყობოდეს კურთა.“<sup>3</sup>

ცნობილი იყო სხვადასხვა დანიშნულების კვერი: „ყურსი ალილა არგებს კაცი რომე ბალდმინანად იყოს და სტომაქსა ძალსა მისცემს და კიპისა ჩხევრას

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 66.

2 იქვე, გვ. 70.

3 იქვე, გვ. 74.



არგებს, რომე ქარი ჳიჰსა გრეხდეს მასაც არგებს და ბუშტის ტკივილსა და ლირკმელთა ტკივილსა, „ყურსი არგებს სტომაქსა და კბილის ძირს დაამაგრებს.“ „ყურსი მური არგებს დედაკაცისა წესი რომ შეეყური იყოს“, „ყურსი ჳაღური არგებს ცხელებასა და ღვიძლსა“, „ყურსი ქარვა არგებს დედაკაცსა რომე წესი მერად სჭირდეს“, „ყურსი ქაბრი არგებს ტყირბსა რომე მისჭირვებოდეს და გამრუდებულყოფის მისსავე ალაგასა დასვამს“, „ყურსი რევენდისა არგებს კაცსა რომე სიყვითლე სჭირდეს და მწოვედ წყურვილი სჭირდეს და ნას არგებს, კაცსა რომე დღეგამოშვებით აცხელებდეს და ან მესამე დღეს მოუცილოდეს მას არგებს.“<sup>1</sup>

ხსნარის სახით არსებულ წამლებს შორის ცნობილი იყო ნახარში, წყალზე და სპირტზე ნაყენი, ემულსია, ანუ ლობი, წვეთები და სხვ.

ნახარში, ანუ მათბუხი მზადდებოდა შემდეგნაირად: აიღებდნენ სამკურნალ-წამლო ნედლეულს (ნახარშისათვის ძირითადად მცენარეები იხმარებოდა), დაასხამდნენ წყალს (პროპორცია წყალსა და ნედლეულს შორის სხვადასხვა იყო), აღუღებდნენ, გაწურავდნენ; მიღებულ ნახარშს, თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, დაუმატებდნენ სხვა რომელიმე ნივთიერების წვესს და წამალი მზად იყო მისაღებად.

ბევლ ქართულ სამედიცინო წიგნებში აღწერილია მრავალი სხვადასხვა შედგენილობის ნახარში, რომელთა უმეტესობა ზემოაღნიშნული წესით არის დასზადებული. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

„აიღე: ყუითელი ალილა, ქაბჭლი ალილა ბალილა, ამულა თვითოსაგან ნახევარ უკია. გულგამოდებული თხუთმეტი მისხალი აფსინთა, ბაზარყატუნისა ღურცელი, ძირტბილა, ბასვაჭი, შასთარა, ანისონი, აფთიმონი, სურინჯანი, თვი-ოსოსაგან შვიდი შვიდი ღრამი, შავი ჩამიჩი ათი ღრამი, ხმელი ლეღვი ათი მარცვალი. სიწკითი ოცდაათი მარცვალი, ინჯასი ოცი მარცვალი. ეს წამლები რაც გვითქვამს ერთბირად ორს ლიტრას წყალში დაალობს ერთსა ღამესა და დილას და აღუღეთ ეს წამლები და ეს წყალი მანამდე, სანამდის ორი ლიტრა წყალს სამოცს ღრამად მოიყრებოდეს, მასუყანითა შვიდი ღრამი სირხიშტი და შვიდი ღრამი თარანგუბინი ეს ორივე ცოტად თბილის წყლით დაალობონ და გაწურონ. რმა სამოცისა ღრამის წყლისაგან გაურიონ, მაშინ ღარიყონი თეთრი, თურბუთი, ინდოური მარილი, და თუ არ იშოვებოდეს მისად ნაცულად აქაური მარილი ქნას თვითოსაგან ნახევარ ღრამი, დანგ ნახევარი საყმუნია, დანგ ნახევარი მასტაქი ეს წაპლები დანაყეთ და ამ სამოცსა ღრამსა წყალში გაურივეთ. ცოტად ხელთბილი ვისაც უნდოდეს შესვას.“<sup>2</sup>

„აიღე: ნიახურისა თესლი და კამის თესლი და ანისონი და ძირაფლის ძირი. გაჭურცნილი კამის ძირი, ნიახურის ძირი და შალარჯაბრი ამათგანი წონა ათის ღრამისა და ზოვაფა ხმელი წონა ხუთის ღრამისა და ნესვის თესლი და ნიახურის თესლი ამათგანი წონა ხუთხუთისა ღრამისა და ლაქი ბუშური რომელი არის საღებავი ამათგანი წონა ორის ღრამისა და ფუკა ალაღხირი წონა სამის ღრამისა და კიტრის თესლი და ხატმის თესლი ამათგანი წონა ოთხოთხისა ღრამისა და სიბისთანია და ქლიავე გაქუცვილი და ზიბზი ჳაჳისაგან გამორჩეული ამათგან წონა ოთხოთხის ღრამისა შეკრიბენ ეს წამლები და ქვისა ქოთანში ჩაასხენ ან თანგირითა წმინდათა და ზედან დაასხით ბაღდაღურითა რვა ლიტრა

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 70—74.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 59.

წყალი დაგზო ვიკრემ ორი ნაწილი წავიდეს და მესამედი დარჩეს, მერე გაწურეთ. და ქურჭელსა შიგან ჩაასხით და აიღე მისი წყლისაგან ყოველთა დღეთა ბაღდადურისა ლიტრის ნახევარი და ჩაურთევით შიგან ნუშის ზეთსა, ფუსტუყისასა ერთად შერეულსა ხუთის დრამისა წონასა და შესვას დილა საღამოს ერგების, როდეს სევას შვიდსა დღეს ან თხუთმეტსა.<sup>1</sup>

„მატბუხთა ვითარებაი მისი: პალილაი ყვითელი უგურკო ათისა დრამისა წონი, იაი და ვარდი და აფსანთინი თვითოსაგან სამი დრამისა წონი. ყველაი სამსა ლიტრასა წყალსა გარიოს და შებგოლონ რომელ მეოთხედი დარჩეს მისგან და მაშინ მითყალისა ნახევარი საბრი და ყერატი ერთი საყმუნიაი აურივოს და იხმაროს ერგების.“<sup>2</sup>

„მათფუხი ფაქიას იარალი ეს არის მოიტანე ოცი მარცვალი კაი ქლრაგი. თორმეტი ღირკამი უნაბი, თორმეტი ღირკამი თემრი ჰინდი კიდევ ხმელი ია. სინაი მაქი ვითამცდა ფუთფუთას ხის ფოთოლიო, ტყავ შემოცრვილი ტუხტის თესლი და ყუითლის პალილას ტყავი, ამათგან თვითოსაგან ოთხი ოთხი ღირკამი ქენით, და ყუელა ნახევარზედა დანაყეთ, და ეს წამლები ყუელა ექუს ეამამდისინ წყალშიგა დააღებთ. კიდევ მოიტანეთ ხუთი ღირკამი ლულუფრის ყუავილის ფოთოლი, შვიდი ღირკამი ყირმიზის ვარდის ყუავილის ფოთოლი და ესეცა იმა სხვას წამლებშიგან გაურივეთ და ყუელა ერთად მოადღელონ და ამაზედან ათი ღირკამი შირხიშითი, ან ათი ღირკამი გაზანგვი, ან ოცდაათი ღირკამი ახლის ვარდის წვენი, ან ოცდაათი ღირკამი ახლის იის წვენი ესეებიცა დანაყონ და გამოწურონ და ეს წყლებიცა კიდევ ამავე სხვას წყლებში ჩაურიონ. და თუ უფრო ძალიანი და უფრო კაი გინდოდეს, თხუთმეტი ღირკამი ხიარშამბარას გული ერთის ღირკამისა ნუშის ზეთითა გააყენონ და ესეცა იმავე წამლებშიგა ჩაურიონ და დაწურონ, და თუ კიდევ უფრო ძალიანი გინდოდეს ორის მუხედ-ს წონა მაჰმულა წმიდად დანაყეთ. და ესეც იმავე წამლებშიგა გაურივეთ და სრულად ესე წამლები ოცდახუთსა ღირკამსა შაქარზე და დაწურონ დილეულ რომე ჯერ მზე არ ამოსულიყოს უზმოსა ასუან. და თუ ადრე არ გახსნას და ან ხანგამომვებით ასაქმოს ერთი პევშიგა დაჭირვა ახალი ცერეკო და ათი ღირკამი ყირმიზის ვარდის ფოთოლი, და ხუთი ღირკამი ტყავახდილი ტუხტის თესლი. ეს სამივე ერთად მოადღელონ და თხუთმეტსა ღირკამსა თეთრსა შაქარზედა დააწურონ და ასუან. და როდისაცა კაცი მწოედ კარგად ასაქმოს და ან კაცსა სეჰ-ნობა გაუთავდეს. მოიტანე ხუთი ღირკამი ძირტკბილას ძირი, ტყავ გაჰხადე. და კეჰეჰე და მოხარშე.“<sup>3</sup>

ნახარში იხმარებოდა ფილტვების, ღვიძლის და სხვა შინაგანი ორგანოების დაავადების დროს, აგრეთვე ცხროს, ანუ ძალადი სიცხით მიძინარე სნეულებათა სამკურნალოდ.

„ერგების ყოველთა მკერდოვანთა და ყოველსა ძველსა და ახალსა ტყვილსა, ფირტუესა და ხუელასა და ვის ხივილი იყოს ფიცხელი“, „სხვა მათბუხი ერგების ტყვილსა ღვიძლისასა, ხუელასა და ნაზლასა რომელი შეექნების მკერდსა შინა.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 61.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 63.

<sup>3</sup> „იადიგარ დაული“ გვ. 124, 125.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 60, 61.

თვალისა და ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა მკურნალობის დროს ფართოდ გამოიყენებოდა ხსნარი წამალი წვეთების სახით.

იმავე წვენსა რაჟამს დაიძინებდეს, თვითონ წვეთსა ცხვირში ჩამწვეთებდეს.“<sup>1</sup>

„აილე ვარდის წყალი და ქალთა რძე სამი მუტყალი, ქერქგამძურალი ქერი ორი მუტყალი და ორი მუტყალი ბაზრაცატუნი და კომშისა გული ესე ყუელადედათა რბითა და ტირიფისა არაყშიგა გაურთივე და ქიქამიგა ჩაასხი და ცეცხლისა პირსა დადგი რომე გაიზარდოს, მერმე გაწურე და იმისი ლაბა დაიჭირე და ვააცივე და თუალშიგა ჩაუწთვე, ერთობ მარგე არის.“<sup>2</sup>

ხსნარ-წამალთა ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე შარბათი. შარბათი ხსნარის სახით დამზადებული სხვა წამლებისაგან ძირითადად იმით განსხვავდებოდა, რომ მას თაფლს ან შაქარს ურევდნენ.

როგორც XI საუკუნის სამედიცინო დამწერლობით წყაროებიდან ირკვევა, შარბათის დამზადება ხდებოდა შემდეგნაირად: ჯერ სამკურნალწამლო ნედლეულს დააბუშავებდნენ, მერე მოხარშავდნენ, გაწურავდნენ, ბოლოს თაფლს ან შაქარს დაუმატებდნენ და ამის შემდეგ შარბათი მზად იყო მისაღებად.

მოგვყავს ზოგიერთი მაგალითი: „აილე ერთი ლიტრა ია დარჩეული მისის ღერისაგან და ჩასდვა ჭურჭელსა და დაასხა წყალი მღულარე რაზომმანცა დაპდაროს და დაბუროს სარქველი და იყოს დღესა და დამესა უძრავად და მერმე აილე ხუთი ლიტრა ბალდადურითა, თუ გინდოდეს ათი, რაზომცა უმცრო იყოს, შაქარი ეგდენიცა უძლიერე იყოს თეთრი შაქარი და ვითა ნიშანი მოგვიცემია და ჩაზღვა თანგირათა წმიდათა და ან ქოთანსა ქვისასა და ჩაასხა იგი წყალი როქელსა შიგან იყოს ამა შაქარსა ზედა და შეუზგნა ქვეშე ცეცხლი და პერული მოხადეთ ვიდრე შესქელდებოდეს და შეიქნას ვითა გინდეს და მერე ჭიქისა ჭურჭელითა ჩაასხით და იხმარე ეამსა ხმარებისასა...“<sup>3</sup>

ამზადებდნენ ვარდის, ბროწეულის, შროშანის, ფშატის, ლიმონის, თუთის, ვაშლის, კომშის, ყურძნის, პიტნის, ხაშხაშის, ქერის, ტყემლის და სხვა ხილეულის შარბათს.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ:

„შარბათი ლიმონისა. მისი ხასიათი. ზაფრისათუის კარგია და წყურვილსა დააწყნარებს და სტომაქი რომე სუსტად იყოს მას უშუელის. აილე: ლიმონი და დაწურე. ასრე რომე ათი ლატრა წვენი იყოს და ასთენიერთი აღუღე რომე ნახევრად მოიყაროს, ქაფი მოხადე და დაწმინდე და მერმე შაქარი შეუწონეთ და დაუღეთ ასე რომ შესქელდეს, მერმე უკმოდვით აურივეთ რომე გასწორდეს პრაცან შესმა უზომოან ცივითა წყლითა შვიდი მუტყალი.“<sup>4</sup>

XVI საუკუნის სამედიცინო დამწერლობით წყაროებში შარბათის დამზადების პროცესი და წესები უფრო დაწვრილებით არის აღწერილი.

„იადივარ დაუდში“ ვკითხულობთ, რომ შარბათის დასამზადებელი ნედლეულის შერჩევა წელიწადის დროის მიხედვით ხდებოდა. ზამთარში იყენებდნენ მცენარეების ძირებს, გაზაფხულზე ფოთლებს, ზაფხულში ყვავილს, შენოდგომაზე ძირებს ან თესლს.

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 84.

2 იქვე გვ. 218.

3 იქვე, გვ. 94.

4 იქვე, გვ. 102.

აღნიშნულ ნედლეულს დანაყავდნენ, დაჩეჩქვამდნენ, თუ შესაძლებელი იყო წვეწვს გამოხდიდნენ, თუ არა და, მოხარშავდნენ, გამოწურავდნენ და დარჩენილ წვეწვს თავლით ან შაქრით დაატკობდნენ.

არსებობს ცნობა, რომ თითქოს შემკვერელი შარბათი თავლით უნდა დამზადებულიყო. ზოლო გასახსნელი—შაქრით.

„აწე ყოვლსა ფერსა შარბათსა თავ თავისავ ყუავილისა, ხილისა და ბალახის ხასიათი აქუს. აწე შარბათების შექნის წესი და რიგი ასრე არის, რომე ერთი წელიწადი ოთხი ფასლი არის ვითამცა გაზაფხული, ზაფხული, შემოღვრამა. ზამთარი, და ვისცა ამ შარბათების შექმა უნდოდეს ასრე უნდა: თუ ასე შარბათები ზამთარის დღეთა შექნან, ყოვლისა ამა ხილების, ბალახებისა და წამლებისა ძირები უნდა ჰქნათ, თუ გაზაფხულზედა შექნათ, ყოვლისა ამა ხილებისა და ბალახებისა ახლის ფოთლის და ზაფხულის ყუავილისაგან უნდა ჰქნათ, და თუ შემოდგომაშიგა შექნათ, ყოვლისა ხისა და ბალახის ხილებისაგან უნდა ჰქნათ და რომელიცა ან ხილი, ან ყუავილი და ან ბალახები და ან ამისივე ძირები და თესლები ნედლი იყოს, რომე ამათგან წვეწვი გამოიხდებოდეს, დანაყონ და წყალი გამოხადონ და რარიგადაც შარბათის შექნის წესი და რიგი იყოს და ან ამა წიგნშიგა დაგვეწეროს, იმრიგად შარბათები ქენით. და რომელიცა ან ხმელი ბალახები და ძირები, ან ხმელი ხმელი თესლები და ხმელი ყუავილები იყოს, რომე მისგან წყალი არ გამოვიდეს, დაჭეკვე და წყალი დაასხი და მანამდისი აღუღონ. რომე იმა თესლებისა და ბალახებისა ძირი და ხასიათი ყუეღა ამა წყალმან გამოიღოს, მერმე კარგად ამოჰყლიტეთ და გაწურეთ და რარიგადაც შარბათის შექნის წესი და რიგი იყოს, და ან ამა წიგნშიგა დაგვეწეროს. იმრიგად შარბათები ქენით.

აწე ამა შარბათებისა შექნა ასრე უნდა: რომლისაცა შარბათისა შექნა გინდოდეს ამ რიგად წყალი მოჰხადეთ, და ესე გმოხდილი წყალი ერთი პირი წამოაღულეთ და ქაფი მოჰხადეთ, და მერმე, თავლისა გინდოდეს თუ შაქრისა, ესეცა წამოაღულეთ და ამათაცა ქაფა მოჰხადეთ და კუერცხის ცილითა დაახალასეთ, თუ თავლისა გინდოდეს თუ შაქრისა ორი წილი ან თავლი და ან შაქარი უნდა ჰქნათ და ერთი წილი რომლისაცა წამლისა შარბათი გინდოდეს მისი წვეწვი, და თავლისა გინდოდეს თუ შაქრისა ამ რიგად შექნათ, რომე მისი წესი და რიგამ წიგნშივე სწერია.“<sup>1</sup>

„და რომელიცა შარბათი მუცელშიგა შესაკრავად გინდოდეს, თავლითა უნდა ჰქნათ, და თუ მუცელშიგა გასახსნელად გინდოდეს, და შაქრითა, და ესე შარბათები თავლითა ჰქნათ თუ შაქრითა ამდენი და ასრე ზომიერი ჩაურივე რომე ესე შარბათი მწოვედ ტკბილი არ იყოს და წყნარად და ნელად მანამდისი უნდა აღუღონ რომე, რისაცა შარბათსა შეიქმოდეთ და მისმან სულმან ამოდენა დაიწყოს და მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს.

და შაქარი იყოს თუ თავლი, იმა წამლის გემო შეეცუბოდეს და, თუ ესე შარბათები ზამთარის დღეთა შექნათ, უფრო მოთხო უნდა შექნათ, და თუ ზაფხულის და ან სამგზავროდ შექნათ, უფრო მოსქო შექენით, ამისათვის რომე არ დანაყავდეს.

და რა ესე შარბათები ავადმყოფსა კაცსა ასვით, ასრე უნდა, გრილი შარბათები კიდევ გრილის ბალახების წვეწვითა გამოჰხადოს და ამა წყლებითა გალესონ და ისრე ასვან. და რა ნივთიცა წონითა ეს შაქრის შარბათი იყოს ორი

<sup>1</sup> „იალიგარ დულდი“, გვ. 593, 594.

ამა შარბათის წონა. ამა გრილის ბალახების წვენი ქენით გაულესეთ და ისრე ასეთ. გაუზაბანის წყლითა ან ქასნის წყლითა, ან ლულუფრის წყლითა, ან უშა-  
 ჯუნისა და მუაუნას წყლითა, ხოლო რომელიცა იყოს, ამ რიგად რომე დაგვი-  
 წერია, გაულესონ და ისრე ასეან, და რომელიცა მხურვალე შარბათები იყოს  
 კიდევ იმავე რიგად მხურვალის ბალახების წყლითა გაულესონ ისრე ასეან  
 ცერეცოს. კამასა, ტუბტისა და ან გვირილის წყლითა გაულესონ და ისრე ას-  
 ეან. და თუ ესე მხურვალის ბალახების წყლები არ დაგვესწრას ამავე რიგად  
 ერთსა წონასა შარბათზედა ორი წონა თბილი წყალი დაასხან შარბათად გაუ-  
 ლესონ და ისრე სეან.<sup>1</sup>

შარბათის მისაღები რაოდენობა არ იყო მტკიცედ განსაზღვრული. შეიძ-  
 ლებოდა 12-დან 25 ღირკამამდე და მეტიც მიღება: „ვისაც ეჭირებოდეს, და  
 ან ამა შარბათის სმა უნდოდეს, თორმეტის ღირკამიდამან ოცდახუთისა ღირ-  
 კამამდისინ უნდა სეან. რა ნივთიცა ავადმყოფსა გულმან და სტომაქმან გაი-  
 წყოს და მოიხდინოს იმდენი უნდა ასეან.“<sup>2</sup>

სსნარი წამლებიდან ცნობილი იყო აგრეთვე ლობი, ანუ ემულსიის სახით  
 დამზადებული სამკურნალო საშუალება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წამალი იხმარებოდა მალამოს და ტლეს სახით.  
 მალამო წამალთა ერთ-ერთი უძველესი და გავრცელებული ფორმა იყო.

მალამოს დამზადების ფარმაცევტული პროცესი შემდეგში მდგომარეობდა:  
 აიღებდნენ მოქმედ ნაწილს, დანაყავდნენ, გაკრიდნენ, შემდეგ როდინში ჩაყრი-  
 დნენ და რომელიმე ფუძე ნივთიერებას შეაზელდნენ.

„მალამათა შექნას გასწავლის, ისრე უნდა, რაც ხმელი წამალნი დაანაყინე  
 ცალკე და გაეკრ. ცვილი და ზეთი ერთმანეთში გაურივე, ფისიცი თან გაურივე  
 მერმე ავანშიგა ჩაასხენით ღამბალი და დანაყილი წამალი ერთად აურივე კარ-  
 გად ავანში თვით რომე გაერთდეს და რა მოგინდეს იხმარე.“<sup>3</sup>

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მალამოს დასამზადებლად  
 ვარკის ფუძე ნივთიერებათა შერჩევას. მალამოს შეწოვის ხარისხი და, მაშა-  
 სადმე, სამკურნალო გავლენა ბევრად არის დამოკიდებული ფუძე ნივთიერე-  
 ბაზე.

ძველ ქართულ მედიცინაში მალამოს დასამზადებელ ფუძე ნივთიერებად  
 იხმარებოდა: საქონლის (ძროხის) ქონი, ფრინველის (ქათმის) ქონი, მცენა-  
 რეული ზეთები, მათ შორის ზეთის ხილის ზეთი (Ol. Olivarum), ვარდის, იის  
 ზეთი, იხმარებოდა აგრეთვე თეთრი და ყვითელი ცვილი, ქელატინა და სხვ.

„მა ლა მ ა ს ი ნ გ უ რ ი ს ა წითელი, ერგების ყოველსა მჭდომსა გარე-  
 გნით რომ იყოს წყულსა გარშემო რომე წითელი სიმსივნე იყოს მას მჭდომთა  
 და კბილის ტკივილს, ტკივილთა რომე პირი გასივებოდეს, მასაც უშველის ნე-  
 ბითა ღთისათა. აიღე: მურდასანგი ათი ღრამი სინგური და სპეტი ტყვივის წო-  
 ნა ოცის ღრამისა და ცვილი ექუსი ღრამი და იის ზეთი წონა ოცის ღრამისა,  
 ესე წამალნი ხმელნი დანაყე ავანთა შიგან ძრმითა და ცვილითა და იის ზეთის  
 თანა გაადნო და ზედ დაასხა, აურივო რომ გასწორდეს და შეინახე და რა მო-  
 გინდეს იხმარე გამოცდილია და კარგი...“<sup>4</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 594.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 393.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 392.

„ბ ა ს ა ლ ი ყ ო ნ ი ს ა მ ა ლ ა მ ა . უშველოს საცა ძველი და ავი დაკო-  
დილი წყლული არის, აიღე: ძროხის კლიკის ტვინი, ქონი ძროხისა და ცვილი  
შიგ გაურივნე იის ზეთი და ვარდის ზეთი სწორ სწორი, მერმე ათი დრამი ზა-  
რდანიჩო დანაყე შიგ გაურივე.“<sup>1</sup>

„და ზ ი ლ ა ნ ი ს მ ა ლ ა მ ა უშველის დაკოდილსა და დაქექილსა და ძე-  
ვლსა სიმსივნესა აიღე: მურდასანაგი შვიდი დრამი, ხატმი, თუხმაქანი, კვერცხის  
ცილა ყველა ერთად გაურივე და მზეს ქვეშ დადგი, მერმე აიღე: ოცდაათი  
დრამი ზეთის ხილის ზეთი ტაფაშიდ ჩაყარე და ერთგან აღუღე, დაიპირე მუ-  
რდასანგი დანაყე, ისი წამლებშიგ გაურივე ყველა და იხმარე.“<sup>2</sup>

მალამოს დამზადების ფარმაცევტული ოპერაციების მრავალფეროვნების  
თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობები გვხვდება XVI საუკუნის სამედი-  
ცინო წყაროებში. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ „იადიგარ დაუღში“:

„აწე ძმრის მალამის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ცხარი ძმარი რომე ღვინი-  
საგან ქნილიყოს და ზეთის ერბო, თვითოსაგან თვითო რათალი, ვითამცა და  
ორას სამოცი დირჰამიო, კიდე დანაყილი და გაცრილი მურდასანგი ექუსი  
რათალი ვითამცა და სამოცად თერთმეტი დირჰამიო და რაზიყი ვითამცა და  
ლახოსტაკი ზეთი დირჰამი და კაი ქანგარა ოთხი ან ათი დირჰამი. პირველ  
მოიტანეთ ზეთი და ძმარი და ერთმან ერთიშაგა გაურივეთ: და ერთგან გააღნე-  
ვით და მანამდისინ აღუღეთ რომე ძმარი სრულიად წავიდეს და ზეთი დარჩეს.  
მერმე მოიტანეთ ლახოსტაკი და სამჯერ ცეცხლშიგა გაახურვეთ და სამჯერვე  
წყალშიგა ჩაღვეთ, მერმე მოიტანეთ სრულიად ეს წამლები და დანაყეთ და  
წმინდათ გაცერით და ამავე ზეთშიგა ჩაყარეთ და კარგად აზილეთ, და თუ ავან-  
წიგ დანაყოთ ისი სჯობს, და კიდე შემოდგით და წყნარად და ნელად აღუღეთ,  
და მანამდისი უნდა აღუღოთ რომე, კარგად მოსქელდეს, მერმე აიღონ და  
შეინახონ და ძმრის მალამა იქნების, როდისაც უნდოდეს და ან ვისაცა ეკივრე-  
ბოდეს ამოიღონ. დანის პირითა დაზილონ, ძველსა ბამბაზედა თხლად გააქრან  
და წყლულზედა ერთხელ დილასა და ერთხელ საღამო ეამსა და დაადვან.“<sup>3</sup>

რაც შეეხება გარედან სახმარი წამლის მეორე ფორმას—ტლეს, მას ძველ  
ქართულ სამედიცინო დამწერლობით ძეგლებში ცალკე თავი აქვს დათმობი-  
ლი—„კარი ტლებისა“, სადაც აღწერილია ტლეს დამზადების, მისი გამოყე-  
ნების წესი და ჩამოთვლილია ის დაავადებანი, რომელთა სამკურნალოდ მიზან-  
შეწონილად მიიჩნდათ ტლეს ხმარება.

ტლე მზადდებოდა შემდეგნაირად: სამკურნალწამლო მასალას დანაყავდ-  
ნენ, გაცრიდნენ, წყლით დაზელდნენ, სპილენძის ჭურჭელში გააცხელებდნენ,  
შიგ ცვილს ან რომელიმე ცხიმოვან ნივთიერებას ჩაურთავდნენ და შემდეგ  
მტკივნეულ ადგილას დაადებდნენ.

„ჯერ არს რა დანაყენ და გასკრა და შეზილო წყლითა თანგირითა შინა ცე-  
ცხლთა ზედა შემოდვა და შედგომად მისი გააღნო ცვილი ზეთისა თანა და ჩაუ-  
რთე, ვირე ცეცხლითა ზედა დგეს, და შემოზღვა ზედა...“<sup>4</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 392.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 393.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 617, 618.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 75

მოგვეყავს სხვადასხვა დანიშნულების ტლეს მაგალითები:

გულის ტკივილის დროს ეს „ტლე შემოსდევ. აილე: თეთრი სანდალი, ქაფური. ვარდის წყლითა გალესე და გულზედა ქათნის ნაკუეთითა გარდააკარ...“<sup>1</sup>

„წიგნი სააქიმოში“ აღწერილია, რომ თმის გაცვენისას სამკურნალო მიზნით ავადმყოფმა ტლე დაიღოს თავზეო. „და ესე შემოსადებელი ტლე ქნას, ვითარებაი მისი აზად დრაახთისა ფურცელი ერთი კერძი, სარკმელი თეთრი და ერთი კერძი, ორივე ერთგან ვარდისა ზეთითა კარგად ავანსა სანაყურსა შიგან დაგალოს და აბანოს და თავსა იფხებდეს, დია კარგი არს.“<sup>2</sup>

„და თუ კაცი მწოვედ გახსნიო იყოს ან იმა სხვამან წამლებმან ვერ შეკრას ესე ტლევები შემოსდევით და მაშინვე შეპკრავს: მოიტანე ყირმიზი ვარდი და ბროწეულის ყვავილი და ბროწეულის ქერქი, და ვაშლისა და ბიის ფოთოლი ესეები დანაყონ და ძველის ღვინითა მოხარშონ და ტლედ ქნან, და გულსა, წუცელსა და სტომაქის თავზედა სამოსლის ნაჭერითა გარდააკრან, უსათიოდ შეპკრავს.“<sup>3</sup>

„იკიდევ ესე ტლე მწოვედ კაი არის, და ამა ტლესა ზამადი ბარად ჰქუიან: მოიტანე ოცდა თექუსმეტი დირჰამი კაი ცვილი. და ვარდის ზეთი და ია თორნეტი თორმეტი დირჰამი, პირველ ცვილი გააღნე და ცოტა ვარდის წყალი გაურონ. და მერმე ვარდის ზეთითა, და იითა ტლედ გააკეთონ, და ათსა თორმეტსა დღესა ზედა ზედ სამოსლის ნაჭერითა, ესე ტლე გულსა და სტომაქზედა გარდააკრან.“<sup>4</sup>

„და თუ ვერცა იმა ზამადი ბარადის ტლემან, და ვერცა ამა წამლებმან გულს ვერ გარდაჰყაროს, მოიტანე ია და ვარდი, ტუნტის ხის ნეკერი, ქერის უკვილი, დანაყლი კანაფის თესლი, ასრე უნდა ეს წამლები ყუელა წმინდად დანაყონ და ან ვარდისა; და ან ქანისი წყლითა ტლედ გააკეთონ და სამოსლის ნაჭერითა გულსა და სტომაქზედა გარდააკრან. ესე ტლე მწოვედ კაი ტლე არის და მაშინვე სიცხესა გაუგდებს.“<sup>5</sup>

„და გულსა და სტომაქზედა ხშირად ამრიგი ტლევები გარდააკრან. ან მელის ჭუდას უკვილისა ან საკიოწყლისა, ანუ ყუავის ქანგას ზეთითა, და ან ვარდის წყლითა ზელსახოცი დაასოვლონ და გულსა, სტომაქსა და მუცელზედა გარდააკრან. ან თუ იწოვებოდეს ამავე რიგად თრიაქი არაბას ტლე გარდააკრან.“

და თუ ამით არ უშველონ და ან არ უკუჰყაროს, მერმე მოიტანე კევი, საკნელი, მისაყი, ჰილი, ზაფრანა, ენისუნი, ფარფონი, ყირმიზი ვარდი, უდი, და ესე წამლები ყუელა სწორ სწორ ქენ, დანაყე და ყუელა ერთად აურივეთ, და ზეთითა ტლედ გააკეთეთ და გაათბეთ, და სამოსლის ნაჭერითა გულსა სტომაქსა და მუცელზედა შემოსდევით, რაუა გულსა და სტომაქშიგა ქარი და სიცივე არის ყუელასა გააქარვებს და გამოიღებს.“<sup>6</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 285.

2 „წიგნი სააქიმოში“, გვ. 56.

3 „იალიგარ დაუდი“, გვ. 367.

4 იქვე, გვ. 368.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 370.

ყურადღებას იქცევს ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში არსებული ცნობები სანთლებისა და ბურთულების დამზადების წესების შესახებ.

სანთლები მზადდებოდა ასეთი წესით: წამლის მოქმედ ნაწილს დაამუშავებდნენ; თუ დასაწყის იყო, დანაყადნენ, გაკრიდნენ, შემდეგ ფუძე ნივთიერებას შეურევდნენ, ადუღებდნენ, შემდეგ გააცივებდნენ, დაამზადებდნენ სანთლებს და გახმობდნენ.

„აიღე ბავრუკი ერთი ნაწილი და მარილი საცომე ერთი ნაწილი დანაყენ დაკრენ მტკიცეთა, აიღე ხარისა ნაღელი ერთი ნაწილი და მისივე ზომი თაფლი და ესე წამალნი ყუელა ერთად შერიენ და ჩასდვა რკინასა ციცხუსა და აღულე ვირემდის შესქელდეს ასრე, ვითა ალუხაზი და უკმოიღე და გარივენ ესე წამალნი ერთად და გააცივეთ და ნეკის ოდენობდენი შაფად შექენ და აცალო ვირემ გახმეს.“<sup>1</sup>

საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სანთელს შუაგულში მატყლის მომსხო ძაფს ჩაატანდნენ იმ მიზნით, რომ საკიროების შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილიყო სანთლის გამოღება.

ბურთულების დამზადების წესი ისეთივე იყო, როგორც სანთლებისა. მათ შორის განსხვავება იყო მხოლოდ ფორმის მხრივ. ბურთულები უმთავრესად გინეკოლოგიურ პრაქტიკაში იხმარებოდა: „და თუ ამითა დაორსულდეს, მოიტანე დარიჩინი, ბაზბაზი, თეთრი საკმელი და უშალი, რომე სპარსნი დანაი ჩადირს უძახიან და ესე წამლები ყველა სწორ სწორი უნდა ქნან, წმიდა და დანაყეთ და გაცერით და თხის თირკმლის ქონითა მაგრად მოზილონ და თ ხ ი ლ ი ს ო დ ე ნ ო დ ე ნ ი გ უ ნ დ ე ბ ი შექმნან... ამისგან ერთი გუნდა საყმაწვილოსა პირშიგა მისცენ და ერთსა ქამსა შიგ უნდა დაიკირონ...“<sup>2</sup>

წამლის დასამზადებლად გამოიყენებოდა მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ნედლეული. იხმარებოდა მცენარის ძირი, ღერო, ფოთოლი, ყვავილი, თესლი, ქერქი, ნაცარი და სხვ.

მაგალითად, „აიღე: თესლები ეგრევე და ძირები დააგბო.“<sup>3</sup>

„კამის ძირი და ნიახურის ძირი ამათგანი თვითო ლიტრა და კამის თესლი და ნიახურის თესლი...“<sup>4</sup>

„ერთობ ოსტატი კაცი უნდა, რომე შეიგნას ზოგი ძირი, ზოგი ყუავილი, ზოგი ფურცელი, ზოგი თესლი, ზოგი ხე, ზოგი ტყავი...“<sup>5</sup>

„ტირიფისა ფურცელი“<sup>6</sup>, ე. ი. ტირიფის ფოთოლი.

„ვინცა ტუხტისა ან ყუავილი და ან თესლი ღანაყოს...“<sup>7</sup>

„ტირიფისა ხის ნაცარი.“<sup>8</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 24.

<sup>2</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 462.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“ გვ. 112.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 113.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 46.

<sup>6</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 67.

<sup>7</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 509.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 510.



განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წამლის შენახვას, რადგან შემჩნეული ჰქონდათ. რომ არასათანადოდ შენახული მოქმედების ძალას კარგავდა, საინჟურნალო შედეგს აღარ იძლეოდა. გამოცდილებით იცოდნენ, თუ რომელი წამალი როგორ მითრობებში ინარჩუნებდა სამკურნალო მოქმედების ძალას და კდილობდნენ მით დაცვას.

წამლის შესანახად იხმარებოდა შუშის, თიხის, ლითონის და სხვა მასალისაგან დამზადებული ჭურჭელი.

თუ წამლის შემადგენლობაში ცხამი და თაფლი შედიოდა, მას ინახავდნენ შუშის ან მოკიქულ თიხის ჭურჭელში, რომ არ მომხდარიყო ცხიმისა და თაფლის გაწოვა და წამალს არ დაეკარგა მოქმედების ძალა.

„ესე მაჭუნნი დიდროანნი და იარაჯნი შეზელილი თაფლითა, ჩაახუნე ჭურჭელსა კიქისასა და ანუ ქურაზარა მაგარსა რომე არა გაიწოვოს ჭურჭელმან ზეთი და თაფლი და წახდეს წამლისა ძალი.“<sup>1</sup>

„...ესე წამალნი ყუელანი დანაყენ და გაცერ და პერულ მოხდილთა თაფლითა შეზილე კიქის ჭურჭელში ჩადეც...“<sup>2</sup>

შუშის ჭურჭელში ინახებოდა წამალი იმ შემთხვევაშიც, როცა უნდოდათ, რომ სინოტივეს არ მოეხდინა მასზე გავლენა. საერთოდ, ასეთ შემთხვევაში გარდა იმისა, რომ წამალს შუშის ჭურჭელში ინახავდნენ, მას სინოტივეს არიდებდნენ: „კიქისა ჭურჭელსა ჩაკრიფენ და სინოტიოსა აკრძალებთ.“<sup>3</sup>

როგორც აღვნიშნეთ, წამლის შესანახად იხმარებოდა ლითონისაგან დამზადებული ჭურჭელიც, მაგალითად, სპილენძისაგან, ვერცხლისაგან დამზადებული და სხვ.

„...დანაყენ ეს წამალნი ცალკე ცალკე, გაცერ მტკიცისა საცერითა და დუნალ ბალასანი თანა შერივეთ, რაზომნი წამალნი იყუნენ, სამი ნაწილი თაფლი პერულ მოხდილი იყოს და მით შეზილონ და ვერცხლის ჭურჭელსა ჩადვას და იხმაროს შემდგომად ექუსასა თვისა.“<sup>4</sup>

„ვინცა ესე მალამო ვერცხლის კოლოფითა შეინახოს, ყოვლის წყლულისათვის გამორჩეული არის.“<sup>5</sup>

ცნობილი იყო, რომ სპილენძის ჭურჭელში ყოველგვარი წამლის შენახვა არ შეიძლება. ჩანს, შემჩნეული ჰქონდათ ზოგიერთ წამალზე სპილენძის ჭურჭლის უარყოფითი გავლენა.

„ანას სპილენძის ჭურჭლით ნუ შეინახავ, ნურც დანაყ, მისი ეანგი ავი არს.“<sup>6</sup>

არსებობს ცნობები, რომ წამალს კოლოფშიც ინახავდნენ. თუ როგორი იყო და რა მასალისაგან ამზადებდნენ კოლოფებს, ეს არ ჩანს.

„შეინახე კოლოფითა და რა მოგინდეს მიეც მისგან მიტყალი ოცი.“<sup>7</sup>

1 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 56.

2 იქვე, გვ. 55.

3 იქვე, გვ. 91.

4 იქვე, გვ. 79.

5 „იადიგარ დაუდი“, გვ. 618, 619.

6 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 395.

7 იქვე, გვ. 107.

წამლის გასახვევად იხმარებოდა ქალაღი. „უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „თუ გინდოდეს რომე ეს წამალი შზას იყოს, ამისგან აბები შექნას და გაახმე და ქალაღდშივა წაახვიე და მზა იქნების და რა მოგინდეს წყლის ქაკუნტლის წყალში მალამად შექენ და ზედ დასდევ.“<sup>1</sup>

ძველად წამალს ექიმი ამზადებდა. ზოგიერთი წამალი წინდაწინ ჰქონდა გაკეთებული და შენახული, ზოგიერთს კი საჭიროების მიხედვით აკეთებდა.

„...შეზილე და ქურქელსა ჩაზღევ, როდეს გინდოდეს იხმარე.“<sup>2</sup>

„...ქურქელსა ჩადევ ხმარებისა ეამამდის.“<sup>3</sup>

XVIII საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ იმ დროისათვის მზა წამალს ცალკე ფარდულებში ყიდდნენ.<sup>4</sup>

ავადმყოფს წამალი ეძლეოდა ერთჯერადად, ორჯერადად, სამჯერადად და შ.

ზოგი წამალი ავადმყოფს აუცილებლად უზმოდ უნდა დაეღია, ზოგი, პირიქით, კამის შემდეგ.

„ყოველთა დღეთა თვითოსა ნიგუზის ოდენ ოდენი შექამე უზმოსა.“<sup>5</sup>

წამლის შემადგენლობის სიას ძველ ქართულ მედიცინაში ნუ ს ხ ა ეწოდებოდა. ეს სიტყვა თავისი მნიშვნელობით რეცეპტს შეესაბამება.

„თუ ამა სენისა უფალი მსუქანი იყოს ლუიძლისა ადგილსა ესე ტლე შემოსდევ, ამა ნუ ს ხ ი თ ა ა ი ლ ე.“<sup>6</sup>

„თუ არ უშუელოს ლუქისა ყურსი მიეც ამა ნუ ს ხ ი თ ა ა ი ლ ე.“<sup>7</sup>

ცნობილი იყო სხვადასხვა სახის ნუსხები. ნაწილი ნუსხებისა თვით ქართველ ექიმთა მიერ იყო შემუშავებული საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, ნაწილი კი სხვადასხვა ქვეყნის მედიცინიდან იყო შეთვისებული. ცნობილი იყო ჩინეთის, ეგვიპტის, ინდოეთის, ბაბილონის, საბერძნეთის, რომის, არაბეთის, სპარსეთის მედიცინის ზოგიერთი ნუსხა.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 108.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 81.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და სძიებლები დაურთო ი. ვ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ, თბილისი, 1957, გვ. 15.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 92.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 296.

<sup>7</sup> იქვე.

## სამკურნალო მცენარეები

მცენარეთა გამოყენება სამკურნალო მიზნით ადამიანმა უხსოვარი დროიდან დაიწყო. ამ მხრივ იშვიათად მდიდარი ტრადიცია გააჩნია ქართველ ხალხს. ათასეული წლების მანძილზე ჩვენი ხალხი სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად ძალიან ფართოდ მცენარეებსაც იყენებდა.

მრავალი წყარო მეტყველებს ქართველების მიერ მცენარის სამკურნალო დანიშნულებით ხმარების შესახებ. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა თქმულება არგონავტებზე, რომელშიც გვხვდება ცნობები ძველ კოლხურ მედიცინაზე საერთოდ და კერძოდ მცენარეებისაგან წამლების დამზადების შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია კოლხეთის მეფის მეუღლის ჰეკატას ბოტანიკური ბაღი, რომელიც მთელი რიგი წყაროების თანახმად, აღიარებულია სამკურნალო მცენარეების ბაღად.

არგონავტების მოგზაურობის ერთ-ერთ ვარიანტში აღწერილია ეს ბაღი, რომელშიც გაშენებული უნდა ყოფილიყო შემდეგი მცენარეები: ნარგაზი, ცერცველა, ვენერას თმა (გვიმრა), ძალღუფრძენა, შაპირუსი, ცოცხანა, ფრინტა, ბაღის სალაბი, გონგოლა, ყოჩივარდა, ლავანდი, იორდასალეზა, პიტნა, მანდრაგორი, ურცი, ჯლისარჩული, თავშავა, ილი, ეკალიძი, გვიმრა, ყაყაჩო, ძირთეთრა, ბალბა, ნარდი, კატაბალანა, აკონიტუმი და სხვ.

ამ ბაღმა თავის დროზე დიდი ყურადღება მიიპყრო. ანტიკურ ავტორთა მონაცემების გამოყენებით ზოგიერთმა მკვლევარმა სცადა გაერკვია, თუ რა მცენარეებს უნდა შეესაბამებოდეს ძველი სახელწოდებები და რა დანიშნულებით უნდა ყოფილიყო ისინი გამოყენებული.

ქართულ მედიცინაში ხმარებული სამკურნალო მცენარეების, ამ სფეროში ქართველი ხალხის მიერ მოპოვებული ისტორიული გამოცდილებისა და ცოდნის შესახებ ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყო გამოქვეყნებული ნაშრომები, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ა. იაშვილის ფართოდ ცნობილი ნაკვევი „Народная медицина в Закавказском крае“. ჩვენ ეთნოგრაფებს, ენათმეცნიერებს, ქართული ფოლკლორის მკვლევართ, ისტორიკოსებს, ბოტანიკოსებს და მედიცინის დარგის მოღვაწეებს უკვე თავმოყრილი აქვთ უაღრესად ძვირფასი მასალა ამ საკითხის თაობაზე.

„საქართველოს მედიცინის ისტორიის“ მესამე ტომის საერთო გეგმიდან გამომდინარე წინამდებარე თავის ამოცანას არ შეადგენს ამ მასალის თავის-

მოყრა და განხილვა. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ ზოგიერთი მონაცემის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია ძველ ქართულ სამედიცინო ხასიათის ძირითად წერილობით წყაროებში.

თავისთავად ცხადია, რომ ძველად სამკურნალოდ ხმარებულ მცენარეებს შორის ბევრი რამ არის საყურადღებო და ამ მცენარეთა მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი შესულია თანამედროვე მედიცინის სამკურნალო საშუალებათა არსენალში. ძველ ქართულ მედიცინაში გამოყენებული ზოგიერთი მცენარე ჩვენს დროში უკვე შესწავლილია და დანერგილიც არის მედიცინაში; ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს მეცნიერებს და პირველ რიგში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს პროფ. ი. ქუთათელაძეს.

მაგრამ ძველი საქართველოს იშვიათი მონაპოვარი, ეს მეტად ძვირფასი საგანძური ჭერ მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი და გამოყენებული. მისი შემდგომი გაღრმავებული შესწავლა ბევრს შემატებს თანამედროვე მედიცინას.

თავისთავად ცხადია, რომ ამ თავში განხილული სამკურნალო მცენარეები, მათი სათანადო მეცნიერული შესწავლის და შემოწმების გარეშე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას გამოყენებული ავადმყოფის სამკურნალოდ. მეცნიერული, ლაბორატორიულ-ფარმაკოლოგიური და კლინიკური შესწავლა-შემოწმების გარეშე მათი სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება ავადმყოფს მხოლოდ ზიანს მოუტანს. ძველად ხმარებულ მცენარეულ საშუალებათა, ისე როგორც ყოველგვარი სამკურნალო საშუალების, გამოყენება მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, სიზუსტეს, ამა თუ იმ საშუალების ფიზიოლოგიურ-ფარმაკოლოგიური მოქმედების, მისი დოზირების, დანიშნულების ჩვენებების და მრავალი სხვა მხარის ზუსტ მეცნიერულ ცოდნას.

განვიხლითთ საკითხი, თუ რომელი სამკურნალო მცენარეები იყო ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი და რა მიზნით იყენებდნენ მათ.

**აბზინდა**—აფსინთი, *Polynhъ горыкая, Artemisia absinthium L., Compositae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ამჟამად ეს მცენარე ჩვენში გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ველების ფარგლებში.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში იგი ხშირად გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: აფსინთა, ელევენი, შეია, ავსანთინი, ფარიავშანი, ოშინდარი, პეტრანი, რომლის შესახებ ნათქვამია, რომ იგი „აფსინდია და ოშინდარი.“<sup>1</sup>

ა. ო. იაშვილი ნაშრომში „ხალხურა მედიცინა ამიერკავკასიაში“ მიუთითებს, რომ ამ მცენარეს წარსულში ფარისაც უწოდებდნენ. ა იაშვილს აღნიშნული აქვს, რომ ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ხშირად გვხვდება ავსანთინი რუმში.

<sup>1</sup> ხელნაწერი Q 877, დატულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

სამკურნალო მიზნით იხმარებოდა თვით მცენარე, მისი თესლი, ფესვი, ნა-  
ცარი, ზეთი. მზადდებოდა ნაყი (ფხენილი), ჰაბი, შარაბი, ყურსი, ლიდიმედი,  
რუბი.

აბზინდა ბალახის სამკურნალო თვისებებს შემდეგნაირად ახასიათებდნენ:  
„ფარივეშან ჰალინი და ავსანთინი რუმი, ორივე აბზინდა ბალახსა ჰქუიან, და ესე  
აბზინდას ბალახი მხურვალე და ხმელი არის, გრილსა სტომაქსა და გრილსა  
ლვიძლას ორსავე მწოედ არგებს. რაც კაცისა სტომაქშია ან ბალაში, ან სეე-  
და და ან ქარი არის, ყუელას დაღეწს და გააქარეებს...“<sup>1</sup>

ზოგიერთ წყაროში აღნიშნულია, რომ აბზინდა ბალახს სხვადასხვა სა-  
ხით ხმარობდნენ თავის ტკივილის წინააღმდეგ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთ ხელნაწერში ნახსენებია  
აბზინდის მაცხენი, რომელიც „ერგების ტკივილსა სტომაქისასა და ნესტუთა და  
ყოველთა ლვიძლისას და სიმსივნესა ფაწალისასა და გაუვალობასა და უფსმა-  
ლობასა.“<sup>2</sup>

იმვე წყაროში მოტანილია „აბზინდას ლიდიმედი“ ლვიძლის სიმსივნისათ-  
ვის. გვხვდება „მათუხი აბზინთინ“, „რომელიც არგებს ბავასირსა რომე ავი  
წყლული იყოს ტანზედა მასაც არგებს და ფერხსა და მუხლსა რომე ქარი იყოს  
მასაც არგებს და სული რომე ვიწროდ ამოზიოდეს მასაც არგებს.“<sup>3</sup>

გარდა ამისა, ავსანთინი შედიოდა აბი ყუყიას შემადგენლობაში, რომელიც  
„...ჯალინოზ აქიმსა შეუწყვიან“. სთვლიდნენ, რომ „აბი ყუყია არგებს თავის  
ტკივილსა და ყურის ტკივილსა და თავის ნახევრისა ტკივილსა და თვალს სინა-  
თლესა მოკმატებს და ცხვირსა რომე სდიოდეს გამოსწმენდს და თავშიგან რომე  
სიხმელე სჭირდეს ერგების.“<sup>4</sup>

გვხვდება აბზინდის შარაბით: „ამისი ხასიათი ეს არის, კაცსა სტომაქი გაუ-  
ციოდეს და წაუხდეს, რომე კაცი მართლად საკმელსა ედარ აღნობდეს, და იძას  
სამსავე უშეელის, სტომაქსა გაათობს და გააძალიანებს და ტყირპისა ტკივილ-  
სა და ტყირპისა სუდასათვის უცხოფრად კარგი არის.“<sup>5</sup>

კიის საწინააღმდეგოდ ხმარებულ წამლებში ყველგან შედიოდა ავსანთინი.

აბზინდის ნაცარი იხმარებოდა თმის გაცვენის შემთხვევაში: „ვინცა ესე აბ-  
ზინდა დაწვას და ამისი ნაცარი გაცვიენილსა თმაზედა შეისვას, თმის გამოშე-  
ვისათვის მწოედ კარგი არის.“<sup>6</sup>

როგორც ჩანს, ძველ ქართულ მედიცინაში აბზინდა ძალიან ხშირად იხმარე-  
ბოდა და მრავალი დაავადების სამკურნალოდ იყო გამოყენებული.

თანამედროვე მედიცინაში აბზინდას ეს სახე გამოყენებულია მცენარის მი-  
წის ზედა ნაწილის სახით — *Herba absinthii*. იგი აღწერილია საბჭოთა კავში-

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 181.

<sup>2</sup> ხელნაწერი Q 877, დატულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუ-  
მის ხელნაწერთა განყოფილებაში.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბდინი“, გვ. 64.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 67.

<sup>5</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 609.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 522.

რის ფარმაკოპეაში (VIII გამოცემა, 1952, გვ. 253). მისგან ამზადებენ ალკო-პოლნაყენს — *Tinctura absinthii* შედის მწარე ნაყენის — *Tinctura amara*-ს შემადგენლობაში. გამოყენებულია აგრეთვე *Artemisia cina* Begr, რომლის ყვავილები შეიცავს სანტონინს და კიის საწინააღმდეგო საშუალებად იხმარება. მას ხოროსანს უწოდებენ (იხ. ხოროსანი).

აბალისი, აბულასი — იხ. მოცხარი.

აბთალხაზარი — იხ. ჩათლაყუში.

აბინილი, აბილილი — *Паничи крученые* — *Convolvulus tricolor* L. (= *Jpomae tricolor* L.), *Convolvulaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ა. მაყაშვილის მიხედვით აბილილი — *Jpomae Purpureae* Roth, ძველად კი, ალბათ, აბილილის სახელწოდებით *Convolvulus*-ს აღნიშნავდნენ.

რ. ერისთავს ჩამოთვლილი აქვს აბილილის სხვადასხვა სახეობა: ლურჯი, პირისფერი, ოთარი, კრელი, ხოლო ერთ ძველ ხელნაწერ ლექსიკონში<sup>1</sup> ვხვდებით განმარტებას— „აბილილი-კონვოლველუს-ლილის-თესლა“. ეს უკანასკნელი სახელი, ალბათ, ლურჯი აბილილის აღმნიშვნელი იყო.

ძველ ქართულ წერილობით სამედიცინო ძეგლებში აბინილი ხშირად გვხვდება აგრეთვე შემდეგი სახელწოდებებით: ბალილა, მეშხახარი, ჰაბინილი. ყურჩუმიპინდი. ვხვდებით ასეთ განმარტებასაც: „აბინილი რომე ყურჩუმი პინდა ჰქუიან.“

აბინილი შედიოდა კიის საწინააღმდეგოდ ხმარებულ ყურსის შემადგენლობაში.

გავრცელებული იყო მეშხახარის წყლის ხმარება გულის და ფილტვის დაავადების დროს. მეშხახარის წყალში დასველებულ საფენებს გულმკერდზე ადებდნენ. მეშხახარის წყალში ხსნიდნენ მთელი რიგი დაავადებების დროს ხმაოებულ საშუალებებს. მაგალითად, ამ წყალში ხსნიდნენ თავის ტკივილის სამკურნალოდ გამოყენებულ ცხვირში ჩასაწვეთებელ წამლებს. ამასთან ერთად მას, როგორც გამაგრილებელ საშუალებას, ავადმყოფებს უსვამდნენ ტანზე სხვადასხვა „ცხროების“ შემთხვევაში. მეშხახარის წყალი საერთოდ გარეგან სახმარ საშუალებად იყო მიჩნეული და მას უმთავრესად მტკივნეულ ადგილებზე წასასწვლად ხმარობდნენ.

*Convolvulus*-ის — ეს სახეობა თანამედროვე მედიცინაში არ იხმარება.

აბუჯშალყაუნი — იხ. იორდასალამი.

ადსი — იხ. ოსპი.

ადხარი — კოთხოჯი, *Аир*, *Acorus calamus* L. (= *Calamus aromaticus*) *Araceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ამეამად, ა. გროსპეიმის, ნ. კეცხოველის და სხვათა აღნიშვნით, გვხვდება ლაქაშვიანებსა, ლელიანებსა და სხვა კაობებში.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ეს მცენარე შემდეგი სახელწოდებებით გვხვდება: ეგირი, ჯირი, ვაჯი. ვაჩი, ფუკალახირი. სამკურნალოდ იხმარებოდა მინი ძირი. ყვავილი, ზეთი.

ადხარი სამკურნალოდ იხმარებოდა როგორც შინაგანი, ისე გარეგანი საშუალების სახით. მაგალითად, იგი შედიოდა აბის შემადგენლობაში, რომელიც

<sup>1</sup> ხელნაწერი ლექსიკონი № 173, დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. სა-ტელნწერო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

„...ერგების ყოველსა ტკივილსა სტომაქისასა და თავისასა გასწმენდს ტანსა და-  
კრულობისაგან და სენისაგან...“<sup>1</sup>

ავადმყოფს აძლევდნენ ეგირის ძირის ნახარშს გველის და მორიელის ნა-  
ბენის წინააღმდეგ: „ვინცა ეგირის ძირი დაქუქოს, მოხარშოს და ამისი წვენი  
სვას გველისა და მორიელისა წაცემსა უშველის.“<sup>2</sup>

აღხარი ფართოდ იყო გამოყენებული. როგორც გარეგანი საშუალება. აღხა-  
რის ზეთს ხმარობდნენ მალამოების დასამზადებლად. ეს მალამოები იხმარებო-  
და შესიებულ ადგილებზე დასადებად.

აღხარი შედიოდა პირში უსიამოვნო სუნის დროს ხმარებული რთული შემად-  
გენლობის წამლებში, რომლებსაც საჭიროების დროს კაკლის ოდენა მოცულო-  
ბით იღებდნენ პირში. „სტომაქის სიმსივნის“ დროს მკერდზე შემოსადები რთუ-  
ლი წამლების შემადგენლობაში შედიოდა აღხარი. ღვიძლის ტკივილის დრო-  
საც გარედან სახმარ წამლებში ვხვდებით აღხარს.

აღხარის ყვავილის ნახარში სხვა მცენარეებთან ერთად იხმარებოდა თავ-  
ზე დასასხმელად თავის ტკივილის დროს. გარდა ამისა, ეს მცენარე გვხვდება  
თვალის დაავადებათა სამკურნალოდ ხმარებულ წამლებში: „ვინცა ეგირი და  
ი.სპი ორივე წონითა სწორ სწორი ქნას და ორივე დანაყოს და გაცრას და ან  
ვარდის ერბოთა და ან ბიის წვენითა გააყენოს და კიქითა გაათბოს დაწოლის  
დროსა ბამბით თვალზედა დაიდვას, თეთრსაცა გამოიღებს და ტკივილსაცა უშ-  
ველის. მაგრამ გათენებამდისინ ზედ უნდა ეღვას.“<sup>3</sup>

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ ფუჟალადხირის შესახებ  
გვითხულობთ: „ფუჟალათხირი ერგების სიმსივნესა ლუიძლისასა და მუცელისა-  
სა და ძირი მისი უფიცზე არის. და როდეს შეიდვას მუცელსა ანუ შესუსს გაი-  
ღებს ფსელსა დაყენებულსა.“<sup>4</sup>

ამჟამად *Acorus calamus L.* ეთერზეთოვან მცენარედ ითვლება; მისგან მი-  
იღება ეთეროვანი ზეთი. ზეთი მიიღება ფესვურიდან და ფოთლებიდან. ფესვუ-  
რიდან მიღებული პრეპარატები იხმარება ამოსახველებელ საშუალებად და სა-  
კმლის მონელების გასაუმჯობესებლად.

*Rhizoma calami* აღწერილია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპე-  
აში (VIII გამოცემა, 1952, გვ. 420); შედის მწარე ნაყენის — *Tinctura amara-*  
*ს შემადგენლობაში.*

აველუცი — იხ. ღვალა.

ავსანთინი — იხ. აბზინდა.

აზუა — იხ. საბრი.

ათრიფილი — სამყურა, *Клевер, Trifolium repens L.* Leguminosae-ს  
ოჯახს ეკუთვნის, ზოგან გვხვდება ათრიფილი საღირი, ე. ი. წვრილ-  
ფოთლიანი სამყურა *Trifolium filifolium L.*

ეს მცენარე ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლებში დასახე-  
ლებულია სამკურნალო მარცხების შემადგენლობაში. მას ზოგჯერ ათრიფილ-  
საც უწოდებდნენ. ათრიფილის მარცხი იხმარებოდა სხვადასხვა შემთხვევებ-  
ში. მათ შორის თუ ავადმყოფს აწყენდა ხართუთით ჩატარებული მკურნალო-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 65.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 551.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 288.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 412.

ბა—, „თუ ამან კაცსა აწყინოს, ამის წამალი ათრიფალი საღარი არის, ვითამცა და წურილისა სამყურის მაჯუნი ჰამოს და ეშველებს“<sup>1</sup>. ხართუთა იხმარებოდა, როგორც შემკვრელი და ყელის ტკივილის საწინააღმდეგო საშუალება.

კბილისა და ღრძილების დაავადების დროს იხმარებოდა ათრიფლის მაჯუნი. ათრიფლი საღარი იხმარებოდა გველის ნაკბენის და დაკოდილის სამკურნალოდ „ვინცა ათრიფილი, ვითამცა და წურილი სამყურაო მოხარშოს და გველის ნაკბენზედა დაიდვას, შხამი უსათუოდ უშველის და ამავე რიგად რომე დაკოდილზედა დაიდვან, მრთელსა დაკოდილსა პირსა მოსქამს და ახალსა პირს აქნევენებს.“<sup>2</sup>

„სამკურნალო თვისებების მხრივ (ამ მცენარის ნ. წ.) გარეულად მოზარდი და კულტურული ფორმები ტოლფასოვანია. ხალხურ მედიცინაში გამხმარი ყვავილები იხმარება ფილტვების დაავადების დროს. წითელი სამყურას ფოთლები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს და კაროტინს; ამის გამო შესაძლებელია მათი გამოყენება ვიტამინის კონცენტრატების მისაღებად“<sup>3</sup>.

სამყურის ესენცია იხმარება ჰომეოპათიაში. ამ მცენარის ზოგიერთი სახეობა იხმარებოდა ტიბეტის მედიცინაში.

აირი — იხ. აღხარი.

აღატრო — იხ. თუთუბო.

აღაქიკევი — იხ. დანამასტაქი.

აღთისა — იხ. საკპინაქი.

აღილა — რაფიელ ერისთავს და სხვებს ალილა განმარტებული აქვთ როგორც ბალახი. ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში გვხვდება: ალილა, პალილეი, დელი ალილა, ყირმიზი ალილა, ალილა ქუაბული, ალილა კვერცხის გული ან ალალა ზარდი, შავი ალილა—სარუ პალილა, ინდოური ალილა, ალილეჩი, ხალილაგი.

ეს სახელწოდებები უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული მცენარის სახეობებს უნდა შეესაბამებოდეს. ზოგან ალილას მნიშვნელობით გვხვდება სახელწოდება ბრინჯი. მის შესახებ ა. ო. იაშვილი წერს, რომ იგი ალილას გვარს ეკუთვნის.

ძველ ხელნაწერ ლექსიკონებში ვხვდებით შემდეგნაირ განმარტებებს: „მირობალანი ბელლერიცა... ალილა... ალილეი“<sup>4</sup>.

„პალილეჩა — myrobalani indicus; ბალილაჩა — murobalani bellericus; ამალაჩა — myrobalani emblicus; ყვითელი პალილა — murobalani citrinus; პალილა ქებული — myrobalani chebulus“<sup>5</sup>.

ე. შტებერს მირობალანის გვარის ორი სახეობა აქვს ნახსენები: Myroba-

<sup>1</sup> „ილიგარ დაუდი“, გვ. 190.

<sup>2</sup> იქვე, 552.

<sup>3</sup> Энциклопедический словарь лекарственных эфиромасличных и ядовитых растений, Госиздат Сельхозлитературы, 1951 г. გვ. 157, 158.

<sup>4</sup> ხელნაწერი ლექსიკონი № 173, დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

<sup>5</sup> ხელნაწერი ლექსიკონი № 31/2, დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.



Ianus belliricus — балиладже балила, балилей და M. chebulus — галилей кабли, галилей келан, ხოლო ჩვენს დროში გამოცემული ძველი ქართული სამედიცინო წერილობითი ძეგლებისათვის თანდართულ ლექსიკონებში ალილას სახელწოდება ზოგან Myrobalanus-ს, ზოგან კი Betonica-ს გვარისათვის არის მიკუთვნებული.

ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვით Betonica არის ბარისპირა და Labialae-ს ოჯახს ეკუთვნის.

აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ალილა Myrobalanus-ს გვარს ეკუთვნის და არა Betonica-სას.

ალილა ფართოდ იხმარებოდა სამკურნალოდ. ხმარობდნენ ამ მცენარის ქერქს, წყალს, გვარიშნს, მათბუხს, ზეთს, ყურსს.

ქვემოთ მოყვანილი ამონაწერები გვიჩვენებს, თუ რა და რა შემთხვევისათვის იყო გამოყენებული ალილა: „ყურსი ალილა არგებს კაცი, რომე ბალღინანად იყოს და სტომაქსა ძალს მისცემს და კიბისა ჩხვერასა არგებს, რომე ქარი კიბისა გრეხდეს მასაც არგებს და ბუშტის ტკივილისა და თირკმელთა ტკივილისა“.<sup>1</sup>

„თუ სევდა სქარბობდეს აილე შავი ალილა...“<sup>2</sup>

ალილა ყვითელი და ალილა ქაბული შედიოდა მათბუხში, რომელიც, როგორც ფიქრობდნენ, რგებდა „საფარსა, სევდასა და ბალღამსა ავსა და მავალსა სისხლსა ტანისასა“.

ალილა ყვითელი, ალილა შავი და ალილა ქაბული შედიოდა „აბსინთის მაჭუნში“, რომელიც იხმარებოდა შემდეგი დანიშნულებით: „არგებს ბავსირსა. რომე ავი წყლული იყოს ტანზე და მასაც არგებს ფერხსა და მუხლსა რომე ქარი იყოს მასაც არგებს და სული რომე ვიწროდ ამოზდიოდეს მასაც არგებს“.<sup>3</sup>

„ალილა ზარდი გრილი და სველი არის და ცხელებასა უშველის და ღვიძლის ტკივილსა და ნადველსა უშველის.“

ალილა ქაბული ესე წამალი სიმბურვალისაგან არის და სევდასა უშველის და კაცი რომე ანასდალ წაიქცეს და ღუევი მოსდიოდეს უშველის, რომე ბალღამი სქირდეს მას გასწმენდს.

ალილა ინდი მისი და ამა ზემოთის ხასიათი ერთი არის“<sup>4</sup>.

„ხალილაგი შავი ერგების ყოველთა გუართა ბუნებათა და არარაი უფროს სარგებლისა არს და არცა უკეთ რგებათა სნებათასა და სუმბუქი და გამხსნელი არს და ერგების სტომაქსა და ბავსარისა“.<sup>5</sup>

„თუ გინდოდეს, რომე ბალღამი რწყევათა ამოაღებინო მოიტანე... პალილეი ქაბული.“<sup>6</sup>

„ვინცა პალილეი ქაბული სრულად დაწვას, დანაყოს და გაცრას და სურმასავით თვალშივა გამოივლოს თვალთათვის მწოედ კარგი არის“.<sup>7</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბდინი“, გვ. 71.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 64.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 462.

<sup>5</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 406.

<sup>6</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 502.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 293.

სარუპალილა გვხვდება კბილის ტყვილის დროს გამოსაყლები წამლის შემადგენლობაში. შეკრულობის დროს იხმარებოდა სარუპალილას ქერქი სინამაქის ფოთოლთან და ტუხტთან ერთად. გარდა ამისა, ურჩევდნენ, რომ „ვისაც ღრძილი სტიკიოდეს და ან ღრძილოდამან სისხლი სდიოდეს მოიტანე: ყირმიზი ჰალილა და ბროწეულის ყვავილი...“<sup>1</sup>

როგორც ჩანს, ამ მცენარის სხვადასხვა სახეობებს დიდი გამოყენება ჰქონდა მკურნალობისათვის.

**ალისარჩული**—Сафлор, Крокос, *Carthamus tinctorius* L. *Compositae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. ეს მცენარე საღებავად იხმარებოდა. მისი ფერი წააგავს ზაფრანას ფერს, ამის გამო ზოგჯერ მას ზაფრანას უწოდებდნენ.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში იგი მოასფარის და ასფურას სახელით გვხვდება; „ასფურას თესლი-ალისარჩულის თესლი“.<sup>2</sup>

ასფურა, უმთავრესად მისი თესლის ზეთი, იხმარებოდა თირკმლის დაავადების დროს მტკივანი ადგილის დასაზღვლად. გარდა ამისა, გვხვდება მოასფარის მაჭუნი, რომელსაც „სევდის გამაქარეველი მაჭუნი“ ეწოდებოდა.

ალისარჩული ამჟამად ზეთოვან მცენარედ ითვლება; მისი თესლურები 25-30% ზეთს შეიცავს. მედიცინაში ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც მწესუმწივრის ზეთს (იხ. ლილოფარი).

ალოე—იხ. საბრი.

ანდუზი—იხ. კულმუხო.

ანგუზადი—იხ. საკბინაკი.

ანისული—იხ. კამა.

**ანწლი** — Бузина волчьяя, *Sambucus ebulus* L. *Caprifoliaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ქართულ სინონიმებიდან აღსანიშნავია ანწლიცი, ინკირა. ჩვენ მიერ განხილულ სამედიცინო წყაროებში ეს მცენარე ნახსენებია საცხოვრებელი ადგილ-მდებარეობის დახასიათების დროს. მიდამო, სადაც ანწლი იზრდებოდა საცხოვრებლად უვარგის ადგილად ითვლებოდა. აკად. E. კეცხოველის თქმით „ანწლი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი უსამინელესი ტყის სარეველათაგანია, რომელიც სწრაფად სახლება გამეჩხერებულ ადგილებზე“.<sup>3</sup>

ა. ო. იაშვილის მიხედვით, ანწლს წარსულში შემდეგი გამოყენება ჰქონდა: ანწლის წვენი სეკამდნენ მალარიის დროს, მისი ფოთლების ნახარშს ასმევდნენ რეკმატიზმის დროს, ხოლო ფოთოლს მტკივნეულ ადგილზე ადებდნენ.

საბჭოთა კავშირის ფარმაკოპეაში ანწლი შესული არ არის.

ანჯირა, ანჯიზანა, ანჯუბა—იხ. კინკარი.

**არდი** — Цикорий салатный, Эндивий, *Cichorium endivia* L. *Compositae*-ს ოჯახს ეკუთვნის. იგი ბოსტნეულ კულტურას წარმოადგენს და ძველ ხელნაწერებში გვხვდება საკმელად ხმარებულ მცენარეთა შორის.

**ასარიონი** — ხარის ჩლიქა, Копытца, *Asarum intermedium* A. Grossh. (= *A. ibericum* Stew.), *Aristolochiaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 307.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 660.

<sup>3</sup> E. კეცხოველი, „საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები“, თბილისი, გვ. 266.

ქართულ სამედიცინო ძეგლებში იგი დახასიათებულია შემდეგნაირად: „ასარიონი რომელ ულილაური, მხურვალი არს და ლბილი, და გაახუამს ნესტუთა, და დაადნობს სნებათა გაყინულთა და ერგების თირკმელთა და ზუსტსა“.<sup>1</sup>

ასარიონი იხმარებოდა როგორც პირსასაქმებელი და თავის ტკივილის საწინააღმდეგო საშუალება: თავის ტკივილის შემთხვევაში ავადმყოფს თავზე ადებდნენ მოხარშულ ფესვს. ამჟამად ცნობილია, რომ ასარიონი შეიცავს შხამიან ნივთიერებას აზარონს. ამ მცენარის ფოთლების წყლიანი ნაყენი აძლიერებს გულის მოქმედებას, იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას და წნევის მომატებას.

ასარუნო—იხ. კატაბალახა.

ასისთავა — Золототысячник, *Centaurium umbellatum* Gibel (= *Erythraea Centarium* L.) *Gentianaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში იგი სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი: კახეთში—ხოროსანი, გურიაში—ხინა-ხინა, ქინაქინა; აჭარაში—ხინა, თავცეცხლა; სამეგრელოში — ქინაპირა.

ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლებში მას აგრეთვე ჯუნტიანეს და მარსინს უწოდებდნენ. ეს მცენარე შემკვრელად იყო მიჩნეული, მაგალითად, „იადიგარ დაუღში“ ვკითხულობთ: „თუ ავადმყოფი მუცელშია გახსნილ იყოს, ასისა შარაბათი ასვით, რომე მარსინი ჰქუიან“<sup>2</sup>. ხმარებაში იყო მთლიანად მცენარე, მისი ფოთოლი, თესლი, ზეთი, შარაბათი.

„იადიგარ დაუღში“ მოტანილია ასისთავას ზეთის შემდეგი დახასიათება: „ასის ზეთი ვითამცა და მარსინის ზეთიო. ესე მარსინის ზეთი გრილი და ხმელი არის, ამისი ხასიათი ესე არის, კაცსა რომე სიმხურვალისაგან თავი სტკივოდეს ან ძარღვები ასდგომოდეს და სისხლი სკარბობდეს და ესე ზეთი შეიცხოს ყუელსა უშველის. კაცსა რომე თმა გასცივინოდეს და ან ახლად სცივოდეს და ესე ზეთი შეიცხოს, კაი თმასა გამოასხამს და რაცა ასხია იმას კი დაამაგრებს და თმასა მწოედ დაუწმედს კაცმან რომე ესე ზეთი ტლედ ქნას და თავზედა დაიდვას უსათუოდ თმასა გაუფრქძელებს და გაუხშირებს“.<sup>3</sup>

მარსინის დანაყილ ფოთოლს აყრიდნენ ავადმყოფს ტანზე ოფლის დენის შესაჩერებლად.

მარსინის ფოთლის წყალი იხმარებოდა ღრძილებიდან სისხლდენის დროს პირში გამოსავლებად. მარსინის შარაბათი ხელისათვის კარგ წამლად ითვლებოდა და, გარდა ამისა, შემკვრელ საშუალებად იხმარებოდა.

ასისთავას ყველა ნაწილი ალკალიიდებს, გლუკოზიდებს შეიცავს, ფიქრობენ უნდა შეიცავდეს ეთეროვან ზეთსაც, მაგრამ ეს საკითხი ჯერ შესწავლის პროცესშია.

ამჟამად ასისთავას ყვავილებიანი მწვანე ნაწილები იხმარება მედიცინაში როგორც მადის მომგვრელი და საკმლის მონელების გასაუმჯობესებელი საშუალება. იგი გამხმარი ბალახის სახით ინახება და ეწოდება „მადის მომგვრელი ჩაი“.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 409.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 124.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 592.

„აღწერილია საბჭოთა კავშირის ფარმაკოპეაში (VIII გამოცემა, 1952, გვ. 258) — *Tinctura amara*-ს შემადგენლობაში.

ასკილი — Шиповник, *Rosa L.* Rosaceae-ს ოჯახს ეკუთვნის; მეტად გავრცელებული მცენარეა.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ასკილს შემდეგ სახელწოდებებით ვხვდებით: ვარდი, გულნარსინი, ნრსან, ქაქინაჯი, ან ქაქუნაჯი. ვარდის სახელწოდების ქვეშ ზოგჯერ ასკილი, ზოგჯერ ნამდვილი ვარდი იჯულისხმებოდა. ვხვდებით განმარტებებს „ასკილი—ტყის ვარდი“, „ქაქინაჯი არს ქონტკოფი, და ასკილისაც ჰქუიან.“<sup>1</sup> წითელი ვარდის თესლს კაზუნი ეწოდებოდა. საერთოდ ვარდის, ისე როგორც იის ხმარება, ძლიერ გავრცელებული იყო მისი სასიამოვნო სურნელების გამო.

სამკურნალოდ იხმარებოდა: ყვავილი, „ყვავილის ღილი“ ფოთოლი, თესლი, წყალი, შარბათი, ზეთი, ყურსი. თაფლში მოღულებულ ვარდს გვიღანგუბინი ან გულასალი ეწოდებოდა. თითქმის ყოველ დაავადების დროს ავადმყოფს სასმელად გვიღანგუბინი ეძლეოდა. გვხვდება კიდევ ვარდი მოღულებული შაქარში, ეგრეთ წოდებული გულშაქარა.

ვარდს შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: „ვარდი მხურვალი და ხმელი არის. გულსა და ღვიძლსა. ტყირსა და დამალსა ამას ოთხსავე არგებს, და ოთხსავე ძალს მისცემს და ოთხსავე მწოედ აწაბუყებს. კაცმან რომე საკმელზედა ვარდის წყალი სევს მაშინვე საკმელს მოაქარუებს. კაცმან რომე ვარდი და შაქრის შარბათი ერთგან ამოკყლიტოს და ორმოც ღღესა ჰქიქითა მზესა გაუღდას კაცი რომე ავად ყოფაშიგან დასუსტდეს, იმას აწამოს, გულსა და სტომაქსა დააძლიანებს, მაგრამ კაცსა სულსა შიაქს და ფიცხლად გაათეთრებს.“<sup>2</sup>

ასკილის შესახებ ვკითხულობთ: „ასკილი მხურვალე არს, ლბილი აადგენს შავასა და ერგების რაბოსა, ხველასა, როდეს შესუას მისგან თაფლითა შემწვარი და შეიწვეს სინოტივითა მისითა.“<sup>3</sup>

ვარდის თესლი გვხვდება თვალში სისხლის ჩაქცევის სამკურნალოდ. ზაფრანასთან ერთად დანაყილ ვარდის თესლს, ფხვნილის სახით, მტკივან თვალში აყრიდნენ. ვარდის თესლი გვხვდება სასის შესიების დროს ამოსასმელი რთული წამლის შემადგენლობაში.

ვარდის წყალს პირში გამოსავლებადაც ხმარობდნენ.

დამწვრობის დროს ვარდის ზეთით გაკეთებულ მალამოს ხმარობდნენ წასასმელად. თუ დამწვრობა ცეცხლით იყო გამოწვეული, თვლიდნენ, რომ „უმჯობესი იგი არს, რომელ კუერცხისა თეთრი ვარდის ზეთითა გაადგინოს და მანინ ქათმის ნაქრტენითა დამწუარსა ზედა იცხოს, სიმხურვალესა დააწყნარებს და წყლულსა უკიროთ გაამთელებს და გააშრობს და თუ კვერცხის თეთრი ნიშასტაგი და ქაფური და ვარდის ზეთი და ვარდის წყალი ერთგან გაპრიოს და მალკამათ შექმნას და მრავალჯერ ზედა იცხოს კარგი არის.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 419.

<sup>2</sup> „ილიგარ დაუდი“, გვ. 204.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 414.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 295.

ასკილის თესლი იხმარებოდა ღრძილებიდან სისხლის დენის შესაჩერებლად: „ვინცა ასკილის ყუთავილის თესლი დანაყოს და დასისხლიანებულს კბილსა და ღრძილზედა დაიდვას სისხლი დასწყუიტოს და გაუმთელოს.“<sup>1</sup> ასკილის ფოთოლი ყურის ტკივილის დასამებლად იხმარებოდა: „ვინცა ასკილის ფოთოლი დანაყოს და ყურზედა დაიდვას, ყურის ტკივილი ეშველოს.“<sup>2</sup>

ასკილის ნახარში იხმარებოდა როგორც შარდის გამომყოფი საშუალება.

თანამედროვე ფარმაკოპეიაში ასკილი ფართო მნიშვნელობის მქონე მცენარედ ითვლება, ასკილის მრავალი სახე გამოყენებულია როგორც ასკორბინის მკურნალობის, ე. ი. C ვიტამინის კონცენტრატების მისაღები ნედლეული. ასკილი შეიცავს კაროტინს (A პროვიტამინი), რიბოფლავინს (B<sub>2</sub> ვიტამინი) და ციტრინს (P ვიტამინი). ამჟამად სწარმოებს ასკორბინის მკურნალობის შემდეგი ჯიშების გამოყენებაზე მუშაობა.

გარდა ამისა, ასკილი ხელს უწყობს და აძლიერებს ნაღვლის გამოყოფას. იგი იხმარება პრეპარატ ხოლოსასის დასამზადებლად.

ასკოლოკანდრონი—არმის ენა, Олений язык, *Phyllitis scolopendrium* L. Polipodiaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ასკოლოკანდრონი ღვიძლის ტკივილის დროს ხმარებულ რთული წამლის შემადგენლობაში შედიოდა.

ასპიოზი — იხ. სელი.

ასფურა — იხ. ალისარჩული.

ატამი ანუ შავთალუ—Персик, *Persica vulgaris* Mill (= *Amygdalus persica*) Rosaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

სამკურნალოდ ხმარობდნენ ატმის ფოთოლს, ფოთლის წვენს, კურკის ეულს და მისგან გამოხდილ ზეთს. გარდა ამისა, იხმარებოდა ატმის ხის გომიზი, ანუ წებო, ე. წ. ალთალბისი.

„ატამი შავთალუცა ამას ჰქვიან კაცსა ასრე უნდა უზმომან ჰამოს. ხმელი უფრო მძიმე არის ნედლისაგან. ვინცა ჰამოს ასრე უნდა წყალი შესვას ზედა ანუ კარგი ღვინო. თუ მისი ფურცელი დანაყო გასწურო და შეასვა მუცელშიგა მარგეა და გრძელი ჰია მოკლას და მრგვალი. თუ ყურშიგა ჩაიწვეთო მისი მატლი მოკლას, მხურვალსა სტომაქსა არგებს. პირსა სტომაქიდალმან ავი სული ამოსდიოდეს, მას უშველის. მისის გურკისა ზეთი ყურის ტკივილსა უშველის ატამი და შავთალა კაცისა სტომაქსა დააღბოს.“<sup>3</sup>

მეორე ადგილას ვკითხულობთ: „ატამი... კაცსა საკმელსა მოანდომებს, სნებას, ცხელებასა, შავსა და ყუთიელსა იარაყანსა, მხურვალს ხაფაყანსა, მხურვალს სისხასა და ყოველსა მხურვალსა სენსა, რომე ან სისხლისა და ან საფრისაგან იყოს, ყველას არგებს და ყუელასათვის აქიმი და წამალი არის. რომე ან ამა ატმისა წვენი გამოჰხადონ და სვან და ან გაფუცქვან და ჰამონ.

მაგრა კაცისა სტომაქშიგა გვიან დადნების და ამისათვის ამის ხორცის ჰამასა წვენის ჰამა სჯობს. სტომაქ მხურვალს კაცსა და ყოველსა მხურვალს სენსა კარგად მოუხდების.“<sup>4</sup>

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 315.

2 იქვე, გვ. 302.

3 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 451.

4 „იადიგარ დაუდი“, გვ. 188.

ატამი სასარგებლო ხილად ითვლებოდა, იგი მადის მომგვრელად და გამ-  
ხსნელად იყო მიჩნეული. თელიდნენ, რომ ბევრი მძიმე დაავადების დროს მისი  
მიცემა კარგ შედეგს იძლეოდა, ამასთან ერთად ფიქრობდნენ, რომ ატმის წვენი  
დაღვეას მეტი სარგებლობა მოქმედებდა.

ატმის ზეთი ყურის ტკივილის წინააღმდეგ იხმარებოდა. ატმის ხის გომიზს  
ალთალბისი ეწოდებოდა. თმის დაცვენის დროს თმის ძირების გასამაგრებლად  
მას თავზე უსვამდნენ.

ამჟამად მედიცინაში იხმარება ატმის კურკის ზეთი, რომელიც მეტად მიე-  
ნსგავსება ნუშის ზეთს. ატმის თესლი შეიცავს 3% ამიგდალინს. ატმის გუმფისი  
მნიშვნელოვან რაოდენობით შეიცავს არაბინს.

აფარბიონი—იხ. რძინა.

აფთიმონი — აბრეშუმა, გველის ღობე, *Повилика, Cuscuta europae L.*  
*Convolvulaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება აგრეთვე იარსაჩის სახელ-  
წოდებით „აფთიმონი... იარსაჩი ჰქუიან“.<sup>1</sup>

აფთიმონი იხმარებოდა მთელ რიგ ნერვულ, ფსიქიკურ და შინაგან სნეუ-  
ლებათა დროს. აფთიმონის მათუხი—„არგებს რომე კაცსა სევდა სკირდეს და  
რომე კაცი შემცდარი იყოს, და არგებს კაცსა რომე არ შეეძლოს და სევდიანად  
იყოს და მალეით ტანშიგან სატკივარი სკირდეს და ვერა შეიტყოსრა, ამასაც  
არგებს თავის ტკივილსაც არგებს, სტომაქის სატკივარსაც არგებს და ტანშიგა  
რომე გონჯი რამე სისხა არის მასაც არგებს“.<sup>2</sup>

„სხვა მანხულია არის, რომე მუდამ არ მოუვიდეს, სადამდი მთუარე არა  
გამობრუნდებოდეს, და რა მოუვიდეს, აფთიმონისა მათუხი შეასუით“.<sup>3</sup>

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში აფთიმონი გვხვდება აგრეთვე თმის,  
სახის კორფლის მკურნალობისათვის დანიშნულ წამლების შემადგენლობაში.

აფთიმონი შედის პრეპარატ „კუსკუტინში“, რომელიც საფლარათო საშუა-  
ლებას წარმოადგენს, აფთიმონი იხმარება ჰომეოპათიაში და ტიბეტის მედი-  
ცინაში.

აფთილე-ხაზარი — იხ. იფანი.

აყირო—გოგრა *Горлянка, Бутылочная тыква, Lagenaria vulgaris Ser.*  
*Cucurbitaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

სამკურნალოდ იხმარებოდა აყიროს ფოთოლი, ყვავილი, „ლილი“, ყვავი-  
ლის წყალი, ზეთი, თესლი, თესლის ზეთი, წვენი, ქერქის ნაფხეკი, ძირი. გარდა  
ანისა ხმარობდნენ აყიროს შორვას. ე. ი. ნახარშს. აყიროს სამკურნალო თვისე-  
ბებს ზოგადად შემდეგნაირად აღწერდნენ: „აყირო, გრილი და ნელი არის  
საფრას გააცუდებს, სისხლსა სიმხურვალესა დაავსებს, ძველოს ხველისათვის  
მწოედ კარგი არის, სიცხისა და სიმხურვალისათვის მწოედ კარგი არის, კაცსა  
რომე, ან ეს აყირო მოხარშოთ და აკამოთ და ან დანაყოთ ამისის გულის წყალი  
ასვათ. გულისა და სტომაქის სიმხურვალესა და სიცხესა მაშინვე ყუელას გაუ-  
გდებს, კაცსა ყელსა და მკერდსა დაულობს. კაცსა რომე სიმხურვალითა ყური  
სტკიოდეს და ამა აყიროს წვენი გამოჰხადოს და ყურშიგა ჩაიწვეთოს, მაშინვე

<sup>1</sup> „ილიგარ დალი“, გვ. 661.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 63.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 44.

უროს ტკივილს უშველის. კაცსა მუცელშია შეჰკრავს და კაცისა სტომაქშიგან ფიცხლად დადნების. კაცმან რომე ნელლი აყირო ცეცხლშია ჩაფლას და რა კარგად შეიწვას ამოიღოს და ამისი წყალი გამოჰხადოს, გააციოს, შაქარი აურიოს და სუას. ყოვლის ფერის მხურვალე სენის წამალი და აქიმი არის. ცხელებისა სნებისა. იარაყანისა და მხურვალის ხაფაყანისა.

მაგრამ ბევრი ამა აყიროს ჰამა ბევრს ფერსა ხილთებსა აშლის, ბალამსა ჯააალიანებს წელებსა და ფაშეებსა აწყენს და სტომაქსა აშლის. თუ კაცი ან შიგნით, ან გარეთ გასივდეს მოიტანე ნელლი აყირო დანაყეთ, წვენი ასვით და ტლედ სიმსივნეზედა დასდევით და მაშინვე უშველის.

ვინცა აყიროს წვენი და ღვინო ერთგან გაიროს და სუას მაშინვე მუცელში-გა გახსნის. თუ აყირომ კაცსა აწყინოს. ამისი წამალი და ნაწყენის გამჰარებე-ლი მღოგვი, პილილი მხურვალე მაჭუნები და კევით იქნების.

ამვე აყიროს ერბო გრილი და ნელლი არის; კაცსა ტვინსა და დამალსა და-ულბობს და მალიხულიას სენისათვის და სარსამისათვის მწოდე კარგი და გამორჩეული წამალი არის, რომე ესე აყიროს ზეთი ცხვირშია ჩაიწვეთონ. კიდევე ესე აყიროს ერბო ცხარსა ძმარშიგან გაურიონ წამოაღდღონ და სიმხურვალითა მტკივანს თავზე შემოსცხონ, მაშინვე თავის ტკივილს უშველის და კაცსა ძილად ღიაგდებს და ტკბილად დაეძინების. და კაცსა რომე დამალი სიმელოთა გაუბ-ძეს, და ყელი და ხახა გაუშრეს და ამა აყიროს ერბოსაგან ცხურშია ჩააწვეთონ და ცხურიზედაც დასცხონ, და ორივე ყუერები ამა აყიროს ერბოშიგან ჩაუყონ და ორს ეამამდისინ ყუერები ამა აყიროს ერბოშიგან ჩაუყონ და ორს ეამამდისინ ყუერები ამა აყიროს ერბოშია უნდა ედვას, უსათუოდ დამალი გაუნელდე-ბის და ყელი და ხახაც უსათუოდ დაულბების და კაცი მორჩების.<sup>1</sup>

მოტანილიდან ჩანს, რომ აყირო სხვადასხვა დაავადების დროს იხმარებოდა; გარდა ამისა, აყიროს აქმედენენ სიცხიან ავადმყოფს.

ამჟამად მედიცინაში იხმარება *Cucurbita pepo*, მისი თესლი ჰიის საწინააღ-მდეგო საშუალებად არის გამოყენებული. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ ამ შემთხვევაში რა ნივთიერებები მოქმედებს. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეაში შეტანილი არ არის.

უკანასკნელ ხანებში წარმოებს გამოკვლევები გოგრის შარდმდენი თვისე-ბების შესწავლის მიზნით. ამ მხრივ კლინიკურად მაღალი ეფექტურობაა მიღე-ბული. ხმარობენ .გოგრისაგან დამზადებულ ფაფას წყალმანკის სხვადასხვა ფორმის დროს. არსებობს გოგრის სირბილიდან დამზადებული ექსტრაქტი, ნელ-ლი თესლებიდან დამზადებული ესენცია.

გოგრის ნაყოფი დიდი რაოდენობით შეიცავს B<sub>1</sub> და B<sub>2</sub> ვიტამინებს და სა-კმარო რაოდენობით ნიკოტინის და ასკორბინის მჟავას. გოგრას ხმარობენ ჰომე-ოპათიაში. გოგრა იხმარებოდა აგრეთვე ტიბეტის მედიცინაში.

ბაბათია — იხ. გვირილა.

ბაბუნაჯი — იხ. გვირილა.

ბადიონი—ბადიანი, სურნელოვანი კამა, *Бадьян настоящий, звездчатый анис, Illicium anisatum L. Gaertn. Magnoliaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. იხმარებოდა ამ მცენარის ძირი „იარაყანისა“ დროს, ხმარობდნენ აგრეთვე მის ნახარშს აბაზანებისათვის.

<sup>1</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 198—199.

ეს მცენარე იზრდება ჩინეთში და ინდოჩინეთში. ჩვენში კარგად ხარობს სოხუმში. მისი ნაყოფი შეიცავს ეთეროვან ზეთს. მედიცინაში იხმარება, როგორც წამლისათვის გემოს მიმცემი.

**ბადილაჯანი**—ბადრიჯანი, *Solanum melongena* L. *Solanaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერი წყაროების ანალიზით ბადრიჯანი სასარგებლო მცენარედ არ იყო მიჩნეული.

„ბადილაჯანი, მხურვალი და ხმელი არის, სველას მოუმატებს და რაც სველის სენი არის ყუელას აუგდებს თავსა, თვალთა ორსავე მწოდ აწყენს და აატკივებს კაცსა ელფერს წაუხდენს და გააყუთლებს.

ვინცა არ დაიშალოს და ესე ბადილაჯანი ჰამოს არსე უნდა სამსა დღე ღამესა მარილწყალშიგა დააღბოს, და მერმე მსუქანის ხორცითა მოხარშოს, გრილი და ნედლი ზეთები აურიონ, და ისრე ჰამონ, მაშინაც ბევრი არ უნდა ჰამონ, თვარემდა უსათიოდ კაცს აწყენს. ვინცა ამა ბადილაჯანის ღერძი გაახმოს, დანაყოს და გაცრას, და ტლედ ქნას ბანბითა სოკოზედა დაიდვას, სოკოსათვის მწოდედ კარგი არის, გაახმობს და ჩამოაყრევინებს.“<sup>1</sup>

მეორე ადგილს ვკითხულობთ „ბადილაჯანი კაცსა სტომაქს აატკივებს.“<sup>2</sup> *Solanum*-ის ზოგიერთი სხვა სახეობები, მაგალითად, *Solanum dulcamara* და *Solanum nigrum* ძლიერ შხამიანად ითვლება, ხოლო *Solanum lethale* იმდენად შხამიანია, რომ ძველად მას მეომრები იარაღს უსჯავდნენ ბრძოლაში წასვლის წინ. *Solanum melongena* L. იხმარება საკმელში.

**ბადრანჭაბო**—ბადრანგ-ბუა — იხ. ბარამაბო

**ბადრუქი** — ბადრუჩი — იხ. ნიახური

**ბადრამბო** — იხ. ბარამბო

**ბადრანგი-ბაზრანგი**—იხ. ლიმონი

**ბაზრაყატუნი** — იხ. სელი

**ბაკილა**—მინდვრის ბარდა, *Горox полевой*, *Pisum arvense* L. *Leguminosae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. ბაკილა—„ქართულად ხანდური ჰქუიან.“<sup>3</sup>

ა. მაცაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონის“ მიხედვით ხანდური მინდვრის ბარდაა — *Pisum arvense* L.

სამკურნალოდ იხმარებოდა ბაკილას ფქვილი, წვენი, წყალი. ძლიერი ხველის დროს ბიის და ტუხტის შემცველ წამლებს ასმევდნენ, ხოლო საკმელად აღლევდნენ ბაკილას ფქვილით დამზადებულ ჰასოს (ჰასო წარმოადგენდა შექამანდს, რომელიც მზადდებოდა რომელიმე მცენარის ფქვილიდან და შაქრიდან).

ბაკილა, როგორც გარეგანი საშუალება, იხმარებოდა თვალის სნეულების დროს; შედიოდა თვალის გამოსაბანი წამლის შემადგენლობაში. უურის ტკივილის დროს იხმარებოდა ბაკილას ფქვილით გაკეთებული მალამო. სურდოს დროს აედამყოფს ბაკილას წყალს ასმევდნენ. ძუძუს დასიებისა და ტკივილის დროს ბაკილას და ქერის ფქვილი შეზედილი კვერცხში მალამოს სახით იხმარებოდა შესიებულ ადგილზე დასადებად.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 200.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 376.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნისათვის“ დართული ლექსიკონი, შედგენილი პ.ო.ფ. ა.ლ. ა.ბ.უ.ლ.ა.ძ.ი.ს. მიერ.



გვხვდება ბაკილას შემდეგნაირი დახასიათება: „ბაკილა ნედლი, გრილია და რბილი, და ცოტა ქარი აქუს; და ხმელი გრილი და ხმელია და სტომაქით გუიან ვავა. და ქონდრიოთა ქამს, მისსა ქარსა გასწმენდს. თუ დაალობს და მერმე ან ზერძულთა ზეთითა, ანუ და ან ნუშის ზეთითა მოხარშოს, ზედა პილპილა და კულიაეი მოაყაროს და ქამოს კარგია. მისი წყალი ქერისა წყალსა ხასიათსა იქს, რაცა მწურვალა. სენია, ყუელასა ერგების. სიზმარსა მრავალფერსა აუშლის. ახალი ბაკილა მოხარშონ, ქარი უფრო ცოტა აქუს, უკეთესი—ახალი და დაღერლილი, ძმრითა შექმნილი; ერბოთა და ზეთითა, ქონდრიოთა და ზირათა ქამდეს. თუ ახალი და უმი ქამოს, ძმრითა პირი გამოირეცხოს და მისი ზიანი მან წაიღოს.“<sup>1</sup>

ბაკლათა-ჭამაქან — იხ. უკვდავა.

**ბალბა** — მას მოლოქს, ხშირად ტუხტსაც უწოდებენ. *Malva, провириник Malva silvestris L. Malvaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ბალბა — ხატმის, მოლოქის, ხირვას, ფალთენ-ხეპასიას, ხაბბაზის სახელწოდებებითაც გვხვდება.

„ფალთენ-ხეპასია სპარსულად ბალბა ჰქვია.“<sup>2</sup> ბალბა და ტუხტი ერთმანეთთან ახლოს სდვას. ბალბა იხმარებოდა შინგანად როგორც ამოსახველებელი და გარეგანად. როგორც დამაყუჩებელი.

უმთავრესად გვხვდება როგორც გარეგანი საშუალება, შედიოდა ტლევბის, შენოსადებების და დასაბანი წყლის შემადგენლობაში.

თმის გათეთრების, ქერტლის გაჩენის შემთხვევაში თავს იბანდნენ ბალბის წყლით.

სხეულის რომელიმე ნაწილის ტკივილის დროს, ბალბის ფოთოლს ავადმყოფს მტკივნეულ ადგილზე ადებდნენ. თავის ტკივილის დროს ურჩევდნენ ავადმყოფისათვის ბალბის ფოთლების დადებას თავზე, მუცლის ტკივილის დროს კი — მუცელზე.

ამემად ბალბა იხმარება როგორც მოსაფენი და ამოსახველებელი საშუალება.

**ბალბალუკა** — *Malvочка, Malvella scherardiana Jaub. et Spach. Malvaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ მედიცინაში სამკურნალოდ იხმარებოდა ამ მცენარის თესლი და თესლის ზეთი. თესლს ეწოდებოდა ჭიბილ ჰანგი, განჯინუხ, ზოლო თესლის ზეთი ნახსენებია როგორც იასამიგის ზეთი. ამაზე მიგვიითობებს შემდეგი განსაზღვრებები: „ვინცა ორი ღირჰამი ჭიბილჰანგი დანაყოს, რომე სპარსნი განჯინუხს უძახიან ვითამცადა ბალბალუკას თესლი და თბილის წყლით გააყენოს და ასვას. მაშინვე არწყევინოს.“<sup>3</sup>

თბილ წყალში დამბალი ბალბალუკას თესლი, როგორც ჩანს, სასაქმებელ საშუალებად იხმარებოდა. ეს თესლი უზამიანად იყო მიჩნეული და ამიტომ მას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ისიც განსაზღვრულ რაოდენობით უნიშნავდნენ. ხმარებაში იყო „იასამიგისა ზეთი, რომელ არს ბალბალუკისა თესლის

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“ გვ. 431.

<sup>2</sup> იქვე გვ. 108.

<sup>3</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 327.

ზეთი.“<sup>1</sup> ზეთი იხმარებოდა თავის ტკივილის დროს; შედიოდა ცხვირში ჩასაწვე-  
თიებელი წამლის შემადგენლობაში.

ბალ-ბაჟი—იხ. ტუხტი.

ბალდური ყარა — იხ. სუმბული.

ბალი — Черешня, *Cerasus avium* L. (Moench), Rosaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების მიხედვით, ბალი მავნებელ ხილად ითვლებოდა: „ტკბილი ბალი გრილი და ნეღლი არის და კაცსა ფიცხლავ ამო-  
ჰყორავს და გულზედა დააგებოს, სტომაქს აშლის და დაასუსტებს და ადამიან  
ტომისა სტომაქშიგა რომელიცა ხილთი უფრო ბევრია და უფრო ძალიანი და-  
ხუდების, ესეცა იმა ხილთად გადაიქცევის. მკავე ბალი გრილი და ხმელი არის.  
ზაფრასა და ბალაღმსა მოჰკუთეს, სისხლსა მოაკლებს და სიმხურვალეს დაავ-  
სებს და გააცუდებს.“<sup>2</sup>

სამკურნალოდ იხმარებოდა ბლის მურაბა.

ბალილა — იხ. აბილილი.

ბამბა — ბანბა, Хлопчатник, *Gossypium herbaceum* L. Malvaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ მედიცინაში ბამბა იხმარებოდა იმავე დანიშნულებით. როგორცაც ახლა. სამკურნალოდ იხმარებოდა ბამბის კურკის გული ან მისგან გამონდილი ზეთი.

ბამბის გამოყენება თანამედროვე მედიცინაში ცნობილია, იხმარება აგრე-  
თვე ბამბის ზეთი და ფესვების ქერქის სითხოვანი გამონაწველილი.

ბანავშა — იხ. ია.

ბარბარისი — იხ. კოწახური.

ბარაზადი — იხ. საქინაქი.

ბარამბო — Лимонная мята, цитрон, мелисса, *Melissa officinalis* L. La-  
biatae-ს ოჯახს ეკუთვნის. საბას მიხედვით, ამ მცენარეს ქართულად ფუტკართ  
მოლი ეწოდებოდა.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება—ბადრამბო ბადრანგ-  
ბუა, ბადრანაქა-ბოი, ბადრანაქა-ბუა, ბედანჯირი, ოლულ-ოთი, შაჰსაფარმი და  
ვარდპარამი. „ბადრანგ-ბუა და ოლულ-ოთი ორივე ბარამბოს ბალახსა ჰქუიან და  
ესე ბარამბო მხურვალე და ხმელია კაცმან, რომე ამის წვენი სვას, იარაყანისათ-  
ვის მწოვედ კარგი არის.“<sup>3</sup>

სამკურნალო მიზნით იხმარებოდა თვითონ მცენარე ბარამბო, მისი მწვანე  
ნაწილების წვენი, ბარამბოს შარბათი, შარაბი, თესლის ზეთი, რომელიც ბუდან-  
ჯის ზეთის სახელწოდებით გვხვდება. მიაჩნდათ, რომ „ბარამბოს ჰამა ყოვლს-  
ფერს ბალღმის სენს უშველის.“<sup>4</sup>

„ბარამბოს ბალახის ჰამა და ან ამავე ბარანბოს ბალახის წვენის პირშიგან  
მგვიბება, პირიდაღმან ავსა სუნსა გაუგდება.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 24.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 192.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 391.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 421.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 332.

ფილტვებით დაავადებულ ავადმყოფს წყლის მაგივრად ბარამბოს წყალს აძლევდნენ. „ვინცა ბარამბოს ბალახი მოხარშოს და ამისი წვენი თბილთბილი სვას, გულსა და ღვიძლსა ორსავეს მწოედ ძალს მისცემს და თრთოლასა და გულის ფეთქასა ორსავე უშველის.“<sup>1</sup>

„ბადრანბუა ხმელი და მხურვალია, თუ ავადყოფა ბალღმისა, სევდისაგან იყოს ძმრითა სკამდეს მას ერგების, და პირსა სიმხურვალესა უშველის და თავისა სიმძიმესა გახსნის, და გულსა გაამხიარულებს და საკმელსა აღრე მოადნობს და სლოკინსა უშველის.“<sup>2</sup>

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, თუ რა და რა შემთხვევებში იხმარებოდა ბარამბო. გარდა ამისა, იგი „ხაფაყანის“ მკურნალობისთვის ხმარებულ რთულ წამლების შემადგენლობაში შედიოდა. გულით დაავადებულ ავადმყოფებს ხშირად ბარამბოს უყრიდნენ საწოლზე სასიამოვნო სუნის გამო. ამჟამად ამ მცენარის მოშენება ხდება ეთეროვან ზეთის მიღების მიზნით, ამ ეთეროვან ზეთის შემადგენლობაში 60%-მდე შედის ციტრალი, ციტრონელალი, აგრეთვე გერანოილი და მირცენი. ზეთი ფართოდ იხმარება პარფიუმერიაში.

ბედანჯირი — იხ. ბარამბო და ტკიპა ლობიო.

ბელეკონი. — იხ. ჩათლაყუში.

ბერძული — რ. ერისთავის მიხედვით — „ბერძული — ოხატუა“, ხოლო ა. მაყაშვილის თანახმად კი „ოხატუა—ოსეროა“ (ოსეროს იმერეთში და გურიაში ოხატუა ეწოდება). მაშასადამე, ბერძული—ოსეროა, чернокопееъ, Cynog'ossum imeretinum Kusn. Borraginaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერების მიხედვით სამკურნალოდ იხმარებოდა „ბერძულის ზეთი“. იგი გვხვდება თავის ტკივილის საწინააღმდეგო წამლებში. რთული შემადგენლობის წამალს ასრესდნენ „ბერძულის ზეთს“ და ჩააწვეთებდნენ ავადმყოფს ცხვირში.

ცხვირში ჩასაშვებ წამლებს, რომლებსაც ხმარობდნენ ფილენჯის დროს, აგრეთვე „ბერძული ზეთით“ აზავებდნენ.

იგი ვვხვდება აგრეთვე თვალის დაავადების დროს ხმარებულ წამლებში. „თუალშიგა რომე სისხლი იყოს — ბროწეულის ქერქი, გუნდა და წიდა დანაყე, ბერძული ზეთი (და) დედაკაცისა რძე ერთმანეთსა გაურიე გაათბე; და ბამბითა ზედა დასდევ და ერგოს“<sup>3</sup>. მხედველობის დაქვეითების დროსაც იხმარებოდა აღნიშნული „ზეთი“. „ბერძული ზეთი, საპონი და ხუარასანი ერთმანეთშიგან გაურიე შუბლსა და თუალზედა დასდევ და ერგოს.“<sup>4</sup>.

ყურში შუილის წინააღმდეგაც ხმარობდნენ „ბერძულ ზეთს“.

<sup>1</sup> „იალიგარ დაული“, გვ. 383.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბდინი“, გვ. 448.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 61.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 63.

„ყურმან რომე ხმა გამოსცეს — სადაფი ბერძულითა ზეთითა ააღულე და ჩაუშვი“<sup>1</sup>.

კბილის ტკივილის დროს: „რომე კბილისა ტკივილისაგან პირი გაუსივდეს — აიღე იფნის ძირი და დანაყე კარგად, მარილი და ბერძული ზეთი ერთმანეთშიგა გაურიე, პატრუქი ქენ და იმა წამლებითა ყურშიგა შეუღევ, ტკივილსა და მალასსა უშუელის“<sup>2</sup>.

მცენარე „ბერძული“ ზოგჯერ გვხვდება თირკმლების დაავადების დროს ხმარებულ წამლებში.

იგი გვხვდება აგრეთვე ე. წ. არისტოტელის მაჭუნის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა უმთავრესად შინაგანი ორგანოების დაავადების დროს.

როგორც ჩანს, „ბერძული ზეთ“ იხმარებოდა სხვადასხვა წამლების შესაზღვლად ან გასახსნელად, ხოლო თვით „ბერძული“ კი გვხვდება როგორც შინაგანი საშუალებად.

თანამედროვე ფარმაკოპეაში გვაქვს *Cynoglossum*-ის სხვა სახეობები, სახელდობრ, *C. divaricata* და *C. officinalis*, რომელთა ფესვებიც შეიცავენ შხამიან ალკალოიდ ცინოგლოსინს. ამ მცენარეების პრეპარატები ზოგჯერ იხმარება ფილტვებით დაავადების დროს. იხმარება პოემოპათიაში. ტიბეტის მედიცინაში *C. divaricata*-ს ნაყოფი გვხვდება. *C. imeretinum* Kysn. მედიცინაში არ იხმარება.

ბზა — *Самшит, Buxus Colchica* Pojark. (*Buxus sempervirens* L. pp.), *Buxaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ბზა ამჟამად საქართველოში ქვეტყის სახით მოიპოვება დასავლეთ საქართველოს წიფლნარებში, წაბლნარ-წიფლნარებში, წაბლნარებში და აგრეთვე სამეგრელოს კირქვიან მთა-გორაკებზე შექმნილ ბუჩქნარებში.

ყველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ბზა გვხვდება აგრეთვე შიმშეტის სახელწოდებით. უფრო სწორად შიმშატს ბზის ფოთოლს უწოდებდნენ. სამკურნალოდ იხმარებოდა ბზის ფოთოლი, ფოთლის წყალი, დანაყილი ბზის ხე.

ბზა იხმარებოდა პიტნასთან ერთად ყურის ტკივილის წინააღმდეგ; შედიოდა ყურში ჩასაშვები წამლის შემადგენლობაში. როდესაც ყურის ტკივილი „დაძველებული იყო“, მაშინ ბზის ხეს ახმობდნენ, ნაყავდნენ, თაფლში ურევდნენ და ყურში პატრუქის სახით უღებდნენ.

ბზის ფოთოლს ხმარობდნენ აგრეთვე სასუნებლად იმ შემთხვევაში, „თუ პირისაზე მწვანედ დაუცემდეს, იცოდეთ, რომე შავისა ბალღმისაგან არის. და ესე სენი მიყრილთა და ბერთა სეველიანთა კაცთა უფრო დაემართებიან. ამისთანა ნიშანი გამოჩნდეს, ნამეტნავისა სიხმისა და სიგრილისაგან იქნების. წამალი მისი—ქუნდუსა და ხარბაყი სწორსწორე ქენ, დანაყე და გაცარ, სტუირითა ცხურშიგა შეაყარე და მუდამ მუშკსა, სადაფსა და შიმშატსა ისუნებდეს ამისათვის რომე მისი სულო ეცემის და ჭკუაზედ მოიყვანს“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 80.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 91.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 50.

ბზის ფესვის ქერქი შეიცავს მწარე ალკალოიდს ბუქსინს; იხმარებოდა მადის მოპეგრელ საშუალებად.

ბია — ბეჰე — იხ. კომში

**ბოლოკი** — Редька, *Raphanus sativus* L. Cruciferae-ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ბოლოკი ძალიან ხშირად არის მოხსენებული.

სამკურნალოდ იხმარებოდა ბოლოკი მთლიანად, მისი თესლი, ფოთოლი, ფოთლის წყალი, ბოლოკის წყალი, ზეთი.

ჩხირებად დაჭრილ ბოლოკს ხმარობდნენ ყურის ტკივილის და სიყრუის დროს ყურში წამლის ჩასაშვებად — წამალს დაადებდნენ ყურის ხვრელს და ბოლოკის ჩხირის საშუალებით ყურის სიღრმეში შეიტანდნენ: — „აიღო ბოლოკი და დასთალოს მცირესა ფათელისა მსგავსი შეჰქმნა, რომელ ყურსა ჩაეტოღეს, და ესე წამალი მას გარე შესდვა, და ყურსა ჩაუპყრა“<sup>1</sup>.

ამის გარდა, ყურის ტკივილის დროს ბოლოკის გამთბარ წვეს უწვეთებდნენ ყურში: „კაცსა რომე სიცივისა და ან სიგრილისაგან ყური სტკიოდეს ჯა თბილ თბილი ესე ბოლოკის წვენი ყურშიგა ჩაიშვას, მაშინვე ყურის ტკივილი უშველოს, და თუ კაცი ყრუ იყოს, სიყრუე უშველოს“<sup>2</sup>.

ბოლოკის წვენი თვალის ტკივილის დროს იხმარებოდა: „ვინცა ბოლოკის წვენი თვალშიგა გამოივლოს, თვალთ- მწოელ დაუფერავს და თვალთა სინათლესა მისცემს“<sup>3</sup>.

„უსწორო კარაბადინში“ ბოლოკის შესახებ ვკითხულობთ: „ბოლოკი სპარსულად ფიჯილი ჰქვია, ორ ფერია ერთ მინდურისა და ერთი ბოსტნისა; და ფურცელი ერთმანეთსა უგავს. მინდურისა ძირი გრძელი ექნების და ღრმად წავა მას თათრანასა უზახიან, უკეთესი ბოსტნისა არის, და მწვანე იყოს მხურვალი არის პირველსა დარაჯამიგან. ბოლოკის გული მაგარია და გვიან მოიღნობს, მისი ნათქვევენი პურით ჭამოს საკმელსა მოანდომებს, მისი ფურცელი დანაყო და თვალშიგა ჩაიწვეთო თვალსა სინათლეს მატებს თუ მისი ფურცელი დანაყო და შეასვა ღვიძლსა გზას გაუქსნის. თუ სიქანგუბინითა მისცე, რომე შაქრით იყოს შექმნილი ცხელებასა უშველის და თუ ერთობ არა სპირდეს ცხელება და თაფლითა შექმნილი სიქანგუბინითა შეასვა არა უარესია.

და თესლიცა ამავე ხასიათისა არის თუ მოხარშული აჭამო ხველას გასწმენდს, რომე სიგრილისაგან იყოს, გუნებასა დააღობს თუ ფურცელი ჭამოს საკმელს მოანდომებს და ქარსა გაიღებს, მისთვის, რომე ბევრსა აბოყინებს, მაგრამ ქარსა შეაქს. ტანსა წესიერად ერგების და გულ სტომაქზედა კარგი არ არის.

თუ ბოლოკსა საკმელსა უკანით სჭამს ყველას მოადნობს და გაიღებს. თუ უზმა ჭამოს და ზედ საკმელსა სჭამს, სტომაქსა აშლის და საკმელსა ზედაზედ მოაქცევს, მისი ქერქი სიქანგუბინითა ჭამოს, და მისი ფურცელი შეკვრათ რომ იყოს გახსნის. და სისხასა არგებს და შირიმსა გამოსწმენდს, რომე მის-

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 81.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 202.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 202.

ნაშიგა ქვა იყოს მასაც გამოსწრენდს. იარაყანს უშველის მისი წვენი ათი დრა-  
მი უნდა შესვა ნუშის ზეთითა“<sup>1</sup>.

ძველად ბოლოკს ხმარობდნენ როგორც შარდმდენს. მის ესენციას ხმარო-  
ბენ ჰომეოპათიაში.

უკანასკნელ ხანებში ბოლოკის ფესვებში აღმოჩენილ იქნა ძლიერი ბაქ-  
ტერიოციდული ნივთიერება ლიზოციმი და ასკობინის მკავეა.

**ბოტომი** — იხ. ჩათლაყუმი.

**ბრინჯი** — Рис, *Oryza sativa* L. Gramineae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ბრინჯი საკვებ მცენარეებს ეკუთვნის. მისგან დაშნადებულ შექამადს  
მასულაყს უწოდებდნენ. მისი სამკურნალო დანიშნულება უმთავრესად შემკვ-  
რელი ხასიათის იყო. ამიტომ ხშირად ეძლეოდა „სისხით“ დაავადებულ  
აღამიანს.

იხმარებოდა ბრინჯის პური, აღნიშნავდნენ, რომ იგი „გვიან გავა სტო-  
მაქით მსუქნით უნდა ჰკამა, მკავით არ ვარგა ჰკამა“.

როგორც აღვნიშნეთ, ბრინჯი უმთავრესად შემკვრელად იხმარებოდა.  
„ვინცა პირველ ბრინჯი მოხარაკოს და მერმე ცარიელის წყლითა როშკა ფლა-  
ვად მოხარშოს და ხმელი დო თბილის წყლითა გამოლესოს და კარგად ნიორა  
უყოს. და ამა როშკა ფლაგზედა დაასხას და ჰკამოს, რაგინდარა კაცი შწოვედ  
გახსნით იყოს მაშინცა შეჰკარავს.“<sup>2</sup>

ამჟამადაც მიღებულია, რომ ბრინჯის მარცვალი მაღალხარისხოვან სა-  
კვებს წარმოადგენს და დიეტური კვებისათვის იხმარება. მედიცინაში ბრინჯი  
იხმარება სახამებლის მისაღებ ნედლეულად. ბრინჯის სახამებელი ყველა სა-  
ხამებელზე უფრო ნაზია და ამიტომ იხმარება მაღამოებში, მოსაყრელად,  
სახამებლიანი ნახვევებისათვის.

**ბროწეული** — Гранат, *Punica granatum* L. Punicaceae-ს ოჯახს  
ეკუთვნის. სამკურნალოდ იხმარებოდა მთლიანად ნაყოფი, ყვავილი, მარცვა-  
ლი, ქერქი, ფესვი, წვენი, ბროწეულის რუბი, შარბათი, სიროპი, სუფუფი,  
ე. ი. ბროწეულის კანის ფხვნილი, ცმელი, ე. ი. ქერქქვეშა გარსი.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ბროწეულის ყვავილი ხში-  
რად გვხვდება ბალსინის, გულნარის ან ჭულნარის სახელწოდებებით, მაგა-  
ლითად, ერთ-ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: „გულნარი ველური ვარდი  
ბროწეულის ყვავილი“<sup>3</sup>.

შაჰნარი ეწოდებოდა ბროწეულის წვენს, ანუ სიროპს, თუმცა უნდა ითქვას,  
რომ შაჰნარი ხშირად იხმარებოდა საერთოდ ხილის გამონაწურის აღსანიშნა-  
ვად. ალარდენი — ბროწეულის კანს, ხოლო ამ კანის ფხვნილს—ალარდე-  
ნის სუფუფი, წვენს—ალარდენის წვენი ეწოდებოდა. ბროწეულის წყალს—  
ნარას — ფარჯს, ხოლო ბროწეულის მარცვალს ნარდანს უწოდებდნენ.

ბროწეული იხმარებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც საჭირო იყო  
მკავე და გამაგრებელი საჭმელი და სასმელი.

<sup>1</sup> „უწწორო კარაბდინი“, გვ. 445

<sup>2</sup> „ილიგარ დაუდი“, გვ. 435.

<sup>3</sup> ხელნაწერი ლექსიკონი H<sup>31</sup>/3. დატულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმო-  
საველეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.

ბროწეული იხმარებოდა როგორც შემკვრელი. ხშირად ხმარობდნენ ბროწეულის შარბათს, რომელიც შემდეგნაირად არის დახასიათებული: „ბროწეულის შარბათი გრილი და ხმელია, კაცსა, რომე სისხლისა და სიმხურვალისაგან და ან ღვინისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს და ესე ბროწეულის შარბათი სვას, თავისა და საფეთქლების ტკივლს მაშინვე უშველის სისხლსა და სიმხურვალესა დაავებს. კაცსა რომე სტომაქის თავი სტკიოდეს, ან ღვიძლ ნაწყენად იყოს, ან კაცი გულზედა სუსტად იყოს და ესე ბროწეულის შარბათი სვან, გულსა, ღვიძლსა და სტომაქს, სამსავე მწოვედ არგებს და დააძლიანებს, საფრას მოჰყუთს და გააქარვებს და კაცი რომე მუცელში-გა გახსნით იყოს, მუცელშიგა შეჰკრავს.

კაცსა რომე რწყევა ანუ წყურვილი აუვარდეს და ესე შარბათი სვას, რწყევასა და წყურვილსა ორსავე უკუუგდებს და ღვიძლსა უცხოფრად არგებს და სიმხურვალესა გაუგდებს“<sup>1</sup>. გარდა ამისა, ბროწეულს ხმარობდნენ ჰიის საწინააღმდეგოდ. მას იყენებდნენ მუწუკებზე დასადებად: „...ბროწეულის ქერქი, ნიშადური და შაბი ყუელა ერთად დანაყე და იმა მუწუკზედა დასდვან, რომე მუწუკი შექამოს და გააქროს“<sup>2</sup>.

ბროწეული შეტანილია თანამედროვე სახელმწიფო ფარმაკოპეაში, ბროწეულის ღეროს ქერქი შეიცავს ალკალოიდებს, რომლებიც ჰიის საწინააღმდეგო საშუალებად იხმარება.

ბურიზადი — იხ. საქპინაქი.

გავზაბანი — იხ. ზროხის ენა.

გაზრა — იხ. სტაფილო.

განდანა — იხ. პრასა.

გელანჯუგა — იხ. ყაყაჩო.

გვირილა — Ромашка, Compositae-ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლებში გვხვდება გვირილა ყუითელი — *Chamaemilus vulgare*, მისი სინონიმებია — ანაგვირილა, ქამენია, მისაწარა.

გვირილა წითელი — *Pyrethrum roseum*, რომელსაც აგრეთვე ეწოდებოდა საკრწყილე, ბაბუნაჯი, ირიტუკაი, მყრალუა, ამრიკა, ამარიტონი, „ამარიტონი ბაბუნაჯსა ჰქუიან“<sup>3</sup> ჩიჩაგი.

გვირილა თეთრი — *Matricaria chamomilla* L., — ამრიკონი თეთრი, ბაბთია აბზინდა, მისაი, მამულა. გვირილის ყვავილსაც ბაბუნაჯს უწოდებდნენ. სამკურნალოდ იხმარებოდა გვირილის მწვანე ნაწილები, გვირილის ყვავილი. ამზადებდნენ: გვირილის წყალს, ზეთს, შარბათს, გვირილის ყვავილის ზეთს, ე. ი. ბაბუნაჯის ზეთს, რომელიც იხმარებოდა ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ და მალამოების „შესაქმნელად“.

„ზეთი ბაბუნაჯისა, მის ხასიათი, ვინცა იცხოს ერგების ძველსა ცხროსა და შეუღობს გარიულთა; და იხმარების გველისა სიმსიენისათვის და ამისა და ბაბათის ზეთისა ხასიათი ერთია და სიმსიენისათვის ტლეთა შინა იხმარების“.

<sup>1</sup> „ილიგარ დაული“, გვ. 598, 599.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 319.

<sup>3</sup> ხელნაწერი Q 877, დაკულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

თეთრი გვირილიდან მიღებულ ზეთს ბაბთის ზეთი ეწოდება. მის შესახებ ვკითხულობთ: „ბაბთისა ზეთი ბაბუნაჯის ზეთს სჯობს, უმხურვალესი არის. ყოველს სატკივარს დააწყნარებს, კაცი რომე მოლაღვით იყოს, მას არგებს, ქარსა უშველის, ძილს მოგურის უფრო. ბაბთისა ზეთი შეკრულს ძარღვებს გახსნის, ცხროს არგებს, რომე ტანზედ შეიცხოს“.<sup>1</sup>

გვირილის ყვავილი იხმარებოდა ელენთის ტკივილის და გადიდების შემთხვევაში. გვირილის ყვავილს ან მწვანე ნაწილებს ვნელებით მუწუქების განოსარწყავად ხმარებული ტლევების შემადგენლობაში. გარდა ამისა, გვირილის ბალახის წვენი გარეულ ძროხის ნაღველს ხმარობდნენ მტკივან ყურში ჩასასხმელად: „ვინცა ძროხის ნაღველი გვირილისა ბალახის წვენითა გააყენოს და თბილი ყურშიგა ჩიხისას, ჰია მოკლას და ტკივილი უშველოს, სისხლი და ბალღამი გამოსწმინდოს“.<sup>2</sup>

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ აღნიშნულია, რომ სამკურნალო ოყნის შემადგენლობაში შედიოდა გვირილა. ბაბუნაჯი მრავალჯერ არის მოხსენებული „წიგნი სააქიმოში“.

იგი შედიოდა იმ წამლების შემადგენლობაში, რომელნიც იხმარებოდა თავის ტკივილის, თვალების დაავადების, ყურის ტკივილის და ზოგიერთ სხვა სნეულებათა დროს. გარდა ამისა, „ცხროს“ შემთხვევაში ბაბუნაჯის ზეთი იხმარებოდა დასაზღვლად ოფლის გამოყენების მიზნით.

გვირილის მწვანე ნაწილების ნახარში იხმარებოდა „თირკმლის ტკივილისა და ქვების წინააღმდეგ“—„ვინცა ბაბათია ვითამცა და გვირილის ბალახი, მოხარშოს და სვას, და თბილსა იმისა წყალშიგა კოდესა ჩაჭდეს, თირკმლის ტკივილი უშველოს და ქვა გააქარვოს“.<sup>3</sup>

გვირილის შესახებ „იადიგარ დაუღში“ ვკითხულობთ: „გვირილაები, აწე ჯითელსა გვირილასა ხავარნი ჰქუიან, საკრწყილესა გვირილასა ბაბუნაჯი ჰქუიან, და თეთრსა გვირილასა ბაბათია ჰქუიან. და ესე სამი გუარი გვირილაები სამნივე მხურვალი და ხმელია, და ყოვლის გრილის სენისა და ჰირისათვის სამივე წამალი არის, რომე ან მისი შარბათი ასვან, ან დანაყონ ტლედ ქნან და სადაცა სტკიოდეს და ან უსიოდეს იქ შემოსდვან. ყოველსა ქარსა დაღვეს და გააყენებს, და ყოვლისა გრილსა სენსა არგებს და წამალი არის ცივებისა, სისხლისა, გრილის ხაფაყანისა, ასოსა, ბულის და სახსრების ტკივილისათვის, თავის და წელის ტკივილისათვის და ყოვლის ბალღამის წამალია“.<sup>4</sup>

გარდა ამისა, შაბლოვსკის ცნობით, *Matricaria chamoemilla* L. აფხაზეთში იხმარებოდა ცინგის საწინააღმდეგოდ.

*Matricaria chamoemilla*-ს ყვავილები შეიცავენ ეთეროვან ზეთს, მწარე ინვითერებებს, გლუკოზიდებს.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 425.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 299.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 472.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 207, 208.



მედიცინაში იხმარება გვირილის ყვავილელი გამონაცემის სახით როგორც ოფლმდენი და კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალება. გარდა ამისა გვირილა გამოყენებულია, როგორც გარეგანი საშუალება.

გია—იხ. ღვივის ხე.

გლერძი — Actpara.1, Astragalus, Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის. ეველი ხენაწერი ლექსიკონების მიხედვით გლერძს ეკალბუჩქასაც უწოდებდნენ.

ამჟამად საქართველოში Astragalus-ს ბევრი სახეობაა გავრცელებული. ისინი ქსეროფიტული მცენარეებია, მაგრამ ძველ ქართულ სამკურნალო ძეგლებში მოხსენებული უნდა იყოს Astragalus creticus—კრიტაული, რომელიც იძლეოდა გუმფისის gummi tragacantha. სწორედ ეს გუმფისი იხმარებოდა სამკურნალოდ და მას ქათირას ან ქასირას უწოდებდნენ.

გუმფისი—ტრაგაკანტის შემცველი სახეობის რიცხვი საბჭოთა კავშირში სამოცამდე აღწევს, საიდანაც ექვსი წესადლებელია გამოყენებული იყოს ამ გუმფისის მისაღებ ნედლეულად.

როგორც ქართული სამედიცინო ხელნაწერებიდან ჩანს, ეს გუმფისი უმთავრესად იხმარებოდა ფილტვების და გულის დაავადებების წინააღმდეგ— „ქასირა მხურვალი და რბილია და ხველას კარგად მოუხდების და გულსა და ფილტუს დაუღობს“<sup>1</sup>. იგი ხშირად გვხვდება აღნიშნული დაავადებების სამკურნალოდ ხმარებული წამლების, აბების, „ლოყიების“, „მარკულების“ შემადგენლობაში.

სამედიცინო წყაროებში ქათირა აგრეთვე გვხვდება მთელ რიგ სხვა დაავადებათა დროს ხმარებული წამლების შემადგენლობაშიც. მაგალითად, თვალის ტკივილის, სურდოს, ყელის და სასის შესიების, ყურში შუილის და მთელი რიგი სხვა დაავადებების სამკურნალოდ.

თანამედროვე მედიცინაში ტრაგაკანტი იხმარება როგორც შემაკავშირებელი ნივთიერება ტაბლეტების, კვერების და წამლის სხვა ფორმების დასამზადებლად. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველ მედიცინაში ქათირას ანუ ფართოდ ხმარება ამავე მიზანს ისახავდა.

გრაკის ხე — გრაკლა, ბრაწი, Таволга, Spiraea Pall. Rosaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

საქართველოში იგი ამჟამად მოიპოვება ჯაგეკლიანი ველების დაჭგუფებებში, კლდეების ფერდობებზე, ფოთლოვან ტყეებში.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში აღნიშნულია, რომ სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა გრაკის ხის ხილს, ე. ი. მის ნაყოფს და მას ქაზმაზგუს უწოდებდნენ — „ქაზმაზუ ვითამცა და გრაკის ხის ხილი“<sup>2</sup>. სამკურნალოდ ხმარობდნენ აგრეთვე ფოთოლს, ხის ცილას, ნაყარს.

სამკურნალოდ ეს მცენარე შემდეგნაირად იხმარებოდა: „ვინცა გრაკის ხე მოხარშოს და ამის წვენი პირშიგა იმგვიბოს და ეს მოხარშული გრაკის ფოთოლი ყელზედა შემოიდვას, ყელის სისხლის დენასა უშველის, და დამწვარზედა რომე დაადვა, მისთვისცა მწოედ კარგი არის“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 468.

<sup>2</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 310.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 544.

გრაკისა და ჯორის ძუის ხეები ორივე გრილი ჯა ხმელი არის, ვინცა ესე ხეები მოხარნოს და პირშიგა იმგვიბროს, კბილის ტკივილა უშველის“<sup>1</sup>.

„ვინცა გრაკის ხის ნაცარი წყალით გააყენოს და დამწვარზედა დაადვას, მწოდე კარგად მოუხდების“<sup>2</sup>.

„ვინცა გრაკის ფოთოლი მოხარნოს და ტყირაზედა დაადვას ტყირპი უშველოს“<sup>3</sup>.

„ვინცა გრაკის ხის ხილი დანაყოს და თაფლშიგა ამოზილოს და ჰამოს წელის ტკივილი სიძხურვალისაგან იყოს, წელის ტკივილი უშველოს, და ვინცა თაფლითა ჰამოს კაცსა, რომე წელწულშიგა მსხმო ესხას ისიცა უშველოს“<sup>4</sup>.

ა. ო. იაშვილის მიხედვით, ქაზმაზუ შედიოდა ფხენილის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა ღრძილების სამკურნალოდ. თანამედროვე მედიცინაში ეს მცენარე არ იხმარება.

გუნდა — როგორც ჩანს, ამ სახელწოდებით ძველ საქართველოში ცნობილი იყო გალები, რომლებიც წარმოადგენს, თავის შუა ნაწილში, ტანინის შემცველ კაკლის ოდენა წარმონაქმნს. ცნობილია, რომ გალები ჩნდება მუხის. ყლორტებზე და აგრეთვე ფუსტულის და იალღუნის ფოთლებზე.

გალები ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება გაზმაზუს სახელწოდებით, უფრო სწორედ გაზმაზუს უწოდებდნენ გალების შიგნითა სირბილეს. გაზმაზუ განმარტებულია შემდეგნაირად: „გაზმაზუ იმას ჰქუიან, რომე გუნდშიგან სხუავე გუნდა იღვას“<sup>5</sup>.

სამკურნალოდ იხმარებოდა თვით გუნდა, მწვანე ჯა დაუმწიფებელი, გუნდის ქურქი, ანუ ნაქუკი, გუნდის გამონაწერი, რომელსაც გუნდის სასმელი ეწოდებოდა.

გუნდას თუ რა სამკურნალო თვისებებს აწერდნენ ამაზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ამონაწერები:

„გუნდა მხურვალი არს და გრილი, მმახველი სტომაქისა, და თუ დააღბო ძმრითა დანაყილი და იცხო თმასა ზედა, დააშავებს“<sup>6</sup>.

„თავის ტკივილისათვის აიღე გაუხურებელი გუნდა, დალეწე და გული გამოართვი, წყლითა გაქენ და ცხურიშიგა ჩაუშვი, და თავი დაღმა ქნას...“<sup>7</sup>.

„და თუ ცხვირსა მწოდე სიახლი სდიოდეს... ცხვირი დანაყილი გუნდით გამოუტენონ, და აბლაბუდა მელანშიგა ამოქულიტონ და ცოტაოდენი საკმელი ან ცოტაოდენი ბროწულის ყუაილი წმინდად დანაყონ. გაცრან ჯა იმა აბლაბუდასა და მელანზედა შიყარონ და ორივე ცხვირი ამა აბლაბუდითა გამოუტენონ...“<sup>8</sup>

შესაძლებელია მელანში აქ გუნდის წვენს გულოსხმობდნენ. გუნდას

1 „იადიგარ დაუდი“, გვ. 316.

2 იქვე, გვ. 545.

3 იქვე, გვ. 410.

4 იქვე, გვ. 470.

5 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 443.

6 იქვე, გვ. 412.

7 იქვე, გვ. 18.

8 „იადიგარ დაუდი“, გვ. 140.

ხმარობდნენ ყურის ტკივილის მკურნალობისათვის—„ვინცა გუნდა დანაყოს და გაკრას და იასამნის ზეთში ამოეღვლიმოს და—ყურშია ჩააწუროს, ტკივილი უშველის, და თუ ყურშია ჭია ასხია დაჰხოცს“.<sup>1</sup>

სისხლის დენის დროს ურჩევდნენ: „მურდის წყალი, ვაშლის ფოთლის წყალი, გუნდა და ბროწეულის ქერქი უნდა ეს წამლები ყუელა ერთად მოადულონ და წელთამდისი თბილსა ამა წამლებისა წყალშია ჩასვან და ეშველების და სისხლის დასწყუეტს“<sup>2</sup>.

„ნიშანი მარცულისა ჩადებითა პირსა შიგან. ერგების მოფოლხვებულებასა. ღრძილთასა რომლისგან გამოვიდოდეს სისხლი ნიადაგ ტკივილსა კბილთასა და აცოხნეთასა და გამოიღებს სინოტიესა პირისაგან და დაუამებს სულსა პირისასა და ერგების კბილთა შეძრულთა... აილე კარამფულის გურკა და აყარყარა და ჯუნდა მწვანე...“<sup>3</sup> ჩანს, ამზადდნენ „მარცვალს“ ანუ აბს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა გუნდა და იხმარებოდა პირის ღრუს დაავადებების სამკურნალოდ.

გუნდა მალამოებშიც გვხვდება.

„თუ სიმსიენე ფიცხელისა ზაფრისაგან იყოს და მანკი ხორცს შესკამდეს ესე მაჰლაში იხმაროს ვითარებაი მისი გუნდაი მწვანე...“<sup>4</sup> და სხვ.

სასისა და ყელის ტკივილის დროს ურჩევდნენ: „გუნდაისა შემგბარისა წყლითა იღარღაროს“, ანდა „გუნდაითა და ძმრითა იღარღაროს“<sup>5</sup>.

ძლიერი ოფლდენის დროს ოფლის გამოყოფის შესაჩერებლად ხმარობდნენ გუნდას: „გუნდაი დანაყოს და ვაზისა თავისა წყლითა შეზილოს და შესცხოს კარგი არს“<sup>6</sup>.

გუნდა იხმარებოდა კრილობიდან სისხლის დენის შემაჩერებელ წამლად: „სისხლისა კურნებაი, რომელ დაკოდლისაგან არა უკუ დგებოდეს იგი არს... დანაყილი გუნდაი, დამწუარი მჩვარი ზედ შემოდვას კარგი არს, რაი წყლითა და ძმრითა დაასველოს“<sup>7</sup>. გუნდას თმის შესაღებადაც ხმარობდნენ.

ა. ო. იაშვილის მიხედვით, გუნდას ბავშვებს აძლევდნენ ფალარათობის დროს. გუნდა ძალიან ხშირად იხმარებოდა ბროწეულის ქერქთან და თუთუბოსთან ერთად. ამჟამად ტანინს ფართოდ იყენებენ სამედიცინო და ტექნიკური ტანინის მისაღებად. ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს *Gellae turcineae*, რომელიც უჩნდება *Quercus Infectoria Wild-ის* (Дуб каштанно-орешковный), *Gallae turcineae* — შეიცავს 50—60% ტანინს. აკად. ი. ქუთათელაძის მიხედვით ტანინს საქართველოს მაღალმთის მუხებშიც *Quercus macrantherae-ის* გალებშიც შეიცავენ.

გუნდრუკი — თეთრი საკმელი. ამ სახელით მოტანილია *Boswellia serrata Stach-ის* გუმფისი.

<sup>1</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 302.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 468.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 67.

<sup>4</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 271.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 148.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 260.

<sup>7</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 292.

მას ზოგჯერ ლადანას ან ბადარუქს უწოდებდნენ. სამკურნალოდ იხმარებოდა გუნდრუქის ზეთი. გუნდრუქი გვხვდება თვალის დაავადების დროს ხმარებულ წამლებში, მაგალითად, იგი იხმარებოდა თვალში ჩასაყრელ წამლად, როდესაც „თულსა რომელსა თეთრი იყოს—ალკი მარილი, გუნდრუქი და ბავრუქი და ლილა:—ორი ნაწილი გუნდრუქი ყავდა სხუა—თითო მოგალენ და თულათა უბერე“<sup>1</sup>.

ლადანი გვხვდება თავის ტკივილის სამკურნალო ვარეჯანად სახმარი წამლების შემადგენლობაში.

ა. ო. იაშვილის მიხედვით გუნდრუქი იხმარებოდა სხვადასხვა სასუნებელი წამლების დასამზადებლად.

დანაიის კული — ფინიკის პალმა, ინდისხურმა, *Финиковая пальма*, *Phoenix dactylifera* L. *Palmaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება განმარტებები: „დანასკული თამირინდსა ჰქუიან“, ანდა: „ჰინდოურიტა ხურმითა, რომელსა ჰქუიან თამირი ჰინდი“.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ქართულ ხელნაწერ ლექსიკონში ფონდი H<sup>1/3</sup>, გვაქვს ასეთი განმარტება: „თამარ დანაიისკული, ნახლ დრახთიხურმა ხურმა ალაქი“ და იქვე: „დანაიისკული, ფინიკი, დრახტი ხურმა, ხურმა ალაქი“.

გარდა ამისა, საბას მიხედვით—„თამარ დანაიის კული. გინა რატა“. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნისათვის“ თანდართულ ლექსიკონში მოცემულია განმარტება, რომელიც ამოღებულია ვახტანგ VI-ეული ლექსიკონიდან (Q 914). ეს განმარტებაც ადასტურებს, რომ დანასკული — „დემირჰინდსა ჰქუიან“.

ა. ო. იაშვილის ნაშრომშიც „ამიერკავკასიაში ხალხური მედიცინის შესახებ“ თამირინდი, თემირ-ჰინდი, დანანასკული გაიგივებულია. მაგრამ ეს სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, ვინაიდან თამირინდი, თამირჰინდი თამირინდი არის *Tamarindus indica* L. მცენარე *Legaminosae*-ს ოჯახიდან.

— ვინაიდან სინამდვილეში დანიის კული და თამირინდი სულ სხვადასხვა მცენარეების სახელწოდებებია, ამიტომ ამ ორ მცენარეზე ცალ-ცალკე შევჩერდებით.

დანიის კული წარმოადგენს ფინიკის პალმას *Phoenix dactylifera*, რომლის ნაყოფს ინდის ხურმას უწოდებენ.

სამკურნალოდ იხმარებოდა ნაყოფი, რომელიც გამოყენებული იყო როგორც გარეგან, ისე შინაგან საშუალებად.

კანის დაავადების დროს ინდის ხურმას ხმარობდნენ დასალევი წამლის შემადგენლობაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფიქობდნენ, რომ მუცლის ტკივილი და პირღებინება გამოწვეული იყო გადამტებული ჰამით, ავადმყოფს მუცელზე ადებდნენ მალამოს, რომელშიც დანაიის კული შედიოდა.

სისხლის ღენის შემთხვევებში სხვა წამლებს შორის მკვახე დანაიის კულიც იყენებდნენ.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 72.

დანაკის კული გვხვდება ღვიძლის ტყვილის დროს გარედან შემოსადებ წამლის შემადგენლობაში.

დანამასტაქი — *Мелитиковое дерево, Pistacia lentiscus L. Anacardiaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში უმთავრესად გვხვდება მასტაქის ან ელიქირუმის სახელწოდებით. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“-ს ორმოცდამესამე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „ელიქირუმი მასტაქსა ჰქუნიან“. მასტაქი გვხვდება აბის, გვარიშნის, გამონაწურის სახით. ხმარებაში იყო მასტაქის ზეთი. გარდა ამისა, ამ მცენარის ფისს კეთილსურნელოვან კევად ხმარობდნენ. იგი მოხსენებულია კევის, ალაქიკევის ან საყიზის კევის სახელწოდებით. გვხვდება აგრეთვე ალაქის ნაწურიც, ე. ი. კევის გამონაწური.

ალსანიშნავია, რომ დანამასტაქს საქმელშიც ხმარობდნენ. კევი თავისთავად საღებ წამლადაც იხმარებოდა ღრძილების გამაგრებისა და კბილების გათეთრების მიზნით. კევის ღეჭვას კიდევ სხვა სამკურნალო თვისებებსაც აწერდნენ, სთვლიდნენ, რომ „...ვინცა ესე დანამასტაქი ღეჭოს თავის ტყვილისათვის მწოდელ კარგი არის“<sup>1</sup>.

„კაცსა რომე ყელშიგა სისხლი სდიოდეს იმას უშველის. კაცსა პირდაღმან კაის სულსა ამოადნეს.“<sup>2</sup>

ქუთუთოების ტყვილის და წამწამების დაცვენის დროს იხმარებოდა ალაქის ნაწური, რომელსაც წაუსვამდნენ ხოლმე თვალზე: „ალაქის ნაწურელი და ჰამო ფაჩარი და ბალანისა გურკა ყველაი ერთად გაგალოს და მანკის ადგილსა შემოსცხოს“<sup>3</sup>.

ზოგიერთი წამალი მასტაქის ზეთით იყო შეზედილი. ზოგჯერ ამ ზეთს ხმარობდნენ დაავადებულ ადგილზე წასასმელად.

მასტაქის წყალს პირში გამოსავლებად ხმარობდნენ.

ამჟამად დანამასტაქი — *Pistacia lentiscus L.* ტექნიკურ მცენარედ ითვლება.

დარაბილილი — დარუფილფილი, წიწაკა *Piper longum L. Solanaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. იგი დარუფილფილის სახელწოდებითაც გვხვდება. ძველ ხელნაწერ ლექსიკონებში მოტანილია განმარტება „დარუფილფილ, გრძელი პილილი“<sup>4</sup>.

ე. შტებერის მიხედვითაც, „*Piper longum — Дар фильфилъ*“ — ეს მცენარე ძველ ქართულ მედიცინაში ხშირად იხმარებოდა სხვადასხვა ნერვული დაავადების სამკურნალო წამლების შემადგენლობაში:

„დარუფილფილი კაცისა გვამსა სტომაქსა და წელებსა სამსავე გასწმენდს და ბაყლსა და ბალღამსა და ავსა ხილთსა გააქარვეს“<sup>4</sup>.

„დარუფილფილი მხურვალი და ხმელი არის, და კაცს რომე ფილენჯისაგან პირი ან თვალი გაუმრუდებოდეს, მას უშველის და თრთოლას უშველის ბალღამს გაილებს“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „იადიგარ დაული“ გვ. 280.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 215.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმიო“, გვ. 101.

<sup>4</sup> ხელნაწერი ლექსიკონი H<sup>31</sup>/2, დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 464.

მართლაც იგი გვხვდება ჯალინოზის იარაჯის შემადგენლობაში, რომელიც „არგებს ფილენჯსა და ლაუუსას“. ეს დაავადებები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ნერველ დაავადებებს წარმოადგენდნენ.

დარუფილფილი გვხვდება „მარცულის“ შემადგენლობაში, რომელიც „ერგების ტკივილსა, ნოჯრისისასა და ტკივილსა შინადგამათასა“<sup>1</sup>.

დარუფილფილი შედიოდა „ყოლინჯის მაჭუნში“. ფიქრობდნენ, რომ ეს მაჭუნიც „ყოლინჯისა სატკივარსა დასავამს ტანი რომე შეეკრით ჰქონდეს გაუხსნის და სტომაქსა ძალსა მისცემს“<sup>2</sup>.

თვალის დაავადების დროს ხმარებულ ჩასაწვეთებელ და ჩასაყრელ წამლების შემადგენლობაშიც ეხვდებით დარუფილფილს.

დარიჩინის ხე—*Кориичное дерево, Cinnamomum zylanicum Breyh. Lauraceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ეს მცენარე იზრდება ცეილონზე. არსებობს მეორე სახეობა *cinnamomum cassia*, რომელიც სამხრეთ ჩინეთში და იაპონიაში იზრდება. როგორც ჩანს, ეს მცენარეები საქართველოში შემოქონდათ.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში დარიჩინის ხე გვხვდება აგრეთვე დარიჩინის კილამონის და კინამონის სახელწოდებით. „კილამონი—დარიჩინა“<sup>3</sup>. ხურფა ეწოდებოდა დარიჩინის ხის ნედლს კანს. იგივე-კირფა, კორფა „ხურფა ვითამცა და დარიჩინის ნეკერიო“<sup>4</sup>.

სამკურნალოდ იხმარებოდა უმთავრესად დარიჩინის ხის კანი; ზოგიერთი წამლის შემადგენლობაში გვხვდება „დარიჩინის არაყი“.

„სისხლქარბი“ ადამიანის საკმელს ხშირად უმატებდნენ დარიჩინს და მი ჭაკს.

დარიჩინი შედიოდა შარდის შეუქავებლობით დაავადებულთა სამკურნალო მაჭუნის და ენის დასივების შემთხვევაში ხმარებული რთული წამლების შემადგენლობაში.

დარიჩინი გვხვდება „სიცოცხლის მაჭუნის“, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებდნენ, „მაჭუნი ფალასუფას“ შემადგენლობაში. თელიდნენ, რომ იგი სასარგებლო იყო ყოველგვარი დაავადების შემთხვევაში.

თაფლის შარბათის შემადგენლობაში შედიოდა ხელფა. თაფლის შარბათი ეძლეოდათ უმთავრესად მოხუცებულებს „ხელ-ფეხის თრთოლის“ დროს.

თანამედროვე მედიცინაში დარიჩინი იხმარება წამლებისათვის გემოს მისაცემად; იხმარება მალის მომგვრელად. დარიჩინის ხის ქერქი შეიცავს ეთეროვან ზეთს, შაქარს, მთრიმლავ ნივთიერებას.

დაფნა—*დაფინდი, Лавр благородный, Бониковое дерево, Laurus nobilis L. Lauraceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ახლა საქართველოში დაფნა ხე გვხვდება „იმ კირქვიან კონუსებში, რომლებიც გავრცელებულია კოლხეთის დაბლობთა და ვაკეთა მხარეში. ამ ბუჩქნართა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დაფნარები...“<sup>5</sup> ეს მცენარე ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში კიდევ დაკმეშთის სახელწოდებით გვხვდება.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 66.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>3</sup> ხელნაწერი Q 877, დატულია ქ. თბილისის აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

<sup>4</sup> „იადიგარ ღული“. გვ. 57.

<sup>5</sup> ნ. ე. ც. ხ. ე. ე. ლ. ი., „საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები“, გვ. 309.

დაფნის თესლს ეწოდებოდა აბალლარი. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ ვხვდებით განმარტებას: „აბალლარი — რომელ არს დაფნისა თესლი“<sup>1</sup>.

„იადიგარ დაუღში“ დაფნის შესახებ ვკითხულობთ: „დაფნი გრილი და ხმელი არის, კაცმან რომე ამისაგან ორი ღირჰამი სეას, მაშინვე გახსნის, სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს და მხურვალესა სენსა არგებს. საწამლავ ნაჰამსა, ან შორიელ ნაცემსა კაცსა რომე ასეა, ორსავე უშველის, მაგრამ თუ კაცი ბევრსა სვამს თუალთა აწყენს. ამისი წამალი ის არის, რომე ეს დაფნი-ჯავანის ჯათირითა ჰამოს“<sup>2</sup>.

სამკურნალოდ იხმარებოდა დაფნის ხის ნაყოფი, ფოთოლი, დაფნის ხის ზეთი.

დაფნა სხვადასხვა სახით გვხვდება მთელი რიგი წამლების შემადგენლობაში. მაგალითად, სახსრების ტკივილისათვის ხმარებული ტლე შეიცავდა დაფნის ხის ზეთს.

მეტად ძლიერი თავის ტკივილის დროს ხმარებული რთული წამლის შემადგენლობაში შედიოდა დაფნა.

თირკმლებისა და შარდის ბუშტის სიმსივნის დროს ხმარებული წამლის შემადგენლობაში ვხვდებით დაჰმიშთის ზეთს.

დაფნას ფართოდ იყენებენ საკმელების შესაზავებლად. თანამედროვე მედიცინაში დაფნის ზეთს (ე. წ. *бончковое масло*) ხმარობენ მალამოების შესამზადებლად.

დაჰმიშთი—იხ. დაფნა.

დემურთიჰანი—იხ. ლურსმარა ეკალი.

დიდი კამა—იხ. კამა.

დინოსი—იხ. კანაფი.

დიყი — *Боршеник, Heracleum sphondylium, umbeliferae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ეს მცენარე ძველ სამედიცინო ხასიათის წყაროებში გვხვდება კიდევ შემდეგი სახელწოდებით: სასლიური, სისლიოზი, სისალიუსი. ზოგჯერ მის თესლსაც სისალიუსს ეწოდებდნენ: „სისალიუსი ვითამცა და დიყის თესლი“<sup>3</sup>.

სამკურნალო მიზნით იხმარებოდა როგორც თვით მცენარე, ისე მისი თესლი. დიყი გვხვდება „ყოლინჯის ტკივილის“ ან თიაქრის დროს განვითარებული კუჭის შეკრულობისას ხმარებული ყურსის შემადგენლობაში.

დრამინაი—იხ. ხოროსანი.

დურახოთი — იხ. კამა.

დუყო—გარეული სტაფილო, ქალაკოდა, *Дикая морковь, Laserpitium pruthenicum* L. *Umbeliferae*-ს<sup>4</sup> ოჯახს ეკუთვნის.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 418.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 421.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 565.

<sup>4</sup> *А н е и к о в Н.*, «Ботанический словарь». 1878 г.

ეს მცენარე შაყაყულის სახელითაც გვხვდება. „შაყაყული ველურ სტაფილოს ჰქვია“<sup>1</sup>. „მინდორეულისა სტაფილოსა ღუკ-ჰქვია და შაყაყულსაცა უძახიან“<sup>2</sup>.

„ღუყო — ველური სტაფილოს ძირია“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, იგი საქმელადაც და სამკურნალოდაც იხმარებოდა, ფიქრობდნენ, რომ „სტომაქს დაალობს“, „სტომაქით გვიან გავა“. მას აგრეთვე შარდმდენად ხმარობდნენ, შედიოდა ტლეების შემადგენლობაში, რომელიც ტკივილის დროს იხმარებოდა.

ეგირი — იხ. ადხარი.

ელჭირუმი — იხ. დანამასტაქი.

ენდრო—*Marpeia, Krann, Rubia tinctorum L.* (ჩვენში მოიპოვება *R. petiolaris G. Worf*), *Rubiaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში რუხნაჯის სახელწოდებითაც გვხვდება. ეს მცენარე ძველ ქართულ მედიცინაში მთელ რიგ დაავადებათა სამკურნალოდ იყო გამოყენებული. ხმარებაში იყო ენდროს ძირი და ენდროს ნაყოფი, თვით მცენარე იხმარებოდა თავის ტკივილის დროს: „ვინცა ენდრო დანაყოს და სრულად თავზე დაიდვას თავის ტკივილი ეშველოს“<sup>4</sup>.

ენდრო გვხვდება აგრეთვე ღვიძლის ტკივილისათვის ხმარებულ რთულ წამლების შემადგენლობაში.

ენდროს ნაყოფს შემდეგი დანიშნულებითაც ხმარობდნენ: „ვინცა ენდროს ხილი დანაყოს, და თაფლში ამოსურიშის და ქამოს ტყირპი ეშველოს. ან ვინცა ესევე ენდროს ხილი დანაყოს და ან სიქანგუბინითა და ან ძმრითა სვას ტყირპისათვის მწოედ კარგი არის“<sup>5</sup>.

დანაყილი და კვერცხის გულში არეული ენდროს ძირი ეძლეოდათ „სიყვითლით დაავადებულებს“. გარდა ამისა, ენდრო გარეგან საშუალებადაც იხმარებოდა კანის დაავადების დროს: „ენდრო—გამომღებელი არს სისხლისა, რომე საშოსა შინა იყოს, და ერგების ბაჰქსა, როდეს იცხოს ზედა“<sup>6</sup>.

ენდრო საღებავის მომცემი მცენარეა. მისი ფესვი შეიცავს გლუკოზიდებს, ამ გლუკოზიდებიდან მიიღება საღებავი ნივთიერება ალიზარინი, რომელიც იხმარება მალამოს სახით სახსრების დაავადების დროს; ჰომეოპათიაში იყენებენ მისი ფესვებიდან დამზადებულ ნაყენს, სხვა მხრივ თანამედროვე მედიცინაში გამოყენებული არ არის.

ერვინდი—იხ. რევანდი.

ვაზი—*Лоза виноградная, Vitis vinifera L.* *Vitaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ვაზს, მის ნაყოფს და ყურძნიდან მიღებულ სხვადასხვა სახის ნაწარმს უძველესი დროიდან ფართო გამოყენება ჰქონდა. ხმარებაში იყო ვაზის ხე, ვაზის

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, ლექსიკონი.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 441.

<sup>3</sup> ხელნაწერი Q 877, დატულია აკად. ს. ქანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მედიკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

<sup>4</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 181.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 409.

<sup>6</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 411.



რქა და მისი ნაცარი, ვაზის ფოთოლი, ვაზის ნაცარი, ყურძენი, ისრიმის გამო-  
ნაწური, ჭულაბი, რუბი. ქიშიშიში—გამხმარი უკურკო ყურძენი, მავიზა, ანუ მა-  
ვაზი—მსხვილი შავი ქიშიშიში, სხვადასხვაგვარი ჩამიჩი და მათ შორის ზიბი-  
ბი— უკურკო ჩამიჩი, ნონიჯი—დაუმწიფებელი ყურძენი და მისი წვენი.  
ბადაგი და სხვ.

ყურძენს უნიშნავდნენ, როგორც ჭანმომგვრელ საშუალებას, იგი მეტად  
სასარგებლოდ იყო მიჩნეული ფილტვებით ავადმყოფებისათვის. ყურძენს  
„კჳუსისა და გულისყურის მომმატებელ“ ხილად თვლიდნენ. ყურძენს აკმევე-  
დნენ „ცხროს“ შემთხვევაში და სხვ. ზოგიერთი სნეულების, მაგალითად,  
„სეიდის“ დროს ყურძენის მიცემას არ ურჩევდნენ. აგრეთვე სთვლიდნენ, რომ  
ყურძენის ჭამა წიპწიანად და კანიანად მავნებელი იყო ყოველთვის, გარდა იმ  
შემთხვევისა, როდესაც კაცს „წელშივა მუწუჯი ან სხვა რამე მსხმო“ ჰქონდა.

ვაზის რქა და ისრიმის შარბათი იხმარებოდა პირღებინების შესაჩერებ-  
ლად: „თუ ეს კაცი ბევრსა არწყევს, ისერიმის შარბათი რომე პიტნისა წყლითა  
შექნას ასუან... და ახლისა ვაზისა რქა აღეკონ.“<sup>1</sup>

საერთოდ ისრიმი, რომელსაც აზოხი ეწოდებოდა, ფართოდ იხმარებოდა  
მისი წყლის, წვენის, შარაბის, რუბის სახით. ისრიმის შესახებ კვითხულობთ  
შემდეგს: „...გრილი და ხმელი არის, სისხლსა და საფარსა ორსავე დააწყნა-  
რებს და გააქარვებს კაცსა წყურვილსა და რწყევასა ორსავე უკუუგდებს, სტო-  
ნაქ მხურვალის კაცისათვის და მხურვალის ღვიძლისათვის ორივესათვისვე  
მწოედ კარგი არის. კაცი რომე მუცელშივა გახსნით იყოს, მაშინვე კაცსა შე-  
ჰკრავს და აღუღებულსა სისხლსა და საფარსა დაადუმებს და დაავსებს, კაცსა  
საკმელსა კარგად შეარგებს და კიდევ ადრე მოანდომებს.

კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან თავი და საფეთქლები სტკიო-  
დეს და ან სისხლის და საფარისაგან კაცსა აცხელებდეს და ან იარაყანი სჭირ-  
დეს, ან ღვიძლითა და ან სნებითა ავად იყოს, ამავეებისათვის ყუელასათვის  
მწოედ კარგი და გამოჩენილი წამალი არის, მაგრამ ქარი სდევს.

აწე თუ კაცსა ამა ისრიმან აწყინოს, ამისი წამალი და ისლაპი გვილან —  
გვიბინითა და შავი ყურძენითა არის. და ამა ისრიმისა უკეთესი ის არის, რომ  
ისრიმი დანაყო და გამოწურო და მინაწივა ჩაასხა და ამა მინითა ოცდაათსა:  
დღესა მზესა გაუდგან და მას უკან როსცა კაცსა უნდოდეს და ან ეჭირებო-  
დეს იხმარონ, ჰამონ და სვან, მწოედ კარგი და მოშუნე შევა არის. და რაცა  
ზემო ან სისხლისა, ან საფარისა, ან ღვიძლისა და ან თავის ტკივილისა და  
სხვის მხურვალისა სნებისა წამლად გვითქუამს და დაგვიწერია ყველასათვის  
კარგი და მარგე არის“<sup>2</sup>.

ისრიმის წყალში თვალის ქავილის დამაწყნარებელ წამალს ამზადებდნენ.  
ღვინო მკირე რაოდენობით სასარგებლოდ, ხოლო ღიდი რაოდენობით  
მეტად მაწყინრად ითვლებოდა.

ზოგიერთი დაავადების დროს სამკურნალოდ ხმარობდნენ ძმარს „...კაც-  
მან რომე ამა ძმარსა უსუნო ამისი სუნება ტვისსა და დამალსა მწოედ არგებს

<sup>1</sup> იაღიგარ დაუდი“, გვ. 139.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 183.

და კაცსა რომე ან სისხლისაგან ან საფრისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს, და ეს ძმარი კაცმან ან საკმლით კამოს და ან საფეთქელსა და თავზე შემოიციხოს, თავის ტყვიელსა მაშინვე უშველის...“<sup>1</sup> შემდეგ ჩამოთვლილია სხედასხვა მკენარეები, რომლებიც ძმარში გაღესილი იხმარებოდა ტლედ ღვიძლზე და სტომაქზე შემოსადებად. სუფთა ძმრის წასმა შესიებულ ადგილზე დამატებულ საშუალებად ითვლებოდა. გარდა ამისა, თავის ტყვიელის დროს საჭიროდ მიიჩნდათ ძმრის და ყაყაჩოს წვენი ნარევის წასმა თავზე. იხმარებოდა ძმრის საფენები: „ვინცა სამოსელი ძმარშია დაასოვლოს და დაკოდილზედა გარდაკრას, იმა დაკოდილს აღარ გაუსიეებს და მართალსა რიგზედა ამყოფებს“<sup>2</sup>.

ყვავილით დაავადებულ ავადმყოფს ზამთარში ურჩევენენ „ვაზის შემით“ დანთებულ ცეცხლის პირას ყოფნას. მღიერის და მქავანას ტანზე გაჩენის შემთხვევაში თვლიდნენ, რომ „...ვაზისა რქისა ნაცარი ყოველთა წამალთა ოდენი ზეთითა შეზილოს და რაი აბანოთ გამოსულ იყოს შესცხოს, ერგების“<sup>3</sup>.

ვაზის ნაცარი გვხვდება მალამოების შემადგენლობაში. ძლიერი ოფლდენის საწინააღმდეგოდ ხმარებულ მალამოს ვაზის წყალზე ამზადებდნენ. ამავე მიზნით ყურძნის ფოთოლს ნაყავდნენ და ავადმყოფს ტანს უზელდნენ.

ჩამიჩი შედიოდა „მაჭუნი ფალასუფას“ შემადგენლობაში. ეს მაჭუნი ითვლებოდა სიცოცხლის მაჭუნად; როგორც აღვნიშნეთ, ფიქრობდნენ, რომ იგი ზევრ დაავადებას შველოდა. ამ მაჭუნის შემადგენელ ნაწილებს უზელდნენ თაფლით და კურკაგამოცლილი დამბალი ჩამიჩის წვენით.

ჩამიჩი დახასიათებულის შემდეგნაირად: „ჩამიჩი ხმელი და ნელი, ორივე არის მხურვალი და რბილია, მისი კურკა გრილი და ხმელი. ჩამიჩსა რამე სიმკვამე ჰქონდეს ცოტად შემკურელი იქნების და ორივე გუნებას გააძლიერებს და ღვიძლსა და ტყირბსა კარგად ერგების, და ხორციანი ჩამიჩი კარგად ერგების ტანსა და ძუბუ გაწმინდოს და სტომაქი გაამაგროს ფირტუსა უშველის, უკეთესი ის არის რომე ჩამიჩი უგურკო კამოს, ისი გუნებასა თბილად შეინახავს. ხორხისა და ძუბუს ტყვიელსა უშველის და გუნება მხურვალსა კაცსა უკეთ მოუხდების და ქიშმიშიცა ამავე ხასიათისა არის.“<sup>4</sup>

ჩამიჩიან წამალს აძლევდნენ სუნთქვის გაძნელების და თირკმლის დაავადების დროსაც.

ძალიან გახშირებული იყო ზიბიბის, ანუ საუკეთესო ხარისხის ჩამიჩის ხმარება ყოველგვარი მძიმე დაავადების დროს.

ბადაგს ხმარობდნენ სასმელად და ზოგიერთი წამლის, მაგალითად, თვალის ტყვიელის დროს ხმარებული შაფების შესაზღელად. წამალს ბადაგში შემდეგი წესით აკეთებდნენ: „მოიტანე სამიათასი დირჰამი კაი ტკბილი და ერთსა ქუაბშია ჩაასხი და პირსა მოუგლოსე, და ამდენი ადუღეთ რომე სამისი წილისაგან ორი ჩაიშროს და ერთი წილი დარჩეს, მერმე მოიტანეთ და ათასი დირჰამი წყალი დაასხით და კიდევ ამდენი ადუღონ, რომე ამა ტკბილისა და წყლი-

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 185.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 537.

<sup>3</sup> „წიგნი საქიმოი“, გვ. 259.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 450.

საგანაც ერთი წილი კიდევ წავიდეს და სამი წილი დარჩეს, მერმე მოიტანე ფილფილი, მიხაიკი, დარიჩინი, დანამასტაქი, ჭავჭავი და ზაფრანა ყველასაგან ოროლი ღირჰამი და უდი ნახევარი ღირჰამი და მუშაიკი ერთი დანგი. აწე სრულად ესე წამლებში მომსხოდ დანაყონ და ერთსა სამოსლის ნაქერშიგა ფომფედ გამოჰკრან და იმა მოღულებულსა ტებილშიგა ჩაადონ და ასრე შიგ გამოხარშონ, რომე რაცა ამა წამლებისა ძალი და ხასიათი იყოს ყველა ამა ბადაგშიგა გამოვიდეს, მერმე კარგა ამოსჰყულიტონ და გამოსწურონ... ორმოცსა დღესა შეინახონ, როდისცა სასმელად უნდოდეს ერთსა ფინჯანსა ამა ბადაგზედა ორი ფინჯანი წყალი დაასხან და სვან, კაცსა მწოვედ კარგა მოუხდების.“<sup>1</sup>

ღრძილების დასივების დროს ხმარებულ პირში გამოსავლებ წამალს ძმარში ხსნიდნენ.

ზემოთ მოტანილი გვიჩვენებს, რომ ყურძენს და მის პროდუქტებს ძველ ქართულ მედიცინაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ყურძენი და მისი გადაამუშავების პროდუქტები დიდმნიშვნელოვანია მკურნალობისა და კვებისათვის და თანამედროვე მედიცინაში ფართოდ არის გამოყენებული.

ყურძენი დიდი რაოდენობით შეიცავს შაქარს, წყალს და სხვა შემადგენელ ნაწილებს, ხელს უწყობს შარდის და ტოქსიკური ნივთიერების გამოყოფას. ყურძენს აქვს ნაღვლის გამოყოფის ხელისშემწყობი თვისება. ღვინის მქავე იხმარება საფალარათო საშუალებად.

ვარდკაქაჟა — Цихорий, *Cichorium intybus* L. Compositae-ს ოჯახს მიეკუთვნება. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ხშირად გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა სახელწოდებებით: ქასინი, ჰინდბა, ქასინი, არდი, ყვავის ქანგა, ეღერთანი. ვარდკაქაჟას თესლს აბალმალუკი და აქლილუმალუქი ეწოდებოდა.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში შემდეგ განსაზღვრებებს ვხვდებით: „ეღერთანი კი ვარდის კაქაჟია“, „ქასინი: ქასინის თესლი ვარდკაქაჟას ჰქვიან“ „არდი—ვარდკაქაჟა“, „აქლილუმალუქ, ვითამცადა ყვავის ქანგს ბალახის თესლი“.

სამკურნალოდ იხმარებოდა ამ მცენარის სხვადასხვა ნაწილები: ძირი, თესლი, ფოთოლი, ყვავილი, ძირის ქერქი, მცენარის წვენი, ფქვილი, ნაცარი, ყვავილის არაყი, რძე.

XVI საუკუნის სამედიცინო წერილობით ძეგლში „იადიგარ დაუღში“ ნათქვამია, რომ ვარდკაქაჟა, უღბოსთან ერთად დაფქული, იხმარებოდა. სიმსივნეებზე დასადებად. ვარდკაქაჟის ფოთოლი სხვა მცენარეებთან ერთად, „ტლედ შექმნილი“ (ტლე—მალამო) იხმარებოდა ღვიძლის ტკივილის და სიმსივნის დროს გარედან შემოსადებად. ვარდკაქაჟის წვენი მოზელილი ფეტვის ფქვილი „მზურვალი და ხმელია“ და იხმარებოდა ყოველგვარ სიმსივნეებზე დასადებად, სიმსივნეების დასაცხრომად. ძალიან ხშირად არდი, ქასინი, ვარდკაქაჟა გვხვდება სხვადასხვა დიეტურ საკმელებში, მაგალითად, „იადიგარ დაუღში“ ვკითხულობთ: იმ შემთხვევაში, როდესაც „კაცს რომე სისხა შექმნას და თავით ფეხებამდისი სრულიად გასივდეს“, წამლის გარდა ესაქიროება დიე-

<sup>1</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 610.

ტა, რომლის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „ამ რიგს აცხა პური არ უნდა აჭამონ. ხორცი არ უნდა აჭამონ და წყალი ასრე უნდა აუკრიფონ, რომე თვალითაცა არ აჩვენონ, არამთუ ასუან. და თუ მწოდე უწყლობა და წყურვილი მისკირდეს ვარდის კაჰაჰის, ყუავილის არაყი გამოჰხადონ და როლისცა მწოდე მოსწყურდეს სამსამი კომში ეს ვარდის კაჰაჰის ყუავილის არაყი დააღვეინონ. და თუ ეს ყუავილი არ იშოვნებოდეს, ამჟე ვარდის კაჰაჰის ძირის ტყავი დანაყონ, წყალი გამოჰხადონ და როლისცა მწოდე მოსწყურდეს, წყლის ალაგსა ორი სამი კოვში ეს ქასნის წყალი ასუან.“<sup>1</sup>

გარდა ამისა, ქასნი სამკურნალო წიგნებში გვხვდება კიდევ მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობისათვის: „ვინცა ქასნი მარილითა ქაჰოს პირიდაღმან დორბლისა და წყლის დენა უშველოს.“<sup>2</sup>

თვალის ტკივილის დროს: „არდი დანაყოს და ვარდისა ზეთი გაურროს და დაძინებისა ჟამსა თვალსა შემოსდვას.“<sup>3</sup>

აბალმალუქი ზ. ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“ მოხსენებულია როგორც შარღმდენი საშუალება. იგი ყვევის ქანგას ან იგივე ვარდკაჰაჰას თესლი უნდა იყოს. „უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „...ოცდაათი მარცვალი აბალმალუქი ამასაც ქერქი შემოაძრე.“<sup>4</sup> ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ საქმე გვაქვს თესლთან. ეს თესლი შედიოდა წამლების შემადგენლობაში, რომლებიც იხმარებოდა ჩირქგროვების გასახსნელად.

მის გამშრალ ფესვს ხმარობდნენ როგორც მადის მომგვრელს და საკუნლის მონელების გამაუმჯობესებელ საშუალებას.

ამჟამად არჩევენ ვარდკაჰაჰას ჯიშების ორ ჯგუფს: ერთი, რომელთა ფოთლები ეძლევა საქმელად სალათის სახით დიაბეტით დაავადებულებს, და მეორე, რომლის ფესვები იხმარება საშაქარლამო წარმოებაში.

ვაშლი — ЯБЛОКО ОБЪЯКОШЕИТЯЯ, *Malus domestica* Borkh. Rosaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ვაშლის ნაყოფი ჩვეულებრივ გამოყენების გარდა სამკურნალოდაც იხმარებოდა. ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება ვაშლი—კომპოტის. მურაბის, ჩირის, გვარიშნის, რუბის, შარაბის, ვაშლის წყლის სახით. გარდა ამისა, გვხვდება ვაშლის ფოთლის წყალი, ვაშლის ქერქი და ხალი, რომელიც ეძლეოდა ავადმყოფს საქმელად იმ შემთხვევაში, როდესაც წამლის მიცემა ქარბად მოუხდებოდა: „და ვინთვისცა წამალი აღებულ საზომისაგან გარდავიდეს ვაშლისა ქერქი ვაშლისა ხალი და ფშატისა ხალი უნდა, რომელ აჭამონ...“<sup>5</sup>

ვაშლის გვარიშნი ეძლეოდა ავადმყოფს კუჭ-ნაწლავის აშლის დროს, „თუ სტომაქისა სისუსეთი უღნობისა საქამადისაგან ქმნილ იყო, ვაშლისა გვარიშნი ესეთი იხმაროს...“<sup>6</sup>

გვარიშნი წარმოადგენს გარკვეული წესით დამზადებულ სხვადასხვა ხილის ნახარშს, რომელსაც უმთავრესად საფლარათო დანიშნულებას მიაწერდნენ.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“. გვ. 168, 169.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 331.

<sup>3</sup> „წიგნი საჰიმოი“, გვ. 96.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 54.

<sup>5</sup> „წიგნი საჰიმოი“, გვ. 33.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 71.

ვაშლის წყალი ეძლეოდა ავადმყოფს ძლიერი ფაღარათობის დროს დიდი წყურვილის შემთხვევაში — სასმელად.

საერთოდ ვაშლი ან მისგან დამზადებული საკმელი ხშირად ეძლეოდათ მძიმე ავადმყოფებს. ვაშლი მეტად სასარგებლო ხილად ითვლებოდა. ვაშლი შეიცავს მჟავებს, შაქარს; ვაშლის ჯიშის ხარისხი დამოკიდებულია მჟავიანობისა და შაქრის შეფარდებაზე. ჩრდილოეთის ჯიშები ასკობინის მჟავას უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს.

სამედიცინო მნიშვნელობა აქვს ვაშლმკვავრკინის გამონაწვლილს, რომელიც აღნიშნულია თანამედროვე ფარმაკოპეაში. ვაშლის წვენი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. თვით ნაყოფი იხმარება, როგორც დიეტური საშუალება.

ვაციწვერა — *Ковыль*, *Stipa*, *Gramineae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ვაციწვერა შედიოდა ე. წ. „ქარვის ყურისს—ყურსი ქაპრბას“ შემადგენლობაში და იხმარებოდა მაშინ. როდესაც ავადმყოფს სისხლიანი პირღებინება, სისხლნარევი შარლი ან განავალი ჰქონდა.

გარდა ამისა, ვაციწვერა ხშირად გვხვდება სხვადასხვა „ეუთერების“ შემადგენლობაში, რომელნიც ითვლებოდნენ „სარგო მუცლისა ხსნილობისა და ქცევისათვის, და თხვისა, და სტომაქის ტკივილისა.“<sup>1</sup>

*Stipa*-ს სხვადასხვა სახეობები საქართველოს ველებზე ფართოდ არის გავრცელებული, სამკურნალოდ ეს მცენარე არ იხმარება.

ვაჩი — იხ. აღხარი.

ვაჯი — იხ. აღხარი.

ვენახის ღიჭა — იხ. სალათა.

ზამბახი — *Касатик*, *Iris*, *Iridaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ბევლ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება სახელწოდება ვირის-ყურა, რომელიც, „სამკურნალო წიგნისათვის“ თანდართული ლექსიკონის მიხედვით, თეთრი ზამბახი უნდა იყოს. ამავე ლექსიკონის მიხედვით აინდაბე, აირასა და აირსოს აგრეთვე ზამბახის ძირის სახელწოდებები უნდა იყოს.

სამკურნალოდ იხმარებოდა ზამბახის ძირი და ზეთი.

ისე, როგორც კეთილსურნელოვანი მცენარეები ან ყვავილები, ზამბახიც იხმარებოდა სასუნებლად ან მძიმე ავადმყოფებისათვის ანდა ახლად გამოჯანსაღებული ნაავადმყოფარი ადამიანისათვის. ზამბახი იხმარებოდა თვალის დაავადების მკურნალობისათვის.

ტკივილების დასამშვიდებელ სხვადასხვა მალამოების შემადგენლობაში ხშირად ვხვდებით ზამბახის ზეთს.

ზამბახის სამი სახეობა: *Iris germanica*, *I. florentiana* და *I. pallida* იხმარება თანამედროვე მედიცინაში და აღნიშნულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეაში. მისი ფესვურა გამოყენებულია სურნელოვანი საშუალების სახით. მას „ის ძირს“ — «*Фиалковые корни*»-ს უწოდებენ. ამ მცენარიდან მიიღება აგრეთვე ეთერზეთები.

ზანჯაბალი — სანჯაბილი-ჯანჯაბილი, კოკა, *Имбир*, *Zingiber officinalis* Rose. *Zingiberaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 266.

გვხვდება ზანჯაბილი ფარეარდა, რაც ნიშნავს წნილად ჩაღებულ ზანჯაბილს („იადიგარ დაუდისათვის“ დართული ლექსიკონი).

წამლებში იხმარებოდა ზანჯაბილის ფესვი კუქ-ნაწლავის დაავადების მკურნალობისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, მას უმთავრესად სურნელების მიმცემის დანიშნულება ჰქონდა.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეაში ეს მცენარე შეტანილი არ არის. მაგრამ გამხმარი ფესვურის ნაყენი იხმარება ჰომეოპათიაში. წარსულში კი ეს მცენარე ცნობილი იყო ტიბეტის მედიცინაში.

**ზარავანდი — იხ. ძიმწარე.**

**ზაფრანი — კროკო, Шафран, Crocus sativus L. Iridaceae-**ს ოჯახს მიეკუთვნება. იხმარებოდა საკმელში მისთვის სუნელებისა და ფერის მისაცემად. ეს მცენარე ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის მიზნით.

ძველ ქართულ სამედიცინო ხასიათის წყაროებში ზაფრანას შესახებ ვკითხულობთ: „ზაფრანი მხურვალა არს და გამკენებელი საკამადისა და შეუღებაეს სტომაქსა და გააძლიერებს ლუიძლსა, გაიღებს ფსელსა და ერგების შევიწროებასა გულისასა და დააშუნებს ფერს. და ერგების ქართა და სიმსივნეთა რომელნი სიმხურვალისაგან და სისხლისაგან შეიქმნებიან.“<sup>1</sup>

„... კაცსა რომე სიცივისა და ან სიგრილისაგან თავი და ან საფეთქლები სტკიოდეს და ესე ზაფრანა მხურვალ საკმელშიგა გაურიონ და ჰამონ, და ან თბილის წყლითა გააყენონ და თავსა და საფეთქლებზედა შემოსცხონ, მაშინვე თავისა და საფეთქლებისა ტკივილსა უშველის.“

კაცმან რომე ზაფრანიანი საკმელი ჰამო, გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და ძალსა მისცემს. კაცმან რომე ესე ზაფრანა ჰამოს წელსა და ნაწლავებსა მწოედ არგებს და გაუთბობს და ძალსა მისცემს.“<sup>2</sup>

„ზაფრანის მაჯუნი, ერთი მაჯუნი არის, რომე ამა სენებსა ყუელას უშველის: კაცსა რომე სისხლი გასქელებოდეს ვითამცა და სათულ რას სენი სკირდეს ან რავინდა რა სიმსივნე სიგრილისაგან გაპოსჩენოდეს, ან კაცსა შიგნით მატლი ესხას ან წელნი სტკიოდეს, ან ერთსა ალაგსა მკვალი შემოეკდოს, ან კაცი ზარმაცობდეს, ყუელას მწოედ არგებს. შირიმის ქვასა დაღეწს და გააქარეებს. თავისა და ყურის ტკივილს უშველის.“<sup>3</sup>

სხვადასხვა შემთხვევაში იხმარებოდა ზაფრანის ზეთი, წყალი, თესლი. მის მაჯუნს უნიშნავდნენ კუქ-ნაწლავის დაავადების და თირკმლის კენჭის სამკურნალოდ.

აღნიშნულთან ერთად ზაფრანა შედიოდა ქორფლის მოსაცილებელი მალამოების შემადგენლობაში.

თანამედროვე მედიცინაში იხმარება ზაფრანას ყვავილის დინგები, რომლებიც შედის ბევრი რთული წამლის შემადგენლობაში. ზაფრანის ყვავილის დინგის შემადგენლობაში შედის ეთეროვანი ზეთი, შაქარი, აზოტური ნივთიერებები და ღირი რაოდენობით ყვითელი საღებავი ნივთიერება. ზაფრანის ნაცარი კალციუმსა და ფოსფორმკვას შეიცავს.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 410.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 206.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 574.

**ჯანდრაჩო** — ყვითელი კოკა, Желтый имбир, *Curcuma longa* L.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ეს მცენარე გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: მამირონი ჩინი და მასფარი. ვხვდებით განმარტებას: „მამირონი ჩინი, რომე სპარსნი მასფირას უძახიან, ვითომცა და ზარდაჩუა.“<sup>1</sup>

ესე მცენარე გვხვდება როგორც გარეგანი საშუალება, თვალის დაავადების მკურნალობისათვის, თვალში ჩასაყრელ წამლებში, სიქაჩლის სამკურნალოდ ხმარებულ მალამოების შემადგენლობაში, აგრეთვე იხმარებოდა კბილის და ღრძილების ტკივილის დასამშვიდებელ გამოსავლებ წამლად.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება *Curcuma*-ს მეორე სახეობაც — *Curcuma zeodaria*, რომელსაც ზურამბადას უწოდებდნენ. ა. ო ია-შვილის მიხედვით, *C. zeodaria*-ს ეწოდებოდა ნეგო და იგი იხმარებოდა ხველის საწინააღმდეგოდ.

**ზეთისხილი**, **ზეთის ხე** — Маслина, Оливковое дерево, *Olea europa* L. Oleaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ამ მცენარის სამშობლოდ ითვლება ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი. ჩვენს რესპუბლიკაში გავრცელებულია შავი ზღვის ნაპირებზე.

ამ მცენარის ზეთს ზეთიუნის ზეთი ეწოდებოდა.

სამკურნალოდ იხმარებოდა ზეთისხილის შტო, ზეთისხილის ერო, ანუ ზეთი.

ზეთისხილი იხმარებოდა საკმელადაც, სამკურნალოდაც, მისი ქამა გადაჭარბებით არ იყო მიღებული, რადგან ფიქრობდნენ, რომ ცუდად მოქმედებდა მხედველობაზე. გარდა ამისა, უზმოზე ზეთისხილის ქამას მავნებლად თვლიდნენ.

თუ რა სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ ზეთისხილს, ჩანს ქვემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან:

„ზეთის ხილი, რომელიც მომკუხო არის, გრილი და ხმელი არის, და რომელიც მწოედ მწიფე არის, მხურვალი და ხმელი არის, კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხსნის და საკმელსა მოანდომებს, სტომაქსა გააძალიანებს, კაცის ასოსა და სახსრების ტკივილსა უშველის და გააქარეებს და თესლსა მატებს. მაგრამ მწოედ მძიფე არის. და თვალთა აზიანებს. კაცსა თავსა აატყივებს და სევდას მოუმატებს და უძილობას აუგდებს. აწე ასრე უნდა, ესე ზეთის ხილი კაცმან შუა ქამაშიგან ქამოს.“<sup>2</sup>

„ვინცა მარილიანი ზეთის ხილი წყლით მოადუღოს და პირში იმგვიბოს კბილის ტკივილი ეშველოს.“<sup>3</sup>

„...ამა თავის ტკივილისა წამალი ეს არის: მოიტანე ამბარი ან ლადანა და ზეთის ეროთი გააყენეთ და თავმტკივანსა კაცსა თავზე შესცხეთ.“<sup>4</sup>

როგორც ჩანს, ტკივილის დასაამებლად იხმარებოდა ზეთისხილის ზეთი, ანუ ზეთიუნის ზეთი. იგი იხმარებოდა თირკმლების და თეძოს ტკივილის დროს დასაზელად ისევე, როგორც სელის, ნიგეზის და სხვა ზეთები.

<sup>1</sup> „ილიგარ დუდი“, გვ. 287.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 193, 194.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 206.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 279.

სამკურნალოდ იხმარებოდა აგრეთვე ზეთისხილის ხის ფოთოლი: „ვინცა ზეთის ხილის ფოთოლი ისრამითა მოხარშოს და ამთენი ხარშოს, რამე თაფლსა-ვით მოსქელდეს და ბამბითა კბილის ღრძილზედა დაიკრას, ღძილს გაუმთელებს და დამპალს ღძილს ამოიყუანს.“<sup>1</sup>

„ვინცა ზეთის ხილის ფოთოლი დაქვეყოს და ძმარშიგა მოხარშოს და პირშიგა იმგვობოს, პირიდალმან ავი სული გაუგდოს.“<sup>2</sup>

„წყლული რომელსა გაუმაგრდეს, ზეთისხილისა ფურცელსა გბულევი და წყლითა კბანდი“.<sup>3</sup>

ზეთისხილის ფოთლებს, წყალში ჩაყრილს, ხმარობდნენ აბაზანებისათვისაც. უმთავრესად სწორი ნაწლავის დაზიანების ან გამოვარდნის დროს.

სამკურნალოდ იხმარებოდა ზეთისხილის ნედლი შტო.

თვალის ტკივილის დროს ურჩევდნენ: „ზეთისხილისა შტო რბილი გალესე და თვალშიგა გამოავლე და უშუელოს.“<sup>4</sup>

საერთოდ, სამკურნალოდ ყველაზე უფრო ზეთითუნის ზეთი იყო გავრცელებული. იხმარებოდა სუფთა სახით და მალამოების შემადგენლობაში.

ამჟამად ზეთისხილის ხეს ფართო გამოყენება აქვს როგორც კვების მრეწველობაში, ისე მედიცინაში. იხმარება გარეგანად, მალამოების შესაზელად. იგი აღნიშნულია საბჭოთა კავშირის ფარმაცოპეაში.

ზირა — კვლიავი, ძირაკი, ТМХМ, *Carum carvi L. Umbeliferae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება ასურული ძირა, და ქირმენული ძირა, რომელიც *Cuminum cyminum L.* უნდა იყოს, სამკურნალოდ იხმარებოდა ზირას ზეთი. *Ol. Carvi*, ანუ კვლიავის ზეთი.

სამედიცინო ხასიათის ძველ წერილობით წყაროებში ძირას შესახებ ვკითხულობთ: „ზირა მეორეს წილშიგა მხურვალი და ნედლი არის, ყოვლისა გრილის სენისათვის, ყოვლის ბალღმისა და სევდის სენისათვის და მეტადრე ქარისათვის, მწოედ კარგი და წამალი არის.“<sup>5</sup> ამის გარდა, ზირას ურჩევდნენ შემდეგი დაავადებების მკურნალობისათვის: „ვინცა ზირა, ჯავამირი ჭალინოზითა კამოს, თირკმელსა მწოედ გაახურებს...“<sup>6</sup>

„ვინცა ზირა დაქვეყოს, მოხარშოს და გაწუროს და ამისი თბილი (სუას), ქარსა გაუგდებს და გულის ფეთქასა და თრთოლვასა ორსავე უშველის.“<sup>7</sup>

„მოაჩნდთ, რომ „სისხის“ დროს სასარგებლოა „ზირა კვესავით ღეჭონ“-კიის საწინააღმდეგოდ ხმარებულ წამლებში გვხვდება— „აილე კულიავი და საკმელი სწორი, ღუინითა ადულე, შეასუი და უწველის.“<sup>8</sup>

ზირას წყალს თვალში აწვეებდნენ თვალის ჩაწითლების და ტკივილის დროს. ზირას ზეთი იხმარებოდა დასაზელად.

<sup>1</sup> „იადგარ დაუდი“, გვ. 316.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 332.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 447.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>5</sup> „იადგარ დაუდი“, გვ. 215.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 361.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 384.

<sup>8</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 287.



სამკურნალო დანიშნულების გარდა, ზირას საქმლის შესაზავებლად იყენებდნენ. ამჟამად ზირას ზეთს ხმარობენ მედიცინაში: თანამედროვე ფარმაკოპეაში შეტანილია მისი ნაყოფი და ზეთი. ამ მცენარეს ტექნიკური მიზნებისთვისაც იყენებენ.

**ზირა ქირმენული** — ნამდვილი ზირა, Римский тмин, кумин, *Cuminum cyminum*, Umbeliferae-ს ოჯახს ეკუთვნის.

იგი ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ქიმუნის და ქამუნი ქირმენის სახელითაც არის მოხსენებული. გვხვდება განმარტებები: „ქიმუნნი ვითამცა და ზირა“ „ქამუნი ქირმენი—რომელ არს ზირა“, იხმარებოდა „ქარის“ საწინააღმდეგოდ: „კიდევ რაცა ქარსა აწყენს და არ არგებს: ენისუნი, ქიმუნნი, ცერეცო და კამა სტომაქიდალმან და წელიდალმან ქარსა გააგდებს და გააქარვებს.“<sup>1</sup>

ქიმუნნი შედიოდა იმ „ჯავაშირის“ შემადგენლობაში, რომელიც „ბალღამსა, სევდასა და რწყევასა მაშინვე სამსავ გააქარვებს.“<sup>2</sup>

საერთოდ ეს მცენარე სამკურნალოდ გამოყენებული იყო ისევე, როგორც ტყეურა და ზირა. ახლა მისი თესლი იხმარება კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს..

**ზირიშვი** — იხ. კოწახური

**ზოფა-ზუფა** — უსუბი, უსუბი ყვავილი, Иссоп, *Hissopus officinalis* L. Labiatae-ს ოჯახს ეკუთვნის.

საბას მიხედვით, „უსუბი არის ბალახი სუნელი და ფრიად გამრეცხელი სარცხელთა“. ეს მცენარე უმართებულოდ ურცის სახელწოდებითაც იყო ცნობილი (იხ. ურცი) სამკურნალოდ გვხვდება თვითონ მცენარე, მისი მათბუხი, შარბათი და მაჭუნი.

ზუფა გვხვდება მუწუკის გამოსარწყავი წამლის შემადგენლობაში. „მოიტანე ზუფა, მარილი, ბროწეულის ქერქი, ნიშადური და შაბი, და ეს წამლები ყუელა ერთად დანაყონ და იმა მუწუკზედა დასდვან, რომე მუწუკი შექამოს და გააქაროს.“<sup>3</sup>

ზუფა შედიოდა „ძველის ზველის, ზიყნაფასის და მუცლის ქყუეილისათვის“ ხმარებული წამლების შემადგენლობაში.

ზუფას შარბათს ასმევდნენ პირის და მკერდის ტკივილის დროს და აგრეთვე სურდოსა და სურაფანდის დროს.

სხვა წყაროების მიხედვითაც, ზუფას შარბათი დაავადება „მალასის“ დროს იხმარებოდა, ხოლო „მალასი... არს სურდო და ნაზლა.“<sup>4</sup>

თავის ტკივილების მკურნალობის დროს გვხვდება ხმელი ზუფას ნახარშით ფეხის დაბანა. როგორც ჩანს, ზუფა იხმარებოდა როგორც შინაგან. ისე: გარეგან საშუალებად.

შინაგანად იხმარებოდა შარბათის, მათბუხის და მაჭუნის სახით.

ამჟამად ცნობილია, რომ *Hissopus officinalis* L. შეიცავს ეთეროვან ზეთებს და იხმარება როგორც ამოსახველებელი და შემახორცებელი საშუალება.

**ზროხის ენა** — ბატარძალა, Воловик, *Anchusa italica* Retz. Borraginaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება.

<sup>1</sup> „ილიგარ დაუდი“, გვ. 470.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 421.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 319.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 6.

ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების მიხედვით მას ლისან-ისავარი ლისენამალი, გავზაბანი, ძირწითელა ეწოდებოდა. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“ ვხვდებით განსაზღვრებას: „ლისან-ისავარი, რომე გავზაბანი არის“, ხოლო „იადიგარ დაუღში“ მოცემულია შემდეგი განმარტება: „გავზაბანი ვითამცა და ძირწითელა ბალახი, რომე შტოებსა იქს და ლურჯსა ყუაიღს გამოისხმის.“<sup>1</sup> ეს დახასიათება შეეფერება *Anchusa italica*, ანუ *A. officinalis*-ს, ვინაიდან ეს მცენარე მართლაც დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლე იზრდება და მოცისფრო მოიისფრო ყუავილები აქვს. გარდა ამისა, ნ. ანენკოვის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ *Anchusa officinalis L.*-ის სახელწოდებებში გვხვდება: Красный корень, Бычачый язык, Волоник аптекарский. მაშასადამე, უნდა ვითქვით, რომ ჩვენს შემთხვევაშიც გავზაბანი, ზროხის ენა, ძირწითელა, ლისან-ისავარი ერთსა და იგივე მცენარეს *Anchusa officinalis L.* გამომატველია. თუმცა ამჟამად „ძირწითელა — Красный корень, бабьи думяна, римьянка, *Echium rubrum L.*“<sup>2</sup> ეწოდება. ეს მცენარე *Borraginaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

აქვე შეიძლება აღნიშნავს, რომ გავზაბანი წარმოადგენს პასტისმაგვარ ნივთიერებას, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს თაფლი და მცენარე *Alkane tinctoria*-ს ფოთლები, რადგან ამ მცენარეს სპარსულად „გევზაბანი“ ეწოდება, წანლის სახელიც აქედან უნდა იყოს. ეს წამალი ეძლეოდათ ფილტვის ანთების და ქოშინის დროს.

მკურნალობის მიზნით იხმარებოდა ზროხის ენის, ძირი, თესლი, ფურცელი, წყალი, წვენი, ჭულაბი, შარბათი. მისი სამკურნალო თვისებების დახასიათება შემდეგნაირია: „კაცსა რომე თავი სტკიოდეს და ამა გავზაბანისა შარბათი ან ჭულაბი ასუან მაშინვე თავის ტკივილს უშველის. ცხელებიანმან, სნებიანმან, ხაფაყანიანმა და ანუ სისხიანმა კაცმან რომე ამავე რიგად სუას ცხელება-სა, სნებასა, ღვიძლსა, მჯღომსა შავსა და ყუითელსა იარაყანსა, ხაფაყანსა და და სისხასა და ყოველსა სიმზურვალესა და სიმსივნესა, ყოველსა სისხლისა საფრისა და სევდისა სენებსა ყუელასა არგებს და უშველს.“

კაცი რომე მუცელში შეკვრით იყოს და ამავე რიგად სუას, მაშინვე გახსნის. კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს... მოკჳეთოს, გულსა და სტომაქსა დაულბობს და ამისი ტლევა მწოედ კარგი არის, რომე შემოსდვან...“<sup>3</sup>

ეს მცენარე უმთავრესად იხმარებოდა ზემოჩამოთვლილი დაავადებების დროს და საერთოდ მეტად ძლიერად მოქმედ საშუალებად ითვლებოდა როგორც მისი მიღება შინაგანად, ისე ტლევების სახით მტკივან ადგილზე დადება.

თანამედროვე მედიცინაში ამ მცენარის ფესვები იხმარება როგორც სუსტი ამოსახველებელი და ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო საშუალება.

ზღვის ყუსტი — ზღვის ხახვი, *Scilla maritima L.* Liliaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ეს მცენარე ნახსენებია ყურის ტკივილის დროს ხმარებული რთული წამლების შემადგენლობაში. წამალი იხმარებოდა ყურში ჩასაწვეთებლად.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 178.

<sup>2</sup> ა. მ. ა. ა. შეილი, „ბოტანიკური ლექსიკონი“.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 179.

ამჟამად ცნობილია, რომ ზღვის ხახვი—*Urginea maritima*, რაც იგივეა *U. scilla*, *Scilla maritima* — გარეულად იზრდება ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე და ჩრდილო აფრიკაში. ალბათ, ძველად საქართველოში უცხოეთიდან შე-  
მოტანილ მცენარეებს ეკუთვნოდა. ამჟამად მისი გაშენება წარმოებს შავი ზღვის ნაპირებზე. არსებობს ამ მცენარის თეთრი და წითელი სახესხვაობა. მათ ბოლქვებში აღმოჩენილია გლუკოზიდი სცილანერი, რომელიც მოქმედებს როგორც საგულე და შარდმდენი საშუალება. წითელი სახესხვაობა, ამას გარდა, შეიცავს მეორე გლუკოზიდს სცილიტინს, რომელსაც შარდმდენი თვისება არ გააჩნია. თეთრი სახესხვაობა სცილიტინს მეტად მცირე რაოდენობით შეიცავს. გარდა ამისა, ამ მცენარეების ბოლქვებში აღმოჩენილია ალკალოიდი კოფეინი. სამკურნალოდ იხმარება თეთრი სახესხვაობა, რომელიც შეტანილია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეაში. წითელი სახესხვაობის ბოლქვების ესენცია იხმარება ჰომეოპათიაში.

**თამარიინდი**—**თამარიინდი**, *Tamarindus indica* L. Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის. იგი თამარიინდის, თაბლი ჰინდის, თამარიინდის სახელწოდებებით გვხვდება. მას ხშირად ინდურ ტყეშალსაც უწოდებენ, ეს მცენარე საქართველოში შემოტანილი იყო. გვხვდება ცნობა: „თამარიინდი ინდოეთით მოვა.“<sup>1</sup>

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ეს მცენარე გვხვდება სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული თავის ტკივილის წინააღმდეგ ხმარებულ დასალე და ცხვირში ჩასაწვერებელი წამლების შემადგენლობაში.

თამარიინდი გვხვდება აგრეთვე ამის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა კანის დაავადების დროს, კანის ქაეილის შემთხვევაში.

სამკურნალოდ იხმარებოდა თამარიინდის წყალი, შარაბი, მათბუხი. თამარიინდის წყალი ითვლებოდა მომავო გამაგრილებელ სასმელად. უმეტესად კი თამარიინდი გვხვდება „მუცლის დასალობელ“ წამლების შემადგენლობაში, მას ხმარობდნენ, როგორც საფეღარათო საშუალებას.

თემრი ჰინდის შესახებ „იადიგარ დაულში“ ვკითხულობთ:

„...კაცი რომე სიმბურვალისაგან მუცელშივა შეკურით იყოს და ამა თემრი ჰინდისა წვენი ან სვას ან ჰამოს, რაგინდარა ძნელად შეკრული იყოს, მაშინვე გახსნის, გულსა და სტომაქსა დაულობს და სიცხესა და სიმბურვალესა გააცულებს, წყურვილს მოუკლავს, რწყევასა უკუუგდებს. კაცსა რომე სისხლისა და საფრის ან სხვის სიმბურვალისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს, და ამ თაბლი ჰინდის შარაბით და ან უშაქროთ ამისი ჯულაბი ასვათ, თავისა და საფეთქლების ტკივილსა მაშინვე უშველის, გულსა და ლეიძლსა მწოედ არგებს და ძალს მისცემს. კაცსა რომე ლვინომან ლეიძლი დაუეიდოს და ამა თაბლი ჰინდის შარაბით და ან მისი ჯულაბი სვას, მისთვის მწოედ გამორჩეული წამალი არის, სიცხესა და სიმბურვალესა მაშინვე გაუგდებს, გულს უკუპყრის და ლეიძლს მოუგრილებს.

კაცსა რომე, გულზედა საქმელი დაადრკეს და ამა მიზეზითა ემთილა და აიაზა შექმნილიყოს და ამისი შარაბით ასვა, იმა ემთილასა უშველის და მაშინვე იმა საქმელსა მოაქარვებს და კიდევ საქმელსა ადრევ მოაქარვებს და მოანდომებს. კაცი რომე ან სნებითა, ან ცხელებითა, ან აიარაყანითა და ან სხვის

<sup>1</sup> ხელნაწერი Q 877, დატულია აკად. ს. ჟანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

სიმხურვალითა ავად იყოს და ესე თაბლი ჰინდისა თაბიათი ყოვლისა გეარისა სიმხურვალისა აქიმი არის, მეტადრე მამინ რომე ესე სნეული მუცელშიგა შეკურითაც იყოს და ღვიძლისათვის მეტად კარგი არის, მეტადრე მამინ რომე ეს ღვიძლი ღვინისაგან სტიოდეს და ვერა მყავე ამ თემრი ჰინდის ვერ ეღრების და ამის მეტი ყოველი მყავე შემკურელი არის<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, თამარინდი ძველ ქართულ მედიცინაში ფართოდ იყო გამოყენებული. ეს მცენარე სახელმწიფო ფარმაცოპეაში შეტანილი არ არის. ჰომეოპათიაში იხმარება მისი გამზარი ნაყოფიდან დამზადებული ნაყენი.

თავშავა — Душица, *Origanum vulgare* L. მაიორანი, *O. majorana*, Labiatae-ს ოჯახს მიეკუთვნება. თავშავა საქართველოში ახლა გვხვდება ქართლში ველზე, ტყისპირა საძოვრებზე; ტყეში ნათელ ადგილებში, უმთავრესად სამხრეთ ფერდობებზე.

თავშავა ძველად სათარის სახელწოდებითაც გვხვდება. თავშავა ბალახი. ყვავილს ასტახუდუსი ეწოდებოდა: „ასტახუდუს ვითამცა და თავშავა ბალახის ყვავილი“<sup>2</sup>.

ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების მიხედვით, სამკურნალოდ იხმარებოდა თავშავა ბალახის ყვავილი, შარბათი, მაჭუნი, უკანასკნელის შესახებ „იადიგარ დაუდი“ კვითხლობთ: „თავშავა ბალახის მაჭუნი, რომე არაბნი ჰაქიმნი ასტახუდუს უძახიან ამა თავშავას მაჭუნის ხასიათი ეს არის, რომე ყოვლსა ფერსა ტვინისა და დამლისა და თავის სენსა ყუელას არგებს, მეტადრე მამინ, რომე ესე სენი სევდისაგან იყოს, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა, საქთასა და სარსამსა და მალიხულისა და ხელფეხის თრთოლასა და თავის თრთოლასა, რომე რახშა ჰქუიან, და სურდოსა და სურავანდსა ყველს კარგად უზამს და უშველის, დამალისა სულასა გახსნის და თვალთა სინათლესა მისცემს“<sup>3</sup>.

გარდა ამისა, ასტახუდოსი გვხვდება რთული წამლის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა შარდის შეუკავებლობის დროს.

ამჟამად *Origanum vulgare* და *Origanum majorana* არ არის შეტანილი საბჭოთა კავშირის ფარმაცოპეაში. და ის ფართოდ გამოყენება, რომელიც ჰქონდა ძველად ნერვული დაავადების მკურნალობის მხრივ, აღარ აქვს. ორივე სახე შეიცავს ეთეროვან ზეთს.

თალგამი — *Pena*, *Brassica rapa* L. Cruciferae-ს ოჯახს ეკუთვნის. იგი შალგამის სახელითაც გვხვდება. იხმარებოდა თალგამის მწვანილი, ე. ი. მწვანე ნაწილები, თესლი, წვენი, მხალი.

ფიქრობდნენ, რომ „თალგამი მხურვალე და ხმელია, კაცისა გულსა და სტომაქსა საფრისა და სევდისაგან გასწმენდს და მეგრდსა დაალობს და ხველასა არგებს“<sup>4</sup>.

მეორე მხრივ თალგამის თესლს თვლიდნენ შარდმდენად: „თალგამი კაცსა თირკმელსა და ზურგსა ორივეს გაუცხებებს და კაცმან რომე ამა თალგამის თესლი დანაყოს, წყლით გააყენოს და ასვას შარდის გზას გაუხსნის“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 189.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 449.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 380.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 341.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 451.

თუმცა თალგამის თესლს ხმარობდნენ შარდმდენად, მაგრამ თვლიდნენ, რომ ზედმეტად მისი ხმარება მავნებელი იყო; თალგამის თესლს ვხვდებით აგრეთვე თიანჯარის მკურნალობის დროს: „ვინცა თალგამის თესლი დანაყოს და ყოლინჯზედა დაიდვას და კიდეცა სვას ყოლინჯი უშველოს“<sup>1</sup>.

თალგამის წვენი იხმარებოდა თავის ტკივილის დასაყუჩებლად: „ვინცა თალგამის წვენითა თავი დაიბანოს, თავის ტკივილი ეშველოს და თმა უდროდ აღარ გათეთრდების“<sup>2</sup>.

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ აღნიშნულია, რომ თალგამის შექაპანდის მიცემა კარგია თავის ტკივილის დროს.

ა. ი. იაშვილის მიხედვით, თალგამის თესლი ამგზნებლად იხმარებოდა.

თარა — იხ. მდოგვი.

თაბრი-ყუყუტი — იხ. სონიჯი.

თელა — Вяз, *Ulmus glabra* Mill, U. foliacea Gilib, Ulmaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

საქართველოში გავრცელებული მცენარეა.

ბევლი ქართული სამედიცინო ძეგლების მიხედვით, სამკურნალოდ იხმარებოდა თელის თესლი და ფესვი.

როგორც ჩანს, თელის ფესვიდან დამზადებულ წამალს მოტეხილობის შესახორცებლად ხმარობდნენ:

„ვინცა თელის ხის ფესვი წურილად დაკრას და დახოს და მანამდე აღუღოს რომე ამის წვენი წებოსავით შეიქნას და მოსქელდეს და მერმე ამისი წყალი აიღონ და როდისცა უნდოდეს ამისი წყალი მოტეხილზედა შესცხონ და ამრიგად სამჯერ შესცხონ და სამჯერ შეუხვიან, მოტეხილს მაშინვე გამოაბაძსა“<sup>3</sup>.

გარდა ამისა, თელის ქერქს ხმარობდნენ იმ შემთხვევაში „თუ ძარლუი დამოკლდეს კაცისა დაკოდისაგან ანუ სხვა მიზეზისაგან“<sup>4</sup>.

ახლა თელა სამკურნალოდ არ იხმარება.

თერმისი — ხანკოლი, Люпин, *Lupinus alba* Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ბევლ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება აგრეთვე თირმითინის, თურმუზის, თურმისის, თირმუზის სახელწოდებებით. ამ მცენარის ფქვილი იხმარებოდა მუნის საწინააღმდეგოდ. ამ ფქვილს ლიმონის წვენი ან ძმარში გახსნიდნენ და დაბანის შემდეგ წაუსვამდნენ ტანზე. თირმითინა, ანუ იგივე თერმისი, შედიოდა ყვითელი მალამოს შემადგენლობაში. ეს მალამო „ჯალინოზ და ბოლრატი ექიმთაგან“ მოწონებული იყო და იხმარებოდა კრილობის სამკურნალოდ. იგი „წყლულსა მწოედ ამთალებს და პირს მოსწმენდს და ყოვლის წყლულის და მუწუქისათვის მწოედ და ტკივილსა დაამებს“.

გვხვდება თურმისის წყალი, რომელიც იხმარებოდა თავის დასაბანად თავში ქერტლის არსებობის დროს.

<sup>1</sup> „იიდიგარ დაუდი“, გვ. 416.

<sup>2</sup> იქვე გვ. 203.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 543.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 333

თერმისი თანამედროვე მედიცინაში არ იხმარება. მცენარე, უმთავრესად მისი თესლები, შეიცავს შხამიან ალკალოიდებს—ლუპანინს, ლუპინინს და სპარტინს. ამჟამად წარმოებს ამ მცენარის სელექტია საკვები ჯიშის გამოყვანის მიზნით.

თოხმიქათანი—იხ. სელი.

თრიმლი—იხ. თუთუბო.

თუთა — თუთის ხე, Шелковица, тутовое дерево, Morus alba L.

ზოგჯერ მას ფურცელსაც უწოდებენ. იგი Moraceae-ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ტუტის სახელწოდებითაც გვხვდება. თვლიდნენ, რომ „ეს მცენარე მართალი თუთა მხურვალე და ნედლი არის, ამის კამა სისხლსა წაახდენს, სტომაქსა აწყენს, თავსა აატყევეს; კაცსა მუცელში გახსნის, მაგრამ კაცსა ყელსა დაუღობოს...“<sup>1</sup>; ძველ წყაროებში ნახსენებია თუთის მეორე სახეობა—ხართუთა, Morus nigra L.

განსხვავებით M. alba L.-საგან მიაჩნდათ, რომ ხართუთა „ტყბილი და ტუტისაგან უფრო დიდროანია. უნდა წითელი და მჟავე გრილი და ნედლი. მუცელსა შეჰკრავს და სტომაქსა დაამაგრებს, გუნებას გაუხსნის. თუ უზმომან კამოს სტომაქიდაღმა ადრე გაეა, თუ მაძღარმა კამოს გუნებას აშლის, მაგრამ ფსელს მატებს.

სტომაქი რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან სტკიოდეს, მას უშველის, ხარხაჩოსა, ყელის ტკივილისა უშველის ამა ნიშნითა აიღე მჟავე ხარტუტა გაქენ და მისი წვენი გამოწურე... რა მოგინდეს მიეც იაღარღაროს“<sup>2</sup>.

მასასადამე, თუთა და ხართუთა მთელ რიგ შემთხვევებში სამკურნალოდ იხმარებოდა. გვხვდება თუთის ფესვი, თუთის შარბათი, შარაბი. მაგალითად, ყელის ტკივილის დროს, ხუნაგის დროს ურჩევდნენ პირის გამორეცხვას ლიმონის და თუთის შარბათით. „ხარტუტის შარბათი და თუთუბისა და ბროწეულის წყალი გაურჩე და ღარღარა აქნევიან“<sup>3</sup>. ასეთივე შემთხვევისათვის ზოგჯერ გამოსავლებს ამზადებდნენ ხართუთისა და ძმრისაგან.

ხორხის ტკივილის მკურნალობის დროს იხმარებოდა თუთის შარაბი, ანდა თუთის რუბი, რომელსაც ხახაში უსვამდნენ.

სამკურნალოდ იხმარებოდა თუთის გომიზი, იგი შედიოდა კანის დაავადების დროს ხმარებული რთული წამლის შემადგენლობაში. თუთის ფესვის შესახებ წერდნენ, რომ თითქოს მისი საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო დაზიანებული კბილის ამოღება: „მოიტანე თეთრი თუთის ფესვი, დანაყონ და მიიი წყალი გამოხადონ და ამაშიგან ბამბა დაასველონ და ბამბითა კიის ნაქამს კბილზე დაადვას, მაშინვე კბილსა ამოიღებს, ასრე უნდა მართალ კბილსა არ მოახვედრონ, თუარამდა მთელს კბილსა დაღეწს და დაუზიანებს“<sup>4</sup>.

ამჟამად თუთას სამკურნალოდ არ ხმარობენ.

თუთუბო — Сумах, Rhus coriaria L. Anacardiaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 190.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 453, 454.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 95.

<sup>4</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 313

მას ეწოდება აგრეთვე ალატრო, ალტორი, თრიმლი, სუმაყი უმყი, თუმცა თრიმლი არის Желтыйник, Кожевенное дерево, *Cotinus coggygia Scop.* (= *Rhus cotinus*), როგორც ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერებიდან ჩანს. ამ ორ მცენარეს აიგივებდნენ, ვინაიდან მათ ბევრი რამ საერთო აქვთ.

გვხვდება შემდეგი განმარტებები: „სუმაყი თუთუბოსა ჰქუინ“, „ალატრა, რომელ არს თუთუბო“. „ალტორი თუთუბო იგივე თუთუბოა“.

თუთუბო მომყოფ გემოს მქონე მცენარეა და იგი ინმარებოდა ყველგან, სადაც საჭირო იყო საკმლის შემქავება ან მყავე სასმელი, ე. ი. გამოყენებული იყო ისე, როგორც კოწახური, მოცხარი, ისრიმი, ლიმონი და სხვ. გვხვდება თუთუბოს ჭულაბი. თუთუბოს ხმარობდნენ თვალის დაავადების დროს: „ვინცა თუთუბო დანაყოს და ვარდის წყალი შეაფრქვიოს, და ისრე გამოწუროს, და ამის წვენი თვალშიგა ჩაიწუროს, თვალის ტკივილისათვის მწოედ კარგია, და თვალის ტკივილსა უშველის, და თვალთა სინათლეს მისცემს“<sup>1</sup>. ასეთ შემთხვევებში ხმარობდნენ აგრეთვე თუთუბოს შაფს.

პირის ტკივილისათვის — „თუთუბო ვარდის წყლითა გააყენონ. ცოტა ჭაფური აურიონ და პირშიგა იმკვიბონ“<sup>2</sup>.

თუთუბო ფართოდ იხმარებოდა, როგორც შემკვრელი საშუალება: „თუთუბო, მოცხარი, მყავალი; ხართუთა უშხუნი და მყაუნა გრილი და ხმელია გულსა ღვიძლსა და სტომაქსა ყველას არგებს და ძალასა მისცემს, და მწოედ კარგა მოუხდების, კაცსა მუცელშიგა შეჰკარავს, საფრას გააქარგებს და სიმხურვალესა გაუგდებს“<sup>3</sup>. ანდა „თუ მუცელში გახსნით იყოს... ალტოლი თუთუბო მიეც“<sup>4</sup>.

ენის დასივების დროს თუთუბოს ხმარობდნენ ენაზე წასასმელად და საკმელადაც.

ვინაიდან თუთუბოს შემკვრელი თვისებები აქვს, იგი ხშირად იხმარებოდა კუჭიდან, ყელიდან, ცხვირიდან ან სხვა ორგანოებიდან სისხლის დენის შესაჩერებლად. გარდა ამისა, გამოსაყლებად იხმარებოდა ყელისა და ხორხის ტკივილის შემთხვევაში.

თუთუბოს თესლსაც შემკვრელ თვისებას მიაწერდნენ და ამ მიზნით ხმარობდნენ.

ხმარობდნენ აგრეთვე ღრძილების დაავადების შემთხვევაში, აქაც მოქმედება მის შემკვრელ თვისებებზე იყო დამოკიდებული.

თანამედროვე ფარმაკოპეაში *Rhus*-ს გვარის მცენარეები შეტანილია, ვინაიდან ისინი შეიცავენ მთრიმლავ ნივთიერებებს და წარმოადგენენ სამედიცინო ტანინის მისაღებ ნედლეულს. ტანინი შემკვრელია და სხვადასხვა დაავადების დროს ამ მიზნით იხმარება

**თურინჯი** — ფორთოხალი, *Апельсин, Citrus sinensis Osbeck*. *Aurantiaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. იხმარებოდა თურინჯის ფოთოლი, თვით ნაყოფი, მისი ქერქი, ქერქის წყალი, რუბი, შარბათი, ქერქის მაჯუნი.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 293.

<sup>2</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 327.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 327.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 25.

„უსწორო კარაბადინში“ თურინჯის შესახებ ვითხულობთ: „თურინჯო ოთხი გუნება არის პირველად ქერქი, მერმე ხორცი და მესამე სიმჯავე და მეოთხედ თესლი...“

მისი სიმჯავე თუ დაცონოს ქერტლსა ზედა დასდოს უშველის. და მისი სასმელი მახმურსა უშველის, სიცხესა გულსა და მუცილსა შეჰკრავს.<sup>1</sup>

„შარბათი თურინჯი... ერგების სიუხუსურესა სტომაქისა და გულის შლასა“.<sup>2</sup> ისეთი დაავადების დროს, როდესაც საჭირო იყოს მჯავე, ხმარობდნენ თურინჯს.

თურინჯის მოშენება ჩვენში წარმოებს ისევე, როგორც სხვა სასარგებლო ციტრუსებისა. მისი ნაყოფი დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს.

თხილი — *Opuntia*, *Corilus avellana* L. *Betulaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. თხილი საქართველოში გავრცელებული მცენარეა.

ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების მიხედვით სამკურნალოდ ხმარობდნენ თხილის გულს, თხილის ზეთს, ხეჭუქს, ე. ი. ნაჭუქს, თხილის ფესუს.

თხილის ზეთი იხმარებოდა წამლად. ისევე, როგორც ნიგეზის, სელის, ზეთის ხილის და სხვა მსგავსი ზეთები. მაგალითად, თირკმელების ტკივილის დროს მტკივნეულ მიდამოს თხილის ზეთით უზღვდნენ. შარდის ბუშტის დაავადების მკურნალობისათვის ხმარებულ რთულ წამალში შედიოდა მოხალული თხილი.

თხილის ზეთიც აგრეთვე თირკმელების დაავადების დროს იხმარებოდა: შედიოდა მაჭუნის შემადგენლობაში, რომელიც „...ერგების ტკივილსა თირკმელისასა“.

თხილის ზეთს ხმარობდნენ, როდესაც ავადმყოფს კბილები დაავადებულად და ჩაშავებული ჰქონდა. მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია. რომ თხილი მაინებელ ძნელ მოსანელებელ საკმელად ითვლებოდა: „...კაცის სტომაქშიგან გვიან დადნების, კაცი გვიან მოიდნობს. კაცსა თავს აატყევებს...“.<sup>3</sup>

ამჟამად ცნობილია, რომ თხილის გული შეიცავს B<sub>1</sub> ვიტამინს.

ია — *Фиалка*, *Viola mirabilis et odorata*, *Violaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ია გვხვდება ბანავმას სახელწოდებითაც.

სამკურნალოდ იხმარებოდა იის ფოთოლი, ძირი, ყვავილი, თესლი; ამზადებდნენ იის წვენს, წყალს, ჯულაბს, მაჭუნს. შარბათს, ზეთს, სასმელს. ტლეს, ყურსს, მათბუხს. გარდა ამისა, იის ცოცხალ ყვავილებს ხშირად ავადმყოფს უყრიდნენ ლოგინზე სურნელებისათვის. მაგალითად, თავის ტკივილის დროს ურჩევდნენ — „...იის ძირი ხატში, ვარდი და ია საგებელზედა მოიყაროს, ღა ისუნებდეს, რაცა სურნელება არის“.<sup>4</sup> და ამავე დროს: „იისა ზეთით“

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 454.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 98.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 195.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 13.



ტლეთა შექმნას და თავზე დაიდოს“.<sup>1</sup> ძალიან ხშირად გვხვდება იის ზეთით სტელის საერთო დაზეღა და მტკივანი ადგილების დაზეღა.

გარდა ამისა, იას.სხვა სამკურნალო დანიშნულებაც ჰქონდა.

ამის შესახებ ვითხულობთ შემდეგს: „გარეული ია, გრილი და ნედლი აზის და ის-ცა იოჰის თუ მოკთადილი და შეზავებული არისო, ყოვლის სუნისა და ჳირისა წამალი და აქიმი არისო და მწოედ მარგე ყუთვილი არის. ამა იის შარბათი რომე კაცმან სვას, კაცსა ყელსა დაულობბს და იველასა უშველის.“

კაცსა რომე ფირტვი სტკიოდეს და ან ფირტვი წამხდაჩი ჰქონდეს მისთვის იწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის.

კაცსა რომე გული და მკერდი სტკიოდეს, ორსავე მწოედ აჩეგებს. სნებისა, ცხელებისა, შავისა ყუთლისა იარაყანისა და ყოვლისა მხურვალის სენის წამალია.

კაცსა რომე შირიმისაგან და ან სხვის სიმხურვალისაგან შარდი დაჳირულ ჰქონდეს, და ან ამისი შარბათი, და ან ამისი ჳულაბი სვან, შარდის გზასა მაშინვე გახსნის და უშველის.

კაცსა რომე მკერდზედა მკვალი ერკუეს და აქშინებდეს, იმას მაშინვე უშველის. კაცსა რომე სიმხურვალისგან თანგნაფასი სჳირდეს და ან ამა იისა შარბათი და ან იის წყალი ასვათ, თანგნაფასსა მაშინვე უშველის.

...კაცსა რომე ავადმყოფაშიგა სლოკინი აუვარდეს და ამისი შარბათი ასვან, მაშინვე უჳუთუგდებს... გახურებულსა და გაცხელებულსა კაცსა რომე ამა იის ტლე შემოსდვან მწოედ კარგი არის...“

მაგრამ ეს ია პარტახტიანსა და ყუთვილინსა კაცსა არ ესმის...“<sup>2</sup>

„ვინცა იისა თავთავი შაჳრითა მოზილოს და ესე მოზელილი ია ჳიჳაშიგან ჩადვას და ოცდაათსა დღესა ამა ჳიჳითა მზესა გაუდგიან, რომე მზეშიგა ფარვადა შეიჳმნას და მერმე ჳამოს, გულსა მწოედ ძალსა მისცემს და სტომაჳსა რბილად დაუჳერს, წელსს მწოედ გასწმენდს და არგებს, და კაცისა გვამსა ავისა და პილწის ხილთებისაგან გასწმენდს“.<sup>3</sup>

„ვინცა ან იისა, ან ლულუფარისა და ან ვარდის ზეთი ძმრით გააყენოს და თავზედა შემოიციხოს თავის ტკივილი ეშველოს“.<sup>4</sup>

„იისა და ლულუფარის შარბათი ხველისათვის და საფეთქლების ტკივილისათვის მწოედ კარგი არის, კაცსა ხმას დაუწმენდს და დაუნარნარებს“.<sup>5</sup> „ია ტყირპის სიმსივნეს გააჳარვებს“.<sup>6</sup>

ია იხმარებოდა ყურის და თავის ნახევარი მხრის ტკივილის დროს: „ხმელი ია, ხატმი და ბაბუნაჳი წყლითა მოადღუდე და ცოტა, რომ იდღლოს გარდმოდგი და ცოტა ვარდის ზეთი შიგან გაურიე ყურსა და შაიკიზედა შესცხე“.<sup>7</sup>

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 14.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 205.

<sup>3</sup> იჳე, გვ. 382.

<sup>4</sup> იჳე, გვ. 279.

<sup>5</sup> იჳე, გვ. 411.

<sup>6</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 72.

<sup>7</sup> იჳე, გვ. 343.

სამკურნალოდ ხმარობდნენ ბანაეშას ყურას. რომელსაც შემდეგნაირ თვისებებს აწერდნენ: „ყურსი ბანაეშა არგებს ზაფრასა და თავის ტკივილსა და კაცსა რომე თავის ცხელება სჭირდეს, მუტბაყი, გულისა ცხელებასა და კაცსა რომე ხელი და ფეხი, უსუსტდებოდეს“.<sup>1</sup>

სხვა სამკურნალო წიგნებშიც მრავალჯერ გვხვდება ია; როგორც ჩანს, მისი ღმრება ფართოდ იყო გავრცელებული.

ია ამჟამად ეთეროვან მცენარედ ითვლება. მისი ფესვები შეიცავს ალკალიოიდ-ვიოლინს. მედიცინაში იის პრეპარატები ამოსახველებელ საშუალებად იხმარება.

იარსაჩი — იხ. აფთიმონი.

იასამანი—Сирень сибирская, *Syringa vulgaris* L. Oleaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

სამკურნალოდ იხმარებოდა იასამნის წყალი, ზეთი, ანუ ერბო და ნაფ-შენეტი.

თავისთავად იასამნის ყვავილი სასიამოვნო სუნის მქონეა და ამის გამო სხვა კეთილი სურნელების მქონე ყვავილებთან ერთად მასაც ასუნებინებდნენ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ახლად მორჩენილ ადამიანებს.

იასამნის წყალს ცხვირში უწვეთებდნენ გრძნობადაკარგულ ადამიანს.

იასამანი ხშირად გვხვდება თავის ტკივილის სამკურნალოდ: „იასამანი მხურვალი და ხმელი არის, კაცმან რომე, ამა იასამანსა უსუნოს და ამისი ზეთი შეიცხოს, თავის ტკივილსა უშველია“.<sup>2</sup>

ზოგიერთ წამალს, რომელშიც იასამანი ან მისი ზეთი შედიოდა, აძულებდნენ და მის ორთქლს ასუნთქებდნენ ავადმყოფს თავის ტკივილის დროს.

სხვადასხვა ნერვული დაავადების დროს, როდესაც ავადმყოფი გონებას უეცრად დაკარგავდა ან მძინარეს სიძინის გრძნობა გაუჩნდებოდა და პირისახე გაუწითლდებოდა, ან საერთოდ სხეულში სისუსტის და დაბუყების შეგრძნება ჰქონდა — ტანს უზელდნენ იასამნის ზეთით.

ყურის ტკივილის დროს ურჩევდნენ: „...მარილი და ფეტვი გამთბარი თავს შემოიკრას და იასამნისა ზეთი და ბაბუნაისა ზეთი ჩაიწითოს“.<sup>3</sup>

ყურებში შუილის დროს „...ხაზღისა გული და ფარფირი იასამნისა ზეთითა გაგალოს და ჩაიწითოს კარგი არს“.<sup>4</sup>

იასამნის ზეთი ფართოდ იხმარებოდა ან წასასმელად, ან ტლევების და მალამოების შესამზადებლად.

ამჟამად ცნობილია, რომ იასამნის ფოთლები შეიცავს გლუკოზიდ სი-რინგოპიკრინს. ყვავილის ესენცია იხმარება ჰომეოპათიაში.

ინა ნამდვილი — ჰინა, Хна, Хенна настоящая, *Lawsonia inermis* L. ან *Lawsonia alba* Lithraceae-ს ოჯახს ეკუთვნის. მისი ფარმაკევტული ს-ტელწოდებაა — *Alcana vera s. orientalis*. ამის გარდა, არსებობს ბალის ინა, ხელსაღებავი, Балзажист, *Balsamina hortensis*, *Balsaminaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ეს მცენარე საქართველოში მოჰყავთ ბოსტნებში.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 72.

<sup>2</sup> „ილიგარ დაული“, გვ. 281.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 121.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 125.

ინა ნამდვილი ტროპიკული სარტყლის მცენარეა, იგი საღებავია, სასიამოვნო სუნი აქვს და ნაწილობრივ მედიცინაშიც იხმარება. ზოგჯერ ენას სახელითაც გვხვდება: „ენა ინას ჰქვიან გრილი და რბილი არის, თავის სიტყესა ჩამოიღებს და დამწურის მეტხორცს გაასწორებს“.<sup>1</sup>

ძველ ქართულ ხელნაწერებში ყველგან გარკვეულად არ ჩანს რომელ ინაზეა ლაპარაკი, თუმცა გვხვდება გარკვეული აღნიშვნაც: „თავის ტკივილისათვისვე, ქინძის თესლი და ხელთა საღებავი ერთმანეთსა შეაწონე... და ოდესცა ასტივდეს მოიპარსოს და დაიდვას“.<sup>2</sup> სამკურნალოდ იხმარებოდა აგრეთვე ინის ფოთოლი, ინის ზეთი.

ინა გვხვდება დაზიანებული ფრჩხილის სამკურნალოდ: „ანასდად რომე ფრჩხილი წაეარდეს რისგანმე მიზეზისა — ალუ ინა და სელის ზეთი გაურივე და დასდე, ერთობ მართელსა ფრჩხილსა გამოიღებს“.<sup>3</sup>

შესიებული ადგილების სამკურნალოდ ურჩევდნენ: „ინა წყლითა მოზილოს და სიმსიენეზედა დაიდვას“.<sup>4</sup>

ინა გვხვდება სასის შესიების დროს გამოსავლები წამლების შემადგენლობაში. ფეხების ტკივილის დროს ინას უსევამდნენ კანზე.

ყურის ტკივილის სამკურნალოდ ხმარებული ჩასაწვეთებელი წამლების შეზელა ინის ზეთითაც ხდებოდა.

ვინაიდან ინის ფოთლებს სასიამოვნო სუნი ჰქონდათ, ისინი სხვა კეთილსურნელოვან ფოთლებთან ერთად სასუნებლად ეძლეოდა მაღალსიცხიან ავადმყოფებს.

აგრეთვე ინის ფოთლებს შემოსდებდნენ თავზე ავადმყოფს თავის ტკივილის დასაყუჩებლად. გარდა ამისა, ინა გვხვდება შინაგანად მისაღები წამლების შემადგენლობაში შარდის შეუკავებლობის, თავის ტკივილის და სხვა დაავადებების დროს; უმთავრესად კი იხმარებოდა თმების შესაღებად.

იელი — *Одурь кавказокая, О. желтая, О. понтийская, Rhododendron flavum Don.* (= *Azalea pontica*), *Ericaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ამჟამად ჩვენში იელი მეტად გავრცელებული მცენარეა; ქმნის როგორც სუფთა დაჯგუფებებს, ისევე წარმოდგენილია ქვეტყის სახითაც.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში იელი მოხსენებულია ალაჯის და ალუ ალაჯის სახელწოდებითაც. ამ მცენარის სამკურნალოდ გამოყენების შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ამონაწერები: „ალუ ალაჯი ვითამცა და იელის ხეო... ვინცა ესე იელის ფოთოლი დაჰეკოს და მოხარშოს და წელსზედა დაიდვას წელის ტკივილი ეშველოს“.<sup>5</sup>

„ვინცა ალუ ალაჯი ვითამცადა იელის ხეო, ამისი ხილი დანაყოს და თათლით ამოსვრიმოს და ტლედ ქნას და გარედამან ტყირაზე დაიდვას, ტყირას გააქარებს“.<sup>6</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 464.

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 22.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 341.

<sup>4</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 404.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 470.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 410.

როგორც ჩანს, იელის ფოთოლს და ნაყოფს ხმარობდნენ როგორც გარეგან საშუალებას ტკივილის და შეშუპების წინააღმდეგ. შინაგან საშუალებად იელი იხმარებოდა მცირე რაოდენობით. საერთოდ კი ეს მცენარე შხამიანია.

ამჟამად იელი ეთერზეთოვან მცენარედ ითვლება. მისი ყვავილებიდან იღებენ ეთეროვან ზეთს, რომელიც ძვირფასია პარფიუმერიისათვის.

იმაზი — იხ. მჟაუნა.

ირიცუკი — იხ. გვირილა.

ირსა — იხ. ღვალა.

იორდასალამი — იორდასალები, Пион, Пeon, Paeonia officinalis L. Ranunculaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერ ძეგლებში ეს მცენარე აბუჯაპლყაუნის სახელითაც გვხვდება — „აბუჯაპლყაუნი—ვითამცადა იორდასალამი“<sup>1</sup>. იორდასალების ფოთოლს ასფაქური ეწოდებოდა.

ჯერ კიდევ უძველეს დროში პლინიუსის მიხედვით Paeonia-ს სხვადასხვა სახეობები ფართოდ იყო გავრცელებული და გამოყენებული მედიცინაში. უმთავრესად იორდასალებით მკურნალობდნენ ქალურ დაავადებებს, სპაზმებს, სიხვიოლეს, თირკმლებისა და შარდის ბუშტის დაავადებებს, სისხლძარღვებისა და კუკის დაავადებებს.

ფიქრობდნენ, რომ ეს მცენარე იცავდა ადამიანს ღამის კოშმარებისაგან. გარდა ამისა, გულყრებით დაავადებულებს ურჩევდნენ იორდასალები მუდამ ზელზე ჰქონოდათ ჩამოკიდებული. გულყრების დროს ცხვირში ჩასაწვეთებელი წამლის შემადგენლობაში იორდასალები შედიოდა.

თუ კიდევ რა შემთხვევაში იხმარებოდა იორდასალები სამკურნალოდ, შემდეგი ამონაწერებიდან ჩანს:

„კაცსა რომე გული და ღვიძლი სტკიოდეს და ესე იორდასალები ჭამოს. და დაქრას, წყალშიგა დააღბოს, და ამისი წვენი სვას, გულსა და ღვიძლსა ორსავე მწოვედ არგებს და ფირტუსა ამთელებს.“

ბოლო ყოვლის გრილისა და მხურვალის სენისათვის, ყუელასათვის გამორჩეული და მარგე წამალი არის, ცხელებისა, სნებისა, მკდომისა, სურავადისა, ვარამისა, ამა ყუელასი წამალი არის. იარაყანებს არგებს, სისხასა და სიმსივნესა არგებს, კაცისა გულსა და სტომაქსა დააღბობს, ქარსა და ასოსა და სახსრებისა ტკივილსა უშველის და ღვიძლსა და მკდომსა მწოედ არგებს“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, ამ მცენარეს საქართველოში ძალიან ფართოდ იყენებდნენ მკურნალობისათვის. ახლა მას ღეკორატიული მნიშვნელობა აქვს და სამკურნალო მიზნებისათვის არ იხმარება. რა თქმა უნდა, საინტერესო იქნებოდა აღნიშნული მცენარის სამკურნალო თვისებების შესწავლა.

ისპანახი — სპანაქლი, Шпинат огородный, Spinacia oleracea L. Chenopodiaceae-ს ოჯახს ეკუთვნის. ისპანახს აგრეთვე უწოდებდნენ ასპანახს, შატს, ისპანახის თესლს ჰურფა ეწოდებოდა.

„თუ აცხრობდეს ასპანახისა ურწყოისა და აყიროს აკმევდენ მუნამდე რომელ ცხრომან ღააგლოს და მაშინ ეგების რომელ ხორცი ჭამოს“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 679.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 217.

<sup>3</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 177.

ისპანახის თესლის სამკურნალო მნიშვნელობის შესახებ „იადიგარ დაუდში“ ნათქვამია: „ისპანახი და ამისვე თესლი ორივე გრილი და ნედლი არის, მაგრამ ბალღაში ცოტა აქუს, კაცმან რომე ისპანახი ჭამოს ხუელას მაშინვე უშველის. კაცსა გულსა და სტომაქსა დაულობს.“

კაცსა რომე სიხმისაგან და სიმხურვალისაგან თავი სტკიოდეს და ისპანახის თესლი დანაყოს და ძმრითა გააყენოს და თავმტკივანსა კაცსა თავზე შემოსცხოს, მაშინვე თავისი ტკივილს უშველის, სისხლსა და საფრასა ორივეს მოკუუტოს და გააცუდებს. და წელისა ტკივილისათვის მწოდ კარგი არის. ცხელეზისა, სნებისა, და იარაყანისა და მხურვალი ყაფაყანისათვის და ყოვლის ფერის მხურვალის და ხმელი სენისათვის აქიმი და წამალი არის. მაგრამ სტომაქ გრილ კაცსა არ მოუნდების და აწყყენს, და თუ ამ ისპანახმან კაცსა აწყყინოს ამისი წამალი და გამჭარებელი დარიჩინი პილპილი, მიწაქი და მხურვალი საქმელები და მაკუნები არის...“<sup>1</sup>

ამჟამად ცნობილია, რომ ისპანახი ვიტამინებით, განსაკუთრებით კაროტინით და B ჯგუფის ვიტამინებით, მდიდარი მცენარეა და შეიძლება გამოუყენებულ იქნეს როგორც კარგი, პოლივიტამინებით მდიდარი საკვები კონცენტრატი.

**იფანი** — კობიტი, Ясень, Fraxinus excelsior L. Oleaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების მიხედვით იფანს ჩიტის ენას უწოდებდნენ. მის ნაყოფს აფთილვე ხაზარი, ჯანჯილილოზი, ლისანი ასეური, ზოგჯერ ჩიტის ენაც ეწოდებოდა. ვხვდებით განმარტებას: „ჯანჯილილოზ-ჩიტის ენას ჰქუიან, იფნის ხილია“<sup>2</sup>, „ლისანი ასეურ, ვითამცა და ჩიტის ენაო, იფნის ხის ხილსა ჰქუიან... ესე იფნის ხის ხილი რომე კაცმან ჭამოს სისხისა და მერმე ყოველი გრილი სენის წამალი არის“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, იგი იხმარებოდა სისხლიანი ფაღარათის დროს. იქვე აღნიშნულია, რომ ლისანი ასეური გულის დაავადებისა და სახსრების ტკივილისათვის ძალიან კარგ წამლად ითვლებოდა. Fraxinus-ს მეორე სახეობა Fraxinus orientalis-ის ლეროდან გამოდის წვენი, რომელიც ჰაერზე მაგრდება და ცნობილ მანანას ქმნის, იხმარება როგორც სუსტი საფაღარათო საშუალება. შესაძლებელია ეს არის თარანგუბინი, რომლის შესახებ „იადიგარ დაუდისათვის“ თანდართულ ლექსიკონში მოცემულია განმარტება: „თარანგუბინ-მანანა შაქრის ცვარი, რომელიც ეცემა ფოთოლზე ღამლამობით, განსაკუთრებით გაზაფხულზე და შემოდგომაზე — Suxus Fraxini orientale“<sup>4</sup>.

ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების მიხედვით თარანგუბინს შაქრით ასმევდნენ თირკმლების დაავადების დროს.

**კალია** — Солянка мясистая, Salsola crassa M. B. Chenopodiaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 177.

<sup>2</sup> ხელნაწერი Q 877, დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, გვ. 170.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 436.

<sup>4</sup> იქვე—ლექსიკონი.

Salsola-ს სხვადასხვა სახეობა გვხვდება ვეძიანებში, აბზინდიან ნახევარ უდაბნოებში, საერთოდ მლაშე ნიადაგებზე. ჯერ კიდევ ვახუშტის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ნათქვამია, რომ საქართველოში „იზრდება ბალახი კალია, რომლის ძირს დასწვენ, და ნაცრითა მისითა აღულებენ საპონს უმჯობესსა, კვალად ხმარობენ სხვათერცა“.<sup>1</sup>

რ. ერისთავის „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვით „ყარლანი-ბალახია მლაშეზე მოვა“. ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება ავშნანი, რომელიც „სამკურნალო წიგნისათვის“ დართულ ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: „ავშნანი მრცხელთა — Salsola ყარლანი“ (სოდის შემკველი მცენარეა), მისი დაწვით მიღებული ნაცარი ძირითადად სოდაა  $\text{Na}_2\text{CO}_3$ . მაშასადამე, ავშნანიც Salsola-ს გვარის მცენარე უნდა იყოს.

გვხვდება აგრეთვე სახელწოდება — აქლემის ბალახი. შესაძლებელია იგი Salsola kali L.-ს აღნიშნავდეს, ვინაიდან—Salsola kali L.-ს *верднужая трава* ეწოდება, ხოლო Salsola soda L.-ს ფარმაკეპტულ სახელწოდებას S. kali L. წარმოადგენს.

ეს მცენარე იხმარებოდა სხვადასხვა მალამოს შემადგენლობაში.

გარდა ამისა, კალიის თესლი გვხვდება თავბრუს ხვევის დროს ხმარებულ წამლებში: „აიღე მუშკი ერთისა ქერისა წონი, კალიის თესლი და წახანელი-ქი...“<sup>2</sup>

მანიხულიას მკურნალობის დროსაც იხმარებოდა კალიის თესლი.

თანამედროვე მედიცინაში იხმარება Salsola Richteri. რომელიც შეტანილია სახელმწიფო ფარმაკოპეიაში და მისგან მიიღება ალკალოიდი პალსოლინი.

კაკაბის საკუნეთელა — კაკაბის საკენკელა, *Воробейник*, *Lithospermium officinale* L. *Borraginaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. მან აგრეთვე კლდის ყურძენს და აილამს უწოდებდნენ.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება განმარტება: „კლდის ყურძენი კაკაბის საკუნეტელსა ჰქუიან, აილამ ჰქუიან სპარსულად<sup>3</sup> და „აილამ კაკაბის საკუნეტელა არის“.<sup>4</sup> ეს მცენარე გვხვდება ნერვული დაავადებების ე. წ. სარას და სექტას მკურნალობისათვის ხმარებული რთული წამლის შემადგენლობაში. ამავე დაავადებების დროს ავადმყოფებს თავზე ადებდნენ ე. წ. „გრილ ტლევებს“. ამ ტლევების შემადგენლობაში ვხვდებით კაკაბის საკუნეტელას. ამკვარი ტლევები იხმარებოდა აგრეთვე ფილტვებით დაავადების, ღვიძლის და საერთოდ სხეულის სხვადასხვა ნაწილის შესივების შემთხვევებში: „აილამ კაკაბის საკუნეტელა არის გრილი და ნედლი სინსივენ რომე სიმხურვალისაგან იყოს მას დაცხრობს და სიმხურვალეს გამოიღებს“.<sup>5</sup>

როგორც ჩანს, ეს მცენარე იხმარებოდა უმთავრესად როგორც გარეგანი საშუალება, შედიოდა ე. წ. გრილი ტლევების შემადგენლობაში.

კამა-ცერეტო—*Укроп огорожный*, *Aneth*, *Anethum graveolens* L. *Umbe-*

<sup>1</sup> ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 48.

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 20.

<sup>3</sup> იქვე გვ. 185.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 462.

<sup>5</sup> იქვე. გვ. 162.

liferae-ს ოჯახს ეკუთვნის. კამასთან მეტად ახლო ღვას ამავე ოჯახის მცენარეები: დიდი კამა — *Foeniculum officinale* და გარეულად მოზარდი ანისული — *Pimpinella anisum L.*—სამივე ეს მცენარე ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში როგორც კამის, ისე ღურაბოთის, რაზიანას, ანდანას და შიბითის სახელწოდებით გვხვდება.

კამის თესლს ღურაბოთს უწოდებდნენ—„ღურაბოთი ვითამცა და კამის თესლი“.<sup>1</sup> „თესლი კამისა უკეთესი არის, რომე ფერად მწვანე იყოს მძიმე ახალი და თანაერგული“<sup>2</sup>.

კამა იხმარებოდა საჭმელების შესაზავებლად და სამკურნალოდ.

სამკურნალოდ ხმარობდნენ მცენარეს მთლიანად და მის სხვადასხვა ნაწილს: თესლს, ძირს, ფოთოლს. კამისაგან ამზადებდნენ ზეთს, წვეწვს, შარბათს. თესლს ნაყავდნენ და მისგან მიღებულ ფქვილს შემდეგნაირად ხმარობდნენ:

„კაცმან რომე ამა კამის თესლი დანაყოს გაცრას და ფქულისათვის ფქუილად ქნას და ან ძმრითა და ქანის წყლითა ასურებოს და მსივანსა ადგილზე დაიდვას, მაშინვე სიმსივნეს დაუცხრობს და გააქარვებს, ასობის თრთოლასა და სისუსტესა დაამაგრებს. ამა ღურაბოთის ქამა სუდასა და შარდის გზასა გაიხსნის. ამა ღურაბოთის პური, რომ გამოაცხონ და ქამონ, იმა კაცისათვის კარგი არის რომე კაცსა ან სისხა სჭირდეს, ან უკანა კარი გამოუვიდეს, და ან უკანა კარი გასტეხდეს და აზიდვებდეს“.<sup>3</sup> თვლიდნენ, რომ: „ღურაბოთის თესლი, ვითამცა და კამაო მხურვალი და ხმელი არის, კაცისა ტანიდაღმან ქარსა და ბალღამსა გააქარვებს, ცივება უშველის, ძილს მოგურის და რაცა კაცისა ძვალსა და ასოშიგა ტკივილი არის, ყუელას უშველის გულსა და სტომაქსა დააღობს“. ამის გარდა, შარდის შეკაეების შემთხვევაში ავადმყოფებს წამლებს კამის წყალთან ერთად აძლევდნენ. მიაჩნდათ, რომ კამა „უკეთესი ახალი არის და ბოსტანისა სჯობს... ღვიძლის შეკრულობასა გახსნის, სისხლისა კარგად მოუხდების, მისი წვენი შეასვი ქარსა გასტეხს... ფაშუშიგა რომე ქვა ედვას დაამსხერიკოს ბალღამისა ცხორსა უშველი უფრო მისი თესლი. მისი წვენი, თვალშიგან გამოივლონ თვალის სინათლეს მატებს ძუძუშიგა რძეს მატებს“<sup>4</sup>.

კამის ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებდნენ, რაზიანას თესლის შესახებ ვკითხულობთ: „რაზიანას თესლი შიბითიც ამასვე ჰქუიან, ვითამცა და ცერეცო. მხურვალი და ხმელი არის, კაცისა სტომქსა და მუცელშიგა რაც ქარია ყუელას დალუწს და გაუგდებს, და ესე რაზიანა რომე კაცმან დანაყოს, წყალი გამოჰხადოს და გაცივებულსა კაცსა ასვან მაშინვე ცივბას უშველის. ვინც ესე ცერეცო ქამოს ან მისი წვენი სვას შარდზე გახსნის, თუ ღედაკაცმან ქამოს ბევრი რძე ჩაუყენოს.

კაცსა რომე სიგრილისა და სიცივისაგან თავი სტკიოდეს და ამა წვენი გათბოს და შეიცხოს. თავის ტკივილი უშველის.

ვინცა რაზინის წვენი თვალშიგა გამოივლოს, თუალთა სინათლისათვის კარგი არის, და თვალშიგა დამალიდაღმან შავსა წყალსა აღარ ჩამოუშვებს“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 679

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 440

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 172.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 439, 440.

<sup>5</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 172.

კამის მხედველობაზე მოქმედების შესახებ შემდეგი თქმულებაჲ კი არსებობდა: „აქიმთა და მეცნიერთა კაცთა ასრეც უთქვამს: გაზაფხულის პირზედა, მთვარინანსა ღამესა გველი ველარაფერს ველარ დაინახავსო და თვალთა დაუბნელდების და თვალნი აუკრელდების, მერმე ამა ცერეცოს ფოთოლსა თვალზედა მიისვამს მოისვამს და მას უკან, როგორც დღისივ ისევე ღამით დაინახავსო. ცერეცოს ამდენი ხასიათი აქუს და თვალთა ამდენსა სინათლესა მატებს და ბალღმისა და გრილის სენის წამალი და აქიზი არისო“<sup>1</sup>.

ცერეცოს ზეთი იხმარებოდა თავის ტკივილის დროს ყურში და ცხვირში წასასმელად. დაეადების დროს, რომელსაც „მტერთა დაცემაი“ ეწოდებოდა, ავადმყოფს ცერეცოს ზეთით უზღლდნენ თავს. ცერეცოს ზეთს ყურის ტკივილის დროს უწვეთებდნენ ყურში. თირკმელში ქვიშის არსებობის დროს ზურგს ცერეცოს ზეთით უზღლდნენ.

პირღებინების საპიროების შემთხვევაში კამის მარილიან წყალს ხმარობდნენ. ამგვარად, როგორც ჩანს, კამა ითვლებოდა მრავალმხრივ სასარგებლო მცენარედ.

ამჟამად ცნობილია, რომ კამა შეიცავს ასკობინის მჟავას (C ვიტამინი). მას აკუთვნებენ სურნელოვან მცენარეებს. მნიშვნელობა აქვს არა მარტო როგორც საკმლისათვის გემოს მიმცემა. არამედ აგრეთვე, როგორც C ვიტამინის შემცველ მცენარეს.

კანაფი — ჩვეულებრივი კანაფი, *Cannabis sativa* L. ველური კანაფი — *Cannabis ruderalis* janisch. *Urticaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ძველად კანაფის ამ ორ სახეობას ერთმანეთისაგან არ არჩევდნენ. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში კანაფი კიდევ შემდეგი სახელწოდებით გვხვდება—დინოსი, სადაჯი. კანაფის თესლს შანდაჯი, ყოტჯი, შანდა ეწოდებოდა. იხმარებოდა მცენარის მწვანე ნაწილი, თესლი, მცენარის წყალი, ყვავილის ზეთი, გარდა ამისა. საბზი. რომელიც წარმოადგენდა ე. წ. ჰაშიშს—კანაფის თესლისაგან დამზადებულ ნარკოტიკულ სასმელს. ამავე ჰაშიშს სხვაგვარად ემა ეწოდებოდა.

კანაფის თესლის შესახებ ვკითხულობთ შემდეგს: „შანდაჯი კანაფის თესლი არის მხურვალთა მესამესა დარაჯასა, ხმელია ბოლოს. თუ კაცმან ბევრი ჰაშიშს. თავს აატყობს და გვიან წავა სტომაქით, ავია სტომაქისათვის. და მისი ზეთი სიმურვალისათვის ყურს ტკივილისათვის კარგა უშველის, რომ ჩაწვეთო. მოხალული უფრო არ აწყენს სტომაქსა. და მისისა ფურცლითა უწინთა თავი დაიბანოს. თავის ტკივილსა უშველის“<sup>2</sup>.

კანაფის თესლიდან ტლეს ამზადებდნენ: „ვინცა კანაფის თესლი დანაყოს და ძროხისტვინშიგა გაურიოს და ტლედ ქნას, და რაც ნივთიცა ესე ტყირპი იყოს იმდენი სამოსელი გამოჰკუთ და ამაზედა გაეკრან, და ესე ძროხის ტვინი და კანაფის თესლი ტყირპზედა გადაკრან და სამსა დღესა ზედიზედ სხვადასახვა ამოუცვალონ, ტყირპსა უსათიოდ უშველის“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 172.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 438.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 409.



„წიგნი საჩქიმოში“ კანაფის თესლო, ე. წ. შადნაი გვხვდება მთელი რიგი დაავადებების მკურნალობის დროს, თვალის გამოსარეცხი, ყელში გამოსავლები წამლების შემადგენლობაში და სხვ.

კანაფის თესლის შესახებ „იადიგარ დაუდი“ ვკითხულობთ: „შაქდანა, ვითამცა და კანაფის თესლიო, ნწოედ მხურვალე და ხმელი არის, კაცმან რონე კამოს, კაცსა გაამხიარულებს ბევრსა აცინებს. კაცსა, რომე ყური სტიოდეს, მოიტანე ორი ღირჰამი კანაფის თესლი, დანაყე და ამის წვენი გამოხადე და თბილთბილი ყურში ჩააწვეთე, და ყურის ტკივილსა უშველის.

კაცსა, რომ ყური ყრუდ და მიიმედ ჰქონდეს მოიტანე ესე კანაფის თესლი-სა ზეთი გამოჰხადე და თბილთბილი ყურშიგან ჩაასხან და ყურის სიყრუვე და ყურის სიმძინე მაშინვე ეშველების. მაგრამ ეს კანაფის წვენი იყოს თუ კანაფის ზეთი ორი დანგის წეტი.არ უნდა იყოს, თვარემ აწყვენს და კაცი ვერ გაუძლებს და თუ ყურშიგა კია უზის დაჰხოცავს და გამოჰყრის...

...ვინცა ესე კანაფის თესლი დანაყოს და მაგარსა ვარამსა და სიმსივნე-ზედა და-დვას, მაშინვე სიმსივნე და ვარამი დაჰფანტოს და გააქარვოს. და თუ ამ კანაფის თესლმან და ან ბანგმან კაცსა აწყინოს ან ბაზრაყათუნას ლობი და ან იის ლობი ასუან ეშველების“<sup>1</sup>.

კანაფის თესლი გვხვდება კიდევ შემკვრელი შაფების შემადგენლობაში. ღრძილებიდან სისხლდენის შესაჩერებლად იხმარებოდა კანაფის ფოთოლი: „ვინცა კანაფის ფოთოლი კევსავით ღეჰოს, ღრძილები და კბილები ორივე გაუმ-თელოს“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, კანაფა უმთავრესად იხმარებოდა, როგორც გარეგანი საშუალება. მისი თესლი მდიდარია ცხიმით. კანაფის ნაყოფი თანამედროვე მედიცინაში იხმარება როგორც მოსაფენი საშუალება. შესულია საბჭოთა კავ-შირის სახელმწიფო ფარმაცოპეაში. იხმარება ჰომეოპათიაში, თესლი იხმარებო-და ტიბეტის მედიცინაში.

კაპარი — *Капарис, Capparis spinosa L.* Capparidaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

კაპარი ქართულად ამავე დროს ჯონჯოლსაც ეწოდება — *Staphylae*—ივრ *Staphyleaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ძველი ქართული სამედიცინო ძეგლების მიხედვით სამკურნალოდ იხმარე-ბოდა კაპარის ფოთოლი. ძირი, წვენი, წყალი, ყურსი და სხვ.

კაპარი სამკურნალოდ იხმარებოდა, მაგრამ მისი გადაჭარბებით მიღება არ ითვლებოდა მიზანშეწონილად. ფიქრობდნენ, რომ მისი დიდი რაოდენობით მიღება იწვევდა თავის ტკივილს.

ამ მცენარის სამკურნალო თვისებების შესახებ ვკითხულობთ: „კაპარი მხურვალე და ხმელი არის, ბალდამს გააქარვებს, ტყირას მწოედ არგებს, ღვიძ-ლსა და ტყირპსა, ორსავე სუდას გახსნის. ამა კაპარისა ძირის ტყავი კაპარის ფო-თოლისაგან უფრო ხასიათინი არის და კაცსა მაშინვე შარღზედა გახსნის. და დე-დაკაცსა რომე დედათა წესი შეეკრას და ეს კაპარი დანაყოს და ცოტა წვენი გა-მოხადოს. ცოტა შაქარი გაუროს და სვას, მაშინვე გზას გაუხანის...“<sup>3</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 170.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 316.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 181.

ყურის ტკივილის დასაამებლად იხმარებოდა კაპრის წვენი: „ვინც თბილ-თბილი პიტნისა და ან კაპრის წვენი ყურშიგა ჩაიწუროს, თუ მატლი და კია უჭ-დეს, მოკლას, და ტკივილი უშველოს და სისხლსა და ბაღდასს გამოსწმენდს“<sup>1</sup>.

კაპარი განსაკუთრებით ხშირად იხმარებოდა ელენთის ტკივილის წინააღ-მდეგ ხმარებულ სხვადასხვა სახის წამლებში, ავადმყოფს სხვა საკმელებთან ერ-თად ურჩევდნენ კაპრის ქამას ძმრით. ელენთის სამკურნალოდ გვხვდება კაპრის ყურსი, კაპრის ძირის ქერქი, „კუერები“, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა კაპრის ძირის ქერქი, კაპრის ფოთოლი. წასასმელი და „შემოსადები“ წამლები. შემადგენლობაში ვხვდებით კაპარს.

ლიდიმედი, რომელიც იყო „სარგო სიმსივნესა ტყირბისასა და სიფიცხესა სუელსა“, შეიცავდა კაპრის ფოთოლს, „მარამა სიფიცხისა დიდისა, რომელ იყოს ტყირბსა შიგან“ შეიცავდა კაპრის ძირს.

ეს მცენარე თანამედროვე მედიცინაში არ იხმარება.

კაპოეტი ბალახი — *Житняк, Пырей прененчатый, Agropyrum cristatum* L. Gramineae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ მედიცინაში ამ ბალახს ღრძილების დაავადების საწინააღ-მდეგოდ ხმარობდნენ:

„ვისცა ღრძილებიდან ავი სული ამოსდივდეს, კაპოეტი ბალახი და ცვილი ერთად დანაყეთ, კევსავით ღეჭეთ და ღრძილიდან ავსა სულსა გაუ-გლებს“<sup>2</sup>.

ზოგჯერ კაპოეტის ფესვურას უნიშნავდნენ როგორც შარდმდენს. ამჟამად იგი იხმარება აბების შესამზადებლად. ფესვურას ჰომეოპათიაშიც ხმარობენ. ტი-ბეტის მედიცინაში გამოყენებულია ამ მცენარის მწვანე ნაწილები.

კასაბა — იხ. ლერწამი.

კარამფული — იხ. მიხაკის ხე.

კატაბალახა — ვალერიანა, *Валериана, Млун, Valeriana* Valeriana-*ceae*-ს ოჯახს ეკუთვნის (სიტყვა „ვალერე“ ნიშნავს ჯანსაღად ყოფნას). ამ გვარიდან გვხვდება რამდენიმე სახეობა. იგი სხვადასხვა სახელწოდებებით იყო ცნობილი: კატის ძუძუ, ასარუნი, ფარფარა, მიაუნი, ფჰუ, შამბალითი, შამბალი-ლა, მას ქარაბენძა და თმიანაც ეწოდება (რ. ერისთავის „ბოტანიკური ლექსი-კონი“). მედიცინაში გამოყენებული ერთ-ერთი სახეობა—*Valeriana officina-  
lis*—მრავლად გვხვდება ადმოსავლეთ საქართველოს ბუჩქნარებში.

კოდორის აუზში განსაკუთრებით გავრცელებულია კოლხეთის ვალერიანა *Valeriana Colchica*. ვალერიანას ეს სახეობა შედარებით უფრო მეტი რაოდენ-ობით უნდა შეიცავდეს ეთეროვან ზეთს და ვალერიანის მჟავას.

ძველად სამკურნალოდ უმთავრესად იხმარებოდა ამ მცენარის ფესვი. მას უნიშნავდნენ გულის დაავადების, მაღალი სიცხის და მთელი რიგი სხვა სნეულე-ბების დროს. შედიოდა წამალში, რომელიც იხმარებოდა თავის ტკივილის დროს. მიაჩნდათ, რომ ეს წამალი „ამხიარულებდა გულს და სტომაქს“. კატაბალახა შედიოდა აგრეთვე თირკმლის ქვის შემთხვევაში ხმარებული წამლისა და შარდმდენი მაჭუნის შემადგენლობაში.

1 „იდიგარ დაუდი“, გვ. 298.

2 იქვე, გვ. 314.

ამჟამად ვალერიანას პრეპარატები იხმარება როგორც გულის მოქმედების გამაუმჯობესებელი და ნერვული სისტემის დამამშვიდებელი საშუალება.

საბჭოთა კავშირის ფარმაცოპეაში შეტანილია ვალერიანის ფესვი, ფესკურა, ნაყენი, გამონაწვლილი.

კევი — იხ. დანამასტაქი.

კილამურა — კლდის ძირტბილა, Многоножка обыкновенная, Сладкий корень, Polypodium vulgare L. Polypodiaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ქველ ქართულ სამედიცინო წყაროებში გვხვდება ბასვიაჯის ან პასვიაჯის და ფარისიაშონის სახელწოდებითაც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფარისიაშონი ბალდურ ყარასაც ეწოდებოდა.

ეს მცენარე შედიოდა როგორც შინაგანად სახმარ წამლებში, ისე გარეგანად საშუალებების შემადგენლობაში.

ინიშნებოდა როგორც საფადართო საშუალება. კილამურა, ხაჭოსთან ერთად მოხარშული, იხმარებოდა ელენთის დაავადების შემთხვევაში.

გარდა ამისა, ბასვიაჯი იხმარებოდა ტყვილის დასაყუჩებლად და კრილოზის მოსაშუშებლად: „ბასვიაჯი მწოდ დაცდილი არის, მწარე არის, ვინცა ესე ბასვიაჯი დანაყოს და გახეულსა ხელსა ან ფეხზედ დაიდვას გაამთელებს.“<sup>1</sup>

ანდა: „ბასვიაჯი სტომაქსა და ხახასა დააძლიანებს და ასოვებისა სისუსტესა გაუჯდებს, ვინცა ესე ბასვიაჯი დანაყოს, და გაკრას და ერბოშიც წამოადულოს და თბილ თბილი მისი ტლე მტკივნა ალაგსა დაიდვას, ასოსა და სახსრის ტყვილი უშველოს“<sup>2</sup>.

კილამურას ფესვი გვხვდება უმთავრესად კუჭ-ნაწლავის და ღვიძლის დაავადების სამკურნალო რთული წამლების შემადგენლობაში.

კიტრი — Орыс, Cucumis sativa L. Cucurbitaceae-ს ოჯახს ეკუთვნის. სამკურნალოდ იხმარებოდა კიტრის თესლი, ფოთოლი, ნაფტკვენი.

კიტრს „გამაგრილებელ“ საქმელად თვლიდნენ, მას აკმევდნენ ძლიერი სისხლდენის დროს, ან თუ ადამიანს ჩირქიანი მუწუკის არსებობის მიზეზით აცხელებდა.

კიტრის თესლი იხმარებოდა მალალსიცხიანი ავადმყოფისათვის: კიტრის და აყიროს თესლებს ნაყავდნენ, გამოხდიდნენ ლაბს და ავადმყოფს ისე აძლევენდნენ.

კიტრის ფოთლის ნახარში ძმარში ინიშნებოდა პირში ჩასაგუბებლად, კბილის ტყვილის დროს. კიტრის ნაფტკვენს ცხვირიდან სისხლის შეჩერების ნიშნით ავადმყოფს შუბლზე ადებდნენ.

კოთხოჯი — იხ. აღხარი.

კომბოსტო — Капуста, Brassica oleraceae L. Cruciferae-ს ოჯახს ბიეკუთვნება.

ქველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში კომბოსტოს სინონიმებად გვხვდება გარნაბი, თუღარი, ქალმი.

Brassica Oleraceae L. ბოსტნის კომბოსტოა, რომელიც ბევრ სახესხვაობას შეიცავს, მას ეკუთვნის: ყვავილოვანი კომბოსტო, მწვანე, ანუ ფოთლოვანი კომბოსტო, თავი კომბოსტო და სხვ. ის სახელწოდებები, რომელნიც გვხვდება

<sup>1</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 543.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 487.

ძველ ქართულ სამედიცინო ნაწერებში, ალბათ, სხვადასხვა სახესხვაობას შეეხება, მაგრამ მათი ცალ-ცალკე გამოყოფა და დახასიათება ძნელია.

სამკურნალოდ იხმარებოდა კომბოსტოს წვენი, ფოთოლი, თესლი. კომბოსტოს შესახებ „იალიგარ დაუღში“ ვკითხულობთ: „კომბოსტო მხურვალი და ხმელი არის, ბერსაკაცსა კარგად მოუხდების, ვინცა ამის წვენი გაათბოს და თბილ-თბილი ყურშივა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი ეშველებს...“<sup>1</sup>

კომბოსტოს უნიშნავდნენ დამბლის დროს.

კომბოსტოს თესლი სიმთვრალის დროს იხმარებოდა როგორც გამომადუხიზლებელი ს.შუალემა. „იალიგარ დაუღში“ გარნაბის, ე. ი. კონზოტოს შესახებ ნათქვამია: „გარნაბი, გრილი და ხმელია კაცმან, რომე ესე გარნაბი ჭამოს, იმ დღეს და იმა სმაზედა აღარ დაითრობის“<sup>2</sup>.

კომში — ბია, Айва, *Cydonia vulgaris* Pers. Rosaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება.

კომში გვხვდება კიდევ შემდეგი სახელწოდებებით: ბე, ბეჟე, საფარაჯალი, ვხვდებით განმარტებას: „სიქანგუბინი საფარჯლისა, კომშა ჰქუიან“<sup>3</sup>.

იხმარებოდა კომში, მისი რუბი, წვენი, მურაბა, შარბათი, ნაშარაბი, დანაყული კომშის გულისაგან გამოწურული ლაბა და სხვ.

მაინდამ, რომ კომში ხელს უწყობს საკმლის მონელებას. მას ხშირად უნიშნავდნენ საერთო სისუსტის, თავის ტკივილის და მთელი რიგი სხვა სნეულებების დროს.

კომშის სამკურნალო თვისებები შემდეგნაირად არის აღწერილი: „ბია ორი რიგის არის, ტკბილი ბია გრილი და ნეღლი არის და მყავე ბია გრილი და ხმელი არის. ესე ორივე გვარი ბია სტომაქსა მწოედ ძალს მისცემს და კაცსა მუცელშივა ორივე შეჰკრავს, რწყევასა და წყურვილსა ორივე უკუუგდებს, კაცსა შარდზედა მაშინვე გახსნის, მეტადრე მაშინ რომე ეს ბია კაცმან მოხარშოს თაფლითა და ჭამოს. შარდზედ მწოედ გახსნის. და ამა ბიის ხორცის ჭამასა წვენის ჭამა მწოედ სჯობს, რომე კაცმან გამოწუროს და სვას ან ბია დაღეჰოს წვენი ჩაყლაპოს და ბიის ხორცი გამოყაროს. ესე ბიის წვენი გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და ამავე ორსავე ასოსა დაამალაინებს.“

საკმელს უკან რომე კაცმან ბია ჭამოს, კაცსა მაშინვე გახსნის და ამა ბიისა სული ტვინისა დამალსა, გულსა, ღვიძლსა და სტომაქსა მწოედ ძალს მისცემს. და ამისი წვენი რომე ნარშარაბი არის სუსანდარას სენისათვის მწოედ კარგი არის. სუსანდარა სიმხურვალითა სისხლზედ ყუანასა ჰქუიან.

მაგრამ ესე ბია კაცისა სტომაქშივა გვიან დადნების და შირიმისა ქვასა გამაგრებს, და თუ კაცი ბევრსა სვამს, ძარღვებს დაუსუსტებს. და თუ ამა ბიამან კაცსა აწყინოს ამისი წამალი თაფლი არის და ბიის ნაწყენსა მაშინვე უშველის და ამა ბიისა უკეთესი ის არის რომე დიდი და შემოსული და დამკვნარი ბია იყოს“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „იალიგარ დაუღი“, გვ. 200.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 219.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 270.

<sup>4</sup> „იალიგარ დაუღი“, გვ. 187, 188.

კომშის ჰაბი ეძლეოდათ ძლიერი წყურვილის მოსაკლავად. კომშის ზეთს ხმარობდნენ წასასმელად ძლიერი ოფლდენის შემთხვევაში. კომშს, სხვადასხვა სახით უნიშნავდნენ ფილტვების დაავადების შეპყრობებში, ხველის დროს.

კომშის თესვებს მედიცინაში იყენებენ როგორც შემარბილებელ და მოსაფეხ საშუალებას, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეიაში შეტანილი არ არის.

**კოწახური**— Барбарис, *Berberis vulgaris* L. Berberidaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ძველ სამედიცინო ხასიათის ნაწერებში იგი გვხვდება აგრეთვე შემდეგი სახელწოდებებით: ბარბარასი, აბარბარასი, ზარითი, ზირიშკი. იხმარებოდა ნაყოფი, მისი წვენი, ე. წ. წყალი, ქერქი, ამზადდებდნენ შარბათს, ჯულაბს რუბს, ყურს. მურაბას, კოწახურის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „კოწახური მესამე წილმიგა გრილი და ხმელი არის გულსა, ღვიძლსა და სტომაქსა მწოდ არაგებს და დააძლიანებს. და სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს. კაცსა წყურვილსა მოუკლავს. რწყევასა უკუუგდებს, კაცსა მუტელშიგა შექრავს.

კაცმან რომე ესე კოწახური ერთსა ღამესა წყალშიგა დააღბოს და უშაქროთ ამიი ჩულაბი სვას, ვითამცა და ამის წვენი სვასო, ყოვლის სისხლიანა და სიმხურვალის სენსა, ყოვლის საფრისა და ვარამის სენსა კარგად მოუხდების, სნეზასა, ცხელებასა, იარაყანსა, თავისა და საფეთქლების ტკივილსა და ღვიძლისა და თირკმელის ტკივილსა მწოდ არაგებს, სიცხესა და სიმხურვალესა დაავსებს. რომე კაცმან ან ამისი შარბათი და ან ამისი ჯულაბი სვას და ან ამით საქმელი ჰამოს.

ვინცა კოწახური დაჭეკოს და ვარდის წყალი შეაფრქვიოს, რაცა კაცისა სტომაქშიგან საფრა იყოს, ყუელა გააქარვოს, და რაც კაცის წელშიგა ტკივილი აქუს, ყუელას გაუგდებს და კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს იმას დასწყუეტს და უშეელს“<sup>1</sup>.

კოწახური ფართოდ იხმარებოდა როგორც შემკვრელი. მას აძლევენ პირღებინებისა და მაღალი სიცხის დროს. აგრეთვე იხმარებოდა ავადმყოფების საქმელში როგორც სასიამოვნო მკავე გემოს მიმცემი.

ამჟამად ცნობილია, რომ კოწახურის ქერქი და ფესვები შეიცავს ალკალოიდ ბერბერინს და ზოგჯერ იხმარება როგორც სისხლის შემაჩერებელი საშუალება, მას, როგორც ჩანს, ფართო სამკურნალო დანიშნულება არ აქვს.

**კოჩივარდა** — ყოჩივარდა, Дряква, *Cyclamen ibericum* stev. Primulaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველი ქართული სამედიცინო წერილობითი წყაროების მიხედვით მას აგრეთვე ღვეიდაბანს და ბუხარი მარამას უწოდებდნენ, რაც შემდეგი განმარტებიდან ჩანს „მოიტანე ღვეიდაბანი, რომე სპარსნი ბუხარი მარამას ეძახიან, ვითამცა და კოჩივარდაო“<sup>2</sup>.

სამკურნალოდ იხმარებოდა მთლიანად მცენარე, მისი ძირი, ე. წ. წყალი. ქვემოთ მოტანილი ამონაწერები ნათელყოფენ, თუ რა დაავადებების დროს იხმარებოდა კოჩივარდა: „მოიტანე ღვეიდაბანი, რომე სპარსნი ბუხარი მარამას ეძახიან, ვითამცა და კოჩივარდა, დანაყე და ამისი წვენითა თაფლი გააყენე, მერმე

<sup>1</sup> „ილიფარ დაუდი“, გვ. 195, 196.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 282.

მოიტანე ცხურის მატყლი და ორი ფილთი დაგრიზე და ესე ფილთები იმა თაფლსა და კოჩივარდას წყალშიაგა ამოაველე და ესე ფილთები ორთავე ცხურისშიაგა შეუღვევით, და ერთსა ღამესა ისრე გათენებაზღისინა ამყოფონ, და თავის ტკივილსა უსათიოდ უშველის, და სურავანდასა და ნუზლასა ყუელას ჩამოიღებს“<sup>1</sup>.

„ვინცა კოჩივარდას ძირი დანაყოს და მტკივან ალაგზედა დაიდვას, ტკივილი, გაწვა და ქარი სამივე უშველოს“<sup>2</sup>.

„ვინცა ესე კოჩივარდას ძირი დანაყოს და ტყირაზედა დაიდვას, მწოედ კარგი არის“<sup>3</sup>.

„აწუე ამა იარაყანებისა თავი წაშალი ეს არის: მოიტანე დევიდაბანის ძირი, რომე სპარსნი ბუხარი მარამს უძახიან, ვითამცა კოჩივარდას ძირიო სამი დირჰამი დანაყე, და ღვინითა და ან თაფლითა გააყენეთ და თავპირსა და ტანზედა შესცხე, და თბილსა სახშიაგა დააწვიინეთ, და თბილად დახურეთ, რომე ოფელი გამოუვიდეს და ამა იარაყანისა ფერი თან გამოიტანოს“<sup>4</sup>.

„ბუხარი მარაბა და დევი დაბნი ორივე კოჩივარდასა ჰქუინ და ეს კოჩივარდა მხურვალი და ხმელი არის. კაცსა რომე სიცივისაგან და სიგრილისაგან თავი სტკიოდეს და ეს კოჩივარდა რომე კაცმან დაჰეკეკოს, მოხარშოს და მისის წვევითა თავი დაიბანოს და დაბანას უკან ამის ნახარში თავზედა შეშოიდვას, თავის ტკივილი უშველოს.

ვისცა ან ასო და ან ძვალი სტკიოდეს და ან წელსა და ან ასოშიაგა ქარი უღლიდეს და ძვალსა და ასოებსა გასწვამდეს, ამაჲ რიგად რომე ტლედ ქნან და შენოსდენან. ამა სენებსა ყუელას უშველის და ყოვლისა ქარისა და გრილი სენის წაშალი და აქიმი არის“<sup>5</sup>.

კოჩივარდა, მისი ბოლქვები ადამიანისათვის და ცხოველებისათვის მომწამვლელად ითვლება. მისგან არ იწამლებიან მხოლოდ ღორები. ამჲამად სამკურნალოდ არ იხმარება.

კულმუხო — *Девясил лекарственный, Inula helenium L. Compositae* — ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში კულმუხო აგრეთვე ანდუზის, კურმუხის, ანდა რასინის სახელწოდებით გვხვდება. ზოგჯერ კი რასანას კულმუხოს თესლს უწოდებდნენ: „რასანა — იგივე *Inula helenium L.* კულმუხოს თესლსა ჰქუიან“<sup>6</sup>, ხოლო ირყიჯანა ანდუზის ძირს ეწოდებოდა — „ირყიჯანა ვითამცა და ანდუზის ძირიო“<sup>7</sup>.

სამკურნალოდ იხმარებოდა ამ მცენარის ძირი, თესლი, ზეთი; მისგან ამზადებდნენ შარბათს, მაჯუნს და სხვა.

თვალის ტკივილის დროს კულმუხო იხმარებოდა როგორც გარეგანი სამუალეობა.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 282.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 487.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 410.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 390.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 205.

<sup>6</sup> „სამკურნალო წიგნი“, ლექსიკონი შედგენილია პროფ. ილია აბულაძის მიერ.

<sup>7</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 577.

კულმუხო გვხვდება თირკმლების დაავადების მკურნალობისათვის ხმარებული რთული დასალევი წაშლის შემადგენლობაში; ამავე მიზნით ხმარობდნენ ოასინის ოყნას— „რასინის ჰუყნაი ჰუყოს და ზურგსა მხურვალე ზეთითა იზელდეს“, გარდა ამისა, იგი გვხვდება უნებლიე შარდვის სამკურნალოდ — „კიდევ წამალი რომე შარდის დენასა და წვეთასა უშველოს და მოსწყუეტს: მოიტყე: წაბლი, კაკო და მური, რასინაი. რომე ანდუზი ჰქვიან...“<sup>1</sup>

რასინი ცხვირიდან სისხლდენის შესაჩერებლადც იხმარებოდა — „რასინი სისხლსა დასწმენდს და დაამცრობს“<sup>2</sup>.

ანდუზის მაჭუნი იხმარებოდა გულის გახშირებულის ცემის დასაწყენარებლად: „ანდუზის მაჭუნის ხასიათი ეს არის, რომე ხაფაყანსა, გულის თრთოლსა, გულის ბგერასა და ფეთქასა სამსავე უშველოს“<sup>3</sup>.

ანდუზის ზეთი იხმარებოდა მალამოების დასამზადებლად. მას უსვამდნენ „ქარით“ და თირკმლებით დაავადებულებს: „...ანდუზის ზეთიცა კარგი არის, რომე თბილსა ალაგსა შექონონ, და ქარის და თირკმელის სენისათვის მწოედ-კარგი წამალი არის ეს ზეთები და ეს ქონები“<sup>4</sup>.

ამჟამად ცნობილია, რომ კულმუხის ფესვი შეიცავს ნახშირწყალ-ინსულის, ლორწოს, ზეთს და სხვ. თანამედროვე მედიცინაში იხმარება ამ მცენარის ფესვურა როგორც ამოსახველებელი საშუალება ფილტვების სხვადასხვა დაავადების დროს. იგი აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და შარდმდენია.

კუროხთავი — იხ. ლურსმანა ეკალი.

ლაქი — ჰიაფერა, Лакшос, *Phytolaca decandra* L. *Phytolacaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

„ლაქი კუროს თავი არს“<sup>5</sup>, მაგრამ ეს განმარტება სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, ვინაიდან მრავალ ადგილას სხვა განმარტებებია მოცემული: „კუროსთავი საჩკინოზულად ასაქი“<sup>6</sup> და აგრეთვე „კუროს თავი რომელ არს ასაქი“, ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის“ ლექსიკონის მიხედვით: „სამწვერა ბირკსა ჰქვიან“, ე. ი. *Tribulus terrestris* L. უნდა იყოს (იხ. ლურსმანა ეკალი).

სხვა წამლებთან ერთად კუქ-ნაწლავის, ლვიძლის დაავადებისა და ბუასილის დროს იხმარებოდა ლაქის მაჭუნი. ლაქის სამკურნალო თვისებები ამჟამად ნაკლებად არის შესწავლილი.

ლემა — Дурман, *Datura stramonium* L. *Solanaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. ლემა და ლენტოფა ერთი ოჯახის წარმომადგენლებია და მოქმედებითაც მსგავსნი არიან. ძველ ქართულ მედიცინაში ლენტოფა და ლემა ხშირად ერთნაირი დანიშნულებით იხმარებოდა.

თანამედროვე მონაცემების მიხედვით ლემა შეიცავს ალკალოიდებს. მედიცინაში იხმარება ფოთლები და თესლი. ფოთლები შეიცავს 0,25—0,4% მდე ალკალოიდებს, ნარკოტიულად მოქმედებს. ბრონქიალური ასთმის დროს იხმარება „ასთმატოლი“, რომელიც შეიცავს ლემისა და ლენტოფას ფოთლებს.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 450.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 263.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 578.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 471.

<sup>5</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 401.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 403.

აღსანიშნავია, რომ ა. მყაუშვილის მიხედვით ლენცოფას ლეჩხუმში ტყის ლუთუნს უწოდებენ. შესაძლებელია იგი ძველად თუთუნის სახით იხმარებოდა ასთმის მსგავსი დაავადებების მკურნალობის მიზნით. აგრეთვე საყურადღებოა, რომ ლეჩხუმში ლემას ასტომოლესაც ეძახიან.

ლემის პრეპარატები შეიცავენ ატროპინს და ამის გამო გუგის გაფართოებას იწვევენ. წინათ ატროპინს ლემის და ლენცოფას თესლებიდან იღებდნენ, ამჟამად ატროპინის მისაღებად სკაპოლეს ფესვებს ხმარობენ.

ლენცოფა — *Balena черная, Hyosciamus niger L. Solanaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ლენცოფას სინონიმებად გვხვდება: აღსანაჯი, ბანგი, ხოლო ამავე წყაროების მიხედვით მის თესლს ხორბანგი, ბაზრულბანგი ანუ ბასრულბანგი, ზოგჯერ კი ბაზაყალბანგი ეწოდებოდა: „ხორბანგი ლენცოფასა თესლია“<sup>1</sup>, „ბასრულბანგი რომელ არს ლენცოფასა თესლი“<sup>2</sup>.

ლენცოფა და უფრო ხშირად მისი თესლი მრავალი დაავადების სამკურნალოდ იხმარებოდა. ლენცოფა უმთავრესად გვხვდება ტკივილის დამაყუჩებელი წამლების შემადგენლობაში. იხმარებოდა სურდოს, თავის და ყურის ტკივილის დროს; აგრეთვე თავქედის, საქდას და ნიკრისის შემთხვევებში.

ა. ო. იაშვილის მიხედვით ლენცოფას უძილობის წინააღმდეგ უნიშნავდნენ, ქალებს აძლევდნენ ძლიერი სისხლის დენის შესაჩერებლად. აღსანიშნავია, რომ ლენცოფას მიღება დიდი რაოდენობით მავნებლად. თავის ტკივილის გამომწვევად ითვლებოდა— „ბანგის ან კანაფის თესლი რომე, კაცმან ბევრი ჰკამოს თავს აატკივებს“<sup>3</sup>. ამჟამად ლენცოფა ფარმაკოპეიაში შეტანილია. იგი სამკურნალო წამლო ნედლეულად ითვლება. იხმარება ლენცოფას ფოთლებიდან მომზადებულ ხეთი. ლენცოფას ფოთლები.

ლერწამი — ჩალამ-კალამი, *Тростник большой, Тростник ита.тианский, Arundo donax L. Gramineae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ლერწმის ძირის სახელწოდებად გვხვდება ხან ქასარ-ბუზურ და ხან იარა. გარდა ამისა, ნახსენებია ზარაყი და კალამი. რომელიც უკულო ლერწამს ეწოდებოდა და მედიცინაში იხმარებოდა როგორც ზონდი. შარდის ბუშტის ტკივილის ან შარდის შეხუთვის დროს ზონდით შეჰყავდათ წამალი: „კურნებაი ბუშტისა სიწყალულისაი იგი არს. რომელ ჰაქანისა ყურსი ჰკამოს თაფლითა და თეთრი შაფი ჰქალის დედისა სძითა დაგალოს და ზარაყითა მათანასა შიგან ჩააგლოს და რაი დია სტკიოდეს აწუ თხამლი დია მოვიდოდეს თაფლი ზარაყითა მათანასა შიგან ჩააგლოს...“<sup>4</sup>

ანდა „...ზარაყითა შეუყრიდენ მისსა ღარსა შიგან“.

კალამი ასეთივე დანიშნულებით გამოიყენებოდა ყურში „სიმსივნის“ ანუ უცხო სხეულის მოხვედრის დროს. დაამზადებდნენ გარკვეულ წამალს. ჩაასხამდნენ წყლის ჰურბელში, რომელსაც აბრეგი ეწოდებოდა, და შემდეგ კალამის საშუალებით მის ორთქლს შეუშვებდნენ ყურში: „კალამისა ერთი თავი აბრეგსა შიგან ჩაყოს და მეორე თავი ყურსა შიგან და ცოტასა ხანს დათმოს რო-

1 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 47.

2 „უსწორო კარაბადინი“, გვ. 79.

3 „იადიგარ დაული“, გვ. 283.

4 „წიგნი სააქიმოი“, გვ. 223, 224.



მელ წამალთა ორთქლი ყურსა შეხვდეს, რომელ სიმსიენე დაამწიფოს და ტკივილი დაუწყნაროს.“<sup>1</sup>

კალამი იხმარებოდა აგრეთვე კათეტერის მაგივრად. თვითონ ლერწამი იხმარებოდა კბილის სამკურნალოდ. თავლით შეხედილ ლემის თესლს ჩადებდნენ ლერწმის გულში. დაწვადნენ და ამ მასას წააცხებდნენ კბილზე. ამავე მიზნით იხმარებოდა ლერწმის ნაცარიც. ლერწმის გული გვხვდება საბუღრიას სახელწოდებითაც, რასაც შემდეგი გამოთქმა ადასტურებს—„საბუღრირა როგორ არს ლერწმის გული“. იგი გვხვდება ღვიძლის ტკივილის წინააღმდეგ ხმარებული რთული წამლის შემადგენლობაში. ლერწმის ფოთალი იხმარებოდა მეკეკების სამკურნალოდ: აწარმოებდნენ ამ ფოთლებით მეკეკების დაზღვას. გარდა ამისა, იხმარებოდა ე. წ. წითელი შაქარი, რომელსაც შაქრის ლერწმიდან იღებდნენ.

ლეღი — Инжир, Виноная ягода, *Ficus carica* L. *Moraceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. გვხვდება თეთრი, შავი, მოწითალო და მწვანე ლეღვი. მკურნალობისთვის გამოყენებული იყო ლეღვის ფოთოლი, ზეთი, ხის რძე, ღეროს ნაცარი, ფუხთა (მონადული).

სთვლიდნენ, რომ ლეღვი: „საქმელსა დაადნობს და გულსა და სტომაქსა საკმლის კამას უკან მოუგრილებს“. „ლეღვი, მხურვალი და ნედლი არის, კაცსა გაასუქებს, მუცელსა და სტომაქსა დაალობს და ხველისათვის მწოედ კარგი არის და ბალღამსა და სევდასა დაამწიფებს, საფრას მოუმატებს, მაგრა კაცი თუ ბევრს ლელუსა სკამს, მუწუყებს გამოასხამს და სტომაქს მხურვალს კაცსა ცხელებსა აუგდებს.

მაგრა კაცსა სიხმესა გაუგდებს. წყურვილს მოუკლავს და კაცმან, რომე ლეღვი ჰამოს, მაშინვე დაკირულს შარდსა გზასა გაუხსნის, ვინცა მორიელის ნაცემზედა ან ახალი და ან ძველი ლეღვი დანაყოს და დაადვას, და კიდეცა აქამოს, მაშინვე შხამს გააქარავებს და უშველის. ყელისა სიმსიენისათვის და ხუდაყისათვის მოხარშულის ლეღვის წვენი მწოედ კარგი არის, რომე კაცმან ხშირად ჰირშიგა იმგვობს, ყელის სიმსიენესა და ხუნაყსა მაშინვე ორსავე უშველის. ამა ლეღვმან თუ კაცსა აწყინოს ამისი წამალი დ: გამაქარავებელი მეავის საკმელებითა, მეავის შარბათებითა და მეავის ხილებითა არის“<sup>2</sup>. სხვა წყაროში ვკითხულობთ: „...ლეღვი ახალი გრილია და ცოტად ქარი აქუს და ხმელისაგან ახლისა სიხმე უმცრო არის და ყოველსა ხილსა სჯობს კაცისა გუნება რბილად შეინახოს და ტანსა ძილს მისცემს, თირკმელსა გასწმენდს და მწიფე სჯობს, თუ ბევრსა სკამს ტილსა დაასხამს ღვიძლსა და ტყირპს გასწმენდს და ლეღვი ჰამოს ზედა სიქანაგებინი სესა, ერთობ მარკებელი არის და გასწმენდს ძიქუსა და თირკმელსა და სტომაქსით ფიცხლავ გაიაროს მუცელსა და სტომაქსა დაალობს და შარდსა ხშირად გაიყვანს, ბუშტსა დასწმენდს და სტომაქზედა კარგი არის. ბერსა და შუათანასა კაცსა კარგად მოუხდების, სტომაქსა აშლის. თუ ჰამოს ხურმისა რიგითა არას აწყენს“<sup>3</sup>. მოტანილის გარდა, ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ვხვდებით შემდეგ ადგილებს: „მლოგვის თესლი მხურ-

<sup>1</sup> „წიგნი სააქიოი“, გვ. 122.

<sup>2</sup> „ილიდარ დაუდი“, გვ. 194.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბაღინი“, გვ. 449.

ვალი და ხმელი არის, ვინცა ესე თესლი და ლეღვი ერთად დანაყოს და ყურზედ დაიდვას ყურის ტკივილი უშველოს“.<sup>1</sup>

„ვინცა ლეღვი ჰამოს, თირკმელი ავის ხილთისაგან გაწმინდოს და თირკმელის ტკივილისათვისაც მწოდ კაი არის“.<sup>2</sup>

„ვინცა ლეღვი ჰამოს და ნაქბენზედაცა დაიდვას მწოდ კარგი არის, და თუ ახალი ლეღვი იზოვნონ, ამისი რძე ნაქბენზედა დასცხონ ისი სჯობს“.<sup>3</sup>

„ვინცა უგაზოდ ჰიის ნაქამი კბილების ამოღება უნდოდეს მოიტანე ყასნი და მკვახე ლეღვის რძითა მოზილეთ და ჰიის ნაქამსა კბილზედა დაადევით, და იმა ჰიის ნაქამ კბილსა სიცივისა და ყინვის მსგავსად დააზრობს და ამოიღებს და ამას უნდა უფრთხილდეთ, მართალსა კბილსა არ მოუხდეს, თვარემ იმასაც წაახდენს და ამოიღებს“.<sup>4</sup>

ლეღვის რძე იხზრებოდა კუკ-ნაწლავის მოქმედების გასაუმჯობესებლად.

კანის დაავადების დროს, რომელსაც გველის ჰირი ეწოდებოდა. საჭიროდ სთვლიდნენ კანიდან სისხლის დენის გამოწვევას და, თუ ჩვეულებრივი დაფხანით ამას ვერ შესძლებდნენ, მაშინ ურჩევდნენ: „მანკისა ადგილსა კირითა და ლეღვის ფოთლითა მოფხანონ რომელ სისხლი გამოვიდეს და მერმე პალპანითა ჰკურნონ რომელ გამრთელდეს“.<sup>5</sup>

აგრეთვე სხეულის დაწყლულების დროს გვხვდება სხეულის დაზეღა კირით და ლეღვის ღეროს ნაცრით.

მოხარშულ ლეღვს, ე. წ. ლეღვის ფუხთას, აქმევდნენ ავადმყოფს, როგორც სუსტ საფადართოს. ლეღვი მოხარშული ან სხვა სახით ხშირად გამოიყენებოდა ფილტვების დაავადების სამკურნალოდ. ნათქვამიდან ჩანს, რომ ძველ ქართულ მედიცინაში ლეღვი ხშირად იხმარებოდა სხვადასხვა დაავადების დროს.

ლიმონი ჩვეულებრივი — Лимон обыкновенный, бадранки, Citrus limon ანუ Citrus medica Rutaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ლიმონი კიდევ გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: ლიმონი, ბადრანგი, ბადრანჯი, ბაზრანგი, შანგიარი. კიტრი შანგიარი — „კიტრი შანგიარი რომელსაც ჰქვიან ბადრანგი“.

იხმარებოდა თვით ნაყოფი, ამ მცენარის ფოთოლი, ნაყოფის გული, ზეთი, ნაყოფის ქერჭი. ამზადებდნენ: შარაბს შარბათს, რუბს.

ლიმონი სხვადასხვა სახით, იხმარებოდა საკმლის შესამკვებლად სიცხიანი ავადმყოფისათვის. გარდა ამისა, ლიმონის შარბათს ალვეინებდნენ მძიმე დაავადების გადატანის შემდეგ.

ლიმონი გვხვდება პირში უსიამოვნო სუნის მოსაშორებლად — „ლიმონ და ლიმონის შარბათი პირდალმან ავსა სუნსა გაუგდებს“<sup>6</sup>.

გარდა ამისა, ლიმონის რუბი პირღებინების საწინააღმდეგოდ იხმარებოდა — „რწყევასა და წყურვილსა უკუუგდებს“<sup>7</sup>.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 302.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 361.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 552.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 312.

<sup>5</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 59.

<sup>6</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 332.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 376.

ამჟამად ლიმონის გაშენებას დიდი ყურადღება ექცევა, უმთავრესად იხმარება საკმელად ნედლი სახით, გადასამუშავებლად, სიროპების დასამზადებლად. იგი ციტრუსებს შორის ყველაზე უფრო მდიდარია C ვიტამინით.

გარდა ამისა, P ვიტამინს და ეთეროვან ზეთს შეიცავს.

ლისან-იხვარი — იხ. ზროხის ენა.

ლისანიახვეუ — იხ. იფანი.

ლობიო — Фасоль, Phaseolus vulgaris L. Leguminosae-ს ოჯახს მიეკუთვნება. „უსწორო კარაბადინში“ ლობიოს შესახებ ვკითხულობთ: „ლობიო წითელი მხურვალაია და შარდსა ფირცხლავ გაიყვანს...“<sup>1</sup> ლობიო უმთავრესად საკვებ მცენარედ ითვლებოდა. განასხვავებდნენ სხვადასხვა ლობიოს.

ამჟამად ცნობილია, რომ Phaseolus vulgaris L.-ის თესლები შეიცავენ 20% კრისტალურ გლობულინს, ფაზეულინს, ლეციტინს, ქოლესტერინს, ხსნად ნახშირწყლებს, ლიმონის მჟავას და სხვ. ლობიოს პარკის ქერქიდან მიღებული გამონაწვლილი — „ფაზერლინი“ სისხლში ამცირებს შაქრის რაოდენობას და დიურეზს ადიდებს 50%-ით.

ლურსმანა ეკალი — ნარეკლა, Якорцы, колючки, Tribulus terrestris L. Zygophyllaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ეს მცენარე კიდევ შემდეგი სახელწოდებებით გვხვდება: მაისალა, კუროს თავი, ხარისასაქი, დემურ თიქანი, „დემურ-თიქანი, რომე სპარსნი ხარისასაქს ეძახიან და ქართულად ლურსმარა ეკალი ჰქუნი“<sup>2</sup> და „კუროს თავი რომელ არს ასაქი“<sup>3</sup>.

ლურსმანა ეკალის შარაბს ხასაქი ეწოდებოდა. ლურსმანა ეკალი იხმარებოდა კბილების და ღრძილების დაავადების მკურნალობისათვის. ლურსმანა ეკალი ეძლეოდათ თირკმლის კენქის დამშლელად. მისგან გაკეთებულ ტლეს თირკმლის დაავადების დროს გარედან ადებდნენ. ლურსმანა ეკალის ძირი ან ფოთოლი წყალში მოხარშული თაფლით ეძლეოდა ავადმყოფს, როგორც შარდმდენი.

ნ. ანეკოვის მიხედვით ამ მცენარეს თამბაქოსავით სწევდნენ — პირში იარების სამკურნალოდ.

მამითა-მამისა — წარმოადგენს ხემცენარე Balsamodendron kunth-იდან მიღებულ ბალასინს. სხვადასხვა ლექსიკონების მიხედვით „ბალასინი ხესა იტყვიან ერთსა რომელსა მონაკუეთთაგან ჩამოეწუთების“<sup>4</sup>.

ბალასინი — ხეა ერთი, რომლის მონაკვეთს წამოეწუთების — Ритина, Balsamodendron kunth“<sup>5</sup>.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში მამითას ან მამისას სინონიმად გვხვდება აგრეთვე მური, რომელიც ერთ-ერთ ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: „მური... ритина смола блоговоинная“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 438.

<sup>2</sup> „იდიგარ დაუდი“, გვ. 474.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 138.

<sup>4</sup> საბა, „სიტყვის კონა“.

<sup>5</sup> რ. დ. ერისთავი, „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი“.

<sup>6</sup> დ. ჩუბინოვი, „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“.

შესაძლებელია მურის ქვეშ ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ნაგულისხმევი იყო არა მარტო ხის ბალასინი, არამედ თვით ხე. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ტექსტში გვხვდება მურის ყვავილი, მურის ფოთოლი, მურის ზეთი. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ამზადებდნენ მამითას აფმარას, ყურს, კუერს, შაფს.

მური უმთავრესად იხმარებოდა თვალის დაავადების მკურნალობისათვის, თვალში შესატრქვევი წამლის ანდა თვალში ამოსასმელი შაფის სახით. ზოგჯერ იგი გვხვდება ყურის ტკივილის სამკურნალოდ ხმარებული წამლის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის ფარმაკოპეიაში ეს მცენარე არ არის შეტანილი.

მაპრონი — კანკუატა, Бересклет, Evonymus. გარდა ზოგადი სახელისა, სხვადასხვა სახეობას ახვადასხვა სახელიც აქვს: კილობანა — *E. europae L.*, ტაბლაყურა — *E. latifolia scop*, ნაზუქა — *E. verrucosae scop* და სხვ. იგი *Celastraceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ძველ ქართულ წერილობით სამედიცინო წყაროებში მაპრონი გვხვდება როგორც გარეგანი საშუალება. შედიოდა იმ რთული წამლების შემადგენლობაში, რომლებიც იხმარებოდა თვალის ქუთუთოების დაავადების, პირის და ენის ტკივილის დროს.

საბჭოთა კავშირის ფარმაკოპეიაში ეს მცენარე შესული არ არის. ამ გვარის ბევრი სახეობა, მაგალითად, *E. verrucosae L.* კაუჩუკის მომცემ მცენარედ ითვლება.

მანანახი—იხ. მდოგვი.

მანანის იფანი — Ясень кошачий, Fraxinus Ornus L. *Oleaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ეს მცენარე გარეულად იზრდება მცირე აზიაში ხმელთაშუა ზღვას მიდამოებში. ჩვენში — ყირიმში, კავკასიაში ადვილად ხარობს კულტურულ ჯიშად. სამკურნალოდ იხმარებოდა ამ მცენარის მანანა. იგი წარმოადგენს გაქრილი ადგილებიდან გამოსულ წვენს, რომელიც პაერთან შეხებისას მაგრდება. ეს სწრაფ ძველ ქართულ სასუნთქო ხელნაწერებში მოხსენიებულია შირხიშტის, შირხიშტის ან სირიხიშტის სახელწოდებით. შირხიშტს ხმარობდნენ საფლარათოდ: „მოიტანე ოც ღირპამი შირხიშტი და ვარდის წყლითა გააუხე. გწოტეთ და უზოხსა ასვით, რომე კაცი გახსნას, სამჯერ ოთხჯერ კაცი არგად ასაქოს.“<sup>1</sup>

თუ ავადმყოფი დასუსტებული იყო, მას შერჩევით აძლევდნენ წამლებს. არჩევდნენ „მსუბუქ“ წამლებს, რომელთა შორის მოხსენებულია შირხიშტი. „მიეცით სუბუქ სუბუქისა წამლისაგან, თარანგუბინისაგან ან შირხიშტისაგან.“<sup>2</sup>

მთელ რიგ შემთხვევებში შირხიშტს ხმარობდნენ როგორც საფლარათოდ საშუალებას: „შირხიშტი და ია მოადლე და მისითა წუნენითა შეასვი, რომე მუცელი გაუხსნას.“<sup>3</sup> „შირხიშტითა, ქაფურითა და ვარდის წყლითა... ესე ყუელა გასახსნელი შეუწყე.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 367.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 6.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 6.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 18.

მანანის იფანის მანანა შეიცავს მანიტს, რომელსაც სუსტი საფადართო თვისებები აქვს. ფარმაკოპეიაში შეტანილი არ არის. აღნიშნული მანანა იფანის სხვა სახეობებშიც მოიპოვება, მაგალითად, *F. rotundifolia*-ში. ჩვენში იზრდება *F. excelsior* L. (იხ. იფანი).

მაზანგოში — იხ. ქონდარი.

მარიამ საკმელა — Гармела, дикая рута, *Peganum harmala* L. „უზულუგი, გუზალაი, საკმელა კბუტულა“<sup>1</sup>. ეს მცენარე *Zygophylaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. მეორე მხრივ *Рута, Ruta graveolens*-ს ტავანს, მარიამ საკმელასაც<sup>2</sup> უწოდებენ. იგი *Rutaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

სხვა ავტორების მიხედვით „*Ruta* — ტევანი სადაფა ჭალახია“<sup>3</sup>, „სპანდი — მარიამ საკმელა“<sup>4</sup>, „*Ruta groveoleus* — მარიამ საკმელა“<sup>5</sup>, „მარიამ საკმელა — *Ruta graveolens*“<sup>6</sup>.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში მარიამ საკმელას შესატყვისად გვხვდება უზანლული, ტავანი, სადაფა ბალახი, სპანდი, ჰალმილი, საანიდი: „სპანდი, რომლსა ჰქვიან საკმელა და არაბულად ჰალმალი“<sup>7</sup>, „სანიდის თესლი — მარიამ საკმელის თესლი“, „უზანლუგისა თესლი, რომე მარიამ საკმელის თესლი“<sup>8</sup>, „უზანლუგისა თესლი, რომე მარიამ საკმელს უძახიან“<sup>9</sup>.

თუმცა ტევანი და მარიამ საკმელა სხვადსხვა ბოტანიკურ ოჯახს მიეკუთვნება, მაგრამ მარიამ საკმელაც და ტევანიც საერთო სახელწოდებებით იყო ცნობილი.

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“ მოცემულია მარიამ საკმელას შემდეგი დახასიათება: „მარიამ საკმელა გამახმობელი არს წყლულთა და დამლობელი არს სიმსივნეთა. და კიპსა ზედა იცხოს, გახსნის მუცელსა... და თუ თაფლითა იოლოს თვალთა ერგების და დააყუღებს ტკივილსა თავისასა“<sup>10</sup>.

მარიამ საკმელა მიხაკთან ერთად იხმარებოდა აბის სახით, თავის ტკივილის შემთხვევაში. ენის და პირის ტკივილის დროს ხმარობდნენ პირში გამოსავლებ წამალს, რომელშიც მარიამ საკმელა შედიოდა. მას მთელ რიგ სხვა შემთხვევებშიც იყენებდნენ: „სადაფი დამწვარი ჯრილი და ხმელია და კბილსა წაისვას გაათეთროს და ძირს დაამაგრებს“<sup>11</sup>, „ვინცა სადაფის ბალახის ზეთი თბილთბილად ყურშიგა ჩაიწვეთოს ყურის ტკივილს უშველის და ყურის ბაყლსა გამოსწმენდს“<sup>12</sup>.

1 ა. მაყაშვილი, „ბოტანიკური ლექსიკონი“.

2 იქვე.

3 ხელნაწერი ლექსიკონი № 173, დაცული ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

4 იქვე.

5 Аненков Н., «Ботанический словарь».

6 რ. ერისთავი, „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი“.

7 „წიგნი საკვიბოი“, გვ. 80.

8 „იადიგარ დაუდი“, გვ. 23.

9 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 410.

10 „უსწორო კარაბადანი“, გვ. 467.

11 „იადიგარ დაუდი“, გვ. 302.

„სადაფის თესლი, მხურვალე და ხმელი არის, საკმელსა ზოაქარეებს, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა ორსავე უშველის. სისხისათვის მწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის, რომე კაცმან ან ჰამოს და ან დანაყოფს და გარედალმან ტლედ შემოდვას..“<sup>1</sup>.

მარიამ საკმელა საერთოდ იხმარებოდა როგორც გარეგანი, ისე შინაგანი საშუალება, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით მიღება მაწყინრად ითვლებოდა. ა. იაშვილის მიხედვით მარიამ საკმელას ფესვის ფხვნილს ძველად ხმარობდნენ როგორც მო! აფრქვევს, კანის დაავადების დროს. თანამედროვე მედიცინაში იხმარება ამ მცენარის ქერქი და ფოთლები—როგორც სისხლის შემაჩერებელი საშუალება. ფარმაკოპეიაში შეტანილი არ არის.

ჰომეოპათიაში იხმარება ახალი ყვავილებიანი ყლორტების გამონაწელილი და ტოტების და ფესვების ესენცია.

მარხინი — იხ. ასისთავა.

მარული — იხ. სალათა.

მარფაშთა — იხ. ცულისპირა.

მასტაქი — იხ. დანამასტაქი.

მალდანოხი — იხ. ოხრახუში.

მარწყვი — Земляника, *Fragaria vesca* L. Rosaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში მარწყვი სამკურნალოდ გვხვდება უმთავრესად სიყვითლის დროს. ხმარობდნენ მარწყვიდან გამოხდილ წყალს. მარწყვი ჰიის საწინააღმდეგოდაც იხმარებოდა: „მარწყვი მხურვალე და ხმელი არის, და ყოველსა გრილსა სენსა არგებს, კაცმან რომე ამა მარწყვის წყალი გამოჰხადოს და ამა მარწყუითა იარაყიანსა კაცსა საკმელი აჰამოს, შავისა და ყუითლის იარაყნების სენისათვის მწოედ კარგი და მრავალჯერ დაცილილი წამალი არის. და თუ კაცსა მუცელში ჰია ასხია იმასაც დაჰხოცს და გამოჰყრის და ულხენს“.<sup>2</sup>

გარდა ამისა, გველის ნაკბენზე აღებდნენ დანაყოფ მარწყვს.

მარწყვის თესლს სიფისტანი ეწოდებოდა. შედიოდა სხვადასხვა წამლების შემადგენლობაში. მას შემოტევე სამკურნალო თვისებებს აწერდნენ: „სიფისტანი... გულსა და მკერდსა დაალობს, სევდასა და ხილთებსა კაცისასა სტომაქიდალმან გააგდებს და გააქარეებს“.<sup>3</sup>

ძველ მედიცინაში მარწყვის ფესვჭრა და ფოთლები შარდმდენ საშუალებად იყო მიჩნეული.

თანამედროვე მედიცინაში ეს მცენარე იხმარება, როგორც დიეტური საკვები, რომელსაც აძლევენ მთელი რიგი სნეულებების, მაგალითად, კენჭოვანი დაავადების დროს.

მაყვალე — Ежевика, *Rubus fruticosus* L. Rosaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

საქართველოში გავრცელებული მცენარეა. ძველ მედიცინაში იხმარებოდა მაცულის ნაყოფი, ფოთოლი, ფესვი, ნეკერი (ახალგაზრდა შტო).

<sup>1</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 181.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 202.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 194.

მაყვალს შემდეგ თვისებებს აწერდნენ: „გრილი და ნედლი არის. გულისა და ღვიძლიანათვის მწოდ მარგე და კაი მჟავე არის. ცხელებისა, სნებისა, შავისა და ყუითლის იარაყნებინათვის და მხურვალის ხაფაყანისათვის, ყულესათვის მწოდ კარგი წამალი არის. კაცსა მუცელშიგა შეპკრავს, წყურვილის მოუკლავს, რწყევასა უქუუგდებან და ყოვლისა მხურვალის სენისათვის აქიმი და წამალი არის, რომ ესე სენი ან სისხლისა და ან საფრისაგან და ან სხვის სიმხურვალისაგან წაპკიდებოდეს. ვინცა ესე მაყულის ძირი მოთხაროს, გარეცხოს, მოწლოდ დაჭრას და დაჭეკოს და ერთსა ქოთანშიგა ჩაყაროს და ესე ქოთანი წყლითა აავსოს. თავსა დახუროს და პირი მოუგლისოს და ამდენი უნდა ხარშონ, რომე სამის წილისაგან ერთი წილი წყალი დარჩეს, მერმე გაწუროს და ერთსა ღამესა გარეთ დადგან და დილეულ უზმომან უნდა სვას.

ესე იცოდით. ყოვლის ფერის მხურვალის სენის გამორჩეული და მრავალჯერ დაცდილი წამალი არის და უფრო სნებისა, რომე ამა რიგად სნებიანსა კაცსა კაცმან ასვას, ფიცხლავ ოფლსა დაასხამს, გულსა უქუპყრის და სიცხება და სიმხურვალესა გაუგდებს და სენსა დაფანტავს“.<sup>1</sup>

მაყვლის ფოთოლი ღრძილების დაავადების სამკურნალოდ იხმარებოდა: „ვინცა მაყვლის ფოთოლი უზმომან კევსავით ღეკოს ღრძილები გაუმთელოს და გაუმაგროს“<sup>2</sup>. ფოთოლს ხმარობდნენ სახსრების ტკივილების დასაყუჩებლად: „ეინცა მაყულის ფოთოლი დანაყოს და წყალი გამოჰხადოს და გაათბოს და მტკიანებას ალაგსა თბილ თბილი შესცხოს, ასოსა და სახსრის ტკივილი უშველოს“<sup>3</sup>.

მაყვლის ნეკერი, პიტნასთან და შაბთან ერთად, შედიოდა კბრლის ტკივილი დასამშვიდებელ და კბილების გამათეთრებელ წამლის შემადგენლობაში. ფარმაკოპეაში მაყვალი შეტანილი არ არის.

**მაშა** — *Maw, Phaseolus aurens* (Roxb.) P: p. Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ეს მცენარე შედიოდა ღვიძლის და ელენთის დაავადების წინააღმდეგ ხმარებულ: მაჭუნის შემადგენლობაში. გარდა ამისა, შემკერელად ითვლებოდა. ამ მცენარის ქერქი მაწყინრად მიაჩნდათ.

სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება სახელწოდება თეთრი, ყვითელი და წითელი ბაჰანი და ბაჰმანი. ხელნაწერ ლექსიკონში (H<sup>11</sup>/ა), რომელიც დატულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ხელნაწერთა განყოფილებაში, მოცემულია განმარტება: „ბაჰმანი, ნაში ბაჰანური“, „ბაჰმანი — თეთრი მაში გაჰავალი“. ეს მცენარე სხვადასხვა დაავადების დროს იხმარებოდა. მის შესახებ წერდნენ: „ბაჰმანი წითელი ერგების ქართა და სისხლსა უმატებს და გააქარეებს გულისაა ურვასა, და თეთრი მხურვალი არს და უმატებს ზურგისა წყალსა“<sup>4</sup>. იგი იხმარებოდა აგრეთვე ნერვული დაავადებების, დამბლის მკურნალობის დროს.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 197.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 316.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 487.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 413.

როგორც ჩანს, მაშა ლობიოს მსგავს მცენარეს წარმოადგენს. ამის შესახებ ლაპარაკობს შემდეგი ადგილი: „ერთი სხუა არის ლობიასა გავსა, უღობია არ არის, ამას მაში ჰქუინ, გრილი და ხმელია. მისი და ბაკილასა ხასიათი ერთია და იმისი ძალ უფრო ცოტა არის ბაკილასაგან, ჭარიცა უფრო აქუს. თუ კაციისა სტომაქი რბილი იყოს, ზირათა და ქარუათა კამოს. კაცი თუ დასიცხული იყოს, ნუშის გულითა და ახლითა ქინძითა კამოს. თუ ქერქი გააძროს, მისი ქარი უფრო ცოტა იყოს, და მოხალული თუ დაღერღონ და შექმნან მუცელსა შეკრავს“<sup>1</sup>.

თანამედროვე მედიცინაში ეს მცენარე არ იხმარება.

მამულა, მამულა — Сорница, Convolvulus scammonia L. Convolvulaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

„იადიგარ დაუღის“ მიხედვით, „მამულა, რომე სპარსნი საყამუნიას ევახნიან“<sup>2</sup>.

ამ მცენარის გავრცელებული ფესვიდან გამოდის რძისფერი სითხე, რომელიც ჰაერზე სწრაფად მაგრდება. ეს არის მამულას ფისი, რომლის მიღება მცენარის გაწმარბი ფესვებიდანაც შეიძლება. ზოგჯერ საყამუნიას მამულას ფისსაც უწოდებდნენ.

როგორც ჩანს, ძველ ქართულ მედიცინაში მამულას ხშირად ხმარობდნენ ჰიგიენით დაავადებულთა სამკურნალოდ, იგი ძლიერ საფლავითოს წარმოადგენდა; ხმარობდნენ თავის ტკივილის დასამშვიდებელ საშუალებად: „ვიცა მამულა, ძმარი და ვარდის ერბო ერთგან აურიონ და სრულიად თავზედა შემოიციხონ. რაგინდარა ძველი და ძნელი თავის ტკივილი იყოს უსათუოდ უშველის“<sup>3</sup>.

გარდა ამისა, იხმარებოდა გულის მოქმედების გამძლიერებლად, თუმცა სთვლიდნენ, რომ „საყამუნია მხურვალი არს და გამღებელი კუერცხის გულისა. ნალველისა და თელგმისა, და აენებს ლუძილსა და სტომაქსა და გარდასწყუეტს შავსასა და შეუმატებს გულისა კლებასა, როდეს მარტოდ შესიუსა“<sup>4</sup>.

მამულა შედიოდა აბის შემადგენლობაში, რომელიც თვალის დაავადების დროს იხმარებოდა.

ეს მცენარე ფარმაკოპეიაში შეტანილი არ არის.

მლოგვი — Горчица, Sinapis, Brassica nigra Koch. Cruciferae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში გვხვდება მისი შემდეგი სახელწოდებები: ხარდალი, მანანახი, თარა, სპანდი, ქოქი. მლოგვის თესლს მიანხურდს უწოდებდნენ.

მლოგვი იხმარებოდა საკვლის შესახვებლად და სამკურნალოდ. მის შესახებ ვკითხულობთ: „მლოგვი, თარაც ამას ჰქვიან და ქოქიცა, მხურვალი და ზმელი და საკვამდსა მოაქარებებს და მოანდომებს. დანაყო და დასდვა სიძსიკ-

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 432.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 271.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 281.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 410.



ნესა დააცხრობს, ფერად ფერადი წყალი ესვას და ეწყინოს მას უშველის, ღვინო ესვას სული უდიოდენს ორიოდენ მარცვალი შექამოს აღარ აედინე-ბის...<sup>1</sup>

ნდოგვის თესლი ტკივილის დამაყუჩებლად იხმარებოდა — „მდოგვის თესლი მსურვალნი და ხმელი არის, ვინცა ესე თესლი და ლეღვი ერთად დასაყოს და ყურზედა დაიდვას ყურის ტკივილს უშველის“<sup>2</sup>.

საერთოდ მდოგვი უფრო ხშირად გვხვდება გარეგანად სახმარი ტლევების შემადგენლობაში. იხმარებოდა გულყრის ან გულყრისმაგვარ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის მოსაბრუნებლად, მტკივნეული ადგილის გასახურებლად.

მდოგვი ითვლება ტექნიკურ მცენარედ. მისი თესლი გლუკოზიდებს და ფერმენტ მიროზინს შეიცავს, თბილ წყალში დასველების დროს ფერმენტის მოქმედებით გლუკოზიდი იშლება გლუკოზად, გოგირდმეყვა კალიუმად და მდოგვის ეთეროვან ზეთად.

მედიცინაში იხმარება მდოგვის ცომი, რომელიც მზადდება ცხიმოცილებული თესლებიდან. გარდა ამისა, მდოგვის ეთეროვანი ზეთის 2% ხსნარი სპირტში იხმარება როგორც დასაზელი .

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეაში შეტანილია მდოგვის ეთეროვანი ზეთი, მდოგვის ქაღალი.

მირონის ხე—იხ. ფშატი.

მიხაკის ხე—Гвоздичное дерево, Caryophyllus aromaticus L. (= Eugenia Caryophyllata Phub) Myrtaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში სხვადასხვა ადგილას გვხვდება ყარფალის, ყარამფილის, კარანფულის, ყარამფულის, კარანფოლის სახელწოდებებითაც .ეს მცენარე იხმარებოდა საქმელში სურნელების მისაცემად და სამკურნალო მიზნით. გვხვდება როგორც გარეგანად, ისე შინაგანად სახმარი საშუალების სახით. მაგალითად: „ვინცა ყარფალისა წყალი სვას, უსათუოდ მუცელშიგა შეკრას და პირის სისხლის ღენასაც არგებს“.<sup>3</sup>

იხმარებოდა აგრეთვე ღრძილების დაავადების დროს: „თუ ღრძილნი უკუეხუეწუნენ კბილნი სტეოდეს და სისხლი სდიოდენ ნიადაგ—აილე ყარამფულისა კურკა, აყირკარა და გუნდა მწუანე ბაბასა და ბროწეულისა ქერქისა ყელი... ჯურმნის რუბითა შეზილო, მარცულად დაქმნა და გაახმო...“<sup>4</sup>

ამ მარცვალს საჭიროების დროს ავადმყოფს პირში უდებდნენ. სთვლიდნენ, რომ ეს წამალი რგებდა ღრძილების ტკივილს და მორყეულ კბილებს ამაგრებდა. მიხაკს ხმარობდნენ როგორც გარეგან საშუალებას კეფის ტკივილის დასამშვიდებლად; შედიოდა თავის ტკივილის საწინააღმდეგო რთული დასალევი წამლის შემადგენლობაში: „როდესაც ამრიგად კაცსა თავი ასტეივდეს მოიტანე ვარდის წყალი და მოადულე და ამა ვარდის წყალშიგა დაჭეკილი მიხაკი ჩაყარე და კარგად აღულე, და მერმე ამა კეფა მტკივანსა კაცსა თავი მოჰპარსე, და ესე ვარდის წყალი თბილ თბილი სრულად თავსა და კეფაზედა

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 442.

<sup>2</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 302.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 436.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 93.

შეუსვით, მერმე მოსცხოს, ამა ვარდისა და მიხაკის წყლითა ბამბა დააღებთ და ესე ბამბა კეფაზედ დაადევით...“<sup>1</sup>

მიხაკის ხე უმთავრესად ტროპიკული ქვეყნებიდან შემოაქვთ და ძველადაც, როგორც ჩანს, შემოტანილ მცენარეებს ეკუთვნოდა. ამჟამად მიხაკი სურნელების მიმცემ მცენარედ ითვლება.

მოლოქი — იხ. ბალბა.

მოასფარი — იხ. ალისარჩული.

მოცხარი — *Смородина*, *Ribes rubrum*, *Ribes nigrum* L. *Saxifragaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება კიდევ შემდეგი სახელწოდებებით: რიბეზი, აბულასი, აბალისი, აბალასი.

ჩვენში გარეულად მოზარდი გვხვდება მოცხარის სხვა სახეობები, მაგალითად, *R. alpinum* L., რომელსაც დათვის მოცხარი ან ხუნწი ეწოდება. ისინი მაღალი მთის ტყეებში მოიპოვება.

როგორც ჩანს, ძველად მოცხარს რაიმე გარკვეული სამკურნალო თვისებებს თითქმის არ აწერდნენ, მაგრამ იგი ძალიან ფართოდ იხმარებოდა თავისი სასიამოვნო მკავე გემოს გამო. ისეთ შემთხვევაში, როდესაც საჭირო იყო მკავე საკმელი, ბროწეულთან და კოწახურთან ერთად ხშირად მოცხარსაც ხმარობდნენ: „თუ კაცსა სისხლი ქარბობდეს და ესე კაცი სისხლის ფრთე კაცი იყოს, ასრე უნდა ამრგისა კაცსა მკავე სასმელი ასოთ და აჰამოთ... ლიმო, ისრიმი, თუთუში, კოწახური, მოცხარი...“. მეორე ადგილას ვკითხულობთ: „მოცხარი ჭერ ამ კოწახურისა და თუთუბოს ორსავე სჯობს. მაგრამ შავისა და ყუთლის იარაყისათვის ეს მკავეები მეტად კარგნი არიან...“<sup>2</sup>

მოცხარის თესლი შედიოდა ყელში გამოსაყლებ წამლის შემადგენლობაში: „სურდო ყელშიგან ჩამოვიდეს... აბულასისა თესლი ნახევარზედა დანაყილი, წითელი ვარდი... აღუღონ და აციონ და იმთა ღარღარა აქნევიონ“<sup>3</sup>.

მოცხარის ანუ აბალასის გუარიშნი იხმარებოდა აგრეთვე. როგორც შემკვრელი: „გუარიშნი აბალასისა სარგო მუცლისა ხსნილობისათვის და თხევისათვის.“<sup>4</sup>

მოცხარს საკვებად ხმარობენ როგორც უმი, ისე გადამუშავებული სახით. აღსანიშნავია, რომ მისი მწიფე ნაყოფი შეიცავს: 6.7%—16.8% შაქარს. 2.5 — 2.8% თავისუფალ მკავეებს და 0.08—0.4% ასკორბინის მკავეს. ამის გამო მოცხარის ნაყოფი ძვირფასი ნედლეულია ვიტამინების მისაღებად. მოცხარის ნაყოფს როგორც ნედლს. ისე გამხმარს, ხმარობენ მადის მომკვრელ და სურავანდის საწინააღმდეგო საშუალებად.

მჟაუნა — *Шавель кислый*, *Rumex acetosa* L. *polygonaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

სხვებთან შედარებით მჟაუნის ეს სახეობა ყველაზე მეტად იხმარება საკმელად და საკმლის შესამკავეებლად. ძველ ქართულ მედიცინაში მას სამკურნალო დანიშნულებითაც იყენებდნენ.

<sup>1</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 247.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 196.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 4.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 147.

მეაუნა აგრეთვე შემდეგი სახელწოდებებითაც გვხვდება: იმაზი, უშხუნი, ჰუმალი, თირთიჩი. გვხვდება შემდეგი განმარტებები: „უშხუნი მეაუნას ჰქუიან“, „იმაზი მეაუნას ჰქუიან“.

მეაუნას წვეწვანს შაქარსა და ვარდის წყალს ურევდნენ და ავადმყოფს ასმევდნენ. მეაუნას სამკურნალოდ იყენებდნენ ზოგიერთი სნეულების დროს: „მეაუნა და ყოჩ-ყულადი მეორესა წილშიგა მწოედ გრილნი და ხმელნი არიან სისხლსა და საფარსა და ყოველსა სიმხურვალესა დაავსებს და დააწყნარებს კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხსნის და საქმელს ადრე მოაქარავებს და კიდევ ადრე მოანდომებს, კაცსა მუცელშიგა შეჭკრავს, გულსა და ღვიძლსა მწოედ მოუგრებებს და ძალას მისცემს, სნებისა ცხელებისა და იარაყებისათვის მწოედ კარგი არის.

კაცსა რომე დაკოდილი და ან მუწუჟი გაუხსივდეს და გაუძნელდეს, და ან იმა მეაუნასა ფოთოლი მოსწყვიტონ და ეს ფოთოლი დაადვან, წამხდარსა და გამწყარასა. დაკოდილსა მაშინვე მოაბრუნებს და გააკეთებს. გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და ძალას მისცემს. და ეს ხასიათი ოსტატთა კაცთა ამ მეაუნადადმან გამოუღია. კაცმან, რომე ამა მეაუნისა ან ძირი და ფოთოლი ყვესავრთ ლექოს. მაშინვე გულის ტკივილსა უშველის.

ვინცა მეაუნა ჰამოს მაშინვე აბოყინოს, ვინცა ამისი ფოთოლი მარილითა დანაყოს და დამწვარსა რაზედამე დაიდვას, და დამწვარსა მწოედ კარგად უზამს და მაშინვე დაუამებს და ეს მეაუნა დამწურისათვის ბევრჯელ და მრავალჯერ დაკოდილი არის<sup>1</sup>. „უმი მეაუნა გრილი და ხმელი არის და ზაფრასა დასვამს, კაცსა მოაშვეს და მუცელსა შეჭკრავს“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, მეაუნას ხმარობდნენ მადის მომგვრელად, შემკვრელად, კრილობის და დამწვრობის მოსაშუშებლად, სისხლის ღენის შესაწყვეტად. უკანასკნელ შემთხვევაში უფრო ხშირად იხმარებოდა მეაუნას ძირი და ფოთოლი:

„ვისაცა დაკოდილსა და ან გახეულიდადმან სისხლი არ დასწყედს მოიტანე მეაუნას ძირი და ან ფოთოლი, დანაყონ და ან ასრე დაადვან და მაშინვე სისხლს დასწყუეტს. და ერთი დაკოდილი და ან მუწუჟი რომე ანასური შექმნილიყოს, ვითამცა და გასწყაროდეს და გასძნელებოდეს და იმაზე დაიდვა, იმ რიგსა წყლულსა მაშინვე მოაბრუნებს და გაათავებს“<sup>3</sup>.

ამჟამად მიღებულია, რომ Rumex-ის გვარის სახეობები შეიცავს ვიტამინებს, ზოლო მათ შორის ამ უკანასკნელებით ყველაზე უფრო მდიდარია *R. acetosa* L.

მეაუნას ფესვები და ფოთლები შემკვრელად იხმარება. ეს მცენარე იხმარება ტიბეტის მედიცინაში.

მრავალძარღვა — ლანცეტა, Подорожник, *Plantago major* L., *P. lanceolata* L., *Plantaginaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

მას ბატკნის ენასაც უწოდებდნენ — „ბატკნის ენა რომე მრავალძარღვა ჰქუიან“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 202.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 448.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 536 .

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 177.

მრავალძარღვას თესლს ლისონამალი, ბაზრაცატონი და ასფიოში ეწოდებოდა: „...ლისონამალი მრავალძარღვას თესლს ჰქუიან“<sup>1</sup>. სხვა ადგილას გვხვდება: „ასფიოში მრავალძარღვას თესლს ჰქუიან“<sup>2</sup>, „ბაზრაცატონა რომელ არს მრავალძარღვას თესლი“<sup>3</sup>. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ სახელწოდების ქვეშ სელის თესლიც იგულისხმებოდა.

მრავალძარღვას სამკურნალო თვისებების შესახებ წერდნენ: „მრავალძარღვა მწოდ გრილი და ხმელი არის შემკრავი არის, კაცსა რომე რწყევა აფეარდეს და ამა მრავალძარღვას წვენი სვას, მაშინვე რწყევას უკუაგდებს, სისხლსა, საფრასა და ყოველსა სიმხურვალესა დაავებს, კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს ან სისხლსა არწყევდეს და ამა მრავალძარღვას წვენი სვას, მაშინვე სისხლსა მოსწყუეტს და კაცსა შეკრავს, სნებასა, ცხელებასა, იარაყანსა, ხაფაყანსა და სისხასა ყუელასა მწოდ კარგად მოუხდების.“

კაცსა რომე კბილებიდან სისხლი სდიოდეს და ამა მრავალძარღვას წვენი პირსშიგა იმგვიბოს, მაშინვე კბილებიდან სისხლის დენას უშველის და ტკივილსა ჰკურნებს“<sup>4</sup>.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში მრავალძარღვა გვხვდება უმთავრესად როგორც შემკრაველი, სისხლის დენის საწინააღმდეგო და დაწყულელებული ადგილების მოსაშუშებელი საშუალება.

ამჟამად ცნობილია, რომ მრავალძარღვას ფოთლები შეიცავს გლუკოზიდებს და ნაცარს, რომელშიც 38% კალიუმის მარილებია.

მსუქანა ბალახი—იხ. უკვდავა.

მურტი — მვირსინი, *Myrt, Myrtus communis L. Myrtaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ეს მცენარე უმთავრესად სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში იზრდება. საბჭოთა კავშირში გაშენებულია დეკორატიული მიზნით. ძველად იხმარებოდა სამკურნალოდ. ხმარობდნენ მურტის ფოთოლს, შტოს, თესლს, მისგან ამზადებდნენ წვენს, ფოთლის წყალს, შარაბს, რუბს. ეს მცენარე ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში მორდის სახელითაც გვხვდება.

იგი შედიოდა სხვადასხვა დაავადებების სამკურნალო წამლების შემადგენლობაში. მას ვხვდებით თავის ტკივილის დროს წასაცხები წამლის შემადგენლობაში. ღრძილების ტკივილის დროს მურტის მარცვალი ძალის ყურძენთან და ძმართან ერთად იხმარებოდა პირში ჩასაუბებლად. სასის შესივების დროს მურტს, სანდალსა და ქაფურთან ერთად, შესივებულ ადგილზე უსვამდნენ ავადმყოფს. პირღებინების დასაწყნარებლად იხმარებოდა მურტი.

მურტის ზეთი შედიოდა ტანზე წასასმელი წამლების შემადგენლობაში, რომლებიც იხმარებოდა ოფლდენის გამოსაწვევად. ფიქრობდნენ, რომ მურტის ზეთი „უშველის თავის ტკივილსა, რომე სიმხურვალესაგან იყოს და თმა სციოდეს მას უშველის და თმას გაასუქებს და ძირი გაუძლიეროს“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 56.

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 419.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 418.

<sup>4</sup> „ილიგარ დაუდი“, გვ. 179.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 426.

ისეთ შემთხვევაში, „რომე მანკისა ადგილი დია ხურვიდეს და ისრისაებრ ფეთქდეს“, იხმარებოდა დაავადებულ ადგილზე წასასმელი წამალი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა გუნდა, ბროწეული, მურტი და სხვა.

მურტის თესლს ხმარობდნენ აგრეთვე ხუნაგის სამკურნალოდ.

მურტის ფოთოლი შედიოდა მუნის მკურნალობისათვის ხმარებული მა-  
ლამოს შემადგენლობაში.

იხმარებოდა აგრეთვე: „თუ მოტეხილსა რამე, ან თავის გატეხისა და დანა-  
ცილობისა სატკივარი დართოდეს, მურტის ფურცელი,—დანაყილი და გაცრილი  
და გაწმენდილი,—და მურტი ორივე სწორად ქნას და მტკივანზედა შემოს-  
დვას“<sup>1</sup>.

მურტის შარბათი იხმარებოდა კუჭ-ნაწლავის დაავადების მკურნალობი-  
სათვის (უმთავრესად ბავშვებში): „შარბათი მურტისა... რომელი ერგების  
უსუსურსა სტომაქისასა და ხსნილობისა ძველსა, ერგების სტომაქსა ყრმა-  
თასა“<sup>2</sup>.

თანამედროვე მედიცინაში ეს მცენარე გამოყენებული არ არის.

მურღუმაჭი—იხ. ცულისპირა.

მუხა — Дуб, Quercus, Fagaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

საქართველო მდიდარია მუხის სხვადასხვა სახეობებით. მუხა ჩვენი ქვეყ-  
ნის სხვადასხვა სარტყლის ტყეებში იზრდება. საქართველოში გვხვდება:  
Quercus iberica stev, Q. longipes stev, Q. macranthera F. et M. Q. imereli-  
na stev, Q. pontica C. Koch, Q. georgica stev, Q. Hartwisiana stev.

ძველ ქართულ მედიცინაში იხმარებოდა მუხის ქერქი, რომელსაც აფთი  
ეწოდებოდა, მუხის რკო ან, როგორც მას უწოდებდნენ, გრკო. ანსხვაებდნენ  
რკოს სხვადასხვა ნაწილებს: რკოს გული, აფსკა, ნაჭუჭი, ჰანთი, ანუ ჯანთი,  
ე. წ. სარქველი, ბუღე. მუხის ქერქს უმთავრესად ხმარობდნენ როგორც გარე-  
გან საშუალებას. კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს ავადმყოფს უკეთებდნენ  
ამ ქერქის ნაყენის აბაზანას: „აფთი—არს ქერქი მუხისა ერგების სიმსივნესა  
სტომაქისასა და სიუსუსურესა საგურკველისასა და მუცელსა როდის შეიგბოს  
და დაჯდეს მას შინა“<sup>3</sup>.

რკო უფრო შინაგან საშუალებად იხმარებოდა. მას აძლევდნენ ფალარათო-  
ბის შემთხვევაში. ხშირად ხმარობდნენ აგრეთვე ხორხიდან სისხლის დენის  
დროს: „კრკო რომე კაცმან ან შეწოს და ან მოხარზოს და ჰამოს, კაცი რომე  
დუქსა სისხლს ატანდეს, იმას მოჰკვეთს“<sup>4</sup>.

ამჟამად მუხა ტექნიკურ მცენარედ ითვლება, ძვირფასი მერქანი აქვს და  
მისი ქერქი მთრიშლავ ნივთიერებებს შეიცავს. ქერქის პრეპარატები მედი-  
ცინაში იხმარება როგორც ყელში გამოსავლები, ხოლო რკოს ყავა დიეტურ  
სასმელს წარმოადგენს. მუხის პრეპარატები შეტანილია საბჭოთა კავშირის  
სახელმწიფო ფარმაცოპეიაში.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 14.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 99.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 415.

<sup>4</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 344.

**მშხამა** — შხამა, Черемица, *Veratrum lobelianum* Bernh, Liliaceae-ს ოჯახს ეკუთვნის. ეს მცენარე ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება აგრეთვე შემდეგი სახელწოდებებით: აბუტარატი, ქუნდუსა, ქუდისი. რ. ერისთავის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ მშხამა განმარტებულია როგორც აბუტარატი, აბუტარაკი, შხამა, ჩხამა.

ძველ ხელნაწერ ლექსიკონებშიც აბუტარატი, მშხამა და ხარბაყი გაიგივებულია. „სამკურნალო წიგნი“ კი ვხვდებით: „ქუნდუსა აბუტარატი და ხარბაყი შავი ხარის ძირა“.¹ მაგრამ, როგორც მოტანილი მასალიდან ირკვევა, აბუტარატი მშხამას ეწოდებოდა.

საბას მიხედვით „აბუტარატი — სხამის ბალახია“.

მშხამა გვხვდება ტკივილის დამაყუჩებელ წამლებში, საცხებელის შემადგენლობაში, რომელსაც აცხებდნენ ცხვირზე და რომელიც „ერგების ტკივილს თავისასა და ტკივილთა ძუელთა, შეექმნების თულთა შიგან ავისა სინატიოსაგან, და ერგების სიბნელესა, რომელი სიზრაქისაგან შეიქნების“.<sup>2</sup>

მშხამა გვხვდება ცხვირში შესაყრელი წამლის შემადგენლობაში.

ცხვირის ტკივილის, სურდოს და ყნოსვის მოშლის შემთხვევებში ავადმყოფს სასუნებლად აძლევენ დანაყილ მშხამას, პილპილს და რეჰანს.

ცნობიერებადაკარგულ ადამიანს სამკურნალოდ დანიშნული სასუნთქი წამლის მიცემაზე მშხამას ფხენილს აყრიდნენ ცხვირში, ალბათ, ყნოსვის გაძლიერების მიზნით: „თუ პირისახე მწუანედ დაუცემდეს, იცოდით, რომე შავისა ბალღისაგან არის მისი წამალი: ქუნდუსა და ხარბაყი სწორ სწორ ქენ დანაყე და გაყერ, სტურითა ცხვირშიგა შეაყარე და მუდამ მუშაკსა, სადაფსა და შიშმატსა სასუნებდეს, ამისათუის რომე მისი სული ეცემის და კჳუაზედ უკეთ მოიყვანს“.<sup>3</sup>

როგორც ჩანს, მშხამა, ანუ იგივე ქუნდუსა და აბუტარატი უმთავრესად იხმარებოდა როგორც გარეგანი საშუალება.

„უსწორო კარაბაღინში“ აღნიშნულია კიდევ, რომ ქუნდუსას აკუთვნებდნენ შხამიან მცენარეებს და მისი ხმარება მეტად საფრთხილო იყო.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეიაში შესულია *Veratrum lobelianum* L. მედიცინაში *Veratrum*-ის სახეობები თითქმის არ იხმარება, ძლიერი მომწამვლელი თვისებების გამო (მისი ფესურა შეიცავს ალკალოიდებს, მათ შორის პროტოვერატრინს). იხმარება ჰომეოპათიაში. ტიბეტის მედიცინაში ამ მცენარის ყველა ნაწილი იყო გამოყენებული.

**მწყავი** — წყავი, Лавровишня, *Laurocerasus officinalis* Roem, Rosaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ეს მცენარე ჩვენში გვხვდება მთის შუა სარტყლის ტყეებში მარადმწვანე ქვეტყის სახით, უმთავრესად დასავლეთ საქართველოში.

¹ „სამკურნალო წიგნი“, გვ. 50.

² იქვე, გვ. 27.

³ იქვე, გვ. 50.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ვხვდებით მის თესლს, რომელსაც ზობისთანს უწოდებდნენ, და ყვავილის ფურცელს, რომელსაც როდანს უწოდებდნენ: „ზობისთანი—რომელ არს მწყავის თესლი“, „როდანი ფურცელი—ყვავილია მწყავისვე“. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერ ლექსიკონში (H<sup>1</sup>/ა) ვკითხულობთ: „მწყავ—სიოლისტან“.

ძველ მედიცინაში იხმარებოდა წყავის წყალი ნერვული სისტემის მკურნალობის მიზნით. მას ზოგჯერ ხმარობდნენ ფილტვების და გულის დაავადების დროს.

**ნარგიზი** — Нарциз, Narcissus, Amaryllidaceae-ს ოჯახს ეკუთვნის. იხმარებოდა ნარგიზის ძირი, ანუ ფესვი, თესლი, ზეთი. ეს მცენარე ნარკისის და ნარჯისის სახელწოდებებითაც გვხვდება.

ნარგიზის შესახებ ვკითხულობთ: „ნარგისი მოჰთადილი და შეზავებული არის და უფრო სიმბურვალესაკენ არის. ამა ნარგიზის სუნება ტვისნა და დამალსა მწოდ არგებს, თვალთა სინათლეს მოუმატებს და თვალთა და დამალსა ორსავე გაანედლებს და წყალს მისცემს, ფილენჯსა და ფილენჯისა ქარსა ორსავე მწოდ არგებს. ვინცა ამა ნარგისს უსუნოს, მაშინვე ძილი მოუვიდეს და ტბილად დაეცინოს...“<sup>1</sup>

ნარგიზის ძირი იხმარებოდა მუწუჯის სამკურნალოდ: „ვინცა ნარგიზის ძირი დანაყოს და თაფლითა მოზილოს და ან გამწყარალსა, და ან დამალსა მუწუჯზედა დაადვას, ორსათვისვე მწოდ კარგი არის. და თუ ან უსიეს, ან ხიარაკი აბია, ორსავე გააქარებებს“.<sup>2</sup>

უფრო გავრცელებული იყო ნარგიზის ზეთის ხმარება. ნარგიზის ზეთს შეზღვენაირად ამზადებდნენ: „აიღე ნარგიზი და ბირკის ზეთი ერთმანეთისა ოდენი და ერთმანეთშიგან გაურთივე და შუშაშიგან ჩაყარე და მზეშიგა დადგა და ყოველთა დღეთა დაურევდი, ორმოცისა დღესა მერმე შეინახე, ეს არის ნარგიზის ზეთი“.<sup>3</sup>

ასეთ ზეთს ხმარობდნენ ქერტლის საწინააღმდეგოდ თავზე წასასმელად. ასევე თავზე უსვამდნენ ან ცხვირში აწვეთებდნენ ნარგიზის და სოსანის ზეთს თავის ტკივილისა და თავქედის მკურნალობის მიზნით. ყურის ტკივილის დროს ეს ზეთი ყურში ჩასაშვებად იხმარებოდა. ფილტვებით დაავადებულებს ამ ზეთით გულმკერდს, ხოლო თირკმლით ავადმყოფებს ზურგს უზელდნენ.

ა. ო. იაშვილის მიხედვით, თმის გამაგრების და უკეთ ამოსვლის მიზნით ნარგიზის ნახარშით იბანდნენ თავს. გარდა ამისა, ყვავილის ნახარში პირლებინების საწინააღმდეგო საშუალებად იყო მიჩნეული.

ამჟამად ცნობილია, რომ ნარგიზი ეთერზეთოვანი მცენარეა. შეიცავს ალკალოიდ ნარკისინს. აყვავებულ მცენარის ესენცია იხმარება ჰომეოპათიაში, მას აქვს აგრეთვე დეკორატიული მნიშვნელობა.

ნანახუა — იხ. სონიჯი.

<sup>1</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 204.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 509.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბდინი“, გვ. 427.

ნარდი — *Valeriana indiiensis*, *Nardostachys Jatamansi* D. C. შას აგრეთვე *Valeriana Jatamansi* Jon-ს უწოდებენ. *Valerianaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ სამედიცინო ნაწერებში გვხვდება აგრეთვე ნარდინის, ნარდენის სახელწოდებებით.

არაბები *Sumbul hindis*-ს უწოდებდნენ, იმის გამო, რომ მისი ფესვი მიემსგავსება სუმბულის თავთავს. აღსანიშნავია, რომ ალბათ ამის გამო ჩვენს ძველ სამედიცინო ხელნაწერებში ნარდის სინონიმად ხშირად სუმბული გვხვდება. ძველად იგი ჭირფას წამლად იყო მიჩნეული, იხმარებოდა ისტერიის და მთელ რიგ სხვა დაავადებების დროს.

ნარდის ზეთს ძველ ქართულ სამედიცინო წყაროების მიხედვით დასაზღვლად ხმარობდნენ უზომოდ გასუქების, ღვიძლის დაავადების და მთელ რიგ სხვა შემთხვევებში. თანამედროვე მედიცინაში არ იხმარება.

ნარსაქი — იხ. ოსპი.

ნარსინი — იხ. ასკილი.\*

ნარქევა — იხ. ყაყაჩო.

ნესვი — *Дыня*, *Cucumis melo* L., *Cucurbitaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება ნესვის თესლი, თესლის გული, ნესვის ქერქი.

ნესვი ითვლებოდა მაწეინარ და სწელად მოსანელებელ ხილად. ეგონათ, რომ ნესვს შეეძლო გამოეწვია ცხელება და კუჭ-ნაწლავის დაავადება.

სამკურნალოდ იხმარებოდა ნესვის თესლი. იგი შარდმდენ და კიის საწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა.

ნესვის ქერქს ხმარობდნენ საკმლის მონელების გაუმჯობესების მიზნით. იარაყნიან ავადმყოფს საკმელად ძროხის ხორცს ნესვის ქერქთან ერთად უხარშავდნენ, რადგან სთვლიდნენ, რომ იგი ხელს შეუწყობდა ხორცის სწრაფად და კარგად მონელებას.

ნესვის ქერქი იხმარებოდა როგორც გარეგანი საშუალება. სურავანდიან ავადმყოფს მთელი რიგი გართულებების შემთხვევაში დანაყილ ნესვის ქერქს ჭებლზე უსვამდნენ.

ნესვის ძირი გვხვდება პირღებინების გამოსაწვევად ხმარებულ წამლებში: „თუ გინდოდეს, რომ ადვილად აწეინოს, ნესვის ძირი დანაყეთ და ღუინითა შეასუით, და არგებს და ადვილად არწყევინებს“.<sup>1</sup>

თანამედროვე მედიცინაში არ იხმარება.

ნიახური — *Сельдерей*, *Apium graveolens*, *Umbeliferae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ნიახურის სინონიმებად გვხვდება: ქრიევსი, ბადრუქი, ბადრუჩი, ქარუია, ქარვია. ნიახურის თესლს სასლიონი ეწოდებოდა.

ა. მაყაშვილს ნიახურის სინონიმად კიდევ მოტანილი აქვს სონა. ა. იაშვილის მიხედვით ნიახურს ეწოდებოდა აგრეთვე ნარსანი, ღარბი.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 331.



სხვადასხვა დაავადების დროს იხმარებოდა ნიახურის თესლი, ფოთოლი. ძირი, ბირას ქერქი, წვენი, წყალი. სხვა მცენარეების და ნიახურის ნარევიდან ამზადდებდნენ სიქანჭუბინს, რომელიც შარდმდენ საშუალებად იყო მიჩნეული. თირკმლის დაავადების დროს ხმარებული წამლები ავადმყოფს ეძლეოდა ნიახურის წყლით.

გარდა ამისა, ნიახური ფართოდ იხმარებოდა მაშინ, თუ „კაცსა რომე სისხა ზეექმხას და თავითფებთამდისი სრულად გასივდეს“.<sup>1</sup>

ნიახურის თესლი შედიოდა უძილობის საწინააღმდეგოდ ხმარებულ წამლის შემადგენლობაში: „...თუ საძილოსა წამალსა იქმოდე, დაიჭირე ნიახურის თესლი ორისა დრამისა წონი, და ხაშხაშისა თესლი, რომელ არს ყაყაჩო ერთისა დრამისა წონი, ლემის თესლი—ხუთისა დრამისა წონი“.<sup>2</sup>

ნიახურის თესლი გვხვდება აგრეთვე იმ წამლის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა სახის კორფლის მოსაშორებლად. ნიახურის წვენი შეზადებული აბი ეძლეოდა ავადმყოფს თვალის ტკივილის დროს. ერთმანეთისაგან არჩევდნენ ნიახურის სხვადასხვა სახეობას. ასე, მაგალითად, „უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „ნიახური... ორი რიგი არის ბოსტნისადა არის და მინ. დორეულიცა. ს მ უ რ კ ს ა უზახიან, ა ს ლ ი ო ნ ს ა უზახიან, და რაცა ქვანუდა მოვა ქ ა რ ი ე ა ლ მ ა ჰქვიან და ქ ა რ ჯ ი რ ი და ა ლ მ ა ს ა ც ა უზახიან. უკეთესი ბოსტნისა არის, მისი სიკეთე ეს არის, რომე გული ცარიელი იყოს, და მისი ფერი მოთეთროდ დაუცემდეს. და უფრო რ უ მ ლ ი სჯობს მხურვალისა პირველი დარაჯაშიგან და ხმელია მეორესა დარაჯაშიგან. ქარსა გასტეხს, სუდასა გახსნის, სისხლსა არგებს სატკივარსა გამოსწმენს. თირკმელთა და ნისანსა გასწმენდს, უფრო მისი თესლი ბალდამსა იარაყანისასა, ხველასა, ვაჭალამფასასა... და ხელფეხი რომე დახეთქოდეს დაალბობს, არგებს... მისი წვენი ნოწამლულსა რწყევითა ამოაღებინებს. მაგრამ ორსულსა დედაკაცსა არ ექმეზის, ამად რომე უკანასა კარსა აწალასა მისცემს, ამისთვის ნათქვამი არის. ძუძუს აწოებდეს არ ექმეზის, ამად რომ თესლსა უმატებს და რძესა აკლებს.

და თუ ბევრი ჭამოს დედაკაცსა ავად მოუხდების და იტყვიან ამას, ვითა მისი ძირი ყელსა ჩამოიკიდებს მისსა წყენასა არგებს და უშველის.

თუ კაცსა ნიახური ეჭამოს და მორელმა უკბინოს გაძნელების, ამას რომე გზასა გახსნის მოწამლულისა წამალსა ტანშიგა დაჰფანტავს. რასაცა დროსა მორიელი მრავლად იყოს ნიახურსა ერიდებოდი....

თესლი ნიახურისა მხურვალისა და ხმელია მეორისა დარაჯაშიგა დედაკაცისა წესსა და კაცისა თესლსა უმატებს, ღვიძლის ტკივილსა და თირკმელშიგა რაც სენი იყოს მას დააწყნარებს, სლოკინს დააწყნარებს“.<sup>3</sup>

ნიგვზის ხე — ჩვეულებრივი კაკლის ხე, კაკალი, *Orxh გრეკიი, Juglans regia L. Jyglandaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გარდუმის ხის სახელითაც არის მოხსენებული.

სამკურნალოდ იხმარებოდა ამ ხის ფოთოლი, წენგო, ზეთი, ამზადდებდნენ რუბს. იხმარებოდა აგრეთვე კაკლის ხის ხავსი. ეს უკანასკნელი შედიოდა

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 168, 169.

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 15.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 439.

„ყურსი ქაპრაბას“ ანუ ქარვის ყურსის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა შინაგანი ორგანოებიდან სისხლდენის დროს. სისხლიანი პირღებინების ან თირკმელებიდან სისხლდენის შემთხვევაში უჩრებდნენ: „მოიტანე ქარვა და ნიგუზის ხის ხავსი, რომე აქიმნი ოდუნ უსულსა უძახიან...“.

თუ რა შემთხვევაში იხმარებოდა ნიგოზი, ამას გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ამონაწერები: „ნიგოზი მხურვალი და ხმელია, ვინცა ესე ნიგოზი წმინდად დანაყოს და კაცსა რომე სევდის სიმსიენე ქონდეს იმა სიმსიენეზედა დააღვას ან ამა ნიგუზის ზეთი შესცხონ სიმსიენეს უსათუოდ უშველოს“.<sup>1</sup>

„აწე თუ რწყევა მყოფდ მისპირდეს და ველარამ ფერმან სხვამან წამალმან რწყევა ველარ დაუქროს, მოიტანე ნიგუზის წენგო დანაყე, და წვენი გამოჰხადე და ამის წვენი პირშივა იმგებოს და მაშინვე რწყევასა მოჰკვეთს და უკუუგდებს“.<sup>2</sup>

„ვინცა... ნიგუზის ზეთი თბილი ყურში ჩაიწვეთოს ყურის ტკივილსა უშველის“.<sup>3</sup>

„თუალთა ტკივილისათვის ნუში ტკივილი ნიგუზისა ზეთითა და იასამგითა წმინდითა და თაფლითა თეთრითა ესენი უზომამან ქამოს“.<sup>4</sup>

„აილე ახალი დუმა და ქონი და ნიგოზი, და ცვილი და ქინძი დანაყე და კუერი შექენ, თულზედა დასდევ და ერგოს“.<sup>5</sup>

ნიგუზის რუბი იხმარებოდა „სტომაქის გასაწმენდად“, აგრეთვე ხორხის ტკივილის დროს გამოსაელებად.

ნიგოზს და მის ზეთს ხმარობდნენ როგორც გარეგან, ისე შინაგან საშუალებად. მასთან ერთად სთელიდნენ, რომ „ნიგოზი გრილი და ნედლია, ახალი და მძიმე ქარსა, ბალღამსა და კოლინჯსა მოუმატებს კაცსა და ხმელი მხურვალი და ხმელი არის, თავისა ტკივილსა მოუმატებს კისრის ტკივილსა და პირს გაუმწარებს, ზაფრას არევის და ენას დაუმძიმებს“.<sup>6</sup>

ნილი — ლილა, ინდიგო, *Indigofera tinctoria* L., Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ ხელნაწერ ლექსიკონებში მოცემულია განმარტებები: „ლილა, ლურჯი საღებავი, ნილაჯი, ნილი“,<sup>7</sup> „ინდიგო—ლილა“,<sup>8</sup> ე. შტებერის ნიხედვით— „Indigo — Индиго“.

ლილა სამკურნალოდ იყო გამოყენებული მთელი რიგი პათოლოგიური მოვლენების დროს: „ნილი მხურვალია და ხმელია და (კაცსა) რომე ვარაჟი სპირდეს შეიცხოს, უშველის“,<sup>9</sup> „როდისცა კაცსა თვალის ტკივილი მოუვიდეს

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 406.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 366.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 302.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 22.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 65.

<sup>6</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 456.

<sup>7</sup> ხელნაწერი ლექსიკონი H31/3, დატულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.

<sup>8</sup> ხელნაწერი ლექსიკონი № 173, დატულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. სახელმწიფო საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

<sup>9</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 465.

მოიტანე კუერცხის ცილა და ლილა წმინდად გალესე და მტკივანსა თვალშიგა ჩააწურე და თვალის ტკივილსა უშველის<sup>1</sup>. სხვა საშუალებებთან ერთად ლილას ხმარობდნენ პირღებინების გამოსაწვევად: „ვინცა ვარდის კაქკაჰის თესლი დანაყოს და ლილა გაურიოს და ისრე სვას არწყევინოს“<sup>2</sup>.

თავის ტკივილის შემთხვევაში ურჩევდნენ: „ლილა ცივი წყლით გალესე და ცხურით, უწოვე“.

ნიორი — *Чеснок, Allium sativum L., Liliaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება ნიორი, ნივრის ქერქი, თესლი, ყვავილი, წყალი. ნიორი იხმარებოდა როგორც სამკურნალო საშუალება თავის ტკივილის, საერთო სისუსტის და სხვა მრავალი დაავადების დროს: „ვინცა ნიორი ჰამოს სიმსივნისათვის მწოედ კარგი არის“<sup>3</sup>, „თუ ვინმე წურბელი ჩანთქას ნიორსა ჰამდეს და გამრთელდეს“<sup>4</sup>.

თავზე მღიერის გაჩენის დროს შემდეგნაირად იქცეოდნენ—„მკურნალნი დასპრიდიან ადგილსა მას, რომელსა დაჰხდის თმა, და მერმე დაუზილიან იგი ნიორითა და ძმრითა და მარილითა“<sup>5</sup>.

კბილის ტკივილის დროს ხმარობდნენ ნიორს: „ნიორი დანაყოს და შეკნულსა შემოსდვას. კარგი არის“<sup>6</sup>; გარდა ამისა, კბილის ტკივილის დროს ხმარობდნენ ნივრიან გამოსავლებს.

კუჭნაწლავის დაავადების დროს ხმარობდნენ ნიორს. ბუასილის დროს ნიორისაგან გაკეთებულ მალამოს უსვამდნენ მტკივან ადგილზე. ამასთან, მიაჩნდათ, რომ ნივრის გადაჭარბებით ჰამა იწვევდა „სევდას და ზაფრის მორევას“, თავის ტკივილს და სხვა ავადმყოფურ მოვლენებს.

ამჟამად ნივრის პრეპარატები იხმარება არტერიოსკლეროზის, კოლიტების, ქრონიკული, ამებური დიზენტერიის, ენტერიტების დროს. ნიორს ძლიერი ფიტონციდური თვისებები აქვს.

ნუში — *Миндаля, Amygdalus communis L., Rosaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. გარდა კულტურული ნუშისა (*A. communis L.*), აღმოსავლეთ საქართველოს ჭაბ-ეკლიან ველებზე, ბუჩქნართა შორის, ველურად გვხვდება *Amygdalus georgica Dev* — ქონდარა ნუში.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ნახსენებია ნუში მწარე — *A. communis var amara* და ნუში ტკბილი—*A. communis var dulcis*: „ნუში ორფერია ტკბილია და მწარე, მხურვალი არის და ხმელი... ვინცა დუყსა სისხლსა ამოიტანდეს მას უშველის და ძიძჟსა და ფილტუსა უშველოს, ღვიძლისა და ფილტვისა გზასა გახსნის და მუცლისა ტკივილსა და კოლიჩსა და თირკმელთა ტკივილსა უშველის და რომე საჰმელად არის, საწამლებლად სჯობს.“

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 286.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 327.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 402.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 417.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>6</sup> „წიგნი სააქიმო“, გვ. 136.

ტკბილი ნუში საკმელად ჯობს ვირემ საწამლობლად მხურვალა და ნედლი, პირველსა დარაჯაშიგა და ტანზედა მსუბუქია, მისი ზეთი კარგი და მსუბუქია, უკეთესი ის არის, რომე საკმელად ნელთბილსა წყალშიგა ჩადვა და გაფუჟენა. თუ კაცი მხურვალა იყოს ტაბაშირითა და ქაფურითა კამოს. თუ გუნება გრილი იყოს თაფლითა კამოს, გულსა ფილუტსა, ღვიძლსა, ტყირპსა, თირკმელსა ყველას დასწმენდს და წელშიგა რომე მღერი იყოს მასაცა გასწმენდს, ბუშტისა სიცხესა დააწყენარებს, გვიან გვიან მოიდნობის და მოხალული სკამო სტომაქს დაამაგრებს<sup>1</sup>.

„ტკბილი ნუში მოჰთადილი და შეზავებული არის, ვინცა ნუში წმინდად დანაყოს და თოხლოს კვერცხითა კამოს, გულსა და სტომაქსა დაუღბობს და ხველას უშველის. და მწოედ დაცდილი არის.

ან ვინცა ამავე ნუშის ზეთი, და ან ტყავ გახდილი ნუში კამოს, ხველა და ხმის სიბოხე უშველოს, და კაცსა გაასუქებს“<sup>2</sup>.

მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, თუ რა ფართო სამკურნალო თვისებებს აწერდნენ ნუშს.

სამკურნალოდ იხმარებოდა ნუშის გული, ნუშის გომიზი ანუ წებო. გარდა ამისა ნუშით აწარმოებდნენ საკმლის შეზავებას და კანგაცილილ ნუშს საკმელად აძლევდნენ.

მეტად ფართოდ იყო გამოყენებული ნუშის ზეთი. ამ ზეთით, საკიროების შემთხვევაში, აწარმოებდნენ მტკივნეული ანდა შესივებული ადგილის დაზელას. თავის ტკივილის დროს ურჩევდნენ: „იისა ზეთი და ნუშისა ზეთი ერთმანეთშიგა გაურიოს და ყელსა ზემოთსა თავსა შეიცხოს“<sup>3</sup>. ტვინის ზოგიერთი დაავადების დროს მწარე და ტკბილი ნუშის ზეთიან წამალს ხანგრძლივად უწვეებდნენ ცხვირში. ნუშის ზეთი იხმარებოდა მალამოების შესაზელად. ნუშის ზეთს ხმარობდნენ აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, „თუ ასეთი სატკივარი მოუვიდეს რომე იკრივნეს და პირი ვეღარ ააღრინოს ეცადნით, რომე დანითა ჩაუყოთ და დაუღრინოთ. ვაშლისა შარბათი გაუქენით წყლითა და ცოტა ნუშის ზეთი გაურიეთ და პირშიგა ჩაასხით“<sup>4</sup>.

ხველის დროს აძლევდნენ ნუშის ზეთიან სასმელს და საკმელს: „ქართლის წყალს ნუშის ზეთითა სმიდეს... შემგზარსა აყიროსა ნუშის ზეთითა კამედეს...“<sup>5</sup>

ენის დასივების დროს ვნას ნუშის ზეთით უზღვდნენ. ნათქვამის გარდა, ნუშის ზეთის სამკურნალო თვისებების შესახებ შემდეგ მონაცემებსაც ვხვდებით: „ზეთი ტკბილი ნუშისა კარგი, რბილი და სწორი, ხველასა უშველის. ბუშტისა და გულისა ტკივილს უშველის და შეკვრით იყოს გახსნის და სტომაქს კარგად მოუხდების“.

„ზეთი მწარის ნუშისა უმხურვალე არის ტკბილის ნუშის ზეთსა, სიმწრითა მისითა და ფიცხლად გახსნის ნასკვსა ღვიძლსა და ტყირპისასა და და-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 455, 456.

<sup>2</sup> „ილიგარ დაული“, გვ. 343.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 16.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>5</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 158.

ადნობს შირიმსა თირკმელთა, ბუშტშიცა ჩამოიღებს ფსელსა და წესსა დედა-კაცისასა. და ერგების სნებასა გულისასა სრულსა და საფასა რომე სცხო ზე-დაჲ<sup>1</sup>.

შარდის ბუშტის წყლულის დროს ხმარობდნენ ყურსს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა დანაყილი ნუშის გული და ნუშის გომიზი.

ამჟამად ცნობილია, რომ ნუშის ზეთი არამქროლავ ცხიმს და გლუკოზიდ ამიგდალინს შეიცავს.

საბჭოთა კავშირის ფარმაცოპეიაში შეტანილია ნუშის ზეთი, მწარე და ტკბილი ნუშის თესლი, მწარე ნუშის წყალი.

ონტკოფა — დუდღუბო, Можжуха, *Physalis alkekengi L.*, Solanaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ონტკოფა აგრეთვე ყამბილის, ქაქუნაჯის, ქაქსირის და ღამბილის სახელწოდებით გვხვდება. ონტკოფის შესახებ „იადიგარ დაუღში“ ვკითხულობთ: „ქაქუნა-ჯი და ღამბილი ორივე ონტკოფას ჰქუიან, და ესე ონტკოფა მზურვალი და ხმელია, ვინცა ესე ონტკოფა ჰკამოს, იარაყანისა და ზიყნაფასისათვის მწოდ კარგი არის, და მრავალჯერ დაცდილი და კაცმან რომე ამა ონტკოფასა ფო-თოლი დანაყოს და წვენს გამოხადოს, და ამისი ორი დირჰამის სვას, თუ კაც-სა მუტელშიცა ჰია ასნია, ყველასა დაჰხოსა და კაცსა მწოდ წყურვილსა მოუტლავს, მაგრამ ამისი ძალი ამისივე ფოთოლშიცა არის და ესე ონტკოფა შინაური უნდა იყოს“.<sup>2</sup>

„ყანბილი ვითამცა და ონტკოფაო, თირკმელსა, ბოქვენსა და საზარ-დულსა სამსავე არგებს და დაამაგრებს და ძალასა მისცემს, და თუ თირკმელ-შიცა ტკივილი არის უშველის“.<sup>3</sup>

ონტკოფა გვხვდება აგრეთვე მხედველობის სისუსტის სამკურნალოდ ხმარებული რთული წამლის, გულის დაავადების დროს გულზე დასადები „ვრილი ტლების“ შემადგენლობაში და სხვა. ონტკოფას ნაყოფი შეიცავს ალკალოიდების მეტად მცირე რაოდენობას, 0,1%-მდე მწარე ნივთიერებას, C, 0,6-მდე კაროტინს, C ვიტამინს და ორგანულ მჟავებს. ამჟამად სამკურნა-ლოდ არ იყენებენ.

ოსპი — Чечевича, *Lens culinaris Medic (=L. esculenta Moench, Ervum lens L.)*, Leguminosae-ს ოჯახს მიეკუთვნება. ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ოსპი სხვადასხვა სახელწოდებებით გვხვდება: უსპი, აღსი, ნარ-საქი. „ოსპის სახურეტელს“, ე. ი. თხიერად მომზადებულ საქმელს, ნარსაქები ეწოდებოდა. ოსპის ფოთოლს ანჯურანი, ხოლო ქერქშემოცილი ოსპს ოსპის მუყაშარი ეწოდებოდა. „მუყაშარი—არაბულად გაფცქენილი, გაწმენდილი, კან-შემოცილი“.<sup>4</sup>

ოსპი საქმელ მცენარედ ითვლებოდა, მაგრამ სამკურნალო მიზნითაც იყო გამოყენებული:

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 425.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 391.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 473.

<sup>4</sup> იქვე, ლექსიკონი.

„ესე ოსპი კაცმან ჭამოს სისხლს გააცივებს და დაადუმებს. კაცმან რომე ოსპი ჭამოს კაცსა შეჰკრავს და ოსპი, რომ არა ჭამოს და უოსპოდ ამა ოსპის წყალი ჭამოს, ამისი წვენი კაცსა განხნის, ვინცა ოსპი მოხაროს და ამისი წვენი პირშიც იმგვიბოს ხუნაყი უშველოს და თუ ესე ოსპი წვენიდაღმან გამოიღონ მოზილონ და ხუნაყზედა დაიდვან, ხუნაყი უშველოს.

ამავ რიგად, რომე ოსპი ყელმტკივანსა კაცსა ყელზე დასდვან, ყელის ტკივილსა უშველის“<sup>1</sup>.

ოსპის წამლად ან საკმელად გამუდმებით მიცემა სახიფათოდ იყო მიჩნეული, რადგან ფიქრობდნენ. რომ განუწყვეტლივ მიღების შემთხვევაში მას შეეძლო რაიმე გართულების გამოწვევა. უკეთესად ითვლებოდა კანგაცლილი ოსპი, ე. ი. ოსპის მუყაშირი.

**ობრაბუში — Петрушка, Petroselinum sativum Hoffm Umbeliferae-ს** ოჯახს ეკუთვნის. იგი ველურ ნიახურად ითვლება და ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში მადანოსის, ფატრასალიონის სახელწოდებითაც არის მოხსენებული.

რ. ერისთავს ოხრაბუშისათვის მოყვანილი აქვს შემდეგი სინონიმები: მალდანოზი, მაკიდო, მაკინოლი; ა. მაყაშვილს — ოხროხუში, მაკეოდონი, ღამსო, ღრამსი, კიკამი.

ობრაბუშის თესლს ფატრასალიონი ეწოდებოდა: „ფატრასალიონი—რომელ არს ველური ნიახურის თესლი“<sup>2</sup>.

იგი იხმარებოდა. როგორც შარდმდენი საშუალება.

ობრაბუში გვხვდება თვალის დაავადების დროს: „ვინც კინძი და მადანოსი ორივე ერთად დანაყოს და ამათი წვენი გამოწუროს და თვალშიგა გამოივლოს, შაბქურობა ეშველოს და ღამით კარგად დაინახოს“<sup>3</sup>; „ვინცა კინძი და მადანოსის წვენი და დედაკაცის რძე არიოს და თვალშიგა ჩაიწუროს, ყოველი ფერის თვალის ტკივილი ეშველოს“<sup>4</sup>.

აქედან ჩანს, რომ ძველად ოხრაბუში თვალის დაავადების სამკურნალოდ იხმარებოდა. მიჩნეულია, რომ ოხრაბუშის ნაყოფი ძლიერი შარდმდენი საშუალებაა. ოხრაბუშის ფოთლები შეიცავს 10 მგ% კაროტინს და 0.1% C ვიტამინს. ყვავილობის დასაწყისში მოკრეფილი ოხრაბუშის ესენცია იხმარება ჰომეოპათიაში და სხვ.

ოშინდარი — იხ. აბზინდა.

ოღულ-ოთი — იხ. ბარამბო.

პილთენი — იხ. ულბო.

**პიტნა — Мята, Mentha, Labiatae-ს** ოჯახს ეკუთვნის. ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში გვხვდება პიტნის სხვადასხვა ხახეობები: პიტნა ტყის, პიტნა წყლის.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 164.

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 418.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 290.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 294.

სამედიცინო ხელნაწერებში პიტნის შემდეგი სინონიმები გვხვდება: პიტნა-ნანა, სათარი, ტენცო, თოფალახი, ფუდინა, ფუდინაჯი, აბაკი და სხვ. სხვადასხვა წამლებში იხმარებოდა პიტნის წყალი, წვენი, თესლი და აგრეთვე ნედლი ფოთოლი.

პიტნა შედიოდა სხვადასხვა სახის შემადგენლობის წამლებში, მისგან მზადდებოდა შარაბი, გვარიშნი, ფუხთა, რუბი, იხმარებოდა, როგორც გარეგანი საშუალება ცხვირში სუნის არსებობის შემთხვევაში. „იადიგარ დაუდი“ პიტნის შესახებ ვკითხულობთ: „შინაური პიტნა მხურვალი და ხმელი არის და უფრო მოპთადილი არის. ხილთებიდან მან გასწმენდს, კაცმან რომე ან პიტნა და ან ამისი თესლი ორი დირჰამი დანაყოს და გამოწუროს და ამის წუენი სუას, გულსა და სტომაქსა კარგად მოუხდების და ღვიძლსა მწოედ არგებს და ძალასა მისცემს. ვინცა ესე პიტნა ერბოთა მოხარშოს და ჰამოს, ქარსა და წყალსა კარგად უზამს და წელის ტკივილისათვის მწოედ კარგი არის... გერჩივნოს კაცნან ჰამოს, გერჩივნოს დანაყო, გამოსწურო და სუა, გერჩივნოს დანაყო და ზედ დაიდვა, ყოვლის გუარის სიმსიენისათვის კარგი არის და ყოვლსა სიმსიენისა უშველის და გააქარვებს.

ვინცა ესე პიტნა მოხარშოს, კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, იმას ასუნ მამინვე სისხლის დასწყუეტს და კიდეცა შეჰკრავს. ამა პიტნის წვენი რომე იარაყინანსა კაცსა ასუან. შავისა და ყუითლის იარაყინისათვის ორივესათვის მწოედ კარგი არის. ამა პიტნის წვენითა ქაფური გააყენონ და საქოჩრეს წინათ შუბლზედა დაიდვან, მამინვე ცხვირის სისხლის დენას უშველის.

კაცმან რომე ბროწეულის შარბათი მოადულოს და ეს პიტნაც დანაყოს და შიგა გაუროს და ან ეს შარბათი კაცმან ლოკოს ან სუას, იმა დედაკაცისათვის კარგი არის, რომე დედაკაცსა დედათა წესისაგან მუცელს და წელნი სტკიოდენ, იმას უშველის. პიტნა, რომე ჩრდილშიგა გაახმონ და რძეშიგა ჩააგდონ რსი რძე აღარ შედღედების და აღარცა ყუელად იქნების... მაგრამ თუ კაცი ამ პიტნასა ბევრსა ჰამს, კაცსა თავსა აატკივებს, კბილებსა აწყენს, ფირტუსა აზიანებს, ქარსა აუძრავს, ფხანსა შიაკს და მუნსა გამოასხვას. ამა პიტნამან კაცსა აწყინოს ამის წამალი სტაფილო არის, ჰამს და ეშველებს“<sup>1</sup>.

იქვე ლაპარაკია გარეულ პიტნის თვისებებზე: „...მხურვალე და ხმელი არის, ღვიძლსა და სტომაქსა ორსავე არგებს და ძალსა მისცემს და მწოედ გაამაგრებს კაცსა საკმელსა მოანდომებს გულსა და ფირტუსა ძალსა მისცემს, რწყევასა უკუუგდებს, კაცსა რომე მუცელშიგა კია ესხას. იმას დაჰხოცს. გუამისა და სტომაქიდან მან ბალდამსა და ჰილთებს გააყენებს. ქარსა გააქარვებს, კაცსა შეჰკრავს და თუალთა სინათლესა მატებს, და კაცობასა მუდმივ მოანდომებს და თესლსა ჩაუყენებს“<sup>2</sup>.

დაახლოებით იგივე არის ნათქვამი „უსწორო კარაბადინში“ ნანა პიტნისა და წყლის პიტნის (რომელსაც აგრეთვე ტენცო ეწოდება) შესახებ. ამავე „უსწორო კარაბადინში“ ველურ პიტნის შესახებ წერია, რომ იგი „... ერგების ღრიანკალთა ნაქებნთა და ქვემძრომელთა თუ შეასვას და ზედა დაადვას“. ინტერეს-

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 173.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 174.

მოკლებული არ არის აღენიშნოთ, რომ ძველ საქართველოში საქმაოდ კარგად ერკვეოდნენ პიტნის სხვადასხვა სახეობებში. საერთოდ, სხვადასხვა ავტორების თანახმად, პიტნის სამკურნალოდ გამოყენება ძველ მედიცინაში მეტად ფართოდ იყო გავრცელებული.

პლინიუსის მიხედვით, პიტნა იხმარებოდა მთელი რიგი სნეულებებისა და მათ შორის ნერვული დაავადებების დროს. უკანასკნელ შემთხვევაში სამკურნალოდ ხმარობდნენ პიტნის, მარილით, ძმრით და თაფლით შემზადებულ დასაზღელ წამლებს.

„დიოსკორიდი და შემდგომი დროის ექიმები პიტნას საკვირველ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთთან სრულიად შეუსაბამო იყო... პიტნას ხმარობდნენ კუჭ-ნაწლავის სისუსტის, სპაზმების, პირღებინების, ისტერიული გულყრების, სისხლიანი ფლარათობის და ტიფის დროს დაჯეილობის, შეშუპების, კრუნჩხვების, ტკივილების, ზოგიერთი სიმსივნის და სარძევე ჯირკვლების ანთების დროს როგორც დამამშვიდებელ საშუალებას, ცხელი საფენების სახით. დანაყილ ფოთლებს ადებდნენ კრილობებს სისხლის დენის შესაჩერებლად. ლორწოვან ფლარათობის შემთხვევაში პიტნას აძლევდნენ სასმელად.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ითვლებოდა, რომ პიტნა ხელს უწყობს საკმლის სწრაფად მონელებას. ძმარში მოღულებული კურნავს პირის დაავადებებს, კლავს კიებს და ხელს უწყობს კარგ ძილს. პიტნის ნაღული ბროწეულის წვენში არჩენს ზუნს. გარდა ამისა, ხელს უწყობს რძის მომატებას“<sup>1</sup>.

ა. ო. იაშვილის ნარკვევში „ხალხური მედიცინა ამიერკავკასიაში“ აღნიშნულია, რომ ძველად ტენცოს, ე. ი. წყლის პიტნის ნაყენი იხმარებოდა სოკოთი მოწამვლის ან გველის ნაკბენის სამკურნალოდ.

ნათქვამიდან აშკარაა, რომ პიტნის სხვადასხვა სახეებს, ფართოდ იყენებდნენ ძველ ქართულ მედიცინაში.

თანამედროვე მედიცინაში იხმარება როგორც ბალის, ისე გარეთლად მოზარდი პიტნა. აღსანიშნავია, რომ პიტნის ფოთლი შეიცავს ეთეროვან ზეთს, რომელიც ფართოდ იხმარებოდა ქიმიურ-ფარმაცევტულ წარმოებაში. ეთეროვანი ზეთი შეიცავს მენტოლს. გარდა ამისა, პიტნა შეიცავს ცხიმში ხსნად A ვიტამინს. პიტნა თანამედროვე საბჭოთა ფარმაცოპიაში შეტანილია.

პრასა — Лук порей, *Ailium porrum* L. *Liliaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება აგრეთვე მისი შემდეგი სახელწოდებები: ქურათი, ქურთი, ქარსა, ქორათი, განდანა. ხოლო პრასის თესლს ეახნი ეწოდებოდა; ვხვდებით განმარტებებს: „ეახნი პრასის თესლსა ჰქვიან“, „ქარსა და განდანა პრასა არის“, „განდანა, რომელ ქვიან პრასი“. პრასა გვხვდება როგორც გარეგანად, ისე შინაგანად სახმარ საშუალებად. გვხვდება პრასის წვენი, თესლი, წყალი, აბი. აღსანიშნავია, რომ თავის ტკივილის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ითვლებოდა პრასის, ხახვის ან ნიორის გადაჭარბებით კვამა: „... რაი შიგნით იყოს საკმადთაგან იქნების რომელ დია ეკამოს ხახვი, ნიორი და განდანაი“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Умьков, „Растения, ягоды, овощи, злаки и пряности“, გვ. 183.

<sup>2</sup> „წიგნი საქიმო“, გვ. 59.



პრასის თესლი იხმარებოდა დაზიანებული კბილის მკურნალობისათვის: „თუ შეკმულსა შიგან კია იყოს, პრასის თესლი და ლემისა თესლი, რომელსა ბანგი ჰქვიან დანაყოს და ცვილითა შეზილოს და კბილის ქვეშეთ იკმოლოს...“<sup>1</sup> მენსიერების დაქვეითების შემთხვევაში სამკურნალო მიზნით პრასაც იხმარებოდა.

რაზიანა — იხ. კამა.

რახინა — იხ. კულმუხო.

რევანდი — Ревень, *Rheum palmatum*, *Rhei chinensis* — ჩინური რევანდი, ანუ რევანდი ჩინი, *Poligonaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში იგი შემდეგი სახელწოდებებითაც გვხვდება: ერვინდი, უშხუნი. უშხუნს ტყემალსაც უწოდებდნენ. სამკურნალოდ იხმარებოდა რევანდის შარაბი, ყურსი. რევანდის ფესვი იხმარებოდა საფლარათო და სასაქმებელ საშუალებად. ღვიძლის და ფილტვების დაავადების და თავის ტკივილის დროს ავადმყოფს ეძლეოდა რევანდის შარაბით ან წყალში დამბალი რევანდის წვენი. ამის გარდა, დამბალი რევანდის წვენი იხმარებოდა როგორც გარეგანი საშუალება მუწუყებზე და სხვადასხვა სახის გამონაყარზე წასასმელად.

რევანდი სინი, ანუ ჩინი გვხვდება შარდმდენ და თირკმლის ქვის სამკურნალოდ ხმარებულ მაჭუნში, წყალმანკის წინააღმდეგ ხმარებულ „მარცვლის“ შემადგენლობაში. რევანდის მაჭუნი იხმარებოდა „დაძველებულ სატიკიარის“ დროს—ნიშანი რევანდისა მაჭუნისა სხვისა ერგების ჩამოვარდნილსა მალლითა ადგილთა რომე ტკივილი დარჩომილი იყოს ტანსშიგან, გრქელთა ჟამთა ვერ ეკურნოს, და ვისთან იყოს ტკივილი ტყირპისა და დაყოფილობა ღვიძლისა“<sup>2</sup>.

ამჟამად რევანდი ითვლება სამკურნალო მცენარედ.

მედიცინაში იხმარება მისი ფესვურა და ფესვი. რევანდი შეიცავს ანტრაგლუკოზიდებს და ტანოგლუკოზიდებს. პირველს ეკუთვნის რეინი, რომელზედაც დამოკიდებულია რევანდის საფლარათო მოქმედება. ტანოგლუკოზიდებო მთრიმლაფია, შემკვრელია და ამავე დროს იხმარება საკმლის მონელების გაუმჯობესების მიზნით.

ჰომეოპათიაში რევანდი იხმარება კუქ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს.

საბჭოთა კავშირის ფარმაკოპეაში შეტანილია. იხმარება რევანდის ფესვურა, ფხენილი, გამონაწვლილი და ნაყენი.

რევასი, რევაჯი — იხ. ღვალო.

რიბეზ — იხ. მოცხარი.

რეპანი — Базилик. *Ocimum basilicum* L. *Labiatae*-ს ოჯახს ეკუთვნის. მას კიდევ შაშველამს უწოდებენ. სამედიცინო წყაროებში იგი მოხსენებულია აგრეთვე ჰარიობის და ჰრილობის სახელწოდებით. „იადიგარ დაუღში“ ცხვდებით განმარტებას: „ჰრილბ, რეპანი“. რეპანი გამოყენებული იყო თვალის სნეულების მკურნალობისათვის: „...აგრეთვე ჰარიობი მხურვალე არის, ვი-

<sup>1</sup> „წიგნი სააქიოი“, გვ. 136.

<sup>2</sup> „უწიგრო კარაბადინი“, გვ. 82.

თამცა და რეჰანიო ვინცა ესე ჰარიობი დანაყოს და გაცრას. და ვარდის წყალში-  
გა ამოსურის და ამის წვენი უაცსა თვალშიგა ჩააწუროს, მწოედ კაი არის  
თეთრს გაუქარებებს და სინათლეს მისცემს“.<sup>1</sup> სამკურნალოდ იხმარებოდა აგ-  
რეთვე რეჰანიის თესლი და წყალი. ეს მცენარე კეთილსურნელოვან მცენარეებს  
ეკუთვნის და ამის გამო ხშირად გამოყენებული იყო ახლად გამოჩანსაღებული  
ადამიანისათვის სასუნებლად.

ფიქრობდნენ აგრეთვე, რომ რეჰანიის წასმა ხელს უწყობდა თმის ზრდას:  
„ვინცა რეჰანი დანაყოს და ახლის ერბოთი მოხარშოს და თავზედა შეიცხოს,  
თმა გაუვრძელოს“<sup>2</sup>.

რეჰანიის თესლი გვხვდება ექვ-ნაწლავის დაავადების სამკურნალო წამ-  
ლების შემადგენლობაში. იგი შედიოდა ე. წ. სუნანის შემადგენლობაში, რო-  
ნელიც წარმოადგენდა სურნელოვან წასასმელ წამალს და იხმარებოდა კბი-  
ლების და ღრძილების გამოსაწმენდად.

ახლა ეს მცენარე სამკურნალოდ არ იხმარება.

რძიანა — Молочай, Euphorbia, Euphorbiaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ქველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში რძიანას გვარის სახეობები  
ეიღვე შემდეგი სახელწოდებებით გვხვდება: ფარფიონი, აფარბიონი, მაზარიო-  
ნი, ფარბიონი, შუბრემი. ამ უკანასკნელის შესახებ ვკითხულობთ: „შუბრემი,  
რომელ არს სძე ნარი, მაზარიონისავე ბუნებითა არს და რგებითა. და არს მავ-  
ნებელი უფრო, ვირემ სარგებელი, და ძირი სჯობს სძესა“<sup>3</sup>.

სამკურნალოდ იხმარებოდა ამ მცენარის რძე:

„რძიანას რძე-მხურვალი და ხმელი არის, კაცისა ასოსა და ტანიდალმან  
ბალდამსა და ქარსა ვასწმენდს და გააქარვებს და ამა რძიანას რძე, რომ კაც-  
მან ხუთის მუხუდოს წონა სუას და ან კამოს, მაშინვე სისხის სენსა უშვე-  
ლის, და კაცის ტანიდალმან ყუთიელსა წყალსა და წალასა გასწმენდს“<sup>4</sup>.

რძიანა იხმარებოდა შაკიკის დროს როგორც გარეგანი საშუალება: „მოი-  
ტანე ცოტა ფარფიონი და ან ვარდის ერბოთა და ან ვარდის წყლითა გააყენეთ  
და ამა თავმტკივანსა კაცსა პირველ თავი მოპარსეთ და მერძე სრულად თავ-  
ზედა ეს წამალი შემოსცხეთ და უსათუოდ თავის ტკივილსა უშველის“<sup>5</sup>.

სახსრების ტკივილის დროს ხმარობდნენ ფარფიონის ზეთს: „საცა სტკიო-  
დეს... ფარფიონის ერბო გაათბონ და თბილ მტკივანსა ალაგსა შესცხონ“.

რძიანა შედიოდა ე. წ. ჭალინოზის იარაჯის შემადგენლობაში, რომელსაც:  
აძლეუდნენ კრუნჩხვების და დამბლების დროს. რძიანა აგრეთვე შედიოდა  
რთული წამლის შემადგენლობაში, რომელსაც ხმარობდნენ მთელ რიგ ქრონი-  
კულ სნეულებების დროს.

რძიანას რძე შეიცავს შხამიან ნივთიერებას, სახელდობრ ეუფორბინს.  
ამის გამო ეს მცენარე შხამიანად ითვლება. მედიცინაში იხმარება როგორც გა-  
რეგანი საშუალება. ხოლო ზოგიერთი სახეობების თესლი შეიცავს ზეთს, რო-  
მელიც საფალარათო დანიშნულებით იხმარება.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 289.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 522.

<sup>3</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 40E.

<sup>4</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 161.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 242.

საბზი — იხ. კანფი.

საბრი — ალოე, Aloe, Сабура, Aloe, Liliaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება. მას აზუა, უდი ან ჰუდი ეწოდება, მაგრამ ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში უფრო ხშირად საბრი გვხვდება. ალბათ სახესხვაობის გასარჩევად ანდა იმის აღსანიშნავად, თუ საიდან არის მოტანილი საბრის ესა თუ ის სახეობა, გვხვდება: საბრი კრიტაული, საბრი ყუთარი—ყუთელი საბრი, საბრი უსყუთარი. სამკურნალოდ ხმარობდნენ საბრის ძირს, ფოთოლს, საბრის ჰაბს. გვხვდება მისი შარბათი, მაჭუნი, მუკლი, ანუ საბრის ფისი. ალოეს შარბათის შესახებ წერდნენ: „უდის შარბათის ხასიათი მხურვალი და ხმელი არის. გულსა და სტომაქსა ძალსა მისცემს კაცსა საქმელს მოაქარებებს, კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს მაშინვე შეჰკრავს, მეტადრე მაშინ რომე ესე უდის შარბათა ბიის წვენითა გაულესონ ხაფაყანისათვის და გრილისა სისხისათვის ორსავისათვის მწოედ კარგი არის“<sup>1</sup>.

ანდა: „საბრი უსყური აწე ამა საბრსა ზოგნი აზევის ეძახიან ესე საბრი ორი რიგ არის შავი და ყუთიელი. მეორეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, ყოველს გრილსა ბალდმისა და სევდისა სენსა არგებს და კარგად მოუხდების კაცის ტანიდამან ქარს დალეწს და გააგდებს... კაცსა რომე ქარისა და სიცვისაგან სახსრები სტეიოდეს და ერთი ღირაჰში ესე საბრი კაცმან დანაყოს და ან მშრალად ჰკამოს და ან თავლშიგა აურიოს და უზმომან ისრე ჰკამოს მაშინვე კაცსა გახსნის, ქარს გაუგდებს და სახსრის და ძულის ტკივილს უშველის. მაგრამ შეესა საბრსა, ყუთიელი საბრი ჯობს“<sup>2</sup>.

გარდა ამისა, საბრი თავის ტკივილის დასაყუჩებლადაც იხმარებოდა: „ვინცა ესე საბრი ძმრითა და ვარდის ერბოთა გააყენონ და მტკივანსა თავზედა შემოსდვან, თავის ტკივილი ეშველოს“<sup>3</sup>.

საბრს ხმარობდნენ თმის გაცვენის შესაჩერებლად: „ვინცა ესე საბრი დანაყოს და ღვინითა გააყენოს და წვერსა თმაზედა შეიცხოს, თმის გაცვენასა მოარჩენს“<sup>4</sup>.

საბრის მცირე ღიბები ითვლებოდა ამგზნებ, მადის მომგვრელ და საკმლის მონელების გამაუმჯობესებელ საშუალებად; დიდ ღიბებს საფალარათო დანიშნულებით აძლევენ. საბრის წვენი იხმარებოდა როგორც გარეგანი საშუალება კრილობების სამკურნალოდ, ხოლო როგორც შინაგანი—ფილტვების დაავადების დროს.

ალოეს გაშენებას საბჭოთა კავშირში დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ალოეს ფოთლების წვენის მიღება დაწესების გზით ხდება. ალოე შეიცავს ანტრაქლუკოზიდებს, რომელთა ნარევეს ალოინი ეწოდება. ალოეს პრეპარატები იხმარება საფალარათოდ. ფოთლების გამონაწელილს ამზადებენ ამპულაში და იხმარება კანქვეშ თვალის და მთელ რიგ სხვა დაავადებათა დროს.

უკანასკნელ ხანებში სსრკ სამკურნალო მცენარეთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ ალოესგან მიღებულა ორი პრეპარატი: „ფეროლოე“, რომლითაც სისხლნაკლებობის მკურნალობის დროს კარგი

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“. გვ. 595.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 217.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 280.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 522.

ეფექტი იქნა მიღებული, და „ალოეს წვენი“, რომელიც ჩირქოვანი კრილობების და სურაევანდის სამკურნალოდ იხმარება.

სადაჯი — იხ. კანაფი.

სადაფი — იხ. ტევანი.

საზამთრო — Арбуз, *Citrullus schrad.* Cucurbitaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

სამკურნალოდ იხმარებოდა თესლი, ქერქი, წყალი, მურაბა. საზამთრო გამაგრილებელ ხილად ითვლებოდა, მას უნიშნავდნენ წყურვილის მოსაკლავად, ამავე მიზნით ეძლეოდა ავადმყოფებს საზამთროს, გოგრის, კიტრის თესლის გულებიდან მიღებული სითხე.

ცხვირიდან სისხლის დენის დროს საზამთროს ქერქს შუბლზე ადებდნენ ავადმყოფს.

წურბლების მოკიდების შემთხვევაში ავადმყოფს ურჩევდნენ, რომ მას, ამის შემდეგ არ ეკამა საზამთრო.

საზამთრო თანამედროვე მედიცინაში არ იხმარება.

სათარი — იხ. მლოგვი.

საკმელა — Ладанник, *Cistus* Cistaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება საკმელი, საკუმელი, საკმელი, თეთრი. იგი წარმოადგენს აღნიშნული მცენარის ფისს, რომელიც იხმარებოდა სამკურნალოდ. გარდა ამისა, ვხვდებით კეცს, საკმლის ხის ქერქს.

საკმელი იხმარებოდა ცხვირიდან სისხლის დენის შესაჩერებლად. დანაყილ საკმელში ამოვლებდნენ აბლაბუდას, რომელიც დასველებული იყო გუნდის მელანში და გამოუტენავდნენ ცხვირს ავადმყოფს. სხვადასხვაგვარი „სისხის“ დროს ავადმყოფს საღებავად საკმელს აძლევენ.

სურდოს დროს თეთრ საკმელს ცეცხლზე დააკმევდნენ და ავადმყოფს ასუნებინებდნენ.

თეთრი საკმელი შედიოდა მეტად ჩვილი ბავშვებისათვის ხმარებული გამსხნელი პატრუქების შემადგენლობაში.

კანის დაავადების მკურნალობის დროს ვხვდებით დასაზღვრ წამალს, რომელშიც შედიოდა თეთრი საკმელი. ე. წ. „მელის და გუელის“ დაავადების შემთხვევები თეთრი საკმელს წვავდნენ, შემდეგ ხსნიდნენ ღვინოში და დაავადებულ ადგილზე ადებდნენ.

ამჟამად ამ მცენარეს სამკურნალოდ არ იყენებენ.

საკორწულიე — იხ. გვირილა.

საკპინაჰი — Аккафенуца, *Ferula assafoedita* L. Umbeliferae-ს ოჯახს ეკუთვნის. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში ეს მცენარე შემოჰქონდათ. იგი იზრდება უდაბნოების ზონაში შუა აზიაში, აჯრეთვე ავღანეთში და ირანში. ამ მცენარისაგან მიიღება მყრალი სუნის მქონე ფისი. *Ferula*-ს გვარის სხვადასხვა სახეობები ქალბანა და საგაპენი იძლევიან მეტად მსგავს, თითქმის ერთნაირი თვისებების მქონე გუმფისს. ჩანს, რომ სხვადასხვა სახეობებიდან მიღებულ გუმფისს ხშირად ერთმანეთში აგიჟებდნენ.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში *Ferula*-ს გვარის ეს სახეობები შემდეგი სახელწოდებებით არის წარმოდგენილი: საგბინაჰი, საქმინაჰი, საქბენაჰი ქალთითი, უჰანი, ალთისა, ანგუჟატი, ბურიზანდი, ბარაზიდი ქალბანა, ყასნი, ზოგიერთ ხელნაწერში გვხვდება განმარტებები: „უჰანი რომელსა კჟუიან

სპარსულად ანგუჟადი ან არაბულად ჰალთითი<sup>1</sup>, „უპანი რომელსა ჰქუიან ბურიზადი“<sup>2</sup>, „ყასინი-ქალბანა“<sup>3</sup>, „საქბინაჯი გომიზია და ქალბანასა უძახიან“<sup>4</sup>, „ანგუჟატი, რომე ქალბანა არის“<sup>5</sup>, გვხვდება გამოთქმა „უპანი მყრალი“.

საქბინაჯის შესახებ ნათქვამია: „...ერგების ქართა სტომაქისათა და საშოთა და შეალობს მუცელსა და შემოგარეთა ადგილთა და ქუემოსა მუცელსა და ერგების ზურგის ტკივილსა და კოლინჯისა და მუხლსა...“<sup>6</sup>

უპანის შესახებ იქვე ვკითხულობთ: „ერგების ქართა სტომაქისასა და დუბელსა, რომელსა მუცელსა შინა იყოს და ერგების ქარსა ბავსარისასა და შეალობს მუცელსა...“<sup>6</sup>.

ეს მკურნარე იხმარებოდა აგრეთვე ნერეული დაავადების დროს: „ჰალთითი მალიხულიისა სენსა მწოდე არგებს“<sup>7</sup>.

უპანი შედიოდა იმ რთული წამლების შემადგენლობაში, რომლებსაც დამბლის დროს ხმარობდნენ.

უპანი გვხვდება დაზიანებული კბილის სამკურნალოდ ხმარებულ ტლეს შემადგენლობაში. ზორხის ტკივილის დროს ავადმყოფს უპანის მაჭუნი ეძლეოდა სასმელად. გველის ნაკვების სამკურნალოდ იხმარებოდა უპანი ნიორთან ერთად.

ქალბანი გვხვდება ყურის და თვალის ტკივილის დროს ხმარებულ წამლის შემადგენლობაში: „მმარშიგა გაადნას ტლედ ქნას და დაიდოს“<sup>8</sup>.

საკბინაჯი შედიოდა წყალმანკის საწინააღმდეგო „მარკულის“ შემადგენლობაში, ვარდა ამისა, ურჩევდნენ, რომ „თუ ნაყვავილარი დააჩნდეს, ანგუჟატი, რომე ქალბანი არის ბორეგრმანი დანაყე და მმრითა გაქენ და პირზედა შემოსდეც და მოეწმინდოს“<sup>9</sup>.

ამჟამად ცნობილია, რომ საქბინაჯი შეიცავს ფისს და ეთეროვან ზეთს, იგი ფართოდაა გამოყენებული და მედიცინაშიც იხმარება. ფისი შიილება მცენარის ფესვებიდან. მის ნაყენს და ემულსიას უმთავრესად ისტერიით დაავადებულ ავადმყოფებს უნიშნავენ. ამ მცენარეს აგრეთვე ამოსახველებელ საშუალებად ხმარობენ. ერთ-ერთი სახის ფისი — გალბანი შედის სხვადასხვა გამაღიზიანებელი საღებულების შემადგენლობაში.

ხალაბი — სალბი, *Шалфей Saivia officinalis, Salvia glutinosae L., Salvia pratensis L.* Labiatae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება სახელწოდება ხოსიათულ-სალაბ. ამ სახელწოდების განმარტება მოცემულია ხელნაწერ ლექსიკონებში: „ხოსიათუსსალაბ — სალაბი ანუ გულფილტვა“<sup>10</sup>.

<sup>1</sup> „წიგნი სააქაში“, გვ. 88.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 234.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 659.

<sup>4</sup> ხელნაწერი Q 877, დაცულია აკად. ს. ჯანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

<sup>5</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 410.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 411.

<sup>7</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 276.

<sup>8</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 66.

<sup>9</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 400.

<sup>10</sup> ხელნაწერი ლექსიკონი H<sup>31</sup>/<sub>2</sub>, დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.

სალაბი გვხვდება თავის ტყვილის სამკურნალოდ. წამალს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა აღნიშნული მცენარე, ქაფური, მუშკი და ამბარი, ზედდნენ ერბოთი და ავადმყოფს უსევამდნენ სახეზე.

როლოვის მიხედვით, ამ გვარის მცენარეები მედიცინაში იხმარებოდა გულის, ფილტვების დაავადების, აგრეთვე თირკმლებში კენჭების არსებობის შემთხვევაში. მცენარის მწვანე ნაწილების ნახარში იხმარებოდა სასმელად გაციების წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, ეს მცენარე გულისა და ფილტვების დაავადების სამკურნალოდ იხმარებოდა, ამიტომ შესაძლებელია სალაბს სწორედ ამის გამო გულ-ფილტვასაც უწოდებდნენ.

უფრო მართებული იქნება, რომ აღნიშნულ მცენარეს სალაბის მაგიერ გულფილტვა ვუწოდოთ.

თანამედროვე მედიცინაში სააფთიაქო სალაბის ნახარში ყელის და პირის განოსავლებლად იხმარება, ეს ნახარში შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს და ამიტომ იგი გამოსავლებად და შემკვრელად იხმარება. თანამედროვე საბჭოთა სახელმწიფო ფარმაცოპეაში სალაბი შეტანილია.

სალათა — Салат, Латык, Lactuca sativa L. Compositae-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ღველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში სალათა შემდეგი სახელწოდებებითაც გვხვდება: ვენახის ღიჟა, ყრდელი, მარული, მარვალი, ქაპოი, ხაზბი. ზორფარასტი. ხაზანი. სალათას თესლს ხეარტი ეწოდებოდა. სალათას ხმარობდნენ საკმელად და სამკურნალოდ. მკურნალობისათვის იხმარებოდა მცენარის თესლი, წყალი. სალათას თესლს ხმარობდნენ თავის ტყვილის საწინააღმდეგოდ: „ვინცა სალათას თესლი დანაყოს და ძმრითა გააყენოს და თავზედა შემოიციხოს, თავის ტყვილი ეშველოს. მეტადრე მაშინ რომე თავი სიგრილისაგან სტკიოდეს“<sup>1</sup>. მეორე ადგილს ვკითხულობთ: „...სალათას თესლი ვითამცა და ხეარტით ესე სალათა გრილი და ნედლი არის, სისხლს დასწავეს და საფრას გააქარებეს. ესე სალათას თესლი და ან სალათა რომე კაცმან სჩქანჯუბინითა ჭამოს და ან უსუნოს, კაცსა ტკბილსა ძილსა მოგურის. სურავანდისათვის, დამალისათვის და ან სიხმისაგან რომე კაცსა ახუელეზდეს, ამავებისათვის ყუელასათვის მწოედ კარგი არის.

კაცსა რომე ან სისხლისა და საფრისა და ან სხვის სიმხურვალისაგან თავი სტკიოდეს, მოიტანე სალათა, დანაყე ძმრით გააყენე და თავმტკივანს კაცსა სრულად თავზე შესცხონ, თავის ტყვილსა უშველის. ვინცა ესე სალათა პირველ თავს ქუეშე ამოიდვას, მერმე დანაყოს და ამისა წვენითა ხელი და პირი დაიბანოს, კარგად მოისვენოს და ტკბილად დაიძინოს.

ვისცა სული უგუზბდებოდეს და ესე სალათა ჭამოს, სულის გუბება გაეხსნას ვისცა აემან წყალმან აწყინოს და ან წყალმან კაცი თუცხოვოს, მისთვის მწოედ კარგი არის და უშველის.

კაცმან, რომე ესე სალათა მარილითა და ძმრითა ჭამოს. თავის ტყვილს უშველის და სურავანდისათვის მწოედ კარგი და მარგე არის.

ყურმტკივანმა კაცმან, რომე ყურშიგა ჩაიწუროს, ყურის ტყვილს უშველის. ვინცა სალათა ჭამოს, იმ დღე ღამეს ეშმაკმა აღარ დასცეს.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 280.

ვინცა ღვინოზე ესე სალათა ჰამოს ღვინო აღარ მოეკიდოს. კაცსა რომე, სიმბურვალისაგან და სიხმისაგან თუალნი სტკიოდეს და ამის წვენი თუალში-  
გა გამოივლოს თუალის ტკივილი უშველოს.

კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს, მუცელშიგა შეჰკრავს, მეტადრე მა-  
შინ რომე ესე სალათა ძმრითა ჰამონ. მაგრამ თუ კაცი ბევრ სალათასა სჰამს,  
ჰაცობას მოაკლებს, თესლს გაუხმობს, ქარიანსა სენებსა აუშლის, თულთა  
დაუბნელებს. და თუ ამა სალათასა კაცი გარცხის და ისე სჰამს, ქარი ბევრი-  
ეჰნებს და თუ წყალსა არ უჩვენებთ და ისე სჰამოთ, ქარი და წყალი ცოტა  
ეჰნების და კაცი ფიცხლადა მოიღნობს. და თუ კაცსა ამა სალათამან აწყინოს  
ამის წამალი და გამჟარვებელი პიტნა და ნიახური არის<sup>1</sup>.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ სალათას სხვადასხვა დაავადების დროს  
იყენებდნენ უმთავრესად კი ხმარობდნენ ტკივილების დამაყუჩებელ და ძი-  
ლის მომგვრელ საშუალებად. ამჟამად სალათას სხვადასხვა სახეობებიდან  
*L. altissima* გამოიყენება ნევთიერება ლაქტუკარის მისაღებად, რომელიც ამ  
ნცენარის რძე-წვეს წარმოადგენს. *L. sativa* ითვლება C ვიტამინის შემ-  
ცველ მცენარედ. მისი ფოთლები 12 მგ% კაროტინს, 0,1% ასკორბინის მჟავას  
და აგრეთვე E ვიტამინს შეიცავენ. სალათას ხმარობენ ჰომეოპათიანი.

სალიხა — Сапеп, ამ სახელწოდებით აღნიშნავდნენ ჯადვარის ტუბერებს.  
ჯადვარი—Ятрышник, Кукушкины слезы, Orchis, Orchidaceae-ს ოჯახს  
ეკუთვნის. ჯადვარი ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ჯადვალის  
სახელით არის მოხსენებული. როგორც ჩანს, სამკურნალოდ იხმარებოდა თვით-  
მკენარე და მისი გამსხვილებული ტუბერისებრი ფესვი, რომელსაც სალიხა  
ეწოდება. გვხვდება აგრეთვე შავი სალიხა.

სალიხა შედიოდა მაჭუნის შემადგენლობაში, რომელიც მეტად მრავალ-  
მხრივ მოქმედ სამკურნალო საშუალებად მიაჩნდათ.

უფრო ხშირად სალიხა იხმარებოდა თირკმლების, ქალურ და ნერვულ-  
დაავადებათ დროს: „სალიხა მესამე წილშიგა მხურვალი და ხმელი არის თირ-  
კმელთა და შირიმის სენსა მწოედ არგებს. დედაკაცსა, რომე დედათა წესი შე-  
ხუთული ჰქონდეს, ღედათა წესს მაშინვე ჩამოუშლის, და ყოვლისა ბალღმისა  
ღ-სევედის სენსა არგებს, კაცსა რომე სიგრილითა სისხა შეექნას მისთვის კარ-  
გი არის“. ანდა: „სალიხა მხურვალი არს და ხმელი და გამოიღებს ნოტიობასა  
თავისაგან და დაადნობს გაყინულთა ვნებათა ტანსა შიგან და გაიყვანებს და-  
ყენებულსა სისხლსა საშოსაგან“<sup>2</sup>.

ა. ო. იაშვილის მიხედვით, სალიხას ნახარშს რძეში ბავშვებს აძლევდნენ  
ხველის და ფაღარათის წინააღმდეგ.

ამჟამად ორქიდებს დეკორატიული დანიშნულების გარდა, სამკურნალო მიზ-  
ნითაც იყენებენ. მედიცინაში იხმარება სალიხა, რომელიც მიიღება *Orchis*  
*mascula*, *O. morie*, *O. militaris* და აგრეთვე *O. latifolia* და *O. maculata*-დან.  
დაშვებულია სალიხას მიღება ორქიდებთან ახლოს მდგომი მცენარეებიდან.  
სალიხა შეტანილია სსრ კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეაში.

სანდალი — სანდალოზი, Сандальное дерево, Santaium.

<sup>1</sup> „ილიჯარ დაუდი“, გვ. 176, 177.

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 409.

გვხვდება თეთრი და წითელი სანდალო, რომლებიც Santalaceae-ს ოჯახს ეკუთვნიან, იზრდება ოსტინდოეთში და მალაის კუნძულებზე.

არსებობს აგრეთვე წითელი სანდალის ხე *Pterocarpus santalinus* L.. რომელიც Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის. იგი იზრდება ცეილონზე, მისგან მიიღება წითელი სანდალი.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში მოხსენებული სანდალი შესაძლებელია ერთსა და მეორე სახეობასაც გულისხმობდეს.

სამკურნალოდ იხმარებოდა სანდალის შარბათი, წყალი, შარაბი, მის შესახებ წერდნენ, რომ „სანდალი წითელი და თეთრი ორივე გრილია და ხმელნი, და შემლობდენი სიმსივნისანი, და ერგების ჰუმრასა, რომელ ხორცთა დააჩნდეს და ვითა დრამა წითელი გადასწყუეტს სისხლსა. და თეთრი სანდალი უფიცხლე ერგების“<sup>1</sup>.

შესივებულ ადგილზე ადებდნენ წითელ სანდალს: „წითელი სანდალი და ზაფრანა ნედლისა ჭინძისა წვენითა გალესე და შემოსდევე, ტკივილი დააწყნაროს“<sup>2</sup>. სხვა ადგილას ნათქვამია, რომ „სანდალი წითელი მხურვალთა ცოტად, ღიდი სისხლკორძა რომე ებას მას უშველის და დიდი სიმსივნეს უშველის“<sup>3</sup>.

„თუ ტანსა და მახასა ზედა ნამეტნავად ცხლად იყოს და გულიცა უსუსტლედბოდეს, მას სანდლის შარბათი შეუწყევით“<sup>4</sup>.

სანდალის შარბათს შემდეგ თვისებებს მიაწერდნენ: „...კაცსა რომე ღვიძლი სტკიოდეს და ან მჯდომისა და ღვიძლისაგან ნაწყენად იყოს, ან კაცსა სურავანდი გულსა და სტომაქშიგა ჩამოუვიდეს და ესე სანდალის შარბათი ასეა მჯდომსა და ღვიძლსა ორსავე უშველის, იარაყანსა და სურავანდსა ორსავე არგებს. კაცსა რომე ღვინისაგან ღვიძლი და ან ფირტვი სტკიოდეს და დაკოდითა ჰქონდეს, ღვიძლსა და ფირტუსა ორსავე გაუმთელებს.

კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან გული და ღვიძლი ვწოდეს, იმას ორსავე უშველის და გულის და ღვიძლის წვასა გაუგდებს და სიცხესა და სიმხურვალესა დაეხებს. კაცი რომე მწოედ მუცელშიგა გახსნით იყოს, მუცელშიგა შეჰკრავს, კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს, ამას უშველის.

კაცსა რომე მწოვედ რწყევა აუვარდეს და ესე შარბათი სვას, რწყევასა და წყურვილსა ორსავე უკუუგდებს, რწყევასა დაუჰკრას და გულს მოუხსვენებს და მოუგრილებს. კაცსა რომე ვარამი სკირდეს და ან შიგნით და ან გარეთ სივდეს და ესე სანდლის შარბათი ასეა, მწოედ კარგად უზამს.

კაცსა რომე სიმხურვალისაგან სისხა სკირდეს და კიდეცა სივდეს და ან მეტის სისუსტისაგან კაცსა გული უფეთქდეს და უთრთოდეს, მისთვის მწოედ კარგი არის, და ყოვლის მხურვალის სენისათვის კაი და მარგე წამალი არის“<sup>5</sup>. ზემოთ მოტანილიდან ჩანს, რომ სანდლის შარბათი მეტად მრავალმხრივ მოქმედ სამუქალეზად მიაჩნდათ.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 411.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 401.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 467.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 322.

<sup>5</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 595.



ამჟამად ცნობილია, რომ სანდალი ეთერზეთოვან მცენარეებს ეკუთვნის. ცნობილია ოსტ-ინდოეთის სანდალის ზეთი, რომელშიც შედის სანტალაოლი, ამ უკანასკნელს სუსტი ანტისეპტიკური თვისებები აქვს, მისი გამოყოფა სდება თირკმლების საშუალებით. ამჟამად მისი სამკურნალოდ ხმარება მეტად შეზღუდულია. მისი ერთ-ერთი სახეობა — *Santalum cygnorum* — იზრდება ავსტრალიაში და მისგან მიიღება ავსტრალიური სანდალის ზეთი.

სარო — კვიპაროზი, *Cupressus sempervirens* L. var. *pyramidalis* Targ-Tozz მას გუნდის ხესაც უწოდებენ, *Curpessineae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ეს მცენარე მოხსენებულია აგრეთვე კიპარისის, სარვის და საღვის სახელწოდებებით, ხოლო ამ ხის ნაყოფს. როგორც ჩანს, ყოზალახს უწოდებდნენ.

სამკურნალოდ გვხვდება მისი თესლი და „ნიგოზი“. იგი შედიოდა რთული წამლის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა ე. წ. „გუამის სისუსტის“ დროს.

კიპარისს იყენებდნენ დაკოდილის მკურნალობისათვის. ბროწეულის ქერქთან და მწვანე გუნდასთან ერთად ამზადებდნენ ფხვნილს და აყრიდნენ მას დაკოდილ ადგილზე, უმთავრესად სისხლის შეწყვეტის მიზნით. კიპარისი გვხვდება აგრეთვე საქთის სამკურნალო მაჭუნის შემადგენლობაში.

ღვიძლის ტივილის დროს სიყვითლის შემთხვევაში ურჩევდნენ: „აილე ნიგოზი საროსა ორი დრამი და სალიხა გამორჩეული — დრამის წონა, დანაყე და შეასუი ღუინითა ძუელითა. და მერმე უბრძანე შეკვრა, ვიდრე ოფლი გამოვიდეს და ფსას გოინი“<sup>1</sup>.

ა. ო. იაშვილის მიხედვით საროს, ანუ კიპარისის ნაყოფისაგან მზადდებოდა მალამო, რომელიც იხმარებოდა დაეყვილი და დაშავებული ადგილის სამკურნალოდ.

თანამედროვე მედიცინაში კიპარისი გამოყენებული არ არის.

სასლიონი — იხ. ნიახური.

სატაცური — *Спаржа*, *Asparagus officinalis*, *Liliaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

სატაცურს აგრეთვე ალიონსაც უწოდებდნენ. სატაცურის თესლს მარჩობაი ეწოდებოდა: „სატაცურის თესლი, რომელსა ჰქუიან მარჩობაი“<sup>2</sup>. იხმარებოდა თვითონ მთელი მცენარე, მისი ფესვი, თესლი, გვხვდება შაჰ.პათი. ეს მცენარე საკმელად და ნაწილობრივ სამკურნალოდ (თირკმლების დაავადების დროს შარდმდენად) იხმარებოდა.

ამჟამად ცნობილია, რომ სატაცურს შარდმდენი თვისებები აქვს. ჰომეოპათიაში იხმარება ახალგაზრდა ყლორტების ესენცია. ტიბეტის მედიცინაში იხმარება მისი ერთ-ერთი სახეობის ნაყოფი.

საყიზის კევი — იხ. დანამასტაქი.

საფარჯალი — იხ. კომში.

სელი — *Лен*, *Linum usitatisimum* L. *Linaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნა“, გვ. 237.

<sup>2</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 231.

ძველ ქართულ მედიცინაში სამკურნალო მიზნით ფართოდ იყო გამოყენებული: სელის თესლი, თესლის ზეთი, თესლის „ლაშა“, თესლის წყალი, წვენი. გარდა ამისა, სხვადასხვა დანიშნულებისათვის იხმარებოდა სელის ქსოვილი. ზოგიერთი ავადმყოფის ტანისამოსი და ხელსახოცი სელის ტილოს ნაჭრის უნდა ყოფილიყო.

საერთოდ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სელის სამოსელს, რომელსაც შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „სამოსელი სელისაგან რომელი იქნების სწორი არის სიგრილთა და ნოტიოთა და სიხმლითა არის საკმელთა კერძოთაგან. არგებს და ამოაშრობს ნოტიოსა ოფლსა ტანისაგან და იხმარების წაშალთა შიგა და ერგების ტანზედა რომე წყლული იყოს, და ამოაშროს მასა წყლულსა და გამოზრდის მისსა ხორცსა“<sup>1</sup>.

სელის ჩვარი იხმარებოდა წამლების კურკულზე თავზე მოსაკრავად. სელის ქსოვილი ასველებდნენ წამლებში და საფენებად ხმარობდნენ. „თუ ცხვირიდან სისხლი სდიოდეს ვარდის წყლითა სანდალი ან ფუფული გალესონ და ამამიგა ქათნის ხელსახოცი დაასველონ და შუბლსა და საფეთქლებზე შემოსდენ“<sup>2</sup>.

გარკვეულ დანიშნულებას აძლევდნენ სელის ძაფს. რომელსაც სელის ბკედი ეწოდებოდა. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში სელი გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: ქათანი, გუმდანი, ხოლო სელის თესლისათვის ხმარებულია შემდეგი სახელწოდებები: ასპიუმი, თონშიქათანი, ბაზრაცატუნი. გარდა ამისა, ყარნი არუხი—ასპიუმის წყალს, ანუ სელის თესლის წყალს ეწოდებოდა. სელის ზეთი შემდეგნაირადაა დახასიათებული: „ზეთი სელისა. მხურვალი და რბილი და კაცისა სტომაქსა დაალობს და კარგად მოუხდების და ყოლინჯისათვის კარგი არის“<sup>3</sup>.

სელის ზეთი გვხვდება აგრეთვე ვეველსა და მორიელის ნაქების მკურნალობის მიზნით.

თვით სელის შესახებ „უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „მისი ხალი თაფლითა კამოს სიგრილის ხველას უშველის, თუ მისსა ზეთშიგა ცვილი გაურიოთ და მით ყელი და მკერდი დაიზილოს, სიგრილისა ხველას უშველოს“<sup>4</sup>.

სელის თესლისაგან მზადდებოდა თითოთ სალოკი წამლები ე. წ. ლოყიები. მათ ხშირად ჰველის საწინააღმდეგოდ უნიშნავდნენ.

„ნიშანი ლოყისა რომელი არს სელის თესლისა რომელი ხუელდენ და არას ამოყრიდნენ ხუელასა ხმელსა უშველის...“<sup>5</sup> საერთოდ სელი ამოსახველებელ საშუალებად იხმარებოდა.

გარდა ამისა, იგი შედიოდა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ მიჩნეული რთული წამლების შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირში სელის გაშენება ხდება ორი მიზნით როგორც ბოკოვანი და ზეთოვანი კულტურის. სამკურნალო თვისებების მხრივ აღსანიშნავია,

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 422

<sup>2</sup> ხელნაწერი Q 877, დაცულია ავად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, გვ. 14.

<sup>3</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 426.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 438.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 64.

რომ სელის ლაბა სუსტი საფადარათია. მისი თესლები ან კობტონი იხმარება ცხელი საფენების სახით. სელის ზეთი იხმარება მწვანე სპანის დასამზადებლად.

**სვინტრი** — *Купена, Polygonatum multiflorum L. All. Liliaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში გვხვდება სვინტრის ძირი, რომელსაც აშუაყული, შაყიყი რუმი, უდისალაბი, შიტრაჯი და ჰანილი ეწოდებოდა. „შიტრაჯი სვინტრის ძირს ჰქვია“<sup>1</sup>.

„შაყიყი რუმი და უდისალაბი ორივე სვინტრის ძირს ჰქვინ“<sup>2</sup>; „სვინტრი-სა ძირი, რომელ არს აშუაყული“<sup>3</sup>. სვინტრის თესლს აღარაგონი ეწოდება. სვინტრი იხმარებოდა საკმელად და სამკურნალოდ. სვინტრის ძირს სამკურნალო მიზნით იყენებდნენ თირკმელების დაავადების დროს: „სვინტრი, თირკმელსა მწოვედ ძალს მისცემს“<sup>4</sup>.

სვინტრის ძირი იხმარება ტიბეტის მედიცინაში, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეაში სვინტრი შეტანილი არ არის.

**სიმინდი** — *Курпуза, Maис, Zea majs L. Gramineae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

სიმინდისაგან ხარშავდნენ ჰასოს, ე. ი. ფქვილის შექამანდს, „ჰასოი არაბულად იმას ჰქვია რომელ თხელად ფქვილი მოჰკიდოს წყალსა“. სიმინდის ფქვილის ჰასო დიეტურ საკმელად ითვლებოდა. ზოგჯერ ამ შექამანდს კარტოფილის ფქვილსაც უმატებდნენ. ავადმყოფს აკმევდნენ თირკმელების დაავადების შემთხვევაში, მას, როგორც ჩანს, შარდმდენ თვისებებს მიაწერდნენ.

თანამედროვე მედიცინაში შარდმდენი დანიშნულებით იხმარება გამხმარი სიმინდის ფოჩიდან დაშლადებული გამონაწვლილი ან სიროპი. ფიქრობენ, რომ სიმინდის ფოჩის ნაყენი ნალველის სეკრეციას აძლიერებს.

სიმინდის სახამებელი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეაში შესულია როგორც მოსაფენი და შემარბილებელი საშუალება.

**სინჯიტი** — იხ. ფშატი.

**სინძ** — „კუნელსა ჰქუიან“<sup>5</sup>, *Боярышник, Crataegus, Rosaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. საქართველოში გავრცელებულია მისი სხვადასხვა საიხობა.

ძველ ქართულ მედიცინაში იგი შემკვრელ საშუალებად იყო მიჩნეული. მის შესახებ წერდნენ, რომ იგი „ნედლი და ხმელია პირველსა ღარაჯაშიგა. მუცელი შეკრას და სტომაქი დაამაგროს, და ტანსა ცოტა ერგოს და არა მართებს კაცსა რომე ბევრი ჰამოს“<sup>6</sup>.

ამჟამად ცნობილია, რომ კუნელის ყვავილის და ნაყოფის პრეპარატები დადებით ზეგავლენას ახდენს გულზე, მისი მოქმედება ქათითურას პრეპარა-

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, ლექსიკონი.

<sup>2</sup> „ილიდგარ დაული“, გვ. 217.

<sup>3</sup> ხელნაწერი Q 877, დატულია აკად. ს. ჭანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, გვ. 63.

<sup>4</sup> „ილიდგარ დაული“, გვ. 361.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 456.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 456.

ტების მოქმედებას წააგავს. ამ მცენარის ფოთლებიდან დაშნადებული პრეპარატები მოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე: იწვევენ სისხლის წნევის მომატებას და სხვ.

სირვაშლა — ჩიტავაშლა, *Pyracantha coccineae* Roem.

სირვაშლის ფურცლის ნახარშს იყენებდნენ აბაზანისათვის ე. წ. „დოსინტარიას“ დროს.

სოკოები. ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ სხვადასხვა სოკოებს; ზოგი ძალიან, მეორენი ნაკლებ შხამიანად მიაჩნდათ. ზოგიერთ სოკოს საკვებად. ზოგიერთ მათგანს კი სამკურნალოდაც იყენებდნენ:

„სოკო“ ზოგი არს გუარად მომკვლელ და ზოგი არს, რომელ დიდად ჰამითა მისითა მოკლის. მაშინ იგინი რომელნი ჰამენ საკლავი წაეკიდების“<sup>1</sup>.

მექექციის საწინააღმდეგოდ იხმარებოდა აბედი, მიაჩნდათ, რომ „ვინცა ფრჩხილითა მექექცი მოსკრან და აბედი დაადეან და შეუხვიონ, უშველოს და გააყრევიონ“<sup>2</sup>.

დომალანი საერთოდ მაწყინარ სოკოდ მიაჩნდათ, მაგრამ ზოგჯერ საკვებად, ზოგჯერ კი წამლადაც ხმარობდნენ. „დომალანი, გრილი და ნედლი არის, მაგრამ მწოდ მაწყინარი არის. სევდასა და ბალამსა მამინვე აუშლის. კაცი გვიან მოიდნობს და მრავალსა სენსა სხუასა აუგდებს და რაც წიგნშია მაწყინარი, კაცის მავნე ბალახები სწერიი, იმათგან ერთი ეს დომალანიც არის. და ესე დომალანი რომე ხმელსა და კენჭნარიანსა ალაგშია იდგეს, და ეს დომალანი ახლისა და მსუქნის ხორციითა მოხარშოს და კაი ერბო და ზომური მარილი ურთო, და ცოტა სკამო, მაშინ კაცს არას აწყენს. და თუ ბევრსა სკამენ, მაშინ კაცსა აწყენს, და ესეცა უნდა იცოდეთ, რომელიცა დომალანი ან ჩრდილშია დგას, ან ლედის და ან ზეთის ხილის ჩრდილშია დგას, და ან ნეხუზედა ამოსულა, ამ რიგი დომალანი კაცის მკვლელი არის და არცა უნდა კაცმან ჰამოს.

ვინცა ამა დომალანსა ბევრსა სკამს, ბევრსა და ავსა სენსა აუძრავს, პილწსა და ავსა ხილთებს აუშლის ფილენჯს და ფილენჯის ქარსა შიაკს. მაგრამ ამა დომალანისა წყალი რომე კაცმან თუალშია გამოიფლოს, თუალთა სინათლესა მწოდ მატებს“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, არჩევდნენ დომალანს იმის მიხედვით, თუ სად იზრდება და ამის მიხედვით ერთ შემთხვევაში შხამიანად და მეორე შემთხვევაში ნაკლებ მაწყინრად ითვლებოდა.

კარგად იყო ცნობილი საფუარი სოკო. მას ხმარობდნენ ცოპის გასაფუებლად. მაგრამ, გარდა ამისა, სამკურნალოდაც იყენებდნენ. მკავე საფუარი იხმარებოდა ხუნავის დროს ყელში გამოსაყლებლად, აგრეთვე ჩირქგროვების გამოსარწყავად: „ვისაცა ძნელი და ავი მუწუკი გამოუვიდეს და ან გაუძნელდეს, მოიტანე საფუარი და კარგად მოზილე, და რა ნივთიცა ის მუწუკი იყოს იმას გარ შემოაქენ, და მერმე მუწუკსა სამჯერ ზედა დაადუჟონ და მოიტანე უტყაო ტირიფის ხის ნაცარი და ესე საფუარის კუერი გამოტენე და მაგ-

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 357.

<sup>2</sup> „ილიგარ დაუდი“, გვ. 512.

<sup>3</sup> აქვე, გვ. 200, 201.

რად შეუხვეთ და რაცა ავი და პილწი ხორცი არის იმას დასწვავს და მოხეტქს. და რაცა კაი და მრთელი ხორცი არის იმას კი არას ავენებს და კაცი მორჩევის<sup>1</sup>.

ქველ სამედიცინო ხელნაწერებში ყველაზე ხშირად ვხვდებით ქრტილის ხის სოკოს ე. წ. ღარიკონს. მას ხშირად ვხვდებით შემდეგი სახელწოდებებით; თეთრი ღარიყონი, ხარიყონი, თაპონის სოკო: „ღარიკონი თაპონის სოკოა“<sup>2</sup>, „ვინცა დედალი ღარიყუნი დანაყოს და თავლითა ასვას, ტყირაპი უშველოს და გააქარვოს“<sup>3</sup>.

სხვა შემთხვევაში ფიქრობდნენ, რომ „თუ კაცსა ბალღამი სკარბობდეს და ან გულსა და სტომაქზედა ბალღმიანად და გრილად იყოს, ორი ღირპამი თეთრი ღარიყუნა უნსულის შარბათშიგა გამოზილონ და მუღმათ ეს ალოკაბ ღა, ამისი აბები შექმნან და ჭულაბითა ჩაყლაპონ“<sup>4</sup>.

გვხვდება მისი აბი, რომლის შესახებ სწერია, რომ „აბი ღარიკუნ არგებს კაცისა ტანშიგა რაცა ტყვილი იყოს და თეძოშია რაცა სატყვიარი იყოს“<sup>5</sup>.

ღარიკონი გვხვდება აგრეთვე შაკიკის სამკურნალოდ ხმარებული აბის შემადგენლობაში.

სონიჯი — შაკაკალა, ცერცვის ბალახი, *Чернышка, Nigella sativa L.* მისი ფარმაცევტული სახელწოდებაა *Coriandrum nigrum s melangospermum*. იგი *Ranunculaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ქველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში ეს მცენარე გვხვდება აგრეთვე შემდეგ სახელწოდებებით: ჩორაქ-ოთი, ჩორათანი, თარფი-ყუჭტი, სოლინჯი, სონიჯი, ნანხუა.

იხმარებოდა თვით მცენარე, მისი თესლი, ყვავილი, ზეთი. „წიგნი სააქიმოსის“ მიხედვით ამ მცენარეს აედმყოფს აქმევედნენ კუქ-ნაწლავეიდან სისხლის დენის დროს.

ამ მცენარეს შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: „შინაური სონიჯი... კარგი წამალია და სუბუქი. თუ მოხალო და უსუნო უშველის სურდოსა, რომე იყოს სიცივისაგან, და თუ დანაყო და შეასვა მოკვლავს აყიროსა თესლის კიასა და გაიღებს. ერთი კია სხვა არის თავლა ჰქვიან მისსა ნაკბენსაცა უშველის თუ დანაყო და ძმრით გარეთ მუცელზედა შემოსდვა, მაშინაც მოკვლავს, აყიროსა თესლის კიასა და თუ დანაყოთ და თავლითა შეზილო და დადნობს თირკმელთა შინა შირმისა და ჩამოიღებს სისხლსა და ფსელქა. თუ სიგრილისაგან სტკიოდეს მისი წვენი ცხვირშიგა ჩაუშვი უშველის. თუ ძმრითა მოადუღო და პირშიგა ჩაიყენოს კბილისა ტყვილისა უშველის. თუ მისი ზეთი ცხვირშიგა ჩაუშვას ფილენჯს უშველის“<sup>6</sup>.

სურდოს გარდა, სონიჯი საერთოდ ყნოსვის მოშლილობის დროსაც იხმარებოდა. სონიჯი ხშირად გვხვდება თავის ტყვილის დროს ცხვირში ჩასაწვე-

<sup>1</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 510.

<sup>2</sup> ხელნაწერი Q 877, დაცული აქად. ს. ჟ ა ნ ა შ ი ა ს სახელობის საქართველოს სახელმწიფო ბუხუემის ხელნაწერთა განყოფილებაში.

<sup>3</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 409.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 126.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 68.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 447.

თებელი წამლის სახით. „თუ სიმხურვალისაგან თავი სტკიოდეს და მწოდ უხურდეს თავი აიღე ქაფური, თახვის ყვერი, ზაფრანა და სონიჯი... ყვევილთა ერბოთი შეაზავე, და ღია დათქვიჟენ და შივშაგას ჩაასხენ, ოდესცა გინდოდეს ცხვიოთა უწთობდი“ ანდა „საწთობალი მისთუისვე. აიღე საბრი სკუნტრი, სონიჯი და წითელი ბავრუკი... ბერძულითა ზეთთა შეზილო და მითვე ზეთითა გაადგინო და ოდეს თავსა ატიკინებდეს... ცხურთა უწთოს სამჯერ“<sup>1</sup>.

გრძობობადაკარგულის მოსაბრუნებლად ხმარობდნენ სონიჯს პილპიტთან და ძირასთან ერთად, ცხვირცემინების გამოსაწვევად. გარდა ამისა, სონიჯი იხმარებოდა ოფლის მოსაღენად. მას მალამოს სახით უსვამდნენ ტანზე.

სონიჯი არომატულ მცენარედ ითვლება. მისი თესლი შეიცავს ეთეროვან ზეთს.

სპან ჯი — იხ. მლოვეი.

სტაფილო — *Морковь, Daucus carota L. Umbeliferae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ეს მცენარე ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში გვხვდება სტაფილოვანის, გაზრას და აპლის სახელწოდებებით. ხმარებაში იყო მცენარის ფესვი, თესლი. გვხვდება სტაფილოს მაჭუნი, რომელსაც მაჭუნი სულეიმანი ეწოდებოდა და გვარიშნი.

სტაფილო ხშირად იხმარებოდა საკმელში. განსაკუთრებით ურჩევდნენ მის ჭამას ზამთრობით ცივ დღეებში. ითვლებოდა, რომ სტაფილო ძნელი მოსაწინებელია: „...კაცისა სტომაქშიგა გვიან დადნების ავსა სისხლსა დაბადებს, ქარსა აუძრავს და სტომაქ მხურვალსა კაცსა უსათუოდ აწყენს“<sup>2</sup>.

სამკურნალოდ უფრო ხშირად იხმარებოდა სტაფილოს თესლი, მას ჯად-ზაბაიას უწოდებდნენ. მას შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: „სტაფილოს თესლი მეორე წილშიგა მხურვალი და ხმელი არის. კაცსა, რონე თავზე ქაჩალი ესხას; და ან სხვა მსხმო ესხას, და ეს სტაფილოს თესლი ან სტაფილოს ფოჩი დანაყონ ან ჭაჩალსა და ან სხვა მსხმოზედა დაიდვას. მაშინვე უშველის. ვინცა ასე სტაფილოს თესლი დანაყონ, წყალი გამოჰხადოს და სისხიანსა კაცსა ასვას ან აჰამოს, სისხიანი კაცისათვის მწოდე კარგი არი. კაცსა რომე ან გველმან ან მორიელმა და ან სხვამან მძრომელმან უკბინოს და ეს სტაფილოს თესლი დანაყონ, ტლედ ქნან და ნაკებენზედა დაიდვან, მაშინვე გააქარვებს და გააცუდებს და თუ კაცი სვამს მაშინვე შარღზე გახსნის. და დედაკაცსა, რომე დედათა წესი შეეკრას და ესე სტაფილოს თესლი დანაყონ და წვენი გამოჰხადონ და ასვან და ან მისი ტლე მუცელსა და ბოქუენზედა შემოსდვან, მაშინვე დაქირულსა დედათა წესსა ჩამოუშლის, და ტკივილს უშველის და გატეხას დაუამებს“<sup>3</sup>. სხვა წყაროში სტაფილოს თესლის შესახებ ვკითხულობთ: „წაშალი სიმსივნისათვის, რომელი წაეკიდების ძუძუთა შობისა შედეგად — აიღე... სტაფილოვანისა თესლი, დანაყე კარგად და შეზილე ძმრითა, და შექმენ მარამად, და შემოსდევე ძუძუსა მსივნისა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 27.

<sup>2</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 203.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 171.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 375.

საერთოდ დანაყილი და ძმარში შეზედილი სტაფილოს თესლი ძალიან ხშირად იხმარებოდა მტკივნა ადგილზე დასადებად.

სტაფილო გვხვდება აგრეთვე ღვიძლის დაავადების დროს ხმარებულ წამლებში „...თუ ესე სიმამრე არ გარბილდეს აიღე სტაფილო და ბაბუნაჯი ორივე რბილად დანაყენ და ლუინოშივა გაუროვენ და იმა ადგილსა შემოსდე...“<sup>1</sup>

სტაფილოსა და მისი თესლიდან დამზადებულ წამლებს აძლევდნენ სურდოსა და ხველის დროს.

გარდა ამისა, სტაფილო და მისი თესლი გვხვდება სისხლიანი შარდის შემთხვევებში ხმარებული წამლების შემადგენლობაში.

ნათქვამიდან ჩანს, რომ სტაფილო იხმარებოდა, როგორც საკვებზე და სამკურნალო საშუალება.

ამჟამად სტაფილო ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ბოსტნეულ კულტურად ითვლება. მისი ძირნაყოფი შეიცავს 4,6—9,4 მგ% A პროვიტამინს (კაროტინს). ამჟამად იგი A ვიტამინის მისაღებ მთავარ ნედლეულს წარმოადგენს. თავისთავად სტაფილოს დიდი საკვები მნიშვნელობა აქვს.

სულიონჯანი — იხ. ცხენის წაბლი.

სუმბაყი — იხ. თუთუბო.

სუმბული — Сумбул, Мускусный корень, Euryangium sumbul Kaufm, წარსულში მას Angelika moschata Widd ეწოდებოდა; Umbeliferae-ს ოჯახს ეკუთვნის.

გარდა ამისა, სუმბული ეწოდება Ferula-ს ერთ სახეობას Ferula muskynaya F. sumbul s. F. moshata, რომელიც იზრდება შუა აზიის მთებში. საფიქრებელია, რომ სუმბულის სახელწოდების ქვეშ ზოგჯერ იგულისხმება Valeriana Jatamansis (როგორც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოაველეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ერთ-ერთი ხელნაწერი ლექსიკონიდან H<sup>1</sup>/<sub>2</sub> ჩანს, სუმბული არის კატა-წამალი, ვალერიანი. ასევე ვ. შტებერის მიერ შედგენილ ლექსიკონშიც ნათქვამია, რომ სუმბული არის Valeriana Jatamansis).

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში სუმბული აგრეთვე გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: ბალდური ყარა, ბალაზური, ბერძელი ფაჩარი, ფარი-სიაოშანი, აზარაბტი, ქალაქური წყაროს სუმბული, წყლის ნიახური. სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება შემდეგი განმარტებები: „წყაროს სუმბული—წყლის ნიახური“, „ბალდური ყარა—წყლის ნიახური“, ბალდური ყარა რომე სპარსნი ფარისიაოშანს ეძახიან, ქალაქურ წყაროს სომბულს ჰქუიან<sup>2</sup>; „ფარი-სიაოშანი წყლის პირას არის ცხენის ძუასაც ეძახიან“.

სამედიცინო ნაწერებში გვხვდება აგრეთვე სუმბული ჰინდი, სუმბული ტიბი — კეთილსურნელოვანი, სუმბული ბერძელი. სამკურნალოდ იხმარებოდა. მცენარის ფესვი, ფოთლი. გვხვდება სუმბულის შარბათი, ზეთი, ჰაბი, გვარიშნი, მაჯუნი და ყურსი.

სუმბული იხმარებოდა თავის ტკივილის დროს „...ვინცა ესე სუმბული დან-წუას, დანაყოს და გაცრას, და მარსინისა ზეთითა გააყენოს და თავმტკივნასა კაცსა თავზედა შესცხოს, ყოვლსა გუარსა თავის ტკივილსა უშველის...“<sup>2</sup>

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 295.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“ გვ. 282.

გვხვდება სუმბულის ყურსი, ფიქრობდნენ, რომ იგი „არგებს რაცა სტომაქში-გან ბალღამი იყოს, ცხელებასა, რომ ბალღამისაგან იყოს, თბილიბარა დღეგამოშვებით, რომ აცხელებდეს მას ჰქუიან, რომე ცხრო სჭირდეს და გულის ძალი შეკურით იყოს“<sup>1</sup>.

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ წერია, რომ „სუმბული რომელ არს სურნელი, გამაძლიერებელი არს ლუიძლისა და მომაჯნველი სტომაქისა და გამხუშელი ნესტუთა და გამღებელი ფსლისა. და გაანზობს ნოტიობასა, რომელი თავსა და მკერდსა შინა იყოს“<sup>2</sup>.

სუმბული გვხვდება იმ რთული წამლების შემადგენლობაში, რომლებიც იხმარებოდა ისეთი დაავადების დროს, როგორიც იყო საჩო, ანუ მტერთა დაცემა, შეხუსი. საბრი, მური და სუმბული იხმარებოდა თვალის ძლიერი ტკივილის დროს თვალში ჩასაყრელად.

სუმბული შედიოდა ტკივილდამაყუჩებელი წამლების შემადგენლობაში. ჩვენში ამჟამად სუმბულს უწოდებენ *Hyacinthus*-ს.

სურიჯა — იხ. სონიჯი.

სუსანი — იხ. შინაური ია.

**ხმარტლი** — ზღმარტლი, *Myshmula obynkovenная*, *Mespilus germanicus* L. *Rosaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ზღმარტლს ხმარობდნენ საკმელად, ჯარდა ამისა, იხმარებოდა სამკურნალოდ. სამკურნალოდ იხმარებოდა ზღმარტლის ნაყოფი, ხის ქერქი, ნაყოფის მურაბა.

„ზღმარტლი მწოდ გრილი და ხმელი არის. კაცსა მწოდ ფიცხლად გულს გაუძღებს და მაშინვე ამოჰყორავს და კაცსა ფიცხლად შეჰკრავს. ან კაცსა და ან ცხენსა და ან ძალსა რომე მუნი ესხას და ზღმარტლის ხის ქერქი დაჰეჰკოთ და მოხარშოთ, რომე სამის წილისაგან ერთი წილი დარჩეს და მას უკან ეს ზღმარტლის წვენი თბილ-თბილი შესცხონ. მაშინვე მუნს უშველის“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, ზღმარტლი მუნის წინააღმდეგ იხმარებოდა და შემკვრელი საშუალებაც იყო.

**ტარხუნა** — *Эстрагон*, *Artemisia dracunculus* L. *Compositae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ტარხუნას ფესვს აყირყარა, აღარყარაჰა ეწოდებოდა.

სამკურნალოდ იხმარებოდა: მცენარის ფოთოლი, მისი წყალი, ფესვი, ზეთი.

ტარხუნა საკმელ მწვანილად ითვლებოდა და სამკურნალოდაც. იხმარებოდა. ფიქრობდნენ, რომ „ტარხუნის ჰამა გულსა და სტომაქს ძალს მისცემს და პირის ტკივილისათვის მწოდ კარგი არის, კბილებს დაამაგრებს და ღწილსა ამოიყუანს. კაცსა პირდაღან ავსა სულსა გაუგდებს ჰარსა გააჰარავებს.

კაცმან რომ ტარხუნა დანაყოს და ამისი წვენი გამოჰხადოს და სვას, ღძილის სიმსივნისათვის მწოდ კარგი არის.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 71.

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 409.

<sup>3</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 195.





ტეგანი შხამიანი ეთეროვანი მცენარეა. იგი შეიცავს გლუკოზიდ რუტინს, რომელიც ჰიპოტენსიური თვისებებით ხასიათდება და თანამედროვე მედიცინაში იხმარება.

ტვია — იხ. ღვინის ხე.

ტირიფი — *Ursa, Salix L. Salicaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

გვხვდება ამ გვარის რამდენიმე სახეობა, *S. alba* — თეთრი ტირიფი, ანუ წნორი; *S. babylonica L.*—ძეწნა; *S. fragilis L.*—მკითვე ტირიფი, ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში ტირიფი მოხსენებულია აბატრაფას, გაზმაზგისა და ღობის სახელწოდებებითაც. გვხვდება განმარტებები: „ღობი არს ტირიფი“, „გაზმაზგი, რომელსა ჰქუინ აბდრაფა, და არს ესე ძეწნი“ და „გაზმაზგი რომელ არს აბატრაფა“.

სამკურნალოდ იხმარებოდა ტირიფის ფოთოლი, ფოთლის ფქვილი, ზეთი, წყალი, ფესვის ნაცარი, ტირიფის არაყი ე. წ. არაყი ბედი, რომელიც წარმოადგენდა „წნორის ფურცლისა ოფლს“,<sup>1</sup> ე. ი. ტირიფის ყვავილისაგან გამოხდილ არაყს. ეს უკანასკნელი გვხვდება გულის დაავადების დროს ხმარებულ ტლეა შემადგენლობაში.

„მხურვალისა გულისა ტლე, აიღე: ვარდის წყალი ათი მუტყალი, წნორის ფურცლისა ოფლი რომე არაყი ბედი ჰქუიან, არაყი ქასინი თუითისგან ათათი დრაში და სამნი ერთმანეთსა გაურივენ“<sup>2</sup>. გარდა ამისა, ტირიფის არაყი იხმარებოდა თავის ტკივილის დროს.

ტირიფის შესახებ „იადიგარ დაუღში“ კვითხოვობთ: „ტირიფი გრილი და ნედლია, ვინცა ტირიფის ხის ფესვის ნაცარი ძმრითა ასურიმოს და კაცსა გულსა და სტომაქზედა გადააკრას, თუ კაცსა გულზედა სისხლისაგან ძალი დამართებია, და ან გულს ტკივილი, და ან გულის სიმსივნე დასძველებოდეს, ტირიფის ხის ფესვის ნაცარი ძმრითა ასურიმონ და შემოსდვან, მაშინვე უშველის“.<sup>3</sup>

როგორც ჩანს, ტირიფის ფოთოლს კანის დაავადების სამკურნალოდ უნიშნავდნენ. ამიტომაც, რომ ტირიფის ფოთოლს ყვავილის შემთხვევაშიც ხმარობდნენ. როდესაც ყვავილის გამონაყარი მომწიფდებოდა ურჩევდნენ ავადმყოფი „ტირიფის ფურცელშიგა ჩააწვინონ...“<sup>4</sup>

იისა და სხვა სურნელოვანი მცენარეების გვერდით ტირიფის ფოთლებსაც ხმარობდნენ სასუნებლად, მძიმე ავადმყოფის ლოგინზე მოსაყრელად.

ტირიფის ძირის წყალი იხმარებოდა წაშლების გასაღესად, ზოგჯერ კი მას ავადმყოფებს ასმევდნენ. ტირიფის ხის ნაცარი იხმარებოდა გაძნელებული მუწუქების სამკურნალოდ.

სამკურნალოდ იხმარებოდა ტირიფის ფოთლის ზეთი: „წამალი რომე ცხურითა დაცემა უკუაყენოს: ვარდისა და წნორისა ფურცლისა ზეთი ცხურშიგა ჩაუშვი, უკუაყენებს“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 181.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 283.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 405.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 314.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 231.

ტირიფის ფოთოლი გვხვდება მოტეხილობის დროს სისხლდენის და შესივების სამკურნალოდ: „ტირიფის ფურცელი, ურთხლისა და მურტისა ფურცელი დანაყე, კვერცხის გულითა შეზილე და შემოსდევ“.<sup>1</sup>

ტირიფის ფოთოლს ხმარობდნენ თმის დასარბილებლად, იგი შედიოდა თმაზე დასადებზე წამლის შემადგენლობაში.

როგორც ვხედავთ, ტირიფი სამკურნალო მიზნებისათვის ფართოდ იყო გამოყენებული. ტირიფის ქერქიდან მიღებული პრეპარატები იხმარება, როგორც შემკვრელი, სიცხის დამწევი, ზოგჯერ კი სისხლის შემაჩერებელი საშუალება.

ტიტა — Тюльпан, Tulipa L. Liliacea-ს ოჯახს ეკუთვნის. ეს მცენარე ძველ ქართულ სამედიცინო ნაწერებში ვირის ბოლოკის სახელითაც არის მოხსენიებული. „იადიგარ დაუდში“ წერია: „ვირის ბოლოკი ვითამცა და ტიტაო...“

სამკურნალოდ იხმარებოდა ტიტას თესლი და წვენი.

ტიტას შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: „ტიტა მხურვალი და ხმელია, ვინაც ორი დანგი ამა ტიტას თესლი ჰამოს, სისხისათვის მწოდ კარგი არის და რაც კაცისა ტანშიგა ყუითელი წყალი და წალა დვას, ყუელას გასწმენდს და გააქარვებს“.<sup>2</sup>

გარდა ამისა, ტიტას კბილის ტკივილის დამაყუჩებლად ხმარობდნენ: „ვინცა ვირის ბოლოკი ვითამცა და ტიტაო ძმრით მოხარშოს და ამისი წყალი პირშიგა იმგვიბოს, კბილის ტკივილსა უშველოს“.<sup>3</sup>

ტიტას წვენი იხმარებოდა იარაყანის საწინააღმდეგოდ: „ვინცა ტიტა დანაყოს და ამისი წვენი გამოჰხადოს და ეს წვენი იარაყნიანსა კაცსა ორსავე ცხვირშიგა ჩაასხას, შევსა და ყუითელსა იარაყანსა ორსავე უშველის“.<sup>4</sup>

მაგრამ საკუროდ თვლიდნენ ამ მცენარის ზომიერად ხმარებას, რომ თავიდან აცილებული ყოფილიყო მისი მავნე ზემოქმედება: „...მაგრამ თუ კაცი ბევრსა ჰვამს, კაცსა თავსა აატკივებს, სისხლსა ორივე დაწვეავს და ზაფრას გააძლიანებს“.<sup>5</sup>

ა. ო. იაშვილის მიხედვით ტიტას თესლი იხმარებოდა ფლარათობის სამკურნალოდ და აგრეთვე, როგორც გარეგანი საშუალება კბილის ტკივილის წინააღმდეგ.

ამჟამად ცნობილია, რომ ტიტა შეიცავს ალკალოიდ ტულიპინს, რომელიც მოქმედებს გულზე, მისი უმი ბოლქვები შხამიანია. ხშირად ხდება საქონლის მოწამვლა ტიტანარევი ბალახით. ეს მცენარე კავკასიაში გარეულად იზრდება, ადრეგაზაფხულზე გვხვდება თბილისის მიდამოებში.

ტიტა ლობიო — Клещевина обыкновенная, Ricinus communis L. Euphorbiaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება. ა. იაშვილის მიხედვით მას აგრეთვე გერგენჩაგს, აბუსალათინს და ჭულაბს უწოდებენ.

ძველ სამედიცინო წერილობით წყაროებში აბუსალათინის, აბესალტანის, კარდის სახელწოდებითაც გვხვდება. აბუსალათინის თესლს ლიას უწო-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბდინი“, გვ. 389.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 403.

<sup>3</sup> იქვე, 315.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 171.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 172.

დებდნენ, მისგან ამზადდებდნენ ზეთს, რომელსაც ლაიას ზეთი ერქვა, ურჩევდნენ, რომ ამ ზეთის დასამზადებლად „აბესალტანსა ჩიჩქი შეაძრე გარეთით და გააბე, და შიგნით თხელი ცილა აკრავს იგიცა შეაძრე, თუ არა — კაცსა აწყენს“<sup>1</sup>.

სხვა საშუალებებთან ერთად ტუბია ლობიოს უნიშნავენენ, როგორც საფაღარათოს: „თუ სამი მარცვალი აბისალტანი გაურიოთ შიგან, მაშინ ქუიითცა ასაქმებინოს“.<sup>2</sup>

თანამედროვე მედიცინაში აბუსალათინის ზეთი იხმარება, როგორც საფაღარათო.

**ტუბტი — *Алтей лекарственный, Althea officinalis Malvaceae***-ს ოჯახს ეკუთვნის.

ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ტუბტი გვხვდება აგრეთვე შემდეგი სახელწოდებებით: ხათმი, ხატმი, ქურქუნჩობი, ბალბაქი, ფოხუერი.

ძველ ქართულ მედიცინაში ტუბტი ფართოდ იხმარებოდა. ხმარობდნენ თვითმცენარეს, ფესვს, თესლს, შარბათს, მალამოს. მიაჩნდათ, რომ „ვინცა ტუბტი დანაყოს და მტკიანსა ალაგზედა დაიდვას ყოველი ფერი ტკივილი უშველოს“.<sup>3</sup>

ძლიერი ხველის დროს ხმარობდნენ ტუბტის თესლის ლაბას შაქრით ანდა ავადმყოფს გამუდმებით ასმევდნენ ტუბტის და ბიის წყალს. ხმის ჩავარდნის წინააღმდეგ იხმარებოდა ტუბტის, ანუ ფოხუერი: „ფოხუერი — გახსნის ხმასა“.<sup>4</sup> ტუბტი შედიოდა გამოსავლებ წამლებში.

გარდა ამისა, ტუბტი, მისი ყვავილი და თესლი გვხვდება ისეთი წამლების შემადგენლობაში „რომელნი არს ძარღუთა დამალბობელი და სენისა დამალბობელი და ბალღმისა დამალბობელი“.<sup>5</sup>

„სამკურნალო წიგნი“ ვკითხულობთ: „ხატმი, რომელ არს ფოხუერი, შემალბობელი არს მჯდომთა და ერგების მსივანსა, და ძუძუსა მსივანსა შეალობს და გაუქარეებს ბევრსა, და დაალობს მჯდომთა. რომელნი გუიანად დამწიფდობდნენ. და თესლი მისი დაფშეუნის რომელი იყოს თირკმელთა შინა ქვა და ნენჯთა“.<sup>6</sup> ხოლო „იადიგარ დაუღმი“ ნათქვამია: „ვინცა ტუბტისა ან ყუავილი და ან თესლი დანაყოს და მუწუჯედა დაიდვას, მუწუკი ეშველოს, და ძარღვების ტკივილსა უშველოს და თუ ესევე ტუბტი ან ბატის ან იხვის ქონით მალმადქნას, და ისი სჯობს“.<sup>7</sup>

გარდა ამისა, ტუბტი იხმარებოდა, როგორც საფაღარათო საშუალება. ტუბტის ფესვები შეიცავენ დაახლოებით 35% ლორწოვან ნივთიერებებს, 35% სახამებელს, 11% პექტინურ ნივთიერებებს, 8% შაქრებს, ცხიმს და მინერალურ ნივთიერებებს. ტუბტის პრეპარატები იხმარება სასუნთქი გზების და კუჭ-ნაწლავის ანთებითი მოვლენების დროს.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 331.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 331.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუღმი“, გვ. 62.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 414.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 63.

<sup>6</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 412.

<sup>7</sup> „იადიგარ დაუღმი“, გვ. 509, 510.

თანამედროვე ფარმაცოპეაში შეტანილია ტუხტის ფესვი, ტუხტის ლორწო და ტუხტის სიროპი.

**ტყემალი** — *Альфия дикая*, *Prunus divaricata* Ldb. Rosaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში ტყემალი მოხსენებულია კიდევ უმუხუნის და ალუჩის სახელით. გვხვდება აგრეთვე შავი ტყემალი, რომელიც შესაძლებელია ლონდონოს წარმოადგენს. იხმარებოდა ტყემლის წვენი, შარაბი, შარბათი, გომიზი, იგივე წებო, აფშარაი. ეს მცენარე იხმარებოდა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს უნიშნავდნენ მკავე საკმელებს. ტყემლის გომიზს აძლევდნენ სიქანგუბინთან ერთად (სიქანგუბინი წარმოადგენდა ძმრის და თაფლის გარკვეულ წესით დამზადებულ ნარევს).

ტყემალს აწერდნენ შემდეგ თვისებებს: „ტყემალი გრილია და რბილი და რომელიცა მკავე არის ისი უსქე არის და წყურვილი მოკლას ზაფრა დასვას, და რაც ტყემალი ტკბილი იყოს სტომაქი და გული დაალობს, და ხმელი ტყემალი პირშივა დაიჭიროს წყურვილი მოკლას, ტყემლისა კამასა ნედლი ხილი არ უნდა კამოს“.<sup>1</sup>

**ტყიურა** — *Гладыш*, *Дикий копер*, *Laser trilobum* (Lacq.) Borkh. (= *Siler trilobum*), Umbeliferae-ს ოჯახს ეკუთვნის.

მას აგრეთვე ზირას და კვლიავს უწოდებენ. ძველ ქართულ მედიცინაში იგი ცნობილი იყო აგრეთვე შემდეგი სახელწოდებებით: ყურდმანა, ხარატანი და ურტმანა.

სამკურნალოდ იხმარებოდა თვით მცენარე და მისი თესლი, რომელსაც ყურბი მონა ეწოდებოდა. ამ უკანასკნელის შესახებ „იადგარ დაუღში“ ვკითხულობთ: „ყურბი მონა ვითამცა და ტყიურა ბალახის თესლიო, ესე ტყიურას ბალახის თესლი მესამეს წილშივა მხურვალი და ხმელი არის ყოვლის გრილისა და ნედლის სენისათვის წამალი არის. სისხიანსა კაცსა რომე ან ასრე აკამოთ და ან მაჭუნშივა გაურიო და ისრე აკამოთ, მწოედ კარგი წამალი არის, ქარსა დაღწეს და გააგდებს. ციებასა და გრილს ხაფაყანსა. ორსავე არგებს...“<sup>2</sup>

იგი გვხვდება ყურის დაავადების შემთხვევებში ხმარებული პატრუქის შემადგენლობაში, დანაყილი ან ამის სახით მას აძლევდნენ ხველის და ხორხიდან სისხლის დენის დროს და სხვ.

ამჟამად ცნობილია, რომ ტყიურა შეიცავს გერანიოლის შემცველ ეთეროვან ზეთს, სამკურნალოდ არ იხმარება.

**უგრეხელი** — *Чечевича французская*, *Vicia ervilia* L. Willd (*Ervum ervilia* L.), Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის.

იგი ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ქუშნას და ბურჩაყის სახელწოდებებითაც გვხვდება. „ბურჩაყი ვითომცა ქუშნაო“, ანდა „ვინცა ბურჩაყი მოხარშოს ვითამცა და უგრეხელი ცერცვიო, რომე ქუშნას უძახიან“. მის შემდეგ ვკითხულობთ: „თვითონ მწარე არის, ძროხას აკმევენ, ესე ბურჩაყი მხურვალი და ხმელი არის, მკერდსა დაალობს, ფირტუსა არგებს

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 451.

<sup>2</sup> „იადგარ დაუღი“, გვ. 218.

და ხუელასა უშველის. კაცმან, რომე ამა ქუშნას ფქუილი პირზედა შეიცხოს კაცსა პირის ტყავსა და ელფერსა ორსავე გაუყეთებს და თუ კაცსა ან კორფლი და ან ლაქა აჩნია ორსავეს უშველის.

კაცმან, რომე ესე ბურჩაყი და შირლიდანი ერთად აურიოს და ისრე ქამოს მაშინვე შარდის გზასა გაუხსნის. გველის ნაცემსა კაცსა რომე ეს ქუშნა აქამონ, ან დანაყონ და ამისი წყალი გამოხადონ და ის ასეან, და დანაყილი ზედაც დასდვან, მაშინვე შხამს გააქარევენ. ბრაზიანის ძაღლის ნაკებენზედა, რომე დასცხონ და ან ამისი ტლე შემოსდვან, მაშინვე უშველის. ბოლო ამ ბურჩაყისაგან რომე კაცმან ან სევას ან ქამოს, ყოვლის კირისათვის მარგე და კარგი არის, მაგრამ სამი ღირჰამი უნდა სუას.<sup>1</sup>

უკვდავა — დანდური, Портулак, *Portulaca oleraceae* Portulacaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ეველ ქართულ სამედიცინო წყაროებში იგი შემდეგი სახელწოდებებით გვხვდება: კატკაცო, მსუქანა, თოხმაქანი, ურშათი, ფარფა — ჰანიია, ფარფინი, ხურევა, პამკა.

ა. მკაცრის მიხედვით უკვდავს ეწოდება აგრეთვე კერატი, ვალურია, ულურულე.

უკვდავს თესლს ბაკალთა ლამკას ან ბაკალთა პამაკანს უწოდებდნენ: „ბაკალთა-ლამკა რომელ არს უკვდავისა თესლი“.

სამკურნალო მიზნით ხმარობდნენ თვით მცენარეს, მის წყალს, ფოთოლს, თესლს.

მოხარულ და სათანადოდ შეზავებულ უკვდავს აქმევდნენ ავადმყოფებს თავის ტკივილის და სხვადასხვა ნერვული დაავადებების დროს. უკვდავს წყალს ასმევდნენ სიცხიან ავადმყოფებს. ზოგჯერ წამალს უკვდავს წყლით აძლევენ: „ახლად გახსნის მუცელსა, როდის სევას უკვდავს წყლით“<sup>2</sup>.

საერთოდ ძველ ქართულ მედიცინაში უკვდავა ფართოდ არის გამოყენებული. თუ კიდევ რა დანიშნულებით იხმარებოდა ეს მცენარე ამას შემდეგი ამონაწერები გვიჩვენებს: „თოხმაქანი, ვითამცადა მსუქანა ბალახიო, გრილი და ნელლი არის, გულსა, ღვიძლსა და სტომაქსა სამსავე კარგად უზამს და მწოედ მოუგრილებს და ძალსა მისცემს. კაცმან, რომე ესე თოხმაქანის თესლი დანაყოს და დოღბანდის ნაქერშიგა გამოჰქრას და წყალშიგა დააღბონ და ამისი წყალი ავადმყოფს ასუან, და ამისავე ფურცელისავე ტლეცა შემოსდვან, მაშინვე სიცხესა და სიმხურვალეს დაავსებს და გაუგდებს, და კაცსა მაშინვე შარდზედა გახსნის, სისხლს და საფარსა, ორსავე მოჰყვეთს და გააცულებს, და ყოვლისა მხურვალისა სენისა აქიმი და გამორჩეული წამალი არის ცხელებისა, სენებისა და ხაფაყანისა“<sup>3</sup>.

„თოხმაქანის რძე იარყანისათვის მწოედ კარგი არის, რომე ცოტა შაქარი გაურითს და სევას“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „იალიგარ დაუდი“ გვ. 169.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 70.

<sup>3</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 131.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 391.

**უზანი** — *Ка.шша черная, Viburnum lantana L. Caprifoliaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ამ მცენარის მერქნისაგან გათლილი ჯოხი იხმარებოდა მოსარევად წამლების მოხარშვის დროს: „აიღე მწარე ღვინო ათი ლიტრა, თუთუბა გატყავებული, ნახევარი ლიტრა, ესე ყუელა მაგა ღვინოსა შიგან ჩადევ რომე კარვად დალბეს, მერე წყნარადა ცეცხლითა აადღულე და უზანის შემით გაურევით და როგორცა ნახევარზედა მოდგეს...“<sup>1</sup>

ამ გვარის სხვა სახეობანი — *Viburnum opulus L.* — ძახველი, ჭახველი და *Viburnum Prunifolium* — შესულია სახელმწიფო ფარმაცოპეის VIII გამოცემაში. მისი ქერქის გამონაწველილი იხმარება, როგორც სპაზმების საწინააღმდეგო, დამამშვიდებელი და სისხლის დენის შემაჩერებელი საშუალება.

**უზანლული** — იხ. მარიამ საკმელა.

**ულბო** — შამბალილა, *Шамбала, Треуголка, Trigonella foenum graecum L. Leguminosae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში ეს მცენარე შემდეგი სახელწოდებებით გვხვდება: ულბოთა, შამბალილა, პილთენი, ულბოს თესლს ბოი ეწოდებოდა.

სამკურნალოდ იხმარებოდა ულბოს თესლი, ზეთი, წვენი, ფქვილი, წყალი და სხვ.

ბოი, ანუ ულბოს თესლი სხვადასხვა დანიშნულებით იხმარებოდა: „ესე ბოი მოხარშოს კაცმან და ქამოს და სიმსივნეზედაც დაიდვას, მაშინვე სიმსივნესა დაჰფანტავს და დააცხრობს და ფირტუსა ბალმისაგან გასწმენდს, გულისა და გუამიდალმან ქარსა გაუგდებს“.

„უინცა ამა ბოის ერბო გამოჰხადოს და პირზედა შეიცხოს, პირის სიუთღესა და კორფლსა ორსავე გარდიყუანის“<sup>2</sup>.

ულბოს თესლიდან მომზადებულ წამალს თვალის ზოგიერთი დაავადების დროს თვალში აწვეთებდნენ ავადმყოფს.

ულბოს ფქვილიდან მომზადებულ მალამოს ხმარობდნენ შესივებულ ადგილზე წასასმელად. ულბოს დიდი რაოდენობით მიღებას არ ურჩევდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მას შეეძლო შარდის შეკავების გამოწვევა. მედიცინაში ახლა ულბო იხმარება კიებით დაავადების სამკურნალოდ.

**უნაბი** — *Китайский финик, Zizyphus sativa Gaertn, Rhamnaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება.

სამკურნალოდ იხმარებოდა უნაბის ფოთოლი, ნაყოფის წვენი, შარბათი და სხვ.

უნაბს ფართოდ ხმარობდნენ ძველ ქართულ მედიცინაში, უსიამოვნო წამლის მიღების შედეგად თუ ავადმყოფს აზიდებდა, ურჩევდნენ უნაბის ფოთოლი კევისავით დაედეკა. უნაბს სხვადასხვა მიზნით უნიშნავდნენ: „უნაბი სისხლს დაწმენდს. ღვიძლს არგებს, და კაცსა გახსნის. სურდოსა, სურავანდსა და ხველასა სამსავე მწოედ არგებს, და საფარსა და სიმშურვალესა გააქარვებს“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „უწირო კარაბაღინი“, გვ. 163.

<sup>2</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 167.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 263.

უნაბი გვხვდება სხვადასხვა მათბუხების, შარბათების, შარაბების შემადგენლობაში. მათ უნიშნავენ სხვადასხვა ნერვული დაკადებების, განსაკუთრებით თავის ტკივილების შემთხვევაში.

თაქედის დროს ხმარობდნენ უნაბის ფხენილს, უნაბი იხმარებოდა ხველსა და საერთოდ ფილტვების დაავადების საწინააღმდეგოდ. ხმარობდნენ აგრეთვე თირკმლების დაავადების სამკურნალოდ.

განსაკუთრებით სშირად იყენებდნენ უნაბის შარბათს, რომლის შესახებ წერდნენ: „უნაბის შარბათის ხასიათი გრილი და ნედლი არის, სიცხისა და სიმტურვალისათვის მწოდ კარგი არის, სისხლსა დასწმენდს და საფრას დაავსებს. კაცსა რომე სისხლისა და სიმტურვალისაგან თავი სტკიოდეს, და ამა უნაბის შარბათი ასეა, თავისა და საფეთლების ტკივილსა უშველის.“

კაცსა რომე ხველა სჭირდეს, მისთვის მწოდ კარგია. გულსა და მკერდსა დაულობს. კაცსა რომე ხაფაყანი სჭირდეს, ხაფაყანსა, მწოდ კარგად უზამს. კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს, მაშინვე გახსნის, მუცელსა და წელსა. გულსა და სტომასსა დაულობს და გულსა უკუპყრის. სურდოსა და სურაყანდისათვის მწოდ კარგი არის. ყუავილიანსა, ცხლებიანსა, სნებიანსა და იარაყინანსა კაცსა რომე ამა უნაბის შარბათი ასეათ, ოთხსავე კარგად უზამს.

კაცსა რომე სიმტურვალისაგან ტანზედა ჰყრიდეს. მისთვის მწოდვედ კარგი არის და ყოველსა მტურვალესა სენსა არგებს, მაგრამ მწოდ გამხსნელი არის.“<sup>1</sup>

ჩვენს დროში უნაბს ასეთი ფართო სამკურნალო დანიშნულება არა აქვს. მისი ნაყოფი საკმელად იხმარება. ფესვების ქერქს აღმგზნებ, ხოლო ფოთლებს კი ტკივილდამაყუჩებელ საშუალებად იყენებენ.

უპანი — იხ. საკბინაჯი.

ურთხელი — უთხოვარი, Тисс, Негни; дерево, *Taxus bacca* L. *Taxaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

გავრცელებულია საქართველოს მთის შუა სარტყელის ტყეებში. განსაკუთრებით კარგად არის გადარჩენილი პანკისში, ბაწარას ხეზე.

ძველად საქართველოში იხმარებოდა ურთხელის ხილი, რომელიც შედიოდა ცხვირში ხორკმეტის სამკურნალო მალამოს შემადგენლობაში: „თუ ცხვირშიგა დართული შეეკმნას. ნასორი ქუიან, აიღე: ურთხელისა ხილი და ლელუი ისრე რომე ორი წელი ლელუი იყოს და ერთი წელი ისი ხილი, დანაყე მალამავითა შექენ, და პატრუქითა ცხვირში შეიდეე.“<sup>2</sup>

ურთხელის თესლი და წიწვები შხამიანია და ამჟამად მედიცინაში სამკურნალო მიზნით არ იხმარება, ცნობილია, რომ მისი წიწვები და თესლები შეიცავს ალკალოიდებს ტაქსინს და მილოსეინს, გლუკოზიდს — ტაქსიკანტინს.

ა. ო. იაშვილის მიხედვით ამ მცენარის წიწვებსა და თესლს ძაღლებისა და თაგვების მოსაწამლად ხმარობდნენ.

ურტი — Богородская трава, тимьян, *Thymus serpillum*, *Thymus vulgare* Labiatae-ს ოჯახს ეკუთვნის.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 606.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 228.



ძველ ხელნაწერებში ურცს შემდეგი სახელწოდებებითაც ვხვდებით: ურ-  
ცელი, უ.ოტი, სისანბარი. ზოფა, ამამა, ქონდარა.

ა. მაყაშვილის მიხედვით საქართველოს სხვადასხვა ადგილებში მას ბეგ-  
ქონდარას და ბუქნასაც ეწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ ზოგი მონაცემის თანახმად  
ზოფა ანუ ზოფა უსუპის ყვავილსაც ეწოდებოდა. ზოგჯერ სისანბარს „ქათ-  
მის ქონს“ უწოდებდნენ. „იალიგარ ღაუღში“ გვხვდება შემდეგი აღგილი: „სი-  
ნანბარი ქათმის ქონი“.

სამკურნალოდ იხმარებოდა ურცის ფოთოლი, თესლი, წყალი, ზეთი. ურცის  
წყალს ტკივილის დამაყუჩებელ თვისებას მიაწერდნენ და მას ასხამდნენ მტკიე-  
ნეულ ადგილზე. ზოგიერთი ავადმყოფობის შემთხვევაში უკეთებდნენ ურცის ნა-  
ხარშის ოყნას იმ შემთხვევაში თუ ავადმყოფს: „წყალი პირიდან დია სდიოდეს  
და ხორბი დია სტკიოდეს, და საქამალსა კირით ჩანთქმიდეს...“<sup>1</sup> ურჩევდნენ,  
რომ „შეგბარითა ლეღვითა და ჩამიჩითა და ბავრუკითა უზმომან იალარააროს  
და ბაბუნაი აქლილაიმალაქი და მარზანგოში და სისანბარი წყლითა შეაგბოს, და  
ბუხარსა მისსა პირი მიუტყარას, და პირი აღრინოს რომელ ხორბთა ჩაუხდეს,  
და სქელი სინედლე გაადნოს.“<sup>2</sup>

ურცს უნიშნავდნენ, როგორც ამოსახველებელ წამალს; იგი შედიოდა  
თაფლით შეზედილ წამლის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა, რო-  
გორც შინაგანი საშუალება, გულის დაავადების შემთხვევაში. მის ნახარშს  
აძლევდნენ სისხლიანი ფაღარათობის დროს.

ურცი შედიოდა თირკმლების ტკივილის დროს გარედან დასადებ წამ-  
ლის შემადგენლობაში.

თიაქარის შემთხვევაში ურცის ნახარშს ადებდნენ ცხელი საფენების სა-  
ლით. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ურცით თავს იბანდნენ, თავის ტკივილის  
პროფილაქტიკის მიზნით. აღნიშნულს გარდა, ურცი მთელ რიგ სხვა შემთხვევებ-  
შიც ფართოდ იყო გამოყენებული.

სსრ კავშირის ფარმაცოპეაში ურცი შესულია, იგი შეიცავს ეთეროვან  
ზეთს, იხმარება ამოსახველებელ საშუალებად და არომატული აბაზანებისათვის.  
იხმარება თიმოლის მისაღებად. ურცის ფოთლებიდან მზადდება პრეპარა-  
ტი „პერტუსინი“.

**უშხუნი** — იხ. ტყემალი, რევანდი და მყაუნა.

**უძოვარა** — Купальница, Trolius, Ranunculaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.  
უძოვარის თესლს არმელი ეწოდებოდა.

სამკურნალოდ იხმარებოდა უძოვარის თესლი, ანუ არმელი. იგი შედიოდა  
კანის დაავადებების (სირსველის, მღიერის, მქავანის და სხვა) საწინააღმდეგო  
მალამოების შემადგენლობაში.

უძოვარი გვხვდება ყურის ტკივილის და სმენის დაქვეითების დროს ხმარე-  
ბულ ჩასაწვეთებელი წამლის შემადგენლობაში.

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოი“, გვ. 152.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 153.

ფალთენ-ხეპასია — იხ. ბალბა.

ფარიავშანი — იხ. აბზინდა.

ფარისიარშანი — იხ. სუმბული.

ფარფარა — იხ. კატაბალახა.

ფარფაშანი — იხ. უკვდავა.

ფარფიონი — იხ. რძიანა.

ფატრასალიონი — იხ. ოხრახუში.

ფეტვი — *Proso обыхноушенное, Panicum miliaceum L. Gramineae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

იხმარებოდა ფეტვის ფქვილი, პური, ბოზიღინი, რომელიც ფეტვისაგან დამზადებულ სასმელს — ლულს წარმოადგენდა.

ფეტვს შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ:

„ფეტვი პირველსა წილშიგა მხურვალი და ხმელი არის. კაცმან ამა ფეტვის ფქვილი რაგინდა რა სიმსიენეზედა დაიდვას, ყოვლსა სიმსიენესა დააცხრობს და გააცუდებს. მეტადრე მაშინ, რომე კაცმან ეს ფქული ან ვარდის კაჰაჰისა წვენითა და ან ძაღლის უურძენას წვენით მოზილოს და ისრე დაადვას. მავრა ანის ჰური უბარაჰო არის. და სისხიანსა კაცისათვის ფეტვის პური მწოედ კარგი და მარგე არის, რომე სისხიანმა კაცმან ჰამოს, სუსტსა ასოებსა ძალს მისცემს უკანას კარის გატეხასა, ზიდებასა და უკანა კარის გამოქცეეასა საშაე უშველის.“

ამისივე ბოზა გრილი და ხმელი არის, სტომაქ მხურვალსა კაცსა და მხურვალსა სენსა ყუელსა კარგად დაშუნდების და არგებს<sup>1</sup>.

სთვლიდნენ, რომ ფეტვი შემკვრელად მოქმედებს და მის ნაწარმსაც ამ მიზნით ხმარობდნენ. ასე მაგალითად, „ფეტვის პური რომე სისხიანმა კაცმა ჰამოს მწოედ კაი არის“<sup>2</sup>.

ფიჭვი — *Сочна, Pinus silvestris Abietaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ჩვენში ველურად არის: *P. Sosnobcky* (პირველთან ახლო მდგომი); *P. pithyusa stev.* და *P. eldarica Medw.*

ეს მცენარე ძველ ქართულ სამედიცინო ნაწერებში ხშირად არის მოხსენებული. სამკურნალოდ იყენებდნენ მის თესლს, რომელსაც ბაზრუთი ეწოდებოდა. იხმარებოდა უმთავრესად მისი წებო, ანუ გომიზი, რომელსაც რათიანა ან რათიანაჯი ანდა მდენარე რათიანი ეწოდებოდა. იგი გამოედინება მცენარის დასერილ ადგილებიდან და სკიპიდარის ტიპის ზეთს წარმოადგენს. ძველ სამედიცინო ტექსტებში გვხვდება ყათრანი და წერი; საფიჭვებელია, რომ ორივე ეს სიტყვა ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარებოდა და ფიჭვის გომიზს, ანუ ფისს ერქვა. ყათრანი, ანუ წერი იგივე სკიპიდარის მაგვარი ზეთია, მხოლოდ გამშრობის და დაჟანგვის შედეგად გამავრებული.

სამკურნალოდ იხმარებოდა აგრეთვე ფიჭვის ფოთოლი, ანუ წიწვი, თესლი, რომელსაც ეწოდებოდა ბაზრუთა და ფიჭვის კაკალი, ხშირად იხმარებოდა ფიჭვის კევი, რომელიც იგივე ფისს წარმოადგენს.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბაღინი“, გვ. 436.

<sup>2</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 169, 170.

რათიანას იყენებდნენ ზოგიერთ დაავადების სამკურნალოდ. ასე მაგალითად. დამბლით დაავადების დროს „რათიანსა, რომელსა ჰქვიან მდინარე და კეცსა რომელსა ჰქვიან ალაქი, და უგულო ჩამიჩსა ცოხნიდეს ერგების“. „მდინარე რომელსა ჰქვიან რათიანა, ყოველი ჰავანსა ჩაყაროს და ტფილი წყალი გაპრიოს და წმინდად გაგალოს და მალჰამად შექნას, და მიწყით ბუშტსა მუხით შემოსდებდეს.“

ძეძუს ტკივილის სამკურნალოდ ხმარებულ მალამოში შედიოდა ფიქვის გომიზი, რათიანას ურევდნენ იმ მალამოს შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა შესიებულ ადგილზე წასასმელად. იგი ითვლებოდა მეტად კარგად მოქმედ წამლად:

„ესე დაადნობს ყოველსა სიმსივნესა, რომელი იყო ტანსა შიგა და არა არს ამას შიგა საეჭუი“.<sup>1</sup>

ამის გარდა, ფიქვის გომიზი შედიოდა სხვადასხვა მალამოების შემადგენლობაში. მათ ხმარობდნენ „მელის და გველის“ დაავადების, მღიერის და მთელ რიგ სხვა დაავადების შემთხვევებში.

ფიქვის გომიზი, ანუ ფისი, რომელსაც ყათრანსაც უწოდებდნენ, გვხვდება ყურის ტკივილის დროს ხმარებულ ჩასაწვეთებელ წამლების შემადგენლობაში: „ყათრანი ვითომცა ფიქვის დღვილიო, მხურვალი და ხმელია, ვინცა თბილ თბილი ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი ეშველოს, და თუ შიგნიჲ კია ან მატლი ასხია დახოცოს“.<sup>2</sup>

ფიქვის ფისი გვხვდება კბილის ტკივილის დროს ღრძილებზე წასასმელ წამლებში, მას ხმარობდნენ აგრეთვე ხელფეხის მოყინვის დროს.

ფიქვის ფისი იხმარებოდა სამკურნალო აბაზანებისათვის.

ფიქვის კეცს იგივე ფისს შემდეგი დანიშნულებითაც იყენებდნენ: „ეზცა ფიქვის კევი წამხდარსა ფრჩხილზედა დაიდვას და შეიხვიოს, იმა ფრჩხილსა წააგდებს და სხვა კაის ფრჩხილსა ამოიყუანს“.<sup>3</sup>

ა. თ. იაშვილის მიხედვით ფიქვის კევისაგან მზადდებოდა წებოვანი სალბუნი — იახო, რომელსაც ხმარობდნენ ნეკნების მოტენილობის დროს. სალბუნი შრებოდა ჯა ისე მაგრდებოდა, რომ დროებით სპობდა მოძრაობის საშუალებას.

თანამედროვე მედიცინაში იხმრება ფიქვის კვირტები, წიწვები, ფიქვის კუპრი, ფისი, სკიპიდარი და სხვ.

ფუთანაჟი — იხ. ცერცვი.

ფუთფუთას ხე — *Кассия, Cassia medicinalis* Bisch, Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის. მისი ფოთოლი ეგრეთ წოდებული მექური ფოთოლი, ალექსანდრული ფოთოლი სხვა ქვეყნებიდან შემოქონდათ.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში გვხვდება: „სინა მაქი ბალახია —

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 350.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 302.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 513.

მაქით მოვა<sup>1</sup> „სინაი-მაქი ვითომცა და ფუთფუთას ხის ფოთოლიო“<sup>2</sup>. ფუთ-ფუთას ხის ფოთოლი უმთავრესად იხმარებოდა, როგორც საფაღარათო. კუქის გაწმენდის მიზნით, უნიშნავდნენ ფუთფუთას ფოთლის და სხვა მცენარეებისა ნახარშის ოყნას, მიაჩნდათ, რომ იგი შემდეგი სამკურნალო თვისებებით ხასიათდებოდა:

„სინაიმაქი, ვითამცა და ფუთფუთის ხის ფოთოლიო. ესე სინაიმაქი... მხურვალი და ხმელი არის, ყოვლის გრილისა სენისა და მეტადრე სევდისა სენისა აქიმი და გამორჩეული წამალი არის, და ყოვლსა ვრილსა და ნედლსა სენსა კარგად უზამს, და სევდასა ორსავე გააქარეებს და ადგილადლმან მოხეტქს, და კაცსა რომე სიგრილისაგან თავი სტკიოდეს და ესე ფუთფუთას ხე სანდალსავით გალესოს ძმრითა და ვარდის წყლითა, და მტკივანსა თავზედა შესცხონ, მაშინვე თავის ტკივილს უშველის. ამას გარეთად ცივებისა, სისხნისა და სოკოსა და გრილის ხაფაყანისა, ყუელასი გამორჩეული წამალი არის. რომე ან ამისი შარბათი ასევე და ან გალესონ და ტლედ შემოსდენ, მაშინვე ტკივილსა სიმსივნესა უშველის“<sup>3</sup>.

მაგრამ ამასთანავე ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის“ მიხედვით სინაიმაქი ეკუთვნის იმ შხამიანი მცენარეების რიცხვს, რომელთა ხმარება ზომიერად უნდა და ზედმეტი მაწყინარად ითვლება.

ამჟამად ცნობილია, რომ ალექსანდრული ფოთოლი ღიდმნიშვნელოვანი საფაღარათო საშუალებაა. სხვა საფაღარათო საშუალებებთან შედარებით ეს უკანასკნელი მოქმედებს ნაზად და უმტკივნელოდ, კუქის მძიმე დაავადებების დროსაც კი. გარდა ამისა იხმარება ამ ხის ნაყოფიც — ალექსანდრული პარკი. ახლა ამ მცენარის გაშენება ხდება სუბტროპიკულ რაიონებში. ფარმაკოპეაში შეტანილია მისი ფოთოლი.

ფურჩაყი — იხ. ცულისპირა.

ფუსტული — ფსტა, ბუსტული, ფისტა, Фисташка настоящая, Pistacia vera L. Anacardiaceae-ს ოჯახს ეკუთვნის. მის თესლს ასი სარხაზს ან ყუზღუნოთს უწოდებდნენ. ვხედებით ასეთ განსაზღვრას: „მოითანე ასი სარხაზ რომე ყუზღუნოთი ქუინ“<sup>4</sup>.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროების თანახმად ამ მცენარეს ხმარობდნენ საქმელად და სამკურნალოდ. სამკურნალო მიზნისათვის უმთავრესად იყენებდნენ ფუსტულის თესლს, ზეთს და ქერქს.

ძველი ავტორები სთვლიდნენ, რომ „ზეთი ფუსტასი ზროხისა ერბოსა და ქუნჯითის ზეთსა სჯობს, ლუიძლსა და თირკმელსა არგებს რომე შეკურით იყოს, მას არგებს და გახსნის, სტომაქს კარგად მოუხდების“<sup>5</sup>.

შარდის შეუკავლობის დროს ფუსტულის ზეთით უკეთებდნენ ოყნას.

ფუსტულის ზეთს ხმარობდნენ ზველის შემთხვევაში; გულმკერდის და

<sup>1</sup> ხელნაწერი Q 877, დაკულია აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

<sup>2</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 125.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 197, 198.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 423.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბაღინი“, გვ. 426.

თირკმლების ტკივილის დროს მტკივნეული მიდამოს დასაზღვლად. ფუსტულის თესლი კიის საწინააღმდეგო საშუალებად იყო მიჩნეული.

ფუსტულის ნაყოფი ძვირფას უშრობად ზეთს იძლევა. მას ძველ მედიცინაში ხმარობდნენ. ამ მცენარის ფოთლებზე ერთგვარი გალები ე. წ. ბუზგუნჩა ჩნდება. ისინი შეიცავენ 30—50% ტანინს, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს სამედიცინო ტანინის მისაღებად.

**ფუფალა** — *Пальма катеку, Areca catechu L. Palmaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ფუფულა ეწოდებოდა აგრეთვე ამ მცენარის კაკალს.

ძველი ქართული სამედიცინო წყაროებიდან ჩანს, რომ ფუფალა და ზემოთ უკვე ნახსენები სანდალი მსგავს სამკურნალო თვისებების მქონე მცენარეებად იყო მიჩნეული: „თეთრი სანდალი და ფუფალა ორივე ერთისა თაბიათისანი არიან, და ერთი ბუნებისანი, ორივე გრილი და ხმელი არის, ვინცა ესე სანდალი და ფუფალა ან ვარდის წყლითა და ან ძმრითა გალესოს და სიმსივნეზედა დაიცხოს რაცა სიმსივნე სიმხურვალისგან არის უსათუოდ უშველის და სისხნისათვისცა სმა და შეცხება ორივე კარგი არის“<sup>1</sup>.

ფუფალა ანუ ფუფულა შედიოდა გულის ტკივილის დროს გარედან დასადებ წამლის შემადგენლობაში: „აიღე ფუფული, მამისა, მამირონი ჩინი, ფაჩრდარბანდი სწორ სწორ წურილად დანაყე და ქერის ფქვილი ცალი პევეში ესე ერთმანეთსა გაურივე და გულსა ტლედ შემოსდეგს“<sup>2</sup>.

გარდა ამისა, ფუფალა თვალისა და კბილის დაავადების მკურნალობისათვის იხმარებოდა: „ფუფულსაცა ამავე თეთრის სანდალისავე ხასიათი აქუს ყოველსა სენსა, და საქმეზედა, თვალის წვისათვის, თვალის სიმსივნისა და ქავილისათვის და თვალის ტკივილისათვის მწოდე კარგი და აქიმი არის, რომე კაცმან ეს ფუფალი ვარდის წყლითა გალესოს და შეიცხოს, და თვალშიგაცა გამოივლოს, და კაცსა კბილსაცა მწოდე დაუმაგრებს, რომე ესე ფუფული დანაყონ და ზედა დაიყარონ“<sup>3</sup>.

ახლა ცნობილია, რომ ამ პალმის თესლი შეიცავს ალკალოიდ არეკოლნს. იგი თანამედროვე მედიცინაში თვალის სნეულების მკურნალობის დროს იხმარება.

ტიბეტის მედიცინაში ამ პალმის თესლი ქიების საწინააღმდეგოდ იხმარება.

**ფშატი** — *Лох, Elaeagnus, Elaeagnaceae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში გვხვდება აგრეთვე მისი შემდეგი სახელწოდებები: ფშატი, სინჯიტი, ლაფიტი, ყაფიტი, მირონის სუნელი, მირონის ხე.

ძველ ავტორებს მიაჩნდათ, რომ: „ფშატი გრილი და ხმელია სტომაქსათვის კარგია და მუცელსა შეჰკრავს“<sup>4</sup>. იხმარებოდა ფშატის შარბათი — „ერგების სიმხურვალესა ღვიძლისასა და ცხორსა რომელი შეემთხვევის სისხისაგან და თავქედინათა და ვის გამოჩნდეს ტანსა ვარდი ბუგრი, ვის შეექმნას პირსა სიწითლე და გაუფიცდეს წყურვილი ესე სასმელი დააყუდებს სისხლსა შეწვეითა ღთისათა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 405.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 283.

<sup>3</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 209.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 456.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 96.

„იადიგარ დაუღში“ ფშატის სამკურნალო მიზნით გამოყენების შესახებ სწერია: „ფშატი გრილი და ხმელი არის, კაცსა რწყევასა უკუუგდებს და ხველისათვის მწოედ კარგი არის, კაცის გულსა და სტომაქსა ძალსა მისცემს, ტანისა და ასოდაღმან კაცსა სისუსტესა გაუგდებს, წელებისა სენსა და მსხმონა უშველის და გამთელებს. კაცი, რომე გახსნით იყოს და ან სისხლზედა იარებოდეს და ესე ფშატი ქერქითა ქამოს, სისხლსა და ყუანასა ორსავე უშველის და მაშინვე შეჰკრავს. მაგრა კაცისა სტომაქშივა გვიან დადნების და კაცისა სტომაქი ვერ მოიშთუნს. და თუ ფშატმან კაცსა აწყინა, ამის წამალი და მშველი შაქარი, ტკბილი საქმელები და ტკბილი შარბათებია“.<sup>1</sup>

თანამედროვე მედიცინაში ფშატის ნაყოფი იხმარება, როგორც შემკვრელი საშუალება.

ფხუ — იხ. კატაბალახა.

ქაბაბა-ქუბაბა — *Kyბეა, Piper cubeba L. (=Cubeba officinalis Raf.)*, Piperaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

„სამკურნალო წიგნისათვის“ ღართულ ლექსიკონში ამ მცენარის აღსანიშნავად პროფ. ი. აბულაძის მიერ მოცემულია აგრეთვე ფალანჯა. ზოგ წყაროებში ვხვდებით სახელწოდებას ქაბაბი ჩინი, ე. ი ჩინური, ეს მცენარე იხმარებოდა ღრძილების ტკივილის სამკურნალოდ: „ეინცა ქაბაბი ჩინი კევსავით ღეკოს, რაცა კბილის ძირშივა მანკი და ელათი იყოს, ყუელა გააქარვოს და ღძილი ამოიყანოს, და სული გაუგდოს“.<sup>2</sup>

ქალბანა — იხ. საქპინაქი.

ქალქანა — იხ. დვალო.

ქამენია — იხ. გვირილა.

ქარვია — იხ. ნიახური.

ქარსა — იხ. პრასა „ქარსა და განდანი პრასა არის“.

ქარქვეტა — *Гипомадрум, Hippomaratum crispum (Pers) C. Koch.* Umbelliferae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ქარქვეტა გაბაონის სახელწოდებითაც გვხვდება: „აკირკარა-გაბაონის ძირია და ქართულად ქარქვეტა ჰქუიან“.<sup>3</sup>

რ. ერისთავის ქართულ-რუსულ-ლათინურ ბოტანიკურ ლექსიკონში ქარქვეტა შემდეგნაირად არის განმარტებული: ბურბურა, ფარქვეტა, Карквета, *Cachrys crispa Pers. Heracleum L. Cachgrys dubia.*

ქარქვეტას სხვადასხვა ნაწილებს გარკვეული სახელები გააჩნდათ: „ფოვა-სა—რომელ არს ქარქუტის ყვაილი“, აკარკარაი ქარქუტას ძირი არის“. „... მეკლები ქარქუტას ძირი“, „იშაი, რომელი არს ფურცელი ქარქუტისა“. სამკურნალოდ იხმარებოდა მცენარის ნაწილები. მათ შემდეგი დანიშნულებით იყენებდნენ:

<sup>1</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 193.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 316.

<sup>3</sup> ხელნაწერი Q 877, დატულია აკად. ს. ქ ა ნ ა შ ი ა ს სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

„რამე კაცსა კბილის ტკივილი დაემართოს ნახე ღრძილები თუ წითლად იყოს და უსივდეს... აილე ქაფური აფიონი და ქარქუეტას ძირი თუითოსა-გან—დანგი, წმინდად დანაყე, ვარდის ზეთითა შეზილე, თითითა ღრძილზედა დასდე და უშველის.“<sup>1</sup>

„თავის ტკივილისათვის, რომელსა დიად უხურდეს და მცირედ სტკიოდეს ესრე. შეიზავების: აილე საბრი და მასტაქი მამითი და აყირკარა ესენი თითო ნოტყალი მოგაღენ ძმრითა შეზილენ და საფეთქელსა დაჰკარ.“<sup>2</sup>

„მეკლები მხურვალი არს და ერგების მენჯთა ტკივილთა, როდეს შეასუსა დაფლწყალსა თანა.“<sup>3</sup>

როგორც ჩანს, ქარქუეტა ტკივილის დამაყუჩებლად იხმარებოდა.

ქანხი-ქაახინი — იხ. ვარდკაჰაჰა.

ქაქუნაჯი — იხ. ონტკოფა, ასკილი.

ქაჭოი — იხ. სალათა.

ქაფური — Камфорный лавр. *Cinnamomum camphora* Ness et Eberm. *Camphora officinalis*. ჩვენში იზრდებოდა შავი ზღვის ნაპირებზე, აქარასა და აფხაზეთში.

საბას „სიტყვის კონაში“ ქაფურის შესახებ ნათქვამია: „ქაფური ხეა, ინდოეთს დაჰკოდენ ქაფურს გამოიდენს“. ამ ხის მერქნიდან იღებენ ქაფურს. იველ ქართულ მედიცინაში იხმარებოდა: ქაფურის ზეთი. ქაფურის ყურსი ანუ კვერი, მალამო, შაფი. „ასოთა დაბუყების, რომელსა ჰქვიან არაბულად ხილი“<sup>4</sup>. დროს საკვიროდ მიაჩნდათ ქაფურის ზეთით დაზელა.

თვალის დაავადების დროს ურჩევდნენ, რომ: „...ქაფურისა თეთრი შაფი... ივალე შემოვლოს...“<sup>5</sup>

თავის ტკივილის დროს ქაფურიან წამალს ცხვირში აწვეთებდნენ, ხოლო თვით ქაფურს სასუნებლადაც აძლევდნენ. ფართოდ იხმარებოდა ქაფური ნერვული დაავადების დროს.

ფილტვების დაავადების დროს ხმარებული დასაზელი მალამოს შემადგენლობაში შედიოდა ქაფური. ქაფურის მალამოს შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: „ქაფურის მალამა. ამისათვის კარგი არის, კაცსა რომე ბაგე და ან ხელფეხი დაუსქდეს იმას უშველის, სოკოსა და ნოვასილისა რომე სისხლი სდიოდეს და ან ხორცი მოგლეჯილი ჰქონდეს, იმავ ორსავე უშველის და კაცსა რომე უჯანა კარი გამოექცეს და დაუსქდეს მისთვის მწოედ კარგი არის, და ცეცხლისა და მდურის დაწვისათვისაცა მწოედ კარგი არის“<sup>6</sup>.

საღამურის სამკურნალოდ ხმარობდნენ ქაფურის ზეთს.

ყველაზედ ხშირად ქაფური იხმარებოდა გულის დაავადების დროს: „— მისი წამალი ყურსი ქაფური შეუწყვეით... და ესე ყურსი ვაშლისა წვენითა შეასეთი“<sup>6</sup>

...  
...  
...

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 90.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 411.

<sup>4</sup> „წიგნი საქიმოი“, გვ. 90.

<sup>5</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 619.

<sup>6</sup> „უსწორო კარაბალინი“, გვ. 288.

ამჟამად ქაფურის ხისაგან ქაფურის ზეთს იღებენ. ქაფურის ხის ყველა ნაწილი შეიცავს ეთეროვან ზეთს და ქაფურს. ქაფური გამოყენებულია თანამედროვე მედიცინაში.

ქაქსირი — იხ. ონტოფა.

ქერი — Ячмень, Hordeum, Graminae-ს ოჯახს ეკუთვნის. მას ქრთილსაც უწოდებენ.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ქერი ბევრგან გვხვდება. იხმარებოდა ქერის ფქვილი. ქერისაგან ფლავიცი: მომზადებული საკმელი, ჭავავი, ე. ი. ქერის წვენი, ქაშაბი—ქერის ფაფა, ქაშქი—„წუნი ქერის კორკოტისა“; ანუ ქერის ლუდი და სხვა.

ქერისაგან ამზადებდნენ დიეტურ საკმელებს. მაგალითად. მისი ფაფით კვებადნენ ღვიძლით ავადმყოფებს. ქერის შესახებ წერდნენ: „ქერი გრილი არს და ხმელი არს. პირველსა დაჩაჩასა თუ დანაყოს და ქერქი შემოჰხადოს, მოხარშოს წყლითა შეიქმნების გრილი და ნელდი და მამუნე სნეულისათვის. მისი პური უფრო სუსტია იფქილისაგან და ხორცთა არას მატებს, მხურვალესა სენსა გასწმენდს. ქერის წყალი სჯობს ხუარბლის წყალსა. თეთრისა ქერისა კორკოტი. რომე არცა ძუელი იყოს არცა ახალი. აილე თორმეტი წონი წყალი და ერთი ქერი, და მანამდე აღუღე, რომე თხუთმეტისა წონისაგან ერთი დარჩეს. თუ კაცისა ბუნება ნელდი იყოს და ბალღმიანი, მას აკამე და კარგად მოუხდებოს. ასრე უბრძანებია დიდსა ბრძენსა ბაგრატ აქიმსა ვითა: ქერისა წყალმან წყურვილი დააწყნაროს და ცხელება გაასუბუქოს და გაწმინდოს და ფიცხლად გაიაროს. კარგია მარგებელი სნეულებისათვის და მთელისათვისცა“.<sup>1</sup>

თუ რა დანიშნულებით იხმარებოდა ქერი და მისი ნაწარმი, ამას შემდეგი აღწერები გვიჩვენებს. ყურის ტკივილს დროს ურჩევდნენ: „სელი და ქერის ფქვილი, ყუელა გაცრილი ღვდათა რძითა დაზილე და ყურის ძირსა შემოსდე და უშველის...“<sup>2</sup>

„ვინცა ესე ვარდის კაკუკი დანაყოს და ამისი წვენითა ქერის ფქვილი ტლედ ქნას, გულსა და სტომაქუდან გადააკრან, გულის ფეთქვას და გულის თრთოლას ორსავე უშველის. სიცხება და სიმხურვალესა უკუპყრის, რწყევასა უკუაგდებს და კაცსა მამინე მუცელშიგა შეჰკრავს“.<sup>3</sup>

კანის სხვადასხვა დაავადების დროს ტანზე წასასმელად იხმარებოდა ქერის ფქვილიანი მალამო — „... მუხუდოს ფქვილი, დანაყილი ენდრო და ქერის ფქვილი, ძალიანის მძმრითა და მარილითა გააყენონ და სრულად ტანზედა შეიციხონ“.<sup>4</sup>

სიცხიანი დაავადებებს და მთელი რიგი სხვა პათოლოგიური მდგომარეობის დროს ავადმყოფებს ძალიან ხშირად აძლევდნენ ე. წ. გამაგრილებელ სასწველს — ქრთილის წყალს (ქრთილი იგივე ქერია, საბას მიხედვით ქერი ეწოდება ამ მცენარის გაზაფხულის ნათესს, ხოლო ქრთილი — შემოდგომისას).

აღსანიშნავია, რომ ქერს ძველ ქართულ მედიცინაში სამკურნალო და საკვები მნიშვნელობის გარდა სხვა დანიშნულებასაც აძლევდნენ. ქერის მარც-

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 430.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 227.

<sup>3</sup> „იალიგარ დაუდი“, გვ. 178.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 524.



ლის წონა მიღებული იყო წონის ერთეულად და წამლების დამზადების დროს სამკურნალო საშუალებებს იღებდნენ ქერის მარცვლის წონის მიხედვით. მაგალითად, „აილე მუში ერთი ქერის წონი, კალიის თესლი და წახანელიქი — ორისა ქერის წონა...“<sup>1</sup>

ამჟამად სამკურნალოდ იხმარება ქერის ალაოს ექსტრაქტი, როგორც მოსაფენი და ამოსახველებელი საშუალება, მაგრამ იგი სსრ კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეის უკანასკნელ გამოცემაში შეტანილი არ არის.

ქინძი — *Кориандр, Кориаандр, Coriandrum sativum L. Umbeliferae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში ქინძს ხშირად ვხვდებით. სამკურნალოდ იხმარებოდა ქინძის თესლი, წვენი, წყალი.

სხვადასხვა დაავადებების დროს ავადმყოფებს ხშირად ურჩევდნენ ქინძით შეზავებული საქმლის ან შაქრით აზელილი ქინძის კამას, ან ცივ წყალში გახსნილი ქინძის სმას.

ქინძის წყალი ხშირად იხმარებოდა წამლების დასამზადებლად. თვალში ჩასაწვეთებელ წამლებს ქინძის წყალში ხსნიდნენ, ზოგჯერ თვალში ქინძის წყალს უწვეთებდნენ, სხვადასხვა მალამოს ქინძის წყალს ურევდნენ და სხვა.

ქინძს შემდეგ თვისებებს მიაწერდნენ: „ქინძი გრილი და ხმელი მესამე დარაჯაშიგა ნაზუქია, კარგი და სიხლსა დასწმენდს. და ქინძისა წყალი რძითა, რომე თვალი ეწოდეს და სტკიოდეს ჩაუშვან დაუამებს, რომე ძარღვებშია ცხლად იყოს მას ერგების და თავსა და ტანშიგა ცხლად იყოს და მძიმედ მას გამოიღებს. და ბევრისა კამა კუქუს აკლებს და პირშიგა თურქული ესხას, მას უშველის და თუ დანაყო და პურშიგა გაუროო და ხალშიგა და დამწვარსა დაადგა, და მატლსა უშველის. და ბოვასირი პირზედა ან სხვაგან, მისი თესლი ღვინითა და თაფლითა მოადღულო და შეასვა. და რაც ფერი ქირია ყველას გამოიღებს და გასწმენდს. თუ აწყინოს მისი ნიშანი ეს არის ენა ჩაუვარდების და თავს ტარაბუა დაესხას ამასვე ხავარტისა და მრავალძარღვას გამოწურვილი იქს“.<sup>2</sup>

ფართოდ იხმარებოდა ქინძის თესლი.

ა. იაშვილის მიხედვით ქინძით და კვერცხის ცილით აკეთებდნენ მალამოს წითელი ქარის სამკურნალოდ, ხოლო ცხვირიდან სისხლდენის შემთხვევაში მოხარშულ ქინძს ადებდნენ შუბლზე.

ქინძი ეთერზეთოვან მცენარედ ითვლება. ამჟამად სამკურნალო დანიშნულება არ აქვს. იხმარება პარფიუმერიაში. მისი ეთეროვანი ზეთის დიდი რაოდენობით შესუნთქვა თავის ტკივილს ან თავბრუს იწვევს მიუხედავად იმისა, რომ ეს მცენარე უსამიანად არ ითვლება.

ქონდარი — *Чандр садовыи, Satureja hortensis L. Labialae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

იგი სათანადო წყაროებში მარზანგომის სახელითაც გვხვდება. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“ მოცემულია განმარტება „მარზანგომი — ქონდარი არის“.

ქონდარი იხმარებოდა, როგორც საქმელი მწვანილი. ურჩევდნენ მის ცივ

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 20.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 441, 442.

დღეებში ხმარებას. ქონდარს შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: „მარზანგუში შინაურსა ქონდარსა ჰქვიან, მხურვალს და ხმელი არის... კაცი რომე ქარინი იყო და ბალამიანი კარგად მოუხდების და გუნება მხურვალსა კაცსა არ ექმების, მამაცობას მოუმატებს და თირკმელთა გაახურებს და ქვიშასა გასწმენდს. ღვინითა მოხარშო შემოსდვა უშველის ტყირასა. ღამითა რომე წყალი სდიოდეს მას უშველის.

თუ ხმელის თაფლითა შექამოს მუცელში ქიას მოჰკლავს და გამოიღებს თუ ქიისა წამალშიგა გაუროო ძალასა მისცემს, მუცელისა სიმსივნისათვის კარგია და საკმელსა მოანდომებს და ფსელსა მოუმატებს, და დედაკაცსაც ფსელსა მოუმატებს და თვალისა სინათლესა მატებს. თუ სივრცისაგან იყოს. თუ თვალის ტკივილი სიმხურვალისაგან იყოს აწყენს, გულის ტკივილს არაგებს თუ აქამო და ღასდვა“.<sup>1</sup>

ბოყინის დასაწყენარებლად უნიშნავდნენ ქონდარის გვარიანს.

კბილის ტკივილის სამკურნალოდ ურჩევდნენ: „პიტნაი და ქონდარი და აყირაყირაჰა ძმრითა აღუღოს და პირსა შიგან დაიჭიროს“.<sup>2</sup>

წელის ტკივილის დროს „ანისონი და ქონდარი და ძირაი წყლითა შეაგბოს და მიწყით მისსა წყალსა სმიდეს“.<sup>3</sup>

ქონდარის ცხელი საფენები იხმარებოდა მტკივნეულ ადგილებზე დასადებათ.

ცნობილია, რომ ქონდარი შეიცავს თიმოლის შემცველ ეთეროვან ზეთს.

ქოქი — იხ. მდოგვი.

ქრევესი — იხ. ნიახური.

ქუნარი — იხ. ყაყაჩო.

ქუნდუსა — იხ. მშხამა.

ქუნჯითი — იხ. შირბახტი.

ქურქუნჩობი — იხ. ტუნტი.

ქურათი — იხ. პრასა.

ღამზილი — იხ. ონტკოფა.

ღარე — იხ. დაფნა.

ღარისა — იხ. კულმუნო.

ღაფიტი — იხ. ფშატი.

ღვალო — ლოლო, Шавель кохляви, *Rumex obtusifolia* L. Polygonaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ღვალო გვხვდება აგრეთვე შემდეგ სახელწოდებებით: აველუკა, რევაჯი, რევასი, ქალქანა, ირსა. სამკურნალოდ იხმარებოდა თვით მცენარე, მისი თესლი, ძირი. ამ მცენარისაგან მზადდებოდა შარაბი, რუბი, მაჭუნი.

ღვალო იხმარებოდა საკმელში და სამკურნალოდ. სისხლიანი შარდენის დროს რევაჯის რუბი ეძლეოდა ავაღმყოფს სასმელად. რევაჯის შარბათი, როგორც მთავე სასმელი იხმარებოდა მძიმე დაავადების, დიდი სიცხის და თავის ტკივილის დროს.

ღვალოს შარაბი იხმარებოდა აგრეთვე პირში გამოაველებად. ზურგის ტკი-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 444.

<sup>2</sup> „წივნი საქიშოი“, გვ. 135.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 204.

ვილის და მთელი რიგი მოვლენების დროს. ასე მაგალითად, ღვალოს ფესვს, ანუ, რაც იგივეა, აველუკის ფესვს იყენებდნენ ისეთი დაავადების ღროს, რომლის შესახებ წერდნენ: „სენი არის, რომე ორთავე ბექთა შუა თევზივით ხორცი წაუწვების მისი წამალი: ... — აილე აველუკის ძირი დანაყე და ლუინით შეასუი და უშეულოს“.<sup>1</sup>

ღვალოს ხმარობდნენ აგრეთვე სიყვითლის სამკურნალოდ. „აილე შხამი და ირსა, რომელ არს ღვალო ძმრიე ბოტსნეული ამათაგანი თუითო ნაწილი, დაგაღლე და გაადგინე ძმრითა და თაფლითა და შეასუი სნეულსა მისგან დრამი კოვზითა ლოკით.... — და გამოიღებს გოინსა“.<sup>2</sup>

აქემად ცნობილია, რომ ამ გვარის სახეები შეიცავენ ვიტამინებს. *R. ab-fusifolia* შეიცავს ოქსიმეთილანატრაქინონებს, ქრიზოფონის მყავას. ხშირად იხმარება კანის დაავადების მკურნალობისათვის.

ღვია, ღვივის ხე — Можжевельник, *Juniperus communis* L. *Juniperus Oxicedrus* L. *Cupresineae*-ს ოჯახს მიეკუთვნება. იგი აგრეთვე გვხვდება გიის და ტვიის სახელით. ღვიის თესლს — არარი ეწოდებოდა — „არარი ლუი-სა თესლსა ჰქუიან“.<sup>3</sup>

ღვივის თესლის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „არარი — რომე ხშირად პირსაწავარდებოდეს, მისი ფურცელი დანაყოს და გულზე დაიდვას და მისი თესლი ფსელს შეკრულს გახსნის და მხურვალი არის“.<sup>4</sup>

ღვივის წყალი იხმარებოდა სხვადასხვა ტკივილის, კერძოდ წელის ტკივილების დროს: „ვიცა ესევე ჭორის ძუა დაჯეჰკოს და ღვიის წყლითა მოადულოს გაწუროს და თბილთბილისა ამა წყლითა ოყნა ქნას, თედოს და წელის ტკივილსა და ძველს ქარსა, ყუელას გაუგდებს“.<sup>5</sup>

ღვივის თესლი თავის ტკივილების დროსაც იხმარებოდა. სსრ კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეაში ღვია შესულია, მედიცინაში იხმარება ჩვეულებრივი ღვიის ნაყოფი და მისგან მიღებული ეთეროვანი ზეთი. ღვიის სპირტი და ნაყენი გამოყენებულია, როგორც შარდმდენი და არომატული საშუალება. საქართველოში ეს მცენარე გავრცელებულია.

ღმობი — იხ. ტირიფი.

ყადუნა — ჩადუნა, გვიმრა, Шитовник мужской, *Dryopteris filix mas* (L.) Schott. *Pelipodiaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

გვხვდება ნიკრისის სამკურნალოდ, დანაყილს და ძმარში გახსნილ ყადუნას ავადმყოფს მტკივნეულ ადგილზე ადებდნენ: „მოიტანე ყადუნა დანაყე და იმრით ტლედ ქენით და მტკიანსა ალაგზედა დაადევით და მაშინვე, ტკივილსა გაუშვებს და უშეულის“.<sup>6</sup>

გვიმრა გვხვდება აგრეთვე თმის გასახშირებელი წამლის შემადგენლობაში. ა. იაშვილის მიხედვით გვიმრას ფესვს ხმარობდნენ კიის საწინააღმდეგო საშუალებად.

<sup>1</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 326.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 237.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბაღი“, გვ. 462.

<sup>5</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 470.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 479.

გვიმრა გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში კავკასიონის წიფლნარებში კოლხეთის ელემენტების შემდეგ ტყეებში ბალახეული საფარი მდიდარია გვიმრით.

იგი უფრო ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოში.

ყამბილი — იხ. ონტკოფა.

ყარამფული — იხ. მიხაქის ხე.

ყასნი — იხ. საქპინაჭი.

ყაყაჩო—*Мак, Papaver somniferum L. Papaveraceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

სამკურნალოდ იხმარებოდა ყაყაჩოს ძირი, ფურცელი; ქერქი, ყვავილის ნაცარი, წყალი, ჰაბი, შარაბი, რთულ წამლებთან ყაყაჩოს გამონახარშს გავაშირქუნდენი ეწოდებოდა, თვითონ მცენარე ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში გვხვდება აგრეთვე შემდეგ სახელწოდებებით: გელინ ჭუგი, ხაშხაში, ნარქევა, ქუნარი, „ქუნარი ხაშხაში არს“.<sup>1</sup>

ყაყაჩო ფართოდ იხმარებოდა მკურნალობისათვის:

„...ამა ყაყაჩოს წყალი გამოსწურონ, ცოტა შაქარი გაურიონ და ასვან, მაწინვე სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს. გულსა და ღვიძლსა მოუგრილებს და უკუჰყარის.

კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს, ან სისხლზე იარებოდეს, ან სისხლსა არწყევდეს, იმას ყუელას უშველის და მოჰყუეთს, და მჭდომსა მეტისმეტად უშველის და არგებს.

ვინცა ყაყაჩო დანაყოს და მსივანსა ალაგზედა დაიღვას, სიმსივნე გააქარვოს. ვინცა ყაყაჩოს ქერქი კევსავით ღეჰოს, კაცსა რაგინდარა ძველი და ძნელი თავის ტკივილი სქირდეს ყუელას უშველოს... ვინცა ამისივე წყალი ცხვირშიგა ჩაიწვეთოს რაცა კაცისა თავსა, ტვინსა და დამლაშიგა სენი და ელათი ჰქონდეს ყუელა უქირველად გამოილოს, და სურავანდი ასრე, დაუჯარგოს, რომე მისთა დღეშიგან აღარ გამოჩნდეს“<sup>2</sup>.

„ვინცა გელინ ჭუგის ყვავილი და ან ძირი ვითამცა და ყაყაჩო დაქეჰკოს მონარშოს და თბილის ამისი წვენი ყურშიგა ჩააწურეთ, სიყრუვე და ყურის ტკივილი ორივე ეშველოს“<sup>2</sup>.

თვით ხაშხაში შემკვრელ, მისი წყალი კი გამხსნელ საშუალებად ითვლებოდა.

გარდა ამისა, ყაყაჩო სურავანდის, ხველის და უძილობის სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა: „ხაშხაში... სურავანდისა, ხველისათვის და უძილობისათვის სამისათვისვე მწოდე მარგე და გამორჩეული წამალი არის...“<sup>4</sup>

ყაყაჩო, როგორც ძილის მომგვრელი საშუალება ძალიან ხშირად იხმარებოდა, ამ მიზნით, ავადმყოფს ზოგჯერ საკმელში ჩაურევდნენ ხოლმე ხაშხაშს.

<sup>1</sup> „წიგნი საქიშოი“, გვ. 59.

<sup>2</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 160.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 300

<sup>4</sup> იქვე, გვ. 168.

ხაშხაშს ბავშვების დასამშვიდებლად და დასაძინებლადაც მიმართავენ. ფართოდ იყენებდნენ შავი ხაშხაშის რძეწვეცს, რომელსაც აფიონი ეწოდებოდა — „აფიონი შავი ხაშხაშის რძე არის“<sup>1</sup>. აფიონი ცნობილი იყო აგრეთვე თერიაყის სახელწოდებითაც.

იცოდნენ, რომ აფიონის (ამფიონის) ჭარბად ხმარება მაწყინარი იყო.

ამჟამად ცნობილია ყაყაჩოს მრავალი სახეობა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად და სამკურნალო დანიშნულების მქონედ *Paraver Somniferum L.*-ს თვლიან. მას თესავენ, როგორც სამკურნალო და ზეთოვან მცენარეს. სამკურნალო მნიშვნელობა აქვს მის რძეწვეცში არსებულ ძვირფას ალკალოიდებს, რომელნიც ინმარებიან, როგორც ტივილის დამაყუჩებელი, დამამშვიდებელი და ძირის მომგვრელი საშუალებები. მისი უმწიფარი ნაყოფი—კოლოფის რძეწვეცნი ჰაერზე აღვილად მაგრდება, იგი წარმოადგენს ამფიონს. ამფიონი—ყაყაჩოს წვეცი, ოცდაექვსამდე ალკალოიდს შეიცავს. მორფინს, ნარკოტინს, კოდეინს, პაპავერინს და სხვა. სსრ კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეიაში შეტანილია ამფიონი.

ყაყულა — იხ. ჰილი.

ყვავისჭანგა — იხ. ვარდკაჭაჭა.

ყრდელი — იხ. სალათა.

ყოტფი — იხ. კანაფი.

შავბალახა — *Пустырник, Leonurus cardiaca L. Labiatae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ეს მცენარე გვხვდება რთული შემადგენლობის შემკვრელი შარბათების შემადგენლობაში. ამ მცენარის ფესვების ნახარშს აძლევდნენ სისხლიან ფალარათობის დროს.

შავბალახას მწვანე ნაწილები შეიცავენ ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთებს, ინმარება გულის დაავადების დროს.

შამბალილა — იხ. კატაბალახა, ულბო.

შამიანდალი — კოლოქეინტი, *Коллеквинт, Citrullus colocynthis Schrad.* (= *Cucumis colocynthis*), *Cucurbitaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

შამიანდალი ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ხშირად გვხვდება. იგი ძლიერ საფალარათო საშუალებად იყო მიჩნეული და ამ დანიშნულებით ინმარებოდა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეიაში შეტანილია კოლოქეინტის ნაყოფი, ცნობილია, რომ იგი შეიცავს ფისს და გლუკოზიდებს. ინმარება, როგორც ძლიერი საფალარათო საშუალება, ქერქგაცილილი უთესლო ნაყოფების ნაყენი ინმარება პომეოპათიაში.

შანდაჯი — იხ. კანაფი.

შანგიარი — იხ. ლიმონი.

შაყაყული — იხ. დუყო.

შიბითი — იხ. კამა.

შინდი — შვინდი, *Кизил, дерен, Cornus mas L. Cornaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

<sup>1</sup> ხელნაწერი Q 877, დატულია აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება: ფოთოლი, რუბი ანუ სი-  
როპი, წვენი, ჭულაბი, მურაბა.

შინდი იხმარებოდა საქმელებში და გარდა ამის მას სამკურნალო დანიშ-  
ნულებითაც იყენებდნენ: „შინდი მესამე წილშიგა გრილი და ხმელი არის და  
მწოდ კაი და მაშუნე მკავე არის. კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს და ამა  
შინდის შეკამადი ჭამოს, მაშინვე მუცელშიგა შეჰკრავს, მეტადრე მაშინ რომე  
ესე შინდი კაცმან ცივად გამოჰხადოს და კარგად ნიორი ურიონ, სისხლს დას-  
წმენდს და დააწყნარებს.“

კაცმან რომე ან შინდის შეკამადი ჭამოს და ან ამ შინდის ჭულაბი სვას,  
გულსა და ღვიძლსა მწოდ არგებს და ძალსა და წყალს მისცემს და ყოვლსა  
სისხლისა და საფრის სიმხურვალესა არგებს და კარგად უზამს<sup>1</sup>.

შინდის ფოთლის წვენი თვალიდან ცრემლდენის საწინააღმდეგოდ იხმა-  
რებოდა: „ვინცა შინდის ფოთოლი დანაყოს და ამისი წვენი თვალშიგა ჩაიწვე-  
თოს თვალთა ცრემლის დენა უშველოს“<sup>2</sup>.

გარდა ამისა, შინდის ხის ქერქის ნახარშიდან დამზადებული სალბუნისებუ-  
რი მასა იხმარებოდა ჩირქგროვების სამკურნალოდ. შინდის ხის ქერქის ესენ-  
ცია იხმარება ჰომეოპათიაში.

საქართველოში ფარმაკო-ქიმიურ ინსტიტუტში პროფ. ი. ქუთათელაძის  
მიერ შესწავლილი იქნა შინდის და პანტის სამკურნალო თვისებები და შემუ-  
შავდა პრეპარატი „შვინანი“, რომელიც შემკვრელად იხმარება.

შინაური ია — სოსანი, Живокость, Delphinium Consolida L. Ranuncula-  
ceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ნაწერებში ეს მცენარე შირლიდინის სახელ-  
წოდებითაც გვხვდება: „შინაური ია რომე თათარნი სუსანს ეძახიან“<sup>3</sup>, „სუსანის  
ერბო ვითამცა შირლიდინის ერბო“<sup>4</sup>.

სამკურნალოდ იხმარებოდა ამ მცენარის ფოთოლი, ძირი, ზეთი, შარბათი  
და სხვ.

თუ რა თვისებებს მიაწერდნენ შინაურ იას, ამას შემდეგი ამონაწერები გვი-  
ჩვენებს: „სუსანის ერბო, ვითომცა და შირლიდინის ერბო, გრილი და ნელლი  
არის. კაცსა რომე ყელი სტეიოდეს, და ან ყელშიგა დასჯროდეს რამე მისთვის.  
ორისათვისე მწოდ კარგი არის, რომე კაცმან ამა სუსანის ტლე სამოსელითა  
სიმსივნეზე დაიდვას, სევდიანისა სიმსივნისათვის მწოდ კარგი არის, და ამა  
შირლიდინისაგან ან ორი ან სამი ღირჰამი მოათბოს, წყლითა გალესოს და  
სუას. და კაცმან, რომე ჭამოს, კაცს გაასუქებს...“<sup>5</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუღი“, გვ. 195.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 289.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 205.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 158.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 158.

„შირლიდინის ზეთი, ცოტად მხურვალი არის, გულსა და სტომაქსა დააღბობს, ყელის სიხმესა და სიმსივნესა უშველის, და ხუელისა და ზიყანაფასისათვის მრავალჯერ დაცილილი არის...“<sup>1</sup>

„ვინცა ორი დირამი შირლიდინის ზეთი თბილის წყლითა გააყენოს და თბილ თბილი ასვას, ზაფხუანისათვის მწოდ კარგი არის. ვინცა ესე შირლიდინის ზეთი და იასამანის ზეთი მოათბოს და ამაშიგა ხელსახოცი დაასველოს და თბილთბილი გულსა და სტომაქზედა გადაიკრან და ამა ტლევებშიგა ცოტა მუშკო და ზაფრანაც გაუროს, ისი სჯობს და ისრე შემოსდვან, გულის ტკივილსა და გულის თრთოლასა მაშინვე უშველის“.<sup>2</sup>

„სუსანი ვითამცა და შირლიდინო... ვისცა სევდისაგან სიმსივნე სჭირდეს ეს სუსანი ჯამოს და ზედაც შემოდვას; და ესე სიმსივნე გარეთ არის თუ შიგნით უსათუოდ ორსავე უშველის“.<sup>3</sup>

Consolida-ს სხვადასხვა სახეობები გვხვდება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ისინი სარეველა მცენარეებს წარმოადგენენ. მდიდარია ალკალოიდებით, ამ მცენარის პრეპარატები უმთავრესად იხმარება, როგორც ინსექტისიდები.

შირბახტი—ქუნჯუტი, Кунжут, Sesamum indicum L. (= S. Orientale L.). Pedulaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

რ. ერისთავის მიხედვით გუნჯუთი ეწოდება.

ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში მოხსენებულია აგრეთვე ქუნჯითის, შუშმის, სუზაბის სახელწოდებებით. გვხვდება თეთრი ქუნჯითი.

ეს მცენარე ბევრ ცხიმს შეიცავს. სამკურნალოდ იხმარებოდა ქუნჯითის, ანუ შირბახტის ზეთი. ამ ზეთს საკმელშიც ხმარობდნენ. სამკურნალოდ იყენებდნენ მის ფოთოლს და ფოთლის წყალს. ეს უკანასკნელი გვხვდება უმთავრესად თმის ცვენისა და ქერტლის წინააღმდეგ ხმარებულ თავის საბან წამლების შემადგენლობაში.

ქუნჯითს შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „ქუნჯითი შუშმაცა ამას ჰქუიან, რბილია მეორესა დარაჯსა, მხურვალია პირველსა დარაჯსა. ნედლი ბოლოსა გვიანად გავა, დასწურავს და დასწმენდს სტომაქსა, აწყენს და პირიდალმა ავსა სულსა ამოუშვებს, ტანსა ძალსა მისცემს, მოხალული სჯობს, მას მისი ზეთი სჯობს. თუ თაფლითა მისცე, მისი მაწყინარობა გაუშუას და მისით წუენითა თმა-წუერი დაიბანოს დააღბობს გაუყეთებს და გაზრდის და თავისა ქარტლსა გასწმენდს“.<sup>4</sup>

ამ მცენარის ზეთს ხმარობდნენ მალამოების შესაზეღად, მტკივნეული ადგილების დასაზეღად. მტკივნეულ ყურში ჩასაწვეთებლად და სხვა.

ასე მაგალითად: „ვინცა თბილ თბილი სუზაბის ზეთი, ან ერბო წელზედა შეიცხოს თუ წელნი ქარისა და სიგრილისაგან სტკიოდეს, უსათუოდ უშველოს“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> „ილიგარ დაუდი“, გვ. 343.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 382.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 405.

<sup>4</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 431.

<sup>5</sup> „ილიგარ დაუდი“, გვ. 469.

ანდა: „სუზაბის ერბო რომე კაცმანა თბილ თბილი შეიცხოს ფილენჯსა და თრთოლვასათვის მწოედ კარგი არის“<sup>1</sup>.

ქუნჯუთის ზეთი მაღალხარისხოვან საკვებ მცენარეულ ზეთად ითვლება. მედიცინაში ამ ზეთს ამჟამადაც ფართოდ ხმარობენ. სსრ კავშირის ფარმაკოპეიაში შეტანილია.

შირლილინი — იხ. შინაური ია.

შირხიშტი — იხ. მანანის იაფანი.

შიში-არმანი — იხ. ხოროსანი.

შრეში — Череш, *Eremurus spectabilis* M. B. Liliaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველად სამკურნალოდ იხმარებოდა ამ ბალახის ყვავილი, ფოთოლი და ძირი.

შრეშის ბალახს შემდეგი დანიშნულებით ხმარობდნენ: „შრეშის ბალახი მსურვალა და ცხარია, ვინცა ამის ძირი დანაყოს და მოხარშოს და მტკივანსა კბილზე წაისვას კბილის ტკივილი ეშველოს“<sup>2</sup>.

„შრეშის ბალახი მსურვალა და ცხარე არის, თუ ღედაკაცსა ანუ ძუძუსა და ან ზურგზე სიმსივნე ჰქონდეს და ესე შრეშის ძირი კაცმან მანამდის ხარშოს, რომე კარგად მოსქელდეს, მერმე სიმსივნეზედა დაიდვას სიმსივნე და ტკივილი უსათუოდ ორივე უშველოს“<sup>3</sup>.

„თუ კაცსა ფრჩხილები მრუდედ ესხას, მოიტანე შრეშის ბალახი, მარილი თვალი, ძმარი და ძმრის ტლე ესე ოთხთავე კარგად დანაყონ და ფრჩხილზედა დაადან და შეუხვიონ, და უსათუოდ ფრჩხილსა გააყეთებს“<sup>4</sup>.

თანამედროვე მედიცინაში შრეშის ბალახი არ იხმარება. შრეშის ბალახი შეიცავს წებოვან ნივთიერებებს. აღსანიშნავია, რომ ამ მცენარის ფესვებში წებოვანი ნივთიერება 3—4% აღწევს, რომელიც შეიცავს 70%-მდე დექსტრინს. საერთოდ შრეშის ბალახის გუმფისი თვისებებით არ ჩამოუვარდება არაბულ აკაციის გუმფისს.

ჩათლაყუში — Терпентиновое дерево, *Pistacia terebinthus* L.

რ. ერისთავის მიხედვით, ჩათლაყუშს ბელეკონი, ხეკრინა, კალანასი, ტერევენთიცი ეწოდებოდა.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ჩათლაყუში შემდეგი სახელწოდებებითაც გვხვდება: ბლეკონი, ბოტომი. მის ნაყოფს აბათულხუზარა ეწოდებოდა.

როგორც ჩანს, აბათულხუზარს უწოდებდნენ ჩათლაყუშს, ე. ი. *Pistacia terebinthus* L.-ს და აგრეთვე *Pistacia lentiscus*-ს, ე. ი. მასტაქის ხის ნაყოფსაც. გვხვდება განმარტებები: „აბთალხუზარი (იგივე ჩათლაყუთა) მასტაქის ხეს რომე ხილი მოესხმის იმას ჰქუიან“<sup>5</sup>.

„არაბულად აბათულხუზარა და ბან სპარსულად ორივე ჩათლაყუშსა ჰქუიან“.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 538.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 314.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 402.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 512.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 471.



ძველ ქართულ სამედიცინო ნაწერებში გვხვდება ბანი, ბანის ზეთი, შეიძლება ასე ჩათლავუშის ზეთს უწოდებდნენ.

ამ ხის გომიზს ე. ი. გომფისს, ანუ წებოს ალაქალბუთს უწოდებდნენ: „ალაქალბუთი-ბელეკონის გომიზსა ჰქვიან“<sup>1</sup>.

ჩათლავუში იხმარებოდა გველის ნაკბენის მოსაშუშებლად და თმის გაცვენის წინააღმდეგ:

„ვინცა ჩათლავუში დაწვას და ერბოთი მოზილოს და თმა გაცვინულისა ალაგსა შეიცხოს, კიდევ წვერი და თმა გამოესხმის, ვისცა გველმან, მორიელმან ან სხვამან მძრომელმან უცეს აბათულ ხეზარა, ვითამცა და ჩათლავუშიო აქამონ და ზედაც დასდვან მწოედ კარგი არის.“<sup>2</sup>

ბელეკონის თესლის ზეთი ოყნისათვის იხმარებოდა.

ამჟამად ჩათლავუში ტექნიკურ მცენარედ ითვლება, ჩათლავუშისა და კევის ხის ფისი სკიპიდარის მსგავსია და 12—14% ეთეროვან ზეთებს შეიცავს.

ჩაღანდარი — იხ. კარხალი.

ჩიტის ენა — იხ. იფანი.

ჩოღანი — იხ. კარხალი.

ჩორაქოთი — იხ. სონიჯი.

ჩულანდარი — იხ. კარხალი.

ცერეცო — იხ. კამა.

ცერეცი — მას ზოგჯერ ბაკლასაც ეძახიან — *Бобы жонские, Vicia faba L.* (= *Faba vulgaris Moench*), Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ქართულ სამედიცინო ნაწერებში ფუთანაჯის სახელწოდებითაც გვხვდება.

ცერეცი საქმელ მცენარედ ითვლებოდა და გარდა ამისა სამკურნალო დანიშნულებაც ჰქონდა. გვხვდება ცერეცის თესლი, ფოთოლი, ზეთი და ფქვილი.

ცერეცისაგან გაკეთებულ საქმელს აძლევდნენ ავადმყოფებს თავის ტკივილის დროს.

დაჩირქების დროს, როგორც დამალბობელი წამალი, იხმარებოდა მსხვილი ცერეცის ფქვილისაგან დამზადებული მალამო.

სამკურნალოდ ხმარობდნენ აგრეთვე „ცერეცის ფქვილისა სახურეტელს“, ე. ი. ცერეცის ფქვილისაგან მომზადებულ წვენს.

ცულის პირა — *Чина посевная, Угловатый горох, Lathyrus sativus L.* Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის. მას კიდევ მარფაშთას, ფურჩაყს და მურღუმაქს უწოდებდნენ: „ფურჩაყი ცულის პირას ჰქვიან“. „მურღუმაქი — ცულის პირა.“<sup>3</sup>

ცულის პირა უმთავრესად საკვებ მცენარედ ითვლებოდა. ამასთან მას სამკურნალოდაც იყენებდნენ. „იადიგარ დაულშე“ ვკითხულობთ: „მურღუმაქი ვითამცა და ცულის პირას ცერეციო... ესე მურღუმაქი რომე კაცმან მოხარშოს,

<sup>1</sup> ხელნაწერი Q 877, დაცულია აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, გვ. 170.

<sup>2</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 550.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 658.

თუ უწინოთ ამა მურღუმაქსა სკამს, კაცსა შეპკრავს, და თუ უამისოდ წვენსა სუამს და გახსნის. ხუელისა, ცხელებისა, სნებისა და სურავანდისათვის, ყუელა-სათვის მწოედ კარგი არის.

ვინცა ესე მურღუმაქის ცერცივი ჰამოს ასრე უნდა, ტყავი შემოსცარცოს და ისრე ჰამოს. ვინცა ამა ცულის პირას ცერცვის წვენშიგა თუთუბო და მუხუ-დო გაუროოს და ისრე ჰამონ მწოედ კარგი არის. ცხელებისა და ხუელისათვის მწოედ კარგი წამალი არის. მაგრამ ცოტა ჰარი აქუს... ვისცა ამისი ჰამა უნდო-დეს მწოედ კარგად მოხარშოს და ისრე ჰამოს და კიაა<sup>1</sup>.

ამჟამად ცნობილია, რომ ცულის პირას მწვანე ნაწილები შეიცავს ალკალო-იდებს, ამ მცენარის გამონაწილის იყენებენ მედიცინაში, მაგრამ მისი გამუდმე-ბული ხმარება იწვევს გართულებას. ჰომეოპათიაში იხმარება თესლების ნაყენი.

ცხენის წაბლი — *Каштан конский, Aesculus hippocastanum L. Hippo-*  
*cistanaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. მას სულინჯანსაც უწოდებდნენ.

ძველ ქართულ მედიცინაში ცხენის წაბლს ე. წ. მიკრისის ჭარის სამკურნა-ლოდ იყენებდნენ: „ამის წამალი ესე არის, რომე გრილი წამლები და გრილი შარბათები ასეან და მოხალული ჰალილა და ცხენის წაბლი დანაყონ და ერთმა-ნეთშიგა აურიონ და დილეულ უხზოხსა ასეან ორჯერ სამჯერ სანამდე ტკივილი არ დაუშვებდეს ასრე უნდა...“<sup>2</sup>

მეორე ადგილს ვკითხულობთ: „და ხშირად მაჯუნი სულინჯანი უნდა ჰა-მონ რომე რაგინდარა გვარისა, სენისა და ჰირისაგან კაცსა მიკრისი სკირდეს, ეს სულინჯანის მაჯუნი ყუელასა აქიმი არის. სულინჯანი ცხენისა წაბლსა ჰქუიან“<sup>3</sup>.

ცხენის წაბლს სხვა სამკურნალო მიზნითაც ხმარობდნენ: „ვინცა ცხენის წაბლი ჰამოს პირიდალმან ავსა სულსა გააქარეებს“<sup>4</sup>. მას ე. წ. იარაყანის დროს დასალევი წამლის შემადგენლობაში ხმარობდნენ და სხვა.

ცხენის წაბლი ხშირად მალამოს სახით იხმარებოდა შესიებულ ადგილებ-სა და მუწუყებზე წასასმელად.

ცხენის წაბლის ქერქი შეიცავს მთრიმლაე ნივთიერებებს. მას იყენებენ ქრონიკული ფადარათობის დროს. ახლად მოკრეფილი თესლების ესენცია იხმა-რება ჰომეოპათიაში.

ძაღლის ყურძენი — *Послех дикий, Solanum nigrum L. Solanaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველად მას ძაღლის ღრინჯოლაც ეწოდებოდა. ეს მცენარე ნარკოტულ ნივთიერებებს შეიცავს. სამკურნალოდ ხმარობდნენ მის ფოთოლს, ყვავილს, წვენს, წყალს. მას სხვადასხვა შემთხვევაში იყენებდნენ: „კაცსა რომე ან თავ-პირი ან თვალები გაუსივდეს, მოიტანე ძაღლის ყურძენას ფოთოლი და წმიდათ დანაყე, და მსივანსა ალაგუნდა დაადევ და შეუხვიე, ტკივილსა და სიმსივნესა ორსავე უშველის“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „ოდიგარ დაული“, გვ. 166.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 478.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 478, 479.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 332.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 280.

„ვინცა ესე ძაღლის ყურძენას ფოთოლი დანაყოს და მსივანსა რაზედამე დაიდვას და შეიხვიოს სიმსივნე უსათიოდ გააქარვოს და ტკივილი უშველოს და ოთხსაოდე ღირჰამსა კიდეცა ასმევენ, ისი სჯობს“<sup>1</sup>.

„ვინცა ძაღლის ყურძენას ფოთოლი წმიდად დანაყოს და მტკივანსა ყურზედა დაიდვას: ყურის ტკივილი ეშველოს. და თუ მუწუჟი აბია იმასაც უშველის“<sup>2</sup>.

„ვინცა ძაღლის ყურძენას ყუითელი ყვავილი დანაყოს და კბილსა და ღრძილზედა დაიდვას, ღრძილსა ამიყუანს, ავსა სულსა გაუგდებს და რაც ტკივილი და სიმსივნე არის, ყუელას უშველის“<sup>3</sup>.

ნერვული დაავადებების, ძლიერი თავის ტკივილის შემთხვევაში ასმევდნენ ძაღლის ყურძენის წვენს.

ძაღლის ყურძენის წვენში ან წყალში ზელდნენ ტკივილების დასაამებელ აბებს.

ძენა — იხ. ტირიფი.

ძიმწარე — თეთრი რაკა, ზოგიერთი წყაროს მიხედვით თემირიაკა არის. Кирказон, *Aristolochia clematilis*, მისი ფარმაცევტული სახელწოდებაა *A. vulgaris* s. *tenius*, *Aristolochiaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველად იგი შემდეგი სახელწოდებებითაც იყო ცნობილი: ენთანი, რუმი, ზარავანი გრძელი. *Aristolochia*-ს სხვა სახეობას *A. rotunda* Georgis-ს მრგვალ ზარავანდს უწოდებდნენ. გვხვდება აგრეთვე ზარავანი თავილი.

სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება შემდეგი განსაზღვრებები: „ენტანი, ზარავანი თვალი, რუმი—ესენი სულ ძიმწარესა ქუიან სახელად“<sup>4</sup>

სამკურნალოდ იხმარებოდა ძიმწარეს ფოთოლი, ფესვი. არჩევდნენ მამალ და დედალ ზარავანდს და შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: „ზარავანი თავილი ვითამცა და ძიმწარეო დედალი და მამალი იქნების, და მამლის ზარავანდის ფოთოლი გრძელი იქნების, და დედალის ზარავანდის ფოთოლი მრგვალი არის, ვინცა ესე დედალის ზარავანდის ფოთოლი დანაყოს და დაკოდლზედა დაადვას, ხე იყოს თუ ძვალი, მაშინვე გამოიღოს, და დამპალსა და წამხდარსა და ან მუწუჟსა რომე ამავ რიგად დაადვა, ბაყლსა და ბალამსა მოსწმენდს და დამპალსა და ავსა ხორცსა მოსჭამს, და ახალსა და კარგსა ხორცსა ამოიყუანს“<sup>5</sup>

„ზარავანი თავილი. ვითამცა და ძიმწარეო, დედალი და მამალი არის, და მამალის ძიმწარის ფოთოლი გრძელ-გრძელი არის და დედლის ძიმწარის ფოთოლი მგურგალი არის ვინცა დედლის ამა ზარავანდისა ერთი ღირჰამი დანაყოს და წყალი გამოჰხადოს, და გამოწუროს და ცოტა წყალიცა გაურიონ და სამსა დღესა ზედაზედ თვითო ფინჯანი ასვან, ტყირბი ეშველოს“<sup>6</sup>

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 401.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 302.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 332.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 661.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 535, 536.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 409.

ე. წ. ფალასუფას მაჭუნის შემადგენლობაში შედიოდა „მრგვალი ზარავან-ლი“. ეს მაჭუნი დიდად სასარგებლოდ ითვლებოდა. მას ქართულად სიცოცხლის მაჭუნს უწოდებდნენ.

ძიმწარე, როგორც ჩანს, ძალიან ხშირად კრილობების შესახორცებლად, ჩირქგროვების გამოსარწყავად და კანის დაავადებათა წინააღმდეგ იხმარებოდა. აღსანიშნავია, რომ სათანადოდ დამუშავებული ძიმწარეს ფესვი სახის კანის დასარბილებლად, ე. ი. კოსმეტიკური დანიშნულებით იხმარებოდა.

ამჟამად ცნობილია, რომ ძიმწარეს თესლში და მწვანე ნაწილებში არის ალკალოიდი არისტოლოხინი, მისი ვენაში შეყვანა სისხლის წნევის მკვეთრ დაწვეას იწვევს. ამ მცენარის სამკურნალო თვისებები ჭერჯერობით მთლიანად შესწავლილი არ არის.

**ძირტკბილა**—*Лакрица, Солодка, Солодковый корень, Glycyrrhiza glabra L. Leguminosae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ძირთათლას და მეიას სახელითაც იყო ცნობილი. გვხვდება აგრეთვე ქასნი, რომელსაც ძირტკბილის ფესვიდან, შაქრიდან და არაბული გუმფისიდან ამზადებდნენ. ქასნი ძველ ქართულ მედიცინაში კბილის ამოსაღებად იხმარებოდა. სამკურნალოდ იხმარებოდა მთლიანად მცენარე, მისი ფესვი (რომელსაც ასლისუსი ეწოდებოდა), წვენი, ფესვის წყალი.

გულმკერდის მიდამოში ქვლების შემთხვევაში ავადმყოფს ძირტკბილას წყალს ასმევენ.

პირღებინების გამოსაწვევად ურჩევენ: „...მოიტანე ძირტკბილას ძირი ტყავი გააძრე და ხე კი დაჭექე და წყლით კარგად მოხარწე და კანს თათლზე და დააწურე და თბილ თბილი ასვით, ფიცხლავ არწყევენებს.“<sup>1</sup>

ხუნავის შემთხვევაში ავადმყოფს ასმევენენ ძირტკბილას ძირის ნახარშს.

ძირტკბილა შედიოდა ყელში ამოსასმელი წამლის შემადგენლობაში, ძირტკბილას ძირი შედიოდა აგრეთვე თავის ტკივილის წინააღმდეგ ხმარებულ რთულ წამალში.

ამოსახველებელი წამლის შემადგენლობაში შედიოდა ძირტკბილა: „ხველასა ხმელსა უშველის... აიღე: სელის თესლი მოხალული, ქათირა და გომიზი არაბი და ძირთათლას რუბი... ძირთათლთა შეზილე და დილა საღამოს ახმარეთ“<sup>2</sup>.

ამჟამად ძირტკბილას პრეპარატები იხმარება, როგორც ამოსახველებელი, სუსტი საფაღარათო (ძირტკბილას ფხვნილი) და სუსტი შარდმდენი საშუალებად, მას აგრეთვე ხმარობენ გემოს გასაუმჯობესებლად. ჩვენს სახელმწიფო ფარმაცოპიაში შეტანილია მისი ფესვი.

**ძირწითელა** — იხ. ზროხის ენა.

**წაბლი** — *Каштан, Castanea vulgaris Lam. Fagaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ მედიცინაში წაბლი იხმარებოდა შარდის შეუკავებლობის დროს: „წაბლი შარდის დენასა და წვეთასა უშველის და მოსწყვეტს: მოიტანე წაბლი, კრკო და მური...“

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 128.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 64.

სისხლიანი შარდისა და განავლის დროს სხვა წამლებთან ერთად წაბლიც იხმარებოდა. იხმარებოდა წაბლის ნაყოფის ზეთი, ფოთლებსა და ქერქის გამო-  
ნაწვლილი. გარდა ამისა, წაბლს საკმელადაც იყენებდნენ, თუმცა თვლიდნენ,  
რომ წაბლის გადაქარბებულად ჰამა თავის ტკივილს იწვევდა.

საბჭოთა ფარმაცოპეიაში შეტანილი არ არის.

**წირანი** — იხ. ქერამი.

**წიფელი** — Бук, *Fagus orientalis* Lipsky. Fagaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

საქართველოს მთების შუა სარტყლის ფოთლოვანი ტყეები ძირითადად მის-  
გან არის შექმნილი. გარდა ამისა, კოლხეთის დაბლობზე გვხვდება წიფლნარები,  
რომლებიც თითქმის ზღვის პირამდე ჩამოდის.

სამკურნალოდ იხმარებოდა წიფლის ნაყოფი და ზეთი. წიფლის ნაყოფი სა-  
კმელადაც იხმარებოდა. „ხელფეხის თრთოლის და ფილენჯის“ დროს საკმელში  
წიფლის ზეთს ურევდნენ და აგრეთვე ამ ზეთით ხელ-ფეხს უზელდნენ.

თირკმლებით დაავადების დროს წიფლის ზეთი, სხვა მცენარეული ზეთების  
მსგავსად, წელის დასაზელად იხმარებოდა.

როგორც ჩანს, წიფლის ზეთი ხშირად იგივე დანიშნულებით იხმარებოდა,  
როგორც სხვა მცენარეული ზეთები.

ამჟამად წიფლის ხის კუპრიდან მიიღება მედიცინისათვის ძვირფასი ნივთი-  
ერება კრეოზიტი, რომელიც მედიცინაში იხმარება ფილტვების დაავადების  
დროს.

**წიწმატი** — Крещ-сапат, *Lepidium sativum* L. Cruciferae-ს ოჯახს ეკუ-  
თვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში წიწმატი კარდამინის, ხოლო წიწ-  
მატის თესლი აბურშატის და არფას სახელწოდებით გვხვდება.

წიწმატი იხმარებოდა საკმელი მწვანელობის სახით. წიწმატის ჰამა ზოგიერთი  
დაავადების დროს მიზანშეწონილად, ზოგიერთის დროს კი მიზანშე-  
უწონლად მიაჩნდათ.

მას სამკურნალოდ შემდეგი დანიშნულებით ხმარობდნენ: „ვინცა წიწმატის  
თესლი დანაყოს და ძმრითა ტლედ ქნას და ან შავსა და ან თეთრსა შამხალსა  
და ლაქაზედა დაადვას უშველოს და გააქარგოს... ვინცა ესე წიწმატის თესლი  
დანაყოს და სიქანჯუბინშიგა გაურიოს, შარბათად გაღესოს და სვას, რაც კა-  
ცისა ტანსა და ასოშიგა ან ბალღამი და ან ბალღამის ქარი არის ყუელას გააგ-  
დებს და გააქარვებს“<sup>1</sup>.

„წყალი წიწმატისა და ნღველი ზროხისა ტლედ ქნას და შუბლზედა ქულ-  
ფასა უშველის“<sup>2</sup>.

„ვინცა შაკიკი ჰქონდეს წიწმატის თესლი უცეცხლო თაფლი ერთად აურიე  
შუბლზე შაისვას მორჩება“.

წიწმატის ნორჩი ფოთლები და მცენარიდან მიღებული გამონაწერი ცინგის  
საწინააღმდეგო საშუალებას წარმოადგენს.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 171.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 443.

წნორი — იხ. ტირიფი

წყლის წიწმატი — Водяной кресс, *Nasturtium officinale* (L.) R. Br. Cruciferae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ მედიცინაში სამკურნალო დანიშნულებით იყენებდნენ წყლის წიწმატს და მის თესლს.

მას შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: „წყლის წიწმატი თირკმლის ქუხსა დაღეწს, და კაცს, რომე წელთ ნახვეწისაგან წელეზი დაკოდილ წონდეს, იმას გაამთელებს“.<sup>1</sup>

„წყლის წიწმატის თესლი მხურვალე და ხმელია, საკმლის დამდნობი არის და კაცსა შიგნით სტომაქშიგა აშლის, ვინცა ამა წყლის წიწმატის თესლი დანაყოს და თაფლითა ტლედ ქნას და ტყირაბიანსა კაცსა ტყირაზედა შემოსდვას უსათიოდ ტყირაბი ეშველოს“.<sup>2</sup>

მის წვენს, რომელიც სასიამოვნო სასმელად ითვლებოდა, აძლევდნენ სლოკინის, პირღებინების და მთელი რიგი სხვა შემთხვევების დროს. ამასთან ერიდებოდნენ მის მიცემას ორსული ქალებისათვის. ფიქრობდნენ, რომ იგი ნაყოფის დაღუპვას გამოიწვევდა.

ამ მცენარეს, როგორც ჩანს, ძველთაგანვე იცნობდნენ. პლინიუსის მიხედვით მისი წვენი კოსმეტიკური დანიშნულებით იხმარებოდა (მის წვენს სახეზე ისეამდნენ ლაქების მოცილების მიზნით).

ეს მცენარე თანამედროვე მედიცინაში საერთოდ არ იხმარება. მას ზოგჯერ სურაუნდლის წინააღმდეგ იყენებენ. ცნობილია, რომ იგი შეიცავს C ვიტამინს და იოდს.

ქაუნტალი — იხ. კარხალი.

ქანდარი — ქადარი, Чинар, Платан, *Platanus*, Platanaceae-ს ოჯახს ეკუთვნის. გვხვდება აგრეთვე ჩინური ქანდარი.

ჩვენში იზრდება—*P. Orientalis* L., იხმარებოდა ხის ქერქი, ხის ცილა და ფოთოლი. ძველად ექიმები ქადრის ხეს შემდეგ თვისებებს მიაწერდნენ: „ზაქარიამეილმან მაჰმად აქიმმან თქუა: ქანდრის ხე გრილი და ხმელი არის; ზოგნი აქიმნი იტყუიან გრილი და ნელლი არისო, ამისი ფოთოლი რომე დანაყო და ბალღმანისა და გრილსა, სიმსივნეზედა დაადვა, სიმსივნეს უშველის.“

ვინცა ამა ქანდრის ქერქი ძმარშიგა მოხარშოს და დამწვარზედა დაიდვას დამწვარსა ხორცსა გაამთელებს“.<sup>3</sup>

ქადრის ხის ცილას, ე. ი. ქერქქვეშა კანს ხმარობდნენ კბილის ტყვილის დასაყუჩებლად: „ვინცა ქადრის ხის ცილა და ან ქერქი დაჭექკოს, ძმრითა მოხარშოს და ამისი წვენი პირშიგა იმგვიბოს, კბილისა და ღრძილის ტყვიელს ორსავე უშველის“.<sup>4</sup>

თანამედროვე მედიცინაში ეს მცენარე გამოყენებული არ არის.

ქარხალი — Свекла, Бурак, *Beta vulgaris* L. Chenopodiaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება.

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 361.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 410.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 544.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 316.

ძველ წერილობით წყაროებში კარხალი შემდეგი სახელწოდებებითაც გვხვდება: ჰაკუნტალი, ჩოლანდარი, ჩოლანი. ეს მცენარე იზმარებოდა საქმელად და სამკურნალოდ. სამკურნალოდ ხმარობდნენ მცენარის ძირს, ფოთოლს, თესლს, წყალს, წვეს. კარხლის გადაქარბებით ხმარება მაწყინრად ითვლებოდა. კარხალს ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა დაავადების დროს ხმარებული რთული წამლების შემადგენლობაში. მას შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: „კარხალი გრილი, ნედლი და გამხსნელი, ვინცა კარხალი მოხარშოს და ჰამოს, კაცსა გულისპირსა რბილად შეუწინავეს და რაცა კაცისა გულსა და სტომაქშიგან საფრა და სევდა არის ყუელას გააქრობს მაგრა თუ ბევრსა სქამს თიაქარსა და კოლინჯსა და ქარსა აუძრავს“<sup>1</sup>.

„ხმელი კარხლის ფოთოლი დანაყონ და გაცრან და ჭულაბშიგან გაურიონ და ან თაფლწყალშიგან გაღესონ და ამა რიგად ასვან მწოედ კარგი არის... იარაყანსა და სიყუთლესა ტანიდაღმან ქუემო ჩააგდებს...“<sup>2</sup>

„ვინცა კარხლის ფოთოლი მოხარშოს და ამის წვენითა თავი და პირი დაიბანოს თმა და წვერი გამოესხას და თმის ძირი დაუწმინდოს...“<sup>3</sup>

„ვინცა სიმსივნესა პირველ გამოჩენაზედა ამა კარხლის ფოთოლი მოხარშოს და მსივნესა რაზედამე დაიდვას და შეიხვიოს, სიმსიენე უსათოდ გააქარვოს და ტკივილი უშველოს“.<sup>4</sup>

„ჰაკუნტალი რომელ არს სპარსულად ჩილანდარი... თუ ადრე და მისითა წყლითა თავი დაიბანოს, ქერტლსა გასწმენდს, ვინცა ბევრი ჰამოს ქარი შეექნას სტომაქშიგან, თუ მანანახითა ჰამოს ტყირიპისა გზას გახსნას.

თუ წითელი ჰაკუნტელი დანაყო და მისი წვენი ცხვირშიგა ჩაასხა სინედლე, რომე ტეინშიგა იყოს, გამოიღებს და გამოსწმენდს. და კაცი რომე შეკერით იყოს გახსნის, სიცივისაგან რომე დახეთქოდეს მითა დაიბანოს უშველის. ისი თუ ან ძმრითა და ან ხარშოდ შექნა შეკრულსა მუტელს და ძარღვებს გახსნის. გულსა სტომაქსა მოულობოს, მისი ძირი ბალღამს მოუმატებს და ისი ძირი ქარიანი არის და მისი ფურცელიცა“.<sup>5</sup>

„თუ კაცსა თავი სტკიოდეს კარხალი დანაყე ძმარში მოხარშე და შემოსდე თავზე“.

მუხუდოს და კარხლის თესლს ერთად მოხარშულს აძლევენენ თავის და ტანის ქავილის დროს.

ამჟამად კარხალი დიდმნიშვნელოვან ტექნიკურ კულტურად ითვლება. ავ მცენარის შემადგენლობაში აღმოჩენილ იქნა ალკალოიდი ბეთაინი, რომელიც ფართოდ არის მცენარეულ სამყაროში გავრცელებული. აღმოჩენილია აგრეთვე კაროტინი.

ჭერამი—*Kypara, Armeniaca vulgaris Lam. Rosaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

<sup>1</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 341.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 389.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 521.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 401.

<sup>5</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 443, 444.

ქერამი გვხვდება აგრეთვე ბიშმიშის, ყაისის და წირანის სახელწოდებებით. რ. ერისთავის მიხედვით წირანს დაჩანდოც ეწოდებოდა. გამოყენებული იყო: ქერმის ხის წებო, წვენი, რუბი, შარბათი, მურაბა, კურკის გული, ზეთი.

როგორც ჩანს, ქერამს სამკურნალოდ ხმარობდნენ, მაგრამ ცნობილი იყო მისი უარყოფითი თვისებებიც. გვხვდება მისი შემდეგნაირი დახასიათება: „ქერამი ბიშმიშითა ჰქვიან და წირანიცა გრილია და ნედლი მესამე დარაჯამიგა და სტომაქისათვის ავია და მუცელშიგა ფერად ფერადათ შეიქმნების და ფიცხლად წახდების და მისგან რაცა სატკივარი გამოჩნდების და კარგი არა იქნების რ.; თუ ბევრი ჰკამოს, სატკივარი მოუმატოს, თუ კაცი ნაჰამი იყოს და აგრე ჰკამოს დამჟავლების სტომაქზედა და მჟავესა სულსა ამოუშეებს და მხურვალესა კაცსა კარგად მოუხდების.

თუ ისი გაახმო და აგრე ჰკამოს ზაფრამიგა გაერევის და წყურვილსა მოჰკლავს და თუ სტომაქიდან პირსა ავი სული ამოსდიოდეს არგებს. და მისისა ჯურკისა გული მხურვალისა და ხმელი და ბუასირსა არგებს ჰკამოს თუ შეიცხოს ორჯელე. და რასაცა კაცსა კირი სკირდეს ნუ სკამს. მას უკანით ცივი წყალი არ უნდა სვას. ვინცა წირანი ჰკამოს ყინულიანსა წყალსა ნუ სვამს ავად მოუხდების“<sup>1</sup>.

ქერმის წვენი გვხვდება პირღებინების გამომწვევი წამლების შემადგენლობაში. ქერმის რუბი იხმარებოდა პირღებინების შესაჩერებლად. გვხვდება აგრეთვე ქერმის შარბათიც. მაგრამ ყველაზე ხშირად იხმარებოდა ქერმის კურკის ზეთი. ეს ზეთი მიემსგავსება ნუშის ზეთს და ამის გამო იხმარებოდა ყველგან ნუშის ზეთის მაგიერად ან მასთან ერთად. ქერმის ზეთს ხშირად ხმარობდნენ ქავლის საწინააღმდეგოდ.

ქერმის ზეთი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეიაში შეტანილია ნუშის ზეთის შემცველად.

კინჰარო — ჯინჰარი, Крапива, *Urtica urens* L., *Urtica dioica* L., *Urtica*-*ceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. ჰველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში კინჰარი შემდეგი სახელწოდებებითაც გვხვდება: ანჯირა, ანჯიზანა, ანჯუბა, ბეზანჯირი, იხმარებოდა კინჰრის ფოთლი, თესლი, ძირი, შარბათი, ხარშავდნენ კინჰრის ფოთლებს სხვა მცენარის ფოთლებთან ერთად და თავის ტკივილის დროს ავადმყოფებს ამ ნახარშით თავს ბანდნენ ან გამოხარშულ ფოთლებს თავზე ადებდნენ.

გარდა ამისა, კინჰრის ფოთოლს შემდეგ თვისებებს მიაწერდნენ: „ვინცა კინჰრის ფოთლი დანაყოს და ან ასურიმოს, და ორივე ცხვირი გამოიტენოს, ცხვირსა სისხლი დასწყუიტოს. და თუ ესე კინჰარი მარილითა მოხარშოთ, და თბილი მსივანსა ალაგზედა დაიდვას, უსათუოდ სიმსივნეს უშველის და დაუცხრობს“<sup>2</sup>.

კინჰრის თესლი გვხვდება შარდის შეხუთვის დროს ხმარებული რთული წანლის შემადგენლობაში.

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 450

<sup>2</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 262.



კინკპარს სისხლიანი ფალარათის ღროსაც ხმარობდნენ. როგორც ჩანს, კინკპარი უმთავრესად სისხლის დენის შესაჩერებლად იხმარებოდა. კინკპრის ფოთლების გამოწვლილი მოწოდებული იყო საშვილოსნოდან სისხლის დენის ღროს სახმარად. კინკპარი ჩვენს ფარმაკოპეიაში შეტანილი არ არის.

კინკპარი მაღალ ვიტამინოვან საყვებ მცენარეს წარმოადგენს, იგი შეიცავს ასკორბინის მჟავას, კაროტინს, ჭიანჭველამჟავას და მთრიმლავ ნივთიერებებს. კინკპრის ესენცია იხმარება ჰომეოპათიაში და ტიბეტის მედიცინაში.

ხავარნი — იხ. გვირილა.

ხაზანი — იხ. სალათა.

ხავარტი — იხ. სალათა.

ხაზბი — იხ. სალათა.

ხათმი — იხ. ტუხტი.

ხარბაყი — იხ. ხარისძირა

ხარდალი — იხ. მდოგვი.

ხარისძირა — Морозник, Helleborus, Ranunculaceae-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ძველად მას ხარბაყი, ხირბაყი, მოთანმტიკონი და ფარიკონიც ეწოდებოდა. არჩევდნენ თეთრ და შავ ხარისძირას, გვხვდება შემდეგი განსაზღვრებები: „მოთანმტიკონი რომელ არს ფარიკონი“, „ხარის ძირა შავი, რომელ არს ფარიკონი“, „ხარბაყი შავი—ხარის ძირაა“.<sup>3</sup>

ხარისძირა ნარკოტული თვისებებით ხასიათდება, ძველ ქართულ მედიცინაში ხარისძირას მათრობლად თვლიდნენ: „ხარბაყი შავია კაცსა დაათრობს“<sup>4</sup>. იგი შხამიანად ითვლებოდა და მისი ხმარება მხოლოდ უკიდურესი საჭიროების დროს იყო დაშვებული:

„სიფრთხილითა მიეც... სატკივარზე შეატყე და აგრე მიე, თუ დააქარბებ და ან მარტოს მისცემ შხამად შეერგების“<sup>5</sup>.

ხარისძირა შედიოდა რთული აბის შემადგენლობაში, რომელიც იხმარებოდა ფილტვების დაავადების დროს.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ხარისძირა გვხვდება ყურის ტკივილის წინააღმდეგ ხმარებული წამლების შემადგენლობაში.

ა. იაშვილის ცნობით, ჯერ კიდევ გალენი ხარბაყის ფესვის თაფლში ნა-ხარშს ხმარობდა ყურის ტკივილის დროს ყურში ჩასადებად.

თანამედროვე მედიცინაში ხარისძირა არ იხმარება. ამჟამად ცნობილია რომ მისი ფესურა შეიცავს გლუკოზიდებს, რომელნიც მოქმედებენ გულზე, ნერვულ სისტემაზე, იწვევენ კრუნჩხვებს და საფალარათო თვისებები აქვთ.

<sup>1</sup> ხელნაწერი Q 877, დაცულია აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, გვ. 45.

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი“, გვ. 55.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 52.

<sup>4</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 469.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 32.

ხარიხასაქი — იხ. ლურსმანა ეკალი.

ხარფარასტი—იხ. სალათა.

ხატმი—იხ. ბალბა.

ხაშხაში—იხ. ყაყაჩო.

ხახვი — ხახვი, Лук, *Allium cepa* L. Liliaceae-ს ოჯახს ეკუთვნის.

სამკურნალოდ იხმარებოდა ხახვი, ხახვის თესლი, წყალი. თვლიდნენ, რომ „ხახვი მხურვალი და ხმელი არის, რაცა კაცისათვის უტეხოსა და ავსა წყალსა უწყენია და ან ამისგან სენი ასძურია, ყუელას უშველის და კაცსა გახსნის.“<sup>1</sup>

ხახვის სამკურნალო თვისებები შემდეგნაირად არის დახასიათებული: „ხახვი. მხურვალი და ხმელი არის, კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხსნის, კაცსა საქმელსა მოაქარავებს და კიდევ ადრე მოანდომებს. ავისა და უტეხო წყლისაგან რომე კაცსა ზალი ჰქონდეს იმას მაშინვე უშველის. მოხარული და შემწვარი ხახვი ჭველისათვის მწოდ კარგი არის, სტომაქსა და ყელსა ორსავე დაუღობს. მაგრამ თუ კაცი ბევრსა ხახუსა სჭამს. სისხლს დასწვავს, კაცს თავს აატკიევას, საფრასა და ბალღამსა ორსავე მოუმატებს, თუალთა აწყენს, ღამით ძილშიცა კაცსა პირს წყალს წაადნის. კაცს მოაწყურებებს, კუელასა და გულის ყურს შეუწყურუნის. აწე ხახვმან თუ კაცსა აწყინოს ამისი წამალი და მშველი ძმარი, მაწონი და ქანნი ჰკამონ, ეშველებს.“<sup>2</sup>

მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ ხახვს გარკვეულ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ, მაგრამ მისი გადამეტებული ჰემა მწყინრად ითვლებოდა.

ხახვით მკურნალობდნენ გველის ან მორიელის ნაკბენს: „...და მაშინ ჰიქა, ზოჰიკდოს, ნაკბენსა ადგილს, და კარგად მოწოვოს და მაშინ დანაყილი ხახვი შემოსდეს და შემოჰკრას.“<sup>3</sup>

როგორც ჩანს, ხახვი უმთავრესად გარეგანად სახმარ საშუალებას წარმოადგენდა.

თანამედროვე მედიცინაში ცნობილია *Allium*-ის გვარის მცენარეები: ხახვი. ნიორი, ლანძილი, მათ ფიტონციდური თვისებები გააჩნიათ. გარდა ამისა, ისინი იხმარებიან სურათანდის წინააღმდეგ. დასაშვებია მათი ხმარება არტერიოსკლეროზის დროს. ხახვი შედარებით მეტი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს.

ხიარი-შამბარი. ამ სახელით ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში მოხსენებულია მცენარე, რომელიც *Cassia*-ს გვარს უნდა ეკუთვნოდეს. ჩვენს დროში გამოცემული ძველი სამკურნალო ძეგლებისადმი დართული ლექსიკონების მიხედვით იგი *Cassia fistula* უნდა იყოს. ეს მცენარე შემოჰქონდათ ეგვიპტიდან, მესოპოტამიიდან, ინდოეთიდან—„ხიარი შამბარი—ინდოეთით მოვა“. მას გააჩნია კიტრისებრი ფორმის ნაყოფი, რომელიც პარკს წარმოადგენს, ბრტყელი თესლები, მოტეხო გემო აქვს, Leguminosae-ს ოჯახს ეკუთვნის.

ხელნაწერ ლექსიკონში № 173, რომელიც დატულია ლენინგრადში მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში, ნათქვამია: „კასია ფსტოლა-ხიანამბარი—ხიანამბარი“.

<sup>1</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 421.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 203.

<sup>3</sup> „წიგნი საჰიმოი“, გვ. 294.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დატულ ერთ-ერთ ხელნაწერ ლექსიკონში გვაქვს განმარტება: „ხიარჩანბარ-ხეჩერხელა“, როგორც ჩანს, მას ქართულად ხეჩერხელა ეწოდებოდა.

სამკურნალოდ იხმარებოდა ხეჩერხელას გული, ქერქი, წყალი, მათხუხი. მის გულს იის შარბათით აძლევდნენ სასმელად გაძნელებული შშობიარობის დროს. მას იყენებდნენ თავის ტკივილის მკურნალობისთვის: „ხიარი შამბარა მოჰთადილი არის, კაცმან, რომე ჰამოს თავის ტკივილისათვის მწოედ კარგი არის“.<sup>1</sup>

ამ მცენარის ქერქი შედიოდა ე. წ. სუნუნის შემადგენლობაში. როგორც უკვე აღნიშნული იყო, სუნუნი წარმოადგენდა რთული შემადგენლობის ნარეგს, რომელსაც ახასიათებდა კეთილსურნელება და იხმარებოდა კბილებისა და პირის გამოსავლებად. მას ხმარობდნენ კუჭის მოქმედების მომწესრიგებელ და საფლარათო საშუალებად. იგი აგრეთვე გვხვდება ე. წ. ნიკრისის სამკურნალოდ ხმარებული დასალევი წამლების შემადგენლობაში:

„ათი დრამი ხიარი-შამბარი დაალბე თბილის წყლითა გამოწურე და ორი დრამი ურბუთი და ერთი დანგი საყამუნია და ნახევარი მიტყალი რევანდი და ეს სამივე დანაყე, გასკრათ და შიგან გაურითთ თბილთბილი შეასვით“.<sup>2</sup>

ზემოაღნიშნული წამალი ნიკრისით გამოწვეული ტკივილების დროს იხმარებოდა.

თანამედროვე მედიცინაში არ იხმარება. თანამედროვე სახელმწიფო ფარმაკოპეიაში შეტანილია Cassia-ს სხვა სახეობები,

**ხვართქლა** — *Вьюнок полевый*, *Convolvulus arvensis* L. *Convolvulaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

სამკურნალოდ იხმარებოდა: ხვართქლას წვენი, წყალი. ხვართქლას წყალს აძლევდნენ სასმელად დაავადება „სისხლის ცხროს“ დროს: „თუ სისხლი უფრო იყოს ვასეათ ხვართქლის წვენი“<sup>3</sup>, ხოლო „ბაღდმისა და დამწურისაგან“ გამოწვეული „ცხროს“ შემთხვევაში ხვართქლას აძლევდნენ საქმლის სახით. ამავე დაავადების სამკურნალოდ ხმარებული გასახსნელი წამლების შემადგენლობაშიც ვხვდებოდა ხვართქლას წყალი-

როგორც ჩანს, ხვართქლა სუსტ საფლარათო საშუალებად ითვლებოდა.

ამჟამად ცნობილია, რომ ხვართქლას ფესვურა შეიცავს 5% ფისს.

**ხირვა**—იხ. ბალბა.

**ხორბალი** — *Пшеница*, *Triticum*, *Gramineae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

სამკურნალოდ იხმარებოდა უმთავრესად მისი სახამებელი, რომელსაც ეწოდებოდა: სახამებელი, ბავრუკი, თანგარი, ნიშანსტაგი, ნიშასტა, ნიშო.

გვხვდება კორკოტი, ე. ი. დანაყილი ხორბალი.

ანაქვეტი, ანუ პურის ქატო, ქეშქაბი—ხორბლის ფლავი, იფქილი—იგივე ხორბალი, იფქილის ფქვილი, იფქილის ლავზი, ანუ ნუშით და ფქვილით შემზა-

<sup>1</sup> „იადიგარ დაუდი“, გვ. 281.

<sup>2</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 53.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 120.

დებული სახერხელი. იფქილის ზეთი, იფქილის პასო, ანუ შექამადი, სახამებელი ხშირად შედიოდა სხვადასხვა წამლის შემადგენლობაში. უმთავრესად იხმარებოდა ხველის და კუჭ-ნაწლავით დაავადების შემთხვევაში.

ხორბლის ფქვილი იხმარებოდა გარედან დასადების წამლების დასამზადებლად.

საერთოდ ხორბალს მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ მარცვლეულ კულტურებს შორის. მის შესახებ წერდნენ: „პირველად ხეარბალი ვახსენოთ, რომე უმაღლეს არის და მეფეა ყოვლისა თესლისა. და მისი გუნება მხურვალაია და რბილი პირველსა დარაჯაშიგა. და მისი სინძე და სინედლე სწორია. ამისა ბოწმე და ნიშანი ისი არის, რომე, მისსა სილბოხსა, დანაყო და გასცრა, მოზილო და საფუარი შექმნა მისი, მკდომსა ზედა დასდვა, პირს გამოაღებინებს და სიმლინეს დასვამს. და თუ პური გამოაცხო სხვა და სხვა ხასიათი აქეს: თხელისა საცრითა გაცრილი პური უფრო მხურვალაია და ფიცხლავ გაიარს სტომაქით და გუნებას რბილად შეინახავს. და მტკიცისა საცრისა პური უფრო მსუბუქი არის და კაცის ტანს კარგსა ძალს მისცემს. და პურსა საფუარი ბევრი უნდა და შიგან და ბორა, მარილი უნდა გაუროო კარგი იქნების. მწოვედ ხმელი ფქვილი ავია მქავანსა და მლიერსა გამოასხამს. თუ მუდამ ხეარბალსა სკამს, ქამოს. უკეთესი ის არის რომე კორკოტად ქნა და ერბოთა, პილპილთა და თაფლითა ქამონ. რძითა, მხურვალაია და კარგია. ნიშასტავი ხეარბლისა რომე შექნან ხმელია და ნედლი, ძუძუს ტკივილისათვის, ხველასა და ფირტვისათვის. ძუძუს ტკივილისათვის იქნების ბალამინა და ქარისაგან, ტყავსა და ხორცსა შუა არის ისი და ზედა დასდევ მას უშველის.

ხშიადს ქარი აქუს, და რასაცა ყოლინჯი სკირს და ბუმტშიგა ქვა უც ამას არ ექმების ზიანი არის. თუ კაცმან ქამოს, მსუქანთა ქამოს ერბოთა და ზეთით. რომე მისი ზიანი არ გამოჩნდეს.

კაკლად გამომცხერისა პურისა ნიადავ ქამა სატკივარსა გამოაჩენს. თუ ქამოს. მარილითა, პილიპლითა და ქონდრითა ქამოს, რომე მისი ზიანი გააცულოს. კეცსა შიგან გამომცხვარი სტომაქიდაღმან გვიან გავა და ტანზედ ძალი ან მიეცემის, ქარი აქეს. ისი სჯობს რომე ცოტა ბორა გაუროოს და ზედა ზირისა მაქუნი ქამოს და ზედ ძველი ღვინო სვას. რომე ისი ქარი გატეხოს. კუტი პური, რომე თონეშიგა ჩავარდეს და გამოცხვეს, ნაცრის ძალი შიგ დარჩების და გული უმი იქნების თუ ქამოს კაცმა იმავე ხშიადისა წესითა ქამოს.

ქატო ხეარბლისა მხურვალაია, თუ წყალშიგა დააღბო და გამოწურო შეასვა უშველის.

თუ პური გამოაცხონ ხეარბლისა. უნდა, რომე საფუერითა იყოს კარგა გაფუებელი და მარილითა შეზილო. თორნეშიგა გამოაცხო. და თორნისა და საფუერისა სჯობს ხშიადსა, გომიჯსა თუ ნუშის ზეთითა გაუროონ...<sup>1</sup>

ხორბლის მარცვლის სამკურნალო თვისებების შესახებ სხვა წყაროში ვკითხულობთ „...კაცის ხეარბლისა შექამადი კაცსა თუალთა სინათლესა მოუმატებს, პირსა და ელფერსა წყალჩავარსა მისცემს. სრულად თესლებსა და მარცვლებშიგა ამა ხორბლის უკეთესი, და უფრო შემრგო თესლეული კაცისა სტომაქშიგა არ ჩავა. კაცისა სტომაქი და ესე ხეარბალი ერთმანეთზედა შეზავებულა არის და სტომაქის მამუნო და შემრგო. და თუ უზომიან კაცმან ხეარბალი და-

<sup>1</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 434, 435.

ლეკოს და მსივანსა ალაგზედა დაიდვას, მაშინვე სიმსივნე დაჰფანტოს და გააქარვოს. ვინც დალეკილი ხუარბალი ბრაზიანისა ძალის ნაკბენზედა დაიდვას, კაცსა აღარას აზიანებს. კაცმან რომე ხუარბალსა ტყავი გაახადოს და რაგინდარამ ამ ხუარბლის შეკამადი ჰამოს, კაცსა მწოდელ ძალს მისცემს, ელფერსა და გულის ყურს გაუკეთებს, კარგსა სისხლსა და თესლსა ორსავე ბევრს ჩაუყენებს და კაცსა შეჰკრავს, მაგრამ ვინც უზმა ხუარბალსა სკამს გულსა და სტომამაქს აატივებს და ჰარსა აუგდებს, და კაცსა მუტეღშიგა ჰიას დაასხამს.<sup>1</sup>

ამეამად ხორბალი უმნიშვნელოვანეს საყვებ კულტურას წარმოადგენს.

**ხოლინჯანი** — *Калган, Корень аптечный, Alpinia galanga SW. Zingiberaceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. სამკურნალოდ იხმარებოდა თესლი, ფესვი, გვხვდება ხოლინჯანის გუარიში. იგი კუჭ-ნაწლავის და ღვიძლის დაავადებათა დროს იხმარებოდა.

ხოლინჯანის შესახებ ვკითხულობთ: „ხოლინჯანი... ცივებისა და გრილის ხაფუჯანის, გრილის სისხისა, გრილის თავის ტკივილისა, ამავებისათვის მწოდელ კარგი და გამორჩეული წამალი არის, კაცისა ტანიდან ქარსა დაღეწს და გააგდებს, ასოსა და სახსრების ტკივილსა გაუგდებს, გრილისა გულსა და ღვიძლსა მწოდელ არგებს და კარგად მოუხდების. კაცსა გულსა და სტომამაქსა მწოდელ გაუხურებს, კაცსა წელსა და თირკმელთა, ძვალსა და ძარღვებსა მეტისმეტად გაუხურებს.“<sup>2</sup>

სამკურნალოდ იხმარებოდა ფესვი, რომელსაც პირში უდებდნენ ავადმყოფს, ანდა თუ ავადმყოფი შესივდებოდა, ამ ფესვს გალესადნენ და გარედან წაუსვამდნენ.

ამეამად ცნობილია, რომ ხოლინჯანის ფესვი შეიცავს სახამებელს, ეთეროვან ზეთს, რომლის შემადგენლობაში შედის ცინეოლი და ევგენოლი, და ფისს, რომელიც შეიცავს მწვავე ნივთიერებებს გალანგინს და კემფერონს, საერთოდ იხმარება კუჭ-ნაწლავის დაავადების სამკურნალოდ.

**ხოროსანი** — *Полынь цитварная, Artemisia cina Barg. Compositae*-ს ოჯახს ეკუთვნის.

ძველ ქართულ სამედიცინო ნაწერებში—შიპი-არმანის, დრამინას სახელწოდებითაც გვხვდება. სამკურნალოდ იხმარებოდა უმთავრესად ჰიის საწინააღმდეგო წამლების შემადგენლობაში.

ურჩევდნენ ხორასნის წყლით ბანაობას, პარაზიტების საწინააღმდეგოდ. თანამედროვე მედიცინაში ხორასანი სანტონინის შემცველ მცენარედ ითვლება და იხმარება ასკარიდების საწინააღმდეგო საშუალებად. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეაში შეტანილია.

**ხურფა** — იხ. უკვდავა.

**ჯადვალი** — იხ. სალიხა.

**ჯავაშერი** — ამ სახელწოდებით ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი იყო *Opopanax chironium Koch*-ისაგან მიღებული პასტის მაგვარი გუმფისი. ეს

<sup>1</sup> „ილიჯარ დაუდი“, გვ. 163.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 214.

მცენარე Umbeliferae-ს ოჯახს ეკუთვნის. ჯავაშირს კიდეც ოღლან ამს უწოდებდნენ.

ერთ-ერთ ხელნაწერ ლექსიკონში ვხვდებით შემდეგ განმარტებებს: „ჯავაშირი გიავაზი *гумми оттопиха* თავის საკმელა“<sup>1</sup>, „ჯავშანდი, ჯავაშირ გუმო ფოფონაკს, გიავაზი“<sup>2</sup>.

ეს გუმფისი იხმარებოდა ხეელის წინააღმდეგ: „ოღლანაში რომე სპარსნი ჯავაშირსა, უძახიან, მხურვალია, ხმელია კაცსა რომე ძველი ხველა ბალღისა და სიგრილისაგან სჭირდეს, იმას უშველის“<sup>3</sup>.

ჯავაშირი გვხვდება ნერვული დაავადებების „სავთას, მტერთა დაცემის, ფილენჯის“ და სხვადასხვა ხასიათის თავის ტკივილის დროს ხმარებული ოყნის ან აბების შემადგენლობაში.

გვხვდება თვალში მოსაფრქვევი წამლების შემადგენლობაში. ჯავაშირის პასტა კბილის ტკივილის დროს იხმარებოდა ან გარედან შემოსადებად ან ღარიბი-ნებული კბილის ღრუში ჩასადებად.

ჯავზი—ხეხა, *Мушкатный орех, Myristica moschata, M. aromatica*.

ჯავზი-ბუა ან ჯავზი-ბავა ამ სახელით, როგორც ჩანს, ჯავზის ყვავილს აღნიშნავდნენ. გარდა ამისა, ჯავზის ქერქი ზოგჯერ მოხსენებულია ბასბასის სახელწოდებით.

ჯავზს ხმარობდნენ შემდეგი დანიშნულებით:

„ვინცა ჯავზი ჭამოს, ქარი დაღეწოს და გააგდოს და გულისა და სტოპაქის ტკივილსა უშველის“<sup>4</sup>.

„ვინცა ჯავზი და ბაზბაზი ერთად დანაყოს, და ცოტა შაქარი გაურიოს, და ამისგან ორი დირჰამი უზმოზმან ჭამოს. კაცსა მწოდდ გაახურებებს, ტინსა და ძარღვებსა გაუცხვლებებს, ქარსა დაჰფანტავს და სახსრების და ასოვებისა ტკივილსა უშველის“<sup>5</sup>.

ჯავზი და ჯავზი-ბავა, ანუ ბასბასა ხშირად გვხვდება პირში ჩასადებ წამლის შემადგენლობაში, განსაკუთრებით ისეთი დაავადებების დროს, როდესაც ავადმყოფს გონება მთლიანად ნათელი არ ჰქონდა ან გულმავიწყობა ემჩნეოდა, ან თავი ტკიოდა ან დამბლის ნიშნები ჰქონდა: „რომე ყბანი დაბლა ცუი-ოდეს სული სუსტად ამოსდიოდეს... ჯავზიბუა პირშიგან დააჭირვინე მუღამ“<sup>6</sup>.

ჯავზი-ბუა იხმარებოდა პირში ჩასადებად, პირში ცუდი სუნის შემთხვევაში. როგორც ჩანს, ამავე მიზნით ჯავზი-ბუა შედიოდა ე. წ. სუნუნის შემადგენლობაში, რის შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

1 ხელნაწერი ლექსიკონი H<sup>31</sup>/2, დატულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში.

2 ხელნაწერი ლექსიკონი, დატულია სალტიკოვ-შჩერბინის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

3 „იადიგარ დაუდი“, გვ. 343.

4 იქვე, გვ. 384.

5 იქვე, გვ. 487.

6 „სამკურნალო წიგნი“, გვ. 93.

ჭორის ძუა — *Xboxinnik, Ephedra, Ephedraceae*-ს ოჯახს ეკუთვნის. მას ძველად კიდევ ოღლანა ეწოდებოდა: „ჭორის ძუის ხე ოღლანსა ჰქვიან“.¹

იგი გვხვდება განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში.

სამკურნალოდ იხმარებოდა ხის ფოთოლი, ნეკერი, მას იყენებდნენ კბილის ტკივილის დროს:

„გრაკისა და ჭორის ძუის ხეები ორივე გრილი და ხმელი არის, ვინცა ესე ხეები მოხარშოს და პირშიგა იმგვიბოს, კბილის ტკივილსა უშველის“.²

ჭორის ძუა იხმარებოდა წელის ტკივილისა და „ქარის“ სამკურნალოდ.

„ვინცა ესევე ჭორის ძუა დაჭეკოს და ღვიის წყლითა მობადლოს, გაწუროს და თბილთბილის ამა წყლითა ოყნა ქნას, თქოს და წელის ტკივილსა და ძველსა ქარსა ყუელას გაუგდებს“.³ ამავე მიზნით დასალევად უნიშნავდნენ ჭორის ძუის ფოთლის და ნეკერის ნახარშს.

ჭორის ძუის ფოთოლი ე. წ. იარაყანის სამკურნალოდ იყო გამოყენებული: „ვინცა ჭორის ძუის ფოთოლი დაჭეკოს, ძმრით მოხარშოს და ჰამოს, იარაყანისათვის მწოდ კარგი არის“.⁴

როგორც სამკურნალო მცენარე, ჭორის ძუა უძველესი დროიდან იხმარებოდა. განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა მას ჩინეთში. ჩვენს დროში იგი სასარგებლო მცენარედ ითვლება. მისი მწვანე ნაწილები შეიცავენ ალკალოიდებს, მეტწილად კი ეფედრინს. ეფედრინი შესულია სახელმწიფო ფარმაკოპეაში და მის მისაღებად მთავარ ნედლეულს ჭორის ძუა წარმოადგენს.

ჭალთითი — იხ საქპინაჯი.

ჭალმილი — იხ. მარიამ საკმელა.

ჭილი-ილი — *Кардамон, Elettaria cardamomum Maton et White* და *Elettaria major Smith*.

ძველ ქართულ სამედიცინო ნაწერებში ეს მცენარე შემდეგი სახელწოდებებით არის მოხსენებული: აშაყი, აშახა, მახმორი ყაყულა, კაკულია, კაყულია, პალი, ქაქნაი, იხმარებოდა ამ მცენარის თესლი, რომელსაც კარდამონი ეწოდებოდა. გვხვდება ყაყულის წყალი, მაჯუნი, ყურსი.

ზემოთ აღნიშნული ორის სახე, როგორც ჩანს, განირჩეოდა სიდიდით, გვხვდება გამოთქმები: „ყაყულა — დიდი და წურილი ინდოეთით მოვა“.⁵

„ველი—უმცროსსა კაკულასა რქუინ;⁶ ანდა: „კაკულა დიდროვანი“. ეს მცენარე გვხვდება კუქ-ნაწლავის დაავადების დროს გამოყენებული გუარიშინების შემადგენლობაში; უმთავრესად კი იხმარებოდა, როგორც გარეგანი საშუალება პირის ღრუს სხვადასხვა დაავადების დროს. იგი შედიოდა კეთრის საწინააღმდეგო წამლების შემადგენლობაში. ჰილს ხმარობდნენ მექეპების სამკურნალოდ.

¹ „ილიგარ დაული“, გვ. 661.

² იქვე, გვ. 316.

³ იქვე, გვ. 470.

⁴ იქვე, გვ. 391.

⁵ ხელნაწერი Q 877, დაცულია აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, გვ. 170.

⁶ „სამკურნალო წიგნი“, გვ. 419.

აღნიშნულის გარდა, ჰილს შემდეგ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ: „ჰილი რომე ყაყულას, ეძახიან მეორეს წელშიგა მხურვალი და ხმელი არის, კაცმან რომე ესე ჰილი ჭამოს, ქარსა ამოაღებინებს, ქარსა დაღუწს და გააქარვებს, ციებისათვის, გრილის ღვიძლისათვის, გრილის ხაფაყანისათვის, გრილის სისხისათვის და ყოელის გრილისა და ქარიანისა სენისათვის კაი წამალი და აქინი არის“<sup>1</sup>.

ჰილის სამკურნალო მნიშვნელობის შესახებ უცხოელი ავტორებიდან გალენიც აღნიშნავდა, რომ კარდამონის წასმით მკურნალობდნენ კანის დაავადებებს და აგრეთვე იგი ჰიის საწინააღმდეგოთაც იხმარებოდა.

ჰილი არომატულ მცენარეებს ეკუთვნის, იხმარება საყვებისათვის არომატის მიცემის მიზნით, საკმლის მონელებაზე დადებითად მოქმედებს.

**ჭული** — იხ. საბრი.

<sup>1</sup> „იადიგარ დაული“, გვ. 215.



## ბიბლიოგრაფიული სპიკეზი

### ხელნაწიხები

- კარაბადინი, ფონდი A, № 760 (XVIII საუკუნე)\*.
- კარაბადინი, ფონდი A, № 769 (XVIII საუკუნე).
- კარაბადინი, ფონდი H, № 304 (XVIII საუკუნე).
- კარაბადინი, ფონდი H, № 343 (XVIII საუკუნე).
- ეახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ფონდი H, № 934; ფონდი S, № 5374.
- კარაბადინი, ფონდი H, № 1318 (XVIII საუკუნე).
- კარაბადინი, ფონდი H, № 414 (XVI — XVII სს.).
- სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა, ფონდი H, № 2164 (1782 წ.).
- იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I წიგნი, ფონდი S, № 5374.
- იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II წიგნი, ფონდი H, № 2170.
- იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, III წიგნი, ფონდი H, № 2134.
- იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, IV წიგნი, ფონდი H, № 2153.
- იოანე ბატონიშვილი, კარაბადინი, ფონდი S, № 4005.
- იოანე ბატონიშვილი, სნეულთა ნუგეში, ფონდი S, № 254.
- კარაბადინი, ფონდი H, № 3045 (XVIII საუკუნე).
- კარაბადინი, ფონდი H, № 3264 (XVIII საუკუნე).
- საფუძვლიანი კანონი ანუ მოკლებელისმძღვეველობა მზახველობითისა ხელოვნებისადმი, ფონდი H, № 2375.
- კარაბადინი, ფონდი Q, № 26. ეს ხელნაწერი ლენინგრადულ ხელნაწერთან ერთად საფუძვლად დაედგა გამოცემულ „რუსწორო კარაბადინს“ (იხ. ქანანელი, „რუსწორო კარაბადინი“ ტექსტი დამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. კოტეტიშვილმა).
- დავით ბატონიშვილი, ფიგურ დაულ ხან, იადგარ დაულ, ფონდი Q, № 270. ეს ხელნაწერი სხვა ვარიანტებთან ერთად გამოცემულია ექიმ ლ. კოტეტიშვილის მიერ (იხ. „იადგარ დაული“, საქბიომედგამი, 1938).
- \*ზაზა ფანასკერტელი, კარაბადინი, ფონდი Q, № 877. ამ ხელნაწერის ნაწილი გამოცემულია (იხ. ზაზა ფანასკერტელი, „სამკურნალო წიგნი“ (კარაბადინი), მიხეილ სააკაშვილის რედაქციით, საქმედგამი, თბილისი, 1950).
- გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, ფონდი Q, № 970.
- კარაბადინი, ფონდი Q, № 562 (XVIII საუკუნე).
- კარაბადინი, ფონდი Q, № 749 (XVIII საუკუნე).
- კრებულო, ფონდი Q, № 41.
- რეცეპტურა, ფონდი Q, № 827 (XVIII საუკუნე).
- კარაბადინი, ფონდი Q, № 916 (XVII საუკუნე).
- სამკურნალო წიგნი, ფონდი H, № 2217 (1805 წ.).
- სამკურნალო წიგნი, ფონდი H, № 2370 (1812 წ.).
- წყალობის წიგნი გიორგი მეთორმეტისა ექიმ ანტონის შვილის იოსებ ყარაშვილს, ძველი სიგელ-გუჯრები, ფონდი Hd, № 682.
- მოწმობა იოსებ ყარაშვილს საქართველოს ღიდებულთაგან, ფონდი Hd, № 5651.
- წყალობის წიგნი გიორგი შვეფსა იოსებ ექიმბაშისადმი, ფონდი Hd, № 1317.

\* A, H, Q, S, Hd ფონდების ხელნაწერები დაცულია აკად. ს. ქანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

მოწმობის წიგნი სოლომონ მეორისა ანტონ ყარაევისადმი, ფონდი 226, საქმე 8872\*.  
 მოწმობის წიგნი დარიას იოანე ყარაევისადმი, ფონდი 226, საქმე 8877. ფონდი 213, საქმე 618.

წერილი გიორგი ბატონიშვილისა ოსეფა აქიშაშისადმი, ფონდი 226, საქმე 1256.

მოწმობა დავით ბატონიშვილისა იოანესადმი, ფონდი 226, საქმე 6795.

სიგელის ასლი გიორგი მე-12 ისა, ფონდი 227, საქმე 1137.

წყალობის წიგნი ვრეკლე მეორისა, ფონდი 29, დავთარი .19, საქმე 73. ფონდი 2, საქმე 75.

მოწმობის წიგნი დედოფალ დარიას იოანე ყარაევისადმი, ფონდი 226, საქმე 8870.

იოანე ყარაევის წარდგენა დასაჯილდოებლად, ფონდი 16, საქმე 964.

მიმართვა მეფისადმი, ფონდი 20, საქმე 1602.

კარაბადინი, № 59, \*\* 130 ფურცელი, პატარა ზომისა; ხელნაწერი ჩამსულა ხის ყდაში; მხედრული; შესრულებულია კარგი ხელით, ალაგ-ალაგ ჩართულია სხვა ხელით 67, 68, 69, 70 ფურცელი. დაწყებული კარიდან „თუ კაცსა თვალზე ბინდი ეკვირის“, ვიდრე კარამდე „მატლის გაყრევიანების ლოცვა არის“ შესრულებულია ნაქარვეი და ძველად გასარჩევი ხელით. ზანდუკი არ ახლავს. დაყოფილია კარებებად, სულ 71 კარია.

იწყება: „კარი შევექვს. მაჟის გასინჯვას და ნახვას გამცნებსთ და გაამბობს“.

ბოლო: „კალანდრა მართალი და ქეშმარიტი ბრძენთაგან დაცილია“. ავტორი არ ჩანს; არ თარიღდება.

ნერეების და დამბლის საოფლისათვის, № 63; 27 ფურცელი; ოთხი დიდფურცლიანი რვეულის კრებული, პირველი და მეოთხე ღია მწვანე ფერისაა, მეორე და მესამე მოცისფრო. მხედრული; ერთი ხელით შესრულებული. ზანდუკი არ ახლავს, ავტორი არ ჩანს; უთარიღია. დაყოფილია 40 პარაგრაფად.

დასაწყისი: „წინა უწყება. ა. 1. წინამძღვრები მოკლისა აღწერისა ნერეების და დამბლის საოფლისა...“

ბოლო კარის ბოლო აბზაცი:

„სახითა ამით მოქცევსა, ძალუმს დაეცა მოქმედებისაგან ზიზზოთა, მაწარმოებულთა საოფლისთა, და განმათვისებულთა სხუათა მძუნეარისა ამის სენისაგან, რომელიცა ზმირად შეამოკლებს სიოცხლეს უმჯობესთა წელიწადთა შინა, ძალუმს მიწვენად იმ ქეშმარიტისადმი სულიერისა სიამოვნისა, რომლითაც შემსუბუქდებიან ყოველნი შრომანი და დატყბების ყოველივე მათელი მწუხარებათ“.

ქართულ ტექსტში ზმირად გვხვდება ლათინური ან რუსული სიტყვები, რომლებიც გამოყოფილია ბრჩილებით.

უკანასკნელ, მეოთხე რვეულში საგრძნობად ადგილს იჭერს ლათინური რეცეპტები, რომლებიც შავი ხაზებით არის გამოყოფილი და დანომრილი, ასეთია სულ 15.

განმსჯელობათვის ყვითლის ამერიკულისა საოფლისა, № 74; ხელნაწერი წარმოადგენს ოცფურცლიან რვეულს, ყდა და ფურცლები მოცისფრო; შესრულებულია ერთი ხელით (მხედრული); ზანდუკი არა აქვს; ოყოფა 10 თავად. ბოლო გვერდზე წერია: „მეფის ძემ იოანემ მოგართვი იოანე ექიმს. აბრისს ყდ წელსა ჩყია“.

№ 114 ქვეშ ორი სხვადასხვა ხელნაწერია გაერთიანებული: „ლათინური რეცეპტები“ და „კარაბადინი“. პირველი შედგება ჩვეულებრივი ზომის 7 ფურცლისგან და წარმოადგენს ლათინური რეცეპტების სიას. სულ 63 რეცეპტია. ხელნაწერი შესრულებულია კარგი ხელით. თითოეულ რეცეპტს წინ უძღვის ქართული წარწერა წამლის დანიშნულების შესახებ. მაგალითად, მუცლის წყალმანქისათვის და სხვ. მეორე ხელნაწერი 50 ფურცლისაგან შედგება. 3 ფურცელი ზანდუკს უჭირავს, 49 დაავადებათა აღწერასა და მკურნალობას შეეხება. ალაგ-ალაგ ტექსტში გვხვდება ასომთავრული ასოებით ნაწერი სიტყვები, განსაკუთრებით სათაურებში. ხელი მხედრული, ძველი გასარჩევი. ზანდუკი 111 თავს შეიცავს, მაგრამ ეს ზანდუკი სხვა ხელნაწერისა უნდა იყოს.

\* ეს და მომდევნო საბუთები დატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში.

\*\* ეს და ქვემოთ დასახელებული ხელნაწერები № 17 ჩათვლით მიეკუთვნება იოანე ბატონიშვილის ფონდს და დატულია სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

წყალმანის უწყებულება და მისი შორჩენა ვითარითა სახითა ჟერ არს, № 134; მხედრული; 11 ფურცელი. ადა არა აქეს, არც ზანდუკი. იყოფა 11 თავად. ხელნაწერი უთარიღოა; ხელის მიხედვით XVIII—XIX საუკუნისაა.

სამკურნალო კრებული. № 136. ხელნაწერი ჩასმულია ხის ყდაში. 240 ფურცელია. ხელი მხედრული. იგი წარმოადგენს სამედიცინო ხასიათის შრომათა კრებულს. გავრთიანებულია ოთხი ხელნაწერი: ერთი ოვით „კარაბადინი“, მეორე — ჰიგიენური შინაარსის ნაშრომი „სიმრთელის დაცვისათვის“, მესამე — „წამალთა სახელნი შედლებსამებრ ჩუენის პოვნილნი კარაბადინთაგან და ლათინურისაგან ნათარგმნი ქართულად, რომელნიც მოპოიებთან ქართულსა ენასა შინა. წამალთა სახელნი აქა დაიდების ევრეთეუ სნეულებისაყა“, მეოთხე — „ნუსხა წამლისა“. კრებული შესრულებულია იოანე ბატონიშვილის, გაიოზ არქიმანდრიტის. ვინმე სიღამონიძის მიერ. ნაწილი XVIII საუკუნის მიწურულშია გაკეთებული, ნაწილი XIX საუკუნის დასაწყისში.

სამკურნალო კრებული, № 166. ამ ნომრით გავრთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა სამედიცინო ხელნაწერი; აკონწელია ერთად, ჩასმულია მუყაოს ყდაში. რიგით პირველს ასეთი სათაური აქვს: „კაცის ანატომიაზედ, რომელსა ჰქვიან კაცის გამოშიგენა და მისი ყოვლის ასოების დასინჯვა და მისთვის შესაფერი წამლებიყა“. ეს ხელნაწერი 38 ფურცელია; ხელი მხედრული, მკაფიოდ იკითხება. მეორე ხელნაწერი პატარაა (6 ფურცელი), ხელნაწერში 39—44 ფურცელი უქირავს. შესრულებულია გაკრული მხედრულით. მესამე ხელნაწერი უფრო დიდია, 45—169 ფურცელი უქირავს. შემდეგ, 169 დან 272 ფურცლამდე სხვადასხვა დაავადებთა ნიშნები და მკურნალობა არის აღწერილი. XVIII საუკუნის მიწურულშია შესრულებული.

წამალთ სახელნი ლათინური, ქართული და თათრული, № 173. 83 ფურცელი; ხელი მხედრული; ავტორი არ ჩანს, უთარიღოა.

სამკურნალო რეცეპტები, № 176. 88 ფურცლისაგან შედგება; შენახულია კარგად; გააკვეული მხედრულითაა შესრულებული; ჩასმულია მუყაოს ყდაში; დაყოფილია კარგად; ზანდუკი არა აქვს. თაფურცელზე, ტექსტს უძღვის შემდეგი წარწერა:

„გარდმობიებული ლათინურისა და თათრულისაგან ქართულსა ენასა ჴედა ფრიად საჭირო და სამკურნალო რეცეპტები, რომელიცა ანბანზედ არის გამოკრებული მისის უმაღლესობის, საქართველოს მეფის გიორგის პირშშოს ძისა და საქართველოს მეგვიდრისა, ღენერალ-ლეიტენანტის დაეთისაგან, სამეუფოსა ქალაქსა, სენატ-პეტერბურს, წელსა 1811, იანვრის 20.“

საქმითა ჰსჯა სურავანდის სნეულებისათვის, № 186. სამი რეცეპტი (31 ფურცელი), ყდა არა აქვს. სათაური პირველ გვერდზეა ასომთავრულით დაწერილი. თარგმანი შესრულებულია გაიოზ არქიმანდრიტის მიერ პეტერბურგში, 1790 წელი.

კარაბადინი, № 17, შეიცავს 59 ფურცელს, დაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ნაწილში ანბანის მიხედვით ჩამოთვლილია დაავადებანი და მათი მკურნალობა, მეორე ნაწილში — ხალხური მკურნალობის საშუალებანი, მესამე ნაწილში — წამლები. ხელნაწერი ჩასმულია მაგარ ყდაში, შესრულებულია მხედრულით, აქვს ზანდუკი. XVIII საუკუნისაა.

იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ლექსიკონი რუსულისა და ქართულისა ენისა, ფონდი P, № 8; შეიცავს 3232 სიტყვას: გადაწერილია ავტოგრაფიდან 1807 წელს პეტერბურგში.  
იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, მდგომთა, ნერგთა, მხეტთა, მფრინველთა, და ქვე-წარმავლთა, და აგრეთვე სხვათა მეტალთა და ბუზთა, ქართული, არაბული, სპარსული, თათრული, ლათინური, სომხური, ფონდი H, № 31/3, შეიცავს 1175 ტერმინს; შედგენილია XIX საუკუნის პირველ მეოთხედში პეტერბურგში.

ბოტანიკური ტერმინების ლექსიკონი, ფონდი H № 31/2; შეიცავს 338 ტერმინს; გადაწერილია პეტერბურგში არა უგვიანეს 1808 წლისა. რედაქტორი თეიმურაზ ბატონიშვილისა.

თ ე ი შ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ლექსიკონი ბოტანიკური და სხვ., ფონდი H, № 88; შეიცავს 174 ტერმინს; XIX საუკუნის პირველი მეოთხედი.

აღწერა ცხოველების მათის არსების ბალზამისა, ფონდი C, № 45; 9 ფურცელი; ავტორი არ ჩანს, შესრულებულია პეტერბურგში, 1814 წელი.

\* ეს და მომდევნო ხელნაწერები ინახება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.

- აღწერა: ცხოველების მასის ბალზამისა, ფონდი C, № 34; 16 ფურცელი, შესრულებულია პეტერბურგში, 1822 წელი.
- თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ რ ი ნ ი შ ე ი ლ ი, უსათაურო ხელნაწერი, ფონდი H, № 38. ხელი მხედრული. შედგება ოთხი ნაწილისაგან. დაუწერია თეიმურაზს ბროსეს თხოვნით, ჩუბინი-შვილის ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონის გამოცემის დროს.
- უსათაურო ხელნაწერი, ფონდი E, № 187. ხელი მხედრული. ცხოველთა და მცენარეთა ქართული დასახელება ქართული და ლათინური ტრანსკრიპციით. დათარიღებულია (1787 წ.), ავტორი არ ჩანს.
- ლექსიკონი, ფონდი H, № 25/1. 34 ფურცელი; ყდა არა აქვს; ხელი მხედრული, ხელის მიხედვით იოანე ბატონიშვილის უნდა იყოს. XIX საუკუნის პირველი მეოთხედისაა.
- კარაბადინი, ფონდი E, № 46. ხელნაწერი ჩასმულია ხის ყდაში, რომელსაც ტყავი აქვს გადაკრული; 88 ფურცელი; ხელი მხედრული, შედგება ორი ნაწილისაგან: ერთი 1—51 ფურცლებზე, მეორე კი 52—88 ფურცლებზე. ორივე იყოფა კარებებად, ორივეს ახლავს ზანღუცი. ავტორი არ ჩანს. არ თარიღდება.
- აქიმობის წიგნი ანბანური, ფონდი E, № 105. 32 ფურცელი; ქალღმრთის ყდაშია ჩასმული. ხელი მხედრული; დასახელებულია 184 ავადმყოფობა. ზანღუცი არ ახლავს, ავტორი არ ჩანს, თარიღი არა აქვს.
- დარიგება აღებისათვის, შენახვისა და ხმარებისა ასპირელის ყვავილის ჩირქისა, ფონდი E, № 118. 1 ფურცელი; ხელი მხედრული; აღწერილია ყვავილის საწინააღმდეგო ასპირელი მასალის აღების, შენახვისა და აცრის წესი. ავტორი არ ჩანს; თარიღი არა აქვს.
- კარაბადინი. ფონდი K, № 13. 499 ფურცელი; ხელი მხედრული. ჩასმულია მუყაოს ყდაში. შენახულია კარგად. ავტორი არ ჩანს; თარიღი არა აქვს.

### ბამოქმვეყნებული პირველწყაროები და დამხმარე ლიტერატურა

- ა ბ უ ლ ა ძ ე ი ლ., ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოქაზილი ძველ ქართულ მწერლობაში, „ენიმკის მოამბე“, ტ. XIV, თბილისი, 1944.
- ა ბ უ ლ ა ძ ე ი ლ., მრავალთავი, „ენიმკის მოამბე“, ტ. XIV, თბილისი, 1944.
- ა ბ უ ლ ა ძ ე ი ლ., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკუნეებში, სადოქტორო დისერტაცია, 1945.
- ა ბ უ ს ე რ ი ს-ძ ე ტ ბ ე ლ ი, ბოლოკ-ბახილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერის-ძეთა საგარეულო მატთან 1233 წ., ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები, A, ისტორიკოსები, თბილისი, 1941.
- ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, ტფილისი, 1935.
- აეეჯი ქართულ ფრესკებსა, მინიატურებსა და კედურ ხელოვნებაში, ნიმუშების კრებული, LXII ტაბულა, აკად. ივ. ჭავჭავაძის რედაქციით, თბილისი, 1941.
- ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაქებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, 1901.
- ა მ ა შ უ ე ე ლ ი ე., არგონავტთა მითი ქართულ მწერლობაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1935.
- ა მ ი რ ა ნ ა შ ე ი ლ ი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბილისი, 1944.
- ამირანი, მითოლოგიური პოემა, განახლებული შ. ნუცუბიძის მიერ, თბილისი, საბჭოთა მწერალი, 1945.
- ანგარიში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოქმედებისა, 1911 წლის, თბილისი, 1912; 1913 წლის, თბილისი, 1914; 1914 წლის, თბილისი, 1915

- ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა, 1898 წლისა, თბილისი, 1899; 1911 წლისა, თბილისი, 1912.
- ანგარიში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა 1913—1915 წლისა, ქუთაისი, 1916.
- ანონიმი, მარტილობა და მოთმინებაი წმიდისა ეესტათი მცხეთელისაი, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, III, თბილისი, 1928; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946.
- ანონიმი, იესე წილენელის ცხოვრება, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882.
- ანონიმი, კონსტანტი-კახის მარტილობა, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946.
- ანონიმი, ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტილობა, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946.
- ანონიმი, ექვთიმე გრძელის სიტყვისგება, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; თ. ფორდანი, ქრონიკები, I, თბილისი, 1892.
- ანონიმი, ნინოს ცხოვრება, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, თბილისი, 1891; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946.
- ანონიმი, მოქცევაი ქართლისაი, ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფილისი, 1890; თ. ფორდანი, ქრონიკები, I, თბილისი, 1892.
- ანონიმი, იოსებ ალავერდელის ცხოვრება, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882.
- ანონიმი, ცხოვრებაი დავით გარეჯელისაი, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955.
- ანონიმი, ანტონ მარტომყოფელის ცხოვრება, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882.
- ანონიმი, აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955.
- ანონიმი, იოანე ზედაქელის ცხოვრება, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955.
- ანონიმი, პროპორეს ცხოვრება, თ. ფორდანი, ქრონიკები, II, 1897; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.
- ანონიმი, დავით და კონსტანტინეს მარტილობა, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.

- ანონიმი, ცხოვრება შიოსი და ვეგარესი, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946; ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955.
- ანონიმი, რადენის მარტილობა, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.
- ანონიმი, სამონასტრო ტიპიკონი, ს. კაკაბაძე, წერილები და მსალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბილისი, 1914.
- ანონიმი, ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნი, თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, თბილისი, 1897.
- ანონიმი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, თბილისი, 1941.
- ანონიმი, ლაშა გიორგის დროინდელი მატთანე (დემეტრე, გიორგი, თამარ და ლაშა გიორგი მეფეთა ცხოვრება), ივ. ჯავახიშვილი, ლაშა გიორგის დროინდელი შემატანე, თბილისი, 1927; ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, სახელგამი, თბილისი, 1955.
- ანონიმი, მატთანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, სახელგამი, თბილისი, 1955.
- ანონიმი, საეკლესიო კრების აქტები, თ. ჟორდანიას, ქრონიკები II, თბილისი, 1897.
- ანონიმი, უამთააღწერლობა, ქართლის ცხოვრება, შარიამ დედოფლის ვარიანტი, ევ. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1906.
- ანონიმი, მატთანე სენათის კრებისაი, პ. ინგოროყვა, სენათის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი II, ტექსტები, თბილისი, 1941.
- ანონიმი, საქართველოს მოკლე ისტორია, ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალა, II, მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ, ძველი საქართველო, II, თბილისი, 1911—913.
- ანონიმი, ლუკა მუხაის-ძის მარტილობა, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.
- ანონიმი, ხელშეწივის კარის გარიგება ე. თაყაიშვილის გამოცემა, Monumenta Georgica, IV, № 1, თბილისი, 1920.
- ანტონი კათალიკოსი, სპეკალი, კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I სერია, 1936.
- ანტონი კათალიკოსი, მზა-მეტყველება, ტფილისი, 1892.
- ანტონი კათალიკოსი, წყობილსიტყუაობა, ტფილისი, 1853.
- აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ბერძნულიდან თარგმანა, წინასიტყუაობა და განმარტება დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი, 1948.
- არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ, თარგმანი ი. მუკაიარაინისა, „მოამბე“, № 12, 1897; № 1 და № 2 1898.
- არაყიშვილი ი. დ., ქართული მუსიკა, მოკლე ისტორიული მიმოხილვა, ქუთაისი, 1925.
- არსენ შიონაშვილი, რუის-ურბნისის 1103 წ. კრების ძეგლის წერა, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, თბილისი, 1897.
- არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1936.
- არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1937.

- ასურელ შამათა ცხოვრება, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. აკა-  
ბაძე, ასურელ შამათა ცხოვრებათა არქეტიპები, საისტორიო კრებულის I წიგნის დამა-  
ტება, თბილისი, 1928; ს. უზნაძე-შვილის მიერ შედგენილი ძველ ქართულ ლიტერატურის  
ქრესტომათია, I, თბილისი, 1946; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რე-  
დაქციები, ტექსტები გამოკვლევიანა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი,  
1955.
- ა ჟ ა კ ი ძ ე ა., ბაქურციხის არქეოლოგიური ძეგლები, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი,  
1940.
- ა ჟ ა კ ი ძ ე ა., საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქ-  
ზე, თბილისი, 1956.
- ალანნი ჭვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ქართული დედანი 16 პალეოგრაფიული სუ-  
რათით გამოსცა ნ. მარმა, *Синодик Крестного монастыря в Иерусалиме*, СПб.  
1914.
- ზაბილონის მეფის ჰამურაბის კანონები, ტექსტი თარგმნილი რუსულიდან ელ. აბაშიძე-რუსიას  
და ალ. რუსიას მიერ, პრ. ფ. ალ. წერეთელის რედაქციით, წინასიტყვაობით და დამატე-  
ბით, ტფილისი, 1934.
- ზ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი დ ა ე ი თ, დაუდ ხან, იაღიგარ დაუდი, ლ. კოტეტიშვილის წინასიტყვაო-  
ბითა და რედაქციით, საქბიომედგამი, თბილისი, 1938.
- ზ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ო ა ნ ე, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორ-  
მების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და სიძიებლები  
დაურთო ივ. სურგულაძემ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-  
ტის გამომცემლობა, თბილისი, 1957.
- ზ ა გ რ ა ტ V, ოპიზის სიგელი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის გამოცემა,  
თბილისი, 1909.
- ზ ა გ რ ა ტ კ უ რ ო პ ა ლ ა ტ ი, სამართლის წიგნი, დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია, მე-  
ორე გამოცემა, პეტერბურგი, 1863.
- ზ ა დ რ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., მატერიალური კულტურის ძეგლები თბილისში, საიუბილეო კრებული,  
თბილისი, 1946.
- ზ ა ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი ი., ძველი თბილისი, თბილისი, 1951.
- ზ ა რ ა მ ი ძ ე ალ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1945;  
ზ ა რ ა მ ი ძ ე ალ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940.  
ზ ა რ ა მ ი ძ ე ალ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1952.  
ზ ა რ ა მ ი ძ ე ალ., საჩარო პეკრობა თელავის სემინარიაში, სწავლა-აღზრდის ისტორია საქარ-  
თელოში, მასალების კრებული, I, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,  
ტფილისი, 1937.
- პ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე - ლ ო მ ი ა ვ., ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან  
ქართლში, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, IV, 1927.
- პ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., ხალხური შემოქმედების ნიმუში, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“,  
ტ. VIII, 1935.
- პ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ. აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექს-  
ტები, მასალები საქართველოს ენთოგრაფიისათვის, ტ. I, თბილისი, 1938.
- პ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, თბილისი,  
1939.
- პ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., სვანური საგალობელი ბარბარ დოლაში, „ენიმის მოამბე“, V—VI, 1940.  
პ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ  
ბაბარ) გ. ჩიტაიას რედაქციით, საქ. მეცნ. აკად. გამოცემა, ენიმკი, თბილისი, 1941.  
პ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსუ-  
ლიანობის კონცეფცია), „მომომხილელი“, I, 1949.

- ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., ქართული (სევანური) საწესო გრაფიკული ზელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953.
- ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი ს. „გასათხოვარი ქალის მზითველი მე-18 საუკუნის დასაწყისის საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი XI-B, 1941.
- ბ ა ს ი ლ დ ი დ ი, ექვსთა დღეთაი, გიორგი მთაწმინდელის თარგმანი, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო მ. კახაძემ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II (25), თბილისი, 1947.
- ბ ა ს ე ლ ზ ა რ ზ შ ე ლ ი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, კ. კეკელიძის გამოცემა, აღწერილი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, I, თბილისი, 1935. ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, თბილისი, 1946.
- ბ ა ს ი ლ ე ზ ო ს მ ო ძ ლ უ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ი. ჭავჭავაძის გამოცემა, საქართველოს მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები, A, ისტორიკოსები, თბილისი, 1944.
- ბ ა ტ ო ნ ი შ ე ლ ი ბ ა გ რ ა ტ, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლომოურმა, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები, A, ისტორიკოსები, თბილისი, 1941.
- ბ ა ტ ო ნ ი შ ე ლ ი დ ა ე თ, ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები, A, ისტორიკოსები, თბილისი, 1941.
- ბ ა ტ ო ნ ი შ ე ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ ვ, ისტორიებში აღწერა ღირსთა ხსონისა შემთხვევლებათა საქართველოს შინა აღწერითა ზნობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძმის ვახტანგის მიერ, სარგის კაცაბაძის გამოცემა, ტფილისი, 1914.
- ბ ა ტ ო ნ ი შ ე ლ ი ი ო ა ნ ე, კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის რედაქციით, სახელგამი, თბილისი, 1936.
- ბ ა ტ ო ნ ი შ ე ლ ი ი ო ა ნ ე, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, სახელგამი, თბილისი, 1948.
- ბ ა ქ რ ა ძ ე დ., ზოგიერთი რამ ჩვენ ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვ. I. ათონის მთიდან მოტანილის ძველი წიგნის გამო, „ივერია“, № 8, 1877.
- ბ ა ქ რ ა ძ ე ა., ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო (V—XIII საუკუნეები), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1954 წ.
- ბ ა ხ ტ ა ძ ე გ., შრომანას პრეპარატის ფარმაკოლოგიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1953.
- ბ ე რ ა ძ ე პ ა ნ ტ., ფილოლოგიური შენიშვნები, „ლიტერატურული გაზეთი“, № 26 (988), 1956.
- ბ ე რ ა ძ ე ი., ისტორიკოსი იოანე ბიკლარელი და მისი ცნობები VI საუკუნის საქართველოს შესახებ, უნივერსიტეტის შრომები, ტ. II, 1940.
- ბ ე რ ი ძ ე ვ უ ჯ ო ლ, სიტყვის კონა იმერული და რაქული თქნათა, 1912.
- ბ ე რ ი ძ ე ე., სამცხის ზეოთმოდგერება XIII—XVI საუკუნეებში, თბილისი, 1955 წ.
- ბ ე რ ი ძ ე ვ., XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ანალები, ივანე ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1947.
- ბ ე რ ი ტ ა შ ე ლ ი ი., კუნთოვნისა და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია, თბილისი, 1955.
- ბ ე რ ი ტ ა შ ე ლ ი ი., მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, ძველი დროიდან მე-14 საუკუნემდე, თბილისი, 1957.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ლ ი ნ., საქართველოს ისტორია, XIII—XIV საუკუნე, უნივერსიტეტის შრომები, ტომი VI, 1937 წ.



- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., მასალები XI საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I, თბილისი, 1937.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., V XIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბილისი, 1944.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., ძველი (გამარჯვება), რუმინია-ბულგარეთში მოგზაურობიდან, თბილისი, 1949.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., ათონის კრებულის რედაქცია, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტომი XI B. 1941 წ.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, № 6, 1954.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი VI, 1937.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., ძველი თბილისის ტომონიმიკიდან (ავარანი), „მიმომხილველი“, II, თბილისი, 1951.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქართველოს და კავკასიის, ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბილისი, 1944 წ.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., წყალტუბოს ისტორიისათვის, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. IV, № 7, 1943.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იეჭავაძიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი მ., ქალაქ ფოთის ლოკალიზაციისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 23, 1944.
- ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი მ., ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1941.
- ბ ე ქ ა და ა ღ ბ ლ ა, სამართლის წიგნი, დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია, მეორე გამოცემა, პეტერბურგი, 1863.
- ბიბლია, დაბადება, 1863.
- ბ ო კ ო რ ი შ ვ ი ლ ი ლ., ოქროშეკლდობა სვანეთში, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 7, № 5, 1946.
- ბ რ ო ს ე მ., საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თარგმანი ს. ლოლობერიძისა, ტფილისი, 1895.
- ბ რ ო ს ე მ., საქართველოს ისტორია, ნაწილი II, ნათარგმნი და განმარტებული ს. ლოლობერიძის მიერ, ტფილისი, 1900.
- ბ უ რ ჩ ა კ ა ბ რ ა მ ო ვ ი ჩ ი ნ. და გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ე., უმაღლესი ადამიანისნაირი მიმუნი აღმოსავლეთ საქართველოს ზედა მესამეული ნალექებიდან „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტომი VI, № 6, 1945.
- გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ე., ვახუშტი XVII—XVIII საუკუნის ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, „მასალები“, ტომი I, 1947.
- გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ე., თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობა დასავლეთსა და აღმოსავლეთში (ომის დროსა და ომის შემდეგ), „მიმომხილველი“, ტომი I, 1949.
- გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ე., ქართლის სამეფოს სახელმწიფო წესწყობილება დასტურლამალის მიხედვით, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1942.
- გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ტ ი მ ო თ ე., მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956.

- გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, საქართველოს საისტორიო და საენთოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, თბილისი, 1934.
- გეორგიკა, ტომი III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1936.
- გეორგიკა, ტომი IV, ნაქ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1941.
- გეორგიკა, ტომი IV, ნაქ. II, თარგმანი და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1952.
- გ ე გ ე ლ ა შ ე ლ ი კ., სამედიცინო ცნობები იოანე ბატონიშვილის კალმასობაში, შიხსენებულთა მედიცინის ისტორიის კათედრის გაფართოებულ სხდომაზე, ოქმი № 8, 1949, ხელნაწერი.
- გ ე ა ს ა ლ ი ა ა., ქართველთა უშორეულესი წინაპრები პირველყოფილ კულტურასთან დაკავშირებით (ცდა საკითხის დასმისათვის), თბილისი, 1927.
- გ ე რ ი ტ ი შ ე ი ლ ი დ., გორის ისტორია, თბილისი, სახელგამო, 1954.
- გ ე რ ი ტ ი შ ე ი ლ ი დ., გვიანფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობიდან (ქართლის სათავადოები), სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1953.
- გ ი ო რ გ ი ა თ ო ნ ე ლ ი, იოანე და ექვთიმე ათონელთა ცხოვრება, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882. ი. ჭავჭავაძის მიერ. ცხოვრება ივანესა და ეფთიმესი, თბილისი, 1946; ს. ყუბანიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.
- გ ი ო რ გ ი ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე, ძველისდება, თ. ჟორდანიანი, ქრონიკები, II, თბილისი, 1897.
- გ ი ო რ გ ი მ ე რ ა ჯ უ ლ ე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ს. ყუბანიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, I, აღდგენილი დედანი, თბილისი, 1949.
- გ ი ო რ გ ი ხ უ ე ე ს მ ო ნ ა ზ ო ნ ი, გიორგი ათონელის ცხოვრება, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; თ. ჟორდანიანი, ქრონიკები, II, თბილისი, 1897; ს. ყუბანიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.
- გ ი ო რ გ ი მ ო ნ ა ზ ო ნ ი, ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაი, მთარგმნელი და რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი, ტფილისი, 1920.
- გ ო ბ ე ჟ ი შ ე ლ ი გ., ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1943.
- გ ო ბ ე ჟ ი შ ე ლ ი მ., სტალინის ნაცარგორა, „მომზობალები“, II, თბილისი, 1951.
- გ ო ბ ე ჟ ი შ ე ლ ი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952.
- გ ო ბ ე ჟ ი შ ე ლ ი გ., არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, თბილისი, 1954.
- გ ო ზ ა ლ ი შ ე ი ლ ი გ., რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ, უნივერსიტეტის შრომები, XXXVII, 1949.
- გ ო გ ს ა ძ ე მ., დავით აღმაშენებლის ქსენონი, „ინდუსტრიული ქუთაისი“, № 3, 1946.
- გ ო გ ს ა ძ ე მ., კოლხეთის განათლება და კულტურა IV—V საუკ., „ინდუსტრიული ქუთაისი“, № 59, 1950.
- გ ო რ გ ა ძ ე ს., იოანე დამასკელის მთავარი თხზულება. წყარო ცოდნისა, ქართულ მწერლობაში, თბილისი, 1926.
- გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფრასადან, საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფილისი, 1926.

- გ რ ი გ ო ლ ი ა კ., ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1954.
- გ რ ი გ ო ლ ი ა კ., იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება მე-17 საუკუნეში, საკანდიდატო დისერტაცია, 1942.
- გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი, კაცისა შესაქმნისათვის, IX—X სს. მწერლობა, მ. ჟანაშვილის გამოცემა, თბილისი, 1891.
- გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., ქართული წიგნი 1629—1929 წწ., თბილისი, 1929.
- გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაუთარი, გამოსცა, თარგმანი, კომენტარები და გამოკლევა დაურთო ს. ჩიქიაშვილს, წიგნი I და II, ენიშვი, თბილისი, 1947.
- და ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი, ანდრძი შიომღვიმისათვის, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1912.
- და ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს ის ტ ო რ ი კ ო ს ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაიეთისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, სახელგამი, თბილისი, 1955.
- და ნ ი ბ ე გ ა შ ვ ი ლ ი რ., მოგზაურობა ინდოეთში, თარგმანი, წინასიტყვაობა და შენიშვნები ს. იორდანიშვილისა, თბილისი, 1950.
- დ ო ნ დ უ ა ვ., კალმასობა, როგორც ყოფა-ცხოვრებითი მოვლენა ძველს საქართველოში, თბილისი, 1949.
- დ ო ნ დ უ ა ვ., ვახტანგ VI დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712—1745), „შომომხილველი“, III, 1953.
- ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, XVIII საუკუნის დამდეგი, I, ტექსტი ივ. ჭავჭავაძის წინასიტყვაობით და რედაქციით, ქართული საისტორიო ძეგლები, ენიშვი, თბილისი, 1940.
- ე ნ გ ე ლ ს ი ფ., შრომის როლი მაიმუნის აღმზიანად გარდაქცევის პროცესში, თბილისი, 1955.
- ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, თბილისი, 1955.
- ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, თბილისი, 1950.
- ე ნ უ ქ ი ძ ე თ., ვახტანგ VI სამართლის წიგნი, უძველესი ნუსხა, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1953.
- ე რ ი ს თ ა ვ ი რ ა ფ ი ე ლ., შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართული მცენარეთა ლექსიკონი, თბილისი, 1873.
- ე რ ი ს თ ა ვ ი რ ა ფ ი ე ლ., მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა და ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან, ტფილისი, 1884.
- ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე, ქართველთა მოქცევის მიზეზი, თ. ვორდანია, ქრონიკები, I, თბილისი, 1892.
- ე ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, „მნათობი“, 1871, №№ 7, 8, 1872, № 4—5, 6—7; პ. უმიკაშვილი, დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, თბილისი, 1886.
- ე . ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.
- ვაჰანის ქვაბთა ვანგება, ლ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბილისი, 1939.
- ვისრამიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1949.
- ზ ა ქ ა რ ი ა ქ ა რ თ ე ლ ი, ცხოვრება პეტრე ივერიელისაი, მ. საბინინის გამოცემა, „საქართველოს სამოთხე“, პეტერბურგი, 1882.
- თავადი მიშუციის და დიკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში, 1640—1643. საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევქოვმა, ტფილისი, 1928.

- თ ა ე ზ ი შ ვ ი ლ ი გ., უზღვევა გ-ნათლობის ისტორიისათვის საქართველოში, ნ. რევევი I, პედაგოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1938.
- თ ა ე ზ ი შ ვ ი ლ ი გ., სახალხო განათლებისა და პედაგოგიის ისტორია საქართველოში, სა-  
დოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1946.
- თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი შ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902.
- თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., სამი ისტორიული ქრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრა-  
ტიონების შესახებ და შესხური დაეთნისა), თბილისი, 1890.
- თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I (1901—1902 წწ.),  
თბილისი, 1907.
- თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი II (1901—  
1902 წწ.), თბილისი, 1914.
- თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთსში და ჩანგლში 1907., პა-  
რიზი, 1938.
- თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., საისტორიო მასალანი, წიგნი I, თბილისი, 1912.
- თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., საისტორიო მასალანი, წიგნი II, თბილისი, 1912.
- თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., ხელმწიფის კარის გარიგება, თბილისი, 1920.
- თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოც  
ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი, პარიზი, 1933.
- თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ., პარიზი, 1937.
- თ ე ე ლ ო რ ა ძ ე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბილისი, 1930.
- თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე., სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება, თხზულებათა  
სრული კრებული, ვ. ჯაყობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნე-  
ბით, თბილისი, 1939.
- თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე., ხილთა ბაასი, თხზულებათა სრული კრებული, ვ. ჯაყობიას წინასიტ-  
ყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბილისი, 1939 წ.
- თ ე ო ფ ი ლ ე ხ ე ო ე ს მ ო ნ ა ზ ო ნ ი, ილარიონ ქართველის ცხოვრება, მ. საბინინი, საქარ-  
თველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქარ-  
თული ლიტერატურის კრესტომათია, I, თბილისი, 1946.
- ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, წამებაი წმიდისა შუშანიისი დედოფლისაი, მ. საბინინი, საქარ-  
თველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. გორგაძე, იაკობ ხუცესი, წამებაი წმიდისა  
შუშანიისი, ტექსტი, შენიშვნები და ვარიანტები, ქუთაისი, 1917; ი. აბულაძე, იაკობ  
ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიისი, თბილისი, 1928; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედ-  
გენილი ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946.
- ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, თბი-  
ლისი, 1948—1949 წწ.
- ი მ ნ ა ო ე მ ე რ ი, ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია,  
თბილისი, 1953.
- ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, ნარკვევი ძვე-  
ლი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა  
ისტორიიდან, თბილისი, 1954.
- ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII—X სა-  
უკუნეები, თბილისი, 1913.
- ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., ლეონტი მროველი. ქართველი ისტორიკოსი, მამბათამწერალი VIII  
საუკუნისა, „ენიქის მოამბე“, ტომი X, 1941.
- ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, სომეხ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, თარ-  
გმანი შენიშვნებით ილია აბულაძისა, თბილისი, 1937.

- იოანე საბანისძე, აბო ტფილელის მარტილობა, მ. საბანინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1935; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბილისი, 1946.
- იოანე-უოსიძე, ქება და დიდება ქართულისა ენისაი, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.
- იოვანე ოქროპირი, შიშისათვის ღმერთისა და სინანულისა, მამათა სწავლანი, X—XI საუკუნის ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა ი. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი 1955.
- იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცაბეტისა, აკაკი გაწერელის შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, ფედერაცია, 1936.
- ისტაპარი ჰოლდვალაძე შამდალაძე ყაზვენი, საქართველოს ისტორიის წყაროები, სერია IV, ირანელი ავტორები, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებით ვ. ფუთურძისა, თბილისი, 1937.
- იოანე შავთელი, აბდულ-მესია, დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია, მეორე გამოცემა, პეტერბურგი, 1863; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, თბილისი, 1945.
- კავბაძე ს., სიგელი მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წ., შიო მღვიმისათვის დაწერილი, ტფილისი, 1912 წ.
- კავბაძე ს., საციბლო გამოსავლის დიდი დავთარი, ტფილისი, 1913.
- კავბაძე ს., ისტორიული საბუთები, თბილისი, 1913.
- კალანდაძე ა., არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1938 წ., „ენიმკის მოამბე“, № 4—5, 1939.
- კალანდაძე ა., სამარბთა აღწავლა და დაკრძალვის წესი სამთავროს უძველეს სამაროვანზე. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1947.
- კალანდაძე ა., ანტიკური პერიოდის აბანო არმაზისხევში, თბილისი, 1948 წ. მოხსენებათა თეზისები.
- კალანდაძე ა., სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1945.
- კაპანაძე ი., რა დროიდან არის ცნობილი ბორჯომის მინერალური წყლები, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, № 6, 1954.
- კარიკაშვილი დ., ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, XVII და XVIII საუკუნეები, თბილისი, 1929.
- კახაძე მ., ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურს და კულტურულ ცხოვრებაში, თბილისი, 1954.
- კახაძე მ., ბასილი დიდის ექუსთა დღეთაი, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1948.
- კეკელიძე კ., კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 1949.
- კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, ძველი მრეწველობა, 1941.
- კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი II, საერო მწერლობა, 1941.
- კეკელიძე კ., თარგმანები ეკლესიასტისაი მიტროფანე, მზვირნელ მიტროპოლიტისაი, ტფილისი, 1920.
- კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტომი I, მეორე გადამუშავებული და შეესებული გამოცემა, თბილისი, 1951.
- კეკელიძე კ., ძველი ქართული წილიწაღი, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941.

- კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი I, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტომი I, 1936.
- კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი II, თბილისი, 1945.
- კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი III, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1955
- კეკელიძე კ., იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან, ეურნ. „პრომეთე“, თბილისი, 1918.
- კეკელიძე კ., მარტივი ქართველი და მისი შრომა სინანულისათვის და სიმდაბლისა, „ლიტერატურული ძიებანი“, III, თბილისი, 1947.
- კეკელიძე კ., ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, „ენიმეს მოამბე“, XIII, 1943.
- კეცხოველი ნ., თბილისის მიდამოების გაზაფხულის პირველი მცენარეულობა, თბილისი, 1929.
- კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, 1935.
- კიკვიძე ა., მე-12 საუკუნის საქართველო, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტომი IX, 1939.
- კილაძე ნ., მღვიმეის პალეოლითური ნაშთები, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1949.
- კიშენი, ტ. I, კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1918 წ.
- კიშენი, ტ. II, კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1946.
- კორძა ხ ი ა მ. და კორაქაძე გ., საქართველოს კლიმატი ვახუშტის შრომების მიხედვით, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1947.
- კოტეტიშვილი ლ., სამედიცინო ილუგები „ვეფხისტყაოსანში“, ეურნალ. „საბჭოთა მედიცინა“, № 11 — 12, 1937.
- კოტეტიშვილი ლ., მედიცინა ძველ საქართველოში, XVI საუკ., იაღვარ დაუდი, საქბიომედიკაში, თბილისი, 1938.
- კოტეტიშვილი ლ., მედიცინა ძველ საქართველოში, XIII საუკუნე, წიგნი სააქიმო, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1936.
- კუფტინი ბ., ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბილისი, 1949.
- ლაშბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან აღ. ჭყონიასი, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1938.
- ლეონიძე გ., ანთიმ ივერიელი, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, „დროშა“, № 2, 1951.
- ლეონიძე გ., ბესიკ გაბაშვილი იასში, „ლიტერატურული გაზეთი“, 1955 წ. 29/VI, № 26.
- ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითად ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, სახელგამი, თბილისი, 1955.
- ლეონტი მროველი, წამება წმიდისა და დიდებულსა მოწამესა არჩილისი რომელ იყო მეფე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითად ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, სახელგამი, თბილისი, 1955.
- ლომთათიძე გ., არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბილისი, 1944.
- ლომთათიძე გ., წინაპართა ნაკვალევი, თბილისი, 1953.
- ლომთათიძე გ., ბრინჯაოს სატყერები და მხვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1944.

- ლომონოსოვი, კლავდიუს პტოლემეოსი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, საკანდიდატო დისერტაცია, 1952.
- ლორთქიფანიძე ი., მოსკოვის და პეტერბურგის „უწყებათა“ 1762 — 1767 წლების ცნობები ქართველების და საქართველოს შესახებ, „საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, X-B, 1940.
- ლოსაბერიძე ალ., ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, ივ. ჭავჭავაძის რედაქციით, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბილისი, 1938.
- მაკარი მენსხი, ცხოვრება პეტრე იბერიელისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946.
- მამათა სწავლანი (X—XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით), გამოსცა ი. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955.
- მამულაშვილი ალ., კახეთის ძველი აბანოები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIV-B, თბილისი, 1947.
- მამულაშვილი ალ., გრემის სარწყავი არხი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XI-B, 1941.
- მარტვირი ქართველი, სინანულისათვის და სიმდაბლისა, კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, „ლიტერატურული ძიებანი“, ტომი III, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1947.
- მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, ტომი I, სახელგამი, თბილისი, 1950.
- მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, ტომი II, სახელგამი, თბილისი, 1950.
- მაყაშვილი ა., საქართველოს სარველა მცენარეები (სარკვევი), თბილისი, 1934.
- მაყაშვილი ა., ბოტანიკური ექსიკონი, ი. ლომოურის რედაქციით, თბილისი, 1929.
- მაყაშვილი ა., სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, თბილისი, 1938.
- მაყაშვილი ა., კოლხეთის უცნობი კულტურები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, № 44, 1951.
- მელითაური, ნ., შოშიოშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჭამბურია, ვარძია, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955.
- მელიქიშვილი გ., ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, თბილისი, 1953.
- მელიქიშვილი გ., ურარტუ, ნარკვევი ქართველი ხალხის წინაპრების ისტორიიდან, თბილისი, 1951.
- მელიქიშვილი გ., საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955.
- მელიქსეთ-ბეგი ლ., ციკლოპური სისტემის შენობები მანგლისში, წალკაში და სხვ. 1925 წ.
- მელიქსეთ-ბეგი ლ., საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, კატალოგი, ტომი I, საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამომცემლობა, თბილისი, 1942.
- მენაბდე ლ., ასურელ მამათა საკითხისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1949.
- მენსხია შ., ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII საუკუნეების ქართულ მონასტრებში, „მიმოძიებულნი“, ტ. I, 1949.
- მენსხია შ., საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ქალაქი და ფეოდალური არისტოკრატია (XI—XIII სს.), „მიმოძიებულნი“, ტომი II, 1951.
- მინდაძე გ., მასალები ძველი თბილისის წყლით მომარაგების საკითხისათვის, თბილისი, 1958.
- მიქელაძე თ., ქსენოფონტის ანაბაზისი და მისი ცნობები ქართველი ტომების შესახებ, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1953.

- მიჯაჭველი ამირანი, პროფ. ჩიქოვანის რედაქციით, თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1947.
- შო ს ე ხო ნ ე ლ ი, ამირანდარეჯანიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1949.
- შ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938.
- XI—XII საუკუნეების საქართველოს მატერიალური კულტურა (გამოფენის ვზამკვლევი), აკად. ალ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953.
- შეხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტომი I, ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კლანდაძე, გ. ლომთაძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937—1946 წწ. განთხარის მიხედვით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955.
- ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ა ლ ი გ., საოჯახო სამართალი ფეოდალურ საქართველოში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1954.
- ნ ე მ ე ს ი ო ს ე მ ე ს ე ლ ი, ბუნებისათვის კაცისა, ბერძნულიდან გადმოღებულ იოვანე პეტრიწის მიერ, ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-სამძიებლები დაურთო ს. გორგაძემ, საეკლესიო მუზეუმში, ტფილისი, 1914.
- ნ ი კ ო ლ ო ზ I კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი, სვეტიცხოველის საყობაგი, კ. კვეციანის გამოცემა, თბილისი, 1917.
- ნ ი ო რ ა ძ ე გ., პალეოლოთის ადამიანი დევისხერელში, თბილისი, 1933.
- ნ ი ო რ ა ძ ე გ., ქვის ხანის ადამიანი საყაყის გამოქვაბულში, თბილისი, „ტექნიკა და შრომა“, 1953.
- ნ ი ო რ ა ძ ე გ., ალაზნის ველის გათხრები, თბილისი, 1940.
- ნ ი ო რ ა ძ ე გ., ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, აკად. ს. ჯანაშიას სახ. „საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის შოამბე“, XV-B, თბილისი, 1948.
- ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა ახალი ძეგლი XII საუკ. საქართველოში (დოკუმენტური), უნივერსიტეტის შრომები, ტომი VII, 1938.
- ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., განათლება და საგანმანათლებლო იდეები ქართულ რენესანსში, „მნათობი“ № 9—10, 1942.
- ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1956.
- ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა, სიბრძნე სიცრუისა, გ. ლეონიძის რედაქციით, „შრომა“, ტფილისი, 1928.
- ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა, მოგზაურობა ევროპაში, ხილომონ ორდანიშვილის რედაქციით, წინასწარი შენიშვნებითა და ლექსიკონით, ფედერაცია, თბილისი, 1940.
- ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სახელგამი, თბილისი, 1949.
- პ ე ტ რ ი წ ი ი ო ა ნ ე, შრომები, ტ. I. პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1940.
- პ ე ტ რ ი წ ი ი ო ა ნ ე, შრომები, ტ. II, განმარტებაჲ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფოსათვის, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1937.
- პირველი საფილოსოფოსო თხზულება ქართულ ენაზე (ეფრემ მცირის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი დიალექტიკა, იოვანე დამასკელისა), „საქართველო“, 1916 წ. № 112.



- ეო რ დ ა ნ ი ა თ., ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ძველი ეკსხანის ქვაბთა, თბილისი, 1896.
- რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., მუხდლობა რაჭაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1941 წ.
- რო გ ა ვ ა ა ლ., სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბილისი, 1951.
- რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ი ვ., სამკურნალო ხელოვნება და განთქმული მკურნალები, ჟურნალი „ნაყადული“, № 4, 1916.
- რ უ ბ რ უ კ ე ი ს ი გ., მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. V, ენამკი, 1942.
- რ უ ს თ ა ე ე ლ ი შ., ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას გამოცემა, თბილისი, 1953.
- რუსა მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. I, ძველი დროიდან XIX საუკ. ნახევრამდე, შეადგინა ვ. შადურმა, თბილისი, 1949.
- ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი მ., ნეეროპათოლოგიის ისტორიისათვის საქართველოში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1948.
- ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი მ., რას მერყეულელებ ფაქტები, „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 47, 1949.
- ს ა გ ე რ ა შ ვ ი ლ ი — ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი მ., გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., რ ა ქ ე ე ლ ი შ ვ ლ ი ბ., სამკურნალო დაწესებულებები ძველ საქართველოში, „დროშა“, № 3, 1956.
- სამედიცინო ტერმინოლოგია, I, რუსულ-ქართულ-ლათინური, შედგენილია პროფ. ზ. მაისურაძის მიერ, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, საქმედგამი, თბილისი, 1947.
- ს ა ნ ი კ ი ძ ე ლ. დ. რომის ექსპანსია პონტოსა და ამიერკავკასიაში (პირველი საუკ. ნახ. ჩვ. წ.), საკანდიდატო დისერტაცია, 1953.
- საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები, გ. წერეთლის მიერ გამოცემული (ქართულ-რუსულ-ინგლისურად), ს. ჭანაშვიას რედაქციით, სსრ კავშირის მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის გამოცემა, თბილისი, 1939.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები, (H კოლექცია), აკად. ს. ჭანაშვიას საერთო რედაქციით, ტომი I, დასაბუქდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძის და ნ. კასრაძის მიერ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1946.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, შედგენილია ა. მერტრეველისა და კრ. შარაშიძის მიერ ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1957.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები, (H კოლექცია), ტომი II, შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა ლილი ქუთათელაძემ, ილია აბულაძის რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1951.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. ყვეკლიძის საერთო რედაქციით, ტომი IV, შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა ელენე მერტრეველმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. V, შეადგინა ლილი ქუთათელაძემ, თბილისი, 1955.

- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი VI, შეადგინეს და დასაბუქლად მოამზადეს ნ. კასრაძემ, ე. მეტრეველმა, ლ. მეფარიშვილმა, ლ. ქუთათელაძემ და ე. შარაშიძემ, ილ. ბარამიძის რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953.
- საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, (ძველი ქართული ენის ძეგლები), თბილისი, 1950.
- საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1902.
- საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტომი II, თბილისი, 1909.
- საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტომი III, თბილისი, 1910.
- საქართველოს შესახებ (ევროპულ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები), ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1900.
- საქართველოს ფლორა, ტ. I, ა. მაყაშვილისა და დ. სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941.
- საქართველოს ფლორა, ტ. II, ა. მაყაშვილისა და დ. სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941.
- საქართველოს ფლორა, ტ. III, ნ. კეცხოველის და დ. სოსნოვსკის რედაქციით საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1947.
- საქართველოს ფლორა, ტ. IV, ნ. კეცხოველის და დ. სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1948.
- საქართველოს ფლორა, ტ. V, ნ. კეცხოველის და დ. სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1949.
- საქართველოს ფლორა, ტ. VI, ნ. კეცხოველის და დ. სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950.
- საქართველოს ფლორა, ტ. VII, VIII, ნ. კეცხოველისა და დ. სოსნოვსკის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953.
- სახისმეტყველო ანუ ფიზიოლოგი, ქართული ტექსტი შტებერდის კრებულიდან მე-10 საუკუნისა, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1904.
- სუილას ლექსიკონი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი I, თარგმანი და განმარტებები სიმონ ყაუხჩიშვილისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1952.
- ს ე ი მ ა ნ ბ ე რ ი, წინამძღვრის რედაქციით, თ. ჟორდანიას გამოცემა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრიდან, 1896.
- ს ი ბ რ ძ ნ ე ბ ა ლ ა ქ ვ ა რ ი ს ი, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1937.
- ს ი ჭ ი ნ ა ე ვ ა ს., ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან, რუსთაველის სახ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, III, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1954.
- ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი, გობრონის მარტილობა, მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882; ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, თბილისი, 1946.
- ს ტ რ უ ვ ე ე, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბილისი, 1946.
- ს უ მ ბ ა ტ დ ა ე ე თ ი ს ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სასულგამი, თბილისი, 1955.
- ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი ვ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1925.
- უ რ ბ ნ ე ლ ი ნ., ათაბაგნი ბეჟა და აღბუღა და მათი სამართალი, თბილისი, 1890.
- უ რ ბ ნ ე ლ ი ნ., ძველისდგმა გიორგი ბრწყინვალესი, თბილისი, 1890.

- წარუშაქე ა., პროშეთეს შითის ერთის თავისებური ვერსიის შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, № 45, 1951.
- ფანასკერტელი ზაზა, სამეურნალო წიგნი, მ. სააკაშვილის რედაქციით, საქმედგამი, თბილისი, 1950.
- ფანცხავა ი., იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობის ძირითადი საკითხები, „მნათობი“, № 9, 1941.
- ფალავა ბ., პედიატრიის ისტორიის საკითხისათვის საქართველოში (XI—XVII საუკუნე), 1 „საბჭოთა მედიცინა“, № 3, 1957.
- ფაშალიშვილი თ., გრიგოლ ნაძიანელის სიტყუთა ეპიტაფიად დიდისა ბასილისათვის ეფრემ შვირის ქართულ თარგმანში, საკანდიდატო დისერტაცია, 1953.
- ფირფილაშვილი პ. მ., სამთავროს სამაროვანში გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ძველთა სისტემის დაკავშირების შესწავლისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი XV, № 8, 1954.
- ფირფილაშვილი პ. მ., პალეანთროპოლოგიური მასალები ძველ საქართველოში დაკავშირებადზიანებათა და სამეურნალო მანიპულაციების შესწავლისათვის, საქმედგამი, თბილისი, 1956.
- ფრანგიშვილი ა., გულ-სიტყვის და მისგან ნაწარმოებ სიტყუთა სემანტიკასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, „ფსიქოლოგია“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, III, თბილისი, 1945.
- ფრანგიშვილი ა., სულხან-საბა ორბელიანის ფსიქოლოგიური შეხედულებანი ქართულ ლექსიკონში მოცემულ ფსიქოლოგიურ ცნებათა განსაზღვრებების მიხედვით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IV, პროფ. დ. უზნაძის რედაქციით, თბილისი, 1947.
- ფუთურიძე ე., არაბი ისტორიკოსი XII საუკუნის თბილისის შესახებ, „ენიმეის მოამბე“, ტ. XIII, 1943.
- ფუთურიძე ვ., ქართველი მოღვაწენი ირანის კულტურულ აპარატზე, „ანალები“ ტ. I, 1947.
- ქანახელი, „უსწორო კარაბადინი“, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. კორტიშვილმა, საქმედგამი, თბილისი, 1940.
- ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942.
- ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1906.
- ქართლის ცხოვრება, ტ. I, ზ. კვიციანიის გამოცემა, ტფილისი, 1897.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, სახელგამი, თბილისი, 1955.
- ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, 973 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945.
- ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1955.
- ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ფორდანიას მიერ, ფოთი, 1903.
- ქორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწილი I, თბილისი, 1955.
- ქსენოფონტი, ანაბასისი, თბილისი, 1940.
- ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ფორდანიას მიერ, თბილისი, 1892.
- ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ფორდანიას მიერ, წიგნი II, (1213 წლიდან 1700 წლამდე), თბილისი, 1897.

- ქუთათელი ა. ი., სამკურნალო და ზოგიერთ ტექნიკურ მცენარეთა რესურსები საქართველოში, საქმედგამი, თბილისი, 1945.
- ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1951.
- ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957.
- ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, ელნური პერიოდი, თბილისი, 1950.
- ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტომი II, ელინისტური პერიოდი, თბილისი, 1949.
- ყაუხჩიშვილი ს., ლექსები ბიზანტიის ისტორიიდან, წ. I, თბილისი, 1948.
- ყაუხჩიშვილი ს., გელათის აკადემია, თბილისი, 1948.
- ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1936.
- ყაუხჩიშვილი ს., რიტორიული განათლებას ცენტრი ძველ კოლხეთში, «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», X, 1940.
- ყაუხჩიშვილი ს., მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე», ტომი IV, თბილისი, 1943.
- ყაუხჩიშვილი ს., პეტრე იბერიელი და იოანე ლაზი-V საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეები, გაზ. «ახალგაზრდა კომუნისტი», № 68, 7/VI. 1955.
- შარდენი ეან, მოგზაურობა საქართველოში, თარგმნილი ეასილ ბარნოვის მიერ, თბილისი, 1935.
- შარაშიძე ქ., ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები მე-18 საუკუნეში, სწავლა-აღზრდის ინსტიტუტი საქართველოში, მასალათა კრებული, I, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ტფილისი, 1937.
- შარაშიძე ქ., პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955.
- შარაშიძე ქ., ქართული სტამბის ისტორია, თბილისი, 1956.
- შესტრელია დ., წერილები, გამომცემლობა «ახალი მწერალი», თბილისი, 1955.
- შენგელია დ., არნაზი, ეფრ. «მნათობი» № 1, 1957.
- შენგელია ზ., საქართველოს სამკურნალო მცენარეები, თბილისი, 1952.
- შენგელია ზ., საქართველოს ზოგიერთი მზამიანი მცენარე, თბილისი, 1954.
- შენგელია მ., ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, საქმედგამი, თბილისი, 1956.
- შოშიაშვილი ნ., რკონის დაწერილი, როგორც ისტორიული წყარო, საქანდიდატო დისერტაცია, 1952.
- ჩახრუხაძე, თამარიანი, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, თბილისი, 1949.
- ჩიტაია გ., ქართული და წინააზიური სახენელი იარაღები, თბილისი, 1941.
- ჩიკობავა ა., ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.
- ჩიკობავა ა., ქანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1938.
- ჩიკოვანი ნ., არჩილ მეფე და ქართული სტამბა, «დროშა», № 7, 1955.
- ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტომი I, თბილისი, 1936.
- ჩუბინაშვილი გ., ქართული საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», ტომი II, 1923.
- ჩუბინაშვილი ტ., მიცვალებულის კერაზე დასაფლავება სამთავროში, «საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე», ტომი XIII, № 1, 1951.
- ჩუბინიშვილი დ., ქართულ-ფრანკული ლექსიკონი, 1840.

- ჩ ხ ე ი ძ ე ც., XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ექიმები, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956 წ. 7/VII., № 81 (6185).
- ჩ ხ ე ტ ი ა შ., თბილისის ისტორიისათვის, თბილისი, 1938.
- ც ი ნ ც ა ძ ე ვ., საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის საქართველოში (კომუნი სოფელ ხეთში), ქართული ხელოვნება, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, თბილისი, 1955.
- ც ი ნ ც ა ძ ე ი., ცნობები რუსეთის შესახებ ქართულ წყაროებში და საქართველოს შესახებ რუსულ წყაროებში, XI, XII XIII საუკუნე, „ენიმეის მოამბე“, ტომი IV, 2, თბილისი, 1938.
- ც ი ნ ც ა ძ ე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI საუკ.), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1947.
- ც ი ნ ც ა ძ ე ი., რუსეთ-საქართველოს ისტორიოგრაფიიდან, „მომომხილველი“, ტომი III, 1953.
- ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., ნადარბაზევის წყალსადენი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 8, 1950.
- ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955.
- ც ო შ ა ი ა ნ., დავადებანი და ავადმყოფთა მოვლა-შეკურნალობა ძველ საქართველოში, ხელნაწერი.
- ც ხ ვ რ ე ბ ა იოანე შეყენებულისა, კიმენი, ტ. I, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1918.
- ც ხ ვ რ ე ბ ა ი ტიმოთე ანტიოქელისაი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, „ენიმეის მოამბე“, VII, თბილისი, 1940.
- ც ხ ვ რ ე ბ ა პეტრე იბერიელისა მოღვაწე მეფის-წულის და მიუღმელ ეპისკოპოსის მე-V საუკუნესი. ქართული დედანი გამოსცა, რუსულად თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ნუკო შარბა, Православный палестинский сборник, т. XVI, выпуск II, издание вып. православногo палестинского сбщ-ва, Спб. 1896.
- წ ე რ ე თ ე ლ ი გ., არმაზის ბილინგვა, „ენიმეის მოამბე“, ტომი XIII, თბილისი, 1942.
- წ ი ვ ნ ი ძ ე ლ ი ს ა ლთქუშისანი (978 წ. ხელნაწერის მიხედვით), ტომი I, ნაკვ. I, დაბადებისაი, გამოსლვათაი, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1947.
- წ ი ვ ნ ი ძ ე ლ ი ს ა ლთქუშისანი (978 წ. ხელნაწერის მიხედვით), ტომი I, ნაკვ. II, ლევიტელთაი, მსაჯულთაი, რუთისი, იობისი, ესაიასი, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1948.
- წ ი ვ ნ ი ძ ე ლ ი ს ა ლთქუშისანი (978 წ. ხელნაწერის მიხედვით), ტომი I, ნაკვ. III.
- წ ი ვ ნ ი ძ ე ლ ი ს ა ლთქუშისანი (978 წ. ხელნაწერის მიხედვით), ტომი II.
- ქ ი ბ ო შ ვ ი ლ ი ი., მასალები ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებისა და ჰიგიენა-სანიტარიის ისტორიისათვის ძველ საქართველოში (V—XVIII საუკუნეებში), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1956.
- ქ ი ჰ ი ნ ა ძ ე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, თბილისი, 1896.
- ქ ი ჰ ი ნ ა ძ ე ზ., ისტორია ქართული მეურნალობისა უძველესი დროიდან, ძველი წიგნბედიანი აკინძული, თბილისი, 1917.
- ქ ე ო ნ ი ა თ., გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IV, 1948.
- ხ ა ნ მ ე ტ ი ლ ე კ ი ო ნ ა რ ი (ფოტოტიპირი რეპროდუქცია), გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1944.
- ხ ა რ ა ძ ე რ., დიდი ოქანის გადმონაშთები სვანეთში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1939.
- ხ ი ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა., გუჯარები, საისტორიო მასალა, ქუთაისი, 1891.

- ბ ა ხ ა ნ ა შ ე ლ ი ა., საქართველოს ისტორია, ტომი I, უძველესი დროიდან 985 წ. ქ. შ. თბილისი, 1906.
- ბ ა ხ უ ტ ა შ ე ლ ი დ., შვიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით (ძვ. წ. IV—ახ. წ. VI საუკ.), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1954.
- ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა აღწერილობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ქუთაისის ისტორიული მუზეუმში, ტომი I, შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა მუზეუმის მეცნიერ მუშაქმა ე. ნიკოლაძემ, რედაქტორი პროფესორი კ. კეკელიძე, თბილისი, 1953.
- ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტომი III, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებულია ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1948.
- ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), ტომი V, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებულია ლუბა მეფარიშვილის მიერ, აღ. ბარამიძის რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1949.
- ბ ი დ ა შ ე ლ ი შ., გორაკი მერჩულის მსოფლმხედველობა, ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტომი III, 1956.
- ბ ი დ ა შ ე ლ ი შ., იოანე პეტრიწი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1956.
- ბ ი დ ა შ ე ლ ი შ., საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებანი ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1952.
- ბ ი დ ა შ ე ლ ი შ., სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი (არქეოლოგიური გათხრების ანგარიში), შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, ივ. ჭავჭავაძის რედაქციით, თბილისი, 1938.
- ბ ო შ ტ ა რ ი ა ნ., დიხა გუქუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტომი V, № 2, 1944.
- ბ ო ჯ ა ყ ო ფ ი ლ ი, წიგნი საქიმოი, ლ. კობეჯიშვილის რედაქციით, სახელგამო, თბილისი 1936.
- ხ უ რ ო ძ ე ვ., კთხვის და წერის შესწავლის მეთოდი ძველ საქართველოში, სწავლა-აზრდის საქმე საქართველოში, მასალათა კრებული, I, ტფილისი, 1937.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ლ ი ივ., მესამე ლექცია (ციკლიდან საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია, თემაზე „ავეჯი და ქურჭელი ძველ საქართველოში“), „მუშა“, № 142, 1938.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ლ ი ივ., მეხუთე ლექცია (ყოფა-ცხოვრება საქართველოში) „მუშა“, № 152, 1938.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ლ ი ი., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, საქართველოს, ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1950.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ლ ი ი., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. II, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და წარმოშობა, თბილისი, 1937.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ლ ი ი., ქართველი ერის ისტორია, წ. I. მეოთხე გამოცემა, თბილისი, 1951.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ლ ი ი., ქართველი ერის ისტორია, წ. II თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1948.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ლ ი ი., ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1949.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ლ ი ი., ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1948.

- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII ს ს.), შესამე შეესებული გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1945.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წ. III, ნაკვეთი I, ქართული დამწერლობათმცოდნეობა და პალეოგრაფია, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1949.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წ. III, ნაკვეთი II, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1926.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წ. III, ნაკვეთი III, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, გამომცემლობა „ჩვენს მეცნიერებას“, თბილისი, 1925.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1946.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, მეორე ახლად დაწერილი გამოცემა, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, თბილისი, 1931.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, მეორე ახლად დაწერილი გამოცემა ფედერაცია, 1934.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული სამართლის ისტორია, I, თბილისი, 1928.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვეთი პირველი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1928.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვეთი მეორე, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1929.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, ი. აბულაძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1956.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1934.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“, გაზეთი „კომუნისტი“, № 298, 1937; გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, № I, 1938.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე, დღემდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“, III, 1923.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ბალნეოლოგიური და ინალატიური მკურნალობა საქართველოში, საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის შრომები, ტფილისი, 1935.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართველი მშრომელი ხალხის კება და მისი მიზანშეწონილი რაციონალიზაციის ამოცანა, ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჭანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ფონდი ე, № 5.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ალ., საქართველოს ძველი ქრისტიანული ხანის საეკლესიო მემორიალური ძეგლები, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1949.
- ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი დ., კურორტოლოგია, სახელმძღვანელო ექიმთა და სტუდენტთათვის, საქმედგამი, თბილისი, 1945.
- ჭ ა ნ ა შ ი ა ს., ცხოვრებათა საბა ასურისაი, ძველის პუბლიკაცია გამოკვლევითა და კომენტარითურთ, „არილი“, ტფილისი, 1925.

- ქ ა ნ ა შ ი ა ს., აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საეკონომიკური, „ენიმეის მოამბე“, 1943.
- ქ ა ნ ა შ ი ა ს., თებალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, „ენიმეის მოამბე“, ტ. 1, 1937.
- ქ ა ნ ა შ ი ა ს., ფასიდი (ერთი თავი ნაშრომისა კოლხიდის ისტორიული გეოგრაფიიდან), „ენიმეის მოამბე“, ტ. X, 1941.
- ქ ა ნ ა შ ი ა ს., შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში, პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალების კრებული, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, ტ. I, 1937.
- ქ ა ნ ა შ ი ა ს., გეოგრაფიული წყობილება ქართველ ტომებში, საქართველოს ისტორია, განაკვეთი I, საქართველოს დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა (ლითოგრაფიული ნაბეჭდი), თბილისი, 1932.
- ქ ა ნ ა შ ი ა ს., საზოგადოებრივი კლასების და სახელმწიფოს წარმოშობა ქართველ ტომებში, საქართველოს ისტორია, განაკვეთი II, საქართველოს დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა (ლითოგრაფიული ნაბეჭდი), თბილისი, 1932.
- ქ ა ნ ა შ ი ა ს., ადრეული ფეოდალიზმი, საქართველოს ისტორია, განაკვეთი III, საქართველოს დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა, (ლითოგრაფიული ნაბეჭდი), თბილისი, 1933.
- ქ ა ნ ა შ ი ა ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1937.
- ქ ა ნ ა შ ი ა ს., არაბობა საქართველოში, ტფილისის დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა, 1936.
- ქ ა ნ ა შ ი ა ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1935.
- ქ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., მოკლე ისტორია ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე, „ღროება“, № 76, 78, 79, 80, 1884.
- ქ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., აღუადგინე ანუ სამი ისტორიული ხრონიკისა და წმ. ნინოს ცხოვრების გასაგებ შესასწორებელი სახელმძღვანელო, შედგენილი მოხე ქანაშვილის მიერ, დამატებით IX—X საუკუნის სამეცნიერო ქრესტომატიადამ ამოღებულ სამკურნალო ტრაქტატისა და სასწავლო წიგნისა, თბილისი, 1891.
- ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., კოლხური ცული, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1947.
- ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 49, 1953.
- ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., ენოლოგიური კულტურა საქართველოში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1955.
- ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბილისი, 1955.
- ჭ უ ა ნ შ ე რ ი., ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, სახელგამი, თბილისი, 1955.
- ქ ე რ ც ფ ე ლ დ ი ე., კულტურული ურთიერთობანი ძველს აღმოსავლეთში, თბილისი, 1931.



Абдушлишвили М. Г., К палеоантропологии Самтаврского могильника, Издательство академии ГССР, Тбилиси, 1954.

Лвдпел В., Гилказ и древний восток, Вестник Московского университета, № 4, 1948.

Алхазов Ил., Краткий исторический очерк врачебного дела в Грузии, «Кавказский вестник», № 9, 1901.



- Аненков Н., Ботанический словарь, 1876.
- Бакрадзе Д., Памятники письменности Грузии, Воспитание и образование в древней Грузии, Посылка в Афинские школы молодых грузин, «Кавказ», 1849, № 26.
- Бердзенов Н., О грузинской медицине, «Кавказский календарь, 1857.
- Бородулин Ф. Р., Лекции по истории медицины, «Медгиз», М., 1954.
- Вачнадзе Н. Г., Кто первый применил кровь для лечения ран? Газ. «Медицинский работник», 1949, 16. II, № 7 (819).
- Гильдебрандт И. А., Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, СПб., 1809.
- Государственная фармакопея СССР, VIII издание. Министерство здравоохранения СССР, 1952.
- Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с 1768 по 1774 год. Под редакцией А. А. Цагарели, СПб., 1891.
- Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, т. II, в. 1, 1898.
- Грамоты и другие документы XVIII столетия относящиеся до Грузии т. II, в. 2, с 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели, СПб., 1902.
- Гросгейм А. А., Определитель растений Кавказа, Советская наука, 1949.
- Декапрелович Л., Сорты фасоли (*Phaseolus vulgaris* Sav), возделываемые в Грузии, თბილისის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ-გამოყენებითი განყოფილების ნაწერე-ბი, ნაწილი IV, თბილისი, 1925.
- Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. Т. I, греческие писатели, в. 1, СПб., 1893.
- Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. Т. I, греческие писатели, в. 2, СПб., 1896.
- Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. Т. II, латинские писатели, в. 2, СПб., 1906.
- Известия древних писателей о Скифии и Кавказе. Вестник древней истории, 1947, № 1, 1948, № 3, 1949, № 2.
- Кекелидзе К., Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908.
- Колесников А. И., Дикорастущие лекарственные растения Абхазии и северных районов черноморского побережья Кавказа, Сухуми, 1944.
- Куфтия Б. А., Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1940.
- Куфтия Б. А., Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949.
- Куфтия Б. А., Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950.
- Латышев В. В., Pontica. Сборник научных и критических статей по истории, археологии, географии и эпиграфике Скифии, Кавказа и греческих колоний на побережьях Черного моря, СПб., 1909.
- Леонтьев И. Ф., Лечебные свойства сухих эритроцитов, «Природа», 1948, № 3.

- Максимова М. И., Античные города Юго-Восточного Причерноморья Синоп, Амис, Трапезунт, Академия наук СССР, Институт истории материальной культуры, М., — Л., 1956.
- Максимова М., Геммы из некрополя Михеты—Самтавро. Раскопки 1938—1938 гг. «საქართველოს მუზეუმის შრომები», XVI—B. 1950.
- Марр Н. Я., Иоани Петрицкий, грузинский проплатоник XI — XII вв. «Записки Восточного отделения Русского археологического общества», 1909, XIX.
- Марр Н. Я., Китайский язык и палеонтология речи. Избранные работы, IV.
- Марр Н. Я., «Описание грузинских рукописей Синайского монастыря», 1940.
- Марр Н., Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка, СПб., 1903.
- Меликишвили Г. А., Наирн—Урарту, Тбилиси, 1954.
- Мейер-Штейнер Т. и К. Зудгоф, История медицины, перевод со второго немецкого издания под редакцией д-ра В. А. Любарского и д-ра Б. Е. Гершуни, с 163 рисунками в тексте, государственное издательство, М., 1925.
- Мипкелич И. И., Растения, как медицинские средства и как предмет обожания на Кавказе, «Протокол заседания кавказского медицинского общества», № 13, 1894/95.
- Мир-Касимов М. А., Развитие научной медицинской мысли в Азербайджане. Известия Академии наук Азербайджана, 1945, № 9.
- Мшвелерадзе Д., Строительное дело в древней Грузии, Тбилиси, 1952.
- Никобадзе И. И., Материалы по истории хирургии в Грузии, докторская диссертация, Тбилиси, 1952.
- Нуцубидзе Ш., Тайна Псевдо-Днижкия Арсенагита, издание Академии наук ГССР, Тбилиси, 1942.
- Нуцубидзе Ш., Руставели и Восточный ренессанс, Тбилиси, 1947.
- Оганесян Л. А., История медицины в Армении с древнейших времен до наших дней, (врачи, медицинская литература и лечебные учреждения у армян в Армении и за ее пределами, часть I, II, III, Ереван, 1946.
- Пиотровский Б. Б., Археология Закавказья, Л., 1949.
- Полный русский иллюстрированный словарь—травник и цветник, т. I, т. II, изд. А. А. Каспари.
- Роллов А. Х., Дикорастущие растения Кавказа их распространение, свойства и применения, Тифлис. 1908.
- Российский Д. И., История отечественной медицины и здравоохранения, библиография под редакцией Б. Д. Петрова, М., 1956.
- Саралддзе Г., Диагностические приемы в древней Грузинской медицине. (рукопись), 1951.
- Соколов И. И., О народных школах в Византии с пол. IX века до пол. XV века (842—1453 г.), Церковные ведомости, № 7, 8, 1897.
- Соловьев Л. Н., Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии, «Материалы по истории Абхазии», 1939, выпуск XV, сборник 1.
- Сосновский Д. И. и Гроссгейм А. А., Определитель растений окрестностей Тифлиса. Тбилиси, 1920.
- Такаишвили Е., Описание рукописей «Общества распространения грамотности среды грузинского населения», I, часть 1—4, 1902 — 1904.

- Таханшвили Е., Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», II, Тифлис, 1906 — 1912.
- Услар П. К., Этнография Кавказа, III, Аварский язык, Тифлис. 1883 г.
- Услар П. К., Этнография Кавказа, IV, Лакский язык, Тифлис, 1890 г.
- Флоринский В. М., Русские простонародные травники и лечебники, Казань, 1880.
- Хаханашвили А., Очерки по истории Грузинской словесности, в. 1, Москва, 1895 г.
- Хаханашвили А., Очерки по истории грузинской словесности, в. II, М., 1897.
- Хонингман Э., Петр Ивер и сочинения Пс.-Дионисия Ареопажита, ფრანგულიდან თარგმნილი შალვა ნეტებისის მიერ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 59, თბილისი, 1955.
- Цагарели А. А., Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, православный палестинский сборник, т. IV, в. 1, СПб., 1838.
- Шабловский И. И., Медикаменты и способы лечения применяемые народными врачами Абхазии и Самуракаво, Изд. имп. Кавказского медицинского об-ва, № 212, 1884.
- Шлоссер Ф., Всемирная история, под редакцией Н. Чернышевского, СПб, 1862 г.
- Штебер Э., Материалы для инородческого фармацевтического словаря Кавказа и Средней Азии, 1902.
- Энциклопедический словарь лекарственных эфиромасличных и ядовитых растений, Изд. Госсельхозлитература, 1951.
- Язмэджян Г. О., Психиатрические взгляды в Армении с древнейших времен до XI века, автореферат кандидатской диссертации, Ереван, 1954.
- Яшвили А. О., Народная медицина в Закавказском крае, Тифлис, 1904.



- Dictionnaire historique de la Medicine, ტ. II. ფრანკფურტი, 1755.
- Di luesser Josafa Barbaro, genti'l huomo venetiano, il viaggio della Tana. ამ ნაშრომიდან აღ. ჭყონიას მიერ თარგმნილია ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ცნობებს საქართველოს შესახებ, იხ. იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში იოსაფა ბარბარო და ამბროჯიო კონტარინი, „მოამბე“, № 11, 1894.
- Kurt Sprengel, Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneykund, erster Theil. Halle, 1821.
- Les six voyages de I. B. Tavernier, Baron d' Aubonne, en Turquie en Perse et aux Indes. ის ნაწილი, რომელიც საქართველოს შეეხება აღ. ჭყონიამ თარგმნა და გამოაქვეყნა — „ტავერნიეს მოგზაურობიდან XVII საუკუნეში“, „მოამბე“, № 4, 1898.

III ტომის პირველი წიგნის  
შინაარსი\*  
(V—XVIII ს. ს.)

	გვ.
წინასიტყვაობა	15—16
შესავალი	17—44
თავი I. საქართველოს მედიცინის განვითარების ძირითადი საფეხურები V—XVIII საუკუნეებში	45—84
თავი II. ზოგადბიოლოგიურ შეხედულებათა განვითარების საკითხიათვის	85—93
თავი III. წარმოდგენები ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესახებ	94—144
თავი IV. ჯანმრთელობა და დაავადება	145—170
თავი V. ექიმი და ექიმობა	171—185
თავი VI. მეურნეობისა და სამედიცინო განათლების კერები	186—235
თავი VII. ავღანეთის გამოკვლევის ხერხები	236—264
თავი VIII. ქირურგიული დაავადებანი	265—310
თავი IX. შინაგანი სნეულებანი	311—388
თავი X. ნერვული სისტემის სნეულებანი	389—404
თავი XI. ფსიქიკური დაავადებანი	405—418

\* \* \*

ОГЛАВЛЕНИЕ  
ПЕРВОЙ КНИГИ III ТОМА\*  
(V—XVIII вв.)

	стр.
Предисловие	5— 16
Введение	17— 44
Глава I. Основные этапы развития медицины Грузии V—XVIII вв.	45— 84
Глава II. К вопросу развития общесоциологических воззрений	85— 93
Глава III. Анатомические и физиологические представления	94—144
Глава IV. Здоровье и болезнь	145—170
Глава V. Врач и врачевание	171—185
Глава VI. Лечебные учреждения и очаги медицинского образования	186—235
Глава VII. Методы исследования больного	236—264
Глава VIII. Хирургические заболевания	265—310
Глава IX. Внутренние болезни	311—388
Глава X. Болезни нервной системы	389—404
Глава XI. Психические заболевания	405—418

\* გამოვიდა 1956 წელს.  
 \* Опубликована в 1956 году.